ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 40.

ბეცხლის და მახვილის

ჰენრიკ სენკევიჩი

თარგმანი

გრ. ყიფშიძისა

ტფილისი 1897 წ.

სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 октября 1896 г.

ცეცხლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

ნაწილი პირველი

I

1647 წელიწადი უცნაური წელიწადი იყო. საკვირველნი მოვლენანი ცასა და დედა-მიწაზედ რაღაც დიდს უბედურებას და არა-ჩვეულებრივს ამბავს მოასწავებდა.

მაშინდელნი მემატიანენი იხსენიებენ, რომ გაზაფხულზედ უდაბურს ყრუ მინდვრებში მრავლისაგან-მრავალი კალია გაჩნდა და სულ მოსძოვა ნათესებიო; ასე იყო ყოველთვის თა-თართა შემოსევის წინადაო. ზაფხულში მზე დაბნელდა და მას შემდეგ მალე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. ვარშავაში, ზედ ქალაქის თავზედ იხილვებოდა ღრუბლებში ცეცხლის კუბო და ჯვარი; მცხოვრებნი მარხულობდნენ და არიგებდნენ მოწ-ყალებასა; ამბობდნენ, რომ ჭირი ეწვევა ქვეყანას და გასწყვე-ტავს კაცთა ნათესავსაო. დასასრულ, ისეთი თბილი ზამთარი დადგა, რომლისთანაც მოხუცთაც კი არ ახსოვდათ. სამხრეთს სამოურავოებში წყლები არ გაჰყინა; თოვლი სწრაფად ჰდნე-ბოდა, მდინარენი ადიდდა და მოედვა ნაპირებს. წვიმა ხშირად მოდიოდა. მინდვრები ერთ უშველებელ ჭაობად გადაიქცა; მზე ისე იკბინებოდა შუადღისას, რომ—მეტი სასწაული რაღა იქ-ნებოდა—ბრაცლავის სამოურავოში და ყრუ მინდვრებზედ დე-კემბრის ნახევარში ბალახმა მწვანედ დაიწყო ბიბინი. ფუტკრის

გუნდნი ბზუოდნენ საფუტკრეებს ახლო, საქონელი ზმუოდა ბოსლებში. როცა ამ სახით ბუნება თითქო სრულიად შეიცვალაო, რუსეთის მკვიდრნი არა-ჩვეულებრივ ამბავთა მოლოდინში იყვნენ და მოუსვენრობით გაიცქირებოდნენ ყრუ მინდვრებისაკენ. შიში იქიდან უფრო იყო მოსალოდნელი, ვიდრე საიდანმე სხვა მხრიდან.

მინდვრებში კი იმ დროს საიმისო არა მომხდარა-რა, არც ომი და ბრძოლა, არც ხელ-ჩართული ჩხა-ჟლეტა, არაფერი იმისთანა, რაც ხშირი ამბავი იყო იქ და რაც კარგად იცოდნენ მხოლოდ არწივებმა, ყვავ-ყორნებმა და მინდვრის ნადირებმა.

ასეთი იყო ეს მინდვრები. კვალი მოსახლობისა და ბინადრობისა თავდებოდა სამხრეთად, ჩიგირინს ცოტა ქვემოდ, დნეპრის მხრით და უმანს ქვემოდ, დნესტრის მახლობლად. ქვემოდა და ქვემოდ, ზღვის ყურეებისა და თვით ზღვისკენ გაჭიმული იყო მინდორი, დაუსრულებელი, თვალ-გადუწვდენელი, რომელსაც, თითქო ბუმბერაზთა მკლავები შემოჰხვევიაო, აქეთ-იქიდან ჩაუდიოდა ორი მდინარე. დნეპრის შესართავს ახლო, დაბლობში, ჭორომებს ქვემოდ, ჯერ კიდევ ყაზახთა ცხოვრება სდუღდა, გარნა თვით მინდვრებში არავინ არა სცხოვრობდა და მხოლოდ მდინარის პირას აქა-იქ მოსჩანდა პატარ-პატარა „გორები“, თითქო კუნძულებია ზღვაშიო. ეს ადგილ-მამული სახელით პოლონეთის კუთვნილება იყო. რესპუბლიკანებას აძლევდა თათრებს ეძოვებინათ იქ თავიანთი საქონელი, მაგრამ რადგან ამ უდაბურს ადგილებს თვალ ყურს უკდებდნენ ყაზახნი, ამიტომ ამ საძოვარ ადგილებში ხშირად იმართებოდა დიდი ომი და ბრძოლაცა.

არავის არ დაუვლია, არავის არ ახსოვს, რამდენი ომი იქმნა იქ გადახდილი, რამდენმა კაცმა გასწირა იქ თავი. მხოლოდ არწივნი, ქორნი და ყვავ-ყორანნი ჰხედავდნენ ყოველსავე და ვისაც შემოესმოდა შორიდან ფრთების ბარტყუნი და ყრანტალი, ვინც დაინახავდა ფრინველთა გუნდს, რომელიც დასტრიალებდა ერთსა და იმავე ადგილს, იმან უკვე იცოდა,

რომ იქ კაცთა მძოვრი ჰყრია, ან დაუმარხავი ძვლებია მოფანტულიო... მკერდამდე ბალახში ისე ნადირობდნენ კაცებზედ, როგორც მგლებზედ. ნადირობდა ყველა, ვისაც სურვილი ჰქონდა ნადირობისა. ვისაც კანონი სდევნიდა, იმ ყრუ მინდვრებში იმალებოდა; მწყემსი შეიარაღებული იყო და ისე აძოვებდა თავისს საქონელს; რაინდი იქ ეძებდა შემთხვევას თავის გამოჩენისათვის, ავაზაკი დავლას ეძებდა, ყაზახი—თათარსა, თათარი—ყაზახსა. ეს ამოდენა უდაბნო ცარიელიც იყო და სავსეც ერთსა და იმავე დროს, ჩუმიცა და მგრგვინავიცა, მშვიდობიანიცა და საფრებით სავსეცა; ყრუ იყო და ველური, იმიტომ რომ გარშემო ყრუ და ტრიალი მინდვრები გადაჭიმულიყო, იმიტომ რომ ველური და ბოროტი კაცი ამ მინდვრებს აფარებდა თავს.

ხან-და-ხან იქ დიდი ომი გაიმართებოდა ხოლმე. მაშინ თითქო ზღვის ტალღებიაო, ისე მისცურავდა ამ მინდორში თათრების რაზმები, ყაზახთა მხედრობა, პოლონელთა და ვლახელთა ჯარები; ღამე ცხენთა ჭიხვინი ბანს ეუბნებოდა მგელთა ყმუილსა, ხმა სპილენძის საყვირთა სწვდებოდა ოვიდიის ტბასა და ზღვასაც კი. რესპუბლიკის სამზღვრებს იცავდა კამენციდან დნეპრამდე სტანიცები და „გორები“. თუ უდაბნო უნდა გაცოცხლებულიყო და მის გზებს მოსდებოდა ბრბო განადირებულ ცხენოსანთა, ამისი შეტყობა იმითი შეიძლებოდა, რომ აუარებელნი გუნდნი ფრინველთა, თათრების რაზმებისაგან დამფრთხალნი, მიფრინავდნენ ჩრდილოეთად. ხოლო თათარი, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყო, შავის ტყიდანა თუ ვლახეთის მხრიდან, მოჰყვებოდა ფრინველთ კვალს და მათთან ერთად შეჩერდებოდა ბრაცლავის სამოურავოში.

ამ ზამთარს კი ფრინველნი რესპუბლიკას არ ეტანებოდნენ ჩვეულებრივის ჟივილ-ხივილით. უდაბნო უფრო დაწყნარებული იყო, ვიდრე სხვა დროსა ყოფილა როდისმე. იმ დროს, როცა ჩვენი მოთხრობა იწყება, მზე ჩასავალს იყო და თვისის მოწითანო სხივებით აშუქებდა სრულიად უდაბურს მიდამოს. ყრუ შინდორის ჩრდილო სამზღვრებზედ, ომელნიჩკის ნაპირად, თვით

მის შესართავამდე კაცი ერთს ცოცხალს არსებას ვერ დაინახავდა, რაც უნდა შორს-მხედველი ყოფილიყო. გამხმარი ნარეკალა უძრავად იდგა. აგერ მზე ნახევრად დაიმალა ცის დასავალს იქით, ცა ჩამობნელდა და მინდორიც ნელ-ნელა მოიცვა სიბნელემ. მარცხენა ნაპირზედ პატარა გორაკი იყო, რომელიც მინდვრის საფლავს უფრო ჰგვანდა, ვიდრე სერს და ამ გორაკზედ სჩანდა კვალი ქვითკირის სიმაგრისა; ეს სიმაგრე აეგო ოდესმე თეოდორიკე ბუჩაკის, ხოლო თათრებს დაექციათ. სიმაგრის ნანგრევთაგან ჩრდილი გრძლად იყო გაწოლილი. შორს კრიალი გაჰქონდა ომელნიჩკის წყალს, რომელსაც არემარე ხელთ ეჭირა და სწორედ ამ ადგილას უხვევდა დნეპრისაკენ. სინათლე კი თან და თან ჰქრებოდა ცაზედაცა და დედამიწაზედაც. გარშემო შეურყეველი დუმილი იყო, მხოლოდ ზემოდან ისმოდა ყვირილი წეროებისა, რომლებიც ზღვისაკენ მიჰფრინავდნენ.

უდაბნოში გამეფდა ღამე და დადგა დროც სულთა მოვლინებისა. რაინდნი, რომელნიც ფხიზლობდნენ სტანიცებში, ამბობდნენ, რომ ღამღამობით ყრუ მინდვრებში წამოდგებიან ხოლმე ძვალნი მკვდართა, თუ სიკვდილს მოუსწვრია მათთვის უცბად და ცოდვა ვერ მოუნანებიათო, წამოდგებიან, დაბმენ ფერხულს და ვეღარც ჯვარი, ვეღარც ეკლესია ვეღარ დაუშლის ფერხულის თამაშობასაო. და აი, როცა მზე ჩავიდოდა, სტანიცების მკვიდრნი კრძალვითა და მოწიწებით ლოცულობდნენ მიცვალებულთათვის. ამბობდნენ აგრედვე, რომ მგზავრებს ხშირად მოევლინებიან ხოლმე მხედართა აჩრდილნი და ეხვეწებიან, ილოცეთ ჩვენთვის და მოგვიხსენიეთო. ხან-და-ხან მავნენიც შეჰხვდებოდნენ ხოლმე და ყმუილით დაედევნებოდნენ. გამოცდილი ყური აღვილად გაარჩევდა მგლის ყმუილს მავნეს ბღუილისაგან. ათასში ერთხელ უნახავთ აჩრდილნიც მთელის ჯარისა, რომელნიც ისე მოახლოვებიან სტანიცებს, რომ ყარაულებს განგაშის კვრა დაუწყვიათ. ამისთანა ამბავი იმას მოასწავებდა, რომ ომი მალე იქნებაო. თვითეულის აჩრდილის შეხვედრაც კეთილად არა ჰქონდათ დაცდილი, მაგრამ ეს ყო-

ველთვის ასე არ იყო. ხან-და-ხან ცოცხალი კაცი მოეჩვენებოდა ხოლმე მოგზაურს და ისევე ჰქრებოდა, როგორც აჩრდილი; ამიტომ შესაძლო იყო, რომ ის კაცი სული იყო და არა ხორც-შესხმული.

რაკი შემოღამდა და სიბნელემ მოიცვა ომელნიჩკის არემარე, რაღა გასაკვირველია, რომ დაქცეულ სტანიცის ახლო გამოჩნდა სული ანუ კაცი. ისე ამოცურდა მთვარე დნეპრიდან, თითქო შიგ იყო ჩამალულიო. მისი ვერცხლას ფერი სხივები მოეფინა უდაბნოს, გააკაშკაშა ნარ-ეკალას ღეროები და თვალ-გადუწვდენელი სივრცე ტრიალ მინდვრებისა. ამ დროს ქვემოდ, მინდორში ახლა სხვა სანახავი გამოჩნდა. სწრაფად მიშავალი ღრუბლები წამ-და-უწუმ აბნელებდა მთვარეს, სანახავნი ხან ცხადად გამოერკვეოდა, ხან ჩრდილში მიიმალებოდა; ხან სულ გაჰქრებოდა, თითქო ჩრდილმა შთანთქაო. სანახავნი უახლოვდებოდნენ ამაღლებულს ადგილს, რომელზედაც იდგა პირველი მხედარი; ისე უახლოვდებოდნენ, თითქო ეპარებიანო ჩუმად, ფრთხილად, ნელ-ნელა; ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ჩერდებოდნენ, თითქო ისვენებენო.

იმათს მოძრაობას რაღაც მუქარა ეტყობოდა, სწორედ ისე, როგორც თვით ბინდორს, თვალად ისე დამშვიდებულს. დნეპრიდან ათასში ერთხელ ქარი მოგრიალდებოდა და ასტეხდა გულ-საკლავს ზუზუნს ნარ-ეკალას გამხმარ ტოტებ შორის, რომელიც ძირს ეკროდა და თრთოდა, თითქო შიშითა კანკალებსო. ბოლოს, აჩრდილნი გაჰქრნენ, ნანგრევებში მიიმალ-მოიმალნენ. მთვარის მკრთალს შუქზედ სჩანდა ჩრდილი მხოლოდ ერთის ცხენოსანისა, რომელიც მაღლობზედ იდგა. აი რაღამაც დაიშრიალა და მიიქცია მისი ყურადღება. მიუახლოვდა გორის პირსა და გულ-მოდგინედ დაიწყო ყურება მინდვრისაკენ. ქარი ჩადგა და აღარ აშრიალებდა ნარ-ეკალას ფოთლებს. ჩამოვარდა მყუდროება და დუმილი.

უცებ მოისმა უსიამოვნო სტვენა, გავარდა თოფები, ფალიების ცეცხლმა გაიელვა ღამის სიბნელეში:—„ალლაჰ, ალლაჰ! იესო! შეგვეწიეთ“!—ისმოდა ძახილი აქეთ-იქიდან. ცხენ-

თა დგრიალი და რკინის ჯახა-ჯუხი ერთმანეთში აირია. აი გაჩნდნენ უცბად სხვა ცხენოსანნი კიდევ, თითქო მიწიდან ამოძვრნენო. კაცს ეგონებოდა, რაღაც გრიგალმა გადირბინა ამ ჯო-ჯოხეთს უდაბნოზედაო. აი ისმის კვნესა ვიღაცებისა... თანდათან სუსტდება ხმა, ძლივს-ღა ისმის გმინვა... ქარი ჩადგა, ბრძოლა გათავდა.

ცხადია, ყრუ მინდვრებში ერთი იმისთანა ამბავი მოხდა, რომელიც ისე ხშირი იყო ხოლმე იქ.

ცხენოსანნი შეჯგუფდნენ გორაზედ, ხოლო ცხენებიდან კი არ ჩამოხდნენ და დაშტერებით დაუწყეს რაღასაც ყურება.

— აბა, გაჰკარით ტალ-კვესი და დაანთეთ ცეცხლი!—გაისმა სიბნელეში ვიღასიც ძლიერი, ბრძანების ხმა.

საჩქაროზედ დააკვესეს ტალკვესი და დაიწყო ცვენა ნაპერწკლებმა, ერთს წუთს შემდეგ გაჩაღდა ცეცხლიცა. ვინც ყრუ მინდვრებში დადიოდა, თან დაჰქონდა მუდამ მცირეოდენი ხმელი ლელი და ფიჩხი.

ცეცხლზედ ქვაბი შემოსდგეს; ალმა გაანათა რამდენიმე კაცი, რომელნიც წახრილიყვნენ და დასცქეროდნენ მიწაზედ უძრავად მდებარე ვიღაც კაცს. ეს ხალხი ჯარის-კაცნი იყვნენ; ტანთ ეცვათ წითელი ტანისამოსი სამეფო კარისა და მგლის ტყავის ქუდები ეხურათ. ერთი მათგანი კარგი ჯიშის ცხენზედ იჯდა და, როგორც ეტყობოდა, ჰწინამძღვრობდა დანარჩენთ. ჩამოხდა ცხენიდან, მიუახლოვდა უძრავად მდებარე კაცს და იკითხა:

— ცოცხალია, თუ არა, ვახმისტრო?

— ცოცხალია, ბატონო დესპანო, მაგრამ ხრიალებს, კინაღამ არ დაარჩო ქამანდმა.

— ვინ არის, რა კაცია?

— თათარს არა ჰგავს; რიგიანი უნდა იყოს.

— მადლობა ღმერთს, სიკვდილს გადარჩენილა.

დესპანმა ყურადღებით დაჰხედა მიწაზედ განრთხობილსა.

— გეტმანსა ჰგავსო თითქო,—სთქვა მან.

— ცხენიც თითქო თათრული ჰყავს, მგონია ყეენსაც აღარ ჰყავდეს მაგისთანა,—განაგრძო ვახმისტრმა.—აგერა აიქ უჭირავთ.

პარუჩიკმა შეიხედა იქით, საითაც ანიშნეს და სახე გაუბრწყინდა. ორი კაცი ძლივს იმაგრებდა ჩინებულს მერანს, რომელსაც დაჰპეროდა ნესტორები. ცხენი გაკვირვებულის თვალებით დასცქეროდა თავისს ბატონს.

— ცხენი ხომ ჩვენი იქნება, ბატონო დესპანო?—შეეკითხა თითქო ვახმისტრი.

— მერე, შე ძაღლო, ქრისტიანს კაცს ცხენი უნდა წაართვა და ისე დასტოვო ამ ტრიალს მინდორში?

— ეგ ხომ ჩვენი დავლაა, ალაფ...

ქამანდ-ნაკრავის ძლიერმა ხრიალმა გააწყვეტინა სიტყვა ვახმისტრსა.

— პატარა არაყი ჩაასხით პირში,—ბრძანა დესპანმა,—და შეჰხსენით ქამარი.

— მაშ აქა ვრჩებით ამაღამა?

— აქა ვრჩებით. მოჰხსენით იარაღი ცხენებსა და ფიჩხი მიუმატეთ ცეცხლსა.

ჯარის-კაცნი საჩქაროდ შეუდგნენ საქმესა. ზოგმა ცოცხალ-მკვდარს კაცს დაუწყო ხეხა ტანისა, ზოგი ლელისა და კაპაჭის მოსატანად წავიდა, ზოგი აქლემისა და დათვის ტყავების შლას შეუდგა.

ბატონმა დესპანმა ყური აღარ უგდო ქამანდ-ნაკრაეს კაცს, შემოიხსნა ქამარი და ცეცხლა პირას წამოწვა ნაბადზედ. დესპანი ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი იყო, პირ-ხმელი, შავგვრემანი, ძალიან ლამაზი და ისეთი ცხვირი ჰქონდა, თითქო არწივიაო. თვალებზედ ეტყობოდა, რომ ძალიან გამბედავი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ სახის საზოგადო მეტყველება აზომიერებდა ცოტაოდნად მის თავ-დაუკავებელს გულადობას. სქელი ულვაშები და დიდი ხნის მოუპარსავი წვერები ისეთს დარბაისლობის იერსა სდებდა, რომელიც არ შეეფერებოდა მის ახალგაზდობას.

ამასობაში ორი ყმაწვილი მხლებელი ვახშმის მომზადებას შეუდგა. რამდენიმე ნაჭერი ცხვრის ხორცისა უკვე იწვოდა ცეცხლზედ; რამდენიმე გზაში მოკლული საგათი და სხვა ნანადირევის ხორცი უცდიდა თავისს რიგს. ცეცხლს ღადღადი

გაჰქონდა და საკმაოდ შორს აშუქებდა არე-მარეს. ქამანდ-ნაკრავი ნელ-ნელა გონს მოდიოდა.

ჯერ მიიხედ-მოიხედა გარშემო დასისხლიანებულის თვალებითა და დაშტერებით დაუწყო ცქერა ყველას, ვინც გარს ეხვია, და მერე წამოდგომა სცადა. ის ჯარის-კაცი, რომელიც დესპანს ელაპარაკებოდა, შეუჯდა მხრებში და წამოაყენა პატარაზედ; მეორემ შუბ-ნაჯახი მიაწოდა ზედ დასაყრდნობად. სახე ჯერ ისევ გაწითლებული ჰქონდა, ძარღვები სისხლით დატენილი. ბოლოს ყრუდა სთქვა, როგორც იყო, ხრინწიანის ხმით:

— წყალი!

მიუტანეს არაყი და ორიოდე ყლუპი დალია. არაყმა ნამდვილად უშველა, იმიტომ რომ დალევის შემდეგ უფრო წმინდა ხმით იკითხა:

— ვის ხელში ვარ ნეტა ახლა?

უფროსი წამოდგა და მიუახლოვდა.

— იმათ ხელში ხარ, ვინც სიკვდილს გადაგარჩინეს.

— მაშ, თქვენ არა მკარით ქამანდი?

— ჩვენი იარაღი ხმალია და არა ქამანდი! თქვენის ეპვიანობით შეურაცხყოფას აყენებთ პატიოსან მხედართა. ვიღაც თათრულად ჩაცმულს წუწკებს დაეპირეთ. თუ გსურთ, შეგიძლიანთ თქვენის თვალითა ჰნახოთ ისინი: აგერა ჰყრიან ყველანი, ცხვრებივით ყელ-გამოჭრილნი.

დესპანმა ხელით ანიშნა სერის ძირისაკენ, საცა რამდენიმე გვაბი ეგდო.

— ნება მიბოძეთ, დავისვენო,—სთქვა უცნობმა.

მოუტანეს მოთელილი ნაბდის უნაგირი. არსებაში მოსული კაცი ჩამოჯდა ზედ და მდუმარებდა.

ჯანითა და ღონით სავსე ვაჟკაცი იყო, შუა ტანისა, მხარბეჭიანი, ფრიად შედგმული და ბრგე, საკვირველის სახისა. თავი უშველებელი ჰქონდა, სახე მზისა და ქარისაგან დამწვარ-დაშუშხული, თვალები შავი და ცოტა ელამი, თითქო თათარიაო, ხოლო ტუჩებზედ წმინდა ულვაშები შნოიანად გადაჰფენოდა და აქეთ-იქით, თითქო ფუნჯებიაო, ისე დაჰკიდებოდა. სახეზედ გუ-

ლადობა და სიამაყე ეტყობოდა. ერთსა და იმავე დროს კიდეც იზიდავდა კაცსა და კიდეც იშორებდა; თავი ისე ღირსეულად და ამაყად ეჭირა, როგორც გეტმანს შეეფერება, თან თათრის ცბიერობა ემჩნეოდა; გულ-კეთილსაცა ჰგვანდა და ნადირ-კაცსაცა.

პატარა ხანს დაისვენა უნაგირზედ, წამოდგა და იმის მაგიერ, რომ მადლობა გადაეხადნა სიკვდილისაგან გადარჩენისათვის, წავიდა მოკლულთა დასათვალიერებლად.

— ტეტია!—წაიბუტბუტა დესპანმა.

ამასობაში უცნობი გულ-მოდგინედ ათვალიერებდა მოკლულთა სახეს, აქნევდა თავს ისე, ვითომ ყოველივე გავიგე და ვიცი, მერე გაემართა დესპანისაკენ და თან ქამარს ეძებდა; ცხადი იყო, დოინჯის შემოყრა უნდოდა და ხელი უნდა გაეშაგრებინა შიგა.

ახალგაზდა დესპანს არ მოეწონა ასეთი გულ-ზვიადობა იმ კაცისა, რომელიც ის-ის იყო სიკვდილს გადაარჩინეს.

— ისე ეგონებოდა ვისმე,—სთქვა მან დაცინვით,—რომ იმ ავაზაკთა შორის თქვენს ნაცნობს ეძებდით, ან არა და ლოცულობდით მათის სულისათვის.

უცნობმა შახი არ გაიტეხა და უპასუხა:

— თქვენი სიტყვა შეცდომაცაა და არც შეცდომაა: შეცდომა არ არის, იმიტომ რომ ნაცნობებს ვეძებდი; შეცდომაა იმიტომ, რომ ავაზაკები უწოდეთ. ეგენი არიან მხლებელნი ერთის აზნაურშვილისა, ჩემის მეზობლისა.

— კარგი მეგობრობა გქონიათ მაშ იმ თქვენს მეზობელთან.

უცნაურმა ღიმილმა გადურბინა უცნობს გალეულს ტუჩებზედ.

— ეგ სიტყვაც შეცდომაა,—წაიტუტუნა დავალებულმა. —მაგრამ მოვიტევეთ,—დაუმატა პატარა ხანს უკან,—რომ უპირველეს ყოვლისა მადლობა არ გადაგიხადეთ შემწეობისათვის, რომელმაც აუცილებელს სიკვდილს გადამარჩინა. თქვენმა ვაჟკაცობამ გააუქმა ცუდი ბოლო ჩემის გაუფრთხილებლობისა, რადგან ჩემს მხლებელთ დავშორდი, მაგრამ ჩემი მადლობა, მაინცა და მაინც, შეეწონება იმ სიკეთეს, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ.

უცნობმა ხელი გაუწოდა დესპანსა.

გარნა თავ-მომწონე დესპანი არა ჩქარობდა და ჯერ ხელი არ გაუწოდა. ფეხი არ დასძრა მან თავის ადგილიდან და მხოლოდ ესა ჰკითხა:

— ჯერ ის მინდა ვიცოდე, კეთილ-შობილთანა მაქვს საქმე თუ არა. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კეთილ-შობილი ბრძანდებით, მაინც უცნობის კაცისაგან მადლობის მიღება არ შემეფერება.

— გატყობთ, რომ რაინდი კაცი ბრძანებულხართ, მართალსა ბრძანებთ. მადლობის თქმა იმითი უნდა დამეწყო, რომ უნდა მეთქვა, ვინცა ვარ. მე გახლავარ ზინოვი აბდანკი, აბდანკისავე ღერბისა, ჯვარ-შემოსილი, კიევის სამოურავოს აზნაურშვილი და პოლკოვნიკი თავადის დომინიკ ზასლავსკის ყაზახთა დროშისა.

— მე იან სქშეტუსკი გახლავართ, დესპანი თავად ერემია ვისნეველეცკის ჩაჩქანოსანთა დროშისა.

— სახელოვანი უფროსი გყოლიათ!.. მიიღეთ მაშ ახლა ჩემი მადლობა და ჩემი ხელი.

დესპანმა ახლა კი დაანება თავი ტოკვა-ყოყმანსა. ჩვეულებრივ ჩაჩქანოსანნი სხვა დროშის მხედართ თავგამოდებით ეჭცეოდნენ, მაგრამ პან სქშეტუსკი ახლა ტრიალ მინდორზედ იყო, ყრუ უდაბნოში, საცა ამისთანა განსხვავებას ყურადღებას ვერ მიაქცევდა. ამას გარდა, მის წინ იდგა პოლკოვნიკი, რასაც ეჭვი არა ჰქონდა, მეტადრე მაშინ, როცა ჯარის-კაცებმა შოუტანეს ქალარი და ხმალი პან აბდანკისა და მათთან ერთად მიართვეს მოკლე ძვლის-ტარა კომბალი, ანუ გოგუთი, რომელსაც ჰხმარობენ ჩვეულებრივ ყაზახთა პოლკოვნიკები. ამასთანავე პან აბდანკს სრულიად რიგიანი ტანისამოსი ეცვა, ხოლო წესიერ-მოხდენილი სიტყვა-პასუხი ამტკიცებდა, რომ მარჯვე გონების პატრონი იყო და ქვეყანასაც კარგად იცნობდა.

პან სქშეტუსკიმ ვახშამზედ დაიწვია პან აბდანკი. იქვე ცეცხლიდან მადის მომგვრელი სუნი მოდიოდა მწვადისა. ახალგაზდა მხლებელმა მოიტანა ცხელ-ცხელი ჩახრაკული ხორცი

ცხვრისა და საკმაოდ მოზდილი ტიკპორა მოლდავურის ღვინით სავსე. თან და თან შეზარხოშდნენ და უფრო გაცხოველებული ლაპარაკი შეექნათ.

— მშვიდობით მაინც მივიდე სახლში!—სთქვა სქშეტუსკიმ.

— საიდან მოგრძანდებით, ნება მიბოძეთ გავიგო?—ჰკითხა აბდანკმა.

— შორიდან მოვდივარ, ყირიმიდან გიახლები.

— ალბად ფული წაიღეთ ვისმე გამოსახსნელად?

— არა, ბატონო პოლკოვნიკო, თვით ყეენთან ვიყავი.

აბდანკი სმენად გადაიქცა.

— ოჰო, ძალიან მძიმე საქმე გქონიათ მონდობილი; მერე რა საქმე გქონდათ ყეენთან?

— წერილი წავუღე თავად ერემიასი.

— მაშ ელჩად ყოფილხართ გაგზავნილი! მერე რასა სწერდა თავადი ყეენსა?

დესპანმა უგულოდ შეჰხედა აბდანკსა.

— ბატონო პოლკოვნიკო! თქვენ შიგ თვალებში ჩასცქეროდით ავაზაკებს, რომლებმაც ქამანდი გკრეს,—ეგ თქვენი საქმე იყო; ხოლო რასა სწერდა თავადი ყეენსა,—ეგ არც თქვენი საქმეა, არც ჩემი; ეგ იმათი საქმეა.

— უნდა გამოვტყდე,—ააგდო მარჯვედ ბანზედ სიტყვა აბდანკმა,—აქამდე მიკვირდა, ასეთი ახალგაზდა კაცი როგორ გაჰგზავნა თავადმა ყეენთანა-მეთქი, მაგრამ თქვენი პასუხის შემდეგ აღარ მიკვირს, იმიტომ რომ ეხედავ ყმაწვილი ხართ ხნითა, ხოლო მოხუცი ჭკუითა და გამოცდილებითა.

დესპანმა შეიშვნია პირში ქება, გადისვა ულვაშებზედ ხელი და ჰკითხა:

— ახლა თქვენ მიბრძანეთ, რას აკეთებთ აქ, ომელნიჩკის არე-მარეს და ან როგორ გაჩნდით მარტოდ-მარტო?

— მარტო არა ვარ: ჩემი მხლებელნი გზაში დავტოვე და ახლა კუდაკს მივდივარ, პან გროძისკისთან, იქაურ მეციხვანეთა უფროსთან და თან მიმაქვს წერილები დიდის გეტმანისა.

— მერე რატომ ნავით არ იმგზავრეთ?

— ბრძანება აგრე მქონდა და ბრძანების აუსრულებლობა არ გამომადგება.

— საკვირველია, რომ გეტმანს მაგისთანა ბრძანება მოუცია. წყალ-წყალ რომ გემგზავრათ, ისეთს დღეში არ ჩავარდებოდით, როგორშიც ეხლა ხართ, ამ ტრიალ მინდორზე.

— ბატონო დესპანო, მინდორი ეხლა დამშვიდებულია, მარტო დღეს არ გამიცვნია მისი სიავ-კარგე, ხოლო რაც შემემთხვა, ეგ კაცთა ბოროტებისა და მძულვარების საქმეა.

— მერე ვინა გდევნით აგრე?

— ეგ რომ გიამბოთ, შორს წავა. შვედკო მდევნის, ჩემი ბოროტი მეზობელი, რომელმაც გამაღატაკა, მომიკლა შვილი და ახლა, აი, როგორცა ჰხედავთ, ჩემი მოკვლაც მოინდომა ღალატით.

— მერე ხმალი არ გარტყიათ წელზედ?

სახე სულ დაეგრიხა აბდანკს მძულვარებით, ხოლო თვალები ცეცხლივით აენთო. თან გარკვევითა და ტკეპნით წარმოსთქვა:

— მარტყია, ღმერთსა ვფიცავ! სხვა იარაღი არც მინდა ჩემის მტრების საწინააღმდეგოდ.

პარუჩიკს რიღასიც თქმა უნდოდა, რომ უცბად მოისმა ცხენების თქარა-თქური. მოვარდა ჯარის-კაციც, ყარაულად დაყენებული და მოიტანა ამბავი, რომ ვიღაც კაცები მოდიანო.

— ალბად, ჩემი კაცები არიან ეგენი,—სთქვა აბდანკმა,— ტაღმინიდან მოვიდნენ. რაკი ღალატს არ ველოდდი, ამ ალაგისას დავპირდი, იქ დაგიცდით-მეთქი.

მართლაც, ერთს წუთს შემდეგ ცხენოსანთა ბრბო შემოერტყა სერის პირსა. ცეცხლმა გააშუქა თავები ცხენებისა, რომელნიც ხვითქში სცურავდნენ დაღლილობის გამო; ცხენებზედ ისხდნენ მხედარნი, მიეფარებინათ ხელები შუბლზედ და ამ ჩვენს მუსაიფში გართულთ ათვალიერებდნენ გულ-მოდგინედ.

— ეჰეი, ხალხო, ვინა ხართ?—იკითხა აბდანკმა.

— მონანი ღვთისა!—უპასუხა ერთმა მხედართაგანმა სერის ძირობიდან.

— დიაღ, ეგ ჩემი ვაჟკაცები არიან,—განუმეორა აბდანკმა დესპანს.—აქ მოდით, აქა!

რამდენიმე ცხენოსანი შეჯგუფდნენ ერთად და მოუახლოვდნენ ცეცხლს.

— ვჩქარობდით, ბატონო, ვჩქარობდით, რაც შეგვეძლო. რა ამბავია შენს თავსა?

— ჩასაფრებული დამხვდა მტერი. მოღალატემ იცოდა ადგილი და აქ მელოდა თავისის კაცებითა. ეტყობა, დიდ ხანს მიცდიდნენ. ქამანდი მკრეს და შიგ გამაბეს!

— ღმერთო, შენ დაგვიხსენ, ღმერთო დაგვიხსენ! ეს ვიღა პოლონელია შენთანა?

მხედარნი გულ-მოსულნი უყურებდნენ პან სქშეტუსკისა და მის რაზმს.

— ესენი კეთილნი მეგობარნი არიან,—უთხრა აბდანკმა.—მადლობა ღმერთსა, ცოცხალი გადავრჩი, აღარა მიშავს-რა. ეხლავ გავუდგეთ ისევ ჩვენს გზას.

— მადლობა ღმერთს! წავიდეთ, ჩვენ მზადა ვართ.

ღამე ცივი იყო, თუმცა კი ცას მოეწმინდა და არა ბნელოდა. პან აბდანკის მხლებელნი ცეცხლზედ ითბობდნენ დაკრუნჩხულ ხელებს. პან სქშეტუსკის ძალიან უკვირდა, რომ ახლად-მოსულნი ნუსხის ყაზახებს არა ჰგვანდნენ. უფრო ის უკვირდა, რომ ცოტანიც არ იყვნენ. თუ დიდმა გეტმანმა გაჰგზავნა აბდანკი კუდაკს, ნუსხის კაცებს გაატანდა და არც ასე რიცხვ მრავლადაო; ამას გარდა, რად უბრძანებდა, ჩიგირინიდან მინდორ-მინდორ წადი და არა წყალ-წყალ, ნავითაო? ასე ხომ რამდენს წყალში უნდა გავიდეს, ფონზე უაროს და მგზავრობა დაბრკოლდებაო? საქმე თითქო ისე სჩანდა, რომ პან აბდანკს კუდაკში არც კი უნდოდა გაევლო, პირიქით, უნდოდა ასცილებოდა.

ამასთანავე თვით პან აბდანკის ვინაობამ ძალიან შეაფიქრიანა ახალგაზდა დესპანი. უცბად შეატყო, რომ ყაზახნი, რო-

მელნიც მუდამ შინაურულად ექცევიან თავიანთ პოლკოვნიკებს, ამას ისეთს პატივსა სცემდნენ, თითქო ნამდვილი გეტმანიაო. უთუოდ, ძალიან ძლიერი რაინდი ვინმე თუ არისო, მაგრამ ამ უკრაინას კარგად ვიცნობ, დნეპრის იქითაცა და აქეთაც და რატომ არა გამიგონია-რა, თუ სადმე მაგისთანა აბდანკი არისო. გარეგნობაც როგორლაც არა - ჩვეულებრივი ჰქონდა ამ კაცსა: ისეთი ძალა მოჰბერდა იმისაგან, თითქო სიცხე მოდის ცეცხლისაგანაო; რალაც შეუმდრკალის ხასიათისა უნდა იყოს, ისეთის ხასიათისა, რომლის პატრონიც არაფრის წინაშე არ შესდგებაო. ასეთივე ხასიათი ემჩნევა თავად ერემია ვისნეველეცკის, მაგრამ რაც შესდგამს დიდის გავლენისა და ხელმწიფების კაცს, ის არ შეეფერება უბრალო რაინდს; ისიც უცნობის გვარისასა.

დიდ ხანს იყო პან სქშეტუსკი ასე ფიქრებში გართული. ხან ეგონა, რომ აბდანკი ყოვლად ძლიერი მაგნატია, სასჯელს გამოჰქცევია და კანონს ამ ყრუ უდაბნოში ემალებაო; ხან — ბელადია ავაზაკთა ბრბოსიო... ეს უკანასკნელი ფიქრი კი ჭკუაზედ ახლოს არ იყო. ამ კაცის ტანისამოსიცა და სიტყვა-პასუხიც ისეთი იყო, რომ სხვა რამ უნდა ეფიქრა ადამიანს. ბოლოსა და ბოლოს, დესპანმა მაინც ვერა გაარკვია-რა თავისს ფიქრებში და გადასწყვიტა მხოლოდ, ყურ-მახვილად უნდა ვიყვე ამ კაცთანაო; აბდანკმა ამასობაში უბრძანა თავიანთ კაცებს, ცხენი მომიყვანეთო.

— ბატონო დესპანო,—სთქვა აბდანკმა,—წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დახანება ხანისაო. ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ.

— მე არ ვიცოდი, ვინ გადავარჩინე სიკვდილს, ამიტომ არც მადლობა დამიმსახურებია.

— თქვენი თავდაბლობა თქვენს ვაჟკაცობას შეეფერება. მიიღეთ ჩემგან ეს ბეჭედი.

დესპანმა კოპები შეიკრა, უკან დაიწია პატარაზედ და ისე დაუწყო ყურება, თითქო უნდა გაჰზომოს თავით ფეხებამდეო. აბდანკი მაინც ისე ელაპარაკებოდა, თითქო მამა ემუსაიფება შვილსაო.

— ჰნახეთ ერთი, როგორია. ამ ბეჭედს სხვა აზრი და ძალა აქვს. ჯერ ისევ ყმაწვილი ვიყავ, რომ ეგ ბეჭედი შევიძინე. მოსლემინთა ტყვეობაში შემხვდა ერთი მგზავრი, რომელიც იერუსალიმიდან მოდიოდა და იმისაგან ვიშოვე. ამ ბეჭედში ქრისტეს საფლავის მიწაა. ამისთანა საჩუქარზედ უარის თქმა არ შეიძლება, თუმცა დამნაშავეც იყოს მისი გამცემი. თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ, მხედარი და მეომარი; თუ მოხუცმაც კი არ იცის, რა მოელის თავისს ხან-მოკლე სიცოცხლეში, საიდან ღა გეცოდინებათ თქვენ, რომელსაც ესეთის დიდის მანძილის გზა გაქვთ გასავლელი ცხოვრებაში, რა დაბრკოლება და უბედურება შეგხვდებათ? ეს ბეჭედი დაგიხსნით ბოროტისაგან, დაგიფარავთ მაშინ, როცა განკითხვის დღე მოვა, ხოლო მე გეუბნებით, რომ ეგ დღეც შორს არ არის... მოახლოვებულ არს.

ჩამოვარდა მდუმარება; ცხადად ისმოდა ფრუტუნი ცხენებისა, ტკაცა-ტკუცი ცეცხლისა; შორეულ ლელიანებიდან ისმოდა გულ-საკლავი ღმუილი მგლებისა. უცებ აბდანკმა კიდევ გაიმეორა, თითქო თავისთვის წაილაპარაკაო:

— განკითხვის დღე მოდის უკვე ამ ყრუ უდაბნოზედ, ხოლო როცა დადგება ეგ დღე — გაჭეგირდება ქვეყანა ღვთისა სრულიად.

დესპანმა თითქმის გონება დაუტანებლივ ჩამოართვა ბეჭედი: ისე გაუკვირდა ლაპარაკი ამ გამოცანა კაცისა. აბდანკი კი სულ მინდვრის წყვდიადს გაჰყურებდა.

შერე ნელ-ნელა მოტრიალდა და მოახტა ცხენსა. ყაზახები უკვე სერის პირს უცდიდნენ.

— გავუდგეთ გზას, გავუდგეთ!.. კარგად იყავით, მეგობარო რაინდო, — უთხრა მან დესპანსა: — ისეთი დრო მოვიდა ახლა, რომ ძმა ძმას აღარ ენდობა და თქვენ არ იცით, ვინც გადაარჩინეთ სიკვდილსა, ამიტომ რომ ჩემი გვარი არ გითხარით.

— მაშ აბდანკი არა ხართ?

— ეგ ჩემი ღერბია...

— გვარი?

— ბაღდან ზინოვი ხმელნიცკი.

ბაღდანმა დაიქნია თავი, ჩააქანა ცხენი სერიდან და იმას გაჰყვნენ მისნი მხლებელნიცა. მალე ბურუსმა და ღამემ შთანთქა წასულნი და მხოლოდ ქარს-ღა მოჰქონდა ოდნავ გასაგონად ყაზახთა სიმღერის ხმა:

ჰე, ღმერთო, გადაგვარჩინე
ჩვენ, ტყვენი საწყალობელნი,
მძიმე მონობა-ყმობასა,
თათრის სასჯელსა, პატიჟსა!
გვაღირსე დილის მთიები,
კვალად—მზე ჩვენის ქვეყნისა;
წყნარი წყალი და მდინარე,
ის მხარე მხიარულია,
ღვთის-მიერ ნათელ-ღებული.
ისმინე, ღმერთო, ეს აჯა,
ვედრება საწყალობელთა,
გაპირვებულთა, ტყვე-ქმნილთა.

II

პან სქშეტუსკი მეორე დღეს მოვიდა დილით ჩიგირინს და ჩამოხდა თავად ერემიას სახლში, რადგან დასვენება იყო საჭირო მის მხლებელთათვის ხანგრძლივის მგზავრობის შემდეგ ყირიმიდან. ამოდენა გზა სულ ხმელეთით გამოიარეს, რადგან დნეპრი ისე იყო ადიდებული, ისე ონავრობდა, რომ წყალ-წყალ მოგზაურობა ყოველად შეუძლებელი იყო. თვით სქშეტუსკიმ მცირეს ხანს დაისვენა და შემდეგ წავიდა რესპუბლიკის კომისარად ნამყოფ პან ზაცვილიხოვსკისთან. თუმცა პან ზაცვილიხოვსკი თავადთან არა მსახურებდა, მაინც მისი მეგობარი და მესაიდუმლე იყო. დესპანს ძლიერ უნდოდა გამოეკითხნა ზაცვილიხოვსკისათვის, ლუბნიდან ხომ არაფერი ამბავი არა მოსულა-რაო. თავად ერემიასაგან მტკიცედ განსაზღვრული ბრძანება არა ჰქონდა-რა: ის უბრძანა მხოლოდ სქშეტუსკის, რომ თუ ყეენმა რიგიანი პასუხი მოგცეს, ნუღარ აჩქარდები და ნუ დაღლი მეტის-მეტად ხალხსა და ცხენებსაო. თავადი უთვლი-

და ყეენს, დასაჯე ესა და ეს შენი მურზანი, რომელთაც ჩემდა დაუკითხავად შემოუშვეს თავიანთი საქონელი ამიერ-ნეპრის საჩემო მამულებში საძოვრადაო. ესეც კია, რომ ამ მურზებს წინადაც კარგა აყოფინა თვით თავადმა. ყეენმა, ეჭვი არ იყო, კარგი პასუხი შემოუთვალა: აღუთქვა, აპრილში განსაკუთრებულს ელჩს გაახლებ და ურჩთაც ჯეროვანად დავ-სჯიო. ახლა, რადგან ყეენს უნდოდა თან გულიც მოეგო ისე-თის სახელ-განთქმულის მხედარისა, როგორიც იყო თავადი ერემია, სქშეტუსკის გაატანა საჩუქრად ჩინებული ცხენი და რამდენიმე სიასამური. რაკი ასე პირ-ნათლად შეასრულა პან სქშეტუსკიმ მინდობილობა ელჩისა, რაიცა იმის მომასწავე-ბელი იყო, რომ თავადს დიდად ელხობოდა გული იმაზედ, ამიტომ მის მხიარულებას სამზღვარი აღარა ჰქონდა: მადლობა ღმერთსა, ახლა დავისვენებ ჩიგირინშიო. წამოიყვანა ზაცვი-ლიხოვსკი და მივიდა დოპულთან, ვლახელ კაცთან, რომელ-საც ჩიგირინში ბაკ-გომური და დუქანი ჰქონდა გამართული. თუმცა ჯერ ისევ დილა იყო, დუქანი მაინც ხალხით გავსებუ-ლიყო; ბაზრობის დღე იყო და ამას გარდა ჩიგირინში დაესვე-ნებინათ სხვილ-ფეხი საქონელი, რომელსაც მიერეკებოდნენ სახა-სო ჯარისათვის. აზნაურშვილობა, ჩვეულებისამებრ, ბაზარში მო-იყრიდა ხოლმე თავს, ესრედ წოდებულ ძვონეცკის უბანში, დო-პულთან. იქ იყვნენ კონეცპოლსკების იჯარადარნიცა, ჩიგირინის მთავრობის წარმომადგენელნიცა, ახლო-მახლო მამულის პატრო-ნებიცა, ბინადარი და დამოუკიდებელი აზნაურშვილობაცა, რამ-დენიმე ყაზახთა მამასახლისი და წვრილფეხი აზნაურობაცა.

მისხდომოდნენ დიდრონს მუხის სტოლებს და ყველანი ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ სულ ახალ-ახალ ამბავის გამო: ხმელ-ნიცკის გავარდნის თაობაზედ. სქშეტუსკიმ ზაცვილიხოვსკის-თან ერთად ცალკე ადგილი დაიჭირა ერთს კუნჭულში და და-უწყო გამოკითხვა, რა კაცია ეგ ხმელნიცკი, რომ ყველას იმი-სი სახელი აკერია პირზედაო.

— არ იცნობთ განა?—გაიკვირვა ხანში შესულმა მეომარ-მა.—ზაპოროჟელის ჯარის მწერალია, სუბოტოვის პატრონი და

—ჩურჩულითა სთქვა—ჩემი სვინაა. დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ბევრი ომი გადაგვიხდია ერთად. დიდ გულადობას იჩენდა ხოლმე, მეტადრე ცეცოროს ომში ივაჟკაცა. იქნება მაგისთანა მცოდნე სამამაცო ზნეთა და სამხედრო საქმეთა ორი არ იყოს მთელს რესპუბლიკაში. ყველგან და ყველასთან კი არ ვამობ და შენ კი გეტყვი, რომ სწორედ გეტმანის ჭკუაგონება აქვს. არ გაგონილა, რა სახელი აქვს გავარდნილი და რა დიდის ჭკუის პატრონია; ყაზახობა მაგას უფრო უჯერებს და ემორჩილება, ვიდრე თავიანთ უფროსთა და ბელადთა; სხვა-დასხვა ღირსება არ აკლია, მაგრამ გულ-ზვავია, დაუყენებელი და, როცა ბრაზი მოუვა, შეიძლება საშიში საქმეც მოიქმედოს.

— რა მოხდა მერე, რად გაიქცა ჩიგირინიდან?.

— ჩხუბი მოუვიდა ნაცვალთან, ჩაპლინსკისთან... მაგრამ ეს ჩხუბი არაფერ შუაშია! დიდი ამბავია, აზნაური-აზნაურს წაეკინკლაოს, ან ერთმა გადიგდოს კისერზედ მეორე, ან მეორემ პირველი! ნაცვალმა გადიბირა მისი საყვარელი და ცოლად შეირთო, მერე ისევ იმან გაიმიჯნურა ის დედა-კაცი; შესაძლებელიც არის, იმიტომ რომ, ცოტა ფეხ-რბილი ქალია. მაგრამ ეს სულ ის არის, მიზეზ-მიზეზ—დოს მარილი აკლიაო. ნამდვილად კი სულ სხვა მოსაზრება იფარებოდა. აი როგორ არის საქმე: ჩერკასში სცხოვრობს მოხუცი ყაზახთა პოლკოვნიკი ბარაბაში, ჩვენი მეგობარი კაცი. ამ ბარაბაშსა ჰქონდა ბოძებული სხვა-და-სხვა უპირატესობა და რაღაც წერილები მეფისა. ამბობდნენ, რომ ვითომ ამ წერილებით აქეზებდნენ ყაზახებს, წინააღმდეგობა გაუწიეთ თავად-აზნაურობასაო. გარნა ბარაბაში, კაცი დიაღ კეთილი, გულდახმობილი, ჰმალავდა ამ წერილებსა და არაფის არ აჩვენებდა. ახლა ხმელნიცკიმ მოიწვია თურმე ბარაბაში აქ, ჩიგირინს, საქეიფოდ და თავისი ერთგული კაცები გაჰგზავნა იმის სახლში. იმათ დასტყუეს ბარაბაშის ცოლს ის წერილები. ხმელნიცკიმ ჩაიგდო ხელში წერილები, გაჰკრა რიკი და გაიქცა. საფიქრებელია, რომ იმ წერილების მიზეზით არა ატყდეს-რა ახლა იმისთანა, როგორიც ოსტრანიცის ამბავი იყო. ვინ იცის, ბაღდანი საშიში კაცია,

როგორც გითხარი. მერე გაიქცა და არავინ კი არ იცის, სად გაიქცა, სად გადავარდა.

სქშეტუსკიმ წამოიძახა:

— ერთი უყურეთ იმ მელიას, როგორ მომაღორა! ყაზახთა პოლკოვნიკი ვარ თავად დ. ზასლავსკისაო, წუხელის მინდორში ვნახე, ქამანდი ეკრათ და სიკვდილს გადავარჩინე.

ზაცვილიხოვსკის ისე გაუკვირდა ეს ამბავი, რომ თმაში ოტაცა ხელი.

— ნუ მეტყვი, თუ ღმერთი გწამს! შეუძლებელია, რასაც შენ ამბობ.

სჩანს შესაძლებელი ყოფილა, როცა აგრე იყო. დ. ზასლავსკის პოლკოვნიკი ვარო; დიდმა გეტმანმა კუდაკს გამგზავნა პან გროძინსკისთანაო, მაგრამ მე მაინც არ დავუჯერე, იმიტომ რომ მინდორ-მინდორ მოდიოდა და არა წყალ-წყალ.

— ცბიერია, როგორც ულისი! სად შეხვდით?

—ომელნიჩკთან, დნეპრს გამოღმა. ეტყობა,სეჩს*) მიდიოდა.

— მაშ კუდაკს გზა უნდა აუხვიოს. მივხვდი. ხალხი ბევრი ახლდა თანა?

— ორმოცამდე იქნებოდნენ. ისინი გვიან მოვიდნენ. ჩემი კაცები რომ არ შესწრობოდნენ, ნაცვლის მხლებელნი დაარჩობდნენ.

— მოითმინეთ. ძალიან საყურადღებო ამბავია ეგა. თქვენ ამბობთ, ნაცვლის მხლებელნიო.

— დიაღ, სწორედ.

— მერე ნაცვალს როგორ უნდა სცოდნოდა, სად უნდა ეძებნა ის კაცი, როდესაც აქ ყველას გონება დაებნა, რადგან არავინ არ იცოდა, სად გადიხვეწა?

— ეგ მეც არ ვიცი, იქნება ხმელნიცკიმ იტყუა, ავაზაკნი დაესხნენ თავს და იმან კი სთქვა, ნაცვლის კაცები იყვნენო,

---

*) სეჩი, ანუ ზაპოროჟის სეჩი ის ადგილი იყო დნეპრის ჰორომებს ქვემოდ, საცა სცხოვრობდნენ რუსეთის სხვა-და-სხვა მხრიდან თავმოყრილნი მაშინდელ წეს-წყობილების უკმაყოფილო ყაზახნი, მუდამ მოუსვენარნი, შეიარაღებულნი და მზად-მყოფნი ძარცვა-რბევისა და ომ-ბრძოლისათვის, უფრო პოლონელთა და თათრებთან.

რომ ბოლოს თავი გაიმართლოს და იძახოს, ვითომ-და აი რა უსამართლობა მომაყენესო.

— არა მგონია. მაინც კი მეტად ახირებული საქმეა. იცით, რომ ბრძანება გამოვიდა გეტმანისა, შეიპყარით და ხელ-ფეხ შებოჭილი ბოიყვანეთო?

დესპანმა პასუხის თქმა ვეღარ მოასწრო, რომ სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში დიდის ფართი-ფურთით ერთი აზნაურ-შვილი. ახლად შემოსულმა საშინლად მიაჯახუნა კარები, მიიხედ-მოიხედა გარშემო და შეჰყვირა:

— თავს გიკრავთ, ბატონებო!

იქნებოდა ესე ორმოცის წლისა, დაბალ-დაბალი იყო და გაჯავრებული სახე ჰქონდა. უშველებელი თვალები უცნაურად გადმოჰკარკლოდა. ცოცხალი კაცი იყო, ფიცხი, განრისხებას ჩვეული.

— თავს გიკრავთ, ბატონებო!—განმეორებით და გაჯავ-რებით შეჰყვირა უფრო ხმა-მაღლა, რაკი ყურადღება არავინ მიაქცია იმის სალამსა.

— ჩვენცა, ჩვენცა!—ამოიღო ხმა რამდენმამე.

ახლად შემოსული პან ჩაპლინსკი იყო, ჩიგირინის ნაცვლის თანაშემწე,სანდო კაცი ახალგაზდა მედროშე პან კონეცპოლსკისა.

ჩიგირინში ჩაპლინსკი არავის არ უყვარდა, ავი და შავია, აბეზარია, დავიდარაბის თავია, ჩხუბის გადაკიდება უყვარსო. ისეთი მხარ-ბეჭი ჰქონდა, რომ ადვილად ვერავინ ჰბედავდა იმის ხელის ხლებას.

ჩაპლინსკი პატივსა სცემდა მხოლოდ ერთს ზაცვილიხოვ-სკის, როგორც ყველა სხვანიცა, რადგან სათნო კაცი იყო, ჭკვიანი და გულადი. დაინახა თუ არა, მივიდა იმასთან, ამაყად დაუკრა თავი სქშეტუსკის და მიუჯდა იმათს სტოლს. თავისი სასმელი თაფლ-ღვინოც წინ დაიდგა.

— ბატონო ნაცვალო,—ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ,—ხომ არ იცით, რა ამბავია ხმელნიცკის თავს?

— სარჩობელაზედა ჰკიდია, ბატონო მედროშე, ჰკიდია, ხოლო თუ არა ჰკიდია, მაშ მე ჩაპლინსკი არა ვყოფილვარ, თუ არ დაიწყოს კონწიალი.

ისე დაჭკრა მუშტი სტოლსა, რომ თაფლ-ღვინო გადაიქცა ფინჯნებიდან.

— ღვინოს ნუ აქცევთ!—სთქვა პან სქშეტუსკიმ.

— დაიჭერთ კია მერე?—გააწყვეტინა სიტყვა ზაცვილიხოვსკიმ სქშეტუსკისა.—არავინ არ იცის, სად გადავარდა.

— არავინ არ იცის? ვაი არა აქვს ჩაპლინსკის, რომ მე ვიცი. შვედკოს იცნობთ თქვენა, ბატონო მედროშე? აი ის შვედკო მეც მემსახურება და იმასაცა. ის გაუწევს იუდობას ხმელნიცკისა. თქმაც კი საშინელებაა! ხმელნიცკის კაცებთანა აქვს პირობა დადებული შვედკოს. ოსტატი კაცია. სულ იცის ყოველივე იმისი ამბავი. იმან იტვირთა, რომ ცოცხალსა თუ მკვდარს აქ მოგიყვანო და წავიდა მინდორში ხმელნიცკიზედ ბევრად ადრე. იცის, სადაც უნდა ჩაუსაფრდეს!... ჰოი, ის ეშმაკის ნაშობი, ის წყეული, ისა!

ჩაპლინსკიმ კვლავ დასთხლიშა მუშტი სტოლსა.

— ნუ აქცევთ-მეთქი ამ ღვინოს? —გაიმეორა გაჯავრებით სქშეტუსკიმ. პირველ დანახვისათანავე არ მოეწონა სქშეტუსკის ნაცვლის თანაშემწე.

აზნაურული გული მოუვიდა ჩაპლინსკის, დააბრიალა თავისი გადმოკარკლული თვალები და მიხვდა, რომ ჩხუბის ატეხა უნდათ უთუოდ ჩემთანაო, მაგრამ, შეჰნიშნა რა სქშეტუსკის, ეს ვიშნევეცკის კაცი უნდა იყოსო, დაიმშვიდა გული. მართალია, მედროშე კონეცპოლსკი და თავადი ერემია იმ დროს ნაჩხუბრები იყვნენ, მაგრამ ლუბნი ისე ახლო იყო ჩიგირინზედ, რომ უპატივცემულოდ მოპყრობა თავადის კაცისა არ იქნებოდა. თავადს მერე ისეთი კაცები ახლდნენ, რომ თვითეული ორჯელ-სამჯერ იფიქრებდა, ვიდრე ჩხუბს გადიკიდებდა.

— მაშ შვედკომ იკისრა, გავთოკავ ხმელნიცკისაო?—ხელმეორედ ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ.

— დიაღ, შვედკომ. და გათოკავს კიდეც, ისე ვაი არა აქვს ჩაპლინსკის.

— მე კი მოგახსენებთ, რომ ვერ გათოკავს: ხმელნიცკი გადურჩა ჩასაფრებულებს და სეჩისკენ გასწია. ეს ამბავი

დღესვე უნდა ვაცნობოთ კიდეც პან კრაკოვსკის. ხმელნიცკის ნუ ეხუმრებით. მოკლედ რომ ვთქვათ, იმას ჭკუაც მეტი აქვს, ხელიც მძიმე აქვს და უფრო ილბლიანიც არის, ვიდრე თქვენ; თქვენ მეტის-მეტად მალე იცით აპილპილება. ხმელნიცკი არ-ხეინად გაუდგა თავისს გზას, გიმეორებთ, და, თუ ჩემი არა გჯერათ, ამასვე გეტყვით ეს რაინდიცა. წუხელის უნახავს მინდორ-ში ის კაცი საღ-სალამათი.

— ეგ შეუძლებელია, შეუძლებელი!—გაჰკიოდა ჩაპლინსკი და ეწეოდა ხელით თავისს მარტო ზედ კინკრიხოზედ დატო-ვებულს ქოჩორს.

— საქმე ის არის კიდეე,—დასძინა ზაცვილიხოვსკიმ,—რომ თვით ამ რაინდმა გადაარჩინა ხმელნიცკი სიკვდილსა და გას-წყვიტა თქვენი კაცები, მაგრამ ამას აქ ბრალი არა დაედება-რა: ყირიმიდან მოდიოდა, გეტმანის ბრძანებისა არა იცოდა-რა, და, ჰნახა რა კაცი, რომელსაც თავს დასხმოდნენ ავაზაკნი, მიეშვე-ლა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, წინდაწინვე გაუწყოთ, რომ ხმელნიცკი გადარჩა უვნებელი, თორემ, ვინ იცის, იქნება ადგეს და გეწვიოთ თავისის ზაპოროჟელებითა და ეს კი თქვენ-თვის მაინცა და მაინც სასიამოვნო არ იქნება. მერე მე ვიცი, ცოტასა დავობდით და ეკაპუნებოდით ერთმანეთსა! აი ეშმაკმა და ქაჯმა წაიღოს, კარგი კაცი ის არის.

ზაცვილიხოვსკისაც არ მოსწონდა ხმელნიცკი.

ჩაპლინსკი ზეზედ წამოვარდა. ბრაზი მოერია და თითქმის სულს ველარ იბრუნებდა, სახე უფრო გაულურჯდა, თვალები ხომ ისე ჰქონდა გადმოკარკლული, რომ კაცს ეგონებოდა, ეს-ეს არის ძირს დასცვივაო. მივიდა დასქშეტუშსკის წინ აიხიდა.

— როგორ თუ?!—ისვროდა ჩაპლინსკი მკვეთრ-მკვეთრ სი-ტყვებსა:—გეტმანის ბრძანებას გადახვედით?.... მე გაჩვენ.... მე თქვენ....

პან სქშეტუსკი ფეხზედაც არ წამოდგა, მხარ-თეძოზედ გადიხარა, თავს მოკლე ბოძივით იდაყვ-დაყრდობილი ხელი მისცა და დაცინვითა და ზიზღით აელებდა თვალს ამღელვა-რებულ ჩაპლინსკის.

— მე რას გადამკიდებიხართ და აღარ მეშვებით?—შეუტია სქშეტუსკიმ,—თითქო ღელაღუნტა აჰკვიატებია ძაღლის კუდსაო და აღარ ეშვებაო!

— მე თქვენ ქალაქში წაგათრევთ... გეტმანის ბრძანების წინააღმდეგობას შეგანანიებთ; ყაზახებს მოიშველებ...

ისეთსა ჰყვიროდა ჩაპლინსკი, რომ ყველამ ხმა გაკმინდა. ყველამ იმისკენ მიიხედა. ვთქვათ, ჩაპლინსკი ისეთი კაცი იყო, რომ ჩხუბი და აურზაური აღდგომა იყო იმისთვის, მაგრამ ვისნ,ვეცკის მეომარის გადაკიდება კი არასა ჰგვანდა. ამის გამო ყველამ იმას მიაქცია თავისი ყურადღება.

— აღარ გაჩუმდებით ახლა?—სთქვა მოხუცმა მედროშემ. —იმისი მაინც შეგრცხვეთ, რომ ეს რაინდი ჩეჩი სტუმარია.

— ქალაქში წაგათრევთ... მე თქვენ გაყურებინებთ სეირს!— ჰყრიდა დორბლებს ჩაპლინსკი და ისე იყო გაცეცხლებული, რომ ყურადღებას აღარას აქცევდა.

ახლა კი პან სქშეტუსკიც წამოდგა და გამოეჭიმა ცხვირწინ ჩაპლინსკის. ხმალი კი არ ამოიღო, მაგრამ წაავლო კი ხელი ქარქაშსა და თითქმის შიგ თვალებში მიაბჯინა ხმლის ვადა ჩაპლინსკის.

— ამასა ჰხედავთ?—ჰკითხა მან გულგრილად.

— არიქათ, მომეხმარეთ, ჩემნო მხლებელნო!—შეჰყვირა ჩაპლინსკიმ და ხელი გაიკრა ხმალსა.

მაგრამ თავისი განზრახვა ვერ შეასრულა. ახალგაზდა დესპანმა წაავლო ერთი ხელი საყელოში, ხოლო მეორე—წელ ქვეითა, ჰაერში აიტაცა ჩაპლინსკი, რომელიც უწყალოდ აფართხალებდა ფეხებს, და კარებისაკენ გააქანა.

— ბატონებო, გზა მოგვეცით!—დაიძახა სქშეტუსკიმ,— განი რქოსანსა, თორემ რქებზედ აგაგებთ!

სთქვა ეს სიტყვები, გაიქნია და გადისროლა ჩაპლინსკი. კარი გაიღო და ნაცვლის თანაშემწეს კარში კი გახვდა ბრაგვანი.

პან სქშეტუსკი ისევ თავის ალაგას დაჯდა. არხეინად, ზაცვილიხოვსკის გვერდით.

ოთახში პატარა ხანს მდუმარება ჩამოვარდა. ყველა პატივისცემით აღივსო პან სქშეტუსკის მიმართ იმ ღონესა და ძალისათვის, რომელიც მან გამოიჩინა. ბოლოს, თითქო ანიშნა ვინმეო, ყველამ ერთბაშად დაიწყო ხარხარი.

— გაუმარჯოს ვისნეეეცკებსაო!—ჰყვიროდნენ ერთნი.

— გულ-შეწუხებული გდია... სულ დასისხლიანებულია!— ამბობდნენ სხვანი, რომელნიც კარებიდან უყურებდნენ ჩაპლინსკის და უნდოდათ შეეტყოთ, ვნახოთ ახლა რაღას იზამსო.— მხლებელნი მოვიდნენ და ზეზე წამოაყენეს.

მხოლოდ რამდენიმე ნაცვლის თანაშემწეს მომხრე იყო გაჩუმებული და, რადგან ვერა ჰბედავდნენ მის გამოსარჩლებას, უკმაყოფილოდ უბღვეროდნენ დესპანსა.

— ნება მიბოძეთ...—მივიდა სქშეტუსკისთან ერთი აზნაურშვილი, რომელსაც ცალ-თვალზედ ბისტი ჰქონდა გადაკრული და შუბლზე აბაზიანის ტოლა მორჩენილი ჭრილობა ეტყობოდა.—ნება მიბოძეთ ჩემი პატივისცემა გამოგიცხადოთ. იან ზაგლობა გახლავართ, ვჩელეს გერბისა, რაიცა ყველასთვის ადვილი მისახვედრია, თუნდა მარტო იმ ნაჩვრეტით *), რომელიც ავაზაკთა ტყვიამ დამაჩნია, როცა ყმაწვილობის ცოდვებს ვინანიებდი პალესტინაში.

— ეჰ, გასწით იქითა!—სთქვა ზაცვილიხოვსკიმ.—თქვენ თვითონ ამბობდით როდესღაც, რომ შუბლი რადომში გამიტეხეს ლუდის ჭიქითაო.

— ავაზაკებმა, ტყვიითა, გეფიცებით! რადომში სულ სხვა საქმე იყო.

— პალესტინაშიაც ეპირებოდით მხოლოდ წასვლას და რომ არა ყოფილხართ კი, ეგ ცხადია.

— არა ვყოფილვარ, იმიტომ რომ გალატშივე ღირს-მყვეს მოწამებრივს გვირგვინსა. თუ ვსტყუოდე, ტყვია ჩამესხას პირში, ძაღლი ვიყო და არა აზნაურშვილი.

— მაინც სტყუით.

---

*) გადათარგმნა შეუძლებელია ამ სიტყვათა ზმობისა: Wczele—გერბი ზაგლობასი; Wczele—შუბლში.

— ყურებს დავიჭრი, თუ ვსტყუი... ნება მიბოძეთ, ხელი ჩამოგართვათ, ბატონო დესპანო!

პან ზაგლობას მაგალითს ახლა სხვებმა წაჰბაძეს, მოისურვეს გაცნობა პან სქშეტუსკისა და არწმუნებდნენ, რომ დიდი პატივისმცემელნი ვართ თქვენიო; ყველას უხაროდა, რომ ჩაპლინსკის ისეთი საქმე დაემართა. საკვირველი და დღესაც კი გაუგებარი ამბავია: მთლად აზნაურშვილობა ჩიგირინს ახლომახლო, ყველა წვრილმანი მიწად-მფლობელნი, მოიჯარადრენი, ისინიც კი, ვინც კონეცპოლსკებს ემსახურებოდნენ ჯამაგირითა, მუდამ ხმელნიცკის მხარეს იჭერდნენ იმისა და ჩაპლინსკის კინკლაობაში. ხმელნიცკის უებრო მეომრის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მისი ღვაწლი ყოველსავე ეპვ გარეშე იყო. ყველამ იცოდა, რომ თვით მეფეკ კი არ უკადრისობდა იმასთან საქმის დაჭერას და აფასებდა კიდეც იმის რჩევა-თათბირს: თუ გამუდმებული ჩხუბი და დავიდარაბა აქვთ იმასა და ჩაპლინსკის, ეგ არაფერია, აზნაური აზნაურს მუდამ უკვლიტინებს, ეკაპუნება, ედავიდარაბებაო. მართლაც ასეთი კინკლაობა აზნაურთა შორის ხშირი იყო, მეტადრე სარუსეთო მაზრებში. და აი ყველა იმისკენ იყო, ვისაც უფრო მეტი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი... რა იცოდნენ, თუ ამ მომხრეობას საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. უკვე კარგა ხანს შემდეგ აიმძულვარეს ხმელნიცკი და ამ მისის სიძულვილით ერთნაირადაც გაიმსჭვალა გული მთლად აზნაურშვილობისა და ორისავე სარწმუნოების სამღვდელოებისა.

პან სქშეტუსკის გარს შემოეხვიენენ აზნაურშვილნი ჭიქებით ხელში და ჰყვიროდნენ: მიირთვით, ბატონო დესპანო! მიირთვით ჩემთანაცა!—გაუმარჯოს ვისნეეეკებსა! მაგისთანა ახალგაზდა და უკვე პორუჩიკი ხარო თავადისა! სცოცხლობდეს თავადი ერემია, გეტმანთა გეტმანი! ოღონდ ის წინ გაგვიძღვეს და თუნდ ჯანდაბას წავალთ! თუნდა ოსმალსა და თათარს ერთად შეეებრძოლებით!—თუნდა სტამბოლს ავიკლებთ!

—გაუმარჯოს ბედნიერსა მეფესა ვლადისლავ IV-ეს!—ყველაზედ ძლიერა ჰყვიროდა პან ზაგლობა, რომელიც მზად იყო მთელი პოლკი დაეთრო და იმაზედ მეტი ეყვირნა.

— ბატონებო!—ისეთსა ღრიალებდა ისა, რომ ფანჯრების შუშებს ზრიალი გაჰქონდა, — ბუნბერაზობაში გამოვითხოვე თვით ხონთქარი იმ ძალ-მომრეობისათვის, რომელიც გალატში მომაყენეს.

— ნუ ამბობთ მაგისთანა სისულელეს; ყურები გამოგვიჭედა მართლა შენმა ტუტუცურმა ლაპარაკმა.

— მაშ მე მტკნარი გიჟი ვყოფილვარ?

— თუთიყუშივით კი გაჰკივი-და!

— მზადა ვარ წარვსდგე თუნდა სამსჯავროსა წინაშე.

— კარგია ერთი, გაათავე ეგ ლაპარაკი...

— სამართალსაც მომცემენ და იმასაც მოვახერხებ, რომ პატივი და ღირსება აჰყარონ, ხოლო შემდეგ ატყდება ომი... თქვენი სადღეგრძელო იყოს!

ყველანი იცინოდნენ, იცინოდა პან სქშეტუსკიცა (ცოტა არ იყოს, მოეკიდა სასმელი). ის აზნაურშვილი კი მაინც არ ანებებდა თავს ორატორობას, თითქო მართლა თუთიყუშია და თვითვე სტკბება თვისის ხმითაო. საბედნიეროდ იმის მჭევრმეტყველება შესწყვიტა ვილაც მეორე აზნაურშვილის შემოსვლამ, რომელიც მიუახლოვდა, ჩამოსწია სახელოსა და უთხრა ლიტვური კილოთი:

— მეც გამაცანი, პან ზაგლობა, მეც გამაცანი ბ-ნი დესპანი, პან სქშეტუსკი.

— დიდის სიამოვნებით, დიდის სიამოვნებით. ბატონო დესპანო,—პან პოესინოგა გახლავთ.

— პოდბიპენტა,—გაუსწორა ახლად-შემოსულმა.

— სულ ერთია! ზერვიპლიუდრის გერბისა...

— ზერვიკაპტურისა.—გაუსწორა მანვე.

— სულ ერთია, ძაღლ-ნაწლევიდან.

— თაგვ-ნაწლევიდან,—გაუსწორა კიდევ მანვე.

— სულ ერთია. არ ვიცი, რომელს უფრო დავამჯობინებდი, თაგვისა თუ ძაღლის ნაწლევებს. მართალი ის არის მხოლოდ, რომ არც ერთსა და არც მეორეში არ ვირჩევდი ცხოვრებას... ცხოვრებაც საძაგლობაა იქა და არც იქიდან გამო-

სვლაა საკადრისი აზნაურშვილისათვის. ამ სახით, ბატონო დესპანო, მთელი კვირაა ამ აზნაურის ხარჯითა ვქეიფობ. ამისი ხმალი ისევე მძიმეა, როგორც ქისა, ხოლო ქისა ისევე მძიმეა, როგორც მაგისი ოხუნჯობა.

ყველამ ხარხარი დაიწყო. მარტო ლიტველი იყო სრულიად გულ-დამშვიდებული. ოდნავაც არ სწყენია ეს ხუმრობა, ხელი გაიქნია მხოლოდ, სიამოვნებით გაიღიმა და წაიტუტუნა:

— რაც გინდა სთქვი, ყურსაც არ გათხოვებ!

პან სქშეტუსკი ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა ახალს თავისს ნაცნობს, რომელიც მართლა ღირსი იყო ახირებულის ჩერჩეტის სახელწოდებისა. ჯერ ისა, რომ ერთი რაღაც ახმახი იყო და თითქმის ჭერსა სწვდებოდა სიმაღლით; მერე ისეთი გამხდარი იყო, რომ ამის გამო უფრო მაღალი სჩანდა. მისი განიერი მხარ-ბეჭი ამტკიცებდა, რომ ძლიერ ღონიერი უნდა ყოფილიყო, თუმცა ძვალისა და ტყავის მეტი არა სჩანდა-რა. ჩაცმით კი საკმაოდ რიგიანად იყო ჩაცმული. ნაცრის-ფერის მაუდის მოკლე ჯუბა ეცვა და წვივებზედ შეჯური საცვეთები ჰქონდა გაკეთებული, რაიცა მაშინ მოდაში შემოდიოდა. ფართო, ცხენ-ირმის ტყავის ქამარი არ აღგებოდა წელზედ, ძირსა სცურდებოდა თეძოებამდე. ქამარზედ მიმაგრებული ჰქონდა რაინდული ხმალი, რომელიც ისეთი გრძელი იყო, რომ თითქმის თვით მისის სიგრძის ნახევარი იქნებოდა.

მაგრამ ვინც შეუშინდებოდა მის ხმალსა, ისევ მალევე დამშვიდდებოდა, შეჰხედავდა თუ არა ხმლის პატრონის სახეს. მის გამხდარს სახეს ამშვენებდა წყვილი ძირს დაწეული წარბი და ასეთივე ძირს დაშვებული წყვილი ულვაში. მეტად გულ-კეთილისა და ბავშვივით გულ-უბრყვილო კაცის სახე ჰქონდა. ულვაშები და წარბები რაღაც ნაღვლიანს, დარცხვენილს და მასთან სასაცილო მეტყველებას აძლევდა მის სახეს. ისეთს კაცსა ჰგვანდა, რომლის მასხარად აგდება ყველას შეეძლო დაუსჯელად, ხოლო პან სქშეტუსკის მაშინვე მოეწონა გულ-კეთილის სახისა და სწორედ ჯარის კაცის დათმენილობისათვის.

— ბატონო დესპანო,—სთქვა პოდბიპენტამ,—თავად ვისნევეცკისთანა ბრძანდებით?

— დიაღ.

ლიტველმა ისე დაიკრიფა ხელები, თითქო სალოცავად ემზადებაო და აღაპყრო თვალი ცად-მიმართ.

— ოჰ, რა მეომარია, რა რაინდია, რა მეთაურია და ბელადი!

— ღმერთო, შენ მიეც ბლოომად რესპუბლიკას მაგისთანები!

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა! არ შეიძლება მის დროშას ქვეშ ვიმსახურო?

— ძალიან მოხარული იქნება.

ლაპარაკში ჩაერია ახლა პან ზაგლობაც.

— თავადს მაშინ ორი სამზარეულო შამფური ექნება: ერთი თქვენ და მეორე თქვენი ხმალი... არა, უფრო უკეთესს დანიშნულებას შეგასრულებინებთ: ბრძანებს, რომ თქვენზედ ჩამოახრჩონ ხოლმე ავაზაკნი, ანა და თქვენით გაზმანონ ხოლმე ფართალი! ფუ, როგორ არა გრცხვენიანთ, რომ კაცი ხართ, კათოლიკე და ისე დაგძელებულხართ, თითქო გველია, ანუ წარმართთა მშვილდიო!

— შენს ლაპარაკს ყურადღებასაც არ მივაქცევ,—სთქვა გულდამშვიდებით ლიტველმა.

— მომიტევეთ, მე თქვენს გვარს კარგად ვერ მოვკარი ყური,—სთქვა პან სქშეტუსკიმ:—პან ზაგლობა ისე გაწყვეტინებდათ ლაპარაკს, რომ, ბოდიშს ეიხდი, ვერ გავიგონე კარგად.

— პოდბიპენტა.

— პოვსინოგა.

— ზერვი კაპტური თაგვ-ნაწლევიდან.

— წადით ახლა და ამას ელაპარაკეთ! მაგის ღვინოსა ვსვამ, მაგრამ სულელობაზედ დავდებ თავს, თუ ეგ ქრისტიანული სახელები იყოს.

— დიდი ხანია, რაც წამოსულხარ ლიტვიდან?

— ორი კვირაა აგერ, რაც ჩიგირინში ვარ. პან ზაცვილიხოვსკისაგან შევიტყე, რომ ასე გამოივლიდით და იმიტომ

გიცდიდით აქ! მინდოდა თქვენის მფარველობით მეთხოვნა თავადისათვის, მიველე სამსახურში.

—ერთი ეს მითხარით, ძლიერ მინდა ვიცოდე, რად გარტყიათ იმისთანა ხმალი, რომელიც ჯალათის მახვილს უფრო ჰგავს?

— ჯალათისა კი არა, ბატონო დესპანო, ჯვარ-შემოსილთა ხმალია, ომშია ნაშოვნი და დიდი-ხანია ჩვენს გვარსა აქვს. ჯერ ისევ ხოინიცას ბრძოლაში სჭეროდა ლიტველის ხელს და აი ახლა მე მაქვს.

— მერე მაგოდენა ხმალს მორევა არ უნდა... ძლიერ მძიმე უნდა იყოს, ორის ხელით თუ...

— ორის ხელითაც შეიძლება და ერთითაცა.

— აბა მაჩვენეთ.

ლიტველმა ამოიღო ხმალი და მისცა, მაგრამ სქშეტუსკის მაშინვე ხელი ძირს ჩამოუვარდა. სად შეიძლებდა ან მოექნია, ან დაერტყა. სცადა, ორის ხელით დაეჭირა, მაგრამ მაინც მძიმე იყო. დესპანს ცოტა არ იყოს შერცხვა და მიჰმართა სხვებს:

— აბა, ყმაწვილებო, ვინ გამოსახავს ჯვარს?

— ჩვენ ვცადეთ კიდეცა,—სთქვა პასუხად რამდენმამე.— მარტო ბატონი კომისარი ზაცვილიხოვსკი ახერხებს შემოქნევას, მაგრამ ჯვარის გამოსახვა მაგასაც უჭირდება.

— თქვენა?—ჰკითხა პან სქშეტუსკიმ ლიტველსა.

პოდბიპენტამ ისე აიღო ხმალი, თითქო პატარა ჯოხიაო და ისე დაუწყო ქნევა, რომ ოთახში ჰაერმა დაიწყო მოძრაობა, თითქო ქარმა დაჰბერაო.

— ჩემი მტერი შეგბმიათ თქვენა!—შესძახა პან სქშეტუსკიმ.—თქვენი მიღება თავადის ჯარში ყოველსავე ეჭვ-გარეშეა.

— ღმერთმა ხომ იცის, რომ დიდი სურვილი მაქვს მაგ სამსახურისა. იქ ჩემი ხმალი ჟანგს აღარ მოიკიდებს.

— და არა გონება-მახვილობა,—დასძინა პან ზაგლობამ,— გონება-მახვილობას მაგრე თავისუფლად ვერა ხმარობთ.

ზაცვილიხოვსკი წამოდგა და დესპანთან ერთად წასვლას ეპირებოდა, რომ ამ დროს ოთახის კარებში გამოჩნდა ჭალარა, ძალზედ გათეთრებული მოხუცი.

— ბატონო კომისარო,—სთქვა მან, როცა ზაცვილიხოვსკი დაინახა,—მე განგებ თქვენთან მოველ!

— ეს მოხუცი იყო ბარაბაში, პოლკოვნიკი ჩერკასისა.

— მაშ, ჩემთან წამობრძანდით, სახლში. აქ ისეთი ბოლი სდგას, რომ კაცი ვერასა ჰხედავს.

ორივენი გარედ გავიდნენ. მათ გაჰყვა სქშეტუსკიცა. ჯერ ზღრუბლს არ გასცილებოდნენ, რომ ბარაბაშმა ჰკითხა:

— ხმელნიცკის ამბავი ხომ არა იცი-რა?

— ვიცი. სეჩს წასულა. აი ამ აფიცერს უნახავს მინდორში.

— მაშ ნავით არ წასულა? მდევარი დავადევნე კუდაკს იმის დასაჭერად, მაგრამ თუ ეგ ამბავი მართალია, არა გამოვა-რა.

ბარაბაშმა თვალებზედ ხელები დაიფარა და დაიწყო თავის ქნევა.

— ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიხსენ, შენ დაგვიხსენ!

— რა დაგემართათ?

— იცით, რა წამართვა მოტყუებითა? იცით, რა ამბავი იქნება, ის ქალალდები რომ სეჩში გაამყლავნოს? ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიხსენ! თუ მეფემ ურჯულო თათრებს არ გამოუცხადა ომი, ნაპერწკალი შიგ თოფის წამალში ჩავარ-დება....

— თქვენ ჰგონებთ, რომ აჯანყება და ამბოხი მოხდება?

— ვგონებ კი არა, თვალ და თვალა ვხედავ. ხმელნიცკი ნალივაიკასა და ლობოდაზედ უარესია.

— მერე, ვინ აჰყვება იმას?

— ვინა? ზაპოროჟელნი, ნუსხ-სიელნი, მოქალაქენი, ბრბო და აი ესენი!

პან ბარაბაშმა ხელი გაიწოდა ბაზრისაკენ, რომელშიაც ბუზივით ირეოდა ხალხი. ბაზარი მთლად სავსე იყო უზარმა-ზარის ნაცრის-ფერის ხარებითა, რომლებსაც კორსუნს მიერე-კებოდნენ ჯარისათვის. მიერეკებოდნენ მრავალნი მწყემსნი, ესრედ-წოდებულნი ჩოდარნი, რომელთაც მთელი თავისი სი-ცოცხლე მინდორში გაეტარებინათ, უდაბურსა და ყრუ ადგი-

ლებში, რომელნიც სულ გაველურებულნი იყვნენ და არავი-
თარი სარწმუნოება არა სწამდათ,—religionis nullius, როგორცა
სთქვა ლათინურად მოურავმა კისელმა. მათ შორის შეჰნიშნა-
ვდით ისეთებსაც, რომელნიც უფრო ავაზაკებსა ჰგვანდნენ,
ვიდრე მშვიდობიანს მწყემსებსა; შეჰნიშნავდით პირ-ქუშსა და
სახე-მწყრალს ხალხს, საშინელს, აბრანძულ-დაბრანძულსა. უმე-
ტესს ნაწილს კი ცხვრის გამოუქნელი ტყავები ეცვა, რომელ-
თაც ბეწვი გარეჯა ჰქონდათ მოქცეული; ტყავები წინ შეკ-
რულები არ იყო და მზისა და ქარისაგან დამწვარი გული გა-
ღეღილი ჰქონდათ ზამთარშიაც კი. ყველანი შეიარაღებულნი
იყვნენ, მაგრამ არა ერთნაირად: ზოგს შვილდი ეკიდა ზურ-
გზედ, ზოგს—ძველებური თოფი, ანუ ესრედ-წოდებული ყაზახ-
თა შაშხანა, ზოგს თათრული ხმლები ერტყა წელზედ, ან ცე-
ლი ჰქონდა, ან არა და—კომბლები, რომელთაც ბოლოზედ
მობმული ჰქონდათ ცხენის ყბა. აქვე ირეოდნენ არა ნაკლებ
გაველურებულნი, თუმცა უფრო უკედ შეიარაღებულნი ქვემო-
ურნი, რომელთაც მიჰქონდათ გასასყიდად გამხმარი და გამო-
სული თევზი, ნანადირევი და გატყავებული ცხვარი; მერე სჩა-
ნდნენ მეურმენი, რომელთაც მარილი ედოთ ურმებზედ, სკა-
ფუტკრის პატრონები, ფისისა და კუპრის მხდელნი, მერე გლეხ-
კაცნი თავიანთის ურმებითა, ნუსხ-სიების ყაზახები, თათრები
ბელგოროდიდან (აკკერმანიდან) და, ვინ იცის კიდევ, რა ჯუ-
რისა და მილეთის ხალხი არ ირეოდა—რაგვარი მაწანწალანი,
უბინაო და უპატრონო, ობოლნი და ოხერ-ტიალნი არ და-
ფუსფუსებდნენ. ქალაქი სავსე იყო მთვრალისა და ლოთის ხა-
ლხითა. ჩიგირინშივე უნდა ყოფილიყვნენ იმ ღამეს ბინითა; მა-
შასადამე, ახლა იმ ღამეს უნდა ესვათ და ელოთნათ. შიგ ბა-
ზარში რამდენგანმე ენთო ცეცხლი, ზოგან კუპრის ბოჩკებს
ეკიდა ცეცხლი. საშინელი ყაყანი და ხმაურობა ისმოდა. იქ თა-
თრულს სიათებს ისროდნენ, აქ საქონელი ბღაოდა და ზმუო-
და, იქ კიდევ ებნის წყნარი ხმა ისმოდა. ებნის უსინათლო
დამკვრელნი დაჰმღეროდნენ მაშინდელ საყვარელს ლექსებსა.
აქ ახლოს საშინელი ღრიანცელი იდგა და კუპრით მოთხვრილი,

ჩაბრუჟებული ყაზახები ტრეპაკასა თამაშობდნენ. ყოველივე ესე, ერთად აღებული, წარმოადგენდა ერთს უძლეველს ძალას, რომლის შემაგრება რითიმე შეუძლებელი იყო. ზაცვილიხოვსკისათვის საკმაო იყო ერთის თვალის გადავლება, რომ დარწმუნებულიყო, რა მართალს ამბობდა ბარაბაში. დიაღ, ერთს მცირე ნაპერწკალს შეეძლო აენთო ეს ბრბო ხალხისა, რომელიც მზად იყო ძარცვა-რბევა დაეწყო, დაჩვეული იყო ომსა და ბრძოლას, ამ არა იშვიათს საქმეს უკრაინისათვის. მერე ამ ბრბოს ზურგს უკან ედგა სეჩი, ედგა ზაპოროჟიე, რომელიც მხოლოდ იმ ხანებში იყო ალაგმული, წესიერს მთავრობას დაქვემდებარებული და მაინც მოუთმენლად ჰლოდნიდა თავისს ლაგამს და არ ივიწყებდა წინანდელ უპირატესობათა და სულითა. და გულით სძაგდა კომისარები. ზაპოროჟიე კი აღკაზმულ-დარაზმული იყო. იმას თანაუგრძნობდა დიდ-ძალი გლეხკაცობა, ბევრად უფრო მოუთმენელი, ვიდრე იყო გლეხ-კაცობა რესპუბლიკის სხვა პროვინციებისა. იმ პირველ ჯურის გლეხკაცობას იქვე გვერდით ჰქონდა ჩერტომელიკი, ხოლო ჩერტომელიკში ვის ახსოვდა მთავრობა, იქ ყველა თავ-ნებადა სცხოვრობდა და იყო ერთი ძარცვა და გლეჯა. და ბატონს მედროშესაც, თუმცა რუსინი იყო, მართლ-მადიდებელი, საკმაოდ ხნიერი, კარგად ახსოვდა დრო ნალივაიკასი, ლობოდასი; ამ მედროშემ იქნება უფრო უკეთ იცოდა, ვიდრე სხვამ ვინმემ რუსეთში, რაც იყო უკრაინის ავაზაკობა და ყაჩაღობა; ისიც იცოდა, რა კაცი იყო ხმელნიცკი და კარგად ჰგრძნობდა, რომ იმასთან ათი ნალივაიკა და ლობოდაც ვერ მოვიდოდა. მედროშე მიხვედრილი იყო, რა შედეგიც მოჰყვებოდა ხმელნიცკის გაქცევას სეჩში, მეტადრე მეფის წერილებითა, რომლის შესახებაც ბარაბაშმა სთქვა, რომ იმ წერილებში ბევრი რამ აქვთ დაპირებული ყაზახებსა, ბევრი რამ სწერია ისეთი, რაც ძლიერ წააქეზებს იმათ თავად-აზნაურობის საწინააღმდეგოდაო.

— ბატონო პოლკოვნიკო ჩერკასისა,—უთხრა მან ბარაბაშსა,—თქვენ უნდა წახვიდეთ სეჩსა, გააუქმოთ გავლენა ხმელნიცკისა და დაამშვიდოთ იქაურობა!

— ბატონო მედროშე,—უპასუხა ბარაბაშმა, — მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მოვიდა თუ არა ამბავი, ხმელნიცკი გაიქცა და თან წაიღო ქალალდებიო, ჩერკასელის ხალხის ნახევარი წუხელისვე იმას გაჰყვა უკანა. ჩემის სამსახურის დრო წავიდა—ჩემთვის ეხლა საფლავი-ღაა საჭირო და არა კვერთხი.

ბარაბაში კარგი მეომარი იყო, მაგრამ მოხუცებას გაეტეხა უკვე და გავლენაც აღარა ჰქონდა-რა.

ჩვენი მეგობარნი შეუმჩნეველად მიუახლოვდნენ ზაცვილიხოვსკის სახლსა. მოხუცი მედროშე ნელ-ნელა გონს მოვიდა და ბრძანა სასმელი თაფლი მოეტანათ.

— ეგ სულ არაფერია,—დაიწყო მან ლაპარაკი,—თუ, როგორც ამბობენ, ომი მოგვიხდა თათრებთანა. ომი კი, მგონია, მოგვიხდება. თუმცა რესპულიკას ომის დაწყება არ უნდა, ხოლო სეიმებმა საკმაოდ გაუფუჭეს სისხლი მეფესა, მაინც იქნება ეცადოს მეფე და თავისი გაიტანოს. მაშინ, რაც აქ საომარი ძალაა, ეს აუარებელი ცეცხლი და ნავთი შეიძლება სულ ოსმალოსკენ მიიმართოს. ყოველ შემთხვევაში, დროს მაინც მოვიგებთ. მე თვითონ წავალ პან კრაკოვსკისთან, ავუხსნი საქმის გარემოებას და ვთხოვ, რაც შეიძლება, ახლო მოსწიოს ჩვენკენ ჯარები. არ ვიცი, მოვახერხებ ამ საქმეს თუ არა, რადგან პან კრაკოვსკი, თუმცა სამხედრო საქმეებში გამოცდილია და ჭკვიანი, ძალიან გულ-დაჯერებულია და სხვის აზრს ყურადღებას არ აქცევს. თქვენ, როგორც პოლკოვნიკს, შიშში გყავდეთ ყაზახები, ხოლო თქვენ, როგორც დესპანმა, მიხვიდეთ თუ არა ლუბანში, გააფრთხილეთჩ თავადი და მოახსენეთ, რომ თვისი ყურადღება მიაქციოს სეჩსა. ვიმეორებ: ჯერ კიდევ დრო გვაქვს. სეჩში ეხლა ცოტაა ხალხი; აქეთ-იქით არიან წასულნი სათევზაოდ, სანადიროდ, უკრაინის დაბა-სოფლად. ვიდრე ერთად შეიკრიბებოდნენ, ბევრი კოკა წყალი ჩაივლის დნეპრში. დასასრულ, თავადის სახელი ჯერ კიდევ ძლიერ საშიშია და, თუ გაიგეს, რომ თავადი ჩერტომელიკს მიჰმართავსო, იქნება დამშვიდდნენ და ველარა გაჰბედონ-რა.

— ჩიგირინიდან თუნდა ორის დღის შემდეგ წავალ,—სთქვა დესპანმა.

— ძალიან კარგი. ორი-სამი დღე არაფერია. თქვენ, როგორც პოლკოვნიკმა, გაჰგზავნეთ შიკრიკ-იფრინდანი და შეუთვალეთ ყოველივე სამეფო მედროშეს, თავადს ლომინიკს. მაგრამ თქვენ, როგორცა ვხედავ, გძინავთ?

მართლაც, ბარაბაშმა გადიჯვარედინა ხელები მუცელზედ და ჩაიძინა, შემდეგ ხვრინვაც ამოუშვა. მოხუცს პოლკოვნიკს, როცა თავისს საყვარელს საქმეში არ იყო, არ შეექცეოდა ან საჭმელსა ან ღვინოს, სულ ეძინა.

— ერთი შეჰხედეთ,—სთქვა ჩუმად ზაცვილიხოვსკიმ:—აი ამისთანა მოხუცებულის კაცის შემწეობით უნდათ ვარშავის ჭკუის-კოლოფებს შიშში ჰყვანდეთ ყაზახები. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ. ასე უჯერებდნენ თვით ხმელნიცკისაც. დიდს კანცლერს რაღაც მოლაპარაკებაც კი ჰქონდა გამართული იმასთანა... ახლა აჩვენებს ის სეირსა.

დესპანმა ამოიოხრა ნიშნად თანაგრძნობისა. ბარაბაშმა უფრო ძლიერ ამოუშვა ხვრინვა და წაიბუტბუტა ძილში:

— ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიფარე, შენ დაგვიხსენ!

— როდის ფიქრობთ ჩიგირინიდან წასვლას?

— ორს დღეს უნდა ჩაპლინსკის მოვუცადო. იქნება დაკმაყოფილება მოითხოვოს.

— არ მოითხოვს. უფრო თავისს მხლებლებს მოგისევდათ, თავადის ნიშნები რომ არა გქონიყოთ, ხოლო თავადთან ჩხუბი ძნელი საქმეა, მაგას კონეცპოლსკის კაციც კი ვერ გაჰბედავს.

— შევატყობინებ, რომ გელი-მეთქი და მერე წავალ ორ სამ დღეს უკან. ჩასაფრებისა არ მეშინიან, ხმალი ხომ ტყვილად არ მარტყია წელზედ; თან ცოტაოდენი კაცებიცა მყავს.

დესპანი გამოეთხოვა მოხუცს მედროშეს და წავიდა.

ქალაქი ისე იყო განათებული ცეცხლისაგან და ცეცხლმოკიდებულ ბოჩკებისაგან, რომ კაცს ეგონებოდა, მთელს ჩიგირინს ცეცხლი უკიდია და იწკისო, ხმაურობა და ყვირილი უფრო გაძლიერებულიყო დაღამებისათანავე. ურიებს შიშით თავი ვერ გამოეყოთ გარედ თავიანთ სახლებიდან. ერთს კუთხეში ორი ჩოდარი გაჰკიოდა თავისს ნაღვლიანს სიმღერას. გავე-

ლურებულნი ზაპოროჟელნი თამაშობდნენ ცეცხლა პირას, ისვრიდნენ მაღლა ქუდებს, სცლიდნენ თოფებს და ჯამებითა სვამდნენ არაყსა. აქა-იქ ჩხუბი იყო; მოჩხუბართ ნაცვლის თანაშემწეს კაცები აშველებდნენ. დესპანი იძულებული იყო ხმლის ვადით გაეკვლია გზა; უგდებდა თან ყურს ამ ყაზახთა ჟივილ-ხივილს და რწმუნდებოდა თან და თან, რომ შორს არ იყო აფეთქება აჯანყებისა. ისე ეჩვენებოდა, რომ ვითომ გარშემო მყოფნი გაბოროტებით შემომცქერიან და მწყევლიან გულშიო. ბარაბაშის სიტყვები ჯერ ისევ ყურებში უდგა: „ქრისტე ღმერთო, შენ დაგვიფარე, შენ დაგვიხსენიო!“ და გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა.

ქალაქში ამ დროს ჩოდრები უფრო ხმა-მაღლა გაჰკიოდნენ თავიანთ სიმღერებს, ზაპოროჟელნი ისროდნენ თოფებს და თავზედ ისხამდნენ არაყსა.

თოფის სროლის ხმა და ღრიანცელი ესმოდა დესპანს მაშინაც კი, როცა სახლში მივიდა და დაწვა დასაძინებლად.

III

რამდენისამე დღის შემდეგ რაზმი ჩვენის დესპანისა გაემართა ლუბნისაკენ. გავიდნენ დნეპრში და გაუდგნენ ვაკე გზას, რომელიც მინდორ-მინდორ მიდიოდა ჟუკიზედ, შვიდ-საფლავასა და ხოროლზედ. ეს გზა იყო ჩიგირინსა და ლუბნას შორის. ძველად, როცა გეტმანმა ჟულკევსკიმ დიდი ომი გადიხადა სოლონიცებს ახლოს, აქეთ გზები სულ არ იყო. ლუბნიდან კიევს ან ტყე-ტყე დადიოდნენ, ან მინდორ-მინდორ, ჩიგირინს კიდევ—წყალ-წყალ. საზოგადოდ, ეს ზედა-დნეპრის სახელმწიფო—ძველებური პოლოვცების ქვეყანა—ერთი უდაბური ადგილი იყო, ცოტა მეტად დასახლებული, ვიდრე ყრუ-მინდვრები. ამ უდაბნოს ხშირად ეწვევოდნენ ხოლმე თათრები და იმიერ-ჭორომელნი ბრბონი.

სულის გაღმა-გამოღმა დიდი, ხელ-უხლებელი ტყეები იყო ატეხილი. სხვა დიდი და პატარა მდინარის დაბლობ ნაპირებად გადაჭიმულიყო საძოვრები და ჭაობები. ამ ტყეებსა და ჭაობებში ძნელი არ იყო უშიშარი ბინა ეპოვნა სხვა-და-სხვა ნადირსა; ულრან ტყის ტევრებში მრავლად იყო ჯიხვი, დათვი და

გარეული ღორი; მრავლად იყო აგრედვე მგელი, ფოცხვერი, კვერნა, ქურციკი; ჭაობებსა და მდინარის დარნებში აუარებელი წავი იყო დაბინავებული თავის ახირებულს სადგომში. იმიერ-ჭოროომეთში ამბობდნენ, რომ ზოგიერთი წავი ასის წლისა იქნებაო და სიბერისაგან ისე გათეთრებულია, როგორც თოვლიო.

მაღლობ მინდვრებში ბევრი იყო ჯოგი გარეულის ცხენებისა, რომლებსაც დაჰხუჭუჭებოდათ ფაფრები და სისხლითა ჰქონდათ გავსებული თვალები. მდინარეებში ფუსფუსი გაჰქონდა თევზის ქარვანსა, ხოლო ლელიან-ჩალიანები სავსე იყო იმ ფრინველითა და ფრთოსანით, რომელსაც წყალი უყვარს. ჩინებული იყო ეს ქვეყანა, რომელიც თითქმის ძილს მისცემოდა, თუმცა კი ეტყობოდა კიდევ კვალი, რომ წინად აქ ადამიანს ჰქონოდა ბინადრობა. საცა არა მგონია ნანგრევნი სჩანდა რომელღაც ისტორიის უწინარეს ქალაქისა; თვით ლუბნი და ხოროლი ძველებურ ნანგრევებზედ იყო გაშენებული; ხშირი იყო საფლავებიც, ახალი და ძველი, რომლებზედაც უკვე ტყე გაჩენილიყო. როგორც ყრუ მინდვრებში, აქაც ღამ-ღამობით წამოდგებოდნენ ხოლმე ვითომ სულნი მიცვალებულთა და სხვა-და-სხვა მავნენი და ჰქონდათ ერთი ამბავი; ხოლო მოხუცნი იმიერ-ჭოროომელნი ხშირად უფრო საკვირველებას უამბობდნენ ხოლმე ყმაწვილებს ღამ-ღამე ცეცხლა-პირას; დიდი ამბავია ხან-და-ხან იმ უსიერსა და უღრანს ტყეებშიო, საიდანაც ისმის რაღაც უცნაურ ნადირთა ღმუილი, ყვირილი მგელკაცებისა, ყიჟინი არც თუ ომ-ბრძოლისა და არც თუ ნადირობისა; წყალ-ქვეშ წკრიალი გააქვს ხოლმე იმ ქალაქის ზარებს, რომელიც დიდწყლობას ქვეშ დაუტანიაო. ადგილ-მამული ნაკლებად იყო გამოსადეგი და ძნელად მისავლელ-მოსავლელი: ზოგან მეტად ჭაობიანი, ზოგან ურწყავი, გადახრუკული, გოლვიანი და საკმაოდ საშიშო ბინადრობისათვის. დასახლდებოდნენ თუ არა და დაიწყებდნენ მოწყობას, მოვიდოდა ბრბო თათრებისა და აიკლებდა, მოაოხრებდა ყოველსავე. ამ ქვეყნებს ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე მხოლოდ იმიერ-ჭოროომელნი: იჭერდნენ წავსა და ნადირობდნენ თევზსა და სხვა ნადირსა. როცა შიშიანობა არ იყო, უმეტესი ნაწილი ქვე-

მოურთა აქეთ-იქით: დაიქსაქსებოდა ხოლმე სეჩიდან და მიდიოდა სანადიროდ, ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, „საშოვარზედ“: მოედებოდნენ მდინარეებსა, ტყე-ღრეებსა, ლელიანჩალიანებსა და ნადირობდნენ წავს ისეთს მიყრუებულ, უხვედრ ადგილებში, რომლის არსებობაც იქნება არც კი არავინ იცოდა რიგიანად.

ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ცდილობდა დამკვიდრებულიყო როგორმე აქაურობაში, სწორედ ისე, როგორც მცენარე ცდილობს გაჰმაგრდეს დედა-მიწაში ფესვებითა და, ერთგან ამოგლეჯილს, მეორეგან უნდა ფესვები მოიკიდოს.

და აი ამ უდაბნოშიაც გაჩნდა ქალაქები, სიმაგრენი, ახალ-მოშენეობა, მოსახლეთა სოფლები და მეკომურთა ბინადრობა. მამულები ადგილ-ადგილ ნაყოფიერი იყო, ხოლო ხალხს აწუხებდა ნამეტანობა თავისუფლებისა, უარარაობა კავშირისა. ნამდვილმა ცხოვრებამა და ბინადრობამ იჩინა თავი ამ მხარეში მხოლოდ მაშინ, როცა ეს მამულები ხელში ჩაიგდეს თავად ეისნეეეცკებმა. თავადმა მიხეილმა, მოგილეველის ქალის შერთვის შემდეგ ცოლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისს იმიერ-დნეპრის სამფლობელოს; მიხეილი ურჩევდა ყველას იქ დასახლებასა, აძლევდა მამულებს ყრუ ადგილებში, ათავისუფლებდა ხარჯისა და ბეგარისაგან ოც და ათის წლის ვადით, აშენებდა მონასტრებსა და ყველგან შეჰქონდა თვისი წესი და რიგი. ისიც კი, ვინც დიდის ხნიდგანვე იყო დასახლებული და ფიქრობდა, რომ ჩენს საკუთარს მამულზედა ვარ დაბინავებულიო, სიამოვნებითა კისრულობდა თავადის მორჩილებასა და მის ხიზნობასა; კარგად იცოდა, რომ ამ ხიზნობისათვის ძლიერი ბატონი მფარველობას გაუწევდა და, მაშასადამე, აღარავითარი შიშიც აღარ ექნებოდა თათრებისა და ქვემოურებისა, რომელნიც თათრებზედ უფრო საშიშნი იყვნენ. ცხოვრება აღყვავდა და დაიწყო პირამდე დუღილი უფრო ახალგაზდა თავად ერემიას რკინასავით მაგარს ხელში. მისი მამულები იწყებოდა იქვე ჩიგირინიდან, ხოლო თავდებოდა კონოტო-

პთანა და რომნებთანა. ეს კიდევ არაფერი: მისი საკუთრება იყო მამულები სანდომირის სამოურავოდგან დაწყებული ვილნოს სამოურავოში, რუსეთისაში და კიევისაში; პუტივილის ახლო გამარჯვებულს თავადს კი უფრო უყვარდა მამულები ზედა-დნეპრისა.

თათარი დიდ ხანს დაძრწოდა ხოლმე ქ. ორიოლთან, ვორსკის ახლო-მახლო და მგელივით სცქვეტდა ყურებს, ვიდრე გაჰბედაედა ჩრდილოეთად ექმნა პირი; ქვემოურნი მიწყნარებულნი იყვნენ; თვით მოუსვენარნი ახლო-მახლო შემდგარნი ბრბონი ავაზაკთა დაემორჩილნენ თავადის ბატონობას. ნადირი, მოუსვენარი ხალხი, რომელიც წინად ძარცვითა და რბევით სცხოვრობდა, ეხლა განსაზღვრულ ყოფაში ჩავარდნის შემდეგ, დაბინავდა სამზღვრებს ახლო და გამაგრებული სახელმწიფოს მიჯნებზედ, როგორც ჯაჭვით დაბმული ძაღლი თავისის საშინელის კბილებით, ემუქრებოდა თათრების ურდოთა.

ყოველივე გაცოცხლდა და გადახალისდა. ძველის გზების ნაკვალევზედ გაიჭრა ახალი გზები, მდინარეთა ნაპირებად გაჩნდა გოდორ-ყურები, ამოვსებული ძარცვის დროს ტყვედ შეპყრობილ თათრისა ან ქვემოურის ხელით. იქ, საცა წინად ქარი ზუზუნებდა ლელიანებში, ახლა წისქვილებს გაჰქონდა მხიარულად რახრახი, ოთხასზე მეტი ბორბალი ტრიალებდა, ქარის წისქვილებს გარდა, და ჰფქვავდა პურს მარტო იმიერ-ჭორომეთში. ორმოცათას ხიზანს მიჰქონდა ღალა თავისს ბატონისათვის, ტყეები გაივსო საფუტკრეებით, სამზღვრებზედ გაჩნდა ახალი სოფლები, დასახლდნენ მეკომურნი. მინდვრებში გარეულ ჯოგთან ერთად სძოვდა ნახირი. ერთ-ფეროვანი, გულის გამაწვრილებელი მიდამო შეამკო ეკლესიებისა და მონასტრების შეევრცხლილ და მოოქროებულმა გუმბათებმა და უდაბნო ნელ-ნელა გაივსო ხალხითა და მცხოვრებლებით.

ბატონი დესპანი კარგს გუნებაზედ იყო და მიდიოდა აუჩქარებლად; საშურო არა ჰქონდა-რა, საქმე გაკეთებული იყო. თუმცა იანვრის დამლევი იყო, ზამთარი არას არ ეტყობოდა. ჰაერში გაზაფხულის სუნი იდგა; გამთბარი დედა-მიწა მოფენი-

ლი იყო გუბეებით, მინდორში ბალახი მწვანედ ბიბინებდა, ხოლო მზე ისე იკბინებოდა, რომ შუადღისას კაცი იძულებული იყო საზამთრო თბილი ტანისამოსი გაეხადნა.

რაზმი დესპანისა შესამჩნევად გადიდდა. ჩიგირინში მოემატა ვლახეთის საელჩო ამალა, რომელიც გოსპოდარს გამოეგზავნა ლუბნში და უფროსად ჰყვანდა პან როზვან ურსუ. ამალას თან ახლდა რამდენიმე ცხენოსანი და მხლებლებით სავსე ურმები. ამათ გარდა დესპანთან ერთად მოდიოდა ჩვენი ნაცნობი პან ლონგინუს პოდბიპენტა, ზერვიკაპტურის ღერბისა თავისის გრძელის მახვილითა და რამდენისამე მხლებლითა.

ცხრა თვალი მზე, ჩინებული ამინდი და სურნელება მოახლოვებულის გაზაფხულისა ატკბობდა გულს რაღაც სიხარულითა, ხოლო დესპანი მით უფრო მხიარულად იყო, რომ თავადის სახლში მიდიოდა ხანგრძლივის მოგზაურობის შემდეგ; თავადის სახლი კი მისი სახლიც იყო. მიდიოდა მაშინ, როცა უკვე კეთილად ჰქონდა შესრულებული მინდობილობა და ამის გამო, რასაკვირველია, დაიმედებული იყო, რომ თავადის სახლში კარგად დამხვდებიანო.

ისიც კია, რომ ცოტაოდენი სხვა მიზეზებიც ჰქონდა ასეთის სიხარულისათვის.

თავადის ჯილდოს გარდა (დესპანს უყვარდა თავადი გულითა და სულითა), ლუბნში ელოდა დესპანს მაყვალივით შავი თვალები.

ეს თვალები ეკუთვნოდა ანუსა ზოჟობოღატა კრასენსკისას, კნეინა გრიზელდას ფრეილინას, ყოვლად ლამაზს მთელს ამალაში, დიდს ოინბაზს, რომელმაც თავბრუ დაახვია ლუბნის ახალგაზდა კაცებს, ხოლო თვითონ კი ისე ჰქონდა დამშვიდებული გული, ვითომც გარშემო არაფერი ამბავიაო. კნეინა გრიზელდას ზნეობა უპირველესს საქმედ მიაჩნდა, ზრდილობის წეს-რიგი სასტიკი იყო მის სასახლეში, მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა ახალგაზდობას ერთმანეთში სიყვარულის ისრების სროლა ჰქონოდათ, ოხკრა და სულთქმა-ში გაემართათ. პან სქშეტუსკიც ოხრავდა სხვებთან ერთად შავის თვალებისა-

თვის, ხოლო როცა მარტოდ-მარტო დარჩებოდა ხოლმე თავისს ოთახში, წამოავლებდა ხელს ფანტურსა, და დაიწყებდა მღერას:

„შენ ყვავილო ყვავილთაო“....

მაგრამ რადგან მხიარულის ბუნების კაცი იყო და გაგიჟებით უყვარდა თავისი სამხედრო ხელობა, მაინცა და მაინც გულს არ უკლავდა ის გარემოება, რომ ანუსა, მასთან ერთად, უღიმოდა პან ბიხოვეცსაც ვლახეთის დროშისას, პან ვურცელსაც, რომელიც ხელობით თოფჩი იყო, დრაგუნს პან ვოლოდიევსკისაც, და ასე გასინჯეთ, გუსარს პან ბარანოვსკისაც, თუმცა ეს უკანასკნელი საშინლად იყო დამახინჯებული ყვავილითა, ძალიან უკიდებდა ენას და ჩიფჩიფობდა, რადგან ტყვია სასაში ჰქონდა მოხვედრილი. ჩვენმა დესპანმა ერთხელ კიდეც გამოითხოვა ხმალში ანუსას გამო პან ვოლოდიევსკი და შეებრძოლა, მაგრამ როცა დიდ ხანს დარჩა ლუბნში უსაქმოდ, გაბეზარდა და ანუსას ახლო ყოფნამაც ვერ განუფანტა მოწყენილობა; ამიტომ, როცა წასვლა მოუხდა იქიდან, დიდის სიამოვნებით გაუდგა გზას: არც არა დაჰნანებია-რა, არცა-რა მოსაგონი დარჩენია რამე.

ახლა კი მხიარულად იყო. ახლა ყირიმიდან დაბრუნებული მოდიოდა, მინდობილობა კარგადა ჰქონდა შესრულებული და ამიტომ მხიარულად ღიღინებდა თავისთვის და მოერეკებოდა ცხენს. მის გვერდით მოდიოდა პან ლონგინუსი, რომელიც უზარმაზარს ცხენზედ იჯდა და ჩვეულებრივ იყო მწუხარე და მოწყენილი. ეტლები და ურმები საელჩოს ამალასი უკან დარჩა; უკან დარჩნენ აგრედვე ჯარის-კაცნი და მხლებელნი.

— ბატონი ელჩი ისე ძევს თავისს ეტლში, როგორც კუნძი, და სძინავს,—სთქვა დესპანმა.—იმდენი საკვირველი ამბავი მიამბო თვისის ვლახეთისა, რომ ბოლოს ენა მოეღალა. კაი გასაგონი ამბები კია. დიალაც, მაგათი ქვეყანა მდიდარია, ჰავათბილი; ოქრო, ღვინო, საქონელი, ყოველივე უხვად არის. მაშინვე ვიფიქრე, რომ ჩვენს თავადსაც, რაკი მაგილეველ ქა-

ლისგან არის დაბადებული, უფლება აქვს-მეთქი გოსპოდარე-ბის ტახტის დაჭერისა. ვლახეთი უცნაური ხილი არ არის ჩვენ-ებისათვის. ბევრჯელ აუდენიათ იქ ზურგზედ ბოლი ოსმალოს-თვისაც, თათრისათვისაც, ვლახელთა და სემიგრადელთათვისაც...

— იქ მცხოვრებნი ისე მაგარნი ვერ არიან, როგორც ჩვენში,—ჩამოართვა სიტყვა პან ლონგინუსმა.—ჩიგირინში მიამ-ბო ესა პან ზაგლობამა, ხოლო იმისიც რომ არ დამეჯერები-ნა, მაგასვე ამბობს სამღვთო-წერილის წიგნები.

— როგორ თუ წიგნები?

— მე მაქვს ერთი მაგისთანა წიგნი, შემიძლიან გაჩვენოთ... სულ თან დამაქვს მუდამ.

პან ლონგინუსმა ჩაჰყო ხელი ხურჯინში, ამოიღო იქიდან პატარა წიგნი, რომელსაც ტყავის ყდა ჰქონდა, ჯერ ღვთის-მოსაობით აკოცა წიგნს, მერე გადაჰშალა რამდენიმე ფურცე-ლი და სთქვა:

— წაიკითხეთ, აბა.

პან სქშეტუსკიმ დაიწყო კითხვა:

— „შენს მფარველობას მოვმარ.თავთ, ღვთისმშობელო“... აქ ვლახების ამბავი არა არის-რა? რას ამბობ? ეს ხომ ძილის პირია!

— წაიკითხეთ ქვემოდ.

— „.... რათა ღირს ვიყვნეთ საუკუნო ცხოვრებისა. ამინ“.

— ჰო-და, ახლა კითხვაა...

სქშეტუსკიმ წაიკითხა:

— „კითხვა: რადა ჰქვიან ვლახეთის კავალერიას სუბუქი? მიგება: იმიტომ, რომ ადვილად და სუბუქად ილტვის ბრძო-ლის ველიდან. ამინ!“—მართალია. ეს კია, რომ ამ წიგნში ძა-ლიან არეულ-დარეული ამბებია.

— ეგ წიგნი ჯარის-კაცთა წიგნია და ლოცვებთან ერთად შიგ მოთავსებულია სხვა-და-სხვა instructiones militares, რომელ-თა წყალობითაც ბევრს რასმე გაიგებს კაცი სხვა-და-სხვა ხალ-ხის შესახებ, ვის რა ღირსება აქვს და რა ნაკლულევანება სჭირს; აი, მაგალითად, ვლახების ამბავს, რომ ისინი მხდალნი არიან და მასთანვე დიდი მოლალატენი და ფიცის გამტეხნი.

— რომ მოღალატენი არიან, იქიდანაცა სჩანს, რაც თავად მიხეილს გადახდა... მაგრამ აი ჩვენს თავადს ვლახეთის მთელი სადროშო ჰყავს პან ბიხოვეცის უფროსობით. ეს კია, რომ ამ სადროშოში ოცი ვლახელიც ძლივს იქნება.

— როგორა გგონიათ, ბატონო დესპანო, დიდია თავადის მხედრობა?

— იქნება რვა ათასამდე, ყაზახნი რომ არ ვიანგარიშოთ, რომელნიც მიჯნებზედა სდგანან. ამას გარდა, ზაცვილიხოვსკიმ მითხრა, რომ ახალი რაზმებიც უნდა შეადგინოსო.

— მაშ, შესაძლოა, ღმერთმა ბრძანოს და გავუმკლავდეთ კიდეც ვისმესა თავადის მხედართ-მთავრობით?

— ამბობენ, რომ დიდი ომია მოსალოდნელი ოსმალთანაო და თვით მეფე ამხედრდება და მთლად რესპუბლიკის ჯარით წავა სალაშკროდაო. ყირიმშიაც გავიგონე ეს ამბავი და იქნება იმიტომაც მიმიღეს ისეთის პატივისცემითა. ხმა დადის, რომ, როცა მეფე და გეტმანები დაიძვრიან, თავადი ყირიმს უნდა დაესხას თავს და სულ გააქროს თათრების სახსენებელიო. დიაღაც, რომ სხვას ვერც შიანდობენ ამისთანა დიდს საქმეს.

პან ლონგინუსმა აღაპყრნა ცად მიმართ ხელნიცა და თვალნიცა.

— ღმერთო მოწყალეო! ასტეხე ამისთანა ომი სადიდებლად ქრისტიანობისა, ხოლო მე ცოდვილს ნება მომეცი ამ ომში შევასრულო აღთქმა ჩემი, რათა შემეძლოს ან მოვისვენო, ან იქვე მივეგებო მოწამებრივსა აღსასრულსა.

— ომის გამო დასდევით აღთქმა?

— ეგოდენს ღირსეულს რაინდს, როგორც თქვენა ბრძანდებით, მთლად გადავუშლი ჩემს გულს, თუმცა კი ბევრი ლაპარაკი მომინდება. მოგეხსენებათ, რომ ჩემი ღერბია ზერვიკაპტური *), ხოლო წარმომდინარება მისი ასეთია: გრიუნველდს ახლო ჩემმა წინაპარმა სტოვეიკო პოდბიენტამ დაინახა თუ-

*) ზერვიკაპტურ—ვითომ მოიხსენ ყაბალახიანი წამოსასხმი.

რმე სამი რაინდი, რომელთაც ყაბალახიანი საბერო წამოსასხამი ეცვათ; რაინდნი მწკრივად თურმე მიდიოდნენ ცხენებითა და ჩემმა წინაპარმა ერთის შემოქნევით სამსავე ერთად გააგდებინა თავი ხმლითა; ეს ამბავი ძველს ქრონიკებში სწერია, ჩემის პაპის სასახელოდ...

— თქვენს წინაპარს თქვენზედ სუბუქი ხელი აღარა ჰქონია. ტყუილად არ დაურქმევიათ ზერვიკაპტური.

— მეფემ უბოძა ღერბი, ხოლო ღერბზედ სამი თხის თავია გამოსახული; იმ რაინდების მუზარადებზედაც, რომელიც მოჰკლა ჩემმა წინაპარმა სტოვეიკო პოდბიპენტმა, ასეთივე თხის თავები იყო თურმე გამოსახული. ეს ღერბი თავისს მახვილითურთ ჩემმა წინაპარმა უანდერძა თავისს ჩამომავალსა და უბრძანა, არ შეარცხვინოთ სახელი და დიდება ჩვენის გვარისაო.

— მართლა რომ შესანიშნავის გვარის კაცი ყოფილხართ!

პან ლონგინუსმა მწუხარედ ამოიოხრა და განაგრძო:

— ერთი მე-ღა დავრჩი ჩემს გვარში და ამიტომ აღთქმა დავდე თროკის ყოვლად-წმიდისა ქალწულისა წინაშე ვიცხოვრო სიწმიდითა და მანამ არ დავადგა ფეხი საქორწინო ფიანდაზსა, ვიდრე ჩემის წინაპარის მაგალითისამებრ ამავე მახვილით სამს მტერს ერთად არ მოვკვეთ თავსა. ოჰ, ღმერთო მოწყალეო, შენ უწყი, რომ ყოველივე მოვიქმედე, რაც კი შემეძლო. უბიწოება ჩემი დავიცევ დღევანდლამდე, გულსა ჩემსა ვუბრძანე დადუმებულიყო; ვეძებდი ომს და ვიბრძოდი, მაგრამ, ვაი ჩემდა, ბედმა არ გამიღიმა.

პან სქშეტუსკიმ თავი ვეღარ შეიმაგრა და გაიღიმა.

— მაშ ვეღარა და ვეღარ მოახერხეთ სამი თავი მოგეკვეთათ ერთად?

— ვერა. ბედი არა მაქვს! ორ-ორი კი გავაგდებინე და სამი ერთად კი ვერა. რა ჰქნას კაცმა, მტერს ვერა სთხოვ, ისე დადექით, როგორც მე მეხერხებაო და ისინი კი თვითონ არა სდგებიან მწკრივად სამ-სამნი. მარტო ერთი ღმერთი ჰხედავს ჩემს მწუხარებასა: ღონე მაქვს მაჯაში, იარაღიცა... დრო კი

მირბის, მალე ორმოცი წელი გამლუნავს... გულს სწყურიან სიყვარული, გვარი ლამის ამოსწყდეს და სამი თავი კი არსადა სჩანს და არა! კაი დამემართოს, კარგი ზერვიკაპტური მე არა ვარ! სასაცილოდა ვარ აღებული ყველასაგან, როგორც სამართლიანად ამბობს პან ზაგლობა.

ლიტველმა ისე დაიწყო ამოოხვრა, რომ მისმა ცხენმაც კი, უთუოდ თანაგრძნობის გამო, შესაბრალისი ჰიხვინი მოართო.

— ერთის თქმა შემიძლიან,—სთქვა დესპანმა:—იმის თქმა, რომ თუ თავად ერემიას ხელშიაც ვერ ეწიეთ ბედს, გამოეთხოვეთ მაშინ თქვენს იმედს.

— ღმერთმა ბრძანოს! იმიტომ არ მოვდივარ, რომ მინდა მის სამსახურში შევიდე.

ეს ორთა-შუა ლაპარაკი შეწყვეტილ იქმნა ერთის საკმაოდ უცნაურის ამბის გამო. როგორც წინადაცა ვთქვით, ამ ზამთარს მდინარენი არ გაყინულა და ფრინველნი არ წასულიყვნენ თბილს ქვეყნებში. პარუჩიკი და პან ლონგინუსი მიუახლოვდნენ უკვე კალამლიკის ნაპირს, და უცებ შეჰნიშნეს, რომ ცაში მიფრინავდა გუნდი წეროებისა. წეროები ძლიერ დაბლა მიფრინავდნენ, მაგრამ უცბად, იმის მაგიერ, რომ ლელიანებში დაშვებულიყვნენ, შესცვალეს მიმართულება და მაღლა-მაღლა წავიდნენ.

—ისე მიჰფრინავენ, თითქო მისდევს ვინმე და თავს უნდათ უშველონო,—სთქვა პან სქშეტუსკიმა.

— აგერა, ჰხედავთ?—და პან ლონგინუსმა დაანახვა თეთრი ფრინველი, რომელიც ცდილობდა გუნდს დაახლოვებოდა.

— მიმინოა! მიმინო უშლის ძირს დაშვებასა!—დაიძახა დესპანმა.—ელჩსა ჰყავს მიმინოები; უთუოდ იმან აუშვა.

ამ დროს მოუახლოვდა ცხენოსნებს პან როზვან ურსუ, რომელიც ანატოლიის შავს ცხენზედ იჯდა. მას მოჰყვნენ რამდენიმე მხლებელნიცა.

— ბატონო პარუჩიკო,—სთქვა მან,—გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ნადირობაში.

— ეგ თქვენი მიმინოა?

— ჩემია და კარგიც არის, როგორც თქვენც დაინახავთ...

სამივემ ერთად გააჭენეს ცხენები; ვლახელი ბაზიერთ-უხუცესიც მათ უკან დაედევნა.

მწყაზარმა მიმინომ ძალა დაატანა ამ დროს წეროთა გუნდს, რომ მაღლა-მაღლა წასულიყო, მერე თვითონაც ისარივით აფრინდა უფრო მაღლა და გაიძაბა ერთს ადგილას. წეროები ერთად შეჯგუფდნენ. ატყდა ხმაურობა და ყიჟინი. ფრინველთ გაიწვდინეს კისრები, აიღეს მაღლა ნისკარტები, თითქო ისრებიაო და ელოდნენ იერიშს.

მიმინო კი ისევ თავს დასტრიალებდა გუნდს. ხან დაეშვებოდა, ხან ისევ მაღლა წავიდოდა; კაცს ეკონებოდა, ეშინიან დაეშვას ძირსაო, საცა ასი მახვილივით გამწვეტებული ნისკარტი დაჰხვდებოდა. მხოლოდ მის თოვლივით თეთრს ფრთებს გაჰქონდა ქათქათი ულრუბლო ცის ლაჟვარდში.

უცებ, იმის მაგიერ, რომ ფრინველთ მიჰსეოდა, მიმინო გაექანა სხვა მხრისაკენ და მალე მიიმალა ხეებს იქით.

სქშეტუსკი გაექანა მიმინოსკენ. ელჩმა, ბაზიერთ-უხუცესმა და პან ლონგინუსმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

ერთს ალმართთან, საცა მოსახვევი ჰქონდა გზას, დესპანმა უცბად შეაყენა ცხენი; ახლა სხვა და ახირებული სურათი წარმოუდგა თვალ-წინ. შუა გზაზედ ეგდო ეტლი, რომელსაც ღერძი გასტეხოდა. ორს ყაზახს ეჭირა გამოშვებული ცხენები; მეეტლე არსადა სჩანდა; ალბად წავიდა სადმე სხვა ეტლის საშოვნელად. ეტლს ახლოს იდგა ორი ქალი, ერთი მწყრალის, მამაკაცივით რიხიანის სახისა, მელის ბეწვის მძიმე ქურქ-წამოსხმული; ამ დედაკაცს თავზედაც ამისთანავე ქუდი ეხურა, რგვალ ბოჭკოიანი; მეორე იყო ყმაწვილი ქალი, ტანადი და მაღალ-მაღალი, მეტად სურათის და ჩინებულის სახისა. ახალგაზდა ქალის მხარზედ დინჯად იჯდა ლტოლვილი მიმინო, რომელსაც გაეშალა ფრთები და ნაზად იქირქნიდა ნისკარტითა.

დესპანმა ისე ძლიერ ალაგმა ცხენი, რომ კინაღამ ჩააჩოქა, მერე გონება-დაუტანებლივ მიიდო ხელი ქუდთან და სულ

თავ-გზა დაეპნა: არ იცოდა, რა ექნა, სალამი შიეცა, თუ მიმინოზე დაეწყო ლაპარაკი; დესპანი უფრო აირია მაშინ, როცა ყმაწვილმა ქალმა შეანათა ისეთი თვალები, რომლისთანაც თავისს დღეში არ ენახა: მაყვალივით შავი, ცეცხლის-მფრქვევი; წამ-და-უწუმ იცვლებოდა მეტყველება მისის თვალებისა... ამ თვალებთან ისე არაფრად გამოჩნდებოდა თვალები ანუსია ბოჟობოლატისა, როგორც სანთელი ჩირაღდანთან. თვაწვრილი წარბები შავად გადასჭიმოდა და ამკობდა მშვენიერს ლებს; მარჯანივით ბაგეთა შორის მოსჩანდა მიჯრით მიწყობილი თეთრი კბილები; კისერსა და ზურგს უფარავდა ხშირი წაბლის-ფერი თმა, რომელიც საამურად ჰღელავდა. უყურებდა დესპანი ამ თვალებს, ამ შეკოკბებულს ტანადობას, ამ თეთრს მიმინოს მის მხარზედ და ჰფიქრობდა: „იუნონა ჩამოსულა ამ ქვეყნად, თუ სხვა რამ ღვთაებაო“. ჩვენი პარუჩიკი იდგა, თითქო გაქვავებულაო, ქუდ-მოხდილი და ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ გული ეკუმშებოდა უცნაურის ტკივილით. ის-იყო უნდა დაეწყო სიტყვა თვისი: „თუ ხარ სიკვდილის შვილი, და არა ღვთაებაო“... და სწორედ ამ დროს მოვიდა ელჩიცა, პან ლონგინუსიცა და ბაზიერთ-უხუცესიცა. ღვთაებამ გაიწოდა მკლავი, მიმინო გადავიდა ზედ და გაიარა კინკილით. დესპანს უნდოდა დაესწრო ბაზიერთ-უხუცესისათვის და აეყვანა ფრინველი, მაგრამ მიმინო ერთი ფეხით ქალის მკლავზედ იდგა, ხოლო მეორეთი დაებღაუჭა დესპანის ხელს და ისეთის სიხარულით დაიწყო ჭყოპინი, ისე დაუწყო მიზიდვა თავისკენ დესპანს, რომ ბოლოს მაინც თავისი გაიყვანა. სქშეტუსკის სულ ჟრუანტელმა დაუარა, ხოლო მიმინო მაშინ დაჰნებდა, როცა ზედ ქალის ქუდი დაჰხურეს.

— რაინდნო!—დაიწყო უფროსმა ქალმა:—ვინც უნდა იყვნეთ, ნუ გვეტყვით უარს და შემწეობა აღმოუჩინეთ ქალებს, რომელთაც თვითონაც არ იციან, რა ჰქნან. ჩვენს სახლამდე სამ მილზედ მეტი მანძილი არ არის, მაგრამ ეტლის ღერძი გაგვიტყდა და ლამის მინდორში დავრჩეთ ამაღამ. მეეტლე გავუგზავნე ჩემს შვილებს, რომ იქნება ურემი მაინც გამოგვიგზავ-

ნონ, მაგრამ ვიდრე ის დაბრუნდება, დაღამდება კიდეცა; აქ დარჩენა კი ამაღამ ძნელია, საშიშია... ყველგან საფლავებია ახლო-მახლო...

ხნიერი აზნაურშვილის ქალი აჩქარებითა ლაპარაკობდა და ისეთი რიხიანი ხმა ჰქონდა, ისეთი ომახიანი იყო, რომ დესპანს გაუკვირდა კიდეცა. მაინც ზრდილობიანად უპასუხა:

— რა თქმა უნდა, ფიქრადაც არ მოგვივა, რომ ამ მინდორში დაგტოვოთ და შემწეობა არ აღმოგიჩინოთ თქვენცა და თქვენს მშვენიერს ქალსაც. ჩვენა ვმსახურობთ თავად ერემია ვისნეველეცკის ჯარში, მივდივართ ლუბნსა და, ვგონებ, გზა ერთი გვაქვს. ერთი გზაც რომ არა გვქონდეს, დიდის სიამოვნებით გადვუხვევთ ჩვენს გზას, ოღონდ კი ის საყვედური არ დავიმსახუროთ, რომ ქალებს პატივისცემით არ მოეპყრნენო. ეტლები არა გვაქვს, ჯარის კაცნი ვართ, ცხენებით მივდივართ, მაგრამ იმედი მაქვს, ბატონი ელჩი სიხარულით დაგითმობთ თავისს ეტლს.

ელჩმა მოიხადა თავისი სიასამურის ქუდი (პოლონური კარგად იცოდა ელჩმა) და, როგორც ნამდვილს კარის კაცს შეეფერება, რაღაც ძალიან ასლი თავაზიანი სიტყვები სთქვა პასუხად. ბაზიერო-უხუცესს უბრძანა, წადი მალე და საჩქაროდ მოართვი ქალებს ეტლიო, რომელიც კარგა უკან დარჩენილიყო. დესპანი კი ამ დროს თვალს არ აშორებდა მშვენიერს ასულს, ისე რომ ახალგაზდა ქალი სირცხვილით გაწითლდა და თვალები ძირს დაჰხარა. უფროსმა დედა-კაცმა კი, რომელიც ყაზახის იერისა უფრო იყო, განაგრძო:

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო ჩვენის პატივისცემისათვის. ლუბნამდე ჯერ კარგა შორს არის; ამიტომ უარს ნუ გვეტყვით და ჩვენს სახლში გვეწვიეთ. ჩვენ რაზლოგიდანა ვართ; მე გახლავართ ქვრივი თავადის კურცევიჩ-ბულიგის, ეს კი უფროსის კურცევიჩის ასულია, ჩემის მაზლისა. იმან მოგვცა აღსაზრდელად ეს ობოლი ქალი. ჩემი შვილები ეხლა შინ არიან; მე ჩერკასში ვიყავ სალოცავად და იქიდან მოვდივარ. გზაში ეს უსიამოვნება შეგვემთხვა და თქვენ რომ არ შეგხვედროდით, მინდორში მოგვიხდებოდა ღამის გათევება.

კნეინა კიდევ განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა შორიდან მომავალი ეტლი, რომელსაც მოსდევდნენ კაცები ელჩისა და ჯარის-კაცნი პან სქშეტუსკისა.

— მაშ თქვენ თავად ვასილ კურცევიჩის ქერივი ბრძანდებით?—ჰკითხა დესპანმა.

— არა!—საჩქაროდ უპასუხა კნეინამ უკმაყოფილებით.— კონსტანტინეს ქვრივი ვარ, ეს კი ვასილის ქალია, ელენე.— კნეინამ მიუთითა ყმაწვილ ქალზედ.

— ლუბნში ბევრსა ლაპარაკობენ ხოლმე თავად ვასილის შესახებ. კარგი მეომარი იყო და ნეგობარი თავადის მიხეილისაო.

— მე ლუბნში არა ვყოფილვარ,—სთქვა გოროზობის კილოთი კნეინამ,—და არა ვიცი-რა, თუ რამ სამხედრო ღვაწლი მიუძღვის ვასილს, ხოლო რაიცა შეეხება მის შემდეგს ყოფა-ქცევას, ლაპარაკადაც არა ღირს... ყველამ იცის, რაც იყო.

ამ სიტყვებზედ კნიაჟნა ელენემ თავი ისე დაჰლუნა, თითქო ყვავილია, ნამგლით მოთიბულიო.

— მაგას ნუ ჰბრძანებთ,—თავ-გამოდებით გამოესარჩლა დესპანი თ. ვასილს.—თავადი ვასილი, რომელსაც კაცთა სასტიკმა მართლ-მსაჯულებამ გადუწყვიტა, წაერთვას ქონება და სიცოცხლეო, იძულებულ ჰყვეს გაქცეულიყო და თავი გადაერჩინა სასჯელისგან, მაგრამ მერე დამტკიცდა იმისი სრული უბრალოება. ვასილს დაუბრუნდა სახელი, აღდგენილ იქმნა მისი პატიოსნება და ახლა მით უფრო დიდებულია მისი სახელი, რაც უფრო მეტი იყო მისი დამტანჯველი უსამართლობა.

კნეინამ მტრულად შეჰხედა დესპანს. მისი უიმისოდაც უსიამოვნო სახე დაჰგრიხა სიბრაზემ, მაგრამ პან სქშეტუსკის ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ უნებურად პატივის ცემით უნდა მოჰპყრობოდა, ამიტომ ვერა ჰბედავდა ეპასუხნა რამე მისთვის და ისევ კნიაჟნა ელენეს მიჰმართა:

— შენთვის საჭირო არ არის ამისთანაების მოსმენა. ისა სჯობია, წახვიდე და თვალ-ყური დაიჭირო, რომ ყოველივე ბარგი გადააწყონ ჩვენის ეტლიდან ელჩის ეტლში.

— ნებას მიბოძებთ, მოგეშველოთ?—ჰკითხა დესპანმა.

ორივენი წავიდნენ ეტლისაკენ, მაგრამ შესდგნენ თუ არა მის გვერდით, კნიაჟნამ აიღო მაღლა თავისი ისარივით გრძელი წამწმები და ისე შეაშუქა პარუჩიკს თვალები, რომ ასე ეგონა, ცხრა თვალის მზის სხივი, თბილი, ალერსიანი სხივი მომხვდაო.

— როგორ გადაგიხადოთ მადლობა,—დაიწყო ქალმა და დესპანს ისე ეგონა, რომ მისი ხმა საუკეთესო მუსიკაარ,—როგორ გადაგიხადოთ მადლობა, რომ ეგრე გამოესარჩლეთ მამიჩემის სახელს და იფარავდით იმ უსამართლობისაგან, რომელსაც აყენებენ მახლობელნი ნათესავნი.

— ო, პანნა!—უპასუხა პარუჩიკმა და თან ჰგრძნობდა, რომ გული მისი სდნებოდა გაზაფხულის თოვლივითა.—ღმერთს გეფიცებით, რომ თქვენის სიტყვების გულისთვის მზადა ვარ ცეცხლში გადავვარდე, სიცოცხლე გავწირო... მაგრამ მაინც ჩემი დამსახურება თქვენს წინაშე იმდენად მცირეა, რომ არა მგონია, ნება მქონდეს მივიღო თქვენი მადლობა.

— თუ კი არ უგულებელ-ჰყოფთ ჩემს მადლობას, თუ არ მადლობის თქმით, სხვაფრივ რით გადავიხდი თქვენს სიკეთეს მე, ერთი საწყალი ობოლი.

— მე?—განაგრძობდა უმეტესის აღფრთოვანებით დესპანი:—მე მხოლოდ იმას ვნატრობ, რომ თქვენი გული მოვიგო, მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ნება მიბოძოთ ვიყო თქვენი ერთგული ყმა.

კნიაჟნა გაწითლდა, აირია, მერე უცებ გაყვითლდა და, მიიფარა-რა ხელები პირი-სახეზედ, ყრუდ წარმოსთქვა:

— მარტო ერთს უბედურებას მოგიტანთ თქვენ ეგა.

დესპანი დაიხარა ეტლისაკენ.

— ყველაფერს ავიტან,—სთქვა მან დიდის გრძნობითა,—ყველაფერს—უბედურებასაც, მწუხარებასაც, ტანჯვასაც.

— რაინდო, შეუძლებელია, რომ პირველ ნახვისათანავე მზად იყოთ ყოველივე იტვირთოთ ჩემდა სამსახურისათვის.

— დაგინახეთ თუ არა, მყისვე დამავიწყდა ჩემი თავი და ახლა ის ვიცი მხოლოდ, რომ აქამდე თავისუფალი ჯარის-კა-

ცი, დღეს დატყვევებული ვარ. სჩანს, ასეთია ნება უფლისა. გრძნობა ისარია, რომელიც უცბად განეწონვის გულსა... და აი ვგრძნობ, რომ ისარი მაქვს გულს გარჭობილი, თუმცა იქ-ნება მე თვითონ არ დამეჯერა, სხვას რომ ეთქვა ვისმე გუშინ ეს ამბავი ჩემთვის.

— თუ თქვენ ვერ დაიჯერებდით მაგას გუშინ, მე როგორ დავიჯერო დღეს?

— დრო დაგაჯერებთ, ხოლო განა შეიძლება არ დაიჯე-როთ... გულ-წრფელობა ჩემი? განა არ ეტყობა ჩემს სიტყვებს, არ მეტყობა სახეზედ?

კვლაე მაღლა აიღო კნიაჟნამ ისარივით სწორე წამწმები, კვლავ მისი თვალები დააცქერდა ვაჟკაცურს, კეთილშობილს სახეს ახალგაზდა რაინდისას, სახეს, სავსეს ისეთის აღტაცებით, რომ კნიაჟნა ძალზედ გაწითლდა. ახლა კი თვალები ძირს აღარ დაჰხარა და დიდ ხანს უცქირეს ერთმანერთს ამ ორმა არსებამ, რომელთაც მინდორში ჰნახეს ერთმანერთი, უცბად მიუხვდნენ ერთმანერთს გულის პასუხს, უცბად გააერთიანეს თვისნი სულნი.

გარნა მოხუცი კნეინა დაურიდებლად აცხადებდა უკმა-ყოფილებას. ელჩის ეტლები მოვიდა, მხლებლებმა გადაალაგეს ბარგი-ბარხანა და ერთს წუთს შემდეგ ყოველივე მზად იყო.

პან როზვან ურსუმ თავაზიანად დაუთმო ქალებს თვისი ჩასაჯდომი, დესპანი შეჯდა თავისს ცხენზედ და ყველანი გა-უდგნენ გზას.

საღამოჟამდებოდა. ადიდებული წყალი კაღამლიკისა ოქ-როს ფრად შეეღება ჩამამავალს მზეს და მოწითანო ფერი და-ედო საღამოს ჟამსა. მაღლა ცაზედ სუბუქი ბამბიქულასავით თეთრნი ღრუბელნი ნელ-ნელა მიეშურებოდნენ ცის დასავლისა-კენ, თითქო დაღლილან დღისით და ახლა დასასვენებლად მი-დიან სადღაც შორსაო. პან სქშეტუსკი მიერეკებოდა ცხენს იმ მხრივ, რომელისკენაც კნიაჟნა იჯდა ეტლში და იყო გაჩუმე-ბული. ისე ლაპარაკი იმასთან, როგორც ამ ერთის წუთის წი-ნად ელაპარაკებოდა, არ შეიძლებოდა, ხოლო სხვა რამეზედ ბაასი და მუსაიფი არ უნდოდა. მთლად გული უცემდა სიხა-

რულით და თავი უპჭყვრიალებდა, თითქო ღვინო დაულევიაო.

ყველამ აჩქარებით გასწიეს. ჩამოვარდა დუმილი და მხოლოდ ცხენების ფრუტუნი-ღა ისმოდა. ბოლო ეტლში მყოფმა თავადის ამალამ დაიწყო რაღაც ვლახური სიმღერის თქმა, მაგრამ იმასაც მალე მიუწყდა ხმა. ღამე გამეფდა ნელ-ნელა, ვარსკვლავებმა იწყეს ციმციმი ცაზედა, ნამიან მინდვრებს ნისლ-ბურუსი ისე ეხვეოდა, თითქო დაუსრულებელი ზღვააო.

წინა ეტლნი შევიდნენ ტყეში, მაგრამ ჯერ რამდენიმე საჟენიც არ გაევლოთ, რომ მოისმა ცხენების თქარა-თქური და ხუთი ცხენოსანი გამოჩნდა ველზედა. ესენი იყვნენ ახალგაზდა თავადიშვილნი და მოდიოდნენ თავიანთ დედის საშველად. უკან მოსდევდათ ეტლი, რომელშიაც ოთხი ცხენი ება.

— თქვენა ხართ, შვილებო?—შეჰყვირა მოხუცმა კნეინამ.

— ჩვენა ვართ, დედა!—ცხენოსნები მოუახლოვდნენ ეტლს.

— გამარჯვება თქვენი! აი ამ რაინდთა წყალობით, შვილა აღარ გვეჭირვება ახლა. ესენი ჩემი შვილები არიან და მათი ბედი თქვენის გულ-კეთილობისათვის მომინდვია: სვიმონი, იური, ანდრია და ნიკოლოოზ... ეგ მეხუთე ვილაა?— და კნეინამ გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება მეხუთესა. თუ თვალები არ მატყუებს, ეგ ბოგუნია. მართალია, თუ არა?

კნიაჟნა სწრაფად მიიკუნჭა ეტლის კუთხეში.

— თავს გიკრავთ, კნეინა, თქვენც, კნიაჟნა ელენე!—სთქვა მეხუთე ცხენოსანმა.

— ბოგუნი!—განაგრძო კნეინამ.—პოლკიდან მობრძანდი, გერიტო? მერე ისიც გუდა-ნაბდითა? გამარჯვება, გამარჯვება! ჰეი, შვილებო! რაინდებსა ვთხოვე, რომ ამალამ ჩვენსა მობრძანდნენ რაზლოგს, ახლა თქვენ მიეცით სალამი! სტუმარი ღვთისაა! სთხოვეთ თქვენცა.

თავადიშვილებმა ქუდები მოიხადეს.

— გთხოვთ უმორჩილესად, მობრძანდეთ ჩვენს საწყალს სახლში.

— სიტყვა მომცეს კიდეც ბატონმა ელჩმაც და ბატონმა დესპანმაც. საპატიო სტუმრებს უნდა დავუხვდეთ, მაგრამ, ვინ იცის, სამეფო კარის სიმდიდრე-ფუფუნებას ჩვეულებს მოეწონებათ თუ არა ჩვენი ღარიბული მასპინძლობა!

— ჩვენ საჯარისკაცო პურს გიახლებით, ბატონო, და არა სამეფო კარის საკადრისს,—სთქვა პან სქშეტუსკიმ.

— ვიცი, რა მასპინძლობაც იცის აქაურმა თავად-აზნაურობამ; ისიც ვიცი, რომ სამეფო კარის მასპინძლობაც ვერ მოვა იმის მასპინძლობასთან.

ყველანი გაუდგნენ კვლავ გზას. კნეინამ განაგრძო:

— დიდი ხანია წარვიდნენ ჩვენთვის კარგი დრონი. ვოლინსა და ლიტვაში კიდევ არიან კურცევიჩები, რომელთაც მთელი ამალა ჰყავთ და ბატონურად სცხოვრობენ, მაგრამ იმათ ღარიბ ნათესავების დარდიც არა აქვთ,—ღმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს სამაგიერო!—ჩვენ კი თითქმის ისევე გაჭირვებითა ვცხოვრობთ, როგორც ყაზახები... იმედია მოგვიტევებთ ჩვენს სიღარიბესა და გულ-წრფელად მიიღებთ იმას, რასაც წმინდა გულით გიძღვნით. ხუთი შვილის პატრონი ვარ და ერთი სოფელი და ორიოდე ცალკე მეკომური კი მყავს ყმები. თან ეს ქალიც ჩვენი საზრუნავია.

დესპანი ძლიერ გააკვირვა ამ სიტყვებმა, გაგონილი ჰქონდა ლუბნში, რომ ჯერ ერთი რაზლოგი პატარა სოფელი არ არისო, მეორეც, რომ ეგ სოფელი ოდესმე ვასილის საკუთრება იყო, ელენეს მამისაო. მაგრამ ეხლა მოუხერხებელი იყო ეკითხნა კნეინასათვის, როგორ ჩაუვარდა ხელში ეს მამული კონსტანტინესა და მის ქვრივს.

— ხუთი შვილი გყავთ?—ჰკითხა პან როზვან ურსუმ.

— ხუთი მყვანდა... ხუთი ლომი,—უპასუხა კნეინამ,—მაგრამ უფროსს, ვასილს, ურჯულოებმა ბელგოროდში *) მაშხალებით თვალები ამოსწვეს... ამის გამო ჭკუაც შეერყა. როცა ყმაწვილები ლაშქრად მიდიან, მე მარტოდ ვრჩები იმისა და

*) ოკკერმანი.

ამ ქალის ანაბარად... მაგრამ ამისაგან რა ნუგეში უნდა მქონ-
დეს? მწუხარება უფრო მადგია!...

ზიზღის კილო, რომელიც დაეტყო კნეინას ხმაზედ, რო-
ცა თავისს მაზლის წულზედა ლაპარაკობდა, არ გამოეპარა
პარუჩიკს. შეაკრთოლა სიბრაზით და კინალამ ლანძღვა-გინება
არ დაიწყო, მაგრამ მთვარის შუქზედ კნიაკნას სახეს მოჰკრა
თვალი და გულში ჩაიკლა სიბრაზე.

— რა დაგმართნიათ? სტირით?—ნელის ხმით ჰკითხა სქშე-
ტუსკიმ.

კნიაკნამ ხმა არ ამოიღო.

— არ შემიძლიან, თქვენს ცრემლებს ვუცქირო.—სქშე-
ტუშსკი დაიხარა მისკენ და, რაკი მოხუცი კნეინა გაერთო პან
როზვანთან მუსაიფითა, განაგრძო უფრო მკაფიოდ:—ღვთის გუ-
ლისათვის, ერთი სიტყვა მაინცა სთქვით... ღმერთია მოწამე,
სიცოცხლეს გავწირავ თქვენდა დასამშვიდებლად.

უცბად იგრძნო, რომ ერთი ცხენოსანი ისე ეკვრის გვერ-
დში, რომ მისი უზანგი მოედო ახირებულ თანამგზავრის უზა-
ნგსა.

კნიაკნასთან ლაპარაკი შესწყდა. გაკვირვებული და გულ-
მოსული სქშეტუსკი მოუბრუნდა აბეზარსა და გამბედავს თანა-
მოგზაურს.

მთვარის შუქზედ დესპანს შემოჰბღვირა ორმა თვალმა,
შემოჰბღვირა მედიდურობით, დაცინვით, ლირფობით... ის სა-
შინელი თვალები ისე ბრიალობდა, როგორც მგლის თვალე-
ბი სიბნელეში.

— „ეს რა ჯახრუ-ჯანაბაა? ეშმაკი და ქაჯია, თუ სხვა
რამ წყეულ-შეჩვენებული?“—სთქვა თავისს გულში დესპანმა
და ერთხელ კიდევ გადაჰხედა თანამგზავრს ცეცხლივით ანთე-
ბულის თვალებით.

— ზედ რას მოგვაგდეთ ეგ თქვენი ცხენი და ან რას შე-
მომცქერიხართ აგრე ჩაცივებით?

ცხენოსანმა არა უპასუხა-რა და განაგრძო კვლავ დაცინ-
ვითა და გულზვაობით ყურება.

— თუ გგონიათ, რომ ბნელა, კვესს დაგიკვესებთ, თუ ვიწროობას ჰგრძნობთ, აგერ მინდორი!—სთქვა დესპანმა და, ცოტა არ იყოს, მუქარის კილო დაეტყო იმისს ლაპარაკს.

— არა, შენ მოჰშორდი მაგ ეტლს, თუ მინდორსა ჰხედავ,—მოუჭრა სიტყვა ცხენოსანმა.

პან სქშეტუსკი აენთო და, პასუხის მაგივრად, ისეთი წიხლი ჰკრა თანამგზავრის ცხენს, რომ უცბად ერთს აღლზედ გადახტა და გაიტაცა მხედარი.

ცხენოსანმა შეაყენა ცხენი და ერთს წუთს კაცს ეგონებოდა, რომ უნდა დაეცეს თავს დესპანსაო, მაგრამ ამ დროს გაისმა მკვეთრი, ბრძანების ხმა კნეინასი:

— ბოგუნ, რა დაგემართა?

კნეინას სიტყვები ისე მოედო ცხენოსანს, თითქო ჯადო უყვესო. მოატრიალა ცხენი, შემოუარა ეტლს და კნეინასთან დაიბადა.

— რა დაგემართა? პერეიასლავლში ხომ არა ხარ, ან ყირიმში. რაზლოგში ხარ. ეს დაიხსომე. ახლა კი გასწი წინაჯმალე ხეეია და ხევში კი ბნელა. აბა, გასწი!

პან სქშეტუსკი ჯავრობდა კიდეცა და ჰკეირობდა კიდეც. ცხადი იყო, რომ ბოგუნი მიზეზს ეძებდა და ჩხუბის გადაკიდება უნდოდა... მიზეზი იპოვნა, მაგრამ რად ეძებდა ამ მიზეზს? ასე უცებ, რაზედ დამესხა თავსაო?

დესპანს გაუელვა ფიქრმა, რომ ამ დავიდარაბაში კნიაჟნა თუა გარეულიო. ნამდვილად ასეა. მთვარის მკრთალს შუქზედაც შეჰნიშნ, რომ კნიაჟნას სახეზედ ნაცრის ფერი ედო და შეშინებული იყო.

ბოგუნმა, კნეინას ბრძანების თანახმად, ჰკრა ქუსლი ცხენსა. კნეინამ გააყოლა თვალი და სთქვა ვითომ თავისთვის, მაგრამ უფრო კი დესპანის გასაგონად:

— თავზედ ხელ-აღებულია!—ქაჯია ყაზახებისა!

— ეტყობა, ცოტა კარგ ჭკუაზედ ვერ არის,—ზიზღით უპასუხა სქშეტუსკიმ:—ეგ ყაზახი თქვენის შვილების სამსახურშია?

მოხუცი კნეინა გაგულისდა.

— რასა ბრძანებთ? ბოგუნია, პოდპოლკოვნიკი, შესანიშნავი ბხედარია, ჩემი შვილების მეგობარი, თითქმის მეექვსე შვილობილია ჩემი. შეუძლებელია, რომ არა გაგეგონოთ-რა მაგაზედ; ყველა იცნობს.

მართლაც, პან სქშეტუსკიმ კარგად იცოდა მისი გვარი. ყაზახთა პოლკოვნიკებსა და ატამანების სახელსა და გვარს შორის, მისი გვარი გამოერჩია და ჰქუხდა დნეპრის გალმა-გამოლმა. უსინათლონი სიმღერით ამკობდნენ ბაზრობა-დღეობაში და მიკიტანხანებში; ლხინსა და ქეიფში ახალგაზდა გმირ-მეომრის საოცარ საგმირო საქმეებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს. ვინ იყო, საიდან გადმოვარდა, ამისი არავინ არა იცოდა-რა. მართალი ეს იყო მხოლოდ, რომ ბოგუნი აღზარდა მინდვრებმა, დნეპრმა, ჭორომებმა, ჩერტომელიკმა თვისის გაუვალის ვიწროებითა, ხევ-ხუვებითა, ღადა-ღუდა გზებითა, კლდე-ფრიალოებითა. როცა მშვიდობიანობა იყო, ხან სხვებთან ერთად დახეტიალობდა „სათევზაოდა და სანადიროდ“, დალაღუნობდა დნეპრის მისახვევ-მოსახვევ არე-მარეს, დაძრწოდა ჭაობ-ჭანჭრობებსა და ლელიანებში სანახევროდ შიშველ-ტიტველ ამხანაგებთან, ხან მთელის თვეობით მარტოდ-მარტო სცხოვრობდა უტეხსა და უღრან ტყეების ტევრებში. იმისი სკოლა ის იყო, რომ თავს დაჰსხმოდა თათართა ცხენების ჯოგებსა და ნახირს ყრუ-მინდვრებში, ჩაუსაფრდებოდა ვისმე, ომს გადიხდიდა, ითარეშებდა მდინარეთა ნაპირად მდებარე თათრების სოფლებში, ბელგოროდსა და ელახეთში. დღისით ვერსად დააყენებდით, თუ არ მინდვრად, ღამით ცეცხლს უჯდა მინდორშივე. ჯერ ისევ ყმაწვილი იყო, რომ ქვემოურების სატრფიალო შეიქმნა; ჯერ ისევ ახალგაზდა იყო, რომ ატამანობა დაიწყო და მალე ყველას გადააჭარბა თვისის გამბედაობითა და გულადობით. ერთი ასიოდე ამხანაგი კი ჰყოლოდა და მზად იყო თუნდ ბახჩი-სარაი მოელაშკრა და ამოეწვა თვით ყეენის თვალ-წინ; უკიდებდა ცეცხლს თათრების სოფლებს, ქალაქებს, ჟლეტდა შეუბრალებლად ყველა მცხოვრებსა, ტყვედ-

შეპყრობილს მურზებს ცხენის კუდს აბამდა და აგლეჯინებდა, მეხივით თავს ესხმოდა, სიკვდილივითა ჰქრებოდა. ზღვაში, როგორც დამთხვეული, ისე დაეცემოდა თავს ოსმალთა კატარღებსა, თვით ბუჯაკამდე მივიდოდა და, როგორც ამბობდნენ, შიგ პირში ჩაუვარდებოდა ლომს, ისე რომ არა დაჰშავებოდარა.ზოგიერთი მისი საქმე სწორედ განსაცვიფრებელი იყო თვისის უგუნურის, თავზედ-ხელ-აღებულის გაბედულობითა. ვინც ნაკლებად გამბედავნი და ნაკლებად თავზედ-ხელ-აღებულნი იყვნენ, საშინელის ტანჯვით ეთხოვებოდნენ წუთი-სოფელს სტამბოლში, საცა მარგილებზედ აცვამდნენ, ან არა და ცოცხალნი ლპებოდნენ კატარღებზე მუშაობითა და ნიჩბების მოსმითა, გარნა ის კი უვნებელი გადარჩებოდა ხოლმე და პირიქით დიდს დავლა-ალაფსაცა შოულობდა. ამბობდნენ, რომ ბოგუნს აღურაცხველი სიმდიდრე აქვს დამალული დნეპრის ლელიანებშიო; ეს კიდევ არაფერი: ბევრს თავის თვალით ენახა, რომ ბოგუნი ტურტლიანის წაღებით ფეხ-ქვეშ სთელავდა ფარჩასა და აბრეშუმსა, ფიანდაზად უფენდა ძვირფას ხალებს ფეხ-ქვეშ თავისს ცხენებსა; ანუ ხავერდის ტანისამოსით გამოწყობილი კუპრში ჰბანაობდა და მით ვითომ ამტკიცებდა, რომ მე ყაზახი ვარ და, როგორც ყაზახს, მეჯავრება, მეზიზღება, დარდი არა მაქვს ძვირფასის ქსოვილებისა და მდიდრულის ტანისამოსისაო. ერთს ადგილას ვერ დარჩებოდა დიდ ხანს. მისი ხელმძღვანელი იყო საკუთარი ქეიფი და ლაგამ-ამოუდებელი ჭკუა-გონება. ხან მივიდოდა ჩიგირინსა, ან პერეიასლავს და ქეიფობდა თავ-დავიწყებამდე იმიერ-ჭორომელებთან, ხან ბერივითა სცხოვრობდა, გაურბოდა ხალხს და ივლტოდა მინდვრად, ხან კიდევ შემოირტყავდა უსინათლოებს, მთელის დღეობით უგდებდა ყურს იმათს სიმღერების თქმას და მუჭით უყრიდა წინ ოქროებსა. აზნაურთა შორის თავაზიანი კარის-კაცი იყო, ყაზახთა შორის—დამთხვეული ყაზახი, რაინდებთან—რაინდი, ავაზაკებთან—ავაზაკი. ბევრს გიჟი ეგონა და მართლაც თავშეუკავებელი და მოუსვენარი კაცი იყო. რად არსებობდა ქვეყნად, რა სწადდა, რას ეტრფოდა, ვისა და რას ემსახურებოდა, თვი-

თონაც არ იცოდა. ემსახურებოდა მინდვრებს, ქარ-ბუქსა, ლა-შკრიანობას, სიყვარულს და თავისს გადარეულს ფანტაზიას. ეს ფანტაზია იყო მიზეზი, რომ ბოგუნი ისე ერჩეოდა სხვა ავაზაკთა ბელადებში, იმ ბრბოში, რომელსაც მარტო ოდენ ძარცვა-რბევა ჰქონდა აზრად და რომელისათვისაც სულ ერთი იყო, ვისაც გაძარცვავდა, თავისიანებს, თუ თათრებსა. ბოგუნი შო-ულობდა დავლასა, მაგრამ შოულობდა ომში; უყვარდა განსა-ცდელი, იმიტომ რომ მიმტაცველი ძალა ჰქონდა მისთვის, ოქროებს აბნევდა ბზესავით, ოღონდ კი სიმღერა მოესმინა, ეძებდა სახელს, დიდებას და სხვა აღარაფრის დარდი აღარა ჰქონდა-რა.

ყველა ავაზაკ-ბელადთა შორის მარტო ბოგუნი იყო განსაკუთრებელი რაინდ-ყაზახის ტიპისა და ამიტომ საერო სიმ-ღერა-მგოსნობამ ის აირჩია თავისს სასურველ გმირად და მთელს უკრაინას მოჰფინა მისი სახელი.

უკანასკნელს დროს პერეიასლავის პოდპოლკოვნიკი იყო, ნამდვილად კი პოლკოვნიკობის თანამდებობას ასრულებდა. მოხუცს ლობოდას მტკიცედ ვეღარ ეპირა კვერთხი თავისს და-დამბლავებულს ხელში.

პან სქშეტუსკიმ კარგად იცოდა, ვინც იყო ბოგუნი, ხოლო თუ ეკითხებოდა ხნიერს კნეინას იმის ვინაობას, თქვე-ნის შვილების სამსახურში ხომ არ არის ეგ ყაზახიო, მხოლოდ იმიტომ ეკითხებოდა, რომ ვითომ ვინ არის, ვინა გდიაო. იგ-რძნო რომ, ეგ კაცი ჩემი მტერიაო და ყურადღება არ მიაქცია მის ბელადობის სახელ-დიდებას; დესპანის სისხლმა დულილი დაიწყო მარტო იმიტომ, რომ ყაზახი ჰბედავს და ასე უზრდე-ლად მეპყრობაო. ცხადად ჰხედავდა, რომ საქმე უნდა გათავე-ბულიყო რითიმე, რაკი ერთხელვე დაიწყო. პან სქშეტუსკიც თავ-გამოდებული კაცი იყო, ისიც არაფერს არ შეუშინდე-ბოდა, ისიც გაბედვით ეგებებოდა განსაცდელს. მზად იყო, თუნდ იმ წუთსვე გამოჰკიდებოდა ბოგუნს, მაგრამ არ შეიძ-ლებოდა: კნიაჟნას ვახლავარ გვერდით, იმას ვაცილებო.

ბოლოს, ეტლი გასცდა ღელე-ხრამსა და კარგა შორს გამოჩნდა შუქი სანათებისა რაზლოგში.

IV

კურცევიჩ-ბულიგები ძველებურის თავადიშვილის გვარისანი იყვნენ და ისეთივე გერბი ჰქონდათ, როგორც კურჩს, რომლის ჩამომავლობა მომდინარეობდა კორიატისაგან და იქნება მართლა რიურიკიც იყო მისი მამა-მთავარი. ამ გვარის ორ შტოდან, ერთი ლიტვაში სცხოვრობდა, მეორე—ვოლინში, ხოლო ვოლინელ კურცევიჩთაგან დნეპრის გამოლმა მხარეს გადმოსახლდა მარტო თავადი ვასილ. ღარიბმა თავადიშვილმა ვერ შეიფერა თავისი მდიდარი ნათესაობა და ისევ ის ირჩია, რომ თავად ვისნეველეკის სამსახურში შესულიყო, სახელოვან „ერიომას“ სამსახურში.

ერთგულის სამსახურისა და მრავალგვარ დავალებისათვის, რომელიც ვასილმა გაუწია თავადს, ებოძა საუკუნო საკუთრებად წითელი რაზლოგი, (შემდეგ მგელთა რაზლოგი დაერქვა, რადგან ბევრი იყო იქ მგლები) და დამკვიდრდა ამ მამულში. 1629 წელს მიიღო კათოლიკეთა სარწმუნოება და შეირთო რაგოზანელი ქალი, რომელიც სახელ-განთქმულის ჩამომავლობისა იყო. ერთის წლის შემდეგ დაიბადა ელენე; დედა ლოგინობას გადაჰყვა, ხოლო თავადმა ვასილმა ფიქრადაც აღარ გაიტარა, მეორე პირ ცოლშვილს მოჰკიდებოდა და დაიწყო ოჯახში მხნეობა და ზრუნვა ქალის აღზრდისათვის. ვასილი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და შესამჩნევი ღირსებანი ჰქონდა: რაკი წელში გამაგრდა და უზრუნველი ცხოვრება დაიმკვიდრა, დაიბარა მაშინვე ვოლინიდან თვისი ძმა კონსტანტინე მთელის მისის ოჯახობითურთ. ორივ ძმები სცხოვრობდნენ მშვიდობიანად 1643 წლამდე, მაგრამ ამ დროს ასტყდა ომი და ვასილიც ლაშკრად წავიდა მეფე ვლადისლავთან ერთად სმოლენსკს და აი სწორედ აქ მოხდა საშინელი ამბავი.

მეფის ბანაკში ჩაუვარდათ ხელთ ბარათი, მიწერილი შეინის სახელზედ, ხელ-მოწერილი თავად ვასილის მიერ და დაბეჭდილი მისის გერბის ბეჭდითა. ასეთმა ცხადმა საბუთმა იმ რაინდის ღალატისამ, რომლის სახელიც მანამდე შეუმწიკვლელი იყო, ყველა დიდად გააკვირვა. ამაოდ ფიცულობდა ვასილი, რომ არც მე დამიწერია ეგ წერილი და არც მომიწერია ქვეშ ჩემი სახელი და გვარიო. კურჩის გერბით იყო წერილი დაბეჭდილი და ამის გამო აღარავითარს ეჭვს ადგილი აღარა ჰქონდა. ვინ-ღა დაიჯერებდა, რომ ვასილმა ბეჭედი დაჰკარგა! ეს იყო მიზეზი, რომ საცოდავ ვასილს ასეთის მძიმე დანაშაულისათვის გადაუწყვიტეს სახელისა და პატივის აყრა და დასჯა სიკვდილით. ვასილი იძულებული იყო გადაკარგულიყო სადმე. ღამე მოვიდა საიდუმლოდ რაზლოგს, დააფიცა კონსტანტინე, რომ ელენეს უპატრონებო და გადიხვეწა სამუდამოდ. ამბობდნენ, რომ ერთხელ კიდევ მოსწერა წიგნი თავად ერემიას, სთხოვა, ნუ მოუსპობ ლუკმა-პურს ელენესა და ნება მიეცი გულ-დამშვიდებით იცხოვროს კონსტანტინეს მზრუნველობის ქვეშეო და მასუკან მიწყდა იმის შესახებ ხმა. ჭორი დადიოდა მხოლოდ, რომ ვითომ ვასილი გარდახვეწის შემდეგვე მოკვდაო, ან რომ ვითომ სახელმწიფო ჯარში შევიდა და ომიანობაში მოჰკლეს სადღაც გერმანელების ქვეყანაშიო, მაგრამ ნამდვილად კი არავინ არა იცოდა-რა. ალბად მკვდარი იყო, რომ თვისის ქალის ამბავს აღარა კითხულობდა. მალე სულ მიავიწყდათ ვასილი და გაიხსენეს მხოლოდ მაშინ, როცა მისი საქმე გამოაშკარავდა.

ვიღაც კუპცევიჩი, ვიტებსკელი, კვდებოდა და გამოტყდა, რომ შეინს წერილი მე მივწერეო და დავბეჭდე ბეჭდით, რომელიც ვიპოვე ბანაკშიო. რასაკვირველია, ყველამ ირწმუნა მაშინვე სიმართლე თავადის ვასილისა. განაჩენი გაბათილებულ იქმნა, სახელი და პატივი მისი—აღდგენილ, მაგრამ ვაი რომ ყოველივე ესე გვიან-ღა იყო საკუთრად მისთვის. რაიცა შეეხება თვით რაზლოგს, თავადს ერემიას, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოსდიოდა, ეს მამული გამოეწირა ელენესთვის. ვისნე-

ვეცკები უკეთ იცნობდნენ ვასილს და ერთს წუთსაც არ დაუ-ჯერებიათ, რომ იგი დამნაშავე ყოფილიყოს. ვასილს ძალიან ადვილად შეეძლო დარჩენილიყო თავისს მამულში, ვისნეველების ძლიერ ფრთეთა ქვეშე, და სასაცილოდ აეგდო მსჯავრი სასამართლოსი, გარნა თუ გადიხვეწა, გადიხვეწა იმიტომ, რომ ვერ შესძლო აეტანა თვისი უპატიურება.

ელენე გულ-დამშვიდებითა სცხოვრობდა თვისის ბიძის მამობრივ მზრუნველობის ქვეშე და მხოლოდ მის სიკვდილს შემდეგ დადგა ელენესთვის შავ-უკუღმა დღენი. კონსტანტინეს ცოლი, რომელიც ქმარმა საეკვო ჩამომავლობის ოჯახიდან მოიყვანა, სასტიკის ხასიათის დედაკაცი იყო, გულ-ფიცხი, დაუდგრომელ-დაუყენებელი. მარტო ქმარს შეეძლო შიშში ჰყოლოდა. როცა ქმარი მოუკვდა, მთელი რაზლოგი თავისს რკინის ხელში ჩაიგდო. გლეხ-კაცები ცახცახებდნენ იმის შიშითა, მხლებელთაც სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდათ მის დანახვაზედ; მეზობლებსაც კი მოსვენებას არ აძლევდა. თვისის ბატონობის მესამე წელს ორჯელ დაესხა თავს სივინსკებს ბროვარკებში. ვაჟკაცურად ჩაცმული, ამხედრებული, თვითვე მიუძღოდა წინ მხლებლებსა და ჯამაგირით დაჭერილ ყაზახებს, თითქო მხედართ-მთავარიაო. როცა თავად ერემიას ჯარმა ზურგზედ ბოლი ააღინა თათართა ბრბოს, რომელიც დათარეშობდა შვიდ-საფლავას ახლოს, კნეინა მიეტია თავის ხალხით რაზლოგში შემოსულს დანარჩენს თათრებს და სულ გუდა-ნაბადი ააკრეფინა. თანდათან რაზლოგს ისე დაუწყო ცქერა, როგორც თვისსა და თვისის შვილების საკუთრებას. შვილები ისე უყვარდა, როგორც ძუ-მგელს უყვარს თავისი ლეკვები, მაგრამ რაკი თვითონ გაუნათლებელი დედა-კაცი იყო, სრულიად არ იზრუნა იმათის აღზრდისათვის. მართლ-მადიდებელთა ბერმა, რომელიც კიევიდან დაიბარა, ასწავლა მის შვილებს წერა-კითხვა და ეს იყო და ეს, ამით გაათავეს შეძენა სიბრძნისა. იქვე ახლო კი ლუბნი იყო, თავადის სახლობა იდგა, რომელიც ისეთი სკოლა იყო, რომ იქ უფრო შეეფერებოდათ, რაც უნდა იყოს, წურთვნა ახალგაზდა თავადიშვილებს. გარნა კნეინას თავისი

საბუთები ჰქონდა, რისთვისაც არ ჰგზავნიდა თავისს შვილებს ლუბნში აღსაზრდელად.

ჰმ, ლუბნში გაეგზავნა! მერე თავად ერემიას რომ გა-ჰხსენებოდა, ვისი საკუთრებაც იყო რაზლოგი და ელენეს მზრუნველობა თვითონვე ეკისრა? ხომ უნდა ამდგარიყო და გამოსთხოვებოდა სამუდამოდ რაზლოგს. კნეინას ის უნდოდა, სრულიად დაჰვიწყებოდათ ლუბნში, რომ კურცევიჩები არსებობენ სადმე ქვეყნადაო. და აი ამიტომ ახალგაზდა თავადიშვილები იზრდებოდნენ შინა-კაცებად, თითქმის ნადირებად, უფრო ყაზახთა წესზედ, ვიდრე თავად-აზნაურის შესაფერად. ჯერ ისევ ბავშვები იყვნენ, რომ დედასთან ერთად თავს ესხმოდნენ სივინსკებს და თათართა ბრბოსა. წიგნები და წერა-კითხვა დაბადებითვე ჭირივით ეჯავრებოდათ: მთელს დღეს იმის მეტს არას აკეთებდნენ, რომ შვილდ-ისარს ისროდნენ, თოფებსა სცლიდნენ და სწავლობდნენ ქამანდის კვრასა და იარაღის ხმარებასა. დედა იმის ნებასაც კი არ აძლევდა, რომ ოჯახის საქმეები ეკეთებინათ. საცოდაობა იყო სწორედ, რომ ასეთს ყოფაში იყვნენ ჩამომავალნი შესანიშნავის თავადიშვილის გვარისა! თვითონ ისინიც კარგად ჰგრძნობდნენ თავიანთ უმეცრებას და ამიტომ ერიდებოდნენ თავად-აზნაურობასა, ისევ იმასა რჩებოდნენ, რომ ყაზახების ბრბოთა ბელადებ შორის ყოფილიყვნენ ხოლმე. ბოლოს დაუახლოვდნენ კიდეც ქვემოურობას, საცა ახალგაზდა თავადიშვილები თავიანთ მეგობრებად მიაჩნდათ. ხშირად ნახევარ-წლობით რჩებოდნენ სეჩსა, დადიოდნენ „საშოვარზედ“ ყაზახებთან ერთად, იღებდნენ მონაწილეობას იმათს თარეშობაში ოსმალთა და თათართა წინააღმდეგ და სულითა და გულით შეიყვარეს ასეთი დროს-გატარება. კნეინა წინააღმდეგობას არ უწევდა ამაში შვილებს. ან კი რისთვის გაუწევდა წინააღმდეგობას, როცა ხშირად დიდი დავლა და ალაფი მოჰქონდათ; ეს კია, რომ ერთს ამისთანა თარეშობის დროს, უფროსი, ვასილი, ხელში ჩაუვარდათ ურჯულოებს. დანარჩენმა ძმებმა ბოგუნისა და სხვა ყაზახების შემწეობით გაანთავისუფლეს, მაგრამ უკვე თვალები ამოეწვათ საცოდავისათვის. მას

უკან ძალა-უნებურად სულ სახლში იყო საწყალი გამომწყვდეული. მანამდე ერთი შეუპოვარი და დაუცხრომელი, შემდეგ უცებ გამოიცვალა: გულ-ჩვილობა დასჩებმდა, ღვთისნიერი შეიქმნა. უნცროსნი ძმანი სამხედრო ზნეს არ სტოვებდნენ, რის გამოც მეტ სახელად უწოდეს „ყაზახთა თავადნი". საკმაო იყო თვალი მოგეკრათ რაზლოგ-სირომახისათვის, რომ მაშინვე მიხვედრილიყავით, რა ხალხიცა სცხოვრობდა იქ. როცა პან სქშეტუსკი და ელჩი შევიდნენ ალაყაფის კარებში, თვალ-წინ წარმოუდგათ ეზო კი არა, არამედ უფრო ციხე-დარბაზი, რომელსაც სქელი კედლები ჰქონდა მუხის ძელებისა და პატარა ვიწრო ფანჯრები, თითქო სათოფურებიაო. სადგომები მოსამსახურეთა და ყაზახთათვის, თავლები, ფარდულები იქვე გვერდზედ ჰქონდა მიდგმული სახლებს. ამის გამო შენობანი სულ ზედი-ზედ იყო მიყრილი უწესოდა და ურიგოდა. ფანჯრები რომ განათებული არა ყოფილიყო, კაცი ვერ მიხვდებოდა, თუ აქ ადამიანის საცხოვრებელი სახლიაო, ისეთის საცოდავის შესახედაობისა იყო იქაურობა. ეზოში ჭებს ახლო ორი წერო აყუყულიყო: ჭიშკარს ახლო სვეტი იდგა, რომელზედაც დათუნა იყო მიბმული. მძიმე მუხის ჭიშკრიდან გახვიდოდით პატარა ეზოში, რომელსაც თხრილი ერტყა და ბალი ჰქონდა გარშემო.

ცხადია, რომ ეს სადგომი შეჭურვილი ციხე-სიმაგრე იყო, ყოველ-გვარ თავ-დასხმისგან უზრუნველ-ყოფილი. საზოგადოდ ყოველივე ესე მოაგონებდა კაცს ან ყაზახთა ცალკე მოსახლეობას ქვეყნის სამზღვარზედ, ან კიდევ ავაზაკთა ბუნაგს. მოსამსახურენიც, რომელნიც მაშხალებით გამოეგებნენ სტუმრებს, უფრო ავაზაკებსა ჰგვანდნენ, ვიდრე ჩვეულებრივს მოსამსახურეებს. უზარმაზარი ქოფაკები საშინლად იღრინებოდნენ, ჰლამობდნენ ჯაჭვების დაწყვეტას, უნდოდათ ზედ შეჰვარდნოდნენ სტუმრებს და დაეფლითათ; თავლებიდან მოისმოდა ცხენთა ჭიხვინი; ახალგაზდა ბულიგებმა თავიანთ დედითურთ მაშინვე დაუწყეს ლანძღვა-თრევა მოსამსახურეებს, ვინ იცის კი რისთვის. ამ ვაი-ვაგლახსა და უწესოებათა შორის ყველანი შევი-

დნენ ბოლოს სახლში და მხოლოდ აქ გაოცდა როზვან ურსუ (მანამდე კი ჰნანობდა, რად დავთანხმდი ამისთანა ქოხში ღამის გათევასაო) იმ სურათის წინაშე, რომელიც თვალ-წინ წარმოუდგა. შინაგანი მორთულობა და გარეგანი შესახედაობა შორიშორს იყო ერთმანერთზედ.

პირველივე სანახაევ, რომელმაც გააოცა როზვან ურსუ, იყო უშველებელი ტალანი. ამ ტალანის კედლებზედ ჩამოკიდებული იყო ყველგან ცხენების იარაღი ყოველის თვისის სამკაულითა, ყოველ-გვარი საომარი საჭურველი და გარეულ ნადირთა ტყავები. ორს ვეებერთელა ღუმელში გაჰქონდა გუგუნი დიდრონს მუხის კუნძებს. ცეცხლის ალი ანათებდა ძვირფასს ცხენის იარაღსა, ბჭყვრიალა ჩაჩქან-ჯავშნებსა, ოსმალურს კაუჭა ხმლებსა, რომლებიც მოჭედილი იყო თვალ-მარგალიტითა, რკინის პერანგებს, ჯაჭვის წვრილ-თვალას, მუზარადებს პოლონურსა და ოსმალურს; მეორე კედელზედ ეკიდა ძველებური ფარები, პოლონური შუბები და აღმოსავლეთის ხელ-კომბლები, ერთის სიტყვით, ყოველ-გვარი საჭურველი, კომბლებიდან დაწყებული ხანჯალსა და დაშნებამდე, რომლების ვადებსაც ისე გაჰქონდათ ჰჭყვრიალი, ისეთი წყალი და ჯავარი ჰქონდათ, თითქო ცვარი დაუდვია ზედ და მზეზე ბრწყინავენო. კუთხეებში ეკიდა მთელი გროვა მელისა. მგლისა, დათვისა და ყარყუმის ტყავებისა — ნაყოფი თავადიშვილების ნადირობისა. დაბლა, კედლის გაყოლება, მსხვილ მარგილებზედ სთვლემავდნენ ქორები, მიმინოები, სვავები. სვავები ახალგაზდა თავადებს მგელზედ სანადიროდა ჰყავდათ.

ტალანიდან სტუმრები დიდს სასტუმრო ოთახში შევიდნენ. აქაც ბუხარში დიდი ცეცხლი გუგუნებდა, ხოლო სიმდიდრე აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე ტალანში: ხის კედლებს ჩამოფარებული ჰქონდა ხაერდის ქსოვილები, იატაკი დაფენილი იყო აღმოსავლეთის ჩინებულ ხალებითა. შუა ოთახში იდგა გრძელი სტოლი გადაჯვარედინებულის ფეხებითა, შეკრული უბრალო ფიცრისაგან; სტოლზედ ელაგა სხვა-და სხვა ჭურჭელი, ან ოქროში-ცურვილი, ან ვენეტიკის შუშისა; კედ-

ლებს ახლო იდგა პატარა სტოლები, კამოდები, საწიგნობლები, რომლებზედაც ეწყო პატარა ყუთები, ბრინჯაოთი შემკული, სპილენძის შანდნები და საათი. ყოველივე ესე ოდესმე ოსმალოებმა დასტაცეს ვენეტიკელებს, ხოლო ახლა ყაზახებს წაერთმიათ ოსმალოებისათვის. მთელი ოთახი სავსე იყო მშვენიერის ნივთითა და ვეჯითა, რომელთა დანიშნულება არც კი იცოდნენ პატრონებმა; სიმდიდრე და სიღარიბ-სიმარტივე მინდვრის მცხოვრებელთა ყველგან ერთმანეთში იყო არეული. ძვირფასი ოსმალური კამოდები, ბრინჯაოთი და სადაფით დასევადებულები, გვერდთ უდგა უბრალოდ გაჩორკნილს გრძელს სკამებს, ხის სკამები—მბილ ტახტებს, ხალიჩებით დაფენილსა. ყოველმავე ამან ოდნავაც არ გააკვირვა პან სქშეტუშსკი, რომელმაც კარგად იცოდა, როგორცა სცხოვრობდნენ სამზღვარზედ დაბინავებულნი, მაგრამ ელჩს კი ძლიერ უკვირდა, როცა ჰხედავდა, რომ ამისთანა სიმდიდრეში კურცევიჩებს ტყავის მოკლე ჯუბები ეცვათ; უკვირდა პან ლონგინუს პოდბიპენტასაც; ლიტვაში მიჩვეული არ იყო ამისთანაების ხილვასა.

ამასობაში თავადიშვილები ცდილობდნენ გაერთოთ სტუმრები. ძლიერ უნდოდათ, რომ, რაც კი შეიძლებოდა, სასიამოვნო მასპინძლობა გაეწიათ, მაგრამ ვაი რომ ვერ ახერხებდნენ! დესპანი ძლივს იმაგრებდა ღიმილსა.

— დიდად მოხარულნი ვართ, რომ გვესტუმრეთ,—დაიწყო უფროსმა, სვიმონმა:—და დიდად გმადლობთ თქვენის გულ-კეთილობისათვის. ჩვენი სახლი თქვენი სახლია; ისე ბრძანდებოდეთ, როგორც თქვენს საკუთარს სახლში. სალამს გიძღვნით ჩვენს ღარიბულს ქოხში.

ისე ამბობდა ამ სიტყვებს, რომ არ ეტყობოდა, თუ ან თავს იმდაბლებდა, ან თუ ჰგრძნობდა, რომ უმასპინძლდებოდა ისეთს ხალხს, რომელნიც მათზედ მაღლა იდგნენ. ამას თხოულობდა ყაზახთა ზნე-ჩვეულება. ამბობდა ამას და თავს უკრავდა დაბლა; მასთან ერთად თავს უკრავდნენ მისნი ძმანიცა.

კნეინამ შეუმჩნეველად ჩამოსწია სახელო ბოგუნსა და მეორე ოთახში გაიყვანა.

— გამიგონე, ბოგუნ,—სხაპა-სხაპით უთხრა კნეინამ:—შენთან დიდ ხანს სალაპარაკოდ არა მცალიან. შეგატყე, რომ ის ახალგაზდა აზნაურშვილი როგორლაც თვალში არ მოგდის და მიზეზს ეძებ, რომ ჩხუბი აუტეხო.

— დედა!—და ყაზახმა კნეინას ხელზედ აკოცა,—ქვეყანა დიდია: იმას სხვა გზა აქვს, მე—სხვა. მე იმას არ ვიცნობ, იმაზედ არა გამიგონია-რა, მაგრამ ცოტა შორს იყოს კნიაჟნასაგან, თორემ გავაცნობ ჩემს ხმალსა.

— ჰაი, შე თავზედ ხელ-აღებულო, დამთხვეულო! გონება სადა გაქვს, ყაზახო? რა გემართება? ან იქნება გინდა შენი თავიც დაჭლუპო და ჩვენიცა? ეგ კაცი ვისნეეეკის სამსახურშია, იმისი დესპანია, მცირე კაცი არ არის... ელჩად იყო გაგზავნილი თავადისაგან ყეენთან. ჩვენს ჭერ-ქვეშ რომ თუნდ ოდნაე შეახოს ვინმემ მაგას ხელი, იცი რა მოხდება? მოურავი-თავადი მიაქცევს ყურადღებას რაზლოგს, შურს იძიებს მაგ კაცისათვის, ჩვენ გაგვრეკავს აქედან და ელენეს წაიყვანს თავისთან ლუბნში... მერე? თავადსაც დავას დაუწყებ? ლუბნსაც დაეხმი თავსა? აბა, სცადე, თუ მარგილზედ ჩამოგება მოგნდომებია, დამთხვეულო ყაზახო!.. ეტრფის თუ არა ეგ აზნაურშვილი ქალს, ეს სულ ერთია,—როგორც მოსულა, ისევე წავა,—და ყოველივე წინანდებურად დარჩება. თავი შეიკავე მაშ და, თუ არ გინდა, წადი, საიდანაც მოსულხარ, თორემ ხათაბალას გადაგვაცვამ თავს!

ყაზახი იკვნეტდა ულვაშს, ჰქშინავდა, რაც შეეძლო, მაგრამ მაინც მოისაზრა და იგრძნო, რომ კნეინა მართალს ამბობსო.

— კარგი,—სთქვა ბოგუნმა,—მე თავს შევიკავებ, მხოლოდ ელენე კი ნუ გამოვა მაგათთანა.

— ეგ რადაო? გინდა სთქვან, რომ დაკეტილში ჰყავთ გასათხოვარი ქალიო! მე გადავსწყვიტე და გამოვა კიდეც. შენ განკარგულებას ნუ იძლევი; შენ აქ სახლის უფროსი არა ხარ.

— ნუ ჯავრობთ, კნეინა. თუ სხვაფრივ არ შეიძლება, თქვენი ნებაა. წარბს არ შევიხრი, ხმალზე ხელს არ გავი-

კრაე, თუნდა ბრაზით ვირჩობოდე, თუნდა სულ ცეცხლში ვიწოდე.

—შენ აი ის ფანდური აიღე, დაუკარი, დაამღერე რამე ზედა და დარდი გადაგივლის; გამხიარულდები. ახლა კი დროა სტუმრებს მივხედოთ.

სასტუმრო ოთახში ყმაწვილს თავადიშვილებს სალაპარაკო საგანი გამოელიათ და დაიწყეს კვლავ დაბლა თავის კვრა და მადლობის თქმა პატივისცემისათვის. პან სქშეტუშსკიმ გულცივად და ამაყად გაუბნია თვალი თვალში ბოგუნსა, მაგრამ შეამჩნია, რომ საბრძოლველად აღარ იწვევდა. ახალგაზდა ატამანის სახე ბრწყინავდა ყოვლად გულ-კეთილის მხიარულებითა და ეს მოჩვენებელი მხიარულება ისე ჰმალავდა, რაც მის გულში ვნებათა ბობოქრობა იყო, რომ თვით გამოცდილი თვალიც კი ვერას შეატყობდა. დესპანი გულ-მოდგინედ ათვალიერებდა ბოგუნს: წეღან სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია იმისი პირი-სახე. ეხლა მის წინაშე იდგა ჭანდარიევით ტანადი ახალგაზდა კაცი, შავგვრემანი, ხშირ და გრძელ-ულვაშებიანი. იმის უკრაინულ დაღონებას ისე ეტყობოდა ღიმილი, როგორც ნისლსა და ბურუსს შეეტყობა ხოლმე, რომ მათ უკან მზეა დამალულიო. ატამანის მაღალს შუბლსა ჰფარავდა ხშირ წარბებ ზემოდ სწორედ შემოკვერცხილი შავი თმები. არწივივით კეხიანი ცხვირი, ცხვირის ნესტოები, რომელიც საბერველივით ებერებოდა და თეთრი კბილები, რომელიც ყოველ გაღიმებაზედ თეთრად უელვარებდა, ცოტა არ იყოს, ისეთს იერსა სდებდა, თითქო მტაცებელი ფრინველიაო; საზოგადოდ, უკრაინული სილამაზე ჰქონდა, თვალსაჩინო, აფერადებული, გამაგულისებელი. მეტად მდიდრული ტანისამოსიც ძლიერ განასხვავებდა მინდვრების რაინდს თავადიშვილებისაგან, რომელთაც ტყავის მოკლე ჯუბები ეცვათ. ბოგუნს ეცვა თბილი და მოკლე კაბა ვერცხლით ნაქსოვის ფარჩისა და წითელი დოშლუღი. წითელი ფერი მაინც საყვარელი ფერი იყო პერეიასლავის ყაზახთა. პრტყელ ქამარზედ ეკიდა ძვირფასი ხმალი; მაგრამ ეს ხმალიცა და დანარჩენი მორთულობაც სულ არაფერი იყო. იმის ოსმალურ ხანჯალ-

თან შედარებით. ხანჯლის ტარი სულ დიდრონის წყლიანისა და ჯავარიანის ძვირფასის ქვებით იყო მოჭედილი. ყველას ისე ეგონებოდა, რომ ბოგუნი დიდის გვარის ბატონ-კაციაო, მით უფრო რომ ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა და ისე თავისუფლად ეჭირა თავი, რომ არაფრით არ ემჩნეოდა მდაბიო გვარის-კაცობა. ბოგუნი მივიდა პან ლონგინუსთან, მოისმინა ამბავი მისის წინაპარის სტოლეიკოსი, ჯვარ-შემოსილთა სამის თავისა და მერე მიჰმართა დესპანს, თითქო მათ შორის არა მომხდარა-რაო:

— ამბობენ, რომ თქვენ ყირიმიდან მობრძანდებით?

— ყირიმიდან გიახლებით,—გულ-ცივად უპასუხა დესპანმა.

— მეც ვყოფილვარ იქა, და თუმცა ბახჩასარაიში ვერ მოვხვდი, მაინც ვფიქრობ, რომ იქაც მომიხდება ყოფნა, თუ გამართლდა, ყველა ის სასიამოვნო ამბები, რომელიც შევიტყე.

— რის შესახებ ბრძანებთ?

— ამბობენ, რომ თუ ჩვენი ყოვლად-მოწყალე მეფე ოსმალოს დაუწყებს ომს, თავადი-მოურავი ყირიმს გაილაშკრებს ცეცხლითა და მახვილითაო. უკრაინასა და ქვემოურობას ძალიან ესიამოვნათ ეს ამბავი: თუ მაგისთანა კაცის წინამძღოლობითაც ვერ ვინავარდეთ ბახჩასარაიში, სხვის ხელში უფრო აღარა იქნება-რა.

პარუჩიკს სასიამოვნოდ დარჩა, რომ ასეთის პატივის-ცემით მოიხსენია ატამანმა თავადი იერემია. გაიღიმა და მოტკბილებულის ხმითა სთქვა:

— გეტყობათ, არა სჯერდებით იმ ქველობასა და ვაჟკაცობას, რომლითაც ისეთი დიდება და სახელი მოიხვეჭეთ?

— მცირე ომია—მცირე სახელია, დიდი ომია—დიდი დიდებაა. კონაშევიჩმა აქ კი არ შეიმოსა დიდება, არამედ ხოტინის ბრძოლაში.

ამ დროს გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა ელენე. წინ მოუძღოდა ვასილი, უფროსი ძმა კურცევიჩებისა. ვასილი უკვე ხანში შესული კაცი იყო, გაყვითლებული, გამხდარი, იმისთანა კუშტის სახისა, თითქო განდეგილიაო; ბიზანტიის

ხატებს მოაგონებდა კაცს. მხრებზედ სცემდა დარდისა და ტანჯვისაგან გაჭაღარავებული თმები, თვალების ნაცვლად ორი სისხლივით დაწითლებული ფოსო უჩანდა. ხელში ეჭირა სპილენძის ჯვარი და დაუწყო იმით ჯვარის გადაწერა ოთახსა და ყველა იქ მყოფთა.

— სახელითა ღვთისა მამისათა, სახელითა მაცხოვარისათა და ყოვლად-წმიდისა ქალწულისათა,—დაიწყო ვასილიმ:—თუ კეთილი ამბავი მოგაქვთ, მოგიძღვნით სალამს ამა ქრისტიანულს სახლში.

— მიუტევეთ, ბატონებო,—სთქვა ჩურჩულით კნეინამ:—თავისს ჭკუაზედ ვერ არის.

ვასილი კვლავ განაგრძობდა ჯვარის გადაწერას.

— ვითარცა სწერია სამოციქულოში: „რომელმაც დასთხიოს სისხლი თვისი სარწმუნოებისათვის, სცხონდეს; რომელმან ვერა დასთმოს საუნჯენი სოფლისანი,—იგი წარწყმდეს“, ვილოცოთ! ვაი თქვენდა, ძმანო! ვაი ჩემდა, რამეთუ აღვსდეგით საუნჯეთათვის სოფლისა! ღმერთო, მოწყალებასა შენსა ნუ მოგვაკლებ ჩვენ ცოდვილთა! ღმერთო, ნუ მოგვაკლებ მოწყალებასა... ხოლო თქვენ, კაცნო, მოსულნო შორიდან, რა ამბავი მოგაქვთ თან? მოციქულებად გამოგვეცხადენით, თუ არა?

ვასილი გაჩუმდა და ელოდა პასუხს.

— ჩვენ მაგ მაღალს მოწოდებას ვერ ვიტვირთებთ,—სთქვა ერთს წუთს შემდეგ დესპანმა:—ჩვენ უბრალო ჯარის-კაცნი ვართ. მზად-მყოფნი დავდოთ თავი სარწმუნოებისათვის.

— მაშინ ცხონდებით, მაგრამ ჯერ ჩვენთვის არ დამდგარა დრო განთავისუფლებისა... ვაი თქვენდა, ძმანო! ვაი ჩემდა!

ბოლო სიტყვები თითქმის გულ-ამოსკვნით წარმოსთქვა უსინათლომ, ხოლო მის სახეზედ ისეთი სასოწარკვეთილება იხატებოდა, რომ სტუმრებმა აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ამ დროს ელენემ დასვა ვასილი სკამზედ, ხოლო თვით გავიდა საჩქაროდ ოთახიდან და შემობრუნდა ფანტურით ხელში.

ფანტურის ტკბილმა ხმამ გაავსო ოთახი. კნიაჟნამ დაამღერა სამღვთო საგალობელი:

დღისით და ღამით შენ მოგიწოდებ, უფალო!
დაიცხრე ტანჯვა, გააშრე ცრემლი ჩემი,
იყავ მამა მოწყალე ჩემდა ცოდვილისა,
ისმინე ვედრება ჩემი!...

ვასილმა ძირს დაჰხარა თავი და ისმენდა საგალობლის სიტყვებსა. ისე იმოქმედა საგალობელმა, რომ კაცს ეგონებოდა, გამაცოცხლებელი ბალზამი მოეცხო მის გულსაო; ნელ-ნელა განშორდა მის სახეს ბეჭედი ნაღველისა და მწუხარებისა. ბოლოს, თავი მისი სულ მკერდს დაეყრდნო. ასე დარჩა კარგა ხანს, არც თუ თითქო სიზმარშიაო, არც თუ გარინდებულიაო.

— თუ გალობა არ შევწყვიტეთ, სულ დამშვიდდება,— ნელის ხმითა სთქვა კნიაჟნამ.—როგორც ჰხედავთ, ამის სიგიჟე ის არის, რომ სულ მოციქულებს ელის, და ვინც უნდა მოვიდეს ჩვენსა, გამოეა და ეკითხება, მოციქულები ხომ არა ხართო...

ელენემ განაგრძო გალობა:

მასწავე მე გზა, ჰოი მეფეთა მეფეო,
რადგან ვარი მე ვით მგზავრი უდაბურს მინდვრად,
გინა ვით ნავი გზის დამკარგველი ზვირთ შორის
განუზომელის ზღვისასა.

კნიაჟნას ხმა თან და თან უფრო ძლიერდებოდა. ფანტურით ხელში, თვალებ-აღპყრობილი ზეცად, ისე ჰშვენოდა, რომ დესპანმა თვალი ვეღარ მოაშორა. პან სქშეტუსკის ზედ დარჩა თვალები და სულ დაავიწყდა ყოველივე.

მხოლოდ კნიაჟნას სიტყვებმა გამოაფხიზლა ტკბილ ზმანებიდან.

— კმარა! ახლა კი კარგა ხანს აღარ გაელვიძება. მანამდე გთხოვთ ვახშამი ინებოთ.

პან როზვანმა, როგორც დიდ საზოგადოებაში ყოფნას ჩვეულმა კავალერმა, კნეინას გაუკეთა მკლავი. დესპანმა დაინახა ესა. და ელენეს გაუწოდა თვისი ხელი. მისმა გულმა აჩქარებით დაიწყო ბაგა-ბუგი, როცა იგრძნო კნიაჟნას ხელის შეხება.

— მგონია ანგელოზნიც ვეღარა ჰგალობენ ცაში თქვენზედ უკეთესად,—უთხრა დესპანმა კნიაჟნას.

— ღმერთსა სცოდავთ, რაინდო, რომ ჩემს გალობას ანგელოზებისას ადარებთ,—უპასუხა ელენემ.

— არ ვიცი, ვცოდავ თუ არა, მაგრამ ის კი მართალია, რომ სიამოვნებით მივცემდი ნებას, თვალები ამოეწვათ ჩემთვის, ოღონდ კი სიკვდილამდე თქვენის გალობის მოსმენა არ მომკლებოდა. მაგრამ, რას ვამბობ? მაშინ ხომ ვეღარ დაგინახავდით და ეს ჩემთვის აუტანელი ტანჯვა იქმნებოდა.

— ნუ ამბობთ მაგისთანებს. ხვალ წახვალთ აქედან და ყოველივე გადაგავიწყდებათ.

— არას დროს, არას დროს! ისე შემიყვარდით, რომ ჩემს დღეში ვერ დაგივიწყებთ.

კნიაჟნას სიწითლე მოერია და ატლასივით გაჰხადა მისნი ლაწვნი; გულმა მეტის ძლიერებით დაუწყო ასვლა და დასვლა, თითქო ზღვის ტალღა ადის და დადისო. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები არ ჰნებდებოდა.

— თქვენ უფრო დამივიწყებთ, რაკი გვერდთ გახლავთ ეს ატამანი, რომელიც აიღებს ჩონგურს და დაუწყებს კვრას თქვენს სიმღერაზედ.

— არასოდეს, არასოდეს!—წაილაპარაკა ჩუმად კნიაჟნამ. —მაგრამ გეშინოდეთ კი მაგისი, საშინელი კაცია.

— რა არის ჩემთვის ერთი ყაზახი! თუნდ მთელი სეჩი უდგეს ზურგთ უკან, თქვენთვის მზად ვარ მაინც ყველას შევებედო. თქვენა ხართ ჩემი ერთად-ერთი ფას-დაუდებელი საუნჯე, ჩემი სიცოცხლე... მითხარით, თქვენც თანაუგრძნობთ ჩემს სიყვარულს?

ნელიად თქმულმა „დიაღმა“ სამოთხის მუსიკასავით დაუტკბო სმენა პან სქშეტუსკის; გამოუთქმელმა სიხარულმა

აღიტაცა და აღაფრთოვანა მთელი მისი არსება; იგრძნო, რომ ახალი ძალი მომემატაო, თითქო ფრთები გამომესხა მხრებზე-დაო. ვახშამზედ ერთხელ-ორჯელ მოჰკრა თვალი ბოგუნს; სახე საშინლად შესცვლოდა, გაჰფითრებოდა, მაგრამ დესპანს იმისი დარდი არა ჰქონდა, რაკი დარწმუნდა, რომ ელენესაც ვუყვარ-ვარო. „ღმერთმა მშვიდობა მისცესო!—ფიქრობდა გულში.— ოღონდ გზაში კი ნუ გადამეღობება, თორემ გავსრესავ“. იმისი ფიქრი ეხლა სხვა იყო. დესპანი ჰგრძნობდა, ელენე ისე ახლო ზის ჩემთანაო, რომ მისი მხარი თითქმის ჩემს მხარს ეხებაო; ჰხედავდა, როგორ ადიოდა და დადიოდა მისი გულ-მკერდი, როგორ ბრწყინავდა მისი თვალები, ხან მორცხვად ძირს და-ხრილი, ხან მოკაშკაშე, ვით წყვილი ვარსკვლავი. ელენე თუ-მცა დაჩაგრული იყო კურცევიჩებისაგან, თუმცა ერთს ფერო-ვანს ცხოვრებაში იყო და ობლად ჰგრძნობდა თავს, მაინც უკრაინელი იყო და ცეცხლივით ცხელი სისხლი ედგა ძარ-ღვებში. როგორც კი იგრძნო პირველივე თბილი სხივები სი-ყვარულისა, მაშინვე აღყვავდა, ეარდივით გადიშალა და განი-ღვიძა ახალის ცხოვრებისათვის. მის სახეს ბედნიერებისა და გა-მბედაობის ნათელი გადასდიოდა, ხოლო ქალწულებრივს კდემა-მოსილებას შეემკო და აეფერადებინა მისი ღაწვები. პან სქშე-ტუსკი სიხარულით ჯდომას ვეღარ ახერხებდა ერთს ალაგას. სვამდა უანგარიშოდ, მაგრამ თაფლ-ღვინო არ ათრობდა: ულვი-ნოდაც მთვრალი იყო სიყვარულით. სუფრაზედ ვეღარავის ვეღარა ჰხედავდა, კნიაჟნას მეტს, ვეღარა ჰხედავდა, რომ ბოგუნი უფრო და უფრო ფითრდებოდა და ხელში ჰმუჭავდა თავისს ხანჯლის ტარს, არ ესმოდა, რომ პან ლონგინუსმა მე-სამედ ჩამოარაკრაკა ამბავი თვისის წინაპარის სტოვეიკოსი, ხოლო კურცევიჩმა—გალაშკრების ამბავი „ოსმალოს საუნჯეთა“ საშოვრადა. ბოგუნს გარდა, ყველანი სვამდნენ. მოხუცი კნეინა კარგს მაგალითს აძლევდა ყველას, რადგან მალ-მალე სცლიდა სადღეგრძელოებს ხან სტუმრებისას, ხან ყოვლად-მოწყალე ბა-ტონის თავადისას და, დასასრულ, გოსპოდარ ლუპულისას. ჩა-მოვარდა ლაპარაკი უსინათლო ვასილის შესახებაც, რომ ყმა-

წვილობაში არა ერთი და ორი რაინდული საქმე მოექმედნა, მაგრამ ბოლოს ის უბედურება შეემთხვა და მას უკან სიგიჟეც დასჩემდა. ამ სიგიჟის გარემოება უფროსმა სვიმონმა ასე განმარტა:

— თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, სულ მცირე რამ მტვერი როგორ აწუხებს თვალს, თუ შიგ ჩაგვივარდა და მაშ აბა რას იზამდა კუპრის ნაჭრები, როცა ტვინს უწევდა? რასაკვირველია, ცუდს საქმეს დაჰმართებდა.

— დიაღ, ტვინი ძალიან ნაზი ორგანო გახლავთ,—კვერი დაუკრა პან ლონგინუსმა.

მოხუცმა კნეინამ მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, რომ ბოგუნს ფერი აღარ ედო.

— რა დაგემართა, გვრიტო?

— გული და სული მტკივა, დედა,—ყრუდ წაილაპარაკა მან:—მაგრამ ყაზახის სიტყვა კვამლი არ არის: რაცა ვთქვი, იმას არ გადავალ.

— მოითმინე, შვილო, ჯილდო მოგელოდება.

ვახშამი გათავდა, მაგრამ ჭიქა-ჭურჭელი მაინც კვლავ ივსებოდა თაფლ-ღვინით. დაუძახეს ახალგაზდა პატარა ყაზახებს და დაიწყო ცეკვა. პატარა ყმაწვილებს უნდა ეცეკვნათ ჩონგურსა და დაირაზედ. პატარა ხანს უკან, თვით მასპინძლებმაც დაიწყეს ცეკვა და ბუქნა. მოხუცმა კნეინამ შემოიყარა დოინჯი, აბარტყუნებდა ფეხებს ერთსა და იმავე ალაგას და აყოლებდა ხმას მუსიკასა. პან სქშეტუსკიმაც თავი დაუკრა ელენეს და სთხოვა ეთამაშნა იმასთან ერთად. როცა ხელი შემოჰხვია კნიაჟნას, ასე ეგონა, რომ მთელი ქვეყანა მყავს ხელშემოხვეული. თამაშობის დროს, იმისი გრძელი, კავებად დაშვებული თმები ეხვეოდა გარშემო დესპანის ყელს, თითქო კნიაჟნას უნდა, აღარსად აღარ გაუშვას დესპანი და საუკუნოდ თავისი გაჰხადოსო. ველარ მოითმინა ყმაწვილმა კაცმა და, როცა კი დრო იხელთა, ახლა აღარავინ გვიყურებსო, დაიხარა და გულ-მხურვალედ დაუკოცნა ძვირფასი ბაგენი.

ნაშუადამევს, როცა პან ლონგინუსი და დესპანი მარტო-ნი იყვნენ იმ ოთახში, საცა დასაძინებლად წაიყვანეს, პარუ-ჩიკი დაჯდა ქეჩაზედ და სთქვა:

— სულ სხვა კაცი წამოვა ხვალ თქვენთან ლუბნსა!

პოდბიპენტამ (ის-იყო გაათავა ლოცვების კითხვა) გაკვირ-ვებით დააჭყიტა თვალები.

— როგორ თუ სხვა კაცი? თქვენ კი აქა რჩებით განა?

— მე კი არა, ჩემი გული რჩება აქა. ჩემი ხორცი წამო-ვა ხვალ თქვენთანა. ვერა ჰხედავთ, რა აღელვებაში ვარ.

— შეგიყვარდათ კნიაჟნა, თუ რა ამბაეია?

— მიხვდით. ეგ ისევე მართალია, როგორც ის, რომ ახლა მე თქვენთანა ვარ. ძილი აღარ მეკარება. იმიტომ გეუბნებით ამას, რომ თვითონ თქვენც ჩჩვილი გული გაქვთ, რომელსაც სიყვარული სწყურიან; თქვენ ადვილად მიხვდებით, რა ცეცხლში ვარ.

პან ლონგინუსმა მძიმედ ამოიოხრა იმის დასამტკიცებლად, რომ მესმის, რაც არის ტანჯვა სიყვარულისაო, და ერთს წუთს შემდეგ ჰკითხა:

— იქნება, თქვენც აღთქმა გაქვთ დადებული უბიწოებისა?

— ახირებულ საქმესა მკითხავთ. ყველამ რომ მაგისთანა აღთქმა დასდოს, კაცთა ნათესავი ხომ მალე გაჰქრებოდა დე-და-მიწის ზურგზედ.

მოსამსახურეს შემოსვლამ შესწყვიტა მუსაიფი. ეს მოსამ-სახურე იყო მოხუცი თათარი შავისა და აჩქარებით მოძრავის თვალებითა; სახე ისე ჰქონდა დაჭმეჭილი, თითქო გაჩირული ვაშლიაო. დიდ-მნიშვნელოვანებით შეჰხედა სქშეტუსკის და ჰკითხა:

— ხომ არა ჰნებავთ-რა ბატონებსა? იქნება, თაფლის მორთმევა გვიბრძანოთ?

— არა, არა გვინდა-რა.

თათარი მიუახლოვდა სქშეტუსკის.

— ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთან სათქმელი, პანნას დაბარებული,—ჩურჩულით უთხრა თათარმა.

— ო, მითხარი, მითხარი!—სთქვა სიხარულით დესპანმა:— ნუ დაერიდები ამ რაინდს: მაგას გავუმჟღავნე ჩემი საიდუმლო.

თათარმა ლენტის ნაჭერი გამოიღო სახელოდან.

— პანნამ გამოგიგზავნათ ეს შარფი და მიბრძანა მოგახსენოთ, რომ მიყვარხართ სულითა და გულითაო.

პარუჩიკმა საჩქაროზედ გამოართვა შარფი, დაჰკოცნა მხურვალედ და, როცა გონზედ მოვიდა, ხელ-მეორედ ჰკითხა:

— როგორ დაგაბარა, რა უთხარიო?

— რომ მიყვარხარ სულითა და გულითაო.

— აჰა, ტალერი მიჩუქებია მაგისათვის. მაშ კნიაჟნამა სთქვა, რომ მიყვარსო?

— დიალ.

— აჰა, კიდევ ტალერი. ღმერთმა დღე მისცეს, მეც თვითონ ძლიერ მიყვარს. უთხარი... მაგრამ დაიცა: მე თვითონ მივწერ. მომიტანე მხოლოდ საწერ-კალამი და ქაღალდი.

— რა მოგართვათ?—იკითხა თათარმა.

— საწერ-კალამი და ქაღალდი.

— ეგეები არა გვაქვს ჩვენა. თავად ვასილის დროსა გვქონდა; მერე მაშინაცა გვქონდა, როცა ყმაწვილი ბატონები სწავლობდნენ წერა-კითხვას ბერისაგან; მაგრამ მას უკან დიდი ხანია.

პან სქშეტუსკიმ უკმაყოფილებით გაატკაცუნა თ.ითები.

— პან პოდბიპენტა, საწერ-კალამი ხომ არა გაქვთ?

ლიტველმა მხრები შეიშმუშნა და თვალნი აღაპყრო ზეცად.

— ფუ, ეშმაკსა!—გაილანძღა პარუჩიკი:—ხათაბალაა სწორედ!

თათარი დაჯდა ამ დროს იატაკზედ და დაუწყო ღუმელში ცეცხლს ჩხიკინი.

— რა საჭიროა მიწერა? პანნა დასაძინებლად წავიდა. რისაც მიწერა გინდოდათ, ხვალ დილით შეიძლება მოვახსენოთ.

— მართალს ამბობ. როგორც ვხედავ, ერთგული ყმა ყოფილხარ კნიაჟნასი. აჰა, კიდევ ტალერი! დიდი ხანია, რაც ემსახურები?

— აგერ თოთხმეტი წელიწადია, რაც თავადმა ვასილმა ტყვედ წამომიყვანა. მას უკან ერთგულად ვემსახურებოდი ჩემს ბატონს, მერე, როცა იმან აქაურობას თავი დაანება, ეგ პატარა ქალი კონსტანტინეს დაუტოვა, მე კი მითხრა: „ჩეხლი! ამ პატარას თავი არ დაანებო და ისე გაუფრთხილდი, როგორც შენს თვალის ჩინს“. ლა ილ ალლაჰ!

— მერე შენც სწორედ აგრე იქცევი?

— სწორედ აგრე ვიქცევი და უფრთხილდები კიდეც.

— რასა ჰხედავ, მითხარი? ხომ არა აწუხებს-რა კნიაჟნას?

— ბოროტი განზრახვა აქვთ იმის შესახებ. ბოგუნს უპირობენ მიცემას, იმ წყეულს, იმ ქოფაკსა.

— ო, ტყუილად უპირობენ, არა გამოვა-რა! გამოჩნდება კაცი და გამოესარჩლება კნიაჟნას.

— დიაღ!—სთქვა მოხუცმა და თან გადააბრუნა მუგუზლები.—ბოგუნს უნდა მისცენ, რომ იმანაც წაავლოს ხელი დ გაიტაცოს, როგორც მგელმა ბატკანი; თვითონ ისინი კი რაზლოგში დასტოვოს; რაზლოგი ვისია მერე თავად ვასილის შემდეგ? რასაკვირველია, კნიაჟნასია, და არა იმათი. ბოგუნი ყველაფერზედ თანხმაა; ლელიანებში იმდენი ოქრო და ვერცხლი აქვს, რომ რაზლოგში ქვიშაც არ არის იმდენი; მაგრამ კნიაჟნას სძულს ბოგუნი მას აქეთ, რაც კაცი შემოაკვდა იმის თვალ წინა. მათ შორის სისხლი დაინთხა და სისხლისაგან მძულვარება დაიბადა.

დესპანს ძილი აღარ მიეკარა მთელს ღამეს. სცემდა ბოლთას ოთახში, შეჰყურებდა მთვარეს და ვარაუდობდა საქმის გარემოებას. ახლა კი მიხვდა კურცევიჩების ოინებსა. კნიაჟნა რომ რომელსამე პოლონელს აზნაურშვილს შეერთო, მაშინვე რაზლოგი იმის ხელში გადავიდოდა. ვინ იცის, იქნება ანგარიში მოეთხოვა მზრუნველობისა! აი ეს იყო მიზეზი, რომ უიმისოდაც გაყაზახებულმა კურჩევიჩებმა გადასწყვიტეს ყაზახისათვის მიეცათ ქალი. ისეთი გული მოსდიოდა ამაზედ პან სქშეტუსკის, რომ გაახსენდებოდა თუ არა, მაშინვე გონება-დაუტანებლივ ხმალზედ გაისვამდა ხოლმე ხელსა. დაიფიცა, რომ სულ

გავაქარწყლებ ასეთს მანქანებსაო და ჰგრძნობდა კიდეც ლონეს ასეთის განზრახვის განხორციელებისათვის. ყოველ შემთხვევაში, თავადი ერემიაც მზრუნველი იყო ელენესი, ჯერ იმიტომ, რომ რაზლოგი უბოძეს საჩუქრად მოხუცს ვასილს ვისნევეკკებმა, მერე კიდევ იმიტომ, რომ თვით ვასილი სწერდა ბარიდან თავადს და სთხოვდა, ჩემის ქალის მზრუნველად ბრძანდებოდეთო. თავადმა-მოურავმა მხოლოდ იმიტომ ვერ შეასრულა ეს თხოვნა, რომ აუარებელი საზოგადო საქმეები ჰქონდა, ომიანობა იყო ატეხილი და სხვა თავ-სატეხი დავიდარაბა უშლიდა ხელს; საჭიროა გავახსენოთ მხოლოდ ეს გარემოება და მაშინვე შეუდგება ამ საქმის გაჩარხვასაო.

გათენებული იყო უკვე, როცა პან სქშეტუსკის მიეძინა. ეძინა გუნებიერად, უსიზმრებოდა და უზმანებოდ. როცა გაიღვიძა, უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორც უნდა ემოქმედნა. საჩქაროდ ჩაიცვეს ტანთ იმანა და პან პოდბიპენტამ. პან სქშეტუსკის მხლებელნი და ჯარის-კაცნი უკვე ცხენებზედ ისხდნენ. სასტუმრო ოთახში ელჩი საუზმეს შეექცეოდა კნეინასთანა და მის შვილებთან. ბოგუნი იქ არ იყო; არ იცოდნენ, ეძინა ჯერ ისევ, თუ წასულიყო სადმე.

სქშეტუსკი მიესალმა კნეინას.

— პანი!—სთქვა მან,—დრო მიდის, მალე უნდა შევსხდეთ ცხენებზედ; მაგრამ ვიდრე გულითა და სულით მადლობას გადაგიხდიდეთ გულ-უხვის მასპინძლობისათვის, მინდა მოგელაპარაკოთ თქვენა და თქენს შვილებს ერთის დიდად საყურადღებო საქმის გამო.

კნეინას გაოცება შეეტყო სახეზედ; გაკვირვებით შეჰხედა თავისს შვილებს, ელჩსა და პან ლონგინუსს, თითქო იმათგან უნდა შეიტყოს, რა ამბავია, რა საქმეაო და, ცოტა არ იყოს, შეწუხებულის ხმითა სთქვა:

— მზადა ვარ თქვენდა სამსახურად.

ელჩს უნდოდა ამდგარიყო, მაგრამ კნეინამ ნება არ მისცა და პან სქშეტუსკი გაიყვანა ტალანში, რომელიც საჭურველითა და ცხენების იარაღით იყო მორთული. ახალგაზდა თავა-

დიშვილები გამწკრივდნენ და ისე გამოიჭიმნენ. მათ წინ იდგა კნეინა; მან ჰკითხა სქშეტუსკის:

— რა საქმეზე გნებავთ მელაპარაკოთ?

დესპანმა გულ-ციად, კუშტისა და მწყრალის სახით შეჰხედა კნეინას.

— მომიტევეთ, კნეინა, და თქვენც, თავადნო, რომ ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ ვიქცევი და, იმის ნაცვლად, რომ საპატიო მაშუალნი გამომეგზავნა, მე თვითონ ვლაპარაკობ ჩემდა სასარგებლოდ. უამისობა არ შეიძლება; ისე მოხდა საქმე. რომ სიტყვა არ გავაჭიანურო, გთხოვთ, როგორც კნიაჟნა ლენეს მზრუნველს, ეგ ქალი მე მომათხოვოთ.

მეხი რომ დასცემოდა რაზლოგს ამ შუა-გულ ზამთარში, იქნება უფრო ნაკლებ განცვიფრებულიყვნენ კნეინაცა და მისი შვილებიც, ვიდრე განცვიფრდნენ დესპანის ამ სიტყვებითა. დიდ ხანს შესცქეროდნენ ისინი გაკვირვებით დესპანს და ის კი ისე იდგა, ვითომც აქ არაფერიაო, გულ-დამშვიდებული, იმედიანი, თავ-მომწონე, თითქო იმიტომ კი არ მოსულა აქ, რომ ითხოვოს რამე, არამედ იბრძანებლოსო. კნეინა ისე იყო გაოგნებული, რომ ენა ჩაუვარდა.

— როგორ? ოქვენ? ელენე ცოლად?—ძლივს ჰკითხა ბოლოს ლუღლუღით კნეინამ.

— დიაღ, მე, პანი კნეინავ; ეს გახლავთ ჩემი მტკიცე განზრახვა.

კიდევ დადგა წუთი დუმილისა.

— უკაცრავად, ბატონო დესპანო (კნეინა ძლივს მოვიდა გონს და დაიწყო ჩვეულებრივის სასტიკის კილოთი), ეგ სურვილი თქვენისთანა რაინდისა დიდად სასახელოა ჩვენთვის, მაგრამ იძულებულნი ვართ უარ-ვყოთ, რადგან ელენეს ცოლობა სხვას აღუთქვი.

— იმას მიაქციეთ ბოლოდ ყურადღება, როგორც გულშემატკივარმა მზრუნველმა, კნიაჟნას სურვილის წინააღმდეგ ხომ არ აღუთქვით სხვას მისი მითხოვება და ან ჩემზედ უკეთესია თუ არა ის, ვისაც მისი ცოლობა აღუთქვით?

— ბატონო დესპანო! ვინ უკეთესია—ეგ ჩემი საქმეა. თქვენ იქნება უკეთესიცა ბრძანდებით,—ეგ ჩვენთვის სულ ერთია, ჩვენ თქვენ არ გიცნობთ.

დესპანი გასწორდა წელში და საშინელის მრისხანებით მოავლო თვალი კნეინას.

— მე ხომ გიცნობთ თქვენ, მოღალატენო!—შეჰყვირა სქშეტუსკიმ.—თქვენ გინდათ ტეტიას მისცეთ თქვენი ნათესავი, იმ პირობით, რომ არ გამოგწიროთ მამული, რომელიც მძლავრობით ჩაგიგდიათ ხელში...

— თვითონ შენა ხარ მოღალატე!—შეჰყვირა კნეინამაც.—მაგრე გვიხდი სამაგიეროს მასპინძლობისათვის, მაგრე გვიხდი მადლობას? ჰო-ჰოი, გველო! ვინა ხარ, საიდან ჩამოგვივარდი?

ახალგაზდა თავადიშვილები ცალის თვალით კედელზე ჩამოკიდებულ საჭურველისაკენ იცქირებოდნენ.

— საზიზღარნო!—განაგრძო დესპანმა,—გასძარცვეთ ობოლი... მაგრამ არა უშავს-რა. ერთს დღეს უკან ყოველივე ეცოდინება თავადს.

გაიგონა თუ არა ეს სიტყვები კნეინამ, მივარდა კედელს, ჩამოიღო დიდი შუბი და ეცა პან სქშეტუსკის. თავადიშვილებმა სტაცეს ხელი და ჩამოჰგლიჯეს კედლიდან, ვისაც რა იარაღი მოხვდა ხელში—დანა, ხმალი, ხანჯალი—და ისე შემოეხვივნენ გარშემო, თითქო გამძვინვარებული მგლები არიანო.

— მაშ თავადთან მიხვალ, ჰა?—ღრიალებდა კნეინა.—მერე იცი, რომ შენ აქედან ცოცხალი ვეღარ გახვალ, რომ ახლა დადგა შენის აღსასრულის დღე?

სქშეტუსკიმ დაიკრიფა გულ-ხელი და წარბიც არ შეიხარა.

— მე, როგორც თავადის ელჩი, ყირიმიდან მოვდივარ,—სთქვა დესპანმა,—და თუ აქ ერთი წვეთი ჩემი სისხლი დაიქცა, სამს დღეს შემდეგ, ქვა-ქვაზედ აღარ დარჩება აქა, ხოლო თქვენ ყველანი ლუბნის ციხეებში დალპებით. არის განა ქვეყნად ისეთი ძალი, რომ დაგიფაროთ-ღა? ტყუილად ნუ მემუქრებით, მე თქვენი არ მეშინიან!

— დავიღუპებით და დავიღუპოთ, სამაგიეროდ შენ პირველი მოკვდები.

— თუ აგრეა, დამკარით; აი ჩემი მკერდი!

თავადიშვილებსა და მათს დედას ამართული ეჭირათ იარაღი, შიგ დესპანის გულში დამიზნებული, მაგრამ ყველას რაღაც საიდუმლო ძალა უკრავდა ხელს. კინაღამ ტიროდნენ სიბრაზით, ისე აკრაჭუნებდნენ კბილებს, მაგრამ დარტყმას კი ვერც ერთი ვერა ჰბედავდა. ვისნეეეკის საშინელმა სახელმა სრულიად დაუდუნა იმათ მარჯვენა.

დესპანი მეუფე და ბატონი იყო იმ წუთს.

კნეინამ, რაკი სხვა ვეღარა მოახერხა-რა, მიჰყო პირი უშვერს ლანძღვას:

— სალახანა! გუდა-მშიერავ! თავადის სისხლი მოგწყურდა? მაშ, დამაცადე! ვინც უნდა იყოს, ყველას მივცემ ქალს და შენ კი—არას გზით! ამას თვით თავადიც ვერ მიბრძანებს.

— მე დრო არა მაქვს ჩემის აზნაურშვილობით ვიტრაბახო,—გულ-დამშვიდებით უპასუხა პან სქშეტუსკიმ:—მაგრამ ვგონებ თქვენის თავადობის საკადრისი იქნებოდა, რომ ფარ-ხმალი დაგქონდეთ ჩემდა მოსართმევად. ესეც არ იყოს: თუ ტეტია შეგიწყნარებდათ, მე უფრო კეთილად მოგექცეოდით. მე თქვენზედ ნაკლები ქონება არა მაქვს, ხოლო თუ ამბობთ, რომ ელენეს არ მოგცემთო, მოისმინეთ, რა გითხრათ: მეც თქვენ დაგიტოვებთ რაზლოგს, მეც არ მოგთხოვთ მზრუნველობის ანგარიშს.

— ნუ ჩქარობ იმის ბოძებას, რაც შენ არ გეკუთვნის.

— ბოძებას კი არ გეუბნევით, აღთქმას გაძლევთ საკვლავოდ და ამ აღთქმას ჩემის რაინდულის სიტყვის მოცემით ვამოწმებ. ახლა ორში ერთი ირჩიეთ: ან ანგარიში მიეცით თავადს მზრუნველობისა და აიბარგენით რაზლოგიდან, ან ეგ ქალი მე მომეცით და ყოველივე ისევ თქვენ დაიტოვეთ...

შუბი ნელ-ნელა უსხლტებოდა ხელიდან კნეინას და ბოლოს სულ გაუვარდა და ბრახვანი მოიღო იატაკზედა.

— აირჩიეთ,—განიმეორა პან სქშეტუსკიმ:—ანუ მშვიდობა, ანუ ომიანობა.

— რა ბედია, რომ ბოგუნი სანადიროდ წავიდა მიმინოებით:—სთქვა ახლა კი, ცოტა არ იყოს, დამტკბარმა კნეინამ:—თქვენი დანახვაც კი ეჯავრებოდა; ჯერ ისევ გუშინ ეპვიანობდა საშინლად. ის რომ აქ ყოფილიყო, სისხლის დაუღვრელად არ გათავდებოდა საქმე.

— პანი კნეინა, მეც ხმალს ვატარებ იმიტომ კი არა, რომ წელზედ მეკიდოს მხოლოდ.

— მაინც ეს მითხარით ერთი, ეკადრება თქვენისთანა რაინდს, სახლში სტუმრად შეხვიდეთ და აგრე აჟინებით გაიძახოდეთ თქვენსას, ძალათი მიგყავდეთ ქალი, თითქო ოსმალთა ტყვეაო?

— ეკადრება, როცა ეგ ტყვე ტეტიასთვის უნდა მიგეყიდნათ.

— მაგრე ნუ იხსენიებთ ბოგუნს! თუმცა არ იცის, ვინ იყვნენ მისნი მშობელნი, მაინც გულით სახელოვანი რაინდია და ჩვენც ბავშვობიდანვე ვიცნობთ, ღვიძლი შვილივით არის ჩვენს სახლში. ეხლა იმისთვის სულ ერთია, გინდა ეგ ქალი წაგვირთმევია და გინდ ხანჯალი დაგვიცია.

— კნეინა, ჩვენის წასვლის დროა! მომიტევეთ, თუ კიდევ განვიმეორო: ორში ერთი აირჩიეთ.

— კვეინამ შვილებს გადაჰხედა.

— აბა, შვილებო, პასუხი მიეცით ამ რაინდს.

თავადნი ერთმანერთს უცქეროდნენ და იდგნენ გაჩუმებულნი. ბოლოს სვიმონმა წაილუღლუღა:

— გვიბრძანებ, დედავ, დავკრათ, დაეკრავთ, გვიბრძანებ, მივცეთ ელენე და მივცემთ.

— დაკვრა არ ივარგებს, და არც მიცემა ვარგა... ორ წყალ-შუა ჩაგეაგდეთ, დესპანო! ბოგუნი ერთი თავზედ ხელალებული კაცია, დაურიდებელი. ვინ დაგვიფარავს იმის შურისძიებისაგან? თვითონაც დაიღუპება თავადის ხელითა, მაგრამ უმალ ჩვენ დაგვღუპავს. რა წყალში გადავცვინდეთ?

— ნება თქვენია.

კნეინა კიდევ გაჩუმდა.

— გამიგონეთ, რაინდო. ყოველივე ეს ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ბოგუნს პერეიასლავში გავიტუმრებთ, როგორც იქნება, ჩვენ კი ელენეთურთ ლუბნს მოვალთ; ხოლო თქვენ სთხოვეთ თავადს საბუთები გამოგვიგზავნოს რაზლოგის მფლობელობისა. ბოგუნს ასორმოცდა ათი კაცი ჰყავს, ერთი ნაწილი მათი აქაც კია რაზლოგში. ეხლა ვერ წაიყვანთ ელენეს: გზაზე გადაგეღობებიან და წაგართმევენ. სხვაფრივ არ შეიძლება. წაბრძანდით, ამ საიდუმლოს ნუ გაამჟღავნებთ და გველოდებოდეთ.

— რომ მერე მიღალატოთ?

— რომ შეგვეძლოს, დიაღაც! მაგრამ სად შეგვიძლიან. თქვენ თითონაც კარგად ჰხედავთ, რომ არ შეგვიძლიან. სიტყვა მოგვეცით, რომ დრომდე ამას არავის არ გაუმხელთ.

— გაძლევთ. მერე მომცემთ ელენეს?

— არ შეგვიძლიან არ მოგცეთ, თუმცა ბოგუნი კი ძლიერ გვეცოდება.

— ფუჰ, ფუ თქვენს თავადობას!—მიუბრუნდა უცებ დესპანი კურცევიჩებს.—ოთხნი ხართ, აგრეთნი გულადნი, ჯანსაღნი და ერთის ყიზახისა კი გეშინიანთ, გინდათ ღალატით შეჰბოჭოთ. თუმცა მადლობელი უნდა ვიყო თქვენი, მაგრამ მაინც ვიტყვი: ეგ არ შეჰფერის, არ ეკადრება თქვენს კეთილშობილებას!

— თქვენ ნუ ერევით ამ საქმეში!—შეჰყვირა კნეინამ.— თქვენ იმას ნუ სწუხართ, ჩვენ რა უნდა მოვიქმედოთ. რამდენი კაცი შეგიძლიანთ გამოიყვანოთ იმის ას ოორმოც და ათის კაცის წინააღმდეგ? თქვენ დაიფარავთ ჩვენს ოჯახს? აიგერ დაიფარეთ თუნდ ელენე მაინც, რომელიც ლამის ძალათი მოიტაცოს. ეგ თქვენი საქმე არ არის. თქვენ ლუბნს წადით არხეინად და მერე ჩვენ თვითონ მოვიყვანთ იქ ელენეს.

— როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, მხოლოდ ერთი სიტყვა კიდევ: თუ კნიაჟნასთვის ერთი სიტყვა გითქვამთ საწყენი, ვაი თქვენ გინდათ!

— მაგისთანა სიტყვებს ნუ ჰხარჯავთ, ტყუილად ნუ გვაბრაზებ ჩვენცა.

— გინდათ ძალით გაათხოვოთ ქალი; აი ეხლაც ჰყიდით რაზლოგის გულისათვის და იფიქრეთ კი, მოვწონვარ თუ არა?

— რაო მერე? მაგას თუ გინდათ თქვენთანვე ვკითხავთ...

კნეინას კვლავ გული მოსდიოდა; ცხადად შეჰნიშნა, რომ დესპანი ზიზღით ეკიდებოდა იმასაცა და მის შვილებსაც. სვიმონი წავიდა ელენეს მოსაყვანად და მალე დაბრუნდა იმასთან ერთად.

გაბოროტებასა და წყევა-კრულვას შორის, რომლითაც ჯერ კიდევ სავსე იყო ტალანის ჰაერი, თითქო ჯერ კიდევ არ გადუვლია ქარტეხილსა და გრიგალსაო, წარბ-შეჭმუხვნილთა, გამძვინვარებულთა და გამწყრალ-განრისხებულთა შორის კნიაჟნას ნათელ-გადაფენილმა სახემ ისე გამოაშუქა, თითქო მზე გამოჩნდა ზამთრის ღრუბლებშიო.

— კნიაჟნა,—სთქვა გულ-ცივად კნეინამ და სქშეტუსკიზედ მიუთითა,—თუ ამის წინააღმდეგ არა გაქვთ-რა, აი თქვენი მომავალი ქმარი.

ელენე გაფითრდა ზარდანჩოსავით, შეჰკივლა, მიიფარა ხელები თვალებზედ და მერე უცებ გაუწოდა სქშეტუსკის.

— ნუ თუ მართლა?—წაილაპარაკა ნეტარებით აღვსილმა კნიაჟნამ ჩურჩულით.

—

ერთს საათს შემდეგ ელჩისა და დესპანის ქარავანი აუჩქარებლივ მიდიოდა ტყე-ტყე ლუბნისაკენ. ქარავანს წინ მიუძღოდნენ სქშეტუსკი და პან ლონგინუსი; მათ მისდევდა გრძელის ლენტივით საელჩოს ეტლები. დესპანი მთლად შთანთქული იყო ფიქრით, რომ უცებ მისი ყურადღება მიიქცია სიმღერის სიტყვებმა...

„ვსწუხვარ, ვსწუხვარ, გული კვნესის...“

შორს ტყეში, ცალ-ფეხა ბილიკზედ, გამოჩნდა ბოგუნი. იმისი მერანი სულ ქაფში იყო, ტალახით მოსვრილი.

ეტყობოდა, თვისის მუდმივის ჩვეულებისამებრ, ყაზახი ეცა მინდორს, მოედო ტყე-ღრესა, რომ თავის უფალის ჰაერის სუნთქვით გამაძღარიყო, შორს გადახვეწილიყო სადმე, თავდავიწყებას მისცემოდა და გაეყუჩებინა თვისი მწუხარება, თვისი ტკივილი გულისა.

ახლა ისევ რაზლოგს მიდიოდა.

პან სქშეტუსკიმ გააყოლა თვალი შორს მიმავალს მოხდენილს, შნოიანს რაინდს და უნებურად იფიქრა გულში და წაილაპარაკა კიდეც ჩუმადა:

— სწორედ ბედია, რომ კაცი შემოჰკდომია იმ ჩემის სიცოცხლის თვალ-წინ!

უცებ რაღაც დანანებამ და წუხილმა ატკინა გული. ბოგუნიც ენანებოდა და უფრო კი ისა ჰქონდა სანანურად, რომ სიტყვა მისცა კნეინას და აღარ შეეძლო გაეჭენებინა ცხენი და ეთქვა მისთვის:

— ერთი და იგივე ქალი გვიყვარს... ჩვენში ერთ-ერთს უნდა გაუშავდეს სიყრმე. იშიშვლე დაშნა, ყაზახო!

პან სქშეტუსკის ლუბნში არ დახვდა თავადი; სენჩს წასულიყო ნათლობაში, თავისს ნაყმევ აზნაურშვილთან, პან სუფჩინსკისთან; იმასთან ერთად წასულიყო კნეინაცა, ორი პანნა ზბარასკებისა და რიცხვ-მრავალი ამალა. თავადს შეატყობინეს, რომ დესპანი დაბრუნდა ყირიმიდან და ვლახეთის ელჩი მოვიდაო; პან სქშეტუსკის სიხარულით მიეგებნენ მისი ამხანაგები, მეტადრე პან ვოლოდიევსკი, რომელიც იმ ხმალში ბრძოლის შემდეგ დიდი მეგობარი შეიქნა ჩვენის დესპანისა. ეს რაინდი იმითი იყო შესამჩნევი, რომ მუდამ უყვარდა ვინმე გასათხოვარ ქალთა შორის. როცა დარწმუნდა, რომ ანუსა ბოჟობოლატისა გულ-ციცად მეპყრობაო, დაუწყო ტრფიალი ანელ ლენსკისას, ისევ კნეინას სეფე-ასულსა, ხოლო როცა ისიც პან სტანიშევსკის მისთხოვდა, ვოლოდიევსკი გაუმიჯნურდა უფროსს კნიაჟნა ზბარასკისას, ანნას, თავად ვისნევეცკის დისწულს.

პან ვოლოდიევსკიმ თვითონაც კარგად იცოდა, რომ ძლიერ მაღალს ფარდებს ვეპოტინებიო და ვერავითარს იმედს ვერ იქონიებდა. მით უმეტეს, რომ კნიაჟნას მაშინჯრები უკვე მოვიდნენ პან პშიემსკისაგან, ლენჩიცკის მოურავისაგან,—პან ბოდბინსკი და პან ლიასოტა. საწყალმა ვოლოდიევსკიმ გაუმხილა თვისი ახალი დარდი გულისა ჩვენს დესპანს და თან ბევრი რამ უამბო თავადის კარის-კაცთა და ქალთა შესახების ჭორებისა. პან სქშეტუსკი ცალის ყურით ისმენდა ყოველსავე ამას; იმისი ფიქრი და გონება სულ სხვა საგანსა ჰქონდა მიპყრობილი. ის შფოთვა სულისა რომ არ დასჩემებოდა, რომელიც თანა სდევს ყოველგვარ სიყვარულს, ბედნიერია იგი თუ უბედური, პან სქშეტუსკი ბედნიერ კაცად ჩასთვლიდა თავს, რაკი დაბრუნდა ლუბნს, საცა გარს შემოეხვიენენ ნაცნობნი და საცა დესპანი შთანთქა ჯარის-კაცთა ცხოვრების ჟივილ-ხივილმა. ლუბნი, თავადის საცხოვრებელი ადგილი, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა „კოროლევიჩების“ სხვა ამ გვარ საცხოვრებელ ადგილებს; განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ვისნეეეკიმ ყოველგან სასტიკი, წმინდა სამხედრო წეს-რიგი შემოიღო. ვინც იქაური ჩვეულება და წესი არ იცოდა, თუნდა მშვიდობიანს დროსაც მოსულიყო, ეგონებოდა, რალაც ომის მზადებაში არიანო. ჯარის-კაცი აქ მეტი იყო აზნაურშვილზედ, რკინა—ოქროზედ, ხმა საყვირისა—გართობა-ნადიმის ჟივილ-ხივილზედ. ყველგან საოცარი წესი და რიგი იყო დაცული, ყველგან სჩანდნენ რაინდნი სხვა-და-სხვა დროშისანი: ჯავშნიანთა, დრაგუნთა, ყაზახთა, ვლახელთა; ამ დროშათა ქვეშ მსახურებდა არა მარტო მთლად გაღმა მხარი დნეპრისა, არამედ თავად-აზნაურობაც, რესპუბლიკის სხვა-და-სხვა მხრიდან მოსული და თავის ნებით შესული თავადის სამსახურში. ვისაც უნდოდა ნამდვილ სამხედრო სკოლაში გაწურთვნილიყო, ლუბნში მიდიოდა; იქ, რუსინებთან ერთად, შეიძლებოდა ნახვა მაზურებისაცა, ლიტველებისაცა, მალოპოლიანებისაცა, პრუსაკებისაც კი. ქვეითი რაზმები და თოფჩები—ესრედ-წოდებულნი „ცეცხლის კაცნი“—უმეტეს ნაწილად ნემენცები იყვნენ, დიდის ჯამაგირით დაქირავებულნი; დრაგუნებად მსახურებდნენ უფრო ადგილობრივნი მკვიდრნი, ლიტველნი თათართა დროშის ქვეშ იყვნენ, მალოპოლია-

ნები ჯავშნიანთა დროშას რჩეობდნენ. თავადი ნებას არ აძ-
ლევდა თავისს ჯარს, განებივრებულიყო და ამიტომ ჯარის-
კაცნი განუწყვეტელს მოძრაობასა და ვარჯიშობაში ჰყვანდა.
ერთი რაზმი სცვლიდა მეორეს სტანიცებსა და მიჯნებზე, მეო-
რენი შემოდიოდნენ ისევ თავადის სამყოფელ ლუბნში; ვარჯი-
შობა და აღლუმი თითქმის ყოველ დღე ინიშნებოდა. ხანდა-
ხან თავადი შორს გაილაშკრებდა ხოლმე მინდვრებსა და უდა-
ბურს ადგილებში, რათა ჯარის-კაცნი მიჩვეულიყვნენ ლაშკრო-
ბის სიძნელეს და მისწვდომოდა იმ ადგილებს, რომელთაც არა-
ვინ მისწვდომოდა მანამდე და ამ სახით უფრო შორს განთქმუ-
ლიყო მისი სახელი. შარშან შემოდგომას, მაგალითად, თავად-
მა მოილაშკრა დნეპრის მარცხენა სანაპირონი კუდაკამდე, სა-
ცა მეცხენეთა უფროსმა, პან გროდზიცკიმ მეფური პატივი
სცა, მერე ჩავიდა ჩორტიცამდე და კუჩასის არე-მარეზე ააგე-
ბინა სერი იმის ნიშნად, რომ ასე შორს ჯერ არავინ წასულა
ლაშკრობითაო *).

პან ბოლუსლავ მაშკევიჩი, ყოჩაღი ჯარის-კაცი და სწავ-
ლული, რომელმაც ასწერა ესა და სხვა ლაშკრობანი თავა-
დისა, უამბობდა სქშეტუსკის საოცარს ამბებს უკანასკნელის
გალაშკრების შესახებ. იმის ნაამბობს ამოწმებდა ვოლოდი-
ევსკიცა. ვნახეთო ჭორომები, საკვირველება რამ არისო,
მეტადრე კაცი-ჭამია, უმაძღარა, რომელიც, როგორც ძვე-
ლად სცილლა და ხარიბდა, ყოველ-წლივ, რამდენისამე კაცის
სიცოცხლეს იწირავდა მსხვერპლად. მერე აღმოსავლეთად გავე-
მართენითო, გოლვისაგან გადახრუკულ მინდვრებისაკენაო, რო-
მელიც იყო ბუნაგი ათას გვარ ქვეწარმავალთა და უშველე-
ბელ გველთა; თითო გველს ათი წყრთა სიგრძე ჰქონდა და მა-
ჯის სისხო იყო სისქითაო. გზა და გზა განმარტოებით მდგო-
მარე შუხაზედ ამოვჭრიდით ხოლმე სხვა-და-სხვა შემთხვევათა
სახსოვრად თავადის ღერბსაო; ბოლოს ხომ ერთს ისეთს უსი-
ერსა და ყრუ ადგილს მივედით, საცა ადამიანის შვილის კვა-
ლიც კი არსადა სჩანდაო.

— ასე მეგონა,—სთქვა სწავლულმა პან მაშკევიჩმა,—რომ
ჩვენც ულისის ხვედრი გვეწევა-მეთქი.

*) მაშკევიჩის სიტყვებია. შესაძლოა მაშკევიჩმა არ იცოდა, რომ სა-
მუელ ზბოროვსკი სერს იყო.

ხოლო პან ვოლოდიევსკიმ დასძინა:

— შეიხვანე ზიმაისკის დროშის ჯარის-კაცნი ფიცულობდნენ, რომ ვნახეთ ის კიდური, საცა თავდება ქვეყანაო (finis orbis terrarum).

დესპანმაც თავისის მხრით უამბო ამხანაგებს ამბავი ყირიმისა, საცა თითქმის ნახევარ წელიწადს დაჰყო მის უდიდებულესობის ყეენის პასუხის მოლოდინში, ამბავი იქაურ ქალაქებისა, რომელნიც გადარჩენოდნენ ჟამთა-ვითარებას; უამბო ამბავი თათრებისა, მათის სამხედრო ძლიერებისა და, ბოლოს, ისიც უთხრა, იქაურობა შიშით დაიწყებს ხოლმე ძრწოლას, გაიგებენ თუ არა, რომ მთლად რესპუბლიკის ჯარი აპირობს თავს დაგვესხასო.

პან ლონგინუსმა უცბად მოიგო ყველას გული და მერე პატივისცემაც დაიმსახურა, როცა საკვირველი ღონე გამოიჩინა და დაუწყო თავისს მახვილს ტრიალი ხელითა. რასაკვირველია, არც თვისის წინაპარის სტოვეიკოს ამბავი დაივიწყა, სამის თავის ერთად მოკვეთის ამბავი, მხოლოდ თვისის აღთქმისაკი არა სთქვა-რა, რადგან ეშინოდა, ვაი თუ მასხარად ამიგდონო. ყველაზედ ძლიერ დაუმეგობრდა ვოლოდიევსკის (ორივე მეტად გულ-ჩჩვილნი იყვნენ და იმიტომ); რამდენსამე დღეს ერთად დადიოდნენ ციხის თხრილების სანახავად და იქ ოხრავდნენ, ერთი თავისს მიუწდომელ ვარსკვლავისათვის, კნიაჟნა ანნასათვის, ხოლო მეორე იმ უცნობისათვის, რომელსაც ასე აშორებდა სამი აღთქმული თავი.

ვოლოდიევსკის უნდოდა, რომ პან ლონგინუსი დრაგუნად შესულიყო, მაგრამ ლიტველს მტკიცედა ჰქონდა გადაწყვეტილი ჯავშნიანთა შორის ჩაწერილიყო, რათა უფროსად პან სქშეტუსკი ჰყოლოდა. გამოუთქმელი სიხარული იგრძნო, როცა გაიგო ლუბნში, რომ დესპანი ყველას ნამდვილ რაინდად მიაჩნდა, ერთ უკეთეს აფიცრად თავადის აფიცერთა შორის. მერე ახლა ადგილიცა თავისუფლდებოდა პან სქშეტუსკის სადროშოში, ადგილი პან ზაქშევსკისა, რომელსაც მეტ სახელად ეწოდებოდა miserere mei და რომელიც დიდი ხანი იყო,

რაც ლოგინად ჩავარდნილიყო და იმედიც აღარავის ჰქონდა იმის მორჩენისა. სიყვარულის გამო მის გულში დასადგურებულს შფოთვა-მღელვარებას მიემატა ახლა იმის შიშიცა, რომ ვაი თუ ეს ძველი მეგობარი, ნაცადი ამხანაგი ხელიდან გამომეცალოსო და ამიტომ პან სქშეტუსკი ავადმყოფს აღარა შორდებოდა, ანუგეშებდა, რამდენადაც შეეძლო და იმედს აძლევდა მორჩენისასა.

გარნა მოხუცი ნუგეშინისცემას არა საჭიროებდა. მხცოვანი გმირი მხიარულად ეთხოვებოდა წუთი სოფელს თვისს რაინდულს ცხედარზედ, რომელზედაც ცხენის ტყავი იყო დაფენილი და თითქმის ბავშვურის ღიმილით შეჰყურებდა ჯვარცმას, იქვე კედელზედ ჩამოკიდებულს.

— Miserere mei,—უთხრა პან სქშეტუსკის,—უკვე მივდივარ საიქიოს. ხორცი ჩემი ისე დაკემსილ-დაცხავებულია ნაწყლულევებითა, რომ არ ვიცი შემიშვებს-ღა თუ არა წმინდა პეტრე სამოთხეში ასეთის დაგლეჯილ-დაფლეთილის ტანისამოსითა. მე კი ვეტყვი: „წმინდაო პეტრე! გაფიცებ მალოზის ყურსა, ნუ ჩამაგდებ უსიამოვნებაში: ურჯულოებმა დამიმახინჯეს ასე ტანი და ხორცი... miserere mei! ხოლო თუ მთავარანგელოზს შეემთხვევა კიდევ სადმე ომი და ბრძოლა ჯოჯოხეთის ძალთა-თანა, მოხუცი ზაქშევსკი კიდევ გამოდგებაო".

და პარუჩიკს, თუმცა თვითონაც ბევრჯელ პირის-პირ ენახა სიკვდილი, მაინც არ შეეძლო უცრემლოდ მოესმინა სიტყვები მოხუცისა, რომელიც ისე ჰქრებოდა და ილეოდა, თითქო მზიანი, დარიანი დღე ჰქრება და ილევაო.

ერთს დილას ლუბნის ყველა ეკლესიისა და მონასტრის ზარებმა აუწყეს ხალხს აღსრულება პან ზაქშევსკისა. ამ დღეს მოვიდა სენჩიდან თვით თავადიცა, მთავარი ვისნეველკი და მასთან ერთად პან ბოდძინსკი და ლიასოტაცა და მთლად ამალა. თავადმა დიდის ამბით დაასაფლავებინა მიცვალებული და მით პატივი სცა განსვენებულის ღვაწლსა, ხოლო ქვეყანას დაანახვა, აი როგორ მიყვარს ჩემნი რაინდნიო. დასაფლავებას დაესწრნენ ყველა რაზმნი, რომელნიც კი იმ ხანად ლუბ-

ნში იდგნენ; გალავნიდან მოისმოდა თოფისა და ზარბაზნის სროლა. თვით მთავარი სულ ძაძა-ფლასით მოსილი, კუბოს მისდევდა ოქროს ეტლით, რომელშიც ება რვა თოვლივით თეთრი ცხენი. ეტლს წინ მიუძღოდნენ იანიჩარნი, საკუთრად თავადის მცველნი; ეტლს მისდევდნენ ცხენებით სეფე-წულნი, ესპანურის ტანისამოსით დართულნი, მერე კარის დიდებულნი და მოხელენი, თავად-აზნაურნი, ამალა და ბოლოს გაიდუკნი. სამგლოვიარო ლოტანიით მიმავალნი შეჩერდნენ პირველად ეკლესიის კარ-წინ, საცა ქსენძი იასკულსკი მიეგება ცხედარს სიტყვით, რომელიც ასე დაიწყო: „საით მიეშურები, კეთილო ზაქშევსკი?“ თვით ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა მეფევრ-მეტყველთა შორის უმეფევრმეტყველესმა მქადაგებელმა ქსენძმა იეზუიტმა მუხოვეცკიმ და ისეთის გრძნობით ილაპარაკა, რომ თვით მთავარს ცრემლები მოერია. ძლიერს მაგნატს წმინდა სანთელივით ჩჩვილი გული ჰქონდა და ნამდვილი მამა იყო თვისთა ჯარის-კაცთათვის. ყველგან სასტიკი წეს-რიგი შემოიღო, მაგრამ გულ-უხვობითა და გულ-კეთილობითაც განთქმული იყო: მისნი ყმანი ჯალაბობითურთ იმის მზესა ჰფიცავდნენ, იმდენად გულ-სრულნი იყვნენ მისის ნაბოძეარითა და უხვებითა. უმოწყალოდ საშიში მეამბოხეთათვის, იგი იყო ჭეშმარიტი კეთილ-ის-მყოფელი არა მხოლოდ თავად-აზნაურობისა, არამედ მთელის ერისაცა. როცა ოთხმოცდა ექვს წელს კალიამ გაანადგურა ჭირნახული, მთელის წლის ღალა-ვადასახადი აპატივა ხიზნებს, ხოლო როცა ცეცხლმა იმსხვერპლა ხოროლი, მთლად მკვიდრნი ამ ქალაქისა თვისის ხარჯით შეინახა ორს თვესა. იჯარადარნი და მოურავ-გამგებელნი მისის მამულ-დედულისა შიშითა ძრწოდნენ, მთავარმა არ გაიგოს, თუ შეგვიეიწროებია ვინმეო. დნეპრის მთელს გალმა-მხარეში ობლებს ისე არ მოიხსენებდნენ, რომ „მთავრის ძენი“ არ ეწოდებინათ მათთვის. თვით კნეინა გრიზელდა ზრუნავდა მათთვის მამა მუხოვეცკის შემწეობითა და დახმარებით. მთავრის ყველა საბრძანებელში სუფევდა წესი და რიგი, მშვიდობიანობა, სამართლიანობა და დოვლათი, მაგრამ ამასთანავე შიშიცა, რადგან მცირედი წინა-

აღმდეგობა რომ შეენიშნა, მისს განრისხებას სამზღვარი აღარა ჰქონდა: მისი ხასიათი ადვილად იშვნევდა დიდ სულოვნებასა და სისასტიკესა. მაგრამ იმ დროს და იმ ქვეყნებში მხოლოდ სასტიკობით შეიძლებოდა დაჭერა ხელში თავ-გასულთა და მაშფოთართა, მხოლოდ სასტიკობის წყალობით შენდებოდა ქალაქები და სოფლები, მხვნელ-მთესველი სძლევდა გაიდამაკსა, ვაჭარი გულ-დამშვიდებით ატარებდა თვისს საქონელსა, ზარები თავისუფლად მიუწოდებდა ლოცვად მორწმუნეთა, მტერს არ შეეძლო გადაელახნა სამზღვარნი, ბრბონი ლირფთა და საზიზღართა ილუპებოდნენ მარგილებზედ ჩამოცმითა ან-და გარდიქმნებოდნენ გულად ჯარის-კაცებად, ხოლო უდაბნოდ ქმნილი ქვეყანა—აღყვავებულ ბაღად.

განადირებულ ქვეყნისა და მცხოვრებლებისათვის ასეთი მტკიცე ხელი იყო საჭირო. დნეპრის გაღმა მხარს მოდიოდნენ უკრაინიდან ყოვლად მოუსვენარნი, თავს იყრიდნენ რესპუბლიკის ყოველ მხრიდან ლტოლვილნი გლეხ-კაცნი, დამნაშავენი და პყრობილნი, ერთის სიტყვით, ლიეიის თქმისა არ იყოს, „pastorum convenarumque transfuga et suis populis“. ამათი შეშში ყოლა, მშვიდობიან მცხოვრებლებად გადაქცევა, დამკვიდრება და დაბინავება შეეძლო მხოლოდ იმისთანა ლომს, რომლის ჭექა და გრგვინვა თავ-ზარ დამცემი ყოფილიყო ყველასათვის.

პან ლონგინუს პოდბიპენტამ რომ პირველად მთავარი ჰნახა ზაქშევსკის დასაფლავებაზედ, განცვიფრებიდან გამოვიდა. იმდენი ქება-დიდება გაეგონა იმისი, რომ ეგონა ერთი ახოვანი, ბუმბერაზი იქნებოდა ვინმე, მთავარი კი პატარა ტანის კაცი იყო და სუსტს, კანტს ადამიანსა ჰგვანდა. მოხუცი არ იყო,—სულ ოც და თექვსმეტის წლისა სრულდებოდა,—მაგრამ პირი-სახეზედ ცხადად ემჩნეოდა კვალი სამხედრო ღვაწლმოსილებისა. ლუბნში ისე სცხოვრობდა, როგორც ნამდვილი მეფე, ხოლო მრავალ ომიანობისა და ლაშქრიანობის დროს უბრალო ჯარის-კაცივით ითმენდა ყოველს გაჭირებას, სჭამდა საერო პურს და ეძინა ძირს, ცარიელს ქეჩაზედ. ასე ჰქონდა გატარებული თითქმის ნახევარ სიცოცხლე; რა გასაკვირველია,

რომ ყოველივე ესე დასჩნეოდა სახეზედაც. იერზედ ეტყობოდა შეუმდრკალი ძალა რკინა-ძვალისა, დიდება ისეთი, რომლის წინაშეც ყველა უნებურად თავს იხრიდა, სჩანდა, რომ ამ კაცმა კარგად იცოდა თვისი შემძლებელობა და ძლიერება,—და ხვალვე რომ გვირგვინი დაგედგათ თავზედ, არც გაჰკვირდებოდა, არც დაიჩაგრებოდა მისის სიმძიმით. იმის დიდრონ, მშვიდობიან, თითქმის წყნარ თვალებისათვის რომ შეგეხედნათ, გეგონებოდათ, შიგ ელვა და მეხია დაფარული და ვაი იმას, ვისაც თავს დაატყდებაო! არავის არ შეეძლო აეტანა ამ თვალების მშვიდობიანი ელვარება; არა ერთხელ მომხდარა, რომ რომელიმე ელჩი, გამოცდილი და დარბაისელი კარის-კაცი არეულა, როცა თავად ერემიას წინაშე დამდგარა და ველარ დაუწყვია თქმა წინ-და-წინვე მომზადებულის სიტყვისა. ნამდვილი მეფე იყო თავისს სამოურავო-სამთავროში. იმის დარბაზში იწერებოდა წყალობის სიგელნი და ბრძანებანი, რომელიც ასე იწყებოდა: „ჩვენ, ნებითა მღვთისათა, მთავარი და ბატონი“ და სხვ. ცოტანი იყვნენ პანებ შორის მისნი ტოლნი და სწორნი; ბევრნი თავადნი, შთამომავალნი მფლობელთა და მთავართა, მის კარ-წინ მსახურებდნენ. ასეთი იყო თავისს დროს მამა ელენესიცა, ვასილი ბულიგა-კურცევიჩი, პირდაპირი შთამომავალი რიურიკისა.

თავადს ერემიას ისეთი თვისება ჰქონდა, რომლის წყალობითაც, თუმცა ბუნებით კეთილი იყო, გაკავებულნი და გაკმენდილნი იყვნენ მისნი მახლობელნი და ხელქვეითნი. ჯარისკაცნი უყვარდა და შინაურულადაც ექცეოდა ხოლმე, მაგრამ თვით მასთან კადნიერად და შინაურულად ქცევას კი ვერავინა ჰბედავდა. მაინც, ებრძანა კი თავისის რაინდებისათვის ოღონდ დნეპრში გადასცვინდით კლდიდანაო და ისინიც წარბ-შეუხრელად აასრულებდნენ მისს სურვილს.

დედა ვლახელი ქალი იყო და მისგან გამოჰყვა სითეთრე პირის კანისა, ის სითეთრე, რომელიც დასცემს ხოლმე ცეცხლში გახურებულს რკინას და ყორნის ბოლოსავით შავი თმები, რომელიც წარბებზედ სცემდა და თითქმის სანახევროდ უფა-

რავდა შუბლს. ჩვეულებრივ დიდად არა ზრუნავდა თავისს ტანისამოსისათვის და მხოლოდ სადღესასწაულო შემოხვევაში ჩაიცვამდა ხოლმე მდიდრულად და მაშინ კი სულ ოქრო-ვერცხლითა ბრწყინავდა და ძვირფასის თვალ-მარგალიტით იყო მოფენილი მისი ჩასაცმელ-დასახური.

პან ლონგინუსი დაესწრო ამისთანა შემთხვევას, როცა მთავარმა მიიღო ელახეთის ელჩი მისის ამალითურთ. ეს ამბავი მოხდა „ცისიერ“ დარბაზში, რომელსაც იმიტომ უწოდებდნენ ასე, რომ მის ჭერში დანციგელს მხატვარს ჰელმს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაეხატა. მთავარი იჯდა მაღალს საავარძელში, ანუ უფრო სამეფო ტახტზედ, ამფოანს ქვეშ, რომელიც ხავერდითა და ყარყუმის ბეწვით იყო მოჩითული; საავარძელს უკან იდგნენ ქსენძი მუხოვეცკი, მდივანი, სახლთ-უხუცესი თავადი ვარონიჩი, პან ბოღუსლავ მაშკევიჩი, მერე სეფე-წულნი და თორმეტი შუბ-ნაჯახიანი ჯარის-კაცი; დანარჩენი ნაწილი დარბაზისა, მეორე ნახევარიც გავსებული იყო მდიდრულად მოჩითულ რაინდებითა. პან როზვანმა გოსპოდარის სახელითა სთხოვა მთავარსა, აიძულეთ როგორმე ყეენი, ალაგმოს თავისი თათრები, რომელნიც ყოველ წლივ არბევენ ელახეთსაო. მთავარმა შვენიერის ლათინურის ენით უპასუხა, რომ ბუჯაკის თათრები თვით ყეენსაც ნაკლებად ემორჩილებიანო, მაინც ვეცდები მოვაგვარო როგორმე ეგ საქმეო.

პან სქშეტუსკიმ ადრევე მისცა ანგარიში თავისის ელჩდესპანობისა და ამასთანავე უამბო, რაც გაიგონა ხმელნიცკისა და მის გავარდნის შესახებ. თავადმა განკარგულება მოახდინა, რომ რამდენიმე რაზმი კუდაკისკენ გაეგზავნათ, მაგრამ საზოგადოდ კი მთლად ამ საქმეს მცირე მნიშვნელობას აძლევდა და, რაკი ისე ეგონა ყველას, რომ დნეპრ-გამოღმა სამთავროს და მისს ძლიერება-მყუდროებას არა-რა შიში არ მოელისო, ლუბნში დაიწყეს გაბმული ნადიმი და დროს-გატარება, ზოგი ელახეთის ელჩის პატივ-საცემლად, ზოგიც მაშინჯრების პან ბოდძინსკისა და ლიასოტის მოსვლის გამო, რომელთაც უკვე სასურველი პასუხი მიიღეს თავადისა და კნინა გრიზელდაესაგან.

მხოლოდ ერთი საწყალი ვოლოდიევსკი იწოდა და იდაგოდა გამოუთქმელად და, როცა პან სქშეტუსკი მოინდომებდა ნუგეშინისცემას, მოწყენით უპასუხებდა ხოლმე:

— შენ რა გიშავს; იცი, რომ ანუსია შენ არ აგცდება. როცა აქ არ იყავი, გულითა და სულით მოგიგონებდა ხოლმე. ჯერ მეგონა, რომ ბიხოვეცის გაგულისება უნდა-მეთქი, მაგრამ ახლა კი სულ სხვასა ვხედავ.

— არა, მე ანუსიას არ ვეტრფი! შენ ემიჯნურე ისევ, არ დაგიშლი. ანნას ფიქრადაც აღარ ვიტარებ გულში. იმის ტრფობა იმას ემგვანება, რომ ქუდის დაფარება მოინდომოს ვინმე ფენიქსისა მის ბუდეში.

— ვიცი რომ ფენიქსია... ლამის დარდმა მომკლას.

— არც არას მოგკლავს და არც არას დაგაკლებს, მალე სხვა შეგიყვარდება. მაგრამ გეთაყვა, კნიაჟნა ბარბარა კი არ შეგიყვარდეს, თორემ ახლა იმას გამოგაცლის ვინმე ხელიდან.

— განა გული მონაა, რომ შეიძლებოდეს ბრძანება აძლიო? განა შეიძლება თვალებს უთხრა, ნუ სტკბები კნიაჟნას საოცარის სახის შვენებითაო? ის ისეთი რამ არის, რომ ვგონებ ნადირსაც კი ეშხზედ მოიყვანს.

— აი ხათაბალა კაცი!—გაიოცა პან სქშეტუსკიმ.—შენ მგონია უჩემოდაც მალე ინუგეშებ თავსა! მე კი მაინც გაგიმეორებ: ისევ ანუსიას დაუწყე ტრფიალი და მე ჩემის მხრით არას დაგიშლი.

ანუსიას კი, მართლაც, ფიქრადაც არ მოსდიოდა ვოლოდიევსკის სიყვარული.

ქალს ძალიან ატკინა გული პან სქშეტუსკის გულ-გრილობამ: ნახევარ წლის გარედ ყოფნის შემდეგ დაბრუნდა სახლში და ერთხელ ზედაც არ შეჰხედა. საღამოობით, როცა თავადი სასტუმრო ოთახში შევიდოდა ხოლმე თავისის აფიცრებით, ანუსია უდგა გვერდით კნეინას და ცალის თვალით (კნეინა მაღალის ტანისა იყო, ხოლო ანუსია დაბალისა) დაშტერებით უცქეროდა დესპანს; სცდილობდა გაეგო რამე, ეს რა

გამოცანა კაციაო. სქშეტუსკის ფიქრი ამ დროს სულ სხვაგან რბოდა, ხოლო თუ ოდესმე შემთხვევით დააცქერდებოდა ანუსიას, დააცქერდებოდა ისე ცივად, ისე გულ-გრილად, თითქო პირველადა ჰხედავსო.

— რა დაჰმართნია ნეტა?—ჰკითხავდა თავის-თავს მთელის სასახლის ნებიერი და, გაჯავრებით აბაკუნებდა რა თავის პაწაწა ფეხს, ფიცულობდა, უთუოდ გავიგებ, რაც ამბავიაო. ნამდვილად კი ანუსიას სრულიად არ უყვარდა პან სქშეტუსკი, მაგრამ რაკი მიჩვეული იყო, რომ ყველა დაეძლია ხოლმე და ყველას გული დაემონა, ველარ იტანდა გულ-გრილად მოპყრობას და ამიტომ მზად იყო ოვითონ შეეყვარებინა ასეთი თვისი შეურაცხმყოფელი.

ერთხელ, როცა ფაცა-ფუცით დარბოდა, რომ საჩქაროზედ აესრულებინა რაღაც ბრძანება კნეინასი, უცბად შეეფეთა სქშეტუსკის. ისე უცბად შეეფეთა კაცს და ისე დაეჯახა, რომ კინაღამ არ წააქცია. უეცრადვე შესდგა და შეჰკივლა:

— უჰ, რანაირ შემეშინდა! დილა მშვიდობისა, პან სქშეტუსკი!

— დილა კარგა ყოფნისა, პანნა ანნა! ნუ უკვე ისეთი საშინელება ვარ, რომ აგრე შეგეშინდათ ჩემი?

ყმაწვილმა ქალმა თვალები ძირს დაჰხარა და, ვითომ ძალიან შემრცხვაო, სთქვა:

— ო, არა, არა! გარწმუნებთ...

შეჰხედა პორუჩიკს და კვლავ დაჰხარა ძირს თვალები.

— რაზედ მიწყრებით, კნიაჟნა?

— მე? განა თქვენ ყურადღებას აქცევთ ჩემს წყრომასა?

— არავითარს. ძალიან დარდი მაქვს!

— იქნება გგონიათ, რომ ეხლავე ტირილს დავიწყებ? სცდებით! პან ბიხოვეცი ბევრად უფრო ზრდილობიანია თქვენზედ...

— თუ აგრეა, მე სხვა აღარა დამრჩენია-რა იმის მეტი, რომ ადგილი ბიხოვეცს დავუთმო და თვალით აღარ დაგენახვოთ.

— მერე, მე გიჭერთ განა?

სთქვა ესა ანუსიამ და გადაეღობა წინ.

— მაშ, ყირიმიდან დაბრუნდით?

— ყირიმიდან დავბრუნდი.

— მერე, რა მოიტანეთ იქიდან?

— პან პოდბიპენტა მოვიყვანე. ხომ ჰნახეთ? ძალიან სასიამოვნო კაცია და ღირსეული რაინდი.

— ეჰვი არ არის, რომ ის თქვენზედ ბევრად სასიამოვნოა. მერე რად მოვიდა აქა?

— იმიტომ რომ ვნახოთ, იმის დაძლევასაც შესძლებს თუ არა თქვენი ეშხი და სილამაზე. მაგრამ მე კი არ გირჩევთ, რომ იმის გულის დაძლევაც მოინდომოთ, იმიტომ რომ ერთი საიდუმლო ვიცი, რომლის ძალითაც ეგ რაინდი უძლეველია... და ამიტომ თქვენც კი ვერას დააკლებთ იმას.

— რითია უძლეველი?

— იმითია, რომ ცოლის შერთვა არ შეუძლიან.

— მე რა მერე? რატომ არ შეუძლიან ცოლის შერთვა?

სქშეტუსკი დაიხარა და ხმა-მაღლა ჩაჰყვირა ყურში ყმაწვილს ქალს:

— აღთქმა აქვს დადებული უბიწოებისა.

— რა უზრდელობაა ეგ თქვენი!—შეჰკივლა ანუსიამ და ისე გაფთხრიალდა მაშინვე ოთახიდან, თითქო შეშინებული ჩიტიაო.

მაინც იმ საღამოსვე პირველად პან ლონგინუსს მიაქცია ყურადღება ანუსიამ და გულ-მოდგინედ დაუწყო სინჯვა. იმ ღამეს სტუმრები საკმაოდ ბლომად იყვნენ, რადგან პან ბოდძინსკი მეორე დღეს აპირობდა წასვლას და გამოსათხოვებლად თავადთან იყო. ჩვენი ლიტველი კოხტად იყო მორთული თეთრის ატლასის დოშლუღითა და მუქი-ლურჯის ხაველრ-დის ქულაჯით. ასე მორთული ლონგინუსი ძალიან მართებულსა და სასიამოვნო ყმაწვილსა ჰგვანდა, მით უფრო, რომ ჯალათის მახვილის მსგავსი ხმალი აღარ შემოერტყა და მის მაგიერ, პატარა მოკაუჭებული ხმალი ეკიდა მოოქროვებულის ქარქაშითა.

ანუსა სიყვარულით შესცქეროდა პან ლონგინუსს და ეშ-ხის ისრებსა სტყორცნიდა, სხვათა შორის სქშეტუსკის ჯიბრ-ზედაცა. დესპანს იქნება ვერც კი შეემჩნია ეს გარემოება, რომ ვოლოდიევსკის მუჯლუგუნი არ წაეკრა და არ ენიშნებინა:

— თათრებმა წამიყვანონ ტყვედ, თუ ანუსია ამ ლიტველს მარგილს ირ შესცქნავის.

— თვითონ იმას უთხარი ეგ ამბავი.

— ვეტყვი! კაი ცოლ-ქმარნი კი იქმნებიან, აი!

— ის ისე აყლაყუდაა და ქალი კი ისეთი თოჯაა, რომ იმის დოშლულის საკინძედ ძლივს გამოადგებოდა.

— ან იმის ქუდის ყალამადა.

ვოლოდიევსკი მივიდა ლიტველთან.

— პან პოდბიპენტა,—უთხრა ვოლოდიევსკიმ,—დიდი ხა-ნი არ არის, რაც აქ მობძანდით და უკვე დაგვანახვეთ, რა წი-თელი კოჭიცა ბრძანდებით.

— რა წითელი კოჭი, სასურველო, რა კოჭი?

— ის კოჭი, რომ ლამის გადირიოს თქვენის სიყვარულით ყველაზედ ლამაზი ქალი ამ ჩვენის სასახლის ქალებში.

— ქაჯან!—და პან ლოგინუსმა ისე შემოიწყო გულზედ ხელები, თითქო ლოცვისათვის ემზადებაო,—რას არ მოიგო-ნებთ!

— აიგერა, შეჰხედეთ ანუსა ბოჟობოლატას (რომელსაც ყველანი ვემიჯნურებით აქა); თვალს აღარ გაშორებს. გაფრ-თხილდით მხოლოდ, რომ ისევე არ გაგაცუროთ, როგორც ჩვენ ყველანი გაგვაცურა.

ვოლოდიევსკი შემოტრიალდა წაღის ქუსლზედ და მოჰ-შორდა პან ლონგინუსს, რომელიც სახტად დარჩა და საკვი-რველებიდან იყო გამოსული; უცბად ვერ გაჰბედა ანუსიასკენ შეეხედნა, მაგრამ ბოლოს მოიკრიფა გამბედაობა და, ვითომ უსაბედად შეჰხედა და... სულ ერუანტელმა დაუარა ტანში. კნეინა გრიზელდას მხრიდან მართლა ჩაცივებითა და ცნობის მოყვარეობით უცქეროდა კნიაჟნა თვისის შვენიერის მაყვალი-ვით შავის თვალებითა. „Apage satanas!“ გაიფიქრა გულში ლი-

ტველმა და, სკოლის შეგირდიეთ გაწითლებული მიიმალა დარბაზის მეორე კუთხეში.

მაინც ცდუნება ძლიერი აღმოჩნდა. ის ეშმაკი, რომელიც კნეინას მხრებს იქიდან გამოიყურებოდა, ისეთი მშვენიერი იყო, მისი თვალები ისე ბრწყინავდა ეშხითა, რომ პან ლონგინუსს გული აღარ უთმენდა და უნდოდა ერთხელ კიდევ შეეხედნა კნიაგინასთვის. მაგრამ უცბად მოაგონდა თვისი აღთქმა, თვალწინ წარმოუდგა დიდებული სახე ზერვი-კაპტურისა, წინაპარის სტოვეიკო პოდბიპენტასი... და შიშმა შეიპყრო პან ლონგინუსი. შეუმჩნეველად გადიწერა პირჯვარი და ცდუნება განჰქრა.

მეორე დღეს, დილა ადრიან მივიდა პან სქშეტუსკისთან.

— მალე ვიომებთ, პან ლესპანო? რა ისმის ომიანობისა?

— რას გეჩქარებათ აგრე? მოთმინება იქონიეთ, იმ დრომდე მაინც, ვიდრე ჯარში ჩაგწერდნენ. პან პოდბიპენტას ჯერ არ დაუჭერია ადგილი განსვენებულის ზაქშევსკისა. პან ლონგინუსს უნდა ეცადნა, ვიდრე დაწესებული ვადა არ გავიდოდა, ხოლო ეგ ვადა თავდებოდა პირველ აპრილს.

ლიტველს ალბად სხვა რამ აუცილებელი საჭიროება ატანდა ძალას და ამიტომ მან კვლავ განაგრძო გამოკითხვა:

— თავადს არა უთქვამს-რა შენთვის მაგ საქმის შესახებ?

— არაფერი. მეფე კი სიკვდილამდე ომიანობის ფიქრს არ დაუტევებს, მაგრამ რესპუბლიკას არ უნდა ომი.

— ჩიგირინში ამბობენ, რომ საშიშია, ყაზახთა ამბოხება არ მოხდესო?

— თქვენი აღთქმა გაწუხებთ ვგონებ ძალიან. რაიცა შეეხება ამბოხებას, იცოდეთ, რომ გაზაფხულზედ ადრე არ მოხდება, ახლა კი ზამთარია. მართალია, დიდი ზამთარი არ არის, მაგრამ მაინც ზამთარია. ეხლა მხოლოდ 15 თებერვალია, შეიძლება ყინვა დაიჭიროს კიდევ, ყაზახი კი მინდვრად არ გავა, ვიდრე თოვლს არ აიღებს, ვიდრე დედა-მიწა არ გალხვება, ვიდრე ღონისძიება არ ექნება თხრილი ამოიღოს და საფარი გაიკეთოს. ყაზახნი, თუ სანგალი აქვთ, ისე ომობენ, როგორც

ლომნი, ხოლო მოტიტვლებულს მინდორში კი ომი არ შეუძლიანთ.

— მაშ ყაზახთა იმედი უნდა გვქონდეს.

— რა გითხრათ პასუხად? ყოველ შემთხვევაში, თუნდა მაგ ამბოხების დროსაც იპოვოთ ის თქვენი ერთად მოსაკვეთი სამი თავი, მაინც კიდევ საეჭვოდ დარჩება, შეასრულეთ თუ არა თქვენი აღთქმა. აჯანყებულნი რომ ან ჯვარ-შემოსილნი იყვნენ, ან ოსმალნი, მაშინ სხვა იქნებოდა. აქ კი ყაზახნი არიან, შვილნი ერთისა და იმავე დედისანი.

— ო, დიდებულო ღმერთო! ძალიან თავ-სამტვრევი საქმე გამიჩინეთ ეგა. რა უბედურებაა! იქნება ქსენძმა მუხოვეცკიმ გამომირკვიოს ჩემი იქვნეულობა? თუ არა გავიგე-რა, ერთს წუთს ვერ მოვისვენებ.

— ალბად გამოგირკვევს; კაცი სწავლულია და კეთილ-მორწმუნე, მაგრამ არა მგონია კი, დამამშვიდებელი რამ პასუხი გაგცეთ. Bellum civile—ძმათა შორის ომია!

— მეამბოხეთ რომ სხვანიც მიეშველნენ ვინმე?

— მაშინ კი თავისუფლად შეგიძლიანთ შეასრულოთ თქვენი გულის-წადილი. მე კი ერთს გეტყვით: ელოდეთ, იმედს ნუ დაჰკარგავთ და იქონიეთ მოთმინება.

ვაი, რომ სხვას აძლევდა ასეთს რჩევას პან სქშეტუსკი და თვითონვე კი ნაკლებად ჰქონდა მოთმინება. თან-და-თან უფრო უძლიერდებოდა დარდი და აბეზრებდა თავს სასახლის ნადიმი და დროს გატარება, აბეზრებდნენ თავს ერთი და იგივე ნაცნობნი. ბოლოს პან როზვან ურსუ და პან ბოდძინსკი და ლიასოტაც წავიდნენ. ყოველივე დამშვიდდა და ცხოვრება თავისს ჩვეულებრივს კვალში ჩავარდა. თავადი ჩაულრმავდა თვისის მოურავების ანგარიშების ჩხრეკა-განხილვასა, იჯდა სულ კაბინეტში და დროებით ჯარის წურთვნა და აღლუმებიც კი გადასდო. სმა და ქეიფი აფიცერთა შორის, საცა გაუთავებელი დავა და ლაპარაკი იყო წარსულ ომიანობათა შესახებ, მეტად მოსწყინდა პან სქშეტუსკის; გადიგდებდა თოფს მხარზედ და გაურბოდა ამ ლხინსა და ქეიფს, მიდიოდა სოლონიცისაკენ,

საცა ოდესმე ჟულკევსკიმ ისეთი საშინელი დღე დააყენა ლობოდას, ნალივაიკას და კრემპსკისა. შებრძოლების კვალი ერთნაირად წაშლილიყო ადამიანთა ხსოვნაშიაცა და თვით იმ ადგილებშიც, საცა ის შებრძოლებანი მომხდარიყო. მხოლოდ ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა ხოლმე მიწიდან თეთრი ძვლები ომში დახოცილთა და წყალ-გალმა ამართული იყო თხრილი, რომლის მოფარებითაც ისეთის განწირულებით იბრძოდნენ იმიერ-ჭორომელნი ლობოდასი და ნალივაიკას თავისუფალნი ჯარის-კაცნი, მაგრამ თხრილიც უკვე წვრიმალას დაეფარა. აი აქ ემალებოდა სქშეტუსკი სასახლის ჟღავი-ჟღუვსა, აქ მოიხსნიდა ხოლმე თოფს მხრიდან და ეძლეოდა თავის ფიქრ-ოცნებასა; აქ მის სულიერ თვალთ ცხოელად წარმოუდგებოდა ხოლმე სურათი საყვარელის ქალისა; აქ, ამ მიყრუებულ ადგილას ნელ-ნელა ყუჩდებოდა მისი გულის-ტკივილი, ჰქრებოდა მისი დარდი და ნაღველი.

გაზაფხული კი ამასობაში თან-და-თან ახლოვდებოდა. წვიმამაც, ძლიერმა, შხაპუნა წვიმამაც ხშირ-ხშირად დაიწყო მოსვლა: სოლონიცა ერთ გაუვალ ჭაობად გადაიქცა და დესპანს მოაკლდა ეს ერთად-ერთი თვისი სანუგეშო ადგილიცა. ამასთანავე უფრო და უფრო ძლიერდებოდა მისი მოუსვენრობაცა. პირველში იმედი ჰქონდა, რომ კნეინა კურცევიჩი მოახერხებს როგორმე და თავიდან მოიშორებს ბოგუნსაო და მოვლენ ლუბნში ისა და ელენეო, მაგრამ ახლა ეს იმედიც გაუქრა. უამინდობამ გაიფუჭა გზები და კარგა დიდს მანძილზედ შეიკრა მისვლა-მოსვლა; უნდა ეცადნა, ვიდრე მინდორს არ გააშრობდა ცხელი მზე გაზაფხულისა. ამოდენა ხნის განმავლობაში ელენე უნდა ყოფილიყო იმისთანა ხალხის მზრუნველობის ქვეშე, რომელსაც სრულიად არ ენდობოდა, რომელსაც ათვალწუნებული ჰყვანდა თვით სქშეტუსკი, ერთის სიტყვით, მგლების ბუნაგში უნდა ყოფილიყო. მართალია, თავიანთ სასარგებლოდვე მოვალენი არიან არ გადავიდნენ თავიანთ სიტყვას და არც სხვა რამ გზა ჰქონდათ; მაგრამ, ვინ იცის, იქნება გამოატყვერინონ რამე, იქნება გაჰბედონ რამე იმ საშინელის ატამანის ზედ-გავლენით, რომელიც

უყვართ კიდეც და რომლისაც ეშინიანთ კიდეც ერთსა და იმავე დროს?! ბოგუნს არ გაუჭირდებოდა, ძალა დაეტანებინა და წაერთმია ქალი; ამისთანა ამბავი არა ერთხელ მომხდარიყო. აი, მაგალითად, საცოდავის ნალივაიკას ამხანაგმა ლობოდამ ხომ ძალა დაატანა პანი პობლინსკისას, მე მომათხოვე შენი გაზრდილი ქალიო, თუმცა ამ ქალს გვარიც კარგი ჰქონდა და სულითა და გულითაც ეჯავრებოდა ატამანი. ხოლო თუ ზღაპარი არ არის, რომ ბოგუნს უთვალავი სიმდიდრე და ქონება აქვსო, შეუძლიან დაახარბოს ოქრო და ვერცხლი და საკმაოდ მისცეს კურცევიჩებს ქალისათვისაც და რაზლოგის დაკარგვისათვისაც. მერე? მერე რაღაი?—ჰფიქრობდა გულში სქშეტუსკი,—შემატყობინებენ ვითომ გულ-მტკივნეულობით ასე და ასე შეგვემთხვაო და თვითონ კი გასწევენ ლიტვისა, ან მახოვეცკის ტყეებში, სადაც ყოვლად ძლიერი ხელიც კი ვეღარ მისწვდება ვისნევეცკისა.—პან სქშეტუსკი ფიქრობდა ამას და ხან აცივებდა, ხან აცხელებდა; ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, სწყევლიდა სიტყვას, რომელიც კნეინას მისცა და არ იცოდა, რა ექნა, რა მოეგვარებინა. ისეთის ბუნების კაცი იყო, რომ იმის მხნეობისა და გამბედაობის ძალა სულ დუღდა და გადმოდიოდა. ამიტომ იმას კი არ უცდიდა, აცა ბედი რას მომიტანსაო; თვითონვე სწვდებოდა ყელში ბედს და იმას მოაქმედებინებდა ხოლმე, რაც თვითონ ჰნებავდა. ეს იყო მიზეზი, რომ იმისთვის უფრო აუტანელი იყო, ვიდრე სხვისთვის ვისთვისმე, ლუბნში ჯდომა ასე სოდომივით უმოძრაოდ, ასე ხელფეხ-შეკრული.

სქშეტუსკიმ გადასწყვიტა შესდგომოდა საქმეს. პატარა მხლებელი ჰყვანდა ერთი პოდლიასელი აზნაურშვილი, ესე თექვსმეტის წლის ყმაწვილი, მაგრამ ისეთი მარდი და ეშმაკი, რომ პირველ ოინბაზს და თვალთ-მაქცს არაში არ ჩამორჩებოდა. სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, ამას გავგზავნი ელენესთან და ეს შემიტყობს, რა ყოფაშია საქმეო. თებერვალი გავიდა და წვიმებიც ისე ხშირი არ იყო; მარტის იმედი იყო, რომ უფრო

კარგს დარებს დაიჭერდა და მაშასადამე გზებიც ცოტაოდნად მაინც გაშრებოდა.

ჟენძიანი საგზაოდ ემზადებოდა. პან სქშეტუსკიმ მისცა წერილი და თან გაატანა ქაღალდი და საწერ-კალამი, რადგან ახსოვდა, რომ რაზლოგში ამისთანების ხსენებაც არსად იყო. ყმაწვილს არ უნდა ეთქვა, ვინა ვარ და ან რისთვის მოვედიო. სთქვი, ჩიგირინს მივდივარ-თქო; უფრო კი ეცადე გაიგო, სად არის ბოგუნი, ან რას აკეთებსო. ჟენძიანმა აღარ გაამეორებინა დანაბარები, ჩაიკეცა ქუდი, დაიხურა გვერდზედ, გაათხლაშუნა მათრახი და ჰკრა ქუსლი ცხენსა.

პან სქშეტუსკისათვის დადგა ახლო დრო მოლოდინისა, რომელიც ისე ძნელი ასატანია. სწორედ ამ დროს კი ისეთი ფათერაკი შეემთხვა დესპანს, რომ კინაღამ წუთი-სოფელს არ გამოეთხოვა. ერთხელ დათვმა აიწყვიტა ეზოში, ვისნეეეკის დარბაზს წინა, დაჩეჩქვა ორ-ორი მეჯინიბე და მივარდა მერე დესპანს, რომელიც ამ დროს ცეხ-ჰაუზიდან მოდიოდა თავადთან სრულიად უიარაღო, მათრახის ამარა. დესპანის სიკვდილი აუცილებელი იყო, რომ პან ლონგინუსი არ შესწრობოდა. იმან შეასწრო თვალი ამ ამბავს, წაავლო ხელი თავისს მახვილს და გაექანა საშველად. ლიტველმა დაამტკიცა, რომ ღირსეული შთამომავალი იყო სტოვეიკოსი. ერთის შემოკვრით მოჰკვეთა თავი დათვს და თან გაატანა თათიც, რომელიც ის იყო მოეღერებინა და პან სქშეტუსკისათვის უნდოდა შემოეკრა.

თავადმა დაინახა ფანჯრიდან ყოველივე ესე და მაშინვე თავისთან დაუძარა პან პოდბიპენტს კნეინას სამყოფელ ოთახში, საცა ანუსიამ ისე დაუწყო ყურება, რომ ლიტველმა საჭიროდ დაინახა მეორე დღესვე აღსარების სათქმელად წასულიყო. მას უკან სამს დღეს ციხე-დარბაზში აღარ მისულა; აღარ მივიდა მასუკანაც მანამდე, სანამ გულ-მხურვალე ლოცვით არ მოიშორა თავიდან ყოველივე ცთუნებანი.

გავიდა ათიოდე დღე და ჟენძიანი კი არსად არა სჩანდა. ჩვენი პან სქშეტუსკი ისე გახდა ამ ლოდინში, რომ ანუ-

სიამ აქეთ-იქით ჩუმად კითხვა დაიწყო, ნეტა რა ამბავია სქშეტუსკის თავსაო, ხოლო კარბონიმ, თავადის მკურნალმა რაღაცა წამალი დაუწერა სევდა-ნაღვლიანობისა. მაგრამ სქშეტუსკიმ იცოდა, რომ ყოველივე წამალი ამაო იყო, რომ იმის გულში დაესადგურებინა ძლიერს გულის-თქმას, რომლის დაძლევა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ადვილად წარმოსადგენია, რა სიხარული იგრძნო პან იანმა, როცა ერთს დილას, განთიადისას იმის ოთახში შევიდა ჟენძიანი, დაღლილ-დაქანცული, სულ ტალახში მოსვრილი, მაგრამ მხიარული; მხიარული იმიტომ, რომ კარგი ამბავი მიუტანა თავისს პატრონს. დესპანი წამოხტა ლოგინიდან, წაავლო მხრებში ხელი და აღელვებითა ჰკითხა:

— წერილი მოიტანე?

— მოვიტანე, ბატონო. აი.

პან სქშეტუსკიმ საჩქაროდ სტაცა ხელი წერილსა. დიდხანს იყო ეჭვში, ვაი თუ წერილი არ მომიტანოს ჟენძიანმაო, რადგან დარწმუნებული არ იყო, იცოდა ელენემ წერა თუ არა. განაპირა ქვეყნების მანდილოსნები ვერ დაიტრაბახებდნენ წერა-კითხვის ცოდნასა, ხოლო ელენე ამას გარდა განადირებულ ხალხშიაცა სცხოვრობდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ელენეს წერა სცოდნოდა: ალბად მამამ იზრუნა და ასწავლებინა წერა-კითხვა. ელენეს ოთხ ფურცელზედ გაეჭრელებინა თავისი ეპისტოლე. საწყალს ვერ მოეხერხებინა ლამაზად გამოეთქვა თავისი აზრები და ისე სწერდა, როგორც გული ეუბნებოდა:

„არასოდეს არ დაგივიწყებთ. უმალ თქვენ დამივიწყებთ, ეიდრე მე. გამიგონია, რომ თქვენ შორის, მამაკაცთა შორის, ცუდნიც თურმე არიან. მაგრამ თქვენ ამ სიშორეზედ თქვენი მხლებელი გამოჰგზავნეთ ჩემთან და ამიტომ ვხედავ, რომ თქვენც ისევე გყვარებივართ, როგორც მე, რისთვისაც გულითა და სულით მადლობას მოგახსენებთ. გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ თამამად ვიქცევი, რაკი გწერთ მიყვარხართ-მეთქი. მართლის თქმა სჯობიან ტყუილსა, ანუ იმის დამალვასა, რაც გულში აქვს ადამიანსა. პან ჟენძიანს გამოვკითხე თქვენი ამბავი, მანდა-

ური გარემოება და, როცა იმან მიამბო, რომ მანდეთკენ ლამაზი ქალები თურმე არიან, ჯავრით ვიტირე...“

დესპანმა თავი დაანება წერილის კითხვას.

— რაები დაგირეშავს, სულელო?

— კარგის მეტი არა მითქვამს-რა.

დესპანმა კვლავ განაგრძო კითხვა.

„... იმიტომ რომ, აბა, მე როგორ მოვალ მაგათთანა? მაგრამ თქვენმა მხლებელმა მითხრა, რომ თქვენ ხმასაც არავისა სცემთ რიგიანად...“

— ჰოო! აი ეს კარგად გითქვამს!—წაიტუტუნა დესპანმა.—ჟენძინმა კარგად არ იცოდა, რისთვის რას ამბობდა მისი ბატონი, რადგან დესპანი ჩუმადა ჰკითხულობდა თავისთვის წერილსა, მაგრამ მაინც საჭიროდა სცნა ისე დაეჭირა თავი, ვითომ ყოველივე კარგად ვიცი.

„... ამიტომ მეც დავმშვიდდი და ღმერთსა ვსთხოვ, რომ იმან ჩაგაგონოთ კვლავაც ისევე მოიქცეთ და გვაკურთხოს ორივენი. ამინ! მეტადა ვსწუხვარ თქვენს უნახაობას: ჩემი ნეტარება მხოლოდ ის იქნება, რომ თქვენა გნახოთ...“

შემდეგ მშვენიერი კნიაჟნა იუწყებოდა, რომ, როგორც აშრება გზები, მე და ძალუა-ჩემი მოვალთ ლუბნსაო, რომ თვითონ ძალუა ჩქარობს წამოსვლასა, იმიტომ რომ ჩიგირინიდან მოდის ამბები, ყაზახნი ჰღელავენ და მოუსვენრობენო.

„ნამდვილი მისანი და გრძნეული ყოფილხართ,—სწერდა ელენე,—რომ ძალუა-ჩემის დამორჩილებაც კი მოახერხეთ“.

დესპანს გაეღიმა; მოაგონდა, რა ღონის-ძიებითაც მოიპოვა თანაგრძნობა ელენეს ძალუასი.—წერილი თავდებოდა მით, რომ ქალი არწმუნებდა დესპანს, საუკუნოდ თქვენი მოყვარული და ერთგული ვიქნებიო. საზოგადოდ, წერილი გულ-უბრყვილობითა და გულ-წრფელობით იყო სავსე. დესპანი კითხულობდა ამ წერილს და ამბობდა გულში: „ჩემო ძვირფასო! ღმერთმა მკითხოს, თუ ოდესმე მე შენ დაგივიწყო!“

შემდეგ დაიწყო ჟენძიანის გამოკითხვა.

მოხერხებულმა მხლებელმა სრული ანგარიში მისცა ყველაფრისა. ძალიან ტკბილად მიმიღესო. მოხუცმა კნეინამ გამომკითხა თქვენი ამბავი და ძალიან ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ ჩვენს მთავარს დიდად უყვარხართ და რომ საქებურის მხედარის სახელი გაქვთ გავარდნილი.

— იმანა მკითხა, აასრულებს თავის სიტყვას, რომელიც ჩვენ მოგვცაო! მე მოვახსენე: „კნეინა, ის ცხენი რომ მე მყავდეს დაპირებული, რომლითაც გიახელით, ნამდვილად დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ მე აღარ ამცდებოდა...“

— დიდი ოინბაზი ხარ!—გაიცინა დესპანმა.—მეტი რა ღონეა. რაკი თავდებად დამდგომიხარ, მიჩუქებია ეგ ცხენი შენთვის. ჰო, მაშ მერე აღარა დამალე-რა, სთქვი, ვისგანაცა ვარ გამოგზავნილიო?

— ვსთქვი, იმიტომა რომ საჭირო აღარ იყო კეკემალულობა. მასუკან უფრო ტკბილად მომექცნენ და ბევრი მიალერსეს, მეტადრე პანნამ... ღმერთო, რა საოცარი შვენიერებაა! ციდან ჩამოფრენილი ანგელოზია. ქვეყანა რომ დაიაროს კაცმა, უკეთესს ვერ იპოვის. როცა გაიგო, რომ თქვენი გაგზავნილი ვიყავი, აღარ იცოდა, რა ექნა. ცას დაეწია სიხარულითა, კითხულობდა თქვენს წერილსა და სიხარულის ცრემლს აფრქვევდა.

დესპანსაც სიხარულით ხმა წაუვიდა. ეხოლოდ პატარა ხანს უკან ძლივს ჰკითხა მხლებელს:

— იმისი... ბოგუნისა არა გამოჰკითხე-რა?

— სახერხოდ ვერ დავინახე კნეინასთვის ან პანნასთვის გამომეკითხა რამე, სამაგიეროდ, ერთს ბებერს თათარს, სახელად ჩეხლის დავუმეგობრდი. თუმცა ურჯულოა, მაგრამ მაინც ერთგული ყმაა თვისის ბატონებისა. აი იმან მიამბო, რომ პირველში ძლიერ გული თურმე მოსდიოდათ თქვენზედ, მაგრამ მერე დამშვიდდნენ; მეტადრე მაშინ დაიმშვიდეს გული, როცა გაიგეს, რომ ის ამბავი, ვითომ ბოგუნი სავსე იყოს სიმდიდრითა, სულ ტყუილიაო.

— მერე საიდან გაიგეს ეგა?

— აი საიდან გაიგეს. სივინსკისა თურმე ემართათ ფული; ვადა მოვიდა და მიჰმართეს ბოგუნს: გვასესხეო. იმან თურმე უთხრა: ოსმალური ნივთი და ვეჯი ბევრი მაქვს და ფული კი არ გახლავთო. რაცა მქონდა, სულ დავხარჯეო. გაიგეს თუ არა ესა, მაშინვე აითვალწუნეს ბოგუნი და თვალი სულ თქვენკენ თურმე ჰქონდათ.

— ყოჩაღ! ყველაფერი კარგა გამოგიწვრილნია. მადლობელი ვარ.

— პანე, ერთი რომ კარგა გამომეწვრილნა და მეორე კი არა, ამას მეტყოდით: ცხენი რომ მაჩუქე, უნაგირი კი არ უნდაო. აბა, რა არის ცხენი უუნაგიროდ.

— ჰო, კარგი, კარგი; მიჩუქებია უნაგირიცა.

— ო, გმადლობთ! ბოგუნს პერეიასლავლს თურმე უკრეს თავი. მე ვიფიქრე, გავიგე თუ არა ესა: მოდი მეც იქ წავალ-მეთქი. პან სქშეტუსკი დამიმადლებს და ჯარში ჩემის ჩარიცხვის ვადაც შემცირდება-მეთქი...

— შენი რიგი მერმისს დადგება, გაზაფხულზედ. მერე, იყავ პერეიასლავლში?

— ვიყავ, მაგრამ ბოგუნი იქ არ იყო. მოხუცი პოლკოვნიკი ლობოდა ავად არის. ამბობენ, რომ იმის შემდეგ პოლკოვნიკად ბოგუნი იქნებაო. ჯარის-კაცნი იქ ცოტანი-ღა არიან; დანარჩენნი, როგორც ამბობენ, ბოგუნს გაჰყოლიან, ან აბა და სეჩს გაქცეულან... ეს დიდი ამბავია, იმიტომ რომ რაღაც უკეთურ საქმისათვის ემზადებიან თურმე. ყოველივე მინდოდა გამეგო ბოგუნის შესახებ, მაგრამ იმის მეტი არა მითხრეს-რა, რომ რუსეთის მხარეს *) წავიდაო. ჯანდაბას იმისი თავი-მეთქი, ვიფიქრე, რახან აგრე შორს გადაკარგულა, მაშ ჩვენს პანნას ფიქრი აღარა აქვს-რა-მეთქი; ავდექი და დავბრუნდი.

— კარგად აგისრულებია ყოველივე მინდობილობა. გზაში ხომ არა შეგმოხვევია-რა?

---

*) დნეპრის მარჯვნივ რუსეთის მხარე იყო, ხოლო მარცხნივ—თათრებისა.

— არაფრისაგან არაფერი. მშიან მხოლოდ მგელივითა.

ჟენძინი გავიდა ოთახიდან, ხოლო დესპანმა, რაკი მარტო დარჩა, კვლავ დაიწყო კითხვა ელენეს წერილისა და დაუწყო კოცნა ასოებს, რომელიც, რასაკვირველია, ისე ლამაზები არ იყო, როგორც ხელი, რომელმაც ის ასოები დაწერა. გული კვლავ იმედით აღეესო და ასე ფიქრობდა: „გზები მალე აშრება: კურცევიჩები, რაკი დარწმუნდებიან, რომ ბოგუნს არა აბადია-რა, უეჭველია მე აღარ მიღალატებენ. რაზლოგს მივცემ და კიდევ ჩემსასაც ბევრს დავუმატებ, ოღონდ ის ჩემი სიცოცხლე მომცენ“.

საჩქაროზედ ტანთ ჩაიცვა და სიხარულისაგან გაბრწყინვალებულმა და ბედნიერებით გულ-აღვსილმა გასწია საყდარში, მადლობას შევწირავ ღმერთს ასეთის სასიხარულო ამბებისათვისაო.

VI

მთლად უკრაინასა და იმიერ-დნეპრის მხარეს რაღაც შეშფოთება ეტყობოდა, რაღაც ყრუ ქუხილი ისმოდა იქიდან, თითქო წინამორბედი ნიშნებია ქარიშხალისა და გრიგალისაო; რაღაც უცნაური ჭორები დადიოდა სოფლით-სოფლამდე, მეკომურიდან-მეკომურამდე, თითქო ბამბიქულა ანუ ბურბუშა აუგორებია ქარსა და ხან აქეთ გადიტაცებს და ხან იქითაო. ქალაქ ადგილებში ლაპარაკობდნენ, რომ დიდი ომი მზადდებაო, და თუმცა არავინ არ იცოდა, ვისთან და ან რისთვის უნდა ამტყდარიყო ომი, მაინც ჰაერში ლაშკრიანობის სუნი იდგა. ყველას რაღაც მოუსვენრობის ბეჭედი დასტყობოდა სახეზედ; მხვნელ-მთესველი უგულოდ გადიოდა მინდორში სახნავად, თუმცა ნაადრევი გაზაფხული იდგა, თბილი, მშვიდობიანი და ტოროლა უკვე თავისს გალობას დასძახოდა ცაში. საღამოობით სოფლის მკვიდრნი იკრიფებოდნენ ერთად, იდგნენ გზის პირად და იდუმალებით ლაპარაკობდნენ საშინელს ამბებს. უსინათლო მეფანტურეებს ჩაცივებით ეკითხებოდნენ, ახალი ამბავი ხომ არა

იკით-რაო. ბევრნი იმასაც ამბობდნენ, რომ ღამ-ღამობით ცა-ზედ რაღაც წითელ ზოლებსა ვხედავთ და რომ მთვარე, უფ-რო გაწითლებული, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე, ტყი-დან ამოდისო. წინასწარმეტყველობდნენ, რომ ან უბედურება რამ მოხდება, ან მეფე გადაიცვლება სადმეო. ყოველივე ესე მით უფრო საკვირველი იყო, რომ უკრაინა ძველადვე ჩვეული იყო მრავალ-გვარ უწესოებას, ომ-ლაშკრობას, მტრის შემო-სევას და ამიტომ ადვილი არ იყო რითიმე მისი შეშინება. ალ-ბად, მართლა განსაკუთრებული საჭირ-ბოროტო რამ საქმე იყო მოსალოდნელი, როცა შიშსა და ძრწოლას ყველა ასე ძლიერ შეეპყრო.

საქმეთა ვითარება მით უფრო სამძიმო იყო, მით უფრო აუტანელი, რომ არაფის შეეძლო ეთქვა სინამდვილით, რა იყო მიზეზი ასეთის მოუსვენრობისა, ასეთის შეშფოთებულის ყო-ფისა. შავ-ბნელ ნიშნთა შორის ორი ისეთი ნიშანი სჩანდა, რომელიც ცხადად ამტკიცებდა, რომ მართლა საშიში რამ უნდა მომხდარიყო. ჯერ ისა, რომ ქალაქებსა და სოფლებში მეტის მეტად ბევრი მთხოვარა მეფანტურე გაჩნდა, მათ შორის ზოგნი ისეთნი იყვნენ, რომელთაც არავინ არ იცნობდა და ცხადი იყო, რომ განგებ ჩაეცვათ მთხოვარას ტანისამოსი. ეს მეფანტურენი დადიოდნენ ყველგან და იდუმალებით ავრცე-ლებდნენ ხმას, დღე ღვთის მსჯავრისა და განკითხვისა მოახ-ლოვებულიაო. მეორეც ის იყო, რომ ქვემოურებმა გაშმაგე-ბით გაუსვეს ხელი სმას. ეს უკანასკნელი ნიშანი უფრო საში-ში იყო პირველზედა. სეჩი პატარა ქვეყანა იყო და ამიტომ არ შეეძლო ესაზრდოვებინა იქაურ მოსახლეთა რიცხვი, სა-თარეშოდა და სალაშკროდ ყოველ-დღე ვერ ივლიდნენ, გა-დაჭრელებული მინდვრები საკმაო პურს არ აძლევდა ყაზა-ხებს და აი ქვემოურნიც მრავლად იფანტებოდნენ აქეთ-იქით სოფლებში, მეტადრე მშვიდობიანობის დროს. ქვემოურებით იყო სავსე არა მარტო უკრაინა, არამედ რუსეთიცა. ზოგნი მაგნატების სამსახურში შედიოდნენ, ზოგნი ვაჭრობდნენ გზის-პირებად დამართულ დუქნებში და ჰყიდდნენ არაყს, ზოგნი

კიდევ ხელოსნობდნენ სოფლებსა და ქალაქებში. თითქმის ყოველს სოფელში იდგა განაპირას გამარტოებული ქოხი იმიერ-ჭორომელისა. ბევრს სახლობა ჰყვანდა და ხვნა-თესვა ჰქონდა გამართული. იმიერ-ჭორომელი, ყველაფერში ნაცადი და ნაწურთნი, ნამღვილი ღვთის-წყალობა იყო სოფლისათვის. იმაზედ უკეთ ვერავინ დასჭედავდა ცხენს, ვერავინ გააკეთებდა ურმის თვალს; ფუთკრის მოვლის ხელიც იცოდა, თევზის ჭერაცა, ნადირობაცა. ყაზახს ყველაფრის გაკეთება ეხერხება სახლის შენებიდან დაწყებული უნაგირის შეკეთებამდე. ეს კია, ყველგან მშვიდად არა სცხოვრობდნენ ამისთანა მოსახლენი, თუმცა ისიც კია, რომ დროც მოუსვენარი იყო მაშინ. ვისაც შურის-ძიება უნდოდა, სამაგიეროს გადახდა შეურაცხყოფისათვის, ან დარბევა მეზობლისა, ერთი კი დაეძახნა და ასი ყოჩაღი, მოსხეპილი ვაჟკაცი მაშინვე თავს მოიყრიდნენ, თითქო ყვავ-ყორნები არიან მძოვრის საწიწკნელად შემოგროვილნიო. იმათს ყოჩაღობასა და ძალ-ღონეს მიჰმართავდნენ და სარგებლობდნენ ხოლმე პოლონიის თავად-აზნაურობაცა, მაგნატები, ხოლო როცა იმათი შემწეობა არავის არ ეჭირვებოდა, ყაზახნი ისხდნენ მშვიდად თავიანთ სახლებში, მუშაობდნენ შეუსვენებლივ და ოფლის წურვით შოულობდნენ ლუკმა-პურსა.

ასე მიდიოდა დრო და ჟამი, ერთი და ორი წელიწადი, მაგრამ მერე უცბად მოვიდოდა ამბავი, რომ დიდი ომი მზადდებაო, ანუ ესა და ეს ატამანი აპირობს თათრებს დაესხას თავსაო, „ლიახნი" დაარბიოსო, პოლონიის პანებს ადინოს ზურგზედ ბოლი ვლახეთშიო,—და სასწრაფოდ ყველა ეს მჭედელნი, მეფუტკრენი, და თვლების მკეთებელნი იღებდნენ ხელს თავიანთ მშვიდობიანს ხელობაზედ და პირველ ყოვლისა დაიწყებდნენ გაშმაგებით სმას უკრაინის ყველა დუქნებში. როცა სულ გამოელეოდათ ფული, ნისიად მოჰყვებოდნენ სმას, ვალად, „იმითი კი არა, რაცა ჰქონდათ, არამედ იმითი, რაც ექმნებოდათ". მოსალოდნელ დაცლა-ალაფს უნდა გადაეხადნა ახლანდელის ლოთობის დანახარჯი და ნისია-ვალები.

ასეთი ამბავი ისეთის წესითა და რიგით განმეორ-განმესამ-
დებოდა ხოლმე, რომ გამოცდილნი ასე ამბობდნენ ამისთანა
შემთხვევაში: „ეჰე! დუქნები ავსებით არის სავსე ქვემოურე-
ბით—მაშ, სჩანს, უკრაინაში რაღასთვისაც ემზადებიან“.

მეციხოვნეთა უფროსნიც უმატებდნენ ჯარის რიცხვს ცი-
ხე-დარბაზებში და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს გა-
რემოსა, მაგნატები ჰკრეფდნენ ჯარებს, თავად-აზნაურობა
ცოლშვილს ქალაქებში ჰგზავნიდა დასახიზნავადა.

ამ გაზაფხულზედ ისეთი ლოთობა დაიწყეს ყაზახებმა,
რომ წინად ისე არას დროს არ ულოთნიათ; შესჭამეს და შე-
სვეს და მიჰფანტ-მოჰფანტეს ყოველივე ოფლით მონაგარი და
ეს ამბავი იყო არა მარტო ერთს თემსა და მაზრაში, არა ერთს
საერისთაო-სამოურავოში, არამედ მთელს თვალ-გადუწვდენელს
რუსეთში.

მართლაც, რაღაც დიდი საქმე მზადდებოდა, თუმცა ქვე-
მოურებმა თვითონაც არ იცოდნენ, სახელდობრ, რა. ლაპარა-
კობდნენ ხმელნიცკის ამბავს, სეჩს გავარდაო, მრავალი ყაზა-
ხობა გაჰყვა თან ჩერკასიდან, ბოღუსლავიდან, კორსუნიდან და
სხვა ქალაქებიდანაო, მაგრამ ამასთანავე ერთად, ბევრს სხვასა-
ცა ლაპარაკობდნენ. რამდენისამე წლის განმავლობაში დადიოდა
ხმა, რომ დიდი ომი უნდა აუტეხონ ურჯულოებსაო; მეფეს
უნდოდა ამ ომის ატეხა, რათა მით შემთხვევა მიეცა თავისს
ყოჩაღ ყაზახთათვის, დავლა-ალაფით ავსილიყვნენ, მაგრამ ლია-
ხები არიან წინააღმდეგნიო, ხოლო ახლა ყოველივე ეს ხმა და
ჭორი ერთმანერთში აირია და დაჰბადა საყოველთაო მოუსვენ-
რობა და რაღაც არა-ჩვეულებრივის ამბის მოლოდინი.

ამ მოუსვენრობამ ლუბნის ზღუდეებამდეც მიაღწია. აღარ
შეიძლებოდა ყურის-მოყრუება, აღარ შეიძლებოდა ყურადღება
არ მიჰქცეოდა ამ მოუსვენრობის ნიშნებს და არც თვით თა-
ვადი ერემია იყო ისეთი კაცი, რომ დიდ ხანს დაეტოვებინა ყო-
ველივე ესე უყურადღებოდ. იმის სამფლობელოში მოუსვენრო-
ბა ჯერ შფოთვა-არეულობად არ გადაქცეულიყო,—შიში ჰქო-
ნდა ყველას და ის აკავებდა,—მაგრამ მალე მოვიდა ზედ-ზედ

ხმა უკრაინიდან, რომ აქა-იქ ყაზახობა ეწინააღმდეგება თავადაზნაურობასა, ჰხოცავს ურიებს, ნდომობს ძალ-მომრეობით ჩაეწეროს ჯარში ურჯულოებთან საომრად და რომ თან-და-თან უფრო მრავლდება მათი რიცხვი, ვინც სეჩს მირბიანო.

თავადმა აფრინა შიკრიკნი და მსწრაფლ-მსრბოლნი: პან კრაკოვსკისთან, პან კალინოვსკისთან, ლობოდასთან პერეიასლავლს, ხოლო თვით სცდილობდა შემოეკრიფა ჯარი სამზღვრებიდანა და ჯოგ-ნახირნი შორეულ მინდვრებიდან. ამ დროს მოვიდა ცოტაოდნად სანუგეშო ამბებიცა. ბატონი დიდი გეტმანი სწერდა ყოველსავე, რაც იცოდა ხმელნიცკის შესახებ და თან აუწყებდა, რომ არა მგონია ამ გარემოებას რაიმე ძღელვარება მოჰყვესო; მეორე გეტმანი სწერდა: „ათასი მილეთის ბრბო, როგორც ფუტკარი სკაში, ისე ირევა და ბზუის გაზაფხულობითაო“. მხოლოდ ერთმა მოხუცმა მედროშემ ზაცვილიხოვსკიმ მოსწერა წიგნი და ეხვეწებოდა, გაფიცებ ყოველსავე საფიცარს, სუბუქად ნურას ნუ მოეპყრობი, დიდი გრიგალი ამოვარდება ყრუ-მინდვრებიდანო. ხმელნიცკიზედ იწერებოდა, რომ სეჩიდან ყირიმს წასულა და ყეენისთვის შემწეობა უთხოვნიაო. „ჩემი მეგობრები მატყობინებენ სეჩიდან,—სწერდა ზაცვილიხოვსკი ვისნეეეკისა,—რომ უფროსნი ზედამხედველნი ყველა მხრიდან აგროვებენ აქ ჯარსაო და არავის კი ეუბნევიან, რად უნდათ ეს ამოდენა ხალხი. ჩემის ჭკუით ასე მგონია, რომ ეგ ქარტეხილი ჩვენ არ აგვცდება, ხოლო თუ თათრებიც მიეშველნენ, ღმერთმა ბრძანოს, რომ თუნდ მთლად სარუსეთო ქვეყნები უვნებლად გადარჩენილიყოს“...

თავადი ერემია ზაცვილიხოვსკის უფრო ენდობოდა, ვიდრე თვით გეტმანებს; მთავარმა იცოდა, რომ მოხუცი მედროშე ყველაზედ კარგად იცნობდა ყაზახებს და იმათი პოლიტიკაც კარგადა ჰქონდა აწონილი. თავადმა გადასწყიტა, რომ, რაც შეიძლებოდა ბლომად მოეგროვებინა ჯარი და ამასთანავე ერთად შეეტყო დანამდვილებით ყოველივე ვითარება საქმისა.

ერთხელ დილით უბრძანა დაეძახნათ პან ბიხოვეცისათვის, რომელიც ვლახეთის სადროშოს პარუჩიკი იყო.

— თქვენ უნდა წახვიდეთ ჩემ ელჩად სეჩს,—სთქვა მან,— ბატონ კაშევოი ატამანთან და გადასცეთ ეს წერილი, ჩემის ბეჭდით დაბეჭდილი. რათა იცოდეთ, როგორ უნდა გეჭიროთ თავი, აი რას გეტყვით: ეს წერილი მხოლოდ საბაბია, გარნა ელჩობის კარგად შესრულება თქვენს უნარზედ იქმნება დამოკიდებული. უნდა ყოველივე დაათვალიეროთ, გამოიწვრილ-გამოიძიოთ, კარგად გაიგოთ, რა ამბავია იქ, რამდენი ჯარი ჰყავთ შეიარაღებული, რამდენის შეიარაღებას აპირობენ კიდევ. მოგანდობთ განსაკუთრებით გაიგოთ ყოველივე ხმელნიცკის შესახებ, მართლა ყირიმს წასულა თუ არა თათრების შემწეობის სათხოვნელადა. ხომ გესმით, რასაც გეუბნევით?

— ასე მგონია სულ ხელის გულზე გადამიშალეს-მეთქი ყოველივე.

— ჩიგირინის გზაზედ წახვალთ; დასასვენებლად ერთი ღამე გექნებათ მხოლოდ. როცა მიხვალთ იქ, ეახლებით მედროშე ზაცვილიხოვსკის და სთხოვთ, რომ წერილები მიგიწეროს თავისს მეგობრებთან სეჩს; ეს წერილები საიდუმლოდ უნდა გადასცეთ იმათ შემდეგ, უკან დაბრუნებისას. ჩიგირინიდან წყალწყალ ივლი კუდაკამდე, მოიკითხავ ჩემ მაგივრად პან გროდეცკის და ამ წერილსაც მიართმევ. ისინი გაგიყვანენ დნეპრში, ისე რომ ჭორომებმა არა გავნოთ-რა. სეჩს დიდხანს ნუ დაჰყოფ: იყავით თვალ-გაფაციცებით, ყურ-მახვილობით და დაბრუნდით ისევ მალე, თუ ცოცხალი გადარჩით, რადგან სახუმარო საქმე არ არის.

— ჩემს სიცოცხლეს არ დავზოგავ. რამდენი კაცი წავიყვანო თანა?

— ორმოცი კაცი გეყოფა. საღამო-ჟამზედ გახვალთ აქედან, ხოლო ვიდრე გზას გაუდგებოდეთ, კიდევ შემოიარეთ ჩემთან დარიგებისათვის. სამძიმო და ფრიად საყურადღებო მინდობილობას გაძლევთ მე თქვენა.

პან ბიხოვეცი აღტაცებული გამოვიდა თავადის კაბინეტიდან; იქვე მეორე ოთახში იყო სქშეტუსკი და რამდენიმე თოფჩი-აფიცერი კიდევ სხვები.

— რა ამბავია?—ჰკითხეს იმათა.

— დღეს უნდა გავუდგე გზას.

— საღა, სად?

— ჩიგირინს და მერე იქიდან უფრო შორს.

— წამოდით ჩემთანა,—უთხრა სქშეტუსკიმ და თავისს სახლში წაიყვანა.

— გამიგონე, მევობარო,—დაუწყო დესპანმა,—რაც გინდა მთხოვე, თუნდა ჩემი ოსმალური ქურანი ცხენი,—ყველას მოგცემ, არას არ დავინანებ, ოღონდ კი თავადის მინდობილობა მე დამითმე. ჩემი გულ'ი სულ იქითკენ მიფრინავს. თუ გინდა, ფულს მოგცემ. დიდებას არას შეგძენს ეგ საქმე, იმიტომ რომ, თუ ვინიცობაა ომი ატყდა საღმე, რასაკვირველია აქ ატყდება; დაღუპვით კი შესაძლოა დაიღუპო. ამას გარდა, ვიცი, რომ შენ ანუსია მოგწონს. თუ წახვედი, გეფიცები, გავაგიჟებ ჩემის სიყვარულითა, ისე შევაყვარებ თავსა.

ამ უკანასკნელმა საბუთმა უფრო გასჭრა და დააფიქრა პან ბიხოვეცი, თუმცა ვერ დაარწმუნა კი, რომ სწორედ ისე მოქცეულიყო, როგორც პან სქშეტუსკი ეხვეწებოდა. რას იტყვის თავადიო? რომ განრისხდესო? ასეთი მონდობილობა იმის ნიშანია, რომ თავადი განსაკუთრებულის ნდობით მეკიდებაო.

სქშეტუსკიმ მოუსმინა ყოველივე საწინააღმდეგო მოსაზრება, წავიდა მთავართან და უბრძანა მხლებელს, მოახსენე თავადს, რომ მისი ნახვა მინდაო.

მხლებელი მალე დაბრუნდა და უთხრა, რომ დასტურია, შეგიძლიან შესვლა და ნახვა თავადისაო.

ჩვენს დესპანს გულმა კანკალი დაუწყო, შეეშინდა, ვაი თუ მოკლედ მოჭრილი უარი მითხრას და მაშინ ხომ უნდა გამოვეთხოვო ყველა ჩემს ტკბილს იმედებსო.

— ამბავი, ხაბარი!—ჰკითხა თავადმა.

სქშეტუსკი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა.

— ო, მოწყალეო თავადო! მოვედი შემოგეევედროთ და გთხოვთ, რომ მე გამგზავნოთ სეჩს თქვენის მონდობილების ასასრულებლად. ბიხოვეცი დამითმობდა მაგ საქმეს,—ჩემი მე-

გობარია,—თქვენის ბრწყინვალების რისხვისა რომ არ ეშინოდეს.

— ღმერთსა ვფიცავ,—ღაღადების კილოთი სთქვა მთავარმა,—რომ თქვენს მეტს სხვას არც არავის გავგზავნიდი, მაგრამ ვიფიქრე, ვაი თუ გულში არ ესიამოვნოს ამას ახალის მინდობილების აღსრულება-მეთქი, რადგან სულ ახლა-ხან დაბრუნდა ხანგრძლივის მგზავრობიდანა-მეთქი.

— მზადა ვარ, თუნდა ყოველ დღე ვიარო იმ ქვეყნისაკენ.

თავადი დააცქერდა და დიდ ხანს უყურებდა თვისის შავის თვალებითა.

— რა გაგჩენია იქა?—ჰკითხა მან ბოლოს.

დესპანი ისე იდგა თავადის გამჭრიახის თვალთა წინაშე, თითქო დამნაშავეაო.

— ვხედავ,—სთქვა მან,—რომ უნდა მართალი გითხრათ; თქვენთვის დაფარული ვერა დარჩება-რა. არ ვიცი მხოლოდ, მოეწონება თუ არა ჩემი საქმე თქვენს ბრწყინვალებას.

და დესპანი მოჰყვა, როგორ გავიცანი თავად ვასილის ქალიო, როგორ შემიყვარდა და როგორ მწყურიან იმისი ნახვა ახლა და როგორ მინდა შემდეგ, როცა სეჩიდან დავრუნდები, გზად გამოვუარო და ლუბნში გადმოვიყვანო, რადგან, ვინ იცის, რა მოჰყვეს ყაზახთა მღელვარებას, თუ მართლა ახდა, რასაც ამბობენ და ამით გადავარჩინო აგრედვე ბოგუნის ძალ და ძალ ტრფიალსა და მიჯნურობასა. სქშეტუსკიმ არა სთქვა-რა მხოლოდ მოხუც კნეინას ოინბაზობისა, რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული და სიტყვის გატეხა არ უნდოდა. თავადმა სიტყვა არ გააწყვეტინა და ბოლომდე ბოისმინა მისი ნაამბობი.

— უმაგისოდაც მოგცემდი ნებას სეჩს წასვლისას და კაცებსაც გაგატანდი,—სთქვა მან,—ხოლო თუ ამ საქმეს ზედ ერთვის თქვენი კერძო ინტერესიცა, ამიტომ ნებას გაძლევ უფრო მეტის კმაყოფილებით.

თავადმა ტაში ტაშს შემოჰკრა და უბრძანა მხლებელს, პან მიხოვეცს დამიძახეო.

დესპანმა სიხარულით აკოცა ხელზედ თავადს; ისიც გადაეხვია, აკოცა პან სქშეტუსკის და უბრძანა, გული დაიმშვიდეო. თავადს ძლიერ უყვარდა სქშეტუსკი, გულადი მეომარი და აფეცერიაო, ყველაფერში შეიძლება მიენდოს კაციო. ამას გარდა ისინი მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი იმ გრძნობით, რომელიც აიძულებს ხელ-ქვეითს სულითა და გულით უყვარდეს და პატივსა სცემდეს თავისს უფროსს, ხოლო ამ უკანასკნელს ძალას ატანს აფასებდეს იმისთანა ხელქვეითს. თავადს გარს მრავალნი სხვა კარის-კაცნი ეხვივნენ, რომელნიც თავიანთ საკუთარის გამორჩენისათვის მსახურობდნენ, ხოლო ერემია თვისის არწივებრ მჭრელის თვალებით ცხადად ჰხედავდა ყოველსავე. თავადმა კარგად იცოდა, რომ სქშეტუსკის გული წმინდა იყო ბროლივითა, იცოდა ესა, აფასებდა ამისთანა აფიცერს და მადლობელი იყო თანაგრძნობისათვის.

ძალიან გაეხარდა, როცა გაიგონა, რომ მისს საყვარელს ხელქვეითს შეჰყვარებოდა ასული ვასილი* კურცევიჩისა, ვისნეეეცკების ერთგულ ყმისა, რომლის ხსოვნა მით უფრო ძვირფასი იყო თავადისათვის, რაც უფრო სამწუხარო იყო მისი ხვედრი.

— იმიტომ კი არ მომდიოდა, რომ არ ვკითხულობდი მაგ ქალის ამბავს, ვითომ დავიწყებული მყვანდა,—შეჰნიშნა თავადმა,—არა. მისმა მზრუნველებმა ერთხელ არსად შემოიხედეს ლუბნში, საჩიეარი მათზედ არავისაგან არ გამიგონია და ვგონებდი, რომ ყოველივე საქმე კარგად და მშვიდობიანად არისმეთქი. ახლა კი, რაკი მომაგონეთ, აღარ გადავივიწყებ და ისევე მეხსომება, როგორც საკუთარი ნათესავი.

— სქშეტუსკის უკვირდა და უოცდა გულ-კეთილობა დარბაისელის დიდებულისა, რომელიც თითქო თავისს თავს ემდურებოდა, იმ აუარებელ სხვა-და-სხვა საქმეებით შთანთქმულმა, რატომ დრო ვერ ვიპოვნე და არა ვიზრუნე-რა ჩემის მოხუცის მეომარის ასულისათვისაო.

კარი გაიღო და შემოვიდა პან ბიხოვეცი.

— ჩემს სიტყვას არ გადავალ,—სთქვა მთავარმა.—თუ ინდომებთ, თქვენ წახვალთ სეჩს, მაგრამ გთხოვთ ეგ საქმე სქშე-

ტუსკის დაუთმოთ. საკმაოდ კანონიერი მიზეზები აქვს, რომ ასე ნდომობს დესპანი იქით წასვლას. ხოლო მე, ჩემის მხრით, ვეცდები სხვა რამ საქმე მოგანდოთ თქვენ.

— ჩემთვის თქვენის ბრწყინვალების ბრძანებაც საკმაო იქნებოდა,—უპასუხა ბიხოვეცმა,—ხოლო თუ თქვენ ისევ ჩემზედ აგდებთ აგრე მოწყალედ მაგ საქმეს, მე არასოდეს არ გავაცრუებ თქვენს იმედს და მოვიქცევი თანხმად თქვენის სურვილისა.

— გადუხადეთ მაშ მადლობა ამხანაგსა,—უთხრა თავადმა სქშეტუსკის,—და წადით და მოემზადეთ საგზაოდ.

სქშეტუსკიმ გულ-მხურვალებით ჩამოართვა ხელი ბიხოვეცს და რამდენსამე საათს შემდეგ უკვე მზად იყო. ლუბნში ცხოვრება დიდი ხანი იყო მოსწყინდა, ხოლო ეს წასვლა შორს ყოველს მისს სურვილს აკმაყოფილებდა. პირველ ყოველისა ელენესა ვნახავო, მერე... მართალია, დიდის ხნით უნდა გავშორდე, მაგრამ რა უშავს, სანამ იქიდან დავბრუნდებოდე, ხომ გზებიც არ გაშრება. ამაზედ ადრე კნეინა ლუბნს ვერ მოვიდოდა და მეც ან ლუბნს უნდა ვმჯდარიყავ, ან რაზლოგში ვყოფილიყავ, ხოლო რაზლოგში ყოფნა საწინააღმდეგო იქმნებოდა იმ პირობისა, რომელიც მე და კნეინამ დავდეევითო; ამას გარდა, საქმე ის არის, რომ ჩემი იქ ყოფნა ეჭვს ააღებინებს ბოგუნსაო. ელენეს შიში აღარ ექმნებოდა მისი მხოლოდ ლუბნში და ამიტომ სქშეტუსკისთვის ბევრად სჯობდა, წასულიყო დროებით სადმე შორს, რათა მერე, უკან დაბრუნებისას, გზად გამოევლო რაზლოგში და თან წამოეყვანა ელენეც ლუბნში მთავრის ჯარის-კაცთა შემწეობითა და მფარველობითა. სქშეტუსკიმ ჩაიდო უბეში წიგნები და წერილები ვისნევეცკისა, გაივსო ქისა ფულით, რომელიც მთავრის ხაზინიდან მიეცა, და ჯერ დაღამებული სად იყო, რომ გაუდგა დესპანი გზას ჟენძიანითა და ყაზახთა სადროშოს ორმოციოდე ჯარის-კაცითა.

VII

მარტის ნახევარი იყო. ბალახი მწვანედ აბიბინდა, ბამბიქულა აღყვავდა, მინდორმა გამოცოცხლება დაიწყო.

მეორე დღეს დილა-ადრიან დესპანი უკვე გზას ადგა და ისე მიდიოდა მინდორ-მინდორ, თითქო ამწვანებულ ზღვა-ზღვა მიდისო. მთლად არე-მარე სიხარულით არის სავსე, ყოველ-მხრივ ისმის ფრინველთა გაზაფხულის გალობა და ჟივილ-ხივილი; მთლად მინდორი ისე საამოდ ხმაურობდა, თითქო ჩანგიაო ღვთის ხელში. ცხენოსანთა თავზედ მაღლა ცაში უძრავნი წერტილნი მოსჩანან შავად: ეს წერტილნი ქორნი არიან, ერთს ალაგას განაბულნი; იმათზედ უფრო მაღლა მოსჩანან სამ-კუთხედ დაწყობილნი გარეულნი ბატნი, ბაწარივით გაშლილან წერონი. ძირს კი სძოვენ ჯოგნი გაგარეულებულ ცხენებისა; აი მოჰქრიან ქარივით ეს ჯოგის ცხენები და უცებ შესდგებიან, თითქო გაშეშდნენო და გასისხლიანებულის თვალებით აკვირდებიან დაუპატიჟებელ სტუმრებს. კაცს ეგონება, უნდათ ეცნენ ამ სტუმრებს და ფეხ-ქვეშ გასთელონო, მაგრამ წუთიცა და ჯოგი უკანვე ბრუნდება, მხოლოდ ბალახი-ღა შრიალებს და ყვავილნი ირხევიან. ცხენთა თქარა-თქურის ხმა მისწყდა შორს, ხოლო გარშემო წინანდებურადვე ისმის შეუწყვეტელი ჟრიამული ფრინველ-ფრთოსანთა.

გარშემო თითქო მხიარულება სუფევსო, მაგრამ თან თითქო მოწყენილობაც არისო; მარტოდ-მარტო ჰგრძნობს ადამიანი თავს ამ მილიონ ცხოველ არსებათა შორის. გარნა საშაგიეროდ რა სიფართოვეა, რა ხალვათობაა გარშემო! ფეხ-მა-

ლი ტაიჭიც, თავისუფლად მონავარდე აზრიც უძლურია ამ თვალ-გადაუწვდენელ სიფართოვეს წინაშე. მის შვენებას იგრძნობ მხოლოდ მაშინ, როცა შეიყვარებ ამ უდაბნოს, შეწუხებულ-ნაღვლიანის სულით დაუწყებ თავზედ ტრიალს, შეისვენებ მის საფლავთა შორის, ყურს დაუგდებ მის ხმაურობას და ჟრიამულს.

სისხამი დილა იყო. ბალახის ფოთლებზედ, თითქო ბრილიანტებიაო, ისე ჰბრწყინავდა წვეთები ნამისა; დესპანის რაზმი ტაატით მიდიოდა წინ; ამაზედ სწრაფად არც შეიძლებოდა სიარული თოვლ-წვიმებით დამბალ, დაბუჟბუჟებულ გზა-გზა. მაგრამ დესპანი ნებას არ აძლევდა თავის მხლებელთ, დიდხანს შეჩერებულიყვნენ ხოლმე სასაფლაოს სერ-გორებზედ: ეშურებოდა ნახვა თვისის სულის-დგმისა და მასთან ერთად ეშურებოდა მისი განშორებაცა.

მეორე დღეს, როცა მზე სასწორივით გაიწონა, მის თვალწინ გამოჩნდა ტყის იქიდან ქარის წისქვილები, რომელიც რაზლოგის გარშემო მრავლად იყო. პან სქშეტუსკის გულმა ცემა დაუწყო. არავინ არ მელის იქ, არავინ მიმელოდებაო. რას იტყვის ის ჩემი სიცოცხლე, როცა ასე მოულოდნელად დამინახავსო? აი იმათი მეზობლების სახლებიცა, აგერ წეროცა, რომელიც ჭას ახლო აბია. დესპანმა ჰკრა ქუსლი ცხენსა და შურდულივით გაექანა წინ; ამალაც მიჰყვა უკანა. ქოხმახებიდან გამოცვივდნენ დედაკაცნი, უცქეროდნენ რაზმს და იწერდნენ პირ-ჯვარს: თუ ეშმაკნი არიან, ეშმაკებს არა ჰგვანან; თათრები არიან კიდევ და არც თათრებსა ჰგვანანო. ტალახის წინწკლებს შხაპა-შხუპი გაჰქონდა ცხენთა ფეხ-ქვეშ და ამიტომ კაცი ვერც კი გაარჩევდა რიგიანად, ვინ მიჰქრიან ასე გამალებულნიო. ამასობაში ამალა თქარა-თქურით მიგრიალდა მეიდნამდე და გაჩერდა დაკეტილ ალაყაფის კარებ-წინ.

— ეი, ვინა ხართ მანდა, გააღეთ კარი!

საშინელმა ძაღლის ყეფამ მსახურნი გარედ გამოჰრეკა.

— ვინ არის?—იკითხა ვიღამაც შეშინებულის ხმით.

— გააღე კარი!

— თავადნი შინ არ ბრძანდებიან.

— გააღე-მეთქი, შე ძაღლის ნაშობო! ლუბნიდანა ვართ, თავადისაგან გამოგზავნილები.

ახლა კი იცნეს კურცევიჩის მხლებელთა და მსახურთ პან სქშეტუსკი.

— ოჰ, თქვენა ბრძანდებით! ახლავე, ახლავე!

კარი გაიღო, გამოვიდა თვით კნეინა, ხელი შუბლზედ მიიფარა, რადგან მზე უშლიდა და ისე დაუწყო თვალიერება სტუმრად მოსულებს.

სქშეტუსკი საჩქაროზედ ჩამოხდა ცხენიდან და მივიდა კნეინასთან.

— კნეინა, ველარა მცნობთ?

— ოჰ, თქვენა ბრძანდებით, ბატონო დესპანო! მე კი მეგონა, რომ თათრები დაგვესხნენ თავსა-მეთქი. გთხოვთ სახლში წამობრძანდეთ.

კნეინა და დესპანი სახლში შევიდნენ.

— თქვენ გიკვირთ, რასაკვირველია, რომ რაზლოგში მხედავთ, მე კი ჩემი სიტყვა არ გავტეხე და ჩიგირინს და შემდეგ კიდევ უფრო შორს გზად მიმავალმა შემოგიარეთ. თავადმა შიბრძანა, რაზლოგში ჩამოხდი და კნეინას ამბავი გაიგეო.

— ჩემთვის ძვირფასად ჰღირს, რომ თავადი ყურადღებას გვაქცევს. როდისთვის ჰფიქრობს ჩვენს გაძევებას რაზლოგიდან?

— არც როდისთვის... საზოგადოდ ყოველივე ისე იქნება, როგორც აღგითქვით. თქვენ რაზლოგში დარჩებით და მე კი ჩემიც მეყოფა.

კნეინას სახე გაუბრწყინდა სიხარულით და ალერსიანადა ჰთქვა:

— აბა, დაბრძანდით, დაბრძანდით!.. დიდად მოხარული ვარ, რომ გაგახსენდით!

— კნიაჟნა ხომ კარგად გახლავთ? სად არის?

— ოჰ, ვიცი, რისთვისაც მოხვედით, რაინდო! კარგად გახლავთ, კარგად!... სიყვარულმა უფრო გაამშვენიერა, აი ეხლავე გამოგიგზავნი, თან მეც რიგიანად ჩავიცვამ, თორემ მრცხვენიან, ასე მოართულმა როგორ უნდა მიგიღოთ სტუმრები.

კნეინას რაღაც გახუნებული ტანისამოსი ეჯაჯვა; ფეხთაც დიდი ტლანქი წაღები ეცვა.

ამ დროს ოთახში ელენე შემოცქრიალდა, თუმცა არავის არც უთხოვნია და არც დაუძახნია მისთვის; თათარ ჩეხლისაგან გაეგო, რომ ესა და ეს მოვიდაო. შემოცქრიალდა გულამოვარდნილი, ატლასივით გაწითლებული, მხოლოდ თვალები უბრწყინავდა სიხარულითა და ბედნიერებით. კნეინა მიხვდა, რომ ჩემის აქ ყოფნით ამათ ალერსს დავუშლიო და გავიდა ოთახიდან, ხოლო სქშეტუსკიმ ელენეს დაუწყო მხურვალედ კოცნა. დაუკოცნა ხელები, ყელ-ყური, პირის-სახე. აღელვებული, ძალ-ღონე მიხდილი ელენე ვეღარ ახერხებდა წინააღმდეგობა გაეწია სქშეტუსკისათვის და დაეშალა ალერსი.

— მე სულ თქვენ გელოდით,— ჩურჩულებდა ქალი და თან ხელებს იფარებდა პირი-სახეზედ,—მხოლოდ ნუ მკოცნით აგრე... არ ვარგა!

— როგორ არ გაკოცო!—მართლულობდა თავს სქშეტუსკი.—მეგონა მოვკვდები-მეთქი, გავხმები უთქვენოდ; კიდეც გავხმებოდი, რომ თავადი არ დამხმარებოდა.

— მაშ, თავადმაც იცის?

— ყოველივე ვუამბე. გაეხარდა, თავადი ვასილი მოიგონა... რა დამმართეთ ესა? მთელს ქვეყნიერობაზედ თქვენს მეტს ვერავისა ვხედავ... მიმინო... გახსოვთ, როგორა სწევდა ჩემს ხელს თქვენის ხელისაკენ. სჩანს, ასეთი იყო ჩვენი ბედისწერა.

— მახსოვს.

— ლუბნში კინაღამ მომკლა მოწყენილობამ. სოლონიცს წავიდოდი გაგიჟებული და იქ ისე წარმოვიდგენდი ხოლმე, თითქო თვალ-წინ გხედავ-მეთქი. გამოგიწოდებდი ხელებს და აჩრდილივით კი გაჰქრებოდი ხოლმე. ახლა კი, ვეღარ წა-

მიხვალ ხელიდან, ვერავითარი ძალა ვეღარ გაგვაშორებს... მითხარით ერთხელ კიდევ, გიყვარვარ თუ არა?

ელენემ თვალები ძირს დახარა და წარმოსთქვა ხმა-მაღლა და მკაფიოდ:

— მთელს დედა-მიწის ზურგზედ არავინ მიყვარს თქვენისთანად.

— მეფის გვირგვინი რომ მქონდეს დაპირებული, მაგ შენის სიტყვებისათვის იმასაც კი გავწირავდი. გულითა და სულითა მჯერა, რომ მართალს ამბობ, თუმცა კი არ ვიცი, რითი დავიმსახურე თქვენი სიყვარული.

— რითი? იმითი, რომ შეგეცოდათ მამა-ჩემი, მანუგეშებდით მე, ისეთს სიტყვებს მასმენდით, რომლისთანებიც არავისაგან არ გამიგონია წინად.

ელენე გაჩუმდა. მღელვარება უშლიდა ლაპარაკს.

პარუჩიკმა კვლავ დაუწყო კოცნა ხელებზედ.

ეხლა უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა ელენე, ვიდრე წინად. ცოტა არ იყოს მობნელო ოთახში ისე სჩანდა, თითქო წმინდა მოწამე დედათა მხატვრობაა ბნელს ეკლესიაშიო. ამასთანავე ისეთს სიტკბოსა და სიცოცხლესა ჰფენდა თავის გარშემო, ისეთი ნეტარება იხატებოდა მისს სახეზედ, რომ ვინც უნდა ყოფილიყო, ყველა დაჰკარგავდა გონებას იმის ყურებითა და სამუდამოდ შეუყვარდებოდა.

— ლამის დამაბრმავოთ თქვენის სილამაზით!—სთქვა დესპანმა.

— მგონია, პანნა ანნა ბოჟობოლატისა ასჯერ ლამაზია ჩემზედ!—ეშმაკობითა სთქვა კნიაჟნამ, გაიღიმა და გამოუჩნდა თავისი მარგალიტივით კბილები.

— ანნა ისე ვერ მოვა თქვენთან, როგორც კალის თეფში სავსე მთვარესთან.

— პან ჟენძიანმა კი სულ სხვა მითხრა.

— პან ჟენძიანი ღირსია გატყეპისა. მე იმ პანნასთან საქმე არა მაქვს; დეე, სხვა ფუტკრებმა იბზუონ მის გარშემო თაფლისათვის, ამისთანა ფუტკრები ცოტანი არ არიან.

მოტრფიალეებს ლაპარაკი გააწყვეტინა ჩეხლიმ, რომელიც შემოვიდა ოთახში დესპანის მისასალმებლად. პან სქშეტუსკის ის უკვე ისე სახავდა, როგორც მომავალს თავისს ბატონს და ამიტომ, აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, დაბლა უკრავდა თავს.

— აბა, მოხუცო ჩეხლი, პანნასთან ერთად შენც წაგიყვან ჩემთან. ემსახურე კიდევ, ვიდრე ცოცხალი ხარ.

— ჩემი სიკვდილი შორს არ არის და, ვიდრე პირში სული მედგმის, მაგას უნდა ვემსახურო.

— ერთი თვე ძლივს მომიგვიანდება სეჩსა, დავბრუნდები იქიდან და ყველანი ერთად წავიდეთ ლუბნს, ხოლო იქ უკვე მიგველის ქსენძი მუხოვეცკი გვირგვინებითა.

ელენე შეშინდა:

— მაშ, სეჩს მიდიხართ?

— თავადი მგზავნის, წერილები გამომატანა. ნუ გეშინიანთ. ელჩს ხელს ვერავინ ახლებს, თუნდა სულ ურჯულონიც იყვნენ. თქვენ და კნეინას დაუყოვნებლივ გაგზავნიდით ლუბნს, რომ საშინელი გზები არ იყოს. მე თვითონ ვიცი: ცხენითაც კი ძნელი სასიარულოა.

— რაზლოგში დიდ ხანს დარჩებით?

— დღეს საღამოსვე მივდივარ ჩიგირინს. მალე გამოვეთხოვებით — მალევე ვნახავთ ერმანერთს. მერე სამსახურის საქმეც არის: დროება ჩემი არ არის და ამიტომ არც ნებაა ჩემი.

— აბა, გვრიტებო, ხომ გაძეხით ერთმანერთის ალერსით, ერთმანერთთან ღუღუნითა! — ჰკითხა კნეინამ ოთახში შესვლისათანავე. — ახლა სადილის დროც მოვიდა. ერთი შეჰხედეთ, რანაირ ასწითლებია ლოყები ქალაია-ქანციასა! გეტყობათ, რაინდო, დრო ტყუილად არ დაგიკარგავთ. კარგი, კარგი, არა გძრახავთ. აბა წავიდეთ.

კნეინამ ალერსიანად დაუწყო ელენეს მხარზედ ხელის ცემა და თან წაიყვანა. მშვენიერს გუნებაზედ იყო კნეინა. ბოგუნი დიდი ხანია თავიდანა მყავს მოშორებული და ყოველივე საქმე ისე მიდის, რომ რაზლოგი cum lesis, boris, grani-

ciebus et coloniis ჩემსა და ჩემის შვილების მფლობელობაში დარჩებაო.

რაზლოგი კი მცირე ქონება არ იყო.

დესპანმა იკითხა, მალე დაბრუნდებიან თავადებიო.

— მუდამ დღე მოველოდები. პირველში გული მოსდიოდათ თქვენზედ, მერე კი, რაღაი კარგად ჩაუფიქრდნენ საქმეს, ძალიან შეუყვარდით, ისე შეუყვარდით, როგორც მომავალი ნათესავი. ესეც უნდა ვსთქვათ, თქვენისთანა კეთილის გულის კაცს ადამიანი ძნელად შეხვდება ამ ჩვენს დროში.

სადილი გათავდა და ელენემა და დესპანმა ბაღში გაისეირნეს. ბაღი თოვლივით იყო გადათეთრებული, რადგან ვაშლი და მბალი ჰყვაოდა ნაადრევად. ბაღს იქით კიდევ ჭალა იყო, რომელშიაც გუგულნი თავიანთ გუგუს გასძახოდნენ მხიარულადა.

— ნეტავ რას გვიწინასწარმეტყველებს?—იკითხა სქშეტუსკიმ და დაიწყო ყურება ჭალისაკენ.

— გუგულო, გუგულო! რამდენს ხანს ვიცოცხლებთ ნეტავ ერთად მე და ეს პანნა?

გუგულმა დაიწყო გუგუს ძახილი. დასთვალეს და სწორედ ორმოც-და-ათჯერ დაიძახა, „გუგუ“.

— ღმერთმა ბრძანოს!

— გუგული მართალს ამბობს მუდამ,—გულ-გაჯერებითა სთქვა ელენემ.

— თუ აგრეა, მაშ კიდევ ვკითხავ რასმე!—სთქვა დესპანმა და კვლამ შეეკითხა გუგულს:

— შვილები ბევრი გვეყოლება? მიპასუხე, მართალო ფრინველო!

გუგულმაც, მართლა თითქო განგებ დაავალესო, სწორედ თორმეტჯერ დაიძახა გუგუ. სქშეტუსკი ცას დაეწია სიხარულით.

— სწორედ მამასახლისი ვიქნები, ღმერთმანი. გაიგონე?

— არაფერი არ გამიგონია,—წაიჩურჩულა დარცხვენილმა ელენემ.—არ ვიცი, რასა ჰკითხავდი?

— გავიმეორო?

— ნუ, ნუ.

მთელი დღე ისე გავიდა, თითქო სიზმარიაო. საღამო ჟამი დადგა და მოვიდა დრო ხანგრძლივის გაყრისა. გულ-მხურვალედ გამოეთხოვნენ ერთმანეთს სქშეტუსკი და ელენე, და დესპანი გაუდგა ჩიგირინის გზას.

VIII

ხანში შესული ზაცვილიხოვსკი დიდს მღელვარებაში დახვდა სქშეტუსკის. სეჩიდან საშიში ხმები მოდიოდა. ახლა აღარავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ ხმელნიცკი ემზადებოდა იარაღით ხელში მოეთხოვა ყაზახთა უფლების აღდგენა და შური ეძია კერძოდ თვისის შეურაცხ-ყოფისათვის. ზაცვილიხოვსკიმ იცოდა, რომ ხმელნიცკი ეხლა ყირიმშია, ყეენსა სთხოვს შემწეობასა და, დღეს არა, ხვალ გაჩნდება სეჩშიო. მთლად ქვემოურობა ემზადებოდა რესპუბლიკასთან საბრძოლველად; ქარტეხილი თან-და-თან ახლოვდებოდა. შორეული და განურკვეველი ნიშნები მოუსვენრობისა შესცვალა იმ რწმენამ, რომ ჩეხა-ჟლეტა აუცილებელიაო. დიდმა გეტმანმა, რომელიც წინად ყოველ ამ საქმეს არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდა, ახლა ჩერკასს მიუახლოვა თვისი ჯარები; თვითეული რაზმი ჩიგირინამდეც კი დააყენა, რათა ნება არ მიეცა ყაზახთათვის, თვისთა უკმაყოფილო ამხანაგთ შეერთებოდნენ. ქალაქებიდანა და სოფლებიდან გუნდ-გუნდად მიაშურებდა ხალხი სულ სეჩისაკენ. შლიახტა, პირიქით, ქალაქ ადგილებს ეტანებოდა. ამბობდნენ, რომ ამბოხება სამხრეთ სამოურავოებში იფეთქებსო. საცოდავი უკრაინა ორ ბანაკად გაიყო: ერთი სეჩისკენ იწევდა, მეორე ისევ სამეფოს ეკვროდა; ერთი ებღაუჭებოდა უკვე დამკვიდრებულ წეს-წყობილებას, ხოლო მეორე თხოულობდა განუსაზღვრელს თავისუფლებას; ერთს უნდოდა დაეცვა ის, რაც იყო შედეგი ხანგრძლივის შრომისა და ღვაწლისა, ხოლო მეორე

ჰნატრობდა ყოველისავე განადგურებას. მალე ძმა უნდა აღმ-
დგარიყო ძმაზედა.

გარნა ვიდრე ღრუბლები ჯერ კიდევ ასე ირეოდა უკრაი-
ნის ცაზედა, ვიდრე გაისმოდა მხოლოდ თითოეული ხმა გრგვინ-
ვისა, მცხოვრებნი ვერც კი ჰგრძნობდნენ, რა მოელოდდათ,
ვერც კი მიხვედრილიყვნენ, რაოდენად ძლიერი გრიგალი აპი-
რობდა ამოვარდნას. იქნება თვით ხმელნიცკიმაც არ იცოდა
ყოველივე ესა, ხმელნიცკიმ, რომელიც ამ დროს ჩივილითა და
დრტვინვით სავსე წერილებსა სწერდა ხან პან კრაკოვსკისა,
ხან სამეფოს მედროშეს; სწერდა ამისთანა წერილებსა და თან
ფიცსა სდებდა, რომ ერთგული ვარ ვლადისლავ მე-IV-სი და
რესპუბლიკისაო. ვითომ დრო უნდოდა მოეგო, თუ ჰგონებდა,
რომ ჯერ კიდევ შესაძლოა ასცდეს ქვეყანას სისხლის-ღვრაო,
ნამდვილად არავინ იცოდა. მხოლოდ ორს კაცს არა გამოეპარა-რა
და მხოლოდ მათი თვალი და გონება არა სტყუვდებოდა.

ეს ორი კაცი იყო: ზაცვილიხოვსკი და მოხუცი ბარაბაში.

მოხუცმა პოლკოვნიკმაც მიიღო წერილი ხმელნიცკისა,
წერილი მუქარისა, შხამიანის დაცინვისა, ბრძოლაში გამოთხო-
ვებისა. „ჩვენ და მთელი ჯარი იმიერ-ჭორომეთისაო,—სწერ-
და ხმელნიცკი,—ყოველის ღონისძიებით ვეცდებით დავიბრუ-
ნოთ ის უფლება-უპირატესობანი, რომელთაც თქვენი ბატონ-
კაცობა სახლში ჰმალავდა. ხოლო რადგან ჰმალავდით, იმიტომ
რომ საკუთრად თქვენთვის იყო სარფა მათი დამალვა, ამის გა-
მო მთლად იმიერ-ჭორომეთის მხედრობა გსახავთ თქვენ ცხვარ-
თა, ანუ ღორთა და არა კაცთა პოლკოვნიკად. გარნა მე ჩემის
მხრივ ვსთხოვ თქვენს ბატონ-კაცობას, მაპატივოთ, თუ ჩემს
საწყალს სახლში ვერა გასიამოვნეთ-რა ნიკოლოოზობა დღეს და
წამოვედი იმიერ-ჭორომეთს თქვენ მიერ ნება დაურთველად“.

— ჰხედავთ, როგორ დამცინის?—შესჩიოდა ბარაბაში სქშე-
ტუსკისა და ზაცვილიხოვსკის. ოდესმე კი სამამაცო ზნეს, სამ-
ხედრო საქმეს მე ვასწავლიდი, მშობელს მამობას მე ვუწევდი.

— ის იწერება, რომ მთელის იმიერ-ჭორომეთის მხედრო-
ბით იმას ვეცდები, რომ უფლება-უპირატესობანი დავიბრუნოთო,

ჩაურთო სიტყვა ზაცვილიხოვსკიმ.—მდაბიურად რომ ვსთქვათ, შინაურის ომის ატეხა უნდა, იმისთანა ომისა, რომელიც ყველა ომზედ უსაშინელესია.

— მე კი ეხედავ, რომ დაყოვნების დრო აღარა მაქვს,— სთქვა სქშეტუსკიმ.—მომეცით ჩქარა წერილები იმათთან, ვისთანაც საჭიროა საქმე დავიჭირო.

— კაშეკოი ატამანთანა გაქვთ წერილი?

— თვით თავადის წერილი მაქვს იმასთან.

— მე კურენეკოი ატამანთან გაგატან, ხოლო პან ბარაბაშს იქ ნათესავი ჰყავს, ისიც ბარაბაშია გვარად; ამ ორისაგან ყველაფერს კარგად შეიტყობ და იწვრილებ, ესეც კია, ვინ იცის, იქნება თქვენი დესპანობა ახლა უკვე დაგვიანებულიც არის! ვისაც უნდა იცოდეს, რა ამბავია ახლა იქ, იმას პასუხად მხოლოდ ის ეთქმის, რომ კარგი ამბავი არა არის-რა; ხოლო თუ უნდა იცოდეს ვინმე, რა გზას დაადგეს, იმასაც პასუხად მხოლოდ ის ეთქმის, რომ, რაც შეიძლება, ბლომად შეაგროვოს ჯარი და შეუერთდეს გეტმანებს.

— მაშ თქვენ გაუგზავნეთ ვინმე თავადს და შეუთვალეთ თქვენი აზრი და რჩევა, მე კი, რაკი გამომგზავნეს, მოვალე ვარ წავიდე სეჩს,—სთქვა პასუხად სქშეტუსკიმა.

— მერე იცით, რა საშინელი განსაცდელი მოგელით იქ? —დაიძახა ზაცვილიხოვსკიმ.—ჯერ აქაც კი ისეა აღელვებული ხალხი, რომ ძნელია კაცის მტკიცედ დგომა. სამეფოს ჯარები რომ ახლოს არ იყოს, ამ წუთშივე თავს დაგვესხმოდა ბრბო. ახლა იფიქრე, იქ რაღა უნდა იყოს! შიგ პირში უვარდებით მხეცსა და ეგ არის.

— ბატონო მედროშე, იონა პირში კი არა, ვეშაპის მუცელში იყო, მაგრამ, ღვთის შეწევნით, უვნებლად გადარჩა.

— რახან აგრეა, წადით. მომწონს თქვენი გამბედაობა. კუდაკამდე მშვიდობიანად იმგზავრეთ და იქ კი თქვენ თვითონ მიხვდებით, როგორც უნდა მოიქცეთ. გროძიცკი გამოცდილი, მოხუცი ჯარის-კაცია; ის უფრო კარგა გირჩევთ ყოველსავე. თავადთან კი თვითონ მე წავალ; თუ ამ სიბერის დროს კიდევ მიწერია

ლაშკრად წასვლა, ისევ ის მირჩევნიან, იმის დროშის ქვეშ ვილაშკრო. ახლა კი მოვამზადებ თქვენთვის ნავსა და მენავეთა.

სქშეტუსკი გამოვიდა გარედ და პირდაპირ თავისს ძველს სადგურში წავიდა, რომელიც თავადის სახლში ჰქონდა მიჩენილი, რათა მომზადებულიყო სამგზავროდ. მიუხედავად ზაცვილიხოვსკის სიტყვებისა, ეს მგზავრობა თითქმის სასიამოვნოდ მიაჩნდა. დნეპრსა ვნახავ მთელის თვისის სიგრძე-სიგანით, თვით ქვემო მხრამდე, ჭორომებამდეო; ეს ადგილები კი მაშინდელს რაინდობას მოჯადოებულ ქვეყნადა ჰქონდა დასახული, ისეთს ქვეყნად, რომელსაც ათასი საიდუმლო და განსაცდელი ეხვია გარშემო, ისეთს ქვეყნად, რომელიც სიცოცხლეა იმისთვის, ვინც ეძებს სისხლის ასაღლვებელს სანახაობას, ვინც ჰნატრობს ძლიერს სულის-კვეთებას. არა ერთსა და ორს რაინდს გაულევია ცხოვრების გზა უკრაინაში ისე, რომ ვერ დაიტრაბახებდა, სეჩი მინახავსო; სეჩს მაშინ თუ ჰნახავდა მხოლოდ, როცა მოინდომებდა ჩაწერილიყო ძმობაში; ამისი სურვილი კი ნაკლებადა ჰქონდა შლიახტას. სამუელ ზბოროვსკის დრონი წარვიდნენ და აღარ დაბრუნდებოდნენ. უკმაყოფილება და მოუთავსებლობა სეჩსა და რესპუბლიკას შორის, კი არა მცირდებოდა, თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა, ხოლო სეჩს წასვლა-სიარული, პავლიუკსა და ნალივაიკას შემდეგ, როგორც რუსეთისა ისე პოლონიის შლიახტისა, აგრედვე მცირდებოდა. ბულიგებ-კურცევიჩებს ნაკლებადა ჰყვანდნენ მიმბაძველ-მიმდევარნი. საზოგადოდ ქვემო მხარეს, ძმობაში ჩასაწერად, შლიახტას ერეკებოდა მხოლოდ უბედურება, ანუ მძიმე რამ გამოუსყიდველი დანაშაული.

რაღაც განუჭვრეტელის საიდუმლოებით სავსე წყვდიადი ჰფარავდა კაცთა თვალთაგან ამ ძარცვა-რბევასა და მტაცებლობაზედ დამყარებულს დნეპრის რესპუბლიკას. ბევრი რამ საკვირველება გაეგონა სქშეტუსკის მის შესახებ და იმიტომ უფრო უნდოდა თვისის თვალით ენახა, რამდენად მართალია, რასაც ამბობენო.

ფიქრადაც არ მოსდიოდა შიში თვისის სიცოცხლისათვის. ელჩს ყველა პატივსა სცემს, მეტადრე თავად ერემიას ელჩსაო. ასე ფიქრობდა სქშეტუსკი და სარკმლიდან გასცქეროდა ბაზარს. უცბად მოეჩვენა, რომ ვითომ ვიღაც ორმა ნაცნობმა გაიარეს მის სახლს ახლოს და გაემართნენ ძეონეცკის მხრისკენ, ვლახელ დოპულის დუქნისაკენ.

დააცქერდა ყურადღებით და პან ზაგლობა და ბოგუნი კი იცნო.

ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ და მალე შეეიდნენ იმ კარებში, რომელსაც ლატანი ჰქონდა გადებული იმის ნიშნად, რომ აქ სასმელ-საჭმელების დუქანიაო.

დესპანი ბოგუნის ჩიგირინში დახვედრამ იმდენად არ გააკვირვა, რამდენადაც ბოგუნისა და ზაგლობას ამხანაგობამ.

— ეი, ჟენძიან!—დაუძახა მან თავისს მხლებელს.

პატარა ბიჭი მაშინვე დესპანთან დაიბადა.

— გაძიგონე, ჟენძიან. გასწი აიმ დუქანში, აიგერა... იქა ჰნახავ ხანში შესულს შლიახტიჩსა, ნაწყლულევი აქვს შუბლზე და აი იმას უთხარი, რომ ერთს კაცს დიდი საქმე აქვს თქვენთანა და ნახვა უნდა თქვენი-თქო. თუ გკითხოს—ვინ კაციაო —არ უთხრა.

ჟენძიანი გაჰქრა, ისევ მალე დაბრუნდა და თან პან ზაგლობა მოიყვანა.

— გამარჯვება თქვენი!—მიესალმა სქშეტუსკი. მიცანი?

— მიცანიო? თათრებმა გადამადნონ ქონად და სანთლები ჩამოასხან თავიანთ მეჩეთისათვის, თუ მე თქვენ დაგივიწყოთ. თქვენ ის არა ხართ, რომ ამ რამდენისამე თვის წინად დოპულთან კარებში გაუძახეთ ჩაპლინსკი. ამ ამბავმა ისე მასიამოვნა, რომ, რაც სტამბოლის ციხიდან გავთავისუფლდი, მას უკან მაგისთანა სიამოვნება აღარ მინახავს. მართლა, როგორ არის პან პოესინოგა სარვი-შტანის ღერბისა თვისის უბიწოებითა და მახვილითა? ისევ გამხმარი ვერხვი ხომ არა ჰგონიათ ჩიტებს და ზედ არ ასხდებიან დასასვენებლად?

— პან პოდბიპენტა კარგად არის. მოგიკითხათ.

— ძალიან მდიდარი აზნაურშვილია, მაგრამ თან დიდი ტუტუციც არის. თუ იმისთანა სამი თავი მოჰკვეთა, როგორიც თვითონა აქვს, იმდენივე ტვინი იქმნება შიგ, რამდენიც თაფლია ცარიელს ბოთლში. უჰ, რა სიცხეა, ყელი ამომეხლანძა სულა!

— სამ-ნახადი მაქვს და, მგონია, ურიგო არ უნდა იყოს. ეარს ხომ არ იტყვით?

— მხოლოდ სულელი ამბობს, არ გიახლებიო, როცა ჭკვიანი სთხოვს, მიირთვიო. დალაქმა მირჩია თაფლის ღვინო სვი, თუ გინდა რომ სევდა მოგშორდესო. ცუდი დრო მოდის შლიახტისათვის: dies irae et calamitatis. ჩაპლინსკი შიშითა კვდება და დოპულთან აღარ დადის, იმიტომ რომ იქ ყაზახთა უფროსნი ქეიფობენ. მარტო მე არაფრად ვაგდებ განსაცდელსა და ეპურ-მარილობ იმ პოლკოვნიკებთანა, თუმცა კი ცოტა არ იყოს, კუპრის სუნი კი უდით. ძალიან თაფლის ღვინოა! სადაურია?

— ლუბნისაა. ბევრნი არიან აქ ეგ უფროსნი?

— ვინ გინდა აქ არ არის? თეოდორე ლადბოლისი აქ არის, მოხუცი ფილიპე ძეძიალა აქ არის, დანიელ ნეჩაი აქ არის და მათთან არის მათი საუნჯე ბოგუნიცა, რომელიც ჩემი მეგობარია მას უკან, რაც ღვინოში ვაჯობე. სულ ჩიგირინში არიან ახლა და ლბებიან, თან სუნს იცემენ, რომ გაიგონ, რა გზას დავადგეთო, რადგან ჯერ ვერა ჰბედავენ ცხადად მიემხრნენ ხმელნიცკისა. ხოლო თუ არ მიემხრნენ, ეგ ჩემი საქმე იქნება.

— როგორ?

როგორ და ისე! როცა ერთადა ვქეიფობთ, სულ იმასა ვსცდილობ, რომ რესპუბლიკისკენ ვილაპარაკო და იმათაც რესპუბლიკის მხარე დავაჭერინო. თუ მეფემ უფროსობა არ მიბოძა, იცოდეთ, პან სქშეტუსკი, რომ რესპუბლიკა არ აფასებს და არ აჯილდოვებს თავისს ქვეშევრდომებს ქველის მოღვაწეობისათვის; ისე რომ ისევ ის ემჯობინება ქათმებს მოუაროს კაცმა, ვიდრე თავი ჰქონდეს გადადებული საზოგადო სიკეთისათვის—pro publico bono! დიაღ!

— ის არა სჯობდა თავი გადაგედოთ და გეომნათ რესპუ-ბლიკის მტრებთან; თქვენ კი მოჰყოლიხართ და ლოთობთ იმათ-თან და თან ფულსაცა ჰფლანგავთ ქეიფში.

— მე ვფლანგავ? ვინა გგონივართ მერე? ის კი არ ეყო-ფათ, რომ ტეტიებს თავს ვუყადრი? ფულიცა ვხარჯო ახლა იმათის გულისათვის? იმისიც მადლობელნი იყვნენ, რომ ნებას ვაძლევ ჩემ მაგიერ იმათა ჰხარჯონ!

— ბოგუნი? ის რაღას აკეთებს აქა?

— ისა? ყურს უგდებს, აცა რა ამბავი მოვა სეჩიდანაო, როგორც სხვებიცა. დიდი საყვარელია ყველა ყაზახისა. ისეთე-ბი არიან, რომ სულ იმას შესტრფიან. პერეიასლავის პოლკი მაგას გაჰყვება უკან და არა ლობოდას. ის კი ვინ იცის, ვის მხარეს დაიჭერენ სიის ჯარის-კაცნი კისეგოესკისა? ბოგუნი მუ-დამ ქვემოურების მომხრე იყო, როცა ან ოსმალოსა და ან თათრის წინააღმდეგ უნდა გაგველაშკრა ხოლმე, ახლა კი ძრიელ ყოყმანობს. ამას წინად მთვრალმა მიამბო, რომ პო-ლონელი ქალი მიყვარს, აზნაურშვილის ქალი და იმისი შერ-თვა მინდა ცოლადაო... და ამიტომ, ქორწინების წინად, ვე-ლარ ეხერხება ტეტიებთან დაძმობილება. ჰაი, ბეჩავ, რა თაფ-ლია-და!

— აბა მიირთვით კიდევ.

— გიახლები, გიახლები. დოპულს ამისთანას ვინ მიაქვა-ვებს.

— არა ჰკითხეთ, რა გვარისაა ბოგუნის საცოლო?

— პან სქშეტუსკი, რა ჯანაბათ მინდა ვიცოდე იმისი გვარი? მე ის ვიცი მხოლოდ, რომ როცა კურეს გაიჩენს და თეალსაც მოსთხრის ქმარსა, მაშინ ბოგუნისა კი არა, ბრუტი-ანის ცოლი იქნება.

დესპანმა ძლივს შეიმაგრა თავი და ის იყო კინალამ სთხლი-შა ზაგლობას; ის მაინც თავისასა როშავდა და არაფერს ყუ-რადღებას არ აქცევდა.

— თავის დროს მეც არ გადამრჩებოდა ხოლმე ქალი. უნ-და იცოდე, რისთვის მაწამეს გილატში. აი ამ ხვრელსა ჰხედავ,

შუბლზედ რომ მაქვს; ეს სულ იქაურ ფაშის ჰარამხანის წყეულ-შეჩვენებულ საჭურისთა ბრალია.

— რაღაცა სთქვით წეღან, ავაზაკის სოფელიაო?

— მე ვსთქვი—ავაზაკებიო? ძალიან კარგა მითქვამს. ოსმალნი სულ ავაზაკნი არიან! ვაი არა აქვს ზაგლობასა!

პან ზაგლობა კიდევ დიდ ხანს არ გაათავებდა თავისს ლაპარაკს, რომ კარი არ გაღებულიყო და ზაცვილიხოვსკი არ შემოსულიყო.

— აბა, ბატონო დესპანო,—სთქვა მოხუცმა მედროშემ,—ნავები მზად არის, მხლებელნი ერთგულნი კაცნი არიან; თუნდ ეხლავე შეგიძლიანთ გზას გაუდგეთ. აი წერილიცა.

— მაშ უბრძანეთ, რომ ყველანი წყლის პირად წავიდნენ.

— თქვენ სად მიდიხართ მერე?—იკითხა პან ზაგლობამ.

— კუდაკსა.

— ოჰ. დიდი სიცხე დაგადგებათ იქა!

მაგრამ დესპანს ეს სიტყვები აღარ გაუგონია. საჩქაროდ გამოვიდა ეზოში, საცა მისი ამალა, მხლებელნი და ცხენები სულ მზად იყვნენ გასამგზავრებლად.

— აბა, შესხედით ცხენებზედ და გასწით წყლის ნაპირად!—დაიძახა პან სქშეტუსკიმ.—ცხენები ნავებში ჩააყენეთ და ჩემს მოსვლას ელოდეთ!

ამ დროს კი ზაცვილიხოვსკი ზაგლობას ართმევდა ჩვენებას.

— ამბობენ, რომ ვითომ თქვენ ახლა ყაზახთა პოლკოვნიკებს გაამხანაგებიხართ.

— Pro publico bono,—ბატონო მედროშე.

— ძალიან კარგადა ვხედავ, რომ თქვენ უგუნური კაცი არა ხართ და ძალიან მახვილი გონებაცა გაქვთ. ოხუნჯობა თქვენში მეტია, ვიდრე სახელი და პატიოსნება. აი ეხლაც ყაზახებს შესცქნავით, იქნება მე არა დამაკლდეს-რა, თუ ვინიცობაა იმათ გაიმარჯვესო.

— თუნდ აგრეც იყოს, რაო მერე? კარგა ვიწვნიე წვენი ოსმალთაგან და ამიტომ აღარავითარი სურვილი აღარა მაქვს,

ახლა ყაზახთაგან ვისწავლო ჭკუა... ორი ამისთანა სოკო, როგორსაც გინდათ, იმისთანა ბორშჩს წაახდენს. რაიცა შეეხება ჩემს სახელსა და პატიოსნებას, სჯობიან ისევ გავჩუმდე. დაე, სხვებმა რაც უნდათ ისა სთქვან. ჭეშმარიტება მუდამ მაღლა ამოტივტივდება ხოლმე, როგორც ზეთი, რომელსაც წყალს დაასხამენ.

ოთახში შემოვიდა სქშეტუსკი.

— ჯარის-კაცნი მზად არიან,—სთქვა მან.

ზაცვილიხოვსკიმ გაივსო თასი თაფლის ღვინითა.

— კეთილი მგზავრობა მოგცეთ ღმერთმა!

— მშვიდობით დაბრუნებულიყოთ!—დაილოცა ზაგლობაცა.

— სანახავად სახალისო ქვეყანასა ჰნახავთ,—განაგრძო ლაპარაკი ზაცვილიხოვსკიმ.—პან გროძიცკი მოიკითხეთ ჩემ მაგიერ კუდაკში. აი ის არის ჯარის-კაცი! ქვეყნის განაპირასა სცხოვრობს, გეტმანების თვალთაგნ მოშორებით და წესიერება კი ისე აქვს დაცული, რომ ღმერთმა ჰქმნას ისეთი წესიერება რესპუბლიკაში იყოს. კარგად ვიცი კუდაკი და ჭორომები. წინად საკმაოდ ხშირად შემემთხვეოდა ხოლმე იქ სიარული... ახლაკი გული მეტკინება ხოლმე, როცა მომაგონდება, რომ ყოველივე ესე წარვიდა, განჰქრა...

დაიხარა თვისი ჭაღარა-შერთული თავი და დაფიქრდა. ჩამოვარდა დიდი დუმილი. ეზოდან მოისმოდა ხმა ცხენთა ტოტების ცემისა და დგრიალისა: პან სქშეტუსკის რაზმი გაუდგა გზას და იმიტომ.

— ღმერთო ჩემო!—კვლავ გამოერკვა ზაცვილიხოვსკი,—მაშინაც კი მოუსვენარი ცხოვრება იყო, მაგრამ არც ისე, როგორც ახლაა. აი თუნდ ხოტინს ახლო, ოც-და-შვიდის წლის წინად! როცა გუსარებმა იერიში მიიტანეს ლიუბომირსკის მხედართ-მთავრობით იანიჩარებზედ, ყაზახთ ვეღარ იმაგრებდნენ თავიანთ საფარ-სანგლებში, ისვრიდნენ მაღლა ქუდებს და ისეთის გრგვინვით შესჭექდნენ საგაიდაჩნის, რომ დედა-მიწას დგანდგარი გაუდიოდა: „გაგვიშვი, დავიხოცნეთ ლიახებთან ერთა-

დაო!“ ახლა კი? ახლა ქვემო მხარე, ბურჯი ქრისტეანობისა, თვითვე იწვევს თათრებს რესპუბლიკის ასაკლებად, რათა მერე, დაბრუნდებიან თუ არა უკან ნადავლით, დაესხან თავს და წაართვან ნაალაფევი, მაგრამ რას ვამბობ მეცა? ეხლა ხმელნიცკი პირდაპირ დაუკავშირდება თათრებს, რომ იმათთან ერთად ჰკლიტოს ქრისტიანენი...

— მაშ, დავლიოთ მაინც გაჯაერებულებმა!—გააწყვეტინა სიტყვა ზაგლობამ.—რა სამ-ნახადია-და!

— სიკვდილი სჯობიან ძმათა-ძმის მკვლელის ომის მოსწრებასა,—განაგრძო მოხუცმა მედროშემ.—უნდათ სისხლით მოიბანონ, თუ რამ წყენა დაჰხსომებიათ, მაგრამ ძმის სისხლით წყენა არ მოიბანება. ვინ არიან ქვემო მხარეს? რუსინები. თავად ერემიას ჯარში, მაგნატების მხედრობაში ვინა მსახურობენ? ისევ რუსინები. სამეფო ჯარში კი ცოტანი არიან? ეჰ, საცოდავო უკრაინა! უსჯულო ყირიმელნი მოგაბავენ ყელზედ თოკს და დაგაწყებინებენ ოსმალთა კატარღებზედ ნიჩბების მოსმასა!

— მაგრე ნუ წინასწარმეტყველობთ, ბატონო მედროშე, —სთქვა სქშეტუსკიმ გულის-ტკენით,—უმაგისოდაც გულს ეტირება. იქნება ხელ-ახლა მზემ გამოგვინათოს.

მაგრამ მზე ახლა ჩადიოდა და თვისის მოწითანო სხივებით ნათელსა ჰფენდა ზაცვილიხოვსკის გათეთრებულს თმას.

ქალაქში საღამოს ლოცვის ზარები დარეკეს.

ჩვენი მეგობარნი სახლიდან გამოვიდნენ. პან სქშეტუსკი კოსტელში წავიდა, პან ზაცვილიხოვსკი ეკლესიაში, ხოლო პან ზაგლობა დოპულთან, ძვონეცკის უბანში.

უკვე ბნელოდა, როცა კვლავ ერთად მოიყარეს თავი ტიასმინის ნავთ სანაპიროსთან. პან სქშეტუსკის ამალა და მხლებლები უკვე ნავებში ისხდნენ; მენავენი ბარგი-ბარხანას ალაგებდნენ შიგ. წყლიდან ცივი ქარი უბერავდა და საფიქრებელი იყო, რომ იმ ღამეს ვერაფერი ამინდი დაუდგებოდათ მგზავრებს. ნაპირზედ ცეცხლი იყო გაჩაღებული და მის ახლოს მდინარე სიხლის ფრადა ჰკრთოდა, ასე ეგონებოდა კაცს დიდის სისწრაფით მიეშურება სადღაც შორს განურკვეველს, წყვდიადით მოცულს მხარესაო.

— აბა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ!—სთქვა მედროშემ და ძმურად ჩამოართვა ხელი სქშეტუსკის.—ფხიზლად იყავნთ, გაფრთხილდით.

— სიფრთხილით ვიქნები. იმედია მალე ვნახავთ ისევ ერთმანეთს.

— ისევ ლუბნში თუ ვნახავთ ერთმანეთს, ან თავადის ბანაკში.

— საბოლოოდ გადასწყვიტეთ თავადის სამსახურში შეხვიდეთ?

ზაცვილიხოვსკიმ ხელნი აღაპყრო.

— მეტი რა ღონეა? რახან ომია—ომი იყოს!

— Vide, valeque!—დაიძახა უცბად ზაგლობამ,—ხოლო თუ მდინარებამ სტამბოლს ჩაგიყვანოთ, პან სქშეტუსკი, მოიკითხეთ ხონთქარი. მაგრამ, ჯანაბას იმის თავი! რა თაფლის ღვინო იყო თქვენი ღვინო! ბრრ! რა სიცივეა!

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

— ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნიჩბებმა ჭრიალი მოიღეს და გაიტყაპუნეს წყალში; ნავებმა გასწიეს. ცეცხლი ნაპირას ნელ-ნელა ჰქრებოდა. დიდ ხანს ჰხედავდა კიდევ სქშეტუსკი მედროშეს დიდებულს სურათს და რაღაც ნაღველმა ატკინა გული. ახლა წყალს მიჰყვანდა დესპანი, მიჰყვანდა შორს, აშორებდა მოყვარესა და მოკეთესა, აშორებდა გულის-საყვარელს... მიჰყვანდა შეუბრალებლად, თითქო აუცილებელი ბედის-წერაოო, ეელურს ქვეყნებში, წყვდიადით მოცულს მხარეს...

აგერ ტიასმინის შესართავიცა, აგერ დნეპრიცა.

ქარი ზუზუნებდა, ნიჩბები ერთკილოვანებით ჭრიალებდა. ნიჩბების მომსმელებმა სევდიანის სიმღერის თქმა დაიწყეს.

სქშეტუსკი გაეხვია ნაბადში და წამოწვა ნავის ძირზედ. დაიწყო თან ფიქრი ელენეზედ: ის ჯერ კიდევ ლუბნში არარის, ბოგუნი ჩვენს მხარეში დარჩა და მე კი ასე შორს მივდივარო. მის ნაღვლიანს ფიქრებს, მის გულის კვნესას ბანს აძლევდა

ქარის ზუზუნი, წყალის შხაპა-შხუპი, ნიჩბების ჭრიალი, მისთა მომსმელთა სიმღერა, მაგრამ დაღლილობამ მაინც თავისი ჰქმნა და სქშეტუსკის ჩაეძინა.

IX

მეორე დღეს გაიღვიძა სქშეტუსკიმ და იგრძნო, რომ კარგს გუნებაზედ იყო, ჯან-საღად, მხიარულად, დარი მშვენიერი იდგა. სუბუქი და თბილი ნიავი ოდნავ აბიბინებდა სარკესაეით გადაშლილს ზედა-პირს ადიდებულ მდინარისას.

ნაპირები აღარა სჩანდა. გარშემო წყლის უსამზღვრო მინდორი იყო. ჟენძიანს გაეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და რომ მიიხედ-მოიხედა, შეშინდა. სულ წყალი და წყალი გარშემო, სხვა აღარა სჩანდა-რა.

— ღმერთო ჩემო! განა ზღვაზედ ვართ კიდეცა?

— ეს ზღვა არ არის, დიდი მდინარეა,—დაამშვიდა სქშეტუსკიმ,—ნაპირებს მაშინ დაინახავ, როცა ცა ნისლსა და ბურუსს გადიყრის.

— ასე რომ ვიაროთ, ხომ მალე სათათრეთშიაც მივალთ!

— მივალთ კიდეც, თუ კი გვიბრძანებენ. რისა გეშინიან, მარტო ჩვენ ხომ არა ვართ, აბა მიიხედ-მოიხედე გარშემო.

მართლაც გარშემო მრავალი გემი, ხვამალდი და ვიწრო, შავად-შეღებილი ყაზახთა პატარა ნავი სჩანდა. ზოგი სწრაფად მისრიალებდა წყალ-წყალ, ზოგი მძიმედ და ტაატით მიდიოდა წყალ-შელმა იალქნებისა და ნიჩბების მოსმის შემწეობით. ზოგს მიჰქონდა თევზი, წმინდა სანთელი, მარილი და ალუბლის კერკი ახლო-მახლო ქალაქებში, ზოგი უკანვე მიდიოდა კუდაკს, ნუზლ-სანოვაგით დატვირთული, ზოგი მიეშურებოდა სხვა-დასხვა საქონლით სეჩს, საცა კრამნის ბაზრობას ეს საქონელი ძალიან იყიდებოდა ხოლმე. ფსიოლის შესართაეიდან დნეპრის სანაპირონი სულ უდაბური ადგილები იყო, საცა ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა თეთრად ყაზახთა საზამთრო სადგომები, მაგრამ მაინც მდინარე იყო ერთად-ერთი გზა, რომელიც აერ-

თებდა სეჩს დანარჩენ ქვეყნიერობასთან. ეს იყო მიზეზი, რომ მისვლა-მოსვლა ამ გზით არ შესწყდებოდა ხოლმე. განსაკუთრებით უფრო წყალ-დიდობას, როცა გემებისთვის საშიში არ იყო ჭორომებიც კი, თვინიერ უმაძღარასი, ანუ კაცი-ჭამიასი.

დესპანი ცნობის-მოყვარეობით იყურებოდა აქეთ-იქით და ამასობაში მისი ნავები სწრაფად მისრიალობდა კუდაკს. ნისლ-ბურუსმა ძირს დაიწია და კიდენი ცხადად გამოჩნდნენ ლაჟვარდ ცის დასავალზედ. მგზავრთ თავზედ გადააფრინდებოდათ ხოლმე მრავალი სხვა-და-სხვა ფრინველთ გუნდი: ვარხვები, გარეული ბატები, იხვები და დედამთვრალანი; სანაპიროებზედ ატეხილს ლელიანებში ისეთი ამბავი იყო, ისეთი ჟრიამული იდგა, გეგონებოდათ, ფრინველთ ომი დაუწყვიათ ერთმანეთ შორისაო. კრემენჩუგს ქვემოდ ნაპირები შესამჩნევად დადაბლდა.

— ერთი შეჰხედეთ!—უცბად დაიძახა ჟენძიანმა,—მზე საშინლად იცხუნება და მინდორზედ კი თოვლი სძევს.

სქშეტუსკიმ გაიხედა, და მართლაც გარშემო, მდინარის ორთავ ნაპირას, საითაც კი მიიხედავდი, დედა-მიწას თეთრად გაჰქონდა ქათქათი.

— ეი, უფროსო, რა სჩანს აის თეთრადა?—იკითხა დესპანმა.

— ალუბალია, ბატონო!—უპასუხა უფროსმა.

მართლა სულ ალუბლის წვრიმალი ტყე იყო მდინარის ორივ ნაპირად. ეს ტყე დიდს მანძილზედ ატეხილიყო. ალუბალი ისხავდა კარგა მოზრდილს ნაყოფს, რომელიც ფრინველთა სასიამოვნო საჭმელი იყო, იმ უდაბურ ადგილებში გზის არევის გამო ჩარჩენილ მგზავრთა, და ამას გარდა, ამავე ალუბალს ჰყიდდნენ კიევსა და სხვა დიდ ქალაქებში. ამ ჟამად მთლად ეს ხეხილი ჰყვავოდა. როცა დესპანმა უბრძანა, ნაპირზედ გავიდეთ და მენავეებმა ცოტა შეისვენონო, ჟენძიანი და პან სქშეტუსკი იმ ბალაკში შევიდნენ. დესპანს სულ თავ-ბრუ დაესხა იმ კეთილ-სურნელებისაგან, რომელითაც იყო შეზავებული ჰაერი. ალაგ-ალაგ ისე ხშირად იყო ატეხილი ალუბალი, რომ გაუვალ

ტევრად იყო იქაურობა გადაქცეული. ალუბალთა შორის მრავალად იყო დაბალი ნუშის ხეებიცა, სულ ვარდის ფერის ყვავილით აღყვავებული: უამრავი ფუტკარი, კრაზანა და მრავალგვარი ჭრელი პეპელა დაფრინავდა და დაბზუოდა ამ ყვავილთა განუზომელს ზღვას.

— სასწაულია, სწორედ სასწაულია!—წარმოსთქვა ფიქრში წასულმა ჟენძიანმა.—რატომ ხალხი არა სცხოვრობს აქ? მერე ამოდენა ნადირიც არის აქა.

მართლაც, ალუბლებ შორის მრავალი კურდღელი გარბიოდ-გამორბოდა; მრავლად იყო აგრედვე მწერი; რბილს მიწაზედ ცხადად სჩანდა ნაფეხური ირმებისა, ხოლო შორიდან მოისმოდა საშიში ღრუტუნი გარეულის ღორებისა.

ჩვენმა მგზავრებმა საკმაოდ ისიამოვნეს, კარგად დაისვენეს და გაუდგნენ კვლავ გზას. ნაპირები ხან მაღლდებოდა, ხან დაბლდებოდა და მაშინ შვენივრად მოსჩანდა ტყე, სოფლები, სასაფლაოს ბექნი და თვალ-გადაუწვდენელი მინდვრები. სქშეტუსკიმაც განიმეორა გულში ჟენძიანის ნათქვამი: რატომ ხალხი არა სცხოვრობს აქაო? მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ მეორე ერემია ვისნეველკი დაჰპატრონებოდა ამ უდაბნოს, დაესახლებინა მინდვრები და დაეცვა თათართა შემოსევისა და თავდასხმისაგან. ადგილ-ადგილ მდინარე უცბად უხვევდა, ავსებდა წყლით ახლო-მახლო ღელე-ღრანტეებს, აქაფებულის ტალღებით ეჯახებოდა კლდოვანს კიდეებს და მორევებადა ჰღურღუმელავდებოდა დარნებსა და კლდის მღვიმე-მაღაროებში. მდინარის შესართავში მთელი ტყე იყო ლელისა, რომელშიაც აუარებელი ფრინველი ფრთხიალობდა.—ერთის სიტყვით, ჩვენს მგზავრთა თვალ-წინ გადაშლილი იყო ქვეყანა ველური, ხელ-უხლებუტეხი, უდაბური და საიდუმლოებით მოსილი.

ყოველივე ესე ფრიად კარგი და სასიამოვნო სანახავი იქნებოდა, რომ მეტად მრავლად არა ყოფილიყო კოღო და ათასი სხვა მწერი, რომელიც გამძვინვარებით ესეოდა ზედ ყოველს სულიერს არსებას.

საღამო ჟამზედ დესპანის თანამგზავრთა კრებულმა მიაღწია კუნძულს რომანოვკას, საცა უნდა გაეთიათ ის ღამე. ამ ძვირის სანახაობის საცქერლად მრავლად შეიკრიბნენ მეთევზენი, რომელნიც სულ კუპრით იყვნენ გათხუპნულნი, რათა კოლოებს აღარ შეეწუხებინათ. ეს მეთევზენი ნამდვილი ნადირკაცნი იყვნენ. გზაფხულზედ ბლომად მოდიოდნენ აქ, იჭერდნენ თევზს, ახმობდნენ, გამოჰყავდათ ჰაერზედ ჩაჩხად და მერე მიჰქონდათ ჩიგირინს, ჩერკასს, პერეიასლავლსა და კიევს. იმათი ხელობა ადვილი არ იყო, მაგრამ ამაგი მათი უნაყოფოდ არა რჩებოდა, რადგან დნეპრი სავსე იყო თევზით.

დესპანმა შეიტყო მეთევზეთაგან, რომ მთლად ქვემოურებმა, რომელნიც მისდევდნენ აგრედვე მეთევზეობას ამ ადგილებში, სულ თავი დაანებეს კუნძულს და რამდენისამე დღის წინად გასწიეს ქვემოდ, რადგან კაშევოი ატამანმა მიუწოდაო. ისე ღამე არ გაივლის, რომ ნაპირებზედ ცეცხლები არ დაანთონ; ცეცხლებს ანთებენ ყაზახნი, რომელნიც სეჩს მიეშურებიანო. მეთევზეებმა იცოდნენ, რომ „ლიახებთან“ საომრად ემზადებოდნენ და სრულიად არა ჰმალავდნენ ამ ამბავს დესპანის წინაშე. პან სქშეტუსკი თვითონაც ჰხედავდა, რომ დავიგვიანე ჩემის ელჩობითაო, რომ, იქნება, ვიდრე მე სეჩს მივაღწევ, ყაზახთა რაზმნი უკვე გაემართნენ ჩრდილოეთად, მაგრამ რაკი მიბრძანეს, წადიო, მეც წავალ და არსად არ დავყოვნდები გზაში.

მეორე დილით ჩვენმა მგზავრებმა კვლავ განაგრძეს თვისი გზა. აი მშვენიერი ტარენის რქა, აი მშრალი მთა და ცხენთა სარეკი, შესანიშნავი გველთა და ათასნაირ ქვეწარმავალთა სიმრავლით. ყოველივე ესე,—ეს ველური მიდამონიცა, დაქანებული მიმდინარეობაცა წყლისა,—მოასწავებდა ჭორომების სიახლოვეს. აი ცის დასავალზედ გამოჩნდა კუდაკის კოშკიცა. პირველი ნახევარი გზისა უკვე გამოვლილია.

დესპანს მაინც ვერ მოუხდა იმ ღამის გათევება ციხე-დარბაზში: პან გროძისკის დაეწესებინა, რომ საღამო-ჟამის განგაშის შემდეგ არავის შეეძლოს ციხეში შემოსვლაო. თუნდ

თვით მეფე მობრძანდეს, იმანაც იმ მეკომურებთან უნდა გაათიოს ღამე, რომელნიც ციხე-დარბაზის გალავან-თხრილების იქიდანა სდგანანო.

დესპანი იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა საზოგადო წესს, თუმცა ღამის გათევა მეკომურთა ქოხმახებში არაფერი სასიამოვნო იქნებოდა. ისთის ქოხ-მახები ისე საცოდაობისა იყო, ისე ხელ-და-ხელ მოეხუხულავებინათ, მოეწნათ და გაეგლისათ თიხითა, რომ ზოგი უფრო ცხრილსა ჰგვანდა, ვიდრე საცხოვრებელს სადგომსა, ეს კი იყო, რომ ახალისა და მკვიდრის ქოხის აშენება არცა ჰლირდა. თათართა პირველსავე თავ-დასხმის დროს, ციხის ზარბაზნები პირველადვე ამ სოფელს ააოხრებდა, რათა მის სახლებში თავი არ შეეფარებინათ თავ-დამსხმელთ. აქ სცხოვრობდნენ შემოხიზნულნი და მოსულნი პოლონიიდან, რუსეთიდან, ყირიმიდანა და ვლახეთიდან, ყველა თავ-თავის სარწმუნოებითა; თუმცა აქ სარწმუნოებას არც არავინ კითხულობდა. ხვნა-თესვას ისინი არ მისდევდნენ,—სულ-ერთია, მოვლენ თათარნი და გადაჰბუგავენო,—იკვებებოდნენ თევზითა და პურით, რომელიც მოდიოდა უკრაინიდან, სვამდნენ ფეტვის არაყს და აკეთებდნენ სხვა-და-სხვა საქმეს, თუ რამ სამუშაო გამოჩნდებოდა ციხეში.

დესპანმა ვერ დაიძინა: იმდენად იყო გაჟენთილი ჰაერი ავის სუნით ცხენის ტყავებისაგან, რომლისასაც ქამრებსა და შოლტებს აკეთებდნენ. მეორე დღეს, დაჰკრეს თუ არა დილის განგაში, დესპანმა კაცი გაჰგზავნა ციხე-დარბაზში და შეუთვალა, რომ თავადის ელჩი მოვედი და გთხოვთ მიმიღოთო. გროძიკკი, რომელსაც კარგად ახსოვდა ჯერ ისევ თავადის აქ მოსვლა რამდენისამე წლის წინად, თვითონ გამოეგება დესპანსა. გროძიკკი იყო ესე ორმოც და ათის წლის კაცი, ციკლოპივით ცალ-თვალა, განადირებული მარტო ყოფნით ქვეყნის განაპირას, გაამპარტავნებული თვისის განუსაზღვრელის ბატონობითა. მისი სახე ამას გარდა ყვავილისაგან იყო დაკენკილი და თათრის ხმლისა და ისრისაგან დასერილ-ნიშანდებული. კუშტი და სასტიკი მხედარ-მეომარი იყო, ყურ-მახვილი, რო-

გორც წერო და თვალი სულ თათრებისა და ყაზახებისაკენ ეჭირა. სვამდა მარტო წყალს, შვიდს საათზედ მეტი არ ეძინა დღე და ღამეში, რამდენჯერმე წამოხტებოდა ლოგინიდან, ათვალიერებდა, ფხიზლად ჰდარაჯობენ ციხე-დარბაზის გალავანს დარაჯნი თუ არაო და მცირეოდენის დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის მსჯავრსა სდებდა ბრალეულს. ყოვლად საშიში და შეუბრალებელი იყო ყაზახთათვის, მაგრამ მაინც დიდი პატივის-ცემა ჰქონდა დამსახურებული მათ შორის. როცა ზამთრობით სეჩს შიმშილი ეწვეოდა, ის უგზავნიდა იქ პურს დამშეულთ. ჩამომავლობით რუსინი იყო და ლიანცკორონსკისა და სამუელ სბოროვსკისა ჰგვანდა ხასიათებით.

— მაშ თქვენ სეჩს მიდიხართ?—დაუწყო გამოკითხვა სქშეტუსკის ხანში შესულმა ციხის უფროსმა კარგის გამასპინძლების შემდეგ.

— სეჩს გიახლებით. ღვთის-გულისათვის, მიბრძანეთ, რა ამბები მოდის იქიდან?

— ომის ამბები! კაშევოი ატამანმა მოუწოდა ხალხს ყოველ მხრიდან, საცა კი ვინ იყო. უკრაინიდან სულ გროვა-გროვად მირბიან იქ... ვაბრკოლებ, რასაკვირველია, იმათს იქ წასვლას, რამდენადაც შემიძლიან. ეხლა იქ ოც და ათი ათასამე ჯარი იქმნება, თუ არ მეტი. თუ უკრაინისაკენ წავიდნენ და მდაბიო ხალხი და ქალაქ ადგილების ყაზახნიც მიემატნენ, ასი ათასამდე მოიყრის ჯარი თავსა.

— ხმელნიცკი სადღაა?

— ხმელნიცკი ყირიმშია და ყოველ-დღე მოელიან თათრებითა. იქნება მოვიდა კიდეც. სწორედ რომ ვსთქვათ, ან კი რაღა საჭიროა თქვენი სეჩს წასვლა? სულ ერთი არ არის, აქაცა ჰნახავთ, მალე თავს დაგვიკრავენ: ამ კუდაკს ხომ ვერ ასცდებიან.

— ციხის იმედი გაქვთ? გაიმაგრებთ?

გროძიცკიმ ნაღვლიანად შეჰხედა დესპანს და გულ-დამშვიდებით უპასუხა:

— ვერა, ვერ გავიმაგრებ.

— როგორ თუ ვერა?

— ტყვია-წამალი არა მაქვს. ოცს ნავზედ მეტი გავგზავნე, ცოტა მაინც გამომიგზავნეთ-მეთქი, მაგრამ არ მიგზავნიან. არ ვიცი, შიკრიკნი შეიპყრეს, თუ არ ვიცი, თვითონაც არა აქვთ; ვიცი მხოლოდ, რომ აქამდე არ მიგზავნიან. ორს კვირას მეყოფა და მეტი კი აღარა მაქვს. ოჰ, მეტი რომ მქონოდა, უმალ ავაფეთქებდი კუდაკს და მეც თან ავყვებოდი ჰაერში, ვიდრე ყაზახებს ჩავუგდებდი ხელში! ნაბრძანები მაქვს, იდექ მანდაო და მეცა ვდგევარ; ნაბრძანები მაქვს, თვალ-ყური გეჭიროსო და მეც თვალ-ყური მიჭირავს, ნაბრძანები მაქვს, იღრინებოდეო და მეც ვიღრინები; ხოლო თუ სიკვდილი იქმნა საჭირო, სიკვდილსაც არ გავექცევი.

— თქვენ თვითონ კი არ შეგიძლიანთ წამალი გააკეთოთ?

— აგერ ორი თვეა, იმიერ-ჭორომელებმა გვარჯილა აღარ მომატაეინეს შავის ზღვის მხრიდან. ჯანაბას, დავიღუპები და დავიღუპო!

— ჩვენგან კი ჭკუა არ გესწავლებათ ხნიერ მეომართ, მაგრამ თვითონ თქვენ რომ წასულიყავით ტყვია-წამლისათვის?

— პანსქშეტუსკი, მე კუდაკს თავს ვერ დავანებებ და არც შემიძლიან მისი თავდანებება: აქა ვსცოცხლობდი, დაე სიკვდილმაც აქ მომასწროს. თქვენც ნუ გეგონებათ, რომ მიდიხართ სანადიმოდ, როგორც სხვა ქვეყნებში მიდიან ხოლმე ელჩნი; ნუ გეგონებათ, რომ თქვენს უვნებლობას დაიცვავს თქვენი ღირსება ელჩისა. ისინი თავიანთ ატამანებსაც კი ჰხოცავენ... მას აქედ, რაც მე აქა ვარ, ჯერ არ მახსოვს, რომ რომელიმე მათ შორის თავისით მომკვდარიყოს. თქვენც ისევე მოგკლავენ.

სქშეტუსკი ხმას არ იღებდა.

— ვხედავ, რომ თქვენი გამბედაობა სუსტდება. სჯობიან, რომ არ წახვიდეთ.

— ბატონო ციხის უფროსო,—აენთო დესპანი,—მოიფიქრეთ სხვა-რამ უფრო საშინელი ჩემდა შესაშინებლად, ეგ კი ათასჯერაც გავიგონე. მირჩევთ, რომ არ წავიდე! დიაღაც, თქვენ რომ იყოთ ჩემს ალაგას, არ წახვიდოდით... ან კი მარტო ტყვია-

წამალი გაკლიათ ვითომ კუდაკის დასაცველად? აბა, დაფიქრდით, ვაჟკაცობაც ხომ არ გაკლიათ?

გროძიცკი არამც თუ არ გაწყრა, უფრო ალერსით შეჰხედა თვისსა მოსაუბრეს.

— კარგი ღრენა გცოდნია!—წაიბუტბუტა მან რუსულად.—მომიტევეთ. თქვენი ლაპარაკი მარწმუნებს, რომ შეიძლებთ დაიცვათ ღირსება თავადისა და თქვენის აზნაურშვილობისა. რახან აგრეა, მოგცემთ ორ ვიწრო ნავს, რადგან ფართო ნავები იქ არ ივარგებს.

— მეც სწორედ მაგისთვის გიახელი, რომ ეგ ნავები მეთხოვნა.

— კაცი-ჭამიას ახლო უბრძანეთ, რომ ხელით გადიტანონ, რადგან, რაც უნდა წყალ-ღრღობა იყოს, იქ ნავი ვერ გაივლის... თუ სულ პაწია არ არის. ხოლო როცა ჭორომებს გასცდებით, ძლიერ გაფრთხილდით და გახსოვდეთ, რომ იქ ხანჯალი და რკინა უფრო მჭევრმეტყველია, ვიდრე სიტყვა, იქ აფასებენ მხოლოდ გამბედაობასა და ვაჟკაცობას. ნაგები ხვალ იქმნება მზად; ვუბრძანებ მხოლოდ, რომ მეორე საჭეც გაუკეთონ, რადგან ჭორომების გამო ერთი საჭე არა კმარა.

ამ ლაპარაკს შემდეგ გროძიცკიმ წაიყვანა დესპანი ციხის დასათვალიერებლად. ყველგან მეფობდა გასაოცარი წესი და რიგი. დარაჯნი დღისით და ღამით გალავანს ჰდარაჯობდნენ, ხოლო თათართა ტყვენი განუწყვეტლივ აგებდნენ ახალ-ახალ გორებს და იღებდნენ თხრილებს.

კუდაკი შეუვალი ციხეა; ზარბაზნებს გარდა, ამ ციხეს იცავს დნეპრის ღურღუმელა მორევნი და ციცაბო სანაპირო კლდენი; აქ საჭირო არც კია რიცხვ-მრავალი ჯარი მეციხოვნეთა. იმიტომ ამ ციხე-დარბაზში 600 კაცზედ მეტი არ იყო, მაგრამ ვინც იყვნენ, სულ რჩეულნი, ერთი-ერთმანეთზედ უკეთესნი, შეიარაღებულნი ჯაზაირებითა და ხირიმებითა. დნეპრი ამ ალაგას ისე იყო შევიწროებული, რომ ერთის ნაპირიდან ისარი გაგეტყორცათ, მეორე ნაპირს უწევდა. ციხის ზარბაზნები ჰბატონობდა ორივე ნაპირსა და მთლად გარემო მიდა-

მოსა. ამას გარდა, ციხეს ახლო ამოსული იყო კოშკი, საიდანაც სჩანდა რვა მილის მანძილზედ მთელი არე-მარე. დარაჯნი, რომელნიც იქ იყვნენ, მაშინვე აცნობებდნენ ხოლმე ციხეში ყოველთვის, თუ რომელიმე საეჭვო ბრბო გაჩნდებოდა საიდანმე. და მაშინვე მთელი ჯარი მეციხვანეთა საომარ ფეხზედა სდგებოდა.

— კვირა არ გავა, რომ ერთი რამ განგაში არ ატყდეს,— სთქვა პან გროძიცკიმ.—ხან თათარნი, თითქო ხროვაა მგლებისაო, დაგროვდებიან არა იშვიათად ათასობითა და მოგვიახლოვდებიან (რამდენადაც შესაძლოა, ზარბაზნებით ვიგერიებთ), ხან ისე მოხდება ხოლმე, რომ გარეულ ცხენების ჯოგი დარაჯს თათრების ურდოდ მოეჩვენება ხოლმე და ატყდება კვლავ ცემა განგაშისა.

— მერე არ მოგწყინდებათ ხოლმე ასეთს უკაცურობაში!—ჰკითხა პან სქშეტუსკიმ.

— ჩემს სამყოფელს სამეფო პალატებზედაც არ გავცვლი. აქედან უფრო ბევრს რასმესა ვხედავ, ვიდრე მეფე თავის სარკმლიდან ვარშავში.

მართლაც, თხრილებიდან განუზომელი მინდორი სჩანდა, მთელი ზღვა უდაბნოსი; ჩრდილოდ სამარის შესართავი, სამხრეთად—დნეპრი თვისის კლდეებითა, ღრანტეებითა, ტყეებითა თვით მეორე ჭორომამდე, სურსკის ჭორომამდე.

მეორე დღეს უნდა გასულიყო დესპანი კუდაკიდან, მაგრამ იმ ღამეს ძილი არ მიჰკარებია თვალებზედ. სამწუხარო ფიქრები ზედ-ესეოდა და ეჯარებოდა იმის გონებას. საშინელს სეჩს წასვლა თითქმის აუცილებელს სიკვდილს უქადოდა. სიცოცხლე კი იმდენს სიამოვნებას ჰპირდებოდა! ყმაწვილი იყო, ახალგაზდა ქალს უყვარდა, ბოლოს კიდევ კავშირი მოელოდა თავის სულის-დგმასთან... მაგრამ რა არის განა სიცოცხლე და სიყვარული სახელსა და პატიოსნებასთან შედარებით? აქ მოაგონდა, რომ ელენე რაზლოგში ელოდა, მოუსვენრობაში იყო მის გულისთვის... მოაგონდა ბოგუნი... ნადირ-ქმნილი, გამძვინვარებული ბრბო... და გული შეეხუთა ტკივილისა.

გან. ახლა მინდორი აშრა, შეიძლებოდა ლუბნს წაყვანა ელენესი, მე კი ვუბრძანე იმასაცა და კნეინასაც, რაზლოგში მიცადეთ-მეთქი. რა ვიცოდი, რომ ქარი ასე მალე ამოვარდებოდა, რომ სეჩს წასვლა ასე საშიში იქმნებოდა? სქშეტუსკი ბოლთასა სცემდა ოთახში გაცეცხლებული, იგრეხდა წვერ-ულვაშს და იმტვრევდა ხელებს. რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? ფიქრი და გონება უთვალისწინებდა რაზლოგს, რომელსაც ვითომ ცეცხლი უკიდია და გარს ახვევია გახელებული, ნადირივით მგვრგვინავი ურდო, საცა კაცნი უფრო ეშმაკსა და ქაჯებსა ჰგვანან, ვიდრე ადამიანთ. მისი ფეხის-ხმა სევდიანად გაისმოდა ოთახის ჭერ-ქვეშ და იმას კი ეგონა, რომ აგერ უკვე მოდიან ელენეს წასაყვანადაო. გალავანზედ განგაში დაჰკრეს და აუწყეს ყველას, სანათი გააქრეთო და იმას კი მოეჩვენა, რომ ვითომ ეგ ხმა ბოგუნის საყვირის ხმაოო... და სქშეტუსკიმ კბილები დააკრაჭუნა და ხელი ხმალს იტაცა. ეჰ, რა მრჯოდა, რაზედ ავიხირე გიჟივით, უთუოდ მე გამგზავნეთ ბიხოვეცის მაგივრად იმ წყეულ ქვეყანაში-მეთქი?!

კარებთან იწვა ჟენძიანი, რომელმაც შეჰნიშნა ესა, ადგა, მოიფშვნიტა თვალები, აანთო ჩირაღი, რომელიც იქვე იდგა და დაიწყო თვითონაც ბოლთის ცემა ოთახში, იქნება ჩემმა ბატონმა ყურადღება მომაქციოსო.

მაგრამ ის ისე იყო შთანთქმული თავის ნაღვლიანის ფიქრებით, რომ ვერასა ჰხედავდა და კვლავ განაგრძობდა თვისს სეირნობას კედლიდან-კედლამდე.

— ბატონო დესპანო, ჰაი ბატონო დესპანო!—სთქვა ჟენძიანმა.

სქშეტუსკიმ შეჰხედა გამოშტერებულის თვალებით და მალე მოვიდა გონებაზედ.

— ჟენძიან, სიკვდილისა გეშინიან?—ჰკითხა მან.

— ვისა? რა? რა სიკვდილისა? რასა ბრძანებთ?

— იმ სიკვდილისა, რომ ვინც სეჩს მიდის, უკან ველარა ბრუნდება.

— მაშ თქვენ რაღად მიდიხართ, თუ მაგრეა?

— ეგ ჩემი საქმეა და შენ ჩემს საქმეში ნუ ერევი. მე შენ მეცოდები: შენ თითქმის ბავშვი ხარ და, თუმცა გაიძვერაობა დიდი გაქვს, მაინც იქ მარტო გაიძვერაობით ვერას გაჰყიდი, დაბრუნდი ჩიგირინს და იქიდან ლუბნს.

ჟენძიანი თავის ფხანას მოჰყვა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ სიკვდილისა არ მეშინიან, იმიტომ რომ სიკვდილისა რომ მეშინოდეს, ღვთის შიში აღარ მექმნებოდა: მისი ნებაა! ხოლო თუ თქვენ თქვენის ნება-ყოფლობით მიდიხართ სასიკვდილოდ, მეც თაეს არ დაგანებებთ: მეც აზნაურშვილი ვარ, მართალია, ღარიბი, მაგრამ მაინც აზნაურშვილი.

— ვიცოდი, რომ კეთილი ბიჭი იყავ და აი რა უნდა გითხრა: თუ შენის ნებით არ გინდა წახვიდე, ბრძანებით გაგგზავნი. სხვაფრივ შეუძლებელია.

— გინდა მომკალით არ წავალ. რაო, იუდა ხომ არა ვარ, რომ სასიკვდილოდ გაგიმეტოთ?

ჟენძიანმა მიიჯარა ხელები თეალებზედ და ქვითინი დაიწყო. პან სქშეტუსკი მიხვდა, რომ ასე არა გარიგდებოდა-რა, ხოლო არც ის უნდოდა, რომ ყვირილი დაეწყო ახალგაზდასათვის.

—გამიგონე,—ტკბილად უთხრა,—შემწეობას ვერას აღმომიჩენ და არც მე დავნებდები ვისმე ტყუილად. შენ წაიღე წერილი რაზლოგს,—წერილი, რომელზედაც ჩემი ბედია დამოკიდებული. ეტყვი იქ კნეინასა და თავადებს, რომ იმ წამსვე დაუყოვნებლივ გადიყვანონ პანნა ლუბნს, თორემ ომიანობა და შიშიანობა უცბად მოგასწრებთ-თქო. ეცადე, ყოველივე ასე შესრულდეს. ისეთს მონდობილებას გაძლევ, რომელიც მეგობარს შეეფერება და არა მსახურსა და მხლებელს.

— სხვა გაგზავნეთ ვინმე; წიგნს ყველა წაიღებს.

— ვის უნდა ვენდო მერე აქ? გაგიჟდი! გიმეორებ, გადამარჩინე მეორედ სიკვდილს და იცოდე, რომ ამაზედ უკეთესს სამსახურს სხვას ვერ გამიწევ, იმიტომ რომ ვიტანჯები, რაკი არ ვიცი, რა ამბავია იქ.

— ღმერთმანი, ვხედავ, რომ საჭიროა ჩემი წასვლა! მხოლოდ თქვენ მენანებით ისრე, რომ ისიც კი არ მანუგეშებდა, თუნდა ვერცხლის ქამარიც გეჩუქებინათ.

— ქამარი მიჩუქებია, მხოლოდ ყოველივე რიგიანად შეასრულე.

— არ მინდა ქამარი, ოღონდ კი შენთან წამოვიდოდე.

— ხვალ გაჰყვები იმ ნავს, რომელსაც პან გროძიცკი ჰგზავნის ჩიგირინს, შემდეგ იქიდან იმ წამსვე რაზლოგს გასწიე, ისე რომ არსად დაყოვნდე. ნურც კნეინას, ნურც პანნას ნუ ეტყვი, რა შიშიც მომელის, მხოლოდ სთხოვე, რომ დაუყოვნებლივ წავიდნენ ლუბნს, თუნდა ცხენებითაც იყოს და უბარგი ბარხანოდ. აჰა ქისა საგზაოდ და წერილსაც ეხლავე დავწერ.

ჟენძიანმა დაიჩოქა და ფეხებში ჩაუვარდა დესპანს.

— ოჰ, ბატონო დესპანო, ნუ თუ ველარას დროს ველარა ვნახავთ ერთმანეთსა?

— როგორც ღვთის ნება იქნება, როგორც ღვთისა!— უპასუხა პან სქშეტუსკიმ.—მხოლოდ რაზლოგში არა შეამჩნევინო-რა. ახლა წადი და დაიძინე.

ღამის დანარჩენი დრო პან სქშეტუსკიმ წერილების წერასა და მხურვალე ლოცვაში გაატარა და, ცოტა არ იყოს, გული დაუმშვიდდა. ღამე გავიდა და ვიწრო სარკმლიდან განთიადის სხივი შემოიპარა.

კოშკსა და ციხე-დარბაზში დაჰკრეს განგაში, იმის ნიშნად, რომ, აბა, წამოდექითო.

აი პან გროძიცკიც შემოვიდა სქშეტუსკის ოთახში.

— პან დესპანო, ნავები მზად არის.

— მეც მზადა ვარ,—გულ-დამშვიდებითა სთქვა სქშეტუსკიმ.

სუბუქი ნავები სწრაფად მისრიალებდნენ წყალ-წყალ და მიჰყვანდათ თან ახალგაზდა რაინდი თვისის ბედის-საწერელი-

თურთ. რადგან წყალ-დიდობა იყო, ჭორომებიც ისე ძრიელ საშიში არ იყო. ჩვენი მგზავრნი გასცდნენ სურსკისა და ლოხანის ჭორომს, იღბლიანმა ტალღამ გადააქანა ისინი ვორონოვს იქით და მხოლოდ ერთგან გაეხახუნა ოდნავ წყალ-ქვეშს კლდეს ძირი ნავისა; საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ აი გამოჩნდა კარგა შორს მანძილზედ აქაფებული ქოჩქოჩანა კაკი-ჭამია უმაძღარასი. ახლა კი უნდა გასულიყვნენ ნაპირას და ნავებიც თან წაეღოთ ხმელეთად. ეს საქმე კარგა სამძიმო საქმე იყო, თითქმის ერთის დღის საკმაო. ბედად ცოტა წინად ვიღაცას ეთრია ამ გვარადვე ნავები და მრავლად დაეტოვებინა გზა-გზა ხუნდები, რომელიც უნდა შესწყობოდა ქვეშ ნავებს, რათა უფრო სწრაფად ესრიალებინათ დედა-მიწაზედ. გარშემო არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო, არც დედა-მიწაზედა და არც წყალზედ; სეჩს წასვლა შეეძლოთ მხოლოდ იმ ნავებით, რომელიც პან გროძიცკის მიერ იყო დასტურ-დაცემული; ხოლო მან განგებ მოჰკვეთა იმიერ-ჭორომეთი დანარჩენს ქვეყნიერებას. დუმილს არღვევდა მხოლოდ შუილი ტალღებისა, რომელიც ეხეთქებოდა უმაძღარას კლდეებს. პან სქშეტუსკიმ უბრძანა თავისს კაცებს ეთრიათ ნავები, ხოლო თვითონ სტკბებოდა უცნაურის, განსაცვიფრებელის სურათით. მთლად მდინარის გარდი-გარდმო შვიდ წრედ იყო ჯებირებივით გადახარიხებული შავი კლდეები. მთელი მდინარე მთელის თვისის ძალითა ეხეთქებოდა ამ ჯებირებს, ილეწებოდა და გამძვინვარებული, თეთრად ქეჩო-აშვებული, სცდილობდა თავს გადავლებოდა ამ კლდოვან ხარიხებს. მაგრამ კვლავ ძლეული და ოტებული, თითქო ღრღნიდა კლდეებს, სდგებოდა ყალხზედ, ისვროდა მალლა შადრევანივით წყალს და ღმუოდა, ღრიალებდა, როგორც მხეცი, ნადირი. მერე გაისმოდა გვრგვინვა-ქუხილი, თითქო ათასი ზარბაზანი ერთად გაისროლესო და თითოეულ ჯებირთან იწყებოდა კვლავ იგივე ბრძოლა, იგივე გაშმაგება. წყალზედ გადაჰფრინდნენ გუნდნი შეშინებულ ფრინველთა; ჯებირებ შუა თავი ამოეყოთ განმარტოებულ, თავ-პირ ჩამობნელებულ კლდეებს, თითქო ბოროტნი სულნი არიან და ჯოჯოხეთის შესავალს კარსა ჰდარაჯობენო.

ბატონის დესპანის კაცები შეშინებულნი იწერდნენ პირჯვარს და აფრთხილებდნენ უფროსს, მეტის-მეტად ახლო არ მიხვიდეთ წყლის ნაპირადაო. მდაბიო ხალხსა სწამდა, რომ ვინც დიდ-ხანს უცქერის უმაძღარას, საშინელს რასმე დაინახავს და ჭკუა-ზედ შეიშლებაო; ამბობდნენ აგრედვე, რომ ხან და ხან ქოჩქო-ჩანიდან ამოიწვდის ხოლმე ვიღაც ალქაჯი გრძელს შავს ხე-ლებს და ჰხვევს გაუფრთხილებელს, რომელიც მეტის-მეტად მიახლოვებია ნაპირსა და ამასთანავე მთლად მიდამოთა შო-რის ისმის საშინელი ხარხარიო. ღამ-ღამობით იმიერ-ჭორომელ-ნიც კი ვერა ჰბედავდნენ ნავების გადატანას ნაპირ-ნაპირ.

ქვემოურნი თვისთა ძმობაში არ იღებდნენ იმას, ვისაც მარტოდ-მარტო, სხვის დაუხმარებლად, ნავით არ გაეარნა ყვე-ლა ჭორომნი უმაძღარას გარდა. უმაძღარას ჭორომზედ გადა-სკლა შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული, რადგან მისს კლდეებს თავის დღეში წყალი არ დაჰფარავდა ხოლმე. მარტო ბოგუნი-სას ამბობდნენ უსინათლო მეფანტურენი, რომ ვითომ ის გადა-სრიალდა უმაძღარის ჭორომებზედაცაო, მაგრამ ეს ამბავი ნა-კლებადა სწამდათ.

ნავების თრევასა და ვაი-ვაგლახს თითქმის მთელი დღე მოუნდნენ; მზე ჩასავალს იყო, როცა დესპანი კვლავ ჩაჯდა თავისს ნავში; შემდეგი ჭორომები ადვილად განვლეს და მიაღ-წიეს მდინარის იმ ნაწილს, საცა წყალი მდორედ და აუჩქა-რებლად მიდუდუნებდა.

აი ის ახალშენიცა, საცა თავადმა ბრძანა აეგოთ კოშკი ყორესი. აქედან სეჩამდე სულ ახლო-ღა იყო, მაგრამ დესპანს არ უნდოდა ღამე შესულიყო ჩერტომელიკის მღვიმე მაღა-როებში და ამიტომ გადასწყვიტა, ამ ღამეს ხორტიცს გავათე-ნებო.

ძრიელ უნდოდა ერთი იმიერ-ჭორომელი მაინც ენახა და იმის პირით გაეგებინებინა, რომ სეჩსა სცოდნოდა, მოვიდა ელ-ჩი და არა სხვა ვინმეო. მაგრამ ხორტიცა სულ დაცარიელე-ბული იყო, რამაც ძალიან გააკვირვა დესპანი; გროძიკისაგა-ნა ჰქონდა გაგონილი, რომ აქ მუდამ ყაზახთა რაზმი სდგას

ხოლმეო. პან სქშეტუსკი წავიდა კიდეც რამდენისამე კაცით იქაურობის დასათვალიერებლად, მაგრამ მთელის კუნძულის მიმოვლა ძნელი იყო და ამიტომ უკანვე დაბრუნდა, საცა ნავები ნაპირას გამოეთრიათ; მით უმეტეს რომ ღამდებოდა და ღამე ბნელი და ცივი სჩანდა.

ღამის უმეტესმა ნაწილმა მშვიდობით გაიარა. ჯარის-კაცებმა და მენავეებმა ცეცხლა-პირას დაიძინეს; არ ეძინათ მხოლოდ დარაჯებსა და თვით დესპანს, რომელსაც უძილობა საშინლად აწუხებდა, ჯერ ისევ კუდაკიდანვე დაწყებული. საზოგადოდ ძალიან ავს გუნებაზედ იყო და ცუდადა ჰგრძნობდა თავს. ხან და ხან მოეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვითომ ვიღაცას ფეხის ხმა მესმისო, ან ვიღაც კაცების ხმაურობაოო, მაგრამ ყოველსავე ამას ყურთა სმენის ცდუნებას აწერდა.

უცებ, ზედ განთიადის წინად, მის წინაშე აიყუდა ვიღაც კაცის ლანდი. ეს კაცი ერთ-ერთი დარაჯთაგანი იყო.

— ბატონო დესპანო, მოდიან!—საჩქაროდ წარმოსთქვა მან.

— ვინა?

— ალბად, ქვემოურნი არიან, ორმოცამდე კაცი იქნება.

— კარგი. ბევრნი არა ყოფილან. დააღვიძეთ ხალხი! ცეცხლს შეშა მიუმატეთ! ჯარის-კაცნი უცბად წამოიშალნენ. ცეცხლი სწრაფად აინთო და გაანათა ნავებიცა და დესპანის ერთი მუჭა ხალხიცა. დანარჩენნი დარაჯნიც ჰგროვდებოდნენ თავ-შესაფარებელ ადგილსა.

ამ დროს მომავალ ხალხის ფეხის ხმა უფრო და უფრო ცხადად ისმოდა. აი გაჩერდნენ ისინი პატარა მოშორებით და ვიღამაც იკითხა, ცოტა არ იყოს, მუქარის კილოთი:

— ვინ არის აქ, წყლის ნაპირად?

— თქვენ ვინ-ღა ხართ?—შეუბრუნა სიტყვა ვახმისტრმა.

— მიპასუხე, მტრის ნასხლეტო, თორემ თოფითა გკითხავ, ვინცა ხარ!

— ელჩი, გამოგზავნილი თავად ერემია ვისნევეცკისაგან კაშევოი ატამანთან,—ხმა-მაღლა და მკაფიოდ წარმოსთქვა ვახმისტრმა.

ის ხალხი ჩაჩუმდა; სჩანდა, თათბირობდნენ.

— მოდი აქ!—დაიძახა ვახმისტრმა. ნუ გეშინიან. ელჩებს ხელს არავინ ახლებს და არც ელჩნი ახლებენ ხელს.

სიბნელიდან გამომარტოვდა და მოახლოვდა რამდენიმე კაცი. შაეგვრემანს სახეზედ, დაბალ ტანადობასა და ელამ თვალებზედ დესპანმა მაშინვე იცნო, რომ თათრები იყვნენ; ყაზახნი სულ ორიოდ-სამიოდე კაცი იყო.

პან სქშეტუსკის ელვასავით გაურბინა თავში იმ აზრმა, რომ თუ თათრები უკვე ხორტიცში არიან, მაშ სჩანს ხმელნიცკი დაბრუნებულა ყირიმიდანაო.

ბრბოს ჰმეთაურობდა უზარ-მაზარის ტანის იმიერ ჭორომელი, რომელსაც საშინელი და სისხლის-მსმელის კაცის სახე ჰქონდა. პირველი ის მივიდა ცეცხლთან.

— აბა რომელია აქ ელჩი?

იმიერ-ჭორომელს არაყის სუნი ამოსდიოდა პირიდან, ცხადად სჩანდა, რომ მთვრალი იყო.

— ვინ არის აქ ელჩი?—გაიმეორა მან.

— მე ვარ,—ამაყადა სთქვა პან სქშეტუსკიმ.

— შენა?

— პატარა თავაზიანად ილაპარაკე, სულელო,—გაუსწორა სიტყვა ვახმისტრმა.—სთქვი: წარჩინებული ბატონი ელჩითქო!

— დაიკარგენით თქვენცა და თქვენი წარჩინებულობაცა! რაში გინდათ ატამანი?

— ეგ შენი საქმე არ არის! იცოდე მხოლოდ, რომ თავი ალარ შეგრჩება მხრებზედ, თუ საჩქაროდ ატამანთან არ მიგვაცილებ.

ამ დროს ბრბოდან გამომარტოვდა მეორე იმიერ-ჭორომელი.

— ჩვენ ატამანის ნებითა ვართ აქა,—სთქვა მან,—თვალყური გვიჭირავს, რომ ლიახთაგანი არავინ მოუახლოვდეს აქაურობას და, თუ მოუახლოვდა ვინმე, უნდა შევკრათ და წარვუდგინოთ. ჩვენც ასე ვიზამთ.

— ვინც ნება-ყოფლობით მიდის, იმას რაღა შეკვრა უნდა?

— შევკრავ; ასეა ბრძანება.

— იცი, მერე, მონავ, რა არის ელჩი? იცი, ვისი წარმოშადგენელია?

— წავათრევთ ელჩსა და მერე როგორ, სულ წვერის გლეჯით—ასე აი!—შეჰღრიალა ხნიერმა ახმახმა.

სთქვა ესა და ხელი გაიწოდა დესპანის წვერისაკენ, მაგრამ იმ წუთსავე დაიკვნესა და, როგორც მეხ-დაცემულს, ისე გახდა მიწაზედ ბრახვანი.

დესპანმა თავი ზედ შუაზედ გაუპო.

— დაჰკათ, დაჰკათ!—დაიგრიალა მთელმა ბრბომ.

თავადის ჯარის კაცნი მიეშველნენ თვისს წინამძღვარს; ყვირილი: „დაჰკა, დაჰკაო“ შეუერთდა რკინის ჯახა-ჯუხს. გაცხარდა ბრძოლა. ცეცხლი ფეხით გასთელეს და გააქრეს; სიბნელემ მოიცვა მეომარნი. მალე მებრძოლნი ისე მიეტივნენ ერთმანეთს, რომ დაშნა-ხმლების მაგიერ ფეხითა, ხელებითა და კბილებით ჰმრქმედ-ობდნენ.

უცბად კუნძულის სიღრმიდან მოისმა სხვა ყვირილი და ყიჟინი; ეს იმისი ნიშანი იყო, რომ იმიერ-ჭორომელთა საშველად ახლა სხვანი მოდიოდნენ.

ერთი წუთიცა და შველა დაგვიანებული-ღა იქნებოდა, ისე ყოჩაღად იბრძოდნენ თავადის ჯარის კაცნი.

— ჩასხედით ნავებში!—გრგვინვასავით დაიჭექა დესპანმა.

მაგრამ ვაი რომ ნავები ღრმად ჩაჭედილიყო ქვიშაში და ძნელი-ღა გახდა მათი ჩაშვება წყალში. მტერი კი სულ ახლოს და ახლოს მოდიოდა.

— დასცალეთ თოფები!—უბრძანა პან სქშეტუსკიმ.

დაიგრიალეს ჯაზეირებმა და უცბად გააოგნეს ზედ-მოსეულნი. თოფების გრიალზედ აირივნენ და უწეს-ურიგოდ დაიწიეს უკან. რამდენიმე კაცი იქვე დაეცა გაგუდული.

ამ დროს მენავენი ყოველის ღონისძიებითა სცდილობდნენ თავისას, მაგრამ ნავებს პირჯვარი ვერ დააწერინეს და წყლამდე ვერ მიიტანეს.

მტერმა კვლავ მოიტანა იერიში, თუმცა კი შორიდან. თოფის სროლის ხმა შეერია ისართა ზუზუნსა და დაჭრილ დაკოდილთა კენესასა.

თათრები ჰყვიროდნენ „ალლაჰ!“-ო და საომრად იფიცხებდნენ გულს, ხოლო იმათ ბანს აძლევდა დამშვიდებულიხმა პან სქშეტუსკისა, რომელიც უფრო და უფრო ხშირ-ხშირად აძლევდა ბრძანებას:

— თოფი მაგათაო!

განთიადის პირველმა სხივმა გაანათა ადგილი ბრძოლისა. ხმელეთის მხრივ სჩანდა ბრბო თათრებისა და ყაზახებისა, მდინარის მხრივ—ორი ნავი, საიდანაც ხან-დაზმით იგრიალებდა ხოლმე თოფები. შუაგულას ეყარნენ გვამნი დახოცილთა.

ერთ-ერთს ნავში იდგა პან სქშეტუსკი ამოწვდილის დაშნით ხელში და უქუდოა: თათრის ისარს მოეგლიჯნა მისის თავიდან ქუდი.

— ბატონო დესპანო, ვერ გავუმაგრდებით; ისინი ჩვენზედ ბევრნი არიან! უჩურჩულა ვახმისტრმა.

ხოლო დესპანი მხოლოდ ერთის აზრით იყო ახლა ჩანთქმული: არ გამიწყრეს ღმერთი და არ შევლახო ჩემი ღირსებაო და, თუ სიკვდილი მიწერია, მოვკვდე არა-ნაძრახის სიკვდილითაო. ჯარის-კაცებმა ააყუდეს ტომრები, რომელშიც სასმელ-საჭმელი იყო, და საფრებივით გაიკეთეს; იქიდან აძლევდნენ ზარალს მტერსა; მარტო ის იდგა გამოჭიმული და არაფერი არა ჰფარავდა ტყვიისაგან.

— კარგი! დავიხოცნეთ ყველანი უკანასკნელ კაცამდე!

— დავიხოცნეთ, ბატონო!—შესძახეს ჯარის კაცებმა.

— დასცალეთ თოფები!

ნავებს კვლავ ბოლი შემოეხვია. კუნძულის შუა-გულ ადგილებიდან ნელ-ნელა მოდიოდნენ ახლა კიდევ სხვანი, შეიარაღებულნი შუბებით და ცელებით. ზედ-მოსეულნი ორ დასად განიყვნენ: ერთი თოფებს ისროდა, ხოლო მეორე, ესე ორასამდე ყაზახობა და თათრობა, ელოდა მარჯვე დროს, რომ ხელ-ჩართული ბრძოლა დაეწყო. ამ დროსვე, კუნძულის ყურეებიდან წამოვიდა ოთხი ნავი, რომელიც აქედ-იქიდან უნდა შემორტყმოდა დესპანს.

ძალზედ გათენდა. მხოლოდ თოფის-წამლის ბოლი ტრიალებდა დამშვიდებულს ჰაერში და ამიტომ კარგად არა სჩანდა ადგილი ბრძოლისა.

დესპანმა უბრძანა ოცს ჯარის-კაცს, მიჰმართეთ იერიშით მოსულს ნავებსაო. თათრებისკენ თოფების სროლამ იკლო.

ისინიც ამას ელოდნენ.

ვახმისტრი კვლავ მიუახლოვდა დესპანს.

— ბატონო დესპანო, თათრები ხანჯლებს პირში იდებენ; ახლავე დაგვეცემიან თავს.

სამასი კაცი, ხმალ-ამოღებული, ხანჯლებით პირში, ემზადებოდნენ ხელ-ჩართულ იერიშისათვის. იმათვე ეშველებოდნენ რამდენიმე ცელით-შეიარაღებულნი იმიერ-ჭორომელნი.

იერიში უნდა მიეტანათ ყოველ მხრივ. ნავები უკვე ერთის თოფის სროლის მანძილზედ მიუახლოვდნენ. უცბად აქედ იქიდან ბოლმა მოიცვა დესპანის ნავები და ტყვია სეტყვასავით დაუშინეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ნახევარ-ხალხი გაწყდა, ხოლო მეორე ნახევარი იბრძოდა განწირულებით. პირისახე სულ გაჰმურიდათ ბოლითა, მკლავნი დაჰღლოდათ, თვალთ უბნელდებოდათ, შიგ სისხლი მოსწოლოდათ, ჯაზეირების ლულები გაცხელებულიყო. თითქმის ყველანი დაჭრილნი იყვნენ. აი საზარელმა ყიჟინამ მოიცვა არე-მარე. თათრები გადაერივნენ იერიშით.

თოფი-წამლის კვამლმა გადაიღო. როგორც სვავნი დაასხდებიან ხოლმე ცხენის ლეშს, ისე თათრები შემორტყმოდნენ გარშემო დესპანის ორს ნავს. გამხეცებული ბრბო სცემდა ყიჟინას, ეტანებოდა, ეჯარებოდა და ესეოდა ჭიანჭველასავით ნავებს, აურ-ზაურობდა ერთმანეთ-შორის და იღუპებოდა. ერთი მუჭა ჯარის-კაცთა კიდევ ეწინააღმდეგებოდა, ხოლო ანძასთან იდგა პან სქშეტუსკი დასისხლიანებულის სახითა; მარცხენა მხარში ისარი ჩარჭობოდა, მაგრამ მაინც ჰხოცავდა მარჯვნივ და მარცხნივ ყველას, ვინც კი მიეკარებოდა. კაცს ეგონებოდა, ზღაპართა მდევია, ბუმბერაზია ამ გარშემოხვეულთა შორისაო; მისი ხმალი ისე ისროდა ნაპერწკლებს, თითქო ელვააო. ვახმისტრი და მეორე ჯარის კაცი აქედ-იქიდან უდგნენ, იფარავდნენ უფროსს და ყველა შიშითა და ძრწოლით იხევდა უკან ამ სამს კაცს რომ უყურებდა.

— ცოცხალი უნდა წარვუდგინოთ ატამანსა! — ისმოდა ხმები აქედ-იქიდან. — 'დაგვნებდით!'

ხოლო პან სქშეტუსკი მარტო ღმერთს დაჰნებდა. გაფითრდა, დატორტმანდა და დაეცა ძირს.

— მშვიდობით, ბატონო! — განწირულის ხმით დაიძახა ვახმისტრმა.

მაგრამ ერთს წუთს შემდეგ ისიც დაეცა. ავაზაკთა აუარებელმა ბრბომ გაავსო ორივე ნავი დესპანისა.

XI.

ჰასსან-ფაშის განაპირა უბანში, სეჩს, ურიადნიკის ქოხში უსხდნენ სტოლს ორი იმიერ-ჭორომელი და შეექცეოდნენ ფეტვის არაყს; არაყს იღებდნენ პატარა ხის ბოჭკიდან, რომელიც სტოლზედ ედგათ. ერთი იყო მოხუცი, ძალზედ დაჩაჩანაკებული, ფილიპე ზაქარი, ურიადნიკი, ხოლო მეორე ანტონ ტატარჩუკი, ატამანი ჩიგირინის კურენისა, ესე ორმოცის წლის კაცი, მაღალ-მაღალი, ლონიერი, განადირებულის ადამიანის შესახედაობისა და აცა-ბაცა წასულ თათრულის თვალებითა. ორიეენი ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ, თითქო ეშინიანთ, ყური არავინ დაგვიგდოსო.

— მაშ დღესა? — ჰკითხა ურიადნიკმა.

— თუნდ ამ წუთსვე, — უპასუხა ტატარჩუკმა. — ელიან მხოლოდ კაშეეოისა და ტულაი-ბეის, რომელიც თვით ხმელნიცკისთან ერთად წავიდა ბაზავლუკს, საცა ურდოა დაბანაკებული. ყაზახნი უკვე შეეკრიბნენ მოედანზედ, ხოლო კურენის ატამანები საღამოჟამზედ მოიყრიან თავს საათბიროდ. დაღამებისას ყველას ეცოდინება საქმის გარემოება.

— ჰმ! შესაძლოა, ძალიან ცუდი საქმე მოხდეს! — წაიბუტბუტა მოხუცმა ფილიპე ზაქარმა.

— გამიგონე, შენ იცი, რომ ჩემთვისაც მოეწერათ წერილი?

— ვიცი, მე თვითონ მივუტანე წერილი კაშევოის და მე ხომ წერა-კითხვა ვიცი. პოლონელს სამი წერილი უპოვნია: ერთი კაშევოისთან იყო, ერთი შენთან, მესამე ახალგაზდა ბარაბაშთან. მთელმა სეჩმა იცის ეს ამბავი.

— ვინ იწერებოდა, ის კი არ იცი?

— კაშევოის თავადი სწერდა: მისის ბეჭდით იყო დაბეჭდილი, თქვენ კი ვინა გწერდათ, ეგ არავინ იცის.

— ღმერთო, შენ დამიფარე.

— თუ პოლონელთა მეგობრად არა ხარ პირ-და-პირ დასახელებული იმ წერილში, ფიქრი არ არის.

— ღმერთო, შენ დამიფარე!—განიმეორა ტატარჩუკმა.

— გეტყობა, დანაშაული რამ მიგიძღვის.

— რა სათქმელია, არავითარი დანაშაულიც არ მიმიძღვის!

— იქნება კაშევოიმ სულ დაფხრიწოს ის წერილები, იმიტომ რომ იმასაც უჭირს საქმე... ხოლო თუ ფიქრი გაქვს რისამე, შეიძლება...

ურიადნიკმა ხმა უფრო დაუდაბლა:

— წადი!

— სადა და როგორ?—შეშფოთებითა სთქვა ტატარჩუკმა.—კაშევოიმ ყველა კუნძულზედ დარაჯნი დააყენა, რომ არავის არ შეეძლოს პოლონელებთან წავიდეს და შეატყობინოს რამე. ბაზავლუკს კიდეე თათრები სდგანან დარაჯად. თევზი ვერ წავა ცურვითა, ფრინველი ვერ გადავა ფრენითა.

— თვით სეჩში დაიმალე, საცა შეიძლება.

— მიპოვნიან. შენ თუ დამმალავ სადმე, თორემ... მერე ნათესავად მომხვდები.

— ღვიძლ ძმასაც ვერ დავმალავ. ან აი რა გითხრა: თუ სიკვდილისა გეშინიან, დათვერი კარგად; მთვრალი ველარას იგრძნობ.

— იქნება წერილებში საიმისო არაფერი სწერია?

— ეგეც შეიძლება...

— აი ხათაბალა! აი ხათაბალა!—იმეორებდა ტატარჩუკი.—ან კი რისა მეშინიან. ნამდვილი ყაზახი ვარ, მტერი პოლონელებისა. წერილებშიც რომ არა ეწეროს რა, ეშმაკმა იცის, თვით ის პოლონელი რას იტყვის ბჭობაზედ! შეუძლიან სულითხორცით დამღუპოს.

— ბრაზიანი ლიახია; არაფერს არ იტყვის.

— იყავ დღეს იმასთანა?

—ვიყავ; წყლულსა და ჭრილობაზედ კუპრი წავუსვი, ნაცარარეული არაყი ჩავასხი ყელში. მორჩება. პირ-გამეხებული ლიახია! ამბობენ, ვიდრე შეიპყრობდნენ, სულ ღორებივით აჭყვიტინა თათრები ხორტიციანაო. ლიახისა ნურა გეფიქრება-რა.

საკაშევოე მოედანზედ დაუწყეს ცემა ქვაბებსა. ტატარჩუკი, გაიგონა თუ არა ხმა ქვაბთა ცემისა, შეშფოთდა და ზეზედ წამოხტა. შიშისაგან პირი-სახე დაელმიჭა.

— განგაშსა სცემენ და ხალხს უწოდებენ თავ-მოსაყრელად,—წაიბუტბუტა ათრთოლებულის ტუჩებითა.—ღმერთო, შენ დამიფარე! შენ ეი, ფილიპე, არსად არა სთქვა-რა, რაც აქ გიამბე. ღმერთმა ნუ ჰქმნას!

წაავლო ხელი ხის ჯამსა, რომელშიც სასმელი იყო და დაუწყო სმა. ისე სვამდა, თითქო უნდა გონება დაჰკარგოს ამდენის სმითაო.

— წავიდეთ!—სთქვა ურიადნიკმა.

ორივენი გარედ გამოვიდნენ. ჰასსან-ფაშის უბანსა და მოედანს შორის თხრილი იყო მხოლოდ და ალაყაფის კარი მაღალის კოშკით, რომლის სათოფურებიდან ზარბაზნის ტუჩები იცქირებოდა. უბნის შუაგულ ადგილას იდგა სახლი ურიადნიკისა და ბაზრის ატამანების ქოხები; მოედნის გარშემო დამართული იყო ფანჩატურები და სწორედ აქ სწარმოობდა ვაჭრობა. შენობანი სულ უბრალო ქოხ-მახები იყო, მუხის ძელებისაგან ახუხულავებული და ლელითა და ჩალით დახურული. მთლად სახლები ურიადნიკის სახლითურთ უფრო ალაჩუხებსა ჰგვანდა; გარჩევა მხოლოდ ის იყო, რომ ბანად ჩალა და ლელი ეხურა. ბანები მთლად გამჭვარტლული იყო ბოლისაგან; როცა

ცეცხლს დაანთებდნენ, კვამლი მარტო მაღლა კი არ ადიოდა, კედლების ყველა ჭუჭუტანაშიაც სტვირივით გადიოდა. სახლი ამ დროს ცეცხლ-წაკიდებული ნახშირის ხორა გეგონებოდათ. სახლებში გამუდმებული სიბნელე იყო და ამიტომ ყველგან ბლომად ინახავდნენ მკვარს. დუქნები კურენებისაც იყო, ესე იგი საკუთრება ამა თუ იმ კურენისა და სასტუმრონიცა, რომელიც თათრებსა და ვლახელებს ჰქონდათ აღებული მშვიდობიანს დროს; პირველნი ჰყიდდნენ თავიანთ დუქნებში ტყავეულს საქონელსა, აღმოსავლეთის ქსოვილებს, თოფ-იარაღს, ხოლო მეორენი—უფრო ღვინო-არაყს. მაგრამ სასტუმრო დუქნები მუდამ არ იყო დაჭერილები: წესიერი ვაჭრობა როგორღაც ვერა ჰხერხდებოდა ამ ავაზაკობისა და ძალმომრეობის ბუდეში. დუქანსა და დუქანს შუა სამიკიტნოები ერია, რიცხვით ოც და რვამდე. იმათი ცნობა ადვილი იყო. მათს კარ-მიდამოზედ დუჟინობით ეყარნენ მუდამ ძირს უგონოდ დამთვრალნი ყაზახნი. უფრო ფხიზელნი გაჰკიოდნენ ყაზახთა სიმღერებს, ჩხუბობდნენ, ჰკოცნიდნენ ერთმანერთს, სწყევლიდნენ ყაზახის ბედს, ანუ მოსთქვამდნენ ყაზახის გაჭირვების ამბავს და თან მოურიდებლად სთელავდნენ ფეხ-ქვეშ ძირს გართხმულ მთვრალს ყაზახებსა. მხოლოდ ომის დაწყების წინად იყო ხოლმე სასტიკად აღკრძალული სმა; ვინც მაშინ დაითვრებოდა,სიკვდილით დასჯიდნენ ხოლმე. სხვა დროს კი ყველანი ლოთობდნენ: ურიადნიკიცა, ბაზრის ატამანებიცა, ვაჭარნიცა და მათი მუშტრებიცა. არაყის სუნი, კვამლი, თევზისა და ცხენების ტყავების სიმყრალე ჰშხამავდა მთელის უბნის ჰაერს. თვით უბანიც ისე იყო აჭრელებული, რომ თათრულს ან ოსმალურს ქალაქს უფრო ჰგვანდა. ამ სავაჭრო უბანში იყიდებოდა ყოველივე, რაც დავლად და ალაფად იყო წამოღებული ყირიმიდან, ვლახეთიდან და ან ანატოლიიდან. მხიარული აღმოსავლეთის ქსოვილები, აბრეშუმეული ფარჩეულობა, მაუდი, ატლასი, მომხო ტილო, უვარგისი ზარბაზნები და თოფები, ტყავები, ბეწვეული, ხმელი თევზი და ოსმალური ხილეულობა, სპილენძის მთვარის-ნახევრები, ჩამოგლეჯილები მეჩითიდან და მოოქროვილი ჯვრები, ჩამოღებული ქრისტეანე-

თა ეკლესიებიდან,—ყოველივე ერთად იყო ალუფხული *). და ამ აპრელებულ, ყოველსავე ერთმანეთში ალუფხულ მიდამოთა შორის დალაღუნობდნენ აბრანძულ-დაბრანძულნი, ზაფხულობით თითქმის სულ შიშველ-ტიტველნი, ნახევრობით განადირებულნი, ტალახითა და კუპრით მოთხვრილნი, მუდამ მთვრალნი კაცნი, რომელთაც პირში ღინა არ ედოთ.

ამ ჟამად ჰასსან-ფაშის უბანში ბუზივით ირეოდა ხალხი; დახლიდარ-ვაჭარნი აჩქარებითა ჰკეტავდნენ დუქნებსა და სამიკიტნოებს და მიეშურებოდნენ მოედნისაკენ, საცა უნდა შეკრებილიყვნენ სათათბიროდ. ფილიპე ზაქარი და ანტონ ტატარჩუკი სხვებს უკან მისდევდნენ; ტატარჩუკს როგორღაც ფეხები უკანა რჩებოდა და თითქო განგებ ცდილობდა, რომ სხვებს გაევლოთ წინა. თან-და-თან უფრო და უფრო მეტს მოუსვენრობასა ჰგრძნობდა. გაიარეს ხიდი, გასცდნენ ალაყაფის კარებს და გაჩნდნენ უშველებელს მოედანზედ, რომელსაც გარშემო ოც და თვრამეტი ხის სახლი ჰქონდა შემორტყმული. ეს სახლები იყო კურენები—ყაზარმების მსგავსნი სადგომნი, რომელშიაც იდგნენ ყაზახები. კურენები იმითი განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, რომ სხვა-და-სხვა სახელ-წოდება ჰქონდათ, უკრაინის ქალაქების სახელ-წოდებათა მიმსგავსებული. მოედნის ერთს კუთხეში ამართული იყო სათათბირო სახლი; იქ ისხდნენ ხოლმე საბჭოდა და სავაზიროდ ატამანები კაშევოის თავსმჯდომარეობით; დანარჩენი ბრბო, ესრედ-წოდებული „ამხანაგობა“, კარში რჩებოდა და ყოველ საათში ერთხელ უგზავნიდნენ დეპუტაციას უფროსთ, ხოლო ხანდისხან ძალით შეიჭრებოდნენ ხოლმე სათათბირო სახლში და, რაც სურდათ, იმას გადააწყვეტინებდნენ მოვაზირეთა.

მოედანი სავსე იყო ხალხითა. ატამანს მოეწოდებინა სეჩს იმას წინად მხედრობა; აანთეს რამდენიმე კუპრით სავსე ბოჩკა

*) იმიერ-ჰორომელნი, როცა დათარეშობდნენ და თავს-ესხმოდნენ ვისმე, არაფერსა და არავის არა ჰზოგავდნენ. ხმელნიცკიმდე ეკლესია არ იყო სეჩსა; პირველი ტაძარი იმან ააშენა. სეჩში არავის არ ეკითხებოდნენ, ვინ რა სარწმუნოებისა იყო.

და გამოაგორეს მოედანზედ და რამდენიმეევ ბოჩკა, არაყით სავსე, თვითეულმა კურენმა თავისთვის ცალკე. წესიერებას იცავდნენ იასაულნი, შეიარაღებულნი მუხის ბერკეტებით, რომელიც საჭირო იყო საბჭოდ დამსხდართა მოსაჭკვიანებლად, და დამბაჩებით, დასაცველად საკუთარის სიცოცხლისა, რომელსაც ხშირად ელოდა განსაცდელი.

ფილიპე ზაქარი და ტატარჩუკი პირდაპირ სათათბირო სახლში შევიდნენ; ერთს, როგორც ურიადნიკს, ხოლო მეორეს, როგორც ატამანს კურენისას, ნება ჰქონდათ უფროსთა შორის მსხდარიყვნენ საეაზიროდ. სათათბირო ოთახში იდგა პატარა სტოლი, რომელსაც უჯდა ჯარ-მხედრობის მწერალი; ატამანები და კაშევოი კედელთან ისხდნენ და ქვეშ ცხენის ტყავები ეგოთ. ბჭობა ჯერ არ დაწყებულიყო. კაშევოი ბოლთასა სცემდა ოთახში, კურენების ატამანები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყვნენ და ჩურჩულითა ლაპარაკობდნენ. ტატარჩუკმა შეჰნიშნა, რომ მის ნაცნობებსა და მეგობრებსაც კი ისე ეჭირათ თავი, თითქო ვერც კი ვამჩნევთო და ამიტომ მიეიდა ახალგაზდა ბარაბაშთან, რომელიც ასევე განაპირებული იყო. ბარაბაშს სრულებით არ ეყურებოდა, რა ამბავი იყო მის გარშემო. კალმით ნახატის სილამაზის კაცი იყო და კურენის ატამანობა მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ ძალიან დიდი ლონე ჰქონდა, თორემ ისეთი ტუტუცი იყო, რომ მისი სიტუტუცე საანდაზოდ იყო გამხდარი. თვითეული მისი სიტყვა დიდს ხარხარსა და სიცილს იწვევდა.

— მალე მოგვაბმენ კისერზედ ქვას და წყალში გადაგვიძახებენ!—ჩურჩულა ბარაბაშს ტატარჩუკმა.

— რისთვისაო?

— წერილებისა არა იცი-რა?

— რა წერილებისა? მე არა დამიწერია-რა.

— აბა, შეჰხედე, როგორ გვიბლეერიან აქეთ-იქიდან...

ტატარჩუკმა ვეღარ გაათავა თავისი სათქმელი. უეცარმა გარეგან შემოვარდნილმა ხმაურობა-ჟრიამულმა აუწყა ყველას, რომ რაღაც განსაკუთრებული ამბავი მომხდარიყო. კარი ყუ-

რამდე გაიღო და სათათბირო ოთახში შემოვიდა ხმელნიცკი ტუღაი-ბეისთან ერთად. ამათ თურმე მიეგება ხალხი სიხარულის ჟრიამულითა. რამდენისამე თვის წინად, ტუღაი-ბეი, მურზებ შორის ყველაზედ გულადი და საშინელი რისხვა ქვემოურებისა, ჭირივით ეზიზღებოდა სეჩს, ახლა კი, დაინახა თუ არა „ამხანაგობამ“, ქუდებს ისვრიდა მაღლა და სალამ-ქალამით ეგებებოდა ხმელნიცკისა და იმიერ-ჭორომელთა მეგობარს.

ტუღაი-ბეი პირველი შევიდა ოთახში; იმას უკან მისდევდა ხმელნიცკი, რომელსაც, როგორც გეტმანს იმიერ-ჭორომეთის მხედრობისას, კვერთხი ეჭირა ხელში. ეს ღირსება მიითვისა მას შემდეგ, რაც ყირიმიდან დაბრუნდა. ბრბო შევარდა მაშინ, ხელში აიყვანა, გასტეხა მხედრობის სახასო ყუთი და მიართვა კვერთხი, დროშა და ბეჭედი, რომელიც ჩვეულებრივ გეტმანების წინაშე დაჰქონდათ. ძლიერ გამოცვლილიყო. ეხლა ეტყობოდა, რომ მთლად იმიერ-ჭორომეთის საშინელი ძალლონე იმის ხელთ იყო. ახლა ის შეურაცხ-ყოფილი ხმელნიცკი კი აღარ იყო, ლტოლვილი, საიდუმლოდ გაქცეული სეჩს, არამედ ხმელნიცკი გეტმანი, ბუმბერაზი, მზად-მყოფი მილიონებისათვის ედინებინა ძმარი ცხვირიდან თვისის შეურაცხყოფისათვის.

გარნა ხმელნიცკიმ არ მოიშორა მძიმე ჯაჭვნი მონობისა; ახლა სხვა ბორკილნიც დაედო ფეხზედ. იმიერ-ჭორომეთის გეტმანს: თვით იმიერ-ჭორომეთის შუა-გულ პირველი ადგილი დაეთმო თათრისათვის, ითმენდა მის გულ-ზვიადობას და გათამამებულს ლირფობას. ისე ექცეოდა თათარს, როგორც დიდებული და ერისთავი მოექცეს უზენაესს თვისსა ბატონსა და მეფეს, შაგრამ სხვაფრივ არც შეიძლებოდა. სახელი გაითქვა და მოიხვეჭა მით, რომ თათრებისა და ყეენის გული მოიგო; ხოლო ამ ჟამად ყეენის წარმომადგენელი იყო ველური და სისხლის მსმელი ტუღაი-ბეი. ეს კია, რომ ხმელნიცკის ბუნებაში ისევე თავსდებოდა ერთმანერთს შორის გულ-ზვიადობა და მორჩილება, როგორც ვაჟკაცობა და ცბიერობა. ლომი და მელა იყო, არწივი და გველი... ყაზახობის გაჩენის დღიდან პირვე-

ლად ჰბედავდა ახლა სეჩში ასე თავისუფლად ქკევას თათარი, მაგრამ, სჩანს, ახლა სხვა დრო იყო მოსული. ახლა „ამხანაგობა“ მაღლა ისვრიდა ქუდებს ურჯულოს პატივ-საცემლად. დიაღ, ასეთი დრო იყო დამდგარი.

თათბირი დაიწყო. ტუღაი-ბეი დაჯდა შუა ადგილას ყველაზედ უფრო სქლად შეკრულ ცხენის ტყავებზედ, მუხლთ მოიკეცა და დაუწყო ჭამა მზეუჭვრიტას; თან მისის ქერქით აჩეჩქიანებდა ოთახის შუა გულს ადგილსა. იმის მარჯვნივ დაჯდა ხმელნიცკი, მარცხნივ კაშევეი, ხოლო ატამანები და დეპუტაცია „ამხანაგობისა“ მოშორებით, მეორე კედლის მახლობლად. ლაპარაკი მიწყდა და მხოლოდ მოედნიდან მოდიოდა კიდევ განურკვეველი ხმაურობა ბრბოსი. ხმელნიცკიმ დაიწყო: *)

— წყალობითა მის უდიდებულესობისა, ყირიმის ყეენისათა, რომელიც არის მბრძანებელი მრავალთა ერთა, ნებართვითა პოლონიის მეფისა ვლადისლავისა, ჩვენისა ხელმწიფისათა, კეთილისა სურვილითა იმიერ-ჭორომეთის მამაცის ჯარმხედრობისა, გვწამს-რა მტკიცედ უბრალოებაი ჩვენი და ღვთისა სამართლიანობაი, მივდივართ, რათა შური ვიძიოთ და გადავუხადოთ სამაგიერო იმ საშინელისა, აუტანელის შევიწროებისა და შეურაცხყოფისათვის, რომელსაც ვითმენდით, ვიდრე შეგვეძლო, უსამართლო ლიახთა, კომისართა, მოურავთა და ეკონომთაგან, მთლად შლიახტისა და ურიათაგან. მრავლად დააფრქვიეთ ცრემლი თქვენცა და მთლად იმიერ-ჭორომეთის ჯარმაცა ამ უსამართლოების გამო და ახლა ჩამბარდა თქვენ მიერ კვერთხი, რათა დავიცვა უბრალოება თქვენი და მთელის ჯარ-მხედრობისა. ეს ამბავი დიდად სასახელო იყო ჩემთვის და ამიტომ წავედი მის უდიდებულესობასთან, ყირიმის ყეენთან, ვსთხოვე შემწეობა აღმოეჩინა და აღმითქვა კიდეც თვისი დახმარება. გარნა, მიუხედავად იმისა, რომ მზადა ვარ ვემსახურო ამ წმინდა საქმეს, ძალიან გული მატკინა იმ გარე-

*) წესი და რიგი თათბირის წარმოებისა აწერილია ერიკ ლიასოტის დღიურში. ერიკ ლიასოტი იყო პოლონიის სახელმწიფოს ელჩი, გაგზავნილი იმიერ-ჭორომეთს 1594 წელს.

მოებამ, რომ ჩვენ შორის არიან მოღალატენი, რომელნიც ლიახებს ემხრობიან და ატყობინებენ, თუ რამ მზადებაშიაცა ვართ. თუ ეს მართალია, დაე დაისაჯნონ ამისთანანი თქვენისა სურვილისამებრ. აწ კი გთხოვთ მოისმინოთ წერილები, რომელიც მოუწერია ჩვენთვის ჩვენს მტერს თავადს ვისნევეცკისა. ეს წერილები მოიტანა არა ელჩმა, არამედ უფრო ჯაშუშმა, რომელსაც აზრადა აქვს აუწყოს ლიახთა, რა ყოფაშიაც არის დღეს ჩვენ შორის საქმე და რა შემწეობასაც გვპირდება მეგობარი ჩვენი ტუღაი-ბეი. ახლა თქვენ განსაჯეთ, მსჯავრ-დადებულ უნდა იქმნას თუ არა ასეთი ჯაშუში და აგრედვე ისინი, ვისაც იმან წერილები მოუტანა. ამ წერილების ამბავი კაშეოიმ, როგორც ერთგულმა ყმამ სრულიად ჩვენის ჯარისამ, მაშინვე გვაუწყა ჩვენ.

ხმელნიცკი გაჩუმდა. ჯარის მწერალი წამოდგა და დაიწყო კითხვა თავადის წერილისა კაშეოი ატამანთან: „ჩვენ, წყალობითა ღვთისათა, თავადი და ბატონი ლუბნისა, ხოროლისა, პრილუკისა etc., ერისთავი რუსეთისა etc., უფროსი etc.“ წერილი ისეთი იყო, როგორსაც სწერენ საქმიანი კაცნი. თავადს შესმენოდა, რომ ჯარებს ერთს ალაგას აგროვებენო და ამიტომ ჰკითხავდა ატამანს, მართალია თუ არა ეს ამბავიო, და თუ მართალია, გთხოვ, შეუშალო ხელი ამისთანა საქმეს ქვეყნის საკეთილდღეოდაო. თუ ხმელნიცკი მოვიდა და მოინდომა სეჩის აღელვება, უნდა მისცეთ ხელში კომისარებსაო. მეორე წერილი პან გროძიცკისაგან იყო, მესამე და მეოთხე—ზაცვალიხოვსკისაგანა და ჩერკასის მოხუც პოლკოვნიკისაგან ტატარჩუკთანა და ბარაბაშთან. არც ერთს წერილში არა იყო-რა ისეთი, რასაც შესძლებოდა ჩრდილი რამ მიეყენებინა იმათთვის, ვისთანაც იყო მიწერილი. ზაცვილიხოვსკი მხოლოდ იმასა სწერდა ტატარჩუკს, რომ ამ წერილის მომტანს ყოველ-გვარი შემწეობა აღმოუჩინეო და აუსრულე ყოველივე, რაც მოინდომოსო.

ტატარჩუკმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— რასა ბრძანებთ ამ წერილებისას?—იკითხა ხმელნიცკიმ.

ყაზახნი მდუმარებდნენ. ყველა თათბირი, ვიდრე არაყი არ აალაპარაკებდათ, იმითი დაიწყებოდა ხოლმე, რომ არც ერთს ატამანს არ უნდოდა პირველად თვითონ დაეწყო ლაპარაკი. ყველანი მოუხეშავნი და ბრიყვნი იყვნენ და თან ცბიერნი, ეშინოდათ უფრო იმისი, ისეთი არა წამოგვცდეს-რა, რაიცა საყოველთაო სიცილს გამოიწვევს და რის გამო მასხარად აგდებას ვერ ავსცდებითო. სეჩში ცეცხლისა და ნავთისა არ ეშინოდათ ისე, როგორც დაცინვისა და მასხარად აგდებისა.

ხმელნიცკიმ კვლავ დაიწყო ლაპარაკი.

— კაშევოი ატამანი ჩვენი მეგობარია, ისე ვენდობი, როგორც ჩემს თავს, და ვინც მაგის წინააღმდეგ იტყვის თუნდ ერთს სიტყვას, ის თვითონ იქმნება მოღალატე. ატამანი ხნიერი და ნაცადი ჯარის კაცია.

ხმელნიცკი ადგა და გადაეხვია კაშევოის.

— მე მხოლოდ ჯარს ვაგროვებ, გარნა გეტმანი დაე წინ წაუძღვეს,—სთქვა პასუხად ატამანმა.—რაიცა შეეხება ელჩს, ის ჩემია, რაკი ჩემთან არის გამოგზავნილი, ხოლო თუ ჩემია, მე თქვენთვის მიჩუქებია.

— ბატონო დეპუტატებო, მადლობა უთხარით ატამანსა,— ურჩია ხმელნიცკიმ,—ატამანი მართალი კაცია. უთხარით „ამხანაგობას“, რომ თუ არიან მოღალატენი, მათ შორის ეს არ ურევია: მან პირველმა დააყენა დარაჯნი, მან უბრძანა, შეიპყარით ხოლმე ყველანი, ვინც მიდიოდნენ ლიახებთანაო. ბატონო დეპუტატებო, სთქვით, რომ ეს კაცი მოღალატე არ არის, რომ იგი უკეთესია ჩვენ შორის.

ბატონმა დეპუტატებმა დაბლა თავი დაუკრეს უპირველეს ყოვლისა ტულაი-ბეის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გარინდებული აღუშფოთველად სულ მზეუჭვრიტას სჭამდა, მერე ხმელნიცკის, კაშევოის და გავიდნენ გარეთ.

ერთს წუთს შემდეგ, მხიარული ერიამული შემოისმა გარეთან და აუწყა ოთახში მყოფთ, რომ დეპუტაციას აესრულებინა ხელისი მინდობილება.

— გაუმარჯოს კაშევოის, გაუმარჯოს ჩვენს კაშევოის!— ჰყვიროდნენ ხმა-გახრინწიანებულნი ისე, რომ კედლებს ზანზარი გაჰქონდა.

ბოლოს დეპუტაცია დაბრუნდა და თვისი ადგილი დაიჭირა ოთახის ერთს კუთხეში.

— ბრძნულად გადასწყვიტეთ, რომ ატამანი არაფერში დამნაშავე არ არის,—დაიწყო ხმელნიცკიმ, როცა სიჩუმე ჩამოვარდა.—ხოლო თუ ატამანი მოღალატე არ არის, ვინ არის მაშ მოღალატე? ვინ უწევს მეგობრობას ლიახებს? ვისა სწერენ ისინი წერილებს? ვის ანდობენ ელჩს? ვინ არის მოღალატე?

ხმელნიცკიმ აუმაღლა ხმას და ცეცხლ-მფრქეველის თვალებით გადიხედა იქით, საითაც ტატარჩუკი და ბარაბაში იდგნენ. ამით თითქო უნდოდა ენიშნებინა, რომ აი აქ არის დამალული ღალატიო.

ოთახში ხმაურობა ატყდა და მოისმა ყვირილი რამდენისამე:

„ბარაბაში და ტატარჩუკი“! კურენების ატამანები წამოხტნენ ფეხზედ, დეპუტაციის კრებიდან მოისმა: „სიკვდილი მაგათაო!“

ტატარჩუკი გაფითრდა, ბარაბაშმა გაკვრვებით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, უცბად გადიხარხარა და მოჰყვა ტუტუცურს სიცილს; იმას სხვებმაც ბანი მისცეს, თუმცა კარგად კი არ ესმოდათ, რისთვის იცინოდნენ.

ფანჯრიდან უფრო და უფრო ხმა-მაღალი ლაპარაკი მოისმოდა; სჩანდა, რომ არაყს თან და თან გაეჭრა.

ანტონ ტატარჩუკი დინჯად წამოდგა, მიჰმართა გეტმანს და დაიწყო:

— რა დაგიშავეთ, ბატონო გეტმანო იმიერ-ჭორომეთისავ? რად გინდათ ჩემი სიკვდილი? რა ბრალი მაქვს? წიგნი მომწერა ზაცვილიხოვსკიმ... ძალიან კარგი, მაგრამ რაო მერე? კაშევოისაც ხომ მოუვიდა თავადის წერილი! მივიღე კი მე წერილი? არა! თუნდაც რომ მიმეღო, რას ვიქმოდი? წავიდოდი მწერალთან და იმას წავაკითხებდი. იმიტომ რომ წერა მე არ

ვიცი და კითხვა. და თქვენც გეცოდინებოდათ, რა ეწერებოდა წიგნში. ლიახები კი თვალითაც არ მინახავს. მაშ, სჩანს, რომ მოღალატე ვარ? ეჰ, ძმანო იმიერ-ჭორომელნო, ტატარჩუკი ლაშკრობდა თქვენთან ერთად ყირიმში, ელახეთში, სმოლენსკთან... იბრძოდა თქვენთან ერთად, ვაჟკაცებთანა, სისხლსა ღვრიდა, შიმშილითა კვდებოდა... მაშ ლიახი არა ყოფილა, მოღალატე არ არის დღესაც, არამედ ყაზახია, ძმა თქვენი და, თუ გეტმანს უნდა მისი სიკვდილი, სთქვას, რადა? რა დაუშავე, რა ბრალი მაქვს? თქვენ კი, ძმანო, გთხოვთ შემიწყალოთ და სვინიდისით გამიკითხოთ!

— ტატარჩუკი კარგი ყაზახია! ტატარჩუკი ერთგული კაცია!—დაიძახა რამდენმამე.

— ტატარჩუკო, შენ ყოჩაღი ყაზახი ხარ,—სთქვა ხმელნიცკიმ,—და მე შენ არცა გმტრობ, იმიტომ რომ შენ ლიახი არა ხარ; ჩვენი მოძმე ხარ, ჩვენი მეგობარი და მოკეთე; შენ რომ ლიახი იყო და გვღალატობდე, არ ვიწუხებდი, ტირილს არ დავიწყებდი, ხოლო რაკი ყოჩაღი ყაზახი ხარ, ჩვენივე სისხლი და ხორცი გვღალატობს, მეც იმიტომა მტკივა გული. მერე თუ ყირიმშიაც იყავი, ელახეთშიაც, სმოლენსკს ახლოცა, შენი დანაშაული ამით უფრო მეტია ახლა. შენა გწერენ, ყოველივე შეასრულე, რასაც კი მოგთხოვს ელჩიო... ახლა მიბრძანეთ, ატამანებო, რას მოსთხოვდა ლიახი? ჩემსა და ჩემის ძლიერის ამხანაგის ტულაი-ბეის სიკვდილს არ მოითხოვდა განა? დიალ, დამნაშავე ხარ, ტატარჩუკ და შენს უბრალოებას ვერ დაამტკიცებ. ბარაბაშს კიდევ სწერდა წიგნს მისი ბიძა, პოლკოვნიკი ჩერკასისა, მეგობარი ჩაპლინსკისა და ლიახებისა, ის, ვინც ჰმალავდა თავისს ახლში უფლება უპირატესობათა სიგელებს, იმიტომ რომ იმიერ-ჭორომეთის ჯარმა არა გაიგოსრა ამ სიგელების არსებობისაო. თუ ასეა,—ხოლო ვფიცავ ღმერთს, რომ სხვაფრივ არც შეიძლება იყოს,—ორივენი დამნაშავენი ხართ. სთხოვეთ შეწყალება ატამანებსა, მეცა ვთხოვ თქვენთვის პატივებას, თუმცა დანაშაული თქვენი მძიმეა, ღალატი ცხადია.

ახლა გარედან მარტო ხმაურობა და ყვირილი კი არ მოისმოდა, არამედ გამძვინვარებული ღრიალი შემოდიოდა, „ამხანაგობას“ უნდა შეეტყო, რა ამბავია სათათბირო ოთახშიო და შემოჰგზავნა ახალი დეპუტაცია. ტატარჩუკი მიხვდა, რომ მისი სიკვდილი აუცილებელია. ახლა მოაგონდა, რომ ერთის კვირის წინად ძალიან თავგამოდებული იყო ატამანთა შორის და ამტკიცებდა, ნუ მივცემთ ხმელნიცკის საგეტმანო კვერთხსა და ნუ შევურიგდებით თათრებსაო. ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედა: ახლა კი ხსნა აღარ იყო. რაიცა შეეხება ახალგაზდა ბარაბაშს, ცხადი იყო, რომ ხმელნიცკის იმისი სიკვდილი უნდოდა მოხუცის პოლკოვნიკის ჯიბრითა, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ძმის-წული. მაგრამ ტატარჩუკს სიკვდილი არ უნდოდა. ტატარჩუკი არ გაფიცრდებოდა ამოწვდილ ხმლის წინაშე, არ შეუშინდებოდა ცხელ ტყვიას, მარგილსაც კი, მაგრამ სიკვდილი, რომელიც იმას ელოდა, სწორედ რომ საშინელი რამ იყო. იგდო ხელთ ერთი წუთი დუმილისა ხმელნიცკის ლაპარაკის შემდეგ და ხმა-მაღლა, განწირულის ხმით დაიძახა:

— ქრისტეს გულისათვის! ძმებო ატამანებო, მეგობარნო გულითადნო, ნუ მომკლავთ უბრალოსა: თვალით არ მინახავს ლიახი, არ დავლაპარაკებივარ! შემიწყალეთ, ძმანო! არ ვიცი, რას მომთხოვდა ლიახი, ჰკითხეთ თქვენ თვითონ! გეფიცებით ქრისტესა და მისსა ყოვლად წმინდა დედასა, უბრალო ვარ!

— შემოიყვანეთ ლიახი!—დაიძახა უფროსმა ჯარის ურიადნიკმა.

— ლიახი, ლიახი!—შეჰყვირეს კურენების ატამანებმა.

ზოგნი ეცნენ იქვე მეორე ოთახს, საცა პატიმარი ჰყვანდათ, ზოგნი კიდევ მუქარით მისცვივდნენ ტატარჩუკსა და ბარაბაშსა. მირგოროდის კურენის ატამანმა, გლადკიმ, პირველმა დაიძახა: „სიკვდილი ამათაო!“ დეპუტაციამ გაიმეორა მისი ნათქვამი. ატამანმა ჩარნოტამ გააღო კარი და აუწყა ბრბოს, რომელიც ქუჩაში შეკრებილიყო, რომ ტატარჩუკი და ბარაბაში მოღალატენი არიანო.

ბრბომ პასუხად მოართო ყიჟინი და შევარდა ოთახში.

— სიკვდილი ტატარჩუკსა და ბარაბაშს! სიკვდილი! მოგვეცით მოღალატენი! წავასხათ მოედანზედ! — ჰყვიროდნენ გამძვინვარებით ასნი და ორასნი და იწვდიდნენ ხელს საცოდავ მსხვერპლთა გასაგლეჯად.

ტატარჩუკი დაემორჩილა თავისს ბედს, სამაგიეროდ ბარაბაში საშინელის ძალით წინააღმდეგობდა. ბარაბაში მიხვდა ბოლოს, რომ მოკვლა უნდათ ჩემიო და სახე დაეგრიხა შიშითა და სასოწარკვეთილებით, გულიდან აღმოხდა მხეცური ღმუილი. ორჯელ გაეშვა ხელიდან ჯალათებს, მაგრამ ორჯელვე გაუკავეს ხელები, ეწეოდნენ მის წვერს, თმებს; ბარაბაში იკბინებოდა, ღრიალებდა, ძირს ეცემოდა და კვლავ ფეხზედ დგებოდა გასისხლიანებული, საშინელი. ჯალათებმა შემოაფხრიწეს ტანისამოსი, ამოაგლიჯეს საქოჩრეზედ დატოვებული თმა, ამოსთხარეს თვალი და გააკავეს. აქ კი ძირს დაეცა ბარაბაში. ჯალათებმა სტაცეს ხელი ფეხებში და ტატარჩუკი და ის ერთად წააწიალეს მოედანზედ. იქ კუპრით სავსე ბოჩკები ენთო და აქა-იქ დანთებულს ცეცხლს გაჰქონდა გიზგიზი. ამ განათებულს ადგილს დაიწყო ბარაბაშისა და ტატარჩუკის დასჯა სიკვდილითა. ათასი გამძვინვარებული კაცი ეცა მსჯავრ-დადებულთ, ჰფლეთდა ნაჭერ-ნაჭერ და ერთმანერთს ეცილებოდა ადგილს მსხვერპლთა ახლო ყოფნისათვის. საცოდავთ ფეხითა სთელავდნენ, ნაჭერ-ნაჭრობითა ჰგლეჯდნენ ხორცს; სისხლით-შესვრილის ხელებით ხან მაღლა ასწევდნენ ორს გუნდად გადაქცეულს გვამს, ხან ისევ ძირს დაახეთქებდნენ; ცოტა მოშორებით მყოფნი კიდევ ორს ბანაკად განიყენენ: ზოგს უნდოდა მსჯავრ-დადებულნი წყალში გადაეგდოთ, ხოლო ზოგს — კუპრით სავსე ანთებულს ბოჩკებში ჩავყაროთო. ყველანი მთვრალები იყვნენ, ბოლოს წაიჩხუბნენ და წაუკიდეს ცეცხლი ორს არაყით სავსე ბოჩკას. სპირტის მოლურჯო, მოციმციმე ალმა გააშუქა ეს ჯოჯოხეთის სცენა, რომელსაც ზემოდან დაჰყურებდა მთვარე, მშვიდობიანი, მოვანებული, დისკო-გარდახრილი...

ასე სჯიდა „ამხანაგობა“ თვისთა მოღალატეთა.

სათათბირო ოთახში, იმ წუთს შემდეგ, რაკ ყაზახებმა ტატარჩუკი და ახალგაზდა ბარაბაში გაათრიეს, კვლავ ჩამოვარდა დუმილი, ატამანებმა კვლავ დაიჭირეს თავ-თავისი ადგილები და გულმოდგინებით სინჯავდნენ ის-ის იყო მეორე ოთახიდან შემოყვანილს პატიმარს.

მისი სახე კარგად არა სჩანდა; ოთახში თითქმის ბნელოდა; ღუმელში ცეცხლი გამქრალიყო, მაგრამ გლადკიმ შეაყარა ფიჩხი, ცეცხლი აპრიალდა და გაანათა მაღალი, ტანადი, თაეგამოდებული ტყვედ-შეპყრობილი.

დაინახა თუ არა ხმელნიცკიმ, მაშინვე შეშფოთდა.

ეს ტყვე იყო პან სქშეტუსკი.

ტულაი-ბეიმ გამოჰყარა პირიდან მზეუჭვრიტას ქერქები და წაიბუტბუტა რუსულად:

— მე ვიცნობ მაგ ლიახს; ყირიმში იყო.

— სიკვდილი მაგას!—დაიყვირა გლადკიმ.

— სიკვდილი!—განიმეორა ჩარნოტამ.

ხმელნიცკი გონს მოვიდა. გადაჰხედა მხოლოდ გლადკისა და ჩარნოტას, რომელნიც მაშინვე გაჩუმდნენ და სთქვა:

— მეც ვიცნობ.

— საიდანა ხარ?—ჰკითხა კაშევოიმ სქშეტუსკის.

— მე შენთან მოვდიოდი საელჩო კრებულით, ბატონო კაშევოი ატამანო, როცა ხორტიცს ახლო დამეხსნენ თავს ავაზაკნი და, მიუხედავად ჩვეულებისა, რომელიც განადირებულ ხალხშიც კი პატივდებულია, დამიხოცეს კაცები, ხოლო მეც, თუმცა ელჩი ვიყავ, დამჭრეს, შეურაცხმყვეს და, როგორც ტყვე, ისე მომიყვანეს აქ ხელებ-შეკრული. ყოველ ამისათვის პასუხს შენ გასცემ ჩემს ბატონს, თავად ერემია ვისნეველეცკის.

— შენ რაღად გაუპე თავი ცულით პატიოსან ყაზახსა? რად დაჰხოცე ოთხჯერ უფრო მეტი ხალხი, ვიდრე თქვენ იყავით? წერილებითაც იმიტომ მოდიოდი აქ, რომ გეწვრილნა ყოველივე და მერე შეგეტყობინებინა ლიახებისათვის. ისიც ვიცით, რომ წერილები მოგქონდა იმიერ-ბორომეთის ჯარის

მოღალატეებთან, რათა მათთან ერთად ჩვენი დაღუპვა მოგეხერხებინა. ამიტომ ისე კი არ იქმნები ბილებული, როგორც ელჩი და დესპანი, არამედ, როგორც მოღალატე და სამართლიანს სასჯელსაც მიგცემენ.

— სცდები, ბატონო კაშეეოი ატამანო, და შენც, ბატონო ძალად გეტმანო,—აქ დესპანმა მიჰმართა ხმელნიცკის.—თუ მე წერილები მომქონდა, ასევე იქცევა ყველა სხვა ელჩიც, რომელიც უცხო ქვეყანაში მიდის. აქ მოვდიოდი თავადის წერილით, იმიტომ რომ გამეფრთხილებინეთ და მეთხოვნა არ გაგებედნათ ისეთი საქციელი, რომელსაც შეეძლო შეერყია ძლიერება რესპუბლიკისა და თქვენთვისა და მთლად იმიერ-ჭორომეთის მხედრობისათვისაც საუკუნოდ ბოლო მოეღო. განა ვის დასამხობად აღგიმართავთ აგრე უღვთოდ, აგრეთის ღვთისგმობით თქვენი ხელნი? ვის საწინააღმდეგოდ დაჰკავშირებიხართ ურჯულოებს თქვენ, რომელნიც ქრისტეანედ უწოდებთ თქვენს თავს? საწინააღმდეგოდ მეფისა, პოლონიის თავად-აზნაურობისა და სრულიად რესპუბლიკისა. მაშასადამე, მოღალატე მე კი არა ვარ,—თქვენა ხართ და გეუბნებით: თუ მორჩილებით არ შეინანებთ თქვენს შეცოდებას, ვაი თქვენდა! დიდი ხანია, რაც წარვიდნენ დრონი პავლიუკისა და ნალიეაიკასი? ნუ უკვე განჰქრა ყოველივე კვალი მათის დასჯის ხსენებისა? გახსოვდეთ ერთი, რომ რესპუბლიკის მოთმინება გაწყდა და მახვილი ამოღებულია თქვენს თავზედ.

— სტყუი, მტრის ნასხლეტო, იმიტომ რომ იქნება როგორმე თავი დავაძვრინო და სიკვდილს გადვურჩე როგორმეო,— შეჰყვირა კაშეეოიმ,— მაგრამ ვერა გიშველის-რა, ვერც შენი მუქარა და ვერც სხვა რამე!

ატამანებმა დაიწყეს კბილების კრაჭუნი და ხმლებზე გავლება ხელისა, ხოლო პან სქშეტუსკიმ უფრო მაღლა აიღო თავი და ასე განაგრძო:

— ნუ გგონია, ბატონო კაშეეოი ატამანო, რომ ვითომ სიკვდილისა მეშინიან, ჩემს სიცოცხლეს ვიცავ, ან ჩემს უდანაშაულობას ვამტკიცებ. მე შლიახტიჩი ვარ და ჩემი განკით-

ხვა შეუძლიანთ მხოლოდ ჩემთა ტოლთა, და არც თუ მოსა-მართლეთა წინაშე ვდგევარ მე აქ, არამედ წინაშე ავაზაკთა, არა თავად-აზნაურობის წინაშე, არა წინაშე რაინდობისა, არა-მედ ბარბაროსთა წინაშე; და კარგადაც ვიცი, რომ სიკვდილი არ ამცდება. და ჩემის სიკვდილით დაასრულებთ კიდეცა თქვენს ქველობასა და მოღვაწეობასა. ჩემს წინაშე სიკვდილია, და წამე-ბა, ხოლო ჩემს ზურგთ უკან ძლიერება. და შურის-ძიება სრუ-ლიად რესპუბლიკისა, რომლის წინაშე თრთის, ყველა თქვენ-განი სათითაოდ.

პან სქშეტუსკის სიტყვებმა შიში და ძრწოლა მოჰგვარა ყველას. ატამანებმა დუმილით გადაჰხედეს ერთმანეთს. მათ წი-ნაშე იდგა არა ტყვე, არამედ საშიშარი ელჩი ყოვლად ძლი-ერის ერისა.

— ბრაზიანი ლიახია!—სთქვა ტულაი-ბეიმ.

— ბრაზიანი ლიახია!—დაეთანხმა ხმელნიცკიცა.

კარებს ბრახუნი დაუწყეს და ამის გამო თათბირი შესწყ-და. ბრბოს აეგო ანდერძი ტატარჩუკისა და ბარაბაშისათვის და ახალი დეპუტაცია გამოეგზავნა.

ოთახში შემოცვივდნენ მრავლად ყაზახნი, სმით გალექე-ბულნი, სისხლით მოსვრილნი, გამძვინვარებულნი. გაჩერდნენ კარებს ახლოს, დაიწყეს ყაყანი და იწვდიდნენ წინ ხელებს, რომელსაც ჯერ ისევ თბილის სისხლის ოხშივარი ასდიოდა.

— ამხანაგობა თავს უკრავს ბატონთ უფროსთა,—აქ ყვე-ლამ თავი დაუკრეს,—და გთხოვთ, მოგვეცით ლიახი, რომ იმა-საც ვეთამაშოთ, როგორც ტატარჩუკსა და ბარაბაშს ვეთამა-შეთო.

— მივცეთ ლიახი!—დაიყვირა ჩარნოტამ.

— ნუ მივცემთ,—გამოესარჩლნენ სხვანი,—დაიცადონ ჯე-რა. ეგ კაცი ელჩია!

ბოლოს ყველანი გაჩუმდნენ და ელოდნენ, რას იტყვიან. კაშევოი და ხმელნიცკიო.

— ამხანაგობა გთხოვთ და, თუ ნება არ იქნება, თვითონ წაიყვანს ძალით!—განმეორა დეპუტაციამ.

სქშეტუშსკი ილუპებოდა და ის იყო; მაგრამ ამ დროს ხმელნიცკი დაიხარა და, უჩურჩულა ტულაი-ბეის.

— ეგ შენი ტყვეა,—უთხრა მან.—თათრებმა შეიპყრეს და ამიტომ შენია. მისცემ მაგ კაცს თუ არა, მოსაკვლელად? მდიდარი აზნაურშვილია, და ესეც რომ არ იყოს, თავადი იერემია დიდს ფულს მოიღებს მაგის გამოსახსნელად.

— მოგვეცით ლიახი!—ჰყვიროდნენ მუქარით ყაზახნი.

ტულაი-ბეი გაიზმორა და ზეზედ წამოდგა. სახე ერთს წუთს გამოეცვალა, თვალებმა გაუელვა, კბილებმა კრაჭუნი დაუწყეს. როგორც ვეფხვი, ისე იხტუნა და შიგ იმ შუა ბრბოში ჩაერია, რომელიც ითხოვდა, ტყვე მოგვეცითო.

— დაიკარგენით აქედან, თქვე ტეტიებო, თქვე ძაღლებო, თქვენა!—დაიღრიალა ტულაი-ბეიმ და გამძვინვარებითა სწვდა წვერებში მახლობელს ორს იმიერ-ჭორომელს.—დაიკარგენით, თქვე ლოთებო, უწმინდურო პირუტყვნო, თქვე ჯოჯოებო! მოხვედით და გინდათ ჩემი ტყვე წამართვათ? მაშ, ესეც თქვენ, ესეც თქვენ!—ტულაი-ბეიმ დასცა ძირს ერთი ყაზახი და დაუწყო თელვა ფეხითა. დაიჩოქეთ, მონებო! ყველას, მთელს თქვენს სეჩს ასე გავსთელავ ფეხ-ქვეშა!

დეპუტატები შეშინდნენ და უკან-უკან დაიწივნენ. საშინელმა მეგობარმა თავისი ბრეჭყალები გამოიჩინა.

საკვირველია: ბაზავლუკს სწორედ ექვსი ათასი თათარი იყო, დაბანაკებული. მართალია, მათ ზურგს უმაგრებდა ყეენი მთელის თვისის, მხედრობითა, მაგრამ ეს სეჩიც ხომ სულ უძალო და ულონო არ იყო, და, მაინც არც ერთმა, კაცმა კრინტი არ დასძრა, ტულაი-ბეის წინააღმდეგ. თითქო ამ საშინელმა მურზამ ეს ერთად ერთი ლონისძიება იპოვა, რომ დაეცვა სიცოცხლე ტყვედ შეპყრობილისა. დეპუტაცია დაბრუნდა მოედანზედა და გამოუცხადა ხალხს, რომ ლიახთან „თამაშობა“ არ შეიძლება, ტულაი-ბეის ტყვეა და ტულაი-ბეი ძალიან გაჯავრდა. „წვერები დაგვაგლიჯა, გაწყრაო!“ „გაწყრა, გაწყრა!“ ღრიალებდა ბრბო, ხოლო რამდენსამე წუთს შემდეგ უკვე

მზად იყო სიმღერა ამ შემთხვევისათვის. ერთს ცეცხლა-პირას ვილამაც დაიწყო უკვე თქმა სიმღერისა:

ჰეი, ჰეი!
ტულაი-ბეი
განწყრა, განრისხდა ძალიან!
ჰეი, ჰეი!
ტულაი-ბეი,
აქ შენი ძმანი არიან!

მაგრამ მალე სიმღერაც მისწყდა. ალაყაფის კარებიდან, ჰასსან-ფაშის უბნისკენ გამოჩნდა ახალი ბრბო ხალხისა და გაემართა სათათბირო სახლისაკენ. ატამანები უკვე თავ-თავიანთ სახლში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ, რომ უცბად ეს ახალნი სტუმარნი ეწვივნენ.

— წერილი გვაქვს გეტმანთან.

— სადაურები ხართ?

— ჩიგირინიდანა ვართ. დღე და ღამე გზად ვიდექით და მოგვქონდა წერილი. აი, წაიკითხეთ.

ხმელნიცკიმ გამოართვა ყაზახს წერილი და დაიწყო კითხვა. უცბად სახე სულ შეეცვალა; წერილი ძირს დაიღო და ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— ბატონო ატამანებო! დიდი გეტმანი ჰგზავნის ჩვენს წინააღმდეგ თავისს შვილს სტეფანეს ჯარითა. ეს ომია!

გარშემო ყველამ შეჰყეირა, არც თუ სიხარულით, არც თუ შიშითა; ხმელნიცკი გამოიჭიმა ოთახის შუა გულ ადგილას და შემოიყარა დოინჯი; მისი თვალები სულ ცეცხლს აფრქვევდა, ხმა მისი მუქარითა და ბრძანებითა ჰქუხდა:

— კურენების ატამანებო, თქვენ-თქვენს კურენებს მიაშურეთ! დასცალეთ ზარბაზნები! გამოიტანეთ არაყით სავსე ბოჭკები! ხვალ ლაშკრად მივდივართ!

ამ წუთიდან ყოველივე უფლება ხმელნიცკის ეძლეოდა. პატარა წინად ცბიერობისათვის უნდა მიემართნა, რომ სიკვდილს გადაერჩინა ტყვე და ცბიერობითვე უნდა დაესაჯა სიკვდილით თვისი მტერნი; ახლა კი ხელთ ეპყრა მართვა-გამ-

გეობის საბლის ყველა წვერნი. ასე იყო მუდამ. ომის წინად და შემდეგაც, თუმცა გეტმანი არჩეულიცა ყოფილიყო, ბრბო ატამანებისა და კაშევოის შემწეობით აცხადებდა, რაც უნდოდა; ამ სურვილის აღუსრულებლობა არც ისე უშიშარი საქმე იყო; მაგრამ, რაკი ომი გამოცხადდებოდა, „ამხანაგობა“ ჯარი იყო მხოლოდ, სამხედრო წესსა და რიგს დაქვემდებარებული, კურენების ატამანები—აფიცრები, ხოლო გეტმანი—განუკითხველი სარდალი და სპასპეტი.

აი ამიტომ ატამანები მაშინვე გაცვინდნენ, რომ აღესრულებინათ ბრძანება ხმელნიცკისა. თათბირი გათავდა.

ერთს წუთს შემდეგ ზარბაზნების სროლამ აუწყა მთელს სეჩს, რომ ომი უკვე დაწყებულიაო.

იწყებოდა ომი და იწყებოდა ახალი ხანა ორის ერის ისტორიაშიც, მაგრამ ეს არ იცოდნენ არც სეჩის მთერალმა მცხოვრებლებმა და არც თვით იმერ-ჭორომეთის გეტმანმა.

XII

ხმელნიცკი და სქშეტუსკი კაშევოისთან წავიდნენ ღამის გასათევად. მათ გაჰყვა ტულაი-ბეიცა: დაგვიანებული იყო და ბაზავლუკს ველარ დაბრუნდებოდა. ველური ბეი ისე ეკიდებოდა დესპანს, როგორც ტყვეს, რომელსაც ბოლოს გამოისყიდდნენ და დიდს ფულს აიღებდა; უფრო მეტის პატივისცემითაც ებყრობოდა, ვიდრე თავისუფალ ყაზახებსა: ტყუილად ხომ არა ჰყვანდა ნახული ეს კაცი ყეენის სასახლეში. რაკი ეს შენიშნა კაშევოიმ, თავისს სახლში მიიწვია დესპანი და ახლა სულ სხვა ნაირად დაუწყო მოპყრობა. მოხუცი ატამანი გულითა და სულით ხმელნიცკის მხარეზედ იყო, ხოლო ხმელნიცკის უსათუოდ უნდოდა, რომ ტყვე ცოცხალი გადარჩენილიყო. გარნა ამის გაკვირვებას სამზღვარი აღარა ჰქონდა მაშინ, როცა ხმელნიცკი, მოვიდა თუ არა კაშევოის სახლში, მაშინვე ჰკითხა ტულაი-ბეის:

— ტულაი-ბეი, რამდენის აღებას ჰფიქრობ ამ პატიმარის გამოსახსნელად?

ტულაი-ბეიმ სქშეტუსკის შეჰხედა.

— შენვე სთქვი, რომ დიდი კაცია, ხოლო მე ვიცი, რომ ელჩია საშიშის თავადისა, გარნა საშიშს თავადს უყვარს თავისიანები. ბისმილლაჰ! ერთი მომცემს ფულს, მეორეცა, მაშასადამე...

თათარი დაფიქრდა:

— ორი ათას ტალერს ავიღებ.

— მე მოგცემ ორი ათასს ტალერს.

ტულაი-ბეი გაჩუმდა პატარა ხანს. თვისის ირიბის თვალებით ისე დაშტერებოდა ხმელნიცკის, თითქო იმის გულის პასუხი უნდა ამოიკითხოსო.

— სამი ათასსაც მომცემ,—სთქვა მან.

— რად უნდა მოგცე სამი ათასი, როდესაც შენ თვითონ ორი ათასი ითხოვე?

— შენ გინდა მაგისი თავი, მაშასადამე, ეგ კაცი საჭიროა, სამი-ათასსაც მომცემ.

— მაგან სიკვდილს გადამარჩინა.

— ალლაჰ! ეგ ხომ ათასის ტალერით მეტიცა ჰღირს.

ახლა კი სქშეტუსკიც გაერია ამ ეაჭრობასა და გარიგებაში.

— ტულაი-ბეი! — გაბრაზებით შეჰყვირა დესპანმა,—თავადის ხაზინიდან ვერას დაგპირდები და თვითონ მე კი მოგცემ სამი-ათასს, თუნდა ამისათვის ყველაფრის გაყიდვა მომინდეს, რაც კი რამ მაბადია. პატარა სოფელი მაქვს საკუთარი და დაჯერო არა ღირს რა? ამ ატამანისა კი არა, მინდა რა: მაგისი ნაწყალობევი არც სიცოცხლე, მინდა და არც თავისუფლება.

— მერე თქვენ რა იცით, რასაც გიპირებთ?—ჰკითხა ხმელნიცკიმ და შემდეგ ისევ ტულაი-ბეის მიჰმართა.—ომი დაიწყება, გაჰგზავნი კაცს ფულისათვის თავადთან, მაგრამ, ვიდრე შენი გაგზავნილი დაბრუნდებოდეს, ბევრი წყალი ჩაივლის დნეპრში, მე კი ხვალვე დილით ჩამოგიტან ფულს ბაზაველუკს.

— მომეცი ოთხი ათასი და ლიახს აღარ დავუწყებ ლაპარაკს,—სთქვა მოუთმენლობით ტულაი-ბეიმ.

— კარგი, თანხმა ვარ; შენი სიტყვა იყოს.

— ბატონო გეტმანო,—სთქვა კაშევოიმ,—თუ მიბრძანებ, ეხლავ დაგითვლი მაგ ფულს.

— დილაზედ წაუღე ბაზავლუკს,—დასთანხმდა ხმელნიცკი.

ტულაი-ბეი გაიზმორა და დაამთქნარა.

— მეძინება... ხვალ ალიონზედ უნდა წავიდე. აბა, სად უნდა დავიძინო!

კაშევოიმ უჩვენა ადგილი კედელთან: აიგერა ცხვრის ტყავები და იმაზედ დაიძინეო.

თათარი გაიშოტა სახელდახელო ლოგინზედ და მალე ამოუშვა ხვრინვა. ხმელნიცკი პატარა ხანს ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ძილი არ ეკარება ჩემს თვალებს,—სთქვა მან.—არ დავიძინებ. მოიტა დამალევინე რამ, ბატონო კაშევოი.

— არაყს მიირთმევ თუ ღვინოს?

— არაყი. არა, ვერ დავიძინებ.

— მამლებმა იყივლეს კიდეცა,—სთქვა კაშევოიმ.

— გვიანაა! წადი დაიძინე შენცა, ძველო მეგობარო. დალიე და დაიძინე.

— ღმერთმა გაცოცხლოს, კარგს ბედს შეგყაროს!

— ღმერთმა გადღეგრძელოს!

კაშევოიმ მოიწმინდა ტუჩები სახელოთი, მივიდა ოთახის ერთს კუთხეში და ჩაწვა ისიც ცხვრის ტყავებში.

მალე იმისი ხვრინვა ტულა-ბეის ხვრინვას შეუერთდა.

ხმელნიცკი მოუჯდა სტოლს და ღრმა ფიქრში წავიდა. უცბად გამოერკვია და შეჰხედა სქშეტუსკის.

— ბატონო დესპანო, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით.

— თავისუფალი? ოჰ, გმაღლობთ, გეტმანო იმიერ-ჟოროშეთისავ, თუმცა არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ ბევრად მერჩივნა ეგ თავისუფლება სხვას ეწყალობებინა ჩემთვის და არა თქვენ.

— ნუ მეუბნებით მადლობას. მე სიკვდილისაგან დამიხსენით, ახლა სამაგიეროდ სიკეთე გადაგიხადეთ და ჩვენ ქვითნი ვართ. ამას გარდა, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ გაგიშვებთ აქედან, ვიდრე სიტყვას არ მომცემთ, პატიოსანის რაინდის სიტყვას, რომ შინ დაბრუნებისას არავის არას ეტყვით არც ჩვენის ძალ-ღონისასა, არც ჩვენის საომრად გზად ყოფნისასა და არც იმისას, რაც აქ, სეჩში, ჰნახეთ.

— თქვენ, მგონია, მეხუმრებით! მაგნაირს სიტყვას ვერ მოგცემთ, იმიტომ რომ ეგ სიტყვა რომ მოგცეთ, ჩემი საქციელი იმ მოღალატეთა საქციელს ემგვანება, რომელნიც მტრის მხარეზედ გადადიან.

— ჩემი სიცოცხლე და მთლად ამიერ-ჭორომეთის ბედი იმაზედა ჰკიდია, შემოგვიტევს დიდი გეტმანი მთელის თვისის ძალ-ღონითა თუ არა? ხოლო ის ერთს წუთსაც არ დაყოვნდება, თუ გაიგო თქვენის წყალობით საქმის ვითარება; ჰო და მაშ, მე ნუ დამემდურებით, თუ ვერ განგიტევებთ, ვიდრე სიტყვას არ მომცემთ, რომ გაჩუმდებით, და არას იტყვით იმისას, რაც აქა ჰნახეთ. ვიცი, რა ძალი დამესხმის თავს წვიმასავითა: ორივე გეტმანი, საშიში თავადი, რომელიც მარტოც რომ იყოს, ერთს ჯარადა ჰღირს, ზასლავსკი, კონეცპოლსკი და ყველა ეს მოურავ-ერისთავნი, რომელნიც კისერზედ ასხედან ყაზახებს! მართალია, ცოტა შრომა არ დამჭირდა, ცოტა წერილები არ მივიწერე აქეთ-იქით, რომ თვალი ამება მათთვის, მიმეძინებინა, მაგრამ მაინც ფხიზლობდნენ; ჯანდაბას იმათი თავი, იფხიზლონ ახლა, რამდენიც უნდათ. როცა მდაბიონიცა, ქალაქის ყაზახნიც და ყველანიც, ვინც კი შევიწროებულია, ვისაც არც თავისუფლება აქვს და არც სარწმუნოება ხელ-უხლებელი, მოურიდებლად გადმოვლენ ჩემს მხარესა, როგორც გადმოვიდა ამიერ-ჭორომეთის ჯარი და მოწყალე ყეენი ყირიმისა, მაშინ აღარ შემეშინდება მტრისა, ხოლო მანამდე ღვთის იმედი მაქვს, რომელიც ჰხედავს ჩემს უბრალოებას და ჩემს მწარე შეურაცხყოფასა.

ხმელნიცკიმ გადაჰკრა არაყი და მოუსვენრად დაუწყო გარშემო ტრიალი სტოლს. პან სქშეტუსკიმ აავლ-ჩაავლო თვალი და გაბედვით დაუწყო ლაპარაკი:

— ღმერთს ნუ ჰგმობ, გეტმანო ამიერ-ჰორომეთისავ, ნუ ითხოვ ღვთის კურთხევას შენის საქმეებისათვის. განა თქვენ უნდა სთხოვდეთ შემწეობას უზენაესსა, თქვენ, რომელიც პირადის წყენისათვის ჰლამის აღანთოს სახმილი შინაურის, ძმათამკვლელობის ომისა და შეუერთდეს უსჯულოთა საქრისტიანოს წინააღმდეგ? იფიქრეთ, რა შეუდგება თქვენს განზრახვას. გაიმარჯვებთ, თუ გაიმარჯვებენ, სულ ერთია, მთელს ადამიანთა ზღვა სისხლსა და ცრემლს დაჰღვრით, კალიაზედ უარესად მოაოხრებთ მშობელს ქვეყანას, ტყვეობაში ჩაჰყრით მოძმე ხალხს, შეარყევთ რესპუბლიკის ძლიერებას, გააუწმინდურებთ ტრაპეზთა უფლისათა და ყოველივე ესე რადა, რისთვის უნდა მოჰხდეს? იმიტომ მხოლოდ, რომ ჩაპლინსკიმ მამული წაგართვათ! რა დაგაბრკოლებთ და ან რის წინაშე-ღა შესდგებით, რას არ გასწირავთ, ოღონდ კი თქვენის გულის ბუხარი იყაროთ, ღმერთსაც უწოდებთ განა ამისთანა საქმისათვის? ხომ თქვენს ხელში ვარ, ხომ ყოველთვის შეგიძლიანთ წამართვათ თავისუფლება და თვით სიცოცხლეცა, მაგრამ მაინც გეტყვით: ღმერთს კი არა, ეშმაკს უნდა მოუწოდოთ საშველად; მხოლოდ ეშმაკი გამოგიწოდებთ ხელს თქვენს საშინელს საქმეში.

ხმელნიცკი გალურჯდა, იტაცა ხმალს ხელი და ისე დააბღვერდა დესპანს, როგორც ლომი, რომელიც მზად არის, თავს დაეცეს თავის მსხვერპლს, მაგრამ უცბად შესდგა. ჯერ კიდევ ძლიერ არ იყო მთვრალი. ეინ იცის, იქნება შიშმა რამ შეიპყრო უეცრად, იქნება სვინიდისმა გაიღვიძა და ქენჯნა რამ დაუწყო და ამხილა: შესდეგო! ხმელნიცკიმ თავი ჩაჰღუნა და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქო ცდილობს თავისი თავი თვითონვე დააჯეროს, დაარწმუნოს როგორმეო:

— სხვას არ მოვუთმენდი მაგისთანა ლაპარაკს, მაგრამ თქვენც გაფრთხილდით, რომ თქვენი გაბედულობა არ აღემატოს ჩემს მოთმინებას. მაშინებთ ჯოჯოხეთითა, მაბრალებთ

ლალატსა, რომ ვითომ პირადის წყენისათვის შურსა ვძიობ, მაგრამ საიდან იცით, რომ მარტო ჩემის წყენისათვის მინდა მივაგო მტერს სამაგიერო? სად ვიშოვიდი ამოდენს თანაშემწეს, საიდან გაჩნდებოდა ეს ათასი და ათი ათასი ხალხი, რომელიც შემომიერთდა და კიდევ შემომიერთდება, თუ მარტო პირადის საქმისათვის ვცდილობდე? აბა, იფიქრეთ, რა ამბაია უკრაინაში. ეჰ, დედა-ქყეყანა, ჩვენო ნაყოფიერო მშობელო, ვინ არის, რომ უშიშრად ჰგრძნობს თავს შენთა სამზღვართა შორის, ვინ არის, რომ დარწმუნებული იყოს, ხვალინდელი დღე მშვიდობით გამითენდებაო? ვინ არის ბედნიერი, ვინ არის თავისუფალი, ვინ არა სტირის, არა ოხრავს? მხოლოდ ერთი ვინ-სნევეიკები, პოტოცკები, ზასლავსკები, კალინოვსკები და ერთი მუჭა აზნაურშვილობა! იმათთვის არის უფროსობა, დიდება, ყმა და მამული! იმათთვის არის ბედნიერება და ოქროს თავისუფლება, ხოლო დანარჩენი ერი მდუღარებას აბნევს, ხელ აღპყრობილია ცად მიმართ და ღვთისაგან ელის შემწეობას, რადგან მეფის წყალობაც ვერასა ჰშველის! თვით აზნაურობაშიაც რამდენია, რომ ველარ გაუძლეს შეეიწროებას და ივლტოდნენ სეჩს ჩემსავითა? მე ომი არა ზწაღნიან არც მეფესთანა და არც რესპუბლიკასთან! რესპუბლიკა დედაა ჩვენი, მეფე მამაა; მეფე მოწყალეა, გარნა მისნი ერისთავნი... იმათი გაძლება ჩვენ არ შეგვიძლიან. იმათი ჩაგვრა, იმათი ულვთო გადასახადები, იმათი ღალა-იჯარები, იმათი მტარვალობა და ტვინის წოვა, იმათი გულ-ღვარძლიანობა,—ყოველივე ცას შეჰღაღადებს შურის ძიებად! რა მადლობა მიიღო ამიერ-ჭორომეთის მხედრობამ იმ ღვაწლისათვის, რომელიც მიუძღვის ქვეყნის წინაშე მრავალ ომსა და ლაშკრობაში? სად არის ყაზახთა უპირატესობანი? მეფემ უბოძა, ხოლო ერისთავებმა წაართვეს. ნალივაიკა ოთხად იქმნა გაჭრილი, პავლიუკი სპილენძის ხარის მუცელში შესწვეს! წყლულნი, რომელნიც დაგვაჩნია ჟულკევსკიმა და კონეცპოლსკიმ, ჯერ არ დაშუშულა. ცრემლნი, დაღვრილნი მოკლულთა, აკეპილთა და შარგილზედ ჩამოცმულთათვის ჯერ არ შეგვშრობია და ახლა კი, აბა, შეეხნე-

ღეთ, რა ანთია ცაზედ?—ხმელნიცკიმ თითი გაიშვირა ცისაკენ, საცა კუდიანი ვარსკვლავი ბდღვრიალებდა.—რისხვაა ღვთისა! ცეცხლია ღვთისა!... და თუ მე ვარ ეგ ღვთის რისხვა, მოვლენილი ქვეყნად, დაე აღსრულდეს ნება ღვთისა! ვტვირთ-ოლობ ჯვარსა ჩემსა.

ხმელნიცკიმ, საშინელ-ძა და თავ-პირ ჩამობნელებულმა ხელნი აღაპყრნა ცად მიმართ, ათრთოლდა და დაეშვა ძირს, თითქო ვეღარ აიტანა დიდი სიმძიმე თვისის მოწოდებისაო.

ჩამოვარდა მდუმარება, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ხვრინვა ტულაი-ბეისა და კაშეკოისა და კიდეე ოთახის კუთხეში გაბმული გულსაკლავი ჭრიჭინი ჭრიჭინასი.

დესპანი იჯდა ძირს თავ-ჩაღუნული. ეტყობოდა, თითქო პასუხს ეძებს ხმელნიცკის სიტყვებისასაო, რომელიც ისეთივე მძიმე იყო, როგორც დიდი ნატეხი სალის-კლდისა; ბოლოს სქშეტუსკიმ დაიწყო ლაპარაკი ნელის, მწუხარე ხმით:

— ოჰ, თუნდ რომ მართალიც იყოს ეგა, ვინა ბრძანდებით განა, რომ კისრულობთ მოსამართლისა და ჯალათის მოვალეობას? რა მძვინვარებასა და რა გულზვავობას შეუპყრიხართ? რატომ არ გინდათ ღმერთს მიანდოთ ეგ უფლება განკითხვისა და დასჯისა? ბოროტს კაცებს არ ვესარჩლები, წყენას არც მე ვაპატიებ ვისმე, ჩაგვრა-შევიწროებას არც მე ვსახავ უფლებადა, მაგრამ ერთი თქვენს გულშიაც ჩაიხედეთ, გეტმანო! უჩივით ერისთავთა მიერ ჩაგვრას და შევიწროებას; ბრძანებთ, რომ არ ემორჩილებიან არც მეფეს, არც კანონსაო, ჰგმობთ მათს გულზვაობას და მერე თქვენ თვითონ კი არა გჭირთ ეგევე სენი? თვითონ თქვენ კი არ მოგიღერებიათ მუშტი რესპუბლიკისა და კანონისათვის? პანებისა და შლიახტის მტარვალობას კი ჰხედავთ და ის კი არ გინდათ დაინახოთ, რომ თუ არ მათი მკერდი, მათი ჯავშან-ჩაჩქანი, თუ არ მათი ციხე-დარბაზნი, ზარბაზან-ზამბულაკნი და ჯარი, ეს დედა-მიწა, საცა მდინარენი რძესა და თაფლად გადაქცეულა, ათასჯერ უფრო აუტანელს გმინვაში იქმნებოდა დაჩაგრულობის გამო თათართა და ოსმალთა მონობის უღელ ქვეშ! ვინ დაიცავდა და დაიფა-

რავდა ამ ქვეყანას? ვის მზრუნველობისა და ძალ-ღონის წყალობითაა, რომ თქვენი შვილები იანიჩარებად არა მსახურებენ, თქვენი ასულნი სანთელივით არა ჰდნებიან საზიზღარს ჰარამ-ხანებში? ვინ ასახლებს უკაცურს უდაბნოებს, ამაგრებს ქალაქებს, აგებს ტაძართა ღვთისათა?...

პან სქშეტუსკის ხმა თან და თან უფრო ძლიერდებოდა, ხოლო ხმელნიცკი თავ-ჩაქინდრული ჩაჰყურებდა არაყით სავსე ფიალას და მდუმარებდა პირ-გამეხებული.

— მერე ვინ არიან ისინი?—განაგრძობდა თავისას პან სქშეტუსკი.—ნემენცების ქვეყნიდან არიან მოსულნი თუ ოსმალეთიდან? განა სისხლნი არ არიან ჩვენთა სისხლთაგან და ძვალნი ჩვენთა ძვალთაგან? თქვენივე შლიახტა არ არის და თქვენივე თავადნი არ არიან? ოჰ, თუ ეს ასეა, მაშ ვაი თქვენდა, რომ თქვენ ასისიანებთ უმცროსთა ძმათა უფროსთა საწინააღმდეგოდ! ვფიცავ დაუსაბამო მამასა, თუნდა საძაგელნი იყვნენ, თუნდ ყველანი სათითაოდ ფეხ-ქვეშა სთელავდნენ კანონსა, გვართმევდნენ უფლება-უპირატესობასა, მაინც თქვენი საქმე არ არის იმათი განკითხვა: დაე ღმერთმა განიკითხოს იგინი ცათა შინა, ხოლო სეიმებმა—ქვეყანასა ზედა და არა თქვენ, გეტმანო! შეგიძლიანთ სთქვათ, რომ თქვენ შორის ყველანი მხოლოდ სამართლიანები არიან, რომ თქვენ არაფერი არა დაგიშავებიათ-რა და ტვირთულობთ უფლებას, იარაღით ხელში უნდა ვეწიო ჩემსასაო? თქვენა მკითხავდით, სად არის ყაზახთა უფლებანიო? ახლა მე გიპასუხებთ: მოურავ-ერისთავებმა კი არ მოსპეს ეგ უფლებანი, არამედ იმიერ-ჯორომელებმა, ლობოდამა, სასკომ, ნალივაიკამ და პაელიუკმა, რომლისასაც ამბობთ, ვითომ სპილენძის ხარის მუცელში შესწვესო, თუმცა კარგად იცით, რომ ეგ აგრე არ იყო. დათრგუნა და მოსპო თქვენი უპირატესობანი თქვენმა მრავალ-გზის აჯანყებამა, მღელვარებამა და ძარცვა-რბევამ, რომელიც თათართა ძარცვა-რბევასა ჰგვანდა. ვინ შემოუშვებდა ხოლმე რესპუბლიკაში თათრებს, რათა შემდეგ, როცა დავლა-ალაფით დაბრუნდებოდნენ უკან, დასხმოდნენ თავს და წაერთვათ ნაალაფევ-ნადავლი? თქვენ! ვინ

იყო, რომ,—ღმერთო შეუნდე!—თავის სისხლსა და ხორცს, ქრისტიან ხალხს ტყვედა ჰყიდდა თათრებში? ვინ იყო თავი აჯანყება-ამბოხებისა? თქვენ! ვის წინაშეა, რომ უშიშრად ვერა ჰგრძნობს თავს ვერც შლიახტიჩი, ვერც ვაჭარი, ვერც გლეხ-კაცი? თქვენ წინაშე! ვინ აღანთებდა ხოლმე ცეცხლს ძმათა-ძმის მკვლელის ომისას, ამტუტებდა უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, სძარცვავდა ეკლესიებს, აუპატიურებდა დედაკაცებს? თქვენა და მხოლოდ თქვენ! რაღა გინდათ ახლა? გინდათ, რომ მოგცენ უფლება, იაურ-ზაურეთ, იამბოხეთ, სძარცვეთ და ითა-რეშეთ, რამდენიც გნებავდეთო?! ღვთის-წინაშე, უფრო ბევრს გაპატივებდნენ ხოლმე, ვიდრე გსჯიდნენ! სენ-მორეული ასო უნდოდათ განეკურნათ და არა მოეკვეთათ*), და არ ვიცი, არის კიდევ მთელს ქვეყანაზედ ისეთი სახელმწიფო, რესპუბ-ლიკას გარდა, რომელიც ასეთის მოთმინებით ითმენდეს ასეთს სნეულებას? ამის მაგიერ რითი უხდით მადლობას? აიგერა სძინავს თქვენს მოკავშირეს—დაუძინებელს მტერს ჯვა-რისა და ქრისტიანობისას, არა უკრაინელს მოურავ-ერისთავს, არამედ თათრის მურზას და აი მაგასთან ერთად მიდიხართ, რომ დასწვათ მშობელი მხარე, განიკითხოთ ღვიძლნი ძმანი! ახლა ეგ იქნება იქ ბატონი, მაგას დაუჭერთ იქ უზანგსა!

ხმელნიცკიმ კვლავ გადაჰკრა არაყით სავსე ფიალა.

— როცა მე და ბარაბაში ვიყავით თავის დროზედ მეფეს-თან, ჩვენ მოწყალე ბატონთან,—წარბ-შეჭმუხვნით და დაღვ-რემით წარმოსთქვა ხმელნიცკიმ,—ასე გვიბძანა: განა თოფ-იარაღი არა გაქვთ და ხმალი არ გარტყიათ წელზედაო?

— მეფეთ-მეფის წინაშე რომ დამდგარიყავით, ასე გე-ტყოდათ: მიუტევე კი შენთა მტერთა, როგორც მე მივუტევე ჩემს მტრებსაო?

— მე რესპუბლიკასთან ომი არა მწადიან.

— მხოლოდ დანას აჭერთ ყელში, ჰა?

— მივდივარ, რომ ყაზახნი გავანთავისუფლო თქვენის მო-ნობის ჯაჭვთაგან.

---

*) გეტმან ჟულკევსკის სიტყვებია.

— რომ მერე თათართა ქამანდი ჰკრათ და უარესად გაჰბოჭოთ.

— მინდა დავიცვა სარწმუნოება.

— წართმართთან ერთად.

— მომშორდი თავიდან! შენ არა ხარ ხმა ჩემის სვინიდისისა! მომშორდი-მეთქი, გეუბნები!

— სისხლი, დაქცეული თქვენ მიერ, დაამძიმებს თქვენს სულს, ცრემლნი კაცთანი ჰღალადებენ ღვთისა მიმართ, თქვენ მოგელით სიკვდილი, მოგელით მსჯავრი და განკითხვა....

ხმელნიცკიმ გააფთრებით დაიწყო ღრიალი და ამოწვდილის დანით ხელში ეცა დესპანს.

— მომკალით!—სთქვა პან სქშეტუსკიმ.

და კვლავ ჩამოვარდა მდუმარება, კვლავ მოისმოდა მხოლოდ ხვრინვა მძინარეთა და გულ-საკლავი ჭრიჭინი ჭრიჭინასი.

ხმელნიცკი გაჩერდა ერთს წუთს ასე ხელში დანითა, რომელიც სქშეტუსკისა ჰქონდა მოღერებული, მაგრამ უცბად გაიჟრჟოლა, გონს მოვიდა, დანა ძირს დაუვარდა, სწვდა არაყის ჭურჭელსა და მოიწაფა. დალია სულ უსუნთქებლივ და დამძიმებული დაეშვა იქვე ტახტზედა.

— არ შემიძლიან დაკვრა,—ბუტბუტებდა მთვრალი,—არ შემიძლიან. გვიან-ღაა... რა ამბავია, გათენებაა?.. უკან დაბრუნებაც გვიან-ღაა გზად-გამდგარისათვის... რას მეუბნები სამართალისა და სამსჯავროსასა?

ისედაც ცოტა არა ჰქონდა დალეული და ახლად დალეული ხომ უფრო ძლიერ ეცა თავში; თან-და-თან უფრო და უფრო ეკიდებოდა სასმელი.

— რომელი სამართალიო? რაო? ყეენმა აღმითქვა შემწეობა, ტუღაი-ბეის აქა სძინავს; ხოლო თუ... უკეთუ, ის... მე გამოგისყიდე ტუღაი-ბეის ტყვეობიდან... ეს გახსოვდეს და ესა სთქვი... ოჰ, გულსა მჩხვლეტავს რაღაცა, მტკივა!... გზიდან უკან დაბრუნება... გვიან-ღაა! სამართალი... ნალივაიკო... პავლიუკი...

უცბად გაიმართა წელში, შეშინებულმა დააჭყიტა თვალები და დაიყვირა:

— ვინ არის აქა?

— ვინ არის აქა?—განიმეორა ბურანში კაშეკოიმ, რომელსაც ყვირილმა ოდნავ გაუკრთო ძილი.

ხოლო ხმელნიცკიმ კვლავ ჩაჰქინდრა თავი, წატორმანდა, წაიბუტბუტა:—„რა სამართალიო?"—და მიეძინა.

პან სქშეტუსკი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაჰშუშებოდა ჭრილობა, გაფითრდა, საშინელი სისუსტე იგრძნო და იფიქრა: სიკვდილს ხომ არ უნდა გადამაფაროს თვისნი ფრთენიო.

XIII

დილა ადრიან ქვეითი და ცხენოსანი ყაზახთა ჯარი გაემართა სეჩიდან. სისხლს ჯერ არ მოეცხო ჩირქი მინდვრებისათვის, მაგრამ ომი კი დაიწყო. რაზმი რაზმს მისდევდა, თითქო გაზაფხულის მცხინვარე მზით გამოჩეკილი კალიაოო, ჩერტომელიკის ლელიან მიდამოთა შორის და უკრაინის ყანებში შესასევადა დაძრულიო. ტყეში, ბაზავლუკს იქით, იდგნენ თათარნი, სალაშკროდ გამზადებულნი, ექვსი ათასი რჩეული მხედრობა, შეიარაღებული თავით ფეხამდე,—აი ის შემწეობა, რომელიც გამოუგზავნა ყეენმა იმიერ-ჭორომელებსა და ხმელნიცკის. ყაზახებმა, მოკავშირენი რომ დაინახეს, დაიწყეს თოფების ცლა და ქუდების მაღლა სროლა. ხმელნიცკი და ტუღაი-ბეი ცხენებზედ ისხდნენ, თუღებით იყვნენ დაჩრდილულნი, საჩქაროდ გაეშურნენ ერთმანეთისაკენ და დიდის ამბითა და გამოჩინებით მიესალამნენ ერთმანეთსა.

ჯარნი დაეწყვნენ მწკრივ-მწკრივად ისეთის სისწრაფით, რომელიც სჩვევია ყაზახთა და თათართ, და გაუდგნენ გზას. ორდინცებმა დაიპირეს აქეთ-იქითა ფრთენი, შუაში ჩადგა ხმელ-

ნიკი თვისის ცხენოსნებითა, ხოლო ჟკან მიდიოდა იმიერ-ჭორომელთა საშინელი ქვეითი ჯარი*).

ჯარმა გაიარა ბაზავლუკის ტყე და გავიდა მინდვრად. კარგი დარი იყო, ლურჯად მოწმენდილს ცაზედ ნაპერი არ-სადა სჩანდა ღრუბლისა. ჩრდილოეთის ნელი ნიავი სიგრილე-სა ჰფენდა. მზე სასიამოვნოდ აბჟყვრიალებდა შუბებსა და თო-ფის ლულებსა.

ჯერ წინ გაშლილი იყო ყრუ-მინდვრები ყოვლადის თვისის სამზღვარ-დაუდებელის თვალ-გადუწვდენელობითა, და სიხარუ-ლით აძგერდა ყაზახთა გულნი. მაყვლის ფერი დიდი დროშა, რომელზედაც იყო მხატვრობა მთავარ-ანგელოზისა, რამდენ-ჯერმე დაიხარა და მიესალმა მშობელს მინდორს, მასთან ერ-თად დაჰხარეს ყველა თუღნი და რაზმთა ალამნი.

რაზმნი თავისუფლად გაიშალნენ. აი წავიდნენ წინ მესა-კრავენი; დაიწყო გუგუნი სპილენძის ტოლჩებმა, ახმიანდა ბობ-ღანოები და მინდვრის მდუმარებაში გაისმა ათასგვარად შეწ-ყობილი ხმა რიცხვ-მრავალ ხოროსი:

ჰეი, მინდორო, მინდორო,
სასურველო გულისაო,
წითელ-ფერის ყვავილებით
უკუ-მყრელო სევდისაო;
ვრცელი ხარ და თვალთ-უწვდენი,
ვით ზედა-პირი ზღვისაო.

მესაკრავეთა მიუშვეს აღვირი ცხენებს, გადაეშვნენ უკან, თვალნი მიაპყრეს ცას და დაუწყეს კვრა საკრავთა; მებობღა-ნეთ აიღეს ხელნი მაღლა და სცემდნენ თავიანთ სპილენძის დაფ-დაფთა, და ყოველივე ესე, შეერია-რა ერთკილოვან ხმას სიმღერისას, გადაიქცა ერთს უშველებელ, ველურსა და უდა-

*) წინააღმდეგ დღევანდელის აზრისა, ბოპლანი ამტკიცებს, რომ იმიერ-ჭორომეთის ქვეითი ჯარი ბევრად სჯობდა ცხენოსანთა ჯარსაო. იმის ფიქრით, 200 პოლონელი ადვილად ამარცხებდა იმიერ-ჭორომეთის 2000 მხედარს, მაშინ როდესაც ეს ქვეითის ჯარის ყაზახს დიდ ხანს შეეძლო თავი გაემაგრებინა სანგალ-საფრებში, თუნდა ათასობით მიეტანათ იერიში პოლონელებსა.

ბნოსავით მოსაწყენს გრიალად. ყველა მოიცვა რაღაც სევდა-მა! მხედარნი ნება-უნებლიედ იხრიდნენ თავს სიმღერის ასაყოლებლად; თითქო მინდორიცა მღერის და ბუბუნებს კაცებთანა, ცხენებთანა და გაფრიალებულ დროშებთან ერთადაო.

ჯართ წინამძღოლი და სპასპეტი იყო ხმელნიცკი, რომელიც თეთრს ცხენზედ იჯდა, ხელთ ოქროს კვერთხი ეპყრა და გვერდთ ახლდა მაყვლის ფერი დიდი დროშა და თუღი.

მთელი ლაშქარი ტაბატით მიიწევდა ჩრდილოეთად; გზა-გზა გუნდნი ფრინველთა ფრთხიალით წამოიშლებოდნენ ხოლმე, მიჰფრინავდნენ შეშინებულნი და არღვევდნენ უდაბნოს დიდებულს მდუმარებას.

ხოლო ჩიგირინიდან, უდაბნოს ჩრდილო სამზღვართაგან, მოცურავდა სხვა, უშველებელი ზვირთი მხედრობისა ახალგაზდა პოტოცკის წინამძღოლობით. აქ იმიერ-ჭორომელნი და თათარნი ისე მიდიოდნენ საომრად, თითქო ქორწილში მიეშურებიანო, მუსიკის კვრითა და მხიარულის სიმღერითა; იქ გუსარნი, რაზმ-რაზმად დაწყობილნი, მდუმარებით მიაბიჯებდნენ წინ დაღვრემილ-დაძმარებულნი, რადგან გული არ მისწევდათ ამ ლაშკრობაში, რომელსაც სახელი და დიდება არ მოჰყვებოდა. აქ, მაყვლის ფერ დროშის ქვეშ, გამოცდილი მეთაური მუქარით იღერებდა თავისს ოქროს კვერთხ-კომბალს, დარწმუნებული, რომ გამარჯვება მე დამრჩება და შურსაც ეიძიებო; იქ სპათა ჯარს წინ მიუძღოდა დაფიქრებული ჭაბუკი მწუხარე სახითა, თითქო წინდაწინვე ცხადადა სჭვრეტს თავისს საშწუხარო ბოლოსაო.

ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ამხედრებულ ჯართა შორის ჯერ კიდევ დიდი სივრცე იდო მინდვრებისა. ხმელნიცკი არა ჩქარობდა. იმისი ფიქრი ის იყო, რომ, რაც უფრო შორს წამოვა ამ უდაბნოში მტერი, რაც უფრო მეტად დაშორდება ორს გეტმანს, მით უფრო მალე დამარცხდებაო. ამასობაში ახალნი ლტოლვილნი ჩიგირინიდანა, პოვოლოჩიდანა და უკრაინის სხვა მოსამზღვრე ქალაქებიდან, ემატებოდნენ იმიერ-ჭორომელთა ჯარს და მოჰქონდათ თან ამბავი მოპირისპირე ბანაკისა. ხმელ-

ნიკიკიმ გაიგო ახლა, რომ მოხუცს გეტმანს გამოეგზავნა თვისი შვილი ხმელეთით ორი ათასის ცხენოსანის ჯარითურთ*), ხოლო ექვსი ათასი ქვეითი მეომარნი და ათასი ნემენცი წყალ-წყალ მიდიოდა დნეპრზედა. ორივე რაზმს ნაბრძანები ჰქონდა, ერთმანეთს ნუ განშორდებითო, მაგრამ ეს ბრძანება პირველ დღესვე დარღვეულ-იქმნა. ნავები მალე გაიტაცა დნეპრის ჩქარმა მდინარეობამ და შესამჩნევად წინ წავიდა ეს რაზმი, ვიდრე გუსარნი, რომელნიც ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ.

ხმელნიცკი იმის ლოდინში იყო, რომ უფრო გადიდებულიყო მანძილი, რომელიც ჰყოფდა რესპუბლიკის ჯარებს ერთმანეთისაგან. გალაშქრების მესამე დღეს მისმა მხედრობამ დაიბანაკა ლელიანების ახლოს.

ტუღაი-ბეის თათრებმა ორი ლტოლვილი შეიპყრეს. ისინი იყვნენ დრაგუნები, რომლებიც პოტოცკის ბანაკიდან გამოქცეულიყვნენ. დღე-და-ღამე ეარნათ და ძლიერ გამოესწროთ წინ თავიანთ რაზმისათვის.

რაც იმათ უამბეს, სავსებით შეესაბამებოდა ხმელნიცკის ცნობას პოტოცკის ჯარის რაოდენობის შესახებ. ამას გარდა სხვა ახალი ამბავიც აუწყეს: იმ ყაზახთა წინამძღოლნი, რომელნიც ნემენცებთან ერთად მოდიან ნავებით, მოხუცი ბარაბაში და ქშეჩოვსკიაო.

ეს უკანასკნელი სახელი რომ გაიგონა, ხმელნიცკი ფეხზედ წამოხტა.

— ქშეჩოვსკიო? პერეიასლავის ყაზახთა პოლკოვნიკი?

მიუბრუნდა მის გარშემო მყოფ პოლკოვნიკებს და სთქვა:

— ამხედრდით ახლავე.—გასცა მან ბრძანება ომახიანად.

საათსაც არ გაუვლია, ლაშქარი კვლავ დაიძრა და გაუდგა გზას, თუმცა მზე უკვე ჩასავალს იყო და ღამეც არ იძლეოდა იმედს, რომ რიგიანი იქნებოდა. რაღაც საშინელი, სისხლის ფრად შეღებილი ღრუბლები აჰფარებოდა ცას დასავლეთად,

---

*) სამოელ ველიჩკოს სიტყვით, რესპუბლიკის ჯარი 22 ათასამდე იქნებოდა, ეს შესაწყნარებელი არ უნდა იყოს.

თითქო უზარ-მაზარ გველთა და ურჩხულთა რაზმებიაო, ერთ-მანეთის შესამუსრად განმზადებულებიო. ლაშქარი გაემართა მარცხნივ, დნეპრის კიდეებისაკენ. ახლა მდუმარებით მიდიოდნენ, უსიმღეროდ, უმუსიკოდ, იმდენად აჩქარებით, რამდენადაც ნებას აძლევდა ხშირი და მაღალი ბალახი. ცხენოსანი ჯარი გზას უქნიდა ურმებსა და ქვეითა ჯარსა, რომელიც მალე უკან დარჩა. დაღამდა. ამოვიდა უშველებელი გაწითლებული მთვარე.

შუა-ღამე იყო უკვე ძალზედ გადასული, როცა ყაზახთა და თათართ თვალ-წინ წარმოუდგათ რაღაც შავი ზვინი, რომელიც საკმაოდ გარკვევით მოსჩანდა ღამის ცრიაგს სიბნელეში.

ეგ ზვინი იყო ზღუდენი კუდაკისა.

მსწრაფლ-მსრბოლნი რაზმნი, ღამის წყვდიადით დაფარულნი, ჩუმადა და სიფრთხილით მიეპარნენ ციხე-დარბაზის გალავნის მიდამოთა. ვინ იცის, იქნება შესაძლო იყოს ხელში ჩავიგდოთ უცბად მიძინებული ციხეო?

მაგრამ უეცრივ გაიელვა, გრგვინვამ შეარყია სიპი კლდენი დნეპრისა და ცეცხლივით წითელმა ყუმბარამ, გადიარა რა ცეცხლის რკალივით ცაზედ, დაეცა მინდვრის ხშირს ბალახებში.

თავ-პირ ჩამობნელებული ციკლოპი გროძიცკი ამით აუწყებდა, რომ ვეფხიზლობო.

— აი ეგ ცალ-თვალა, ბრმა ძაღლი!—წასჩურჩულა ხმელნიცკიმ ტუღაი-ბეის,—ღამეც კი ჰხედავს.

ყაზახებმა გზა აუქციეს ციხე-დარბაზსა. ფიქრადაც არ იყო გასატარებელი, რომ შესაძლო იქმნებოდა ციხის აღება, მით უმეტეს, რომ ზემოდან სახელმწიფოს ჯარი მოდიოდა. პან გროძიცკი მაინც თავისას არ იშლიდა და ყუმბარას ყუმბარაზედ ადევნებდა გზაში ჯარს, იმდენად ზიანის მისაცემად არა, რამდენადაც იმიტომ, რომ საქმის ვითარება ვაუწყო ზემოდან წამოსულ ჯარს, რომელიც შესაძლოა აქვე ახლო-მახლოა სადმეო.

უპირველეს ყოვლისა, გრგვინვა კუდაკის ზარბაზნებისა გულს ჩასწვდა პან სქშეტუსკის. ახალგაზდა რაინდი, მძიმედ ავადმყოფი ამ ჟამად, ხმელნიკკის ბრძანებით, უკან მისდევდა ყაზახთა ლაშქარს. ხორტიცის ბრძოლაში, მართალია, მძიმედ არ დაიჭრა, მაგრამ სისხლისაგან კი თითქმის სულ დაიცალა. მისმა წყლულებმა, რომელიც შეუხვია მოხუცმა იასაულმა, ხელ-ახლადა ჰქმნეს პირი; ამის გამო სქშეტუსკი გააცხელა და ახლა გათარანებული იწვა უგონოდ ყაზახთა ოთხ-თვლიანს ურემში. კუდაკის ზარბაზნებმა გაადვიძა და მოიყვანა გონს. გაახილა თვალები, წამოყელყელავდა ურემში და დაიწყო აქეთ-იქით ყურება. სიბნელით მოცული ყაზახთა ურდო მიდიოდა წინ, თითქო ეჩრდილთა ფერხულში არიან ჩაბმულნიო, ხოლო ცი-ხე მაინც ჰქუხდა და გრგვინავდა თავისის ზარბაზნებითა; გა-ვარვარებული ყუმბარები ეცემოდა ძირს, შიშხინებდა და იღ-რინებოდა, თითქო გამძვინვარებული ქოფკებიაო. ამ სურათის დანახვაზედ, ისეთმა სევდამ შეიპყრო პან სქშეტუსკი, რომ მზად იყო სიცოცხლე დაეთმო თავისუფლებისათვის. ომია, ომი! მე კი მტერთა ბანაკში ვარ, უიარაღო, ავადმყოფი; ურმიდან ვერ წამომდგარვარო! იქ კი, ლუბნში, ალბად, ჯარი ემზადება გა-მოსალაშკრებლად. თავადი ზის ახლა თავის გიჟს რაშზედ ცე-ცხლებრ აღგზნებულის თვალებით და ათვალიერებს ჯარებს... აი, პატარა ვოლოდიევსკი თვისის წვრილის ხმლით ხელში წინ უძღვის დრაგუნებს... მოფარიკავეა, რომ ტოლი არა ჰყავს; ვისაც დაშნაობას დაუწყებს, გათავებულია, წინადვე ანდერძი ააგებინოს.

აი პოდბიპენტაცა. იღებს თვისს უზარმაზარს მახვილს. მოჰკვეთს თუ არა სამს თავს? ქსენძი იასკულსკი აკურთხებს დროშებს და ხელ-აღპყრობილი ეველრება ღმერთს... მეომრად ნამყოფია და თავი ვერ შეუმაგრებია, არ შეუძლიან არ შეს-წყვიტოს ლოცვა და საომარი რამ ასამაღლებელი ღაღადება არ წარმოსთქვას... ჯავშნიანები უკვე მზად არიან, რაზმნი გა-ემართნენ, გაიშალნენ, გზას გაუდვნენ... ომია, ომი!

უცბად ყოველივე იცვლება. დესპანის წინაშე სდგას ელენე, გაფითრებული, თმა-გაწეწილი და ევედრება შველასა: „დამიხსენ! ბოგუნი მომდევს შესაპყრობად!“ პან სქშეტუსკი გადმოხტება ურმიდან, მაგრამ ვიღასიც ხმა, ახლა კი სწორედ ნამდვილი ხმა, ამშვიდებს და ეუბნება:

— იწექ, იწექ... თორემ შეგკრავ.

ეს ხმა იასაულ ზაქარას ხმაა. იმას ჩააბარა ხმელნიცკიმ დესპანი და უბრძანა, გაუფრთხილდი, როგორც შენს თვალის ჩინსაო. იასაული აწვენს ისევ ურემში, აფარებს ცხენის ტყავს და ეკითხება:

— რა დაგემართა?

პან სქშეტუსკი გონზედ მოდის. ლანდი და ზმანება ჰქრება. ურმები ზედ დნეპრის ნაპირას მიდიან. მდინარიდან ციცინიავი მოდის, ღამე გატყდა და დაისია დაწყებული. წყლის ფრინველნი იღვიძებენ.

— გამიგონე, ზაქარ! კუდაკს გამოვსცდით?—ჰკითხავს პან სქშეტუსკი.

— გამოვცდით,—ეუბნება პასუხად იმიერ-ჭორომელი.

— ახლა სადღა მიდიხართ?

— რა მოგახსენოთ. ამბობენ, შებრძოლება უნდა მოჰხდესო და არ ვიცი კი სად.

პან სქშეტუსკის გაეხარდა. ეგონა, რომ ხმელნიცკი ომს კუდაკის გარშემო დგომით დაიწყებსო, ახლა კი ის სისწრაფე, რა სისწრაფითაც ყაზახნი მიდიოდნენ წინ, საბუთს აძლევდა ეფიქრა, რომ, შესაძლოა, რესპუბლიკის ჯარები აქვე ახლომახლო იყვნენ სადმეო.

„იქნება დიდ ხანს აღარ მალოდინონ და დღესვე გამანთავისუფლონ“,—იფიქრა დესპანმა და მადლობით აღაპყრნა თვალნი ცად მიმართ.

XIV

კუდაკის ზარბაზანთა გრიალი შეესმა აგრედვე იმ ჯარსაც, რომელიც წყალ-წყალ მისცურავდა მოხუცის ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის მხედართ-მთავრობით.

ეს ჯარი სულ ექვსი ათასი სიის ყაზახი იყო და ერთი რაზმი ნემენცების რჩეულ ქვეითის მეომრებისა, რომელთაც უფროსობდა პოლკოვნიკი განს ფლიკი.

პან ნიკოლოოზ პოტოცკი დიდ ხანს ყოყმანობდა და არ იცოდა, გაეგზავნა თუ არა ყაზახნი ხმელნიცკის წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ყაზახებს ძალიან უყვარდათ ქშეჩოვსკი, ხოლო ქშეჩოვსკის დიდად ენდობოდა გეტმანი, ამიტომ გადასწყვიტა ბოლოს და გაჰგზავნა ყაზახნი.

ქშეჩოვსკი გამოცდილი ჯარის-კაცი იყო და, თუ რამ შეძენილი ჰქონდა, სულ პოტოცკების ოჯახის წყალობა იყო: პოლკოვნიკის ხარისხიცა, აზნაურშვილობაცა და, დასასრულ, დიდ-ძალი მამულებიცა დნეპრისა და ლიადავის ნაპირებად.

რესპუბლიკასთანა და პოტოცკების ოჯახთან იმდენ ნაირად იყო დაკავშირებული, რომ მის წინააღმდეგ ვერავითარი ეპვის ჩრდილიც კი ვერ დაებადებოდა გულში გეტმანსა. ამას გარდა, ქშეჩოვსკის, რომელიც ჯერ საიმისო ხნიერი არ იყო, ბრწყინვალე მომავალი ელოდა სამშობლოს სამსახურის ასპარეზზე. რა დიდის ხნის ამბავი იყო განა მაგალითი სტეფანე ხმელნიცკისა, რომელმაც უბრალო რაინდობით დაიწყო სამსახური და დაასრულა კიევის მოურავობითა და რესპუბლიკის სენატორობით? ქშეჩოვსკიზედ იყო დამოკიდებული იმავე გზას დასდგომოდა, მით უმეტეს, რომ წყურვილი სახელისა და სიმდიდრის მოხვეჭისა დიდი ჰქონდა. რამდენიმე ხნის წინად ძლიერა ცდილობდა ლიტინის უფროსობას, ხოლო როცა ეს უფროსობა კორბუტმა მიიღო, ქშეჩოვსკიმ დიდად იწყინა და კინაღამ ავად გახდა შურითა. ახლა, თითქო ბედი კვლავ უღიმოდა,—ახლა ასეთი საყურადღებო საქმე მიანდეს და სრული იმედი უნდა ჰქონოდა სახელი მისი მიაღწევდა მეფის ყურამდე. ხოლო ამისთანა ამბავს დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა, იმიტომ რომ მერე საკმაო იყო მხოლოდ თავი დაეკრა ხელმწიფისათვის და მიიღებდა სიგელს, რომელიც ასეთის, აზნაურშვილისათვის ესდენ სასიამოვნო სიტყვებით იქმნებოდა დაწყებული: „მოხვედი წინაშე ჩვენსა და გვეაჯე, რათა გვეგოძები-

ნა წყალობა ჩვენი და ჩვენცა, გვახსოვს რა სამსახური შენი, შეგვიწყნარებია აჯა შენი და გვიწყალობებია“ etc... ამ გზით იძენდნენ რუსეთში სიმდიდრესა და ხარისხს, კერძო კაცთა ამ გზით უვარდებოდათ ხელში უშველებელი მამულები, რომელიც ეკუთვნოდა წინად ღმერთსა და რესპუბლიკას, ამ გზით იძენდა აზნაურშვილობას უბრალო გლეხკაცი და შეეძლო დამტკბარიყო იმ იმედით, რომ ჩემნი შვილნი და შვილი-შვილნი სენატორთა შორის ისხდებიან სავაზიროდ სახელმწიფო დარბაზშიო.

ქშეჩოვსკის ის აწუხებდა მხოლოდ, რომ ჩემი უფლებახელმწიფება განაწილებულია ჩემსა და ბარაბაშს შორისო, თუმცა ეს განაწილება უფრო სახელით იყო, ვიდრე საქმით. ხნიერი პოლკოვნიკი ჩერკასისა სულ დაჩაჩანაკდა ამ ბოლოს დროს. ომის დაწყებისას ცოტაოდნად გამოცოცხლდა, საომარის საყვირის ხმამ აუდუღა გაცივებული სისხლი ოდესმე სახელოვანს რაინდს, მაგრამ გაემართა თუ არა ჯარი სალაშქროდ, ბარაბაში დააძინა ნიჩბის მოსმის ერთკილოვანმა შუილმა, ჯარის-კაცთა ნაღვლიანმა სიმღერების თქმამა და მოხუცი კვლავ გაიყინა ჩვეულებრივ. ქშეჩოვსკი განაგებდა ყოველსავე, ბარაბაში გაიღვიძებდა სადილად, გონება დაუტანებლივ იკითხავდა, როგორ მიდის საქმეო, მიიღებდა უგულო პასუხს, მერე ღრმად ამოიოხრებდა და გაიმეორებდა რამდენჯერმე: „მეგონა სხვა გვარს ომში დავდებ-მეთქი თავს, მაგრამ, სჩანს, ასეთია ნება უფლისა“.

აღარავითარი ამბავი აღარ იცოდა ამ ჯარმა რესპუბლიკის იმ მხედრობისა, რომელიც ხმელეთად მოდიოდა. ქშეჩოვსკი ბრალსა სდებდა გუსარებსა და დრაგუნებს, გვიანობენო, გეტმანის შვილს—გამოუცდელიაო, თვითონ კი ბრძანებას ბრძანებაზედ იძლეოდა, გასწით წინაო.

ნავები სასწრაფოდ მისრიალებდა წყალ და წყალ, უახლოვდებოდა კუდაკს და უფრო და უფრო შორდებოდა სახელმწიფოს ჯარს.

ბოლოს, მოისმა ერთხელ ღამე სროლა ზარბაზნებისა. ბარაბაშს ეძინა და არ გაჰღვიძებია, სამაგიეროდ ფლიკი, რომელიც ყველაზედ წინ იყო, გაეშურა ქშეჩოვსკისთან.

— პან პოლკოვნიკო, ეგ კუდაკის ზარბაზნებია. როგორ მოვიქცე?

— ნაპირზედ გავიდეთ. ღამე ლელიანებში გავატაროთ.

— ცხადია, ხმელნიცკი ციხეს შემოჰრტყმია გარშემო. ჩემის აზრით, საჭიროა მივეშველოთ.

— მე იმას კი არა გკითხავთ, რა აზრისა ხართ-მეთქი, გიბრძანებთ, ეს უფლება მე მეკუთვნის.

— პან პოლკოვნიკო...

— აქ გაჩერდეს ჯარი და ელოდოს! — შეჰყვირა ქშეჩოვსკიმ, მაგრამ, რაკი შეჰნიშნა, რომ შეუპოვარი ნემენცი თავის ქერა წვერებს იქირქნის და ისე არ უნდა წასვლა, თუ არ განვუმარტე საქმეო, დაუმატა ცოტა უფრო ტკბილად: — იქნება კაშტელიანმა მოგვისწროს ხვალ დილამდე, ხოლო ციხეს ერთს ღამეს ვერ აიღებენ.

— რომ ვერ მოგვისწროს?

— თუნდ ორს დღეს ვუცადოთ. თქვენ კუდაკის ამბავი არ იცით! ზედ შეელეწებიან იმის ზღუდეებს და იმას კი ვერას დააკლებენ. უკაშტელიანოთ-კი მისაშველებლად ვერ წავალ და არც ნება მაქვს. ეგ იმისი საქმეა!

სიმართლე ქშეჩოვსკისკენ იყო. ფლიკს მეტი ღონე აღარა ჰქონდა, ისევ თავის ნემენცებთან უნდა წასულიყო.

ნაევები მალე მიუახლოვდა მარჯვენა ნაპირს და ჯარმა დაიწყო დამალვა ლელიანებში, რომელიც ატეხილი იყო აღიდებულ მდინარის მიდამოთა შორის. ძლივს მისწყდა ნიჩბების შუილი. ქშეჩოვსკიმ სასტიკად უბრძანა ხალხს, დიდის სიფრთხილით იყავითო და მართლაც სრული მდუმარება ჩამოვარდა გარშემო; ამ მდუმარებას არღვევდა მხოლოდ შორეული ბანი, რომელსაც აძლევდა ზარბაზნების გრიალს ტყე და მინდორი.

ნავებში, ბარაბაშს გარდა, არავის თვალი არ მოუხუჭნია. ფლიკი რაინდი იყო, მოტრფიალე ომ-ბრძოლისა და ჰნატროობდა ფრინველად გადაქცევასა, რომ კუდაკისკენ გადაფრენილიყო. ჯარის-კაცნი ჩურჩულითა ლაპარაკობდნენ, რა მოუვა ციხესაო, გაუმაგრდება მტერს, თუ ვერაო? ზარბაზნების გრიალი კი უფრო ძლიერდებოდა, ცხადია რიგიანს პასუხს აძლევს ციხე თავ-დამსხმელთაო. „ხმელნიცკი არა ჰხუმრობს, მაგრამ არც გროძიცკის უყვარს ხუმრობა!—ვინ იცის, ახლა დილა რას მოიტანს?“

ამასვე ეკითხებოდა თავის-თავს ქშეჩოვსკიცა. იჯდა თავის ნავში ღრმად შთანთქმული ფიქრითა. კარგად იცნობდა ხმელნიცკის, დიდად ნიჭიერ კაცად მიაჩნდა და ჰგონებდა, რომ მხოლოდ ასპარეზი აკლია თავის გამოსაჩენადაო,—ახლა კი ეჭვი დაებადა გულში. ზარბაზნებს კვლავ გრიალი გაჰქონდა. დავიჯერო, ხმელნიცკი გარს შემოერტყა კუდაკს?

„თუ ასეაო,—ჰფიქრობდა ქშეჩოვსკი, წასულა მისი საქმე! როგორ? ააღელვა იმიერ-ჭორომეთი, მოახერხა და ყეენს შემწეობა გამოსთხოვა, შეაგროვა იმოდენა ჯარი, რამოდენიც ჯერ არც ერთს ატამანს არ შეუგროვებია და იმის მაგიერ, რომ დაუყოვნებლივ გაილაშქროს უკრაინას და დაიპყრას ეს მხარე, ვიდრე რესპუბლიკის ჯარს არ შებრძოლებია, იმას, ხმელნიცკის, გამოცდილს მეომარს, იერიში მიაქვს შეუვალ ციხეზედ, რომელმაც შეიძლება მთელს წელიწადს დააბრკოლოს? და მერე უნდა იკისროს, რომ უკეთესი მისი ჯარი ზედ შეელეწოს კუდაკის კეცლებს, როგორც დნეპრის ზვირთი შეელეწება ხოლმე ჭორომების სალს კლდეებს? და უნდა იცადოს კუდაკის მიდამოთა შორის, ვიდრე გეტმანები შემოიკრებენ ჯარებს და ისე მოიმწყვდევენ შუაში, როგორც მოიმწყვდიეს ნალივაიკა სოლონიცას ახლოსა?... წასულია მისი საქმე!—გაიმეორა ერთხელ კიდევ პან ქშეჩოვსკიმ.—თვითონ მისივე ყაზახები მისცემენ მტერს ხელში ამისთანა სარდალსა. უნაყოფო იერიში დაჰბადავს დრტვინვასა და უკმაყოფილებასა ნაპერწკალი აჯანყებისა ისე გაჰქრება, რომ გაძლი-

ერებას ვერ მოასწრობს და ხმელნიცკი იმ ხმალზედ საშიში ალარ იქნება, რომელიც ზედ ვადაზედ არის გადატეხილი. სულელია! Ergo? Ergo, ხვალ გავიყვან ჩემს ჯარსა და ნემენცებს ნაპირად და მეორე ღამესვე მოულოდნელად დავესხმი თავს, გავფანტავ იმიერ-ჭორომელებს, ხოლო, შეკრულ-შებოჭილს ხმელნიცკის გეტმანს წარვუდგენ. მისივე ბრალია, რომ უკეთესი ვერა მოიგონა-რა.

აქ პან ქშეჩოვსკის აღვირ-წახსნილმა ფანტაზიამ გაშალა თავისი ფრთები. ძალიან კარგად ვიცი, რომ ხვალ დილისთვის ახალგაზდა პოტოცკი აქ მოსვლას ვერ მოასწრობს. მაშასადამე, ვინ მოჰკვეთავს თავს საშინელს ვეშაპს? ქშეჩოვსკი! ვინ ჩააქრობს ამბოხებას, რომელიც, შეიძლებოდა, მთელს უკრაინას მოსდებოდა? ქშეჩოვსკი! დიალაც, მოხუცს გეტმანს ჯავრი მოუვა, რომ ყოველივე ესე მოხდა ჩემის შვილის დაუსწრებლადაო, მაგრამ ჯანაბას, მალე დამშვიდდება ისევ; ამასობაში კი ყოველივე წყალობა მეფისა უხვად მიეფინება გამარჯვებულსა და ძლევა-შემოსილსაო.

„არა! მეტი ღონე არ იქნება, ამ სახელსა და დიდებაში წილი უნდა დავუდო მოხუცს ბარაბაშსა და გროძიცკის!—პან ქშეჩოვსკი ძლიერ დალონდა, მაგრამ ისევ გაუბრწყინდა სახე.—ამ ხნიერს მორგვს, ბარაბაშს, დღეს არა, ხვალ ჩაჰფლავენ შავს მიწაში, ხოლო გროძიცკის თვისის საყვარელის კუდაკის მეტი სხვა არა უნდა-რა; რჩება ერთად ერთი ქშეჩოვსკი. ვითომ რა გასაკვირველია, რომ ამისთანა გარემოებაში უკრაინის გეტმანობაც ხელთ ვიგდო“.

ცაზედ ვარსკვლავნი ციმციმებდნენ, ხოლო პოლკოვნიკს ეგონა, რომ ეგ ძვირფასი თვლებია, რომლითაც იქმნება მოჭედილი ჩემი საგეტმანო კვერთხიო. ლელიანებში ქარი შრიალებდა, ხოლო იმას ეგონა, რომ ეგ დიდი საგეტმანო დროშა ფრიალებსო.

კუდაკის ზარბაზნები კვლავ ჰქუხდა და ჰგრგვინავდა.

„ხმელნიცკი სიცოცხლეს გამოეთხოვება... თავისივე ბრალია! შეიძლებოდა სხვაფრივ მომხდარიყო საქმე! მაშინვე რომ

უკრაინასა სცემოდა... დიაღ, მაშინ სულ სხვა იქნებოდა! ეხლა იქ ყოველივე მოუსვენრობს, ჰმღელვარებს... ეხლა იქ თოფის წამალია მრავლად დაგროვილი და ნაპერწკალს-ღა ელის. რესპუბლიკა ძლიერია, მაგრამ უკრაინაში ჯარი არ არის, ხოლო მეფე მოხუცებულია, სნეული. უკრაინელების მარტო ერთს გამარჯვებას დიდი შედეგი მოჰყვება."

ქშეჩოვსკიმ ხელები მიიფარა პირი-სახეზედ და ჩაფიქრდა.

ვარსკვლავთ სინათლე დაჰკარგეს, ბალახებში მიმალულმა მწყერებმა ნელ-ნელა მოართეს თავისი ჭუკჭუკი. გათენება მოტანებული იყო.

პოლკოვნიკმა საბოლოოდ გადასწყვიტა თავისი თათბირი. ხვალ შევუტევ ხმელნიცკის და სულ გავანადგურებო. იმისი გვამი საფეხური იქმნება, რომ მივაღწიო სიმდიდრესა და დიდებას, რესპუბლიკის სენატორის წოდებასა. იმიერ-ჭორომეთისა და თათრების დაძლევის შემდეგ ალარას დაიშურებენ ჩემთვისაო...

ლიტინის უფროსობა კი არ მომცეს.... პან ქშეჩოვსკიმ ამის გახსენებაზედ ათრთოლებით დაჰმუჭა ხელები. არ მომცეს უფროსობა, თუმცა ყოვლად ძლიერ მფარველებად ჩემდა იყვნენ პოტოცკები, თუმცა ჩემი სამხედრო ღვაწლი და დამსახურება დიდია. არ მომცეს იმიტომ, რომ ვარ homo novus, ხოლო ჩემი მოცილე თავადიშვილია. ჩვენში საკმაო არ არის, რომ აზნაურშვილი იყო, უნდა იცადო კიდეე, რომ მაგ აზნაურშვილობას პრკე მოეკიდოს, როგორც ბოთლში დიდ ხანს დარჩენილს ღვინოს, ჟანგი მოედოს, როგორც რკინას.

ხმელნიცკის შეეძლო სულ სხვა წესწყობილება დაემყარებინა... მაგრამ საწყალმა ის ირჩია, რომ თავი კუდაკის ციხის კედელზედ გაეტეხნა.

პოლკოვნიკი ნელ-ნელა დამშვიდდა. არ მომცეს უფროსობა, მაგრამ რა ვუყოთ? მით უფრო ეცდებიან ეხლა, რომ უკეთესად დამაჯილდოვონ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა გავიმარჯვებ, როცა უკრაინას დავამშვიდებ... რის უკრაინას! სრულიად რესპუბლიკას! მაშინ კი ალარაფრის უარს არ

მეტყვიან, მაშინ კი პოტოცკების შემწეობაც ალარ არის საჭირო...

ქშეჩოვსკიმ თავი ჩაქინდრა და პოლკოვნიკს ჩაეძინა; თან ძილში ზედ დასტრიალებდა ფიქრი და ოცნება უფროსობისა, კაშტელიანობისა და მეფის წყალობისა.

გაელვიძა მაშინ, როცა ის-ის იყო ინათლა. გარშემო მეფობდა მდუმარება, რომელსაც არაფერი არა არღვევდა-რა. სწორედ ამ მდუმარებამ გამოაღვიძა კიდეც.

კუდაკის ზარბაზნები სრულიად გაჩუმდა.

„რა ამბავია?—იფიქრა ქშეჩოვსკიმ.—პირველი იერიში უკუ აქციეს, თუ კუდაკი აღებულ იქმნა?“

არა, ეს შეუძლებელია!

არა, ალბად უკუქცეული ყაზახნი სხედან და თავიანთ წყლულებს იხვევენ, ხოლო ცალ-თვალა გროძიცკი დაჰყურებს სათოფურებიდან და კვლავ უმიზნებს ზარბაზნებსა.

დილით კიდეე მიიტანენ იერიშს, მაგრამ ისევე უკუ-ქცეულ იქნებიან.

ახლა კი ძალზედ გათენდა. ქშეჩოვსკიმ გააღვიძა თავისნი მხლებელნი და კაცი გაუგზავნა პატარა ნავით ფლიკსა.

ფლიკი მაშინვე გამოცხადდა.

— პან პოლკოვნიკო,—უთხრა ქშეჩოვსკიმ,—თუ საღამომდე კაშტელიანი არ მოვიდა, ხოლო ამაღამ კიდევ იერიში მიტანეს ციხეზედ, უნდა წავიდეთ მისაშველებლად.

— ჩემი ჯარი მზად არის,—უპასუხა ფლიკმა.

— დაურიგეთ ტყვია-წამალი.

— უკვე დარიგებული აქვთ.

— ამაღამ ნაპირას გავიდეთ, ჩუმად გავიაროთ მინდორი და მოულოდნელად დავესხათ თავს.

— Gut! sehr gut! ცოტა მანძილი კი რომ ნავებით გავიაროთ, არ ემჯობინება? ციხემდე ოთხი მილია. ქვევითი ჯარი, ცოტა არ იყოს, დაიღლება.

— ქვევითი ჯარი ცხენოსან ჯარს შემოუსხდეს უკან ცხენებზედ.

— Sehr gut!

— მანამდე ჩუმად ისხდნენ ლელიანებში, ნაპირას ნუ გავ-ლენ და ხმაურობას ნუ ასტეხენ. ცეცხლი არ გააჩინონ: კვამლი გაგვთქვამს. არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი ამბავი.

— ბურუსია ისეთი, რომ კვამლს ვერც კი ვერავინ დაინახავს.

მართლაც ყოველივე გარშემო, მდინარეც, რომლის ნაპირებზედ ჩალა და ლელი იდგა, მინდორიც, სადამდინაც კი თვალი გასწვდებოდა, სულ ნისლითა და ბურუსით იყო დაფარული. ფლიკი წავიდა თავის ბინაზედ. ჯარის-კაცნი ნელ-ნელა იღვიძებდნენ თავიანთ ნავებში. ქშეჩოვსკის ბრძანებას ზედმიწევნით ასრულებდნენ და, ვისაც უნდა გაევლო შუა მდინარეში ნავით, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ აგერ აქვე, ამ ლელიანებში დამალულია რამდენიმე ათასი კაცი. ცხენებს ხელით აჭმევდნენ თივა-ქერსა, ნავები შორს მიმალ-მომალეს.

უცებ ბალახებსა და ლელებში, ყოველ მხრიდან, უცნაური ხმები მოისმა.

— ფუღუ, ფუღუ!

და კვლავ ჩამოვარდა მდუმარება, თითქო ახლა პასუხს ელიანო. მაგრამ პასუხი არსით არ ისმოდა. ხმები კიდევ მოისმა მეორედ, მესამედ და ახლა უფრო გარკვეული, მოუთმენელი.

— ფუღუ, ფუღუ!

— ვინ არის?—მოისმა ბოლოს ნისლ-ბურუსიდან ხმა ქშეჩოვსკისა.

— ყაზახი ლუგელი.

ქშეჩოვსკის ჯარის კაცებს ვულმა ცემა დაუწყო. იმათ კარგად იცოდნენ, რასაც ჰნიშნავდა ასეთი იდუმალი ხმაურობა. ამ სახით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს საზამთრო ბინებზედ იმიერ-ჭორომელნი, ამ სახითვე ომიანობის დროს იწვევდნენ სალაპარაკოდ სიისა და ქალაქების ყაზახებს, რომელთა შორისაც ბევრნი ერიენენ საიდუმლოდ ძმობის თანამგრძნობნი.

— რა გინდათ?—ჰკითხავდა ქშეჩოვსკი.

— ბაღდან ხმელნიცკიმ, იმიერ-ჭორომეთის გეტმანმა გვიბრძანა შეგატყობინოთ, რომ მისი ზარბაზნები ლელიანებსა აქვს დამიზნებული.

— უთხარით იმიერ-ჭორომეთის გეტმანს, რომ ჩვენი ზარბაზნები ნაპირებსა აქვს დამიზნებული.

— ფუღუ, ფუღუ!

— რაღა გინდათ კიდევ?

— ბაღდან ხმელნიცკის, იმიერ-ჭორომეთის გეტმანს უნდა ნახვა თვისის მეგობრისა, პან პოლკოვნიკ ქშეჩოვსკისა.

— მოგვცეს, მაშ, ამანათები.

— ათის კურენის ატამანს გამოგიგზავნით.

— თანახმა ვარ!

უცბად, თითქო რაღაც საარაკო ბრძანება გასცა ვინმემო, მდინარეს ნაპირნი გაივსო იმიერ-ჭორომელებით, რომელნიც მანამდე მუხლამდე დამალულნი იყვნენ ბალახებში, ხოლო მინდორში გამოჩნდა მათი ცხენოსანი ჯარი, ზარბაზნები, ათი და ასი დროშა, ალმები, საჩრდილობელნი. იმიერ-ჭორომელნი მოდიოდნენ სიმღერითა და მუსიკის კვრითა.

ყოველივე ესე ჰგვანდა უფრო მეგობრების სასიამოვნო შეხვედრას, ვიდრე მტერთა შეყრას შესაბრძოლებლად.

ქშეჩოვსკის ჯარის-კაცებმა პასუხად ურიამული და ყვირილი ასტეხეს. ბოლოს მოვიდა ნავებიცა, რომელშიაც კურენის ატამანები ისხდნენ. ქშეჩოვსკი გაემართა ნაპირად. მოართვეს ცხენი და გააცილეს ხმელნიცკისთან.

ხმელნიცკიმ, დაინახა თუ არა, ქუდი მოიხადა ოდნავ და მეგობრულად მიესალმა.

— პან პოლკოვნიკო,—სთქვა მან,—ძველო მეგობარო და ნათლი-მამავ! როცა ბატონმა რესპუბლიკის გეტმანმა გითხრა ჩემი, შეიპყარ და აქ მომგვარეო, შენ არამც თუ არ იკადრე ესა, არამედ მირჩიე, გაიქეცი და თავს უშველეო, რისთვისაც საუკუნოდ მადლობელი ვარ შენი!

ხმელნიცკიმ ხელი გაუწოდა, მაგრამ ქშეჩოვსკის მზე-მოკიდებული სახე ოდნავად არ შეიძრა.

— მერე ახლა, როცა აგრე გადაგარჩინე, პან გეტმანო,— გულ-ცივად სთქვა მან,—აიღე და ამბოხება დაიწყე?

— მოვდივარ, რომ სამაგიერო გადაუხადო, როგორც ჩემის, ისე შენისა და მთლად უკრაინის შეურაცხყოფისა და შევიწროებისათვის; ხელთ მიჭირავს მეფის სიგელნი და წყალობის წერილნი; დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყოვლად-მოწყალე ხელმწიფე დანაშაულად არ ჩამითვლის ყოველსავე ამას.

ქშეჩოვსკიმ თვალი-თვალში გაუყარა და შეუპოვრადა ჰკითხა:

— კუდაკს ალყა შემოარტყი?

— მე? რაო, გავგიჟდი, თუ როგორ არის ჩემი ამბავი? ისე აუარე გვერდი, რომ ერთი სროლა წამალიც არ დამიხარჯავს, თუმცა ბებერმა ბრუტიანმა ყუმბარა ყუმბარაზედ მომაყოლა ციხიდან. მე კუდაკი არ მინდა, მე უკრაინა მინდა, მე შენ მინდიხარ, ძველო მეგობარო და კეთილის-მყოფელო.

— რა გინდა განა ჩემგან?

— წავიდეთ მინდორში და იქ მოვილაპარაკოთ.

ჰკრეს ქუსლი ცხენებსა და გაემართნენ მინდერისაკენ. მათმა საუბარმა თითქმის ერთ საათამდე გასტანა. როცა უკან დაბრუნდნენ, ქშეჩოვსკის საშიში და გაფითრებული სახე ედო. მაშინვე გამოეთხოვა ხმელნიცკის, რომელმაც გზად მიმავალს შემდეგი უთხრა კიდევ:

— მხოლოდ ჩვენ ორნი ვიქნებით მთელს უკრაინაში; ჩვენი ბატონი იქმნება მეფე და სხვა არავინ.

ქშეჩოვსკი დაბრუნდა თავის ბინაზედ. ბარაბაში და ფლიკი მოუთმენლად ელოდნენ.

— აბა, რაიო? რაიო?—მისცევდნენ აქეთ-იქიდან.

— ნაპირად იქმნას გაყვანილი ჯარი!—ბრძანების კილოთი სთქვა ქშეჩოვსკიმ.

ბარაბაშმა მაღლა აიწია დამძიმებული ქუთუთონი; რაღაც უცნაურმა ცეცხლმა გაიელვა იმის თვალებში.

— როგორ თუ?

— ნაპირად იქმნას გაყვანილი! ვნებდებით ხმელნიცკის!

ბარაბაშს გაფითრებული სახე წითლად აენთო. წამოდგა ზეზე, გასწორდა წელში და ეს ხუთად მოკაკული ბერი-კაცი უცბად გადაიქცა ბუმბერაზად, ჯან-ღონით აღსავსე მდევად.

— ღალატია!—გაისმა მისი ხმა გრგვინვასავით.

— ღალატია!—განიმეორა ფლიკმა და იტაცა ხელი დაშნასა.

მაგრამ, ვიდრე ის თავისს დაშნას ამოიწვდიდა, ქშეჩოვსკიმ შემოუქნია ხმალი და ერთის დაკვრით დასცა ძირს.

ქშეჩოვსკიმ ერთი კი იხტუნა და ჩადგა იმ ნავში, რომელიც იქვე ახლოს იდგა ოთხის იმიერ-ჭორომელითურთ. ჩადგა და დაიძახა:

— გასწით ნავებისაკენ!

ნავი გასრიალდა შურდულივით. პან ქშეჩოვსკი იდგა ნავის შუა გულ, ხელში ეჭირა სისხლით შესვრილი ხმალი, რომელზედაც ქუდი იყო ჩამოცმული და ჰყვიროდა ხრინწიანის ხმით:

— ძმანო და შვილნო! ნუ დავხოცავთ ჩვენიანებს! გაუმარჯოს ბაღდან ხმელნიცკის, გეტმანს იმიერ-ჭორომეთისას!

— გაუმარჯოს!—გაიმეორა ასმა და ათასმა გრიალით.

— ამოსწყლნენ ლიახნი!

— ამოსწყდნენ!

ნავების ყვირილს ბანს აძლევდნენ იმიერ-ჭორომელნი.

შორეულს ნავებზედ ჯერ არ იცოდნენ, რა ამბავი იყო და, როცა გაიგო ყველამ, რომ ქშეჩოვსკი იმიერ-ჭორომელთა მხარეზედ გადავიდაო, გამძვინვარებულმა აღტაცებამ შეიპყრო რესპუბლიკის ჯარის-კაცნი. ექვსი ათასი ქუდი შეისროლეს მაღლა, ექვსი ათასი თოფი დასცალეს უცბად გრიალითა. მაგრამ ვაი რომ ეს სიხარული უნდა შებღალულიყო სისხლის დაქცევითა: მოხუცი ბარაბაში სიკვდილსა რჩეობდა და ღალატს კი არა კისრულობდა იმ დროშისასა, რომლის ქვეშაც მსახურობდა მთელს თვისს სიცოცხლეში. ოციოდ-ორმოციოდე კაცი შერჩა ბარაბაშს და აი დაიწყო ბრძოლა, ხან-მოკლე, საშინელი, როგორიც არის ხოლმე ჩვეულებრივ იმისთანა ბრძო-

ლა, როცა ერთი მუჭა ხალხი, რომელიც შეწყალებას კი არა, სიკვდილს ელის და ისე ებრძვის მთელს ბრბოს. არც ქშეჩოვსკი და არც ყაზახნი არ ელოდნენ, რომ ასეთს წინააღმდეგობას გაგვიწევენო. მოხუცმა პოლკოვნიკმა მოიგონა ყმაწვილ-კაცობა და ისე იბრძოდა, როგორც ლომი. როცა შემოუთვალეს, იარაღი დაჰყარეო, პასუხად თოფს ესროდა მტერს და, კვერთხით ხელში, ჭაღარა თმით, რომელსაც ფრიალი გაჰქონდა, ქუხილისა სიტყვებითა აძლევდა ბრძანებას მარჯვნივ და მარცხნივ, თითქო ოცდა ათის წლის ჭაბუკიაო. იმის ნავს მტერი ყოველ მხრივ შემოერტყა. იმ ნავია კაცნი, რომელნიც შორს იყვნენ, ჰხტებოდნენ წყალში და გამძვინვარებით ებღაუჭებოდნენ ბარაბაშის ნავის გვერდებს ზედ ასასვლელად. წინააღმდეგობამ დიდ ხანს არ გასტანა. ბარაბაშის ერთგულნი ჯარის-კაცნი, დაჭრილნი, დაწყლულებულნი სათითაოდ დაიხოცნენ; მხოლოდ ის გადარჩა ცოცხალი, ამოწვდილის ხმლით ხელში.

ქშეჩოვსკი მიუახლოვდა, როგორც იყო, ამ სივიწროეში.

— დაჰყარე იარაღი!—შეჰყვირა მან.

— მოღალატე! სიკვდილის ღირსი ხარ შენა!—უპასუხა ბარაბაშმა და შემოუქნია ხმალი.

ქშეჩოვსკი სწრაფად მიიმალა ხალხში.

— დაჰკათ!—შესძახა მან ყაზახთა.

მაგრამ არავის არ უნდოდა, რომ პირველს მიეტანა ძალა მოხუცებულზედ. საუბედუროდ, პოლკოვნიკს სისხლში ფეხი მოუსხლტა და დაეცა.

წაქცეულს აღარ შეეძლო უკვე ის პატივისცემა ეგრძნობინებინა თვის მიმართ, ის შიში მიეცა გარშემორტყმულთათვის და ათმა და ოცმა შუბმა გაჰგმირა, დააცხავა მისი სხეული. ბარაბაშმა მხოლოდ ამ სიტყვების წარმოთქმა ღა მოასწრო: „იესო, მარიამ!“

ბარაბაშის გვამი ნაკუწ-ნაკუწ აქციეს. თავი მოსჭრეს და ნავიდან ნავში ისე ისროდნენ, როგორც ბურთსა, ვიდრე ერთხელ უხერხულად არ გადისროლა ვილამაც და წყალში არ ჩავარდა.

დარჩნენ ახლა ნემენცები, რომელთა დაძლევაც ისე ადვილი არ იყო; ნემენცების რაზმში იყო ათასი, ბრძოლაში ნაცადი და გაწვრთნილი ჯარის-კაცი.

მართალია, გულადი ფლიკი მოჰკლა ქშეჩოვსკიმ, მაგრამ დარჩა ცოცხალი იოჰან ვერნერი, პოდპოლკოვნიკი, ვეტერანი ოც და ათ წლოვანის ომისა.

ქშეჩოესკი დარწმუნებული იყო, რომ გავიმარჯვებთო, მაგრამ მაინც უნდოდა, ხმელნიცკის მხარეზედ ყოფილიყო ასეთი საკმაოდ რიცხვ-მრავალი რაზმი საუკეთესო ქვეითის ჯარისა და ამიტომ მოლაპარაკება დაუწყო, იქნება დავიყოლიო მორიგებაზედაო.

ერთ-ხანად ვერნერი თითქო თანხმა იყო, შეეწყნარებინა წინადადება ქშეჩოვსკისა. ერთის წლის ჯამაგირს წინადვე მივცემთო, ხოლო წლის გასულს, საითაც უნდათ, იქით წავიდნენ, თუნდა ისევ რესპუბლიკის სამსახურში შევიდნენო.

ვერნერი თითქო ვარაუდობდა, როგორ ემჯობინებაო, მაგრამ ამასობაში ბრძანება გასცა საიდუმლოდ, რომ ნავები ერთმანერთს დაუახლოვდეს და შეუვალი წრე შეჰკრასო. მართლაც მტერს თვალ-წინ წარმოუდგა მწკრივად დაყენებულნი ზორბა და ძლიერნი ჯარის-კაცნი, ყვითელ კოლეტებით მოსილნი, ყვითელის ქუდებითა და ჯაზაირებით ხელში.

ვერნერი იდგა პირველ რიგობაში ამოწვდილის დაშნით და დიდ ხანს ჰფიქრობდა.

— ჰერრ პოლკოვნიკო,—სთქვა მან,—თანხმანი ვართ!

— არაფერს არ დაჰკარგავთ ახალს სამსახურში!—სიხარულით წარმოსთქვა ქშეჩოსკიმ.

— მაგრამ ერთის პირობით კი...

— წინ-და-წინვე თანხმა ვართ მაგ პირობისა.

— თუ აგრეა, მაშ კარგი. ჩვენის სამსახურის ვადა რესპუბლიკის წინაშე თავდება ივლისში. ივლისიდან თქვენს სამსახურში შემოვალთ.

ქშენჩოვსკიმ ვეღარ მოითმინა და წყევლა-კრულვით მოიხსენია ვერნერი. მაგრამ თავი ისევ მალე შეიკავა.

— თქვენ ჰხუმრობთ, პან ლეიტენანტო?—შეეკითხა ქშეჩოესკი.

— არა,—გულ-დამშვიდებით უპასუხა ვერნერმა.—სახელი და პატიოსნება ჯარის-კაცისა გვავალებს, რომ მტკიცედ ვადგეთ პირობასა. სამსახური გვითავდება ივლისში. მართალია, ჯამაგირითა ვმსახურობთ, მაგრამ მოღალატენი კი არა ვართ. ასე რომ არა ყოფილიყო, სამსახურშიაც არავინ არ მიგვიღებდა; არც თუ თქვენ გვენდობოდით. ვინ გითავდებებდათ, რომ პირველსავე ბრძოლის შემდეგ კვლავ გეტმანებს არ მივემხრობოდით?

— მაშ რა გინდათ?

— დაგვანებეთ თავი, რომ გაგეცალოთ აქედან.

— ეგ ყოვლად შეუძლებელია, სულელო და დამთხვეულო! ეხლავ ვუბრძანებ, რომ სულ ამოგწყვიტონ ერთიანად.

— მერე თქვენ რაღამდენი დაგეხოცებათ?

— ვერც ერთი თქვენგანი ცოცხალი ვერ წავა.

— თქვენც ნახევარს აქ გაუთხრით სამარესა.

ორივენი მართალს ამბობდნენ. ეს იყო მიზეზი, რომ ქშეჩოვსკის, რომელიც მეტად გააგულისა ნემენცის გულ-დამშვიდებულმა ლაპარაკმა, არ უნდოდა ჯერ ომის დაწყება.

— ვიდრე მზე ჩავიდოდეს,—დაიძახა მან,—კარგად იფიქრეთ კიდევ. შემდეგ კი ვუბრძანებ, რომ ზარბაზნებს დაუწყონ სროლა.—და ქშეჩოვსკი წავიდა, რომ ხმელნიცკის მოჰლაპარაკებოდა.

დადგა ჟამი ლოდინისა. ყაზახთა ნაეები გარს შემოერტყა ნემენცებს, რომელნიც სრულიად დამშვიდებულნი იყვნენ მტერთა წინაშე, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ ჯარის-კაცთა. ყაზახნი იმუქრებოდნენ და იგინებოდნენ, ხოლო ისინი მდუმარებდნენ და ზიზღით შეჰყურებდნენ.

მზე ნელ-ნელა დაეშვა და ბოლოს ჩავიდა კიდეც.

საომარი საყვირი დაჰკრეს კარგა მოშორებით და გაისმა ხმა ქშეჩოვსკისა:

— მზე ჩავიდა! მოიფიქრეთ რამ და მოხვედით გონსა თუ არა?

— დიაღ, მოვიფიქრეთ! — უპასუხა ვერნერმა. მერე მიჰმართა თავის ლანსკნეხტებს და გაიქნია ამოწვდილი დაშნა.

— Feuer!—გასცა მან ბრძანება დამშვიდებულის ხმით.

მოისმა გრიალი ჯაზეირებისა. რამდენიმე გვამი ყაზახთა ჩავარდა წყალში. ზარბაზნებმა, რომელიც ნაპირად იდგა, დაიღრის თვისი ყბა და სეტყვასავით დაუშინეს ყუმბარები ნემენცების ნავებს. ხშირმა კვამლმა მოიცვა მთლად მდინარე და მხოლოდ სროლა ჯაზაირებისა თავ-თავის დროზედ ამტკიცებდა, რომ ნემენცები თავს იცავდნენ.

მზის ჩასვლის შემდეგ ომი არ შესწყდა, თუმცა სჩანდა, რომ წინანდელის გაცხარებით აღარ სწარმოებდა. ხმელნიცკი, ქშეჩოვსკი და ტუღაი-ბეი რამდენისამე ატამანით ერთად მოვიდნენ და დაათვალიერეს ბრძოლის ადგილი. ხმელნიცკი თვისის გაგანიერებულის ნესტოებით ისუნთქავდა თოფის წამლის კვამლს და სტკბებოდა მისის სუნით; დიდის კმაყოფილებით უგდებდა ყურს დაჭრილ და წყალში ჩავარდნილ მომაკვდავ ნემეცების კვნესას. სამივე მეთაურ-სარდალი ისე უცქეროდნენ ამ ჩეხა-ჟლეტას, როგორც კარგის მომავლის მომასწავებელს ნიშანს. ომი სცხრებოდა. თოფის-სროლა შესწყდა და ისმოდა მხოლოდ ყაზახთა გამარჯვების ყიჟინა და ჟრიამული.

— ტუღაი-ბეი,—სთქვა ხმელნიცკიმ,—ეს პირველი დღეა გამარჯვებისა.

— ტყვენი კი არსად არიან-და,—სთქვა ბუზღუნით მურზამ.—მაგისთანა გამარჯვება მე არ მეპიტნავება.

— უკრაინაში ბევრს იშოვი ტყვეს. მთლად სტამბოლსა და გალატს გაავსებ შენის ტყვეებითა!

— შენ მაინც წაგიყვან ტყვედ, თუ სხვა არავინ იქნება!

ნადირმა ტუღაიმ ბოროტებით გადიხარხარა და შემდეგ დაუმატა:

— ემაგ „ფრანკებს“ კი უფრო სიამოვნებით წავიყვანდი.

ომი გათავდა. ტულაი-ბეიმ ბანაკისაკენ გაატრიალა ცხენი. სხვებმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

— აბა, ახლა კი ყვითელ წყლებისკენ გავუსვათ! — დაიძახა ხმელნიცკიმ.

XV

დესპანი გულის კანკალით ელოდა ბრძოლის დასასრულს. იმას ეგონა, რომ ხმელნიცკი გეტმანთა შეერთებულს ჯარებს შეებრძოლაო.

მაგრამ საღამოზედ მოხუცმა ზაქარმა ყოველივე გაუმჟღავნა პან სქშეტუსკის. ქშეჩოვსკის ღალატის ამბავმა ღრმად შეაძრწუნა ახალგაზდა რაინდი. ერთს ღალატს მეორე უნდა მოჰყოლოდა. დესპანმა კარგად იცოდა, რომ გეტმანთა მხედრობაში უფრო ყაზახნი იყვნენ ჯარის-კაცებად. დარდი თან და თან უფრო შემოაწვა, ხოლო სიხარული და ძლევა-მოსილება იმიერ ჭორომეთის ჯარისა ერთი-ორად აძლიერებდა მის ავადმყოფობას. ყოველივე თითქო სულ მის გულის გასახეთქად მოეწყო. თავადის ამბავი არა არის-რა, ხოლო გეტმანებს, ცხადია, საშინელი შეცდომა მოსვლიათ: იმის მაგიერ, რომ მთელის თვისის ძალითა და ღონით მიემართნათ კუდაკისათვის, ანუ ელოდნათ უკრაინაში, ერთს ალაგას დაბანაკებულებსა და შემოსანგლულ-შემოსაფრულებს, დაანაწილეს თვისნი ჯარნი, შეასუსტეს თავისი ძალ-ღონე და ფართოდ გაუხსნეს გზა მოღალატობასა და ფიცის გატეხა-უპირულობასაო. მართალია, იმიერ-ჭორომელთა ბანაკში რაღაც მითქმა-მოთქმა იყო, ეს

ქშეჩოვსკი, ეს ცალკე ჯარი სტეფანე პოტოცკის მთავარ-სარ-
დლობითაო, მაგრამ დესპანს საიმისოდ არა სჯეროდა ეს ჭო-
რები. ახლა კი, ვაი რომ ქშეჩოვსკის ღალატის გამო ხმელნიც-
კის მხედრობა გაძლიერდა, ხოლო ახალგაზდა პოტოცკის სა-
შინელი განსაცდელი მოელისო. შემწეობა-მოკლებულს, უდა-
ბნოში გზა-დაკარგულს პოტოცკის ხმელნიცკი შემოერტყმის
გარშემო და სულ ამოჟლეტავს მის ჯარსა და ჯამაათსაო.

ერთად-ერთი იმედი ლუბნის თავადი-ღაა. ხმელნიცკის
ვარსკვლავი ჩაესვენება მხოლოდ მაშინ, როცა ის წამოვა თვი-
სის ლაშქრითა. ვინ იცის, ახლა იქნება იერემია შეუერთდა
კიდეც გეტმანებს? ათასი ძლიერიც იყოს ხმელნიცკი, ათასი
შემწეობაც აღმოუჩინოს ტუღაი-ბეიმ, თუნდ ყირიმის ყეენმაც
შეუსრულოს თვისი დაპირება და მთელის თვისის ჯარით მოვი-
დეს, თუ ვინიცობაა გაუჭირდათ მეამბოხეთა, მაინც არა მგო-
ნია, რომ ერთს ყაზახს შეეძლოს შეარყიოს მთლად რესპუბლი-
კა, გასტეხოს მისი ყოვლადი ძლიერებაო. „ეგ ზვირთი ზედ
შეასკდება უკრაინის ნაპირებს და სულ მიიბნ-მოიბნევაო,—ჰფი-
ქრობდა გულში დესპანი. რითი თავდებოდა განა მუდამ ყა-
ზახთა მღელვარება? ამბოხება იფეთქებდა თოფის-წამალივით და
ჩაჰქრებოდა ხოლმე მაშინვე, როგორც კი გაჩნდებოდნენ გე-
ტმანები. ასე იყო ხოლმე აქამდე. როცა შეებრძოლებოდნენ
ერთმანერთს ერთის მხრით ბრბო ქვემოურ მძარცველთა და
მეორეს მხრით ძალ-ღონე იმ დიდის სახელმწიფოსი, რომლის
კიდეებს ორი ზღვა ელამუნება, წინდაწინვე შეიძლება თქმა,
რაც უნდა მოჰყვეს ამისთანა საქმეს. ქარ-ტეხილი ვერ გასტანს
დიდ ხანს; გრიგალი გადივლის და მზე კვლავ გამოანათებს“.
ეს აზრი აძლევდა ღონეს პან სქშეტუსკის; ეს კიდევ ცოტაა
—ამხნევებდა ისე, რომ მუხლთ აღარ ეკვეთებოდა აუტანელის
სიმძიმის ტვირთ ქვეშე. გრიგალმა იქნება გადიაროს, მაგრამ
აოხრებს კი მინდვრებს, დააქცევს სახლებს; დაატრიალებს
ენით გამოუთქმელს უბედურებასაო. მაგ გრიგალმა კინაღამ მეც
სიცოცხლეს გამომასალმა, სისხლისაგან დამცალა, ძალ-ღონე
გამომილია და ჩამაგდო მწარე ტყვეობაში სწორედ იმ დროს,

როცა თავისუფლება სიცოცხლეზედ ძვირფასია ჩემთვისაო. როგორ აიტანენ ყოველ ამას სუსტნი არსებანი, ისინი, ვისაც თავი არა აქვს მოიგეროს მტერი? ვინ იცის, რა ამბავია რაზ-ლოგში, რა ყოფაშია ელენეო?!

მაგრამ ელენე ახლა ლუბნში უნდა იყოს. რამდენჯერა ვნახე სიზმარში. გარშემო სულ კეთილის-მყოფელნი ეხვევნენ. თვით თავადი და კნეინა გრიზელდა სიყვარულით ეპყრობოდ-ნენ, მაგრამ ელენეს მაინც ჩემი დარდი აწუხებდა, სადღაც სეჩს დავკარგე საქმროვო. გარნა მოვა სანატრელი დრო და გუსარი დაბრუნდება თავის ქვეყანაში. თვით ხმელნიცკიმ აღუ-თქვა თავისუფლება... ყაზახთა ზვირთი სულ მიგორავს და მი-გორავს რესპუბლიკის სანაპიროთაკენ; როცა ეს ზვირთი ზედ შეელეწება ამ სანაპიროებს, მაშინ მოელება ბოლო მწუხარე-ბასა და მოუსვენრობასაო.

ხოლო ზვირთი სულ მიგორავდა და მიგორავდა. ხმელ-ნიცკი დროს არა ჰკარგავდა და მიდიოდა, რომ გეტმანის შვილს წინ დაჰხვედროდა. ახლა დიდი მხედრობა ჰყვანდა ხმელნიცკის: ქშეჩოვსკისა და ტულაი-ბეის ჯართან ერთად მი-სი მხედრობა ოც და ხუთი ათას კაცამდე იქნებოდა; მერე ყვე-ლანი სულ რჩეულნი, ომსა და ბრძოლაში ნაცადნი და გამოჯე-კილნი იყვნენ. პოტოცკის ჯარის რაოდენობისა ნამდვილი არა-ვინ იცოდა. ლტოლვილნი ამბობდნენ, რომ ორი ათასი ცხე-ნოსანი ჯარი ჰყავს და რამდენიმე პატარა ზარბაზანი აქვსო. ამისთანა გარემოებაში შებრძოლების შედეგი მაინც, ცოტა არ იყოს, საეჭვო იყო; ხშირად მომხდარა, რომ პოლონიის საში-ნელ გუსართა ერთის შეტევით უკუუქცევიათ ათჯერ მეტი მხე-დრობა მტრისა. პან ხოდვევიჩმა, მაგალითად, ლიტვის გეტმან-მა, სულ ზურგზედ ბოლი აადინა ერთხელ კირხჰოლმს ახლო თვრამეტი ათასს რჩეულს ქვეითსა და ცხენოსანს ჯარს სამი ათა-სის გუსარითა; ერთმა ჯავშნიანთა რაზმმა კიდევ ერთის საში-ნელის კვეთებით გაჰფანტა კლუშინს ახლო რამდენიმე ათასი ინგლისელთა და შოტლანდელთა დაქირავებული მხედრობა. ხმელნიცკიმ იცოდა ესა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, მემატი-

ანეს თქმულებისამებრ, დიდის დაყოვნებითა და სიფრთხილითა: „თვისთა გონებისა მრავლისა თვალითა, ვითარცა გამოცდილი მონადირე, აქეთ-იქით იცქირებოდა გაფაციცებული და ჰგზავნიდა ჯაშუშთა რაზმებს, შეიტყეთ მტრის ამბავიო“. ასე მიუახლოვდა ხმელნიცკი ყვითელ წყალსაო. აქ შეიპყრეს ორი ლიტველი ჯარის-კაცი. იმათა სთქვეს, რომ სახელმწიფო ჯარები ცოტაა და რომ კაშტელიანი უკვე გამოსცდა ყვითელ წყალსაო. რაკი ეს გაიგო, ხმელნიცკი შესდგა მაშინვე, ამოაღებინა თხრილები და ჩასაფრდა შიგ. გული სიხარულით უცემდა. თუ იერიშის მოტანა გაჰბედა პოტოცკიმ, დაიძლევაო. ყაზახნი ვერ გაუმაგრდებიან ჯავშნიანთ მინდორში, ხოლო საფარ-სანგლებიდან შვენივრად იბრძვიანო, და რაკი რიცხვითაც ჩვენ მეტნი ვართ, უკუ-ვაქცევთ ზედ-მოსულთაო. ხმელნიცკის იმედი ჰქონდა პოტოცკის ახალგაზდობისა და გამოუცდელობისა, მაგრამ ახალგაზდა კაშტელიანს თან ახლდა მოხუცი ჯარის კაცი, უფროსი ჟივეცკისა, პან სტეფანე ჩარნეცკი, გუსართა პოლკოვნიკი. ამ პოლკოვნიკმა დაინახა, რომ აქ ხეირი არა იქნება-რაო და ურჩია კაშტელიანს, უკან დაბრუნდეთ ისევ, ყვითელ წყალს იქითაო.

ხმელნიცკის მეტი გზა აღარა ჰქონდა, უნდა ფეხ-და-ფეხ მიჰყოლოდა კაშტელიანის ჯარს. მეორე დღეს, როცა ჯარები გასცდნენ ყვითელ წყალთა ჭაობებს, დაიწყეს დარაზმვა და დაბანაკდნენ ერთმანეთის პირის-პირ.

მაგრამ არც ერთს მხედართ-მთავარს არ უნდოდა პირველად შეჰბმოდა მტერს. მტრები თხრილების ამოღებას შეუდგნენ აჩქარებით. შაბათი იყო, მეხუთე დღე მაისისა. მთელს იმ დღეს დიდი წვიმა მოდიოდა. ცა ისე იყო მოშავებედებული, რომ თითქმის ბნელოდა შუადღისას. საღამოზედ წვიმამ უფრო უმატა. ხმელნიცკი სიხარულით აღარ იყო.

— ერთი კარგად დალბეს კი ეს მინდორი,—ეუბნებოდა ქშეჩოვსკის,—და მერე გუსარების ფიქრი ნულარ გვექმნება. სულ ტალახში ჩაიხრჩობიან ისინი თვისის მძიმე საომარის საჭურველითა.

წვიმა თავისას არ იშლიდა და მოდიოდა ძირ-მოდგმითა, თითქო თვით ცას უნდოდა დაეხმარებოდა იმიერ-ჭორომეთს.

ჯარები ზოზინითა და უგულოდ იკეთებდნენ საფრებს ავ-დარში. ცეცხლის გაჩაღება შეუძლებელი იყო. რამდენიმე ათასი ცხენოსანი განშორდნენ ბანაკს და თვალ-ყურს ადევნებ-დნენ, რომ პოლონიის ჯარი არ გაიქცეს ამ ბნელს ღამეში და მით თავს არ უშველოსო. შეიქნა შუა ღამე და ჩამოვარდა დი-დი მდუმარება, რომელსაც მხოლოდ წვიმის შუილი და ქარის ქროლა არღვევდა. თვალი არავის მოუხუჭნია. არც ერთს ბა-ნაკში.

განთიადისას პოლონელთა ბანაკში დაჭრეს ნაღარა და მოისმა ხმა ლოლისა. თენდებოდა ღღე მწუხარე, ბნელი, უამი-ნდო; თავ-სხმამ გადიღო და წვიმამ დაიწყო ცრა.

ხმელნიცკიმ ბრძანა, დასცალეთ ზარბაზანიო. პირველს გა-სროლას მოჰყვა მეორე, მესამე, მეათე... სქშეტუსკიმ უთხრა თავისს მფარველ ანგელოზს—ყაზახსა:

— ზაქარ, წამიყვანე და თხრილის ბექზედ დამაყენე, მინ-და ვნახო, რა ამბავია.

თვით ზაქარასაც ძლიერ უნდოდა ნახვა ბანაკისა. ორივე-ნი ბექობზედ ავიდნენ. იქიდან, როგორც ხელის გულზედ, ისე სჩანდა მინდორი, ყვითელ წყალთა ჭაობები და ორივე ბანაკი. პან სქშეტუსკიმ სწრაფად მოავლო თვალი ყოველსავე, იტაცა ხე-ლი თავში და დაიძახა:

— ღმერთო! იმათ ხომ ერთი მუჭა ჯარი ძლიესა ჰყავთ.

მართლაც, ყაზახთა ბანაკს უშველებელი ადგილი ეჭირა, ხოლო პოლონელების ბანაკი ერთი ბეწვა ადგილზედ მოთავ-სებულიყო. ცხადადა სჩანდა, რომ გამარჯვება ყაზახთ უნდა და-რჩენოდათ.

დესპანს გული დაეწვა. აჯანყებულთა დასჯის წამი ჯერ არ დამდგარიყო, ხოლო რაც მოსალოდნელია, ის ძლევით შე-ჰმოსავს ამათაო.

ცალკ-ცალკე შებრძოლება უკვე დაიწყო და ზარბაზნებ-მაც მორთეს გრგვინვა და ქუხილი. ცხენოსანნი, ან პატარ-

პატარა ჯგუფებად, ან სათითაოდ ეკვეთებოდნენ ერთმანეთს. თათარნი ებრძოდნენ პოტოცკის ჯარის კაცებს, რომელთაც წითელ-ყვითელის ფერის ტანისამოსი ეცვათ. ცხენოსანნი ხან დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ხან განშორდებოდნენ; ან დაახლიდნენ ერთმანეთს დამბაჩებს, ან ცდილობდნენ ქამანდი ეკრათ. შორიდან მაცქერალს ტურნირი ეგონებოდა, მხოლოდ იმაზედ თუ მიხვდებოდა კაცი, აქ ხუმრობა აღარ არისო, რომ ხან აქეთ მიჰქროდნენ ცხენები უმხედრებოდ, ხან იქით.

თათარნი თან-და-თან უფრო ბლომად გამოიფინნენ; მალე მთლად მინდორი გაივსო იმათის რაზმებით. მაშინ პოლონელთა ბანაკიდანაც გამოჩდნენ ახალ-ახალნი მხედარნი და დაიწყეს რაზმ-რაზმად დაწყობა თხრილებ წინა. ისე ახლო იყო ყოველივე ესე, რომ პან სქშეტუსკის შორს-მჭვრეტელი თვალი ადვილად არჩევდა ალმებსა, დროშებს, თითქმის იმ როტმისტრებისა და ცხენოსანთა პირი-სახეს, რომელნიც გვერდზედ მოუდგებოდნენ ხოლმე რაზმებსა.

პან სქშეტუსკის სული ბაგა-ბუგი დაუწყო გულმა; იმის დატეტკილს სახეს სიწითლე დაეტყო. თავ-დავიწყებაში ჩავარდა და ატაკებით ჰყვიროდა ყოველ ახალის რაზმის გამოჩენისათანავე:

— აი დრაგუნები პან ბალაბანისა!—ჩერკასში მინახავს ეგენი!

— აგერა ვოლინის დროშა, რომელსაც ზედ ჯვარი აქვს გამაგრებული.

— ოჰ, აი ქვეითი ჯარიც დაიძრა!

— აგერა გუსარნიცა!—გუსარნი პან ჩარნეცკისა!

მართლაც, გამოჩნდნენ გუსარნიცა; ზედ უამრავნი ფრთენი დაჰფენიათ და აუარებელი მშვილდ-ისარი მოსჩანს კაპარჭებიდან: მშვილდ-ისრები ზოგან ყვითლად მოვარაყებულია და ზოგან შავ-მწვანე სურათებით არის შემკული. გამოვიდნენ საფრებიდან და დაეწყვნენ თხრილებ წინა, ისე დამშვიდებულნი, ძლიერნი, ყოჩაღნი, რომ პან სქშეტუსკის თვალებში ცრემლი მოერია და ერთს წამს ველარა დაინახა-რა ამ სურათისა.

თუმცა შორი-შორს იყო რაოდენობა პირის-პირ მდგარის ჯარებისა, თუმცა რამდენისამე სადროშოს მხედართა წინააღმდეგ აუარებელ იმიერ-ჭორომელთა და თათართა გუნდებს შავად გაჰქონდა ღელვა, პან სქშეტუსკის მაინც სჯეროდა, რომ პირველნი გაიმარჯვებენო. პირს ღიმილი მოუვიდა, სახეზედ ნათელი გადაეფინა, ძალ-ღონე ისევ დაუბრუნდა, თვალები ცეცხლით აენთო.

— ეი, ვაჟბატონო!—წაიბუტბუტა მოხუცმა ზაქარმა,— გინდა განა სამოთხეში შეხვიდე?

ამ დროს რამდენიმე გუნდი თათართა ყიჟინითა და ღრიალით გაექანენ მტრისკენა. მტერმა თოფები დაუშინა. მაგრამ თათარნი მხოლოდ შესაშინებლად გადაერივნენ ასე. პოლონელთ რაზმებამდე არ მისულან და ისევ უკანვე გამობრუნდნენ, მიიფინტ-მოიფანტნენ და შეერივნენ თავიანთ ჯარებსა.

მაგრამ აი დაჰკრეს დიდი დოლი სეჩისა და იმ წუთსვე უზარმაზარი ფრთა თათარ-ყაზახთა გაიშალა ნახევარ მთვარესავით და მიეტია მტერს. ხმელნიცკის, ეტყობოდა, სურდა გაეგო, ერთის შეტევით დავამარცხებ, თუ არა მტრის ჯარსო. საერთო არეულობა და შეშფოთება რომ მომხდარიყო პოლონელთა ბანაკში, შესაძლო იყო, ველარ გაეძლო იმათ ჯარს, მაგრამ პოლონელთა რაზმნი იდგნენ გულ-დამშვიდებით და მზად იყვნენ საომრად; ზურგთ უკან ფიქრი არასი ჰქონდათ, რადგან თხრილები იყო, ხოლო აქეთ-იქიდან ზარბაზნები იდგა; ისე რომ თავ-დასხმა შეიძლებოდა მხოლოდ წინიდან. პირველში კაცს ეგონებოდა, რომ დაუცდიან იმათ მისვლას და ისე შეებრძოლებიანო, მაგრამ როდესაც ყაზახ-თათართა რაზმებმა ნახევარი მანძილი გაიარეს, სანგლებიდან მისცეს ნიშანი იერიშის მიტანისა და ის იმოდენა შუბები პოლონელთ-სულ ძირს დაიღეს.

— გუსარნი მოდიან იერიშით!—შეჰყვირა პან სქშეტუსკიმ.

მხედარნი მოიხარნენ ოდნავ წელში, უნაგირებზედ და გაემართნენ წინ; მათ მოჰყვნენ დრაგუნთა სადროშონი და მთლად საომრად მომზადებული წინა წყება ჯარისა.

საშინელება იყო კვეთება გუსართა. პირველად ეკვეთნენ სამს კურენს და ერთის თვალის დახამხამებაში გააქრეს. საზარელმა ღრიალმა და გმინვამ მოაღწია სქშეტუსკის ყურებამდე. ცხენები და კაცნი, რომელთაც ვერ გაუძლეს რკინის მხედართა სიმძიმეს, დაეცნენ ძირს და ისე გაერთხნენ მიწას, თითქო მოთიბული ბალახიაო. ისე უცბად მოჰხდა ყოველივე ესე, რომ სქშეტუსკის ეგონა, თითქო რაღაც უშველებელმა გველეშაპმა გადაჰყლაპა ეს სამი რაზმიო. მერე ეს სამი რაზმი იყო თვალი და ჯავარი მთლად უკრაინის მხედრობისა. ცხენები, რომელიც დააფრთხო ფრთების შრიალმა*), უფრო მეტად აძლიერებდნენ უწესოებას იმიერ-ჭოროომელთა შორის. ხუთი სხვა რაზმი ხმელნიცკისა სულ შეჰკრთნენ, გონება დაჰკარგეს და უწეს-ურიგოდ იწევდნენ უკან-უკან, მტრისაგან დაჯობნილები. ხოლო ამ დროს გაჩნდნენ დრაგუნთა რაზმნი და დაიწყეს სრვა მტრისა. მთელი ერთი კურენი ისე შეშინდა, რომ სისწრაფით ივლტოდა უკან. შუა-გული ხმელნიცკის მხედრობისა გონს ველარ მოვიდა და იმდენი დრო ველარ იპოვნა, რომ კვლავ დარაზმულიყო.

— ეშმაკნი და ქაჯნი არიან და არა ლიახნი!—შეჰყვირა მოხუცმა ზაქარმა.

სქშეტუსკი თითქო დაათრო ამ სანახაობამ. მძიმე ავადმყოფი იყო და ამიტომ ველარ შეემაგრებინა თავი, თან იცინოდა და თან სტიროდა, ხოლო ხან-და-ხან იძახდა ბრძანების სიტყვებს, თითქო მე ვარ მხედართ-მთავარი სადროშოსიო. ზაქარმა ძლივს მოახერხა და შეიმაგრა პან სქშეტუსკი.

ბრძოლა ისე მოახლოვდა ყაზახთა ბანაკისაკენ, რომ შესაძლო იყო ადვილად გაერჩია ადამიანს სახე მებრძოლთა. საფრებიდან განუწყვეტლივ ისროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ ყუმბარანი ეცემოდა ხან თავისიანებსა და ხან მტრებში და მით უფრო ძლიერდებოდა უწეს-ურიგობა.

---

*) პოლონელების გუსართა ზურგს უკან ლითონის ფრთები ჰქონდათ ხოლმე მიმაგრებულნი.

გუსარნი შეეფეთნენ პაშკოვის კურენსა, რომელიც საგეტ-მანო გვარდია იყო და რომლის შუაც იმყოფებოდა თვით გეტმანი. უცბად საშინელი ხმა აღმოხდათ გულიდან იმიერ-ჭორომელთ: დიდი მაყვლის-ფერი დროშა შეირყა და დაეცა ძირს.

მაგრამ ამ დროს გრიგალივით ჩაერია ბრძოლაში ქშეჩოვ-სკი თვისის ხუთი-ათასის ჯარის კაცითა. უზარ-მაზარ ჩალის-ფერ ცხენზედ იჯდა, მიჰქროდა ყველაზედ წინ უქუდოდ, ხმალ ამოწვდილი და ამხნევებდა შემკრთალ ქვემოურებს, რომელ-ნიც უწესოდა და ურიგოდ ბრუნდებოდნენ უკან თავ-თავიანთ ალაგების დასაჭერად. ომი კვლავ დაიწყო შუა მანძილზედ და შენივთდა ბრძოლა.

ხმელნიცკის მხედრობის არც მემარცხენეთა და მემარჯვე-ნეთ უღიმოდა ბედი.

თათრებს, რომელნიც ორჯელ იქმნენ უკუ-ქცეულ ვლა-ხეთის სადროშოების ჯარითა და პოტოცკების რაზმებითა, სულ დაეკარვათ ხალისი ბრძოლისა. ტულაი-ბეის ორი ცხენი მოუ-კლეს. ცხადი იყო, რომ გამარჯვება ახალგაზდა პოტოცკისა რჩებოდა.

თავ-გამეტებულმა ბრძოლამ დიდ ხანს ვეღარ გასტანა. წვი-მამ კოკი-პირულად დაუშვა და მინდორი ტბად გადააქცია. ისე ჩამობნელდა თანა, რომ ორს ნაბიჯზედ აღარა სჩანდა-რა. წვიმის შუილისაგან ჯარის უფროსთა ბრძანება აღარ ისმოდა. შესწყდა სროლა დასველებულ ჯაზაირებისა და მოკლე თო-ფებისა. თვით ცამ შესწყვიტა ბოლოს ეს ჩეხა-ჟლეტა.

ხმელნიცკი დაბრუნდა თავის ბინაზედ მთლად დასველე-ბული, გამძვინვარებული, გაალმასებული. არავისთან ხმა, კრინ-ტი არ დაუძრავს. საჩქაროზედ დასცეს მისთვის კარავი აქლე-მის ტყავებისაგან და აქ შეაფარა მან თავი მარტოდ-მარტომ, გამწარებულმა, შავ-ბნელის ფიქრებით გვემულმა.

განწირულება ისადგურებდა ნელ-ნელა მის გულში. მხო-ლოდ ეხლა მიხვდა, რა საქმესაც მოჰკიდა ხელი. ხმელნიცკის სძლიეს, გაათახსირეს... და მერე ვინა? ერთმა მუჭა მტერმა!

მან კარგად იცოდა ძალა რესპუბლიკისა, წინდაწინვე ივარაუდა ყოველივე, მაგრამ ეტყობა დაავიწყდა რამ ანგარიშის დროს. ასე ჰგონებდა ამ წუთს მაინც და უიმედობით შეპყრობილი შალ-მალ იტაცებდა ხოლმე თავში ხელს; მზად იყო თავი ეხალა რისთვისმე ამ საათში და ბოლო მოეღო თვისის სიცოცხლისათვის. რაღა მომელის მაშინ, როცა მომიხდება შებრძოლება გეტმანებთანა და მთლად რესპუბლიკასთანაო?!

ტულაი-ბეიმ შეაწყვეტინა ეს მწარე ფიქრნი და ზრახვანი. გაცოფებულს თათარს თვალები უბრწყინავდა სიბრაზით, სახე გადაჰფითრებოდა, კბილები უბრჭყვიალებდა თხელ ულვაშებ ქვეშა.

— სად არის დავლა, სად არიან ტყვენი, მოკვეთილნი თავნი მხედართ-მთავართა?—ეკითხებოდა იგი გახრინწიანებულის ხმით.

ხმელნიცკი ზეზედ წამოხტა.

— იქ არის, იქ არიან! —ხმა-შემაღლებით უპასუხა მან და ხელი გაიწოდა სახელმწიფო ჯარის ბანაკისაკენ.

— მაშ წადი იქ,—დაიღრიალა ტულაი-ბეიმ,—თორემ თვითონ შენ წაგათრევ ყირიმს გათოკილსა!

— წავალ კიდეცა! წავალ ეხლავე, ავიღებ დავლას, წამოვასხამ ტყვეებს, მაგრამ შენ კი ყეენს მისცემ პასუხს, იმიტომ რომ დავლას ეძებ და ომს კი გაურბი.

— ძაღლის გვარისავ,—შეჰყვირა ტულაიმ,—შენ ჰღუპავ ყეენის ჯარსა!

ორივენი პირის-პირ უდგნენ ერთმანეთს. ისევ ხმელნიცკი შოვიდა გონს პირველად.

— დამშვიდდი, ტულაი-ბეი,—უთხრა ბოღდანმა.—წვიმამ შეგვიშალა ხელი, როცა ქშეჩოვსკიმ უკვე შეარყია დრაგუნთა რაზმი. მე კარგად ვიცნობ იმათ. ხვალ ისეთის გამძვინვარებით ველარ იომებენ. დედა-მიწა დალბება. ხვალ სულ ჩვენ ხელთ იქმნებიან.

— აბა რა, დიდი თანხაა ცარიელი ლაპარაკი!

— ჰნახავ, რომ თანხაა. გამიგონე, ტულაი-ბეი, მეგობარო! ყეენმა ჩემდა შესაწევრად გამოგგზავნა და არა ჩემდა სავაგლახოდ!

— შენ მე გამარჯვება აღმითქვი და არა დაძლევა.

— რამდენი დრაგუნი დაგვრჩა ტყვედ. თუ გინდა შენ მოგცემ იმათ.

— მომეცი. ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოაცვან.

— ნუ იზამ მაგას. თავისუფლება მიეცი. უკრაინელები არიან ბალაბანის სადროშოსი; განუტევოთ, რომ იქნება დრაგუნები ჩვენს მხარეზედ გადმოიყვანონ. ისევე მოჰხდება, რაც ბარაბაშის საქმეში მოჰხდა.

ტულაი-ბეის სიამოვნებით გაუნათლდა სახე, დააცქერდა ხმელნიცკის და წაიტუტუნა ბუზღუნითა:

— გველო...

— ცბიერობაც იმდენად ჰღირს, რამდენადაც მამაცობა. თუ მოვახერხეთ, რომ დრაგუნებმა უღალატეს, მთელს ბანაკში ერთი აღარ გადაგერჩება ცოცხალი და ტყვედ შეუპყრობელი. გეყურება თუ არა?

— პოტოცკის მე წავიყვან.

— იმასაც შენ მოგცემ და ჩარნეცკისაცა.

— კარგი, მაშ ახლა არაყი დამალევინე... ცივა...

— ეხლავე.

კარავში ქშეჩოვსკი შემოვიდა. პოლკოვნიკს თავ-პირი ჩამობნელებოდა. უფროსობა, კაშტელიანობა, ციხე დარბაზნი და საუნჯენი დღევანდელ ომის შემდეგ ისე გაჰქრა, როგორც კვამლი. შესაძლო იყო, რომ ამ კვამლში ხვალ თვალ-წინ წარმოსდგომოდა ბნელი სურათი მახვილისა ანუ სახრჩობელასი. ის ნემენცები რომ არ გაწყვეტილიყვნენ, იქნება პოლკოვნიკს აღარ დაეყოვნებინა, ეღალატნა ხმელნიცკისათვის და თვისის ჯარით პოტოცკის მხარეზედ გადასულიყო. მაგრამ ახლა გვიანღა იყო.

ყაზახთა მხედართ-მთავარნი ხმა-გაკმენდილნი შემოუსხდნენ არაყით სავსე ჭურჭელსა. წვიმამ უკლო. ღამდებოდა.

პან სქშეტუსკი დაასუსტა სიხარულმა და გაფითრებული უძრავად იდო ურემზედ. ზაქარს უკვე შეუყვარდა დესპანი და უბრძანა მხლებლებს გადაეჩარდახებინათ ურემი. სქშეტუსკი

უგდებდა ყურს წვიმის ერთკილოვანს შუილს და გული არხეინადა ჰქონდა, სიამოვნების სხივით გაშუქებული. გუსარებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს, რესპუბლიკა ღირსეულად დაუხვდა მტერს, როგორც შეეფერებოდა მის დიდებას და ყაზახთა მღელვარების პირველი ზვირთი ზედ შეელეწა სახელმწიფოს ჯართა სიმტკიცესაო. შემდეგ კიდევ თავადი ერემიაა მზად, გეტმანები, შლიახტა, ამოდენი ძალ-ღონე, ხოლო ყოველ ამათზედ უმაღლეს არის ბოლოს მეფე,—primus inter pares.

გულ-მკერდი სქშეტუსკისა ადიოდა და ჩადიოდა თავისუფალის, თავ-მოწონებულის სუნთქვისაგან. ასე ეგონა, რომ ყოველივე ეს ძლიერება საკუთრად მე მაქვსო.

თვისის დატყვევების შემდეგ პირველად ახლა შეებრალა დესპანს ყაზახნი. დამნაშავენი არიან, რაღა თქმა უნდა, მაგრამ თან დაბრმავებულნიც არიან, რადგან ფიჩხისათვის წაუვლიათ ხელი და იმითი გამოდიან დათვის წინააღმდეგაო,—გაივლო მან გულში.—დამნაშავენი არიან, მაგრამ ამავე დროს უბედურნიც არიან: აჰყვნენ ისეთს კაცს, რომელიც ცხადად ჰლუპავს ამ საცოდავებს.

დესპანის ფიქრი სხვაგანაც ჰრბოდა. დადგება მშვიდობიანი დრო და მაშინ ყველას ნება ექნება იზრუნოს საკუთარის ბედნიერებისათვისაცაო. რა ამბავია ნეტავი ახლა იქ, რაზლოგში? მღელვარება იქამდე, რასაკვირველია, ვერ უწევს, ხოლო თუნდა ასეც იყოს, ელენე ახლა, ეჭვი არ არის, ლუბნში იქნებაო.

მეორე დღეს კვირა იყო და თოფი არ გავარდნილა, მშვიდობიანად გაიარა. სქშეტუსკის ეგონა, რომ უთუოდ ყაზახებს აღარ უნდათ ომის დაწყებაო. ეაი რომ ასე არ იყო! დესპანმა არ იცოდა, რომ ამ ხანად ხმელნიცკი, რომელიც „თვისის გონებისა მრავლითა თვალითა იყურებოდა გარშემო“, ცდილობდა, იქნება ბალაბანის დრაგუნნი ჩემსკენ გადმოვიყვანო როგორმეო.

ორშაბათს განთიადისასვე შეებნენ ერთმანერთს მოპირისპირენი. სქშეტუსკი, როგორც წინად, ახლაც მხიარულებითა

და ღიმილით შეჰყურებდა ამ შებრძოლებასაცა. სახელმწიფოს ჯარის რაზმნი კვლავ დაეწყვნენ საომრად თხრილებ წინა, მხოლოდ ეხლა იერიშით აღარ მიდიოდნენ, არამედ ადგილობრივვე აძლევდნენ მტერს პასუხსა. მინდორი სულ ჭაობად გადაიქცა. მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანთა ჯარი ადგილიდან ვერ იძროდა და ეს გარემოება დიდს უპირატესობას აძლევდა თათართა და იმიერ-ჭორომელთა სუბუქ რაზმებს. ღიმილი თან და თან ჰქრებოდა სქშეტუსკის სახეზედ. სახელმწიფო ჯარებს იმოდენა მტერი დაესხა თავს, რომ სულ ჩანთქა კინაღამ; აგერ საცაა თითქო გასწყვეტენ ამ სუსტს ჯაჭვს და იერიშს მიიტანენ თვით საფრების ასაღებადაო. პან სქშეტუსკი იმის ნახევარ ხალისსაც ველარა ჰხედავდა, რა ხალისითაც იბრძოდნენ პოლონიის ჯარნი ორის დღის წინად. მართალია, ეხლაც მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ პირველად თვით აღარ ესხმოდნენ თავს მტერსა და ერთის შეტევით აღარ სცემდნენ რისხვასა. წვიმისაგან დამბალი დედა-მიწა აღარ უშვებდა წინ, ხოლო ხმელნიცკი ამასობაში სულ ახალ-ახალ რაზმებსა ჰგზავნიდა საომრად. თვითონ ჩნდებოდა ყველგან და თვისის მაგალითით ამხნევებდა იმიერ-ჭორომელთ, რომელნიც ათასობით ესხმოდნენ თავს სახელმწიფო ჯარის რკინის კედელს და, უკუქცეულნი, კვლავ ეწყობოდნენ რაზმ-რაზმად ხელ-ახალის იერიშის მისატანად. მათთა მკვდართა გვამით მოიფინა მინდორი, მაგრამ რესპუბლიკის ჯარიც ნელ-ნელა სუსტდებოდა.

შუა დღისას იმიერ-ჭორომელთა მთელი ჯარი ჩაება ბრძოლაში. ისე გაცხარდა ომი, ისეთის გამძვინვარებით შეიბნენ მტერნი, რომ მათ შუა კვლავ ხორა დადგა კაცთა გვამებისა და ცხენთა მძოვრისა.

ყოველ წუთს ყაზახთა ბანაკში ბრუნდებოდნენ გუნდ-გუნდად დაჭრილნი და დაკოდილნი, სისხლით-შესვრილნი, ტალახით მოთხუპნულნი, ძალ-ღონე მიხდილნი, მაგრამ ბრუნდებოდნენ მხიარულად, სიმღერითა და ყიჟინითა. იმათ სახეზედ იხატებოდა მხიარულება და რწმენა, რომ გამარჯვება ჩვენიაო. სიკვდილის პირად მყოფნიც კი ამასა ჰყვიროდნენ: „სიკვდილი

მტერსაო!“ ვინც ბანაკში დარჩენილიყო, ისინიც საომრად იწევ-
ლნენ.

პან სქშეტუსკი მოიღრუბლა. პოლონელთა სადროშონი
ბანაკში ბრუნდებოდნენ. აღარ შეეძლოთ უკვე გამაგრება და
სასწრაფოდ იხევდნენ უკან. ყაზახებმა რომ ეს დაინახეს, და-
სცეს მხიარული ყიჟინა. იმიერ-ჭორომელთ კვლავ მიიტანეს
იერიში და გამძვინვარებით ეკვეთნენ პოტოცკის ჯარის-კაცთა,
რომელნიც იფარავდნენ ბანაკად მიმავალ, უკუ-ქცეულ თვისს
ჯარებსა. მაგრამ ზარბაზნებმა, ჯაზაირების სეტყვასავით დაშე-
ნილმა ტყვიამ უკუაქცია ისინი. ერთს წუთს შესწყდა ბრძო-
ლა.

პოლონელთა ბანაკიდან მოისმა ხმა შერიგების საყვირისა.

მაგრამ ხმელნიცკის გაგონებაც კი არ უნდოდა შერიგებისა.
თორმეტის კურენის ჯარის კაცნი ჩამოხდნენ ცხენებიდან, რათა
ქვეითა ჯართანა და თათრებთან ერთად მიეტანათ იერიში
მტრის სანგლებზედ.

ქშეჩოვსკი უნდა მიჰშველებოდა სამი ათასის ქვეითის ჯა-
რით, როცა გაჭირდებოდა საქმე. საყვირთა ხმამა, განგაშთა და
ბობღანთა ცემამ დაჰფარა ცოტას ხანს ხმა ყიჟინისა და ჯაზა-
ირების გრიალისა.

პან სქშეტუსკი გულის კანკალით შეჰყურებდა, როგორ
ჯაჭვის რგოლივით ერტყმოდა გარშემო პოლონელთა ბანაკს
იმიერ-ჭორომელთა ჯარი. მიდიოდა ეს ჯარი წინ და ეხვეოდა
ხშირს თეთრს კვამლში, თითქო ვიღასაც უზარ-მაზარ მკერდს
უნდა ასეთის კვამლის ბერვით გაჰფანტოს ყოველ-მხრიდან მო-
სული გუნდი უამრავის კალიისაო. ზარბაზნების ყუმბარანი უფ-
რო გახშირებით შეიჭრებოდა ხოლმე ამ გუნდში და მომაკვდი-
ნებელს კვალს ავლებდა იქ. თოფების სროლამ უფრო და უფ-
რო უმატა. გრიალი თოფ-ზარბაზნების სროლისა ერთს წუთს
არა სცხრებოდა, მაგრამ ჭინჭვლის გორა, თუმცა ნელ-ნელა,
მაინც დოსტოღრივ მიიწევდა წინ. აი მიახლოვდა კიდეცა! აი
თითქმის თხრილთან მიცოცდა და ზარბაზნებს ზნევა აღარა
შეუძლიანთ-რა! პან სქშეტუსკიმ თვალები დაჰხუჭა.

ელვასავით გაურბინა ფიქრად ამ აზრმა: დავინახავ-ღა კიდევ თუ ვერა, როცა გავახელ თვალებს, პოლონიის დროშებსაო? დავინახავ... ვერ დავინახავ? ყიჟინა უფრო და უფრო ძლიერდება, ჟივილ-ხივილია არა-ჩვეულებრივი... ალბად, რაღაც დიდი ამბავია იქ. ყვირილი შუა-გულ ბანაკიდან მოისმის. რა ამბავია? რა მოჰხდა?

— ღმერთო მოწყალეო!

პან სქშეტუსკის გმინვა ამოხდა გულიდან: თხრილებზედ, ოქროს-ფერ სარესპუბლიკო დროშის მაგიერ, ფრიალებდა მაყვლის ფერი დროშა მთავარ-ანგელოზის მხატვრობითა.

პოლონელთა ბანაკი აღებულ იქმნა.

მხოლოდ საღამოზედ გაიგო დესპანმა ზაქარასაგან ყოველივე დაწვრილებით. ტყუილად კი არ ეუბნებოდა ტულაი-ბეი ხმელნიცკის, გველი ხარო: სწორედ გაჭირების დროს გადვიდნენ იმის მხარეზედ ბალაბანის დრაგუნები, რომელნიც ეკვეთნენ თავისიანებს და ხელი შეუწყეს მტერს მათს მოსრვაში.

საღამოზედ დესპანმა ჰნახა ტყვედ-შეპყრობილნი და დაესწრო ახალგაზდა პოტოცკის სიკვდილსა. საწყალმა ჭაბუკმა, სასიკვდილოდ დაჭრილმა ისრითა, ძლივს უთხრა ნელის ხმით სტეფანე ჩარნეცკის: „უამბეთ მაშასა, რომ, როგორც რაინდი“... და განუტევა სული. დიდ ხანს ახსოვდა შემდეგ სქშეტუსკის მისი გაფითრებული სახეცა, მისი ცის-ფერი თვალებიცა, მიპყრობილი ცად მიმართ. პან ჩარნეცკიმ აღთქმა დასდო ამ გაცივებულ გვამის წინაშე, რომ, როგორც კი ღმერთი შემეწევა და თაეს დავაღწევ ტყვეობას, სისხლის რუებით ჩამოვრეცხავ დღევანდელს დამარცხების სირცხვილს და შურს ვიძიებ ჩემის მეგობრის სიკვდილისათვისაო. მოხუცს მხედარს თვალები გამშრალი ჰქონდა და მხოლოდ გაფითრებულ სახეზედ ეტყობოდა ცხადად, რასაცა ჰგრძნობდა. თავის დროზედ შეასრულა კიდეც თავისი აღთქმა, ხოლო ამ ხანად ანუგეშებდა, როგორც კი შეეძლო, სულითა და ხორცით ავადმყოფს პან სქშეტუსკის. „რესპუბლიკამაო,—ამბობდა პან ჩარნეცკი,—ბევრი მწარე დღე ჰნახა, გარნა ძალი მისი მაინც აღურაცხველია და არა ყაზახთა

ამბოხებას არ შეუძლიან შეარყიოს მისი ძლიერება. მართალია, დამარცხება დიდია, მაგრამ ვინ იქმნა დამარცხებული? გეტმანები? სახელმწიფოს მხედრობა? არა! ქშეჩოვსკის ღალატის გამო ერთი მუჭა ხალხი-ღა დარჩა და, რასაკვირველია, იმისთვის ძნელი იყო იმოდენა მხედრობას გამკლავებოდა. აჯანყება გავრცელდება მთელს უკრაინაში,—ყაზახნი იქ მუდამ მზად არიან აჯანყდნენ, თუ კი შემთხვევა რამ მიეცათ,—მაგრამ უკრაინაში აჯანყება ახალი ამბავი არ არის და მალეც ჩაჰქრება დიდის ხნით გეტმანთა და თავად ერემიას მეოხებით. მხოლოდ სულ-მოკლე კაცს შეუძლიან დაიჯეროს, რომ ვითომ ერთს ავაზაკ-ატამანს შეეძლოს, თათართა მურზის შემწეობით, მუქარა დაუწყოს დიდს ერს. ცუდი ნიშანი იქმნებოდა, რომ რესპუბლიკას მთელი თვისი ძალ-ღონე შეეკრიბა ყაზახთა აჯანყების გავრცელებისათანაეე. უნდა გამოვტყდე, უგულოდ წამოვედით ამ ლაშკრობაში და, თუმცა გვძლიეს, მაინც მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ გეტმანები ხმლითა და იარაღით კი არა, მათრახებით შეიძლებენ ამ აჯანყების მოსპობას".

კაცს ეგონებოდა, რომ ყოველსავე ამას ამბობს არა ტყვე, არა ჯარის-კაცი, რომელიც დამარცხდა ეს არის ეხლაო, არამედ გულ-ზვავი გეტმანი, დარწმუნებული, რომ ხვალ გამარჯვება ჩემიაო. მისი იმედიანობა ნელ-ნელა პან სქშეტუსკისაც გადაედო. მეტის-მეტად ახლოდან უცქეროდა ხმელნიცკის ძლიერებას და ამან, ცოტა არ იყო, თვალები აუბა, მით უმეტეს, რომ ხმელნიცკის ბედი სწყალობდა მუდამ. გარნა პან ჩარნეცკი მართალი იყო, გეტმანთა მხედრობა ჯერ არ გამოსულიყო საბრძოლველად, ხოლო მათ შემდეგ კიდევ მთელი რესპუბლიკა იყო.

ზაქარმა, რომელმაც მოუხერხა პან სქშეტუსკის ნახვა ტყვეებისა, უფრო მეტად ანუგეშა გზაში უკან დაბრუნებული დესპანი. „ახალგაზდა პოტოცკის დაძლევა ადვილი იყო, აი გეტმანების დაძლევაა საქმე!—ჩიოდა ზაქარა.—ჯერ მხოლოდ დაწყებულ იქმნა საქმე და, ვინ იცის, რა ბოლო მოჰყვება! ეჰ, აივსნენ ყაზახნი და თათარნი პოლონელთა საუნჯით, მაგრამ

საქმე აღება კი არ არის, საქმე შენახვაა. შენ ტყვილად ნუ სწუხარ, გულს ნუ იკლავ, მიიღებ თავისუფლებას და დაჰბრუნ-დები შენიანებთან... ჩემი მოხუცი თავი კი უნდა მოწყენილი ეგდოს აქ უშენოდ. ეჰ, სიბერე ძნელი ყოფილა! გეტმანებთან ძალიან გაჭირდება საქმე, ძალიან!"

მართლაც, ეს გამარჯვება, რაც უნდა უფრო ძლევა-მოსილიც ყოფილიყო, ვერ უზრუნველ-ჰყოფდა ჯერ კიდევ ხმელნიცკის მომავალს ბედსა, იქნება უფრო ევნო კიდეცა, რადგან გეტმანი შურს იძიებდა შვილის სიკვდილისათვის და ალარას არ დაჰზოგავდა იმიერ-ჭორომელთ ამოსაწყვეტად. დიდს გეტმანს არ უყვარდა თავადი იერემია, მაგრამ ახლა ყოველივე მტრობა უნდა დადუმებულიყო; პან კრაკოველი პირველი გაუწოდებდა ხელს შერიგებისას სახელ-განთქმულს მხედართ-მთავარს და თვის მხედრობასაც იმისას შეუერთებდა. ამისთანა ძალ-ღონეს ხმელნიცკი ჯერ არ შეჰბრძოლებოდა და ვერც გაჰბედავდა შებრძოლებას. მან გადასწყვიტა, გავაშურებ უკრაინისაკენ, საჩქაროზედ მივიტან იქ გამარჯვების ამბავს ყვითელ წყალთან და, ვიდრე თავადის მხედრობა მოვიდოდეს, მანამ დავესხმი თავს გეტმანებსაო.

რიგიანად ალარ დაასვენა თავისი ჯარები და მეორე დღესვე უბრძანა ლაშქრად წასვლა. ასე ეგონებოდა კაცს, რომ გეტმანი გაჩქარებით ილტვის და მით უნდა დააღწიოს თავი განსაცდელსაო. ყაზახთა ჯარის რიცხვი გზა და გზა თან და თან მატულობდა; ყოველ დღე ემატებოდნენ უკრაინიდან ლტოლვილნი. მოჰქონდათ თან გეტმანთა ამბავიცა, თუმცა კი ერთმანერთის საწინააღმდეგო. ერთნი ამბობდნენ, რომ თავადი ჯერ ისევ დნეპრს გაღმაა დაბანაკებულიო, მეორენი—უკვე შეუერთდა სახელმწიფოს ჯარებსაო. უეჭველი იყო მხოლოდ ის, რომ უკრაინა ჰღელავდა და დიდს ცეცხლში იყო. იქაურნი მკვიდრნი, არამც თუ ყრუ-მინდვრებში მირბოდნენ ხმელნიცკისთან, არამედ ცეცხლს უკიდებდნენ დაბა-სოფლებსა, ეწინააღმდეგებოდნენ პანებსა და ყველგან იარაღში სხდებოდნენ. ქალაქში მცხოვრებნი ყაზახნი მხოლოდ ნიშანს-ღა ელოდნენ

მეამბოხეთა თანა შესაერთებლად. ხმელნიცკის ყოველ ამის იმედი ჰქონდა და ამიტომ უფრო ჩქარობდა.

ბოლოს ჩიგირინამდეც მივიდა. ჩიგირინმა კარი გაუღო და ყაზახთა მეცხვანე რაზმი მის დროშებ ქვეშ დადგა. ბრბომ გაძარცვა სახლი ჩაპლინსკისა და ამოსწყვიტა ერთი მუჭა პოლონელი თავად-აზნაურობა, რომელიც ამ ქალაქში ეძებდა ხსნასა. სიხარულის ჟრიამულსა, ზარების რეკვასა და ლიტანიით სიარულს დასასრული არა ჰქონდა.

აჯანყების ცეცხლი უცებ მოედო მთლად ამ მხარეს. ყოველივე, რაც კი სცოცხლობდა, ხელს ჰკიდებდა ცელებსა და შუბებს და უერთდებოდა იმიერ ჭორომელთ. აღურაცხველნი ბრბონი იკრებდნენ თავს ყოველ მხრიდან ყაზახთა ბანაკში; მოვიდა სასიხარულო ამბავიცა, რომ თუმცა თავადი იერემია დაჰპირდა თვისსა შემწეობას გეტმანთა, მაგრამ ჯერ არ შეერთებულა იმათთანაო.

ხმელნიცკიმ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

დაუყოვნებლივ გასწია წინ გრიგალივით და, საცა გაიარა, მოაოხრა ყოველივე. გზა, მისგან გავლილი, მოფენილი იყო ადამიანთა გვამითა და ცეცხლის მიერ შთანთქმულ სადგურთა დანაცრებულ ნანგრევებითა. მიდიოდა, როგორც შურის-მძიებელი, როგორც საარაკო გველეშაპი.

ჩერკასში დააბანაკა თვისი უმთავრესი მხედრობა, ხოლო წინ გაჰგზავნა თათარნი ტუღაი-ბეისა და განადირკაცებულის კრივონოსის წინამძღოლობითა. კორსუნთან დაეწივნენ ისინი გეტმანებს და აღარც აიღეს, აღარც დაიღეს, დაესხნენ თავს, მაგრამ ასეთი გაბედულება ძვირად დაუჯდათ. საშინლად ძლეულნი იძულებულნი იქმნენ უკან დაეხიათ უწესოდა და ურიგოდ.

ხმელნიცკი წავიდა ახლა იმათ მისაშველებლად. გზაში მოუვიდა ამბავი, რომ პან სენიავსკი შეუერთდა გეტმანებს, რომელთაც დასტოვეს კორსუნი და მიდიან ბოღუსლავისაკენაო. ხმელნიცკიმ უომრად აიღო კორსუნი, დასტოვა იქ თავისი ბარგი-ბარხანა და სუბუქად გამოეკიდა სახელმწიფო ჯარებსა.

ღრმა ხევთან ხმელნიკის მოწინავე დარაჯნი თავს წაადგნენ პოლონელთა ბანაკსა.

პან სქშეტუსკის არ შეემთხვა ამ ბრძოლის ნახვა; ბარგთანა და ბარგის ხალხთან ერთად კორსუნში დარჩა ისიცა. ზაქარმა დააბინავა დესპანი ერთის ჩამოხჩობილის შლიახტიჩის სახლში და მიუჩინა დარაჯნი, რადგან ბრბო სცარცვავდა იქაურობას და ჰხოცდა ყველას, ვინც კი ლიახად მიაჩნდა. პან სქშეტუსკი თავის სახლის გატეხილ ფანჯრიდანა ჰხედავდა, როგორ გადადიოდა ერთის სახლიდან მეორე სახლში, ერთის დუქნიდან მეორე დუქანში ბრბო სასმელებისაგან გალექებულ, სისხლით შესვრილ ყაზახთა, ურევდა და აქოთებდა იქაურობას. ხან და ხან მოისმოდა ყვირილი და ეს იმისი ნიშანი იყო, რომ ჩვენმა ძებნა-ჩხრეკამ ამაოდ არ ჩაიარაო, ესე იგი ვიპოვნეთ შლიახტიჩი ანუ ურიაო. ამისთანას, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო,—მამაკაცი, დედაკაცი, თუ ყმაწვილი, — გამოიყვანდნენ ბაზარში და დაუწყებდნენ წამებას. ბრბოს ჩხუბი მოსდიოდა ერთმანერთში გვემულის გეამის ნაჭერთათვის, უვუნურის ხარხარით ისვამდა პირზედ და გულზედ სისხლს, იხვევდა კისერზედ თბილ-თბილ ნაწლევებს. ყაზახნი წაავლებდნენ ხელს ფეხებში ურიის პატარა ბავშვებს და შუა-შუა ჰგლეჯდნენ დამსწრეთა დიდად სასიამოვნოდ. ბრბომ რამდენჯერმე სცადა გაეძარცვა ის სახლებიცა, საცა იყვნენ უფრო პატივსაცემნი ტყვენი, დარაჯ-მიჩენილნი. იმიერ-ჭორომელნი ანუ თათარნი, დარაჯად მიჩენილნი, ჯოხებითა და კომბლებით დაირეკავდნენ ხოლმე ბრბოს. ასე მოხდა პან სქშეტუსკის სახლთანაცა. ზაქარმა უბრძანა დარაჯთა, შეუწყალებლად სცემეთ ქუჩის მაწანწალა ხალხსაო და ისინიც დიდის სიამოვნებით ასრულებდნენ ამ ბრძანებას.

ბაზარში ბრბო გამძვინვარებული იყო. საღამო-ჟამდებოდა. წაუკიდეს ცეცხლი ბაზარს, ეკლესიას და მღვდლის სახლსა. ბედად, ქარი მინდვრისაკენ უბერავდა და უშლიდა ცეცხლის გაძლიერებას. მაინც ბაზარში ისე ნათელოდა, თითქო დღეაო.

შორიდან მოისმოდა ხშირი სროლა ზარბაზნებისა. ცხადი იყო, რომ ღრმა ხევთან ბრძოლა უფრო და უფრო ცხარდებოდა.

— დიდი სიცხე ადგიათ იქ ჩვენებს!—სთქვა მოხუცმა ზაქარმა.—გეტმანები არა ჰხუმრობენ. პან პოტოცკი გამოცდილი მხედარია,—ზაქარმა თითი ფანჯრისაკენ გაიშვირა.—ახლა ისინი ჯავრსა ყრილობენ, ხოლო თუ აჯობეს ბოღდანსა, იმის ჯავრსაც ამოიყრიან!

ამ დროს მოისმა ცხენების თქარა-თქური და ბაზარში შემოვიდა რამდენიმე ცხენოსანი. პირისახე სულ გამურული ჰქონდათ თოფის-წამლის კვამლისაგან, ტანისამოსი კიდევ უწესოდ ეცვათ, ეტყობოდათ, რომ პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოსულიყვნენ.

— ხალხო! ვისაც ღმერთი გწამთ, თავს უშველეთ! ლიახებმა აჯობეს ჩვენებს!—მოისმა ხმა-მაღალი ძახილი.

ასტყდა საერთო არეულობა. ბრბო ჯერ შეტბორდა, ვით მორევი შავის ზღვისა და მერე, როგორც ზვირთი, რომელსაც ქარმა დაჰქროლოს, გაექანა ერთის მხრისაკენ. მაგრამ ქუჩები ყველგან სავსე იყო ხალხით, ხოლო ერთი ნაწილი ბაზრისა ცეცხლში იწვოდა, ისე რომ არსაით გაქცევა არ შეიძლებოდა...

დესპანმა გაიგო ეს ამბავი და კინაღამ ჭკუაზედ შეიშალა სიხარულით.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ეგ აგრე იქნებოდა!—აღტაცებით ამბობდა პან სქშეტუსკი და დარბოდა ოთახში.—აქ გეტმანები არიან, მთლად რესპუბლიკა!... მაგრამ რა ამბავია?

ბაზარში კვლავ ატყდა ხმაურობა, დგანდგარი. გამოჩდნენ რამდენიმე თათარნი; ისინიც, როგორც ცხადად სჩანდა, ბრძოლას გამოჰქცეოდნენ და მორბოდნენ თავ-გადაგლეჯილნი. ბრბო წინ გადაეღობა; ისინი ზედ აყენებდნენ ცხენებს და მიერეკებოდნენ ჩერკასის გზისაკენ.

— ისე მოჰქრიან, თითქო ქარიაო!—დაიძახა ზაქარმა.

ძლივს წარმოსთქვა ეს სიტყვები, რომ ახლა მეორე რაზმი მოიჭრა, იმას მოჰყვა მესამე. იმ დარაჯთაც, რომელნიც მი-

ჩენილნი ჰყვანდნენ ზოგიერთს სახლებს, გაქცევა უნდოდათ, ზაქარა კარში გამოვარდა.

— გაჩერდით!—დაუყვირა მან თავის მირგოროდელებს.

კვამლი, სიცხე, ცხენების თქარა-თქური, ხმა მოუსვენრობისა, ღრიანცელი ბრბოსი, რომელსაც ანათებდა ცეცხლ-წაკიდებულ სახლების ალი,—ყოველივე გადაიქცა ერთ საშინელ სურათად, რომლის მზერითაც შეეძლო დესპანს დამტკბარიყო თავის სახლის ფანჯრიდანა.

— რა ღვთის-რისხვა და ზარი უნდა იყოს ახლა იქა, რა ზარი!—იძახდა სიხარულით დესპანი და ვერა ჰხედავდა, რომ ზაქარა არ თანაუგრძნობდა მის სიხარულს.

ზარბაზნების გრიალი არ შეწყვეტილა ერთს წუთსაც.

უცბად ვიღამაც დაიძახა იქვე სახლთან განწირულის ხმით:

— თავს უშველეთ! ბოღდანი მოჰკლეს! ქშეჩოვსკი მოჰკლეს! ტუღაი-ბეი მოჰკლეს!

ბაზარი საშინელს სურათს წარმოადგენდა, კაცს ეგონებოდა, ქვეყნის აღსასრულის დღე დადგაო.

ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მრავალნი თვითონვე სცვიოდნენ ცეცხლში. დესპანმა დაიჩოქა და ხელნი აღაპყრა მაღლა:

— ღმერთო, ყოვლის შემძლებელო! ღმერთო დიდო და მართალო! გმადლობ შენ!

მისი ლოცვა ზაქარას მოსვლამ შესწყვიტა.

— გამოდი კარში,—ჰყვიროდა ზაქარა ქაქანითა.—და აღუთქვი პატივება მირგოროდელებს. მირბიან ისინიც, და თუ ისინი წავიდნენ, ხალხი შემოცვივა აქა.

სქშეტუსკი გამოვიდა აივანზედ. მირგოროდელნი შეჯგუფულიყვნენ ერთად და ჩერკასისაკენ აპირობდნენ გაქცევას. შიშმა შეიპყრო ყველანი ქალაქში. ახალ-ახალნი ძლეულნი რაზმნი უფრო და უფრო გახშირებით მორბოდნენ ქალაქში. მორბოდნენ გლეხნი, თათარნი, ქალაქელი ყაზახნი და იმიერ-ჭორომელნი. ხოლო უმთავრესი მხედრობა ხმელნიცკისა, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა მტერს. ბრძოლა არ გათა-

ვებულიყო, რადგან ზარბაზნები გაორკეცებულის ძალითა გრიალებდნენ ისევ.

სქშეტუსკიმ მიმართა მირგოროდელებს.

— რაკი მე მდარაჯობდით, რაღა საჭიროა გაქცევით დაიფაროთ თავი,—სთქვა მან თავ-მოწონებით. — სიტყვას გაძლევთ, რომ გეტმანი გაპატივებთ ყოველსაეე.

მირგოროდელებმა ყველამ ქუდები მოიხადეს.

რა ცვალებადობაა ბედისა! პან სქშეტუსკი, წეღანდელი ტყვე, ისე იდგა თავზედ ხელ-აღებულ ყაზახთა შორის, როგორც ბატონი თავის ხელქვეითთა წინაშე.

— შეგვიწყალეთ, პანე!

— როგორც გითხარით, ისე იქნება,—მტკიცედა სთქვა დესპანმა. სახე სიხარულით უბრწყინავდა. „აგერ ომიც გათავდება,—ჰფიქრობდა სქშეტუსკი.—პან ჩარნეცკი მართალს ამბობდა: დიდი ძალა აქვს რესპუბლიკას, დიდია ქარი და ძლიერება მისი!“

და გრძნობამ თავ-მოწონებისამა და ამპარტავნებისამ გაავსო მისი გული, იმ უღირსმა გრძნობამ კი არა, რომელსაც ეძლევა კაცი, როცა მოახლოვებულია ჟამი შურის-ძიებისა, არა, პან სქშეტუსკის თავი მოსწონდა მით, რომ შვილი ვარ იმ ძლიერის, ძლევა-მოსილის რესპუბლიკისა, რომელსაც შეუძლიან ადვილად მოიგეროს ყოველ-გვარი მტერიო. თავი მოსწონდა მით, რომ შლიახტიჩი ვარო, რომ იმედმა და სასოებამ არ მიმტყუნაო. შურის-ძიების ფიქრი გულშიაც კი არ გაუტარებია.

„დასაჯა, როგორც მეფემ, შეიწყალებს, როგორც დედაო“,—ჰფიქრობდა იგი.

ზარბაზნები კი მაინც ჰქუხდა და ჰქუხდა შეუწყვეტლივ.

ი კვლავ მოისმა თქარა-თქური ცხენოსნებისა ჩიგირინის დაცარიელებულს ქუჩებში. ბაზარში მოიჭრა ყაზახი, რომელიც უბელო ცხენზედ იჯდა, პერანგის ამარა იყო, თავზედ ქუდი არ ეხურა და პირი-სეხე. შუაზედ ჰქონდა გაჩეხილი ხმლითა; მოიჭრა ჭენებით, შეაყენა ცხენი და დაიძახა მისუსტებულის ხმით:

— ხმელნიცკიმ აჯობა ლიახებს! დაიძლიენენ ბრწყინვალე პანები, გეტმანები და პოლკოვნიკები, რაინდები და კავალერები.

ყაზახი დასუსტდა და ჩამოვარდა ცხენიდან. მირგოროდელები მისცვივდნენ საშველად.

პან სქშეტუსკი გაფითრდა.

— რას ამბობს ეგ კაცი?—კანკალითა ჰკითხა მან ზაქარას.—რა მოხდა? ეგ შეუძლებელია! ვფიცავ ღმერთს, რომ ეგ შეუძლებელი საქმეა!

სიჩუმეა. მხოლოდ ცეცხლს გააქვს ჭახა-ჭუხი და ისვრის აქეთ-იქით ბღუჯა-ბღუჯა ნაპერწკლებს; ათასში ერთხელ კიდეე დაიძახებს ამა თუ იმ სახლის ბანის დამწვარი ჭერი და ჩამოცვივა ძირს.

აი ახალნი შიკრიკნიცა.

— იძლიენენ ლიახნი, იძლიენენ!

შიკრიკებს მოსდევენ თათართა რაზმნიცა. თათარნი მოდიან ნელ-ნელა, არხეინად, იმიტომ რომ გარს არტყიან ქვეითა ჯარის-კაცთა, რომელნიც, ალბად, ტყვენი არიან.

პან სქშეტუსკის არა სჯერა, რასაცა ჰხედავს. ამჩნევს, რომ ზოგიერთს ტყვეს გეტმანების გუსართა ფერის ტანისამოსი აცვია, მაგრამ მაინც არა სჯერა-რა და აჟინებით იმეორებს რაღაც უცნაურის, არა საკუთარის ხმით:

— ეგ შეუძლებელია! ეგ შეუძლებელია!

ზარბაზნის სროლის ხმა ისმის მაინც კიდეე. ომი არ გათავებულა. აი მოდიან მრავლად იმიერ-ჭორომელნი და თათარნი. პირი-სახენი გაკვამლულნი აქვთ, ქაქანებენ დაღლილობის მიზეზით, მაგრამ მაინც მოდიან მხიარულად, სიმღერით, ძლევა-მოსილებით. ასე ბრუნდებიან მხოლოდ გამარჯვებულნი ჯარის-კაცნი.

დესპანი უფრო და უფრო ფითრდებოდა.

ქშეჩოვსკის ჯარის-კაცნი მოდიან და მოაქვთ მრავალი დროშა-ალამი. მოსულნი ჩერდებიან შუა-გულ ბაზარში და ჰყრიან ძირს დროშა-ალმებსა.

ოჰ, პოლონიის დროშა-ალმებია!

ზარბაზნებმა შესწყვიტეს თვისი გრიალი. ისმის ჭრიალი ოთხ-თვლიან ურმებისა. წინ მოდის ერთი მაღალი ყაზახური ურემი; იმას მოსდევს მრავალი სხვა; ყველას გარშემო არტყიან ყვითელ-ქუდებიანი ყაზახნი პაშკოვის კურენისა; გვერდზედ გაუარეს იმ სახლს, საცა ტყვე სცხოვრობს. პან სქშეტუსკიმ ხელები თვალებზედ მიიფარა—თვალსა სჭრის ცეცხლის ბჭყვრიალი—და დაუწყო დაშტერებით თვალიერება ამ ტყვეთა, რომელნიც პირველ ურემში სხედან.

— იესო, მარიამ! ეს ხომ გეტმანები არიან!

დესპანმა გონება დაჰკარგა და უგრძნობლად დაეცა ზაქარას ხელზედა.

რამდენსამე წუთს შემდეგ კორსუნის მეიდანზედ გაჩნდა აუარებელი რაზმი, რომელსაც წინ მიუძღოდა სამი მხედარი. შუაღა, წითელ-ტანისამოსიანი, ოქროს კვერთხით ხელში, იჯდა თეთრს ცხენზედ და თავ-მოწონებით, თითქო მეფეაო, ისე იხედებოდა გარშემო.

ის იყო ხმელნიცკი. ხმელნიცკის აქეთ-იქიდან იყვნენ ტუღაი-ბეი და ქშეჩოვსკი.

რესპუბლიკა ძირს იყო გართხმული ყაზახის ფეხ-ქვეშ, მტვრად ქცეული და სისხლით შესვრილი.

XVI

გავიდა რამდენიმე დღე. რესპუბლიკა იღუპებოდა თითქო. ყვითელი წყლები, კორსუნი, განადგურება სახელმწიფო ჯარებისა, დატყვევება გეტმანთა, ცეცხლი ამბოხებისა, რომელიც მოედო მთელს უკრაინას, ძარცვა-რბევა, კაცის-კვლა, რის მსგავსიც ისტორიაში არა მომხდარა-რა—ყოველივე ესე ისე მოულოდნელად მოსდევდა ერთმანერთს, ისე სასწრაფოდ მოხდა, რომ არ გაგონილიყო, დაუჯერებელს ამბავსა ჰგვანდა. ბევრს არცა სჯეროდა, ბევრი გააშეშა შიშმა და ძრწოლამ, ბევრი ჭკუაზედ შეიშალა, ბევრი წინასწარმეტყველებდა, ანტიქრისტე

დაიბადა და მოახლოვდა დღე საშინელის განკითხვისაო. კავ-
შირი, რომელიც აერთებს ადამიანთ ერთმანერთ-შორის, საზო-
გადო, საოჯახო, მოდუნდა. ხელმწიფება თვის ძალას არ იჩენ-
და, განსხვავება კაცთა შორის მოისპო, განჰქრა. ჯოჯოხეთმა
აუშვა ყველა თვისი ჯაჭვით დაბმული ურჩხული—დაე თავი-
სუფლად ინავარდონ ქვეყნადაო,—და ძარცვა-რბევამ, კაცის-
კვლამ, ღალატმა და ფიცის-გატეხამ დაიჭირა ადგილი გარჯისა,
სარწმუნოებისა, ბჭობისა. კაცს ეგონებოდა, რომ ამიერიდან
კაცობრიობამ უნდა იცხოვროს არა კეთილითა, არამედ ბო-
როტითა, რომ გული და გონება ადამიანისა გარდაიქმნა და-
წმინდად ის მიაჩნია, რაც წინად სამარცხვინო იყო, ხოლო სა-
მარცხვინოდ იმასა სახავს, რაც წინად წმინდად მიაჩნდაო. მზე
აღარ დაჰნათებდა დედა-მიწას,—კვამლი ცეცხლ-მოდებულის ქვე-
ყნისა გადაეფარა ზედა,—ხოლო ღამ-ღამით, ვარსკვლავთა და
მთვარეს მაგიერ, სჩანდა სინათლე ცეცხლ-მოკიდებულ დაბა-
სოფლებისა. ადამიანთ დაჰკარგეს ნიჭი მეტყველებისა და, ლა-
პარაკის მაგიერ, ჰკვნესოდნენ, ან-და ჰლმუოდნენ, ვითა ქოფაკნი.
სიცოცხლემ დაჰკარგა ყოველივე თვისი ფასი. ათასობით იღუ-
პებოდნენ კვალ-წმინდად, გამოუტირებლივ, ცრემლ-დაუყრე-
ლად. ხოლო ყოველ ამ ვაგლახსა და უბედურებაში, სიკვდილ-
სა, ოხვრა-კვნესასა და ცეცხლ-შორის სჩანდა მხოლოდ ერთი
კაცი, რომელიც სულ მაღლა-მაღლა მიდიოდა, იზრდებოდა
საარაკო გმირივით, კინაღამ აბნელებდა დღისა სინათლეს და
ჩრდილსა ჰფენდა ზღვიდან ზღვამდე.

ის ერთი კაცი იყო ბოღდან ხმელნიცკი.

ორასი ათასი კაცი, შეიარაღებულნი ფერხით თხემამდე,
თავ-ბრუ დასხმულნი და დამტკბარნი ძლევა-მოსილებითა, მზად
იყვნენ ცას შებრძოლებოდნენ, ოღონდ კი იმ კაცს ენიშნები-
ნა. მდაბიოთა ბრბო ჰღელავდა ყველგან; ყაზახნი იმ კაცს
უერთდებოდნენ ყოველ მხრიდან. მთლად ქვეყანა ამბოხების
ცეცხლით იყო აღგზნებული. აჯანყება ვრცელდებოდა პოდო-
ლისა, ბრაცსლავისა, ვოლინისა, კიევისა და ჩერნიგოვის სა-
მოურავოებში. ძლიერება გეტმანისა მატულობდა დღითი-დღე-

არასოდეს რესპუბლიკას ყოვლად ძლიერის მტრის წინააღმდეგაც არ გამოუყვანია იმის ნახევარი ლაშქარიც კი, რაოდენიც ეხლა ჰყავდა თოფ-ქვეშა. ასეთი მხედრობა არა ჰყოლია ნემენცების კეისარსაც კი. გრიგალის ძლიერებამ ბევრად გადააჭარბა ყოველსავე მოლოდინსა. თვით გეტმანმა არ იცოდა პირველში, რაოდენად ძლიერი იყო, არ ესმოდა, რაოდენად მაღლა-მაღლა მიდიოდა. ჯერ კიდევ თავს იკატუნებდა და ფარად იმასა ჰხმარობდა, რომ ერთგული ვარ რესპუბლიკისა, კანონიერების აღსადგენად ვმოქმედობო, რადგან არ იცოდა, რა გვარის დაუსჯელობით შეეძლო ფეხ-ქვეშ ეთელა რესპუბლიკაცა და კანონიერებაცა. ესეც კია, რომ გაძლიერებისათანავე, ძლიერდებოდა მისი უზომო, არ-გაგონილი თავ-მოყვარება. კეთილი და ბოროტი, ბიწიერება და სათნოება, ძალმომრეობა და სამართლიანობა ახლა ხმელნიცკისათვის აღარ არსებობდა: მისთვის სუფევდა ქვეყნად მხოლოდ პირადი სარგებლობა, კერძო შეურაცხ-ყოფა. ვინც ჩემთან არის—ის კარგია, ვინც ჩემი წინააღმდეგია, ის მოღალატეა და ავაზაკია. ხმელნიცკი მზად იყო მზე დაეტუქსნა და დიდ შეურაცხ-ყოფად მიეღო, უკეთუ დაიწყებდა ქვეყნის განათებას იმ დროს, როცა ეს გეტმანს არ ეპრიანებოდა. ეს იყო ის სათავე, საიდანაც მომდინარეობდა ყოველი მოქმედება ხმელნიცკისა—ავიცა და კარგიცა. თუ ზომა არა ჰქონდა მის მტარვალობასა და შეუბრალებლობას მტერთა წინაშე, სამაგიეროდ, უზომოდ მადლობელი იყო ყოველს, თუნდა სულ უმნიშვნელო, დავალებისათვის. როცა დაითვრებოდა, მხოლოდ მაშინ ივიწყებდა ყოველსავე და, გრგვინავდა-რა გამძვინვარებით, ათრთოლებულის ხმით იძლეოდა ბარბაროსულს ბრძანებას ბრძანებაზედ და მერე კი ისევ თვითონვე ჰნანობდა. ხოლო უგონოდ თვრებოდა უფრო ხშირ-ხშირად, იმის და კვალად, რაც უფრო ეწეოდა ბედი. რაღაც უცნაური მოუსვენრობა აწუხებდა. თითქო იმ სიმაღლეზედ აუყვანიათ, რომელზედაც დგომისათვის თვითონვე თავი არ ეღირსებაო. ძლიერება მისი აკვირვებდა ყველას და უპირველეს ყოვლისა თვითონ იმასაც. აჯანყების ბუმბერაზმა მკლავებმა,

რაკი ერთხელ ჩაიხვიეს, გააქანეს ელვასავით სწრაფად, უკან მოუხედებლად, საბედისწერო აუცილებლობით, გარნა საით? რითი უნდა გათავებულიყო ყოველივე ესე? როცა ააფრიალა დროშა აჯანყებისა იმის გამო, როგორ გამიბედეს და მაწყენინესო, შესაძლოა ეს ყაზახთა დიპლომატი ასე ჰფიქრობდა, რომ ბედის პირველ გაღიმების შემდეგვე ანუ პირველ დამარცხების შემდეგვე, ვეცდები მოვურიგდე მთავრობას და ისიც შემიწყალებს, იქნება კიდევაც დამაჯილდოვოსო. ხმელნიცკიმ კარგად იცოდა ამბავი რესპუბლიკისა, მისი უნარი მოთმინებისა, მისი მოწყალეობა, ჯზომო და სამზღვარ-დაუდებელი, რომელიც არ იყო შედეგი მისის უძლურებისა. ნალივაიკას, რომელსაც უკვე გარშემო რესპუბლიკის ჯარები ერტყა, უკვე სამუდამოდ დაღუპულს, მაინც კიდევ შეწყალება აღუთქვეს. გარნა ახლა, ყვითელ წყლებზედ გამარჯვების შემდეგ, შემდეგ გეტმანთა ჯარის ამოწყვეტისა, შემდეგ ძმა-ძმის მკვლელის ომის ატეხისა სამხრეთის ყველა სამოურავოში, საქმე ძლიერ შორს წავიდა, შედეგმა ძლიერ გადააჭარბა მოლოდინს; აწ ბრძოლა უნდა მომხდარიყო მედგარი, შეუბრალებელი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ან სიკვდილი ან სიცოცხლე. ვის დარჩება მერე გამარჯვებაო?

ხმელნიცკი აკითხვინებდა მკითხავებსა, ასტროლოგებსა და თვითონაც ცდილობდა განეჭვრიტა მერმისი, გარნა მერმისი იგი ისევე ბნელი იყო, როგორც სამარე. ხან და ხან საშინელის მოუსვენრობისაგან თმა ყალხზედ დაუდგებოდა ხოლმე, ხოლო გულში გამძვინვარებული განწირულება დაუწყებდა დუღილსა. რა იქნება ნეტავ ბოლოს, რა მომელისო? ხმელნიცკიმ ყველაზედ კარგად იცოდა, რომ რესპუბლიკას არ ეხერხება მოხმარება თვისის ძალ-ღონისა, არც კი იცის, რა ძალ-ღონეცა აქვს, არ იცის, რა საშინელის ძლიერებით არის შემოსილიო. რომ ვინმე ჩაიგდოს ხელში ეს ძლიერება, ვინ-ღა აღუდგება იმას წინ? ვინ იცის, რომ მოახლოვება უბედურებისა არ გააერთიანებს კვლავ დაქსაქსულ და დას-დასად დაყოფილს თავად-აზნაურობას? მაშინ რესპუბლიკა შეიძლებს ნახევარ-მი-

ლიონი, სულ რჩეული ჯარი გამოიყვანოს საომრად, სულ ამამტვეროს, თუნდა ყირიმის ყეენი კი არა, თვით ხონთქარიც ჩემი მომხრე და მშველელი იყოსო.

ამ მიძინებულ ძალ-ღონის ამბავი, ხმელნიცკის გარდა, კარგად იცოდა განსვენებულმა მეფე ვლადისლავლმაცა და ამიტომ იღვწოდა მთელს თვისს სიცოცხლეში, რომ მომზადებულიყო და თავ-განწირვით შეჰბმოდა ყოვლად ძლიერს მტერს, რათა გაეღვიძებინა ის მიბინარებული ძალ-ღონე. რაკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რა ძალის პატრონიც იყო რესპუბლიკა, ამიტომ არ ეშინოდა, თუ ნაპერწკალი გადუვარდებოდა ყაზახთა თოფის წამალში.

ხმელნიცკიმ იცოდა აგრეთვე, რა ძალა ჰქონდა წინააღმდეგობისა იმავე რესპუბლიკას. რამდენჯერ დაეჯახა ამ რესპულიკას, უწეს-ურიგოს, მტკიცედ შეუერთებელს, შინაურის შფოთით გაწამებულს, მრისხანე ზვირთი ოსმალოს ჯარებისა, მაგრამ ვერ გასტეხა მისი კლდესავით მაგარი გული. ასე იყო ხოტინს ახლო, რაიცა თითქმის თვისის თვალითა ჰქონდა ნახული ხმელნიცკის. და მაინც, ეს რესპუბლიკა, ჟამსა უძლურებისასაც კი, აღმართავდა ხოლმე თვისსა დროშას სხვათა სამეუფო ქალაქთა ზღუდეებზედა. ხოლო რა წინააღმდეგობის ძალას გამოიჩენს ახლა? რას არ შესძლებს, თუ განწირულებაში ჩავარდა, თუ იძულებულ იქმნა ან გაიმარჯვოს ან მოჰკვდესო?

თუ ასეა, მაშ თვითეული ჩემი გამარჯვება მოახლოვებაა ჩემისავე დაღუპვისა, მოსწრაფებაა იმ წუთისა, როცა გაიღვიძებს მთვლემავი ლომი, მოსპობაა შერიგების ყოველისავე იმედისაო. გამარჯვების ფიალას ძირში სიმწარეა ჩამალული. ყაზახთა გრიგალს მოჰყვება გრიგალი რესპუბლიკისა. ხმელნიცკის თითქო ელანდებოდა კიდეც, აგერ საცაა ამოვარდება ქარტეხილიო. აგერ მოზღვავდება დიდის პოლონიიდან, პრუსიიდან, მაზოვიიდან, მცირე პოლონიიდან ჯარი სპათა! მხოლოდ სპასპეტი და ამირ-სპასალარი-ღა აკლიათო.

ხმელნიცკიმ ტყვედ შეიპყრო გეტმანები, მაგრამ აქაც რაღაც ბედის-დაცინვამ იჩინა თავი. გეტმანები გამოცდილნი მხე-

დარნი იყვნენ, ხოლო არც ერთი არ იყო მათ შორის ისეთი, როგორსაც მოითხოვდა ეს ჟამი ქუხილისა, ძრწოლისა, სიკვდილისა.

ასეთ სპასპეტად მხოლოდ ერთს კაცს შეეძლო ყოფნა.

იმისი სახელი იყო იერემია ვისნეველეკი.

და თუნდ მარტო იმიტომ, რომ გეტმანები დატყვევებულ იქმნენ, არჩევანს ხელი ამ თავადისათვის უნდა დაედო. ხმელნიცკის, როგორც დანარჩენთაც, ეჭვი არა ჰქონდათ, რომ ეს ასე იქმნებოდა.

ამასობაში კორსუნს, საცა გეტმანი იმიერ-ჭორომეთისა დასასვენებლად იდგა, ხმა მოდიოდა იმიერ დნეპრის მხრიდან, რომ მრისხანე თავადი უკვე გამოემართა ლუბნიდან, გზა-გზა უწყალოდ ჰთრგუნავს ამბოხებას, საცა ის გაივლის, ქვა-ქვაზე ალარ რჩება დაბა-სოფლებისა და მათ მაგიერ ამართულია მარგილნი და სახრჩობელანიო. შიში ერთი ორად აზვიადებდა იმის მხედრობის რიცხვსა. ამბობდნენ, რომ თხუთმეტი-ათასი ჯარი მოჰყავს და თავადის მხედრობისთანა ხომ მხედრობა არ არის მთელს რესპუბლიკაშიო.

ყაზახთა ბანაკი ყოველს წუთს ელოდა იმის მოსვლას. ღრმა ხევთან ბრძოლის გათავებისათანავე გაისმა ძახილი ყაზახთა შორის: „ერიომა მოდისო!“ და ამ ძახილმა შიშითა და ძრწოლით ააავსო გული მდაბიო ხალხისა. ყოველივე ესე იყო მიზეზი, რომ ხმელნიცკი ღრმად ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის ყოფასა და ბედს. ახლა ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა გალაშქრებულიყო მთელის თვისის მხედრობით თავადის წინააღმდეგ და ეძებნა იგი დნეპრ-გაღმა-მხარეში, ან არა და შეჭრილიყო შიგ რესპუბლიკის შუა-გულ ქვეყნებში.

თავს დასხმოდა თავადს, საშიში იყო. შეჰბმოდა კიდევ პირდაპირ იმისთანა მხედართ-მთავარს, თუმცა ბევრად იმაზედ მეტი ჯარი ჰყავდა, ვაი თუ დამარცხებულიყო და მაშინ ხომ დავიღუპე და დავნელდიო. იმ ბრბომ, რომელიც იყო უმეტესი ნაწილი ხმელნიცკის ჯარისა, ცხადად დაანახვა, რა საშიში იყო იმ ბრბოსთვის მარტო სახელი ერემიასი. რამდენი დროა ჯერ

კიდევ საჭირო, რომ ეს ბრბო დარაზმულ და გაწვრთნილ ჯარად გადაიქცესო.

მეორეს მხრით, შესაძლოა, რომ თავადი პირის-პირ არ შეჰბრძოლებოდა ხმელნიცკის და დაჰჯერებოდა ციხე-დარბაზთა დაცვას და თარეშობას. ასეთი ომი დიდ ხანს გასტანდა, თუ რამდენიმე წელიწადი არა, რამდენიმე თვე მაინც გავიდოდა, ხოლო ამასობაში რესპუბლიკა შეაგროვებდა დიდს ჯარს და მიეშველებოდა თავადს.

ხმელნიცკიმ გადასწყვიტა, მივანებებ თავს ვისნეველეცკის დნეპრ-გალმა-მხარეში, ხოლო მე გაემაგრდები უკრაინას, დავრაზმავ და გავსწურთნი ჩემს ჯარს, გავემართები რესპუბლიკის წინააღმდეგ და ვაიძულებ მშვიდობის ჩამოგდებასაო. ხმელნიცკის იმისი იმედი ჰქონდა, რომ თავადს ძალიან გაუჭირდება დათრგუნვა აჯანყებისა იმიერ დნეპრის მხარეშიო.

ან შესაძლოა მორიგება დავუწყო თავადს და გავაჭიანურო ეს საქმე. იმ დრომდე, ვიდრე მისი ძალ-ღონე სრულიად არ გამოილევაო. აქ ხმელნიცკის მოაგონდა სქშეტუსკი და ბრძანა, მომიყვანეთ ის კაციო.

ეს ამბავი მოხდა იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ღრმა ხევთან იყო. ხმელნიცკიმ მიიღო ტყვე მხოლოდ ქშეჩოვსკის თანადასწრებით,— ქშეჩოვსკი დიდის ხნის ნაცნობი იყო სქშეტუსკისა; მიიღო ტკბილად, თუმცა-კი ეტყობოდა ის მედიდურებაც, რომელიც იმის დღევანდელს როლს შეეფერებოდა.

— პან პარუჩიკო სქშეტუსკი!—უთხრა დესპანსა,—იმ სიკეთისათვის, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ, დაგიხსენით ტულაიბეის ტყვეობიდან და თავისუფლება აღგითქვით. ახლა დროა, ჩემი აღთქმა შევასრულო. მოგცემთ ბერნაჩს*) თავისუფლად მგზავრობისათვის და დარაჯთა რაზმს, რომელიც დაგიფარავთ ბრბოს თავ-დასხმისაგან. შეგიძლიანთ დაბრუნდეთ თქვენს თავადთან.

სქშეტუსკი სდუმდა: იოტის ოდენი სხივიც კი სიხარულისა არ გადაეფარა მის სახეს.

---

*) კვერთხი ყაზახთა პოლკოვნიკებისა, რომელიც უზრუნველ-ყოფის სიგელისა და ფირმანის მაგიერობასა სწევდა.

— შეგიძლიანთ თუ არა გაუდგეთ გზას? თვალებზედ გატყობთ, რომ ავადა ხართ.

მართლაც, პან სქშეტუსკი საშინლად გამოიცვალა. წყლულებმა და უკანასკნელმა ამბებმა ნიათი გამოულია ახალგაზდა მდევსა. პირი-სახე გაჰყვითლებოდა, ხოლო შავი, დიდის ხნის გაუკრეჭელი წვერი, უფრო მეტად სდებდა სიბერის იერსა. ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა ამ ბოლოს დროს. მოსდევდა ყაზახთა ლაშქარს და მოწამე იყო ყოველისავე, რაც მოჰხდა სეჩსა. ჰნახა შერცხვენა რესპუბლიკისა, ჰნახა დატყვევება გეტმანთა; ჰნახა ძლევა-მოსილება ყაზახთა; ყორენი, აგებულნი ამოჟლეტილ მხედართა თავებისაგან, შლიახტიჩები, ნეკნებით ჩამოკიდულნი ხეებზედ, ძუძუ-დაჭრილნი დედაკაცნი, ძალ-დატანებით გაწბილებულნი გასათხოვარნი ქალნი, ჰნახა ყოველივე, იტანჯებოდა ყოველ ამისათვის და იტანჯებოდა მით უფრო მეტად, რომ აჩემებითა ჰფიქრობდა: იქნება თვით მე ვარ მიზეზი ამ უბედურებისა, რადგან მე, და მხოლოდ მე გადავარჩინე სიკვდილს ხმელნიცკიო! მაგრამ რაინდმა-ქრისტეანემ რა იცოდა, რომ შემწეობა მოყვასისა ასეთს ნაყოფს გამოიღებდა! ისეთს მწვავე ტკივილსა ჰგრძნობდა ყოველ ამის გამო, რომ სულ გული უკვნესოდა, მთლად ჯანი სტკიოდა.

ახლა ისიც კი აღარ ახარებდა, რომ მალე სრულიად თავისუფალი იქმნებოდა, ხოლო მედიდურება ახალ-გამომცხვარ გეტმანისა აინუნშიაც არ მოსდიოდა. ხმელნიცკიმ შეჰნიშნა ესა და კოპები შეიკრა.

— ისწრაფეთ და თქვენდა სასარგებლოდ გამოიყენეთ ჩემი სულ-გრძელება, ვიდრე ჯერ კიდევ არ გადამითქვამს, რაც ვბრძანე. მხოლოდ ჩემი გულ-კეთილობა და ის ფიქრი, რომ წმინდა საქმეს ვადგიეარ, არის მიზეზი ასეთის ჩემის გაუფრთხილებლობისა, თორემ ვინ განუტევებს მტერს. ძალიან კარგად ვიცი, რომ შემდეგ ჩემს წინააღმდეგვე დაიწყებთ ბრძოლას.

— დიაღაც, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა და ღონე მომცა,—სთქვა პასუხად პან სქშეტუსკიმ.

სთქვა ესა და ისე გაუყარა თვალი თვალში გეტმანსა, რომ ხმელნიცკიმ ძირს დაიწყო ცქერა და სდუმდა პატარა ხანსა.

— კარგი, აგრე იყოს. იმდენად ძლიერი ვარ, რომ ერთი მეტი კაცი მტრის ჯარისა ვერას დამაკლებს. უამბეთ თავადს, თქვენს ბატონს, რაც აქ ჰნახეთ და გააფრთხილეთ, რომ აბუჩად არ დამიჭიროს, თორემ, თუ მოთმინების ძაფი გამიწყდა, იქ ვინახულებ, დნეპრს გაღმა და არ ვიცი, რამდენად სასიამოვნო იქმნება მისთვის ჩემი სტუმრობა.

სქშეტუსკი სდუმდა.

— მითქვამს და ერთხელ კიდევ ვიმეორებ,—განაგრძო ხმელნიცკიმ,—რომ რესპუბლიკას კი არ ვეომები, არამედ პანებსა. ხოლო თქვენი თავადი მოთავეა იმათი. ის არის მტერი ჩემი და რუსეთის ერისა, განკვეთილი ჩვენის ეკლესიისაგან და მტარვალი. ამბობენ, რომ სისხლით აქრობს ამბოხების ცეცხლსაო; ფრთხილად იყოს, რომ თავისი სისხლი არ დააქციოს.

ხმელნიცკი უფრო და უფრო ცხარდებოდა. სახე აუჭარხლდა, თვალები ცეცხლივით გაუხდა. ეტყობოდა, რომ მოსდიოდა კვეთება განრისხებისა, როცა სრულიად ჰკარგავდა ნიჭს მსჯელობისასა.

— ვუბრძანებ კრივონოსსა, რომ ყელზედ საბელ-მობმული მომიყვანოს აქა!—ჰყვიროდა ხმელნიცკი.—ფეხ-ქვეშ გავთელავ, უზანგოდ გარდავაქცევ და ისე დავიწყებ ცხენზედ შეჯდომასა!

სქშეტუსკიმ ჯერ შეჰხედა გაწიწმატებულს ხმელნიცკის და მერე სთქვა გულ-დამშვიდებითა:

— ჯერ სძლიეთ და...

— ბრწყინვალეო გეტმანო,—ჩაერია ლაპარაკში ქშეჩოვსკი,—დაე წავიდეს ეს ტრაბახა და ფაფხურა შლიახტიჩი, იმიტომ რომ თქვენის ღირსებისათვის შეუსაბამო საქმეა ასე უყადრებდეთ ამას თავსა. რაღაი აღგითქვამთ თავისუფლება, ესეც ელის, რომ არ გასტეხავთ თქვენს სიტყვას, ან არა და იძულებულნი იქმნებით ყური უგდოთ ამის კადნიერ ლაპარაკს.

ხმელნიცკი გონს მოვიდა, ამოიოხრა რამდენჯერმე და სთქვა:

— დაე წავიდეს და ახსოვდეს, რომ ხმელნიცკი სიკეთისათვის სიკეთეს უწევს ყველას. მივცე?, როგორც ვსთქვი, პერნაჩსა და ორმოცს კაცს თათარსა... ხოლო თქვენ, პან პარუჩიკო, იცოდეთ, რომ ქვითნი ვართ. შემიყვარდით ძალიან, თუმცა მეტად ჰკადნიერობთ... თუ კიდევ ჩამივარდით ხელში, აგრე ადვილად ველარ წაბძანდებით.

სქშეტუსკი და ქშეჩოვსკი ერთად გამოვიდნენ გარედ.

— რაკი გაგანთავისუფლათ გეტმანმა,—უთხრა ქშეჩოვსკიმ,—გირჩევთ, ძველის ნაცნობობით, ვარშავისაკენ წახვიდეთ, და არა იმიერ დნეპრის მხარეს, საცა დაიღუპებით აუცილებლად. თქვენის ბატონობის დრო წავიდა. თქვენი გონება რომ დაბრმავებული არ იყოს, ჩვენ შეგვიერთდებოდით... მაგრამ, ვიცი, რომ არა გამოვა-რა და ამიტომ არა ჭლირს თქვენთან ლაპარაკი! ისევე ამაღლდებოდით, ისევე მაღლა ახვიდოდით, როგორც ჩვენ ავდიეართ.

„სახრჩობელაზედ ადიხართ“,—სთქვა გულში სქშეტუსკიმ.

— ლიტინის უფროსობაც არ მომცეს და ახლა კი, რომ მოვინდომო, თუნდ ათს უფროსობას ვიშოვი. ყველა ამ თქვენ ბატონებს, ამ კონეცპოლსკებს, პოტოცკებს, ლიუბომირსკებს, ვისნეეეცკ-ზასლავსკებს და მთლად აზნაურშვილობას გავრეკავთ აქედან და ჩვენ დავეპატრონებით იმათ ავლა-დიდებას.

სქშეტუსკის აზრი შორს, ძლიერ შორს ჰქროდა ამ დროს. პოლკოვნიკის როშვას სრულიად ყურს არ უგდებდა.

— როცა ჩვენის გამარჯვების შემდეგ ვინახულე მისი ბრწყინვალება პან გეტმანი რესპუბლიკისა, იუდა და საზიზღარი დამიძახა. მე ვუთხარი პასუხად: „პან მოურავო-მეთქი! მახსოვს თქვენი სიკეთე და ამიტომ, როცა თქვენს ციხე-დარბაზებში გამოვიჭიმები,—აღმითქვით მხოლოდ, რომ არ ილოთებთ,—და ჩემს თანაშემწედ დაგნიშნავთ მეთქი! „დიაღ! ტუღაი-ბეი უფრთხილდება თავის დავლას, თორემ მე და ხმელნიცკი სხვაფრივ დავუწყებდით იმათ ლაპარაკსა... აგერა თქვენი

ურემიცა და თათრებიცა, სულ მზად არის ყოველივე. საითა გსურთ წახვიდეთ?

— ჩიგირინისაკენ.

— როგორც გინდოდეთ. თათრები თუნდა თვით ლუბნამდე მიგიყვანენ,—ასე აქვთ ნაბრძანები. ეცადე მხოლოდ, რომ თქვენმა თავადმა მარგილზედ არ ჩამოაცვას. ყაზახებს უთუოდ ჩამოაცვამდა და ამიტომ ურდოს ხალხს გატანენ თან. გეტმანმა ბრძანა თქვენი, რომ ჩემი ცხენი მიეცითო. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ; ავად ნუ მოგვიხსენიებთ, თქვენს თავადს სალამი მოახსენეთ, ხოლო თუ თავისუფალს დროს იპოვნით, დააჯერეთ, რომ მოვიდეს და თავი დაუკრას ხმელნიცკის. იქნება შეიწყალოს კიდეცა. შვიდობით იყავით!

სქშეტუსკი ჩაჯდა ურემში და გაუდგა გზას. ბაზარში გავლა საკმაოდ ძნელი იყო. სულ ყაზახებითა და მდაბიო ხალხის ბრბოთი იყო ავსებული. ზოგნი მხიარულად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ზოგნი ქაშსა ჰხარშავდნენ და ამბობდნენ სიმღერებს ყვითელ წყლებისა და კორსუნის გამარჯვებისას. უსინათლო მეფანტურეთ უკვე გამოეთქვათ ლექსები და მოეგონათ შესაფერი სასიმღერო კილო ამ შემთხვევისათვის. აქა-იქ, დანთებულ ცეცხლებ შორის, ეყარნენ გვამნი ტანჯვითა და წამებით დახოცილ დედა-კაცთა, ან ეხროვა ყორე დახოცილ ჯარის-კაცთა მოკვეთილ თავებისა. გვამნი უკვე ასუნებულიყო, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებდა მეიდანზე შეკრებილ ხალხს. ქალაქს ცხადად ეტყობოდა ნიშნები მოოხრებისა და იმიერ-ჭოროომელთ გამხეცებულის ონავრობისა: სახლების ფანჯრები ჩალეწილი იყო, კედლები დაქცეული, ღობე-მარგილები შემკული ჩამორჩობილთა მიერ, რომელთა შორისაც უმეტესი ნაწილი ურიანი იყვნენ. ბრბო მხეცურის ყიჟინით აუპატიურებდა უკვე გაცივებულ გვამებსა.

ბაზრის ერთ მხარეზედ ჯერ კიდევ ჰბოლავდა ნანგრევები და ავსებდა ჰაერს სულის შემხუთავის მწარე კვამლითა, მერე იდგა კაშევოის სახლი, ხოლო მის ახლო იყვნენ თავ-მოყრილნი ბრბონი ტყვეთა, გარშემორტყმულნი თათარ-დარაჯთაგან.

ვინც ჩიგირინისა, ჩერკასისა და კორსუნის ახლო-მახლო ვერ გადარჩა, ის ან მახვილის მსხვერპლი შეიქმნა, ან ტყვედ იყო დაჭერილი. ტყვეთა-შორის იყვნენ ჯარის-კაცნიცა, უკანასკნელს ომში შეპყრობილნი, და გარშემო სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ მიემხრნენ მეამბოხეთა, აზნაურშვილობა და გლეხ-კაცნი ორისავე სქესისანი. მოხუცნი არ ერიენენ ტყვეებში; იმათი გაყიდვა სარფა არ იყო და ამიტომ თათრები უწყალოდ ჰხოცავდნენ ხანში შესულებს. თათრებით აივსო რუსთა სოფელნი და ხმელნიკი ხმის გაცემას ვერ უბედავდა იმათ. ზოგან ისე მოხდა, რომ მამა-კაცობა ყაზახთა ბანაკში იყო წასული, ხოლო თათრებმა ამისთანა საქციელის ჯილდოდ ცეცხლი წაუკიდეს იმათ სახლებს და დაატყვევეს მათნი ცოლ-შვილნი. მაგრამ ამ საყოველთაო არევ-დარევის დროს, ამას არავინ-ღა აქცევდა ყურადღებას. მდაბიო ხალხის ბრბო, რომელმაც მახვილს წაავლო ხელი, უარჰყოფდა სამშობლო სოფელს, სახლ-კარს, ცოლ-შვილს. იმათ სტაცებდნენ ცოლებს, მაგრამ სამაგიეროდ ისინიც იტაცებდნენ და უფრო უკეთესობასაც იტაცებდნენ, იტაცებდნენ პოლონიის ქალებს, ძღებოდნენ იმათის შვენებითა და მერე ან ჰხოცავდნენ, ან ჰყიდდნენ ურდოს თათრებს. ტყვეთა შორის ცოტანი არ იყვნენ უკრაინელნი ყმაწვილნი ქალნიცა, რომელნიც ერთის თოკით იყვნენ გადაბმულნი აზნაურშვილთა გასათხოვარ ქალებთან ერთად. ყველგან ისმოდა ყრუ კვნესა და გმინვა ტყვეთა, რომელთაც შეუბრალებლად ჰხოცავდნენ ტანჯვითა და წამებითა სულ მცირედის წინააღმდეგობისათვის. ტყლაშუნი შოლტისა და მათრახებისა შეერთებოდა ტკივილისგან გამოწვეულს ყვირილს, დედაკაცთა ქვითინსა, ყმაწვილების ტირილს და ცხენთა ჭიხვინსა. ტყვენი ჯერ განაწილებულნი არ იყვნენ, წასაყვანად მომზადებულნი და ამიტომ ერთად აელინთათ ყველანი. ურმები, ცხენები, სხვილ-ფეხი საქონელი, მამაკაცნი და დედაკცნი მხოლოდ გაყოფა-განაწილებას ელოდნენ. ამასობაში მოდიოდა და მოდიოდა კიდევ ახალ-ახალი ქარავანი ტყვეთა და საქონლისა; როსის მდინარეში გაჰქონდათ და

გამოჰქონდათ მძიმე ბორნები. კაშეკოის სახლიდან გამოდიოდნენ თათარნი და სტკბ.ბოდნენ ამ ნაალაფევის რაოდენობითა. ძალზედ მთვრალები, უცნაურ ტანისამოსით მორთულნი, რუსთა მღვდლების ანაფორებ-ჩაცმულნი, ქალების კაბებითა და სამკაულით აჭრელებულნი იყვნენ და უკვე ჩხუბი მოსდიოდათ, არა ჩემია ესა თუ ის ნადავლი, არა ჩემიო.

პან სქშეტუსკი გასცდა, ბოლოს, როგორც იყო, ამ ცეცხლსა და ჯოჯოხეთსა. ეგონა, რომ ამას იქით პატარა თავისუფლად ამოვისუნთქავო, მაგრამ ახალმა საშინელმა სანახაობამ ატკინა ახლა თვალები. მინდორში, ჩერკასის გზაზედ, ახალგაზდა მხედარნი მიზანში ისრის სროლით ერთობოდნენ და ჰხოცავდნენ დასუსტებულ, ან ავადმყოფ ტყვეებსა, ერთის სიტყვით, ყველა იმათ, ვინც ვერ აიტანდა ყირიმში მგზავრობის სიძნელესა. უკვე რამდენიმე მოკლული ეყარა გზაზედ. ვინც მიზნადა ჰყვანდათ, ხელებით ეკიდნენ გზის აქეთ-იქით არიგ-ჩარიგებულ ხეებზედ და გაჰქონდათ კონწიალი. მათ შორი ერივნენ ღრმად მოხუცნი დედა-ბერნიცა. ყოველ ისრის კარგად გატყორცნასა და მიზანში მორტყმას მოსდევდა ხარხარი და ტაშის კვრა ნიშნად ქებისა:

— იახში იეგით—ყოჩაღ მხედარო!

— უქ იახში კოლ!—ისარი კარგს ხელს უჭირავს!

პაპანაქება სიცხე იყო, მზე საშინლად იკბინებოდა. მხოლოდ ერთს საათს შემდეგ გაიმინდვრა პან სქშეტუსკიმ თავის მხლებლებითურთ. ყველგან გზა-გზა სჩანდა ნიშნები მაოხრებელთა გავლისა: მინგრეულ-მონგრეული სახლები მოსახლეთა, გაძოვილი ყანები, გადაჩეხილი ბაღები ხეხილისა. გზა-გზავე ეყარა გვამნი ადამიანთა და მძოვრი ცხენებისა, ხოლო ზედ ტკრციალით ეხვეოდა გუნდი ყვავთა და ყორანთა. სისხლით-შესვრილი საქმე ხმელნიცკისა ყოველგან თვალში ეჩხირებოდა კაცს და ძნელი გასაგები იყო, რა სწადდა ამ კაცს, როცა უპირველეს ყოვლისა მისი მშობელი ქვეყანა ჰკვნესოდა ასეთ აუტანელ უბედურების ტვირთ ქვეშე.

მლეევში პან სქშეტუსკის კიდევ შეხვდნენ ახალნი რაზმნი თათართა ტყვეებითურთ. დაბა ესე სულ განადგურებული იყო, გადარჩენილიყო მხოლოდ მაღალი სამრეკლო და მუხა, რომელსაც საშინელი ნაყოფი მოესხა: მისი ტოტები დახუნზული იყო ურიების ყმაწვილებითა. ეს პატარა ურიები საშის ღღის წინად ჩამოეხრჩოთ. აზნაურშვილობა კონოპლიანკისა, სტაროსელისა და სხვა დაბა-ქალაქისა სულ ერთიან ამოეჟლიტათ. ერთი ქალაქი სულ ცარიელი იყო: მამა-კაცნი ხმელნიცკისთან გაქცეულიყვნენ, ხოლო დედა-კაცნი, ყმაწვილები და მოხუცებულნი ტყეში გახიზნულიყვნენ და თავად ერემიას ელოდნენ.

მესამე დღეს პან სქშეტუსკი მივიდა ჩიგირინს და უნდოდა გაეგო რამ ამბავი, მაგრამ არავინ არა იცოდა·რა სრულიად. დესპანი გავიდა დნეპრში, რათა დაუყოვნებლივ წასულიყო რაზლოგისაკენ. რაკი დარწმუნებული იყო, რომ მალე გავიგებ, რა ამბავია ელენეს თავსაო, გამხნევდა და ჯან·ღონე მოემატა. ურემს თავი დაანება, შეჯდა ცხენზედ და გაექანა ნიავქარივით; თან აქეთ·იქით იცქირებოდა, იქნება დაეინახო ვინმეო. მაგრამ გარშემო ჭაჭანებად არავინ არ იყო.

მხოლოდ ერთგან თათრებმა შეიპყრეს ორი სრულიად დედი-შობილა კაცი და მოუყვანეს პან სქშეტუსკის.

— სადაურები ხართ?—ჰკითხა პან სქშეტუსკიმ.

— არც სადაურები, ბატონო!—უპასუხა მოხუცმა.—დავდივართ სოფელ სოფელ, მე ფანტურით და ეს—მუნჯია, მე ლავყავარ.

— საიდან მოდიხართ ეხლა, რომელ სოფლიდან? თქვი გაბედვით; არავინ რას დაგაკლებს.

— ჩვენა, ბატონო, ყველა სოფელში დავდიოდით, ვიდრე ერთმა წყეულ-შეჩვენებულმა კაცმა არ გაგვძარცვა. წაღები გვქონდა კარგი—წაგვართვა, ქუდები—წაგვართვა, ფანტურიც კი არ დაგვიტოვა.

— შე სულელო, მე იმას გეკითხები, რომელ სოფლიდან მოდიხარ-მეთქი?

— არ ვიცი, პანე, მათხოვარა ვარ. შიშველ-ტიტველნი ვართ, ღამე ვთათქანებთ სიცივით, დღისით ვეძებთ მოწყალე ხალხს და შევსთხოვთ შეგვმოსონ და გაგვიკითხონ.

ცხადი იყო, რომ მოხუცმა ვერ გაიგო, რა კაცს ელაპარაკებოდა და უნდოდა თვალები აეგბა დესპანისათვის. ბანზედ აგდებდა სიტყვასა.

— რაზლოგში იყავი, იქ, საცა თავადნი კურტევიჩნი სცხოვრობენ?

— რა მოგახსენოთ.

— ჩამოახრჩეთ ეს კაცი, რახან არაფრის თქმა არ უნდა! — ბრძანა პან სქშეტუსკიმ.

— ვიყავი, ვიყავი, პანე! — შეჰღრიალა მოხუცმა, რაკი მიხვდა, რომ მე აქ ვერას გავყიდიო.

— რა ჰნახე მერე იქ?

— ამ ხუთის დღის წინად ვიყავი იქ! ხოლო შემდეგ ბროეარკებში გავიგონეთ, რომ იქ რაინდნი მოვიდნენო.

— ვინ რაინდნი?

— რა მოგახსენოთ, პანე! ზოგნი ამბობენ — პოლონელნიო, ზოგნი კიდევ — ყაზახნიო.

— გავუდგეთ გზას! — შეუძახა პან სქშეტუსკიმ თვისთა თითართა.

პატარა გუნდი ცხენოსანთა, როგორც ჩიტი, ისე გაფრინდა. საღამო-ჟამი იყო, სწორედ ისეთი, როცა დესპანმა პირველად ჰნახა ელენე და კაღამლიკიც სწორედ ისევე ბრწყინავდა წითელ-ყვითლადა, მხოლოდ მაშინ გული სქშეტუსკისა აღსავსე იყო სიხარულითა და იმედებით და ეხლა კი ისე მიდიოდა, თითქო მსჯავრ-დადებულია სიკვდილით დასასჯელადაო, გაწამებული რაღაც სამძიმო წინად-გრძნობითა. ხმა განწირულებისა და სასოწარკვეთილებისა ჩასჩურჩულებდა: „უთუოდ ბოგუნმა გაიტაცა ის ქალი, ვეღარა ჰნახავ იმასაო!“ „არა, თავადი მოვიდა რაზლოგში! ელენე მორჩენილა!“ — ჩასჩურჩულებდა იმედი.

გავიდა ერთი საათი, მეორე. ამოვიდა სავსე მთვარე. ჩვენი ცხენოსნები მიჰქროდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ და აღარ იბრალებდნენ ცხენებსა. აგერ მათ ახლო გამოჩნდა ტყე, ტყის იქით ხევი და რაზლოგიც ხომ იქვეა. ერთი წუთიცა და ბედი რაინდისა გადაწყდებოდა. ქარი ზუზუნებს და უქედავს ყურებს, ქუდი მოეხადა და სადღაც გადაუვარდა გზაში, ცხენი ჰკენესის, თითქო ეს-ეს არის წაიქცევაო. ერთი წუთი კიდევ, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და ხევიც გაილევა... აგერ! აგერ!

უცბად საშინელი, განწირული ხმა აღმოხდა პან სქშეტუსკის გულიდან.

სახლი, ამბარ-ბეღელი, თავლა-გომური, მესერი, ალუბლის ბაღი,—ყოველივე გამქრალიყო.

მკრთალი ნათელი მთვარისა დაჰნათოდა ამაღლებულს ბექობს და ზედ მიყრილ-მოყრილ ნანგრევთა გროვას, რომელსაც კვამლი და ბოლიც კი აღარ ასდიოდა.

სამარის მდუმარებას არავითარი ხმა არ არღვევდა.

პან სქშეტუსკი იდგა თხრილ წინა, დამუნჯებული, უგონოდ და მხოლოდ რაღაც უცნაურად იქნევდა თავს აქეთ-იქით.

თათრებმა შეაყენეს ცხენები. დესპანმა მოსძებნა ნაშთნი გადაბუგულის ადგილისა, გადავიდა თხრილს იქით ზედ გარდიგარდმო გადებულ ხეზედ და ჩამოჯდა ქვაზედ ეზოს შუა-გულ. მიიხედ-მოიხედა გარშემო, თითქო პირველადა ჰხედავს აქაურობასაო. ხმა, კრინტი არ დაუძრავს, ერთხელ არ დაუკვნესია, ჩაჰლუნა მხოლოდ თავი, დააყრდნო იდაყვებს და, თითქო გაქვავდაო, იყო ისე. მის გონებას ჯარიეით ესეოდა რაღაც გამოურკვეველნი ლანდნი და სურათნი. ჰხედავდა თითქო ელენეს იმ სახით, როგორც ჟამსა გაყრისასა, მხოლოდ კარგად ვერ არჩევდა მის ფერსა და იერს, რადგან გარშემო რაღაც წყვდიადი შემორტყმოდა ვითომ. უნდოდა განებნია ეს ნისლ-ბურუსის მსგავსი წყვდიადი, მაგრამ არ შეეძლო ვითომ. მერე მის თვალწინ გამოჩნდა ბუნდად ჩიგირინის ბაზარი, მოხუცი ზაცვილიხოვსკი, ლოთობით დასივებული სახე ზაგლობასი; ეს სახე აღარ

შორდებოდა თვალთაგან, ვიდრე მის მაგიერ არ წარმოუდგა მოშავ-ბედეპული, კუშტი სახე გროძიცკისა. კუდაკი... ჭორომები... ომი ხორტიცისა... სეჩი... მთელი გზა, ყოველი ამბავი და გარემოება უკანასკნელ წუთამდე... შემდეგ რაღა უნდა ყოფილიყო, აღარ იცოდა რა და მხოლოდ უკუნეთს სიბნელესა და წყვდიადსა ჰხედავდა. რა ამბავი იყო მის თავს, აღარ ესმოდა, განურკვევლად ჰგრძნობდა, რომ ელენესთან მივდივარ რაზლოგშიო, მაგრამ დავიღალე და აი ვისვენებ ახლაო. უნდოდა წამომდგარიყო და და განეკრძო მგზავრობა, მაგრამ რაღაც უცნაური სისუსტე აღარ უშვებდა.

იჯდა სულ ასე. ღამე გატყდა. თათრებმა უნაგირები მოჰ-ხადეს ცხენებსა, დაანთეს ცეცხლი, ივახშმეს და დაიძინეს.

მაგრამ ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ მოისმა შორიდან ხმა შორიდან ჯარის მოახლოვებისა.

თათრები ფეხზედ წამოხტნენ, მიაბეს თეთრი ხელსახოცი მაღალს ლატანს და შეშა მიუმატეს ცეცხლს.

ხმა ცხენების თქარა-თქურისა და იარაღის ჩხარა-ჩხურისა უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა. ბოლოს, გამოჩნდა გზა-ზედ რაზმი გვარდიისა და მაშინვე შემოერტყა თათრებს. გაი-მართა სასწრაფო ხან-მოკლე მოლაპარაკება. თათრებმა სთქვეს, რომ ვაცილებთ დესპანსაო, ხოლო ვისი დესპანია და ან ვის-თან იყო გაგზავნილი, არ ვიცითო.

რაზმის უფროსი ავიდა ბექობზედ რამდენიმე ამხანაგითა და, მოჰკრა თუ არა თვალი უძრავად მყოფს კაცსა, მაშინვე შესძახა სიხარულით:

— სქშეტუსკია! ღმერთსა ვფიცავ, ეს სქშეტუსკია?

დესპანმა თავი არ აიღო მაღლა.

— პან დესპანო, ვეღარა მცნობ? ბიხოვეცი ვარ. რა დაგე-მართათ?

დესპანი კვლავ მდუმარებდა.

— გამოფხიზლდით, ღვთის გულისთვის! ეი, ამხანაგნო, აქ მოდით, აქა!

მართლაც, ის კაცი ბიხოვეცი იყო და თავად იერემიას ჯარის პირველ მიმსელელ-მცემელ რაზმს მოუძღოდა.

ამასობაში მოვიდნენ სხვა რაზმნიცა.

ამბავი სქშეტუსკის გამოჩენისა ელვასავით მოიფინა ყველგან. ყველანი მიისწრაფეზოდნენ ამხანაგისა და მეგობრის სანახავად. პატარა ვოლოდიევსკი, ორპიშევსკი, მიგურსკი, ლენცი, პან ლონგინუს პოდბიპენტა და მრავალი სხვა აფიცრები სირბილით აცვინდნენ ბექზედ. მაგრამ ამაოდ ელაპარაკებოდნენ, ამაოდ ანჯღრევდნენ და ცდილობდნენ, იქნება დავძრათ როგორმე ადგილიდანაო,—პან სქშეტუსკი შესცქეროდა იმათ დაჭყეტილის, გაოცებულის თვალებით და ვერავის ვერა სცნობდა. მაგრამ არა: თითქო სცნობდა, მაგრამ ეტყობოდა, თითქო ყველანი უცხონი არიან მისთვისაო. მაშინ კი, ყველანი, ვინც იცოდნენ, როგორ უყვარდა სქშეტუსკის ელენე, მიხვდნენ, რა ადგილი იყო ის ადგილი, საცა შავად იცქირებოდა გადამწვარ გადაბუგული მიდამო და ყოველივე ცხადი შეიქმნა მათთვის.

— მწუხარებისგან ჭკუაზედ შეშლილა, — სთქვა ნელის ხმით ერთმა.

— ქსენძთან წავიყვანოთ. იქნება, როცა იმას დაინახავს, გონებაზედ მოვიდეს.

პან ლონგინუსი სულ ხელებს იმტვრევდა, ყველანი შემოეხვივნენ დესპანს და გულ-მტკივნეულობით დაჰყურებდნენ.

ბევრს თვალები მოუცრემლიანდა. უცბად ვიღაც ახოვანი კაცი გამოერჩია ამ ხალხში, მივიდა დესპანთან და დაადო თავზედ ხელი.

ის იყო ქსენძი მუხოვეცკი.

ყველანი დადუმდნენ და ყველამ მუხლი მოიდრიკა სასწაულმოქმედების მოლოდინშია, ხოლო ქსენძი კი არავითარის სასწაულ-მოქმედების ქმნას არ აპირებდა. მან მხოლოდ აღმართა თვალნი ცად, საცა ჭახჭახი გაჰქონდათ ვარსკვლავებს და ასე სქშტუსკის თავზედ ხელ-დადებულმა დაიწყო მაღალის ხმით „მამაო ჩვენო“ ლათინურად:

— Pater noster, qui es in coelis! sanctificetur nomen Tuum, advenit regnum Tuum, fiat voluntas Tua...

მღვდელი შესდგა პატარა ხანს და გაიმეორა უფრო ხმამაღლა და უფრო მეტის ღაღადებით:

— Fiat voluntas Tua...

გამეფდა დიდი მდუმარება.

— Fiat voluntas Tua!—მესამედ წარმოსთქვა ქსენძმა.

მაშინ სქშეტუსკის აღმოხდა გულიდან კვნესა უიმედობისა და განწირულებისა:

— Sicut in coelo, et in terra!

და რაინდი გულ-ამოსკვნილის ქვითინით დაეცა ძირს.

ნაწილი მეოთხე

X

უნდა დავუბრუნდეთ წინანდელს ამბავს, სახელდობრ, იმ ღამინდელს ამბავს, როცა სქშეტუსკიმ რაზლოგს გაჰგზავნა ჟენძიანი კუდაკიდან და თან წერილი გაატანა მოხუცებულ კნეინასთან. უამისოდ ვერ გავიგებთ, რა ბედი ეწია რაზლოგს. სქშეტუსკი სწერდა, რომ დიდადა გთხოვთ, რაც შეიძლება მალე წაბრძანდით ლუბნს, თან წაიყვანეთ ელენეც და მიჰმართეთ თავად ირემიას მფარველობასა, რადგან, შესაძლოა, დღეს არა ხვალ უთუოდ ატყდეს ომიო. ჟენძიანი ჩაჯდა იმ ნავში, რომელიც პან გროძიცკიმ გაჰგზავნა თოფის-წამლისათვის და გაუდგა გზას. ნავი ნელ-ნელა მიცურავდა: ძნელია პირ-შელმა სიარული ნავისა. კრემენჩუგს ახლო ნავი შეხვდა ლაშქარს, რომელიც გეტმანს გამოეგზავნა ქშეჩოვსკისა და ბარაბაშის მხედართ-მთავრობით ხმელნიცკის წინააღმდეგ. ჟენძიანმა ინახულა ბარაბაში და უამბო, რომ დიდი განსაცდელი მოელის სეჩს პან სქშეტუსკისაო, ამასთანავე ეევედრებოდა მოხუცს პოლკოვნიკს, არ დაივიწყოთ დესპანი და ორიოდე სიტყვა დაჰხარჯეთ იმისთვის ხმელნიცკის წინაშეო.

ჩვენი მგზავრები ჩიგირინს განთიადისას მივიდნენ. ქალაქის შესავალ კარებშივე მცველებმა სთხოვეს უფროსსა და ჟენძიანს, პოლკოვნიკთან უნდა წამოხვიდეთ და გამოეცხადოთო.

— ჩვენს პოლკოვნიკთან?—ჰკითხა უფროსმა.

— პან ლობოდასთან. დიდმა გეტმანმა იმას უბრძანა, ეინც სეჩიდან ჩიგირინს მოდიოდეს, ისე არ განუტევოთ, რომ ყოველივე ამბავი არ იწვრილოთო.

ჟენძიანი გულადად მიდიოდა;. საფათერაკოს არას არ ელოდა; იცოდა, რომ აქ ჰბატონობს გეტმანიო.

მივიდნენ პან ჟელენსკის სახლში, საცა იდგა პოლკოვნიკი ლობოდაცა. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით პოლკოვნიკი ჩერკასს წასულიყო და თვისი თანამდებობა ჩაებარებინა პოდპოლკოვნიკისათვის. დიდ ხანს იცდიდნენ იქ მისულნი; ბოლოს ძლივს გაიღო კარები და გამოჩნდა პოდპოლკოვნიკი, რომელსაც იმდენს ხან ელოდნენ.

ჟენძიანი შეკრთა იმის დანახვაზედ.

პოდპოლკოვნიკი ბოგუნი იყო.

გეტმანს, მართალია, ჯერ ისევ დიდი ქარი უქროდა ჩიგირინს, მაგრამ, რადგან ლობოდა და ბოგუნი ჯერ ხმელნიცკის არ მიმხრობოდნენ და საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ერთგულნი ვართ რესპუბლიკისაო, გეტმანმა იმათ მიანდო, ყური უგდეთ ჩიგირინსაო.

ბოგუნი მოუჯდა სტოლს და დაუწყო ჩვენების ჩამორთმევა.

უფროსი, რომელსაც პან გროძიცკის წერილი ჰქონდა გატანებული, აძლევდა ჩვენებას თავის მაგიერადაც და ჟენძიანის მაგიერადაც. ახალგაზდა პოდპოლკოვნიკმა გასინჯა წერილი და დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა, რა ამბავია კუდაკში, რას ამბობენო; ცხადი იყო, რომ ძრიელ უნდოდა გაეგო, რად გამოუგზავნია პან გროძისკის ხალხი ნავით დიდს გეტმანთანაო. მაგრამ უფროსმა თვითონაც არა იცოდა-რა, ხოლო წერილი პან გროძიცკის ბეჭდით იყო დაბეჭდილი. ბოგუნმა გაათავა ჩვენების ჩამორთმევა და ქისას გაიკრა ხელი, რომ ფული მიეცა საჩუქრად მოსულთათვის ლუდის დასალევად და

სწორედ ამ დროს გაიღო კარები და პან ზაგლობა კი შემოიჭრა.

— გამიგონე, რა გითხრა, ბოგუნო-და,—დაიწყო ყვირილი ზაგლობამ:—იმ წყეულმა დოპულმა ხომ არ გამოგვიჩინა საუკეთესო „სამ-ნახადი“. ჩავყევ სარდაფში... ვნახოთ, ერთს კუთხეში რალაცაა მიჩქმალული... რა ვქნა, ვამბობ გულში, თუ თივაა, არც თივაა-მეთქი... ვეკითხები: ეს რა არის-მეთქი?—თივაა. რას მომატყუებდა! შენი მოსატყუებელი კბილები დიდი ხანია დავიცვალე-მეთქი. თუ თივაა, ეგ თივა შენა სჭამე, რადგან ხარი შენა ხარ-მეთქი და მე კი შენს თაფლს გადავხუხავ მეთქი. აგერა!—სთქვა ესა და პან ზაგლობამ დიდის ამბით დაანახვა ბოგუნს ბოთლი, მაგრამ უცბად გაჩერდა, შეჰხედა ჟენძიანს და ბოთლი სტოლზედ დასდგა.

— თუნდა ხატზედ დავიფიცავ, რომ ეს სქშეტუსკის პაჟია!—შეჰყვირა ზაგლობამ.

— ვისიო?—შეეკითხა ბოგუნი აჩქარებითა.

— პან სქშეტუსკისა, რომელიც კუდაკს წავიდა და წასვლის წინად ისეთის თაფლით გამიმასპინძლდა აქა... რა თაფლი იყო, რა თაფლი, ის დალოცვილი! ჰჰ, როგორ არის შენი ბატონი? ჰა! ხომ კარგად არის?

— კარგად გახლავთ. მოკითხვა შემოგითვალათ,—სთქვა პასუხად თავ-გზა დაბნეულმა ჟენძიანმა.

— კარგი რამ არის, რაინდია ნამდვილი, რაინდი! მერე შენ ამ ჩიგირინში როგორ-და გაჩნდი? კუდაკიდან რად გამოგგზავნეს?

— სქშეტუსკის საქმე აქვს ლუბნში და ამიტომ გამომგზავნა; მაგას გარდა, მეც საქმე არა მქონდა-რა კუდაკში.

ბოგუნმა, რომელიც აქამდე ყურადღებით აკვირდებოდა ჟენძიანს, სთქვა:

— მეც ვიცნობ შენს ბატონს, რაზლოგში ვნახე.

ჟენსიანმა თავი დაიქნია და, იმ მიზეზით რომ ვითომ ვერ გავიგონე, რა სთქვიო, ჰკითხა:

— სადა?

— რაზლოგსა.

— კურცევიჩებთან თუ,—განმარტა ზაგლობამ.

— ვისთანა?—იკითხა კვლავ ჟენძიანმა.

— შენ, ჩემო კარგო, დაყრუებულხარ როგორღაც,— უგულოდა სთქვა ბოგუნმა.

— ძილი მომერია, მგონია.

— მოესწრობი ძილსა. შენმა ბატონმა ლუბნს გამოგგზავნა?

— დიაღ, დიაღ, ლუბნსა!

უთუოდ გულის ვარდი ეგულება იქ,—ჩაურთო სიტყვა ზაგლობამ,—და იმას თუ უთვლის მოკითხვასა.

— რა მოგახსენოთ, იქნება ეგულება და იქნება არც ეგულება,—უპასუხა ჟენძიანმა და თავი დაუკრა ბოგუნსა და პან ზაგლობას.—დიდება მამასა, და ძესა და წმინდასა სულსა!—განაგრძო ჟენძიანმა და დააპირა გამოსვლა ოთახიდან.

— უკუნითი უკუნისამდე! — დაამთავრა ბოგუნმა.—ჯერ მოიცა, პატარავ, ნუ ჩქარობ, რად მიმალავდი და არ მითხარი, თუ სქშეტუსკის მხლებელი იყავი?

— თქვენ არ გიკითხავთ და მეცა ვსთქვი, რად უნდა ვსთქვა-მეთქი! დიდება მამასა და ძე...

— მოიცა-მეთქი, მე შენ გიბძანებ! წერილები გაქეს რამე თანა?

— წერილის მოწერა პან სქშეტუსკის საქმე იყო, ხოლო მე წერილი იმას უნდა მივართვა, ვისთანაც მიწერილია. ახლა კი, ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ.

ბოგუნმა შეიკრა კოპები და შემოჰკრა ტაში-ტაშსა. ორი მცველი შემოვიდა ოთახში.

— გაჩხრიკეთ ეს ბიჭი!—შეჰყვირა ბოგუნმა და ჟენძიანზედ მიუთითა.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ძალ-მომრეობაა!—დაიწყო წრიპინი ჟენძიანმა.—მე შლიახტიჩი ვარ, თუმცა სხვას ვემსახურები, და პასუხს აგებთ ასეთის საქციელისათვის.

— ბოგუნო, დაანებე თავი ამ ყმაწვილს! — დაიწყო პან ზაგლობამ, მაგრამ ერთმა მცველმა უპოვა ჯიბეში ჟენძიანს ორი წერილი და მიართვა პოდპოლკოვნიკს.

ბოგუნმა დაითხოვა მცველები: კითხვა არ იცოდა და გამხელა ამისი ეთაკილებოდა თვისთა ხელქვეითთა წინაშე.

— წაიკითხე, — უბრძანა მან ზაგლობას, — შენ წაიკითხე და მე ამ ვაჟბატონს დავუწყებ ცქერასა.

ზაგლობამ ამოიკიჟა მარცხენა თვალი და დაიწყო კითხვა ადრესისა:

„დიდად პატივ-საცემს ქალბატონს კნეინა კურცევიჩს რაზლოგში".

— მაშ, ქაჯან, შენ ლუბნში მიდიოდი და რაზლოგი კი არ იცოდი, სად არის? — ჰკითხა ბოგუნმა და საშინელის თვალებით დაუწყო ბღვერა ჟენძიანს.

— საცა მიბრძანეს, მეც იქ მივდიოდი. — ტირილით უპასუხა პატარამ.

— გავხსნა თუ არა? შლიახტიჩის საიდუმლო ხუმრობა არ არის, — სთქვა ფიქრში წასულმა ზაგლობამ.

— დიდმა გეტმანმა მომცა ნება ყოველი წერილი დავათვალიერო. გახსენ და წაიკითხე. — ზაგლობამ გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა:

„მოწყალეო ხელმწიფევ etc. გაუწყებთ პატივისცემით, რომ მოვედი კუდაკს, საიდანაც, თუ ღმერთი შემეწია, სეჩს ვაპირობ წასვლას ხვალ დილით; ახლა კი გწერთ წერილს, რადგან ძილი არ მეკარება და სულ ის მაწუხებს, რომ ავაზაკმა ბოგუნმა, ან სხვამ ვინმე იმის ბრბოს კაცმა არ შეგაწუხოთ. ხოლო რადგან აქ კრიშტოფ გროძიცკიც ამბობს, რომ ომი, შესაძლოა, დღეს არა ხვალ ატყდეს და მთლად მდაბიო ხალხი აჯანყდესო, ამიტომ გაფიცებთ და გევედრებით, რაც შეიძლება საჩქაროდ წაბრძანდეთ ელენესთან ერთად ლუბნს, თუნდა გზებიც უვარგისი იყოს. გამხადეთ ღირსი და ამისრულეთ ეს თხოვნა, რათა ეჭვში აღარ ვიყო, რომ ვაი თუ დაპირებული ბედნიერება ამცდეს და დაბრუნებისას გამიცრუვდეს ტკბილი

იმედი-მეთქი. ხოლო რაკი ბოგუნს საქმეს არ უთავებთ, ელენეს კი მე დამპირდით და იმასაც ჯერ იმედს არ უკარგავთ, ამიტომ, ვგონებ უკეთესია მიჰმართოთ თავადს, ჩემს მფარველს, რომელიც შეგივრდომებთ და შეგიხიზნებთ. კაცებსაც გამოგიგზავნით თავადი რაზლოგში და თქვენს უვნებლობასაც დაიცვავს. ახლა ღმერთსა ვსთხოვ თქვენს კარგად ყოფნასა და დავშთები etc.. etc.“

— ჰმ! პან ბოგუნო,—სთქვა ზაგლობამ, — რა ამბავია-და! მაშ, თქვენ ორივენი ერთსა და იმავეს ეტრფოდით? მერე რატომ წინად არა მითხარი-რა, თუ აგრე იყო? მაგრამ გული დაიმშვიდე, მეც მაგისთანა საქმე დამემართა ერთხელ...

პან ზაგლობას სიტყვები მახვილივით ჰხვდებოდა ბოგუნს. ბოგუნი იჯდა გაქვავებული, გაფითრებული, თვალებ-დახუქული და ისე უკრთოდა სახე, თითქო ფილენჯის ქარები დაჰმართნიაო. რაღაც საშინელი ამბავი იყო იმის თავს.

— რა დაგემართა?

ყაზახმა უცნაურის სიმკვეთრით გააქნია ხელი და ხრინწიანის ხმით წარმოსთქვა:

— წაიკითხე... მეორე წერილი.

— მეორე წერილი კნიაჟნა ელენესთან არის.

— წაიკითხე, წაიკითხე!

ზაგლობამ დაიწყო:

„ძვირფასო, სატრფიალო ელენე, დედოფალო და ქალბატონო ჩემის გულისა! რადგან სამსახურის გამო დიდ ხანს დავრჩები აქეთს ქვეყნებში, ამიტომ ვწერ ძალუა-შენსა, რომ დაუყოვნებლივ წახვიდეთ ლუბნს, საცა ბოგუნი სრულიად ვერას დაგაკლებთ, საცა ჩვენი სიყვარული...“

— კმარა!—დაიგრიალა ბოგუნმა, იხტუნა და ერთის გადახტომით ხმალ-ამოღებული აეყუდა წინ ჟენძიანსა.

საწყალმა ყმაწვილმა, შიგ გულში განგმირულმა, დაიკვნესა და უგრძნობლად დაეცა იატაკზედ. ბოგუნს მოუარა საშინელმა მძვინვარებამა: ეცა პან ზაგლობას, წაჰგლიჯა წერილები ხელიდან და ჩაიდო უბეში.

ზაგლობამ სტაცა ხელი თაფლით სავსე ბოთლს, გახტა ღუმელისაკენ და დაიყვირა:

— ღვთის გულისთვის! კაცო, გაგიჟდი, თუ ცოფი მოგეერია? დამშვიდდი, გული მოიბრუნე! აჰა, იწაფე ერთი რიგიანად, შე წყეულ-შეჩვენებულო! არ გესმის?

— სისხლი, სისხლი! — ჰგრგვინავდა ბოგუნი.

— კაცო, ჭკუა ნუ დაჰკარგე. იწაფე-მეთქი, გეუბნები! აგერა სისხლი... უბრალოი! საწყალი ყმაწვილი აღარა სუნთქავს. ეშმაკმა აგიყოლია; მაგრამ თითონ შენც ეშმაკზე უარესი ხარ. მოდი გონსა! აი ჩაგენგრას დედამიწა და თან ჩაგიტანოს, შე ურჯულო, შენა!

პან ზაგლობამ სთქვა ესა, მივიდა ჟენძიანთან, დაიხარა და ხელი დაადო გულზედა. პირიდან ნაკადულივით ამოსდიოდა სისხლი.

ბოგუნმა იტაცა თმაში ხელი და ქვითინით დაეშვა ტახტზედა. აუტანელი ტკივილი ცეცხლივით მოსდებოდა მის გულს. უცბად წამოხტა, მივარდა კარებს, ჩამოამტვრია წიხლით და გავარდა ტალანში.

— კისერიმც მოგიჩეხნია! — მიაძახა პან ზაგლობამ. — კედლისათვისაც გიხლია ეგ შენი კვახი ოტროველა, თუმცა კი რამდენიც უნდა ახალო ქვას შენი დაბრუტიანებული თავი, არ გაგიტყდება, ისე მოუტყუებიხართ და დაუბრმავებიხართ. გაგონილა ასეთი გაცოფიანება! ასე გადარეული ჩემს სიცოცხლეში არავინ მინახაეს! სულ კბილებს აკრაჭუნებდა, თითქო ძაღლიაო.... ვნახოთ ერთი, რა ამბავია იმ პატარას თავსა... საცოდავი, ცოცხალია ისევ. მე და ჩემმა ღმერთმა, თუ ამ თაფლმაც ვერ უშველა, ყველას ნებას მივცემ ტეტია მიწოდონ და არა ტახტის აზნაური.

პან ზაგლობამ ბუტბუტით დაიდო ჟენძიანის თავი მუხლებზედ და დაუწყო თაფლს ნელ-ნელა სხმა იმის პირსა და გალურჯებულს ტუჩებში.

— ვნახოთ, აბა, კეთილშობილის სისხლი სდის შენს ძარღვებში თუ არა, — განაგრძო მან. — სისხლი ურიისა, თუ თაფლი

მიუმატე, იხარშება; ტეტიისა, რომელიც მძიმე და სქელია, იჭრება და მხოლოდ შლიახტიჩისა დუღდება და გადიქცევა ხოლმე მჩქეფარე წყაროდ, რომელიც ჯანს სიმაგრეს უმატებს, ხოლო სულს—დიდებულს ფანტაზიას.

ჟენძიანმა ოდნავ დაიკვნესა.

— ოჰო, გინდა კიდევა? არა, ქაჯან, მეც ნება მიბოძე, დაევძაბრო... ჰო, აი, ასე. ახლა კი, რაკი სიცოცხლის ნიშნები გამოიჩინე, წაგიღებ სადმე თავლაში და დაგაწვენ იქ, რომ ამ ყაზახთა ქაჯმა სულ არ გაგათავოს, როცა დაბრუნდება. არაფერი სასიამოვნო კია მაგასთან მეგობრობა—გაუწყდა მაგას სახელი და სახსენებელი!—ხელი უფრო სწრაფია მაგისი, ვიდრე აზრი.

პან ზაგლობამ წამოავლო ხელი ჟენძიანს და ისეთის სიმსუბუქით გაიტანა ტალანში და მერე ეზოში, რომ კაცს ეგონებოდა ბუმბული მიაქვსო. ეზოში რამდენსამე ჯარის-კაცს გაეშალათ დიდი თხელი ნაბადი და კოჭაობდნენ. დაინახეს თუ არა ზაგლობა, მაშინადვე ფეხზედ წამოუდგნენ.

— რას გეუბნებით, ბიჭებო: წაიყვანეთ ეს ყმაწვილი და სადმე სათივეში დააწვინეთ. ერთ-ერთი კიდევ დალაქთან გაიქეცით.

პან ზაგლობას ბრძანება დაუყოვნებლივ იქმნა შესრულებული. რაკი ბოგუნის მეგობარი იყო, ამიტომ ძალიან უყვარდათ ყაზახებს.

— პოდპოლკოვნიკი რაღა იქმნა?—ჰკითხა მან.

— ბრძანა, ცხენი მომგვარეთო და წავიდა პოლკის სახლში, ჩვენ კი გვიბრძანა, მზად იყავით და ცხენები შეჰკაზმეთო.

— მაშ, ჩემი ცხენიც შეკაზმულია?

— შეკაზმული გახლავთ.

— მომიყვანეთ აქა. მაშ პოდპოლკოვნიკს იქა ვნახავ?

— აგერ თვითონაც გიახლებათ.

მართლაც, ბოგუნი ალაყაფის კარებში შემოვიდა ცხენით; უკან მოსდევდა რამდენიმე შუბებით შეიარაღებული ყაზახი, რომელნიც მზად იყვნენ სალაშკროდ.

— ამხედრდით ეხლავე!—შესძახა ბოგუნმა თავის ჯარის-კაცებსა.

ყველანი გაიფანტნენ და გაიქცნენ აქეთ-იქითა; პან ზაგლობა მიუახლოვდა ალაყაფის კარებს და დაშტერებით დაუწყო ცქერა ახალგაზდა პოდპოლკოვნიკს.

— სალაშკროდ ემზადები?—ჰკითხა მან.

— სწორედ.

— მერე საით აპირობ წასვლას, ერთი კაცმა გკითხოს?

— ქორწილში.

ზაგლობა უფრო ახლო მივიდა.

— ღმერთი აღარა გაქვს, კაცო! გეტმანმა ქალაქის დაცვა მოგანდო და შენ კი სხვაგან მიდიხარ და ჯარის-კაცნიც თან მიგყავს. ბრძანებას არღვევ. აქ ბრბო მდაბიო ხალხისა მხოლოდ ხერხიანს დროს ელის, რომ დაესხას თავს თავად-აზნაურობას. ჰნახავ თუ გეტმანის რისხვა არ დაგატყდეს თავს!

— ჯანდაბას იმისი თავიცა და ქალაქიცა!

— კაცო, შენ შენს თავს გაუფრთხილდი!

— ჯანაბას ჩემი თავიცა!

ზაგლობა მიხვდა, რომ ყაზახთან ლაპარაკი უსარგებლო საქმე იყო. ბოგუნი ახირდა და, თუნდა თვითონაც დაღუპულიყო და სხვებიც თან მიჰყოლოდნენ, მაინც თავისას აღარ დაიშლიდა.

ზაგლობა მიხვდა, სადაც აპირობდა ბოგუნი წასვლას და პატარა ხანს ფიქრმა წაიღო: არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, წაჰყოლოდა თან ბოგუნსა, თუ სახლში დარჩენილიყო. წავყვე, ხუმრობა არ არის, განსაცდელში რაშიმე ჩამაგდებს, ხათაბალას გადამაცვამს თავს... დავრჩე კიდევა და... ბრბო მდაბიო ხალხისა ხომ მართლა სეჩის ამბავს ელის მხოლოდ, ნიშანს უცდის იქიდან ჩეხა-ჟლეტისასა. იქნება არც ელოდეს და არც უცდიდეს რასმე, ეს ათასი ჯარის-კაცი რომ არ ჰყავდეს აქ ბოგუნსა და ასეთი სანაქებო სახელი რომ არა ჰქონდეს გავარდნილი მთელს უკრაინაში. პან ზაგლობას შეეძლო გეტმანის ჯარსა და ბანაკს შეჰფარებოდა, მაგრამ ამის წინააღმდეგაცა ჰქონდა

რამდენიმე საბუთი. ვინ იცის, იქნება მოაგონდეთ რამ იქ ჩემ შესახებ ისეთი, რაც ჩემთვის სასიამოვნო არ არისო... ამას გარდა, ენანებოდა კიდეც ჩიგირინი. ზაგლობა აქ ისე იყო, თითქო უფლის უბეში ჰზისო: არავინ არა კითხულობდა, ვინ იყო, როგორ იყო მისი საქმე. მერე ისე შეეჩვია და შეეტკბო აქაურობას—თავად-აზნაურთაც, საბაზრო მოურავებსაც, ყაზახთა მამასახლისებსაც. მართალია, ახლა მამასახლისნი წასულნი იყვნენ აქეთ-იქით, ხოლო თავად-აზნაურობა თავისთვის იყო მილაგმული თავ-თავიანთ მამულებში, რადგან აჯანყებისა ეშინოდა, მაგრამ მაინც აქ იყო ბოგუნი, ეს სასიამოვნო მოსაუბრე და კარგი ამფსონი სმაში. ბოგუნმა ქეიფის დროს გაიცნო ზაგლობა და მაშინვე დაუმეგობრდა. მას უკან სულ ერთად იყვნენ განუყრელად. ყაზახი ბზესავით აბნევდა ოქროს, შლიახტიჩი სტყუოდა უღმერთოდ და იყვნენ ორივენი სიამოვნებაში.

ახლა, როცა ან უნდა ჩიგირინს დარჩენილიყო და ბრბოსთვის ჩაეგდო ხელში თავისი თავი, ან წასულიყო ბოგუნთან ერთად, პან ზაგლობამ ისევ წასვლა არჩია.

— რადგან აგრეთს განწირულს ყოფაში ხარ, მაშ მეც შენთან წამოვალ,—უთხრა ზაგლობამ ბოგუნს.—იქნება გამოგადგე რადმე გზაში... აი თუნდა თავს დაგიჭერ და სისულელეს არას მოგაქმედებინებ. ისე შევეჩვივეთ ჩვენ ერთმანეთს, თითქო ღილ-კილო ვიყვნეთ; წინად ვერც კი ვგრძნობდი ამასა და ახლა კი...

ბოგუნმა არა სთქვა-რა პასუხად.

ნახევარს საათს უკან ჯარის-კაცნი უკვე დარაზმულ-ამხედრებულნი იყვნენ. ჯერ ბოგუნმა ჰკრა ქუსლი ცხენსა და იმას უკან მიჰყვა პან ზოგლობაცა. გაუდგნენ გზას. ბაზარში შეჯგუფებული ხალხი ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა მიმავალთ და ჩურჩულობდა ერთმანერთ შორის.

ბოგუნი ხმა-გაკმენდილი მიდიოდა; თითქო წყვდიადიაო, ისე ჩამოჰბნელებოდა და ჩამოსტიროდა თავ-პირი. ჯარის-კაცნი არა კითხულობდნენ, სად მივყავართო. საცა უნდოდა, იქ გაჰ-

ყვებოდნენ ბოგუნს, თუნდა ცეცხლსა და ნავთში გადაერეოდნენ.

რაზმი გავიდა დნეპრში და გასწია ლუბნის გზითა. ცხენები მიდიოდნენ იერიშით და საშინელს მტვერს აყენებდნენ გზაზედა. ისეთი სიცხე-პაპანაქება დაიჭირა, რომ კაცს გული შეუღონდებოდა. ბოგუნმა წინ გაუსწრო ყველასა; პან ზაგლობა დაეწია იმ იმედით, რომ იქნება ლაპარაკი დავუწყოვო.

ახალგაზდა ატამანს სახე დამშვიდებული ჰქონდა, თუმცა კი მოჰგრეხოდა აუტანელის ტკივილის მიზეზითა.

— ე რა სიცხეა, ეს ოხერი,—სთქვა პან ზაგლობამ,—ტილოს კიტელი მაცვია და მაინც ლამის დავიხრჩო. ბოგუნო, ჰაი ბოგუნო!

ატამანის ისე დააშტერდა თვისის ტბასავით ღრმა, შავის თვალებითა, თითქო ეძინა და ეს-ეს არის ეხლა გამოეღვიძაო.

— ე მანდ გაფრთხილდი, შვილოსან,—განაგრძო პან ზაგლობამ,—რომ ეგ პოხონდრია სტომაქიდან, საცა მუდამ დაბუდებულია, თავში არ აგივარდეს. არ გაგიჟდე და ღმერთი არ გაგიწყრეს. არ მეგონა, თუ სიყვარული ეგრე შეგბოჭავდა. ალბად მაისში თუ ხარ დაბადებული. მაისი თვეა ცისკრისა, თვეა სიყვარულისა და ვინც მაისშია დაბადებული, ყველანი ძალიან ქალთა-მოყვარულნი არიან. გარნა მოგებაში ყოველთვის ის არის, ვინც თავის დროზედ თავს შეიკავებს, ამიტომ გირჩევ დაანებო თავი შურის-ძიებას. საბუთი დიალაცა გაქვს, უწყრებოდე კურცევიჩებს, მაგრამ რაო, საქალეთი გაწყვეტილა ქვეყანაზედ?

— ის ერთია, ჩემი მტრედი, ერთი ქვეყანაზედა!—წაიბუტბუტა ბოგუნმა უფრო თავის ფიქრების პასუხად, ვიდრე პასუხად ზაგლობას სიტყვებისა.

— თუნდა აგრეც იყოს, რაღაი ის მტრედი სხვას შეჰლულუნებს, შენ უნდა თავი მოარიდო. მართალს ამბობენ, რომ გული თარხანი კაცივით არის, ჯარის-კაცობს იმ დროშის ქვეშ, რომელიც ესიამოვნება. ესეც ივარაუდე, რომ იმ ქალის

ძარღვებში კეთილშობილთა სისხლი სდგას. კურცევიჩები მთავართა ჩამომავალნი არიან... სხვა სიგელ-გუჯარია!

— ჯანაბას თქვენი სიგელ-გუჯარნიც და თქვენი ეტრატნიც!—წამოიძახა ატამანმა და ღონივრად დაიკრა ხელი ხმლის ვადაზედ.— აი ჩემი გვარიშვილობა! ჩემი უფლებაც ეს არის, ჩემი ეტრატიცა და ჩემი ერთად-ერთი მეგობარიცა! ჰოი, მოღალატენო! ჰოი, წყეულო სისხლო! წინად კარგი ვიყავ, ძმადა და მეგობრად ვითვლებოდი მაშინ, როცა ყირიმს სათარეშოდ დავდიოდი, ოსმალთა ქონება მომქონდა და დავლა-ალაფს მაგათ ვუყოფდი. მაშინშვილიც ვიყავ, ქალის მოცემაც აღმითქვეს და ახლა რაღაიო? მოვიდა შლიახტიჩი და სახლის შვილს უთხრეს, მეგობარო, შენ აქედან გაეთრიეო... სული ამომართვეს, გული დამიკოდეს... ქალი სხვას უნდა მივცეთ და შენ კი თუნდ დედა-მიწა ბრდღვენი, ყაზახი ხარ, მოთმენას მიეც თავი, მოთმენასაო...

ბოგუნს ხმა აუკანკალდა; ყაზახმა კბილები დააკრაჭუნა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში ჩაიკრა მუშტი.

ჩამოვარდა წუთი მდუმარებისა. ატამანი ჰფშვინავდა ვეშაპივით. ტკივილი და სიბრაზე ზედ-მიყოლებით სტანჯავდა მოთმენას მიუჩეველს ყაზახის განადირებულს გულს. ზაგლობა ელოდა იმ დროს, როცა ბოგუნი მოიღლებოდა შფოთვა-ბორგვითა და დამშვიდდებოდა.

— მაშ, რა გწადიან, თუ ეგრეა, შე საწყალო?—როგორ გინდა მოიქცე?

— მე ყაზახი ვარ... ისე უნდა მოვიქცე, როგორც ყაზახს შეჰფერის!

— ჰმ, ვიცი, რასაც ჰნიშნავს ეგა. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. გეტყვი მხოლოდ იმასა, რომ აქ ვისნეეეცკების სამფლობელოა და ლუბნიც ახლოა. პან სქშეტუსკი სწერდა კნეინას, რომ ლუბნში წადი შენის მაზლის-წულითაო, მაშასადამე, ისინი თავადის მფარველობის ქვეშ არიან, ხოლო თავადს, შენც კარგად იცი, ხუმრობა არ უყვარს...

— ყეენსაც არ უყვარს ხუმრობა, მაგრამ მე მაინც შიგ პირში ვუვარდებოდი.

— რაო ახლა, თავზედ-ხელ-აღებულო, ომი გინდა გამოუცხადო თავადსა, თუ რა არის?

პან ზაგლობა სულ აღელდა ერთიანად.

— ფუ, შენ და შენს თავსა! — რას მოასწავებს ძერე ეგ შენი წადილი? სახრჩობელას ხომ ვეღარ ასცდები. კურცევიჩებიც ხელს გამოიღებენ.

— რაო მერე? — ან მე უნდა ვიყო, ან ისინი. მე სულს არ დავუჭერდი კურცევიჩებს. ძმებად მიმაჩნდნენ ისინი, მოხუცი კნეინა კიდევ — დედადა... როგორც ძაღლი, ისე შევეცქნაოდი თვალებში. მერე როცა ვასილი თათრებმა შეიპყრეს, ვინ წაეიდა ყირიმსა, ვინ დაიხსნა ტყვე? მე... ისე ვემსახურებოდი, როგორც ყმა, იმიტომ რომ, მეგონა, იმ ქალის ღირსი შეეიქნები-მეთქი. იმათ-კი, სამაგიეროდ, მიღალატეს, გამყიდეს, როგორც მონა და საშინელი ხვედრი, საშინელი უბედურება მარგუნეს წილად... გამომდევნეს... სახლიდან გამომაგდეს... ჰო და მეც წავალ, მხოლოდ ჯერ მადლობას გადავუხდი, ყაზახურად გადავუხდი მადლობას მასპინძლობისათვის და ისე წავალ... ჩემი გზა მე კარგად ვიცი.

— სადღა წახვალ მერე, თუ კი თავადს ჩხუბს აუტეხავ? ხმელნიცკის ბანაკში თუ?

— ის ქალი რომ ჩემთვის მოეცათ, მე თქვენი მეგობარი ვიქმნებოდი, ლიახებისა, თავს დავსდებდი თქვენთვის. ჩემს მეომრებსაც შემოვიკრებდი, სხვებსაც ბევრს მოვიმხრობდი, ხმელნიცკის მივეტევებოდი, ჩემს სისხლსა და ხორცს ვეკვეთებოდი და სულ ცხენის ნალებით დავსრესავდი. მერე ჯილდოს მოვითხოვდი თუ? არა! წავიყვანდი **იმას** და გავფრინდებოდი დნეპრს იქითა, ღვთის გაჩენილ მინდორ-ველად, ყრუ უდაბნოში, საცა მდორედ მიდუდუნებენ მდინარენი... ჩემთვის ესეც საკმაო იქმნებოდა... ახლა კი...

— ახლა კი გადაირიე.

ატამანმა არა უპასუხა-რა, გადაჰკრა მათრახი ცხენსა და წინ წავიდა შურდულივითა; პან ზაგლობა კი ჩავარდა საგონებელში და სულ იმასა ჰფიქრობდა, ეს რა ხათაბალაში გავებიო.

ეჭვი არ იყო, რომ ბოგუნს აზრადა ჰქონდა, დავესხმი თავს კურცევიჩებსა, ვიძიებ შურს და ძალით გამოვიტაცებ ქალსაო. და აი ამისთანა საქმეში უნდა ვუშველო და ხელი შევუწყო ბოგუნს მე, პან ზაგლობამა! უკრაინაში ამისთანა ამბავი ხშირი იყო და არა იშვიათად დაუსჯელად ჩაივლიდა ხოლმე. მართალია, თუ დამნაშავე შლიახტიჩი არ იყო, მაშინ უფრო ძნელად გადივლებდა თავს კაცი ამისთანა დანაშაულს, მაგრამ, სამაგიეროდ, ყაზახის დასჯაც არ იყო ადვილი: სად დაიჭერდა კაცი ყაზახსა? დანაშაულის შემდეგ ყაზახი მირბოდა ყრუ მინდვრებში და იქ იმალებოდა; ხოლო როცა ატყდებოდა ომი, მოვიდოდნენ თათრები, დამნაშავეც გამოჩნდებოდა, მაგრამ მაშინ კანონები სადღა იყო. ბოგუნსაც ასე შეეძლო გაჰქცეოდა პასუხის-გებას და ამიტომ პან ზაგლობასთვის რა ჭკუა იქნებოდა მხარი დაეჭირა ბოგუნისათვის და სანახევროდ თვით ეტვირთნა იმისი დანაშაული. არა, არც დავეხმარებიო, ფიქრობდა გულში ზაგლობა. თუმცა ბოგუნი ჩემი მეგობარია, მაინც მე, პან ზაგლობას, შლიახტიჩს, არ შემეფერება, რომ ყაზახს დავუჭირო მხარიო. პან ზაგლობა ძალიან თავ-ქარიანი იყო, მაგრამ იმის თავ-ქარიანობასაც თავისი ზომა და სამზღვარი ჰქონდა. ჩიგირინის დუქნებში ქეიფი ბოგუნთანა და ყაზახთა სხვა უფროსებთან სულ სხვა საქმეა, მეტადრე როცა ქეიფში ფულს ისინი ჰხარჯავენო; ეხლანდელ არეულ დროში მაგისთანა ხალხთან საქმის დაჭერა სასარგებლოც არისო. პან ზაგლობას ძალიან ენანებოდა თავი, თუმცა არა ერთხელ ჩავარდნილიყო განწირულს ყოფაში. ახლა კი ჰხედავდა, რომ კამეჩივით სულ მღვრიე მორევში იყო ჩავარდნილი. თქმა არ უნდა, რომ, თუ ბოგუნმა გამოიტაცა თავადის პორუჩიკის დანიშნული, თავადი ძალიან განრისხდება და ბოგუნს მეტი ღონე აღარ ექმნება, ხმელნიცკისთან უნდა გაიქცეს, მეამბოხეთ შეუერთდესო. მე კი, მე რა ძალა მადგია, რომ ბოგუნის გულისათვის ავდგე და აჯანყების მომხრეობა გავწიოვო, მით უმეტეს რომ პან ზაგლობას ცეცხლისა და ნავთისა არ ეშინოდა ისე, როგორც თავადისა.

— ფუ, ფუ ჩემს ეშმაკს!—ბუზღუნებდა გულში პან ზაგლობა,—ეშმაკს თვითონ მე ვუგებდი ხოლმე მახესა და ახლა კი თვითონ მე გავები ეშმაკის ბადეში. აი, ჯანაბამდე გზა ჰქონია მაგ ავაზაკთა ატამანსა და მაგის შემქმნელ-მშობელსა თვისის სიყვარულითა და სატრფიალოთი! მაყრიონი თუ გინდათ, ჩვენა ვართ! სწორედ დიდს მხიარულებაში კი ვართ, იმათმა თავის გახეთქამა! ეშმაკსაც წაუღია კურცევიჩების თავიცა, ჰო და ასრე! ვიცი, მერე მევე გავები ხათაბალაში-და! რისთვისა ახლა, რის გულისათვის? მე ვეპირები ცოლის შერთვასა თუ რა არის? დაე, თუნდა ეშმაკმა და ქაჯმა დაიწეროს ჯვარი, ჩემთვის სულ ერთია. წადი ახლა და ამოიყვანე ვირი ტალახიდან! ბოგუნთან ვიყო, ვისნეეეცკი ტყავს გამაძრობს; გავექცე ბოგუნს, ყაზახნი შემჭამენ; თვითონაც არ გაუჭირდება და ისე მომიგრეხს კისერს, რომ ხელიც არ გამანძრევინოს. იმაზედ ცუდი აღარა არის-რა, რომ კაცი ტეტიას გადაეკიდება! მე და ჩემმა ღმერთმა, ის მირჩევნიან, ამ ჩემ ცხენად გადავიქცეოდე, ვიდრე ზაგლობა ვიყო. გამაბრიყვა ყაზახმა, კისერზედ გადამიგდო და ეგ არის...

პან ზაგლობა ძლიერა ჰქშინავდა; თან-და-თან უფრო-და-უფრო შავ-ბნელი ფიქრები ეჯარებოდა. სიცხე ხომ ისეთი იყო, რომ სუნთქვა სჭირდა; ცხენი ისე დაიღალა, ამ მძიმე კაცით დატვირთული, რომ ძლივს მიათრევდა ფეხებს. ღმერთო ჩემო, რა კარგია ეხლა, ვიჯდე სადმე ჩეროში და წინ ცივი ლუდი მედგას, ვიდრე ამ გადახრუკულ მინდორზედ ვიხრაკებოდე ამ სიცხე-პაპანაქებაში!

თუმცა ბოგუნს ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, უნდა დათანხმებულიყო და ცოტას ხანს შეესვენებინა ხალხი. ცხენებიცა და ხალხიც ისე დაიღალნენ, რომ აღარ იცოდნენ, რა ექმნათ. ატამანი ამ დროს სულ რაღასაც ეჩურჩულებოდა იასაულებს, ალბად განკარგულებას აძლევდა. ზაგლობას მოესმა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები:

— ელოდეთ თოფის გავარდნას.

— ბატონი ბრძანდებით.

ბოგუნმა უცბად მიჰმართა პირდაპირ ზაგლობას:

— წამოხვალ შენ ჩემთან წინდაწინვე?

— მე?— და პან ზაგლობას ხმას დაეტყო კილო გესლიანის დაცინვისა.—ისე მიყვარხარ, რომ შენის გულისთვის ნახევარი სული ამოვირთვი ამ ცხენზედ ჯანჯღარითა და ნახევარს რაღაზედ დავზოგავ? მე და შენ ნევსსა და ძაფსავითა ვართ: სადაც ერთია, იქ მეორეც არის... იმედი მაქვს, ეშმაკებიც კი ისე არ წაგვიყვანენ მე და შენ, თუ არ ერთადა, რაიცა არც სანანურად მექმნება, რადგან, არა მგონია, ჯოჯოხეთში უფრო ცხელოდეს, ვიდრე აქა.

— აბა, მივდივართ, მივდივართ!

— კისერიმც მოგიჩეხიათ!

ორივენი წინ წავიდნენ და ყაზახნი გაჰყვნენ მათ უკან.

ბოგუნი და ზაგლობა ერთად მიდიოდნენ დამხარდამხარეგულნი, ხმა-გაკმენდილნი, ზაგლობა სულ ულვაშებს იწიწკნიდა, ეტყობოდა, ჭკუას ატანდა ძალას; ვინ იცის, იქნება იმასა ჰფიქრობდა, რა მოვახერხო, რომ ამ გაჭირვებას თავი დავახწიო როგორმეო. ხან ათასში ერთხელ რაღაც გაუგებარს სიტყვებს წამოისროდა ხოლმე, ხან კიდევ აცქერდებოდა ბოგუნსა, რომელსაც ხან საშინელი გამძვინვარება ეტყობოდა სახეზედ, ხან დიდი სევდა-ნაღველი.

„საკვირველიაო,—ფიქრობდა ზაგლობა,—რომ ამისთანა შესახედავად ლამაზმა ვაჟკაცმა ვერ მოინადირა ახალგაზდა ქალის გული! მართალია, ყაზახია, მაგრამ სამაგიეროდ, სახელგანთქმული რაინდია, პოდპოლკოვნიკია და, დღეს არა, ხვალ აზნაურშვილობას მიიღებს. პან სქშეტუსკიც კარგი ვაჟკაცია.. ლამაზიც არის... მაგრამ როგორ მოვა ის ბოგუნთანა! ძალიან კი გაჩეჩავენ ერთმანეთს, თუ პირის-პირ შეიყრებიან!“

— ბოგუნო, კარგად იცნობ პან სქშეტუსკისა?

— არა,—მოკლედ მოუჭრა პასუხი ატამანმა.

— ადვილი არ იქნება შენთვის იმასთან შებრძოლება. მე თვითონა ვნახე, რა ნაირ გაისროლა იმან კარებში ჩაპლინსკი. ერთის სიტყვით, გოლიათია და ის არის.

ბოგუნმა არა უპასუხა-რა და კვლავ დუმილი ჩამოვარდა, რომელსაც ჟამითი-ჟამად არღეევდა პან ზაგლობას წამოძახილი: „დიაღ, დიაღ, მეტი გზა არსად არის!“ გავიდა რამდენიმე საათი. მზემ გადიხარა დასავლეთისაკენ, ჩიგირინის მხარესა; აღმოსავლეთიდან გრილმა ნიავმა დაუბერა. პან ზაგლობამ ქუდი მოიხადა, გაოფლიანებულ შუბლზედ მოისვა ხელი და ერთხელ კიდევ გაიმეორა:

— დიაღ, დიაღ, მეტი გზა არსად არის!

ბოგუნი შეთრთოლდა, თითქო ეს არის ეხლა გამოეღვიძაო.

— რა სთქვი?

— მე ვსთქვი, რომ მალე დაღამდება-მეთქი. ჯერ კიდევ შორს არის?

ერთს საათს უკან სულ დაბნელდა, მაგრამ ამ დროს ჩვენი მგზავრნი უკვე ტყიანს ხეობაში შევიდნენ. აგერ სინათლეც გამოჩნდა სადღაც შორსა.

— ეს რაზლოგია!—დაიძახა უცებ ბოგუნმა.

— მართლა? ბრრ! დაიწყო ბაბანი ზაგლობამ,—რა ცივა ამ ხეობაში.

ბოგუნმა შეაყენა ცხენი.

— ნწ, ნწ!

ზაგლობამ შეჰხედა ბოგუნსა. ატამანის თვალები ისე ელვარებდა, თითქო ორი ნაკვერცხალი ციმციმებსო.

გაიარა რამდენმამე წუთმა. ბოლოს, მოისმა შორიდან ფრუტუნი ცხენებისა; ბოგუნის ყაზახნი იყვნენ ისინი: ხევი გამოევლოთ და აუჩქარებლად მოდიოდნენ წინა.

იასაული მოუახლოვდა ბოგუნს; ატამანმა რაღაცა უჩურჩულა ყურში. ყაზახნი კვლავ შეჩერდნენ.

— გავსწიოთ!—უთხრა ბოგუნმა პან ზაგლობას.

გაიარეს რამდენიმე ნაბიჯი და მგზავრთა თვალ-წინ ცხადად გამოჩნდა შენობანი. კარმიდამოზედ ჩამი-ჩუმი არ იყო; ძაღლები არ იყეფებოდნენ. დიდი, ოქროსფერი მთვარე დაჰნათოდა გარემოს და აპჭყვრიალებდა იქაურობას. ბაღიდან

მოდიოდა სურნელება აყვავებულ ალუბლისა და ვაშლისა: ყველგან სიჩუმე იყო, მდუმარება, დამშვიდებული მდუმარება... კაცს ეგონებოდა, აგერ საცაა ფანტურის ხმა მომესმის შვენიერ კნიაჟნას ფანჯრებ ქვემოდაო.

ზოგიერთის ფანჯრიდან ჯერ ისევ სინათლე გამოდიოდა.

ორი ცხენოსანი მიუახლოვდა ალაყაფის კარებს.

— ვინ არის მანდა?—მოისმა ხმა დარაჯისა.

— ვერ მიცანი, მაქსიმე?

— თქვენა ბრძანდებით? მადლობა ღმერთსა!

— უკუნითი უკუნისამდე! გააღე კარი. როგორა ხართ?

— მადლობა უფალსა, მშვიდობით გახლავართ. დიდი ხანია რაზლოგში აღარა ბრძანებულხართ. ალაყაფის კარების ანჯამებმა დაიჟრიალა, ასაკეცი ბოგირი ძირს ჩამოეშვა და ბოგუნი და პან ზაგლობა შევიდნენ ეზოში.

— გამიგონე, მაქსიმე, ნუ დაჰკეტავ ჯერ კარებსა და ნუ აჰკეცავ ბოგირსაცა. ცოტას ხნითა ვარ აქ მოსული.

— რა ამბავია განა?

— არა მცალიან, საქმეები მაქვს... ცხენები ემაგ ბოძზედ მიაბი.

II

კურცევიჩები ვახშმად ისხდნენ იმ გრძელ დერეფანში, რომელშიაც ყოველგვარი იარაღი ეკიდა კედლებზედ. ბოგუნისა და პან ზაგლობას დანახვაზედ კნეინას მოუსვენრობა შეეტყო: ეტყობოდა, რომ სტუმრები არ ესიამოვნა. ახალგაზდა თავადთა შორის მხოლოდ ორნი იყვნენ სახლში: სვიმონი და ნიკოლოზი.

— ოჰ, ბოგუნო!—მიეგება კნეინა.—რაზედ გარჯილხარ?

— მოვედი, რომ სალამი მოგცეთ და თავი დაგიკრათ, დედავ. თქვენ კი არ გიამათ, მგონია, ჩემი მოსვლა.

— სიამოვნებით კი მიამა, მხოლოდ გამიკვირდა შენი მოსვლა. ისე შემომესმა, რომ ვითომ შენ ჩიგირინში იყავ შენის პოლკითა. ეგ ვიღაა, თქვენთან ერთად რომ გვაწვია უფალმა?

— ეს პან ზაგლობა გახლავთ, შლიახტიჩი, ჩემი მეგობარი.

— დიდად სასიამოვნოა.

— დიდად სასიამოვნოა,—განიმეორეს ახალგაზდა თავადიშვილებმა.

— პანი!—სთქვა პასუხად შლიახტიჩმა,—მართალია, უდროოდ მოსული სტუმარი ჭირზედ უარესიაო. მაგრამ ისიც მართალია, რომ ვისაც სასუფეველი უნდა, მოვალეა მგზავრს ბინა მისცეს, მშიერი გააძღოს, მწყურვალს წყალი ასვას...

— დაბძანდით, დაბძანდით, მიირთვით და შეექეცით. მადლობელნი ვართ, რომ გვესტუმრეთ. ჰა, ბოგუნო, არ მოგელოდი სწორედ. ალბად, საქმე რამ გექნება ჩემთან?

— იქნება საქმეცა მქონდეს,—წყნარადა სთქვა ატამანმა.

— რა საქმე?—ჰკითხა კნეინამ მოუსვენრობითა.

— მოვა დრო და მაშინ მოვილაპარაკოთ. ჯერ დავისვენებთ პატარას. ჩიგირინიდან მოვდივართ დაუსვენებლივ.

— მაშ, ძალიან საჩქარო საქმე გქონია?

— ან კი სხვაგან სად უნდა მიმეჩქარებოდეს, თუ არ თქვენსა! კნიაჟნა ხომ კარგად გახლავთ?

— კარგად არის,—გულ-ცივად უპასუხა კნეინამ.

— მინდოდა დამენახა თვალით, დავმტკბარიყავ იმის ცქერით.

— ელენეს სძინავს.

— ძალიან ვსწუხვარ. მე აქ დიდ ხანს ვერ დავრჩები.

— სად მიეჩქარები?

— ომი დაიწყო, დედი! დრო არა მაქვს. ვინ იცის, იქნება აიღოს გეტმანმა და გამიძახოს სალაშქროდ: იმიერ ჭოროშელების ჩეხა კი ვერაფერი სასიამოვნო საქმეა. ერთხელ არ წავსულვარ იმათთან ერთად და ორჯელ ოსმალთა ქონების წამოსატაცებლად,—მართალს არ ვამბობ, თავადნო? ვინ იცის, რამდენჯერ ზღვა-ზღვა გვივლია, პურ-მარილი გაგვიზიარებია ერთმა-

ეთისათვის, ერთად გვისვამს და გვიქეიფნია, ახლა კი მტრად გადავ ყიდებიეართ.

კნეინამ დაკვირვებით შეჰხედა ბოგუნსა. ფიქრად გაუელვა იმ აზრმა, რომ იქნება ბოგუნი აჯანყებულთ მიემხრო და მოვიდა ახლო, რომ ჩემი შვილებიც გადიბიროსო.

— რასა ჰფიქრობ, როგორ გინდა მოიქცე?—ჰკითხა კნეინამ.

— მე? რა უნდა ვიფიქრო? მეცოდებიან ჩემნი სისხლნი და ხორცნი, მაგრამ რა ვქნა, მაინც უნდა ვეომო.

— ჩვენც უნდა ვეომოთ,—სთქვა სვიმონმა...

— ხმელნიცკი მოღალატეა!—დაუმატა ნიკოლოოზმა.

— გაწყდნენ ყველა მოღალატენი!... დიაღ, ყველა მოსალოდნელია ამ წუთი-სოფელში; დღეს ძმაა კაცი, ხვალ—იუდა. ველარავის ველარა ჰნდობიხარ.

— კეთილს ხალხს შეგიძლიან მიენდო მხოლოდ.

— მართალია, კეთილს ხალხს თუ ენდობა კაცი. ამიტომაც გენდობით კიდეც თქვენ და მიყვარხართ კიდეცა... თქვენ კეთილნი ხართ, მოღალატენი არა ბრძანდებით... ალბად, ატამანის ხმას სხვანაირი კილო ჰქონდა, რადგან ამ სიტყვების თქმის შემდეგ საშინელი დუმილი ჩამოვარდა. პან ზაგლობა თავის ცალის თვალით კნეინას უყურებდა, ხოლო ის ბოგუნს არ აშორებდა თვალებსა.

ბოგუნმა განაგრძო:

— ომი ხუმრობა საქმე არ არის და ამიტომ მომინდა თქვენი ნახვა ომში წასვლამდე. ვინ იცის, ცოცხალი-ღა დავბრუნდები თუ არა, თქვენ კი დაგენანებოდით, მიგლოვდით... მართალი არ არის?

— ღმერთმა დაგიფაროს! ბავშობიდანვე ჩვენს ხელში ხარ გაზრდილი. შენ ჯვარი გწერია.

— თქვენ თავადნი ბრძანდებით, შლიახტიჩები, მაგრამ მაინც არ გეჯავრებოდათ ჩემისთანა ყაზახი; თქვენ შემივრდომეთ, თქვენის ნათესავის მოთხოვებას დამპირდით... იცოდით კიდეც, რომ

უიმისოდ ჩემისთანა ყაზახისათვის სიცოცხლე ჩალად არ ეღირებოდა... და თქვენც შემიცოდეთ, შემიწყალეთ.

— ეგ რა სათქმელი და სალაპარაკოა,—აჩქარებითა სთქვა კნეინამ.

— არა, დედი, სათქმელიც არის და სალაპარაკოცა. აი მე ვსთხოვე ამ შლიახტიჩს, რომ მიშველოს და მოსპოს, თუ რამ განსხვავებაა მე და თქვენ შორის. პან ზაგლობა დასთანხმდა და, ომი გათავდება თუ არა, წავალთ ბატონ დიდ გეტმანთან და შეეეედრებით ამ საქმეს; იქნება ღმერთმა ინებოს და აზნაურშვილობა მიბოძონ მეც ისე, როგორც ქშეჩოვსკის უწყალობეს.

— ღმერთი იყოს შენი შემწე,—სთქვა კნეინამ.

— გული გტკივათ თქვენ ჩემთვის. ვხედავ ამას და ამიტომ მადლობელი ვარ თქვენი. მაგრამ ლაშკრად წასვლამდე მინდოდა მაინც გამეგონა, რომ თქვენს სიტყვას შეასრულებთ. აზნაურშვილის მოცემული სიტყვა კვამლი არ არის და თქვენ ხომ შლიახტიჩები ხართ, თავადიშვილნი ბრძანდებით.

ბოგუნი ლაპარაკობდა დინჯად, ღაღადების ხმაზედ, მაგრამ ამავე დროს იმის ლაპარაკს ეტყობოდა კილო რაღაც მუქარისა, რომელიც აიძულებდა ადამიანს შეესრულებინა ყოველივე, რასაც კი მოითხოვდა მოლაპარაკე. მოხუცი კნეინა სდუმდა და ჩუმად გადაჰხედავდა ხოლმე თავის შვილებს. გავიდა რამდენიმე წუთი ასეთის სამძიმო დუმილისა. მკვარი, რომელიც ანათებდა ტალანს, გაჰქრა, ოთახში დაბნელდა.

— ნიკოლოოზ, გაასწორე მკვარი, — უბრძანა კნეინამ შვილს.

ახალგაზდა თავადმა სხვა მკვარი გაამაგრა სამ-კაპიან რკინის ჯოხში.

— აბა, თანხმა ბრძანდებით? მაძლევთ სიტყვას?—არ იშლიდა თავისას ბოგუნი.

— ელენეს უნდა დავეკითხოთ.

— იმან თავის მაგიერადა სთქვას, თქვენ თქვენს მაგიერად მითხარით. მაძლევთ პირობას?

— გაძლევთ!—ერთად წარმოსთქვეს კნეინამა და მისმა შვილებმა.

ბოგუნი წამოდგა, გამოიჭიმა, მიჰმართა ზაგლობას და ხმამაღლა სთქვა.

— პან ზაგლობა! შენც ითხოვე ის ქალი; იქნება შენც დაგპირდნენ.

— შენ მთვრალი ხომ არა ხარ?!—შეჰყვირა კნეინამ.

ბოგუნმა პასუხის მაგიერ ამოიღო ჯიბიდან წერილი სქშეტუსკისა და გადუგდო პან ზაგლობას.

— წაიკითხე!

ჩამოვარდა მდუმარება და ზაგლობამ დაიწყო კითხვა.

როცა კითხვა გაათავა, ბოგუნმა გულ-ხელი დაიკრიფა.

— ვის აძლევთ ელენეს?

— ბოგუნო!

ატამანის ხმა გველის სისინს მოაგონებდა კაცსა.

— მოღალატენო, საზიზღარნო, გამცემელნო!..

კურცევიჩები ეცნენ მაშინვე კედლებს და სტაცეს ხელი იარაღს.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!—შეჰყვირა ზაგლობამ.

მაგრამ ვიდრე მან ესა სთქვა, ბოგუნმა იძრო დამბაჩა და გაისროლა.

— იესო!—დაიძახა თავადმა სვიმონმა, გადადგა წინ ფეხი, დატორტმანდა და მძიმედ დაეცა ძირს.

— ხალხო, გვიშველეთ!—განწირულებით დაიღრიალა კნეინამ.

მაგრამ ამ დროს ეზოსა და ბაღში ატყდა თოფის სროლა, კარები და ფანჯრები შეამტვრიეს და ათი და ოცი შეიარაღებული ყაზახი შემოვარდა დერეფანში.

— სიკვდილი ამათ!—გაისმა ხმა განადირებულის ხალხისა.

ეზოში ვილამაც დაჰკრა საგანგაშო ზარი. სანადირო ფრინველთ, რომელნიც დერეფანში იყვნენ, გაელვიძათ და შეჰქნეს ფთხრიალი; ყიჟინი და საშინელი ვაი-ვაგლახი მოჰყვა იმ მდუმარებას, რომელიც მანამდე იყო მიყრუებულს სახლში.

მოხუცი კნეინა ქვითინით მიჰვარდა სვიმონის გვამს, რომელიც ოდნავ-ღა ჰფეთქავდა, მაგრამ ორმა ჯარის კაცმა წაავლო ხელი თმაში და გაათრია იქით. ნიკოლოოზი მიჰკროდა დერეფნის კუთხეს და ლომივით იგერებდა თავ-დასხმულ მტერთ.

— მომეცათ!—დაიძახა ბოგუნმა.—მომეცათ მანდედან!— გაიმეორა მან გრგვინვით. ყაზახებმა უკან დაიწიეს. იმათ ეგონათ, რომ ატამანს უნდა ცოცხალი გადაარჩინოს ახალგაზდა თავადიო, მაგრამ ამის მაგიერ, ბოგუნი თვით ეკვეთა ხმალ-ამოღებული.

დაიწყო საშინელი ბრძოლა ორისა ხმალ-და-ხმალ. კნეინა, რომელიც თმებით ეჭირათ თავიანთის რკინის ხელებით ჯარის-კაცებს, ცეცხლ-მოკიდებულის თვალებათ უცქეროდა ამ ბუმბერაზობას. ახალგაზდა თავადი, როგორც გრიგალი, ისე მიეტია ყაზახს, რომელმაც ნელ-ნელა დაიწია უკან და შუადერეფანში გამოიყვანა თავისი მოპირისპირე. უცბად ბოგუნი ჩაქუქდა, აიცილა მოქნევა ხმლისა და, თუ აქამდე საგერს ბრძოლაში იყო, ახლა სატევი ომი დაიწყო.

ყაზახნი სულ-განაბულნი იყვნენ, ხმლები ძირს დაეღოთ, სულ თრთოდნენ და ისე შეჰყურებდნენ მებრძოლთ, აბა, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებსო.

ამ საშინელს სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ ღრმა ქშინვა მებრძოლთა; კრაჭუნი კბილებისა და მკვეთრი ხმა ხმლის ხმალზედ შემოკვრისა.

ერთ ხანად კაცს ეგონებოდა, რომ ახალ-გაზდა თავადი სჯობნის ღონითა და ხერხით ატამანსაო, რომელმაც კვლავ უკან-უკან დაიწყო დახევა; სახე გაუწითლდა დაღლილობითა. ნიკოლოოზმა თან-და-თან უფრო მეტის ძლიერებით დაიწყო ცემა და შემოქნევა ხმლისა. იატაკს ავარდა მტვერი და ოდნავ შემოერტყა გარშემო მებრძოლთ, მაგრამ ყაზახებმა მაინც დაინახეს სისხლი, რომელიც წითლად ჩამოსდიოდა ლოყაზედ ატამანსა.

ბოგუნი უცბად გახტა განზედ და თავადის ხმალი ეცა ცარიელ ჰაერს; ნიკოლოოზი წატორტმანდა, წინ წაიხარა და

ისეთის ძალით დასცა ამ დროს ხმალი ყაზახმა, რომ თავადი მაშინვე დაეცა, თითქო მუხლები მოჰკვეთესო.

ყაზახთ მორთეს ყვირილი სიხარულითა, ხოლო კნეინას აღმოხდა გულიდან საშინელი კივილი. ბრძოლა გათავდა. ყაზახნი ეცნენ კედლებსა, ჰგლეჯდნენ იქიდან იარაღს და სთელავდნენ ფეხ-ქვეშ თავადთა და იმ თავიანთ ამხანაგთა გვამებსა, რომელნიც დაჰხოცა ნიკოლოოზმა. ბოგუნი აღარაფერში აღარ ერეოდა. იდგა იმ კარებში, საიდანაც ელენეს ოთახში შეიძლებოდა გასვლა და ძლივს ითქვამდა სულს, ისე იყო მოქანცული. ორგან იყო თავში დაკოდილი. იქვე ახლო რამდენსამე ყაზახს გაკავებული ეჭირათ კნეინა, რომელიც გამწარებული იწევდა თავის დახოცილ შვილებისკენა.

ყიჟინი და ჟღავი-ჟღუვი თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა დერეფანში. ყაზახნი მოათრევდნენ თოკებით შეკრულ მხლებლებს კურცევიჩებისას და უწყალოდ ჰხოცავდნენ. იატაკი სულ სისხლით მორიალდა და გაივსო დახოცილთა გვამებით. უცბად გაიღო ყურთამდე ის კარები, რომელშიაც ბოგუნი ჩამდგარიყო. ატამანმა მიიხედა უკან. კარებში გამოჩნდა უსინათლო ვასილი და მასთან ერთად ელენე თეთრის ტანისამოსითა, გაფითრებული, შიშისაგან თვალებ-გაშტერებული, ნახევრად ბაგე-განპობილი.

ვასილის ჯვარი ეჭირა მაღლა ამართულს ხელში. ამ საერთო არეულობაში, გაცივებულ და ძირს გართხმულ გვამთა შორის, ამ სისხლში, რომელიც მორიალებული იყო იატაკზედ, მაღალის ტანის ვასილი ჭაღარა შერთულის თმებითა და, თვალების მაგიერ, შავის ფოსოებით, რაღაც საშინელი რამ სანახავი იყო. კაცს ეგონებოდა, მიცვალებული წამომდგარა საფლავიდან და მოსულა აქ, რომ დასაჯოს დანაშაულიო.

დერეფანში დუმილი ჩამოვარდა. განცვიფრებულნი ყაზახნი შიშით უკან უკან იწევდნენ. მდუმარებას არღვევდა მხოლოდ სუსტი, მიხრწნილი ხმა თავადისა.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა და ყოვლად-წმინდისა ქალწულისათა! ხალხნო, მოსულნო შო-

რის ქვეყნებიდან, კეთილი ამბავი მოიტანეთ? სამღვთო წერილში ნათქვამია: „კურთხეულ არს კაცი, რომელიცა ჰქადაგებს სიტყვასა მღვთისასა“. თქვენა, კეთილნი მახარობელნი ხართ?

გარშემო საშინელი დუმილი იყო მხოლოდ. ვასილიმ გადასწერა ჯვარი ჯერ ერთს მხარეს, მერე მეორეს და განაგრძო:

— ვაი თქვენდა, ძმანო, თუ ომი კერძო სარგებლობისათვის დაიწყეთ. მსჯავრ-დადებულნი იქმნებით საუკუნოდ!.... ილოცეთ, შეგვიწყალოსმცა ჩვენ ღმერთმა. ვაი თქვენდა, ვაი ჩემდა!

კვნესა მიხრწნილის და განწირულის კაცისა აღმოხდა გულიდან თავადს.

— უფალო შეგვიწყალენ!—წაიჩურჩულეს ყაზახებმა, რომელნიც უნებურად შეიპყრო რაღაც მათთვის გაუგებარმა შიშმა.

— უცბად მოისმა საშინელი, გულის-გამგმირი კივილი კნეინასი:

— ვასილი, ვასილი!

იმის ხმას დაეტყო გამოუთქმელი, საზარელი განწირულება. ახლა აღარც კი სცდილობდა გაჰშვებოდა ხელიდან იმათ, რომელნიც იჭერდნენ.

თავადი შეშფოთდა, მიატრიალა ჯვარი იქითკენ, საიდგანაც მოესმა კივილი და სთქვა:

— წაწყმედილო სულო, რომელიც შემოგვკვნესი შველას დედა-მიწის წიაღიდან, ვაი შენდა!

— უფალო შეგვიწყალენ!—განიმეორეს ყაზახებმა.

— ჩემთან მოდით, ჩემთან!—ძლიეს წამოიკნავლა ბოგუნმა და დატორტმანდა.

ყაზახნი მისცვინდნენ და შეიმაგრეს თავიანთი უფროსი.

— ბატონო! დაჭრილი ბძანდები?

— დაჭრილი ვარ, მაგრამ ეგ არაფერი! სისხლისაგან დავიცალე. გამიგონეთ, რას გეუბნებით: გაუფრთხილდით ამ ყმაწვილს ქალს, როგორც თქვენს თვალის-ჩინსა.... სახლს გარშემო შემოერტყით, არავინ გაუშვათ გარედ... კნიაჟნა....

ველარ დაათავა თავისი სათქმელი, ტუჩები გაუფითრდა, თვალები აემღვრა.

— გაიყვანეთ ოთახში ატამანი! —დაიძახა პან ზაგლობამ, თომელიც მოულოდნელად გაჩნდა საიდგანღაც სწორედ მაშინ, როცა ბოგუნმა უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა.—არა უშავს-რა, არა,—იმეორებდა ზაგლობა და თან უსინჯავდა ჭრილობას ხელითა.—ხვალ კარგად იქნება. მე თვითონ მოვუვლი. პურის გული და აბლაბუდა უნდა დავადოთ მხოლოდ. თქვენ გამეცალეთ აქედან, ვაჟკაცნო... წადით და თუნდ სოფლის გოგოებში გაატარეთ დრო; ახლა საჭირონი აღარა ხართ; მხოლოდ ორნი დარჩით და ოთახში გაიყვანეთ ატამანი. აბა, აიყვანეთ. აი აგრე. გასწით, რაღასა დგეხართ? სახლსაც ყური უგდეთ; მერე მე ვიცი თვითონ.

ორმა ყაზახმა ციმციმ გაიტანეს ბოგუნი მეორე ოთახში, ხოლო დანარჩენები გავიდნენ გარეთ.

ზაგლობა მიუახლოვდა ელენეს, თავის ცალის თვალით დაუწყო რიღასიც ნიშნება და ჩუმად წასჩურჩულა:

— მე პან სქშეტუშსკის მეგობარი ვარ, ნუ შეგეშინდებათ. ეგ თქვენი წინასწარმეტყველი დააძინეთ მხოლოდ და მელოდეთ.

ზაგლობა შეეიდა მეორე ოთახში, საცა, ოსმალურს რბილს ტახტზედ იწვა ბოგუნი და დაუყონებლივ გაჰგზავნა ორივე ყაზახი პურისა და აბლაბუდის მოსატანად. როცა ეს მისი სურვილი შეასრულეს, პან ზაგლობამ დიდის მოხერხებით შეუხვია ჭრილობანი თვისსა მეგობარსა. იმ დროს ყოველს შლიახტიჩს უსათუოდა ჰქონდა ამისთანა სადოსტაქარო ცოდნა.

— უთხარით ყაზახებს,—უბრძანა მან ესაულებს,—რომ ხვალ ატამანი სრულიად კარგად იქნება; ნურას იწუხებენ. ვსთქვათ, კარგად კი აყოფინეს, მაგრამ არა უშავს-რა, ხვალ ქორწილიც იქნება ამისი, თუმცა უხუცესოდ კი. თუ მარანია ამ სახლში და სასმელი რამ იპოვება შიგ, შეგიძლიანთ სვათ. აჰა, ეს ჭრილობანიც შეევუხვიეთ; ახლა კი წადით; ატამანს მოსვენება ეჭირვება.

ესაულებმა კარებისკენ გასწიეს.

— მთლად კი არ გააშროთ სასმელი მარანში,—მიაძახა კიდევ პან ზაგლობამ მიმავალთა. მოუჯდა თავით ატამანსა და ყურადღებით დაუწყო ცქერა.

— ჰმ, ნუ გეშინიან, ეშმაკები არ წაგაპანწიალებენ ამისთანა ჭრილობის მიზეზით, თუმცა კარგა კი მოგხვდა. ამ ორს დღეს ვერც ხელს გაანძრევ და ვერც ფეხსა,—ბუტბუტებდა თავისთვის ზაგლობა და დასცქეროდა ყაზახის გაფითრებულს სახესა და დახუჭულს თვალებსა.—ხმალმა არ ისურვა წყენა ჯალათისა, იმიტომ რომ შენ მაინც მისი წერა ხარ და ვერც ვერსად წაუხვალ. როცა ჩამოგახრჩობენ, მოვა ეშმაკი და სათამაშოდ გაგაკეთებს თვისის შვილებისათვის: შეჰხედეთ და, რა ლამაზია! არა, ქაჯან, კარგად კი სვამ, მაგრამ ეგ არის, ჩემთან ველარ დაჰლევ ამას იქით. სხვა ამფსონები მოსძებნე ახლა, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ შენთან ერთად თავს ვესხმოდე შლიახტიჩების სახლებსა.

ბოგუნმა ოდნავ დაიკვნესა.

— ოჰ, იკვნესე, ზოგი ხვალა ჰნახე კვნესა და ოხვრაი. მაშ, დამაცადე, შეურჯულო, კნიაჟნა მოვესურვა განა? ჰმ, გემო კი გქონია, ქალიშვილი კალმით ნახატია, მაგრამ ვიდრე შენ იმას ხელს ახლებდე, დაე ჯერ უმალ ჩემს ჭკუას ეშმაკები დაეპატრონონ. უმალ ტაშზედ ბალანი ამომივა. პან ზაგლობას მოესმა ჟღავი-ჟღუვი და ყაყანი; ამ გარემოებამ შეაწყვეტინა ფიქრი და ზრახვანი.

— ეჰე, ეტყობა მარნისათვის მიუგნიათ. კარგი, არ დაგიშლით დათრობასა და ძილს, მე კი აქ ვიფხიზლებ თქვენ მაგიერად, თუმცა არ ვიცი, სასიამოვნო იქნება თუ არა ხვალ თქვენთვის ჩემი მღვიძარება.

პან ზაგლობა წამოდგა და წავიდა, რომ დარწმუნებულიყო, მართლა მიაგნეს თუ არა ყაზახებმა თავადის მარანსა. დერეფანი საშინელი სანახაევ იყო. შუაში ეყარნენ გაცივებულნი გვამნი სვიმონისა და ნიკოლოოზისა, ხოლო კუთხეში ეგდო კნეინა იმ სახით, რა სახითაც გაეჭყლიტათ ის სა-

ცოდავი ყაზახის მუხლებსა. მკვარის სინათლე ოდნავ ანათებდა ოთახს; მისი მკრთალი შუქი ჰკრთოდა სისხლის გუბეებში. პან ზაგლობა მივიდა კნეინასთან და ხელი დაადო იმის სახეს; ჰნახა, რომ სულ გაცივებულიყო და საჩქაროდ გავიდა გარედ. ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა. ეზოში ყაზახნი უკვე ქეიფობდნენ. ცეცხლები ენთოთ და მათს სინათლეზედ პან ზაგლობამ დაინახა თაფლის ბოჩკები, ღვინისა და არაყის ჭურჭელი, რომელიც სულ მიენტვრ-მოენტვრიათ და ისე ესვათ. ეხლაც ისე იღებდნენ იქიდან სასმელს, თითქო ჭა არისო და სვამდნენ უღმერთოდ. ზოგნი, რომელთაც კარგა მოჰკიდებოდათ უკვე სასმელი, დასდევდნენ თავადიშვილთა მოახლეებს, ზოგნი რაღაცნაირის გამძვინვარებით სცეკვამდნენ ჩაჯდომილანი, დანარჩენნი კიდევ შესცქეროდნენ მოცეკვართა და ჩახრინწიანებულის ხმით გასძახოდნენ სიმღერას. იმათს ღრიალს ბანს აძლევდა ყეფა ქოფაკთა, ჭიხვინი ცხენთა და ბღავილი ხართა, რომელთაც იქვე ჰხოცავდნენ საჭმელად. მოშორებით მოსჩანდნენ რაზლოგის გლეხ-კაცნი: შესმენოდათ ხმა თოფის სროლისა და მრავლად მოგროვილიყვნენ, ვნახოთ რა ამბავიაო. ისინი სრულიადაც თავს არ იცხელებდნენ თავადთა დასაცველად; კურცევიჩები ყველას ეჯავრებოდათ სოფელში. ქეიფი და ღრიანცელი უფრო და უფრო ძლიერდებოდა თან-და-თან; ყაზახნი ახლა ბოჭკიდან კი არ იღებდნენ სასმელს ჭურჭლით, პირდაპირ შიგა ჰყოფენ თავს და ეწაფებოდნენ ხარებივით; ბევრნი ძლივს-ღა იდგნენ ფეხზედ და ტორტმანით დაფრატუნებდნენ. პან ზაგლობა გამოვიდა სულ გარედ, კიბის ბაქანზედ, ყურადღებით მოავლო თვალი მთელს ამ სცენას და მერე მაღლა აიღო თავი, ცას შეჰხედა.

—ამინდი კარგია, თუმცა კი ბნელა,—წაიჩურჩულა მან.—როცა მთვარე ჩავა, ისე დაბნელდება, როგორც უკუნეთი.

ჩავიდა ძირს და დინჯად მიუახლოვდა მოქეიფეთა.

— ყოჩაღთ, ვაჟკაცნო!—შესძახა პან ზაგლობამ.—ემაგრე უნდა სწორედ, რა დასანანია სხვისა დოვლათი. სულელი იქ-

ნება ისა, ვინც არ დაითვრება ატამანის სადღეგრძელოდ. აბა, მიიტანეთ იერიში ბოჩკებზედ! ურა!

— ურა! — დაიღრიალეს მხიარულად ყაზახებმა.

ზაგლობამ აქეთ-იქით მიიხედა.

— ჰაი, თქვე წუწკებო, თქვე ურჯულონო, ჩამოსაღრჩობნო თქვენა! — აენთო უცბად ზაგლობა. — თქვენა სვამთ, თითქო დაღლილი ცხენები იყოთ და იმათ კი, ვინც სახლსა ჰყარაულობს, არაფერს ასმევთ? გასწით ახლავე იქა! გამოსცვალეთ ამ საათში დარაჯნი!

ოციოდე მთვრალი ყაზახი გაეშურნენ მაშინადვე და გამოსცვალეს მოდარაჯე ამხანაგნი, რომელთაც ჯერ არა დაელიათ-რა. მალე ისინიც მოვიდნენ, რასაკვირველია, დიდის სიჩქარითა და შემოერტყნენ ბოჩკებს.

— აჰა, აიღეთ და სვით! — უთხრა ზაგლობამ და დაანახვა სასმელების ბოჩკები.

— გმადლობთ, პანე!

— ერთს საათს უკან უთუოდ თქვენი ადგილი დაიჭირეთ ისევ სადარაჯოდ.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა ყველას მაგიერ ესაულმა.

ყაზახებს სრულიად არ ეჩოთირათ, რომ მბრძანებლობა ახლა პან ზაგლობამ იკისრა ბოგუნს შემდეგ. ამისთანა ამბავი იშვიათად არ მომხდარა და ყაზახნი ყოველთვის კმაყოფილნი რჩებოდნენ ხოლმე, იმიტომ რომ შლიახტიჩი ნებას აძლევდა, როგორც უნდოდათ, ისე მოქცეულიყვნენ.

დარაჯნი გულ-მოდგინედ შეუდგნენ სმას, ხოლო პან ზაგლობამ გლეხ-კაცებს დაუწყო მუსაიფი.

— შორს არის აქედან ლუბნი? — ჰკითხა მან.

— ოჰ, შორს არის, პანე! — უპასუხა ერთმა მოხუცმა გლეხკაცმა.

— დილამდე ვერ მივა კაცი?

— ოჰ, ვერა, პანე!

— შუადღემდე?

— შუადღემდე შეიძლება.

— საით უნდა წაიიდეს კაცი?

— პირდაპირ გზა არის.

— არის კი გზა?

— გახლავთ. თავადმა ერიომამ ბრძანა, გზა იყოსო.

პან ზაგლობა განგებ ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, რომ ყვირილსა და ხმაურობაში იმისი სიტყვები გაეგონათ ჯარის-კაცებს.

— მოიტათ, ამათაც დაალევინეთ არაყი,—უბრძანა მან გლეხ-კაცებისა,—მაგრამ ჯერ თაფლი დამალევინეთ მე... ცივა...

ერთმა ყაზახმა ამოიღო ბოჩკიდან თუნუქის პინათი თაფლი და მიართვა პან ზაგლობას.

შლიახტიჩმა წაავლო ფრთხილად ორივე ხელი, არ დამექცესო, დაეწაფა და დაიწყო სმა აუჩქარებლად, უსუნთქებლივ.

სვა და სვა ისე, რომ ყაზახთაც კი უკვირდათ. „დაინახე?—წასჩურჩულა ერთმა მეორეს.—ერთი უყურე და მაგ წყეულს ლიახს!“

ამ დროს პან ზაგლობამ თავი უკან-უკან გადიწია, ბოლოს მოიშორა აწითლებულ პირიდან პინა, მოიწმინდა ულვაშები, შეათამაშა წარბები და სთქვა ვითომ თავისთვის:

— ჰმ, ურიგო არ არის; ძველია, პირდაპირ ეტყობა, რომ ძველია. თქვენისთანა ტეტიებმა არ უნდა სვან ამისთანა; თქვენთვის ბურახი და ხრაკიანი არაყიც კარგი იქმნებოდა. ძალიან მაგარი თაფლია, ძალიან. ვგრძნობ, რომ ახლა უკეთა ვარ.

მართლაც, პან ზაგლობა ახლა უკეთ შეიქნა; მისმა გონებამ გამოიფხიზლა და დაიწყო მუშაობა. ცხადი იყო, რომ მისი სისხლი, რომელსაც თაფლი შეერია, გადაიქცა იმ კეთილშობილ ნაკადულად, რომელიც, იმის სიტყვისამებრვე, ღონესა და ვაჟკაცობასა ჰმატებს ადამიანის ჯანს.

ხელით ანიშნა ყაზახებს, რომ შეგიძლიანთ სვათ კიდევაო, გაიარა ეზოში, დაათვალიერა ყურადღებით ყოველივე კუთხე და ყური, გადიარა ასაკეც ბოგირზედ და მესერ-მესერ

დაიწყო სიარული, რათა დარწმუნებულიყო, ფრთხილად იცავს თუ არა დარაჯთა დასი სახლსაო.

პირველ ყაზახს ეძინა, მეორესაც, მესამესაც და მეოთხესაც აგრეთვე. ჯერ გზამ გასტანჯა საკმაოდ და ახლა მთვრალებიც იყვნენ ამასთანავე.

— ფეხებით რომ ათრიო, მაინც ვეღარას გაიგებენ,—სთქვა პან ზაგლობამ და დაბრუნდა უკან. აგერ საშინელი დერეფანიცა, აი ბოგუნის ოთახიცა. რაკი ჰნახა, რომ ატამანი მკვდარივით არისო, შლიახტიჩმა ჩუმად გააღო მეორე კარი და შევიდა ელენეს ოთახში.

უსინათლო თავადი ვასილი დაჩოქილი იყო და ხმა-მაღლა ლოცულობდა ყოვლად-წმინდა ღვთის მშობლის ხატის წინაშე. იმის ახლო იდგა ელენე, რომელმაც, დაინახა თუ არა ზაგლობა, მოუსვენრობითა და შიშით საესემ შეჰხედა შესულსა. ზაგლობამ თითი მიიდო ტუჩებზედ.

— კნიაჟნა,—ჩუმადა სთქვა შლიახტიჩმა,—მე მეგობარი ვარ პან სქშეტუსკისა.

— დამიხსენით!—შესძახა ელენემ.

— მეც მაგიტომ მოვედი აქა. მენდეთ და იმედი გქონდეთ ჩემი.

— რას მირჩევთ, რა მოვიქმედო?

— უნდა გავიქცეთ, ვიდრე ის ბოროტი უგრძნობლადა წევს ტახტზედ.

— რა მოვახერხო? არა მესმის-რა.

— ჩაიცვით კაცის ტანისამოსი და, დავაკაკუნო თუ არა კარები, გამოდით.

ელენემ ყოყმანი დაიწყო და გონება დაფანტვით შეჰყურებდა პან ზაგლობას.

— შემიძლიან განა გენდოთ თქვენა?

— რა დაგრჩენიათ მერე მაგაზედ უკეთესი?

— დაიფიცეთ, რომ არ მიღალატებთ.

— თქვენ სულ გონება დაგეპნათ. მაინც, თუ გნებავთ, დავიფიცავ: ვფიცავ ღმერთსა და წმინდა ჯვარსა. აქ დაღუპვაა თქვენი და გაქცევაა მხოლოდ ერთად-ერთი ხსნა.

— მართალია, მართალი.

— მაშ, ჩაიცვით კაცური ტანისამოსი და მელოდეთ.

— ვასილი?

— ვინ ვასილი?

— ჩემი გიჟი ბიძაშვილი.

— დაღუპვა თქვენ გელით და არა მაგას,—უპასუხა პან ზაგლობამ.—ვასილი თუ გიჟია, მაშ მაგათთვის ეგ წმინდანია. მე შევამჩნიე, რომ თქვენი ბიძაშვილი წინასწარმეტყველად მიიჩნიეს იმათ.

— მაინც ბოგუნისათვისაც მაგას არა დაუშავებია-რა.

— ეგ უნდა დავტოვოთ, თორემ ყველანი დავიღუპებით... პან სქშეტუსკიც დაიღუპება ჩვენთან ერთად. მაშ, აჩქარდით, კნიაჟნა და ნულარას დააყოვნებთ.

სთქვა ესა პან ზაგლობამ, გამოვიდა ოთახიდან და პირდაპირ ბოგუნთან შევიდა.

ატამანი გაფითრებული და მისუსტებული იწვა, მაგრამ ახლა კი თვალები გახელილი ჰქონდა.

— უკეთა ხარ?—ჰკითხა ზაგლობამ.

ბოგუნს რაღასაც თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო.

— ლაპარაკი არ შეგიძლიან განა?

ბოგუნმა ანიშნა, არაო. სახეზედ ეტყობოდა, რომ იტანჯებოდა. მოძრაობისაგან ჭრილობას პირი ექნა.

— არც ყვირილი შეგიძლიან?

ბოგუნმა მხოლოდ თვალებით ანიშნა, არ შემიძლიანო.

— არც განძრევა?

კვლავ იგივე ნიშანი.

— მით უკეთესი, თუ არც ლაპარაკი შეგიძლიან, არც მოძრაობა; არც ყვირილი: მე და კნიაჟნა კი, ვიდრე შენ მორჩები, ლუბნს წავალთ. თუ მე შენ ის ვერ მოგტაცე, ეს ულვაშები ნულარა მსხმია. როგორ, შე ლორო, შენა! შენ ბგო-

ნია, რომ შენთან ყოფნამ თავი არ მომაბეზრა? იქნება გგონია, შენისთანა ტეტიას დავუწყებ მე კიდევ ამფსონობას!? სულელი! ხომ არ გეგონა, რომ შენის ღვინისა და პატიჟობის გულისათვის ხელს შევუწყობდი შენს დანაშაულსა და მოგეშველებოდი სამიჯნურო საქმეებში! ვერ მოგართვეს-მეთქი, გეუბნები მე შენა.

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა პან ზაგლობა, მით ატამანი თვალებს უფრო და უფრო ახელდა. ეძინა თუ ცხადად ესმოდა ყოველივე... იქნება პან ზაგლობა ხუმრობდა?

პან ზაგლობა მაინც თავისას განაგრძობდა.

— რას აპყეტავ მაგ თვალებს, თითქო კატა შესცქნავის ჩიტსაო? შენ გგონია, რასაც ვამბობ, ვერ შევასრულებ? ხომ არ მიბრძანებ, სალამი მოვახსენო თავადს ლუბნში? ხომ არ გინდა ესთხოვო, რომ თავისი ექიმბაში გამოგიგზავნოს?

ატამანის გაფითრებულ სახეს საშინელი მეტყველება დაეტყო. ბოგუნი მიხვდა, რომ ზაგლობა მართალს ამბობსო; თვალები აენთო განწირულებითა და გულის-თქმითა, სახე აუპარხლდა. საშინლად დაატანა თავს ძალა, წამოიწია და მის გულიდან ალმოხდა ხმა:

— ეი, ჩემთან, ყაზახ...

ბოგუნმა ველარ დაათაეა თავისი სათქმელი, იმიტომ რომ პან ზაგლობამ ელვასავით სწრაფად გადააცვა თავს ჯუბა და პირქვე დაამხო საწოლზედ.

— ნუ ჰყვირი, მეგობარო, ყვირილი გაწყენს,—ჩუმად დაიწყო მან ლაპარაკი,—ხვალ დილით, შესაძლოა თავი აგტკივდეს, ხოლო მე, როგორც შენს ძველს მეგობარს, არ მესიამოვნება ეგ ამბავი. ასე სჯობიან, ასე, თბილადაც იქნები, ძილითაც კარგად დაიძინებ და არც ყელი გაგიცივდება. ხოლო რომ ეგ თოფრაკი არ მოიხსნა, ხელებსაც შეგიკრავ... სულ მეგობრობისათვის, რასაკვირველია, რომ მერე მადლობით მომიგონებდე ხოლმე.

ხელები გაუკრა ყაზახს ქამრითა, მერე თავისი ქამარი მოიშველია და იმითი ფეხები შეუკრა ახლა. ატამანი იწვა გაუნძრევლად, გულ-შემოყრილი.

— ავადმყოფისთვის მოუსვენრობა არ ივარგებს,—არ იშლიდა მაინც თავისას პან ზაგლობა. მოუსვენრობისაგან ცუდი ფიქრები აუტყდება ავადმყოფს კაცს და შესაძლოა ცხელება დაემართოს. ახლა კი მშვიდობით იყავ! შემეძლო, ხანჯალი დამეცა შენთვის, რაიცა, ვსთქვათ, უფრო კარგი კი იქნებოდა. მაგრამ შლიახტიჩს არ ეკადრება უიარაღო კაცის მოკვლა. იქნება, შენ თვითონ ამოგხდეს სული. მაშ, ნახვამდის! ვინ იცის, შესაძლოა შევხვდეთ როდისმე ერთმანეთს, გარნა თუ მე თვითონ ვინდომო შენთან შეხვედრა, დაე ტყავი გამაძრონ და წისქვილზედ დასაფქვავს წუწკს ცხენს გაუკეთონ იმისი იარაღი.

პან ზაგლობა გამოვიდა დერეფანში, გააქრო სანათი და დააკაკუნა ვასილის ოთახის კარები.

თვალ-ტანადი ყმაწვილი გამოჩნდა კარებში.

— თქვენა ხართ, პანნა?—ჰკითხა ზაგლობამ.

— მე ვარ.

— მაშ, წავიდეთ, აბა... ცხენებამდე კი მივიდეთ, თორემ... მაგრამ ყველანი სულ მთვრალები კი არიან, უენოდ მთვრალები და ღამე ბნელია. ვიდრე ისინი გაიღვიძებენ და გამოფხიზლდებიან, ჩვენ უკვე კარგა შორს ვიქნებით. ფრთხილად გამოიარეთ, აქ კნეინას გვამია.

— ღმერთო, ღმერთო!—ჩურჩულებდა და გულის ტკივილით ამბობდა ელენე.

III

ორი ცხენოსანი ფრთხილად მიდიოდნენ ტყით-შემოსილ ხეობაში, რომელიც იქვე რაზლოგს ახლო იყო. ღამე ბნელი იყო, მთვარე სულ ჩავიდა და ცაც შავის ღრუბლებით შეიმოსა; ხევში ისე ბნელოდა, რომ ორ-სამ ნაბიჯზე არა სჩანდა-რა;

ცხენები წამ-და-უწამ ფორხილობდნენ, რადგან მიწაში ჩარჩენილ ჯირკებს წაჰკრავდნენ ხოლმე მალ-მალ ფეხს. ბაგრამ აგერ გათავდა ხეეიცა და მერე დაიწყო მინდორი, რომელსაც ოდნავ ანათებდა შუქი ჩასულის მთვარისა, ერთმა ცხენოსანმა წაიჩურჩულა:

— ჰკარით ქუსლი ცხენსა!

ცხენები გააჭენეს და ისე გაჰქანდნენ, როგორც ისარნი. ბნელი მინდორი თითქო უკან გარბოდა. განმარტოებულნი მუხანი, რომელნიც აქა-იქ იდგნენ გზის ნაპირებად, ისე მოსჩანდნენ, თითქო ღამის ლანდნი და მოჩვენებანი არიანო. კარგა ხანს აჭენეს ასე ცხენები, იმ დრომდე, ვიდრე არ დაიღალნენ და ხვითქში არ გაცურდნენ. მაშინ კი ნება-უნებურად უკლეს ცხენებმა სირბილს.

— მეტი ღონე არ არის,—სთქვა სქელმა მხედარმა,— უნდა შევასვენოთ ცხენები.

აღმოსავლეთის კიდური ცისა ოდნავ მოიცვა ვარდის ფერმა ნისლმა. სიბნელეში ნელ-ნელა გამოჩნდა სურათი სხვა-დასხვა საგნისა: ხეთა, ბუჩქთა, ნარ ეკალასი, გორხანებისა; ახლა შეიძლებოდა ცხენოსანთა სახის გარჩევაცა. ეს ცხენოსნები იყვნენ ზაგლობა და ელენე.

— მეტი ღონე არ არის, უნდა შევასვენოთ ცხენები,— განიმეორა პან ზაგლობამ:—გუშინ დაუსვენებლივ იარეს ჩიგირინიდან რაზლოგამდე. დიდ ხანს ვერ შესძლებენ ამდენს სიარულს; ვშიშობ, გზაში არ დაგვიცვინდნენ. როგორა ხართ, პანნა?

პან ზაგლობამ შეჰხედა სახეზედ თავის თანა-მგზავრს, პასუხს აღარ მოუცადა და დაიძახა:

— ნება მიბოძეთ, ამ დღის სინათლეზედ გაგსინჯოთ. ჰოოო! ეგ ტანისამოსი თქვენის ბიძაშვილისაა? უნდა გამოვტყდე, რომ მშვენიერს ყმაწვილს დაჰმგზავსებიხარ. ჩემს სიცოცხლეში არა მყოლია თქვენისთანა პაჟი, მაგრამ თქვენს თავსაც მალე პან სქშეტუშსკი წამართმევს. ეგ რაღაა?... ღვთის გული-

სათვის აიკეცეთ თმა, თორემ არავინ არ დაიჯერებს, რომ ქალი არა ხართ.

ცხენის ჭენების გამო ელენეს ნაწნავები დაჰშლოდა და გაწეწილი სქელი თმა შემოჰხვეოდა მის მხრებსა და ბეჭებს.

— სად მივდივართ?—ჰკითხა ქალმა და თან ცდილობდა თმები ქუდ-ქვეშ შეემალა.

— საცა გზა წაგვიყვანს.

— მაშ, ლუბნს არ მივდივართ?

ელენეს ხმას ოდნავ დაეტყო კილო მოუსვენრობისა და უნდობლობისა.

— აი რა მოგახსენოთ, კნიაჟნა, მე ჩემი ჭკუა მაქვს და, მენდეთ, ყოველივე კარგად მოვისაზრე. ხოლო ჩემი მოსაზრებანი ამ ბრძნულ საძირკველზედ დავამყარე: ნუ ილტვი იქით, საითკენაც მდევარი გამოგეკიდება: თუ ეხლა მოგვდევენ, უთუოდ ლუბნის გზისაკენ გაემართებოდა მდევარი, იმიტომ რომ გუშინ ხმა-მაღლა დავუწყე გამოკითხვა ხალხს, ლუბნის გზა საით არის-მეთქი; ბოგუნსაც უთხარი, როცა გამოვემშვიდობე, რომ ლუბნს მივდივართ-მეთქი. Ergo, მივდივართ ეხლა ჩერკასსა. თუ გამოგვეკიდებიან, მალე არ გამოგვეკიდებიან, იმ დრომდე არ გამოგვეკიდებიან, ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ ლუბნის გზაზედ არა სჩანს იმათი კვალიო. ამას კი ბარე ორს დღეს მოუნდებიან. ჩვენ კი მანამდე ჩერკასში ამოვყოფთ თავს, საცა სდგანან პოლონელთა სადროშონი პან პივნიცკისა და რუდომინებისა. ხოლო კორსუნშია დაბანაკებული მთელი მხედრობა გეტმანთა. მიხვდით ახლა, კნიაჟნა?

— მივხვდი და ვიდრე პირში სული მედგმის, თქვენი მადლობელი ვიქნები. არ ვიცი, ვინა ბრძანდებით, როგორ გაჩნდით რაზლოგში. მაგრამ ვგონებ თვით ღმერთმა გამოგგზავნათ ჩემდა მხსნელად, რადგან უმალ ყელს გამოვიჭრიდი, ვიდრე იმ კაცის მკვლელს მივეცემოდი ხელში.

— ის ბოროტია და, ამას გარდა, ისე გიცქერის, თითქო თვალით უნდა შესჭამოსო.

— რა დავუშავე, რაზედა მდევნის? დიდი ხანია ვიცნობ და დიდი ხანივეა ჭირივით მეჯავრება. იმის შეხედვაზე სხვა გრძნობა არა მებადება-რა, შიშის მეტი. ნუ თუ ჩემს მეტი აღარავინ არის ქვეყანაზედ, რომ ეგრე შევუყვარდი, ჩემის გულისთვის ეგოდენი სისხლი დაჭლვარა, ჩემი ბიძაშვილები ამოჰხოცა? რა წყალში გადავარდე? სად დავიმალო? ნუ გაგიკვირდებათ ჩემი ლაპარაკი... ღმერთსა ვფიცავ, ისე უბედური ვარ, რომ სიკვდილი მირჩევნიან...

ელენეს სახე აენთო; ლოყებზედ ორი პატარა ცრემლი ჩამოუგორდა გულ-მოსულობით და ზიზღის გამო.

— არ აგიხირდები,—სთქვა პან ზაგლობამ;—რომ ვითომ თქვენს სახლს დიდი უბედურება არ დასტეხოდეს თავს, მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ცოტაოდნად თქვენი ნათესავებიც დამნაშავენი არიან. არ უნდა დაჰპირებოდნენ ყაზახს თქვენს თავსა, ხოლო რაკი დაჰპირდნენ, მერე უარი აღარ უნდა ეთქვათ. როცა ყოველივე ესე მოჰხდა, ისეთმა გამძვინვარებამ მოუარა, რომ ველარავითარმა ჩემმა ლაპარაკმა ველარ დაამშვიდა მისი გული. მეცოდებიან თქვენი ბიძაშვილები, მეტადრე ის უნცროსი. ჯერ სულ ბავშვი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ თავის დროზედ სახელოვანი რაინდი დადგებოდა.

ელენემ ქვითინი დაიწყო.

— ცრემლები არ შეჰშვენის თქვენს ტანისამოსს. მოიწმინდეთ და სთქვით: ღვთის ნებაა-თქო! ღმერთი დასჯის კაცის მკვლელსაც, რომელმაც მაგოდენი სისხლი დააქცია და თქვენი თავი კი, ერთად ერთი საგანი თვისის ტრფიალისა და ძებნისა, დაჰკარგა.

პან ზაგლობა გაჩუმდა პატარა ხანსა.

— მაჩვენებდა კი ჩემს სეირს, ღმერთო ჩემო, თუ ჩამიგდებდა ხელში! მგონი ცოცხალს გამაძრობდა ტყავს. თქვენ ჯერ არ იცით, კნიაგინა, რომ უკვე გალატში შევიმოსე ოსმალთაგან მოწამებრივი გვირგვინი. ესეც სრულიად საკმარისია ჩემთვის, სხვა წამება აღარ მინდა და ამიტომ მივდივარ ჩერკასსა და არა ლუბნს. დიაღაც, კარგი იქმნებოდა, თავადთან

დავმალულიყავით, მაგრამ რომ დაგვწეოდნენ? ვერ გაიგონეთ, როცა ცხენები ავუშვი, ბოგუნის პაჟა გაიღვიძა? ერთიც ვნახოთ, დაჭკრა განგაში? ერთს წუთს ყველანი დაემზადებოდნენ და დაგვიჭერდნენ უეჭველად, იმიტომ რომ შეუძლიანთ სულ უკეთესი დასვენებული ცხენები აირჩიონ თავადებისა, მე კი დრო არა მქონდა ცხენები ამომერჩია. ოჰ, დიდი ძაღლია ეგ ბოგუნი, გეფიცებით! ისე გავუმწარე ახლა იმას სული, რომ ის მირჩევნია თვით ქაჯს შეეყარო და იმას კი არა.

— ღმერთმა დაგვიფაროს იმის ტყვეობისაგან.

— თვითონვე დაჭღუპა თავისი-თავი, რადგანაც ჩიგირინს თავი დაანება და გეტმანთა ბრძანება უგულებელ-ჰყო; ამას გარდა ჩხუბი აუტეხა რუსეთის მოურავს. იმის მეტი აღარა დარჩენია-რა ახლა, რომ ხმელნიცკისთან გაიქცეს, მაგრამ აქაც შეიძლება ეარაუდი ჩაეფუშოს: ხმელნიცკი ამ ჟამად, შესაძლოა, დამარცხებულიც კია. კრემენჩუგს იქით შეჰხვედრია ჟენძიანი ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის მხედრობას; იმათ გარდა კიდევ ხმელეთით მიდიან გუსარნი პან სტეფანე პოტოცკისა.

— მაშ, ჟენძიანმა მოიტანა წერილი კუდაკიდან?—იკითხა ჩიტივით შეფრთხიალებულმა ელენემ.

— დიაღ, წერილები პან სქშეტუსკის მოწერილი იყო თქვენთან და კნეინასთან, მაგრამ ბოგუნმა წაართვა, წაიკითხა, გაიგო ყოველივე, მძიმედ დასჭრა ჟენძიანი და გამოექანა კურცევიჩებთან, შური უნდა ვიძიოვო.

— ოჰ, საწყალი ბიჭი! ისიც დაიტანჯა ჩემის გულისათვის!

— იმისთვის ნუ იწუხებთ. გადარჩება ჭრილობას.

— როდის მოჰხდა ყოველივე ეგა?

— გუშინ დილით. ბოგუნისთვის კაცის მოკვლა ისევეა, რაც ზოგიერთისთვის ერთი ჯამი ღვინის დალევა. მაგრამ ისე კი ღრიალებდა და გრგვინავდა იმ წერილებს შემდეგ, რომ მთელს ჩიგირინს დგანდგარი გაჰქონდა.

მუსაიფი შესწყდა პატარა ხანს. ახლა სულ გათენებული იყო. განთიადის ნათელმა წითლად და ყვითლად შეჰღება მა-

ნამდე მთლად მიძინებული მინდორი. ჰაერი წმინდა იყო და გრილი; ცხენები მხნედ ფრუტუნებდნენ და აქნევდნენ კისრებს.

— აბა, გავაჭენოთ ცხენები. კარგად დაისვენეს და დროს კი ვერ დავკარგავთ,—სთქვა პან ზაგლობამ.

ჰკრეს კვლავ ქუსლი ცხენებსა და კარგა ხანს ასე ჭენებით მიდიოდნენ; უცბად იმათ პირდაპირ გამოჩნდა რაღაც შავი წერტილი, რომელიც საოცარის სისწრაფით უახლოვდებოდა მგზავრებს.

— რა უნდა იყოს ნეტავ ეგა?—სთქვა პან ზაგლობამ.— შევაჩეროთ ცხენები. ეხედარია.

მართლაც, ვიღაც ეხედარი მოჰქროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. განაბულიყო ცხენზედ, წახრილიყო ცხენის ფაფრისაკენ და უჟაპუნებდა მათრახს ცხენსა.

— რას მოჰქრის აგრე გაჩქარებული ეგ მავნე სული, ეგა? მერე რანაირ მოჰქრის!—წაილაპარაკა პან ზაგლობამ და ამოიღო ბუდიდან დამბაჩები, მზად ვიყო მაინც ყოველ შემთხვევისათვისაო.

ეხედარი ახლა ოც და ათს ნაბიჯზედ-ღა იყო.

— გაჩერდი!—დაიგრიალა პან ზაგლობამ და დაუმიზნა დამბაჩა.—ვინა ხარ?

ეხედარმა შეაყენა ცხენი და მაღლა აიღო თავი.

— პან ზაგლობა!

— პლესნევსკი, ჩიგირინის უფროსის მსახური? აქ რა გინდა, სად მიხვალ?

— პან ზაგლობა! დაბრუნდით უკან, მე მომყევით, საშინელი უბედურებაა! რისხვა ღვთისა, მსჯავრი უფლისა!

— სთქვი, რა მოხდა, რა იყო?

— ჩიგირინი იმიერ ჭორომელებმა დაიპირეს. გლეხ-კაცნი ჰყლეტავენ შლიახტას. ღვთის წყრომაა!

— უფალო, შეგვიწყალენ! რას ამბობ?—ხმელნიცკი?

— პან პოტოცკი დამარცხდა, პან ჩარნეცკი ტყვედ არის შეპყრობილი, თათრები ყაზახებთან ერთად მოდიან. ტულაიბეი...

— ბარაბაში მერე? ქშეჩოვსკი-ღა?

— ბარაბაში მოჰკლეს, ქშეჩოვსკი ხმელნიცკის მხარეზედ გადავიდა. კრივანოსმა ჯერ ისევ გუშინ გაილაშქრა გეტმანთა წინააღმდეგ, ხმელნიცკიმ კიდევ დღეს დილით. საშინელი ძალა აქვთ. ქვეყანა ცეცხლშია, გლეხ-კაცნი აჯანყდნენ ყველგან, სისხლი კოკის-პირულად იღვრება. გაიქეცით!

პან ზაგლობამ თვალები დააჭყიტა, პირი დააღო და ისეთს საგონებელში ჩავარდა, რომ ხმა ვეღარ ამოიღო.

— გაიქეცით! — განიმეორა პლესნევსკიმ.

— იესო, მარიამ! — დაიკვნესა პან ზაგლობამ.

— იესო, მარიამ! — წაიჩურჩულა ელენემ.

— გაიქეცით, დრო აღარ არის.

— საით, სად?

— ლუბნსა.

— შენ იქ მიდიხარ?

— იქა. თავადთან.

— აი, ჯანდაბას შენი თავი და ტანი! მიაძახა პან ზაგლობამ. — გეტმანები საღღა არიან?

— კორსუნს ახლოსა სდგანან. მაგრამ კრივანოსი, უთუოდ, იმათ ებრძვის ახლა.

— კრივანოსია, თუ პრიამონოსი, სულ ერთია, ეშმაკმა წაიღოს. მაშ, იქითაც წასვლა ამაოა?

— ვითომც ლომს ჩავარდნიხართ პირში, პირდაპირ დაღუპვა იქნება.

— შენ ვილამ გამოგგზავნა ლუბნსა? შენმა ბატონმა?

— ბატონი მოკვდა, ხოლო მე ნათლია-ჩემმა, იმიერ-ჭორომელმა გადამარჩინა სიკვდილსა და მიშველა გამოვქცეულიყავ. ლუბნში ჩემთავად მივრბივარ, იმიტომ რომ არ ვიცი, საით წავიდე.

— რაზლოგს გვერდი აუხვიე. იქ ბოგუნია. იმასაც უნდა აჯანყებულთა მხარეზედ გადავიდეს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩიგირინში ლაპარაკობენ, რომ დღეს არა, ხვალ მთელს იმიერ ჭორომეთში აჯანყდებიან გლეხ-კაცნი.

— შეიძლება, შეიძლება! გასწი, მაშ, შენს გზაზედ, ხოლო მე ჩემის თავისათვის ვიზრუნებ.

პლესნევსკიმ გადაჰკრა მათრახი ცხენს და გაჰქუსლა.

— რაზლოგს კი შორს მოუარე!—დაუძახა პან ზაგლობამ. თუ შეგხვდეს ბოგუნი, არ უთხრა, რომ მე მნახე. გეყურება?

— მესმის,—უპასუხა პლენსევსკიმ.—ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!—და მალე მიიმალა.

— ჰერიგიდიჰაა... — გაჭიანურებითა სთქვა პან ზაგლობამ—ესეც შენი ეშმაკები და ქაჯები! ათასი ჯანაბა და დოზანა გამომივლია და ამისთანა კი ჯერ არა გადამხედია-რა. წინ ხმელნიცკია, უკან ბოგუნი... თუ ასეა, მაშ გროშად არ მიღირს არც ჩემი წინა კალთა, არც უკანა და არც სულ ჩემი თავი. სისულელე ბრძანდა, რომ ლუბნს არ წავედით, მაგრამ ახლა გვიანღაა წუწუნი. ფუი, ეშმაკო, ფუი! მთლად ჩემი ტვინი იმისთვის-ღა ვარგა, რომ ნაღებს წაუსვას კაცმა გასაპოხად. რა ვუყო, რა ქვას ვახალო თავი? მთელს რესპუბლიკაში ვგონებ კუთხე აღარ არის ისეთი, საცა კაცს შეეძლოს თვისის სიკვდილით მოჰკვდეს. მე კი, სწორე მოგახსენოთ, ამისთანა საქმეში არავის დახმარება არ მინდოდა.

— პან ზაგლობა!—სთქვა ელენემ,—ჩემი ბიძაშვილები, იური და თეოდორე ეხლა ზოლოტონოშას არიან. იქნება იმათ შეიძლონ და რაიმე შემწეობა მოგვცენ.

— ზოლოტონოშას? მოითმინეთ... ჩიგირინში გავიცანი პან უნეიეიკი, რომელსაც ზოლოტონოშას ახლო ორი მამული აქვს. რა ვქნათ? როცა სხვა გზა არ არის, ამ გზას დავადგეთ. საჭიროა მხოლოდ უგზო-უკვლოდ ვიაროთ. მინდორ-მინდორ და ტყე-ტყე სიარული უფრო ნაკლებ საშიშია. ერთის კვირით მაინც თუ მოვახერხეთ შევაფაროთ თავი და დავიმალოთ სადმე.. ამ ხნის განმავლობაში გეტმანები გაუთავებენ საქმეს ხმელნიცკის და უკრაინაში კვლავ მშვიდობიანობა დამყარდება.

— დავიჯერო ღმერთმა იმიტომ გადაგვარჩინა ბოგუნისაგან, რომ ხსნა ველარსად ვიპოვოთ? იმედი გქონდეთ.

— მომითმინეთ პატარა კიდევ. რაღაც ახალს ძალ-ღონესა ვგრძნობ. ბევრ-გვარ ყოფაში ვყოფილვარ. როდისმე, როცა მოცლით ვიქნები, გიამბობთ, რა ცეცხლში ვიყავ გალატსა და, მაშინ მიხვდებით, რომ ბევრჯელ გავბმულვარ მახეში და ძალიანაც გავბმულვარ, მაგრამ მაინც მომიხერხებია თავის დახწევა, თუმცა, როგორც ჰხედავთ, მაგისთანა ამბის გამო წვერი შემექნა ჭაღარა. ჩვენ მაინც გზას უნდა გადუხვიოთ. აბა, გადადით გზას იქით, ეგრე, აი. ცხენზე ისე ჰზიხართ, თითქო ნამდვილი ყაზახი იყოთ. ბალახი მაღალია, კაცი თვალს ვერ მოგვკრავს.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ მინდორ-მინდორ, ბალახი უფრო მაღლდებოდა. ცხენები ძლივს არღვევდნენ წელამდე ბალახს და მალე სულ ოფლში გაცურდნენ.

— თუ გვინდა, რომ უფრო დიდხანს გვემსახურნენ ცხენები,—სთქვა ზაგლობამ,—უნდა ჩამოვხდეთ და იარაღი მოვხსნათ. დაე პატარა ხანს დაისვენონ. ეგონებ, აქედან შორს აღარ უნდა იყოს კალამლიკი. იქ კარგია. ლელიანებზე უკეთესი აღარა არის-რა: ჩავიმალებით შიგა და ვგონებ თვით ეშმაკმა და ქაჯმაც ველარ გვიპოვნოს. საქმე ის არის, რომ გზა-კეალი არ აგვერიოს მხოლოდ.

ზაგლობა ჩამოხდა ცხენიდან, უშველა ელენესაც ჩამომხდარიყო და დაიწყო ხურჯინიდან ამოლაგება ყოველ-გვარის სანოვაგესი, რომელიც რაზლოგიდან წამოეღო წინ-დახედულს აზნაურშვილს.

— პატარას უნდა შევნაყრდეთ, თორემ გზა დიდი გვაქვს. აუთქვით რამე, კნიაჟნა, წმ. რაფაელსა, რომ იქნება მშვიდობით მივიდეთ ბინაზედ. ზოლოტონოშაში ციხე მაინც არის პატარა; იქნება მეციხოვნებიცა სდგანან შიგა. პლესნევსკიმა სთქვა, რომ გამოღმა მხარშიც აჯანყებას აპირობს ხალხი. ჰმ! დაუჯერებელი არა არის-რა, აქ ყველას სული სცვივა ამბოხებისათვის; გამოღმა-მხარს კი განაგებს ხელი თავადისა, ხოლო თა-

ვადის ხელი კარგა მძიმეა. ბოგუნს მაგარი ზურგი აქვს, მაგრამ თუ ეს მძიმე ხელი დაეშვა ზედ, ცუდად მოჰკუნტავს... აბა, შეექეცით.

პან ზაგლობამ ამოიღო ხორცის ნაჭერი და მიაწოდა ელენეს, მერე პურის პატარა ნაჭერიც წინ დაუდო.

— მიირთვით, კნიაგნა. როცა მუცელი ცარიელია, თავში ეშმაკები ფერხულს აბამენ. ჩვენს თავშიც ეშმაკებმა ფერხული დააბეს უზმოზედ, როცა ლუბნისკენ არ წავედით. მაგრამ რაღა დროს ეს ლაპარაკია! უნდა ვიფიქროთ, რომ თავადი ეხლა დნეპრ-გაღმა გაემართებოდა გეტმანთა საშველად. საშინელს დროს შევესწარით, რადგან ძმა-ძმის მკვლელი ომი ყოველ ომზე საშიშია. კუთხე აღარსად არის, რომ მშვიდობიანს კაცს შეეძლოს თავი შეაფაროს. ბევრად მერჩიენა სასულიერო უწყებაში მემსახურნა, იმიტომ რომ მშვიდობის მოყვარული ვარ და მომთმენო, მაგრამ ბედმა სხვაფრივ განაგო საქმე... ღმერთო ჩემო! ვიქნებოდი ეხლა ჩემთვის კრაკოვის საკრებულო ტაძრის მღვდელი და მოვყვებოდი ლამაზად წირვის გალობას... მერე ხმა, უნდა მოგახსენოთ, ძალიან კარგი მაქვს. მაგრამ ვაი ჩემდა! ყმაწვილობიდანვე გაიტაცა ჩემი გონება გარდამავალმა სილამაზემ. ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, რა ლამაზი ვიყავი! ხშირად მოეხდარა, რომ დაავლებ, ვსთქვათ, თვალს ამა თუ იმ ყმაწვილს ქალს, გადიგრეხავ ასე ულვაშს... და გათავდა. ერთი ოცის წლით ყმაწვილი უნდა ვიყო, ჰნახავდა მაშინ პან სქშეტუსკი თავის სეირსა!.. არ მიკვირს, რომ ყმაწვილნი კაცნი მზად არიან თქვენის გულისათვის ერთმანერთს ყელები გამოჰლადრონ. პან სქშეტუსკი... ოჰ, ისიც ძალიან თავზედ-ხელაღებულია. მახსოვს ერთხელ ჩაპლინსკის რომ ეცა. მართალია, თქვენს საქმროს, ცოტათ არ იყოს, თავში ღვინო უბრწყინავდა, მაგრამ მაინც, სწვდა თუ არა ქეჩოში, უკაცრავად კი ნუ ვიქნები თქვენთანა და, ისე მიანარცხა კარებსა, რომ ძვლებმა სულ ჭაჭი-ჭუჭი დაუწყო. მოხუცი ზაცვილიხოვსკი დიდის პატივისცემით იხსენიებს ხოლმე, ამბობს, რომ სახელოვანი რაინდია, თავადს-მოურავს ძალიან უყვარსო; მეც კი დავრწმუნდი

შემდეგ, რომ ყოველივე ესე მართალია... ოჰ, რანაირ სიცხეს იჭერს! თუმცა თქვენთან ყოფნა და ასე მუსაიფი დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, მაგრამ რას არ გავიღებდი მაინც, რომ ეხლა ზოლოტონაში გავჩნდებოდეთ უცბად. ახლა კი ვხედავ, რომ დღისით ბალახებში უნდა ვიმალოთ თავი და ღამ-ღამობით ვიაროთ. ეს მაწუხებს მხოლოდ, აიტანთ თუ არა ყოველ ამ გაჭირვებას?

— მე კარგადა ვარ და ყოველისაგე გაჭირვების ატანა შემიძლიან. თუ გინდათ, ეხლავე მზადა ვარ, გზას გავუდგეთ.

— რაინდის სულია დამკვიდრებული თქვენს აგებულებაში. ცხენებმა დაისვენეს და ყოველ შემთხვევისათვის შევკაზმავ. მანამდე ვერ მოვისვენებ, ვიდრე კალამლიკის ლელიანებს არ დავინახავ... უნდა გამოგიტყდეთ, საშინლად მეძინება. გუშინდელი ღამე თეთრის თვალით გავათენეთ ჩიგირინში; დღისით კიდევ ეშმაკი და ქაჯი რაზლოგისკენ მიმაფრენდა და ახლა იქიდან მომაფრენს. ისე მეძინება, რომ ლაპარაკის ხალისიც კი აღარა მაქვს, და თუმცა ფილოსოფოსნი ამტკიცებენ, რომ ენა იმიტომ მისცა კაცს ღმერთმა, თვისი აზრები გამოსთქვასო,—ჩემი ენა მაინც მოიღალა. წინდაწინვე გთხოვთ პატიებას, თუ ძილმა თავი წამართვა.

პან ზაგლობა ტყუილად ამტყუნებდა თავისს ენასა, იმიტომ რომ უთენიავე დაიწყო ფქვა, ხოლო ძილით კი მართლა ეძინებოდა. შეჯდა თუ არა ცხენზედ, მაშინვე თავის ქინდვრას მოჰყვა და მალე დაეძინა კიდეცა. ელენე ძალა-უნებურად გაიტაცა იმ აზრებმა, რომელიც ჯარიეით ესეოდა მის გონებას. აქამდე ერთს სანახაობას მეორე მოსდევდა ისეთის სისწრაფით, რომ ყმაწვილმა ქალმა ვერ შეიძლო ანგარიში გაეწია ყოველისავე იმისი, რაც თავს გადაჰხდა. თავს-დასხმა სახლზედ, საშინელი სცენები კაცის-კვლისა, მოუსვენრობა და გულის-ჩქროლა, მოულოდნელი შემწეობა და გამოქცევა,—ყოველივე ესე ერთ განურკვეველ, ბუნდოვან სურათად უდგა თვალ-წინ. მერე იმდენი რამ მოულოდნელი ამბავი ერთად! ვინ არის ეს კაცი, მისი დამხსნელი? მართალია, ამ კაცმა სთქვა, რა გვარისაც

არის, მაგრამ გვარის თქმა სრულიადაც არ არკვევდა მიზეზებს იმის საქციელისას. საიდან გაჩნდა რაზლოგში? ამბობს, რომ ბოგუნთ ან ერთად მოვედიო; მაშ, ცხადია, მისი ამხანაგია, მისი მეგობარია, ხოლო თუ ასეა, რაღად გადამარჩინა და როგორ ჰკისრულობს ყაზახის საშინელს შურის-ძიებას, რად აგდებს თავს საშინელს განსაცდელში? მხოლოდ ის მიხვდებოდა, რა კაციც იყო ზაგლობა, ვინც იცოდა მისი მოუსვენარი ხასიათი და კეთილი გული, ხოლო ელენემ გაიცნო ეს კაცი სულ ექვსის საათის წინად. და აი სწორედ ეს კაცი, რომელსაც ლოთი-მაწაწალას სახე აქვს, მხსნელია ახლა ჩემიო! სამის ღღის წინად რომ შემხვედროდა, უსიამოვნებისა და ზიზღის მეტს არას მაგრძნობინებდა მისი დანახვა. ახლა კი ისე შევყურებ, როგორც ჩემს მფარველ ანგელოზს და მივრბივარ მასთან ერთად... სად? ზოლოტონოშას, ან იქნება კიდევ სხვაგან სადმე, მეც არ ვიცი რიგიანად... ღმერთო, ღმერთო! ჯერ ისევ გუშინ დავწექ დასაძინებლად საკუთარ მშვიდობიანს ჭერ ქვეშ და ახლა კი მინდორში ვარ, ცხენზე ვზივარ, ვაჟკაცის ტანისამოსით... უსახლ-კაროდ, უსავანოდ. მდევნის საშინელი მტერი, რომელსაც უნდა რომ მიყვარდეს; თვალ-წინ მეხატება ყოვლადი საშინელება ერის აჯანყებისა, ძმა-ძმის მკვლელის ომისა, ყოველივე განსაცდელი... და ერთად-ერთი ჩემი იმედი და ნუგეში ეს კაციაო... არა, არის კიდევ ისეთი რამ, რაც კაცის მკვლელთა და ავაზაკთა უმაღლესია, რაც მაღლა სდგას ომსა, ცეცხლსა და ძალ-მომრეობაზედ...

— მაშ, მიხსენ და დამიფარე, შენ, დიდებულო და მოწყალეო! მიხსენ მე, საცოდავი, ყველასაგან დატოვებული!

დიაღ, ღმერთი მოწყალეა. მან დაიფარა სასწაულებრივ საშინელის უბედურებისაგან. განსაცდელი იქნება ასცდა კიდეც, გარნა იქნება ხსნაც შორს აღარ იყოს. ვინ იცის, სად არის ის, რჩეული მისის გულისა? იქნება დაბრუნდა სეჩიდან, იქნება აქ არის, ამ მინდორში. ხომ დამიწყებს ძებნას, მიპოვის და მერე... ოჰ, მერე მწუხარებასა და ცრემლს შესცვლის სიხარული,

გულის ჩქროლასა და მოუსვენრობას—მტკიცე რწმენა მომავალის ბედნიერებისა....

ყმაწვილის ქალის გაურყვნელს გულს მიეფინა რაღაც წყნარი სიხარული, გარშემო მინდორიც ხმაურობდა საალერსოდ, სასალმოდა, ნელი ნიავიც გარს ევლებოდა თვისის აყვავებულ ბალახთა ტკბილის სურნელოვანებით. არც ისე ყველასაგან მიტოვებული ვარ: აგერ ჩემ გვერდით ჩემი კეთილი მფარველი, ხოლო შორს მეორეა, ძვირფასი, საყვარელი, რომელსაც ვახსოვარ, რომელიც არ დამტოვებს, მოვა, მომიალერსებს... ხოლო ის მეორე სახელ-განთქმული რაინდია, მორჭმული და ძლიერ უფრო ძლიერი, ეიდრე ისინი, ვინც მე მდევნის...

მინდორს საამურად გაჰქონდა შრიალი; ყვავილნი ჰფენდნენ გარშემო თვისს ტკბილს სურნელებას, ყოველი მცენარე პატივის-ცემით იხრიდა მის წინაშე თავს, თითქო უნდათ გაამხნეონ ქალიო. ამას ეჩურჩულებოდნენ: ნუ სტირ, ქალაიავ, ლამაზო და მშვენიერო, ჩვენც არა გვყავს მცველნი და მფარველნი, მაგრამ აგერ ვიზრდებით და ვყვავით. ხმა მინდვრისა გულსა სწვდებოდა ახალგაზდა ქალს და თან-და-თან უფრო ამშვიდებდა მის მღელვარებას. სურათნი სიკვდილისა, ბრძოლისა და მდევარისა ნელ-ნელა ჰქრებოდა, ჰხუნდებოდა. ქალი თან-და-თან რაღაც ტკბილს მიბინარებას ეძლეოდა, თვალები უნებურად ეხუჭებოდა, ცხენის ფეხის თანაბარი ხმა ნანასავით ესმოდა.

ელენეს დასთვლიმა, ჩაეძინა.

—=—

IV

ელენე საშინელმა ძაღლის ყეფამ გამოაღვიძა. მიიხედ-მოიხედა და ცოტა მოშორებით გამოჩნდა ნიშნები მოსახლობისა: ღობე, ღობეს იქით წერო, რომელიც ჭაზედ იჯდა, დაჩრდილული ხე... ელენემ მაშინვე გააღვიძა თავისი ამხანაგი.

— პან ზაგლობა, გაიღვიძეთ!

შლიახტიჩმა თვალები გააჭყიტა.

— ჰა? რა ამბავია? მოვედით განა?

— არ ვიცი.

— მოითმინეთ. ეს ყაზახთა საზამთრო ბინაა.

— მეც აგრე მგონია.

— აქ, ალბად, ჩოდრები სცხოვრობენ. ვერაფერ სასიამოვნო კამპანიას შევეყარენით. ე ძაღლები რაღას ამტყდარან, ეგ მგლის კერძნი! ღობესთან ვიღაც კაცები დგანან, ცხენები მოსჩანს... მეტი ღონე არ არის, უნდა მივიდეთ, თორემ, სულ ერთია, გამოგვეკიდებიან. თქვენც ჩაგეძინათ, მგონია.

— დიაღ.

— ერთი, ორი, სამი... ოთხი შეკაზმული ცხენია... და ოთხი კაცი. ჯანაბას, ბევრნი არ არიან. სწორედ ეგრეა, ჩოდრები არიან. რაღაცას ლაპარაკობენ გაცხარებით. ეი, ხალხნო, ვინა ხართ მანდა? აქ მოდით!

ყაზახნი მაშინვე მიუახლოვდნენ. მართლა ჩოდრები იყვნენ და საქონელს ადევნებდნენ თვალ-ყურს მინდვრად. პან ზაგლობამ იმ წამსვე შეჰნიშნა, რომ ერთი მათ შორის შეიარაღებული იყო ხმლითა და თოფით, ხოლო დანარჩენნი—კომბლებით, რომელთაც ცხენების თავი ჰქონდათ ბოლოზედ დამაგრებული.

ოთხივენი კოპებ-შეკრულნი შესცქეროდნენ მგზავრებსა. სახეზედ ემჩნეოდათ, რომ იმათგან სიკეთე არა გამოვიდოდა-რა.

— ამბავი?—იკითხა ერთმა ქუდ-მოუხდელად.

— მშვიდობა?—უპასუხა პან ზაგლობამ.

— უკუნითი-უკუნისამდე! რა გნებავდათ?

— სიროვატაია შორს არის აქედან?

— სიროვატაისა ჩვენ არა ვიცით-რა.

— ამ საზამთრო ბინას რა ჰქვიან?

— გუსლია.

— წყალი დაგვილევინეთ ცხენებსა.

— წყალი არ არის, დაშრა. საიდან მოდიხართ?

— კრივაია რუდიდან.

— სად მიდიხართ?

— ჩიგირინსა.

ჩოდრებმა ერთმანეთს შეჰხედეს.

ერთმა ტილასავით შავმა და თვალებ-დაბრეცილმა, რომელიც უფრო ძლიერ ათვალიერებდა პან ზაგლობას, იკითხა:

— მერე გზიდან რად გადაგიხვევიათ?

— ცხელა და იმიტომ.

თვალებ-დაბრეცილმა პან ზაგლობას უნაგირსა სტაცა ხელი.

— ჩამოდი ახლავე ცხენიდან, პან პოლონელო! ჩიგირინს შენ საქმე არა გაქვს.

— ვითომ რატომაო?—გულ-დამშვიდებითა ჰკითხა პან ზაგლობამ.

— ამასა ჰხედავ?—ჰკითხა თვალებ-დაბრეცილმა და ერთ-ერთი ჩოდარი ანიშნა.

— ვხედავ და მერე რაო?

— ჩიგირინიდან არის მოსული. იქ ლიახებსა ჰყლეტავენ.

— მერე იცი, შე წუწკო, ვინ მოდის ჩვენს უკან ჩიგირინსა?

— ვინა?

— ვინა და თავადი ერიომა!

ჩოდრები იმ წამსვე დამშვიდდნენ. თითქო უბრძანა ვინმემო, მაშინვე ყველამ ქუდები მოიგლიჯეს.

— მერე, იცით, თქვე ტუტუცნო,—განაგრძო კვლავ პან ზაგლობამ,—პოლონელნი როგორ ეპყრობიან იმათ, ვინც პოლონელებსა ჰყლეტავენ? სახრჩობელაზედ ახრჩობენ. იცით, მერე, რომ თავად ერემიას ჯარი მოჰყავს და აქედან სულ სამის ვერსის მანძილზედ-ღაა? რაო, ძაღლებო, ჩაიკმინდეთ ხმა განა? ასრე გაგვიმასპინძლდით მაშა? ჭა დაგიშრათ? წყალი აღარა გაქვთ ცხენებისათვის? ჰაი, თქვე ავაზაკნო! მე თქვენ გაჩვენებთ სეირსა!

— ნუ გვიწყრებით, პანე! ჭა ღრმაა.. თვითონ ჩვენც კალამლიკს დავდივართ და იქ ვასმევთ წყალს ცხენებსა, ჩვენთვისაც იქიდან მოგვაქვს წყალი.

— ჰა-ჰაი, ლირფნო!

— მოგვიტევეთ, პანე; ჭა გაშრა. თუ გვიბრძანებთ, ეხლავე წავალ წყალზედა.

— უთქვენოდაც გავარიგებ ჩემს საქმეს, თვითონ მე წავალ. სად არის აქ კალამლიკი?—ჰკითხა მრისხანედ პან ზაგლობამა.

— ნახევარ-ვერსი იქნება აქედან,—სთქვა პასუხად თვალებ-დაბრეცილმა და ანიშნა ლელიანი ნაპირი მდინარე წყალისა.

— გზაზედ გავალ მერე, ნაპირ-ნაპირ რომ ვიარო?

— გახვალთ. გზა ზედ ფონზედ ჩადის.

— ბიჭო, გასწი წინა!—უბრძანა პან ზაგლობამ ელენესა.

ტყუილმა ბიჭმა მოატრიალა ცხენი და გაჰქუსლა.

— გამიგონეთ,—მიჰმართა ჩოდრებს პან ზაგლობამ,—თუ ჯარი მოვიდეს აქა, უთხარით ჩემი, რომ ნაპირ-ნაპირ წავიდათქო.

— ბატონი ბრძანდებით, პანე.

პატარა ხანს უკან პან ზაგლობა დაუმხარდამხარდა ელენეს.

— კარგ დროს ვახსენე თავადის სახელი,—სთქვა მან და შეათამაშა მარჯვენა თეალი.—მთელს დღეს ისხდებიან იქა და ჯარს დაუწყებენ ლოდინსა.

— ძალიან დაახწიეთ თავი უხერხულს ყოფასა!—სთქვა ელენემ.—არ ვიცი, როგორ გადვუხადო ღმერთს მადლობა, რომ თქვენისთანა მფარველი მომივლინა.

ხანში შესულ შლიახტიჩს პირს ღიმილი მოუვიდა სიამოვნებისაგან და წვერებზედ ხელი გადაისვა კმაყოფილებით.

— განა? იცოცხლეთ, რომ ზაგლობას გოგრა აქვს. ცბიერია, როგორც ულისსი, და უნდა მოგახსენოთ, კნიაჟნა, თუ არ ეგ ცბიერება, აქამდე ყვავები დამკორტნიდნენ. მეტი რა ჯანი იყო, უნდა გადამერჩინა თავი. მალე დაიჯერეს თავადის მოახლოვების ამბავი, იმიტომ რომ ჭკუას ახლო იყო: დღეს არა, ხვალ გაჩნდება ერემია ამ ქვეყანაში, გაჩნდება ცეცხლის მახვილითაც, ვით მთავარ-ანგელოზი. მერე თუ გზაში გასრისა სადმე ბოგუნი, აღთქმას დავდებ, ფეხ-შიშველა მივიდე ჩენსტოხოეოს. ვსთქვათ, ჩოდრებმა ჩვენი სიტყვა არ დაიჯერეს, მაგრამ მაინც მარტო ხსენება თავადის სახელისა საკმაო იყო, რომ ველარა გაებედნათ-რა ჩვენთვისა. უნდა კი გითხრათ მაინც, რომ მათი თავ-გასულობა კარგი ნიშანი არ არის ჩვენთვისა. მგონია ტეტიობამ შეიტყო, ხმელნიცკი იმარჯვებსო და თანდა-თან უფრო თავს გადის. ახლა უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, თავს ვარიდებდეთ სოფლებსა... საშიშია. ნეტავი, თავადს მაინც შევხვდებოდეთ სადმე მალე, თორემ ისეთს ვაგლახში ჩავარდით, რომ რაღა მოგახსენოთ.

ელენე ძალიან შესწუხდა.

— ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ მეც გადამარჩენთ სიკვდილსა და თქვენს თავსაცა,—სთქვა ელენემ იმ აზრითა, რომ იქნება ერთი სიტყვა მაინც ვამაგონოს ნუგეშინის-ცემისაო..

— დიალაც; კაცს ჭკუა იმიტომა აქვს მიცემული, რომ იზრუნოს რამე თავისათვის, მერე ისე შემიყვარდით, რომ თქვენს დაფარვას ისევე ვეცდები, როგორც საკუთარის ჩემის ქალიშვილისას, ცუდი ის არის მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცით, სად მივდივართ. ზოლოტონოშაც საიმედო თავ-საფარი არ არის.

— ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ბიძაშვილები ზოლოტონოშას არიან.

— ვინ იცის, იქ არიან თუ არა, შეიძლება წამოვიდნენ იქიდან, ხოლო რაზლოგში იმ გზით არ დაბრუნდებიან, რა გზითაც ჩვენ ზოლოტონოშას მივდივართ. მე უფრო იქაურ მეციხვანეთა იმედი მაქვს. ნეტავ ერთი ნახევარ-სადროშოს ჯარი მაინც იდგეს იმ ციხეში! აგერ კალამლიკიცა. ახლა ლელიანები ხომ მაინც ახლოა. გავიდეთ წყალში და იმის მაგიერ, რომ გზა-გზა ვიაროთ, წყალ-შელმა შევყვეთ. მაშინ ჩვენს კვალს ველარავინ იპოვის. რაზლოგს კი ვუახლოვდებით, ვსთქვათ, მაგრამ ახლო კი მაინც არა ვართ.

— სჯობდა კი, რომ ბროვარკის მივახლოვებულიყავით. იქიდან გზა ზოლოტონოშას მიდის,—ურჩია ზაგლობას ელენემ.

— რახან აგრეა, მაშ ბროვარკისაკენ გავსწიოთ. მოითმინეთ.

ცხენებს წყალი დაალევინეს. პან ზაგლობამ ლელიანებში დასტოვა ელენე და თვითონ ფონის საძებნელად წავიდა. ფონი მალე იპოვა, რადგან იქვე ახლო იყო. უნდა განეგრძოთ გზა, ხოლო ეს ადვილი საქმე არ იყო. კალამლიკს უერთდებოდა მრავალი ხევის წყალი და ფშანები, რის გამოც გარშემო, ლიალ-ჭაობიანია. ადგილები იყო. ყველგან ფონი უნდა ეძებნა კაცს, ან არა და ლელიან-ჭალიანებში ეარნა. ცხენები მოიღალნენ

და ფეხებს ძლივს მიათრევდნენ. პან ზაგლობა ჰგონებდა ხან და ხან, რომ გზაში დაგვიცვივდებიან სადმე ჩვენი რაშებიო.

ბოლოს ჩვენმა მგზავრებმა მოახერხეს და მაღალ სანაპიროზედ ავიდნენ, საცა მშრალი იყო და მუხის წვრიმალა ახეთქილიყო. მაგრამ ახლა უკვე ძალზედ დაღამდა და სიარული შეუძლებელი იყო,—ვაი თუ ჭანჭრობიანში მევტოპოთ სადმეო,—ამიტომ პან ზაგლობამ გადასწყვიტა, ღამე აქ უნდა გავათიოთო.

ცხენებს უნაგირები მოსხნა, სამ-სამი ფეხი თოკით გაუბა, მერე მოჰკრიფა ბლომად ფოთოლი, გადააფარა ზედ ყაჯარი და მოასვენა ელენე.

— დაწექით, კნიაჟნა, და დაიძინეთ, სხვა საქმე აღარა გვაქვს-რა. ცეცხლს ნუ დავანთებთ,—საშიშია. ღამე პატარაა და გათენდეს თუ არა, განვაგრძოთ გზა. დაიძინეთ გულ-დამშვიდებით. საკმაოდ მოვიღალენით და, თუმცა დიდი მანძილი არ გამოგვივლია, გზა-კვალი ისე ავრიეთ, რომ ეშმაკიც ველარ მოგვაგნებს. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა, პან ზაგლობა!

ელენე დიდ ხანსა ტრიალებდა შამფურივით ამ თავის ხელდახელ მომზადებულ ლოგინზედ, მაგრამ ბოლოს მაინც გუნებიერმა ძილმა დაუხუჭა თვალები. ის-იყო თენდებოდა, რომ ქალის ყურს მოესმა შორიდან რაღაც ხმაურობა, რაღაც საშინელი ღმუილი, მერე გმინვა, ისეთის საცოდაობისა და თან ისეთი ველური, რომ სისხლი გაეყინა ძარღვებში. უცბად წამოხტა ფეხზედ, საშინლად შეშინებული და არ იცოდა, რა მოექმედნა. უცბად მის ახლო ელვასავით გაირბინა პან ზაგლობამ, რომელსაც დამბაჩები ეჭირა ხელში. მოისმა სროლა დამბაჩისა... და კვლავ ისევ დადუმდა ყოველივე. ელენეს ეგონა, რომ საუკუნე გავიდაო მანამდე, სანამ კვლავ არ გაიგონა ხმა პან ზაგლობასი.

— აი, კისერი მოგტეხოდეთ, ცოცხლივ დაეხრაკეთ ცეცხლზედ, თქვე ავაზაკნო, თქვენა!

პან ზაგლობას ხმაზედ ეტყობოდა, რომ სწორედ განწირულებით ამბობდა ამ სიტყვებს.

— რა მოხდა?—საჩქაროდ ჰკითხა ელენემ.

— რაღა რა მოხდა, მგლებმა ცხენები დაჰგლიჯეს.

— ღმერთო ჩემო! ორივე?

— ერთი სულ ერთიანად, მეორე კი ისე დაამახინჯეს, რომ სიარულს ველარ შესძლებს. წუხელ პატარაზე შორს წასულან, სამასიოდე ნაბიჯზედ და ასე კი მოხდა...

— რაღა გვეშველება ახლა?

— რაღა გვეშველება? გამოვეჩრათ თითო ჯოხი და გადავსხდეთ ზედ. ხათაბალაა სწორედ! მოგახსენებთ, ბატონო, რომ სწორედ ეშმაკს დაუფიცნია გაგვიჭირვოს საქმე, რადგან უთუოდ ჰმეგობრობს ბოგუნსა, ან იქნება ნათესავადაც მოჰხვდება. რა გვეშველება? ღმერთმა მკითხოს, თუ ვიცოდე, ცხენად გადამაქციოს; თქვენ მაინც შეიძლებთ მაშინ წასვლას სადმე. წყეულშეჩვენებული ვიყო, თუ ჩემს ღღეში ამისთანა რამ საქმე დამმართნოდეს.

— ფეხით წავიდეთ...

— თქვენ რა გიშავთ, ახალგაზდა ხართ; ვაი ჩემი ბრალი, რომ ასეთ აგებულების კაცმა ტეტიურის ჩვეულებით უნდა ვიმგზავრო ახლა. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ ყოველს ტეტიას თავისი ცხენი ჰყავს... აქეთ ძაღლები თუ დადიან ფეხითა... ცეცხლია, მე და ჩემმა ღმერთმა! დიაღაც, აქ რას მოვუსხდებით, წავალთ, მაგრამ როდის მივალთ ზოლოტონონოშას, მაგისი კი რა მოგახსენოთ. ცხენით სიარულიც თუ საიმისო გულის გასართობი საქმე არ იყო, ფეხით წანწალი რაღა იქნება, ისეთი ცუდი საქმე დაგვემართა, რომ ამაზედ ცუდი, აღარა მგონია, დაგვმართნოდა კიდევა. ხურჯინები აქ უნდა დავტოვოთ და, რაც საგზალი გვაქვს, ხელით წავიღოთ.

— არას გზით ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენ წამოიღოთ რამე ხელითა. მე თვითონ წამოვიღებ, რაც საჭიროა.

პან ზაგლობას დარდი გადაეყარა, როცა ასეთი მორჩილება დაინახა ყმაწვილის ქალისა.

— ძვირფასო კნიაჟნა,—სთქვა მან,—ოსმალი უნდა ვიყო, ან წარმართი, რომ მაგის ნება მოგცე. მძიმე ტვირთის საზიდელად არ არის გაჩენილი თქვენი ქალალდივით თეთრი პაწაწინა ხელები. ღმერთი მოწყალეა, მარტო მეც მოვერევი; ეგ არის მხოლოდ, ხშირ-ხშირად მომინდება დასვენება, რადგან წინად ისეთი მოკრძალებული ვიყავ ჭამა-სმაში, რომ ახლა ნაფაზითა ვარ ავადა. ახლა ვისაუზმოთ, წავიღოთ თან ყაჯრები, საგზალი და გავუდგეთ გზას.

საუზმის დროს პან ზაგლობას სულ გადაავიწყდა თავისი ჩვეულებრივი მოკრძალება სმა-ჭამაში, ან იქნება ცდილობდა, მოეშორებინა როგორმე ნაფაზი, რომელიც ძალიან აწუხებდა. შუადღე მოახლოვებული იყო, რომ ფონს მიადგნენ. როგორც ეტყობოდა, წყალში კარგა ბლომად გასულიყო ხალხი.

— იქნება ეს გზა ზოლოტონოშას მიდის,—შეჰნიშნა ელენემ.

— ვაი, რომ არ ვიცი...

პან ზაგლობამ ვერ დაასრულა სიტყვა. შორიდან რაღაც ლაპარაკი მოესმა.

— მოითმინეთ, კნიაჟნა, დავიმალოთ,—ჩასჩურჩულა ზაგლობამ.

ხმაურობა თან და თან ახლოვდებოდა.

— ჰხედავთ რასმე?—ჰკითხა ელენემ.

— ვხედავ.

— ვინ არის?

— უსინათლო მოხუცია ფანტურითა. პატარა ბიჭი მოსდევს თანა. ახლა წაღებს იხდიან. წყალ-წყალ მოდიან ჩვენსკენ.

წყალის შხაპუნმა დაამტკიცა პან ზაგლობას სიტყვების სიმართლე. ორივენი გამოვიდნენ თავიანთ ჩასაფრებულ ადგილიდან.

— დიდება ღმერთსა!—წარმოსთქვა ხმა-მაღლა შლიახტიჩმა.

— უკუნითი უკუნისამდე!—უპასუხა მოხუცმა.—თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ქრისტიანენი. ნუ გეშინიან, მოხუცო.

— წმინდა ნიკოლოზმა მოგცეთ ჯანი და ბედნიერება.

— საიდან მოდიხარ, პაპაჯან?

— ბროვარკიდან.

— ეს გზა საით-ღა მიდის?

— სოფლისკენ მიდის...

— ზოლოტონოშაში კი ვერ მიიყვანს კაცსა?

— რატომ, პანე.

— დიდი ხანია, რაც ბროვარკიდან წამოხვედი?

— გუშინ დილით, პანე.

— რაზლოგში ხომ არა ყოფილხართ?

— ვიყავით. ამბობენ, იქ რაინდნი მივიდნენ, ომი იყოვო.

— ეგ შენ ვინ გითხრა?

— ბროვარკში ამბობდნენ. ერთი მხლებელი მოვიდა იქ თავადებისა და საშინელი ამბავი მოიტანა!

— თქვენ კი ვერა ჰნახეთ ის მხლებელი?

— მე ვერავის ვერა ვხედავ, პანე, უსინათლო ვარ.

— ეგა, ეგ ბიჭი?

— ესა ჰხედავს, მაგრამ მუნჯია; ამისი ლაპარაკი მარტო მე მეყურება.

— რაზლოგი შორს არის აქედან? ჩვენ იქ მივდივართ.

— ოჰ, ძრიელ შორს არის!

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ რაზლოგში ვიყავითო?

— ვიყაეით, პანე.

— დიაღ, იყავით?—კვლავ ჰკითხა პან ზაგლობამ და უცებ სტაცა ბიჭს ხელი კისერში.—ჰაი, თქვე წუწკებო, ავაზაკნო, დადიხართ, ჯაშუშობთ, ხალხს აღელვებთ, ეი, თედორე, ოსტაპ, მაქსიმე! შეიპყარით ესენი, გაჰხადეთ ტანისამოსი, გაატიტვლეთ სულა და ჩამოახრჩეთ, ან არა-და—დაარჩეთ წყალში! დაჰკათ ამათ, დაჰკათ ამ მეამბოხეთა.

ზაგლობამ დაუწყო ბიჭს ჰანჯღარი. მოხუცმა დაიჩოქა და დაუწყო ვედრება, შემიწყალეო; ბიჭი რაღასაც ზმუოდა, ხოლო ელენეს პირში სიტყვა გაუშრა, ისე გაოცდა.

— რასა ჰკადრულობთ მაგასა?—ჰკითხა მან ბოლოს და არა სჯეროდა, რასაც თვალითა ჰხედავდა. მაგრამ პან ზაგლობა თავისას არ იშლიდა: ჰყვიროდა, იწყევლებოდა, ჯოჯოხეთს უწოდებდა შემწეობისათვის; შლიახტიჩს თავი ველარ შეეკავებინა.

კნიაჟნას ეგონა, რომ ეს არის გაგიჟდა ეს კაციო.

— გაიქეცი აქედან!—დაუყვირა მან ქალსა.—შენ არ უნდა დაინახო, რაც მოჰხდება, გაიქე საჩქაროზედ!

და მან კვლავ მიჰმართა მოხუცსა.

— გაიხადე ტანთა, მოხუცო, თორემ სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯავ.

პან ზაგლობამ წააქცია ბიჭი და თვითონ დაუწყო გახდა ტანისამოსისა. შეშინებულმა მოხუცმა გადააგდო ფანტური, გუდა და პატარა ბოღჩა.

— გაიხადე ყველაფერი, შე თათარო, შენა! —ჰქუხდა ზაგლობა.

მოხუცმა დაიწყო პერანგის ხდა.

კნიაჟნა საჩქაროზედ გაიქცა შორს, ხოლო წყევა-კრულვა პან ზაგლობასი კიდევ დიდ ხანს მოესმოდა შორიდან. გაირბინა კარგა მანძილი და მერე გაჩერდა, რადგან არ იცოდა, რა ექნა ახლა. ახლო ხე ეგდო და იმაზედ ჩამოჯდა. პან ზაგლობას წყევლა-ყვირილი და გმინვა მოხუცისა ჯერ კიდევ არა სცხრებოდა.

ბოლოს, ყოველივე მიჩუმდა და მხოლოდ ფრინველნი ჭიკჭიკობდნენ და ხეთა ფურცელნი შრიალებდნენ გარშემო. მაგრამ აი მოისმა ვიღასაც ფეხის ხმა. ელენემ მოიხედა.

მის ახლოს იდგა პან ზაგლობა.

ზურგზედ გადაეკიდნა ტანისამოსი, რომელიც მოხუცისა და ბიჭისათვის გაეხადნა, ხელში ეჭირა ორი წყვილი წაღა და ფანტური. ჯერ შორიდანვე დაიწყო მან ლიმილი და თამაშობა თავის მართალის თვალითა.

პან ზაგლობა ძალიან კარგს გუნებაზედ იყო.

— არც ერთს აღვოკატს არ უყვირნია იმდენი სასამართლოში, რამდენიც მე ვიყვირე,—სთქვა მან.—ასე გასინჯე, ხმაც კი წამივიდა. მაინც ვიშოვე, რაც მინდოდა, ხოლო ისინი დედიშობილა გავისტუმრე. თუ ხონთქარი ფაშობას არ მომცემს, ან ვლახეთის ბატონად არ დამსვამს, უმადური კაცი იქნება სწორედ; უმადური იქნება იმიტომ, რომ ოსმალთა წმინდანების რიცხვი გავამრავლე*). ჰაი, ის წუწკები! მთხოვეს, პერანგებს მაინც ნუ წაგვართმევო და მე კი ვუთხარი, მადლობელნი იყავით, რომ ცოცხლებსა გტოვებთ-მეთქი. ერთი ჰნახეთ, კნიაჟნა: სულ ახალია, წაღებიცა, პერანგებიცა. აბა რა წესი და რიგი უნდა იყოს რესპუბლიკაში, როცა ტეტიობა ასე კარგად იცვამს? დღეობაში ყოფილან ბროვარკსა, ბლომად ფული უშოვიათ და ახალ-ახალი ტანისამოსი უყიდნიათ ბაზრობაში. ზოგიერთი შლიახტიჩი ვერ აიღებს წლითი-წლობამდე თავის მამულიდან იმდენსა, რამდენსაც ზოგი უსინათლო მოხუცი მოაგროვებს თვისის ფანტურით. გათავებული საქმეა! ამიერიდან ვანებებ თავს ჩემს სარაინდო ხელობას და დავიწყებ გზა-გზა გლახა-მათხოვართა ძარცვასა, იმიტომ რომ ეხლაე eo modo უფრო მალე შეიძლება უზრუნველი ყოფა დაიმკვიდროს.

— რაში გამოგადგებათ მერე დიდი ქონება?—ჰკვირობდა ელენე.

— რაში გამოგადგება?—არ იცით, განა? მაშ მოითმინეთ ერთს წუთსა და მე აგიხსნით, რაშიაც გამომადგება.

პან ზაგლობა მიიმალა სასწრაფოდ ბუჩქებში, რომელიც მრავლად იყო წყალის ნაპირას. რამდენისამე წუთის შემდეგ მოისმა იქიდან ხმა ფანტურისა, ხოლო პატარა ხანს უკან გამოჩნდა... პან ზაგლობა კი აღარა, არამედ ნამდვილი „უკრაინელი მოხუცი“ ერთ თვალზე ბისტ-გადაკრული, დიდის ჭაღარა წვერითა. „მოხუცი“ მოდიოდა ელენესაკენ და თან მღეროდა თვისის ჩახრინწიანებულის ხმით:

---

*) პოლონურად არის ასეთი ანდაზა: «goly, jak tureckie Swieto»—ტიტველია, როგორც ოსმალთა წმინდანი.

ახატულ-ჩამოხატულო,
ჩემო მიმინო, მწყაზარო,
ძმა ხარ ჩემი გულისაო,
დაჰფრინავ მაღლა-მაღლა,
თვალს ავლებ შორის-შორა!

კნიაკინამ ტაში-ტაშს შემოჰკრა და უნებურად ხარხარი დაიწყო.

— წინდაწინვე რომ არა მცოდნოდა, ეს პან ზაგლობაა-მეთქი, ვერას გზით ვერ გიცნობდით,—სთქვა ქალმა.

— განა?—კმაყოფილებით წარმოსთქვა პან ზაგლობამ.—თუნდა დაგენაძლავებით, რომ ყველიერშიაც არ გინახავთ ჩემზედ უკეთესი ბერიკა. კალამლიკის წყალში ჩავიხედე და თუ უკეთესი მეფანტურე მენახოს საღმე, დეე, ამ ჩემის გულის თასმით ჩამომახრჩონ. სიმღერებიც ბლომად ვიცი და ლექსები არ გამომელევა. აბა რის მოსმენა გნებავთ? იქნება მარუსა ბოგუსლავნას ლექსი გნებავთ, ან ბონდარივნასი, ან სერიაგის სიკვდილისა? ესეც შემიძლიან. დეე, რომელმაც გინდათ, იმ ყაზახმა შემომაფურთხოს თვალებში, თუ ლუკმა პური არ ვიშოვნო შეზარხოშებულ ყამპანიაში.

— მესმის, მესმის!—წარმოსთქვა ელენემ.—იმიტომ მოიქეცით აგრე, რომ არავინ გვიცნოს?

— დიაღაც,—დაემოწმა პან ზაგლობა.—რა გგონიათ? აქ, ამიერ-დნეპრის მხარეს, ხალხი ბევრად უარესია, ვიდრე სხვაგან სადმე, და მხოლოდ თავადის რკინის მარჯვენას შეეძლო მისი შეკავება. ახლა კი, როცა ყველამ გაიგო, რომ ომია იმიერ-ჭოროომეთთან ატეხილი, რომ ხმელნიცკიმ გაიმარჯვა რამდენჯერმე, ვერაფითარი ძალა ვეღარ შეიმაგრებს ხალხს აჯანყებისაგან. გახსოვთ ჩოდრები, რა ნაირ ტკბილად გვიცქეროდნენ? თუ გეტმანებმა ვერ შემუსრეს ხმელნიცკი ერთს დღესა, ან ორ დღეს უკან, მთელს მხარეს ცეცხლი მოედება... მაშ, როგორ გაგიტარო მშვიდობით აჯანყებულ ბრბოთა შორის? ხოლო იმათ ხელში ჩავარდნა უარესია კიდეე თქვენთვის, ვიდრე ბოგუნის ხელში ყოფნა.

— ოჰ, ეგ შეუძლებელია! სიკვდილი მირჩევნიან!—გააწყვეტინა სიტყვა კნიაჟნამ.

— მე სიცოცხლეს ვამჯობინებ, იმიტომ რომ სულ ერთია, სიკვდილისაგან მაინც კაცი თავს ვერ დაიხსნის. მე მგონია, რომ თვით ღმერთმა მოგვივლინა ის მათხოვარანი. ახლა ისინი სამს დღეს მაინც ისხდებიან ლელიანებში შიშითა, ხოლო ამასობაში, როგორც იქნება, ჩვენ ზოლოტონოშას მივაღწევთ. თუ ვიპოვით იქ შენს ბიძაშვილებს, ხომ რა კარგი, თუ არა და—წავიდეთ ახლა სხვაგან, გეტმანებთან, ან ვუცადოთ თავადსა; უნდა იცოდეთ მერე, რომ სულ უშიშრად ვიქნებით ყველგან, რადგან ყაზახნი გლახა-მათხოვართ არას უშავებენ. ასე გასინჯე, ხმელნიცკის ბანაკშიაც კი შეგვეძლო ამ სახით გავლა. მხოლოდ თათრების შეხვედრისა უნდა გვეშინოდეს. მაშინათვე ტყვედ წაგვიყვანენ, რაკი შეგატყობენ, რომ ეს კარგი ყმაწვილი ბიჭიაო.

— მაშ, მეც უნდა გამოვიცვალო ტანისამოსი.

— უეჭველად. პატარა ყაზახის მაგიერ, უნდა გლეხის ბიჭად გადაიქცეთ. მართალია, ძრიელ ლამაზი ხართ და გლეხის ბიჭობა ნაკლებ გეტყობათ, როგორც ნაკლებ მეტყობა მოხუცი-მეფანტურობა, მაგრამ არა უშავს-რა. მზე მალე მოგეკიდებათ, ხოლო სიარულით სისქე მომაკლდება. როცა ვლახელებმა თვალები ამომწვეს, მეგონა, რომ ამაზე დიდი უბედურება აღარა შეიძლება-რა-მეთქი, მაგრამ ახლა ვხედავ ზოგი ჭირი მარგებელია, რადგან მეფანტურე რომ უსინათლო არ იყოს, ძალიან საეჭვო საქმე იქნება. თქვენ უნდა მატაროთ ხელითა და ონუფრი მეძახოთ—ეს იქნება ჩემი სახელი მათხოვრობის დროს. ახლა კი გამოიცვალეთ ჩქარა ტანისამოსი; დროა გავუდგეთ გზას.

პან ზაგლობა მოშორდა ელენეს. ქალმა გაიხადა ყაზახური ტანისამოსი, ჩაყურჭუმელავდა წყალში და ჩაიცვა გაძარცულის ბიჭის ტანისამოსი. რაღაც ბედად ორივენი ერთის ტანისანი აღმოჩნდნენ.

ზაგლობა დაბრუნდა და გულ-დასმით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალი.

— გეფიცებით,—სთქვა მან,—არა ერთი და ორი რაინდი მოისპობდა სიამოვნებით მხედველობას, ოღონდ კი შენისთანა ბიჭი ეტარებინა, ხოლო ერთი ჩემი ნაცნობი გუსარი ხომ უთუოდ დაიბრმაებდა თავსა. მხოლოდ ეგ თმებია ხათაბალა... უნდა მოიშორო როგორმე... სტამბოლში ცოტა არ მინახავს კარგის ოჯახის ყმაწვილები, მაგრამ ეგრე შენსავით ლამაზი კი ჯერ ჩემს თვალს არა უნახავს-რა.

— ეგ არის მხოლოდ, რომ ამ ჩემმა სილამაზემ არა დამიშავოს-რა,—სთქვა ელენემ.

თუმცა ასეთს განურკვეველს ყოფაში იყო ქალი, მაინც ესიამოვნა პან ზაგლობას ქება.

— სილამაზე თავის დღეში არას დაგიშავებთ. შორს სად მივდივართ, თვითონ მე გამოვცადე ეგ ჩემ თავზედა. როცა ოსმალებმა გალატში ერთი თვალი ამომწვეს და უნდოდათ, მეორეც ამოეწვათ, ამ უბედურებას იქაურის ფაშის ცოლმა გადამარჩინა ჩემის სილამაზისათვის, რომლის ნაშთსაც თქვენც კარგად ჰხედავთ ახლა.

— თითქო წინადა სთქვით, რომ ვლახელებმა ამომწვეს თვალიო.

— ჰო და, ვლახელებმა, ფაშის მხლებლებმა, რომელნიც გაემაჰმადიანებინათ.

— მაინც არც ერთი თვალი არ ამოუწვიათ თქვენთვის?

— არ ამოუწვიათ კი, მართალია, მაგრამ... უნდოდათ ამოეწვათ. როცა გახურებული შანი მომიახლოვეს, იმისმა სიცხოვლემ ბისტი გადამაკრა თვალზედა. სულ ერთია. მაშ, ახლა მაგ თქვენს თმებს რას უპირობთ?

— რას უნდა ვუპირობდე, უნდა მოვიჭრა.

— უნდა მოიჭრათ, მაგრამ რითი?

— თქვენის ხმლით.

— ხმლით კარგია მტრის თავის მოჭრა, თმებისა კი არ ვიცი, quo modo?

— იცით, რა? მე აგერ აქ დავჯდები და ამ ხეზედ გადმოვშლი ჩემს თმებს. თქვენ დაჰკათ ხმალი და მოარჩა-გათავდა. თავი კი არ მომკვეთოთ მხოლოდ.

— მაგის დარდი ნუ გაქვთ. რამდენჯერ მთვრალს ხმლით თავი მომიხოცნია სანთლისთვის ისე, რომ თვით სანთელს ხმალი არ მიჰკარებია. თქვენც არას დაგიშავებთ, თუმცა მაგისთანა საქმე არას დროს არ მიცდია.

ელენე ჩამოჯდა ხეს ახლო, გადაჰშალა ზედ თავისი მშვენიერი დალალები და შეჰხედა პან ზაგლობას.

— აბა, მზად არის,—სთქვა მან—მოსჭერით. და ქალს მწუხარების ღიმილმა გადურბინა ტუჩებზედ. თვით პან ზაგლობასაც გულმა კვნესა დაუწყო. რაინდმა დაბეჯითებით შეამოწმა, ხომ მაგარია ხეო.

— ფუ, ფუ! ის მერჩიენა, რომ დალაქი ვყოფილიყავ და ყაზახთათვის მეპარსნა თავი. ასე მგონია, ჯალათი ვარ და აგერ ჩემს საშინელს საქმეს უნდა შევუდგე-მეთქი. არ ვიცი, გაგიგონიათ თუ არა, რომ ისინი თმებსა სჭრიან ჯადოქარ დედაკაცებს, ეშმაკი არ დაიმალოს იქ და თვისის უწმინდურის ძალით ხელი არ შეგვიშალოს ხოლმეო. ხოლო თქვენ ჯადოქარიანი არა ხართ და ეს საქმე ამიტომ სრულიად არ მომწონს. თუ ოდესმე ამისათვის პან სქშეტუსკი ყურებს არ დამაჭრის, მე პირველი დავუძახებ იმას ტუტუცსა. ღმერთმანი, ისეთი ვარ, რომ სულ ჟურუანტელი მივლის მთელს ტანში. თვალები მაინც დაჰხუჭეთ.

— აჰა, დამიხუჭნია!—სთქვა პასუხად ელენემ.

პან ზაგლობამ გაიქნია ხმალი, მოქნილმა ფოლადმა შუილი შეჰქმნა ჰაერში და ხშირი შავი დალალი ჩაცურდა ხეს იქიდან.

— მზად არის!—სთქვა პან ზაგლობამ.

ელენე მარდად წამოხტა ფეხზედ. სახე აწითლებული ჰქონდა სირცხვილითა, რადგან მაშინდელს დროს დიდად სამარცხვინო იყო თმის შეკრეჭა გასათხოვარ ქალისათვის, და ელენემ

ასეთი მსხვერპლი გასწირა მხოლოდ იმიტომ, რომ უამისობა არას გზით არ შეიძლებოდა.

თითქმის ცრემლებიც კი მოერია ქალს თვალებში. პან ზაგლობა შეკრთა და ველარ მოახერხა, რომ ნუგეში რამ მაინც ეცა.

— ვგონებ, რაღაც საძაგელი საქმე მოვიქმედე,—სთქვა მან,—და გიმეორებთ, პან სქშეტუსკი, თუ პატიოსან კაცად მიაჩნია თავი, მოვალეა, ყურები დამაჭრას. მაგრამ უამისობაც არ იქნება, უამისოდ მაშინვე შეგამჩნევდნენ, რა სქესისაცა ხართ. ახლა ეს მაინც არის, რომ გულადად შეგვიძლიან გზას გავუდგეთ. გზა ვიცი, მოხუცმა მეფანტურემ მასწავლა. ეხლა მინდორში სამს მუშასა ვნახავთ, მუხის ახლო ხევიაო, ხოლო ხევგაყოლება გზა დემიანოვკას მიდის და იქიდან ზოლოტონოშასაო. უსინათლომა სთქვა, რომ ამ გზაზედ ბევრნი დადიან ურმებითაო, მაშასადამე, ხანდახან ურემზედაც დაგვისმენ. დიდს გაჭირვებაში ვართ ახლა ჩვენ, კნიაჟნა, და შემდეგ ხშირად მოვიგონებთ ახლანდელს ამბავს. ახლა ჩვენს ხმლებსაც უნდა გამოვეთხოვოთ. მოხუცს მეფანტურეს და მის მატარებელს არ შეჰფერით აზნაურშვილური იარაღი ატარონ. აგერ ამ ხის ქვეშ ჩავმალავ, იქნება ღმერთმა იპრიანოს და ბოლოს ისევ ვიპოვნო როგორმე. ბევრი რამ უნახავს ამ ხმალს, ბევრი რამ გადაჰხედია... არ დაიჯერებთ, მაგრამ მე დიდი ხანია პოლკოვნიკი უნდა ვყოფილიყავ, კაცთა ბოროტებას რომ არ შეეშალა ჩემთვის ხელი და ჭორი რომ არ გაეერცელებინათ, ვითომ ძრიელ ვეტანები სასმელსა. ასეა ეს წუთი-სოფელი, ვერსად სიმართლეს ვერა ჰხედავს კაცი! აქაო და თავს არავის ვაკლავდი, როგორც ზოგიერთნი ტუტუცნი, რაკი საცა არა სჯობდა, გაცლასა ვრჩევობდი და დადინჯებულ ვაჟკაცობასთან, მეორე კუნკტატორივით, მოხერხებასაც ვიჩენდი, ვიღაც ზაცვილიხოვსკი პირველი ჰბოდავდა და მხდალს მეძახოდა. კეთილი კაცია, მაგრამ ენა აქვს შხამიანი. ჯერ ამას წინადაც მლანძღავდა, რას ეძმობილები ყაზახებსაო. მაგრამ ეგრე რომ არ მოქ-

ცეულიყავი, დღეს ვერას გზით ვერ დაიხსნიდით თავს ბოგუნის ხელიდან.

პან ზაგლობამ ჩამალა ხის ქვეშ ხმალი, მიაფარა ფოთოლი და ბალახ-ბულახი, მერე გადაიკიდა მხარზედ გუდა და ფანტური, აიღო ხელში ჯოხი, მიიქნ-მოიქნია ერთხელ-ორჯელა და სთქვა:

— რაკი უკეთესი არა გვაქვს, ამასაც არა უშავს-რა; შეიძლება კარგები უთავაზოს კაცმა ძაღლსა, ანუ თუნდა მგელსა. ცუდი ის არის მხოლოდ, რომ ფეხით უნდა ვიაროთ, მაგრამ რას იზამ! აბა გავსწიოთ!

გაუდგნენ გზას; შავ-თმიანი ბიჭი წინ წავიდა და მოხუცი პაპა მას გაჰყვა უკან. პაპა ბუზღუნებდა და სწყევლიდა თავის ბედს, ამ სიცხეში მაიძულებს ფეხით ვიაროვო, თუმცა მინდვრად გრილი ნიავი ჰქროდა. მალე მიაღწიეს ხევსა, ხოლო ხევ გალმა გორაკზედ იდგა სამი უზარმაზარი მუხა; აი ამ მუხებისაკენ გაემართნენ ჩვენი მგზავრნი. აქვე მიდიოდა გზა, რომელზედაც ჭაჭანებად არავინ არა სჩანდა იმ დროს: არც მეურმე, არც ლომა ხარები, რომელნიც დინჯად მიაბოტებენ ხოლმე, არაფერი. მხოლოდ აქა-იქ თეთრად გაჰქონდა ქათქათი მკვდრის საქონლის ძვლებს. პან ზაგლობა და ელენე მიდიოდნენ წინ და ისვენებდნენ მხოლოდ იქ, საცა გზის ახლო-მახლო პატარა-პატარა ჭალაკიან ჩრდილიანი შეხვდებოდათ. შავ-თმიანი ბიჭი წამოწვებოდა მწვანეზედ და ეძლეოდა ძილს, ხოლო პაპა მღვიძარებდა. წყალში გასვლაც მოუხდებოდათ ხოლმე და ხანდახან რამდენსამე საათს ფონის ძებნას უნდებოდნენ. მაშინ პაპა ხელში აიყვანდა და ისე გაჰყავდა ხოლმე ყმაწვილი წყალში; თან ისეთს ძალას იჩენდა, რომ კაცს გაუკვირდებოდა, მოწყალებით თუ სცხოვრობს, ამდენი ძალი და ღონე რალამ მისცაო. სამაგიეროდ ეს პაპა ძალიან მხარ-ბეჭიანი იყო. ასე იარეს საღამომდე, ვიდრე ყმაწვილი არ ჩაჯდა გზის პირსა და არა სთქვა:

— მეტი სიარული აღარ შემიძლიან, თავი აღარა მაქვს. ველარ ვივლი. აი აქვე დავწვები და დაე აქვე მოვკვდე.

პაპა ძალიან შესწუხდა.

— ოი, დაწყევლილო უდაბნო! არც მეკომური, არც მოსახლ-კარობა სადმე, არც ცოცხალი კაცი ჭაჭანებად. მაინც აქ უნდა გავათიოთ ღამე. აგერ საღამო ჟამია, ერთს საათს უკან დაბნელდება... აბა, ყური დაუგდეთ, კნიაჟნა!

აქ პაპა გაჩუმდა და ჩამოვარდა დიდი დუმილი, მაგრამ ვნახოთ უცბად მოისმა ხმა, რომელიც შორეულ ხევიდან მოდიოდა.

— მგლები არიან,—სთქვა პან ზაგლობამ.—წუხელის ცხენები დაგვიჭამეს და ახლა ჩვენც გვეტანებიან. მართალია, დამბაჩა მაქვს, მაგრამ ორ სროლად ძლივს მეყოფა წამალი; მგლების საუზმეზედ ყელის ჩასატკბარუნებელ ტკბილ საჭმლად გადაქცევა კი ვერაფერი სასიამოვნო საქმე იქნება, სწორედ მოგახსენოთ. გესმით, პანნა, აგერ კიდევ ისმის იმათი ყმუილი!

ყმუილი უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

— წამოდექი, ქაჯან!—სთქვა მოხუცმა.—თუ სიარული არ შეგიძლიან, მე წაგიყვან. მეტი რა ჩარაა. თვითონვე ვხედავ, რომ ძრიელ შემიყვარდით, მაგრამ ამის მიზეზი უთუოდ ის არის, რომ თავის დღეში საკუთარი შვილები არა მყოლია, ხოლო თუ მყოლია უკანონოდ, ისინი თათრები ყოფილან, მაჰმადის სჯულისანი, რადგან დიდ ხანსა ესცხოვრობდი სათათრეთში. ჩემით მოეღება ბოლო ზაგლობაანთ გვარსა, „Brec"-ის გერბისას. თქვენ შემივრდომეთ სიბერის ჟამსა, ხოლო ახლა ადექით და ან წავიდეთ, მხარზე შეგისვამთ და ისე წაგიყვანთ.

— ოჰ, ისე დავიღალე, რომ ზეზედ ადგომაც კი აღარ შემიძლიან.

— ტრაბახობდი კი, ღონიერი ვარო... სსს... დაიცა! ღმერთმანი, ძაღლის ყეფა მესმის... სწორედ ასეა... ძაღლები არიან და არა მგლები. მაშ, დემიანოვკაც ახლო უნდა იყოს, ის მეფანტურე რომ მეუბნებოდა. დიდება შენდა, უფალო! სწორედ, ძაღლის ყეფაა. გესმით?

მართლაც, ტყეს იქით მალე გამოჩნდა სინათლე, რომელიც გლეხთა ქოხ-მახებიდან გამოდიოდა. საღამო ჟამის ბინდ-

ბუნდზედ კიდევ ჰპყვრიალობდა სამის ეკლესიის სამრეკლო. ძაღ-ლის ყეფა თან და თან უფრო გარკვევით მოისმოდა.

— დიაღ, ეგ დემიანოვკაა, სწორედ, სორედ,—გადასწყვიტა პან ზაგლობამ.—გლახა მათხოვარს ყოველთვის სიამოვნებით უმასპინძლდებიან; იქნება ბინაც გვიშოვონ; შესაძლოა, ღვთის კაციც შეგვხვდეს ვინმე და პატარა მანძილზედ ურმითაც წაგვიყვანოს. მოითმინეთ, პანნა, ეს ხომ თავადის სოფელია; იქ მოურავიც იქნება. დავისვენებთ კიდეც, საქმის გარემოებასაც ვიწვრილებთ. ვინ იცის, იქნება თავადი გზად არის გამოსული, იქნება შემწეობა უფრო ახლოა, ვიდრე თქვენა ჰგონებთ. მხოლოდ არ დაგავიწყდეთ, რომ მუნჯი ქალი ხართ, კინალამ ვთქვი მუნჯი ბიჭი-მეთქი. სისულელე მომივიდა, რომ გითხარით, ონოფრე დამიძახეთ ხოლმე-მეთქი, როდესაც მუნჯი უნდა იყოთ და აბა მაშ როგორ დამიძახებდით სახელს. დეე, ისევ მე ვილაპარაკებ შენ მაგივრადაცა და ჩემ-მაგივრადაც; ღვთის მადლით, ტეტიური ლაპარაკი ისევე კარგად ვიცი, როგორც ლათინური. გავსწიოთ, გავსწიოთ! აგერ განაპირა ქოხმახებიც ახლოა. ოჰ, შემოქმედო! როდის მოეღება ბოლო ჩვენს წანწალს? ნეტა ლუდი მაინც გვაშოვინა სადმე! ამისათვისაც დიდს მადლობას შევსწირავთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა.

პან ზაგლობა გაჩუმდა პატარა ხანს და დუმილით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ მალე ისევ თითქო რაღაც მოაგონდაო:

— გახსოვდეთ, მაშ, კნიაჟნა, რაც გითხარით. თუ გკითხა ვინმე რამე, ჩემზედ ანიშნეთ და წაიზმუილეთ: ჰმ, ჰმ, ჰმ! ვხედავ, რომ ყოველსავე ადვილად მოისაზრებთ ხოლმე და აბა გამჭრიახობა ახლაა საჭირო, რადგან ეს არის ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საქმე. ერთი შევხვდეთ კი ან გეტმანის პოლკსა, ან თავადისასა, თორემ მაშინ კი ვიტყვით პირდაპირ, ვინცა ვართ, მეტადრე თუ პან სქშეტუსკის ნაცნობს აფიცერსა ვნახავდით. ეს რაღაა? მგონია ცეცხლია იქ, ძირსა? ოჰო, სამჭედლოა! მერე ხალხიც ცოტა არ არის; წავიდეთ იქა.

ხევის დასაწყისშივე სამჭედლო იდგა და ბურჯღლ-ბურჯ-ღლებად ისვრიდა ოქროს ფერ ნაპერწკლებს, ხოლო კარებიდან ზღვა სინათლე გამოდიოდა. სამჭედლოს წინ ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხალხი. ბანი კვერის თანაბარის ცემისა უერთდებოდა ხალხის ხმაურობასა, სიმღერის ხმასა და ძაღლის ყეფასა. პან ზაგლობა გაემართა პირდაპირ ჯეჯილისაკენ, ჩამოჰკრა ფანტურსა და დაიწყო:

ა-იქითა გორაზედა
ქალნი ყანასა მკიანო,
გორის ძირას გზაზედა კი
ყაზახები მიდიანო.

ზაგლობა მიუახლოვდა ხალხის ჯგუფს, რომელიც სამჭედლოს წინ იყო თავ-მოყრილი. გლეხ-კაცნი იყვნენ, უმეტესნაწილად კარგად შეზარხოშებულნი. ყველას ან ცელები ეჭირათ, ან შუბები.

— ეი, პაპა! პაპა!—დაიწყო ხმაურობა ბრბომა.
— დიდება ღმერთსა!—წარმოსთქვა პან ზაგლობამ.
— უკუნითი უკუნისამდე!
— დემიანოვკაა ესა, შვილებო?
— დემიანოვკაა. რა იყო?

— გზაზედ მითხრეს,—განაგრძო პაპამ,—რომ აქ ღვთის კაცნი სცხოვრობენო, პაპას გაუმასპინძლდებიან, ასმევენ, აჭმევენ და ფულსაც აჩუქებენო. მოხუცი ვარ, შორეული და ჩემი ბიჭი კი დაიღალა, სიარული აღარ შემიძლიან. საწყალი მუნჯია და მე მოხუცი დავყავარ, იმიტომ რომ ვერასა ვხედავ, უსინათლო ვარ მე უბედური! ღმერთი გადღეგრძელებთ, ღვთის კაცნო, წმინდა ნიკოლოოზ საკეირველ-მოქმედი, წმინდა ონოფრეი: ერთის თვალით კიდევ ძლივ-ძლივა ვხედავ, ხოლო მეორეთი—სულ ვერაფერსა; და აბ დავდივარ ფანტურით, ვამბობ სიმღერას და ვსცხოვრობთ, ვითა ფრინველნი ცისანი, კეთილის ხალხის მოწყალეობითა.

— სადაური ხარ, პაპა?

— ოჰ, შორიდანა ვარ, შორიდანა. ბინასა გთხოვთ დასასვენებლად, ღვთის გულისათვის... აგერ სამეფლოსთან, ვხედავ, ტახტია. მოდი, ჩამოჯექ შენცა,—მიჰმართა მან ელენესა.—ლიტვიდანა ვართ, ღვთის ხალხნო. სახლიდან კი დიდი ხანია, რაც წამოვედით, ახლა კი ბროვარკის დღეობაში ვიყავით და იქიდან მოვდივართ.

— კარგი რა გაიგონეთ იქა?—ჰკითხა მოხუცსა გლეხკაცმა, რომელსაც ცელი ეჭირა ხელში.

— გაგონებით ბევრი რამ გავიგონეთ, მაგრამ კარგი რა არის—ეგ კი არ ვიცით. ხალხი ბევრი იყო. ხმელნიცკისას ამბობდნენ, რომ ატამანის შვილსა და მის რაინდებსა სძლიაო. ყური მოვკარით კიდევ, რომ სარუსეთოს ნაპირად ხალხი აჯანყებას აპირობს პანების წინააღმდეგ.

მთელი ჯგუფი გლეხ-კაცთა შემოერტყა გარშემო პან ზაგლობას, რომელიც კნიაჟნას გვერდით იჯდა და ხან-და-ხან ჩამოჰკრავდა ხოლმე თითებს ფანტურის სიმებს.

— მაშ, გაიგონე, რომ ხალხი აჯანყებას აპირობს?

— მაშა, მწარეა ჩვენი ბედიო!

— მერე ამბობენ, რომ ბოლო მოეღება ჩვენს სიმწარესაო?

— კიევს, ტრაპეზში იპოვეს წერილი ქრისტესი. იქ ეწერა თურმე, რომ საშინელი ომი ატყდება და დიდი სისხლის-ღვრა იქნება მთელს უკრაინაშიო.

გარშემორტყმულნი უფრო მიეჯუჯგნენ პან ზაგლობასა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ წერილი იყო?

— იყო მაშა, იყო. ომისა ეწერა, სისხლის-ღვრისა... კიდევ გიამბობდით ბევრს რასმე, მაგრამ ყელი ამომეხლანძა.

— აი ახლავ, არაყსაც მოგიტანთ... გადაჰკარი და გვიამბე. თქვენ, მოხუცნი მეფანტურენი ყველგან დადიხართ და ყველაფერი იცით. შენს მოსვლამდეც იყვნენ მეფანტურენი და გვითხრეს, რომ ხმელი დაჰლუპავს პანებსა, ის ამოიყრის იმათს ჯავრსაო. აი მაგიტომ ვაწკეპინებთ პირებს ცელებისათვის, ვა-

კეთებინებთ შუბებსა, არ ვიცით მხოლოდ, დავიწყოთ ეხლავ საქმე, თუ ვუცადოთ ხმელის წერილსა.

ზაგლობამ გადაჰკრა არაყი, ტუჩები გააწკლაპუნა და სთქვა:

— ვინ გითხრათ მერე, რომ დროა დაიწყოთ საქმეო?

— ჩვენ თვითონ გვინდა საქმეს შევუდგეთ ბარემა!

— შევუდგეთ, შეეუდგეთ!—ვაისმა ხმა მრავალთა.—რახან იმიერ-ჭორომელთ დაუძლევიათ პანები, მაშ უნდა დავიწყოთ!

ძარღვიანი ხელებით მაღლა აღმართეს ცელები, მაგრამ მაინც იცდიდნენ, ვნახოთ, რას იტყვის „პაპაო“. პაპა ჩუმად იყო კარგა ხანს და ბოლოს სთქვა:

— ვისი კაცები ხართ?

— თავად ერეომიასი ვართ.

— მერე ვის დაუწყებთ ჩეხა-ჟლეტას?

გლეხებმა ერთმანეთს შეჰხედეს.

— თავადსა?—ჰკითხა პაპამ.

— ვერ დავჯაბნით.

— ჰეი, ვერ დასჯაბნით, შვილნო, ვერა! ვყოფილვარ ლუბნშიაც და მინახავს იქაურობა ჩემის თვალებითა. საშინელებაა! როცა შეუძახებს, ტყე ძირს იხრება, როცა ფეხს დასცემს—ხევი ჩნდება. იმისი მეფესაც ეშინიან, იმას გეტმანებიც ემორჩილებიან, ყველასაც ეშინიან იმისი. ჯარი კი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ხანსა და ხონთქარსა. ვერ დასჯაბნით, შვილნო, ვერა! მერე თქვენ არც ის იცით,—მე კი ვიცი,—რომ ყველა ლიახი იმას შეეწევა და ანდაზა კი ამბობს: რამდენი ლიახიც არის, იმდენი ხმალიაო!

ბრბომ წარბები შეიკრა და სდუმდა, პაპამ კვლავ ჩამოჰკრა თითები ფანტურის სიმებსა და განაგრძო მაღლა თავ-ამართულმა:

— მოდის თავადი, მოდის და მოსდევს თან იმდენი დროშა და ალამი, რამდენიც ვარსკვლავია ცაზედა ანუ ბალახია მინდორში. მიჰზუის მის წინ ქარი და სტირის, მერე იცით, შვილებო, რასა სტირის? ჩვენს ბედსა სტირის. მიჰფრინავს თავადის წინ სიკვდილი ცელით და გააქვს წკრიალი... მერი იცით,

ვის კისერზედ არის განმახვებული ეგ ცელი? ჩვენს ვისერზედ, შვილნო.

— უფალო, შეგეიწყალე!—გაისმა ხალხში ჩუმი ხმა შეშინებულებისა.

კვლავ მდუმარება ჩამოვარდა და მხოლოდ სამჭედლოდან ისმის ხმა კვერის ცემისა.

— ვინ არის აქ თავადის მოურავი?—იკითხა პაპამ.

— პან გდეშინსკია.

— სად არის მერე?

— გაიქცა.

— რად გაიქცა მერე?

— გაიგონა, რომ იმათთვის სჭედავენ ცელებსა და შუბებსა... შეშინდა და გაიქცა.

— ეგ უარესი; თქვენს ამბავს თავადს ეტყვის.

— რა ამბავია, პაპავ, რომ ყვავივით დაგვჩხავი უბედურებას?—ჩაერია ლაპარაკში ხნიერი გლეხ-კაცი.—ჩვენ კი აგრე გვგონია, რომ პანების აღსასრული მოვიდა. მოვიდა დრო და გაწყდება კიდეც მაგათი სინსილა თათრის სამზღვრისაკენაცა და რუსეთისკენაცა. გაწყდებიან პანებიცა, თავადნიცა და მხოლოდ ყაზახნი, თავისუფალნი ყაზახნი-ღა დარჩებიან... აღარავინ აღარას გამოგვართმევს გადასახადსა, აღარც ურიები იქნებიან... შენვე არა სთქვი, რომ აგრე სწერია ქრისტეს წერილშიო?! ხმელიც ისევე ძლიერია, როგორც თავადი.

— ღმერთმა დიდი დღე მისცეს!—ამოიოხრა პაპამ,—მწარეა ჩვენი ბედი, წინად კი სხვაფრივა ყოფილა.

— ვისია მამული?—თავადისა;—ვისია მინდორი?—თავადისა; ვისია საქონელი, ნახირი და ჯოგი?—თავადისა! წინად კი ღვთის ტყე იყო, ღვთის მინდორი; ვინც პირველი მივიდოდა, მამულს ის ჰხმარობდა, არავის თავს არ უკრავდა და არ შეჰღიპინებდა. ახლა კი ყოველივე პანებისა და თავადებისაა.

— სულ თქვენია, შვილებო,—სთქვა პაპამ,—მაგრამ მე თქვენ ერთს გეტყვით: თქვენ თითონ იცით, რომ ძნელია თავადის მორევა; ვისაც უნდა პანების ამოჟლეტა, ის აქ ნულარ

დარჩება, ადგეს და ხმელთან გაიქცეს, ხვალვე, იმიტომ რომ თავადმა გამოიცალაშქრა კიდეცა. თუ პან გდეშინსკიმ უამბო დემიანოვკას ამბავი, თავადი თქვენ აღარ დაგინდობთ, სულ ამოგწყვეტავთ ყველასა... სჯობიან, წახვიდეთ ხმელთანა. რაც უფრო მეტნი წახვალთ, მით უკეთესი იქნება ხმელისათვის. ოჰ, იმის საქმეც ძნელი საქმეა, დიდი გაჭირვება ადგია! წინ გეტმანები არიან და მთლად სახასო ჯარები, უკან კი თავადია, რომელიც ყველა გეტმანზედ ძლიერია. ისწრაფეთ, შვილნო, ხმელისა და იმიერ-ჭორომელთა შესაწევრად... ისინი ხომ თქვენის თავისუფლებისა და თქვენის სიკეთისათვის ებრძვიან პანებს. თავადსაც მოჰშორდებით და ხმელსაც შემწეობას მისცემთ.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს!—გაისმა ჩუმად ხმა ხალხში.

— კარგადა ლაპარაკობს!

— ბრძენი პაპაა!

— გზაში ჰნახე თავადი?

— ნახვით არ მინახავს, მაგრამ ბროვარკში გავიგონე, რომ ლუბნიდან წამოვიდაო; საცა ან ერთს ცელსა ჰნახავს, ან შუბსა, სულ ამოსწვავს იქ ყველაფერსა, ამოსწყვეტავს ყველასა... ცარიელს მიწას-ღა დასტოვებს.

— უფალო, შეგვიწყალე!

— სად ვიპოვოთ ახლა ხმელი?

— მეც იმიტომ მოვედი, შვილებო, რომ გასწავლოთ, სად უნდა მოსძებნოთ ხმელი. წახვალთ, შვილნო, ზოლოტონოშას, მერე ტრახტიმიროვს და იქ კი ხმელიც თქვენს მოლოდინში იქნება. იქ მოგროვდება ხალხი ყველა სოფლიდან, ყველა კუთხიდანა და ქვეყნიდან; თათრებიც იქ მოვლენ; ასე თუ არ მოიქეცით, თავადი დედა-მიწაზედ არავის გაატარებს.

— შენა, პაპავ, წამოხვალ შენც ჩვენთანა?

— წამოსვლით კი ვერ წამოვალ, მოეხუცდი და ძალა აღარა მაქვს. შემიბით ურემი და მაშინ მეც თქვენთან ვიმგზავრებ და სანამ ზოლოტონოშას მივიდოდეთ, მე დავწინაურდები, რომ ვნახო, პანების ჯარის-კაცნი ხომ არ არიან იქა. თუ

ისინი იქ იქნებიან, ჩვენ ზოლოტონოშას გვერდი ავუხვიოთ და პირდაპირ ტრახტიმიროვისაკენ წავიდეთ. იქ კი სულ ყაზახთა ქვეყანაა... ახლა პატარა მაჭამეთ რამე და მასვით, მშიერ-მწყურვალი ვარ ამდროული კაცი, ეს ჩემი ბიჭიც მშიერ-მწყურვალია. ხვალ დილით გავუდგეთ გზას; გზა-გზა სიმღერას გეტყვით პან პოტოცკისასა და თავად ერიომასასა. ოჰ, ძალიან გულ-ბრაზნი და მრისხანენი არიან ისინი! დიდი სისხლის ღვრა იქნება უკრაინას, ცა სულ გაწითლებულია და მთვარეც ისეთია, თითქო სულ თოვლში სცურავსო. შეეეედრეთ ღმერთს, შვილებო, რომ მოწყალებით მოჰხედოს ამ ქვეყანას; ბევრს თქვენგანს დიდის ხნის სიცოცხლე აღარა აქვს ამ ქვეყნად. ყური მოვკარი, რომ ვითომ მკვდარნი სდგებიან საფლავებიდან და ჰგმინავენ, საცოდავად ჰკვნესიან და ჰგმინავენ.

პან ზაგლობას ლაპარაკმა თავ-ზარი დასცა ხალხსა; ზოგმა პირ-ჯვრის წერა დაიწყეს, ზოგმა ჩურჩული მორთო ერთმანეთში.

— წამო, პაპა, ჩემთან, ვახშმად: კარგ თაფლსაც დაგალევინებ,—სთქვა ხანში შესულმა გლეხ-კაცმა.

ზაგლობა წამოდგა და ელენესაც სახელოში წაავლო ხელი და ჯანჯღარი დაუწყო. კნიაჟნას ეძინა.

— დაიღალა საცოდავი, ველარც კი გავალვიძებ ახლა,— სთქვა პან ზაგლობამ და თან გაიფიქრა გულში: „o sancta simplicitas! ხმალი და ხანჯალია ამოწვდილი შენ გარშემო და შენ კიდევ ახერხებ დაძინებას. ანგელოზნი ცისანი ვფარველობენ და შენთან ერთად ამ ჩემს მოხუცებულს თავსაც ისინი უწევენ დარაჯობას“.

ზაგლობამ გააღვიძა ელენე და ორივენი წავიდნენ სოფელში, რომელიც შორს არ იყო. ხანში შესული გლეხ-კაცი წინ მიდიოდა, ხოლო პან ზაგლობამ თავი მოიკატუნა, ვითომ და ლოცვებსა ვკითხულობო და ის კი არა თუ მოჰყვა გაბმულის ხმით ბუტბუტს:

— ოჰ, უფალო და მეუფეო! შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვილნი... ჰხედავთ კნიაჟნა!.. წმინდაო, ყოვლად წმინდაო... რას

მოვახერხებდით, ეს ტეტიური სამოსელი რომ არა გვქონოდა... ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... პატარას გვაჭმევენ რასმე და ხვალ დილით ზოლოტონოშას წავალთ ურმით, იმის მაგიერ, რომ ფეხით გვეჩანჩალნა... ამინ, ამინ, ამინ... უეჭველია ბოგუნი კვალ და კვალ მოგვდევს; იმას კაცი აგრე ადვილად ვერ მოატყუებს... ამინ, ამინ!—მაგრამ დაუგვიანდა და ველარას მოახერხებს... პროზოროვკას დნეპრში გავალთ, ხოლო იქ გეტმანის ბანაკია დაცემული. ამინ... რამდენისამე დღის შემდეგ მთელი ის მხარე აჯანყდება, რაკი თავადი დნეპრში გავა და გაღმა-მხარს მოედება... ამინ... კისერიმც მოუტეხიათ, რაც ეშმაკი და ქაჯია, იმ ჩამოსაღრჩობთ, იმათ!... გესმით, კნიაგინა, რანაირად ჰღმუიან გლეხნი სამჭედურთან? ამინ... ოჰ, ძალიან გაჭირვება დაგვადგა, მაგრამ ყეყეჩი ვიყო და უტვინო, თუ ვერ გაგანთავისუფლე ამ ცეცხლისაგან, თუნდა თვით ვარშავამდეც დაგვჭირდეს ესე მალვა და ლტოლვაი.

— რასა ბუტბუტებ ემანდა, პაპავ?—ჰკითხა გლეხმა.

— არაფერსა ღმერთს ვეეედრები თქვენს დღეგრძელობასა, ამინ.

— აი ჩემი ქოხიცა; გთხოვთ მობრძანდეთ და პურ-მარილი იხმიოთ.

პაპა კარგად შეექცა შემწვარ ცხვრის ხორცსა და საკმაოდ ბლომადაც გადაჰკრა სასმელი; ხოლო მეორე დღეს დილით გასწია ზოლოტონოშასაკენ ურემში გამოჭიმულმა; თან ახლდნენ რამდენიმე გლეხნი, შეიარაღებულნი ცელებითა და შუბებითა.

იმათს გზას უნდა გაევლო კოვრაეცსა, ჩერნობაისა და კრაპივნისაკენ. მთლად ეს ქვეყნები მღელვარებაში იყო. ხალხი ყველგან იარაღში სხდებოდა, სამჭედურნი მუშაობდნენ დილით საღამომდე და მხოლოდ საშინელი ძლიერება, საშინელი სახელი თავადის ერემიასი იმაგრებდა ხალხის აბობოქრებულს გრძნობა-გულის-თქმასა.

ყაზახებმა ჰნახეს მეორე დღეს, რომ ბოგუნი ცოცხალ-მკვდარი-ღაა, ისე აქვს თავზედ ჩამოცმული თბილი ჯუბა, ის ჯუბა, რომლითაც პან ზაგლობამ შეუხვია ვითომ თავი. მაგრამ რადგან ატამანს საიმისო მძიმე ჭრილობა არა ჰქონდა-რა, მალე მოვიდა გონს, გაიხსენა ყოველივე და საშინელმა გულის წყრომამ შეიპყრო. ისეთსა გრგვინავდა, თითქო დაჭრილი ნადირიაო, იგლეჯდა თმებს და ყველას ხმლით და ხანჯლით ემუქრებოდა. ბოლოს ბრძანა, მიაბით საკაცე ორ ცხენსაო, ჩაჯდა ამ საკაცეში და, როგორც დამთხვეული, გაჰფრინდა ლუბნისაკენ. ბოგუნი იცლებოდა სისხლისაგან და თან ისე მიჰქროდა მინდორ-მინდორ, თითქო წყეული სულიაო, ხოლო უკან მისდევდნენ მისნი ერთგულნი ყაზახნი, რომელთაც ეჭვი არა ჰქონდათ, რომ სიკვდილი აგვცდებაო. აი მივიდნენ ვასილიოვკას, საცა მეციხოვნეებად ასი კაცი იდგა თავადის ჯარის-კაცებისა. გადარეულმა ატამანმა, თითქო განგებ სიკვდილი უნდაო, აღარც აცია, აღარც აცხელა და მაშინვე შეუტია ამ რაზმს, თვით პირველი გადაერია შენავთებულ ბრძოლაში და, ხან-მოკლე ომს შემდეგ, სათითაოდ ამოჰჟლიტა ყველანი, ორიოდეს გარდა, რომელნიც იმიტომ დასტოვა ცოცხალნი, რომ იქნება წამებით ვათქმევინო ყოველიო. რაკი დარწმუნდა, რომ აქეთ არც ერთს შლიახტიჩს არ გამოუვლია ყმაწვილ ქალთან ერთადო, აღარ იცოდა, რა ექნა და, გაბრაზებული, იფხრეწდა ჭრილობის შესახვევებსა. წინ წასვლა მტკნარი უგუნურება იქმნებოდა,—იქვე ახლო-მახლო თავადის პოლკები იდგნენ ბანაკად. ერთგულმა ყაზახებმა გამოიტაცეს მწუხარებით დასუსტებული ატამანი და უკანვე მოიყვანეს რაზლოგს. რაზლოგში რაც რამ შენობა იყო, იმათი ქვა-ქვაზედ აღარ დარჩა. გლეხ-კაცებმა სულ გაძარცვეს, მერე გადაჰბუგეს და შიგ ამოჰწვეს თავადი ვასილიცა; იფიქრეს, რასაც ჩვენ მოვიქმედებთ, სულ ერთია, ბოგუნს დაჰბრალ-

დებაო. დასწვეს ყოველივე შენობა, რაც იყო ეზოში, გადასჩეხეს ალუბლის ბაღი, ამოსწყვიტეს მსახურ-მხლებელნი. ხალხი შეუბრალებლად იძიებდა შურს იმ შევიწროებისათვის, რომელიც ადგა კურცევიჩებისაგან. იქვე რაზლოგს ახლოს ბოგუნს ჩაუვარდა ხელში პლესნევსკი, რომელსაც დაემუქრა, ცოცხალს დაგწვავო და ამიტომ იმანაც უამბო ყოველივე, რაც ენახა,— როგორ და სად გაიმარჯვა ხმელნიცკიმ, როგორ აიღო მან ჩიგირინი და სად შეეხვდი პან ზაგლობასაო. გახარებულმა ატამანმა პატარა თავისუფლად ამოისუნთქა. ბრძანა, ჩამოაღრჩეთ პლესნევსკიო და გაეშურა გზას სრულიად დარწმუნებული, რომ ახლა კი ზაგლობა ველარ წამივა ხელიდანაო. ვიღაც ჩოდრებისაგან გაიგო კიდევ ზოგიერთი რამ ახალი, მაგრამ ფონს შემდეგ ყოველივე კვალი ისე დაიკარგა, რომ ველარა გაიგო-რა. ატამანი ველარ შეხვდა იმ გლახას, რომელიც პან ზაგლობამ გაძარცვა: შეშინებული მოხუცი დამფრთხალ ნადირივით ლეღლიანებში იმალებოდა.

ამ სახით გაიარა სამმა დღე და ღამემ, ხოლო რადგან ვასილიოვკისკენ დევნამ ორი დღე მოინდომა, ამიტომ ზაგლობას დიდი დრო ჰქონდა მოგებული. საით გადავარდე ახლაო? ამ გაჭირების ჟამს ბოგუნს აღმოუჩინა შემწეობა ესაულმა, ერთმა გამოცდილმა მინდვრის მგელმა, რომელიც ყმაწვილობითვე მიჩვეული იყო ყრუ უდაბნოში თათრების ძებნასა.

— ბატონო,—სთქვა იმანა,—ჩიგირინში გაქცეულან და სწორედ კარგადაც უქნიათ, იმიტომ რომ კარგა დრო მოიგეს, ხოლო როცა გაიგეს პლესნევსკისაგან ხმელისა და ყვითელ წყლების ამბავი, სჩანს, სხვა გზა ირჩიეს. შენ თვითონა ჰნახე, რომ გზა გადუხვევიათ და უგზო-უკვლოდ წასულან.

— მინდვრად?

— მინდორში მალე ვიპოვიდი, ალბად დნეპრს დაჰყოლიან, იქნება გეტმანის ბანაკში მივიდეთო. ისიც კი შესაძლებელია, რომ ჩერკასისკენ წავიდნენ, ან არა და—ზოლოტონოშასა და პროხოროვკისაკენ... თუ კიდევ პერეიასლავლისაკენ წავიდნენ, იქაც ვიპოვით, თუმცა კი არა მგონია. საჭიროა, ერთ-ერთი

ჩერკასისაკენ წავიდეთ, ერთ-ერთი—ზოლოტონოშასაკენ, თან რაც შეიძლება, მალე, იმიტომ რომ დნეპრში გავლენ თუ არა, გეტმანებს შეეყრებიან, ან არა და ხმელნიცკის თათრები შეიპყრობენ.

— მაშ, შენ ზოლოტონოშას წადი, მე კი ჩერკასს წავალ.

— კარგი.

— ფრთხილად იყავი: ლიახი დიდი ცბიერი მელაა!

— ოჰ, ფიქრი არ არის, მეც უქკუო არა ვარ.

ამ მოსაზრების თანხმად, რაზმი ორ ნაწილად გაიყო. იმ-დღესვე, საღამო ჟამზედ ხნიერი ესაული ანტონი დემიანოვკას მივიდა.

სოფელი ცარიელი იყო; დედა-კაცები-ღა დარჩენილიყვ-ნენ, რადგან მამა-კაცობა ყველა ხმელნიცკისთან გახვეტილიყო. შეიარაღებული რომ დაინახეს, დედა-კაცნი საბძლებსა და ამბ-რებში დაიმალნენ. ანტონმა დიდ ხანს ეძება, რომ ძე-ხორციე-ლი ეპოვნა ვინმე და ბოლოს ძლივს წააწყდა ერთს დედა-ბერს, რომელსაც აღარაფრისა აღარ ეშინოდა, თათრებისაც კი.

— სად არიან გლეხ-კაცნი, დედაბერო?—ჰკითხა ანტონმა.

— მე რა ვიცი, მერე!—უპასუხა დედაბერმა და გამოაჩი-ნა თვისი გაყვითლებული კბილები.

— ჩვენ ყაზახნი ვართ, ბებერო, ნუ გეშინიან, ლიახები ხომ არა გგონივართ.

— ლიახები? ოი, იმათა და იმათ თავსა!

— თქვენ ხომ ჩვენსკენა ხართ, არა?

— თქვენსკენა?—ბებერი პატარა ხანს შესდგა.—ჯანდაბას თქვენი თავიცა!

ანტონმა აღარ იცოდა, რა ექნა, რომ უცებ დაიჭრია-ლა ერთის ქოხის კარებმა და ყმაწვილი, ლამაზი ქალი გამო-ვიდა ეზოში.

— ეი, ვაჟკაცნო! გავიგე, რომ თქვენ ლიახები არა ყო-ფილხართ.

— არა, ლიახები არა ვართ.

— მა'მ, თქვენ ხმელნიცკის კაცები ხართ?

— ხმელნიცკისანი ვართ.

— გლეხ-კაცების ამბავს რასა ჰკითხავთ მაშა?

— ისე ვკითხავდით, წავიდნენ თუ არაო.

— წავიდნენ, წაეიდნენ!

— მადლობა ღმერთსა!

— ერთი ეს გვითხარი, ჯეირანო, ერთს შლიახტიჩს ხომ არ გამოუვლია აქეთა, ხნიერსა, ყმაწვილის ქალითა?

— შლიახტიჩსა? ლიახსა? არ მინახავს სწორედ.

— არავინ არა ყოფილა აქა?

— იყო პაპა. აგულიანებდა ჩვენებს, ხმელნიცკისთან წადით, ზოლოტონოშას, აქ კი თავადი ერიომა მოვაო.

— სად აქაო?

— სადა და აქა. მერე ზოლოტონოშასაც წავაო.

— მერე ის აქეზებდა გლეხებსა აჯანყდითო?

— აქეზებდა.

— ერთი იყო?

— არა. იმასთან მუნჯიც იყო.

— როგორი, რა სახის კაცი იყო ის მოხუცი?

— ოჰ, მოხუცი, გადაყრუებული, სულ ფანტურს უკრავდა პანებზედა ბრაზობდა. მე თვითონ კი არ მინახავს სწორედ.

— გლეხებს აქეზებდა მაშ, აჯანყდითო?—ერთხელ კიდევა ჰკითხა ანტონმა.

— ჰმ! მშვიდობით იყავ, ჯეირანო!

— მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ ღმერთმა.

ანტონი ღრმა ფიქრმა წაიღო. ის პაპა რომ ტანისამოსგამოცვლილი ზაგლობა ყოფილიყო, რაღა ეშმაკისა და ქაჯისათვის დაუწყებდა ხალხს წაქეზებას, აჯანყდითო? ეგეც რომ არ იყოს, სად იშოვა ტანისამოსი, რა უყო ცხენებსა? მაგრამ, პირველი მაინც ის არის, რისთვის აქეზებდა ხალხს აჯანყებად და აფრთხილებდა, თავადი აქ მოვაო? შლიახტიჩი უპირველეს ყოვლისა თავადის ბანაკში შეაფარებდა თავსა. ხოლო თუ თავადი ზოლოტონოშას მიდის, რაიცა ჭკუას ახლოა, ვასილიოვკას ჯავრს იყრის უეჭველად. ანტონი შეაჟრჟოლა; ახალი ალა-

ყაფის კარი, რომლის ახლოც მან გაიარა, ზედ-მიწევნითა ჰგავდა საღრჩობელას.

— არა, ის პაპა მხოლოდ პაპა თუ იყო და არავინ სხვა. ტყუილად წავალ ზოლოტონოშას; სჯობიან ისევ სხვა მხარეს წავიდე.

— კარგი, მაგრამ მერე რაღაი? ვიცადო—თავადი მოვა, წავიდე კიდეე პროხოროვკას, გავიდე დნეპრში და—ეგ ხომ ის იქნება, რომ პირდაპირ გეტმანებს ჩავუვარდები ხელში.

მინდვრის ბებერმა მგელმა იგრძნო, რომ ძალიან შეეიწროებული ვარ ამ თვალ-გადუწვდენელ ფართო მინდორშიო. მიხვდა, რომ თუმცა მე მგელი ვარ, აგერ მელა დამხვდა წინ და ეს მელა პან ზაგლობაოო.

უცბად ხელი შემოიკრა შუბლში.

— ე გლეხ-კაცობა რაღად წაიყვანა პაპამ ზოლოტონოშას, რომელს იქითაც პროხოროვკაა, ხოლო პროხოროვკას შემდეგ, დნეპრს გაღმა, გეტმანები არიან და მთლად ლაშქარი სახასო?

ანტონმა გადასწყვიტა, რაც იქნება-იქნება, პროხოროვკას უნდა წავიდეო.

მივალ დნეპრის ნაპირადაო,—ჰფიქრობდა გულში ანტონი:—და თუ გავიგე, რომ გაღმა გეტმანის ჯარები სდგას, აღარ გავალ წყალში, დავყვები ნაპირ-ნაპირ და ჩერკასის პირდაპირ შევუერთდები ბოგუნსა. იქნება გზა-გზა გავიგო რამე ხმელნიცკისაო. პლესნეესკის ჩვენებით მან უკვე იცოდა, რომ ხმელნიცკიმ დაიპყრა ჩიგირინი, კრივანოსი გაჰგზავნა გეტმანების წინააღმდეგ, ხოლო თვითონაც ტუღაი ბეისთან ერთად მალე ეკვეთებოდა ამათს ჯარებსავე. ანტონი გამოცდილი ჯარის-კაცი იყო, კარგად იყოდა ადგილ-მდებარეობის ვითარება და დარწმუნებული იყო, რომ ომი უკვე გადახდილიაო. მაშასადამე, კაცმა უნდა იცოდეს, როგორ მოიქცესო. თუ ხმელნიცკი დაძლეულ იქნა, მაშინ გეტმანის ჯარები მთლად მოდებული ექნება დნეპრის სანაპიროებს, მაშინ ამაო-ღა იქნება ძებნა პან ზაგლობასი. მაგრამ, ვსთქვათ, ხმელნიცკიმ გაიმარჯვა. მართა-

ლია, ანტონს საიმისოდ არა სჯეროდა ესა. ბევრად უფრო ადვილია დაძლევა გეტმანის შვილისა, ვიდრე გეტმანისა, დაძლევა რაზმისა, ვიდრე მთელის ჯარისაო.

„ეჰ!—ფიქრობდა გულში ბებერი ყაზახი,—ჩვენი ატამანი უკეთესს იზამდა თვისის ტყავის გადარჩენისათვის ეზრუნა, ვიდრე ყმაწვილის ქალის მოპოვებისათვის. ჩიგირინთან შეიძლებოდა დნეპრში გასულიყო და სეჩისკენ გაეკრა. აქ კი თავად ერემიასა და გეტმანებს შორის ვერაფერი კარგი დღე დაადგება“.

იყო ანტონი ამ საგნის განსჯაში და თან სწრაფად უახლოვდებოდა სულას. აგერ მოღილნაია და მერე ხომ დემიანოვკაც ახლოა. ორივე სოფელი ცარიელი იყო, მაგრამ ანტონმა, ბედად, მზა-მზარეული ტივი და მეტივენი იპოვა სულაში გასასვლელად. დნეპრის ამიერ-მხარე ისე იყო შებოჭილი თავადის რკინის ხელითა, რომ თვითონ ვერა ჰბედავდა აჯანყებას, ხოლო გლეხ-კაცობა მრავლად ივლტოდა ამ სოფლებიდან და აგრედვე სხვა დაბა-ადგილებიდან ხმელნიცკისთან. ყვითელ-წყლების გამარჯვების ამბაეი უცბად მოეფინა მთელს მხარეს. მოუსვენარი ხალხი ერთს ალაგას ვერა ჩერდებოდა, თუმცა არავითარი მიზეზი არა ჰქონდა მღელვარება დაეწყო: თავადი საშიში იყო აჯანყებულთა და მეამბოხეთათვის, ხოლო ჰეშმარიტი მეგობარი და მამა იყო მშვიდობიან მოსახლეთათვის, ხოლო მისნი მოურავნი დიდ შიშ-ქვეშ იყვნენ და არ შეეძლოთ გაებედნათ და უსამართლობა მიეყენებინათ ვისთვისმე. გარნა ველური ხალხი, რომელიც, დიდი ხანი არ იყო, რაც ავაზაკობაში ირთმევდა სულს და ხვნა-თესვას მისჩვეოდა, ვერ იშვნევდა წეს-რიგის სასტიკობას და მირბოდა იქ, საცა იმედი ჰქონდა განუსაზღვრელის თავისუფლებისა. მრავალის სოფლიდან გაიქცნენ ხმელნიცკისთან დედა-კაცნიც კი; ბევრ სოფლიდან სულ გაიხვეტა ხალხი დედიან-ბუდიანად: წავიდნენ ყველანი და თავიანთი სახლები და ქოხები სულ გადასწვეს, უფრო ეღარ დაებრუნდებით უკანვეო.

ანტონმა დაუწყო გამოკითხვა მეტივე-მეკატარღეთა, ამბავი ხომ არა არის-რა დნეპრის გაღმა-მხრიდანაო. ამბავი მოდიოდა, მართალია, მაგრამ სხვა-და-სხვა ნაირი, ერთმანეთის გამაბათილებელი. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ხმელნიცკის სძლიეს გეტმანებმაო, მეორენი ამბობდნენ, რომ გამარჯვება დარჩა ხმელნიცკისაო. მეკატარღენი ჰგონებდნენ, რომ ეს კაცი უთუოდ ტანისამოს-გამოცვლილი შლიახტიჩიაო და ამიტომ, ეტყობოდათ, რომ თავად ერემიას შიშით, თავისუფლად ვერას ამბობდნენ.

ანტონმა დაამშვიდა ისინი და დაუწყო გამოკითხვა დემიანოვკას გლეხ-კაცობის შესახებ.

— დიაღ, დიაღ! ჩვენ გავიყვანეთ გაღმა,—სთქვა ერთმა მეკატარღემ.

— პაპა იყო იმათთანა?

— იყო.

— მუნჯიცა, ყმაწვილი?

— მუნჯიც იყო.

— მერე თვალად ან ტანად როგორი იყო პაპა?

— ასე, ხანში შესული იყო, სუქანი, თვალები გადმოჰკარკლოდა და ერთზედ ბისტი ჰქონდა გადაკრული.

— სწორედ ისა ყოფილა!—იფიქრა ანტონმა და კვლავ განაგრძო: —პატარა ბიჭი?

— ოჰ, ის ბიჭი ხომ სულ ანგელოზსა ჰგავდა. იმისთანა თავისდღეში არ გვინახავს.

ამ დროს უკვე მეორე ნაპირას მიატანეს.

ანტონმა უკვე იცოდა, როგორ მოქცეულიყო ახლა.

„მივგვრით იმ ჯეირანს ატამანსა“,—ბუტბუტებდა თავისთვის ატამანი, მერე შეუძახა ყაზახებს: „ჰკათ ქუსლი ცხენებსა“!

ყაზახნი გაჰფრინდნენ ისე, თითქო ფრინველთა გუნდი დააფთხო ვინმეო, თუმცა გზა ძნელი სავალი იყო, ხევ-ღელეებით სავსე და ღადა-ღუდა. ერთ ხევის ძირას რაღაც ნასახი სჩანდა გზისა. ყაზახებმა სულ ჭენებით გაიარეს რამდენიმე ვე-

რსი დაუსვენებლივ; ანტონი პირველი მიაქროლებდა თავისს ქურან ცხენსა. აგერ გაჰლიეს კიდეც ხევი, რომ ანტონმა უცებ დაჰკრიფა ლაგამი და შეაყენა ცხენი.

— ეს რა ამბავია?

ყაზახთა წინ გამოჩნდა შეირაღებული რაზმი ცხენოსანთა. რომელიღაც პოლკი დიდის წესითა და რიგით ჩადიოდა ხევში. ანტონმა შეჰხედა და სულ შეაკრეკოლა, გული რაღამაც ატკინა, პირისახე მკვდარივით გაუფითრდა.

ანტონმა იცნო თავად იერემიას დრაგუნები.

დრო აღარ იყო თავის შველისა. ოცი ნაბიჯი-ღა იყო ანტონსა და დრაგუნებს შორის; ამას გარდა, ცხენებიც ისე დაჰხოცეს ჭენებითა, რომ მდევარს ვერსად ვერ წაუვიდოდნენ. ანტონმა გაჰხედა და გასწია წინ.

— ვინა ხართ და რა ხალხი ხართ?—მრისხანედ ჰკითხა პორუჩიკმა.

— ბოგუნის კაცნი ვართ!—უპასუხა ანტონმა, რაკი მიხვდა, რომ მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მართალი ეთქვა. მაგრამ პორუჩიკი... რა ექნა, ეს კაცი ხომ მეცნობაო; პერეიასლავლში მინახავსო.—პან პორუჩიკი კუშელი! მადლობა ღმერთსა!

— ოჰ, შენა ხარ, ანტონ!—და პორუჩიკმა იცნო ესაულიი.—აქ რას აკეთებთ? სად არის თქვენი ატამანი?

— პანმა დიდებულმა გეტმანმა გაჰგზავნა ჩვენი ატამანი თავად-მოურავთან და სთხოვა, შეეწიეო. ატამანი წავიდა ლუბნს, ხოლო ჩვენ გვიბრძანა, იარეთ სოფელ-სოფელ და შეიპყარით ლტოლვილნიო.

ანტონი სტყუოდა უღმერთოდ. მაშინათვე მიხვდა, რომ დრაგუნთა რაზმს, რომელიც დნეპრიდან მოდის, არაფერი არ ეცოდინება არც იმისი, რომ რაზლოგს თავს დავესხით, არც ვასილიოვკის ომისა და არც ბოგუნის ამბებისა საზოგადოდაო.

პორუჩიკი მაინც ჩაფიქრდა.

— კაცს კი ეგონება, რომ ვითომ გინდა აჯანყებულთ შეუერთდე,—სთქვა მან.

— ეე, პან პორუჩიკო, ჩვენ რომ ხმელნიცკისთან შეერთება გვდომოდა, გაღმა მხარში ვიქნებოდით ახლა.

— მართალია,—უპასუხა კუშელმა,—ეგ ისეთი სიმართლეა, რომელსაც არ შეიძლება კაცმა ანგარიში არ გაუწიოს. მაგრამ თქვენი ატამანი ვეღარ მიუსწრებს პან მოურავს ლუბნში.

— ერიჰა! მაშ სად არის თავადი?

— პრილუკს იყო. შესაძლოა გუშინ წავიდა ლუბნს.

— ხათაბალა გინდა, სწორედ ეს არის... ნება მიბოძეთ გკითხოთ, ეს ჯარი ზოლოტონოშადან მოგყავთ?

— არა. ჩვენ კალენკას ვიყავით დაბანაკებულნი, ხოლო ახლა ბრძანება მოგვივიდა, ლუბნს მოდითო და იქიდან ყველანი ერთად გავალთ სალაშქროდ. თქვენ საით-ღა მოდიხართ?

— პროხოროვკას; იქ გლეხ-კაცობა გადის გაღმა-მხარსა.

— ბევრნი წავიდნენ კიდეცა?

— ოჰ, ბევრნი, ბევრნი?

— მაშ, წადით, გზა დამილოცნია!

— მადლობას მოგახსენებთ. ბედნიერად გამგზავროთ.

დრაგუნებმა მისცეს გზა და განუტევეს ანტონი.

გამოსცდა თუ არა ხევს, ანტონი შესდგა და ყურს უგდებდა იმ დრომდე, ვიდრე დრაგუნთა ფეხის ხმა არ შესწყდა კარგა მოშორებით.

— იცით, სულელებო,—მიჰმართა მან თავის ყაზახებს,—მე რომ არა, სამს დღეს უკან ყველას მარგილებზედ ჩამოგაცვამდნენ. ახლა კი გავსწიოთ საჩქაროდ.

და ანტონმა გადუჭირა მათრახი თავის ცხენს.

— გავიმარჯვეთ!—ჰფიქრობდა გულში ანტონი.—ჯერ ერთი რომ მშვიდობით გადავრჩით, მეორეცა, ზაგლობა ასცდა უთუოდ დრაგუნებს, თორემ ამაო-ღა იქნებოდა მისი დევნა.

მართლაც, ბედმა უმტყუნა პან ზაგლობას; ის რომ პან კუშელის რაზმს შეხვედროდა, მერე სულ საჭირო აღარ აქნებოდა ეზრუნა თავის ბედისათვის.

ახლა კი, პროხოროვკას, როცა გაიგო კორსუნის გამარჯვება, თავს-ზარი დაეცა. ჯერ ისევ ზოლოტონოშამდე გზა-გზა ესმოდა ხმები, რომ დიდი ომი იყო, ხმელნიცკიმ გაიმარჯვაო, მაგრამ პან ზაგლობას ნაკლებად სჯეროდა ეს ლაპარაკი; მან კარგად იცოდა, რომ ხალხში ადვილად ვრცელდება ყოველგვარი ხმა. ხოლო პროხოროვკაში საეჭვო აღარა იყო-რა მისთვის. საშინელის სიმართლისათვის პირდაპირ უნდა გაემართნა თვალი. ხმელნიცკი გამარჯვებული იყო, სახასო ჯარები ამოწყვეტილი, მთლად უკრაინას ცეცხლი ჰქონდა მოდებული.

პირველ ხანს პან ზაგლობას სულ თავ-გზა დაეპნა. საშინელს ყოფაში იყო. ბედი ხელ-აღებით ჰღალატობდა, რადგან ზოლოტონოშას ვერავითარი მეციხოვნეთა რაზმი ვერ იპოვნა. მთელი ქალაქი საშინლად იყო ამრეზილი ლიახების წინააღმდეგ, ძველი ციხე ცარიელი იდგა. პან ზაგლობას ერთი ბეწვა ეჭვიც აღარა ჰქონდა, რომ ბოგუნი მეძებს და, ადრე თუ მალე, მიპოვის კიდეცაო. მართალია, შლიახტიჩი ციბრუტივითა ტრიალებდა, თითქო წამოგდებული კურდღელიაო, მაგრამ მაინც კარგად იცოდა ვინ იყო მისი მეძებარი ძაღლი; ის ძაღლი კვალს არ დაჰკარგავს, ათასნაირადაც რომ ავურიო კვალი და ხან აქ უსხლიკუდო, ხან იქაო. ამ სახით, პან ზაგლობას უკან ბოგუნი იყო, ხოლო წინ გადაჰშლოდა ზღვა ხალხის აჯანყებისა, ჩეხა-ჟლეტა, ცეცხლის კიდება, თათართა ურდონი, გააფთრებული ბრბო.

ამისთანა ყოფაში გაქცევა საითმე ყოვლად შეუძლებელი იყო, მერე ისიც გაქცევა ყმაწვილ ქალთან ერთად, ისეთ ყმაწვილ ქალთან, რომელსაც ბიჭური ტანისამოსი ეცვა და მაინც ისეთი საკვირველი ლამაზი იყო, რომ ყველა დიდის ყურადღებით აკვირდებოდა.

გარნა პან ზაგლობას მკვირცხლი გონება ჰქონდა და სწრფად ახერხებდა საქმის მოსაზრვას. რაც უნდა დიდსა და ძლიერს სულის კვეთებასა და ქარ-ტეხილში ყოფილიყო, მხოლოდ ერთს რასმე ითვალისწინებდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთს რასმე ჰგრძნობდა და ეს ერთი რამ ის იყო, ბოგუნი ასჯერ უფრო

საშიშია, ვიდრე ცეცხლი და ნავთი, წყალი და აჯანყება, ჩეხა და ჟლეტა... კინაღამ ვიდრე თვით ხმელნიცკიო. მარტო ის ერთი ფიქრი, რომ შესაძლოა იმ საშინელს ატამანს ჩავუვარდე ხელშიო, სულ ტანს აუკინკრავდა ხოლმე პან ზაგლობას.

— იმისაგან კი კარგა მომხვდება,—იმეორებდა წამ-დაუწუმ.—იმას კიდევ ჯანი გაეარდეს, ამ მღელვარებას როგორღა გადურჩეს კაცი.

ერთად ერთი ხსნა-ღა იყო, მიეტოვებინა ელენე, დაეგდო ღვთის ანაბარად, მაგრამ პან ზაგლობას ეს არ უნდოდა.

— მე მგონიაო,—ეუბნებოდა ზაგლობა ელენეს,—სწორედ კარგ დროს მოგინდომნიათ, რომ თქვენის გულისათვის მე გამაძრონ ტყავი.

მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია მისი მიტოვება. მაშ, რა ექნა, რა შავი ქვისთვის ეხლია თავი?

— თაეადის ძებნის დრო აღარ არის,—ბჭობდა თავისთვის ზაგლობა.—ჩემ წინ აგერ ზღვა გადაშლილა; მოდი და ჩავიყურჭუმელავებ ამ ზღვაში, სხვა არა იყოს-რა დავიმალები მაინც; მერე იქნება ღმერთმა იპრიანოს და ნაპირსაც გავიდე მშვიდობით. იფიქრა ასე და გადასწყვიტა, ავდგები და გავალ დნეპრის მარჯვენა ნაპირასო.

პროხოროვკაში დნეპრში გასვლა ადვილი არ იყო. პან ნიკოლოოზ პოტოცკის სულ თვითონ წაეღო, რაც რამ ნავები ყოფილიყო პერეიასლავიდან ჩიგირინამდე ქშეჩოვსკის ჯარისათვის. პროხოროვკაში დარჩენილიყო ერთი მიკონკილ-მოკონკილი ბორანი, მაგრამ იმასაც ათასობით ლტოლვილნი ელოდნენ. თვით სოფელში დაჭერილი იყო, არამც თუ ყველა სახლები, არამედ ბეღლები და ამბრებიცა, თავლა-ბოსლებიც კი. თან საშინელი სიძვირე იყო ყველაფერისა. პან ზაგლობა იძულებული იყო ნება-უნებურად მოემართნა თვისი ფანტური და მით ლუკმა-პური ეშოვა. მთელ დღე და ღამეს იცადა და გასვლა ვერ მოახერხა: ბორანი გაფუჭებული იყო და შეკეთება ეჭირვებოდა. ის ღამე წყალისპირად გაატარა ელენესთან ერთად მთვრალ გლეხ-კაცების ბრბო-

ში; ღამე კი, რაღაც საუბედუროდ, ძალიან ციოდა. კნიაჟნა ისე იყო მოქანცული, რომ ძლივსღა ჰფეთქავდა. ეშინოდა კიდეც, ძრიელ არ გავხდე ავადაო. პირისახე დამწვარი ჰქონდა, თვალებს სიცოცხლე გაჰქრობოდა; ყოველ წუთს ის აზრი ედგა თვალ-წინ, რომ აი ან ახლა მიცნობენ, ან ახლაო, რომ ბოგუნის კაცები საცაა დამეწევიანო. იმ ღამესვე საშინელის სცენის მოწამე შეიქნა. გლეხებმა შეიპყრეს რამდენიმე ოჯახი შლიახტიჩებისა, რომელნიც ივლტოდნენ ვისნევეცკების მამულში გასახიზნადა და საშინელის ტანჯვითა და წამებით ამოჰხოცეს. ყოვლად საზარელი მძვინვარებაც კი დაიჩრდილებოდა იმ სასჯელთა წინაშე, რომელსაც იგონებდა გააფთრებული, გალეშილი ბრბო. თვით პროხოროვკაში სცხოვრობდა ორი ოჯახი ებრაელთა; ისინიც შეპყრობილ იქმნენ და დნეპრში ჩარჩობილ. ყოველ ამას თან მოსდევდა საშინელი ველური ხარხარი და მხიარულება. ათასში ერთხელ რომელიმე უგონო მთვრალი დაიღრიალებდა: „ხალხო, თავს უშველეთ, ერიომა მოდისო!“ და ყველანი მირბოდნენ წყალის ნაპირად, ეჯარებოდნენ და ჰყრიდნენ წყალში ერთმანერთს. საშინელი ღამე იყო ის ღამე და დიდი უბედურება კიდევ ის იყო, რომ დასასრული არ უჩანდა ამ ყოფას. ზაგლობამ იშოვა ერთი ჩარექა არაყის ფული, დაიწყო სმა თვითონ და ძალად ასმევდა კნიაჟნასაც. უამისოდ სულ დაჰკარგავს გრძნობას და გონზედ ველარ მოვიყვანო, ჰფიქრობდა პან ზაგლობა. ბოლოს, დნეპრის ტალღებს ცრიაგი ფერი დაედო. თენდებოდა. დგებოდა დღე, მოშავებედებული, ღრუბლიანი, ნოტიო. ზაგლობას უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა გასულიყო დნეპრში. ბორანი შეაკეთეს, მაგრამ გარშემო საშინელი ზედა-ხორა იყო მჭიდროობისაგან.

— ადგილი მიეცით ბერიკაცსა, ადგილი პაპასა!—ჰყვიროდა ზაგლობა და იკვალავდა გზას.—ადგილი პაპასა! ვისწრაფი, რომ ხმელნიცკისთანა და კრივანოსთან მალე მივიდე. ადგილი პაპასთვის, ღვთის ხალხნო, ლამაზნო და მშვენიერნო, აი გაგწყვიტათ ყველანი ჩემმა სალოცავებმა! თვალთ არ მიჭრის,

წყალში ჩავარდები... ნელა ეს ბიჭი არ დამიღრჩოთ წყალში! დამითმეთ ადგილი, ჩემო სასურველნო შვილნო, აი მეხი და მედგარი დაგეცეთ თავში და თან ჩაგიტანოთ შავს მიწაში!

ასე ჰყვიროდა, იწყევლებოდა, ეევედრებოდა ხალხს და თან აპობდა ბრბოს თვისის ძლიერის მკლავებითა. ამ სახით, ჯერ ელენე აიყვანა, როგორც იყო, ბორანზედ და მერე თვითონაც აბობღდა და ხელ-ახლად დაიწყო ღრიალი:

— გეყოფათ, კმარა! აბა, რას მობობღავთ? ახლა ბორანსაც ჩასძირავს, მაგოდენა ხალხი რომ ეჯარებით. კმარა! თქვენი რიგიც მოვა; არ მოვა კიდევა და—კისერიმც მოგიტეხიათ, დიდს არას დაჰკარგავს ქვეყანა.

— კმარა, კმარა!—მხარს უჭერდნენ სხვებიცა, ვისაც უკვე მოესწრო ბორანზედ ასვლა—გასწი მებორნე, აუშვი ბორანი!

ბორანი უფრო კატარღასა და ტივსა ჰგვანდა. აგერ ნელ-ნელა მოჰშორდა ნაპირს; მერე წყალის ძრიელმა მდინარებამ ცოტა ირიბად წაიღო დემენტოვისაკენ.

ჩვენი მგზავრნი უკვე შუა დნეპრში იყვნენ, რომ უცბად პროხოროვკის ნაპირად ატყდა საშინელი ყვირილი.

— რა ამბავია? რა მოხდა?—კითხულობდნენ ტივზედა.

— ერიომაა!—დაიყვირა ვიღამაც.

— ერიომა, ერიომაა!—ჰყვიროდნენ სხვანიცა.

მეტივე-მეკარტაღეებმა ღონივრად მოუსვეს ორთაყვირებს და ტივი გაჰქანდა ყაზახთა ლიხვიტა ნავივითა.

ამავე დროს რაღაც ჯარი გამოჩნდა პროხოროვკის ნაპირზედა.

— ერიომას ჯარია!

ახლად-მოსულნი საჩქაროზედა ჰკითხავდნენ რაღაცას ნაპირად დარჩენილებს და მერე დაიწყეს ყვირილი, ტივი გააჩერეთო.

ზაგლობამ გაიხედა და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ; იცნო, რომ ნაპირად ბოგუნის ყაზახნი იყვნენ.

სწორედ აგრეც იყო: ახლად მოსულნი იყვნენ ბოგუნის ყაზახნი ესაულის ანტონითა.

მაგრამ, როგორცა ვსთქვით, პან ზაგლობა თავის დღეში დიდ ხანს არ დარჩებოდა ხოლმე უგონოდ; საჩქაროზედ თვალები მოიფშვნიტა, თითქო თვალთ აკლიაო და მერე უცბად შეჰყვირა განწირულებით:

— შვილებო, ეგენი ვისნეეეცკის ყაზახნი არიან! ოჰ, ღვთისა და ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლის გულისათვის, მალე გაიტანეთ ტივი გალმა! შესაცოდავნი არიან, ვინც იქით ნაპირას დარჩა, მაგრამ რა ვუყოთ, უნდა დავშალოთ კატარღა, თორემ ყველას ამოგვეჟლეტენ!

— აბა, ჩქარა, დავშალოთ კატარღა, სულ დავანაფოტოთ,—გაისმა ძახილი აქეთ-იქიდან.

ისეთი ხმაურობა ატყდა ტივზედ, რომ აღარ ისმოდა, რას ჰყვიროდნენ მეორე ნაპირიდან. ტივი ჭრიალით მიადგა თხელს ნაპირს და გაირიყა. ზოგნი ჯერ არც კი გადასულიყვნენ ნაპირზედ, რომ სხვებმა დაუწყეს შლა ტივსა და ჭრა წკნელებსა. ხეები და გასაყარნი მიეცნენ წყალს. შიშმა ერთი ათად მოუმატა ხალხს ძალა; იმ უბედურ კატარღისა აღარა გადარჩა-რა თითქმის.

პან ზაგლობა კი ამასობაში გაჰკიოდა მაინც:

— დაჰკათ ცული, დალეწეთ, დაამტვრიეთ! თავს უშველეთ! ერიომა მოდის, ერიომა მოდის!

ასე ღრიალი არ უშლიდა მაინც და თავის მართალისა და საღის თვალით მრავალმნიშვნელოვანებით ანიშნებდა ელენეს, რისთვის ვიქცევი ასეო.

მეორე ნაპირზედ მყოფთ დაინახეს, ალბად, რომ ტივი სულ გააქრეს, იმიტომ რომ ყვირილი მათი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ, რადგან დიდი მანძილი იყო, სიტყვები არ ისმოდა და შეუძლებელი იყო გაერკვია კაცს, რასა ჰყვიროდნენ იქიდან.

ტივი სულ მიშალ-მოშალეს და ახლა ახალმა სანახავმა გააოცა ყველანი, ვინც გადარჩა დაღუპვასა.

— წყალში სცურავენ ცხენოსნები, მოდიან ჩვენსკენ!

მართლაც, ჯერ ერთმა ცხენოსანმა, მერე რამდენმამე სხვამ შეაგდეს ცხენები წყალში და მოინდომეს ცურვით გასულიყვნენ მეორე ნაპირას. ასეთი საქციელი უგუნური მამაცობა იყო, იმიტომ რომ გაზაფხულის გამო, მოდიდებული წყალი საშინელის ონავრობით მოაქანებდა ზვირთებს. ცხენები მოიტაცა ჩქარმა მდინარებამა და ამიტომ პირდაპირ ვეღარ მისცურავდნენ: წყალი ძალიან უძალიანდებოდა ცხენებს და მდინარება ქვეით-ქვეით ეწეოდა.

— ვერ გამოსცურვენ!—ჰყვიროდნენ გლეხნი.

— დაირჩობიან!

— მადლობა ღმერთსა! ოჰ, ერთს ცხენს წყალი აყლაპა და დააყურჭუმელაეა.

— ჯანდაბას მაგათი თავი!

ცხენებმა გასცურეს მესამედი ნაწილი მდინარისა, მაგრამ ქვევით-ქვევით ეწეოდა საცოდაევებს. ეტყობოდათ, რომ ღონესა ჰკარგავდნენ საშინელ ზვირთებთან ბრძოლითა. მხედარნი, რომელნიც ცხენებზედ ისხდნენ, უკვე წელამდე წყალში იყვნენ. გაიარა რამდენმამე საშინელმა წუთმა. ახლა მოსჩანდნენ მხოლოდ თავნი ცხენებისა; ყაზახებს წყალი ძუძუებამდე სწვდებოდათ, სამაგიეროდ ნახევარი მდინარისა უკვე გასცურეს. ვნახოთ ერთი მათგანი წყალმა დაჰფარა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე.... რიცხვი წყალში შემოსულ ცხენოსანთა თან-და-თან მცირდებოდა. ორივე ნაპირას ჩამოვარდა საშინელი ყრუ დუმილი; ყველანი გულის ფანცქალით მირბოდნენ მდინარის დაყოლება, ვნახოთ, რით გათავდება საქმეო. აგერ მესამედი-ღა დარჩენიათ წყლისა, რომ მოატანონ ნაპირს; აგერ ისმის მძიმე ფრუტუნი ცხენებისა და ხმა ცხენოსანთა, აგერ ზოგიერთებმა უკვე მოატანეს ნაპირსაცა....

უცბად ამ დუმილში გაისმა ხმა ზაგლობასი:

— ეი, შვილებო! აბა ერთი მაგ თავადის ელჩებს კარგად გავუმასპინძლდეთ და დავაზილოთ აქედან თოფები!

გაისმა გრიალი თოფებისა და თოფის-წამლის ბოლმა ერთს წუთს დაჰფარა სანახაობა. წყლიდან მოისმა განწირული ყვი-

რილი... ბოლმა გადიყარა.., სად-ღა არიან ცხენები, ყაზახნი, ყოველივე განჰქრა. წყალში აღარავინა სჩანდა, მხოლოდ ათასში ერთხელ გამოჩნდება ერთის წუთით ან ზურგი ცხენისა, ან წითელი ქუდი ყაზახისა.

ზაგლობა შესცქეროდა ელენეს და თვალით ანიშნებდა, ჰნახე, რა ამბავიაო!

VI

რუსეთის თავად-მოურავმა, იმაზედ წინად, ვიდრე პან სქშეტუსკისა ჰნახავდა, რაზლოგის ნანგრევებზედ მჯდომარესა, უკვე იცოდა კორსუნის ომის ამბავი. მანამდე პრილუკსა სცხოვრობდა და იქიდან გაჰგზავნა პან ბოლუსლავ მაშკევიჩი და წერილები გაატანა გეტმანებთან, შემომითვალეთ, საით მივმართო ყოველის ჩემის ძალ-ღონითაო. პან მაშკევიჩმა დიდ ხანს დაიგვიანა და ამიტომ თავადმა პერეიასლავს გადინაცვლა. აქედან ჰგზავნიდა ყველგან შიკრიკებსა და თან აბარებდა, ლუბნში მოიყარონ თავი ყველა ჯარმა და ჯამაათმაო.

მაგრამ ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ რამდენიმე რაზმი; რომელიც თათართა სამზღვრებისაკენ იდგა, მიიფანტ-მოიფანტა, ან არა და აჯანყებულთ მიემხროვო. თავადი სწუხდა, რომ ჩემი ლაშქარი ცოტავდება, თოვლივითა დნება და ისინი, რომელნიც ოდესმე ძლევა-გამარჯვებას იმოსავდნენ ჩემის მხედართმთავრობით, დღეს მტოვებენ, თავს მანებებენო.

კორსუნის გამარჯვების ამბავი მოუტანა თავადს მისმა ძველმა მეგობარმა, პან პოლიანოვსკიმ. თავადმა არ გაამჟღავნა თვისი დარდი და გულის-ტკივილი ჯარის წინაშე და მოდიოდა წინ-წინ დნეპრისაკენ, მოდიოდა ალალა ბედზედ, თვით აჯანყებისა და ჭექა-ქუხილის შუა-გულ ადგილას, მოდიოდა იმ განზრახვით, რომ ან გადავუხდი სამაგიეროს სამარცხვინო ძლევისათვის, ან დეე დავიღუპოვო. ხოლო თუ სახასო ჯარებიც მე შემომიერთდა და მით გაძლიერდება ჩემი ექეს-ათასიანი ლა-

შქარი, ოჰ! მაშინ შეეძლებ თუნდ ხმელნიცკის შეეება და გავიმარჯვოვო.

თავადმა პერეიასლავლში დაიბანაკა და მიანდო პან ვოლოდიევსკისა და პან კუშელს, დაჰგზავნეთ ყველგან კაცები და აშოვინეთ ნავები და კატარღა-ბორნებიო. თავადის ჯარი მარცხენა ნაპირიდან გაღმა უნდა გასულიყო.

დაგზავნილებმა გაიგეს მრავლად ლტოლვილთაგან კორსუნის ომის ამბავი, ხოლო ნავი კი ვერც ერთი ვერ იშოვეს: ზოგი ბარაბაშისა და ქშეჩოვსკის ჯარს მოსდომებოდა, ზოგი კიდევ ხალხს დაელეწა იმ განზრახვით, რომ თავადი არ გამოვიდეს გაღმა და შური არ იძიოსო. პან ვოლოდიევსკიმ მაინც მოახერხა და ათის დრაგუნით გაღმა გავიდა კატარღითა, რომელიც ხელ-და-ხელ შეაკვრევინა ტივის ხეებისაგან. იქ შეიპყრა რამდენიმე ყაზახი და წარუდგინა თავადსა. თავადმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, რაოდენად დიდი ომი მომხდარიყო კორსუნს ახლო და რა დიდად ემოქმედნა ამ ომს. მთლად უკრაინა აჯანყებულიყო. აჯანყება თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა და ისევე დიდდებოდა, როგორც ზვავი, რომელიც მთის მწვერვალიდან არის წამოსული. შლიახტა ციხე-დარბაზებში იყო გამაგრებული და იქიდან იგერებდა მტერს, მაგრამ ბევრნი მათ შორის უკვე აეღო მტერს.

ხმელნიცკის ჯარი თან-და-თან მატულობდა და ძლიერდებოდა. შეპყრობილნი ყაზახნი ამბობდნენ, რომ მისი ლაშქარი ორასი ათასამდე უნდა იყოსო, მაგრამ შესაძლო იყო, რომ ორის დღის განმავლობაში ამ რიცხვს ერთი-ორად ემატნა. ამიტომ ხან-მოკლე მყუდროების გამოყენება მოინდომა, დადგა ბანაკად კორსუნს ახლო და ახალ-ახალ ჯარის-კაცებს ჰკრეფდა. ჯარში თავის ნებით ჩაწერის მსურველთ ჰყოფდა რაზმებად, უნიშნავდა პოლკოვნიკებს ატამანთაგან და იმიერ-ჭორომეთის გამოცდილ ესაულთაგან, ჰგზავნიდა საკმაოდ რიცხვმრავალს ჯარებს ახლო-მახლო ადგილების დასაპყრობად. თავადი ერემია დარწმუნდა, რომ ტყუილი ფიქრი იქნება, აქ მოვინდომო გასვლა დნეპრ გაღმაო. თვითონ მევე რომ დაეიწყო

და გავაკეთებინო ნავები 6,000 კაცის გასასხმელად, ამას რამ-
დენიმე კვირა მოვუნდებიო და ან კი რას გააწყობს ეს ჩემი
რიცხვ-მცირე ჯარი, როცა მტერს აღურაცხველი მხედრობა
ჰყავსო? სამხედრო თათბირზედ უმეტესობა იმ აზრისა იყო,
რომ ჩრდილოეთისაკენ გავილაშქროთ, ჩერნიგოვის კერძოდ,
ტყე-ტყე, იქიდან ლიუბეჩს ავიდეთ და მერე ბრაგიმოვს ახლო
გავიდეთ გაღმა მხარსაო. ეს გზა კარგის მანძილის გზაა და სა-
კმაოდ საშიში სავალიცა, იმიტომ რომ ამ გზაზედ მრავლად
იყო ჭაობები და ლია-ფშანები; ჯერ ქვეითს ჯარსაც გაუჭირ-
დებოდა სიარული ამ გზაზედ და აბა რაღა უნდა ექნა ცხე-
ნოსანთა და თოფჩთა ჯარსა, ანუ კავალერიასა და არტილე-
რიასა და აგრეთვე ნუზლ-სურსათისა და ბარგი-ბარხანის ურ-
მებსა? მაინც თავადს მოეწონა ეს გარდაწყვეტილება და თა-
თბირი საბჭოსი. თითქო სწყუროდა დასდგომოდა ამ ძნელს
გზას: მაგ გზაზედ დამდგარი, ჩემის აზრით, უკან ვეღარ დაიხე-
ვსო; დავადგები მაგ გზას, გავივლი მთლად დნეპრის ამიერ-
მხარეს, ჩავაქრობ აჯანყების ცეცხლს, დავიფარავ შლიახტას
და შიშის ზარს ვაგრძნობინებ ერს, რომელიც, რაკი ბატონი
სხვაგან მიდიოდა, თვით იყო მოვალე დაეცვა და დაეფარა
ისინი, ვისაც არ შეეძლო უკან გაჰყოლოდა ლაშქარს. მაგრამ
კნეინა გრიზელდა, პანნი ზბარასკებისა და მთლად ჯარის-კა-
ცთა ამალა ჯერ ისევ ლუბნში იყვნენ და ამიტომ თავადმა
გადასწყვიტა, ლუბნში წავალ და უკანასკნელად გამოვეთხო-
ვები ჩემს სახლ-კარსა და ოჯახსაო.

ჯარებმა გასწიეს წინ იმ დღესვე პან ვოლოდიევსკის მხე-
დართ-მთავრობით. ის არე-მარე ჯერ ისევ მშვიდობიანად იყო.
აქა-იქ ჩნდებოდნენ ავაზაკთა ბრბონი, რომელნიც ერთნაირად
სძარცვავდნენ პანების სახელებსაცა და გლეხ-კაცთა ქოხებსაც,
მაგრამ ეს ავაზაკნი მალე აჰლაგმეს ცოტად თუ ბევრად სას-
ტიკ ღონისძიებათა მიღებით. ხალხი ჯერ არსად არ აჯანყე-
ბულიყო, თუმცა ფიქრი და გონება ყველასი მოუსვენრობასა
და მღელვარებაში იყო და ყოველ-ღამ შეიარაღებულნი ბრბო-
ნი გადიოდნენ დნეპრ-გაღმა. შიში და რიდი ჯერ კიდეე ად-

გილს უთმობდა სისხლის წყურვილსა, ძარცვა-რბევის სურვილსა. ერთი შავ-ბედითი ნიშანი სჩანდა მხოლოდ: ყველა მხრიდან, იმ სოფლებიდანაც კი, რომელიც შემწეობასა და კაცებს არ უგზავნიდა ხმელნიცკის, გლეხ-კაცობა იელტოდა თავადის ჯარის მიახლოვებისათანავე, თითქო ეშინიანთ, რომ საშინელი თავადი ამოიკითხავს, რაც გულში ფიქრი გეაქვს დამარხული, გაიგებს ჩვენის გულის პასუხსა და დაგვსჯის ამისათვისაო. სჯიდა კიდეც ყველგან, საცა კი შეჰნიშნავდა თუნდ სულ მცირედს ნიშნებს უკვე ოდნავ ჩასახულის ამბოხისას და, რაკი ბუნება ისეთი ჰქონდა, რომ ორჭოფობა და ყოყმანი აღარ იცოდა, შუა გზაზედ გაჩერება არ უყვარდა, ამიტომ სჯიდა საშინლად, შეუბრალებლად. შეიძლებოდა ეთქვა კაცს, რომ დნეპრს იმიერ და ამიერ მძვინვარებს ორი ძალა,—ერთი საშიში შლიახტისათვის—ხმელნიცკი, ხოლო მეორე მეამბოხეთათვის—თავადი იერემია. ხალხში ჩურჩულით ამბობდნენ, რომ თუ ეს ორი ძალა ერთმანეთს შეეჯახა, მზე დაბნელდება და წყალი მდინარეთა წითლად შეიღებება სისხლითაო. გარნა მათი შეჯახება მალე ვერ მოხერხდებოდა; ძლევა-მოსილს ყვითელ-წყლებთან, გამარჯვებულს კორსუნს ახლოს,—ერთის სიტყვით იმ ხმელნიცკის, რომელმაც სძლია სახასო ჯარებს, ტყვედ შეიპყრო გეტმანები და რომელიც მოთავეობდა ახლა ათასსა და ათი ათას მხედრობას, ეშინოდა ლუბნის ბატონისა, არც აქეთ და არც იქით; ეშინოდა იმ ბატონისა, რომელიც დნეპრ-გამოღმა ეძებდა ახლა ხმელნიცკის.

თავადის ჯარებმა გაიარეს სლეპოროდი. თვით თავადი ფილიპოვში დარჩა დასასვენებლად. იქ მოახსენეს, რომ ხმელნიცკის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, წერილი მოგართვეს და გთხოვენ, გვინახულოსო. თავადმა დაუყოვნებლივ მოუწოდა იმ კაცებს. ისინიც მოვიდნენ. სულ ექვსნი იყვნენ. შევიდნენ იმ სახლის ეზოში, საცა ჩამოხდა თავადი, თავ-მომწონენი, თავ-გამოდებულნი. გამოგზავნილებს ჰმეთაურობდა ანტონი სუხაია-რუკა, რომელსაც თავი მოჰქონდა მით, რომ კორსუნის ომში ძლევა-შეიმოსა და პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. გარნა

ყოვლად უშიშარს ყოფაში ჩავვარდები, იმიტომ რომ, თუნდა ომის ატეხაც მოვუნდომო, მოღალატე და ამბოხის მოყვარული მე გამოვალ და არა ისა.

ვურცელმა თმაშიაც კი იტაცა ხელები.

— ოჰ, vulpes astuta!

— თქვენ რაღას მირჩევთ, ბატონებო?—ჰკითხ თავადმა.— მითხარით ყოველივე გაბედვით, ხოლო მერე მე გეტყვით ჩემს აზრს

მოხუცმა ზაცვილიხოვსკიმ, რომელსაც დიდი ხანი იყო დაენებებინა ჩიგირინისათვის თავი და შეჰკედლებოდა თავადსა, პირველმა დაიწყო ლაპარაკი:

— თქვენო ბრწყინვალებავ, რაკი ჩვენს რჩევასა თხოულობთ, მოგახსენებთ, რომ თქვენ თქვენის ჩვეულებრივის შორს-მჭვრეტელობით, სრულიად სწორედ მიმხვდარხართ, რა განზრახვაცა აქვს ხმელნიცკისა. მე ვგონებ, რომ იმის წერილს არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და ჯერ უნდა ვიზრუნოთ, რომ კნეინა უშიშარს ადგილას გავიზნოთ, ხოლო ჩვენ უნდა გავიდეთ დნეპრში და დავიწყოთ ომი მანამდე, სანამ ხმელნიცკი დაიწყებდეს მოლაპარაკებას ზავის დადების შესახებ. რესპუბლიკა სამარცხვინოდ იქნება შებღალული, თუ სისხლით არ ჩამოირეცხავს თვისსა შეურაცხებასა. ახლა გავჩუმდები და ყურს დავუგდებ იმას, რასაც სხვები იტყვიან. ბარგ-ბარხანის დარაჯმა, პან ალექსანდრე ზამოისკიმ, ხელი გაიკრა ხმალზედა.

— პან მედროშე! თქვენის ბაგით თვით სიბრძნე მეტყველებს. უნდა თავი მოვკვეთოთ გველვეშაპს, ვიდრე ჯერ მრავალი თავი არ გამოჰბმია და თვით ჩვენი გადაყლაპვა არ დაუპირებია.

— ამინ!—დასძინა ქსენძმა მუხოვეცკიმ.

სხვა პოლკოვნიკებმაც მიჰბაძეს დარაჯის მაგალითს და ხმლებს დაუწყეს ჩხარა-ჩხური. დადგა რიგი ვურცელისა.

— თავადო!—სთქვა მან,—მე ისიც თქვენის სახელის შეურაცხყოფად მიმაჩნდა, რომ იმ წუწკმა გაჰბედა და აგრეთის კადნიერებით მოგწერა წიგნი. ხმელნიცკი ძალად გეტმანია და პან

სქშეტუსკი კარგად მოქცეულა, რომ არ წამოუღია იმისი წერილები თქვენდა მოსართმევად.

— მეც ეგრე ვფიქრობ,—სთქვა თავადმა,—ხოლო რადგან თვითონ აქ არ არის, დაე თვისთა ელჩთა დასჯით დაისაჯოს.

თავადმა მიჰმართა თათართა სადროშოს პოლკოვნიკს:

— პან ვერშულ, უბრძანეთ თქვენს თათრებს, თაეები მოჰკეეთონ ყველა ყაზახთა, ხოლო უფროსი მათ შორის მარგილზედ ჩამოაცვან, და აბა ჩქარა.

ვერშულმა დაუკრა თაეისი ჭორფლიანი ქერა თავი და გავიდა, ხოლო ქსენძმა მუხოვეცკიმ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ხოლმე მოვამბილო ძლიერი გულის თქმა თავადისაო, ვედრებით დაიკრიფა გულ-ხელი და პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა.

— ვიცი, წმინდაო მამაო, რაც გინდათ,—სთქვა მთავარმა,—მაგრამ ეგ შეუძლებელია. სიკვდილით დასჯა საჭიროა იმათ ასალაგმავადაც, რომელნიც მძვინვარებენ დნეპრს გაღმა. მაგასვე მოითხოვს ღირსება ჩვენის სახელისაცა და სარგებლობა რესპუბლიკისაცა. საჭიროა ნიშანდობლივის მაგალითით დავამტკიცოთ, რომ არის კიდევ ვინმე, რომელიც არ უფრთხის ავაზაკთა ატამანს.

— თავადო, იმან რომ განუტევა პან სქშეტუსკი,—სთქვა გაუბედაობით ქსენძმა.

— გმადლობთ იმის მაგივრად, რომ პან სქშეტუსკის ავაზაკებთან ერთად აყენებ.—აქ თავადმა კოპები შეიკრა.—მაგრამ დავანებოთ ამას თავი.—მან კვლავ მიჰმართა პოლკოვნიკებს.—ვხედავ, ბატონებო, რომ თქვენ ყველანი ომსა რჩეობთ. ჩემი ნებაც ეგეეა. წავიდეთ ჩერნიგოვს და გზა-გზა თან წავიყოლოთ თავად-აზნაურობაცა, ხოლო ბრაგიმთან გაღმა გავიდეთ. ახლა კი ლუბნისაკენ გავემართოთ!

ამ დროს გაიღო კარები და გამოჩნდა პან რაზტვოროვსკი, რომელიც ორის დღის წინად იყო გაგზავნილი ახლო-მახლო არე-მარეს დასათვალიერებლად.

— თავადო!—დაიწყო მან,—ამბოხი ძლიერდება! რაზლოგი გადუბუგავთ, ვასილიოვკაში ყველა ჩვენი ჯარის-კაცნი სულ ერთიანად ამოუწყვეტიათ!

— როგორ, რაო, სადა?—აჩქარებით ჰკითხავდნენ აქეთ-იქიდან ახლად მოსულსა.

მაგრამ თავადმა ანიშნა ხელით, გაჩუმდითო და თვით დაუწყო გამოკითხვა პან რაზტვოროვსკის:

— ვინ მოიქმედა ეგე ყოველივე? მაწანწალანი იყვნენ, თუ ჯარი ყოფილა ვისიმე?

— ამბობენ, რომ ბოგუნის ბრალიაო.

— ბოგუნისაო?!

— დიაღ.

— როდის მომხდარა ეგ ამბავი?

— სამის დღის წინად.

— კვალ და კვალ მივსდევდი, მაგრამ ვერავის ვერ დავეწიე: გვიან შევიტყე, სამის დღის შემდეგ, და გამისწრეს. აი გზა-გზა რა გავიგე: ჯერ უკან დაბრუნდნენ, ჩიგირინისაკენ და მერე ოურმე გაიყვნენ ორად. ზოგნი ჩერკასისკენ წავიდნენ, ზოგნი კიდევ ზოლოტონოშასა და პროხოროვკას.

— მე შემხვდა ერთი რაზმი, რომლის შესახებაც მოგახსენეთ, თქვენო ბრწყინვალებავ,—სთქვა პან კუშელმა.—მითხრეს, რომ ბოგუნმა გამოგვგზავნა, ხელი შეეუშალოთ გლეხკაცობას, რომელნიც დნეპრ-გაღმა ილტვიანო და ამიტომ განეუტევე.

— სისულელე მოგიქმედნიათ, მაგრამ არ გამტყუნებთ,—სთქვა თავადმა.—ძნელია კაცს ანგარიში არ შესცდეს აქ, როცა მოღალატეს ფეხს ვერ ავუქცევთ.

უცბად თავადმა თმებში იტაცა ხელი.

— ღმერთო ყოვლის შემძლებელო!—შესძახა მან.—ახლა მაგონდება, რომ სქშეტუსკიმ მითხრა, ბოგუნს უნდა შეირთოს კნიაჟნა კურცევიჩიო! დიაღ, დიაღ! აი მაშ რა მიზეზით გადუწვავთ რაზლოგი... ის ქალი, ალბად, გატაცებულია. ეი, ვოლოდიევსკი, აბა დაფაცურდი! წაიყვანე ხუთასი ცხენოსანი და

ერთხელ კიდევ წადით ჩერკასისაკენ; ბიხოვეცმა ხუთასი ვლახელი წაიყვანოს და ზოლოტონოშასა და პროხოროვკას წავიდეს. ცხენებს ნუ დაჰზოგავთ; ვინც ამ ქალს იმათ ხელიდან დაიხსნის ერემეევკა იმისია. აბა, ჩქარა, ჩქარა!... ჩვენ კი რაზლოგისკენ წავიდეთ და მერე ლუბნს.

პოლკოვნიკებმა საჩქაროდ მიჰყვეს ხელი ბრძანების აღსრულებას.

შეიქნა გაცხარებული მზადება და ფაცი-ფუცი. თავადს მოართვეს მისი ბაცის ფერი ლურჯა ულაყი, რომელზედაც შეჯდებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა ლაშქრად წავიდოდა. ერთს საათს უკან რაზმნი გაემართნენ და გრძელის ჭრელის ლენტივით გაიჭიმნენ ფილიპოვეცკის გზაზედა.

იქვე ახლო ჯარის-კაცთა თვალებს წარმოუდგათ სისხლით შესვრილი სანახაობა. ლობის მარგილებზედ ჩამოცმული იყო ხუთი მოკვეთილი თავი ყაზახთა, რომელთაც თვალები გახელილი დარჩენოდათ და ისე დაშტერებოდნენ მიმავალ ჯარს; მათ ახლო, ამწვანებულ სერზედ საშინლად იკლაკნებოდა მარგილზედ ჩამოცმული ატამანი სუხაია-რუკა. მარგილის წვერი გულამდე შესობოდა, მაგრამ საცოდავს ატამანს ჯერ კიდევ დიდ ხანს უნდა ეტანჯნა ჯოჯოხეთის ტანჯვითა, ვიდრე სიკვდილი დაუხუჭავდა, სამუდამოდ თვალებსა. ახლა კი, არამც თუ ჯერ ისევ ცოცხალი იყო, არამედ მიმავალ რაზმებს ისეთის თვალებით აცილებდა, რომელიც ცხადად ამბობდა: „ღმერთმა გკითხოთ და გადაგახდევინოთ თქვენცა, თქვენთა შვილთა და შვილი-შვილთაცა მეათე თაობამდე ამ ჩემის სისხლისა, წყლულებისა და ტანჯვა-წამებისათვის". და თუმცა ერთი მდაბიო ყაზახი იყო, თუმცა კვდებოდა არა ატლას-ბაფთებზედ მწოლარე, არა ოქრო-ქსოვილს ფარჩაზედ, არა ძველებურ ციხე-დარბაზის ოთახში, არამედ ცის ქვეშე, მარგილზედ,—მაინც მისი წვა-დაგვა, სიკვდილი, რომელიც დანავარდობდა მის თავზედ, ისეთის დიდებითა ჰმოსავდა, ისეთის მძულვარებითა და ზიზღით ავსებდა მის თვალებსა, რომ ყველა კარგად მიხვდა რის თქმაც უნდოდა საწყალობელსა.

თავადმა ისე გაიარა, რომ იქითკენ არ შეუხედნია; ქსენ-ძმა მუხოკეეცკიმ ჯვარი გადასწერა საცოდავს. ყველამ გვერდზედ გაუარა და მხარი აუქცია, მხოლოდ ვიღაც ერთი ყმაწვილი გუსართა სადრო'შოსი, ნება-რთვა აუღებლად, ავიდა იმ სერზედ, მიადო ყურზედ დამბაჩა ტანჯულსა და ერთის სროლით ბოლო მოუღო მის წვა-დაგვასა. ყველას თრთოლა დააწყებინა, როცა დაინახეს ასეთი კადნიერი საქციელი ჭაბუკისა, ასეთი დარღვევა სამხედრო წეს-რიგისა, ყველამ იცოდა მერე, რა სასტიკი იყო თავადი ამისთანებში და ეგონათ, რომ ეს არის დაიღუპა საცოდავი კვალ-წმინდადაო. მაგრამ თავადმა ხმა არ ამოიღო, ღრმად მდუმარე მიეიდა იმ ღამის გასათავებელ ბინამდე და ძხოლოდ მაშინა ბრძანა, აქ დამიძახეთ წეს-რიგის დამრღვეველსაო.

ცოცხალ-მკვდარი ყმაწვილი წარსდგა თავადის წინაშე. ასე ეგონა, რომ საცაა დედამიწა გამისკდება ფეხ-ქვეშა და შიგ ჩამიტანსო. ხოლო თავადმა ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— ჟელენსკი.

— შენ მოჰკალი დამბაჩით ყაზახი?

— მე,—ძლივს წარმოსთქვა მიკნავებულის ხმით ჭაბუკმა.

— მერე რად მოიქმედე მაგისთანა საქმე?

— შემეცოდა და იმის ტანჯვის ყურება ვეღარ შევძელ.

თავადი გაჩუმდა პატარა ხანს.

— ოჰ, ბავშვო! ბევრჯელ დაინახავ ისეთს საშინელებას, რომ ყოველივე სიბრალული მოისპობა შენს გულში, მაგრამ რადგან შებრალების გამო არ დაერიდე სიკვდილს, რომელიც მოგელოდა მაგისათვის, ამიტომ ვუბრძანებ ხაზინადარს ათი ოქრო გაჩუქოს ლუბნსა, ხოლო შენ საკუთრად ჩემს მცველად ამიყვანიხარ.

ყველას გაუოცდა და გაუკვირდა, რომ ასე მშვიდობით გათავდა ეს საქმე. მაგრამ აქ აუწყეს თავადს, რომ მოვიდნენ ახლო-მდებარე ზოლოტონო'შას არე-მარეს დასათვალიერებლად გაგზავნილნიო და ამიტომ ყველას ყურადღება სხვა ამბავმა და გარემოებამ მიიქცია.

VII

ვახშმობა იქნებოდა, როცა მთვარიან ღამეში თავადის ჯარი მიეიდა რაზლოგს და მოულოდნელად თავს კი წაადგა პან სქშეტუსკის, რომელიც ქვაზედ იჯდა გაშეშებულივითა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ რაინდს ტანჯვისა და მწუხარებისაგან ცნობა დაჰკარგოდა და გონს მოვიდა მხოლოდ ქსენძ მუხოვეცკის წყალობითა. აფიცრები გულ-მხურვალედ მიესალამნენ და ანუგეშებდნენ ძველს მეგობარს, მეტადრე პან ლონგინუს პოდბიპენტა, რომელიც აგერ უკვე სამი თვე იყო რაც პან სქშეტუსკის სადროშოს რაზმში მსახურობდა. პან ლონგინუსი მზად იყო დაუსრულებელად ეტირნა და ექუხნა თავის ამხანაგთან ერთად და მაშინვე აღთქმაც დასდო ჩემი დღენი სამშობათობით მარხვა შევინახო ხოლმე, ოღონდ კი ღმერთმა ინებოს და შეუმსუბუქოს დესპანს თვისი მწუხარებაო. პან სქშეტუსკი წაიყვანეს თავადთან, რომელიც იქვე ერთ-ერთის გლეხკაცის ქოხში ჩამომხდარიყო. თავადმა ხმა არ ამოიღო თავის სასურველის კაცის დანახვაზედ და მხოლოდ მკლავები გაშალა ფართოდ მისაგებებლადა. პან სქშეტუსკი ქვითინით მივარდა თავის მფარველს, თავადმა გულში ჩაიკრა და დაუწყო კოცნა თავზედა. ბევრმა შეჰნიშნა, რომ იმის სასტიკს თვალებში ცრემლმა დაიწყო ბრწყინვა.

ჭეშმარიტად მიხარიან, რომ კვლავ გნახე,—წარმოსთქვ ბოლოს თავადმა,—მიხარიან იმიტომ რომ მეგონა კვალ-წმინდად

დაეკარგე-მეთქი. ვაჟკაცურად ატარე შენი ტვირთი და გახსოვდეს, რომ ათასნი და ათი-ათასნი ჰგრძნობენ იმასვე, რაც შენა გტანჯავს; ათასმა და ათი-ათასმა დაჰკარგეს თვისნი ცოლნი, შვილნი, მშობელნი და მეგობარნი. და, როგორც ერთი წვეთი ჰქრება ზღვაში, დეე ისე გაჰქრეს შენი მწუხარებაცა საყოველთაო უბედურების თვალ-გადუწვდენელს ზღვაში.

— ამინ!—დასძინა ქსენძმა მუხოვეცკიმ.

— ოჰ, თავადო, თავადო! ბევრად მერჩივნა, რომ ძკვდარი მენახა ის ქალი,—ქვითინებდა რაინდი.

— იტირე, იტირე... დიდი დასაკარგი დაჰკარგე, ჩვენც შენთან ერთად ვიტირებთ, მაგრამ ეს კი უნდა უთხრა შენს თავს: დღეს ჩემს თავსა ვსტირი, გარნა ხვალინდელი დღე ჩემი არ არის-თქო. იცოდე, რომ ხვალ ომში მივდივართ.

— საცა გნებავთ, იქ წამოვალ მეც თქვენთანა, ხოლო ნუგეშს კი ვერაფრით ვერა ვსცემ ჩემს თავსა... გული მიწუხს უიმისოდ... არა, არა, ნუგეში აღარ არის ჩემთვის...

და საცოდავი რაინდი ჰკბენდა თავის ხელებს, რომ ეგებ გულში ჩავიკლა კვნესაო, რომელიც მზად იყო აღმოჰხდომოდა გაწამებული მკერდიდანა.

— შენა სთქვი: იყავნ ნება შენიო!—სასტიკის ხმით წარმოსთქვა ქსენძმა.

— ამინ, ამინ! ვემორჩილები მისს ნებას... ეს არის მხოლოდ, რომ ვეღარ ამიტანია სიმწვავე გულს მოდებულის ცეცხლისა... არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე!—სთქვა პასუხად სქშეტუსკიმ და თან ხმა უწყდებოდა წამ-და-უწუმ.

ეტყობოდა, რა დიდს ბრძოლაში იყო მისი სული, რა გვარ მუხლთ ეკვეთებოდა თვისის ტანჯვის მძიმე ტვირთ ქვეშე. ყველას ცრემლები მოერია თვალებში, ხოლო ვინც გულ-ჩჩვილი იყო, როგორც მაგალითებრ, პან ვოლოდიევსკი და პან

პოდბიპენტა, ისინი ხომ სულ მდუღარებას აპნევდნენ. პან ლონგინუსმა დაიკრიფა გულ-ხელი და სთქვა ნაზის, გულ-ჩამწვდენის ხმით:

— ინუგეშე როგორმე, ძმაო... და გაუძელ როგორმე შენს ჭირსა.

— გამიგონეთ,—სთქვა უცებ თავადმა,—მე ნამდვილად ვიცი, რომ ბოგუნი აქედან ლუბნს წავიდა; ასე რომ არ ყოფილიყო, ჩემს ხალხს ვერ დაჰხოცავდა ვასილიოვკას ახლო. წინდაწინვე სასოება არ უნდა დავკარგოთ; უნდა ვიფიქროთ, რომ ბოგუნს არ გაუტაცნია ის ქალი, თორემ ლუბნს რიღასთვის წავიდოდა?

— მართლა-და, ადვილად შესაძლებელია, სწორედ ეგრე იყოს!

— სწორედ აგრე უნდა იყოს!—წამოიძახეს აფიცრებმა.— ღმერთი მოწყალეა.

პან სქშეტუსკიმ თვალები ისე დააჭყიტა, თითქო არ ეყურება, ამას რას ამბობენო. იმის თვალ-წინ გაიელვა სხივმა იმედისამა და ეს კაცი უცებ ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა თავადსა:

— ოჰ, თავადო, მთელი ჩემი სიცოცხლე, ჩემი სისხლი....

პან სქშეტუსკიმ ვეღარ შესძლო ლაპარაკი, ისე გაფითრდა, რომ სულ სიკვდილის ფერი დაედო. პან ლონგინუსი იძულებული იყო აეყენებინა და იქვე ტახტზედ ჩამოესვა.

მეორე დილით დაბრუნდა რაზმი, რომელიც თავადმა ჩერკასს გაჰგზავნა. რაზმმა, რასაკვირველია, ვერ შეიპყრა ბოგუნი, მაგრამ სამაგიეროდ საყურადღებო ამბავი მოიტანა. ვინც გზაში შეხვედროდათ, ეთქვათ, რომ ბოგუნი ვიღასაც დაჰსდევს, ყველას ჰკითხავს, სქელ-სქელი შლიახტიჩი ხომ არ გინახავთ პატარა ყმაწვილი ბიჭითაო. ატამანი ამასთანავე სადღაც ეშურებოდა და თავ-პირის მტერევით დააჭენებდა ცხენსაო. ბოგუნთან ქალი არავინ გვინახავს, მარტო ჯარის-კაცნი ჰყვანდა და ისინიც ცოტაოდენიო. ახალი იმედი და თან ახალი მოუსვენრობა მიეცა პან სქშეტუსკის გულსა.

სრულიად არა ეყურებოდა-რა და ვერ მიმხვდარიყო, როგორ უნდა ყოფილიყო საქმე; არ ესმოდა, რად მირბოდა ბოგუნი ჯერ ლუბნის მხარესა, რად ამოსწყვიტა ვასილიოვკის მეციხვანეთა რაზმი და მერე რად გაუხვია უცბად ჩერკასისაკენა. ელენე რომ არა ჰყვანდა გატაცებული, ეს საკმაოდ ცხადი იყო, მაგრამ ამის გაგება სწყუროდა, სად იქნება ის ქალი, სად უნდა დამალულიყოვო? გაიქცა ვითომ? ხოლო თუ გაიქცა, საითა და რა მხარესა? ან რად გაიქცა არა ლუბნსა, არამედ ჩერკასსა და ზოლოტონოშას? მაგრამ, ეს ბოგუნის ჯარის-კაცნი რომ ეძებდნენ ვიღასაც ჩერკასსა და პროხოროვკას ახლოს. მერე რას უნდა ჰნიშნავდეს ის გარემოება, რომ ბოგუნი და მისნი კაცნი კითხულობდნენ, შლიახტიჩი და ყმაწვილი ბიჭი ხომ არ გინახავთო? საწყალს დესპანს სულ თავ-გზა ეკარგებოდა.

— ერთი ამიხსენით, ღვთის გულისათვის, რას ჰნიშნავს ყოველივე ესე? გონება დამიბნელდეს ლამისა,—ეკითხებოდა წამ-და-უწუმ გარშემოხვეულ აფიცრებსა.

— მე მგონია, რომ ის ქალი ლუბინშია ახლა,—სთქვა პან მიგურსკიმ.

— ეგ შეუძლებელია,—უპასუხა ზაცვილიხოვსკიმ.—ელენე რომ ლუბინში იყოს, ბოგუნი ეცდებოდა საჩქაროზედ დამალულიყო ჩიგირინსა და გეტმანებისკენ აღარ წავიდოდა; იმათკენ წასვლა საშიში უნდა ყოფილიყო მისთვის, იმიტომ რომ იმ დროს ბოგუნს ჯერ არ ეცოდინებოდა, გეტმანები უკვე დამარცხებულნი არიანო. თუ თავისი რაზმი ორ ნაწილად გაჰყო და გაჰგზავნა ვისმე შესაპყრობად, თქმა არ უნდა, სწორედ ელენეს შესაპყრობად გაჰგზავნიდა.

— ამ ხნიერს შლიახტიჩსა და ყმაწვილს კაცს რაღასა კითხულობდა?

— მე მგონია, ეგ ადვილი მისახვედრია, რომ თუ ელენემ თავს უშველა, ქალურად კი აღარ იქნებოდა ჩაცმული, კაცურად ჩაიცვამდა. აი ეს კაცურად ჩაცმული უნდა იყოს სწორედ ელენე.

— ეგ მართლა ჭკუას ახლოა!—წამოიძახეს ერთად აფიცრებმა.

— კარგი, მაგრამ ის შლიახტიჩი ვიღაა ახლა?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ მაგასაც მივიკვლევ. აქაურმა გლეხ-კაცებმა ყოველივე ჰნახეს უთუოდ და უნდა იცოდნენ რამე. აბა, მოიყვანეთ აქ ამ ქოხის პატრონი.

აფიცრები გაცვინდნენ და რამდენისამე წუთის შემდეგ მოიყვანეს სახლის პატრონი.

— გამიგონე, მოხუცო,—ჰკითხა ზაცვილიხოვსკიმ,—შენ აქ იყავ, როცა ბოგუნი დაესხა თავს ბატონის სახლსა?

გლეხ-კაცმა, ჩვეულებისამებრ, დაიწყო ფიცი, რომ არა ვიცი-რა, არა მინახავს-რაო, მაგრამ ზაცვილიხოვსკიმ კარგად იცოდა, როგორც უნდა მოჰქცეოდა გლეხ-კაცსა.

— ჰაი, შე წუწკო!—შეუტია იმანა.—მე ვიცი, რომ შენ აქ იყავი სწორედ მაშინ, როცა აიკლეს სახლი ბატონისა. სხვასთან იტყუე ეისთანმე და ჩემთან კი ნუ სტყუი, თორემ ფონს ვერ გახვალ; აგერა, ოქრო, გარედ კი ჯარის-კაცი სდგას ხმალ-ამოწვდილი. მერე სოფელსაც ცეცხლს წავუკიდებთ და საწყალი ხალხი შენის მიზეზით დაიღუპება.

ახლა კი ამოიდგა ენა გლეხ-კაცმა. როცა ყაზახებმა სმა დაიწყეს ეზოში სახლის წინა, სხვებთან ერთად მეც იქ წავედი, რომ დამენახა, რა ამბავია-მეთქი. ყური მოვკარით, რომ კნეინა და თავადნი მოჰკლესო და რომ ნიკოლოზმა დასჭრა ატამანიო; ატამანი ამის გამო გულ-შეწუხებული წევს ლოგინშიო. რა მოუვიდა პანნას, ეგ კარგად ვერ გავიგეთ, მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ ქალი გაიქცა იმ შლიახტიჩთან ერთად, რომელიც ბოგუნს მოჰყვაო.

— ვერ უყურებთ, როგორა ყოფილა საქმე!—ამბობდა ზაცვილიხოვსკი.—აჰა, აი დაპირებული ოქრო; ხომ ჰხედავ, უსაჩუქროდ არ დაგტოვეთ, ახლა ეს გვითხარი, შენ ის შლიახტიჩი არ დაგინახავს? აქაური იყო?

— დავინახე, პანე, მაგრამ აქაური არ იყო.

— როგორი იყო ან თვალად, ან ტანად?

— სქელ-სქელი იყო, პანე, და ჭალარა წვერი ჰქონდა. სულ იგინებოდა. ცალი თვალი ამოკიჟული ჰქონდა.

— ოჰ, შესძახა პან ლონგინუსმა,—ზაგლობა ყოფილა.

— ზაგლობაო? მოითმინეთ... ზაგლობა. რატომ, შეიძლება. ჩიგირინში ძალიან დოსტი იყო ბოგუნისა, იმასთან ერთად ქეიფობდა, კამათლებს ამღერებდა. შეიძლება!

— ერთი ეს მითხარ, ჩემო კარგო, ის შლიახტიჩი გაჰყვა პანნას?

— სწორედ ისა. აგრე გავიგონეთ და და ნამდვილად არ ვიცით.

— კარგად კი იცნობთ მერე ბოგუნსა?

— კარგად როგორ არ ვიცნობთ, ბატონო! თვის-თვეობამდე აქ იყო ხოლმე.

— იქნება იმ შლიახტიჩმა პანნა იმის ბრძანებით წაიყვანა?

— არა, ბატონო. შლიახტიჩმა შეჰკრა ბოგუნი და მისივე დაშლული ჩამოაცვა თავზე; პანნაც მასუკან აღარავის უნახავს. ატამანი სულ მგელივითა ჰლმუოდა. განთიადისას უბრძანა ყაზახებს, საკაცეზე დამაკარითო. გამოეკიდა გაქცეულებს ლუბნისაკენ, ხოლო როცა იქით ვერავინ იპოვნა, სხვა მხარეს გაჰქანდა.

— მადლობა ღმერთსა! —სთქვა მიგურსკიმ,—მაშ, ელენე ეხლა ლუბნში იქნება. პან სქშეტუსკი დაჩოქილი იყო და გულ-მხურვალედა ლოცულობდა.

— დახე, დახე!—ბუტბუტებდა მოხუცი მედროშე,—სწორედ არ ველოდი ასეთ ვაჟკაცობასა ზაგლობასაგან; არ მეგონა, რომ გაჰბედავდა და ბოგუნს გაუმკლავდებოდა. მართალია, პან სქშეტუსკიმ ძალიან მოუგო გული იმ ლუბნურის სამ-ნახადითა, რომელიც ერთადა ვსვით ჩიგირინში, მაგრამ ამ ბოგუნის ფულითაც რომ ცოტას არ სვამდა. არ ველოდი, ღვთის წინაშე, იმისაგან იმისთანა საქმეს, სწორედ არ ველოდი, იმიტომ რომ მუდამ მხდალი და ტრაბახა მეგონა.

— ასეა თუ ისე,—ჩაურთო სიტყვა ვოლდიევსკიმ,—ისიც საქმაოა, რომ კნიაჟნა ავაზაკთა ხელიდან გაანთავისუფლა. ხო-

ლო, რადგან ცბიერება და მოხერხება არ აკლია, დარწმუნებული ვარ, მტერს ადვილად გაუსხლტება ხელიდან. პან სქშეტუსკი, გესმის? მაშ, გიხაროდეს!

— თუ გალმა-მხარს გავიდა და შეიტყო კორსუნის ამბავი,—სთქვა ზაცვილიხოვსკიმ,—უნდა ვიფიქროთ, რომ უსათუოდ ჩიგირინისაკენ წავიდოდა. გზაში შეხვდებით... ახლა კი მოდით და დავლიოთ სადღეგრძელო შორიდან მოსულის ამხანაგისა.

აფიცრები დიდის სიამოვნებით დაეთანხმნენ ზაცვილიხოვსკის. დალიეს სადღეგრძელო პან სქშეტუსკისა, კნიაჟნასი, მათის მომავლის შთამომავლობისა, პან ზაგლობასი და სხვათა. ღამე შეუმჩნევლად გავიდა. განთიადისას დაჰკრეს ნაღარა ჯარის თავმოსაყრელად და ლაშქარი გაემართა ლუბნისაკენ. თავადის რაზმნი სწრაფად მიდიოდნენ წინ; ურმები კი ბარგი-ბარხანით უკან დარჩა. პან სქშეტუსკის უნდოდა წინ წასულიყო თათართა სადროშო ჯარითა, მაგრამ ძალიან სუსტადა ჰგრძნობდა თავსა; ამასთანავე არც თავადი იშორებდა და დაწვრილებითა ჰკითხავდა, რა ყოფაშია საქმე სეჩისაო. რაინდმა უამბო, როგორ იმგზავრა, როგორ დაესხნენ თავს ხორტიცის ახლოს თათარ-ყაზახნი და როგორ წაიყვანეს სეჩს. სქშეტუსკიმ არა სთქვა რა მხოლოდ იმ შელაპარაკებასა და შეხირებაზედ, რომელიც იმასა და ხმელნიცკის მოუვიდათ: ვაი თუ თავადმა ტრაბახობაში ჩამომართვასო. თავადს ძალიან გაუკვირდა და გაუოცდა ის ამბავი, რომ მოხუცს გროძიცკის თოფის წამალი შემოჰკლებოდა.

— ახირებული უბედურება დაჰმართნია,—სთქვა მან,—ეგ შემთხვევა რომ არა ყოფილიყო, კიდევ ძლიერ შეუშლიდა ხელს ამბოხების გაძლიერებას. პან გროძიცკი მამაცი ჯარის-კაცია, ერთგული შვილი რესპუბლიკისა. რატომ ჩემთან არ გამოგზავნა კაცები ტყვია-წამლისათვის.

— ალბად, იმასა ჰფიქრობდა, რომ დიდმა გეტმანმა თვითონვე უნდა იცოდეს, თვისის მოვალეობისამებრ, თავისი საქმეო,—უპასუხა პან სქშეტუსკიმ.

— მართალია, მართალი, —სთქვა თავადმა და პატარა ხანს გაჩუმდა.

— დიდი გეტმანი ხნიერი ჲ გამოცდილი მხედართ-მთავარია, მაგრამ მეტის-მეტად ზავია და დიდი იმედი აქავს თავისა. ამან დაჰღუპა კიდეც სწორედა. ძალიან მცირე მნიშვნელობას აძლევდა აჯანყებას და, როცა გავეშურე შემწეობის აღმოსაჩენად, არაფრად ვეპიტნავე. არ უნდოდა, რომ დიდება რომელსაც ვითომ მოიხვეჭდა, საზიარო ყოფილიყო ვისიმე.

— მეც აგრე მგონია, — სთქვა პასუხად სქშეტუსკიმ.

— იმას ეგონა, კეტებით დავამშვიდებ იმიერ-ჭორომეთსაო, გარნა ხომ ჰედავ, რაც ამბავია? ღმერთმა დასაჯა გულ-ზავობისათვის. გულ-ზვაობა სწყინს შემოქმედსა; ეგ ზნე ჰღუპავს რესპუბლიკას და, ვგონებ, არავინ არ არის ისეთი, ეგ ზნე არა სჭირდეს.

თავადი მართალს ამბობდა, თვით იმასაცა სჭირდა ეგ ზნე. აი თუნდ მაშინ, დავა რომ ჩამოუვარდა ალექსანდრე კონეცპოლსკისთან გადიაჩისათვის, თავადი გაუძღვა ორი ათას კაცს და შეეიდა პირდაპირ ვარშავში. ეს ჯარი, თუ ვინიცობაა თავადს ძალას დაატანდნენ, ფიცი მიიღეო, უნდა შეკარდნილიყო სენატორთა დარბაზში. ყოველისავე ამის მიზეზი სხვა არა იყორა, გულ-ზვაეობისა და თავ-მოყვარეობის მეტი. განა შეიძლება, რომ არ ენდნენ ვისნეეეკის სიტყვასა და ძალა დამატანონ, გინდა თუ არა იფიცეო?!

ნაშუადღევის შემდეგ სულის მაღალ ნაპირიდან გამოჩნდა გუმბათები ლუბნის ეკლესიებისა, ბჭყვრიალა სახურავი და პატარ-პატარა გუმბათები წმ. მიხეილის ეკლესიისა. საღამომდე მოუნდა ჯარი ქალაქში შესვლასა. თვით თავადმა მიჰმართა თავის ციხე დარბაზსა, საცა უკვე ყოველივე მზად იყო ლაშქრობის განსაგრძობად; ჯარები დაბანაკდნენ ქალაქში, რაც აგრე ადვილი არ იყო. რადგან ამბოხების ხმა გავრცელდა, მთლად დნეპრის გამოღმა-მხარის თავად-აზნაურობას ლუბნში მოეყარა თავი; დიდ-ძალი ხალხი მოგროვილიყო ქალაქში. ქალაქში კიდევ მოდიოდნენ თავადის კომისარები, მოურავნი, უფროსნი ამა თუ იმ

თემისა, ეკონომები, იჯარადარნი, ურიანი,—ერთის სიტყვით, ყველანი, ვისაც კი საბუთი ჰქონდა მოჰრიდებოდა ამბოხებასა. კაცს ეგონებოდა, რომ ბაზრობაა ლუბნში დანიშნულიო. მოსკოვის ვაჭარნი და აშტერონის თათარნიც კი ბლომად იყვნენ. მომწყვდეულიყვნენ ქალაქში და ვერა ჰბედავდნენ გზად წასვლასა. ბაზარ ადგილას ათასობით იდგნენ ურმები, რომელნიც სხვა-და-სხვა საქონლით იყო დატვირთული. უფრო საპატიო სტუმარნი ციხე-დარბაზში ჩამომხდარიყვნენ, ხოლო მდაბიონი და მხლებელნი საყდრების გალავნებში მოთავსებულიყვნენ, საცა მრავლად იყო დაცემული კარვები. ყოველგან ხმაურობა იყო, მჭიდროობა და სხვა-და-სხვა გვარისა და ფერის ტანსაცმელი მოსჩანდა; აქ თავადის ჯარის-კაცნი სხვა-და-სხვა დროშისა და რაზმისა, იქ ჰაიდუკნი, აქეთ ურიანი შაეის პაიჭებითა, სომეხნი იის-ფერი ტანისამოსითა, თათარნი ტულუფითა. ბრბო სიხარულით ეგებეოდა ჯარის-კაცთა, რადგან ისინი იყვნენ ერთად-ერთნი თავდებნი საყოველთაო მშვიდობისა. ათას-გვარი ხმები ისმოდა აქეთ-იქიდან. ზოგნი ამბობდნენ, რომ თავადი ლუბნში რჩებაო, ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ლიტვას მიდისო; ვიღასაც ხმა დაეყარა, რომ თავადმა დაამარცხა ხმელნიცკიო. გარნა თავადი, რომელმაც უკვე ინახულა თვისი სახლობა, უკმაყოფილებით შეჰყურებდა დატვირთულ ურმებისა და ხალხის სიმრავლეს, რადგან ყოველივე ესე ჯარს გამოჰყვება უკან ბოლო-თრიასავით და გაგვიძნელებს სისწრაფით სიარულსაო. ერთად-ერთი ნუგეში მისი ის იყო, რომ ბრაგიმს იქიდან, მშვიდობიანს ქვეყანაში, ეს ხალხი შემომეფანტება და აღარ გამიძნელებს ლაშქრობასაო. თვით კნეინა და სეფე-ქალნი უნდა ვისნეეეცს წასულიყვნენ, რათა თავადს, რომელსაც სახლობის დარდი აღარ ექნებოდა, თავისუფლად ემოქმედნა. ციხე დარბაზში ყოველივე მზად იყო; მაშინვე შეიძლებოდა, ჯარი გზას გასდგომოდა; ყოველივე ესე კნეინა გრიზლედას წყალობით იყო, რადგან კნეინა თავადს არ ჩამოუვარდებოდა არც მხნეობითა და არც ხასიათის სიმტკიცითა. თავადს სასიამოვნოდა ჰქონდა, რომ ასეთს

ყოფასა ჰხედავდა, თუმცა გული უკვდებოდა იმის გამო, რომ იძულებული ვარ დავტოვო მშობლიური კერა, საცა ამდენი ბედნიერი დღე გავატარე და საცა მოვიხვეჭე ასეთი სახელი და დიდებაო. იმის მწუხარებას იზიარებდნენ ყველანი: ჯარიცა, მხლებელნიცა და მთლად მისის სასახლის მცხოვრებთა კრებულიცა; ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვიდრე თავადი ილაშქრებს და იბრძოლებს შორეულს ქვეყნებში, მტერი ლუბნს არ დასტოვებს თავის ქერქში და მის სასურველ ზღუდეებზედ ამოიყრის თავის ჯავრსაო. მეტი ღონე კი არ იყო, ყოველივე უნდა დაეტოვებინათ, ყოველივე უნდა გაეწირნათ.

VIII

პან სქშეტუსკიმ, რასაკვირველია, ვერც კნიაჟნა ჰნახა ციხე-დარბაზში და ვერც ზაგლობა; ლუბნში არავინ არა იცოდარა არც იმათი ასავალი და არც დასავალი. და რაინდმაც ჩაიკეტა კარი თვისის სახლისა, ცეიხჰაუზში და იყო ისე თვისის გაცრუებულის იმედებითა და მოუსვენრობითა. ეხვევოდა სხვადა-სხვა გულ-საკლავი ფიქრი და ისე იგერიებდა, თითქო დაჭრილი ჯარის-კაცი იგერიებს ყვავ-ყორანსა, რომელიც ეტანება თბილს სისხლსა და ახალის ხორცის წიწკნასა. თავს იმითი ინუგეშებდა, რომ ზაგლობა თვისის დაუსრულებელის ხერხიანობით როგორმე მიაღწევს ჩიგირინსაო. პან სქშეტუსკის მოაგონდა მოხუცი მეფანტურე, რომელიც რაზლოგის გზაზედ შეხვდა. ეს მეფანტურე, რომელიც ვიღასაც გაეძარცვა და დედიშობილა გაეშვა თვისის წინამძღოლითურთ, სამს დღეს იჯდა ლელიანებში და ვერ ჰბედავდა გზაზედ გამოსვლას. ვინ იცის, იქნება ზაგლობამ მოიქმედა ეს საქმე და ამ სახით იშოვა ტანისამოსი თავისთვისა და ელენესათვის.

„დიაღ, დიაღ, სხვაფრივ არ მოხერხდებოდა ეს საქმე!“— იმეორებდა დესპანი და ჰგრძნობდა, რომ გულს ეფონებოდა.

ნუ თუ ყოვლად მოწყალე ღმერთი არ დაიფარავს ელენეს უმანკოებას? პან სქშეტუსკიმ იგრძნო საჭიროება მოსვენებისა და მამა მუხოვეცკისთან წავიდა აღსარების სათქმელად. ქსენძმა წაიყვანა საალსარებოში და დიდ ხანს ემუსაიფა. მღვდელმა უთხრა, რომ ეჭვი არ უნდა გვქონდეს ღვთის მოწყალებაზედა, რომ მოქალაქე მოვალეა ყოველივე გასწიროს სამშობლოს კეთილ-დღეობისათვისო. მამა მუხოვეცკიმ ისეთი ცხოველი სურათი გაუთვალისწინა ქვეყნის დაცემისა და მწუხარებისა, რომ რაინდმა იგრძნო, როგორ იმსჭვალებოდა კვლავ მისი დამწვარი გული მშობლის ქვეყნის სიყვარულითა.

ქსენძმა ათქმევინა აღსარება, დაჰლოცა დესპანი და უბრძანა დილამდე პირქვე იწექი უძრავად იატაკზედ ჯვარის სახედ განთხმულიო.

სამლოცველო ნიში ცარიელი იყო და ბნელოდა შიგ. მხოლოდ ორი სანთელი ციმციმებდა ოდნავ საკურთხევლის წინაშე და ყვითელის შუქით ანათებდა მშვიდობიანსა და სიყვარულით სავსე სახეს ჯვარცმულისას. გადიოდა დრო და ჟამი, ხოლო დესპანი იწვა უძრავად, თითქო მკვიდრიაო და უფრო ცხადად ჰგრძნობდა, რომ მწუხარება, განწირულება, სიძულვილი და ვაება ნელ-ნელა სტოვებს მის გულს და იმალება სადღაც სიბნელეში. დესპანი ჰგრძნობდა, რომ უფრო უადვილდებოდა სუნთქვა და რაღაც საოცარი მშვიდობა სულისა ეფინებოდა მის არსებას; აქ, ამ ჯვარცმის წინაშე მან ჰპოვა ყოველივე, რის მოპოვებაც კი შეეძლო იმ საუკუნის კაცს, ისეთს კაცს, რომლის სარწმუნოება შეურყეველია და რომლის გულშიაც იოტის ოდენი ეჭვი არ იბადება ღვთის არსებობის შესახებ.

დილით უნდა გასულიყო ლაშქარი ლუბნიდან. აფიცრები გათენებისასვე ათვალიერებდნენ თავიანთ რაზმებს, ხომ ყველაფერი რიგზეაო, მერე გადიოდნენ ქალაქ გარედ და იქ მინდვრად ეწყობოდნენ სალაშქროდ მზად-მყოფნი. თავადმა მოისმინა წირვა წმ. მიხელის საყდარში, დაბრუნდა სასახლეში და ახლა ინახულა დეპუტაცია ბერძენთა სამღვდელოებისა და ლუბ-

ნისა და ხოროლის მოქალაქეთა. იერემია იჯდა სვე-კვარცხლ-ბეკზედ, გარ-შემორტყმული რჩეულის რაინდებითა და ისმენ-და ლუბნის ბურგომისტრის სიტყვასა. ეს ბურგომისტრი, გვა-რად გრუბი, რუსულად ლაპარაკობდა და ეთხოვებოდა თავადს დნეპრის გამოლმა-მხრის ქალაქების სახელითა. თავადმა უპასუ-ხა, რომ ვცდილობდი მამობა გამეწია და ბატონობას არა ვჩე-მობდიო, გაფიცებთ, იყოთ ერთგულნი რესპუბლიკისა, რომლის ძლიერ ფრთეთა ქვეშე სცხოვრობდით მშვიდობითა და კეთილ-დღეობითაო.

დადგა წამი ქალაქიდან გასვლისაცა. სასახლეში გაისმა ხმა ტირილისა და ქუხილისა. სეფე-ქალთ გული უწუხდებოდათ, ხოლო პანნა ანნა ბოეობლატაია ძლივს მოიყვანეს გონსა. მარ-ტო ერთი კნიაჟნა ჩაჯდა ეტლში ცრემლ-ჩამოუგდებელი და მაღ-ლა თავ-აღებული; არ უნდოდა საყოველთაოდ გაემჟღავნებინა თვისი მწუხარება. სასახლესთან იდგა აღურიცხველი ბრბო ხალხისა, ზარეას გამწარებითა ჰრეკავდნენ ყველა ეკლესიებში. ბოლოს თვით თავადიც შეჯდა ცხენზედა. რაზმთა დროშანი წინ დაიხარა იმის წინაშე, ზღუდეებზედ ზარბაზნებმა დაიწყეს გრიალი; ხმა ტირილისა, ჟღავი-ჟღუვისა და ყვირილ-ტკრცია-ლისა შეერია ზარების რეკას, თოფ-ზარბაზნის სროლასა და საყვირთა ხმასა. მიმავალნი გზას გაემართნენ.

წინ მიდიოდა თათართა ორის სადროშოს ჯარი რაზტვო-როვსკისა და ვერშულისა, მერე ჯარი თოფჩებისა, ანუ არტი-ლერია პან ვურცელისა, ქვეითი ჯარი მახნიცკისა, შემდეგ კნეინა და მთლად სასახლის კრებული, ურმები ბარგი-ბარხანი-თა, მერე ვლახელთა სადროშო პან ბიხოვეცისა და ბოლოს თვალი ლაშქრისა მძიმედ დარაზმული ცხენოსანთა ჯარი ჯავში-ნოსანთა და გუსართა სადროშოსი. სულ ბოლოს დრაგუნები იყვნენ.

ჯარებს მიჰყვებოდა უკან დაუსრულებელი აჭრელებული კუდ-ბაწარა შლიახტის ეტლთა, რომელთაც მიჰყავდათ სახ-ლობა იმათი, ვისაც აღარ უნდოდა დნეპრ-გამოლმა მხარეს დარ-ჩენა თავადის წასვლის შემდეგ.

საომარნი ბუკ-საყვირნი მხიარულს ხმებს უკრავდა; მაგრამ ყველას გული უნებურად უწუხდა. თვითეული შეჰყურებდა ქალაქის ზღუდეთა და გულში ჰფიქრობდა: ვინ იცის, გნახავთ-ღა კიდევ ჩვენს სიცოცხლეშიო? ოჰ, წასვლა ადვილია, ხოლო დაბრუნებაა ძნელი! თვითეულს ეს ზღუდენი აგონებდა წარსულ ბედნიერებას, თვითეულმა იცოდა, რასაც სტოვებდა აქ, ხოლო იქ... რა მოგველის იქ, რა მოგველის მომავალშიო?

ქალაქი აცილებდა წამსვლელთ თვისთა ზართა რეკითა, თითქო სთხოვს და ემუდარება, ნუ გვტოვებთ, ნუ გვიშვებთ ბედის ანაბარად, თითქო ეთხოვებოდა სამუდამოდ, საუკუნოდ.

ნუ თუ საუკუნოდ?

დიაღ! მთლად იმ ჯარიდანა და იმ ათი-ათას ხალხიდან, რომელიც ეხლა მიდიოდა თავად ვისნეეეკისთან ერთად, აღარც თვით თავადსა და აღარც სხვას ვისმე ბედმა აღარ არგუნა ხვედრად კვლავ დაენახა თვისი მშობელი ქალაქი.

ბუკ-საყვირნი კვლავ უკრაედნენ, სიმრავლე წამსვლელთა, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა, და მალე ქალაქის ყველა შენობას გადაეფარა ცის ლაჟვარდი და გააერთიან-გააერთფერა. თავადმა ჰკრა ქუსლი ცხენსა, ავიდა მაღალ სერზედ და დიდ ხანს იდგა იქ გაუნძრეველად. მთლად ეს ქალაქი, რომელიც ბრწყინავდა ცხრა თვალის მზის შუქზედა, მთლად ეს მხარე, რაც ამ მაღალ სერიდან მოსჩანდა, მისი და მისთა წინაპართა ქმნილება იყო. ვისნეეეკებმა გარდაჰქმნეს ეს ყრუ უდაბნო აღყვავებულ ქვეყნადა და ყველაზედ მეტი ამ ქვეყნისათვის თვით თავადმა იერემიამ გააკეთა. ის აგებდა ტაძრებს, რომელთა გუმბათნი ისე მოსჩანდა ახლა, თითქო ცაში ჰკიდიაო, მან გაამაგრა ქალაქი, მან შეუერთა გზებით ეს მხარე უკრაინას, ისა სჩეხავდა ტყეებსა, აშრობდა ჭაობებსა, აშენებდა ციხე-დარბაზებს, სდევნიდა ავაზაკებს, იცავდა მშვიდობიანობას, რომელიც ასე საჭიროა ვაჭრისა და მხვნელ-მთესველისათვის, მისის მეოხებით დამყარდა წესიერება და სამართლიანობა. იმის წყალობა იყო, რომ ეს ქვეყანა სცოცხლობდა, წარმატებასა

და აღყვავებას ეძლეოდა. ის იყო მისი სული და გული, ახლა კი იძულებული იყო მიეტოვებინა ესე ყოველივე.

თავადს არც დიდი სიმდიდრე ენანებოდა, არც თვალ-გადუწვდენელი სამფლობელო, რომელიც რამდენსამე სამთავ-როს უდრიდა ნემენცებისას; იმას ის ენანებოდა, რომ სტოვებ-და საქმეს, მისის ხელით შექმნილს, რომელსაც შეეჩვია და შეეტკბო სიყრმითვე. ერემიამ კარგად იცოდა, რომ უიმისოდ აქ ყოველივე დაიღუპებოდა, რომ მრავალთა წელთა სამძიმო ღვაწლი ტყუილ-უბრალოდ დაიკარგებოდა, თავ-დაუჭერელი გულის-თქმა და ვნებათა ღელვა აზვავდებოდა, ცეცხლი მოე-დებოდა ქალაქებსა და სოფლებს, თათარი ჩაიყვანდა თავის ცხენს აქაურ წმინდა წყალზედ წყლის დასალევინებლად და, თუ ღმერთმა ინება და კვლავ დამაბრუნა მე ამ ქვეყანაში, ყო-ველისავე ხელ-ახლად დაწყება მომიხდება, ხოლო შესაძლოა, რომ ის ძალ-ღონე აღარა მქონდეს, დროც აღარ მეყოს და აღარც ის იმედი მქონდეს ჩემის თავისა, რაც აქამდე მქონდაო. აქ განვლო ჩემის სიცოცხლის უკეთესმა დრომ, აქ დამედგა თავს გვირგვინი დიდებისა და ახლა კი იგი დიდება უნდა განი-ფანტოს ვითარცა კვამლიო.

და ორმა დიდმა, ტყვიასავით მძიმე ცრემლმა ნელ-ნელა ჩამოსერა მისნი ღაწვნი.

ეგ ორი ცრემლი იყო უკანასკნელი ცრემლი, რომელიც გამოიწურა იმის თვალთაგან; მას უკან მხოლოდ ელვა გამო-ჰქრთოდა.

თავადის ცხენმა კისერი წინ გაიწვდინა და დაიჭიხვინა; იმის პასუხად მოისმა ჭიხვინი ახლო მომავალ ცხენოსანთა რა-ზმის ტაიჭთა. ამან გამოაფხიზლა თავადი და მის გულს მიჰფი-ნა სხივი იმედისა. ჯერ კიდევ ექვსი ათასი ერთგული ამხანაგი შემრჩენიაო, ექვსი ათასი ხმალია ჩემკენაო და ამ ხმალთა სი-მრავლეს ელის, როგორც ერთად-ერთს ხსნას ჭირში მყოფი სა-მშობლოვო. დნეპრ გამოღმა მხარის ტკბილი მშვიდობა განჰქრა მაგრამ იქ, საცა გრგვინავს ზარბაზნები, საცა იწვის ქალაქ-სოფლები, საცა ღამ-ღამობით თათართა ცხენების ჭიხვინს

უერთდება ტირილი ტყვეთა, კვნესა მამაკაცთა, დედაკაცთა და ყმაწვილთა,—იქ ასპარეზი მოქმედებისა ვრცელია, იქ შესაძლოა მოხვეჭა სამშობლოს მამის სახელისა და დიდებისა: ვინ გაიწვდენს ხელს ამ გვირგვინისათვის, ვინ დაიფარავს შებღალულს, დათრგუნვილს და მტრის ფეხით გათელილს სამშობლოს, თუ არ მე, იერემია ვისნეველკი, თუ არ ის ჯარნი, აგერ აიქ, ამ სერის ძირას რომ ასე აელვარებს თვისთა შუბთა ფოლადის წვერებსაო?

ჯარები ახლა სწორედ სერის ძირობაზედ მოდიოდნენ. ჯარებმა რომ შეჰხედეს თავადს, რომელიც მაღლობზედ იდგა და ხელთ ეპყრა კვერთხი, ველარ მოითმინეს და ყველას ერთბაშად აღმოხდა გულიდან ხმა-მაღალი ძახილი:

— გაუმარჯოს თავადს! გაუმარჯოს ჩვენს წინამძღოლსა და გეტმანს ერემია ვისნეველკის!

და ასობით დროშანი კვლავ დაბლა დაიხარა მის წინაშე. თავადმა ამოიწოდა მახვილი, აღაპყრა თვალნი ცად და წარმოსთქვა ღაღადებით:

— მე, ერემია ვისნეველკი, დიდებული მოურავი რუსეთისა, თავადი ლუბნისა, ვფიცავ შენს სახელს, ყოვლის შემძლებელო ღმერთო, რომ ვიწედი რა ამ მახვილს ამბოხისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, აღარ ჩავაგო ქარქაშში იმ დრომდე, ვიდრე ძალღონე და სიცოცხლე არ წამერთმევა, ვიდრე არ მოვბან ჩემს სამშობლოს სირცხვილსა, ვიდრე რესპუბლიკის ფეხ-ქვეშ არ განირთხმის მისი უკანასკნელი მტერი. ამინ!

თავადი ნელ-ნელა ჩამოვიდა სერიდან და შეუერთდა თვისს რაზმებს. იმ ღამეს მივიდნენ ბასანამდე, პანი კრინიცკის მამულებამდე. პანიმ თვალ-ცრემლიანმა შესტირა თავადს, რომ ჩემმა გლეხ-კაცებმა დაიწყეს მღელვარება და მხოლოდ შენის ჯარების მოახლოვების ხმამ გადამარჩინა აუცილებელს სიკვდილსაო.

თავადმა ბრძანა, შეიპყარით მოთავენიო, ხოლო თვითონ პან პონიატოვსკი გაჰგზავნა კანევს, იქაური მიდამონი დაათვალიერეო. პონიატოვსკი მალე დაბრუნდა და თან მოიყვანა ხუთი კაცი

იმიერ-ჭორომელი, რომელთაც წამების ქგეშ ყოველივე მართალი უთხრეს თავადს კორსუნის ომის შესახებ. იმათა სთქვეს, რომ ხმელნიცკი ჯერ ისევ კორსუნშია, ხოლო ტუღაი-ბეი ტყვეებითა, დავლითა და ორის გეტმანით ყირიმს აპირობს წასვლასაო. ხმელნიცკი ძალიან ეხვეწებოდა ტუღაი-ბეის, ნუ დამტოვებ მარტოსაო, მაგრამ თათარი თავისას არ იშლიდა და ამბობდა, რომ რაკი სახასო ჯარები იძლივნენ, ყაზახთათვის სხვების შემწეობა საჭირო აღარ არისო. იმიერ-ჭორომელთა სიტყვით, ხმელნიცკის უნდა ჰყავდეს ორასი ათასი კაცი. ამათში მხოლოდ ორმოც და ათი ათასი იქნება ნამდვილი გაწვრთვნილი ჯარი, დანარჩენი კი სხვა-და-სხვა მილეთის ხალხია, აბრანძული, იარაღ-აუსხმელიო. თავადს გული მიეცა. ამასაც იმედი ჰქონდა, რომ მეც გამიბევრდება ჯარიო. გაღმა მხარში მე უნდა შემომიერთდნენ ნაშთნი ძლეულ სახასო ჯარებისა, იქაური შლიახტა და პატარ-პატარა რაზმნი პანებისაო.

პერეიასლაველს შემდეგ ჯარები შევიდნენ უზარმაზარს ტყეში, რომელიც ატეხილი იყო ტრუბეჟის ნაპირებად კოზელციდან თვით ჩერნიგოვამდე. მაისი იყო, საშინლად ცხელოდა. ტყეში სიგრილის მაგიერ ისეთი ლული იდგა, რომ კაცსა და საქონელს ჰაერი არა ჰყოფნიდა სულის მოსაბრუნებლად; საქონელი, რომელიც ბარგის ურმებს მისდევდა, ისიცხებოდა, ან არა-და, იგრძნობდა თუ არა, აქ წყალიაო, გაექანებოდა დასალევად და იყო ერთი უწესობა. ცხენებსაც აწყინა სიცხემ, მეტადრე მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა ჯარში. ღამე უამრავი კოღო-ქინქლა მოსვენებას არ აძლევდა არავისა.

ასე გაიარა ოთხმა დღემა. მეხუთე დღეს სიცხემ უფრო უმატა. როცა დასაღამოჟამდა, ცხენებმა ხრიალი დაიწყეს, ხოლო საქონელი საცოდავად ზმუოდა, რაკი წინ-და-წინვე ჰგრძნობდა მოსალოდნელს განსაცდელსა.

— ჰგრძნობენ, რომ სისხლი უნდა დაიქცესო!—ამბობდნენ ბანაკში.

— ყაზახნი მოგვდევენ! ომი შეგვემთხვევა!

დედაკაცებმა ასტეხეს ტირილი და თავში-ცემა, ეტლნი ცდილობდნენ ერთმანერთისათვის გაესწროთ, უხვევდნენ გზიდან და ხეებ შორის ველარ ატანდნენ ტევრებსა.

გარნა თავადის კაცებმა მალე დაამყარეს წესიერება. თავადმა გაჰგზავნა სხვა-და-სხვა მხარეს პატარ-პატარა რაზმნი, წადით და შეიტყეთ, ხომ არა მომხდარა-რა საიმისოვო.

პან სქშეტუსკი, რომელმაც გამოუცხადა—მეც წავალო, დაბრუნდა პირველი განთიადისას და პირდაპირ ერემიასთან მივიდა.

— რა გაიგე?—ჰკითხა თავადმა.

— ბატონო, ტყეები იწვის.

— ცეცხლი წაუკიდებიათ?

— დიაღ; რამდენიმე კაცი შევიპყარ; გამოტყდნენ და მიამბეს, რომ ხმელნიცკიმ გამოგვატანა ყაზახი და გვიბრძანა, ცეცხლი წაუკიდეთ ტყეებს, თუ ქარმა ხელი შეგიწყოთო.

— ვერ უყურებთ? ცოცხლები უნდა დავეწვით და ისე დავეხოცეთ, რომ ხელიც არ შემოემართნა, უბრძოლველად!

მოიყვანეს სამი ჩოდარი, განადირებულნი, ტუტუცნი, შიშით თავზარ დაცემულნი. მაშინვე გამოტყდნენ, რომ ჩვენ მოგვანდეს ტყეებისთვის ცეცხლი გვეკიდებინაო.

იმათვე სთქვეს, რომ თავადის საწინააღმდეგოდ ჯარებიც არის გამოგზავნილიო, მაგრამ ისინი სხვა გზით წავიდნენ ჩერნიგოვისაკენ, უფრო დნეპრის ნაპირ-ნაპირაო. ამ დროს მოვიდნენ სხვა გაგზავნილი კაცები და იგივე ამბავი მოიტანეს, რომ ტყეები იწვისო.

ხოლო თავადი ამან ძლიერ არ შეაწუხა.

— ეგ ბარბაროსთა წესია,—სთქვა მან,—მაგრამ ეგ ჩვენ ვნებას არ მოგვცემს. ცეცხლი ვერ ვადმოსცილდება იმ ხევსა და წყლებს, რომელიც ტრუბეჟს ერთვის.

მართლაც, ტრუბეჟს იმდენი პატარ-პატარა მდინარენი ერთვოდა და მდინარეთა შორის იმდენი ჭაობი და ჭანჭრობი იყო, რომ საიმისო შიშს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საშიში მაშინ თუ იქნებოდა, რომ ყოველ მდინარესა და ჭაობს შემდეგ ეკი-

დებინათ ცეცხლი თვითეულის ტყისათვის, ხოლო ამას ვინ მოახერხებდა.

აქეთ-იქით გაგზავნილნი რაზმნი დარწმუნდნენ, რომ სწორედ ასეც იქცეოდნენ თურმე ტყეების ცეცხლ-წამკიდებელნი. ყოველ-დღე რამდენსამე ცეცხლის წამკიდებელს ჰპოულობდნენ.

ცეცხლი საშინელის სისწრაფითა ძლიერდებოდა და ედებოდა ტყეებს, გარნა ვრცელდებოდა უფრო დასავლეთად და აღმოსავლეთად, ვიდრე ჩრდილად კერძო. ღამ-ღამობით დიდი წითელი შუქი იდგა და ანათებდა მთელს ცას. დედაკაცნი დილით საღამომდე სულ სასულიერო საგალობლებს ამბობდნენ გალობითა. თავზარდაცემული ტყის ნადირი გამორბოდა თავის ბუნაგიდან, ტყის დაბურულ ტევრიდან გზაზედ და უერთდებოდა ბარგის ურმების საქონელსა. ჰაერში იდგა სუნი კვამლისა და ნახშირისა; ჯარი ნელ-ნელა მიიწევდა წინ ხშირ, უკუნეთ წყვდიადშია და სიბნელეში. კაცს ველარაფრით ამოესუნთქა, ხოლო მწარე კვამლი სწვავდა თვალებს და ქარს უფრო ბლომად მოჰქონდა კვამლი. ღამე უფრო ნათელოდა, ვიდრე დღისით. გარნა ტყეს ბოლო არ უჩანდა, თითქო დაუსრულებელიაო.

აი ამ გარემოებათა შორის მოუხდა თავად ერემიას სიარული თვისის ჯარითა. ამასთანავე, მოვიდა კიდევ ამბავი, რომ მტერი ტრუბეჟის მეორე მხრიდანაც მოდისო.

ერთხელ ღამე თავადის ბანაკში მოვიდა პან სუხოდოლსკი დესნის გაღმა მხრიდან. მოსვლის უმალვე ითხოვა, რომ დაუყოვნებლივ წამიყვანეთ თავადის კარავშიო. პანმა დიდ ხანს ითათბირა რაღაცა თავადთან. შემდეგ თავადმა ბრძანა, რომ შეგროვდნენ ყველა ჩემი აფიცერნიო და გამოუცხადა სამწუხარო ამბავი, რომ მეფე ვლადისლაელი გარდაიცვალაო.

აფიცრებმა, თითქო ბრძანება გაიცაო, ქუდები მოიხადეს მაშინვე. ყველას სახე დაეღვრიმა და დაუდინჯ-დაუმგლოვიარდა.

ქსენძმა მუხოვეცკიმ დაიწყო გალობა „dies irae“ და ამ დაბურულ ტყეში, ამ კომლსა და ნახშირის სუნში ყველა უნებურად მოიცვა რაღაც გრძნობამ ობლობისამა. ყველას ცხადად წარმოუდგა თვალ-წინ, რომ უკანასკნელი იმედიც გაჰქრა, რომ ახლა მარტოდ-მარტონი-ღა დავრჩით პირის-პირ საშინელის მტრისა და თავადის მეტი აღარაეინ აღარა გვყავს ქვეყნადაო.

იმავე დღეს თავადმა უთხრა ზაცვილიხოესკის და უთხრა განგებ ხმა-მაღლა, რათა ყველას გაეგონა:

— ჩვენ გვინდა ახლა მეფე-მეომარი და, თუ ღმერთმა ინება, არჩევანებში მონაწილეობა მივიღეთ, კენჭი მივცეთ მეფის ძეს კარლოსს, რომელსაც რაინდობის უნარი უფრო მეტი აქვს, ვიდრე ბატონიშვილს კაზიმირსა.

— Vivat Carolus rex!—შესძახეს აფიცრებმა.

— Aivat!—განიმეორეს გუსარებმა, ხოლო მათ შემდეგ მთლად ჯარებმაცა.

თავადმა-დიდებულმა არ იცოდა, რომ ეს ძახილი დნეპრის გამოღმა ყრუ-ტყეებში ვარშავამდე მივიდოდა და ხელიდან წაართმევდა დიდს სახასო კვერთხს.

IX

ასე იარეს ცხრა დღეს ჯარებმა. სამს დღეს მერე დესნაში გავიდნენ და მივიდნენ ჩერნიგოვსა. თავადმა პან სქშეტუსკი წინ გაჰგზავნა, იქნება შეიტყო რამე კნიაჟნასა და ზაგლობას ამბავიო. მაგრამ აქაც, როგორც ლუბნში, არც ციხე დარბაზში, არც ქალაქში, იმათი ამბავი არაეინ არა იცოდა-რა. კვალ-წმინდად დაიკარგნენ, თითქო ქვა ჩავარდა წყალში და დაიმალაო; რაინდმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. სად უნდა წასულიყვნენ ნეტავიო? მოსკოვს ხომ არ წავიდნენ, ან ყირიმსაო? ერთი ის-ღაა საფიქრებელი, რომ დნეპრში თუ გავიდნენ, მაგრამ მაშინ ხომ თვით ამბოხების შუა-გულ ადგილას მოჰყვებოდნენო. იქ ხომ ხალხის ჩეხა-ჟლეტაა, ცეცხლის კიდებაა;

იქაურობა ხომ მოდებულია გალეშებულ მდაბიოთა ბრბოთი, იმიერ-ჭორომლებითა და თათრებითა, რომელთა ხელიდან ელენეს თვით მისი ტანისამოსიც ვერ დაიფარავსო. პან სქშეტუსკის ის საშინელი აზრიც კი მოსდიოდა ფიქრად, რომ შესაძლოა ზაგლობამ განგებ წაიყვანა ელენე დნეპრ-გალმა, ავიყვან და ტულაი-ბეის მივყიდიო, ბევრად მეტს მომცემს ბოგუნზედაო. ეს აზრი სულ ცოფებსა ჰგვრიდა. საბედნიეროდ, პან ლონგინუს პოდბიპენტა უკედ იცნობდა ზაგლობასა, ვიდრე სქშეტუსკი.

— ეგ აზრი თავიდან განიშორე, საყვარელო მეგობარო,— ეუბნებოდა ლონგინუსი.—პან ზაგლობა მაგას არ მოიქმედებს. კურცევიჩებსაც დიდი ქონება ჰქონდათ, ხოლო ბოგუნიც არას არ დაიშურებდა. თუ იმ ქალის დაღუპვა ნდომებოდა, თავის თავს ასეთს ხათაბალაშიაც არ გააბამდა.

— კარგი, ვსთქვათ, აგრეა,—ამბობდა დესპანი,—მაგრამ მაშ დნეპრ-გალმა რაღა უნდოდა, რატომ ლუბნს არ მიჰმართა თავშესაფარებლად, ან კიდევ ჩერინგოვს?

— შენ არხეინად იყავ, ჩემო ძვირფასო. მე კარგად ვიცნობ მაგ ზაგლობას. ჩემთან ცოტა არ უქეიფნია და ფულიც ბევრჯელ უსესხნია ჩემგანა. ფულისათვის არასდროს არა ჰზრუნავს, თავისია თუ სხვისა. თუ თავისი აქვს, ჰხარჯავს, ვალს თავის დღეში არ იხდის, ხოლო მაგისთანა საქციელი იკადროს, მაგას იმისაგან არ მოველი.

— თავქარიანი კაცია!

— იქნება თავქარიანიც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, მოხერხებულია; ვინც უნდა იყოს, გააცურებს, წყალზედ ჩაიყვანს და წყალს არ დაალევინებს. შენ კი, როგორც ქსენძმა გიწინასწარმეტყველა, ღმერთი ისევ დაგიბრუნებს შენს საუნჯესაო, ისეც იქნება. იმედი გქონდეს ისევე, როგორც მე მაქვს იმედი.

პან ლონგინუსმა ღრმად ამოიოხრა და ერთს წუთს შემდეგ დაუმატა:

— გამოვიკითხოთ კიდევ ციხე-დარბაზშიაც: იქნება იყვნენ იქა.

მაგრამ ვაი, რომ გამოკითხვა-გამოწვლილებამაც სანუგეშო არა მოიტანა-რა.

ციხე-დარბაზი სავსე იყო შლიახტიჩებითა, რომელნიც აქ შემოხიზნულიყვნენ ცოლ-შვილითა, ისე შეშინებოდათ ყაზახებისა. თავადმა ბევრი ურჩია, წამოდით ჩემთან ერთად, მე გამომყევით, ყაზახნი უკან მომდევენ ფეხ-და-ფეხაო. ისინი ვერა ჰბედავდნენ ჯარს დასხმოდნენ თავს, ხოლო ძალიან ადვილად შეიძლებოდა, თავადის წასვლის შემდეგ, ქალაქს და მის ციხეს დასცემოდნენ.

შლიახტიჩები გაჯიქდნენ და მაინც თავისას არ იშლიდნენ, ისე იყვნენ დაბრმავებულნი.

— ჩვენ აქ უშიშრადა ვართ ამ ტყეებით დაცულნიო,— გაიძახდნენ თავისას.—აქ ვერავინ მოვა.

— აგერ მე ხომ გამოვლე ეგ ტყეები,—ამბობდა თავადი.

— თქვენ შეგეძლოთ და ავაზაკთა ურდონი კი მაგას ვერ შესძლებენ. არა, ის ტყეები არ არის ეს ტყეები!

ძვირად დაუჯდათ შლიახტიჩებს ეს ახირება და გაჯიქება. თავადის წასვლის შემდეგ, დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ გაჩნდნენ ყაზახნი. ციხე-დარბაზს გმირულად იცავდნენ შიგ მყოფნი სამის კვირის განმავლობაში; შემდეგ კი ციხე მალე დასცეს და ისე ამოსწყვიტეს ყველანი, რომ ერთი აღარ გადარჩათ ცოცხალი. ყაზახნი კადრულობდნენ საშინელს სიმხეცესა და ბარბაროსობას: შუა ჰხლეჩავდნენ ბავშვებს, სწვავდნენ დედა-კაცებს ნელ ცეცხლზედ; არავინ იყო პატრონი, რომ გამოსარჩლებოდა საცოდავებს, სამაგიერო გადაეხადნა მათთვის.

თავადი ამასობაში ლიუბეჩს მივიდა, დასტოვა იქ ჯარი დასასვენებლად და კნეინითურთ წავიდა ბრაგიმს, რომელიც გაუვალ ტყეებსა და ჭაობებ-შორის მდებარეობდა. ერთის კვირის შემდეგ ჯარიც გაემართა იქითკენ. მალე დადგა დრო განშორებისა თავადსა და მის მეუღლეს შორის. კნეინა უნდა ტუროეს წასულიყო თავის მამიდასთან, ხოლო თავადს ცეცხლი და მახვილი უნდა შეეტანა უკრაინის შუა-გულს.

უკანასკნელ გამოთხოვების სადილზედ ერთად იყვნენ თავადი და კნეინა, სეფე-ქალნი და რჩეულნი რაინდნი. მაგრამ ქალებსა და კავალრებს წინანდელს მხიარულების ნიშან-წყალიც ალარ ეტყობოდათ; არა ერთი და ორი რაინდული გული იწვოდა და იდაგებოდა იმ ფიქრით, რომ ერთის წუთის შემდეგ უნდა განშორებოდა თავის საუნჯეს; არა ერთისა და ორის მიბნედილი ან ჟუჟუნა ლურჯი თვალები იმდუღრებოდა იმ ფიქრით, რომ აგერ ის ომში მიდის და, ვინ იცის, დაბრუნდება-ღა თუ არა ცოცხალიო. როცა თავადმა დაათავა თვისი გამოთხოვების სიტყვა, ქალებმა ქვითინი დაიწყეს, ხოლო რაინდებმა, როგორც უფრო გულ-მაგრებმა, უფრო ძლიერებმა სულითა, წამოიწიეს ზეზე, იტაცეს ხელი ხმალსა და დაიძახეს ერთობილის ხმით:

— გავიმარჯვებთ და ისევ უკან დავბრუნდებით!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — სთქვა პასუხად კნეინამ.

დარბაზში ისეთი გრიალი გაისმა რაინდებისა, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყს:

— გაუმარჯოს კნეინას! გაუმარჯრს ჩვენს დედას!

— ურა, ურა!

კნეინა უყვარდა ყველა ჯარის-კაცს, იმიტომ რომ გულმტკივნეულობით ეპყრობოდა რაინდობას, იმიტომ რომ დიდებულის სულის პატრონი იყო, იმიტომ რომ უხვი იყო და ჰზრუნავდა რაინდთა ცოლშვილისათვის. მაგრამ ყველაზედ მეტად კნეინა უყვარდა თავად ერემიას. ეს ორნი ისეთნი არსებანი იყვნენ, რომელთაც ბუნება ერთმანეთისათვის ჰბადავს, რომელნიც ერთ ყალიბზედ იყვნენ ჩამოსხმულნი ფოლადისა და ოქროსაგან.

რაინდნი სათითაოდ მიდიოდნენ რიგ-რიგით და მუხლს იდრეკდნენ იმის სავარძლის წინაშე და იმანაც გულს არავის დააკლო, თითო ტკბილი და თბილი სიტყვა უთხრა ყველას. სქშეტუსკის, ამას გარდა, ესეც უბრძანა:

— აქ არა ერთმა და ორმა რაინდმა მიიღო გამოთხოვების ლენტი, ან რაიმე სანუკარი, ხოლო რადგან ის აქ არ არის,

ვისგანაც თქვენთვის სასურველი იქნებოდა მიგეღოთ რამე სახსოვრად, ამიტომ მიიღეთ ჩემგან.

კნეინამ მოიხსნა პატარა ჯვარი ოქროსი, ძვირფასის თვალმარგალიტით მოჭედილი და ჩამოჰკიდა რაინდს.

ყველანი წამოიშალნენ. ქალებმა მიჰბაძეს კნეინას მაგალითს და დაუწყეს ბოძება საჩუქრებისა თავთავიანთ კავალრებს. მხოლოდ ერთი ანნა ბოჟობოლატაია, უულამაზესი ყველა იქ მყოფ ქალთა შორის, იდგა ფანჯარასთან მარტოდ-მარტო, ყველასაგან მიტოვებული: არც ერთი რაინდი არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. სახე აჭარხლებოდა, თვალები უბრწყინავდა განრისხებისაგან; ჯერ არას დროს არ გამოეცადნა ასეთი შეურაცხყოფა. მერე სწორედ ამ დროს, თითქო ჯიბრზედ, მივიდა იმასთან მოღალატე ვოლოდიევსკი.

— მინდოდა მეთხოვნა რამე თქვენთვის სახსოვრად,—სთქვა მან,—მაგრამ წინდაწინვე უარ-ვუყავ ეს აზრი, რადგან ვიფიქრე, რომ სულ ერთია, ვერ გავატან იმ რაინდთა შორის, რომელნიც მრავლადა ჰყავს გარშემორტყმულნი-მეთქი.

ანნა სულ ცეცხლივით აენთო და ღაწვნი უფრო გაუჭარხალდა.

— ალბად ჩემის ხელით არ გინდოდათ მიგეღოთ საჩუქარი,—ნართაულის სიტყვით უპასუხა მაშინვე ყმაწვილმა ქალმა,—და კარგადაც გიფიქრიათ სწორედ, რომ იმედი გადაგიწყვეტიათ. იქ თუ მჭიდროობა არ არის, ძნელად შესაწდომი მაინცაა თქვენთვის.

ასეთი პასუხი შიგ გულში მოხვდა ვოლოდიევსკის და ქალმა ორი კურდღელი დაიჭირა ერთის ხელით. ამ პასუხით ჯერ სიტყვა იმაზედ გადუკრა, რომ დაბალის ტანისა ხარო და მერე იმაზედ, რომ კნიაჟნა ბარბარე ზბარასკის გაუმიჯნურდა. პან ვოლოდიევსკის პირველში მისი უფროსი და ანნა უყვარდა, ხოლო შემდეგ, როცა ის სხვამ დანიშნა, იწუხა, იწუხა და ახლა უმცროს დას ბარბარეს დაუწყო არშიყობა იმ იმედით, რომ ვერავინ ვერას მიმიხვდებაო. საწყალს ვოლოდიევსკის საშინლად შერცხვა და რაღაც სისულელე წამოროშა:

— დიაღაც, ყველა ხომ ისეთი აყლაყუდა არ იქნება, როგორც პან პოდბიპენტაა, მაგალითად...

— სწორედ ის უფრო თქვენზედ მაღალია, მაგრამ არა მარტო ტანით, არამედ ცოტა სხვა რამითაც. გმადლობთ, რომ გამახსენეთ ის რაინდი. ეგეც კარგია თქვენგანა.

ანნა გაცქრიალდა და მივიდა ლიტველთანა.

— პან პოდბიპენტა, აქ მობრძანდით. მეცა მსურს ჩემი რაინდი მყავდეს და არ ვიცი, იქნება კიდევ სადმე თქვენსაზედ უფრო მამაცი მკერდი, რომელზედაც შემეძლოს ეს ჩემი შარფი დავამაგრო.

პან პოდბიპენტამ ისე დააჭყიტა თვალები, თითქო არა სჯერა, რაც ესმის ჩემს ყურებასაო, მერე მოიდრიკა მუხლები და ისე დაიჩოქა ქალის წინაშე, რომ იატაკმა ზანზარი დაიწყო:

— ოჰ, პანნა! განა უნდა მჯეროდეს...

ანნამ გადუხვია მკერდი შარფითა; პან ლონგინუსმა აღტაცებით გამოართვა პაწაწა ხელები და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

პან ვოლოდიევსკი განზე გადგა და გულში ჩაიკლა თვისი გაბრაზება... იყო ხომ დრო, როცა მიყვარდა ეგ ქალიო.

თავადიც გამოეთხოვა კნეინას და ერთს საათს შემდეგ ერემიას სახლობა გაემგზავრა ტუროვს, ხოლო ჯარმა გასწია პრიპეტისაკენ.

იმ ღამეს, პრიპეტის ნაპირად, როცა დურგლები კატარღებს აკეთებდნენ, ხოლო გუსარნი თვალ-ყურს უგდებდნენ მუშაობას, პან ლონგინუსმა ცალკე გაიხმო სქშეტუსკი.

— ოჰ, რომ იცოდე, რა მწუხარება შემომაწვა გულსა!

— რა იყო განა?—შეეკითხა პორუჩიკი.

— გაიგონე, რა ამბავი მოვიდა უკრაინიდან?

— რა ამბავი?

— იმიერ-ჭორომელებმა სთქვეს, რომ ტულაი-ბეი თვისის ურდოთი ყირიმს წავიდაო.

— რაო მერე? შენ რას სწუხარ მაგისათვის?

— მაშ, ვილამ უნდა იწუხოს თუ არ მე? შენვე არ მითხარი, რომ ყაზახთა თავნი სათვალავში არ ჩაიგდებაო? ახლა რაკი თათრები წავიდნენ, სადღა უნდა შევხვდე სამის წარმართის თავსა, სადღა უნდა ვსძებნო? ის სამი თავი კი, იცი, რა ნაირ მიჭირს!

სქშეტუსკიმ, თუმცა თავისი დარდი ძალიან აწუხებდა, ველარ მოითმინა და გაეღიმა:

— მესმის, მესმის... დავინახე, დღეს რომ შარფი შემოგახვიეს.

პან ლონგინუსმა გულ-ხელი დაიკრიფა.

— რაღა დავმალო და არცა ჰღირს. შემიყვარდა ის ქალი, ჩემო ძვირფასო, შემიყვარდა.... ღმერთო, რა უბედურებაა!

— ნუ სწუხარ, არა მჯერა, რომ ტულაი-ბეი წასულიყოს, ხოლო თუნდ აგრეც იყოს, მაინც იმდენს წარმართს იპოვი იქა, რამდენიც შენ სულსა და გულს უნდა. წარმართნი იქ იმდენნი არიან, რამდენიც აქ მუმლი და კოღო.

მართლაც, რაინდებს უამრავი კოღო და მუმლი დაჰბზუოდა თავზედ. ჯარები ისეთ ქვეყანაში იყვნენ ახლა, რომელიც სავსე იყო ჭაობებ-ჭანჭრომებითა, ტყე-ღრეებითა, მდინარე-წყლებითა და ხევებითა, ერთის სიტყვით, ყრუსა, უსიერსა და მიუვალ უდაბნოში.

გარნა საკვირველი ეს იყო, რომ ამ ჭაობებ შორის, ალაგ-ალაგ ლამაზად გამოიცქირებოდა მდიდრული სახლ-კარი პანებისა. თავადის რაინდნი, აღზრდილნი დნეპრის გაღმა-მხრის მაღლობ, მშრალ მინდვრებ შორის, თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ. იმათ სამშობლოშიაც იყო ალაგ-ალაგ ტყეები და ჭაობები, ხოლო აქ მთლად ეს ქვეყანა ერთი განუწყვეტელი ჭაობი იყო. ღამე კარგი იყო, მოწმენდილი, მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და საცა კი მიიხედავდი, ერთს ფეხის დადგმა მშრალს ადგილს ვერ დაინახავდი. ასე გეგონებოდა, ტყეები პირდაპირ წყალში ატეხილაო, წყალი წყაროსავით ამოჩუხჩუხებდა, საცა კი კაცი ფეხს დაადგამდა, ან ეტლი გაივლიდა. დინჯი, აღუშფოთებელი ვურცელიც კი განწირულებაში ჩავარდა.

— უცნაური ქვეყანაა! — ამბობდა წამ-და-უწუმ ვურცელი.—ჩერნიგოვს ახლო ცეცხლი გვემუქრებოდა, აქ ლამის წყალმა დაგვარჩოს!

მართლაც, აქ დედა-მიწა იმის მაგიერ რომ თვისის დანიშნულებისამებრ ფეხის მოსამაგრებელი ყოფილიყო, თითქო აპირობდა გასკდომას და იმათ შთანთქმას, ვინც ზედ ფეხს დააკარებდა.

ჯარები გავიდნენ პრიპეტში; შემდე სიარული უფრო გაძნელდა, რადგან თითქმის ყოველ დღე ახალ-ახალი მდინარე ჩნდებოდა და ახლა იმაში უნდა გასულიყვნენ. რაღა თქმა უნდა, რომ ხიდების ნასახიც არსად იყო. ახლა წვიმამაც მოიდგა ძირი და დაიწყო ცრა. ხალხს ილაჯი გაუწყდა და ყოვლის ღონითა ცდილობდა დაეღწია როგორმე თავი ამ წყეულის ქვეყნიდანა. თავადი სულ აშურებდა ჯარს და ჩქარა სიარულსა თხოულებდა. ბრძანებდა, რომ ეჩეხათ ტყე, ეფინათ გზა ხეებითა და ამ სახით დაუღალავად მიჰყავდა თვისი ლაშქარი ამ საშინელის გზით. ჯარის-კაცნი ჰხედავდნენ, რომ თვით ისიც არა ჰზოგავდა ძალ-ღონეს, მთელის დღეობით იჯდა ცხენზედ და ჩნდებოდა ყველგან, საცა მცირეოდენი რამ გაჭირეება იყო. ამიტომ ვეღარავინ ჰბედავდა ჩივილსა და დრტვინვას, თუმცა კი საშინლად მოიქანცნენ და ილაჯი გაუწყდათ. ან კი როგორ არ უნდა გასწყვეტოდათ ილაჯი, როცა დილით საღამომდე და საღამოდან დილამდე შეუწყვეტლად ასველებდა წვიმა და მუხლებამდე ლაფებში ურევდნენ ფეხებს. მოდი და ნუ დაჰკარგავ სასოებას ამისთანა ყოფაში! ცხენებს ჩლიქები წაუცვდათ და ძლივს მიათრევდნენ ფეხებსა. ქვეითა ჯარი და დრაგუნები ვოლოდიევსკისა იძულებულნი იყვნენ თვით ეთრიათ ზარბაზნები. უკეთესმა რაზმებმა, სქშეტუსკისა და ზაცვილიხოვსკისამ, ცულებს წაავლეს ხელი და ხერგითა და ფიცრითა ჰფენდნენ გზას. საშინელი ლაშქრობა იყო ის ლაშქრობა და მხოლოდ წინამძღოლის შეუდრეკელმა ხასიათმა და ჯარის-კაცთა მხნეობამ სძლია იმ ლაშქრობაში ყოველსავე დაბრკოლებას. მანამდე ჯერ არავის გაებედნა ჯარით გაევლო გაზაფხულ-

ზედ ამისთანა ადგილები. საბედნიეროდ, ამ ლაშქრობის დროს არც ერთხელ თავადის ჯარს მტერი არ დასხმია თავს. იქაურ ხალხს, წყნარსა და მშვიდობიანს, ფიქრადაც არ მოსდიოდა აჯანყება-ამბოხი და შემდეგაც კი იქაურნი მკვიდრნი არ მიემ. ხრნენ ყაზახთა. ამ ჟამადაც მშვიდობიანად ეგებებოდა და აცილებდა მათ ქვეყანაში მიმავალ რაინდებს და მორჩილებით ასრულებდა ყოველსავე, რასაც კი უბრძანებდნენ.

ამის შესაფერად, თავადმა უფრო სასტიკი წესი და რიგი შემოიღო ჯარში, რათა მკვიდრნი არ შეწუხებულიყვნენ და ამიტომ იმის ჯარს უკან არ სდევდა, როგორც ჩვეულებრივ მოსდის ხოლმე სხვის ჯარებს, კვნესა და წყევა-კრულვა.

ბოლოს, ოცის დღის აუტანელ გაჭირვებისა და ჭაპან-წყვეტის შემდეგ, თავადის ჯარი შევიდა აჯანყების ცეცხლით მოდებულს ქვეყანაში. „ერიომა მოდის! ერიომა მოდის!“— გაისმოდა მგრგვინავი ბანივით ხმა მთელს უკრაინაში თვით ყრუ მინდვრებამდე, ჩიგირინამდე, ეგორლიკამდე. „ერიომა მოდის!“—გაისმოდა ყველა ქალაქსა, სოფელსა და დაბა-მოსახლობაში, ხოლო ამ ხმის გაგონებაზედ ცელები, რკინის ფოცხ-ფიწლები და ორთითები თავის-თავად უცვივოდათ ხელიდან გლეხ-კაცებსა, პირისახე უფითრდებოდათ, ბრბონი აბეზართა გარბოდნენ სეჩს, თითქო მგლის ხრონი არიან და მონადირის საყვირის ხმა გაიგონესო; თათარი, რომელიც ძარცვა-რბევისთვის შემოსულიყო ამ ქვეყანაში, ჰხდებოდა ცხენიდან და დედამიწას ადებდა ყურს, ხოლო დაუნგრეველად გადარჩენილ ციხე-დარბაზებში ჰრეკდნენ ზარებსა და ჰგალობდნენ „Te Deum“.

გარნა მრისხანე ლომი დაწვა აჯანყებულ ქვეყნის სამზღვრად და ისვენებდა.

ლომს უნდოდა ძალ-ღონე მოეკრიბნა.

ხმელნიცკი პატარა ხანს იყო კორსუნსა და მერე ისევ თეთრ ეკლესიისაკენ დაიწია; აქ დაარსა მან თვისი სამეფო

ქალაქი. თათრებმა დასცეს თვისი კარვები მდინარე წყალის გაღმა ნაპირს და კალიასავით მოედნენ მთლად კიევის სამოურავოს. პან ლონგინუს პოდბიპენტა ტყუილადა სწუხდა, ვაი თუ თათრის თავები აღარ იყოს მოსაკვეთადაო. დესპანი მიხვდა, რომ იმ იმიერ-ჭორომელებმა, რომელნიც პან პონიატოვსკიმ შეი პყრო კანევს ახლოს, ტყუილი სთქვეს ჩვენების ჩამოართმევაზედ: ტულაი ბეის ფიქრადაც არ მოსდიოდა ჩიგირინიდან ფეხი მოეცვალა; ეს კიდევ არაფერი: ყოველ-დღე ახალ-ახალი ჯარები თათართა ემატებოდა მისს ჯარს. მოვიდნენ, მაგალითად, აზოველნი და აშტარხნელნი, რომელნიც მანამდე არასდროს არ ყოფილიყვნენ პოლონიაში, მოვიდა ნოღაელთა ურდო 12 ათას კაცამდე, აკკერმანელნი და ბუჯაკნი 20 ათასამდე; ეს ბუჯაკნი ოდესმე მოსისხლე მტერნი იყვნენ ყაზახთა და იმიერ-ჭორომეთისა. ბოლოს მოვიდა თვით ხანი ასლანგირეი 12 ათასის პერეკოპელითა. ამ ახალ სტუმართაგან დიდადა ჰკვნესოდა მთლად უკრაინა; დიდი ჭირი და ვაგლახი დააღგა არა ჰარტო შლიახტას, არამედ თვით რუსთა ტომის მკვიდრ ხალხსაცა; თათარნი ცეცხლს უკიდებდნენ იმათ სოფლებს, სძარცვავდნენ ქონებას, ხოლო თვით მკვიდრნი მათის ცოლშვილითა ტყვედ მიჰყავდათ. ამ დროსა სიკვდილისა და სისხლის-ღვრისასას გლეხ-კაცს ერთად-ერთი საღსარი-ღა ჰქონდა ხსნისა; ეს საღსარი ხმელნიცკისთან გაქცევა იყო, იმის ბანაკში მისვლა იყო. თუ მანამდე გლეხ-კაცი განწირულებასა ჰგრძნობდა და მსხვერპლი იყო, იქ მისვლის შემდეგ ჯალათად გადიქცეოდა ხოლმე და თვითონვე ამტუტებდა თავის ქვეყანას; ამ სახით, თუ სხვა სიკეთეს არასა ჰპოვებდა, თვისის არსებობისა და სიცოცხლისათვის მაინც აღარა შიშობდა. საცოდავი ქვეყანა! ამბოხის დაწყებისას აამტუტა ნიკოლოზ პოტოცკიმ, მერე თათრებმა და იმიერ-ჭორომელებმა, რომლებიც ვითომ მის გასათავისუფლებლად მოვიდნენ, ხოლო ახლა ემუქრებოდა საშინელი ლანდი ერემია ვისნევეცკისა.

და აი მირბოდნენ ხმელნიცკისთან ყველანი, ვისაც კი შეეძლო გაქცევა, მირბოდა შლიახტაც კი, იმიტომ რომ სხვა

ლონე ირ იყო ხსნისა. ამ გარემოების წყალობით, ხმელნიცკის ჯარი თან და თან მატულობდა, და თუ ჯერ რესპუბლიკის შუა-გულ არ შესულიყო, თუ ასე დიდ ხანს იდგა თეთრ-ეკლესიასთან, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ უნდოდა, იქნება როგორმე წესსა და რიგში ჩავაყენო ეს ამოდენა განადირებული ბრბო ჩემთა მომხრეთა და თანამეომართაო.

იმისმა მძლავრმა ხელმა სწრაფად გასწურთნა ეს ათასის მილეთის ხალხი და საომარ ლაშქრად გადააქცია. ჯარები მზად იყო, რადგან გამოცდილნი იმიერ-ჭორომელნი მზა-მზარეულნი აფიცრები იყვნენ. ბრბო განაწილებულ იქმნა პოლკებად, რომელთაც პოლკოვნიკებად დაენიშნათ კაშევი ატამანები. თვითეული რაზმი ყოველ-დღე იგზავნებოდა სათარე'მოდა და ციხე-დარბაზთა შესამუსრავად და თან ომში გამოსაცდელად. ახალნი ჯარის-კაცნი მალე შეეჩვევნენ თავიანთ ახალს ყოფას; წინადაც კი ენახათ თათართა თავ-დასხმა, წინადაც კი უდგნენ პირის-პირ აუცილებელს დალუპვას, საშინელს სიკვდილს.

ორმა პოლკოვნიკმა, განჟამა და ოსტაპმა, დაიპყრეს ნესტერვარი და სულ ერთიანად ამჟლიტეს თავად-აზნაურობა და ებრაელნი. თავადს ჩეტვერტინსკის მისმავე მეწისქვილემ მოჰ. კვეთა თავი ციხე-დარბაზის კარის ზღრუბლზედა, ხოლო კნეინა ტყვედ შეიპყრო ოსტაპმა. სხვა ბელადნი ყაზახთა სხვა მხარეს მიდიოდნენ და ყველგან ასევე გამარჯვებულნი იყვნენ, „ლიახთა“ გული „შიშმა შეიპყრო, მაშინ როდესაც ამ ერმა არ იცის, შიში რა არის“. ახლა კი ისეთი თავზარი დაეცათ, რომ იარაღი სცვივოდათ ხელიდან და ხელები უკანკალებდათ სისუსტითა.

პოლკოვნიკები არა ერთხელ აქეზებდნენ ხმელნიცკის: „რას უყურებ, რომ ვარშავზედ არ მიიტან იერიშს, ითვრები არაყითა და დროს აძლევ ლიახებს, რომ გონზედ მოვიდნენ და ლაშქარი შეჰკრიბონო? არა ერთხელ დაუწყვია ერიამული ღამ-ღამობით ბრბოს, შემოჰრტყმია გარშემო ხმელნიცკის სადგურს და მოუთხოვნია ჭექა-ქუხილით: „ლიახთა ამოჟლეტა გვწყურიან, წაგვიყვანეო“. ხმელნიცკიმ გააზვიადა საქმე ამბოხებისა

და დიდი, საშინელი ძალა მისცა, ხოლო ახლა თვითონვე დაინახა, ეს ძალა სადღაც განურკვეველ მომავალისაკენ მიმაქანებსო, ცდილობდა შთაეხედნა იმ უფსკრულში, რომელსაც უშველებელი პირი დაეღო მის წინაშე და გული აჩქარებულის მოუსვენრობით უცემდა უნებურად.

თვისს პოლკოვნიკ-ატამანებ შორის მხოლოდ იმან იცოდა, რაოდენ საშინელი ძალა იფარეოდა რესპუბლიკაში, რომელიც დღეს დასუსტებული და დაუძლურებული ეგონებოდა კაცს. მან ალმართა დროშა ამბოხებისა, გაიმარჯვა ყვითელ-წყლებთან, გაიმარჯვა კორსუნთან; გაჰფანტა და ამოჰქლიტა სახასო ჯარები... მაგრამ მერე?

შეჰკრებდა სათათბიროდ პოლკოვნიკებს, ბრიალით მოავლებდა თავისს დასისხლიანებულს თვალებსა, რომლის წინაშე ყველანი თრთოდნენ, და დაღვრემილი ეკითხებოდა ერთსა და იმავეს:

— ახლა რაღაი? რაღა გინდათ? ვარშავაზედ მივიტანოთ იერიში? მოვა მერე თავადი ვისნევეცკი, ამოსწყვეტავს ჩვენს ცოლშვილს და გრიგალივით აამტუტებს ქვეყანას, მერე შემოიკრებს შლიახტას და შემოგვიტევს. ჩავვარდებით ორ ცეცხლ შუა და, თუ ომში არ დავიხოცენით, მარგილებზე ჩამოგვაცვამს... თათრების მეგობრობის იმედი ტყუილია. ისინი დღეს ჩვენთან არიან, ხვალ ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედებენ; გაბრუნდებიან და წავლენ ყირიმს, ან ახლა პანებს მიჰყიდიან ჩვენს თავს... რაღა იქნება შემდეგ? სთქვით!... მივეტევნეთ ვისნევეცკის? მარტო ის შეგვაყენებს კარგა ხანს, ამასობაში რესპუბლიკის ჯარი თავს მოიყრის და ერემიას მიეშველება... ირჩიეთ, როგორც გინდათ!

და შეშფოთებული პოლკოვნიკები მდუმარებდნენ, ხოლო ხმელნიცკი განაგრძობდა:

— რას გაჩუმდით უცბად? რატომ არ ითხოვთ კვლავ ვარშავას წავიდეთო? როცა არ იცით, რა მოიქმედოთ, მე მომენდეთ, ხოლო მე, თუ ღმერთი შემეწია, გადავარჩენ ჩემს თავ-

საცა და თქვენსასაცა, უზრუნველ-ვჰყოფ ყაზახთა მომავალსაცა და მთლად იმიერ-ჭორომეთის ჯარსაცა.

ერთი რამ ღონე კიდევ იყო: მშვიდობიანი მორიგება. ხმელნიცკიმ კარგად იცოდა, რამდენს გამოსცინცლავდა ამ გზით რესპუბლიკას. დარწმუნებული იყო, რომ სეიმები უფრო ბევრის დათმობას იტვირთებდნენ, ვიდრე ხანგრძლივს ომს, რომელსაც აუარებელი ხარჯი მოუნდებოდა. მერე ვარშავაში ძლიერი დასია თვით მეფის მოთავეობით *), რომელსაც გულით უნდა შეაკვეცოს ფრთა უკრაინის მაგნატების ძლიერებას და თავისკენ მიიმხროს ყაზახნიო. ამ გარემოებათა შორის ხმელნიცკის შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ იქნება საგეტმანო კვერთხი თვით მეფემ ჩამაბაროსო.

აი მიზეზი იმისი, რომ ხმელნიცკი ისე დიდ ხანს იყო გაჩერებული თეთრ-ეკლესიაში. ამასობაში თვისს ჯარს აძლიერებდა, თოფ-იარაღში სვამდა, ბრძანებას ბრძანებაზედ ჰგზავნიდა აქეთ-იქით, დიდს ლაშქარს ამზადებდა, ციხე-დმრბაზებს ალყას არტყამდა. ხმელნიცკიმ იცოდა, რომ რესპუბლიკა მხოლოდ ყოველად ძლიერს მტერს დაუწყებს მოლაპარაკება-მორიგებასაო.

ოჰ, ეგ სურვილი რომ შემისრულდეს! მაშინ მახვილი თავის-თავად დაუვარდება ხელიდან თავად ვისნეველის, ხოლო თუ ასე არ მოჰხდა, იმ შემთხვევაში მე კი აღარ ვიქნები მეამბოხე, წინააღმდეგი მეფისა და სეიმებისა, არამედ თავადი ვისნეველიო.

მაშინ ვეკვეთები ვისნეველის, მაგრამ უკვე მეფისა და რესპუბლიკის ბრძანებით და მაშინ დადგება უკანასკნელი ჟამი არა მარტო თავადისათვის, არამედ უკრაინის ყველა დიდებულ მღურავ-გეტმანებისათვის.

ასე ოცნებობდა არა-მკითხე იმიერ-ჭორომელი გეტმანი, ასეთს ტკბილს ზმანებაში იყო გართული. მაგრამ ამ ზმანებათა მწვერვალებზედ ხშირად მოიკრიბებოდა ხოლმე შავ-ბნელი გუნ-

*) 12 ივლისს თეთრ-ეკლესიაში ჯერ არ იცოდნენ მეფის სიკვდილის ამბავი.

დი მწუხარებისა, ეჭვისა, შიშისა და ბოროტის ხმით თავს დასჩხაოდა.

ვითომ საკმაოდ ძლიერი კია ვარშავაში დასი მშვიდობიანობისა? დამიწყებენ კი ვითომ მორიგებასა? რას იტყვის სეიმი და სენატი? ვითომ ბამბას დაიცობენ ყურებში და არაფრად ჩააგდებენ უკრაინის კენესასა და ძახილს, გვიშველეთო! ვითომ თვალებს დაიბრმავებენ და არ დაინახავენ ამ ცეცხლ-წაკიდებულ ქვეყნის ვაებას? ვითომ იმ დასს არ აჯობოს პანების დასმა, რომელსაც აქ აუარებელი ქონება აქვთ, ვითომ არ წამოვიდნენ ამ ქონების დასაცველად? დავიჯერო რესპუბლიკა ისეა შეშინებული, რომ თათრებთან დაამხანაგებასა და დაკავშირებასაც კი დამითმობს?

მეორეს მხრით ხმელნიცკის გულს სწვავდა ის ეჭვი, მეტის-მეტად ხომ არ აღვაგზნე ცეცხლი ამბოხებისაო? ნებას-ღა მომცემს, ეს განადირებული სიმრავლე ათასის მილეთის ხალხისა, რომ მისთვის ასეთი თუ ისეთი წესი და რიგი იქმნას დადგენილი? კარგი, ვსთქვათ, მე ზავი დაედე, ყაზახნი მაინც თავისს აეკაცობასა და თარეშობას არ დაიშლიან, ან არა-და ჩემზედ ამოიყრიან ჯავრს, თუ იმედები გაუმტყუნდათ. ეს ამოდენა ბრბო ხომ ადიდებული მდინარეა, ზღვაა, გრიგალია! საშინელებაა ჩემი ყოფა! ამაზედ სუსტი რომ ყოფილიყო ეს აფეთქება, ჩემთან, როგორც უძლურთან, არავითარს მორიგებასაც არ მოინდომებდნენ; ახლა კი, როცა აჯანყებამ მიაღწია უმწვერვალესობამდე, მოლაპარაკებაც სიკეთეს აღარას მოიტანს.

მერე.... რა იქნება მერე?

როცა ასეთი ფიქრი ტყვიასავით შემოაწვებოდა გეტმანის გულს, ჩაიკეტავდა კარს თავისს სადგურში და სვამდა დღე და ღამ. მაშინ პოლკოვნიკებსა და მიდამოთა შორის გავარდებოდა ხმა: „გეტმანი სვამსო“ და იმის წახედვით დაიწყებდნენ სმას ყველანი, წესი და რიგი სუსტდებოდა, ტყვეებს ჰხოცავდნენ, საშინელს ჩარბუზანას აბამდნენ. თეთრი ეკლესია ჯოჯოხეთად გადიქცეოდა ხოლმე.

ერთხელ შეევიდა მთვრალ გეტმანთან ვიგოვსკი, შლიახტიჩი, კორსუნში დატყვევებული და ახლა გეტმანის მდივნად მყოფი. შეევიდა და დაუწყო კადნიერად ბანჯღალი გეტმანსა, ბოლოს დასვა ნაბადზედ და, როგორც იყო, გონებაზედ მოიყვანა.

— რა ამბავია, რა მოჰხდა?—ჰკითხა ხმელნიცკიმ.

— აბძანდით, პან გეტმანო, და მოდით გონსა,—უპასუხა ვიგოვსკიმ.—ელჩები გეახლნენ.

ხმელნიცკი უცბად წამოხტა ფეხზედ და იმ წამსვე გამოფხიზლდა.

— ეი!—შეუძახა ყაზახს, რომელიც იქვე კარებში იჯდა,—მომიტა მანტია, ქუდი და კვერთხი!... ვინ მოვიდნენ? ვისი გამოგზავნილები არიან?

— გუშჩელი ქსენძი, პატრონიი ლასკო, ბრაცლავის პან მოურავისაგან არის გამოგზავნილი.

— პან კისელისაგან?

— დიაღ.

— დიდება მამასა და ძესა, დიდება სულსა წმიდასა და ყოვლად-წმიდასა!—იწერდა პირჯვარს ხმელნიცკი. და სახე გაუბრწყინდა... მოლაპარაკება უნდათ ალბად, ძლიეს!

მაგრამ, ეაი, რომ იმ დღესვე სულ სხვა ამბავი მოვიდა, მოიტანეს ამბავი, რომ თავადმა დაასვენა თავისი ჯარები, რომელიც დაღალულიყო ტყეებსა და ჭაობებში სიარულითა, შეიმოესია ახლა აჯანყებულ ქვეყანას და სულ ნაცარ-ტუტეს ადენსო; რომ ერთმა რაზმმა, სქშეტუსკის მოთავეობით გაგზავნილმა, სძლია, ორი ათასი ყაზახთა ჯარი და სულ ამოსწყვიტა ერთიანადაო, რომ თვით თავადმა იერიშით აიღო პოგრებიშჩი, თავად ზბარასკების საკუთრება და არავინ აღარ დაინდოვო. საშინელს ამბებს ამბობდნენ პოგრებიშჩის აღების თაობაზედ, ხოლო ეს ადგილი ბუდე იყო თავზედ ხელ-აღებულ მძარცველთა და კაცის მკვლელთა. თავადმა უთხრა ჯარისკაცთა: „დაჰხოცეთ ეგენი ისე, რომ ჰგრძნობდნენ, ვკვდები-

თო",*) და მისთა ჯარის-კაცთაც, არ გაგონილა, რა საშინელი სიმხეცე გამოიჩინესო. მთელი ქალაქი ისე აიკლეს, რომ ერთი ალარ გადარჩენილა. ცოცხალი. შვიდასი ტყვე ჩამოარჩეს, ორასი მარგილებზე ჩამოაცვეს. ხმა დადიოდა, რომ ზოგს თვალები დაუხვრიტეს შამფურებით, ზოგს კიდევ ნელ ცეცხლზედ სწვავდნენო, ამბოხება უცებ დასცხრა იმ ადგილის არე-მარეზეო. მცხოვრებნი ან ხმელნიცკისთან ივლტოდნენ, ან მუხლმოდრეკილნი ეგებებოდნენ ლუბნის ბატონს და ევედრებოდნენ შეწყალებას. წვრილ-წვრილი ბრბონი ყაზახთა სულ განადგურებულ იქმნენ, ხოლო ტყეებში, როგორც ამბობდნენ ლტოლვილნი სამგოროდკისა, სპიჩინისა, პლესკოვისა და ვახნოვსკისა, ერთი ხე ალარ იყო დარჩენილი, რომ ზედ ყაზახი არა ყოფილიყო ჩამორჩობილიო.

და ყოველსავე ამას ითმენდა ხმელნიცკი, რომელიც იქვე ახლო იდგა ბანაკად თვისის რიცხვ-მრავალის მხედრობითა.

ხმელნიცკიმ რომ ეს გაიგო პირველად, საშინლად განრისხდა და დაჭრილი მხეცივით დაიწყო ღრიალი. ერთის მხრით მოლაპარაკება უნდოდათ და ზავის ჩამოგდება, მეორეს მხრით მახვილი მოციქულობდა. წავიდე და ვეკვეთო თავადს, იფიქრებენ, რომ არ მინდა მივიღო ის პირობა, რასაც პან კისელის ელჩნი მეუბნებიანო.

ერთად-ერთი იმედი თათრებზედ-ღაალ. ხმელნიცკი ტულაიბეისთან გაიქცა.

— ტულაი-ბეი,ჩემო მეგობარო!—დაიწყო ხმელნიცკიმ ჩვეულებრივის სალამ-ქალამის შემდეგ,—ერთხელ უკვე დამიხსენი ყვითელ წყლებთანა და კორსუნში, დამიხსენი ახლაცა. ეს არის ეხლა მოვიდა ელჩი ბრაცლავის მოურავისა და მომიტანა წერილი. მწერენ, რომ თუ სისხლის-ღვრას შესწყვეტავ, შეგიწყალებენ და დაგაჯილდოვებენო, ხოლო იმიერ-ჭორომელთ ძველებურ თავისუფლებას დაუბრუნებენო. უნდა ასე მოვიქცე და დავანახვო, რომ მშვიდობის წინააღმდეგი არა ვარ.

*) რუდოვსკი ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები ნემიროვში იქმნა თქმულიო.

მაგრამ ამასობაში ჩემმა მტერმა, თავადმა ვისნეეეკიმ აიკლო პოგრებიშჩი და ცოცხალი აღარავინ დასტოვა; ჩემს ყაზახებს ჰხოცავს, თვალებსა სთხრის, მარგილზედ აცვამს. მე დრო არა მაქვს, რომ იმას გავუმკლავდე, ამიტომ მოვედი შენთან და გთხოვ ეკვეთო ჩვენს საერთო მტერს, თორემ მალე თვით ის დაესხმის თავს ჩვენს ბანაკსა და ბარგი-ბარხანის ურმებსა.

მურზა იჯდა ხალიჩების გროვაზედ, რომელიც კორსუნში წაერთმია დაძლეულთათვის, ან თავად-აზნაურთა სახლებიდან დაეტაცნა და ქანაობდა თვალებ-დახუჭული, თითქო რაღასაცა ჰფიქრობსო.

— ალლაჰ! — სთქვა მან ბოლოს. — მე მაგ საქმეს ვერ ვიტვირთებ.

— რატომა?

— უიმისოდაც ბევრი ბეი და ჩაუში გავწირე შენის გულისათვის თეთრ წყლებთანა და კორსუნში, ახლა სხვები რაღად უნდა გავწირო? ერიომა დიდებული მეომარია! მეც მაშინ წამოვალ იმასთან საომრად, როცა შენც წამოხვალ, მარტო კი არას დროს. არც ისე ტუტუცი ვარ, რომ ერთს ომში დავკარგო ყოველივე, რაც მოვიპოვე ღღემდე. ისა სჯობიან, რომ ჩემი ხალხი გავგზავნო დავლისა და ტყვეების საშოვრადა. ისიცა კმარა, რაც მე თქვენთვის, თქვენისთანა უმადურ ძაღლებისათვის, მოვიქმედე. არც მე წავალ თავადთან საომრად და არც ხანს ვურჩევ. ვსთქვი და გავათავე.

— ფიცი გაქვს მოცემული, შემწეობა მაძლიო.

— დიალ, ფიცი მაქვს მოცემული, რომ ვიომო შენთან ერთად და არა შენ მაგიერ. გამეცალე აქედან!

— ნება რომ დაგრთე და ტყვეები მოჰკრიბე ჩემს ხალხში? ეს დავლა ხომ მოგეც, გეტმანები?

— შენ რომ არ მოგეცა, მე თვითონ მიეცემდი ჩემს თავს.

— ყველთან წავალ, მაშ.

— ნუ სულელობ, ემანდა, აქედან დამეკარგე-მეთქი! — და მურზას წვეტიანმა კბილებმა თეთრად გამოანათა იმის თხელ ულვაშებ ქვეშიდან.

ხმელნიცკი მიხვდა, მე აქ ვერას გავარიგებ, მეტს ხანს დარჩენა საშიშიც არისო, ადგა და გასწია ყეენთან.

მაგრამ ყეენმაც იგივე უპასუხა. თათრებს თავისებური ჭკუა არ აკლდათ და ყველგან ხეირს ეძებდნენ. იმის მაგიერ, რომ ძნელად გასაბედი ომი დაეწყოთ უძლეველ გმირთან, ისევ იმასა რჩეობდნენ, რომ სისხლ-დაუღვრელად შეეძინათ ქონება და სიმდიდრე.

გაცეცხლებული ხმელნიცკი დაბრუნდა სახლში და ის-იყო წაველო კიდეც ხელი არაყით სავსე ბოთლს, მაგრამ ვიგოვსკიმ ძალით წაართვა.

— მაგის დალევა არ იქნება, ბრწყინვალეო ატამანო,— უთხრა მდივანმა.—ელჩი აქ არის, ჯერ ის უნდა გაისტუმროთ.

ხმელნიცკის სულ დორბლები სცვიოდა სიბრაზითა.

— შენცა და იმ შენს ელჩსაც ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოგაცვან, გესმის თუ არა?

— არაყს მაინც არ დაგანებებთ. სირცხვილი არ არის, რომ ბედმა ასე აღგამაღლათ, და თქვენ კი ისე გინდათ გასკდეთ და გატყვრეთ, თითქო უბირი ყაზახიაო? ფუ, ფუ, ბატონო გეტმანო, ეგ შეუძლებელია. ელჩის მოსვლის ხმა ყველგან გავარდა უკვე ჯარი და პოლკოვნიკები თხოულობენ, რომ სათათბიროდ შეიკრიბნენ თავნი კაცნი. თქვენ ეხლა სმას კი არ უნდა ეტანებოდეთ, საქმეს უნდა აშურებდეთ, რომ დრო ხელიდან არ წაგივიდეთ. ახლა შეგიძლიან ზავი ჩამოაგდოთ და იმას მიაღწიოთ, რაც თქვენი სურვილია. მერე კი გვიან-ღა იქნება.... ხოლო დღეს ამაზედ არის დამოკიდებული ჩემი სიცოცხლეცა და თქვენიცა. თქვენ ეხლა იმას უნდა ცდილობდეთ, რომ ელჩნი გაჰგზავნოთ ვარშავას და სთხოვოთ შეწყალება, პატივება...

— ჭკვიანი გოგრის პატრონი ხარ, როგორც გატყობ,— მოტკბა ახლა კი ხმელნიცკი.—უბრძანე დაჰრეკონ ზარი და შემოჰკრბენ სათათბიროდ; პოლკოვნიკებსაც გამოუცხადე მოედანზედ, რომ მეც ეხლავე მოვალ.

ვიგოვსკი წავიდა. ერთს წუთს შემდეგ გაისმა რეკა სათათბირო ზარისა და იმიერ-ჭორომეთის ჯარმა იწყო შემოკრება.

მოვიდნენ სპასპეტნი და პოლკოვნიკები: საშინელი კრივანოსი, მარჯვენა ხელი ხმელნიცკისა, ქშეჩოვსკი, ყაზახთა მახვილი, ხნიერი და გამოცდილებით დაბრძენებული ფილონ ძეძიალა, კრაპივნიცკის პოლკოვნიკი, თეოდორე ლობოდა პერეიასლაველი, მძვინვარე თედორენკო კალნიცკი, ნადირი პუშკარენკო პოლტაველი, შულეიკო, გულ-სწრაფი გადიაჩელი ჩარნოტა, ჩიგირინელი იაკუბოვიჩი, ნოსაჩი, გლადკი, ადამოვიჩი, გლუხი, პულიანი, პანიჩი,—არა ყველანი, რადგან აქეთ-იქით იყვნენ წასულნი, ხოლო ზოგნი თავადმა ერემიამ გაჰგზავნა საიქიოს.

თათრები არ მიიწვიეს სათათბიროდ. „ამხანაგობა“ შეიკრიბა მოედანზედ; მოჯარებულს ბრბოს ჯოხებითა ჰრეკავდნენ, ხან რკინის კომბლებითაც და ამასობაში რამდენიმე კაციც კი შემოაკვდათ.

ბოლოს, გამოჩნდა თვით ხმელნიცკიცა, მდიდრულად ჩაცმული, კვერთხით ხელში, ქუდ-დახურული. მასთან ერთად მოდიოდა თოვლივით გათეთრებული პატრონი ლასკო, მართლმადიდებელი მოძღვარი და ვიგოვსკი, რომელსაც ქაღალდები ეჭირა ხელში.

ხმელნიცკი ხმა-ამოუღებლივ დაჯდა პოლკოვნიკებ შორის. მერე მოიხადა ქუდი ნიშნად იმისა, რომ კრება დაიწყოვო, წამოდგა და ასე დაიწყო:

— ბატონო პოლკოვნიკებო და ატამანებო! თქვენ უწყით, რომ ჩვენის აუტანელის შევიწროებისა და დაჩაგვრის გამო, იძულებულნი ვიყავით იარაღისათვის მოგვეკიდნა ხელი და მისის უდიდებულესობის და ყირიმის მეფის შეწევნით დაგვებრუნებინა ჩვენის ყოვლად-მოწყალე მეფის უდასტუროდ პანების მიერ წართმეული თავისუფლება და უპირატესობანი ჩვენი. ღმერთმა მოგვხედა და შიში მისცა ჩვენს მტარვალებს, დასაჯა უსამართლობისა და გულ-ქვაობისათვის, ხოლო ჩვენ მოგვანიჭა გამარჯვება, რისთვისაც მხურვალე მადლობას აღვავლენთ მის ტახტისადმი. როცა ქედ-მაღლობა ღირსეულად დასჯილია, ჩვენი ვალია ვიზრუნოთ, როგორ შესწყდეს ქრისტეანთა სისხლის ღვრა; ამას გვიბრძანებს თვით მოწყალე ღმერთი და წმინ-

და ეკლესია; გარნა ნუ განუტევებთ მახვილს ჩვენთა ხელთაგან იმ დრომდე, ვიდრე მის უდიდებულესობისა, მეფისა ჩვენისა ნებითა არ დაგვიბრუნდება ჩვენი წინანდელი თავისუფლება და უპირატესობანი. ახლა მწერს პან მოურავი ბრაცლავისა,—და თვით მეც ასე ვფიქრობ,—რომ თქვენ კი არა, ბატონი პოტოცკები, ჯალინოვსკები, ვისნეველეცკები და კონეცპოლსკები გარდახდნენ მეფის ბრძანებასა და არ ემორჩილებიან რესპუბლიკასაო. და რადგან ჩვენ დავსაჯეთ ისინი, ამიტომ გველის პატივება და ჯილდო სამშობლოსგან. გთხოეთ, მეგობარნო და ჩემნო კეთილის-მყოფნო, წაიკითხოთ წერილი, რომელიც მომიტანა ბრაცლავის დიდებულ მოურავისაგან მამა პატრონიი ლასკომ, მართლ-მადიდებლის სარწმუნოების შლიახტიჩმა. ბრძნულად განსაჯეთ, როგორ შევწყვიტოთ ქრისტეანეთა სისხლის ღვრა და ღირს ვიქმნეთ შეწყალებისა და ჯილდოსი ჩვენის ერთგულებისა და მორჩილებისათვის წინაშე რესპუბლიკისა.

ხმელნიცკი იმას კი არა ჰკითხავდა კრებას, განვაგრძოთ ომი, თუ არაო, არამედ პირდაპირ თხოულობდა, მის გათავებას. მაშინვე გაისმა ხმა წინააღმდეგობისა, რომელიც ბოლოს საშიშ მუქარა-დრტვინვად გადაიქცა. უფრო მეტად ცხარობდა ჩარნოტა.

ხმელნიცკი სდუმდა და მხოლოდ მოწინააღმდეგეთა სახელებს იხსომებდა.

ვიგოვსკი წამოდგა და წერილის წაკითხვა დააპირა. ზორკომ მისი პირი წაიღო, რომ „ამხანაგობისათვის“ წაეკითხა. აქაც დიდი მდუმარება ჩამოვარდა.

დიდებული მოურავი ასე იწყებდა თვის წერილს:

„პან უფროსო რესპუბლიკის საიმიერ-ჭორომეთის ჯარისაო, ძველო ჩემო მეგობარო და ამხანაგო!

„თუმცა ბევრნი რესპუბლიკის მტრადა გსახავენ, მე, პირიქით, არა თუ მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ შეურყეველი ერთგულება გაქვთ სამშობლოსი, არამედ ბატონ სენატორებსაც და ჩემს ამხანაგებსაც ვარწმუნებ ამ აზრზედა. პირველად იმიტომ, რომ დნეპრის ჯარი ათანან-ბაბადან იცავს თვისთა

უფლებათა და თავისუფლებას და ამასთანავე ერთგულობს მუდამ მეფესა და რესპუბლიკას. მეორედ, ჩვენის რუსეთის ერი იმდენად თავდადებულია მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისათვის, რომ მზაა სიცოცხლე გასწიროს მისთვის. მესამედ, გრიგალი სხვადა სხვაა ხოლმე (როგორც ეხლა, მაგალითად, ღვთისა ნებითა მოვლენილი), სისხლი ძმათა იღვრება, გარნა სამშობლო ერთი და იგივეა ყველასათვის. ამ სამშობლოში დავიბადეთ, გვაქვს ჩვენი უფლებანი და არც არის დედა-მიწის ზურგზედ ისეთი ქვეყანა, სადაც უფრო მეტი თავისუფლება იყოს, ვიდრე ჩვენში. ამიტომა გვაქვს ჩვეულებად დაცვა ჩვენის სამშობლოსი და თუმცა ხანდახან ამ გზას გადვუხვევთ ხოლმე ასე თუ ისე, გონება მაინც ამცნევს ყველას, რომ ისევ თავისს თავისუფალ სამშობლოში იცხოვროს კაცმა, ვიდრე სხვის მონობაში ჩაგდოს თვისი ქვეყანაცა და ჩავარდეს თვითონაცა“

ლობოდამ გააწყვეტინა მდივანს კითხვა წერილისა.

— მართალს ამბობს,—სთქვა მან ხმა-მაღლა.

— მართალს ამბობს,—განიმეორეს სხვა პოლკოვნიკებმაცა.

— ტყუილია, სცრუობს ეგ ძაღლი, ეგა!—დაიგრიალა ჩარნოტამ.

— ხმა გაიწყვიტე! შენ თვითონ ძაღლო!

— თქვენ მოღალატენი ხართ, გასწით, დაიღუპენით!

— მოვისმინოთ, მოვისმინოთ! წაიკითხეთ! ის ჩვენი კაცია! წაიკითხეთ!

არეულობა დიდი ატყდა და სახუმარო საქმე აღარ იყო, მაგრამ ვიგოვსკიმ კვლავ დაიწყო კითხვა და ყოველივე დადუმდა.

პან მოურავი სწერდა შემდეგ, რომ იმიერ-ჭორომეთის ჯარი უნდა მერწმუნებოდეს, უნდა მენდობოდესო; მეც მაგათისავე სარწმუნოებისა და გვარტომობის კაცი ვარ და ამიტომ მეც მოვალე ვარ კეთილის გულით ვეკიდებოდე მაგათაო. სწერდა აგრედვე, რომ მე მონაწილე არა ვყოფილვარ სრულიად იმ საუბედურო სისხლის-ღვრისა, რომელიც მოჰხდა

კუმეიკთან და სტარცთანა; ბოლოს ეეედრებოდა ხმელნიცკის, შესწყვიტე ომი, განუტევე თათარნი, ანა და მიაქციე მათზედ იარაღი და იყავ მტკიცე რესპუბლიკის ერთგულებაზედაო. წერილი თავდებოდა შემდეგის სიტყვებითა:

„აღგითქვამთ, ვითარცა ძე მართლ-მადიდებლის ეკლესიისა და რუსეთის ერისა, რომ თვითვე ვეცდები ყოველსავე კეთილს თქვენთვის. კარგად იცით, რომ, ღვთის მადლით, ცოტა-რამ ჩემზედაც არის დამოკიდებული რესპუბლიკის საქმეთა მართვაში; უჩემოდ არ შეიძლება გადაწყდეს ომი თუ მშვიდობა, ხოლო მე პირველს არა მსურს შინაური შფოთი და ამბოხი“ ect.

დამსწრენი ორ დასად განიყვნენ, თუმცა საზოგადოდ წერილი მოეწონათ პოლკოვნიკებსაცა და „ამხანაგობასაც“ კი. თუმცა ასე იყო, პირველში მაინც კაცი ვერას გაიგებდა, ისეთი ზრიალი ატყდა. „ამხანაგობა“, შორიდან რომ შეეხედნა კაცს, ისე ეჩვენებოდა, თითქო ქოჩქოჩანაა, რომელშიც ღურღუმალაობდა ბრბო და გაჰქონდა ჟრიამული. საითაც გაიხედავდა ადამიანი, ყველგან დასისხლიანებულსა და დაბრაწულს თვალებს დაინახავდა; ზოგი სულ დორბლებსა ჰყრიდა პირიდან. ყველა იმათი წინამძღოლი, ვინც ომის განგრძობასა თხოულობდნენ, იყო ერაზმ ჩარნოტა, რომელიც ისე იყო ატაცებულ-ალესილი, რომ აღარა ეყურებოდა-რა. ხმელნიცკი ამას რომ ჰხედავდა, აღარა დაუკლდა-რა და კინაღამ იფეთქა იმისმა გაონავრებულმა სიბრაზემ, რომლის წინაშე ყოველივე დადუმდებოდა ხოლმე, როგორც წინაშე ლომის გრგვინვისა. მაგრამ ქშეჩოვსკიმ იმას აღარ დაუცადა, თვით შეხტა ტახტზედ, გაიქნია ხმალი შხივილითა და შესძახა ქუხილისა სიტყვებითა:

— თქვენ უნდა მენახირეებად იდგეთ და საქონელსა მწყემსვიდეთ და არა სათათბირო კრებაზედ ესწრებოდეთ, თქვე მზაკვარნო მონანო!

— ჩუთ! ქშეჩოვსკის უნდა ლაპარაკი! — დაიძახა პირველადვე ჩარნოტამ.

იმას ეგონა, რომ ქებული პოლკოვნიკი ომის სასარგებლოდ იღაპარაკებსო.

— ჩუთ, ჩუთ!

ქშეჩოვსკის დიდს პატივსა სცემდნენ ყაზახნი, პირველად, იმიტომ რომ დამსახურება მიუძღოდა და სამხედრო ნიჭი ჰქონდა, ხოლო მეორედ,—საკვირველი ამბავია!—იმიტომ რომ შლიახტიჩი იყო. ყველამ ხმა გაკმინდა და ელოდნენ, ენახოთ, რას იტყვისო. თვით ხმელნიცკი მოუსვენრობაში ჩავარდა და თვალს არ აშორებდა.

მაგრამ ჩარნოტა შემცდარი იყო. ქშეჩოვსკი თვისის სწრაფის ჭკუით მალე მიხვდა, რომ ახლა შეუძლიან, ან სულ არასოდეს, მიიღოს რესპუბლიკისაგან ის უფროსობა და პატივი, რომლისათვისაც ოცნებობდა. მან მოისაზრა, რომ რაკი ყაზახნი დამშვიდდებიან, უპირველეს ყოვლისა ეცდებიან ჩემის გულის მოგებასაო. პან კრაკოვსკი ტყვედ არის წაყვანილი და ის ხელს ვერ შეუშლისო. აი რა სთქვა ქშეჩოვსკიმ:

— ჩემი საქმე ომია და ცემა ხმლისა და არა სჯა და პეეტრობა, მაგრამ რაკი საქმე სათათბიროდ გახდა, ვგრძნობ, რომ შემიძლიან მეცა ესთქვა ჩემი აზრი, რადგან, თუ მეტად არა, სხვაზედ ნაკლებ არ დამიმსახურებია თქვენი ნდობა. იმიტომ დავიწყეთ ომი, რომ დაგვებრუნებინა ჩვენი წინანდელი თავისუფლება და უპირატესობანი, ხოლო პან მოურავი ბრაცლავისა იწერება, სწორედ აგრეც არისო, მაშ, ან დავიბრუნებთ, ან არა. თუ არ დავიბრუნებთ, ომი უნდა იყოს, თუ დავიბრუნებთ-და—ზავი! უბრალოდ რადა ვღვაროთ სისხლი? დეე, კმაყოფილება მოგვცენ, დავამშვიდებთ მდაბიო ხალხს და ომიც გათავდება; ჩვენმა მამად-მიჩნეულმა ხმელნიცკიმ ყოველივე ბრძნულად მოისაზრა და გვირჩევს დავიჭიროთ მხარე მისის უდიდებულესობისა, რომელიც დაგვაჯილდოვებს ამისათვის, ხოლო თუ პანები წინააღმდეგობას დაიწყებენ, ნებას მოგვცემს ხმა ჩავაკვენდინოთ. აი მაშინ შევუტიოთ ჩვენცა და სულ ზურგზედ ბოლი ავადინოთ. მარტო ერთს რასმე ვერ გირჩევთ, თა-

თრების განტევებას: დეე, ყრუ მინდვრებში დადგნენ, ვიდრე საქმე საბოლოოდ გათავდებოდეს.

ხმელნიცკის სულ გაუბრწყინდა სახე ამ სიტყვებზედ, ხოლო პოლკოვნიკების დიდი უმრავლესობა ჰყვიროდა, ომი უნდა გავათავოთ, დეპუტაცია გავგზავნოთ ვარშავაში, ხოლო პან კისელსა ვთხოვოთ, თვით მოვიდეს ზავის ჩამოსაგდებად. ჩარნოტა მაინც კიდევ ჰყვიროდა და წინააღმდეგობდა, მაგრამ ქშეჩოვსკიმ მრისხანებით დააბღვირა თვალები და სთქვა:

— შენ, ჩარნოტა, პოლკოვნიკო მადიაჩისავ, თხოულობ ომი, ომიო და როცა კორსუნთან გეკვეთა გვარდია დმოხუვსკისა, მაშინ კი გოჭივითა ჭყიტინებდი: „არიქა, ძმანო, გვიშველეთ, დაგვიხსენით სიკვდილისაგანაო“! და გარბოდი მთელის პოლკის წინაშე.

— სტყუი!—დაიღრიალა ჩარნოტამ. —მე არც შენი მეშინიან და არც ლიახებისა.

ქშეჩოვსკიმ მოუჭირა ხელი ხმლის ვადასა და გაექანა ჩარნოტასაკენ, მაგრამ წინ გადეღობნენ და დაიფარეს მადიაჩელი პოლკოვნიკი. კვლავ საშინელი უწესობა ატყდა. „მოედანზედ“ „ამხანაგობა“ ისე გვრგვინავდა, თითქო ჯოგია გარეულის ზუბრებისაო. მაშინ წამოდგა თვით ხმელნიცკი.

— ბატონო პოლკოვნიკებო!—დაიწყო მან, —თქვენ გადასწყვიტეთ გაჰგზავნოთ ელჩნი ვარშავას და დააძოწმოთ ერთგულება ჩვენი მისის უდიდებულესობის მეფისა და რესპუბლიკის წინაშე და სთხოვოთ დაჯილდოვება. გარნა ვისაც უნდა ომი, იხილავს კიდეც ომს არა მეფესა და რესპუბლიკასთან,— ჩვენ არც ვომობდით იმათ წინააღმდეგ,—არამედ ყოვლად დიდს ჩვენს მტერთან, რომელმაც სისხლით შესვარა მთლად ყაზახთა მხარე, რომელმაც ჯერ ისევ სტარცს ახლოს იბანავა უბრალოდ დაღვრილ სისხლში და დღესაც არ ანებებს თავს ამისთანა საქმეს. მივწერე წერილი და ვთხოვ, ნუ განრისხდები, დამშვიდდი-მეთქი, ხოლო მან უღვთოდ მოჰკლა ჩემი ელჩები და არავითარი პასუხი არ მომცა ჩემის წერილისა; ამით, რა თქმა უნდა, დიდი შეურაცხყოფა მოაყენა მთლად იმიერ-ჟო-

რომეთის მხედრობას. ახლა გამოვიდა დნეპრის გაღმამხრიდან, აიკლო პოგრებიშჩი, ამოსწყვიტა უდანაშაულო ხალხი, რომლის მწარე ბედისათვის სულ გული მოვიკალ და მდუღარება ვაბნიე. შემდეგ, როგორც დღეს დილით მომიტანეს ამბავი, ესეთივე ბედი ხვდა წილად ნემიროვსაც. თათრებს ერიდებათ იმასთან შებრძოლებისა; იქნება ამასობაში ჩვენც დაგვესხას თავს, რათა ამოვჟლიტო ერთიანადაო, წინააღმდეგ ჩვენის მოყვარულის მისის უდიდებულესობისა და მთლად რესპუბლიკის სურვილისა, იმიტომ რომ ის კაცი ჯოჯოხეთის ქედ-მაღლობით არის ავად და მუდამ მზაა ვისმეს ეჩანაროს, ეღერძ-ეჯავახოს...

გარშემო საშინელა დაყუდება და დუმილი ჩამოვარდა; ხმელნიცკიმ ჩაახველა და განაგრძო:

— ღმერთმა მოგვივლინა ძლევაი გეტმანთა ზედა, ხოლო ის ძე ჯოჯოხეთისა, რომელიც სცოცხლობს მარტო ოდენ უსამართლობითა, უფრო ავი და შავია ყველა გეტმანსა და დიდ მოურავზედა. მე თვითონ რომ გავილაშქრო იმის წინააღმდეგ, უთუოდ ეცდება თვისის ნათესავების შემწეობით მავნოს და უბრალოებასა ჩემს ჩრდილი მიაყენოს მეფისა წინაშე. რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა, მეფემა და რესპუბლიკამ იცოდნენ, რომ მე არა მსურს ომი და ჩემთვინაც ვარ დამშვიდებული, ხოლო ის პირველი გვესხმის თავსა. ამიტომ მე ვერ გავილაშქრებ და უნდა დავრჩე აქ და მოველაპარაკო პან მოურავს ბრაცლავისასა, ხოლო რათა იმ ჯოჯოხეთის შვილმა არ დაგვთრგუნოს, ჩვენ უნდა შევმუსროთ მისი ძალ-ღონე, როგორც ჩვენ შევმუსრეთ ჩვენი მტერნი, პან გეტმანები. არავინ ისურვებს ვითომ თქვენ შორის, რომ იტვირთოს ეს საქმე? ხოლო მე მივწერ მეფეს, ჩემს აქ არ ყოფნაში მოჰხდა მაგისთანა ამბავი-მეთქი, რადგან იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეცვა იმის თავდასხმისაგანა-მეთქი.

ყველანი მდუმარებდნენ.

— ვინც გაჰბედავს და იტვირთებს ამ დიდს საგმირო საქმესა, იმას საკმაოდ ჯარს მივცემ, ზარბაზნებსაც გავატან, რომ

ეგებ ღვთის შეწევნით სძლიოს ჩვენდა მძულვარებით აღსავსე მტერსა.

არც ერთი პოლკოვნიკი არ გამოვიდა წინ და არ იტვირთა ეს საქმე.

— სამოც ათას რჩეულს ჯარს ჩავაბარებ!—ერთხელ კიდევა სთქვა ხმელნიცკიმ.

კვლავ დუმილი იყო პასუხად.

მერე ის ჯარის-კაცნი ხომ, რომლის გატანებასაც ჰპირდებოდა ხმელნიცკი, ფრიად მამაცნი მეომარნი იყვნენ და კონსტანტიეპოლის ზღუდეთა არა ერთხელ შესმენოდა იმათი საომარი ყიჟინი. იქნება ეშინოდათ, ვაი თუ შევრცხვეთ საშინელ თავად ერემიას რომ შეეებრძოლოთო?

— მე ვიცი ერთი კაცი,—განაგრძო წარბ-შერჭმით დაღვრემილმა ხმელნიცკიმ,—რომელიც უარს არ იტყოდა და იტვირთებდა ამ საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ახლა აქ არ არის.

— ბოგუნი!—გაისმა ვიღასიც ხმა ბრბოშია.

— დიაღ, ბოგუნი. იმან ამოსწყვიტა უკვე მთელი პოლკი ერემიასი ვასილიოვკაში, მაგრამ ისიც დასჭრეს და ეხლა ჩერკასში წევს ავადმყოფი, ებრძვის სიკვდილსა. ის არ არის და ვხედავ, რომ სხვაც აღარავინ არის იმის მეტი! სად გაჭრა ნეტავ ყაზახთა სახელ-დიდება, სად არიან პავლიუკები, ნალივაიკები, ლობოდები და ოსტრანიცები?! ამ დროს წამოდგა ერთი დაბალ-დაბალი, სქელ-სქელი კაცი გალურჯებულის სახისა, ცეცხლის ფერ ულვაშებაი, დაბრეცილ ტუჩება და მწვანე თვალებიანი, წამოდგა და მივიდა ხმელნიცკისთან.

— მე წავალ,—სთქვა მან.

ის იყო მაქსიმე კრიეანოსი.

გაისმა ხმა მოწონებისა და ქებისა, ხოლო იმას შემოეყარა დოინჯი და განაგრძობდა ლაპარაკს ხრინწიანის, მკვეთრმკეთრის ხმით:

— არ იფიქრო, გეტმანო, რომ მეშინოდეს. პირველადვე არ წამოვდექი, იმიტომ რომ ვსთქვი გულში, ჩემზედ უკეთესნი

მოიპოვებიან-მეთქი. ხოლო რაკი არავინ არა კისრულობს, მე წავალ. თქვენ რა ხართ? თქვენ თავი ხართ და ხელები, ხოლო მე თავი არა მაქვს, მე მხოლოდ ხელნი მასხია და ხმალი მიჭირავს. ერთხელ დავბადებულვარ, ერთხელვე უნდა მოვკვდე! ომი ჩემი დედა და და არის. ვისნეეეცკი სჩეხავს,—მეც ჩეხას დავუწყებ; ის არჩობს ხალხს,—მეც ჩამოვარჩობ. შენ მხოლოდ, გეტმანო, ყოჩაღნი ყაზახნი მომეცი; უბრალო ბრბო ვისნეეეცკის თავს ვერ დაესხმის. წავალ და დავუწყებ ჩეხა-ჟლეტას, წვასა და დაგვას! სიკვდილი იმათ, იმ ნაზ-ხელების პატრონთა!

მეორე ატამანიც გამოვიდა წინ.

— მეც შენთან ვიქნები, მაქსიმე.

ის იყო პულიანი.

— ჩარნოტაცა, გლადკიცა, ნოსაჩიც შენ წამოგყევებიან,— სთქვა ხმელნიცკიმ.

— წამოვალთ ჩვენცა,—დაიძახეს იმათაც პასუხად.

კრივანოსის მაგალითმა ფრთები შეასხა იმათაცა.

— ერიომას უნდა დავეცნეთ, ერიომას!—გაისმა ძახილი ხალხში.

—სჩეხეთ, სჩეხეთ!—ვანიმეორა „ამხანაგობამ“ და მალე თათბირიც დამთავრდა სმითა. ის რაზმნი, რომელნიც უნდა წასულიყვნენ ლაშქრად კრივანოსის მეთაურობით, სიკვდილის პირამდე სვამდნენ, სვამდნენ იმიტომ რომ სასიკვდილოდ მიდიოდნენ. ყაზახებმა კარგად იცოდნენ ესა, მაგრამ იმათმა გულმა არ იცოდა, რა არის შიში. „ერთს დღესა ვართ დაბადებულნი, ერთს დღესვე უნდა დავიხოცნეთ“!—იმეორებდნენ ისინიც თვისის წინამძღოლის წახედულობით და, რაკი წინადვე გამოიგლოვეს თავი, აღარც ენანებოდათ სიცოცხლე. ხმელნიცკი აგულიანებდა, რაც შეეძლო; ასი-ათასმა კაცმა ერთბაშად შემოსძახა სიმღერა. უნაგირ-მოხდილი ცხენები შეშინებულნი გარბოდ-გამორბოდნენ მეიდანზედ და იყო ერთი საშინელი უწესობა. ცხენებს დასდევდნენ დასაჭერად ყვირილითა და ხარ-ხარ-ყიჟინით;ძალზედ-ნასვამნი გუნდ-გუნდად დადიოდნენ წყალის პირად, ისროდნენ თოფებს და ეჯახებოდნენ გეტმანის სახლს,

ისე რომ მან უბრძანა იაკუბოვიჩს, გაჰრეკეთ აქედანაო. ბოლოს, წამოვიდა შხაპუნა წვიმა და ყველანი გაჰფანტა: ზოგი ურმებს შეეფარა, ზოგმა კიდევ კარვებს მიჰმართა.

საღამოზედ დიდი ქარი ამოვარდა. ქუხილი გრიალებდა და ხან ერთს მხარეს გაჰქონდა რუხრუხი, ხან მეორესა; ელვა ანათებდა მთლად გარემოს ხან ყვითლადა და ხან წითლადა.

ამისთანა ამინდში, ამისთანა ელვასა და ჭექაში გაემართა კრივანოსი თვისის საპოცი ათასის რჩეულის ჯარითა და მდაბიო ბრბო ხალხითა.

XI

თეთრ ეკლესიიდან კრივონოსი სკვირსა და პოგრებიშჩის წავიდა, მახნოვკასკენ, ხოლო საცა ის გაივლიდა ხოლმე, კვალიც კი ჰქრებოდა ადამიანთა არსებობისა. ვინც იმას არ წაჰყვებოდა, ის იქვე ესალმებოდა წუთი-სოფელს. კრივონოსი ყანებსაც კი ცეცხლს უკიდებდა, სწვავდა ტყესა და ბაღებსა, ხოლო ამავე დროს თავადი ანადგურებდა ყოველსავე, რაც კი გზად შეჰხვდებოდა ხოლმე. პოგრებიშჩის აკლების შემდეგ, ნემიროვს დაადგა საშინელი დღე. მერე თავადის ჯარებმა დაამარცხეს რამდენიმე საკმაოდ რიცხვ-მრავალი ბრბო ყაზახთა და დაბანაკდნენ რაიგოროდს ახლოს. თვე გავიდა მას უკან, რაც ვისნეეეკის ლაშქარი ცხენიდან აღარ ჩამომხდარიყო; მეტისმეტმა ჯაფამ გასტეხა მისი ღონე, სიკვდილმა შესამჩნევად შეამცირა მისი რიცხვი. მთიბავთა მკლავებს დასვენება ეჭირვებოდა და სისხლის ღვრა უნდა შეეწყვიტათ ცოტას-ხნობით მაინც. თავადიც კი ყოყმობდა და იმ ფიქრში იყო, არ ემჯობინება რომ მშვიდობიანს ქვეყანაში წავიდე, შევავსო იქ რიცხვი ჯარისა და დასვენებული ცხენებიც ვიშოვოო: ისე დაუხდათ ცხენები, რომ ცარიელი ძვალი და ტყავი-ლა იყვნენ, წისქვილზედ

დაიფქვებოდნენ; აგერ თვე სრულდებოდა, შვრია არ ენახათ თვალითა. მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, რომ მოუვიდა ამ-ბავი, ახალი ჯარი მოდის შენდა შესაწევრადაო. თავადი მაშინ-ვე გაემართა მისაგებებლად და მართლაც პან იანუშ ტიშკევიჩს კი შეეყარა, კიევის მთავარ-მოურავსა, რომელსაც მოჰყავდა ათას ხუთასი ყოჩაღი ჯარის-კაცნი; იმასთან ერთად იყო პან კრიშტოფ ტიშკევიჩიცა, ახალგაზდა პან აქსაკი, ჯერ თითქმის სულ ბავშვი, თვისის რიცხვ-მცირე, მაგრამ მშვენიერ გუსართა რაზმით. მრავალი თავად-აზნაურობაც იყო, რომელიც ზოგი მარტო წამოსულიყო, ზოგს თავისი მხლებელნი წამოეყვანა, ისე რომ მაშველის ჯარის რიცხვი, მხლებელნი რომ არ ჩავაგ-დოთ, ორი ათასამდე იყო. თავადს ძრიელ გაეხარდა და სია-მოვნებით მიიწვია თავის სახლში პან მოურავი. მთავარ-მოუ-რავს დიდად გაუკვირდა ის მძაფრი სიმკაცრე, რომელიც შეამ-ჩნია თავადის სახლში. ლუბნში ისე სცხოვრობდა, რომ კაცს მეფე ეგონებოდა, აქ კი, ლაშქრობაში, უბრალო ჯარის-კაცში ვერ გამოარჩევდით, ისე აეღო ხელი ყველაფერზედ, რაც კი სიამოვნებას აძლევს კაცს ცხოვრებაში. მის ოთახში სტოლისა, ხის სკამებისა და ქეჩის მეტი არა იყო-რა. ამ უბრალოებამ გააო-ცა მთავარ-მოურავი; მდიდრული ცხოვრება ძრიელ უყვარდა მოურავს და თავის ნოხ-ხალიჩებს არ იშორებდა. ათასში ერთ-ხელ ენახა თავადი სეიმებზედ, ნათესავიც იყო მისი, მაგრამ დაახლოვება არა ჰქონდა და მხოლოდ, როცა მუსაიფი დაიწ-ყო, დარწმუნდა, რომ ეს კაცი იშვიათი კაცი ყოფილაო. და აი, დიდის ხნის სენატორი, ხნიერი ჯარის-კაცი, რომელიც ამხანაგურადა სცემდა მხარზედ ხელს თავის მეგობარ სენატორს, თავადს დომინიკ ზასლავსკის ძმასა და მეგობარს ეძახდა, რო-მელიც შინაურულად ეჭცეოდა თვით მეფეს, ახლა თითქო მო-კრძალებით იყო, თუმცა ვისნეეეკიმ დიდის სიამოვნებით მიიღო და გულითა და სულით გადუხადა მადლობა მიშველებისათვის.

— პან მოურავო,—უთხრა თავადმა,—ვმადლობ ღმერთსა, რომ მობრძანდით და დასვენებული ჯარი მომაშველეთ; ჩემი ჯარის-კაცნი მეტად მოიღალნენ, დაიქანცნენ ჯაფითა.

— ვატყობ თქვენს ჯარის-კაცებს, რომ ძალიან დაღლილან. ძალიან ვწუხვარ, რადგან იმიტომ მოვედი, რომ შემწეობა გთხოვოთ.

— განა აგრე საჩქაროა?

— Periculum in mora, periculum in mora! რამდენიმე ათასი წუწკი და სალახანა ხალხი შეკრებილა, კრივონოსის მეთაურობით, და რაკი გაუგონიათ თქვენი, რომ კონსტანტინოვკისაკენ აპირობს წასვლასაო, თკითონაც იქითკენ წასულან, გზად გაუვლიათ ჩემ მახნოვკაზედ, შემოსდგომიან გარს და ისე აუკლიათ იქაურობა, რომ ვერავითარი ენა ვერ ასწერს.

— გავიგონე მაგ კრივონოსის ამბავი და ველოდი კიდეცა და რაკი თვითონ გზა ამიქცია, ვხედავ, რომ მე უნდა დაეუწყო ძებნა ახლა. მაგ საქმის გადადება აღარ შეიძლება. რამდენი უნდა იყოს მეციხოვნეთა ჯარი მახნოვკაში?

— ციხე დარბაზში ორასამდე ნემეცი იქნება. სულ ვაჟკაცი ხალხია, რამდენსამე ხანს კიდეე გაუმაგრდებიან მტერს. უბედურება ის არის მხოლოდ, რომ იმ ქალაქში დიდ-ძალი თაეად-აზნაურობა ჩამოეიდა ცოლ-შვილითა და გარშემო კი თხრილისა და მესრის მეტი არა არტყია-რა.

— დიაღ, დიაღ, საქმის გადადება აღარ შეიძლება,—განიმეორა ფიქრში წასულმა თავადმა და მიჰმართა მაშინვე თავისს პაჟს.

— ჟელენსკი, აბა გაიქეცი და პოლკოვნიკებს დამიძახე.

კიევის მოურავი იჯდა ტახტზედ და ჰქშინავდა, რაც შეეძლო. მშიერი იყო და ეახშამს ელოდა.

კარებს უკან აჩქარებული ფეხის-ხმა მოისმა და მალე მრავლად შემოვიდნენ ოთახში თავადის აფიცრები, რომელთაც სახე დასწოდათ მზეზედ, წვერები დაზრდოდათ, თვალები ჩასცვივნოდათ და დაღლილობა ეტყობოდათ ძლიერ. ხმა-ამოუღებლივ დაუკრეს თავი სტუმრებს, მერე თავადს და ელოდნენ, რას გვიბრძანებს ჩვენი უფროსიო.

— ბატონებო,—ჰკითხა თავადმა,—ცხენები მზად არიან?

— როგორც ყოველთვის, ისე ახლაც მზად გახლავთ.

— ძალიან კარგი. ერთს საათს უკან კრივონოსს უნდა დავესხათ თავს.

— როგორაო? – შესწუხდა კიევის მოურავი და გაკვირვებით შეჰხედა პან კრიშტოფსა.

— პან პონიატოვსკი და პან ვერშული წავლენ პირველად. ამათ მიჰყვეს ბარანოვსკი დრაგუნებით, ხოლო ერთს საათს შემდეგ ვურცელის თოფჩებიც გაემართნენ ზარბაზნებით.

პოლკოვნიკებმა თავი დაუკრეს თავადს და გავიდნენ ოთახიდან. ერთს წუთს შემდეგ განგაში დაჰკრეს და საყვირმა აცნობა ჯარებს, სალაშქროდ მოემზადენითო. მოურავი არ ელოდა, რომ ასე სასწრაფოდ მოჰხდებოდა ყოველივე; ძალიან ეწყინა კიდეც ასეთი აჩქარება, რადგან თვითონაც ძალიან დაღალული იყო. იმას ეგონა, ერთ-ორიოდე დღეს დავრჩები თავადთან სტუმრადაო, ის კი არა თუ აგერ ახლავ ისევ ცხენზედ უნდა შემჯდარიყო, როცა ჯერ ვერც გამოძინება მოასწრო და ვერც რიგიანად დასვენება.

— ერთი ეს მიბრძანეთ, ბატონო,—დაიწყო მოურავმა,—მივლენ კი თქვენი ჯარის-კაცნი მახნოვკამდე? ძალიან დაქანცულნი არიან და მახნოვკამდე კი მცირე მანძილის გზა არ არის...

— მაგაზედ ნუ შესწუხდებით, ბატონო მოურავო,—გააწყვეტინა სიტყვა თავადმა.—ისე მიდიან ისინი ომში, თითქო ქორწილიაო.

— ოჰ, დიალაც, ეჭვიც არა მაქვს, რომ ეგ აგრეა. გულადი და ვაჟკაცი ხალხია, მაგრამ დაღლილნი არიან ისინიცა.

— თქვენ თვითონა ბრძანეთ: periculum in mora.

— მართალია, მე მოგახსენეთ ეგა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ამაღამ აქ გაგვეთენებინა. ჩვენ ხომ ხმელნიკიდან მოვდივართ.

— პან მოურავო, ჩვენ ლუბნიდან მოვდივართ, გაღმამხრიდან.

— მთელი დღე სიარულში გავატარეთ.

— ჩვენ მთელი თვეა გზაში ვართ.

თავადი კარში გავიდა, რომ დარწმუნებულიყო, კარგად შეასრულეს თუ არა ჩემი ბრძანებაო. მოურავმა განწირულებით შეჰხედა პან კრიშტოფსა და მუხლებზედ დაიკრა ხელები.

— ვერ შევძლევენი ჩემს თავს, რაც მინდოდა?! ღმერთსა ვფიცავ, მშიერს მომკლავს მე ეგ აქა. რა უნდა უყოს კაცმა ნეტავ ამ ფიცხ ხალხსა! მოდიხარ რომ შემწეობა სთხოვო, გგონია, ორი-სამი დღე მაინც გავა, ვიდრე ჯარი საომრად მოემზადებაო და ის კი არა თუ დასვენებასაც ვერ ასწრობ. ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! უზანგმა გადამაყვლიფა სულ ფეხი... ის წუწკი პაჟი ისა.... მუცელი დამენქრა შიმშილითა.... შეგაჩვენოთ ღმერთმა! მახნოვკა თავის რიგით იყო და ამ მუცელმა რაღა დააშავა! მეც ბებერი ჯარის-კაცი ვარ, მაგაზედ ცოტა ომი არ მინახავს, მაგრამ არც ასე იქნება... უცბად, დაუსვენებლივ! ეგენი ეშმაკები არიან, კაცნი კი არა! არა სძინავთ, არასა სჭამენ, არასა სმენ, მხოლოდ იბრძვიან. ღმერთსა ვფიცავ, სწორედ არასა არა სჭამენ. ნახეთ, პან კრიშტოფ, ის პოლკოვნიკები? ლანდსა და მოჩვენებას არა ჰგვანან, მართლა?

— სამაგიეროდ, რაინდობით არიან აღფრთოვანებულნი. (პან კრიშტოფს გაგიჟებით უყეარდა ომი). ღმერთო მართალო! რამოდენა უწესოებაა სხვა ჯარში, რამდენი ყვირილი, ტყუილუბრალო ფუსფუსი და ვაი-ვაგლახი, აქ კი... აგერ გესმით?... სუბუქ სადროშოთა ჯარები უკვე გაემართნენ...

— მესმის, მესმის, სწორედ აგრეა! კარგი ამბავია სწორედ!—გაწყრა მოურავი.

ახალგაზდა აქსაკმა სიხარულით ტაშის-კვრა დაიწყო.

— ოჰ, დიდებული სპასალარია, დიდებული მხედარია!— აღტაცებით ამბობდა პატარა მეომარი.

— ბავშვი ხარ შენა, ჯერ დედის რძეც არ შეგშრობია ტუჩებზედ!—დაუწყო ჯავრობა აქსაკს მოურავმა.—ფაბი კუნქტატორიც დიდებული სპასალარი იყო! ეს კი არ იცი შენა?!

ამ დროს თავადიც შემოვიდა.

— აბა, ბატონებო, შესხედით ცხენებზედ! მივდივართ!

მოურავმა ველარ მოითმინა.

— ერთი უბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მომიტანონ რამე საჭმელი. შიმშილით მოვკვდე ღამისა!—კინაღამ ტირილით დაიძახა მოურავმა.

— ოჰ, პან მოურავო!—სთქვა თავადმა ღიმილითა, დაიწყო მხიარულად სიცილი და მხარზედ დაადო ხელი:—იყავით სულგრძელი და მაპატიეთ ჩემი დანაშაული, ამ წუთსვე, ამ წუთსვე მოგართმევენ! ლაშქრობაში მეომარს როგორღაც ავიწყდება მაგისთანები.

— აბა, პან კრიშტოფ, მართალი არ გითხარი წელან, რომ ეს ხალხი არასა სჭამს-მეთქი?—წასჩურჩულა მოურავმა თავისს მეზობელს.

ვახშამმა მაინც დიდ ხანს არ გასტანა და ორს საათს შემდეგ ქვეითი ჯარიც გაემართა რაიგოროდიდან. ჯარები ვინიცისა და ლიტინის გზაზედ მიდიოდნენ ხმელნიკისკენ. პან ვერშული წააწყდა თათრის რაზმს, ვოლოდიევსკიმა და იმან დაამარცხეს ეს რაზმი და რამდენიმე ასი ტყვე გაანთავისუფლეს. შემდეგ კი იწყებოდა ქვეყანა, რომელსაც დასჩნეოდა კვალი კრივონოსის ყოფნისა. სტრიჟოვკა დაეწვა, მკვიდრნი სულ ამოეწყვიტა. ალბად, საწყლებმა წინააღმდეგობა დაუწყეს და განადირებულმა ჯარის უფროსმა ცეცხლსა და მახვილს მისცა. სოფლის შესავალშივე მუხის ტოტზედ სულ დედიშობილა ეკიდა თვით პან სტრიჟოვსკი; ყელზედ ება საშინელი მძივი მოჭრილის თავებისა. ის თავები იმისი ექვსის შვილისა და ცოლისა იყო. შიგ სოფელში კიდევ, ქუჩის ორთავ მხარეზედ ამართული იყო მწკრივად ყაზახთა „კელეპტრები“. ლატნები დაესხათ, ზედ მიეკრათ ცალის მკლავით კაცები, დაემაგრებინათ ზედვე ფიჩხი და ჩალა, კუპრ-გადასხმული და ზემოდან ცეცხლი წაეკიდებინათ. ბევრს მხოლოდ ხელები ჰქონდათ დამწვარი,—დიდი წვიმა წამოსულიყო და ჩაექრო ეს საშინელი სანთლები. საშინელი სანახავი იყო ეს გვამნი, რომელთაც სახე დაჰპრანჭოდათ და ხელები მაღლა ჰქონდათ აწეული. სვეტებს ზედ დასჩხაოდნენ გუნდნი მტაცებელ ფრინველთა, რომელნიც, როცა ჯარი მიახლოვდებოდა, აფრინდებოდნენ ხოლმე სვეტები-

დან და ახლა სხვა სვეტებზედ გადასხდებოდნენ. ჯარებმა მდუ-
მარებით გაიარეს ეს საშანელი ხეივანი და გულში სთვლიდნენ
მსხვერპლთა რაოდენობასა. სულ სამასამდე კაცი იყო ასე და-
ტანჯული. ბოლოს გათავდა სოფელიცა, მაგრამ კვალი აოხრე-
ბისა ჯერ კიდევ ცხადად სჩანდა. ივლისის დამდეგი იყო. ჭირ-
ნახული შემოსული იყო, თიბვა და მკა ადრე იყო მოსალოდ-
ნელი, მაგრამ მინდორი ზოგი სულ გადამწვარი იყო და ზო-
გიც ფეხ-ქვეშ გათელილი. კაცს ეგონებოდა, რაღაც გრიგალსა
და ღვთის რისხვას გადუვლია ამ ჭირნახულზედაო. დიაღ, მაინც
სწორედ გრიგალმა და ღვთის რისხვამ გადიარა, ისეთმა მერე,
რომ იმაზედ საშინელი აღარა არის-რა ქვეყანაზედ—გადიარა
შინაურის შფოთის გრიგალმა, ძმა-ძმის მკვლელობის ქარ-ცეცხლ-
მა. თავადის ჯარის-კაცთა ჭნახეს კვალი აოხრებისა თათართა
გამძვინვარების შემდეგ, მაგრამ ამისთანა მხეცობა, ამისთანა სა-
შინელი გულქვაობა კი არც ენახათ და არც გაეგონათ. ტყეე-
ბისთვისაც ისევე ცეცხლი წაეკიდებინათ და დაეწვათ, როგორც
ჭირნახულისათვის. საცა ცეცხლს ვერ დაეწვა ხეები, იქ მის
ალს გაეტრუსა და გაერუჯა მათი მწვანე შემკულობა და ტყის
უზარმაზარნი მდევნი ისე იდგნენ ახლა, თითქო ჩონჩხებიაო.
პან მოურაეი კიევისა უყურებდა ყოველსავე ამას და თავის
თვალებს არ უჯერებდა. მედიაკოვი, ხვარი, სლობოდკა—სულ
დანაცრებული იყო! ზოგიერთის სოფლიდან მამაკაცნი კრივო-
ნოსს მიმხრობოდნენ, ხოლო მათი ცოლ-შვილი თათართ ჩა-
ვარდნოდათ ხელში და ისინი ბოლოს პან ვერშულმა და ვო-
ლოდიევსკიმ დაიხსნეს იმათ ტყვეობიდან. ძირს დედა-მიწაზედ
სჩანდა კვალი აოხრებისა, მაღლა ცაში გუნდი დაჰფრინავდა
ყვავთა და ყორანთა, რომელნიც, ვინ იცის, საიდან მოფრე-
ნილიყვნენ და თავს დასხმოდნენ ყაზახთა მომკილსა და მოთი-
ბულს სისხლ-შესერილს ჭირნახულს... ცხადად სჩანდა, რომ
დიდი ხანი არ იყო მას უკან, რაც ყაზახთა გაეელოთ ეს არე-
მარე. თან და თან უფრო ხშირად ჰხედავდნენ გატეხილ ურმებს,
ჯერ ისევ ახალს, თითქმის გაუცივებელ გვამებსა და მძოვრებს,
დალეწილ-დამტვრეულ ჭურჭელს, სპილენძის ქვაბებს, დასვე-

ლებულ ფქეილის ტომრებს, ჯერ ისევ ჩაუქრობელ, კვამლ-ავარდნილ გადაბუგულ ადგილებს, აქეთ-იქით გაფანტულ თივის ძირებს. თავადი ერთს წუთს მოსვენებას არ აძლევდა თავისს ჯარს, ხოლო მოურავი თმაში ივლებდა ხელს და იმეორებდა შეწუხებულის ხმით:

— ვაიმე, ჩემო მახნოვკა! ჩემო მახნოვკა! ეხედავ, რომ ველარ მოგისწრობთ საშველად!

ხმელნიკში მოვიდა ამბავი, რომ მახნოვკას თვით კრიეონოსი კი არ შემოსდგომია გარს, არამედ მისი შვილი და სწორედ იმანვე მოიქმედა იმდენი საზარელი საქმე გზა-გზაო. მოვიდა ის ამბავიცა, რომ მახანოვკა უკვე აიღესო. ყაზახებმა თავად-აზნაურობა მთლად მოსწყვიტეს, ხოლო მათნი ქალნი და ასულნი ტყვედ წაიყვანეს თავიანთ ბანაკში, საცა უფრო მწარე ბედი მოელით, ვიდრე თვით სიკვდილიო. პატარა ციხე კი, რომელსაც იცავდა პან ლეონის მეთაურობით მცირე რაზმი მეციხოვანეთა, ჯერ არა ჰნებდებოდა და ეწინააღმდეგებოდა მტერსაო. ყაზახებმა იერიში მიიტანეს ბერნარდინების მონასტერზედ, საცა ამოსწყვიტეს ყველა ბერ-მონაზონნიო. პან ლეონი არა ჰზოგავდა თავისს ძალ-ღონეს და ტყვია-წამალს და დიდი ქებაა, თუ დილამდე შეუძლო როგორმეო.

თავადმა ერემიამ დასტოვა ქვეითი ჯარი, ზარბაზნები და უმთავრესნი რაზმნი თვისის მხედრობისა, რომელთაც უბრძანა ბისტრინისკენ წადითო, ხოლო თვითონ წაიყვანა მოურავი, პან კრიშტოფი, პან აქსაკი და ორი ათასი ჯარის-კაცი და გაჰფრინდა მახნოვკის გამოსახსნელად.

მოხუცს მოურავს სულ თავ-გზა დაეკარგა.

— მახნოვკის საქმე წასულა, ველარ მივუსწრობთ! სჯობს ისევ სხვა დაბა-ქალაქნი გადავარჩინოთ! —იმეორებდა მოურავი მაგრამ თავადი ყურს არ უგდებდა იმის ლაპარაკს.

პან კრიშტოფი აგულიანებდა ჯარს, წავიდეთ ჩქარაო და ისიც ისე ეშურებოდა, თითქო ქორწილში მივდივართო.

სულ სამი-ოთხი ვერსი-ღა აკლდათ მახნოვკამდე მისვლასა, რომ გზაზედ ჯარს ვილაც ხალხი შემოეყარა, რომელნიც

თავ-პირის მტვრევით მოაქენებდნენ ცხენებსა. ეს ხალხი იყო პან ლეონი თვისის ამხანაგებითა. მოურავმა რომ ციხის უფროსი დაინახა, მაშინვე მიხვდა, რაც ამბავი იყო.

— ციხე აიღეს?—შესძახა მან.

— აიღეს,—სთქვა პასუხად პან ლეონმა და მაშინვე გადმოვარდა ცხენიდან ჭრილობისა, დაღლილობისა და სისხლის დენით დასუსტებული.

იმისმა ამხანაგებმა დაწვრილებით სთქვეს ყოველივე, რაც ამბავი მომხდარიყო. ნემეცები სულ ამოსწყვიტესო. სიკვდილს ამჯობინებდნენ, მტრის ხელში ჩავარდნასაო; პან ლეონმა მოახერხა და გამოარღვია ბრბო ყაზახთა. ციხის ოთახებში შეხიზნულა რამდენიმე თავად-აზნაურთა ოჯახი; საჭიროა, რაც შეიძლება მალე მიეშველოთ იმათაო.

ჯარებმა გააქენეს ცხენები. პატარა ხანს უკან გამოჩნდა ქალაქი, რომელიც მაღლობ ადგილზედ მდებარეობდა, გამოჩნდა ციხეცა, ხოლო ზემოდ იდგა საშინელი კვამლი, რადგან ქალაქისათვის მტერს ცეცხლი წაეკიდებინი. მზე კარგად გადახრილი იყო და თითქმის ჩასვლას აპირობდა. ცის დასავალზედ უზარ-მაზარი წითელ-ყვითელი ღრუბლები გაწოლილიყო. ჯარებს ეგონათ, რომ ცეცხლისაგან არისო. ამ სინათლეზედ მოსჩანდა რაზმნი იმიერ-ჭორომელთა და შეჯგუფულნი ბრბონი მდაბიო ხალხისა, რომელნიც გულადად მოდიოდნენ კიევის მოურავების ჯარების პირის-პირ. იმათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ თავადი ერემიაც იქვე იქნებაო. კაცი ვერ მიხვდებოდა, არაყმა დაუბნელათ გონება, თუ ციხის აღებამ გააგულადა; ეს კი იყო, რომ მხნედ ჩამოდიოდნენ მაღლობიდან და მხოლოდ ძირს ჩამოსულნი მინდორზედ ეწყობოდნენ რაზმ-რარაზმად. პოლონეთის ჯარებმა რომ ეს სანახავი დაინახეს, იმათს სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა, ხოლო პან მოურავი მეორედ დარწმუნდა, რომ სამაგალითო და მოხერხებული ჯარები ჰყვანდა თავადს. მხედრობა უცებ დაეწყო რაზმ-რაზმად: ცხენოსანთა მძიმედ შეჭურვილი ჯარი შუაში დადგა, სუბუქნი

რაზმნი აქეთ-იქით ფრთებად დაეწყვნენ, ისე რომ პირდაპირ შეეძლოთ შეეტიათ მტრისათვის.

— პან კრიშტოფ, რა ხალხი ყოფილა ეს ხალხი!—ამბობდა გაკვირვებული მოურავი.—უცბად დაეწყვნენ საომრად. მაგათ წინამძღოლიც აღარ ეჭირვებათ.

მაგრამ თავადი მაინც, როგორც გამოცდილი სპასპეტი, კვერთხით ხელში, დაჰქროდა ხან აქეთა და ხან იქით, ფრთედან ფრთესაკენ, სინჯავდა, ათვალიერებდა ყოველსავე და აძლევდა ბრძანებას. ოქროს-ფერი შუქი ჩამამავალის მზისა ბჟყვრიალებდა იმის ვერცხლის ჩაჩქანზედ; თითქო მზის სხივიაო, ისე გაჰქონდა მის ჩაჩქანს ელვარება ჩრდილივით შეჯგუფულ მხედრობის რაზმთა შორის.

თავადის მხედრობა ასე გაიშალა: შუა-გული მეწინავეთა რიგზედ დაიჭირა სამმა სადროშომ: პირველს წინამძღვრობდა თვით კიევის მოურავი, მეორეს პან აქსაკი და მესამეს კრიშტოფ ტიშკევიჩი. მათ შემდეგ იყვნენ მეორე რიგზედ დრაგუნები პან ბარანოვსკისა და ბოლოს თავადის უზარმაზარნი გუსარნი პან სქშეტუსკის მეთაურობით.

მარჯვენა და მარცხენა ფრთაზედ იდგნენ ვერშული, კუშელი და პონიატოვსკი. ზარბაზნები თან არა ჰქონდათ, ეურცელი ბისტრინს დარჩა.

თავადი მიჰფრინდა მოურავთან და პატივი სცა კვერთხის დახრით მის წინაშე.

— რადგან თქვენ შეურაცხგყვეს, თქვენი ვალია პირველმა დაიწყოთ ომი.

მოურავმა გაიქნია ბუზდიგანი *), ჯარის-კაცნი დაიხარნენ უნაგირზედ და გასწიეს წინ. მოურავს მაშინვე შეეტყო, რომ თუმცა მძიმე კაცი იყო, მაინც გამოცდილება და ვაჟკაცობა არ აკლდა. მაშინვე ჭენებით არ წაიყვანა თვისნი რაზმნი; რამდენადაც უახლოვდებოდა მტერს, იმდენად უფრო ააჩქარებინა ნაბიჯი ჯარებსა. მხოლოდ მარტო თვითონ მიაჭენებდა

*) თითრული იარაღია კვერთხის მსგავსი.

ცხენს პირველ რაზმებ წინა ბუზდიგანით ხელში, მხოლოდ პაჟი ახლდა თან და კონჩარის *) ბოლო ეჭირა, თუმცა, როგორც ეტყობოდა, საიმისო მძიმე არ უნდა ყოფილიყო მოურავის მკლავისათვის. ჯერ მდაბიოთა ბრბო წამოვიდა მრავლად შეიარაღებული ცელ-ნამგლებითა, ჯერ ჩვენ გავუმაგრდებით მტრის კვეთებასა და მერე იმიერ-ჭორომელთ უფრო გაუადვილდებათ იერიშის მიტანაო. როცა მტერნი დაუახლოვდნენ და დაუპირისპირდაპირდნენ ერთმანერთსა, მახნოვკელებმა იცნეს მოურავი უზარმაზარ ტანადობასა და სისქეზედ და დაიწყეს ძახილი:

— ეი, ბრწყინვალეო მოურავო, სამკალი მზაა, რაღას უყურებ და არ უბრძანებ შენს ხელ-ქვეითებს გამოვიდნენ? თავს გიკრავთ და სალამს გაძლევთ! მაგ მუცელს კი, გვენდე, გადმოგიფაშვავთ!

მოურავს სეტყვასავით დაუშინეს ტყვია, მაგრამ ვერ მოარტყეს, რადგან პოლონელნი ნიავ-ქარივით მიჰქროდნენ. აგერ საზარელი წუთიც კვეთებისა... გაისმა ჟღარუნი ნამგლებისა და ზრიალი ცელების ჩაჩქნებზედ ცემისა, ხმა ყვირილისა და კვნესა-გმინვისა...

შუბების შემწეობით გაიხსნა ფართო გზა შეჯგუფებულ-შეტბორებულ გლეხ-კაცთა შორის და ამ გზას ეცნენ გრიგალივით ცხენები, რომლებიც სწყვეტავდნენ და სთელავდნენ ყოველსავე მარჯვნივა და მარცხნივ. როგორც ყორეულში, როცა მცელავნი დამწკრივდებიან ცელ-დაგძელებულნი, მაღალი ბალახი წვება მათ წინაშე, ისინი კი მაინც წინ მიდიან და იქნევენ ცელებსა, ისე ეჭ ხმალთა ძლიერის ცემით ვრცელი სვე მდაბიოთა წვრილდებოდა, დნებოდა, ჰქრებოდა და ცხენთა მკერდებით შევიწროვებულმა, რა ძალა აღარ ჰქონდა გამაგრებულიყო, იწყო ტოკვა. აგერ გაისმა ყვირილი: „ხალ ხნო, თავს უშველეთ!“ და ამოდენა სიმრავლემ იმ წუთსვე გადაჰყარა

*) კონჩარი დაშნას მსგავსი ხმალი, რომელიც უნაგირზედ ჰკიდია ცხენს სალტეებით.

ცელ-ნამგლები, ჯაჭვები, ორთითები, თოფები, იხუვლა და ეცა იმიერ-ჭორომელებს. მაგრამ, იმათ საუბედუროდ, იმიერ ჭორომელებს შეეწინდათ, ლტოლვილებმა არ გაგვთელონო, შუბები წაუშვირეს. ხალხი მიხვდა, რომ ეს არის დავიღუპეთ, ხსნა აღარ არისო და განივლტო მარჯვნივა და მარცხნივ, მაგრამ აქაც კუშელი და პონიატოვსკი დახვდნენ.

მოურავი ჰქელავდა გზა-გზა მოკლულ მტერთა გვამებსა და მიჰქროდა იმიერ-ჭორომელთა შესახვედრად, ხოლო ისინი მოურავის პირისპირ მოჰქროდნენ, რადგან უნდოდათ იმის კვეთებისათვის კვეთებითვე გაეცათ პასუხი; და აი მტერნი ისე ეკვეთნენ და დაეჯახნენ ერთმანერთსა, რომ კაცს ეგონებოდა ორი აზვირთებული ტალღა აბობოქრებულის ოკეანესი შეეხეთქა ერთმანერთსაო. ახლა მიხვდა მოურავი, რომ მის წინა სდგას უკვე არა ბრბო მდაბიოთა, არამედ გამოცდილი, გულადი ჯარი იმიერ-ჭორომელთა. ორი წყება ეჯახებოდა ერთმანერთს, იდრიკებოდა, იზნიქებოდა და შემუსვრით კი ეერც ერთი ვერ იმუსრებოდა. დგებოდა ხორა გვამთა; ერთის მეომრის მაგიერ ჩნდებოდა მეორე, ერთის ხმლის წინაშე ელვარებდა მეორე. მოურავმა გამოსტაცა პაჟს კონჩარი, ომობდა პირ-გაოფლიანებული და ისე ჰქშინავდა, თითქო მჭედლების საბერველიაო. მის ახლო მყოფი პანები სენიუტები, კერდეები, ბოღუსლავსკები, ელოვიცკები და პოლუბინსკები სასწაულთ-მოქმედებდნენ ვაჟკაცობითა. ხოლო ყაზახთა მხრივ მძვინვარებდა ივანე ბურდაბუტი, პოდპოლკოვნიკი კალნიცკის პოლკისა, ერთის ახოვანის ტანისა და ძლიერის ჯანის ყაზახი, მით უფრო საშიში, რომ იმისი ცხენიც ისევე იბრძოდა, როგორც თვითონა. არა ერთი პოლონელი ნატრობდა შებრძოლებას იმ ცხრა-თავიან დევთან, რომელიც მუსრს ავლებდა მტრის ჯარსა და სიკვდილსა ჰფენდა ყველგანა. ერთ ხანად მისცვინდნენ ვითომ ძმანი სენიუტები, მაგრამ ბურდაბუტის ცხენმა მოავლო პირი უნცროსს, ანდრიას, სახეში და თვალის დახამხამებაზედ სულ დააოსა. უფროსმა სთხლიშა ამ დროს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხმალი შუბლში ამ საშინელს პირუტყვსა, მაგ-

რამ ხმლის პირი მოხვდა აღვირის ბალთას. ბურდაბუტმა სცა ხანჯალი და იქვე გაათავა. ასე დაიხოცნენ ორთავ ძმანი, ეყარნენ ახლა მტვერში თვისის მოოქრილ-ივილ ჩაჩქნებითა და ითელებოდნენ ცხენთა ფეხ-ქვეშ. ბურდაბუტი, თითქო სიკვდილის ანგელოზიაო, გაემართა წინ და ერთის შემოკვრით გააპო თავადი პოლუბინსკი, ახალგაზდა, თექვსმეტის წლის ყმაწვილი. პან ურბანსკიმ მოინდომა სამაგიერო გადაეხადნა ნათესავის მოკვლისათვის და ესროლა ბურდაბუტს დამბაჩა შიგ სახეში, მაგრამ ააცდინა და ტყვიამ მხოლოდ ყური გაიტანა. საშინელი ბურდაბუტი და მისი ცხენი, ორივ შავნი, ორივ გასისხლიანებულნი, ორივ დაბრიალებულის თვალებითა და გაბერილის ნესტოებით ისე მძვინვარებდნენ, როგორც გრიგალნი. ვერ წაუვიდა ხელიდან ბურდაბუტს პან ურბანსკიცა, რომელსაც ხმლის ერთის დარტყმით მოჰკვეთა თავი, თვრამეტი წლის პან ჟიტინსკიცა, ორივ ძმანი ნიკჩემნებიცა, ხოლო დანარჩენთ, შიშით თავ-ზარდაცემულთ, უკან-უკან დაიწყეს დახევა, რადგან ბურდაბუტს უკან ელვარებდა ასი სხვა ხმალი და ასი სხვა შუბი, უკვე სისხლ-შესვრილი.

ბოლოს, ნადირ-ქმნილმა ატამანმა დაინახ მოურავი და გახარებული შეხვილებით გაექანა იმისაკენ. მოურავმა ფეხი არ მოიცვალა და ერთის ნაბიჯითაც არ დაიწია უკან. დარწმუნებულმა, რომ მეც საშინელი ძალა მაქვს და მკლავი მიჭრისო, დაიღრიალა დაჭრილის გარეულის ტახივით, გაიქნია ჰაერში თვისი ბუზდიგანი, ჰკრა ქუსლი ცხენსა და მოემზადა ბურდაბუტის დასახვედრად. და აი საშინელი მახვილი მზად იყო გაეწყვიტა მოურავის სიცოცხლის ძაფი, რომ ამ დროს ელდასავით მივარდა ბურდაბუტს პაჟი სილნიცკი და სწვდა ქამარში. ეჭირა ასე ქამარი იმდენს ხანს, ვიდრე ხმლით არ გააპეს. ეს ხანი საკმაო იყო, რამდენიმე კაცი მივარდნოდა მოურავს და აქეთ გამოეტაცნათ. კვლავ დაიწყო ბრძოლა განახლებულის ძალითა და შენივთდა ომი. დაღალულ-დაქანცული პოლკი მოურავისა დასჯობნა იმიერ-ჭორომელთა ჯარმა, მაგრამ ამ დროს გაჩნდა პან კრიშტოფი და პან აქსაკი ახალის ჯარითა. მართალია,

ომში მაშინვე ჩაერივნენ იმიერ-ჭორომელთა ახალი პოლკებიცა, მაგრამ სამაგიეროდ უკან იდგა თავადი ბარანოვსკის დრაგუნებითა და სქშეტუსკის გუსარებითა, რომელთაც ჯერ მონაწილეობა არ მიეღოთ ომში.

დაიწყო საშინელი სისხლის-ღვრა. უკვე ჩამობინდდა და მხოლოდ ქალაქში გაჩენილი ცეცხლი ანათებდა ამ სიკვდილის ლხინს. ცეცხლის შუქზედ ადვილად შეიძლებოდა გარჩევა არა მარტო მეომართა წყებისა, არამედ მათის სახისაც კი. ვერშული, პონიატოვსკი და კუშელი უკვე ჩაერივნენ ომში; უკვე მიეფანტ-მოეფანტათ ბრბონი მდაბიოთა და უკვე ებრძოდნენ ყაზახთა ფრთებსა; ეს ფრთენი დაეძლია მათს კვეთებას და ახლა უკან-უკან იწევდნენ, გორის კალთებისაკენ. გრძელი წყება მტრის ჯარებისა მშვილდივით გადირკალა ნელ-ნელა და ბოლოებით შემოეხვია ქალაქს. პოლონელთა ფრთენი სჯობნიდნენ მტრის საანაპირო ჯარებსა, ხოლო შუა-გულს აწვებოდა ყაზახთა უმთავრესი ძალა და უკან-უკან ახევინებდა, იქითკენ, საცა თავადი იდგა. აგერ ჩამოერია ბრძოლაში სამი ახალი პოლკი კიდევ ყაზახთა და თავადმაც უბრძანა ბარანოვსკის დრაგუნებს დაძრულიყვნენ.

ვისნეველკის დარჩა მხოლოდ გუსარნი—ხშირი ტყე შუბთა, გაუტეხელი ჯაჭვ-გრეხილი რკინაში ჩამსხდარ მხედართა და ცხენთა. საღამო ჟამის სიო ოდნავ აფრიალებდა იმათ დროშებს, გარნა ისინი იდგნენ სულ-განაბულნი და არ იწევდნენ საომრად; კარგად იცოდნენ, რომ ჩვენც არ აგვცდება სისხლში ნათელ-ღებაო. მათ შუაგულ იდგა თავადი შეეერცხლილ ჯავშნ-ჩაჩქანით, კვერთხით ხელში და თვალს არ აშორებდა საომარს ადგილს; მის გვერდით იდგა პან სქშეტუსკი, ძლიერს მარჯვენაში კონჩარი ეჭირა და გულ-დამშვიდებით ელოდა ბრძანებას.

თავადმა მარცხენა ხელი მიიფარა თვალებზედ და სულ ომს უყურებდა. შუა-გული პოლონეთის ნახევარ მთვარისა ნელ-ნელა უახლოვდებოდა მთავარ-სარდალს; დიდის ხნით ვერ გაამაგრა იგი ბარანოვსკიმ. თავადი ცხადად ჰხედავდა, რა ნაირ

უპირდებოდათ ომი მის მხედართ. ხმლები ხან მაღლა დაიწყებ-
დნენ ბრჭყვრიალს, ხან დაბლა დაეშვებოდნენ. ბრძოლის შე-
ნიეთების ადგილიდან მალ-მალ გამოცვინდებოდნენ ცხენები,
რომლებზედაც მხედარნი აღარ ისხდნენ და, ფაფარ-გაფრიალე-
ბულნი, მიჰქროდნენ მინდორში. ხან და ხან წითელი დროშა,
რომელსაც ფრიალი გაჰქონდა ჯარის-კაცთა შორის, ძირს
იხრებოდა და მერე ისევ აიმართებოდა ხოლმე. გარნა თავადი
შორს იყურებოდა, გორასაკენ, იქ, საცა ორი საუკეთესო პოლ-
კი იდგა თვით ახალგაზდა კრივონოსის მეთაურობით და ელო-
და იმ წუთს, როდის გადავერიოთ შიგ შუაგულ ომში და შევ-
მუსროთ დაღლილნი, მერყეობაში ჩავარდნილნი პოლონელ-
ნიო.

აგერ ის წუთიც დადგა, აგერ წამოვიდა ის ყიჟინითა და,
თითქო ზვავიაო, ისე დაეცა თავს ბარანოვსკის დრაგუნებსა,
მაგრამ ამავე წუთს ელოდა თავადიცა.

— აბა, გაემართეთ!—უბრძანა მან სქშეტუსკის.

სქშეტუსკიმ შეიმაღლაურა თვისი კონჩარი და რკინა-
კლდესავით ზვირთი ნელ-ნელა დაიძრა.

დიდ ხანს არ მოუნდათ სიარული: მეომართა წყება თან
და თან უფრო უკან-უკან მოიწევდა. დრაგუნებმა თვალის და-
ხამხამებაში მისცეს გზა და გუსარნი მთელის თვისის სიმძიმით
გრიალით შეეჯახნენ კრივანოსის ძლევა-მოსილ პოლკებსა.

— ერიომა! ერიომა!—გაისმა ძახილი გუსართა.

— ერიომა!—გრიალით მისცა ბანი მთლად ჯარმაცა.

თავადის საშინელმა სახელმა სულ გულის ჩქროლვა აუ-
ტეხა იმიერ-ჭორომელთ. მხოლოდ ახლა მიხვდნენ, თვით თა-
ვადს თურმე ვეომებით და არა კიევის მოურავსაო. ამას გარდა-
ცა, იმათ სრულიადაც არ შეეძლოთ გაჰმაგრებოდნენ გუსართა
კვეთებას. გუსარნი ისე სთელავდნენ და სჭყლეტდნენ მტრის
ჯარს თვისის სიმძიმით, როგორც გადმოწოლილმა კედელმა
დაიტანოს და დასჭყლიტოს მის ახლო მყოფნი. იმიერ-ჭორო-
მელთათვის ერთი ხსნა-ღა იყო: განი ექნათ, გზა მიეცათ გუ-
სართათვის და მერე აქეთ-იქიდან დაეწყოთ ცემა, მაგრამ აქ

ყარაულად იდგნენ დრაგუნები და სუბუქნი სადროშონი ვერ-შულისა, კუშელისა და პონიატოვსკისა.

ახლა კი საომარმა ადგილმა სრულიად იცვალა სახე: სუ-ბუქმა პოლშელთა პოლკებმა ქუჩას დაამგზავსეს ეს ადგილი, ისე აიყუდნენ აქეთ-იქით კედლებიანით. ამ ქუჩა-ქუჩა ქარტეხილივით მიჰქროდნენ გუსარნი და მიერეკებოდნენ, სჭყლეტდნენ და მუსრს ავლებდნენ ქვეითებსა და ცხენოსანთა, ხოლო მათ წინ ივლ-ტოდნენ იმიერ-ჭორომელნი ღრიალითა და გმინვითა გორისა-კენ, ქალაქისაკენ. ვერშულისა და პონიატოვსკის ფრთე-ჯარები რომ შეერთებულიყვნენ, მთლად ყაზახობას ალყა შემოერტყ-მოდა და სულ ამოსწყვეტავდნენ კიდეცა.

ახალგაზდა კრივანოსი, თუმცა ფრიად გულადი და ვაჟ-კაცი იყო, მიხვდა, რომ ჩემი გამოუცდელობა ვერას გააწყობს თავადის გამოცდილებასთანაო და ამიტომ თავ-გზა დაბნეული გიჟივით მიჰქროდა ქალაქისაკენ, ბან კუშელმა შეჰნიშნა ესა და დაშნა დაჰკრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პირისახეში. და-შნას რაღაცა დაბრკოლება დახვდა და კრივანოსი მძიმედ იქნა მხოლოდ დაჭრილი. გარნა კუშელის სიცოცხლე კი კინაღამ იმსხვერპლა ამ გარემოებამ. სწორედ ამ დროს დაეცა თავს ბურდაბუტი თვისის პოლკის ნაშთითა.

ორჯელ სცადა მან შეეყენებინა გუსარნი, მაგრამ ორ-ჯელვე უკუ-ქცეული მტერთა ძლიერებით, იძულებული იყო სხვასთან ერთად უკან დაეწია. ბოლოს მოიკრიფა გარშემო თვისნი ყაზახნი, რომელნიც კი ცოცხალნი გადარჩენილიყვნენ და გადასწყვიტა, ვეკვეთები კუშელს, გავარღვევ მისს რაზმს და გავალ მინდვრადაო. მაგრამ ყველგან შეჯგუფულ-შეტბორე-ბულნი იყვნენ ლტოლვილნი და გზა არსადა სჩანდა; ხსნა შეუძლებელი-ღა იყო. გუსარნი იძულებულნი შეიქნენ გადა-ესროლნათ შუბები და გამძვინვარებით ეტრიალებინათ ხმალ-ხანჯალი. ომი ჩეხა-ჟლეტად გადაიქცა, გვამთა ხორა დგებოდა, ცხენები ფეხითა სთელავდნენ სასიკვდილოდ დაჭრილთა. ზო-გან ისე შეჯგუფულიყვნენ მეომარნი, რომ ხმლის მოქნევის ილაჯი აღარ იყო; ამისთანა ადგილას მტერნი პირდაპირ ჰხან-

ჯლავდნენ ერთმანერთს. აი მოისმა ხმა ხვეწნა-მუდარისა: „შეგვიწყალეთ, ლიახნო!“ ეს ხმა თან და თან ძლიერდებოდა და ამის გამო აღარ ისმოდა ცემა ხმალთა, ზრიალი რკინისა, საშინელი გმინვა მომაკვდავთა; „შეგვიწყალეთ, ლიახნო!“ მეტის განწირულებით, მეტის ხვეწნა-მუდარებით ისმოდა ხმა ლტოლვილთა ბრბოსი, მაგრამ გრძნობა შეწყალებისა არ ეკარებოდა ძლევა-მოსილთა. მშვიდი მზე არ აშუქებდა მათს სისხლით შესვრილს გზას, არამედ შავ-უკუღმა სინათლე ცეცხლ-მოკიდებულის ქალაქისა.

მარტო ბურდაბუტი არ ითხოვდა შეწყალებასა. ადგილი არა ჰყოფნიდა საომრად და ამიტომ ხანჯლით იკვლევდა თავისთვის გზას. კაცს ეგონებოდა, მისი მარჯვენა არ იღლება ხანჯლის ტრიალითა და ცემითაო. „ჯადოქარია, ჯადოქარიო!“ დაიწყეს ძახილი გუსარებმა.—„ხმალი არ ეკარება! მოჯადოებულიაო!“ მართლაც, პირ-დორბლიანი, ისე აბრიალებდა თვალებს, თითქო ცეცხლი წაჰკიდებიაო, თითქო ჯადოქარიაო. აი დაინახა მან სქშეტუსკი და მიჰვარდა იმ წამსვე.

ყველამ სული განაბა, ბრძოლას თავი დაანება და თვალს არ აშორებდა ორ ძლევა-მოსილს რაინდსა. პან სქშეტუსკის არ შეეშინდა ძახილისა „ჯადოქარიაო“, საშინლად გამძვინვარდა მხოლოდ, დააკრაჭუნა კბილები და შლეგიანივით ეცა ატამანსა. ისე შეეჯახნენ ერთმანერთს, რომ მათი ცხენები ყალხზე შედგნენ და უკანა ფეხებზედ ჩასხდნენ. გაისმა ზრიალი რკინისა და ატამანის ხმალი უცებ დაიმსხვრა პოლშურის მახვილის დარტყმითა. კაცს ეგონებოდა, რომ ეგ არის, ველარავითარი ძალა ველარ დაიხსნის ბურდაბუტს სიკვდილისაგანაო, მაგრამ ის მაინც მიჰვარდა სქშეტუსკის, სწვდა წელში და ამართა თვისი საშინელი ხანჯალი შიგ ყელში ჩასაცემად.

გარემოება შეიცვალა. ახლა სიკვდილი ზურგს უკან უდგა პან სქშეტუსკის, ახლა აღარ შეეძლო დაშნა ეხმარნა. მაგრამ მან სასწრაფოდ გაუშვა ხელიდან მახვილი და სწვდა მაჯაში ატამანსა. ერთს წუთს ორივეს ხელი ჰაერში ცახცახებდა, მაგრამ, ალბად სქშეტუსკის უფრო მეტი ღონე ჰქონდა მკლავში,

რადგან ატამანმა მალე წრუწუნი დაიწყო და ყველამ დაინახა, როგორ გაუვარდა ხელიდან დანა, თითქო მარცვალი ჩამოვარდა გამხმარ თავთავიდანაო. ახლა კი გაუშვა ხელი იმის დაჟეჟილს მაჯას, სწვდა საყელოში, დაუხარა თავი ზედ უნაგირის ტახტაზედ, მარცხენა ხელით იძრო ბუზდიგანი და სცა ერთ-ხელ... მეორედ... ატამანმა ხრიალი დაიწყო და ჩამოიმხვლა ცხენიდან.

ბურდაბუტის ყაზახნი განწირულის ყიჟინით გადაცვივდნენ, რომ შური ეძიათ ატამანის მოკვლისათვის, მაგრამ აქ გუსარნი დაუხვდნენ და ყველამ იქვე დასდო თავი.

მეორე მხარეზედ ომი ერთს წუთსაც არ შეწყვეტილა; იქ უფრო ხალვათობა იყო. იქ მძვინვარებდა ანნა ბოჟობოლატის შარფით მკლავ-შეხვეული პან პოდბიბენტა თვისის მახვილითა.

მეორე დღეს გაკვირვებით ათვალიერებდნენ ამ ადგილებს რაინდნი და, ჰნახეს რა მკლავნი, მოკვეთილნი მთლად მხარის ჩამოტანებითა, თავნი, გაჩეხილნი შუბლიდან ნიკაპამდე, ხორად დამდგარნი გვამნი კაცთა და ცხენთა, ერთმანერთს ეჩურჩულებოდნენ: „ერთი შეჰხედეთ, რა ამბავი დაუწევია აქ პოდბიბენტანსაო“! თვით თავადიც კი გაოცებული იყო ყოველ ამის ნახვითა.

მაგრამ ნელ-ნელა ბოლო ეღებოდა ომსაცა. მძიმე რაზმი ცხენოსანთა კვლავ გაემართა წინ და გაირეკა იმიერ-ჭორომელთა ჯარი, რომელიც ცდილობდა ეშველნა როგორმე თავისათვის, მაგრამ გარშემორტყმულ იქმნა კუშელისა და პონიატოვსკის ჯარებითა. ასე შემწყვდეულნი, ყოველს იმედს მოკლებულნი იმიერ-ჭორომელნი იბრძოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ყოვლადის განწირულებითა. ერთი აღარ გადარჩა მათ-შორის ცოცხალი, მაგრამ სამაგიეროდ თავიანთის თავ-დადებით სხვები გადაარჩინეს სიკვდილსა. როცა, ესე ორ საათს შემდეგ, ვერშული შევიდა თვისის თათრებით ქალაქში, ერთი ყაზახიც ვეღარა ჰნახა იქა. ყველანი თავიანთ ჩვეულებისამებრ სისწრაფით გასულიყვნენ წყალ-გალმა, აეშალათ ხი-

დი და იქ დაბანაკებულიყვნენ გარშემო თხრილ-შემოვლებულნი.

ის მცირეოდენი რიცხვი შლიახტიჩებისა, რომელიც ციხეში იყვნენ და იქიდან იგერებდნენ მტერს, გადარჩნენ ამოწყვეტასა. თავადმა სამაგიეროდ ბრძანა, რომ სასტიკად დაესაჯნათ ქალაქის მკვიდრნი, რომელნიც მიემხრნენ ყაზახთა, ხოლო თვითონ მდევრად გამოეკიდა იმიერ-ჭოროომელებს. მაგრამ ყოვლად შეუძლებელი იყო თავს დასხმოდა მტრის ბანაკს უზარბაზნებოდა და უქვეითო ჯაროდ. ყაზახებს კარგა დიდი დრო დარჩათ და სასწრაფოდ ილტოდნენ. მერე ახლა კიევის მოურავ-ერისთავიც წინააღმდეგი შეიქნა, ნულარ გამოვეკიდებით მტერსო. თავადი საშინლად გაცეცხლდა.

— რატომ არ გინდათ ვსდევნოთ მტერი, რომელსაც ისეთის ვაჟკაცობით ებრძოდით ამ რამდენისამე საათის წინად?—ჰკითხა მან წყრომითა.

— თავადო,—უპასუხა მოურავმა,—მე არ ვიცი თქვენი ძალ-ღონე, ხოლო ჩემი კი უნდა მოგახსენოთ, რომ მე ადამიანის შვილი ვარ, სისხლ-ხორც შესხმული; ამდენის შრომის და ღვაწლის შემდეგ, მოსვენება მეჭირვება მეცა და ჩემს ჯარის კაცთაც. მუდამაც მზადა ვარ ვეომო ძლიერს მტერს, გარნა ძლეულსა და გაქცეულს კი დევნას ვერ დავუწყებ.

— სულ უნდა ამოვწყვიტოთ, რომ ერთი აღარ გადარჩეს ცოცხალი!—შეჰყვირა თავადმა.

— რა გამოვა მერე? მაგათ ამოვწყვეტავთ, მოვა მერე უფროსი კრივანოსი, ყველაფერს გადასწვავს, ააოხრებს და ჩვენის სასტიკობის გამო უდანაშაულონი ჩავარდებიან პასუხის გებაში.

— ოჰ,—გაგულისებით განაგრძო თავადმა,—ვხედავ, რომ, კანცლერთანა და მის მხედართ-მთავრებთან ერთად თქვენც მშვიდობიანობის დასს ეკუთვნით, მშვიდობიანის მოლაპარაკებით გინდათ ჩააქროთ ცეცხლი ამბოხებისა. მაგრამ, ვფიცავ ღმერთსა, რომ ეგ სარგებლობას არ მოგვიტანს და მაგისთანა საქმეს არც ვიტვირთებ, ვიდრე ხმალი ხელთ მიპყრია!

— აბა სწორედ მე არ ვეკუთვნი არც ერთ დასს,—გულ-დამშვიდებით უპასუხა ტიშკევიჩმა,—მე ღმერთს ვეკუთვნი და ვემზადები წარვსდგე მისის მსჯავრის წინაშე. ხოლო თუ არ მინდა, რომ სულს მიმძიმებდეს სისხლი, დათხეული ძმა-ძმის მკვლელობის დროს, ნუ გაგიკვირდებათ... თუ გწყინთ, რომ თქვენ არ დაგნიშნეს მხედართ-მთავრად, მაგის შესახებ პირ-დაპირ გეტყვით: კვერთხი თქვენ გეკუთვნოდათ სიმართლით, მაგრამ, იქნება, კარგად მოიქცნენ, რომ თქვენ არ ჩაგბარეს; თქვენთვის რომ ჩაებარებინათ, არა თუ ამბოხების ცეცხლს, არამედ მთლად ამ ქვეყანას მორწყავდით სისხლის ღვრითა.

მრისხანე წარბები შეეკმუხნა ერემიას, თვალებმა ელვარე-ბა დაუწყო, თითქო ცეცხლი სცვივაო; ყველა იქ მყოფნი შე-შინდნენ, მოურავ-ერისთავს არა დაჰმართოს-რაო, მაგრამ სწო-რედ ამ დროს შემოვიდა სქშეტუსკი და მოახსენა თავადს:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ამბავი მოვიდა უფროსის კრი-ვანოსისა!

მთლად ყურადღება თავადისა ამ ამბავმა მიიპყრო და მი-სი გულის-წყრომა დასცხრა. მაშინვე შემოვიდა ოთახში ოთხი უცხო კაცი, მათ შორის ორი მღედელი მართლ მადიდებლის სარწმუნოებისა და, დაინახეს თუ არა, დაიჩოქეს მის წინაშე და შეევედრნენ:

— დაგვიხსენი, ბატონო, დაგვიხსენი!—იმეორებდნენ ისი-ნი და ხელებს იწვდიდნენ მისკენა.

— სადაურები ხართ?—ჰკითხა თავადმა.

— პოლონოელნი ვართ. უფროსმა კრივანოსმა ალყა შე-მოარტყა ქალაქსა და ციხესა; თუ თქვენი მახვილი არ გაიელ-ვარებს მის თვალთა წინაშე, ჩვენ ყველანი დავიღუპებით.

— პოლონაიისა ცოტა-რამ გამიგონია,—აუჩქარებლივა სთქვა თავადმა.—დიდ-ძალი ხალხი დაიღუპა იქა, მეტადრე რუ-სინები. კარგად მოქცეულხართ, რომ წინააღმდეგობა გაგიწე-ვიათ მეამბოხეთათვის, მაგრამ მე მაინც ვშიშობ, რომ არ მი-ღალატონ იქაურებმა, როგორც მოიქმედეს ნემიროველებმა.

დეპუტატებს ხატი და ჯვარი ძირს ჩამოჰქონდათ, რომ აზრი მოღალატობისა შორს არის ჩვენგანაო, თქვენა ხართ ერთად-ერთი მხსნელი ჩვენიო. მართლაც, იმათს ლაპარაკში იოტის ოდენა ტყუილიც არ ერია. კიდეც იმიტომ დაიფიცა კრივანოსმა, რომ გადავუხდი სამაგიეროსაო, რუსინები არიან და მეამბოხეთა მხარე კი არ დაიჭირესო.

თავადი დაჰპირდა შემწეობასა, თუმცა ახლავე კი არ შემიძლიანო: უმთავრესი ჩემი მხედრობა ბისტრინას არისო. დეპუტაცია წავიდა, ხოლო თავადმა მიჰმართა კიევის მოურავ-ერისთავსა:

— მომიტევეთ, ბატონო მოურავო! მე თვითონა ვხედავ ახლა, რომ თავი უნდა დავანებო კრივანოსის შვილსა და ვსდევნო კრივანოსი-მამა. უნცროს შეუძლიან უფრო მეტს ხანს უცადოს თავისს სარჩობელას. დარწმუნებული ვარ, რომ არ მიმატოვებთ მარტოკას.

— ვფიცავ ღმერთსა, რომ მე თქვენ არ დაგტოვებთ! — ღაღადებით წარმოსთქვა მოურავმა.

საღამოზედ ვისნეეეცკის ბანაკში მოვიდა პან სტახოვიჩი, ელჩი ბრაცლავის მოურავ-ერისთავისა. პან კისელი სწერდა თავადს წერილსა, სავსეს თავაზიანობითა, სწერდა, რომ მარი ხარ, ის მარი, რომელმაც დაიხსნა სამშობლო საუკუნო დაღუპვისგანაო, ქვეყანა ცას ეწევა სიხარულით, რაკი თქვენ გამოხვედით საბრძოლველადაო; ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ სამზღვარი არ ექნება თქვენს ძლევა-მოსილებასო, მაგრამ... მაგრამ ბოლო წერილისა სრულიად არ შეესაბამებოდა თავსა. ბრაცლავის მოურავი სწერდა ბოლოს, რომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად უკვე დაწყებულია მოლაპარაკება, მეცა და სხვა ელჩნიც ვაპირობთ მალე თეთრ ეკლესიაში წასვლას და იმედი გვაქვს დავამშვიდოთ ხმელნიცკიო. დასასრულ, სთხოვდა თავადს, ნუ დაესხმები თავს ყაზახთა და, საზოგადოდ, დრომდე თავი შეიკავე და დაუტოვე ლაშქრობაო.

თავადისთვის რომ ის ეთქვათ, მთელი შენი დნეპრ-გაღმა მხარი აოხრებულ იქმნა, ყველა ქალაქიო აკლებულ და მიწა-

სთან გასწორებულ, მაშინ არ იგრძნობდა ისეთს გულის ტკივილსა და ჩხვლეტას, როგორიც ამ წერილმა აგრძნობინა. ერემიამ ხელები თვალებზედ მიიფარა და ისე გადაესვენა, თითქო შიგ გულში იქმნა დაკოდილი ისრითაო.

— სირცხვილი! სირცხვილი! ღმერთო, მალე მაღირსე სიკვდილი, რომ ასეთი სამარცხვინო საქმე არ იხილოს ჩემმა თვალებმა!

ყველა დადუმდა, ხოლო თავადმა კვლავ განაგრძო:

— აღარ მინდა სიცოცხლე ამ რესპუბლიკაში; სირცხვილით უნდა ვწითლდებოდეთ ახლა იმის გულისათვის, იმის მაგიერ. ბრბომ, ყურმოჭრილმა მონებმა სისხლით მოალიელივეს სამშობლო, კავშირი შეჰკრეს ურჯულოებთან... გეტმანები დაძლეულ იქმნენ, მხედრობა ამოწყვეტილია, დაიღუპა საჭელი ერისა, დიდება მისი ფეხ-ქვეშ არის გათელილი, ეკლესიები აკლებულია, ქსენძნი და შლიახტა ამოჰხოცეს, დედაკაცნი გააუნამუსოვეს... და ყოველ ამ დამცირებისათვის, რომელიც მამაპაპათა ძვალთაც-კი შეარყევს საფლავებში, რა პასუხი გასცა რესპუბლიკამ? მოღალატეს, თვისსა შეურაცხმყოფელს, თათართა მოკავშირეს პირველი ეხვეწება მშვიდობის ჩამოსაგდებად მოვილაპარაკოთო და ჰპირდება შენდობასა. ოჰ, ღმერთო, მაღირსე სიკვდილი!... თავი რაღად გვინდა ცოცხალი, რაღად უნდა იცოცხლონ იმათ, ვინცა ჰგრძნობენ მამულის შერცხვენას და სიცოცხლეს არა ჰზოგავენ მისდა სამსხვერპლოდ!

მოურავ-ერისთავი სულ სდუმდა, ხოლო პან კრიშტოფმა გაუბედავად წარმოსთქვა:

— მარტო პან კისელი ხომ არ არის რესპუბლიკა?

თავადმა მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა:

— ნურას მეუბნებით პან კისელისას; კარგად ვიცი, რომ მთელი დასი უდგა იმას ზურგთ უკან; ის კარგად მიხვდა, რაც სწადიან პრიმასსაცა, კანცლერსაცა, თავად დომინიკსაცა, მთლად პანებსაცა, რომელნიც ამ უმეფობის დროს განაგებენ რესპუბლიკასა... ჰმ, განაგებენ!.. განაგებენ კი არა, არცხვენენ თვი-

სის დასაგმობის სისუსტითა?... ისა სჯობიან სულ გასწყდეს რაინდი ერი, ვიდრე დამცირდეს და მთელის ქვეყნის სასაცილოდ შეიქმნას.

და თავადმა კვლავ მიიფარა ხელები თვალებზედ. ასეთს განწირულებაში არას დროს არ ენახათ ჯერ თავადი მის ახლო მყოფთა.

— თავადო,—ნელის ხმითა სთქვა ზაცვილიხოვსკიმ,—დეე იმათ აგრე იყბედონ და იდესპანონ, ხოლო ჩვენ მახვილნი ვამოციქულოთ.

— მართალს ამბობ, ვფიცავ შემოქმედსა!—სთქვა ღაღადებით თავადმა.—ან კი სხვა რა დაგვრჩენია ამ ყოფაში? აი ჩვენა, გავიგეთ თუ არა, სამშობლო გაჭირვებაშიაო, წამოვედით, გამოვიარეთ ცეცხლ-მოდებულნი ტყენი და გაუვალნი ჭაობნი, არც უძილობას მივხედეთ, არც უჭმელ-უსმელობასა, ჯანი გავიგდებინეთ, რომ იგი ძვირფასი მამული იწროებისაგან დაგვეხსნა. ხელები გაგვიშეშდა, დაგვიბებრდა მძიმე შუშაობით, სიყმილით მუცელი გვეწვის, წყლულთა ტკივილი გულს გვიწიწკნის... მაგრამ ჩვენ ყურადღებას არას ვაქცევთ. ყოველსავე მოვითმენთ, ოღონდ კი მტერი შევიკავოთ. მე მაბრალებენ, შურს ასდევო, ამბობენ, იმიტომ ინდურება, რომ სრულიად რესპუბლიკის მხედრობა იმას არ ჩავაბარეთო. დეე, მთელმა ქვეყანამ თვით განსაჯოს, ჩემზედ უკეთესნი არიან თუ არა, ვინც ხელში ჩაიგდო ასეთი ხარისხი... მე თქვენ გიმოწმებთ, თვით ღმერთია მოწამე, რომ მეცა და თქვენც პატივისა და დიდებისათვის არა ვღვრით ჩვენს სისხლს, ვწირავთ ჩვენს სიცოცხლეს, არამედ მამულის სიყვარულისათვის. და აი სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი ძალ-ღონე ილევა, როცა გული ჩვენი სწყვეტავს ცემას, რა ამბავი მოგვედის? აი რა ამბავი: ვარშავაში მაგნატები და პან კისელი გუშჩას წელებზედ ფეხს იდგამენ, ყოველის ღონის-ძიებით ცდილობენ, რომ დააკმაყოფილონ როგორმე ხმელნიცკი. სირცხვილი, სირცხვილი ჩვენთვის!

— კისელი მოღალატეა!—შეჰყვირა პან ბარანოვსკიმ და ისევ ბალე გაჩუმდა, მაგრამ სტახოვიჩმა, კაცმა ფრიად გულადმა და გაბედულმა, უპასუხა საჩქაროზედ:

— მე მეგობარი ვარ ბრაცლავის მოურავ-ერისთაისა და ნებას არავის მივცემ, ჩემ წინაშე იმას მოღალატე უწოდონ. იმისი თმაც გათეთრდა მწუხარებით, ისიც ემსახურება როგორც შეუძლია,სამშობლოს, როგორც ეხერხება... იქნება ისე არა, როგორც სასურველია, გარნა გულწრფელად კი!

თაეადს აღარა გაუგნია-რა. მისი გონება მთლად სამწუხარო ფიქრმა და აზრმა შთანთქა. ბარანოვსკის რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს გამოერკვა ერემია თავის ფიქრებიდან და გამწყრალის, კუშტის სახითა სთქვა:

— სხვა გზა არ არის: ან არ უნდა დავემორჩილოთ ბრძანებას, ან მამული უნდა გავიმეტოთ, გავწიროთ.

— უმორჩილებლობისაგან წარმოსდგება ყოველივე ბოროტება რესპუბლიკაში,—სთქვა კიევის მოურავმა და განგებ ისეთის კილოთი სთქვა, რომ ძალა-უნებურად ყურადღება უნდა მიექცია ყველასა.

— მაშ, ისა სჯობიან, რომ ვიტვირთოთ მისი შერცხვენა! ხვალ რომ გვიბრძანოთ, ყელზედ საბელი მოიბით და ეახლეთ ხმელნიცკის და ტუღაი-ბეისა, ესეც უნდა მოვიქმედოთ, აქაო-და მორჩილება საჭიროაო?

— Veto! —დაიძახა პან კრიშტოფმა.

— Veto! —განიმეორა პან კერდეიმ.

თაეადი მიუბრუნდა თავისს პოლკოვნიკებს:

— თქვენა, ძველნო მეგობარნო... თქვენ რაღას იტყვით?

მოხუცი ზაცვილიხოვსკი გამოერჩია და გამოდგა წინა.

— თავადო, აგერ სამოც და ათის წლის კაცი ვარ, რუსი ვარ, მართლ-მადიდებელი, ყაზახთა კომისარი ვიყავი; თვით ხმელნიცკი მამას მეძახდა. პირველში მეც ერთი გული იმას მეუბნებოდა, რომ მშვიდობიანის მოლაპარაკებით გაგვეთავებინა საქმე, გარნა თუ ახლა ომში ერთი უნდა ამოვირჩიოთ, ან სირცხვილი, ან ომი, მე ცალის ფეხით უკვე სამარეში მდგომი, ვამბობ: ომი-მეთქი!

— ომი!—ერთხმად შეჰყვირეს აფიცრებმაცა.

— ომი! ომი!

— დეე ისე იყოს, როგორც თქვენ ამბობთ,— ღაღადებით წარმოსთქვა თავადმა და დაჰკრა კვერთხი პან კისელის წერილს, რომელიც იდო მის წინა.

XII

გავიდა ერთი დღე მას უკან, რაც ჯარი დაბანაკდა რილცოვსა და თავადმა მოუწოდა პან სქშეტუსკის.

— ჩვენი ჯარი მცირეა რიცხვით და მოიღალა კიდეც,— სთქვა თავადმა,— კრივანოსს სამოცი ათასი მხედრობა ჰყავს, კიევის მოურავის იმედი არა აქვს, იმიტომ რომ გულში ისიც მშვიდობის ჩამოგდების დასს ეკუთვნის, და თუმცა თავს არ მანებებს, მაინც გულით არ უნდა ლაშქრობის განგრძობა. საჭიროა მაშველი ჯარი. მე შევიტყე, რომ კონსტანტინოვკას ახლოს ორი პოლკოვნიკია დაბანაკებული: ოსინსკი, რომელსაცა ჰყავს სამეფო გვარდია და კორიცკი. ასიოდე კაცი გაიყოლიე, იახელ იმათ, მიართვი ჩემი წერილი და სთხოვე მომეშველონ, რაც შეიძლება მალე, რადგან ორის დღის უკან მინდა კრივანოსს შევება. შენზედ უკეთესად ვერავინ შეასრულებს ამ საქმეს, ხოლო ეს საქმე ძლიერ დიდი საქმეა.

პან სქშეტუსკიმ დაუკრა თავი და იმ საღამოსვე გაუდგა გზას დიდის სიფრთხილით. კრივანოსის სათარეშო რაზმნი, საცა არა მგონია, იქ დაიარებოდნენ, ხოლო თავადმა უბრძანა სქშეტუსკის, ერიდე ბრძოლას, დროს ნუ დაჰკარგავ და შენი საქმე გააკეთე უპირველესადაო. მეორე დილით დესპანი უკვე ვიშოვატის სტავს იყო, საცა იპოვა ის პოლკოვნიკები თავიანთის მშვენიერის ჯარებითა. საუბედუროდ, პან ქშეტუსკის ამაოდ ჩაუარა ყოველმა ცდამა და ზრუნვამა: პოლკოვნიკები თავად დომინიკ ზასლავსკის მხედრობას ეკუთვნოდნენ და ნაბრძანები ჰქონდათ, არ შეუერთდეთ ვისნევეცკისაო. დიდად გულ-ნატკენი დესპანი უკანვე დაბრუნდა. ქშეტუსკიმ იცოდა, რომ ეს ახალი ამბაი ძლიერ შეაწუხებდა, დიდად გულს ატკენდა თავადსა, იცოდა, მართლა რა ნაირ იყვნენ მოღალუ-

ლნი მისნი ჯარის კაცნი ხანგრძლივის ლაშქრობითა და მრავალ-გზის ომ-ბრძოლის გადახდითა. თითქმის შეუძლებელი იყო ამგვარ გარემოებათა შორის შეჰბრძოლებოდა იმისთანა მტერს, რომელიც ათჯერ ძლიერი იყო; ძალა-უნებურად უნდა მოეცადნა.

პან სქშეტუსკიმ უკვე გამოიარა ბაკლაი და შეეიდა მშენეცკის ტყეში, რომელიც მეტად ხშირად იყო ატეხილი, სავსე იყო ტევრებითა, საშიშის ჭაობ-ხევებითა. ბედი მისი კიდევ, რომ დიდ ნიალვრებს შემდეგ, კარგი დარი იდგა. რაზმი მწკრივად მიდიოდა ბილიკ-ბილიკ, ტყეში; თან ახლდნენ მეტყევენი, კაცნი ერთგულნი, თვისის საქმის კარგად მცოდნენი.

ტყეში დიდი მდუმარება იყო და არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა; ათასში ერთხელ თუ დაილაწუნებდა ფიჩხი ცხენის ფეხქვეშა; უცბად პან სქშეტუსკის მოესმა რაღაც ხმაურობა, რომელიც არც თუ სიმღერასა ჰგავდა, არც თუ ყვირილსა.

— შესდექით!—ნელის ხმით უბრძანა ჯარის კაცთა და გააჩერა რაზმი.

— ეს რა ამბავია?

მოხუცი მეტყევე მივიდა იმასთან ახლოსა.

ეხლა ტყეში ბევრი გიჟი დაიარება. გუშინ ერთი პოლონელის აზნაურის ქალი ვნახეთ; დახეტიალობდა ტყე-ტყე და გაიძახოდა: „შვილებო, შვილებოვო!“ ალბად ყაზახებმა დაუხოცეს. დაგვინახა თუ არა, დააჭყიტა თვალები და ისეთ ნაირად შეჰკივლა, რომ სულ ერუანტელმა დაგვიარა ტანში. ამბობენ, რომ სხვა ტყეებშიაც ბევრნი არიან მაგისთანებიო.

პან სქშეტუსკი, რომელმაც არ იცოდა, შიში რა იყო მტერთან შეხვედრის დროს, ახლა ერეოლამ აიტანა.

— იქნება მგლის ხროვა ღმუის? შორიდან კაცი ხომ ვერას გაარჩევს.

— სადაური მგლის ხროვა, ბატონო! მგლებს ეხლა ტყეში რა უნდათ, სულ სოფელ-სოფელ დადიან; იქ ეხლა ბლომად აქვთ ულუფა.

— საშინელი დრო დადგა,—ამოიოხრა რაინდმა,—მგლეები სოფლად სცხოვრობენ და გიჟები ტყეში ღმუიან! ღმერთო, ღმერთო!

კვლავ ჩამოვარდა დუმილი და მხოლოდ ნაძვისა და ფიჭვის კენწეროებს გაჰქონდათ შრიალი. მაგრამ აგერ მოისმა კიდევ შორიდან რაღაც ხმაურობა... თან-და-თან უფრო და უფრო ცხადად გასარკვევი.

— ოჰო,—სთქვა მეტყევემ.—როგორღაც ისე მეჩვენება, თითქო იქ დიდი ხალხი უნდა იყოს თავ-მოყრილი. თქვენ აქ მოიცადეთ, ან ნელ-ნელა იარეთ, მე და ჩემი ამხანაგი კი დავწინაურდებით და ვნახავთ, რა ამბავია.

— წადით,—სთქვა პან სქშეტუსკიმ.—ჩვენ აქ დაგიცდით.

მეტყევენი წავიდნენ. გაიარა ერთმა საათმა; პან სქშეტუსკის მოთმინება გაუწყდა და იფიქრა, ღალატი კი არა ედოთრა გულშიო, მაგრამ სწორედ ამ დროს ხშირის ტყიდან გამოვიდა რაღაც აჩრდილი.

— ისინი არიან, ბატონო!—სთქვა მან ჩურჩულით და მივიდა სქშეტუსკისთან.

— ვინ ისინი?

— ხალხის მჟლეტელ-მძარცველნი.

— ბევრნი არიან?

— ორასიოდე კაცი იქნება. არ ვიცი, რა უნდა ვქნათ; ხევში არიან და ჩვენც გზა იქითა გვაქვს. ცეცხლი უნთიათ, მაგრამ არა სჩანს, იმიტომ რომ შიგ ხევში არიან ჩამალულნი. არავითარი მცველ-დარაჯნი არ უყენიათ, ასე რომ შეიძლება კაცი თავს წაადგეს.

— კარგი!—და პან სქშეტუსკიმ დაუწყო დარიგება ორს უფროსს კაცსა.

რაზმი გაემართა წინ, მაგრამ ისეთის სიჩუმითა და სიფრთხილით, რომ გამხმარი ტოტი თუ გატყდებოდა ათასში ერთხელ და იმის ხმას თუ გაიგონებდა კაცი; უზანგი უზანგს არ მოჰხვედრია არც ერთხელ, ხმალს არ გაუღია წკრიალი; ცხენები ლაშქრობას ჩვეულნი მგლურის ძუნძულით მიიერი-

შობდნენ და ერთხელ არ დაუფრუტუნიათ და არ დაუჭიხვინიათ. თვით ხევის გადასახედთან, საიდანაც უკვე შეიძლებოდა გაგერჩიათ, სადა და სად ენთოთ ცეცხლი, ვინა და რა გვარი ხალხი იყო თავ-მოკრებილი, პან სქშეტუსკიმ სამ ნაწილად გაჰყო თვისი რაზმი. ერთი აქვე გადასახედთან უნდა დარჩენილიყო, მეორე წავიდა და დაიჭირა ის მხარე, საითაც ხევიდან გასვლა შეიძლებოდა ხევში მყოფთა, ხოლო მესამე შეჯგუფდა, ხოცვით მიუახლოვდა ხევის ნაპირს და იქ ჩასაფრდა, ისე რომ ზედ დასცქეროდა ტყის მძარცველებსა.

პან სქშეტუსკი, რომელიც ამ მესამე ნაწილში იყო, იყურებოდა ხევში და ცხადად ჰხედავდა მთელს ბანაკს მძარცველებისას, რომელნიც სულ ორას-სამას ნაბიჯის მანძილზედ ძლივს იქნებოდნენ: ცეცხლი ათიოდე ადგილას ენთოთ, და ზედ ქვაბები ედგათ და საჭმელებსა ჰხარშავდნენ. ბოლი ცეცხლისა და სუნი მოხარშულის ხორცისა შიგ ცხვირში სცემდა პან სქშეტუსკისა და მის ჯარის-კაცთა. ცეცხლა-პირას იდგნენ ან ისხდნენ ხევში მყოფნი, სვამდნენ არაყს და ჯიჯინობდნენ. ზოგს ხელში შუბები ეჭირა; შუბებზე დაკიდებული ჰქონდათ მოკვეთილნი თავნი მამა-კაცთა, მცირე-წლოვანთა და დედა-კაცთა. ცეცხლის შუქი ციმციმებდა ამ თავთა მკვდარს, გადაკარკლულს თვალებში და ანათებდა განადირებულ მძარცველების კაცის-მჭამელ პირისახეთა. ერთგან უფრო დიდი ცეცხლი ენთო. მის ახლო იჯდა, პან სქშეტუსკისკენ ზურგშექცეული, მოხუცი მეფანტურე და ფანტურის სიმებს აცოდვილებდა; მის გარშემო ხალხი შეჯგუფულიყო კარგა ბლომად.

პან სქშეტუსკიმ ასეთს სიტყვებს მოჰკრა ყური რამდენჯერმე:

— ეე, მეფანტურე! აბა ერთი ყაზახის გოლოტას ამბავს მოჰყე!

— არა ერთი!—თხოულობდნენ სხვანი,—მარუსია ბოღუსლავკას ამბავი დაამღერე!

— რა ჯანაბად გინდათ ეგ მარუსია!.. პოტოკელის პანის ამბავი სჯობიან, პოტოკელისა!

მეფანტურემ ღონივრად ჩამოჰკრა თითები სიმებს, ჩაახველა და დაიწყო:

აღზდეგ, ჰნახე, გაიოცე, თუ ყოველი ვის ბევრი აქვს,
შენც იმის ტოლი იქნები, ვისაც სულ არაფერი აქვს,
ყველას ბატონი და მეფე მარტო ღმერთია მოწყალე:
ყველას საქმეს სიმართლითა სწონავს, შენ მას მიავალე...

აქ მეფანტურე შესდგა პატარა ხანს და ამოიოხრა; ამოიოხრეს ყაზახებმაცა. მეფანტურეს გარშემო უფრო და უფრო ბლომად მოიყარა ხალხმა თავი. თუმცა სქშეტუსკიმ იცოდა, რომ ჩემი ჯარის-კაცნი მზად არიანო, მაინც აგვიანებდა თავდასხმის ბრძანებას, ეს მყუდრო ღამე, აქა-იქ გაჩაღებული ცეცხლი, ნადირისა და ველურის ხალხის სათითაო სურათი და ნიკოლოოზ პოტოცკის ლექსად თქმული სიმღერა რაღაცა დარდებს უშლიდა, რაღაც ახალს გრძნობას უღვიძებდა, ისეთს გრძნობას, რომელიც თითონაც ვერ გაერკვია კარგადა. ჯერ დაუშუშებელნი წყლულნი მისის გულისა კვლავ აეშალა, სულმა და გულმა კვნესა დაუწყო. ღრმა ფიქრმა წაიღო მისი გონება, ხოლო მეფანტურე კვლავ განაგრძობდა:

აღსდეგ, ჰნახე, გაიოცე, ვინც იბრძვი და მეომარობ,
ტყვია-წამლით, მახვილითა იერიშობ, მშვილდ-ისარობ.
ბევრნი იყვნენ, რაინდობდნენ, არა ნაკლებ, შენ რომ ჰგმირობ,
მახვილითა ვინც ვინ მოსრას, მახვილმავე მოჰკლას, ჰკვირობ!?
აღზდეგ, ჰნახე, გაიოცე, დამშვიდდი და ნუღარ ჰზვაობ,
პოტოკიდან წამოსულო, სასტიკობით ჰყორან-სვაობ.
ამდენს ხალხსა ჰკლეტავ, ჰმუსრავ, იმონებ და გულ-კაჟ-ქვაობ,
ეურჩები მეფეს, საბჭოს, სურვილითა მარტოკაობ...

მოხუცი მეფანტურე კვლავ შესდგა და სწორედ ამ დროს სქშეტუსკის ერთს ჯარის-კაცს გაუვარდა ხელიდან პატარა ქვა და ძირს ჩაჰგორდა. მძარცველებმა მიიფარეს ხელი შუბლზედ და დაიწყეს მაღლა ცქერი სიბნელეში. სქშეტუსკიმ მო-

ისაზრა, რომ ახლა კი დროაო; დაუმიზნა დამბაჩა ბრბოს და ესროლა.

— ხმალი მაგათა!—შესძახა დესპანმა და ოც და ათმა ჯარის-კაცმა გაისროლა დამბაჩები, მერე სასწრაფოდ იშიშვლეს ხმლები, დაეშვნენ გვერდობზედ და თავს დაესხნენ გაოცებულ, შემკრთალ და შეშინებულ მძარცველებსა.

— ხმალი მაგათა!—გაიხმაურა პასუხად ხევის ერთმა კუთხემა.

— ხმალი მაგათა!—მისცა ბანი მეორემა.

— ერემია, ერემია!

სქშეტუსკის ჯარის-კაცნი ისე მოულოდნელად დაესხნენ თავს ხევში მყოფთა და ისე სახტად დარჩნენ ამის გამო განცხრომას მიცემულნი, რომ თუმცა ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, წინააღმდეგობის გაწევა ფიქრადაც აღარ მოსდიოდათ. უამისოდაც აჯანყებულთა შორის ხმა იყო გავრცელებული, რომ ერემიას ერთსა და იმავე დროს ბოროტის სულის შემწეობით შეუძლიან სხვა-და-სხვა ადგილას გაჩნდესო, ხოლო ახლა მისის სახელის გაგონებაზედ, თითქო მართლა წყეულის სახელი გაიგონესო, ძალა-უნებურად ვარდებოდათ ხელიდან იარაღი. ცელებითა და შუბებით არა გარიგდება რა ასეთს ვიწრო ხეობაში. ხევის მეორე მხარეს ზედი-ზედ მიჭყლეტილნი, მძარცველნი, თითქო ცხვრის ფარაოო, სულ გაოგნებულნი იყვნენ და ისე იჟლიტებოდნენ, რომ ხელის-გამოღებას ვერ ახერხებდნენ. აქამდე მიყუჩებულ ტყეში გაისმა შავ-უკუღმა ყიჟინი ომისა. ყველანი ისწრაფოდნენ გადაერჩინათ როგორმე თავი სიკვდილისათვის, ეცნენ ფრიალო კლდეს და მიფოფხავდნენ ზედ, მაგრამ ხელებზედ ტყავ-გადამძვრალნი ძირსვე სცვიოდნენ და ზედ ეგებოდნენ ხმალსა და ხანჯალზედ. ზოგნი ხმა-ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ თავიანთ ხვედრს, ზოგნი შეწყალებას იხვეწებოდნენ, ზოგნი ხელებს იფარებდნენ პირისახეზედ, მოახლოვებული სიკვდილი არ დავინახოთო. და ყოველ ამ უბედურებაში ჟამითი-ჟამად გაისმოდა საშინელი ძახილი: „ერემია! ერემიაო!“

მოხუცმა მეფანტურემ ისეთი სთხლიშა შუბლში ერთს ჯარის-კაცს თავისი ფანტური, რომ ბრახვანი გახდა ძირსა; მეორეს კინაღამ მკლავი მოუგრიხა, რადგან ხელში ხმალი ეჭირა და დარტყმას უპირობდა. თან ღრიალებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— გაჩერდი, გაჩერდი, შლიახტიჩი ვარ! Luquor latine! მეფანტურე არა ვარ, არა! გაჩერდით-მეთქი, გეუბნებით, თქვე ავაზაკნო, საზიზღარნო, ძაღლის შვილნო!

მეფანტურეს ჯერ არ გაეთავებინა თავისი თავაზიანი ლაპარაკი, რომ პან სქშეტუსკი მოვიდა იმასთან, დააკვირდა სახეზედ და შეჰყვირა:

— ზაგლობა!

ეცა მაშინვე მხეცივით, ჩასჭიდა თითები მხრებში, მიიახლოვა მისი პირისახე და გახრინწიანებულის ხმითა ჰკითხა:

— კნიაჟნა რა უყავ? კნიაჟნა რა უყავ?

— ცოცხალია, კარგად არის, უშიშარ ბინაზეა! — ძლივს მოახერხა პასუხის თქმა მეფანტურემ. — ერთი გამეცალე აქედან და მიშვი ხელი-და! სული ამომართვი კია და!

და რაინდი, რომელსაც ვერა სძლია ვერც ტყვეობამ, ვერც ჭრილობა-წყლულებმა, ვერც მწუხარებამ, ვერც საშინელმა ბურდაბუტმა, დაეცა ახლა, საკუთარის ბედნიერებით დაძლეული, სულ კანკალმა აიტანა, ჩაიჩოქა და ხელები მიიფარა თვალებზედ.

საცოდავნი მძარცველნი სულ ამოსწყვიტეს; გადარჩა რამდენიმე კაცი და ისინიც მერე ჯალათის ხელში უნდა ჩაცვივნულიყვნენ. ბრძოლა გათავდა, ხმაურობა მიწყდა. ჯარის-კაცნი გარს შემოერტყნენ თვისს წინამძღვარსა, ის მაინც დაჩოქილი იყო და ზეზე არა დგებოდა... დაჭრილი ხომ არ არისო? მაგრამ აი წამოდგა და ისეთი სახე ჰქონდა, რომ სულ უბრწყინაედა გამოუთქმელის სიხარულით.

— სად არის ეხლა? — ჰკითხა მან ზაგლობას.

— ბარსა.

— უშიშარია მისი ბინა?

— ისეთი მაგარი ციხეა, რომ არაფრის ფიქრი არა აქვს. ხოლო თვით კნიაჟნა პანი სლოვოშევსკისა და მონაზონთა მფარველობის ქვეშეა.

— გმადლობ შენ, ღმერთო! — ჭეშმარიტის გრძნობითა სთქვა რაინდმა.—მომეცით თქვენი ხელი, პან ზაგლობა. გულითა და სულით...

აქ სქშეტუსკი მიუბრუნდა უცბად თავისს ჯარის-კაცებს და ჰკითხა:

— რამდენია სულ ტყვე?

— ჩვიდმეტი.

— დღეს ღმერთმა დიდი სიხარული და ბედნიერება მომივლინა... არ მინდა ვაწყევინო ვისმე. გაათავისუფლეთ ის ტყვენი.

ჯარის-კაცნი გაშეშდნენ და არა სჯეროდათ უფროსის სიტყვები. ასეთი შემთხვევა ჯერ არ მომხდარიყო ვისნეეეკის ჯარსა და მხედრობაში.

სქშეტუსკიმ ოდნავ კოპები შეიკრა.

— გაანთავისუფლეთ-მეთქი,—განიმეორა დესპანმა თვისი ბრძანება.

ჯარის-კაცნი წავიდნენ, მაგრამ მალე უფროსი ესაული დაბრუნდა უკან.

— პან პარუჩიკო,—სთქვა მან,—არა სჯერათ, რომ მართალს ვეუბნევით, არ მიდიან.

— ხელები კი გაუხსენით?

— გავუხსენით.

— მაშ, ეგენი აქ იყვნენ და ჩვენ გზას გაეუდგეთ, აბა ჩქარა!

ნახევარ საათს უკან სქშეტუსკის რაზმი კვლავ მიდიოდა ბილიკ-ბილიკ ტყეში. ამოვიდა მთვარე და გააშუქა თვისის მკრთალის ნათელით ხშირი და დაბურული ტყე. პან ზაგლობა და სქშეტუსკი წინ მიდიოდნენ და მუსაიფობდნენ ერთმანეთში.

— მითხარით იმისი ყოველივე, რაც კი იცით,—ევედრებოდა რაინდი.—მაშ, თქვენ გადაარჩინეთ კნიაჟნა ბოგუნის ხელიდან?

— მე, მაშა, მე, მერე თავ-პირიც ავუხვიე, როცა გამოვემშვიდობე, ყვირილს ველარ დაიწყებს-მეთქი.

— დიდის პატიოსნებით მოქცეულხართ, ვფიცავ ღმერთსა! ბარს როგორღა მოხვედით?

— ოჰ, მაგის ამბავი შორს წაგვიყვანს... მერე იყოს... მერე ძალიან დაღალულიცა ვარ და ხახა სულ ამომშრალი მაქვს... თქვენ როგორა გგონიათ, განა ადვილია, ამ ტეტიებისათვისა ამბობდეს კაცი სიმღერებსა? სასმელი არა გაქვთ-რა?

— როგორ არა! ერთი შუშა არაყი, აი!

პან ზაგლობამ მოიყუდა და დაუწყო სმა. ვინ იცის, ახლა როდის დასცლის?

სქშეტუსკიმ ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— ერთი მითხარ, როგორ მოგეწონა?

— ეჰ, ვინ დაეძებს!—სთქვა პასუხად პან ზაგლობამ.— როცა სტომაქი ცარიელია, ყველაფერი მუცლის ბოძია.

— მე კნიაჟნასას გეკითხები?

— კნიაჟნასასა? ეგ მერე იყოს, მერე...

— როგორად ისაძლისებს, თუ იცი, ბარში?

— ძალიან კარგად. მისს სილამაზეს დიდად აფასებენ და ამიტომ ყველას უყვარს. პანი სლოვოშევსკისა ისე ეკიდება, როგორც ღვიძლ-შვილსა. რაინდნი ხომ ვინ იცის რამდენი ეარშიყება... მაგრამ კნიაჟნა იმდენს ყურადღებას აქცევს იმათ, რამდენსაც მე აგერ ამ ცარიელ არაყის შუშას.

— მაშ ეახსოვარ ელენეს?

— ახსოვხარ! მეც არა ერთხელ გამკვირვებია, როგორა ჰყოფნის იქაური ჰაერი, ამდენს რომ ოხრავს-მეთქი. ყველანი თანაუგრძნობენ, განსაკუთრებით მონაზონნი; კნიაჟნამ სულ დაიმორჩილა ის საცოდავნი. მეც იმან გამაბედვინა, წადი, იპოვე სქშეტუსკიო, გაიგე ცოცხალია, თუ მკვდარიო. მეც აღარას დავდიე, გავწირე თავი და წამოვედი. წინადაც ბევრს

სხვას დაავალა ეს საქმე, მაგრამ არავინ არ დათანხმდა... ბოლოს, შემეცოდა ქალი და წამოვედი თქვენის ბანაკის საპოვნელად. ეს ტანისამოსი რომ არა მცმოდა, აქამდე იქნება ძვლებიც აღარსადა ყოფილიყო. ყველას ასე ჰგონია, რომ მოხუცი მეფანტურეაო. ისიც კია, რომ სიმღერის თქმა კარგად ვიცი...

პან სქშეტუსკის სიხარულით ენა ჩაუვარდა. ათასი აზრი და მოგონება ბუზივით ირეოდა მის გონებაში. ელენე ისე წამოუდგა თვალ-წინ, თითქო აგერ ეუცქერიო, სწორედ იმ ნაირი, როგორიცა ჰნახა რაზლოგში, სეჩს წასელის წინად, ისეთივე მშვენიერი, ატლასივით გაწითლებული, მაყვალივით შავის თვალებითა, რომელიც თითქო ტბაა გამოუთქმელის სიტკბოებისაო. აგერ თვალ-წინა ვხედავო, ვგრძნობ, რა სიცხოველე მომდის იმის აჭარხლებულ ლოყებისგანაო, მესმის იმის გულის ძგერაო. მოაგონდა ალუბლის ბაღიცა, გუგულიცა, ისიც, რაცა ჰკითხა გუგულსა და ისიც, როგორც შერცხვა ელენეს... და მთლად მისი არსება ფთხრიალებდა სიხარულითა და ბედნიერებით. რაღა სათქმელი იყო ახლა ის ტანჯვა-მწუხარება, რაც წინად გამოიარა? ზღვა როგორ მოვა ოკეანესთან! თითქო უნდოდა დაეყვირნა რამე, კვლავ დაეჩოქნა, მადლობა გადაეხადნა ღვთისათვის და, რაც უფრო უმთავრესია, ყოველივე გაეგო, ყოველივე...

და მან კვლავ დაიწყო ჩვენების ჩამორთმევა.

— ცოცხალია, კარგად არის?

— ცოცხალია, კარგად არის!—თითქო ბანი მისცაო, სთქვა პასუხად პან ზაგლობამ.

— მერე იმან გამოგგზავნათ?

— იმან.

— წერილი გამოგატანათ ჩემთან?

— გამომატანა.

— აბა მომეცით!

— ტანისამოსზედა მაქვს შიგნიდან დაკერებული; მაგას გარდა ეხლა ბნელა ვიდექა, ღამეა. მოითმინეთ.

— ვერა, არ შემიძლიან... ხომ ჰხედავთ!

— ვხედავ.

პან ზაგლობა თან-და-თან უფრო-და-უფრო მოკლე-მოკლე პასუხს იძლეოდა, ბოლოს დაიწყო ქინდრვა თავისა, ჩასთვლიმა ერთხელ, ორჯელ და დაეძინა. სქშეტუსკი მიხვდა, რომ ახლა აღარა იქნებოდა-რა და მთლად მიეცა თვისსა ოცნებას.

XIII

ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ მიიღო თავადმა სქშეტუსკის მოტანილი ამბავი, ოსინსკიმა და კორიცკიმ უარი სთქვეს, ვერ მოგეშველებითო. ყოველივე ისე ეწყობოდა, რომ საჭირო იყო ერემიას მტკიცე ხასიათი ჰქონოდა კაცს, რათა არ მოხრილიყო, განწირულებაში არ ჩავარდნილიყო და არ დაეყარა ფარ-ხმალი. ტყუილად დასტოვა ის იმოდენა უსამზღვრო მამული ღვთის ანაბარად, ამაოდ ედებოდა ღობე-ყორეს, თითქო ლომია ყაფაზაში გამომწყვდეულიო, ამაოდ სცემდა თავ-ზარსა საშინელს ამბოხებას, იჩენდა საოცარს ვაჟკაცობას, — ყოველივე ამაო იყო! ახლოვდებოდა წუთი, როცა უნდა გამოტეხილიყო, რომ უძლური ვარო, დაეწია უკან, რომელსამე მშვიდობიანს ქვეყანაში დაბანაკებულიყო და მუნჯი მოწამე ყოფილიყო იმისი, რაც ამბები მოხდებოდა უკრაინაში. გარნა ვინ იყო, რომ აიძულებდა გულ-ხელ-დაკრეფილი მჯდარიყო? არა ხმალნი ყაზახთა, არა, ვერაგობა თვისთა სისხლ-ხორცთა პოლონელთავე. განა კარგად ვერ ივარაუდა, როცა წამოვიდა ლაშქრობად გალმა მხრიდან, რომ მხოლოდ მე შემიძლიან არწივივით დავეცე თაეს ამბოხებას და პირველმა ვსცე ჩემი ძლევა-მოსილი მახვილიო, რომ მთლად რესპუბლიკა მოვა ჩემდა საშველად და მე ჩამაბარებს მთელს თვისს მხედრობას, თვისსა პატივ-მიმყენებელს ხმალსაო? ხოლო ახლა რასა ვხედავთ? მეფე გარდაიცვალა, მის სიკვდილს შემდეგ ხელმწიფება სარდლობისა სხვას ებოძა და მე-

კი, ერემია, მიჩრდილული ვარო. ეს იყო პირველი თავადზა, რომელიც გაუწიეს ხმელნიცკის, ამიტომ არა შელახული თავმოყვარეობა ბობოქრობდა ახლა თავადის გულში. სხვა ფიქრი სტანჯავდა მთლად მის არსებას, ისა სტანჯავდა, სახელდობრ, ეს დათრგუნვილი რესპუბლიკა ისე დაეცა, რომ ერიდება, უფრთხის თავგანწირულს ბრძოლას, შიშით უკან იხევს ერთის ყაზახის წინაშე და ნდომობს მშვიდობიანის მოლაპარაკებით აიცილოს თავიდან მისი რისხვა და მუქარაო. მას შემდეგ, რაც მახნოვკასთან გაიმარჯვა თავადმა, სულ იმის ანბავი მოსდიოდა, რომ თავადი დომინიკი ზასლავსკი გემდურებაო. როცა სქშეტუსკი მოციქულად იყო წასული, მოვიდა პან კორშზენკევიჩი და მოუტანა ამბავი, რომ ოვრუჩისთვის ცეცხლი წაუკიდებიათო. იქაურნი მკვიდრნი არ ემხრობოდნენ ამბოხებას, მაგრამ მივიდა ქშეჩოვსკი და ძალ-მომრეობით აიძულა, რომ იმას გაჰყოლოდნენ უკანაო. სოფლები, დაბა-ქალაქები,—ყოველივე აკლებულია და გადამწვარიო; თავად-აზნაურობა, რომელმაც კი გახიზნეა ვერ მოასწრო, სულ ამოსწყვიტაო, მათ შორის პან ელეციცა, დიდის ხნის ერთგული ყმა და მეგობარი ვისნევეცკებისა. თავადი ფიქრობდა, შევუერთდები ოსინსკისა და კორიცკის, ვძლევ კრივანოსსა და მერე გავემართები ჩრდილოეთად, ოვრუჩისკენ; იქ ლიტვის გეტმანს მოველაპარაკები და ისე მოვახერხებ საქმეს, რომ მეამბოხენი ორ ცეცხლ შუა ჩაცვინდნენო. ახლა კი ყოველივე მისი ფიქრი და დაწყობილება ირღვეოდა, რადგან ისეთი იყო ბრძანება თავადის დომინიკისა. ერემია იმდენად ძლიერი არ იყო, რომ შეჰბმოდა კრივანოსსა, ხოლო კიევის მოურავისა საიმისო დიდი იმედი არა ჰქონდა. პან ტიშკევიჩი სულითა და გულით მშვიდობიანობის დასს ეკუთვნოდა, და თუ დაემორჩილა თავადის ზნეობრივს ძალასა და მისის ხასიათის სიმტკიცეს, დაემორჩილა არა დიდის ხნით.

თავადმა ხმა-ამოუღებლივ მოისმინა სქშეტუსკის მოხსენება, დაეყრდნო სტოლს და ხელები მიიფარა პირისახეზედ. სხვა იქ მყოფნიც მდუმარებდნენ; ბოლოს სთქვა თავადმა:

— ღმერთსა ვფიცავ, შეუძლებელია ყოველ ამის მოთმენა! თითქო მარტო მე ვიყო მოვალე ვცდილობდე, თავს ქვას ვახლიდე და მერე თან დაბრკოლებასაც ვებრძოდე? თითქო არ შემეძლო სადმე შორს წავსულიყავ, სანდომირს და იქ მეცხოვრა მშვიდობიანად საკუთარს მამულში? მაგრამ მე ეს არ მოვიქმედე, არ მოვიქმედე მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით, და აი ჯილდო ჩემის თავგანწირვისათვის, ყოველის ჩემის...

თავადი გულ-დამშვიდებითა ლაპარაკობდა, მაგრამ იმდენი სიმწარე ჭნაღველი იყო მის სიტყვებში, რომ სიბრალულის გრნობამ მოიცვა ყველას გული. მოხუცი პოლკოვნიკები და ახალგაზდა გმირნი, რომელთაც თავი გამოიჩინეს ამ ბოლო ომებსა და ბრძოლაში, მწუხარებითა და თანაგრძნობით შეჰყურებდნენ, ყველანი ჰგრძნობდნენ, რა საშინელს სულიერს ბრძოლაში უნდა იყვეს ეხლა ეს რკინის კაცი, რა საშინლად უნდა იგვემებოდეს მისი გრძნობა თავ-მოწონებისაო. კაცი თავადი „წყალობითა ღვთისათა“,—კაცი, მოურავი და ერისთავი რუსეთისა, სენატორი რესპუბლიკისა უნდა მოჰრიდებოდა ხმელნიკკისა და კრივანოსსა, კაცი, თითქმის დამოუკიდებელი მონარქი, რომელმაც, სულ რამდენიმე თვე არ გასულიყო მას უკან, მიიღო უცხო სახელმწიფოთა ელჩნი, ახლა უნდა გასცლოდა დიდების ასპარეზსა, ჩაკეტილიყო რომელსამე ციხეში და ეცადნა, როდის გათავდებოდა ომი, რომელიც უომისოდ უნდა გადახდილიყო, ან ეცადნა დამამცირებელის ზავისათვის. კაცი გაჩენილი დიდებულთა საქმეთათვის, კაცი, რომელიც ჰგრძნობდა თავის ძალღონეს, ნება-უნებურად უნდა გამომტყდარიყო და ეთქვა, რომ უძლური ვარო...

მწუხარებამ და მღელვარება-მოუსვენრობამ ძრიელ დააბერა ერემია. თავადი გახდა, თვალები ჩაუცვინდა, ყორნის ბოლოსავით შავს თმაში ვერცხლის ძაფივით დაუწყო ბრწყინვა ჭაღარამ. სამაგიეროდ მთლად მის სახეს რაღაც დიდებული ელფერი დაედო, სატრაგედიო დამშვიდება დაეტყო; თავმოწონება აიძულებდა ჯერ კიდევ ემალნა თვისნი ტანჯვანი.

— მაშ, კარგი! დაე, აგრე იყოს!—სთქვა მან.—ჩვენ დავუმტკიცებთ უმადურს სამშობლოს, რომ არა მარტო ომი და ბრძოლა შეგვიძლიან, არამედ სიკვდილსაც მოვახერხებთ მისთვის. ღვთის წინაშე, სახელოვანი სიკვდილი მირჩევნიან რომელსამე სხვა ომში, მაგრამ ამ აჯანყებულ ტეტიაობასთან ბრძოლაში სიკვდილისაგან კი ღმერთმა დამიხსნას!

— სიკვდილს რად ახსენებთ, თავადო,—გააწყვეტინა სიტყვა მოურავ-ერისთავმა.—თქვენის სამხედრო გენიოსობის წინაშე მუხლს ვიდრეკ, მაგრამ არ შემიძლიან ან დავძრახო და ან ბრალი რამ დავდო არც ვიცე-კაროლსა და არც კანცლერს, როცა იმათა სურთ ბოლო მოუღონ ძმამ-ძმის მკვლელობის ომს.

თავადმა თვალი თვალში გაუბნია მოურაეს და წყნარადა სთქვა თვითეულის სიტყვის მკაფიოდ გამოთქმითა:

— იყავით მოწყალენი დაძლეულთადმი, ისინი მიხვდებიან და დააფასებენ თქვენს საქციელს, ხოლო გამარჯვებულნი მარტო ზიზღით დაგიწყებენ ყურებას... რაღაი ამბოხება გაძლიერდა, მშვიდობიანის ღონისძიებით კი არა, სისხლით თუ ჩააქრობთ... თუ არა-და სირცხვილი და სიკვდილი იქნება ჩვენი!

— დიაღ, სიკვდილი იქნება,—დაეთანხმა მოურავი,—თუ ჩვენის თვითნებობით დავიწყეთ ბრძოლა.

— რას ჰნიშნავს თქვენი ლაპარაკი? მაშ, გეტყობათ, აღარ წამომყვებით ლაშქრობაში?

— თავადო! ღმერთია მოწამე, რომ თუ არ მოგდევთ, იმიტომ რომ ჩემი სვინიდისი მიბრძანებს აგრე მოვიქცე. ცხადადა ვხედავ, რომ ჩემს ხალხს საშიშარს ყოფაში ჩავაგდება ხოლო სისხლი მათი კიდევ გამოადგება რესპუბლიკას.

თავადი გაჩუმდა პატარა ხანს და მერე მიჰმართა მან თაეისს პოლკოვნიკებს:

— თქვენა, ძველნო მეგობარნო, თქვენ ხომ არ დამტოვებთ? რა თქმა უნდა, არ დამტოვებთ?

ერემიას აფიცრები, თითქო ნიშანი მისცესო, მისცვინდნენ თავის უფროსს. ზოგი მის ტანისამოსსა ჰკოცნიდა, ზოგი მუხლებზედ ეამბორებოდა.

— თქვენთანა ვართ! ყველგან წამოგყვებით! ვიდრე ერთი წვეთი სისხლი გვიდგია, ვიდრე პირში სული გაგვიწყდებოდეს!

— გაგვიძეხით წინ! უჯამაგიროდ ვიმსახურებთ!

— თქვენო ბრწყინვალებავ! ნება მიბოძეთ მეც თქვენს ახლოს დავლიო სული!—წარმოსთქვა გულით აჭარხლებულმა, თითქო გასათხოვარი ქალიაო, პან აქსაკმა.

კიევის მოურავსაც კი გული აუჩქროლდა და აუჩუყდა. თავადი ხან ერთს ეხვეოდა და ჰკოცნიდა, და ხან მეორეს, ხან მესამესა. ყველა შეიპყრო რაღაც აღფრთოვანებამ.

— ყმაწვილებო!—სთქვა ხმა-მაღლა თავადმა,—აი ჩემი სურვილი: ვიდრე კრივანოსს შევუტევდეთ, ჩვენთვის დასვენებაა საჭირო. აგერ მესამე თთვეა, რაც ცხენებიდან არ ჩამოვხდარვართ. ჯარი შეგვიმცირდა, ცხენები არა გვყავს, ქეეითი ჯარი უფეხსაცმელოა. წავიდეთ ზბარაჟს, იქ დავისვენოთ, ძალ-ღონე მოვიკრიბოთ,—იქნება იქ სხვაც ვინმე შემოგვიერთდეს,—და მერე გავწიოთ საომრად ახალის ძალ-ღონით!.. თქვენა, ბატონო მოურავო, თქვენ საით?

— გლინიანს გიახლებით; ამბობენ, იქ ჯარები იკრიბებაო.

— მაშ, გაგაცილებთ სამშვიდობომდე, რომ გზაზედ უსიამოვნება არა შეგემთხვეთ-რა.

მოურავმა არა უპასუხა-რა. რაღაც უხერხულობასა ჰგრძნობდა. მე ვტოვებ ამ კაცსა და ეს კიდევ ჩემთვისა ჰზრუნავსო, უნდა გამაცილოს, მოულოდნელს ხიფათს გადამარჩინოსო. ვინ იცის, იქნება დაცინვაც იყო დაფარული თავადის სიტყვებში? იმისი მოურავმა ვერა გაიგო-რა.

მოურავმა თავი დაუკრა გამოთხოვების ნიშნად და გარედ გავიდა, აფიცრებიც წავიდ-წამოვიდნენ; თავადთან სქშეტუსკი დარჩა მხოლოდ.

— უბედურობაა სწორედ, რომ მაგისთანა სარდლები აირჩიეს,—სთქვა ფიქრში წასულმა თავადმა.—ოსტროროგი ივარგებდა, რომ იმის შეყენება ლათინურითა და პტყელ-პტყელის სიტყვებით შეიძლებოდეს; ჩემი სიმამრი, კონეცპოლსკი, შტოომის მოყვარულის გვარისა, გამოუცდელი ბავშვია, ხოლო

ზასლავსკი... ის არის მეტის-მეტი უბედურება. დიდი ხანია ვიცნობ, რა შეილიცა ბრძანდება! დანამცეცებული გული აქვს და ბურბუშელა ჭკუის პატრონია. იმისი საქმეა, წინ თასი ედგას და სთვლემდეს, და არა ჯარსა წინამძღვრობდეს... საქვეყნოდ არ ვამბობ ამას, რომ არ იფიქრონ, შურით მოსდისო, გარნა წინადვე ვხედავ, რა საშინელი უბედურება მოგველის. და მერე დღეს, დღეს იტვირთეს მაგისთანებმა ტვირთი ქვეყნის გამგეობისა! ღმერთო, ღმერთო, რა მოუვა ჩვენს საცოდავს ქვეყანას? როცა ამასა ვფიქრობ, ნება-უნებურად, სიკვდილსა ვნატრობ და, მგონია, დიდ ხანსაც აღარ მალოდინებს. სული ისწრაფის საიმრად, გარნა ხორცი... თითქმის სულ გაუძლურდა.

— უნდა გაუფრთხილდეთ ჯარსა,—სთქვა სქშეტუსკიმ.— სამშობლოს ბედი თქვენზეა დამოკიდებული.

— სჩანს სამშობლო სხვაფრივ ჰფიქრობს, რახან მე დამიწუნა და ახლა ძალ-და-ძალ ხელიდან მართმევს მახვილსა.

— ღმერთი მოწყალეა, მალე ბატონიშვილი კარლოსი დაიდგამს თავზედ გვირგვინსა; იმან იცის მაშინ, ვინ დასაჯოს და ვინ აღამაღლოს, გარნა მანამდე თქვენ იმდენად ძლიერი ბრძანდებით, რომ შეგიძლიათ არავის ყური არ უგდოთ.

— მაინც ეგრეა, მე ჩემს გზას არ გადვუხვევ.

თავადმა იქნება არ იცოდა, რომ, რაკი სხვა „ბატონიშვილები“ მაგალითს მისდევდა, ამის გამო ისიც ალალ-ბედობაზედ მოქმედობდა, და თუნდაც სცოდნოდა, მაინც თავის გზას არ გადუხვევდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასეთის ქცევით რესპუბლიკის სახელს ვიცავო.

თავადმა თავი გააცანცარა ოდნავ, თითქო უნდა განდევნოს იქიდან სამძიმო ფიქრი და აზრიო, და კვლავ ჰკითხა სქშეტუსკის:

— გზაში ხომ არა შეგმთხვევია-რა?

მშენეცკის ტყეებში მძარცველთა დიდს ბრბოს წავაწყდი და ვძლიე.

— კარგია! ტყვენი შეიპყარი? ამას დიდი მნიშვნელობა აქეს ამ ჟამად.

— შეეიპყარი, მაგრამ...

— მაგრამ უბრძანეთ, რომ დაეხოცათ? ასეა განა?

— არა, თქვენო ბრწყინვალებავ, გავანთავისუფლე.

ერემიამ გაკვირვებით შეჰხედა სქშეტუსკის. წარბები შეეკრა.

— მაშ, ეგრე? სჩანს შენც მშვიდობიანობის დასს ეკუთვნი?

— თავადო! მოსაკითხი მოგიყვანეთ: მძარცველთა შორის ერთი სხვანაირად ჩაცმული შლიახტიჩი იყო; ის ცოცხალი გადარჩა. სხვები გავანთავისუფლე, იმიტომ რომ ღმერთმა დიდი სიხარული მომიგლინა. დიდის სიამოვნებით ვიტვირთებ სასჯელსა!.. ის შლიახტიჩი პან ზაგლობა გახლავთ, რომელმაც კნიაჟნას ამბავი მომიტანა.

თავადი საჩქაროზედ მივიდა სქშეტუსკისთან.

— ცოცხალია ის ქალი, კარგად არის?

— მადლობა უფალსა!

— სად არის ახლა?

— ბარში.

— ოჰ, ბარი მაგარი ციხეა. ჩემო ბავშვო! (თავადმა წაავლო ხელი თავში სქშეტუსკის და რამდენჯერმე აკოცა ზედა) ბედნიერი ვარ თქვენის სიხარულითა, იმიტომ რომ შვილივით მიყვარხარ.

პან იანმა გულიანად აკოცა ხელზედ თავადსა და იგრძნო, რომ ეხლა უფრო ძლიერ მიყვარს ჩემი ბატონი და მფარველი, ეხლა უფრო პატივსა ვცემო. მრისხანესა და უმოწყალო ერემიას დიდი უნარი ჰქონდა რაინდთა გულის მონადირებისა.

— დიაღაც, აღარ მიკვირს, რომ მძარცველნი გაგინთავისუფლებია. რა თქმა უნდა, არავითარს სასჯელს არ განგიწესებთ მაგისათვის. ყოჩაღი ყოფილა სწორედ ეგ შლიახტიჩი! მაშ გაღმა მხრიდან ბარამდე მიუყვანია, ჰა? მადლობა ღმერთსა! დღევანდელი დღე სწორედ დღესასწაულია ჩემთვის! ყოჩაღ, ყოჩაღ! ერთი მომგვარე აქ ეგ ზაგლობა!

პან იანი გაექანა კარში, მაგრამ სწორედ იმ დროს გაიღო სასწრაფოდ კარები და ოთახში შემოვიდა პან ვერშული, რომელიც შორს იყო წასული თავის თათრებით საზვერაოდ.

— თავადო!—დაიწყო მან ხმა-მაღლა ლაპარაკი და თან ძლივს სულს ითქვამდა, — კრივანოსმა დაიპყრა პოლონაია, ამოსწყვიტა ათი-ათასი კაცი... დედა-კაცნი და ყრმანი...

ოთახში თითო-თითოდ შემოლაგდნენ აფიცრები; მოვიდა მოურავ-ერისთავიცა. თავადი ფიქრმა წაიღო. არა სჯეროდა ეს საშინელი ახალი ამბავი და სულ ამას იმეორებდა:

— იქ ხომ მარტო რუსნი იყვნენ დახიზნულნი! ეგ შეუძლებელია, შეუძლებელია!

— ერთი არ გადარჩენილა ცოცხალი, ერთი არ გასულა ქალაქიდან!

— გესმით, ბატონო მოურაო? წადით და მოციქულება გასწიეთ ისეთს მტერთან, რომელიც თავისიანებსაც კი არა ჰზოგავს.

მოურავი ჭარხალივით გაწითლდა, ისე მოუვიდა გული.

— ოი, ის ძაღლის ნასხლეტნი! რახან აგრეა, ყველაფერს ჯანი გავარდეს. მე თქვენ აღარ დაგტოვებთ, თავადო.

— გაუმარჯოს კიევის ერისთავს!—დაიძახა ზაცვილიხოვსკიმ, ხოლო თავადმა კვლავ ჰკითხა ვერშულსა:

— საით წავიდნენ პოლონაიადან? ვერა გაიგეთ-რა?

— ვგონებ კონსტანტინოვს წავიდნენ.

— ღმერთო ჩემო! მაშ ოსინსკისა და კორიცკის ჯარები ხომ დაეღუპებოდა. უნდა წყენა დავივიწყოთ და წავიდეთ იმათ საშველად. აბა, ამხედრდით საჩქაროზედ, ამხედრდით!

თავადს პირისახე გაუბრწყინდა სიხარულით, გამხდარმა ლოყებმა წითლად დაუწყო ღვივილი: მის წინ კვლავ იშლებოდა გზა დიდებისა.

XIV

ლაშქარმა გაიარა კონსტანტინოვი და როსოლოვცას დადგა. თავადმა ივარაუდა, რომ, როცა კორიცკი და ოსინსკი გაიგებენ, პოლონაია აუღიათო, როსოლოვცასკენ დაიწევენო; ხოლო თუ მტერი გაჰბედავს და უკან გამოეკიდება, ჩემს ჯარს შემოეხლება და სრულიად დამარცხდებაო. ვისნევეცკის მოსაზრებანი თითქმის სულ გამართლდა. ჯარმა დაიპირა მაგარი ადგილები და იდგა ჩუმად, საომრად მომზადებული. წვრილ-წვრილნი რაზმნი აქეთ-იქით გაიფანტნენ, ხოლო თავადი რამდენისამე პოლკით სოფელში დაბანაკდა და ელოდა მტერს. საღამოზედ ვერშულის თათრებმა მოიტანეს ამბავი, რომ კონსტანტინოვის მხრიდან რაღაც ქვეითი ჯარი მოდისო. თავადი გაეგება წინ თვისის ამალით. მართლაც, სოფელში შემოდიოდნენ ჯარები, ჯარები პოლონეთისა, ოსინსკისა და კორიცკისა. პოლკოვნიკები სახტად დარჩნენ, თავადი რომ დაინახეს, და ელოდნენ, რას იტყვისო.

— ბედი ცვალებადია,—სთქვა თავადმა.—როცა ჩვენ მოგიწვიეთ, მაშინ არ გინდოდათ მოსვლა და ახლა დაუპატიჟებლივ მოხვედით თქვენ თვითონა.

— თქვენო ბრწყინვალებავ,—გაბედვით სთქვა ოსინსკიმ,—გულითა და სულით მოვიწევდით თქვენთან, მაგრამ ბრძანება არა გვქონდა. დეე, პასუხი იმან აგოს, ვინც ისეთი ბრძანება

მოგვცა, ხოლო ჩვენ ჯარის-კაცნი ვართ და არ შეგვიძლიან ბრძანებას არ დავემორჩილოთ.

— ახლა უარ-ჰყო თავადმა დომინიკმა ის ბრძანება?

— არა, მაგრამ ახლა სავალდებულო აღარ არის ჩვენთვის ის ბრძანება. ახლა, როცა ჩვენის ჯარის ხსნა და სიცოცხლე თქვენზეა დამოკიდებული, ჩვენი თავი თქვენთვის შემოგვივეედრებია და მზადა ვართ, სიცოცხლე ჩვენი თქვენ შემოგწიროთ.

თავადს ეტყობოდა, იამა ასეთი პასუხი. ოსინსკი ესე ორმოცი წლის კაცი იყო და გამოცდილის მხედარის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მაღალ-მაღალი იყო, ტანადი, თაფლის ფერი წვერ-ულვაში ჰქონდა და ჩაცმულობითა და მიხვრა-მოხვრით სულ ოც და ათ წლიან ომის პოლკოვნიკსა ჰგვანდა. კორიცკი ჩამომავლობით თათარი იყო და სულ სხვა სახე და იერი ჰქონდა. ტან-დაბალი იყო, დაღვრემილი სახე ჰქონდა და სასაცილოდ ადგა ტანისამოსი, რომელიც სრულიად არ უხდებოდა იმის აზიურ სახეს.

— თქვენს ბრძანებას ველით,—მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ სთქვა ოსინსკიმა.

— გმადლობთ. სიამოვნებით მივიღებ თქვენს სამსახურს. ვიცი, რომ ჯარის-კაცი უნდა ემორჩილებოდეს ბრძანებასა და, თუ კაცები გამოგიგზავნეთ და დახმარება გთხოვეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რა დარიგება გქონდათ მოცემული. ბევრს კარგსა და ავს დროსა ვნახავთ ერთად ყოფნით, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, კმაყოფილნი იქნებით მაინცა. მტერი შორს არის აქედან?

— მოწინავე ჯარი ახლოა, ხოლო უმთავრესი მხედრობა ხვალ დილამდე ძლივს მოვა აქა.

— კარგი, მაშ ჯერ დრო გვაქვს. უბრძანეთ თქვენს ჯარს მეიდანზე გაიაროს; მინდა ვნახო, რა ხალხი მომიყვანეთ.

ახლად მოსული ჯარი მშვენიერი აღმოჩნდა. თავადი უყურებდა და ხარობდა გულში. ქვეითი ჯარი ძალიან ნაკლებადა ჰყვანდა და ეს ახლად მოსულნი ჯარის-კაცნი სწორედ პოვნა იყო მისთვის. აფიცრებიც ათვალიერებდნენ თავიანთის მხრით

ახალს ჯარს ოსინსკისა და კორიცკისას და კარგად აკვირდებოდნენ, ნაკლულევანება ხომ არა აქვს-რაო.

— იმიერ-ჭორომელთა ქვეითი ჯარიც კარგია, მაგრამ არც ეს არის იმაზედ ნაკლები,—შენიშნა პან სლეშინსკიმ.

— ღმერთმა ბრძნულად მიანიჭა ერთს ერს ერთი უპირატესობა, ხოლო მეორეს—მეორე,—ჩაერია ლაპარაკში პან ლონგინუს პოდბიპენტა, რომელიც ისე ლაპარაკობდა, თითქო გალობას ამბობსო.—ამბობენ, დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება იმისთანა ცხენოსანი ჯარი, როგორიც ჩვენია, ხოლო სამაგიეროდ ვერავითარი ქვეითი ჯარი ვერ შეედრება თურმე ნემენცების ქვეითა ჯარს.

— დიაღ, ღმერთი სამართლიანია,— დასძინა პან ზაგლობამ.—აი, მაგალითად, იმ დალოცვილმა დიდი შეძლებაც მოგცა, გრძელი მახვილიცა, ძლიერი მარჯვენაცა, მაგრამ სამაგიეროდ ჭკუა კი არ მოგცა.

პან ლონგინუსმა თვალები ამოიკიჟა.

— შენს ყბედობას ყურსაც არ ვუგდებ!—სთქვა მან გულდამშვიდებით.—შენ კი, მგონია, ღმერთმა გრძელი ენა მოგცა.

— თუ ჰფიქრობ რომ ღმერთი კარგად არ მოქცეულა, ჯოჯოხეთში წახვალ შენის უბიწოებითა: არავის ნება არა აქვს განიკითხვიდეს საქმეთა ღვთისათა.

ვინ იცის, რით გათავდებოდა პან ზაგლობასა და პან ლონგინუსის შეკამუნება, რომ მსწრაფლ-მსრბოლნი არ მოსულიყვნენ და ამბავი არ მოეტანათ, რაღაც ახალი ჯარი მოდისო, რომელიც, ცხადი იყო, ყაზახთა ჯარი არ უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ სხვა მხრიდან მოდიოდა, მდინარე ზბრუჩიდან. მართლაც, ორს საათს უკან ისეთის ხმაურობითა, ჟივილ-ხივილითა და განგაშის ცემით შემოვიდა ჯარი, რომ თავადი გაჯავრდა და ბრძანა: რაკი მტერი ახლოა, ყოვლადი მდუმარება უნდა იყოსო. ახლად მოსული იყო ბატონი სახასო დარაჯი, სამუელ ლაშჩი, ცნობილი ავანტურისტი, მეტის-მეტი გაიძვერა და თავზედ ხელ-აღებული, გარნა მაინც დიდად გულადი მეომარი. თან მოიყვანა რვაასი კაცი იმისთანავე ჯურისა და თოხუმისა, როგორიც თვითონ იყო, ზოგი თავად-აზნაური და

ზოგი ყაზახი,—ერთის სიტყვით, ყველანი სულ სახრჩობელას კერძნი და წერანი. მაგრამ თავადმა ერემიამ იცოდა, რომ მე ამათ მოვატეხინებ თავიანთ აბეზრობას და მოვახერხებ, მგლები ცხვრებად გადავაქციოვო. ეს დღე ბედნიერი დღე იყო მისთვის. ჯერ ისევ გუშინ, როცა მოურავმა წასვლა დააპირა, იძულებული იყო ხელი აეღო ბრძოლაზედა. ხოლო ახლა კაცი კვლავ მოთავე შეიქმნა თითქმის თორმეტის ათასის ჯარისა. მართალია, კრიეანოსს ხუთჯერ მეტი ჯარი ჰყვანდა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენი იყო იქ ისეთი, რომელმაც სამხედრო საქმისა არა იცოდა-რა. ახლა კი თავადს დასვენება ფიქრადაც აღარ მოსდიოდა. ჩაიკეტა კარები და დაიწყო ბჭობა-თათბირი კიევის მოურავთანა, ზაცვილიხოვსკისთანა, მახნიცკისთანა და ოსინსკისთან ომის განგრძობის შესახებ. გადაწყდა, რომ ხვალ დილაზედ ვეკვეთნეთ კრიეანოსსაო, ხოლო თუ ის არ მოვიდეს თვითონ, ჩვენ ვეახლოთო.

კარგა ღამე იყო გასული, მაგრამ, რაკი ხვალ სხვა დღე იყო მოსალოდნელი, აფიცრები შემოჰხვეოდნენ დიდს ცეცხლს და მხიარულად ლაზღანდარობდნენ. თან სასმელსა სვამდნენ შექცევითა. თქეშებს შემდეგ საშინელი ამინდი დაეჭირა ახლა.

— აბა, აბა, განაგრძე, განაგრძე!—აღარ უსვენებდნენ ზაგლობას ამხანაგები.—დნეპრში რომ გახვედით, რას აკეთებდით, ბარს როგორ მიაღწიეთ?

პან ზაგლობამ გადაჰკრა ერთი ჩარექა სასმელი და ულვაშები მოიწმინდა.

— ერიჰა! სულ რომ მოგიყვეთ და დაწვრილებით გიამბოთ, ათ ღამესაც ვერ გავათავებ და არც სასმელი იკმარებდა, იმიტომ რომ მოხუცის კაცის ყელი ძველის ურმის ღერძსა ჰგავს,—სულ საპნის სმა უნდა. ისიც გეყოფათ, რომ გითხრათ: მე და კნიაჟნა კორსუნს წავედით, თვით ხმელნიცკის ბანაკში და უვნებელად დავაღწიეთ თავი იმ ჯოჯოხეთს.

— იესო, მარიამ!—დაიწერა პირჯვარი პან ვოლოდიევსკიმ,—იქნება მკითხაობდით კიდეცა?

— რაც მართალია, მართალია.... ვმკითხაობდი. მკითხაობა მასწავლა აზიაში ერთმა ჯადოქარმა დედაკაცმა. შეეუყვარდი და იმიტომ მასწავლა. მაგრამ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. ხმელნიცკისაც ბევრი ჰყვანდა მკითხავები და ჯადოქრები; იმდენი კუდიანები შეუყრიათ მის ახლოსა, რომ ფეხს ვერ აუქცევს კაცი. დასაძინებლად დაიწყებს მზადებას, პატარა კუდიანმა უნდა გაჰხადოს წაღები; ტანისამოსზედ ცეცხლი წაეკიდება, კუდებით უნდა გაუქრონ ეშმაკებმა; ხოლო როცა გადაჰკრავს თავისებურად, ყველას მიჰბეგვავს ხოლმე: რატომ კარგად არ მემსახურებითო!

ღვთისნიერმა პან ლონგინუსმა პირჯვრის წერა დაიწყო.

— ძელო ჭეშმარიტო, შენ გვიშველე!

— ის კუდიანები და ეშმაკები გამცემდნენ კიდეცა, მაგრამ იმათებურად დავიწყე ლაპარაკი და ველარა გაჰბედეს-რა. მეშინოდა, ხმელნიცკიმ არ მიცნოს-მეთქი. ორიოდე სხვა ნაცნობი პოლკოვნიკიც იყო, მაგრამ გადავრჩი. ცოტა შევიბღერტე, წვერი წელამდე გამეზარდა, თმები მხრებამდე, მერე ტანისამოსიც სხვა მეცვა... და ვერავინ მიცნო.

— მაშ თვითონ ხმელნიცკი ჰნახეთ და ელაპარაკეთ კიდეცა?

— ხმელნიცკი ჰნახეო? ისე ვუყურებდი, როგორც აი ახლა თქვენ გიცქერით. პოდოლიაშიაც კი გამგზავნა, შეაგულიანე, ხალხი აჯანყდესო და გზა-გზა ჩემი მანიფესტები არიგეო. პერნაჩი*) მომცა, თათრებისაგან დაგიხსნისო, ისე რომ კორსუნიდან ყველგან თავისუფლად დავდიოდი. შემხვდებოდნენ თუ არა გლეხ-კაცები, ანუ ქვემოურნი, მე მაშინვე პერნაჩს მივუტანდი ხოლმე ცხვირ-წინა: აბა, უსუნეთ ერთი ამასა და დამეღუპეთ აქედანა-მეთქი! სმა-ჭამას არსად არ მაკლებდნენ და ურემსაც შემიბავდნენ ხოლმე სამგზავროდ... ი ურემი მიხაროდა უფრო; პატარას მაინც შეისვენებს ჩემი კნიაჟნა ამდენის დაღლილობისა და შეწუხებისაგანა-მეთქი. და უნდა გითხრათ, ბარში

*) გეტმანის კვერთხი, კაცის დამცველ ფირმანის მაგიერია.

რომ მივედით, ისე გაკეთებული იყო უკვე, რომ იქაურებმა კინალამ თვალებით შესჭამეს. ყველას უყვართ იქა; რომ გენახათ, თქვენც შეგიყვარდებოდათ.

— დიაღაც შეგვიყვარდებოდა!—წამოიძახა ვოლოდიევსკიმ.

— სიტყვა მივეცი ჩემს თავს, არ გავჩერდები, სანამ უშიშარს ბინას არ ვიპოვი-მეთქი. პატარ-პატარა ციხეებსაც არ ვენდობოდი: ამბოხება ვაი თუ ამათაც მისწვდეს-მეთქი. ბარს კი ვერას დააკლებდნენ, თუნდა შეეტიათ კიდეც. ანდრია პოტოცკიმ ძრიელ გაამაგრა ეს ციხე და იმდენადვე აქვს ხმელნიცკის ფიქრი, რამდენადაც მე ამ ცარიელის ბოთლისა. ახლა როგორა გგონიათ, ცუდად ვიქცეოდი, რომ ვავურბოდი განსაცდელსა? ჯერ მარტო ეს იფიქრეთ, რომ ბოგუნი დამდევდა საშინლად და თუ ჩამიგდებდა სადმე ხელში, თავისებურად გადამახდევინებდა საბრიყვოსა. თქვენ იმას არ იცნობთ და მე კი კარგად ვიცნობ... იმასა და იმის თავსა! სანამ ვერ დავმშვიდდები, მანამ იმას არ ჩამოაღრჩობენ. ღმერთო, ერთი ასეთი ბედნიერი ბოლო მოუვლინე იმ არამზადასა, იმას, ჰო და ამინ! არა მგონია, ისე ვისმე ემტერებოდეს, როგორც მე. ბრრ! რომ მომაგონდება, სულ ტანი ამიჯინჭრდება ხოლმე. ეს არის მიზეზი, რომ ასე ვეტანები სასმელსა, თორემ ბუნებით სრულებით არ მიყვარს სმა.

— აბა, მაგას რას ამბობ!—გაიკვირვა პოდბიპენტამ.—შენ, ჩემო ძმაო, ყოველთვის რუმბიეითა სვამდი.

— შენ ემანდ რუმბში ნუ იცქირები, სულ ერთია, იქ შენი ჭკუისას ვერას იპოვი. მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. ბევრი ვაი-ვაგლახი გამოვიარე, ხმელნიცკის „პერნაჩითა“ და მანიფესტებით მოგზაურობის დროსა. ვინნიცას შემხვდა ახლა აქ მყოფის აქსაკის პოლკი, მაგრამ მათხოვრის ტანისამოსი ვერ გავიხადე,—ყაზახებისა მეშინოდა. მხოლოდ მანიფესტები მოვიშორე თავიდან. ერთი ხელოსანია, სურაკი ჰქვიან სახელად, ჯაშუშია იმიერ ჭორომელებისა და ხმელნიცკის უზიდავს ამბავსა. იმას გავატანე უკან მანიფესტები და ზედ ისეთი რამ დავაწერე, რომ ხმელნიცკი, რომ წაიკითხავს, ცოცხალს გააძრობს ტყავსა.

ახლა იქვე ბარს ახლოს, ისეთი უბედურობა დამატყდა თავსა, რომ კინაღამ წყალში არ ჩავიხრჩე.

— რა იყო განა, რა მოხდა?

— შევეფეთე მთვრალ ჯარის-კაცებს, ერთ ვიღაც თავზედ ხელ-აღებულებს. იმათ მოჰკრეს ყური, რომ კნიაჟნას პანნა დავუძახე, ახლა აღარცა ვფრთხილობდი, — ჩვენები ახლო არიან მეთქი. გადამეკიდნენ ის ოხრები: „ეს რა უცნაური მეფანტურეა და ან ეს სადაური ბიჭიაო, რომ „პანნას“ ეძახიანო. დაუწყეს ყურება კნიაჟნას: კალმით ნახატიაო და ის არის. თან და თან უარესად გამიჭირეს საქმე... როგორც იყო კუთხეში მივმალე ჩემი საწყალი ბიჭი, ავეფარე წინა და ვწვდი ხმალსა...

— საკვირველია,—გააწყვეტინა სიტყვა ვოლოდიევსკიმ,— როგორ მოახერხე, რომ მათხოვარას ტანისამოსით იყავი და წელზედ კი ხმალი გერტყა?

— როგორა? — ჰკითხა ზაგლობამ იმ კილოთი, ვითომ ვერ გავიგონე შენი ნათქვამიო.—ხმალიო? მერე ვინ გითხრა რომ ხმალი მერტყა? ჯარის-კაცის ხმალსა ვწვდი, იქვე იდო სტოლზედ. დუქანში მოხდა ეს ამბავი, შჩიპინცას. ერთის თვალის დახამხამებაში ორი არამზადა მივაწვინე იქვე; იმათ დამბაჩებს გაიკრეს ხელი. ვუყვირი: გაჩერდით, თქვე ძაღლის შვილებო, მე შლიახტიჩი ვარ-მეთქი? ამ დროს რაღაც ყვირილი მოისმა ქუჩიდან: ჯარი მოდისო! მერე აღმოჩნდა, რომ პანი სლოვოშევსკაია მოდიოდა და იმას თან ცხენოსნები მოჰყვებოდნენ თან ახლდა თვისი პატარა ვაჟიშვილი და ორმოცდა ათი ცხენოსანი. იმათ ჩააჩუმეს, როგორც იყო, ის ავაზაკნი. მე პანის მივმართე და ისე დავუწყე ლაპარაკი, ისე აუჩუყე გული, რომ მაშინვე ტირილი დაიწყო. კნიაჟნა ეტლში ჩაისვა და ყველანი ბარს წავედით.... გგონიათ, ეს არის გათავდაო? ჯერ სად არის!...

უცბად პან სლეშინსკიმ გააწყვეტინა ლაპარაკი პან ზაგლობას:

— შეჰხედეთ, შეჰხედეთ ერთი!—დაიწყო იმან ყვირილი.— ეს რა არის, გათენებაა თუ რა არი?

— შეუძლებელია, გათენება იყოს!—უპასუხა სქშეტუსკიმ.— ჯერ ადრეა!

— რა ექნა, ეგ ნათელი ხომ კონსტანტინოვის მხრისკენ მოსჩანს!

— სწორედ ეგრეა. მერე თან და თან უფრო ძლიერდება სინათლე!

— კრივანოსი თუ მოვიდა პოლონნაიადან.

მოისმა ხმა განგაშისა და საყვირთა. აი მოხუცი ზაცვილიხოვსკიც გაჩნდა რაინდთა შორის.

— ყმაწვილებო!—დაიძახა იმანა,—ძალიან საყურადღებო ამბავი მოვიდა, მტერი ახლოა, ეხლავ გზას უნდა გავუდგეთ! აბა, თქვენ თქვენს საქმეს მიჰხედეთ!

აფიცრები საჩქაროზედ გაექანნენ თავთავიანთ რაზმებისკენ. მოსამსახურეებმა დააქრეს ცეცხლი და ერთს წუთს შემდეგ მთელი ბანაკი სიბნელემ მოიცვა. მხოლოდ შორს, კონსტანტინოვის მხრისკენ, სინათლე თან და თან უფრო ძლიერდებოდა. აგერ ჩუმად ანიშნეს ჯარს, ამხედრდითო. ჩამოვარდა დუმილი და ამ დუმილში ისმოდა მხოლოდ ცხენების ბაკა-ბუკი, ქვეითის ჯარის წყობისად სიარულის ხმა და ყრუ ქრიალი ვურცელის არტილერიის თვლებისა. ათასში ერთხელ თოფი-თოფსა ხვდებოდა და ისმოდა ხმა ბრძანებისა. რაღაც მრისხანე და შავ-ბედითი ხასიათი მიეცა ამ ლაშქრობას, რომელიც ბნელს ღამეში მზადდებოდა. რაზმ-რაზმად დაწყობილი ჯარი, თითქო უზარმაზარი გველიაო, ნელ-ნელა მიდიოდა კონსტანტინოვის გზაზედ. მაგრამ ივლისის შშვენიერი ღამე ილეოდა. როსოლოვცას მამლებმა ყივილი დაიწყეს. კოსტანტინოვამდე მცირედი გზა-ღა იყო გასავლელი. აგერ განთიადმაც მოატანა და ნელ-ნელა გაათავისუფლა შავის სუდარისაგან ტყე, მინდორი, თეთრის ლენტივით გაჭიმული გზა და ზედ მიმავალი მხედრობა. ამოვარდა დილის ცივი ნიავი და ფრიალი დააწყებინა დროშებსა. წინ მიდიოდნენ ვერშულის თათრები, მათ შემდეგ ყაზახნი პონიატოვსკისა, მერე დრაგუნები, არტილერია ვურცელისა, ხოლო ქვეითი ჯარი და გუსარნი უკან მისდევდნენ.

პან ზაგლობა სქშეტუსკის მხარ-და-მხარ მიდიოდა, მაგრამ რო-გორღაც მოუსვენრად ტრიალობდა უნაგირზედ. ეტყობოდა, რომ ბრძოლის მოახლოვების ჟამი აწუხებდა.

— პან სქშეტუსკი... დაიწყო მან ისე ჩუმად, თითქო ეშინიან, არავინ გაიგონოსო.

— რაიო?

— ერთი ეს მითხარი: გუსარნი წავლენ პირველად?

— ძველი გუსარი ვარო, იძახი, და ის კი არ იცი, რომ გუსარნი თავისთვისა დგანან ომის გათავებამდე, ვიდრე უკა-ნასკნელი წუთი არ დადგება და ძალა მტრისა არ შესუსტ-დება.

— ეგ ვიცი, ვიცი, მაგრამ ერთხელ კიდევ მინდოდა დავრ-წმუნებულიყავ.

პან ზაგლობამ უფრო ხმა-დაბლა დაიწყო ლაპარაკი.

— კრივანოსი მთელის თვისის მხედრობით არის აქა?

— დიაღ.

— რამდენი ჰყავს ჯარი?

— სულ სამოცი ათასი კაცი, მდაბიონიც რომ ჩავაგდოთ.

— აი ჯანაბას იმისი თავი!—ვეღარ მოითმინა ზაგლობამა და დაიწყო ლანძღვა.

სქშეტუსკის ღიმილი მოუვიდა.

— თუ ღმერთი გწამს, არ იფიქრო, ვითომ მეშინიან,— ისევ ჩურჩულით განაგრძო პან ზაგლობამ,—ნაფაზი მაქვს და როცა ბევრი ხალხი მოიყრის ხოლმე თავს ერთს ალაგას, სულ ვიხრჩობი. აი ხმალში გასვლა, მაგალითად, სულ სხვა არის.... იქ ხერხი უნდა, ჩემო სქშეტუსკი, და დიდს ხალხში კი ხერხიც ვეღარასა სჭრის; დიაღ, იქ თავი კი არა, მარჯვენა მუშაობს. დიდს ხალხში, უნდა გითხრა, პოდბიპენტაზედაც კი ტუტუცი ვარ ხოლმე. ქამარში ორასი ოქრო მაქვს ჩაკერებული, თავა-დის ნაჩუქარი, მაგრამ, ღმერთს გეფიცები, სიამოვნებით დავ-ტოვებდი სადმე ამ ოქროს, ოღონდ ჩემი თავიც დამეტოვები-ნა სადმე. ოჰ, არ მიყვარს ეგ დიდი ბრძოლა-ომი და ან რა მოსაგონი იყო ერთი!

— გულ-დამშვიდებული უნდა იყო, სხვა არა გინდა-რა.

— გულ-დამშვიდებული? მე იმისი მეშინიან სწორედ, რომ გულადობამ არ გამიტაცოს და ჩემი მოხერხება იმან არ დასძლიოს. მერე ცუდი ნიშანიცა ვნახე: ცეცხლთან რომ ვისხედით, ორი ვარსკვლავი მოსწყდა, ვინ იცის ერთი მათგანი ჩემიც იყო?

— ღმერთი დაგაჯილდოვებთ თქვენის კეთილის საქმეებისათვის.

— ვაი თუ წინდაწინვე საუკუნო ნეტარება დავიმკვიდრო?

— მაშ, რატომ ბანაკშივე არ დარჩით?

— მე მეგონა, აქ უფრო უშიშრად ვიქნები მეთქი.

— არც შემცდარხართ.... მაგრამ შეხედე: აი სლუჩიცა, ეიშოვატის ტბაცა.

მართლაც გამოჩნდა ვიშოვატის ტბა და იმისი წყალი შორიდანვე ბრწყინავდა. მთლად ჯარი უცბად გაჩერდა.

— აქ უნდა იყვეს ომი?—ბოუსვენრობით იკითხა პან ზაგლობამ.

— არა, თავადი აქ დააწყობს ჯარს საომრად.

— არ მიყვარს არეული ხალხი და ვიწროობა, ვიმეორებ, არა-მეთქი.

— გუსარნი მარჯვნივ დასდგნენ!—გაისმა ხმა მოამბესი.

ახლა კი სულ გათენდა. ცის სიწითლე სულ გაჰქრა მზეზედა! მისმა ოქროსფერმა სხივებმა გუსართა შუბებზედ დაიწყო ლაპლაპი. კაცს ეგონებოდა ათასი სანთელი ანთია რაინდთ ზემოთაო. თავადმა დაათვალიერა თვისი მხედრობა და იმანაც მალვა აღარ დაიწყო, ხმა-მაღლა შემოსძახა სიმღერა და გასწია წინ. სიმღერის ხმა მოედო ნამიანს მინდორს და უწია ნაძვის ჯერ ისევ მძინარე ტყის მტევრსა და იმანაც ბანი მისცა მხედრობასა.

ტბის იქითი ნაპირი, სადამდინაც კი თვალი მისწვდებოდა, სულ ყაზახებით იყო სავსე. რაზმი რაზმზედ ემატებოდათ კიდევ; მოსჩანდნენ ცხენოსანნი იმიერ-ჭორომელნიცა, გრძელის შუბებით შეიარაღებულნი, ქვეითი ჯარიცა, მხარზე თოფ-გადა-

გდებული. ზღვა გლეხ-კაცობაცა ცელებითა, ორ-თითებითა და კეტებითა. იმათ იქით ბუნდად მოსჩანდა ბურუსში გახვეული ბანაკიცა. მრავალი ურემთა ჭრიალი და ცხენთა ჭიხვინი თავადის ჯარის-კაცთა ყურამდე აღწევდა. ყაზახნი კი უფრო მშვიდად მოდიოდნენ, ჟივილი და ღრიანცელი არ გაჰქონდათ. ისინი გაჩერდნენ ჯებირის და გოდორ-ყურების მეორე მხარეს. ორი მტრად შეყრილი ჯარი დუმილით გასცქეროდა ერთმანერთს.

პან ზაგლობამ, რომელიც კუდი-კუდს მისდევდა სქშეტუსკის, უნებურად წაიბუტბუტა:

— იმ დალოცვილმა ღმერთმა რად გააჩინა ამდენი ავაზაკნი! მგონია, თვით ხმელნიცკია აქ მთელის თვისის მხედრობითა.... ხმასაც არ ამოგვაღებინებენ ეგენი... სულ გაგვთელავენ... უფრო და უფრო ემატებათ ჯარები. მიწამ კი უყოს პირი მაგათა, კაი ხალხი ეგენი არიან! სულ ჩვენ უნდა დაგვესხან თავსა ჰა? ეშმაკებსა და ქაჯებსაც დაუხრჩვიხართ ყველანი!

— ნუ იგინებით, პან ზაგლობა, დღეს კვირაა.

— მართალი ხარ. დღეს ხომ კვირაა. სჯობს ღვთის მოსაწონი საქმე ვიფიქროთ. Pater noster, qui es in coelis... არავითარს შეწყალებას არ უნდა მოელოდეს კაცი მაგ სულელებისაგან... Sanctificetur nomen tuum... რაღაც უბედურება კი მოხდება ამ ჯებირებზედ!... Advenit regnum tuum... უჰ, სული ყელში მომებჯინა კიდევა... Fiat voluntas tua... ჭირიმც გაგჩენიათ და გაუწყვეტნიხართ... პან სქშეტუსკი, ერთი გაიხედეთ, აიქითა! რა არის აისა?

კარგა ბლომა ხალხი განშორდა შავად შეტბორებულ ბრბოს და გამოემართა არევ-დარეეით ჯებირისკენ.

— ომის დამწყობნი არიან,—უპასუხა პან სქშეტუსკიმ.— ახლავ ჩვენებიც დაუპირდაპირდებიან.

— ომიც ეხლავე დაიწყება?

— უეჭველია.

— აი ჯანაბას იმათი თავი! (პან ზაგლობა თან და თან უფრო ცუდს გუნებაზედა დგებოდა). მაგრამ ერთი ეს მინდა

ვიცოდე ძრიელა: რა მიზეზია, აგრე გულ-გრილად უცქერი ყოველ ამას, თითქო თქვენს თვალ-წინ საინტერესო კომედიასა თამაშობენო, თითქო საქმე თქვენს სიკვდილ-სიცოცხლეს არ შეეხებოდეს?

— შეჩვეულები ვართ ჩვენა; აკი გითხარი წინადაცა.

— წინ წახვალთ ახლა, ჰა?

— კარგის პოლკების რაინდებს არ შეშვენით, რომ მაგისთანა მტერს თავი გაუყადრონ. ესეც კია რომ ამისთანა შემთხვევაში განსაკუთრებული წესი არა არის-რა: ის წავა, ვისაც უნდა, ან ვისაც გული ერჩის!

— აიგერა ჩვენებიცა, ჩვენებიცა!—პან ზაგლობამ დაინახა, რომ ვოლოდიევსკის დრაგუნებიც ჯებირებისაკენ გაემართნენ.

იმათ მისდევდნენ მსურველნი ომისა, თითო რაზმიდან რამდენ-რამდენიმე კაცი. მათ შორის იყვნენ: ქერა ვერშული, კუშელი, პონიატოვსკი, ორივე კარვიჩები, ხოლო გუსართაგან პან პოდბიპენტა.

მანძილი ორ რაზმ შორის სწრაფად პატარავდებოდა.

— ბევრს კარგს სანახავს დაინახავთ, —უთხრა სქშეტუსკიმ თავისს მეზობელსა.—კარგად ათვალიერეთ პოდბიპენტა და ვოლოდიეესკი. ორივენი დიდებულნი რაინდნი არიან. აიგერა, ჰხედავთ?

— ვხედავ.

— კარგად უყურეთ. ძალიან მოგეწონებათ.

XV

გარნა მოწინააღმდეგენი დაუპირდაპირდნენ ერთმანერთს, შეაყენეს ცხენები და მოჰყენენ კაპუნსა.

— მობრძანდით! კარგ მასპინძლობას გაგიწევთ! ეხლავ ძაღლებს დავაძღობთ თქვენის ხორცითა!—უყვიროდნენ თავადის ჯარის კაცნი.

— თქვენსას ძაღლებიც არა სჭამენ!

— ამ ტბაში ჩალპებით, თქვე არამზადანო, თქვენა!

— ვისაც უწერია, ის ჩალპება. თქვენ ჯერ თევზები შეგეპამენ.

— თქვენ წადით და ნიჩბით სასუქი ურიეთ, ტეტიებო. ეს უფრო შეგშვენით, ვიდრე ხმლის ხმარება.

— ჩვენ ტეტიები ვართ და ჩვენი შვილები კი შლიახტიჩები იქმნებიან: თქვენი პანნები დაჰბადებენ იმათა...

რომელილაც ყაზახი, როგორც ეტყობოდა, დნეპრ გალმამხრელი, წინ გამოვიდა და მაღალის ხმით დაიძახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— თავადს ორი ნათესავი ქალი ჰყავს! უთხარით რომ ორივენი კრივანოსს გამოუგზავნოს...

ვოლოდიევსკის თვალთ დაუბნელდა, ისე ეწყინა ასეთი მკრეხელობა და ღვთის საგმობი ლაპარაკი. ჰკრა მაშინვე დეზი ცხენსა და მიეტევა იმიერ-ჭორომელსა.

პან სქშეტუსკიმ დაინახა ესა და დაუძახა ზაგლობას:

— ვოლოდიევსკიმ გააჭენა ცხენი, ვოლოდიევსკიმ! აბა, უყურე! აიგერა, აი!

— ვხედავ, ვხედავ!—იძახდა პან ზაგლობა.—აიგერა ეცნენ ერთმანერთს!... იბრძვიან!... ერთი! ორი! აბა, ერთი კიდევ! იიფ!... გათავდა! ჯან, ვაჟკაცო, აი ის ძალი, ისა!

მართლაც კადნიერი მოლაპარაკე დაეცა, თითქო მეხი დაატყდა თავსაო; ისე დაეცა, რომ თავი თავიანთ ჯარისაკენა ჰქონდა, რაიცა ცუდი ნიშანი იყო მტრისათვის.

ამ დროს გამოხტა მეორე და უნდოდა უეცრად დასცემოდა თავს ვოლოდიევსკისა, მაგრამ ვოლოდიევსკი იმ წუთსვე მოუტრიალდა... და აი სწორედ აქ გამოჩნდა, რა საოცარი მხმარებელი იყო ხმლისა ეს ახალგაზდა რაინდი. კაცს ეგონებოდა, ოდნავ გადიტრიალა მაჯაო და მისმა დაშნამ კი ჰაერში გაიპრიალა რკალივითა და ყაზახის ხმალი წკრიალით გადავარდა ძირს. ვოლოდიევსკიმ სტაცა ხელი კისერში მოპირისპირეს და ცხენიანათ თავისიანებისაკენ წამოათრია.

— ძმანო, მიშველეთ, დამიხსენით!—დაიძახა ყაზახმა.

მაგრამ ყოველივე წინააღმდეგობა ამაო-ღა იყო. საცოდავი ჰხედავდა, რომ თუ ოდნავ ხელი გაენძრია, მაშინვე გაათავებდნენ და ამიტომ დაემორჩილა თავისს ბედსა.

მტერთა ბანაკთაგან გამოდიოდა რამდენ-რამდენიმე კაცი და სათითაოდ ებრძოდნენ ერთმანერთსა, ბუმბერაზობდნენ. გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, რომ რაინდნი ატარებენ დროსა, ვარჯიშობენო. მხოლოდ ხან და ხან სწორედ იქიდან, საცა ბრძოლა იყო, გამოხტებოდა ცარიელი ცხენი უპატრონოდ, ან არა და ათასში ერთხელ ტბის ანკარა წყალში მძიმედ ჩავარდებოდა გვამი რომელისამე მეომრისა.

თან და თან ფიცხდებოდა გული ორისავე მხედრობის ჯარის-კაცთა; თითოეულს სული-მწარით უნდებოდა ომი და შებრძოლება. უცბად სქშეტუსკიმ ტაში-ტაშს შემოჰკრა:

— ვერშული მოჰკლეს... ცხენიანათ დაეცა ძირსა... დაინახეთ, აიმ თეთრ ცხენზედ იჯდა?

ნამდვილად კი ვერშული მოკლული არ იყო: ცხენიანათ ძირს დასცა მხოლოდ პულიანმა, თავად ერემიასთან ნამყოფმა ყაზახმა, დღეს ყაზახთა ბანაკში მეორე კაცმა კრივანოსის ჯარში. ისეთი მძლავრი კაცი იყო, რომ ძალდაუტანებლივ შეეძლო ორი ნალი ერთად გადაემტვრია. ტოლი და სწორი არა ჰყვანდა ბუმბერაზობაში. როცა ვერშულს საქმე გაუთავა, პულიანმა გაიქნია თავისი საშინელი ხმალი და ორად გააპო პოლონელი აფიცერი კუროშლიახტიჩი. ყველამ უკან დაიწია, მხოლოდ ერთმა პან ლონგინუსმა მიჰმართა მტერს თვისის ინფლიანდურის ცხენითა.

— გაგათავებ!—დაუძახა პულიანმა, როცა დაინახა გულადად მისკენ მიმავალი.

— რა გაეწყობა!—უპასუხა პან პოდბიპენტამ და შეიმაღლა თავისი ხმალი.

მსუბუქი ხმალი ჰქონდა თანა; სახელოვანი „ზერვიკაპტური“ დიდებულ საქმეთათვის იყო დანიშნული და ამ ჟამად ბანაკში დაეტოვებინა ერთგულ მსახურთანა. პალიანი გაუმაგრდა პირველს შემოქნევას, თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ მისი

მოპირისპირე ჩვეულებრივი მეომარი არ იყო. კაცმა არ იცის, იმის შიშით, რომ ვაი თუ პან ლონგინუსის ცხენმა წყალში გადამაგდოსო, თუ იმიტომ, რომ თავისი ხერხი და უნარი უნდოდა გამოეჩინა, როგორღაც ისე კი ამოეკრა გვერდში ყაზახი პოდბიპენტასა, რომ ხელი ჩასჭიდა მოწინააღმდეგესა.

ისე დაბღუჯეს ერთმანერთი, როგორც დათვებმა, რომელნიც ძუ დათვისათვის იბრძვიან, როგორც ორმა ნაძვმა, ერთს ჯირკზედ ამოსულმა.

ყველამ სული განაბა და ყურს უგდებდა იმათს შებრძოლებას. ისინი კი, კაცს ეგონებოდა, ერთს ადამიანად გადიქცენო და დიდ ხანს იყვნენ გათანგულნი უმოძრაოდ; მხოლოდ პირი სახე დაუჯიჯოვდათ და გაბერილი ძარღვები ამტკიცებდა, რა საშინელს ყოფაში იყვნენ ორივენი.

ატამანს თან და თან უფრო გაულურჯდა სახე. გავიდა წამიცა. მაყურებელთა მოუთმენლობამ იმატა. უცბად დუმილი დაირღვა და მოისმა მკვეთრ-მკვეთრი, ხრინწიანი ყვირილი:

— გამიშვი...

— ვერა... ჩემო კარგო! — უპასუხა მეორემ.

ერთი წუთი კიდევ და უცებ რაღამაც გაიტკაცუნა, მოისმა გმინვა და პულიანის პირიდან წამოვიდა თბილი, შავი სისხლი. საწყალს თავი ზედ გულზედ ჩამოეკიდა.

პან ლონგინუსმა ასწია ეს კაცი და, ვიდრე მაყურებელნი მიხვდებოდნენ, რა ამბავიაო, გადისროლა ძირს და იერიშით წამოაგოგმანა ცხენი თავისიანებისაკენ.

— Vivat! — დაიწყეს ძახილი ვისნევეცკის მხრიდან.

— სიკვდილი მაგათა! — მოისმა პასუხად ყვირილი იმიერ-ჰორომელებისა, რომელნიც ჯგუფად გამოექანნენ, რომ შური ეძიათ წინამძღოლის სიკვდილისათვის. გაცხარდა ომი და ყაზახნი, თუმცა ვაჟკაცურად იბრძოდნენ, სულ ამოსწყდებოდნენ გამოცდილ მტერთან ბრძოლაში, რომ კრივანოსის ბანაკიდან არ შემოსმენოდათ ხმა საყვირისა უკან დასაწევად.

იმიერ ჰორომელთ უკან დაიწიეს, პოლონელები ერთს წუთს გაჩერდნენ, თითქო იმისთვის, რომ ენიშნებინათ, გამარ-

ჯვება ჩვენ დაგვრჩაო, და ისევ თავისიანებთან დაბრუნდნენ. ჯებირები დაცარიელდა, იქ დარჩნენ მხოლოდ მკვდართა გვამნი, საშინელი წინამორბედი ნიშანი მერმისისა. შავადა და ბნელად იცქირებოდა ორისავე ჯარისაკენ ეს გზა სიკვდილისა; მხოლოდ ნელმა ნიავმა ააბიბინა ოდნავ სარკესავით წმინდა ზედაპირი ტბისა და გულ-საკლავად გაიზუზუნა მის ნაპირად არიგ-ჩარიგებულ ნერგებში.

რამდენიმე წუთი კიდევ გავიდა და ჯებირები გადმოლახა კრივანოსის აღურაცხველმა მხედრობამა. წინ მოდიოდა ბრბო მდაბიოთა, შემდეგ იმიერ-ჭორომელთა ქვეითი ჯარი, ცხენოსანი რაზმნი, თათრები და ყაზახთა თოფჩები,—ყველანი კი სულ ურიგოდა და უწესოდ მოიწევდნენ წინ. ერთი-ერთმანეთს აწვებოდნენ, ზედ აწყდებოდნენენ, რიცხვ-მრავლობით უნდოდათ აეღოთ ჯებირები და ეძლიათ მტრის ჯარისათვის. განადირებულს კრივანოსს სწამდა მხოლოდ ძლიერება მაჯისა და ხმლისა, უარ ჰყოფდა სამხედრო ხელოვნებას და ამიტომ მთელის ჯარით მიიტანა იერიში; ამასთანავე ზურგის ჯარებს უბრძანა, მისდიეთ მეწინავეთა და უკან არ მოახედოთო. ალბად ფიქრობდა, ასე მაინც დავატან ძალას და ვაომებო. აგერ დაიწყო თოფის ტყვიამაც ზუზუნი და ცვენა წყალში. თავადის ჯარებს ერთიც არა ხვდებოდა, რადგან მეორე ნაპირას იდგნენ ჭადრაკის კაცთა წესისამებრ.

ერემია იდგა მაღლობ ადგილას და შუბლის კოპების შეკერაზედ ეტყობოდა, რომ არ მოსწონდა ასეთი უწეს-ურიგობა მტრის ჯარებისა.

— როგორც ეტყობათ, ომისა სულ არა ესმით-რა: მოდიან ერთბაშად, თითქო სიმრავლით უნდა ლელო გაიტანონო, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწევენ,—უთხრა მან გვერდით მდგომს მახნიკისა.

მართლაც ყაზახებმა ნახევარ-გზა კი გამოიარეს ჯებირებისა და გაჩერდნენ, რადგან თავადის ჯართა მდუმარებამ შეაფიქრიანა ყველანი.

მაგრამ აგერ ერემიას მხედრობამ უკან დაიწია და ტბის ნაპირად დიდი რკალივით მოედანი დასტოვა საბრძოლველად.

კორიცკის ქვეითი ჯარი ჩამოეცალა ვურცელის თოფჩებს და გამოჩნდა მისის ზარბაზნის ტუჩები, ხოლო კუთხეში, ჯებირებსა და მდინარე სლუჩს შუა, ლელიანებში მოსჩანდნენ ოსინსკის თოფოსანი ნემენცები.

ყოველ მცოდნე კაცისათვის ცხადი იყო, ვისკენ იქნებოდა იმდღეს გამარჯვება. მხოლოდ კრივანოსისთანა დამთხვეულს შეეძლო გაებედნა ამისთანა გარემოებაში ომის დაწყება. ამ ჯებარებზედ ვერავითარი მხედრობა ვერ გადმოვიდოდა, თუ კი ვისნევეცკი მოინდომებდა დაეშალნა.

გარნა თავადმა განზრახ გადასწყვიტა, დაე გადმოვიდეს ერთი ნაწილი მტრის ჯარისა ჯებირებს აქეთაო; მერე უფრო ადვილი იქნება მისი ამოწყვეტაო. დიდებული მხედართ-მთავარი ჰხედავდა მტრის გამოუცდელობასა და, რასაკვირველია, ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს გამოუცდელობა. მტერს არ ესმოდა, რომ ველარავითარს შემწეობას ვერ მისცემდა თავისს ჯარს, მეორე ნაპირას გადასულსა, რაკი ჯებირებზედ გადასავალ ვიწრო გზის მეტი ხელთ არ ექმნებოდა.

კრივანოსის უბედურება ის იყო, რომ დიდი იმედი ჰქონდა თავისის თავისა, თავ-მოყვარეობას ველარა სძლია და, ამას გარდა, უზომოდ სწყუროდა სისხლის ღვრა. ატამანმა გაიგო, რომ ხმელნიცკი მოდის ჩვენდა მოსაშველებლადაო და მიბრძანებს, სინამ მე არ მოვიდე, ნუ შეებმები ერემიასაო, მაგრამ მაინც ამის მიუხედავად, ისწრაფებოდა მტერთან შებმასა!

აქაოდა პოლონაია აიღო, აღარ უნდოდა, რომ სხვას ვისმე წილი დაედო იმ დიდებაში, რომელიც ამ გამარჯვებით მოიხვეჭა. თუნდ ნახევარ ჯარი გამიწყვიტონ, რაო მერე?—ფიქრობდა გულში:—სამაგიეროდ ამოვწყვეტავ თავადის ჯარს და ხმელნიცკის საჩუქრად მივართმევ ერემიას მოკვეთილს თავსაო.

ამასობაში ბრბოთა ზვირთმა გადმოლახა ჯებირები და გაიფანტა თავისუფალს მოედანზედ, მაგრამ იმავ წამსვე ოსინსკის

დამალულმა ქვეითმა ჯარმა დაუშინა თოფი გვერდის მხრიდან, ვურცელის ზარბაზანთა ტუჩებიდან გამოვარდა მოლურჯო ბოლი, დედა-მიწამ დგანდგარი დაიწყო და ატყდა გამართული ომი.

ხშირმა კვამლმა მოიცვა სლუჩის კიდენი, ტბა, ჯებირები და თვით მინდორი, მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდებოდა წითელი მუნდირები დრაგუნებისა ანუ ფრთიანი ჩაჩქნები გუსართა.

ყაზახთა ბანაკიდან სულ ახალ-ახალნი რაზმნი ემატებოდა მეომართა. ელვასავით სწრაფად იშლებოდნენ გან-და-გან და გამძვინვარებით ესხმოდნენ თავს თავადის ჯარსა. ბრძოლა გაჩაღდა და მთლად ტბის ნაპირად, იმ ადგილამდე, საცა სლუჩს მოსახვევი ჰქონდა, საცა ჭაობიანი ველ-მინდორი მოსჩანდა.

ყაზახებს მეტი ჯანი არა ჰქონდათ, ან უნდა გაემარჯვნათ, ან ამოწყვეტილიყვნენ. წინ მტერი ედგათ, უკან წყალი იყო.

როცა გუსარნი სისწრაფით წავიდნენ წინ, პან ზაგლობაც, (თუმცა ნაფაზით იყო ავად და ძალიან ეჯავრებოდა მჭიდროობა) სხვებს გაჰყვა თანა. სხვა გზა არა ჰქონდა. ასე რომ არ მოვიქცე, ვინ იცის, ვაი თუ მხდალობა დამწამონო, ეშმაკს ფეხი არ უჩანსო. მიაჭენებდა ცხენს თვალებ-დახუჭული და მის თავში ერთი აზრი სასწრაფოდ მოსდევდა მეორეს. „ხერხი ვერ მიშველის? ჯანაბას მისი თავი! სულელი მოგებაში რჩება, ბრძენი სიფრთხილით ფუჭდება!“ მერე გული გაუბოროტდა და დაუწყო გინება ომსაც, ყაზახთაც, გუსართაც და ყოველსავე. თან იგინებოდა და თან ლოცულობდა. ქარს ზუზუნი გაჰქონდა იმის ყურებში, სუნთქვა უჭირდებოდა... ენახოთ, უცბად გაჩერდა მისი ცხენი. გააჭყიტა თვალები და ღმერთო! რა დაინახა?.. ამართულნი ცელნი, ხმალნი, კეტნი, გაჭარხლებული პირი-სახენი, გრძელნი ქიშვარდებიანი ულვაშები,—მერე ყოველივე ესე არ იცის, ვის ეკუთვნის, ყოველივე ხტუნაობს, ერთს წუთს არა ჩერდება.... ერთი კაცმა იკითხოს, ე მტერი რატომ არსად მირბის, აი თუნდ ეშმაკებთან და ქაჯებთან, მე რას მეჩხირება თვალებში, პან ზაგლობასა, და მაიძულებს ვეომო? ჰო, მაშ თქვენ ეგრე გნებავთ!—და პან ზაგლობამაც და-

ჰხუქა თვალები და დაუწყო ქნევა ხმალს მარჯვნივა და მარცხნივა. მისი ხმალი ხან ამაოდ გაიშხუვლებდა ჰაერში, ხან კი რაღაც მბილს ჩაერჭობოდა. ამასთანავე პან ზაგლობა ჰგრძნობდა, რომ ისევ ცოცხალი ვარო და ეს გარემოება უფრო უმატებდა გულადობას.

— სცემე! ჰკაფე!—ჰყვირის ზაგლობა, რაც შეუძლიან; ბოლოს, ვნახოთ, მტერმა პირი იბრუნა და მირბის.

— მირბიან?—სწრაფად გაუელვა ზაგლობას ამ ფიქრმა თავში.—დიაღ, სწორედ მირბიან!—მაშინ კი მისმა გულადობამ უმწვერვალესობამდე მიაღწია.—ჰაი, თქვე აეაზაკნო, თქვენა! მაშ, აგრე ებრძვით თქვენ შლიახტას?!—ზაგლობა გაექანა ლტოლვილ მტრისკენ, შეეარდა იმათს გუნდში, მიაღწია თვით შუა გულამდე და დაუწყო სრვა უფრო მეტის გონება-დატანებით. ხოლო მისმა ამხანაგებმა დაინახეს ამ დროს ახალი გუნდი ქვემოურთა და გამოეკიდნენ იმასა.

ჯაბად პან ზაგლობამ იგრძნო, რომ ჩემმა ცხენმა ნაბიჯს უკლოვო და ამ დროს რაღაც მძიმე დაეცა თავზე და შემოებორბლა სახეზედ.

— ამხანაგნო! ძმანო! დამიხსენით!—დაიღრიალა მან და უწყალოდ დაუწყო ცემა ცხენს დეზებითა, მაგრამ წყეული პირუტყვი ჰგმინავდა მხოლოდ და ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან.

პან ზაგლობას ესმოდა ხმაურობა, ყიჟინი ცხენოსანთა, რომელნიც ჭენებით მიჰქროდნენ მის ახლოს... ესმოდა რაღაც გრიალი, ხმა ქარტეხილისა... მერე კი ჩამოვარდა დიდი მდუმარება, და კვლავ სხვა-და-სხვა ფიქრი, სწრაფი, როგორც თათრის ისარი, მიესია მის გონებას.

— რა ამბავია? რა მოჰხდა? იესო, მარიამ! ტყვედ შემიპყრეს თუ რა არის?

პან ზაგლობას ჰირის ოფლმა დაასხა შუბლზედ. ცხადი იყო, რომ თავ-პირი შეუბუბნეს, როგორც ოდესმე ბოგუნს დაჰმართა თვითონა. ეს სიმძიმე რაღაა მის მხრებზედ, უთუოდ ჰაიდამაკმა ჩამჭიდა თავისი ტატყებიო. მაგრამ რატომ თან არ

მივყევართ, რატომ არ მომკლავენ, რათა ვარ ერთს ადგილას გაჩერებული?

— გამიშვი, შე წყეულ-შეჩვენებულო!—დაიყვირა მან.

დუმილია გარშემო.

— გამაშვი-მეთქი, მე შენ გეუბნები! მიწყალობებია შენთვის პატივება.

ხმა-კრინტი არ არის პასუხად.

პან ზაგლობამ კვლავ ჰკრა დეზი ცხენსა, მაგრამ მაინც არა გამოვიდა-რა.

მაშინ კი საწყალმა ტყვემ მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე, იძრო ხანჯალი და საშინლადა სცა უხილავს მტერსა.

გარნა ხანჯალს ცალიერი ჰაერი დახვდა.

ახლა პან ზაგლობამ სტაცა ხელები შემობორბლილს რიდესა, რომელიც თვალებზედ სამოჰფარებოდა და მოიგლიჯა.

— რა ამბავია?

ჰაიდამაკების ჭაჭანებაც არსად არის. გარშემო კაცი არა სჩანს. მხოლოდ შორს მოსჩანან წითელ-ტანისამოსიანი დრაგუნები ვოლოდიევსკისა და მათზედ შორს კიდევ გუსარნი ჰქლეტენ მტრის გადარჩენილს ჯარს.

მტრის მაგივრად ზაგლობას ფეხ-ქვეშ გდია იმიერ-ჭორომელთა დიდი დროშა. ცხადი იყო, გაქცეულს ყაზახს გადმოეგდო ეს დროშა ისე, რომ ტარი მხარზედ დასცემოდა პან ზაგლობას, ხოლო თვით ბაირაღი თავზედ შემოჰხვეოდა.

როცა დაინახა ყოველივე ესე, ქველობით აღსავსე რაინდი მიხვდა ყოველსავე და მალე მოეგო გონებაზედ.

— ეჰე!—წამოიძახა გახარებულმა,—დროშა წამირთმევია. როგორ? იქნებ მე არ წამირთმევია? თუ სამართალი არ გაწყდება ამ ბრძოლის ველზედ, ღირსი ვარ ჯილდოსი. ჰაი, არამზადანო! ბედი თქვენი რომ ცხენი გამიჩერდა, თორემ გა-

ყურებინებდით თქვენს სეირს!... ეს რა ამბავია? ღმერთო! ეს რაღაც ახალი გუნდი მოდის! ჰო, აქეთ არა, სხვა მხარეს მიდიან, ძაღლის ნაშობნი! კისერი მოსტყდეს ამ ცხენსა! სცემე! ჰკაფე!

მართლაც, ახალი გუნდი იმიერ-ჭორომელთა თავ-პირის მტვრევით მოჰქროდა პან ზაგლობასაკენ; უკან მოსდევდნენ ჯავშნოსანნი პონიატოვსკისა. და, ვინ იცის, იქნება სახელოვანი სიკვდილი რგებოდა წილად ზაგლობას, სქშეტუსკის გუსარნი რომ არ შესწრობოდნენ. ისინი მეორე მხრიდან მოჰქროდნენ და ალბად უნდოდათ ორ-ცეცხლ შუა ჩაეგდოთ მტერი. იმიერ-ჭორომელნი ზოგნი განწირულებით სცვიოდნენ წყალში და მის ღურღუმელებში ითხრიდნენ სამარეს, ზოგი იჩოქებდა და სწყდებოდნენ მახვილის ცემითა. დამარცხება საყოველთაო იყო, მეტადრე ჯებირებზედ. ყველა გუნდნი, რომელნიც ტბის აქეთა მხარეს გადმოვიდნენ, სულ ამოსწყდნენ, ზოგნი, უფრო ახლო მყოფნი, სწყდებოდნენ ვურცელის ზარბაზნებისა და ნემენცთა ქვეითის ჯარის თოფების წყალობით. გზა არა ჰქონდათ, რომ ან წინ წასულიყვნენ, ან უკან. კრივანოსს ახალ-ახალი გუნდნი მოჰყავდა და ამის გამო უკან დახევა მტრისა შეუძლებელი იყო. გარეშე მაყურებელს ეგონებოდა, რომ განგებ აწყვეტინებს თავისს ხალხსაო; ერთმანერთს ეჯახებოდნენ, ერთმანერთს ებრძოდნენ, სცვიოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ. ერთს მხარეს ნაბადიეით იყვნენ მოდებულნი ბრბონი ლტოლვილთა, მეორე მხარეს სჩანდნენ გუნდნი წინ მიმავალთა, შუა გულას იდგა ხროვა გვამთა, იყო გმინვა, საშინელი ყვირილი, იდგა ზარი შიშისა, იყო მუსრვა, არეულობა... ტბა გაივსო კაცთა გვამებითა და ცხენთა მძოვრებით, წყალი შიგ აღარ ეტეოდა და ნაპირებზედ გადმოდიოდა.

ხან-და-ხან არტილერია ჩუმდებოდა. ამ დროს ჯებირებზედ ბუზივით გადმოდიოდა ბრბო იმიერ-ჭორომელთა და მდაბიოთა და დგებოდა იმ წყეულ მოედანზედ, სადაც იმათ ელოდა ცხენოსანი ჯარი, ხოლო ვურცელი კვლავ ასტეხდა ზარბაზნების სროლას და სეტყვასავით დაშენილ ტყვია-ყუმბარებით ჰკრავდა ჯებირების გზას, რომელზედაც ველარ გადმოდიოდა მტერი თავისიანების მოსაშველებლად.

დრო და ჟამი მიდიოდა. გაცეცხლებული, გაალმასებული კრივანოსი მაინც იმედს არა ჰკარგავდა და ათასობით ჰგზავნიდა ყაზახებს სასიკვდილოდ.

მეორე მხარეზედ ერემია იდგა მაღლობ ადგილას თავისის ვერცხლის ჯავშან-ჩაჩქანითა და დაჰყურებდა საომარს ველს.

სახე სრულიად დამშვიდებული ჰქონდა, თვალს ავლებდა მთლად ჯებირებს, ტბას, სლუჩის ნაპირებს და აწვდენდა შორს ადგილსაცა, იმ ადგილს, საცა მოსჩანდა კრივანოსის ბანაკი, მოცული მოლურჯო ნისლითა. თავადი თვალს არ აშორებდა იმ ურმების გროვას და ბოლოს უთხრა მოურავ-ერისთავსა:

— დღეს ბანაკს ვერ ავიღებთ.

— როგორ, თავადო? თქვენ თითონვე...

— დრო სწრაფად მირბის. გვიანლაა. აი, საღამოს ჟამია უკვე!

ბრძოლა ისე გახანგრძლივდა, რომ მზემ გაიარა თავისი გზა ცაზედ და უკვე გადახრილიყო ჩასასვლელად. მაღლა-მაღლა განაბული, სუბუქი ღრუბლები, რომელიც ცას გაჰკროდა, თითქო ფარაა თეთრად შეფენილის ცხვრისაო, წითლდებოდა თან-და-თან და ერთ გროვად იკრიფებოდა. ყაზახთა ჯარები ნაკლებად-ღა ელალებოდნენ ჯებირებს: ბევრმა უწესოდ დაიწყო უკან წასვლა.

ომი გათავდა და გათავდა იმიტომ, რომ გამძვინვარებულნი ყაზახნი წყევლა-კრულვით შემოერტყნენ კრივანოსსა.

— მოლალატე! ლამის სულ ამოგვაჟლეტინო მტერსა!— ჰყვიროდნენ:—სისხლის-მსმელო ძაღლო, შეგკრავთ - შეგბოჭავთ და მიგცემთ ერემიას, იქნება ამისთვის მაინც შეგვიწყალოს!

— ხვალ შევიპყრობ თავადს და მთლად მის ჯარს დავატყვევებ, ან არა თვითონ მეც თავს დავდებ,—უპასუხა კრივანოსმა.

ხგალე ჯერ შორს იყო, ხოლო დღეგანდელი დღე იყო დღე მტრის ამოწყვეტისა, რამდენიმე ათასი ყოვლად გულადის ქვემოურებისა, ბრბოც რომ არ ჩავაგდოთ, ამოსწყდა ომში, ანუ ტბაში დაიხრჩო. ორი ათასი კაცი ტყვედ იქმნა შეპყრობილი. მოიკლა თოთხმეტი პოლკოვნიკი, ხოლო, ვინ იცის, რამდენი მოკვდა ასის-თავი, ესაული და სხვა უფროსნი მოხელენი! პირ-და-პირი თანაშემწე და მარჯვენა ხელი კრივანოსისა, პულიანიც მტრის ხელში იყო.

— ხვალ ყველას ამოვსწყვეტავთ!—იმეორებდა კრივანოსი.—არცა ვსვამ და არცა ვჭამ რასმე მანამდე.

მეორე ბანაკში ამ დროს საშინელი თავადი სინჯავდა ომში წართმეულ მტრის დროშებს. ბოლოს მოვიდა მასთან პან ზაგლობა თვისის ნადავლით და ისეთის ძლიერებით დაანარცხა ძირს დროშა, რომ ტარი შუაზედ გადაიჩეხა. თავადმა შეაყენა და ჰკითხა:

— თქვენის ხელით წაართვით ეს დროშა?

— მზად გახლავარ ვემსახურო თქვენს ბრწყინვალებას!

— სჩანს, არა თუ ჭკუა-მოხერხებული ხართ ულისისავით, არამედ გულადიცა აქილესისავით.

— უბრალო ჯარის-კაცი გახლავართ, ბატონო, გარნა ვმსახურებ ალექსანდრე მაკედონელის უფროსობის ქვეშე.

— თქვენ გადაკვეთილი ჯამაგირი არ გეძლევათ; ვუბრძანებ ხაზინადარს, ორასი ოქრო მოგცეთ თქვენის ქველობით აღსავსე ღვაწლისათვის.

პან ზაგლობა მუხლებზედ მოეხვია თავადსა.

— ოჰ, თავადო, თქვენი სულ-გრძელობა უფრო დიდია, ვიდრე ჩემი ვაჟკაცობა, რომელსაც დიდის სიამოვნებით დავ-მალავდი მორცხვობის გამო.

პან სქშეტუსკის ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადურბინა ტუჩებზედ, მაგრამ შემდეგ რაინდს კრინტიც არ დაუძრავს იმ მოუსვენრობის შესახებ, რომელსაც ჰგრძნობდა პან ზაგლობა ბრძოლის დაწყების წინად.

ღამე გატყდა. ტბის ნაპირად ათასგან ენთო ცეცხლი, გარშემო უსხდნენ დაღალულნი ჯარის-კაცნი, იყვნენ სმა-ჭამაში და ბჭობდნენ იმის გამო, რაც იმ დღეს ომში გადახდომოდათ. ყველაზედ კი მეტს პან ზაგლობა ლაპარაკობდა, ტრაბახობდა, ასე და ასე მოვიქმედეო და ჰნანობდა, ცხენი რომ არ გაჩერებულიყო, ამასა და ამას ვიქმოდიო.

— უნდა მოგახსენოთო,—ეუბნებოდა ტიშკევიჩის აფიცრებს, რომელნიც მის გარშემო შეგროვილიყვნენ,—რომ დიდს ომში დასწრება ჩემთვის ახალი ამბავი არ არის, ბევრი დიდი ბრძლლა მინახავს მოლდავიაშიაცა, ოსმალეთშიაცა, მაგრამ სულ მუდამ თითქო როგორღაც გაცეცხლებისა მეშინიან, ერთი გული მოუვა კაცსა, გაიწევს წინა და, ვინ იცის, სადამდე მივა.

— აი როგორც დღეს მოგვივიდა,—სთქვა ერთმა აფიცერმა.

— აი, თუნდა როგორც დღესა! პან სქშეტუსკისა ჰკითხეთ. როგორც კი თვალი მოვკარ, ვერშული ჩამოვარდა ცხენიდანა-მეთქი, გულმა აღარ მომითმინა და გავიწიე მისაშველებლად. ძლივს დამიკავეს ამხანაგებმა.

— მართალია, მართალი!—კვერი დაუკრა სქშეტუსკიმ.—ჩვენ დავიკავეთ.

— მართალია,—გააწყვეტინა სიტყვა კორვიჩმა,—სად არის ვერშული?

— საზვერაოდ წავიდა, იმისთვის მოსვენება არ არის.

— უნდა იცოდეთ ახლა,—განაგრძო კვლავ პან ზაგლობამ, რომელსაც არ ესიამოვნა, სიტყვა რად გამაწყვეტინესო,— ის დროშა როგორ ჩავიგდე ხელში-და!..

— მაშ, ვერშული დაჭრილი არ არის?

— ეგ დროშა პირველი არ არის, რამდენი კიდევ სხვა მიშოვნია, მაგრამ არც ერთი კი არ გამომიტაცნია ისეთის გაჭირვებით, როგორც ეგ გამოვიტაცე.

— არა, დაჭრილი არ არის, მხოლოდ დაიჟეჟა და ცოტაოდენი წყალი აყლაპა. ყირამალა ჩავარდა ტბაში.

— თქვენა და თქვენს თავსა! რა არის, ყმაწვილებო, თქვენთან ლაპარაკი არ შეიძლება სწორედ!...—მოუვიდა გული პან ზაგლობას.—ერთი გამიგონეთ და ისწავლეთ ჩემგან, როგორ უნდა იშოვოთ დროშა-და!..

სწორედ ამ დროს, თითქო პან ზაგლობას გასაბრაზებლად პან აქსაკი მივიდა აფიცრებთან.

— დიდი ამბებია!—დაიწყო მან თვისის წკრიალა ყმაწვილურის ხმით.—პულიანს აწამებენ ცეცხლზედ დაწვითა.

— ვერაფერი შემწვარი გაუჩნდებათ ძაღლებსა!—გააწყვეტინა სიტყვა პან ზაგლობამ.

— ყოველივე სთქვა. მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად შესწყდა. პან კისელი კინალამ გაგიჟდა. ხმელნიცკი წამოსულა მთელის თვისის მხედრობით კრივანოსის მოსაშველებლად.

— ხმელნიცკი? ხა, ხა, ხა! ვისი რა ტიკი-ტომარაა? მოგბრძანდეს ერთი!—იჯგიმებოდა პან ზაგლობა და მრისხანებით ავლებდა თვალს მის გარშემო მყოფს აფიცრებსა.

— მაგას გარდა კიდევ, ექვსი ათასი ყაზახი მახნოვკაშია თურმე. ისინი მოჰყავს ბოგუნსაო.

— ვისა, ვისაო?— იკითხა უცბად პან ზაგლობამა და მოულოდნელად შეეცვალა ხმა.

— ბოგუნსა.

— შეუძლებელია!

— აგრე სთქვა პულიანმა.

— ერიგიდიჰაა!— ამოკვნესით წამოიკნავლა პან ზაგლობამ.—მერე მალე მოვლენ აქაო?

— ასე სამის დღის შემდეგ, მაინცა და მაინც არ აჩქარდებიან, ცხენებს გაუფრთხილდებიან, არ დაგვეღალნონ ომის წინადაო.

— ეჰ, არა, დედავ და თვალო, მე უნდა ავჩქარდე!—წამოიღუღლუღა შლიახტიჩმა.—სამას სამოც და ათნო ანგელოზნო, თქვენ დამიფარეთ იმ ავაზაკის ხელიდანა! დიდის სიამოვნებით დავუბრუნებდი მტერს ისეთის გაჭირვებით ნაშოვნს დროშას, ოღონდ კი ის არამზადა კისერს მიინჩხვრეედეს სადმე გზაში. იმედი მაქვს, ჩვენ დიდხანს არ მოვუყვებით იმას აქ ლოდინსა. კრინვანოსს ხომ ვაყურებინეთ სეირი, ახლა დროა დავისვენოთ კიდეცა. ჭირივით მეჯავრება ეგ მატრაკვეცა ბოგუნი! არ შემიძლიან გულ-გრილად მოვისმინო მისი ქაჯური სახელი. რა ჯანაბა მოარბენინებდა აქეთა! წყალი ამოუვიდა ერთს ადგილასა? გდებულიყო თავისთვის, საცა ეგდო. მე რაღა დოზანამ მომათრია აქა, ერთი კაცმა სთქვას!

— კარგია, გაჩუმდით,—წასჩურჩულა პან სქშეტუსკიმ,—სირცხვილია მაგისთანა ლაპარაკი! ჩვენ შორის რა გაქვს, აბა, საფიქრებელი?

— რა გაქვს საფიქრებელი? თქვენ იმას არ იცნობთ და ამიტომ ამბობთ მაგას! ვინ იცის, იქნება ამ საათში ჩვენსკენ მოხოხავს მუცლითა. (სთქვა ესა პან ზაგლობამ და უკან მიიხედა შეშინებულმა). ის თქვენც გემუქრებათ.

— ერთი ღმერთმა ინებოს და შემხვდებოდეს ოღონ-
და!

— ოჰ, მე ღმერთმა დამიფაროს, მაგისთანა თხოვნით მე
იმას არ შევაწუხებ. როგორც ქრისტეანე, დიდის სიამოვნებით
მიპატივებია მისთვის ყველა შეცოდებანი, მხოლოდ იმ პირო-
ბით კი, რომ ოჩის დღის უკან ჩამოახრჩობდნენ. არა, კი არ
მეშინიან იმისი, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რანაირად მეჯავ-
რება! მე მიყვარს, ვიცოდე, ვისთანა მაქვს საქმე: შლიახტიჩია,
იყოს შლიახტიჩი, ტეტიაა, იყოს ტეტია, ის კი ერთი რაღაც
ალქაჯია; კაცმა არ იცის, რა უნდა მოუხერხოს. ძლიერ ცუ-
დი საქმე დავმართე და რომ იცოდეთ, რანაირ დაიღრიჯა, რო-
ცა ხელ-ფეხს ვუბოჭავდი, მაშინ... მაგრამ ამის გამოთქმა სიტ-
ყვით არ შეიძლება... მე არ მიყვარს, რომ ვაწყენინო ვისმე პირ-
ველმა. თქვენ შესახებ კი უნდა ვსთქვა, რომ უმადური კაცი
ყოფილხართ, სიკეთის დაუხსომებელი, სულ გადაივიწყეთ თქვე-
ნი საბედო...

— ეგ როგორაა მერე?

— აი როგორა,—და პან ზაგლობამ ხელი წაავლო სახე-
ლოში რაინდს და მოშორებით გაიხმო,—ისე გაგიტაცათ რაინ-
დულმა მამაცობამ, რომ სულ-ომობთ და ომობთ; და ის კი იქ
ცის-ამარა დღეს სულ სტირის და სტირის, თქვენის პასუხის
ამაოდ მომლოდინე; სხვა რომ ყოფილიყო თქვენს ალაგას,
აქამდე ათასჯერ გაჰგზავნიდა იმასთან რომელსამე თავისს მე-
გობარს... აი, თუნდა მე, მაგალითად.

— მაშ, ჰფიქრობთ, ბარს დაჰბრუნდეთ?

— თუნდ ეხლავე მზადა ვარ... ისე მეცოდება ის საწყა-
ლი.

პან სქშეტუსკიმ ნაღვლით აღაპყრო თვალი მოჰახჰახე
ვარსკვლავთა მიმართ.

— ნუ მეუბნებით საყვედურს. ისეთი წუთი არ გაუჩენია
ღმერთს, რომ სულ იმის ფიქრში არ ვიყვე. ოჰ, ჩემი ნება

რომ იყოს, ფრინველად გადავიქცეოდი და იმასთან გავფრინდებოდი.

— რაღა გიშლით მერე?

— ბრძოლის წინად როგორ შემეძლო მერე, ეგ საქმე მეტვირთნა? რაინდმა და ჯარის-კაცმა პირველ ყოვლისა სახელისათვის უნდა იზრუნოს...

— ახლა ბრძოლა გათავებულია, მაშასადამე... შეგვიძლიან თუნდ ახლავ გავწიოთ.

პან სქშეტუსკიმ ამოიოხრა.

— ხვალ კრიეანოსს უნდა შევუტიოთ.

— ეგ კი აღარ მეყურება! სწორედ ვძლიეთ ახალგაზდა კრივანოსსა, მოვიდა მოხუცი; ვძლევთ იმასაცა, მოვა ახალგაზდა. . აი ისა ახლა... (იმის სახელის თქმაც კი მეზარება)... ბოგუნი... ვძლევთ იმასაც, მოვა ხმელნიკკი. ხათაბალაა სწორედ! თუ ასე წავა საქმე, აიღეთ ბარემ და შეუერთდით პან პოდბიპენტასა; გამოხვალთ ერთად უბიწო ტუტუცი და პან იან სქშეტუსკი; ჯამში დარჩება: ორი ტუტუცი და უბიწოება! თუ ღმერთი გწამთ, მე მაინც თავი დამანებეთ და მაგისთანა სისულელეს ნუ მელაპარაკებით. მე და ჩემმა ღმერთმა, მე პირველი შევეხვეწები კნიაჟნას, რომ ქუდი მოგხადოს, მერე ისეთია იქ პან ანდრია პოტოცკი, რომ სულ თვალებითა სჭამს და ახლა, ეინ იცის, იქნება აიწყვიტოს კიდეცა და სულ აჯილლასავით მოჰყვეს ჭიხვინსა. არა, ბავშვი რომ მეუბნებოდეს მაგისთანებს, რომელსაც უნდა მოიხვეჭოს სახელი ვაჟკაცობისა, კიდე ჰო-ჰო, ჯან და ბეზარ, თორემ სადაურია, რომ მაგას მეუბნებით თქვენ, რომელმაც კინალამ ყელამდე სისხლში იცურეთ, ხოლო მახნოვკასთან, როგორც ამბობენ, მოჰკალით არც თუ რაღაც კუდიანი და ჯადოქარი, არც თუ კაცის-მჭამელი! აიმ ვარსკვლავების მადლმა, ან რაღაც ცუდი საქმე განგიზრახავს, ან არა და ისე გამძვინვარებულხარ, რომ სისხლის ღვრას ამჯობინებ საქორწინო სარეცელსა.

— თქვენ სცდებით,—დაიწყო თავის მართლება სქშეტუსკიმა.—არც სისხლი მწყურიან, არც დიდებას ვეტანები, არამედ

ამხანაგებს ვერ დავანებებ თავს გაჭირვების ჟამს. რაიცა შეეხება ბრძოლას, კრივანოსი ან დაგვესხმის თავს ან არა. თუ გაჰბედავს და დაგვესხმის, ღვთით, კარგს პასუხს მიიღებს, ხოლო ჩვენ უფრო მშვიდობიანს ქვეყანაში წავალთ, რომ პატარა ხანს დავისვენოთ. აგერ ორი თვეა, ცხენებიდან არ ჩამომხდარვართ, სულ ვიბრძვით და ვიბრძვით, დღისითაცა და ღამითაც. თავადი დიდებული მხედართ-მთავარია. ხმელნიცკის თავს არ დაესხმის, თუ საკმაოდ ჯარი არ ეყოლება. ვიცი, ზბარაჟს წავალთ, იქ ძალ-ღონეს მოვიკრებთ, თავად აზნაურობა შემოგვიერთდება მთლად რესპუბლიკისა და მერე გავწევთ საომრად. ხვალ უკანასკნელი დღეა, ხოლო ხვალზევით უკვე გულ-დამშვიდებული წამოვალ თქვენთან ერთად ბარს. გარნა თქვენდა დასამშვიდებლად გეტყვით, რომ ბოგუნს არას გზით არ შეუძლიან ხვალ აქ მოვიდეს.

— ჰოი, ნამდვილი ქაჯია ისა, კაცი კი არა. ამას წინად გითხარი, რომ მჭიდროობა, ხალხის ერთმანეთში ალუფხვა არ მიყვარს-მეთქი, მაგრამ ის კი ყოველგვარ მჭიდროობასა და ჯგველმაზედ უარესია, თუმცა, ვიმეორებ, იმდენად იმისი შიში არ მალაპარაკებს, რამდენადაც მისი სიძულვილი. მაგრამ, კარგი, ამას თავი დაეანებოთ ჯერა! მაშ, ხვალ მაგ ტეტიობას უნდა თავი გაუგალოთ და მერე გავსწიოთ იქ, ბარს! ოჰ, რა გაეხარდება მერე ჩემს კნიაჟნას! მედა ჩემმა ღმერთმა, ისე მომწყურდა იმისი ნახვა, თითქო ჩემი საკუთარი შვილიაო. ან კი რა გასაკვირველია. შვილები, კანონიერად დაბადებულები, (Legitioe natos), მე არა მყავს, ჩემი მამულები შორს არის, ოსმალეთში (ვინ იცის, ახლა, ის არამზადა მოურავები რამდენსა მპარავენ!) და ესცხოვრობ ამ ქვეყნად ასე ობლად, ერთი ღერი კაცი... შენი მტერი, ვინ იცის, იქნება ამ სიბერის დროს ავდგე და წავყვე მოსამსახურედ ჩემს სახელოვანს მეგობარს პან პოდბიპენტას, თაგვი-ნაწლეველ მემამულეს.

— მერმისისათვის ნურასა სწუხართ. იმდენი ამაგი და სიკეთე მიგიძღვით ჩვენს წინაშე, რომ ვერას დროს ვერ გადა-

გიხდით... რა ექნა, აბა გაიხედე, რა არის აისა, წინ რომ მოსჩანს? ვერშულია!

— მე გახლავარ.

— საზვერაოდან დაბრუნებულხარ?

— არა, ეს-ეს არის თავადთან ვიყავ და ეხლა იქიდან მოვდივარ.

— რა ამბავი ისმის?

— ხვალ ბრძოლა მოგველის. მტერი ჯებირებს აგანიერებს, ხიდებს აკეთებს სტვორასა და სლუჩზედ და ეტყობა უნდა როგორმე ჩვენამდე მოაღწიოს.

— თავადი რაღას ამბობს?

— თავადმა სთქვა ამაზედა, კარგიო!

— მეტი არაფერი?

— არაფერი. ბრძანა, ხელს ნუ შეუშლითო და ახლა ისეთია იქა, რომ გააქვს ცულებს რახა-რუხი; გათენებამდე სულ აგრე იმუშავებენ.

— ჯაშუში იპოვნეთ ვინმე?

— შვიდი შევიპყარი. ყველანი იმას ამბობენ, რომ ხმელნიცკი მოდისო, მაგრამ ჯერ ისევ შორს არისო... რა ღამეა?

— თითქო დღეაო, ისე ნათელა. როგორა ხარ, ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ?

— ძვლები მტკივა სულა. მივდივარ ახლა, რომ მადლობა გადაუხადო თქვენს ჰერკულესს ჩემის გადარჩენისათვის, მერე დავიძინებ... ნეტა ერთს ორს საათს მომატყუებინა თვალი. საშინლად მეძინება.

— ღამე მშვიდობისა! დროა, დავიძინოთ. შუა-ღამე გადავიდა, ხვალ კი საქმეა, ხოლო ხვალ ზევით უნდა გზად წავიდეთ,—გაახსენა პან ზაგლობამ.

პან სქშეტუსკი იქვე ცეცხლა-პირას წამოწვა. ცეცხლები ნელ-ნელა ჩაქრა ყველგან. ბანაკს წყვდიადი იცვამდა თან და თან, მხოლოდ მთვარე დაჰნათებდა აქა-იქ თვისის მკრთალის ნათელით გუნდ-გუნდად მძინარეთა. ხმაურობა ნელ-ნელა მისწყდა.

გარნა დიდხანს არ მოუხდათ ძილი ჯარის-კაცთა. ინათლა თუ არა, ყოველ-მხრივ მოისმა ბანაკში ხმა საყვირისა იმის ნიშნად, რომ, დროა, წამოდექითო.

ერთს საათს უკან, თავადის ბრძანებით, ეს ამოდენა ჯარი მთელის თვისის ბარგი-ბარხანით, აიყარა და ერემიამ მოარიდა მტერს თავი. სახტად დარჩენილი რაინდობა დიდად განცვიფრდა ამის გამო.

XVI

თავადმა უკან დაიწია თავისის მხედრობითა, მაგრამ ეს უკან დაწევა უკან დაწევა იყო ლომისა, რომელსაც თავისუფალი ადგილი უნდა ახალის ნახტომისათვის.

თავადმა განგებ მოახერხა, რომ კრივანოსი ჯებირებს გამოსცილებოდა: ეგ უკეთესი იქნება, მერე უფრო შეუწყალებლად დავამარცხებო. დაიწყო თუ არა ომი, ერემიამ ჰკრა ქუსლი ცხენსა და გააჭენა, ვითომ და გაქცევა მინდაო. ქვემოურებმა და მდაბიო ხალხმა ველარ მოითმინა და გაექანა, მოვეწევით და გარს შემოვერტყმითო. თაეადი მოტრიალდა ამ დროს და უცბად, ერთბაშად, მთელის თვისის ცხენოსანის ჯარით ისე ეკვეთა მტერს, რომ მტერმა წინააღმდეგობა ველარ მოახერხა. თავადის მხედრობა მისდევდა ლტოლვილს ჯარს მთელის ერთის აღაჯის მანძილზედ, იმ ადგილამდე, სადაც ჯებირები იყო, საცა ხიდი გაეკეთებინათ და უწყალოდ მუსრს ავლებდა თვით ბანაკამდე. თავი იჩინა ამ დღეს თექვსმეტი წლის პან აქსაკმა, რომელმაც პირველმა შეუტია მტერს და პირველმავე დასცა შიშის ზარი მის ჯარებს. ამისთანა ხერხის ხმარება მხოლოდ იმიტომ გაჰბედა თავადმა, რომ იმედი ჰქონდა თვისის გამოცდილის და ომებში დაბერებულის ჯარისა; უამისოდ

ვერ იტვირთებდა განგებ მოეჩვენებინა თავი, ვითომ გაერბი-ვარო, წაეტყუებინა მტერი და მერე კვლავ უკან მოჰბრუნე-ბოდა. სხვა გარემოებათა შორის შესაძლო იყო თავადის ჯარს უკან მობრუნება ველარ მოეხერხებინა და გათამამებულს მტერს დაეძლია. მეორე დღეს უფრო ძლიერ დამარცხდა კრივანოსი. წაართვეს ზარბაზნები, დააყრევინეს დროშა-ალმები, სხვათა-შორის ის დროშანიცა, რომელნიც კორსუნის ომში გაიტაცეს იმიერ-ჭორომელებმა. კორიცკისა და ოსინსკის ქვეითს ჯარსა და ვურცელის თოფჩებს რომ შესძლებოდათ ცხენოსან ჯარს მიჰყოლოდნენ უკან, პოლონელნი მთელს ბანაკს აიღებდნენ იერიშით, მაგრამ, ვიდრე ისინი მივიდოდნენ, ჩამოლამდა კიდეც და მტერი კარგა შორს წავიდა. მაინც ზაცვილიხოვსკიმ თით-ქმის ნახევარ ბანაკი აიღო, საცა დიდძალი ნუზლ-სურსათი და იარაღი ჩაიგდო ხელში. მდაბიო ხალხმა ორჯელ შეიპყრა კრი-ვანოსი და ემუქრებოდნენ, ეხლავ თავადს მიგცემთ ხელშიო, მაგრამ იმან აღუთქვა ხმელნიცკისთან დაგაბრუნებთ დაუყოვ-ნებლივაო და ამ გარემოებამ გადაარჩინა სიკვდილს. კრივანო-სი განივლტო დანარჩენის თვისის ჯარითა და ბარგი-ბარხანი-თა, განივლტო დამარცხებული, განადგურებული, სრულს სა-სოწარკვეთილებაში ჩავარდნილი და აღარ გაჩერებულა მანამ-დე, ვიდრე არ უწია მახნოვკას, საცა ხმელნიცკი ისე განრის-ხდა პირველად, როცა გაიგო ყოველივე გარემოება, რომ ბრძა-ნა: წაავლეთ კისერში ხელი კრივანოსს და ზედ ზარბაზნის ტუჩზედ მისჭედეთო.

მხოლოდ შემდეგ გაახსენდა იმიერ-ჭორომეთის გეტმანს, რომ საცოდავმა კრივანოსმა სისხლით მორწყო მთლად ვოლი-ნი, ათასზედ მეტი თავადი და აზნაური პოლონეთისა გაისტუ-მრა საიქიოს, ხოლო გვამნი მათნი დასტოვა დაუმარხავად, რომ იგი არც ერთხელ არ დამარცხებულიყო მანამდე, ვიდრე თა-ვად ერემიას არ შეეხალა. იმიერ-ჭორომეთის გეტმანმა შეიბრა-ლა ასეთის ღვაწლისათვის და, არა თუ ბრძანა, მოა'მორევით ზარბაზანსაო, არამედ პირვანდელი სახელი და პატივი დაუ-ბრუნა ისევ და პოდოლიაში გაჰგზავნა სათარეშოდა და ახალის

ალაფისა და დიდების შესაძენად. ხოლო თავადმა ამ დროსვე მისცა ნება თვისს მხედრობას შესვენებისა, რომელსაც იგი მოუთმენლად მოელოდა. უკანასკნელს ომში ამ მხედრობას დიდი ზარალი მოუვიდა, მეტადრე ბანაკის იერიშით აღების დროს, როცა ყაზახნი ისეთის მოხერხებით იცავდნენ თავს, რომელიც მათს გულადობა-ვაჟკაცობას უდრიდა. იქ გასწყდა ხუთასამდე ჯარის-კაცი. პოლკოვნიკი მოკრსკი, მძიმედ დაჭრილი, მალე მოკვდა; დაიჭრნენ, თუმცა არა მძიმედ, პან კუშელიცა, ახალგაზდა პან აქსაკიცა; ხოლო პან ზაგლობა, რომელიც შეეჩვია უკვე ომს და ვაჟკაცურად იბრძოდა, ორჯელ იქმნა დაჭრილი ნამგლით; ამის გამო ძალიან მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და უძრავად იწვა ახლა სქშეტუსკის ოთხ-თვლიან ურემში.

სქშეტუსკის თვით ბედი უშლიდა ბარს წასვლასა. თავადმა გაჰგზავნა ზასლავისკენ, რამდენიმე რაზმი გაატანა თან და დაავალა, მიმოჰფანტე ბრბონი მდაბიოთა, რომელთაც მოუყრიაო იქ თავიო. რაინდი წავიდა ისე, რომ ხმა არ ამოუღია ბარზედა და მთელი ხუთი დღე სწვა და ჰბუგა იქაურობა, ვიდრე სულ არ განაბნია მდაბიონი.

ბოლოს მისნი კაცნიც მოიღალნენ განუწყვეტელის ჩეხა-ჟლეტით, მტრის დევნითა და უძილოდ გატარებულ ღამეებით; სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, დავბრუნდები ახლა კი თავადთანაო. მან უკვე იცოდა, რომ ერემია ტარნოპოლს იყო წასული.

წინა დღეს სუხორინცას დადგა, ხოროლს ახლოს, ჯარი სოფელში დაბინავდა, ხოლო თვითონ გლეხ-კაცის სახლში მოთავსდა. რაინდი საშინლად იყო მოქანცული, დაწვა იმ ღამეს და მკვდარივით დაეძინა.

გათენებისას რაღაც ბოდვას მოჰყვა. უცნაური ლანდი და მოჩვენება უტრიალებდა თვალ-წინა. ჯერ ისე ეგონა, რომ ვითომ ლუბნსა ვარ, იქიდან ფეხი არსად გამიდგავსო, ეხლა ცეიხ-ჰაუზში მძინავსო და, ჩვეულებრივ, ჟენძიანი ფუსფუსებს ამ დილით ჩემს ოთახში, ელის ჩემს გაღვიძებას და მიმზადებს ტანისამოსსაო.

მაგრამ ბოლოს მაინც გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ სუ-ხორინცასა ვარ და არა ლუბნსაო. ის იყო საკვირველი მხ-ოლოდ, რომ თავისი ბიჭი უდგა თვალ-წინა, თითქო ცოცხ-ალიაო. პან სქშეტუსკი ცხადადა ჰხედავდა ამ ბიჭსა: აგერ ფან-ჯარასთანა ჰზის და ჰქონავს ჯავშნის თასმებსაო.

პან სქშეტუსკის ჰგონია, რომ უთუოდ სიზმარში ვარ ისე-ვაო, ჰხუჭავს თვალებს და წუთს შემდეგ ისევ ახელს.

ჟენძიანი მაინც ისევ ფანჯარასთან ჰზის.

— ჟენძიან!—დაიძახა ბოლოს რაინდმა,—შენა ხარ მარ-თლა, თუ შენი მოჩვენება მელანდება?

ბიჭი შეკრთა და ჯავშანი ძირს გაუვარდა.

— ღმერთო ჩემო! რასა ჰყვირით აგრე? ყრუ ხომ არა ვარ? ან რა მოჩვენებასა ბრძანებთ? ღვთით, მე კარგად გახ-ლავარ.

— დაბრუნდი, მაშა?.. მოდი ერთი მოგეხვიო!

ჟენძიანმა დაიჩოქა და მოეხვია მუხლებზედ პან სქშეტუ-სკისა.

რაინდმა სიხარულით დაუწყო კოცნა და განუწყვეტლივ იმეორებდა.

— მაშ ცოცხალი ხარ, ცოცხალი!

— ოჰ, პან სქშეტუსკი! ისე მიხარიან თქვენი ნახვა, რომ ლაპარაკსაც ვეღარ ვახერხებ... მხოლოდ ისე დაიყვირეთ, რომ ჯავშანი გამივარდა ხელიდან. თასმები სულ დაგრეხილა... ეტ-ყობა არავინ არ გემსახურებოდა... მადლობა ღმერთს, მადლო-ბა ღმერთს, რომ კიდევ გნახეთ, ჩემო ძვირფასო!...

— როდის მოხველი?

— წუხელის.

— რატომ არ გამაღვიძე მერე?

— რაზედ უნდა გამეღვიძებინეთ? დღეს მოვედი დილა-ადრიან თქვენის ტანისამოსისათვის...

— საიდან მოხვედი?

— გუშჩიდან.

— იქ რას აკეთებდი? რა გადაგხდა თავს, როგორ იყავი? დაიწყე, მიამბე!

— როცა, ბატონო, ყაზახნი მოვიდნენ გუშჩას ბრაცლავის მოურავ-ერისთავის გასაძარცველად, მე იმათზედ ადრე მივედი იქა მამა პატრონი ლასკასთან ერთად. იმან წამიყვანა გუშჩას ხმელნიცკისთან, რადგან მოურავ-ერისთავმა გაჰგზავნა ისა ხმელნიცკისთან და თან წერილები გაატანა. ავდექი მეცა და გავყევ იმასა; ახლა ყაზახებმა გადასწვეს გუშჩა, მამა პატრონი აწამეს ჩვენის მომხრეობისა და სიყვარულისათვის; ესევე დაემართებოდა ბატონ მოურავ-ერისთავსაცა, ისიც რომ იქა ყოფილიყო, თუმცა მართლ-მადიდებელია და იმათი დიდი მეგობარი და მომხრეა.

— არაფერი არა მესმის-რა! პატარა გარკვევით მიამბე და ნუ ჰრევ ლაპარაკსა. როგორ? ყაზახებთან იყავი, ხმელნიცკის ბანაკში სცხოვრობდი?

— ჰო, ყაზახებთანა, მაშა? ჩიგირინში შემიპყრეს და ისე მიყურებდნენ, თითქო ჩვენიაო. ჩაიცვით ბარეღამაც ტანთა... ღმერთო, რანაირ არეული გაქვთ ყოველივე... ოი, ღმერთმა ჰკითხოს... იმაზედ კი ნუ გამიწყრებით, გეთაყვა, რომ თქვენი წერილი ვერ მივიტანე რაზლოგს კუდაკიდან; ვერ მივიტანე იმიტომ, რომ იმ ბოროტმა ბოგუნმა დამჭრა. ის სუქან-სუქანი შლიახტიჩი რომ არ შემსწრებოდა, დღეს ცოცხალი აღარ ვიქნებოდი.

— ვიცი, ვიცი. შენი ბრალი არ არის. ის სქელ სქელი შლიახტიჩი ეხლა უკვე ჩვენს ჯარშია. იმან მიამბო ყოველივე, როგორც ყოფილა. იმანვე წაართვა ცხვირ-წინ ბოგუნს პანნა და გაიტაცა. ეხლა ელენე ბარს არის შეხიზნული, უშიშარ ადგილას და აღარაფრის ფიქრი აღარა აქვს.

— ოჰ, მადლობა ღმერთსა! ეგ კი მეც ვიცოდი, რომ ბოგუნს არ ჩაუვარდა ხელში. მგონია, სახრჩობელას ვერ გადაურჩება ის ავაზაკი.

— მეც ეგრე მგონია. ახლა კი წავიდეთ ტარნოპოლს და მერე იქიდან ბარს გავწიოთ.

— ძალიან კარგი. ბოგუნმა კი, თუნდა კისერიც მოიტეხოს, არავინ მიართმევს იმას, რაცა ჰნებავს,—ასე სთქვა მკითხაემა, ის ქალი პოლონელს ჩაუვარდება ხელში, ხოლო ის პოლონელი, ალბად, თქვენა ხართ.

— რა იცი მერე?

— ვიცი. ყოველსავე ამას, თუ გნებავთ, საბუთებით დაგიმტკიცებთ. ჩაიცვამდით თან ტანისამოსს თქვენცა. საუზმე საცაა მზად იქნება. ამგვარად, წამოვედით კუდაკიდან ნავით და ძალიან დიდ ხანს ვიარეთ, იმიტომ რომ პირ-შელმა მოვდიოდით. მერე ნავი წაგვიხდა და იმას დავუწყეთ კეთება. მოვდივართ, ახლა, ბატონო სქშეტუსკი, მოვდივართ, მოვდივართ...

— მერე, რომ მოსდიხართ და მოსდიხართ!—გააწყვეტინა დესპანმა მოუთმენლობით ლაპარაკი.—ნუ აჭიანურებ აგრე, თუ ღმერთი გწამს.

— და მოვედით ჩიგირინსა. იქ რაც მოჰხდა, ის ხომ თქვენც იცით.

— ვიცი.

— ჰო და, ვწევარ ახლა თავლაში და ვარ ბნელაში. მერე, ბოგუნი რომ წავიდა, მოვიდა ხმელნიცკი იმიერ-ჭორომელებითა, მაგრამ რაკი ცოტა წინად დიდმა გეტმანმა მრავალი ხალხი დასჭრა და ამოჰყლიტა ჩიგირინში, იმიერ-ჭორომელებს რად თანაუგრძნობთო, ამიტომ თავიანთ მომხრედ დამსახეს და, არამც თუ უაერესი დამმართეს, არამედ წამლობაც კი დამიწყეს. თათრებსაც ნება არ მისცეს, რომ წავეყვანეთ ტყვედ, თუმცა იმათ ყველაფრის ნებას აძლევენ. მოვედი გონზედა და ვფიქრობ: საით გადავვარდე ახლა-მეთქი? ყაზახებმა ამასობაში კორსუნის ომი გადიხადეს და დაამარცხეს გეტმანები. ოჰ, ბატონო, რაც მე ვნახე, თქმაც კი ძნელია იმისი!

— რა?

— არაფერს არ მიმალავდნენ, მოქმედობდნენ ყოვლად უსირცხვილოდა და მოურიდებლად, რადგან ასე ეგონათ, რომ ესეც ჩვენი თანამგრძნობელიაო. ვფიქრობ ახლა, გავიქცე სადმე აქედანა, თუ არა-მეთქი? ვხედავ, რომ ისევ დარჩენა სჯობიან,

ვიდრე უკეთესი დრო მომეცემა-მეთქი. როცა დაუწყეს ზიდვა კორსუნიდან ხალიჩებსა, ფარჩასა, საათებსა, ძვირფას განძეულსა. ჰოოი, ბატონო, სულ ტირილი მომდიოდა. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა და, ის ავაზაკნი ექვს-ექვს ვერცხლის კოვზსა ჯერ თითო ტალერადა ჰყიდნენ და მერე თითო ჩარექა არაყადაცა. ოქროს ღილს ხომ თუნდ ნახევარ ჩარექადაც იყიდიდა კაცი. ვსთქვი ჩემთვისა, არა, რასა ვზიავარ ასე გულ-ხელდაკრეფილი-მეთქი? მოდი და შევიძენ რასმე-მეთქი პატარასა. თუ ღმერთი შემეწია და დავბრუნდი როდისმე საჟენძიანოში, ტყის-პირულასა, ავიღებ და ამ შენაძენს ჩემს დედ-მამას მივცემ-მეთქი. საწყლებს აგერ ორმოც და ათი წელიწადია დავა აქვთ იაროვსკებთანა და ფულს კი ვერა შოვობენ სამართალში სასიარულოდა. მოვყე და დავუწყე, ბატონო, ყიდვა და იმდენი რამ საგანძური ვიყიდე, რომ ორს ცხენს ძლივს ავკიდე ტვირთად... რაც უნდა იყოს, ცოტაოდნად მაინც გადავაყოლიე გული ამ საქმეს, თორემ უთქვენოდ ძალიან მოწყენილი ვიყავი.

— ჰა-ჰაი, ჟენძიანო, შენ სულ ეგრე იცი! საცა არა მგონია, გინდა სარგებელი ჰნახო.

— თუ ღმერთმა ასე მიშველა, რა ურიგოა? ხომ არას ვიპარავდი და, თუ საგზაოდ მაშინ ერთი ქისა ფული მიბოძეთ, აი ის ქისა! უნდა უკანვე მოგართვათ, რადგან რაზლოგში მისასვლელად მიბოძეთ, ხოლო რაზლოგამდე კი ველარ მივაღწიე.

ჟენძიანმა ქისა სტოლზე დასდო. პან სქშეტუსკის პირღიმილი მოუვიდა.

— თუ ბედმა აგრე გაგიღიმა, მაშ ეხლა შენ ჩემზედ მდიდარი იქმნები. ბარემ ეგ ქისაც შენი იყოს.

— მადლობას მოგახსენებთ. ღვთით, ცოტა რამ შევიძინე! იმდენი კი შემიგროვდა, რომ დედ-მამასა და პაპა-ჩემს ნუგეში რამ ვსცე... მერე პაპა-ჩემი აგერ ოთხმოც და ათის წლისა სრულდება. იაროვსკებს კი სულს ამოვართმევთ დავი-დარაბაში, სულ დავაგლახავებთ. არც კი თქვენა ხართ ზარალში: ახლა ხომ იმ ქამარსაც ალარ მოგთხოვთ, კუდაკში რომ დამპირდით, თუმცა

ყოველივე თქვენი მონდობილობა, რაც კი შემეძლო, შევასრულე.

— ეგეც მოიგონე... ჰაი, შე საძაგელო! სწორედ ნამდვილი გაუმაძღარი მგელი ხარ — lupus insatibiles! არ ვიცი, სად არის ახლა ის ქამარი, მაგრამ რაკი დაგპირდი, მოგცემ კიდეცა, ის არ იქნება, სხვა იყოს... აბა, მოჰყევი კიდევ.

— მომიმართა ღმერთმა ხელი და დიდი სარგებლობა ვნახე იმ ავაზაკთა შორის. ერთი რამ მაწუხებდა: არ ვიცოდი, რა ამბავი იყო თქვენს თავს და გაიტაცა-მეთქი თუ არა ბოგუნმა პანნა. მეუბნებოდნენ კია, ეხლა ის ჩერკასში წევს ავადმყოფი და ძლივსა სუნთქავსო: ისე დაუცხავებიათ და დაუკუწავთ თავადებსაო. გავწიე მეც ჩერკასსა; მოგეხსენებათ, ვიცი იარების მორჩენა და მალამოს მომზადება. პოლკოვნიკმა დონეცმა მთხოვა, რომ ყური შეგდო და მომეელო იმ ავაზაკისათვის. მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად, როცა გავიგე, რომ ჩვენი პანნა იმ სქელ-სქელ შლიახტიჩს წაჰყოლოდა. მივედი ბოგუნთანა. ვამბობ: მიცნობს ნეტავი თუ არა-მეთქი? ის საცოდავი გავარვარებული იყო სიცხითა. ბოლოს მიცნო და მეუბნება: „შენ იყავი, რაზლოგში რომ წერილები მიგქონდა?“ მე ვუთხარი: „მე ვიყავ-მეთქი“. კვლავ მეკითხება: „შენ დაგჭერი ჩიგირინში?“ — „დიალ-მეთქი, — მე“. — „პან სქშეტუსკის შენ ახლავხარო?“ მოვყე მაშინვე ტყუილების დანარცხებასა: „არავისაც არ ვახლავარ-მეთქი. ბაგ მხლებლობაში ავი უფრო ბევრი ვნახე, ვიდრე კარგი და ახლა თავისუფალი კაცი ვარ-მეთქი, წამოვედი ყაზახებთან და აგერ ათი დღეა, რაც თქვენ კეთილშობილებას ვახლავარ-მეთქი. დაიჯერა ჩემი ლაპარაკი და ბოლოს ძლიერ შევუყვარდი. იმან მიამბო, რომ რაზლოგი გადაეწვათ, ორი თავადი მოეკლათ და ორი კი რალაც მიზეზით ასცდენოდნენ ჩვენის თავადის ჯარებსა და ლიტველების ჯარში შესულიყვნენ. მაგრამ როცა კი ის სქელ-სქელი შლიახტიჩი გაახსენდებოდა ხოლმე, ისეთნაირად აკრაჭუნებდა კბილებსა, ისეთნაირად, რომ...

— დიდ ხანს იყო ავადა?

— დიდ ხანს, დდ ხანსა! ხან შეიკრავდა პირს წყლულები, ხან ისევ დაუწყებდა ტკივილს. ბევრი ღამე გავატარე იმის სახლში, ვუჯექი გვერდზედ და ვგდებულობდი ყურსა (ისიმც გადაშენებულა, ჰო, და აგრე!) უნდა მოგახსენოთ, აღთქმა დავდე სამაგიერო გადავუხადო და, თუნდა რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში იმის მოვლა მომინდეს, მაინც ამ აღთქმას არ გავტეხავ... უპატიურად მომეკიდა, ასე დამამახინჯა და მე ხომ ვიგინდრა არა ვარ... შლიახტიჩი გახლავარ... მერე, ათასჯერ მომეცა მარჯვე შემთხვევა, ჩვენს ოთახში არავინ იყო ხოლმე ჩვენს მეტი; ვამბობდი, ესეც ხანჯალი თუ არა-მეთქი? მაგრამ მერე მევე შემრცხვებოდა ხოლმე... ავადმყოფია, უიარაღო-მეთქი!...

— კარგა გიქმნია, რომ aegrotum et inertem არ მოგიკლავს. საშინელი უნამუსობა იქმნებოდა.

— მეც ეგრე ვფიქრობდი, როგორცა ჰხედავთ. მერე ისიც მომაგონდა, როცა სახლიდან წამოვედი, პაპა-ჩემმა პირჯვარი გადამწერა და მითხრა: „გახსოვდეს რომ შლიახტიჩი ხარ, სახელი არ გაიტეხო, ერთგულად იმსახურე და ნურავის ნებას ნუ მისცემ შეურაცხ-გყონ.“ ასე დამადგა: შლიახტიჩმა რომ უნამუსო საქმე მოიქმედოს, უფალი ჩვენი იესო ატირდება ცაშიაო. გამახსენდა ყოველივე ესე და მეტი ღონე არ იყო მარჯვე დროს თავი დავანებე. ამასობაში უფრო და უფრო შევუყვარდი. „მითხარი, რითი დაგაჯილდოვო?“ —რითიცა გნებავთ-მეთქი.“ ვერ დავმალავ, უხვად დამაჯილდოვა სწორედ. რაც მომცა, არაფერზე უარი არა ესთქვი; გულში ვამბობდი, რად უნდა დავტოვო ყოველივე ესე ავაზაკის ხელში-მეთქი? იმის მიხედვით, ყველა მაჯილდოვებდა, იმიტომ რომ ყველას უყვართ იქ ის კაცი, ქვემოურებსაცა და მდაბიოთაც, თუმცა მთელს რესპუბლიკაში ისეთს შლიახტიჩს ვერ იპოვი, რომ ისე ეჯავრებოდეს მდაბიონი, როგორც იმას...

ჟენძიანმა თავი გაიქნია.

— საკვირველი კაცია და უნდა გამოტეხილი ვთქვა, კეთილშობილის კაცის გული აქვს. როგორ უყვარს პანნა, როგორა-

ღმერთო, ყოვლად მოწყალეო! მორჩა თუ არა, მაშინვე დონეცის ცოლი მოვიდა, უნდა უკითხოვო. უკითხა, უკითხა და სულ ცუდად მოდიოდა საქმე. ის საზიზღარი დედაკაცი კუდიანია სწორედ... ეს კია, ლამაზია. მაღალ-მაღალია, წამოსადეგი, კბილები დიდები აქვს, თეთრი, თითქო ცხენიაო, ღონიერია; როცა დადის, გგონია დედა-მიწა დგანდგარებსო. გადარია კი ღმერთმა: დამიწყო მიჯნურობა. ისე არ გამივლიდა გვერდზედ, რომ არ ეჩმიტა, ან სახელო არ დაეწია; „წავიდეთო“, მეუბნეოდა. სად უნდა წავყოლოდი? წაყვებოდი და, ვინ იცის, ისეთს ეშმაკების ხელში ჩამაგდებდა, რომ მიმახრჩობდნენ სადმე; ხომ დამეღუპებოდა მერე, რაც შევიძინე! ამიტომ ასე ვეტყოდი ხოლმე: „ვინცა გყვანან, ისინი არ გეყოფიან-მეთქი?“ ის კი ასე დამადგებოდა ხოლმე: „შენ ჩამივარდი გულშიო“.— „დაიკარგე-მეთქი აქედან!“ ის კი მაინც თავისას არ იშლიდა: „გულში ჩამივარდიო და გულში ჩამივარდიო“.

— უყურე კიდეც, როგორა მკითხაობდა?

— როგორ არ ვუყურე! გარშემო ბოლი სდგას, შიშინი ისმის რაღაცა, ჩხავილი, აჩრდილნი... შემეშინდა სწორედ. თვითონ სდგას შუა ოთახში, კოპებ-შეკრული, წარბებ-შეკმუხვნილი და რაღასაც ბუტბუტებს, ან არა და, დაუწყებს ცხრილზედ პურს ყრასა. მარცვლები ჭიასავით ფუთფუთებდა და ის კი სულ ბუტბუტებდა და ბუტბუტებდა. ოჰ, ბატონო, ბოგუნი ისეთი ავაზაკი რომ არ იყოს, სწორედ შესაბრალისი იქმნებოდა ყოველ ამისთანა მკითხაობის შემდეგ გაყვითლდებოდა კომშივითა, დაემხობოდა პირქვე და დაიწყებდა ქვითინსა; მოჰყვებოდა ხვეწნას: „პანნავ, პანნავ, მაპატივე რომ მოვედი რაზლოგს და შენი ბიძაშვილები ამოვწყვიტეო. სადა ხარ, ჩემო სიცოცხლევ, სადა? ხელის გულზედ დაგისვამდი და ისე გატარებდი, ახლა კი ღმერთმა ნუ მაცოცხლოს უშენოდ?...“ ან კიდე: „ხელს არ დაგაკარებ, შენი ყმა ვიქნები, შენი ფინია ვიქნები, ოღონდ კი შენ გიყურო, სიცოცხლევ!“ ან არა და, გაახსენდებოდა პან ზაგლობა და დაიწყებდა კბილების კრაჭუნსა, ბალიშის კბენას...

და იყო ასე, ვიდრე არ დაეძინებოდა, მაგრამ ძილშიაც კი სულ ოხრავდა და ჰგმინავდა.

— კარგი კი არა უთხრა-რა იმ მკითხავმა?

— იქნება კარგიც-რამ უთხრა შემდეგ, როცა მორჩა, მაგრამ მე მაშინ იმასთან აღარ ვიყავი. ქსენძი ლასკო მოვიდა და ბოგუნმა ისე მოახერხა, რომ იმას წავყევი გუშჩას. ავაზაკები არიან, იცოდნენ, რომ მცირე განძეულობა არა მქონდა, მერე მეც არა ვმალავდი, რომ მივდივარ და ჩემს დედ-მამას მინდა შევეწიო-მეთქი.

— არ გაგძარცვეს მერე?

— იქნება კიდევაც გავეძარცვეთ, მაგრამ ჩემს ბედზედ თათრები მაშინ იქ არ იყვნენ, ხოლო ყაზახებს ბოგუნისა ეშინოდათ. ესეც კია, რომ ყაზახებს ეგონათ, ვითომ მე იმათი დიდი თანამგრძნობელი ვიყავი. თვით ხმელნიცკიმ მიბრძანა, ყური უგდე და მიამბე, როცა ილაპარაკებენ ბრაცლავის მოურავერისთავთან, თუ პანებმა მოიყარონ იქ თავიო. ეშმაკმა უამბოს, თუ კარგია! გავედი გუშჩას და ამ დროს მოვიდნენ კრივანოსის მოთარეშე რაზმნიცა და მოჰკლეს მამა ლასკო; ჩემი განძეული ნახევარი მიწაში ჩავფალი, ნახევარი გამოვიტაცე და წამოვედი აქა, იმიტომ რომ ყური მოვკარი, პან სქშეტუსკი ზასლავს ახლოა და ხალხის დამშვიდებასა ცდილობსო. მადლობა ღმერთსა, რომ კარგადა გნახეთ და მშვიდობითა, ახლა კი ბოლო მოეღება ყოველსავე ავსა და ბოროტსა. არა, ხომ ვეუბნებოდი იმ ჩამოსახრჩობებსა, რომელნიც ჩვენის თავადის საწინააღმდეგოდ მოდიოდნენ, უკან ვეღარ დაბრუნდებით-მეთქი, მაგრამ ვინ გამიგონა. წავიდნენ ახლა და საცა თავისი სთქვან, იქ ჩვენიც არ დაივიწყონ! იქნება ომიანობაც მალე გათავდეს.

— ეგ კი, ვინ იცის! ვგონებ ნამდვილი ომი ახლა დაიწყება, თვით ხმელნიცკის შევებმევით.

— დაქორწინების შემდეგ იომებთ მერე?

— შენა გგონია, ქორწინების შემდეგ გაელაჩრდები?

— სრულიადაც არა. წავუღებ მამას, რაც შევიძინე და მერე მინდოდა ისევ თქვენთან დავბრუნებულიყავ. იქნება ბო-

გუნთან ანგარიშის გასწორება მომიხდეს და სად შევხვდები, თუ არ მინდორ-ველად? სულ ხომ ავად არ იქნება...

— ოჰო, ძალიან გულ-ღრძო კაცი ყოფილხარ შენა!

— ჩემს წყენას მე არავის შევარჩენ. აღთქმა დავდე და თუნდ ოსმალოში წავალ იმის გულისათვის. ახლა კი ტარნოპოლს წამოვალ თქვენთან ერთად. ბარს ტარნოპოლის გზით რად მიდიხართ თქვენა? ეგრე რა გზაა ან კია?

— ჯარი აგრე უნდა წავიდეს და ჯარის უფროსი აქ მე ვარ. აბა, ახლა ვისაუზმოთ. დანაყრების შემდეგ ავდგეთ და გავუდგეთ გზას.

— მე თუნდა ამ წუთსავე მზადა ვარ, მაგრამ ეს ცხენი მყავს დაღლილი.

— ვუბრძანებ, რომ სხვა მოგიყვანონ, უკეთესი. შეჯექ და იმითი წამოდი.

— დიდ ად გმადლობთ!—ჟენძიანმა მხიარულად გაიღიმა. ეს მესაძე საჩუქარი იყო, თუ ქისასა და ქამარსაც ვიანგარი შებთ. ქამარს კუდაკშივე დაჰპირდა პან სქშეტუსკი.

XVII

პან სქშეტუსკის ახალი ბრძანება მოუვიდა და ახლა ზბარაჟს გაემგზავრა თავის სადროშო ჯარით და არა ტარნოპოლს. ჯარი ნელ-ნელა მიდიოდა; მთლად ის მხარე საშინლად იყო აოხრებული, ისე რომ ნუზლ-სურსათის შოვნა ძალიან ძნელი იყო. გზაში აქა-იქ მრავლად შეხვდნენ გუნდნი ბრბოთა, უფრო დედაკაცთა და მცირე-წლოვანთა, რომელნიც ღმერთს შესთხოვდნენ, ან სიკვდილი გვაღირსე, ან თათრების ხელში ჩაგვყარე ტყვედაო: ტყვეობაში პურს მაინც გვაჭმევენო. მკის დრო იყო, მაგრამ კრივანოსის ჯარებს გაენადგურებინათ ყოველივე, რის განადგურებაც კი შეიძლებოდა. მცხოვრებნი ხის ქერქით იკვებებოდნენ.

ზბარაჟს დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო. თავადი ერემია იქ დაბანაკდა მთელის თვისის მხედრობითა და ამას გარდა არი

მცირედი თავად-აზნაურობაც მისულიყო. ყველა გრძნობდა, რომ ომიანობა უნდა დაწყებულიყო კვლავ, ყველას ომი ეკერა პირზედა, ქალაქში და მის გარშემო ფუთფუთი გაჰქონდა შეთოფიარაღებულს ხალხს. ვარშავაში მშვიდობიანობის დასს, რომელსაც მხარს აძლევდა პან კისელი, ბრაცლავის მოურავ-ერისთავი, ჯერ კიდევ ხელი არ აეღო თავის განზრახვაზედ და უნდოდა ჩამოეგდო ლაპარაკი მტრებთან მოსარიგებლად. მიხვედრილი კი იყო ეს დასი, რომ ამაოა მოლაპარაკება, თუ ძლიერი მხედრობა არ გვიმაგრებს ზურგსაო. და აი გამოცხადებული იყო, რომ ქუდზედ კაცი გამოვიდეს საომრადაო, ჯარები შემოგროვებულ იქმნა რამდენსამე ალაგას და, თუმცა კანცლერი და დიდებულნი მოხელენი ჯერ კიდევ იმედს არა ჰკარგავდნენ, იქნებ მშვიდობიანად გავათავოთ საქმეო, მაინც თავად-აზნაურობა უფრო საომარ გუნებაზედ იდგა, ძლევა-გამარჯვებანი ვისნეეეკისა ძლიერ აფიცხებდა ერის გონებას. ყველას სწყუროდა შური ეძია ყვითელ წყლებისა, კორსუნისა და ათასობით ტანჯულ-წამებულთათვის, სირცხვილისა და დამცირებისათვის. სახელი საშინელის თავადისა შეიმოსა ახალის დიდებითა და ამ სახელთან ერთად მიმოიფანტა ბალტიის ზღვის კიდეთაგან ყრუ მინდვრებამდე ახალი შავ-ბნელი სიტყვა: ომი, ომი და ომიო! ომის წინამორბედი ნიშანი იყო საშინელნი ცის მოვლენანიცა, მკვიდრთა შეშფოთებულნი სახენიცა, ძაღლების ყმუილიცა ღამ-ღამითა, ჭიხვინი ცხენთაცა, რომელნიც წინადვე ჰგრძნობდნენ სისხლის ღვრის მოახლოვებასა. ომი! თავად-აზნაურობა ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში იღებდა ხელში ძველს, ჟანგ-მოკიდებულს თოფ-იარაღს და ჰფერავდა, ახალგაზდობა ერემიას სიმღერას ამბობდა, ხოლო დედაკაცნი ლოცულობდნენ კოსტელებში. და შემოკრბებოდნენ მხედარნი პრუსიის სამზღვართაგან, დიდის პოლონეთიდან, მკვიდრ-მრავალ მაზოვიიდან, კარპატის შორეულ მთებიდან.

დიაღ, ომი ყველას თვალებში უცქეროდა. მღელვარება იმიერ ჭორომეთისა, აჯანყება ერისა მთელს უკრაინაში იმით

არ იყო გამოწვეული, რომ, აბა, ვძარცვოთო, პანები და მაგნატები ჩვენს სისხლსა სმენ, გვავიწროებენო. ხმელნიცკიმ კარგად იეარაუდა ესა, ხელზედ დაიხვია მაგალითნი ერის სისხლის სმისა და პან-მაგნატების ძალ-მომრეობისა (ხოლო ყოველივე ესე იშვიათი არ იყო იმ შავ-ბნელსა და სასტიკს დროსა), სოციალური ომი სარწმუნოებრივ ომად გარდააქცია, ცეცხლი შეუკეთა ერის ფანატიზმსა და უცბად გასთხარა ღრმა თხრილი გადაკიდებულთა შორის, ის თხრილი, რომლის ამოესებაც შეუძლიან მხოლოდ სისხლსა და გვამთა გროვასა.

და, ელოდა-რა გულში, რომ ეცდებიან და მშვიდობიანობას ჩამოაგდებენო, მხოლოდ ის უნდოდა, ეგებ როგორმე, თუნდ დროებით მაინც შევირჩინო ჩემი ძლიერებაო. მერე-ღა? რა იქნებოდა მერე, ამას იმიერ-ჭორომეთის გეტმანი არ დასდევდა, მერმისს თვალს არ უშტერებდა და მისთვის არა ჰზრუნავდა.

მან არ იცოდა ჯერა, რომ მის-მიერ გათხრილი ხევი მეტად ღრმა იყო, რომ იმაზედ ხიდის გადება არ შეეძლო არავითარს მშვიდობიანობისათვის დადებულ ხელ-შეკრულებას, ისეთის ხიდის გადება, რომელსაც რამდენსამე ხანს მაინც თავი დაეჭირა. შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო და ის კი არ იცოდა, რომ დამშვიდებით ველარ მოიმკიდა თვისთა სისხლ-შესვრილ საქმეთა ნაყოფსა.

მიხვედრა კი ამისი ძნელი არ იყო. როცა ათასობით შეთოფ-იარაღებულნი მხედრობანი დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სამტროდა, იქ მოლაპარაკების დასაწერ ეტრატად იქმნებოდა მინდორი, ხოლო კალმად—შუბნი და ხმალნი.

ყოველი წვლილი და კნინი მომასწავებელი იყო ომისა და თვით მდაბიონიც კი ჰგრძნობდნენ, თითქო სუნი აუღიათო, რომ სხვაფრივ არც შეიძლებოდა. თვალნი ყოველთა თავად ერემიაზედ იყო უნებლიედ მიქცეულნი, იმ ერემიაზედ, რომელმაც იმ თავითვე დაიწყო ომი და სთქვა, ან სიცოცხლე ან სიკვდილიო. მის დიდებულის სახის წინაშე თითქო მცირდებოდა, ილეოდა კანცლერიცა, ბრაცლავის მოურავ-ერისთავიცა

და ყოვლად ძლიერი თავადი დომინიკიცა, გამოცხადებული უმთავრესს სპასპეტად და ამირ-სპასალარად. მცირდებოდა და ილეოდა მათი მნიშვნელობა, მათი უფლება-ხელმწიფება. ჯარმა და შლიახტამ ბრძანება მიიღო, შეგროვდით ლვოესაო, ხოლო შემდეგ გლინიანსაო. თანხმად ამ ბრძანებისა, ჯარმა დაიწყო ნელ-ნელა თავ-მოკრება იქ ახლო-მახლო სადროშო სამოურავოებიდან, გარნა ახალმა ნიშნებმა შეშფოთებისა და მოუსვენრობისამ დაუწყო მუქარა რესპუბლიკის სახელსა და ღირსებას. არა მარტო ნაკლებად გამგონი და მორჩილნი რაზმნი ქუდზედ კაც-გამოსულთა, არამედ ჯამაგირით მყოფნი ჯარნიც, ერთად თავ-მოკრების შემდეგ, არ ემორჩილებოდნენ თავ-თავიანთ უფროსთა და, ბრძანების წინააღმდეგ, მიისწრაფოდნენ ზბარაჟს, თავად ერემიას ჯარში ჩასადგომად. ასე მოიქცნენ ჯერ კიევისა და ბრაცლავის სამოურავონი,—იქაური შლიახტა მსახურებდა ოდესმე ერემიას ბრძანებლობასა ქვეშე,—მერე რუსისა, ლუბელისა, ამათ აჰყვნენ სახასო ჯარნი და, ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ დანარჩენებიც მათს მაგალითს მიჰბაძავდნენ. განგებ ჩრდილში მიყენებულს ერემიას ძალა გარემოებათა ჰქმნიდა სრულიად რესპუბლიკის გეტმანად და უფროსად. შლიახტა და მხედრობა, გულითა და სულით მისი ერთგული, მხოლოდ ერემიას ბრძანებას ელოდებოდა. ყოვლადი ხელმწიფება, ომი, მშვიდობიანობა, მერმისი რესპუბლიკისა,—ყოველივე მის ხელთ იყო.

დილითი-დღე იზრდებოდა, დღითი-დღე ემატებოდა, ახალ-ახალი ჯარი მის მხედრობას და ბოლოს ესოდენ აღმაღლდა-რომ ჩრდილმა მისმა დაუწყო დაჩრდილვა არა მარტო კანცლერსა, არამედ სენატსაც, ვარშავასაც, სრულიად რესპუბლიკასაცა.

ვარშავაში და გეტმანთა ბანაკად, თავად დომინიკისა და ბრაცლავის მოურავის ამალაში და ყველგან, საცა კი ერემიასთვის ძვირის მდომელნი იყენენ, დაიწყეს ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა, უზომოდ ამპარტავანია და ქედ-მაღალი გოროზიო. მოიგონეს საქმე გადიაჩისა, როცა ამაყი თავადი შევიდა ვარშა-

ვაში ოთხი ათასის ჯარით, შემოერტყა სენატს, შეამტვრია მისი კარები და მზად იყო აეჩეხნა ყველანი და თვით მეფეც კი.

რას უნდა ველოდეთ ასეთის კაცისაგან და რა ხასიათზედ უნდა იდგეს ახლა, შემდეგ თვისის გამოლაშკრებისა იმიერ დნეპრის მხრიდან, შემდეგ ძლევა-გამარჯვებათა, რომელთაც ასეთის დიდებით შეჰმოსეს მისი სახელიო? სად არის სამზღვარი მისის ქედ-მაღალის ზვიადობისა, რომელიც შთაჰბერა ამ კაცს ჯარის-კაცთა და შლიახტის ყურ-მოჭრილმა ყმობამ, ბრმა თაყვანის ცემამაო? ვის შეუძლიან ახლა წინ აღუდგეს იმათაო? რა მოუვა რესპუბლიკას, უკეთუ ერთს კაცს ძალუძს ეურჩებოდეს სენატის სურვილს და ართმევდეს ხელმწიფება-ბატონობას თვით მთავრობისაგან დანიშნულ უფროსთაო? მართალია, რომ ვითომ ერემიას განზრახვა აქვს გვირგვინით შეამკოს ბატონიშვილი კარლოსი? შეიძლება მარის შეეუთანასწოროთ იგი თავადი, გარნა ღმერთმა ჰქმნას, რომ გულზვიადობამ არ ატვირთებინოს როლი მარკოზ კორიოლანისა ანუ კატილინასიო.

ასე ლაპარაკობდნენ ვარშავაში, ხოლო ის, ახალი მარი, იჯდა ზბარაჟს თავ-პირ ჩამობნელებული, გამოცანად გადაქცეული. ახალთა ძლევა-გამარჯვებათა ვერ მოაშორეს მისს პირისახეს ღრუბელი ზრუნვისა. როცა მოვიდოდა, ვსთქვათ, ზბარაჟს რომელიმე ახალი რაზმი ჯარისა, თავადი გამოეგებებოდა მისასალმებლად, ერთის თვალის გადავლებით დააფასებდა მისს მნიშვნელობას და კვლავ მიეცემოდა მოღრუბლულს ნაღვლიანობას. ჯარის-კაცნი ფუთფუთებდნენ მის გარეშემო, მუხლს იდრეკდნენ მის წინაშე, ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს უძლეველს წინამძღვარს, დიდებულს ჰერკულესს! უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ შენთვისაო!“ ხოლო თავადი პასუხად ეუბნებოდა: „თავს გიკრავთ დაბლა! ჩვენ ყველანი მსახურნი ვართ ქრისტესიო“ და მიდიოდა თავის სახლში, ერიდებოდა ხალხში ყოფნას და განუწყვეტლივ ებრძოდა თავის ფიქრ-აზრებსა. ამასობაში სულ ახალ-ახალი ჯარი მოდიოდა და ემატებოდა მისს მხედრობას. ქუდზე-კაც-გამოსულნი მთვრალობდნენ დილიდან საღამომდე, დაფრატუნებდნენ ქუჩა-ქუჩა, აურ-

ზაურობდნენ და სტეხდნენ ჩხუბს უცხო ჯარების აფიცრებთან. ჯამაგირის ჯარის-კაცნიც იმათს მაგალითს ჰბაძავდნენ, რაკი ჰგრძნობდნენ, რომ სიმტკიცე წესისა შერყეულიაო. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ახალი სტუმრები არა სწვეოდნენ ქალაქს, ახალ-ახალი მეჯლიში არ გამართულიყო, ქეიფი არ გაეწიათ მკვიდრ ბანოვანთა და კეკლუცთა შორის. ჯარებმა დაიჭირეს ყველა ქუჩები, ყველა განაპირა უბნები... და მერე რანაირ აჭრელდა იქაურობა, რანაირ აფერადდა გარემონი! კაცს ეგონებოდა, ნახევარ-რესპუბლიკას აქ მოუყრია თავიო. თვალი აუჭრელდებოდა კაცს ამ მოოქროვილ ჯავშან-ჩაჩქნებითა, აბრეშუმ-ხაველდის ცქერითა, რომელიც ეცვათ სხვა-და-სხვა სამოურავოთა ჰან-მაგნატებსა.

გარნა ამ ბჭყვრიალსა და სიმდიდრეს შორის რაოდენ საწყალისა და უბადრუკის შესახედაობისა იყვნენ ჯარის-კაცნი ვისნეეეკისა, დაღალულ-დაქანცულნი, დაკონკილ ტანისამოსით მოსილნი, ჩამომდნარნი, გაყვითლებულნი! სხვა-და-სხვა რაზმის აფიცრები უფრო გლახაკებსა ჰგვანდნენ... სად დაუმხარდამხარდებიან ახლად მოსულ სტუმართა მხლებლებსაც კი!.. გარნა მაინც ყველანი ქუდს უხდიან, ყველანი თავსა ჰხრიან ამ უბადრუკობის წინაშე; უბადრუკობა იგი ესოდენ ამკობს გმირებსა! ომი, ვითა სატურნი, სჭამს თვისთა ძეთა, ხოლო ვისაც ვერ შეშჭამს, ჰხრავს და სცრცვნის ისე, როგორც მშიერმა ძაღლმა გამოჰხრას და გასცრცენას ძვალი. ეს ტანისამოსი გაახუნა წვიმამა და მზემა ჟამსა სამძიმო ლაშქრობისასა, ეს ჟანგი, რომელიც მოჰკიდებია იარაღის რკინასა, სისხლია საკუთარი ანუ მტრისა, ან არა და ერთიც არის და მეორეც. ვისნეეეკიანებს ყველგან პირველი ადგილი ეთმობათ; დუქნებშიაცა და სასტუმროებშიაც ისინი არიან მომთხრობელნი ამა თუ იმ ამბავთა, გარნა სხვანი იმათ უსმენენ მხოლოდ. დავაცადოთ და ხან ერთს მსმენელს აუძგერდებოდა გული, ხან მეორეს, შეუგუბდებოდა სული და, თითქო ყელში წაუჭირეს და იხრჩობაო, წამოიძახებდა მუხლებზედ ხელების დაკვრითა: „დიდება შენთვის, უფალო! რა იყავით, ეშმაკნი და ქაჯნი, თუ

ადამიანი-შვილები?“ ხოლო ვისნეეეკიანი უპასუხებდნენ: „ეგ ჩვენი ღვაწლი კი არ იყო, არამედ ჩვენის წინამძღვარისა, რომლის ტოლი და სწორი ჯერ არ დაუბადნია დედა-მიწას“. და აი ყოველ ამგვარ ქეიფისა და ნადიმის დროს გაისმოდა აღფრთოვანებით: Vivat ერემია! Vivat თავადო მოურავ-ერისთავო, წინამძღვარო წინამძღვართა და გეტმანო გეტმანთაო!..“ შეზარხოშდებოდა თუ არა შლიახტა, მოეფინებოდა ქუჩებს, ისეროდა თოფ-დამბაჩას, ხოლო რაკი ვისნეეეკიანები ამბობდნენ, რომ ეს თავისუფლება დროებითა გვაქვს მონიჭებულიო, რომ მალე თავადი ხელს ჩაგვჭიდებს და ისეთს სასტიკს წესს დაამყარებს, რომლისთანაც თქვენ ჯენ იქნება არც კი გაგიგონიათო, ყველა ესწრაფებოდა ჟინი მოეკლა ქეიფისა და მხიარულებისა. „Gaudeamus“, ვიდრე დრო გვაქვს!— გაჰყეიროდა შლიახტა.—როცა საჭირო იქნება, ვიყვნეთ მორჩილნი. მადლობა ღმერთს, ისეთიცა გვყავს, ვისიც მორჩილება სასიხარულოც კია!“ ამ დროს ცოტა მათრახები არა ჰხვდებოდა უბედურს თავადს დომინიკსა. ამბობდნენ, რომ მთელი დღე სდგას და ლოცულობსო, ხოლო ღამე ლოთობს, ომი ხომ იმდენი უნახავს, რამდენიც იმის სასახლეში გაკრულ ჰოლანდიურ ხალიჩებზეა დახატულიო. თავად დომინიკესაკენ ერთი არ იტყოდა კეთილს სიტყვასა, ყველა იმას აგინებდა, მეტადრე ისინი, ვინც დანაშაულში იყვნენ სამხედრო წეს-რიგის დარღვევისათვის.

ამისთანაობაში თავი იჩინა უფრო პან ზაგალობამ. მენჯეების ტკივილმა გაუარა და ეხლა ძალიან კარგადა ჰგრძნობდა თავსა. ამაო იქნება ვსთქვათ, ამდენ-ამდენსა სვამდა და სჭამდაო, სულ ერთია, მაინც არავინ დაიჯერებს. მუდამ მთელი გუნდი ერტყა გარშემო ჯარის-კაცთა და შლიახტისა, ხოლო ზაგლობა, ვითომც აქ არაფერიაო, ისევ იმათ დასცინოდა, ვინც უმასპინძლდებოდა და ჰპატიჟობდა. ყველას აბუჩად იქერდა, ვითომ და მე ხნიერი, გამოცდილი ჯარის-კაცი ვარ და თქვენ ვინა ჰყრიხართო. ამიტომ ჭიმვითა და გაბღინძვით ეუბნებოდა: „თქვენა? იმდენადვე გაქვთ ნაცადი ომში თავი, რამდენადაც მოლოზანსა ჰყავს ნაცადი მამაკაცი.. ჰმ, ომი მწვადის შე-

თლა არ გახლავთ. იქ რომ წამოდგები დილითა, პილატეს ცრემლს არავინ გადაგაკვრევინებს და ჩურჩხელას არ შემოგთავაზებენ, ყელი ჩაიკოკლოზინავეო. იცოცხლე, ქონი მოგაკლდეთ, ლოყები ჩამოგახმეთ და ისე დაიწვათ, როგორც ბალახი იწვის მზეზედ. ჰეეეი! ბევრი ტანჯვა კი გამოვიარე, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგეცათ ღვთის-წყალობა, ერთი და ორი დროშაც არ გამოვიტაცე მტრისა, გარნა უნდა გითხრათ, არც ერთის წართმევა არ დამჯდომია ისე ძვირად, როგორც იმის გამოტაცება, რომელიც კონსტანტინოვთან წავართვი ყაზახებსა. ოი, ამოსწყვიტა ღმერთმა ეს იმიერ-ჭორომელნი. აი, ჰკითხეთ პან სქშეტუსკისა, აიმასა, რომელმაც ბურდაბუტს თავი გაუგალა; იმანა ჰნახა ყოველივე თავის თვალითა, ჰნახა და უკვირდა. ან აი რა გითხრათ: ჩაჰყვირეთ ყურში რომელსამე ყაზახსა: „ზაგლობა-თქო!“ და დაინახავთ, რაც მოჰხდება. და ან კი რა უნდა გელაპარაკოთ. თქვენ აი ბუზები თუ გიხოცნიათ სატკაცუნებელის თოფებით კედლებზედა, თორემ სხვა არაფერი არა გინახავთ-რა.

— როგორ იყო ეგა, როგორ?—ეკითხებოდა ახალგაზდობა.

— თქვენ უთუოდ ის გინდათ, რომ ყბედობით ისე გამიფიცხდეს ენა, როგორც ურმის ღერძი აიწვის ხოლმე?

— წასმა უნდა საპნისა! ღვინო მოიტათ!—ჰყვიროდა შლიახტა.

— ეგ კი მართალია, სწორედ.

მაშინ კი პან ზაგლობა კმაყოფილებით იღიმებოდა, მხიარული მით, რომ ვიპოვნე ჩემდა მადლობით აღვსილნი მსმენელნიო და უამბობდა ყველაფერს ათადან-ბაბადან, გალატიდან დაწყებული დროშის წართმევამდე კონსტანტინოვის ახლოს, მსმენელნი სულ-განაბულნი ისმენდნენ და მხოლოდ ათასში ერთხელ დაუწუნებდნენ ხოლმე ზაგლობას ნალაპარაკევს: მეტადრე მაშინ, როცა სქელ-სქელი შლიახტიჩი ქება-დიდებით მოიხსენიებდა თავის ვაჟკაცობა-გულადობას და დაცინვით დაუმხარდამხარებდა ამ თვისთა საგმირო საქმეთა მსმენლების გამო-

უცდელობას; სმით კი მაინც სვამდა ყოველ დღე და იყო ხოლმე ასე გალექილი.

დიაღ, ზბარაჟში ისეთი მხიარულება და რა ამბავია იყო, რომ მოხუცი ზაცვილიხოვსკი და სხვა დამსახურებული აფიცრები ჰკვირობდნენ: ნეტავ რა მიზეზია, რომ თავადი არ მოსპობს ამ საყოველთაო ჭირვეულს ქეიფსაო. თავადი კი იჯდა სულ სახლში და, საფიქრებელია, განგებ მისცა შეძლება ჯარს ქეიფისა და მხიარულებისა მოახლოვებულ ომის წინად. მოვიდა სქშეტუსკიცა და უცბად ჩაიხვია ისიც რაღაც ზვირთ-ტალღამა. თავის კარგ ამხანაგ-მეგობართა შორის უნდოდა ყოფნა, მაგრამ გული უფრო ძლიერ მისწევდა ბარს, საცა ეგულებოდა თავისი სულის-დგმა: წავალ, ვნახავ და მისის დანახვით სულ გავიქარვებ ყოველსავე ჩემს დარდსა და ნაღველსაო. დრო აღარ დაჰკარგა, ეახლა თავადს იმ აზრით, რომ მივსცემ ანგარიშს ზასლავს ყოფნისას და ვსთხოვ დამითხოვოს რამდენისამე ხნითაო.

პან სქშეტუსკიმ ინახულა თავადი, მაგრამ ძალიან კი გაოცდა, რადგან ერემია საშინლად გამოცვლილიყო. დავიჯერო ეს ის გმირია, რომელიც მახნოვკასა და კონსტანტინოვს მინახავსო?—ამბობდა გულში სქშეტუსკი. მის წინაშე იდგა კაცი, მწუხარება-ნაღვლით წელში მოხრილი, თვალებ-ჩაცვინული, ტუჩებ-გაფიცხებული, თითქო ციებ-ცხელება ჩასცივებიაო. სქშეტუსკის მოკითხვაზედ თავადმა მოკლედა და გულ-ცივადა სთქვა, კარგადა ვარო (რაინდმა, დიაღაც, რომ ვერ გაჰბედა დაწვრილებით დაეწყო გამოკითხვა, როგორა ხარ, რა გტკივაო) და მოსთხოვა ანგარიში. როცა საქმე გაათავეს, პან სქშეტუსკიმ სთხოვა, ორის თვით დამითხოვეთო, ჯვარს დავიწერ, ცოლს სოფელში დავაბინავებ და ისევ გიახლებითო.

თავადი სახტად დარჩა და ისე შეკრთა, თითქო ეძინა და უცებ გამოაღვიძესო. მისი სახე გაშუქდა წინანდელის კეთილის ღიმილითა, ციცინათელასავით აენთო და გულ-მხურვალედ გადაეხვია სქშეტუსკის.

— უჰ, მადლობა ღმერთსა! აჰა, გათავდა თქვენი ტანჯვა-წამებაცა. წადით, წადით, ღმერთმან გაკურთხოთ. მეც მინდოდა ვყოფილიყავ თქვენს ქორწილში, მაგრამ გარემოება ისეთია, რომ... არ შემიძლიან. როდის გინდა წახვიდე?

— თავადო!... მე თუნდ ეხლაც მზად გახლავართ!..

— ხვალ დილით. მარტო, რასაკვირველია, ვერ წახვალ. სამას თათარს გაგატან თან ვერშულისას; უფრო უზრუნველად იქნებით. იმათთან ერთად უფრო ჩქარა მიხვალ, მერე გზა-გზა ათასგან შეგხვდებათ ავაზაკნი და ათასნაირნი მაწანწალანი. ამას გარდა, გაგატანთ წერილს პან ანდრია პოტოცკისთან. ვიდრე თათრები მოვლენ, ვიდრე მოემზადებით, გათენდება კიდეცა.

— როგორც მიბრძანებთ. გარნა გავბედავ და ერთის თხოვნითაც შეგაწუხებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ნება უბოძეთ ვოლოდიევსკისა და პოდბიპენტას, ისინიც გამომყვნენ.

— კარგი. დილით ჩემთან შემოიარეთ. გამოგეთხოვებით და დაგლოცავთ. მინდოდა რაიმე საჩუქარი გამეგზავნა კნიაჟნასთვის. მის ძარღვებში ღირსეული სისხლი მდინარებს. იყავით ბედნიერ, ღირსნი ხართ ერთმანეთისა.

რაინდმა დაბლად დაუკრა თავი საყვარელს წინამძღვარსა მუხლი მოიდრიკა, ხოლო თავადი კვლავ იმეორებდა:

— აბა, ღმერთმან გაკურთხოთ! ღმერთმან გაკურთხოთ! ხვალ დილით მოდით.

ხოლო სქშეტუსკი ალარა დგებოდა და, ბოლოს, კარგა ხნის ყოყმანს შემდეგ, გაჰბედა და ჰკითხა:

— თქვენო ბრწყინვალებავ!..

— რა გსურს სთქვა კიდეეა?—ალერსით ჰკითხა თავადმა.

— მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ... მაგრამ გული მიკვდება, თქვენ რომ გიყურებთ... ღვთის გულისათვის, მიბრძანეთ, რა ამბავია თქვენს თავს? მწუხარება გაწუხებთ, ავადა ბრძანდებით?

თავადმა ხელი დაადო თავზედა:

— რად გინდა, რომ იცოდე ეგა!—გულითა და სულითა სთქვა თავადმა.—მოდით ხვალ დილით.

პან სქშეტუსკი ადგა და წავიდა გულ-მტკიენეული.

— საღამოზედ ესტუმრნენ: ზაცვილიხოვსკი, ვოლოდიევს კი, ზაგლობა, ხოლო მათთან პან პოდბიპენტაცა. ყველანი სტოლს მოუსხდნენ და ჟენძიანმა მალე ბოთლი და ფიალები შემოიტანა.

— უფალო, ღმერთო ჩემო!—დაიძახა პან ზაგლობამ გაკვირვებითა.—ეს რა ამბავია, შენი პაჟი მკვდრეთით აღსდგა, თუ როგორ არის?

ჟენძიანი მიუახლოვდა და მუხლებზედ მოეხვია.

— მკვდრეთით კი არ აღვსდეგი, ცოცხალი გადავრჩი, რადგან თქვენ დამიხსენით სიკვდილისაგან.

— და მერე ბოგუნს დაუწყო სამსახური,—დაუმატა პან სქშეტუსკიმ.

— მაშასადამე, თავის დროზე შეიძენ ეშმაკებისა და ქაჯების მფარველობასაცა,—დიდის ამბით და გაპრტყელებით წარმოსთქვა პან ზაგლობამა.—არა მგონია, რომ ბოგუნის სამსახურში კარგადა ყოფილიყავ. აჰა, ტალერი, აიღე!

— გმადლობთ!

— ეგა?—სთქვა პან სქშეტუსკიმ.—ეგ ისე კარგად თურმე მოეწყო იქა, რომ რაღა გითხრა: ჩარჩობდა, ჩალიშობდა ყაზახთა შორის, ჰყიდულობდა იმათგან ნადავლსა და ნაალაფევს და იმოდენა ქონება შეიძინა, რომ მე და შენ ვერ შევსძლებთ იმის შესყიდვასა, თუნდაც სულ გაჰყიდო შენი მამულები საოსმალოში.

— ეჰე! მართლა? აიღე ეგ ჩემი ტალერიც და ასარგებლე, იქნება ყოველივე დაგჭირდეს მაშინ, როცა სახრჩობელაზედ ჩამოგაკონწიალებენ! მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ბიჭი ძალიან მომწონს! (პან ზაგლობამ ყურში წაავლო ხელი ჟენძიანსა და მოსწია) მიყვარან გაიძვერანი და მიწინასწარმეტყველებია შენთვის, რომ თავის დროზედ კაცი შეიქმნები, თუ პირუტყვად

არ დარჩი. ჰო, რაიო, შენი ბატონი, ბოგუნი, არ მომიგონებდა ხოლმე?... ჰა?

ჟენძიანმა კრეჭა დაიწყო; თავის ქებად მიიჩნია პან ზაგლობას სიტყვები.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ისე აგონდები, რომ სულ კბილებს აკრაჭუნებს.

— დამეკარგე იქითა! — დაიღრიალა პან ზაგლობამ, რომელიც უცბად გაბრაზდა ამ სიტყვებზედ. — ნუ მიჰქარავ ემანდა.

ჟენძიანი გავიდა ოთახიდან, პან ზაგლობა ნელ-ნელა დამშვიდდა და მოჰყვა თავისებურად ქილიკობასა და ოხუნჯობას. ლაპარაკი მივარდ-მოვარდა და მოიხსენიეს ბოლონდელი ამბები, მისწვდნენ თავადსაცა. ბოლოს სქშეტუსკიმ იკითხა, რა უცნაური ცვლილება დასტყობია თავადსა, რაზედ გამოცვლილა ასე შესაძჩნევადაო?

— იქნება ნეკრესის ქარები აუტყდა,—სთქვა ფიქრში წასულმა პან ზაგლობამ.—აი მე აქ არა ვარ: ე ბერა-თითი, ცერი, რომ დამიწყებს ხოლმე ტეხასა, ორ-სამ დღეობით სულ მოშლილი ვარ.

— მე კი უნდა გითხრათ...— გაუბედავად დაიწყო პოდბიპენტამა,—პირად მე კი არ გამიგონია ქსენძ მუხოვეცკისაგან, მაგრამ ვიღასთვისაც უთქვამს, რაც აწუხებს თავადსა. მე თითონ... რაო ახლა?.. მე თითონ არას ვამბობ: თავადი დიდებული კაცია და სახელოვანი მხედარი, ქსენძი მუხოვეცკი კი... არა, ეს კია, რომ, რა ვიცი, მე ვერ ვიკისრებ დავამტკიცო...

— ოჰ, ღმერთო! – გააწყვეტინა სიტყვა პან ზაგლობამ:— სული არ ამოგვართვა? რასა ჰროშავ მოშლილი წისქვილივითა? ჰლეჭავ და ჰლეჭავ, აჭიანურებ ურიის მკვდარივითა... კაცი ვერას გაიგებს.

— მერე, რა გაიგონეთ?—შეეკითხა პან სქშეტუსკი.

— აი რა... ამბობენ, რომ ვითომ თავადმა მეტის-მეტად ბევრი სისხლი დაჰღვარაო. დიდებული კაცია, მაგრამ ზომა არ იცის, როცა გაცეცხლდებაო და ახლა ასე ეჩვენება, ვითომ

ყოველივე სისხლით არის მორწყული... დღისითაც სულ სისხლი ელანდება, ღამეც სულ სისხლი... კაცს ეგონება, სისხლიანს ნილს-ბურუსშიაო...

— სისულელეებს ნუ მოჰყოლიხართ ემანდა! — შეჰყვირა გაჯავრებით პან ზაგლობამ. — დედაკაცური ჭორებია ეგა. მშვიდობიანობის დროს ერისათვის უკეთესი ბატონი აღარ შეიძლებოდა, როგორიც ეგ იყო, ხოლო თუ შეწყალება არ იცის მეამბოხეთა, ეგ ცოდვა კი არ არის, ღვაწლია. რა ტანჯვა და წამება უნდა იყოს მეტის-მეტი იმათთვის, ვინც სისხლის მორევში ჩაახრჩო სამშობლო, თათრებში ჰყიდდა თანამოძმეთა, ვინც დაივიწყა ღმერთიცა და ნამუსიცა? ერიგიდი-ჰა, ძამია, შენ ხელი გქონია რკინისა და გული კი, ვხედავ, დედაკაცისა გაქვს! ვნახე, როგორა სტიროდი, როცა პულიანსა სწვამდნენ და იძახდი, უმჯობესი იყო აეღოთ და მოეკლათ ბარემაო. ჰო, როგორ არა, თავადი ქალაჩუნა არ გახლავთ; იცის, როგორ უნდა დასჯაცა და დასაჩუქრებაცა.

— მაშ, როგორ გგონიათ, რა ამბავია მის თავს? — ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— ჰმ, რა ვიცი, მე იმისი ვექილი არა ვარ და! რაღასაც ჰფიქრობს, ვარაუდობს, თავის-თავს ეძალება, ფიქრს ებრძვის. დიაღაც, რომ მთლად მისი არსება, მისი სული რყევაშია, დუღილშია... ხოლო რაც უფრო ღრმა ბუნებისაა ადამიანი, მით უფრო ძლიერია მისი ტანჯვაცა...

მოხუცი რაინდი არა სცდებოდა. სწორედ ამ დროს თავადი, ეს წინამძღვარი და ძლევა-მოსილი მხედართ-მთავარი, გულ-შემუსვრილი გართხმული იყო ჯვარცმის წინაშე და იტანჯებოდა... იტანჯებოდა ისე, როგორც არასდროს არა ტანჯულა თავისს სიცოცხლეში.

ზბარაჟის ციხე-დარბაზის დარაჯთა გუნდმა ამცნო მიძინებულს ქვეყანას, რომ უკვე შუა-ღამეაო, ხოლო ერემია მაინც ღმერთსა და თვისსა დიდებულს სულს ეზრახებოდა. მისი გონება, სვინიდისი, სიყვარული მამულისა, გრძნობა თვისის ძალღონისა და დიდებულის მოწოდებისა საშინელის სისასტიკით

ეომებოდნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლისაგან გული ერემიასი იგლიჯებოდა ნაკუწ-ნაკუწ, სული ჰკვნესოდა და ჰგმინავდა აუტანელის ტკივილითა, თავი ისე უვარვარებდა, თითქო ცეცხლი უკიდიაო. წინააღმდეგ პრიმასის სურვილისა, წინააღმდეგ კანცლერისა, სენატისა, გეტმანებისა და თვით რესპუბლიკისა მის დროშის ქვეშე იკრიბებოდა ჯარი და მხედრობა, მთლად ქვეყანა ხელში უვარდებოდა, მის ფრთეთა ქვეშე შევრდომასა ნატრობდა, თვისსა ბედსა და უბედობას მის გენიოსობას აბარებდა და თვისთა უკეთესთა კაცთა პირით შეჰლაღადებდა: „დაგვიხსენ, დაგვიხსენ!.. მარტო შენ ძალგიძს ჩვენი ხსნაო!“ ერთი-ორი თვე კიდევ და ზბარაჟს მოიყრიდა თავს ასი-ათასი მხედარი, სრულიად მზად-მყოფი ძმათა-ძმის მკვლელ ომის ვეშაპის შესამუსრავად... სურათნი მერმისისა, ცხრა-თვალის შუქით გაბრწყინვალებული და დიდება-ძლიერებით მოსილი, ერთმანეთს ეჯახებოდა თავადის თვალ-წინ.

შიშით ძრწოლას დაიწყებენ ისინი, ვინც ჰბედავდნენ ჩემს შეურაცხყოფას, თავს არ მიდებდნენ და უგულებელ-ყოფით ეკიდებოდნენ ჩემს განზრახკასაო, ხოლო მე გავემართები ჩემის ნაჭედ-რკინა-მოსილ რაინდთა რაზმებით უკრაინის მინდვრებად და მოვიმკი ისეთს გამარჯვებას, მოვიჭირნახულებ ისეთს ძლევა-მოსილებას რომლისთანაც ჯერ ისტორიას არა გაუგონია-რაო. თავადი თან ჰგრძნობს, რომ ძალა და ღონე შესწევს მის ქადილსა, რომ მხრებზედ ფრთები ესხმის, თითქო ფრთებია მთავარ-ანგელოზის მიხეილისაო. აი ამ საათში მდევივით უზარმაზარდება, ჰბუმბერაზდება და უფრო და უფრო მატულობს მისი სიდიადე... ისე რომ მთლად ციხე-დარბაზი, მთელი ზბარაჟი, სრულიად ქვეყანა რუსისა ვერ შეეტოლ-შეეწონება. ღმერთია მოწამე! აღვგვი ხმელნიცკის პირისაგან ქვეყნისაო! დავთრგუნავ ამბოხებას, დავუბრუნებ მშვიდობას სამშობლოსაო!

აი ჰხედავს თვალ-გადუწვდენელ მინდვრებს, ესმის გრგვინვა ზარბაზანთა... ბრძოლა! ბრძოლა!... აკლება მტერთა, არ გაგონილა, არ ქმნილა! ათასი გვამი მხედართა, ათასი დროშა-

ალამი მოეფინა სისხლით გაჟღენთილ მინდორსა, ხოლო თვითონ ასო-ასო ჰკეპავს ხმელნიცკის, საყვირნი უკრავენ ძლევამოსილების საგალობელს, ხმა გამარჯვებისა გრიალებს ზღვიდან ზღვამდე... თაეადი წამოიჭრება და იწვდის ხელთა ქრისტეს მიმართ და ჰხედავს, რომ მის თავს გარშემო რაღაც სისხლივით წითელი ბური შემოჰგრაგნია: „ქრისტე, ქრისტე! შენ ჰხედავ, შენ უწყი, რომ შემძლებელ ვარ, აღვასრულო ყოველივე ესე, მარქვი რისა თანამდებ ვარ ყოფად!“

გარნა ქრისტე თავ-დახრილია და მდუმარებს, ისეთი მწუხარე, თითქო ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

„შენდა სადიდებელად!—შეჰღაღადებს მთავარი,—non mihi! non mihi, sed nomini Tuo de gloriam“! სადიდებელად სარწმუნოებისა და ეკლესიისა, სრულიად საქრისტიანოსი! ოჰ, ქრისტეე, ქრისტეე!

ახალმა სანახავმა გაუელვა ერემიას თვალ-წინ.

ხმელნიცკის დაძლევით არ დასრულდება ამ გზით სიარულიო....

შევმუსრავ ამბოხებას, გავაძლიერებ ძალასა ჩემსა მისის მხედრობის შემოერთებით, ასიათასობით შლიახტას ზედ დავუმატებ ასი-ათასობით ყაზახთა და განვაგრძობ გზას. გავილაშქრებ ყირიმს, შევმუსრავ ვეშაპს, გაცავამტვერებ მთლად მის ბუნაგს, აღვმართავ ჯვარს იქ, სადაც ზართა რეკა არ მიუწოდებს მორწმუნეთა წმიდა ლოცვადაო.

და აი გავილაშქრებ იმ ქვეყანაში, რომელსაც სთელავდნენ ოდესმე თვისთა ცხენთა ნალითა ჩემნი წინაპარნი, განვავრცელებ სამზღვრებს რესპუბლიკისას, ხოლო მასთან ერთად, ეკლესიისასაც ქვეყნიერების კიდემდე...

სად არის დასასრული ამ მისწრაფებისა? სად არის დასასრული დიდებისა, ძლიერებისა, შემძლებლობისა? არსად არ არის...

ციხე-დარბაზის ოთახში შემოაშუქა მთვარის მკრთალმა ნათელმა; საათმა დაჰკრა გვიანობისა, მამლებმა ყივილი დაიწყეს. განთიადი მოახლოვებულია. იქნება ისეთი დღე გამოეი-

დეს, რომ, როცა მზე ამოვა ცაზედა, იმ დროს ახალი მზე გაბრწინდეს დედა-მიწაზედა?

. . . . . .

დიაღ, ბავშვი უნდა ვიყო და არა მთავარი, არა ვაჟკაცი, რომ არ შევასრულო ესა, რომ რაიმე მიზეზით არ ავყვე ხმას ჩემის სულიერის არსებისასაო. ვგრძნობ მშვიდობას, რომელიც მოგვლინა მოწყალე ქრისტემ, კურთხეულ იყოს სახელი მისიო!.... და აი ფიქრი და აზრი მისი უფრო განმტკიცდა. უფრო გარკვევით შემიძლიან აწ სულისა ჩემისა თვალითა ვსჭვრეტდე სამშობლოს აწინდელს ყოფასაო. პოლიტიკა კანცლერისა და ამ ვარშავის ყველა მაგნატებისა, აგრედვე ბრაცლავის მოურავისა დაღუპვაა სამშობლოსი. ჯერ უნდა გავქელოთ იმიერ-ჭორომეთი, მივუგდოთ ზღვა სისხლისა, მოვტეხოთ, შევმუსროთ, ხოლო შემდეგ მივცეთ დამორჩილებულთ ყოველივე, რათა აღარ იყოს ძალ-მომრეობა, შეიწროება; ყველგან უნდა დავამკვიდროთ მშვიდობა, მოსვენება; როცა სრული შეძლება გვექნება სიკვდილამდე მივაღწევინოთ, მაშინ უნდა აღვადგინოთ,—აი მხოლოობითი გზა, რომელზედაც შესაძლებელია იაროს დიდებულმა, ყოვლად ძლიერმა რესპუბლიკამ. იქნება წინად შესაძლო იყო სხვა გზის არჩევა, გარნა ახლა აღარ შეიძლება! რას მოვიმკით სამშვიდობო ხელ-შეკრულებათა დადებით მაშინ, როცა მოწინააღმდეგეს ასი-ათასობით შეიარაღებული მხედრობა უდგას. კარგია ჩამოგდება მშვიდობიანობისა, გარნა მტკიცე იქნება იგი მშვიდობიანობა და თავს დაიჭერს? არა, არა! ეგ უგუნური ოცნებაა, ეგ ომია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში არ შესწყდება, ეგ ზღვაა ცრემლისა და სისხლისა სამერმისოდ!... ოღონდ კი ამ გზას დაადგნენ, ამ დიდებულსა და კეთილშობილს გზასა და მე სხვა არა მინდა-რა, არას მოვითხოვ. დავბრუნდები ჩემს ლუბნში და დამშვიდებით დავუწყებ ლოდინს იმ დროს, ვიდრე ხმა საომარის საყვირისა არ მიმიწოდებს ახალის ღვაწლისათვის, ახალის ქველობისათვისაო.

დაადგნენ ოღონდ კი ამ გზას, შეიწყნარონ ჩემი ნავარაუდევი. მაგრამ ვინ, ვინ უნდა დაადგეს, ვინ უნდა შეიწყნაროს?

კანცლერმა? პრიმასმა ანუ გეტმანებმა? ვინ, ვინ მიხვდება, თვინიერ ჩემდა, ამ აზრის ყოვლადსა სიდიადეს და ვინ შესძლებს მის განხორციელებას? ოღონდ გამოჩნდეს იმისთანა ვინმე და მე, მთავარი ერემია, მზადა ვარ, ყოველივე ვიკისრო. მაგრამ სად არის ამისთანა? ვისა აქვს ძალ-ღონე? მარტო მე ვარ და სხვა არაევინ! ჩემთან მოდის შლიახტა, ჩემდა მოისწრაფიან მხედრობანი, ჩემს ხელშია მახვილი რესპუბლიკისა. ოჰ, რესპუბლიკა, მაშინაც კი როცა მეფე ჰყავს, ერის ნება-სურვილზე დადის. ეხლა ხომ, როცა უმეფობაა, რაღა თქმა უნდა ნება-სურვილი იგი უმაღლესი კანონია—suprema lex! ეგ ნენა-სურვილი თავს იჩენს არა მარტო სეიმებზედ, არა მარტო სენატისა და კანცლერთა დეპუტატების შემწეობით, არა მარტო აღწერილ კანონთა და მანიფესტების შუამავლობით, არამედ უფრო მძლავრად, უფრო დასანახად, უფრო სარწმუნოდ თვით საქმითა. ვინ განმგეობს აქ? რაინდთა წოდება!... გარნა, აი, სწორედ თვით ეგ რაინდთა წოდება იკრიბება ეხლა აქ, ზბარაჟსა, და მეუბნევა: შენა ხარ ჩვენი წინამძღვარი! სრულიად რესპუბლიკა ემორჩილება გარემოებათა ძალასა, მანიჭებს მე ხელმწიფებას და იმეორებს: შენა ხარ წინამძღვარი ჩვენი! და მე უნდა უკუვსდგე? სხვა რაღა საბუთს უნდა ველოდე კიდევა? რაღა საბუთს და საიდან? იმისგან ხომ არა, ვისაც უნდა დაჰღუპოს რესპუბლიკა და დამამციროს მე თვითონა?

დამამციროს! რათა, რისთვის? იმისთვის ხომ არა, რომ როცა ქვეყანა შიშმა და ძრწოლამ აიტანა, როცა გეტმანები ტყვედ იქმნენ შეპყრობილნი, მხედრობა დაძლეული, პანები თავიანთ ციხე სიმაგრებში დახიზნულ-დამალულნი, ხოლო ყაზახმა ქუსლი დააჭირა რესპუბლიკის მკერდს, მარტო მე ავგლიჯე ეგ ღვთის-მგმობელი ქუსლი და აღვადგინე მტვერში ჩაფლული, მოუძლურებული თავი დედა-ქვეყნისა, მე რომელმაც შევწირე ჩემს მამულს ყოველივე, სიცოცხლეცა და ქონებაცა, მე, რომელმაც გადავარჩინე სამშობლო შერცხვენასა, სიკვდილსა,—მე, ძლევამოსილმა?!!

ვისაც უფრო ღვაწლ-მოსილი ჰგონია თავი თვისი, დეე იტვირთოს ეს ხელმწიფება. დეე მის ხელთ იყოს. სიამოვნებით უარ-ვყოფ ამ ტვირთს, სიამოვნებით ვეტყვი ღმერთსა და რესპუბლიკას: „აწ განმიტევე მონა შენი მშვიდობით“... მოვიღალე და ძალა ჩემი მიიწურა.

გარნა თუ არავინ არ არის, ორჯელ, სამჯერ ბავშვი ვიქნები და არა ვაჟკაცი, უკეთუ ხელს ავიღებ, უარ-ვყოფ ამ ხელმწიფებას, ამ დიდებულს გზას, მერმისსა, რომელსაც დაჰკავშირებია ხსნა და ძალი რესპუბლიკისა.

და ან კი რად უნდა უარ-ვყო?

მთავარმა კელავ მაღლა აიღო თავი გულ-ზვიადობით, ცეცხლებრ ელვარე თვალი დააშტერა ქრისტეს ხატსა, გარნა ქრისტე თავ-დაღუნული იყო და მდუმარებდა... ისეთი მწუხარე, თითქო ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

რადაო?... ერემიამ ორივე ხელი საფეთქლებში იტაცა... იქნება პასუხიც არის ამისი. რას ჰნიშნავს ეს ხმა, რომელიც ამ ოქროთი-მოსილ დიდების ლანდთა შორის, მერმისის ძლევათა გრგვინვათა შორის, დიდებისა და ძლიერების წინად-გრძნობათა შორის ასე უწყალოდ გაისმის ჩემს სულიერს არსებაში: „შესდეგ, საცოდავო!“? რას ჰნიშნავს ეს მოუსვენრობა, რომელიც რაღაც უცნაურის შეშფოთების ერუანტელივით მივლის უშიშარს გულში და ნევსებივით მიჩხვლეტავს მკერდს? გარნა ოდეს ცხადად და გარკვევით ვუმტკიცებ ჩემს თავს, რომ მე უნდა ვიტვირთო უფლება-ხელმწიფება-მეთქი, რა მიზეზია, რომ სადღაც იქ, ღრმად, სინიდისის საიდუმლო სამალულებში ვიღაცა ჩურჩულებს: „შენ სცდები, შენ შეუპყრიხარ გულზვიადობას, თვალ-წინ გელანდება სამეფო მანტია!“

და აი კვლავ საშინელი ბრძოლა აღეგზნო მთავრის გულში, კვლავ ეჭვ-ყოყმანის, შეშფოთებისა და უჯერობა-უკმაროობის ქარტეხილმა შემოჰხვია თვისი მკლავნი და მოიცვა მთლად მისი არსება.

რას აკეთებს შლიახტა, რომელიც ჩემთან შემოგროვილა, იმის მაგიერ, რომ თავ-თავიანთ სარდლებთან წასულიყო მთავ-

რობისაგან უფროსებად დანიშნულებთან? ფეხ-ქვეშ სთელავს კანონსა. რას აკეთებს ჯარი? არღვევს წესსა და რიგსა. და მე, მოქალაქე, მე, ჯარის კაცი, უნდა ვმოთავეობდე უკანონობას, ვფარავდე ჩემის სახელითა და მნიშვნელობით? მე უნდა პირველმა მივცე მაგალითი ურჩობისა, თვითნებობისა, კანონის უპატივცემულობისა და ყოველივე ესე უნდა მოვიქმედო იმიტომ, რომ ორის თვით ადრე მივიღო ხელმწიფება, რომელიც სულ ერთია, მე არ ამცდება, უკეთუ მეფედ ამორჩეულ იქმნა ბატონიშვილი კარლოსი? მე უნდა მივცე ასეთი საშინელი მაგალითი შთამომაველობას? მერე, რა გამოვა ბოლოს? დღეს ამას მოიქმედებს ვისნეეეკი, ხვალ კონეცპოლსკი, პოტოცკი, ფირლეი, ზამოისკი ანუ ლიუბომირსკი! ხოლო უკეთუ თვითოეული არ მიაქცევს ყურადღებას კანონს და თავისებურად დაიწყებს ქცევასა, როცა შვილებიც მამა-პაპების მაგალითს აჰყვებიან, რა მოუვა მაშინ ა! ჩვენს უბედურს ქვეყანას? თვითნებობის ჭიამ, უწესოებამ, პირადობამ უიმისოდაც დაფქვა ფესვი რესპუბლიკისა,—შინაურ ომის ცულს ისეც გააქვს ჯახი-ჯუხი, ნაფოტი აქეთ-იქით იფანტება უწყალოდ და გამხმარნი შტონი შორდება ხეს ზედი-ზედა. რა მოუვა ქვეყანას, უკეთუ ისინი, ვინც უნდა იფარავდნენ და უფთხილდებოდნენ მამულს, როგორც თავიანთ თვალის ჩინს, თვითვე შეუკეთებენ ცეცხლს? რა მოუვა? ღმერთო, ღმერთო, ხმელნიცკიც ხომ საზოგადო სიკეთის დროშას ამოჰფარებია, მაგრამ იმის მეტს კი არას აკეთებს, რომ წინააღმდეგობას უწევს კანონს და რესპუბლიკის დიდებასაო.

ფერხით თხემამდე შეეჩოლებულმა მთავარმა ხელების მტვრევა დაიწყო. „ნუ თუ მეორე ხმელნიცკი უნდა მე გავხდე, ოჰ, იესო!“

გარნა ქრისტე თავ-ჩაღუნული იყო და მდუმარებდა... ისეთი მწუხარე, თითქო ეს-ეს არის ეხლა გაუკრავთ ჯვარზედაო.

მთავარი კვლავ ნაღვლობდა და იყო გვემა-მწუხარებაში. ესთქვათ, შევიმოსე ხელმწიფება და კანცლერმა, სენატმა და გეტმანებმა კი გამოაცხადეს, ეგ მეამბოხეა, მოღალატეაო, რა

იქნება მერე? მეორე ომი უნდა ატყდეს კიდევ შინაურობაში? მასთან განა ხმელნიცკი ისე საშიში, ისე მრისხანე მტერია რესპუბლიკისა? არა ერთხელ მაგაზედ ბევრად მძლავრი მტერი მოვლინებია მამულს; როცა გრიუნვალდს ახლოს ორასი-ათასმა გერმანელმა, ჯაქვ-რკინით შელესილმა ალყა შემოარტყა იაგელლოს მხედრობას, როცა ხოტინთან კინაღამ ნახევარაზია გამოვიდა საბრძოლველად, შემუსვრა ჩვენი თითქმის აუცილებელი იყო, მაგრამ რა დაემართა კი ამ ყოვლად ძლიერს მტერს? რესპუბლიკას ომებისა არ ეშინიან და არც ბრძოლა დაჰლუპავს! გარნა, როცა ასეთი გამარჯვება და ძლევა შეუმოსნია, ასეთი ძლიერია მისი დაყუსრული ძალი, ასეთია დიდება მისი, რომ მუსრი გაავლო ჯვაროსანთა და ოსმალთა... რაღათ შეჰშინდა ერთის ყაზახის წინაშე? რაღაა, მაშ, მიზეზი, რომ მის სამზღვრებს ჰგლეჯენ მეზობელნი, ერნი დასცინიან, მის ხმას არავინ ისმენს, მისის რისხვისა არავის ეშინიან და ყველანი დაღუპვასა და დამხობას უწინასწარმეტყველებენ?

ჰმ! მაგის მიზეზი ქედ-მაღლობაა და ცუდ-მედიდობა მაგნატებისა, ის თვალ-ვიწრო თავ-მოყვარება, ის თვითნებობა, რომელიც ასე გვჩვევია. ჩვენი მრისხანე მტერი ხმელნიცკი კი არ არის, შინაური შფოთი და უთანხმოებაა, თვითნებობაა შლიახტისა, სიმცირე და ურჩობაა მხედრობისა, სეიმების მღელვარებაა, სიზარმაცეა, პირადობა და ურჩობაა,—ურჩობაა უპირველეს ყოვლისა. ხე გულიდანა ლპება. ცოტა, ცოტა კიდევ და პირველადვე ამოვარდნილი გრიგალი გადაამტვრევს, გარნა წყეულ იყოს ის, ვინც მოზიარე იქნება ამ საქმეში, შეჩვენებულ იყოს იგი და ძენი მისნი მეათე თაობამდე!

წადი ახლა, გმირო და მძლეველო ნემიროვისა, პოგრებიშჩისა, მახნოვკისა და კონსტანტინოვისა, წადი მთავარ-მოურავ-ერისთავო და წაჰგლიჯე ხელიდან ხელმწიფება სარდლებსა, დასთრგუნე კანონი და მიეც შთამომავლობას მაგალითი იმისი, თუ როგორ უნდა ჰგლიჯოს გული დედა-ქვეყნისა, სამშობლოსი.

შიში, განწირულება, თითქმის უგუნურება დაეტყო მთავარს სახეზედ... ნადირივით შეჰღრიალა, იტაცა თმებში ხელი და გულ-შემუსვრილი დაემხო ქრისტეს წინაშე.

თან სინანულში იყო მთავარი და თან გაცხელებულს თავს ახეთქებდა ფილაქნიან იატაკს, ხოლო მის მკერდიდან ისმოდა ყრუ კვნესა და გმინვა:

— ღმერთო! მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა! ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა!.. ღმერთო, მოწყალე მექმენ მე ცოდვილსა!...

განთიადმა წითლად შეჰღება აღმოსავლეთის კიდური, ხოლო შემდეგ მალე ამოვიდა მზე და შეაშუქა დარბაზში. გარედ ჭიკჭიკებდნენ ჩიტები და მერცხლები. მთავარი ადგა და წავიდა ჟელენსკის გასაღვიძებლად, რომელიც იქვე მეორე ოთახში იწვა.

— გაიქეცი,—სთქვა მან,—და უბრძანე მოუწოდონ, ჩემთან პოლკოვნიკებს, ყველას, ვინც ან ციხე-დარბაზშია, ან ქალაქში... ყველას, ჩვენებსაცა და სხვებსაც.

ორის საათის შემდეგ დაიწყეს თავ-მოყრა დარბაზში დიდ-ულვაშებიანმა და წვერიანმა პოლკოვნიკებმა. მთავრისეულთა შორის მოვიდნენ: ზაცვილიხოვსკი, პოლიანოვსკი, სქშეტუსკი პან ზაგლობითურთ, ვურცელი, მახნოვსკი, ვოლოდიევსკი, ვერშული, პონიატოვსკი, თითქმის ყველა აფიცრები, გარდა კუშელ.სა, რომელიც საზვერაოდ იყო გაგზავნილი.

უცხოთა და შორეულებში მოვიდნენ ოსინსკი და კორიცკი. ბევრმა შლიახტიჩმა, უფრო მდიდარმა, არ დაანება თავი გერმის საწოლსა, მაგრამ იმათგანაც მაინც საკმაოდ ბლომად მოვიდნენ. დარბაზს გუგუნი გაჰქონდა, თითქო ფუტკრის სკაო; თვალი ყველასი შესცქეროდა კარებს, საიდანაც უნდა გამოსულიყო თავადი ერემია.

უცბად ყოველივე დადუმდა. შემოვიდა თავადი. სახე მისი იყო დამშვიდებული, მოწმენდილი ცასავითა და მხოლოდ უძილობით დაწითლებული თვალები და იერი რაღაც ტანჯვისა ცხადად ამტკიცებდა, რა ბრძოლაც გამოევლო სულისა. გარნა

ამ დამშვიდების ფარდიდან მაინც ცხადად გამოსჭვირდა შეუმ-დრკალი ძლიერება და დიდებულება.

— ბატონებო!— სთქვა მთავარმა,—წუხელ ვეზრახებოდი ღმერთსა და ჩემსა სვინიდისსა იმის შესახებ, თუ რის თანამდებ ვარ ყოფად. აწ გაუწყებთ თქვენ, ხოლო თქვენ შეატყობინეთ მთელს რაინდობას, რომ სამშობლოს სიკეთისათვის და თანხმობის დასამყარებლად, რომელიც ასე საჭიროა ჟამსა იწროებისასა, ჩემი თავი გეტმანთა მორჩილებისათვის დამიქვემდებარებია.

დარბაზში დიდი დუმილი და დაყუდება ჩამოვარდა.

—

ამავე დღეს, შუადღე იქმნებოდა, რომ ციხე-დარბაზის ეზოში იდგა სამასი თათარი, პან სქშეტუსკისთან გასამგზავრებლად მზად-მყოფი! ხოლო თვით სასახლეში მთავარს სადილი ჰქონდა გამართული უფროს აფიცრებისათვის. ეს სადილი ამასთანავე გამოთხოვების სადილიც იყო ჩვენის რაინდისათვის. რაკი „სანეფო“ კაცი იყო, ამიტომ თავადის ახლო დასვეს, ხოლო მის გვერდით პან ზაგლობა იჯდა, მხსნელი „საპატარძლოსი“. თავადი ერემია მხიარულად იყო და ხშირად ამბობდა სადღეგრძელოს მომავალ ნეფე-დედოფლისას. სასახლის კედლებსა და ფანჯრებს ზანზარი გაჰქონდა რაინდთა მხიარულის ყრიამულისაგან. დერეფანში და აივანზედ ქეიფობდნენ პაჟები, რომელთა შორისაც ჟენძიანს პირველი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ის-იყო თავადმა ხელში ფიალა აიღო და ემზადებოდა მიემართნა მეინახეთათვის რაღაც სიტყვის წარმოთქმითა, რომ ამ დროს კარების ზღურბლზედ გამოჩნდა კაცი, დაღალულ-დაქანცული, გამტვერიანებული და, დაინახა რა გაშლილი სუფრა, შეეინჟღინებულნი სახენი შეზარხოშებულთა, გაჩერდა გაუბედავად კარებში.

პირველად თავადმა დაინახა ის კაცი, შეიკრა წარბები და ჰკითხა:

— ვინა ხარ მანდა? ჰო, კუშელი მოსულა საზვერაოდან! რა ისმის, რა ამბავია?

— ძალიან ცუდი, თქვენო ბრწყინვალებავ,—რაღაც უცნაურის ხმით უპასუხა ახალგაზდა აფიცერმა.

ყველანი იმ წუთსვე გაჩუმდნენ, ყველამ თვალი მიაპყრო კუშელის შეწუხებულს, მოშავბედებულს სახეს.

— არ გეთქვა მაინც ჯერ-ჯეროობით და მხიარულება არ ჩაგეშხამებინა,—სთქვა მკვეთრის ხმით თავადმა,—მაგრამ რაკი დაიწყე, ბარემ ვაათავე კიდეცა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, არც მე მინდა ვიყო უსიამოვნო მახარობელი, მეც ბარემ ენა მუცელში მივარდება...

— რა ამბავია, რა მოჰხდა? სთქვი!

— ბარი... მტერმა აიღო!

ნაწილი მესამე

I

ერთს მშვენიერს ღამეს ვალადინკის მარჯვენა ნაპირად მიდიოდა ერთი რაზმი ცხენოსანთა.

ცხენოსანნი ნელ-ნელა მიდიოდნენ, თითქმის ნაბიჯითა. ორი ცხენოსანი დაწინაურებულიყო სულ რამდენისამე ნაბიჯითა, რაღასაც ლაპარაკობდნენ გაცხარებითა და მხოლოდ ათასში ერთხელ შესჭყიტლებდნენ ხოლმე თავიანთ ამხანაგებს:

— ეჰეი, ჩუმად იყავით, ჩუმადა!

ამ დროს რაზმი უფრო უკლებდა ხოლმე ნაბიჯსა და ტაატით მიდიოდა წინ.

ბოლოს რაზმი გასცდა ჩრდილს, რომელსაც მაღალი მთა ისროდა, და გავიდა მთვარესაგან გაშუქებულს გზაზე. მხოლოდ ახლა მიხვდებოდა კაცი, რა მიზეზი იყო, რომ რაზმი ისეთის სიფრთხილით მიდიოდა: ორ ცხენს შუა საკაცე იყო გაბმული და ზედ ვიღაც ადამიანი იწვა.

ვერცხლის ფერი შუქი დაჰნათოდა მის მკრთალს სახეს და დახუჭულს თვალებს.

საკაცეს ახლდა ათიოდე შეიარაღებული კაცი, რომელნიც, როგორც ეტყობოდათ, ყაზახნი უნდა ყოფილიყვნენ. იმ ორ გარდა, რომელნიც წინ მიდიოდნენ, ყველა დანარჩენნი მოუსვენრად იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

გარნა გარშემო ყველგან დიდი დუმილი და დაყუდება იყო.

მყუდროობას არღვევდა მხოლოდ ცხენების ფეხის-ხმა და შეყივილი ერთ-ერთის წინ წასულის ცხენოსანისა, რომელიც ხანდაზმით იმეორებდა:

— ნელა! ფრთხილად!

ბოლოს ამ ცხენოსანმა მიჰმართა თავის ამხანაგს:

— გორპინა, ჯერ კიდევ შორს არის?—ჰკითხა იმანა.

ამხანაგმა, რომელსაც გორპინა ერქვა და რომელიც ყაზახურად ჩაცმული დედა-კაცი იყო უზარმაზარის ტანისა, შეჰხედა ცას და უპასუხა:

— აღარ არის შორსა, შუალამისას სახლში ვიქნებით. გავივლით მტრის სამყოფელს, გავიელით თათრების ტყეს და მერე იქვე ეშმაკეული იარი იქნება. ჰაი, დედასა, ვერაფერი საკალია იქ ნაშუალამევს, ვიდრე მამალს არ უყივლია. ჩემთვის არაფერია, მაგრამ თქვენთვის კი ძნელი იქნებოდა!

პირველმა ცხენოსანმა მხრები შეიშმუშნა.

— ვიცი,—სთქვა იმანა,—რომ ეშმაკი შენი ბიძაშვილია, მაგრამ რაო მერე, ეშმაკის წამალიც არის ქვეყანაზედ.

— ბიძაშვილია, თუ მამიდაშვილი, ეგ არ ვიცი და წამალი კი არ გახლავთ. მთელს დედამიწის ზურგზედ რომ ეძებო, უკეთეს საკანეს ვერსად იპოვი კნიაჟნასთვის. ახლოსაც ვერავინ გაეკარება შუალამის შემდეგ იმ ადგილსა... ჩემთან ერთად თუ, თორემ... იარში კი ჯერ ადამიანის შვილს ფეხი არ დაუდგავს. ვისაც უნდა მაკითხვინოს, შორი-ახლოს იცდის და ფეხს ვერ გადმოსდგამს, ვიდრე მე არ გამოვალ. შენ ნუ გეშინიან, იქ ვერც ლიახები მოვლენ, ვერც თათრები, ჭაჭანებად ვერავინ გაივლის, ვერა. ეშმაკეული იარი საშინელება რამ არის, თორემ შენ თვითონა ჰნახავ.

— დეე, საშინელება რამ იყოს, მე კი გეუბნეეი, რომ, როცა მინდა, მაშინ მოვალ.

— მარტო დღისით შეგიძლიან.

— როცა მინდა-მეთქი; თუ ეშმაკი დამხვდა წინა, შიგ რქებში ვტაცებ ხელსა.

— ჰეჰეი, ბოგუნო, ბოგუნო!

— ჰეჰეი, დონცოვნა, დონცოვნა! შენ ჩემთვის ნუ დარდობ. ეშმაკი დამაკლებს რასმე, თუ არა, ეგ შენი საქმე არ არის, მე შენ აი რას გეუბნეეი. მაგ შენს ეშმაკებს როგორც გინდა ისე გაეცი პასუხი; მხოლოდ კნიაჟნა კი მოსვენებული იყოს; თუ იმას რამ დაემართა, იცოდე, ჩემის ხელიდან ვეღარც ეშმაკი დაგიხსნის და ვეღარც მავნე სულები.

— მე ერთხელაც მახრჩობდნენ წყალში, როცა მე და ჩემი ძმა დონის ნაპირადა ვსცხოვრობდით; მეორედ კიდევ იამპოლში ჯალათმა თმა გამკრიჭა, მაგრამ მით მაინც მე ვერა დამაკლეს-რა. აქ კი სხვა საქმეა. შენის მეგობრობისათვის ვუდარაჯებ კნიაჟნას ისე, რომ სულებმა ბუზიც ვერ აუფრინონ, ხალხისა კი შიში არა მაქვს, კნიაჟნა აქედან ვერსად წამივა.

— აი, შე ბუკნაჭოტო, შენა! თუ აგრეა, მაშ უბედურებას რაღას მიწინასწარმეტყველებდი, რას ჩამძახოდი ყურში: „ლიახია იმის გვერდითა! ლიახია იმის გვერდითაო?“

— მაგას მე კი არ ვამბობდი, სულები ამბობდნენ. იქნება ახლა გარემოება შეიცვალა. ხვალ გიმკითხავენ წისქვილის ბორბალზედა. წყალში ყველაფერი კარგადა სჩანს, მხოლოდ დიდ ხანს უნდა ცქერა. შენ თვითონა ჰნახავ. ეჰ, სწორე უნდა გითხრას კაცმა, ცოფიანი ძაღლი ხარ, სულ ჰღრინავ და ხმალზედ იკიდებ ხელსა.

ლაპარაკი შესწყდა, მხოლოდ ცხენების ფეხის ხმა ისმოდა და წყლიდან მოდიოდა რაღაც ჭრიჭინი, თითქო ჭრიჭინები ჭრიჭინებენო.

ბოგუნი ყურს არ უგდებდა ამ ჭრიჭინს, რომელიც იმ დროს მოსალოდნელი არ იყო. ყაზახმა მთვარეს შეჰხედა და ღრმა ფიქრმა წაიღო.

— გორპინა!—სთქვა მან დუმილის შემდეგ.

— რა იყო?

— შენ კუდიანი ხარ, უნდა იცოდე, მართლა არის ისეთი ბალახი, რომ ვინც იმის წვენს დაჭლეკს, უნდა შეუყვარდეს ვინმე? საყვარელია, სიყვარულის წამალია, თუ პირ-ბამბა ბალახია რაღაცა?

— პირ-ბამბაა. მაგრამ შენს საქმეს ეგეც ვერ უშველის. კნიაჟნას რომ არავინ უყვარდეს, დაალევინებდი და გათავდებოდა, ხოლო თუ სხვა უყვარს, იცი რა იქნება?

— რა?

— უფრო ძრიელ შეუყვარდება ის სხვა.

— გადაგიწყდეს და გადაჰყე თანა იმ შენს პირ-ბამბა ბალახსა! მარტო ბოროტსა და ავს მიწინასწარმეტყველებ და კარგს რჩევას კი ვერას მაძლევ.

— მაშ მომისმინე: სხვა წამალიც ვიცი ბალახისა. მიწაში ამოდის. ვინც იმას დაჭლეკს, ორ დღე და ღამეს ისე სძევს, როგორც კუნძი, სინათლეს ვერა ჰხედავს. მაშ, აი ამ წამალს დავალევინებ და მერე...

ყაზახს შეაკრეფოლა სიმწარითა და თვისის მბრწყინავის თვალებით დააშტერდა კუდიან დედა-კაცს.

— რას დბმჩხაეი ყვავივითა?

— მზად იქნება საქმე!—დაიძახა გორპინამა და ისეთ ნაირი ხარხარი დაიწყო, თითქო ცხენი ჭიხვინებსო.

მისს ბოროტს ხარხარს ბანი მისცა ხევ-ხუვმა და კლდის ნაპრალებმა.

— ალქაჯი!—წაიტუტუნა ყაზახმა.

მისმა თვალებმა ნელ-ნელა დაჰკარგა ბჭყვრიალება. ყაზახი ფიქრმა წაიღო და ისე დაიწყო ლაპარაკი, თითქო თავისთავს ელაპარაკებაო.

— არა, არა! როცა ბარი ავიღეთ, მე პირველი შევვარდი მონასტერში, რომ დამეცვა ლოთებისაგან და თავი გამეხეთქა იმისთვის, ვინც გაჰბედავდა კნიაჟნას ხელის-ხლებასა; იმან კი დანა დაიცა გულში და ახლა გრძნობა-დაკარგული წევს საკაცეზედ. ხელი რომ ეახლო, კვლავ დანას დაიცემს გულში,

ან წყალში გადავარდება! სად ვუყარაულო ისე, რომ თვალი არ მოვაშორო მე საცოდავმა!

— შენ გულში ლიახი ყოფილხარ და არა ყაზახი, როცა არ გინდა ყაზახურად ძალა დაატანო ქალსა და ისე დაიყოლიო!

— ლიახი რომ ვიყო!—შეჰბღავლა ბოგუნმა.—ოჰ, ლიახი რომ ვიყო!—და უცბათ იტაცა ხელები გაცხელებულს თავში.

— ჰმ, ახლა კი მოიტეხინებს,—წამოჰროშა გორპინამა.

— ეჰ, ეგრე რომ იყოს! დეე, პირველივე ტყვია მე მომხვდეს, დეე, მარგილზე ჩამოცმით დავლიო ჩემი დღენი, ჩემი ძაღლური ცხოვრება... ერთად-ერთზედ შემივარდა მთელს ქვეყნიერობაზედ გული და იმასაც არ ვუნდივარ!

— სულელო!—გაბრაზებით წამოიყვირა გორპინამ,—ქალი შენს ხელშია ახლა!

— ჩაიკმინდე ხმა და ნუ ლაშლაშებ ე მანდა!—გაცეცხლდა ბოგუნი,—თავი რომ მოიკლას, მერე? შენც შუაზე გაგხლეჩავ, ჩემს თავსაც შუაზედ გავიპობ, ქვაზედ მივანთხევ ტვინსა, ხალხს წიწკნას დავუწყებ, როგორც ძაღლი; სულს მივცემ იმას, დიდებას ყაზახისას იმას ვანაცვალებ, გავიქცევოდი ეგორლიკს, იქით, მოვშორდებოდი ჩემებს, ოღონდ კი იმასთან ერთად ვყოფილიყავი, იმასთან ამომსვლოდა სული... გესმის?! იმან კი დანა დაიცა და რადა, რა მიზეზით? ჩემის მიზეზითა! დანა დაიცა! გესმის?

— არაფერიც არა მოუვა-რა. არ მოკვდება.

— ის რომ მოკვდეს, ზედ ხეზედ დაგჭედავდი ლურსმებითა.

— ძალა არა გაქვს იმაზედა.

— არა მაქვს, არა. ნეტაე ჩემთვის დაეცა დანა, ნეტავ იქვე გავეთავებინე, ისევ ის მერჩივნა.

— სულელი პოლონელი გომბიო! იმის ალაგას ჩემის ნებით შეგიყვარებდი. სად იპოვის შენზედ უკეთესს?

— ოღონდ ეგ მოახერხე და ერთ ქილა დუკატებს წინ დაგიყრი, მეორეს—თვალ-მარგალიტით აგივსებდი. ბარში ცოტა ნადავლი არ ვიშოვნეთ, წინადაც კიდევ.

— თავად ერემიასავით მდიდარი ხარ და იმისავით სახელოვანი. როგორც ამბობენ, თვით კრიკანოსს ეშინიანო შენი.

ყაზახმა ხელი დაიქნია.

— რა გამოვიდა მერე, როცა მე გული მტკივა.

კვლავ ჩამოვარდა დუმილი. წყლის სანაპირო უფრო და უფრო ყრუ და უდაბური ადგილი შეიქმნა. მთვარის შუქი უცნაურს ფერსა სდებდა ხეებსა და კლდის წვერებსა. ბოლოს გორპინამ წარმოსთქვა:

— მტრის დაბა ახლოა. ერთად ვიმგზავროთ.

— რადაო?

— ცუდი ადგილია აქა.

ცხენები შეაყენეს და დაუცადეს, ვიდრე მთელი რაზმი მოვიდოდა.

ბოგუნმა წამოიწია, შედგა უზანგზედა და გადაჰხედა საკაცესა.

— სძინავს?—ჰკითხა.

— სძინავს,—უპასუხა მოხუცმა ყაზახმა,—ისე ტკბილადა სძინავს, როგორც პატარა ყმაწვილსა.

— ძილის წამალი დავალეინე და იმიტომა,—სთქვა კუდიანმა დედაკაცმა.

— ჩუმად, ფრთხილად,—სთქვა ბოგუნმა და თვალს არ აშორებდა მძინარესა.—არ გააღვიძოთ, მთვარე ზედ პირზედ დაჰყურებს... ჩემს სიცოცხლეს.

— დამშვიდებით დაჰყურებს, არ გააღვიძებს,—ჩურჩულითა სთქვა ერთმა ყაზახმა.

რაზმმა გასწია წინ. აგერ მტრის დაბაცა. ეს დაბა ერთი პატარა სერი იყო, ზედ მდინარის ნაპირად, დაბალი, შაქრის თაეივით მორგვალებული. მთვარე ზედ დაჰნათებდა და აშუქებდა ქვებს, რომელიც მოფანტული იყო მის ზედა-პირზედა. ქვები ზოგან გაცალკეევებული ეყარა, ზოგან შეხროვილი იყო, თითქო ნასახლარების, ან დაქცეულ ციხე-დარბაზის და ეკლესიის ნაშთიაო. ალალაგ-ალაგ ნახევრად მიწაში ჩაფლულ ქვებს ამოეყოთ თავი, თითქო საფლავის ქვებიაო, მაინც სა-

ზოგადოდ მთელი სერი სასაფლაოსა ჰგვანდა. შესაძლოა ოდესმე, იაგელლოს დროს, აქაც სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა; ამ ჟამად-კი სერიცა და არე-მარეც რაშკოვამდე ერთ ყრუ უდაბნოსა ჰგვანდა, სადაც მხოლოდ ნადირი სცხოვრობდა, ხოლო ღამ-ღამობით მავნე სულები აბამდნენ თავიანთ ფერხულს.

ავიდა თუ არა რაზმი სერის შუა წელამდე, სიომ უმატა და ისეთი ქარი ამოვარდა, რომ სტეენა და ზუზუნი დაიწყო. ისეთ ნაირად წუწუნებდა და გაჰქონდა თან გრიალი ქარაშოტს, რომ ყაზაღებს ეგონათ, იქნება ეს გმინვა ქარისა იმ ნანგრევთა შუა-გულიდან ამოდის და იქიდანვე ისმის ეს ხარხარი, ტირილი და წიკვილი, თითქო პატარა ბავშვები დაუმწყვდევიათ იქაო!? მთლად სერი გაცოცხლდა, ყვიროდა სხვადა-სხვა ხმაზედ; ქვებს იქიდან, კაცს ასე ეგონებოდა, ვიღაც კაცების ჩრდილი მოსჩანსო; საშინელნი ლანდნი ნელ-ნელა მოხოხავდნენ ერთ ფილაქნიდან მეორესაკენ, შორს, წყვდიადში ცეცხლები ციმციმებდა, თითქო მგლების თვალები ანათებსო; ბოლოს, სერის მეორე მხრიდან მოისმა დაბალი ყმუილი ისეთს ხმაზედ, თითქო ყელში წაუჭერიათ ვისმესთვის და იხრჩობაო. ამ ყმუილს სხვებიც აჰყვნენ და ატყდა საერთო ხმაურობა, საერთო გულ-საკლავი ღმუილი.

— მგლები არიან?—წასჩურჩულა ახალგაზდა ყაზახმა მოხუცს ესაულს.

— არა, ეგენი მავნე სულნი არიან,—უფრო ჩუმად უპასუხა ესაულმა.

ცხენებმა დაიწყეს ყურების ბარტყუნი და ფრუტუნი. წინ მიდიოდა გორპინა და რაღაც გაუგებარს სიტყვებსა ბურტყუნებდა, თითქო ეშმაკსა ლოცულობსო. მხოლოდ სერის მეორე ფერდობს რომ მიატანეს, მაშინ მობრუნდა და სთქვა:

— ახლა კი გათავდა. სამშვიდობოში მივედით. ძლივს შევიმაგრე, ძალიან დამშეულები არიან.

ყაზახებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. ბოგუნი და გორპინა კიდევ წინ წავიდნენ, ხოლო ამათმა ამალამ, რომელიც

აქამდე სულ განაბული იყო, ჩურჩული დაიწყო. თვითეული, იგონებდა, ასე და ასე შეეებრძოლე მავნე სულებსაო.

— გორპინა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ აქ ვერ შემოვიდოდითო,—სთქვა ერთმა.

— იცის-და, თავისი საქმე, კუდიანი დედაკაცია.

— ჩვენს ატამანს ხომ ქაჯისაც არ ეშინიან. ყურსაც კი არ უგდებდა არაფერს, მხოლოდ თავის კნიაჟნას უცქეროდა.

— იმას რომ ის საქმე შემთხვეოდა, რაც მე შემემთხვა, ეგრე აღარ დაიწყებდა ვაჟკაცობით თავ-მოწონებასა,—სთქვა მოხუცმა ესულმა.

— რა შეგემთხვა განა, ოვსიეოი?

— მოვდიოდი ერთხელ ღამე სასაფლაოს ახლო რეიმენ ტარვკიდან გულიაპოლსა. ვნახოთ, უეცრად რაღაც შემოხტა ჩემს უნაგირზედ საფლავიდან. მოვიხედე—ძუძუთა ყმაწვილია, სულ გალურჯებული, ფერ-მკრთალი!.. ეტყობოდა, რომ თათრებს წაეყვანათ დედითურთ ტყვედ და იქვე მომკვდარიყო მოუნათლავი. თვალები ცეცხლივით უნათებს და სულ სტირის და იკლავს გულსა. უნაგირიდან ზურგზედ ამომახტა; ვგრძნობ, რომ მკბენს ყურს უკან. ღმერთო! ეს ხომ მავნე სულია-მეთქი! მაგრამ მე დიდ ხანს ვიყავ სამსახურში ვლახეთსა, იქ მავნე სულები უფრო ბევრია, ვიდრე ცოცხალი ადამიანები და ვიცი, როგორც უნდა გაუმკლავდეს კაცი ამგვარს ჭინკებს. ჩამოვხედ ცხენიდან და დავარჭე მიწაში ხანჯალი. დაიღუპე, გაჰქერი-მეთქი! მავნე სულმა დაიწყო გმინვა, სწვდა ხანჯლის ტარსა და ჩაჰყვა წვერს მიწაში. მე ხანჯლით ჯვარი გამოვსახე დედა-მიწაზედ და გავსწიე ჩემს გზაზედა.

— მაშ ვლახეთში მაგდენი მავნე სულებია?

— ყოველი ვლახელი სიკვდილს შემდეგ მავნე სულად გადაიქცევა ხოლმე. ვლახეთის მავნე სული ყველა ქვეყნის მავნე სულზედ უარესია. ბრუკოლაკს ეძახიან იქით იმათა.

— რომელი უფრო ღონიერია, ნეტა: ქაჯი თუ მავნე სული?

— ქაჯი ღონიერია, მაგრამ მავნე სული უფრო გულადია. ქაჯი, თუ შეულოცე, სამსახურს დაგიწყებს, მავნე სული კი

არაფრისთვის არ გამოდგება, მხოლოდ სისხლის წოვა იცის. მაინც კი ქაჯი უფროსობს იმათში.

— გორპინას კი ქაჯებიც ხელში ჰყავს.

— ალბად აგრეა. სანამ იცის იმათი ხერხი, მანამ კიდეც მოისამსახურებს. გორპინას რომ იმათზედ ძალა არა ჰქონდეს, ჩვენი ატამანი იმას არ ჩააბარებდა თავის დანიშნულს, იმიტომ რომ ბრუკოლაკებს ყველაზედ ძრიელ გასათხოვარ ქალების სისხლის სმა უყვართ.

— ძრიელ მეცოდება საწყალი ქალი,—სთქვა ახალგაზდა ყაზახმა.—საკაცეზედ რომ ვაწვენდით, დაიკრიფა თავისი თეთრი ხელები გულზედ და დამიწყო მუდარი: მომკალი, ნუ დამღუპავთ მე უბედურსაო.

ამ დროს გორპინა მოუახლოვდა ამ ორს მოსაუბრეს.

— თქვენ ეი, ვაჟკაცნო!—შეჰყვირა მან,—აის თათრების ღელეა, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ, აქ მხოლოდ ერთი ღამეა წელიწადში საშიში, ახლა ეშმაკეული იარი და ჩემი სახლ-კარიც ახლოა აქედან.

მართლაც, მალე ძაღლის ყეფა მოისმა. რაზმი შეევიდა ღელეში, რომელიც წყალს მისდევდა და ისეთი ვიწრო იყო, რომ ოთხს ცხენოსანს ძლივს შეეძლო გავლა. მაგრამ თან-დათან ციცაბი კლდეები ღელესი განზედ იწევდა და ჩნდებოდა საკმაოდ ფართო ხეობა, რომელსაც პატარა შეღმართი ჰქონდა და აქეთ-იქიდან შეკრული იყო პირდაპირ ჩამოჭრილის კლდეებით. ქარი აქ ვერა ჰქროდა. ალაგ-ალაგ მაღალი ხეები მოსჩანდა. ეს ხეები გრძელს ჩრდილებს ისროდა. იქ კი, სადაც მზე იყო, თეთრად გაჰქონდა ქათქათი რაღაც მრგვალ და მოგრძო საგნებს. ყაზახებმა შეჰნიშნეს, რომ ეს საგნები იყო ადამიანის თავის ქალანი და ძვლები. შიშით თმა აებურძგნათ. პატარა დავაცადოთ და შორს, ხეებს შუა გამოჩნდა ცეცხლი, ხოლო შემდეგ მოირბინა ორმა საშინელმა, უზარ-მაზარმა ქოფაკმა, რომელნიც თვალებს ცეცხლივით აბრიალებდნენ და ილრინებოდნენ. გორპინამ შეუტია, ძაღლები გაჩუმდნენ და დაიწყეს სირბილი ცხენოსანთა გარშემო.

— ეგენი ძაღლები არ არიან,—წაიბუტბუტა მოხუცმა ოვსიეოიმ ისეთის ხმით, რომ კაცს ეგონებოდა, სწორედ ღრმად დარწმუნებულია, ძაღლები არ არიანო.

აგერ ხეებს იქით გამოჩნდა ქოხი, იმას იქით თავლა, მოშორებით და ცოტა მაღლობზედ რაღაც სხვა შავი შენობაცა. ქოხს გარეგნობით არა უშავდა-რა, საკმაოდ კოხტა იყო; ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა.

— აი ესეც ჩემი სახლ-კარი,—უთხრა გორპინამ ბოგუნსა,—აიქ კიდევ წისქვსლია, იქ მარტო ჩვენს პურსა ვფქვავთ, ხოლო მე იმ წყალზედა ვმკითხაობ, რომელიც ბორბალზედ გადმოდის. შენც გიკითხავ. კნიაჟნა ოთახში იცხოვრებს და თუ გინდა კედლები მორთო, მაშინ დროებით სხვაგან უნდა დავაწვინოთ. აბა, გაჩერდით და ჩამოხდით ცხენებიდან.

რაზმი გაჩერდა. გორპინამ ხმა აიმაღლა:

— ჩერემის! ჰაი, ჩერემის!

ქოხიდან ვიღაც კაცი გამოვიდა, ხელში ერთი ბღუჯა ნაფოტები ეჭირა ანთებული და მდუმარებით დაუწყო სინჯვა ახლად მოსულებსა.

მოხუცი კაცი იყო, საზიზღარი შესახედაობისა, ტან-დაბალი, თითქმის ქონდრის კაცსა ჰგვანდა, პირ-პრტყელი და აცა-ბაცა წასულის თვალებითა.

— ვინა ხარ შენა, ე ეშმაკს რომ ჰგეეხარ?—ჰკითხა ბოგუნმა.

— ნურას ნუ ეკითხები; ენა აქვს მოჭრილი,—სთქვა გორპინამ.

— მოდი მომიახლოვდი.

— გამიგონე, ბოგუნო,—განაგრძო კუდიანმა,— იქნება უკეთესი იყოს, რომ კნიაჟნა წისქვილში წავიყვანოთ ჯერა? აქ ოთახს მოვლა უნდა, ლურსმებს დარჭობა მოუნდება და არ გაელვიძოს.

ყაზახნი შეჯგუფდნენ და დიდის სიფრთხილით დაუწყეს ჩამოხსნა საკაცესა. თვით ბოგუნი დასტრიალებდა თავს ყაზახებს და მერე საკაცეც დაიჭირა სასთუმალთან, როცა კნიაჟნა

წისქვილში წაიყვანეს. ქონდრის კაცი წინ მიდიოდა და მკვრით უნათებდა გზას. კნიაჟნას, რაკი ძალის წამალი დაალევინა გორპინამ, არ ეღვიძებოდა. ვინ იცის, იქნება სასიხარულო სიზმრები ეზმანებოდა კნიაჟნას; პირ-ღიმილი მოსდიოდა, როცა საკაცე წისქვილში მიჰქონდათ; ისე კი მიჰქონდათ, რომ კაცს ეგონებოდა ცხედარს მოასვენებენო. ბოგუნი დასცქეროდა კნიაჟნას და ჰგრძნობდა, რა ძლიერ უცემდა გული. „ჩემო სიცოცხლე, ჩემო ანგელოზო!“—ჩურჩულობდა თავისათვის, და მრისხანეს, თუმცა კი მშვენიერს სახეს ატამანისას სიმშვიდის ელფერი ედებოდა და ზედ ენთო ცეცხლი დიდის სიყვარულისა, რომელიც თან-და-თან უფრო-და-უფრო ეკიდებოდა მთლად მის არსებას, როგორც მგზავრისაგან დატოვებული ცეცხლი ძლიერდება და ედება უკაცურსა და ყრუ მინდვრებს.

— თუ არ გამოეღვიძა, კარგად იქნება,—სთქვა გორპინამ, რომელიც მხარ-და-მხარ მისდევდა ბოგუნს.—წყლული უმთელდება, კარგად იქნება.

— მადლობა ღმერთსა! მადლობა ღმერთსა!—უპასუხა ატამანმა.

ამ დროს ყაზახებმა ჩამოხსნეს ცხენებს საპალნეები და დაუწყეს ამოლაგება ბარში აღებულს ნაალაფევს,—ხავერდს, ხალიჩებს, ფარჩას და სხვა ძვირფასს ქსოვილებსა. ოთახში ცეცხლი გააჩაღეს და სანათები აანთეს; შიშველ-ტიტველი კედლები მალე მოფარდაგდა და აჭრელდა სხვა-და-სხვა ფერის ქსოვილებით. ბოგუნმა არა თუ იმიტომ იზრუნა, რომ მაგარი გალია ეშოვნა, არამედ იმისთვისაც იფიქრა, რომ კარგად მოეწყო და მოერთო, რათა ჩიტისათვის ტყვეობა სამძიმო და ძნელად ასატანი არა სჩვენებოდა. ღამე გადიოდა და ოთახში კი მაინც ჩაქუჩის კაკუნი გაისმოდა. ბოლოს, როცა კედლები სულ მოფარდაგდა და იატაკი ფიცრებით იქმნა დაგებული, მოიყვანეს მძინარე კნიაჟნა და დააწვინეს მბილს ლოგინში. ყოველივე მიჩუმდა. მხოლოდ თაველაში გაისმოდა კიდევ ხმაურობა და ხარხარი, რომელიც უფრო ცხენის ჭიხვინსა ჰგვანდა: იქ იყო კუდიანი დედა-კაცი, ეალერსებოდა ყაზახებს და ზოგს სილებს აწნავდა, ზოგს ჰკოცნიდა.

II

მზე კარგა მაღლა იყო, როდესაც მეორე დღეს კნიაჟნამ თვალები გაახილა.

პირველად კედელს შეჰხედა და დიდს ხანს უყურებდა, მერე ჭერს დააცქერდა, იატაკსა. ჯერ კიდევ კარგად არ გამოფხიზლებულიყო და სიზმარ-ზმანებას არ დაეთმო სრულად ალაგა სიფხისლისათვის. სახეზედ ნელ-ნელა გაკვირვება და მოუსვენრობა ეხატებოდა ელენეს. სადა ვარო? როგორ გაეჩნდი აქა და ან ვის ხელთა ვარ? სიზმარში ვხედავ ყოველსავე ამას თუ ცხადადა? რას ჰნიშნავს ეს სიმდიდრე-ფუფუნება, რომელიც გარს მარტყია? რა ამბავი იყო ჩემს თავს წინადა? ამ წუთს ცხოვლად წარმოუდგა თვალ-წინ საშინელი სცენები ბარის აღებისა. მოაგონდა ყოველივე: ის საშინელი ჩეხა-ჟლეტა, როცა ათასობით თავად-აზნაურნი, მოქალაქენი, მღვდელნი, მონაზონნი და ბავშვები იჟლიტებოდნენ ხანჯლითა ვიღაც მოსულთაგან, მოაგონდა სისხლით შეთხვრილნი სახენი მდაბიოთა, კისერნი და თავები, გარს შემოხვეული ჯერ ისევ ორთქლ-ავარდნილ ნაწლევებითა, მთვრალ კაცთა ყიჟინი, განკითხვის დღე დასაღუპად განწირულის ქალაქისა, ბოლოს ბოგუნის შევარდნა და მისი მოტაცება. მოიგონა ისიცა, რომ განწირულმა დანა დაიცა გულში და ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზედ. ალბად ხელი ამიკანკალდა და დანა კარგად ვერ დავირტყი, იმიტომ რომ ტკივილს არასა ვგრძნობ, პირიქით, ვხედავ ჯან-ღონე მომმატებია; მახსოვს ისიცა, თუმცა ბუნდად, რომ საკაცეთი მივყავდით სადღაც შორს, შორს. მაგრამ მაინც სადა ვარ ახლა? რომელსამე ციხე-დარბაზში, გადარჩენილი ვარ, მტრის ხელიდან გამოუტაცნივართ და უშიშარს ადგილასა ვარ დაბინავებული? და აი კვლავ დაუწყო ელენემ თვალიერება ოთახსა. ოთახს პატარა, ოთხ-კუთხი ფანჯრები ჰქონდა და იქიდანაც სინათლე არა შემოდიოდა-რა, რადგან შუშის მაგიერ,

ბუშტი ჰქონდა გადაკრული ფანჯრის თვლებს. მაშ, ეს ოთახი გლეხ-კაცის სახლი უნდა იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია. ასე რომ იყოს, საიდან გაჩნდებოდა ასეთი უზომო სიმდიდრე? ჭერის მაგიერ ნაოჭად ასხმული ალის-ფერი აბრეშუმის ქსოვილი აქვს ოთახს, ზედ ოქრომკედით მოქარგული ვარსკვლავები ბრწყინავს, კედლები სულ ფარჩითა და ოქსინოთია გაკრული, იატაკზედ ჭრელ-ჭრელი ხალიჩები აგია. ყველგან სულ ოქროა, აბრეშუმი, ხავერდი, ჭერიდან დაწყებული ბალიშებამდე, რომელზედაც თავი მიდევს. ცხრა-თვალი მზე შემოდის ფანჯრებიდან, აშუქებს ოთახს, მაგრამ მისი სხივები აქვე იკარგება მუქის ხავერდის ნაოჭებ შუა. კნიაჟნა გაოცებული იყო, თვალები ხომ არ მატყუებსო. რა ამბავია, ჯადოსნობაა, თუ რა არის? იქნება ერემიას ჯარმა დამიხსნა, გადამარჩინა მტრის ხელიდან და თავადის ერთ-ერთს ციხე-დარბაზში დამაბინავა?

ელენემ გულ-ხელი დაიკრიფა.

— წმინდაო ქალწულო, გეეედრები, რომ პირველი, ვინც გამოჩნდება ამ კარებში, იყოს მეგობარი და მფარველი ჩემი!

ამ დროს ფანჯრიდან ქალს შემოესმა ხმა ფანდურისა და მაშინდელის ცნობილის სიმღერისა. კნიაჟნამ წამოიწია ლოგინში და დაუწყო ყურის-გდება. თვალები თან-და-თან უფრო ძრიელ გაეხილა შიშისა და ძრწოლისაგან; ბოლოს განწირულებით შეჰკიელა და მკედარივით დაეშვა ბალიშებზედ.

ელენემ იცნო ხმა ბოგუნისა.

ალბად ქალის დაკიელებამ მიაღწია მომღერალის ყურამდე, იმიტომ რომ რამდენსამე წუთს შემდეგ მძიმე ფარდამ შრიალი მოიღო და თვით ატამანი გამოჩნდა კარებში.

ელენემ თვალებზე ხელები მიიფარა. მისი გაფითრებული ტუჩები, თითქო გააცხელა ქალიო, წამ-და-უწუმ ამას იმეორებდა:

— იესო, მარიამ! იესო, მარიამ!

ის სანახაი კი, რომელმაც ასე შეაშფოთა ელენე, ისეთი იყო, რომ არა ერთსა და ორს ყმაწვილს ქალს აუძკერებდა სიამოვნებით გულს: ახალგაზდა ატამანის სახესა და ტანისამოსს სულ ნათელი გადასდიოდა, ისე ბრწყინავდა და ელვა-

რებდა. მისის ჯუბის ბრილიანტის ღილები ისე ციმციმებდნენ, როგორც ვარსკვლავნი ცაზედა, ხმალი და ხანჯალი ელავდა ძვირფასის წყალ-ჯავარიანის თვალ-მარგალიტითა, ჯუბა დიბა-ატლასისა და წითელი დოშლუღი ოორკეცებდა მის შავგვრე-მანის სახის სილამაზეს და აი ასე იდგა ყმაწვილი კიცი მის წინაშე, თვალ-ტანადი, შავ-თვალ-წარბა, ყოვლად მშვენიერი უკრაინის ყველა ძეთა შორის. მისი თვალები დამშვიდებით, თითქმის მორჩილებით უმზერდა ქალს. კაცმა შეამჩნია, რომ ქალს შიშმა აღარ გადაუარა და დაუწყო ლაპარაკი ნაზის, ნა-ღელიანის ხმით:

— ნუ გეშინიან, კნიაჟნა!

— სადა ვარ? სადა ვარ? — იმეორებდა ელენე და თითებ შუა გასცქეროდა ატამანსა.

— უშიშარს ადგილას: შორს იმ ადგილიდან, საცა ომია. ნუ გეშინიან, ჩემო სიცოცხლე. მე მოგიყვანე აქ ბარიდან, რომ ბოროტს ხალხს არა ეწყინათ-რა შენთვის. იქ ყაზახნი არავის არ ინდობდნენ; მხოლოდ შენ გადარჩი ცოცხალი.

— როგორ იქცევით, რადა მდევნით?

— მე გდევნი? ღმერთო მოწყალეო!—და ატამანმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია, როგორც კაცმა, რომელსაც უსამართლოდ დასდეს რამ ბრალი.

— მე მეშინიან თქვენი.

— რადა? თუ მეტყვი, ამ ზღრუბლს არ გადმოვსცილდე-ბი, მე მონა ვარ შენი. ჩემი საქმე ის არის, რომ სულ აქ ვიჯდე და შენ გიცქირო თვალ-წარბში. მე შენთვის ბოროტი არ მინ-და და რისთვის გძულვარ? ბარში დანა დაიეცი გულში ჩემს დანახვაზედ, თუმცა დადი ხანია მიცნობ და მაშინაც იცოდი, რომ შენს დასახსნელად მოვედი. უცხო არა ვარ შენთვის, მე-გობარი ვარ შენი... შენ კი დანა დაიკარი, კნიაჟნა!

კნიაჟნას გაფითრებული ლოყები უცბად გაუწითლდა.

— სიკვდილი მირჩევნია შერცხვენასა,—სთქვა ელენემ,— და ვფიცავ ღმერთს, თუ ოდნავ ხელს მახლებ, მაშინვე თავს მოვიკლავ... სულს წავიწყმიდავ.

ყმაწვილს ქალს თვალები აენთო და ატამანმა იგრძნო, რომ ხუმრობა არ შეიძლებოდა ამ თავადიშვილის სისხლის ჩამომავალთან, რომ ელენე, თუ განწირულებაში ჩავარდებოდა, შეასრულებდა თავის ფიცს და აღარც ხელი აუკანკალდებოდა ახლა წინანდებურად.

ხმა აღარ ამოიღო, მხოლოდ ორიოდე ნაბიჯი გადასდგა ფანრისაკენ, ჩამოჯდა ტახტზედ, რომელსაც ოქრო ქსოვილი ფარჩა ჰქონდა გადაფარებული და თავი ჩაჰღუნა.

დუმილმა ორ-სამს წუთს გასტანა. ბოლოს ბოგუნმა დაიწყო:

— არხეინად იყავ. ვიდრე ფხიზელი ვარ, ვიდრე სასმელი თავ-ბრუს არ დამახვევს, შენ ჩემთვის ისევ იქნები, რაც ხატია ეკლესიაში. ხოლო მას შემდეგ, რაც ბარში დაგინახე, სმას თავი დავანებე. ამას წინად კი სულ ვსვამდი და ვსვამდი, დარდსა და ნაღველს ვიქარვებდი. სხვა რა გზა მქონდა? ახლა კი გემოდაც აღარა ვნახავ სასმელსა.

კნიაჟნა მდუმარებდა.

— შემოგხედავ, ჩემს ჭიას გავახარებ შენის ნათელ-მოსილის სახის ცქერითა და წავალ ისევ.

— დამიბრუნეთ თაეისუფლება.

— აქ კი განა ტყვეობაში ხარ? აქ ქალბატონი ხარ. და ან კი სად გინდა წახვიდე? კურცევიჩები დაიღუპნენ, ცეცხლმა შთანთქა ქალაქები და სოფლები, თავადი ლუბნში აღარ არის, ხმელნიცკისთან მიდის საომრად, ხოლო ხმელნიცკი იმის შეხვედრას ელის, ყოველგან ომია, სისხლი კოკიპირულად იღვრება, ყველგან ყაზახები არიან, ურდოს კაცნი და პოლონეთის ჯარის-კაცნი. ვინ მოგეპყრობა პატივისცემით? ვინ შეგიბრალებს ვინ დაგიფარავს თუ არ მე?

კნიაჟნამ თვალები მაღლა აღაპყრო. მოაგონდა, რომ ქვეყნად არის კიდევ ერთი, რომელიც მზადაა გასწიროს ჩემთვის თავიო და დიდმა ნაღველმა ატკინა გული. ვინ იცის, ცოცხალი-ღაა ის რჩეული მისის სულისა! ბარში მის ყურამდე მოაღწევდა ხოლმე სახელი იმ კაცისა მრისხანე თავადის ძლევამოსილების ამბებთან ერთად. გარნა მას შემდეგ რამდენი დღე

და ღამე გავიდა, რამდენი ომი იქმნა გადახდილი, რამდენს საფრთხეს შეემთხვევოდა! იმისი ამბავი ახლა ბოგუნის შემწეობით თუ მოაღწევდა ქალის ყურამდე, ხოლო ელენე ვერა ჰბედავდა და არც უნდოდა იმის ამბავის გამოკითხვა.

ქალმა კვლავ ჩაჰმალა თვისი პირი-სახე ბალიშებში.

— მაშ, თქვენი ტყვე უნდა ვიყო?—ქვითინით შეეკითხა ქალი.—რა დაგიშავეთ, რაზედა მდევნით უბედურებასავით?

ყაზახმა აიღო მაღლა თავი და დაიწყო ჩუმად, ნელის ხმით:

— არ ვიცი, რა დამიშავე, თუ მე გდევნი უბედურებასავით, შენც უბედური გამხადე. მე რომ შენ არ შემყვარებოდი, ვიქნებოდი თავისუფალი, როგორც ქარი მინდორში, თავისუფალი გულითა, თავისუფალი სულითა და ისეთივე სახელ-ქებული, როგორც საგაიდელი კონაშევიჩი. შენმა სახემ, შენმა სხივ-მფენმა თვალებმა გამაუბედურა; აღარც თავისუფლებასა აქვს ჩემთვის მიმზიდველობა, აღარც დიდებას ყაზახისასა! რა იყვნენ ჩემთვის ქვეყნის კეკლუცნი, ვიდრე შენ ბავშვი იყავ? ერთხელ მთელი ნავი შევიპყარი ყმაწვილის ქალებით სავსე; ხონთქართან მიჰყავდათ, მაგრამ არც ერთზედ გული არ შემვარდნია. ჩემმა ძმობილმა ყაზახებმა დაუწყეს ალერსი და ხუნტრუცი. ბერე ვუბრძანე თვითეულისათვის ყელზედ ქვა მოებათ და წყალში გადაეყარათ. არაფრისა არ მეშინოდა, არაფრისათვის არა ვზრუნავდი, დავდიოდი სალაშქროდ ურწმუნოთა წინააღმდეგ, ვიღებდი დავლა-ალაფსა და, როგორც თავადი ციხე-დარბაზში, მეც ისე ვსცხოვრობდი მინდორში. ახლა რაღა ვარ? აგერ ვზივარ აქ... ყმად, მონად გადაქცეული, გემუდარები, ერთს კეთილს სიტყვას გენუკვი და იმის ღირსიც არ გაგიხდივარ; არც როდისმე სხვა დროს გამიგონია შენგან ერთი მაგისთანა თბილი სიტყვა, მაშინაც კი, როცა შენი ბიძაშვილები და ძალუა შენი ჩემსკენ იყვნენ. ოჰ, უცხო რომ იყო ჩემთვის, უცხო რომ იყო! აღარ ამოვეღლეტავდი შენს ნათესავებს, აღარ დაეუძმობილდებოდი ტეტია ყმა-მონებსა, შენი გადამკიდე კი დაეკარგე გონება, ჭკუა. შენ შეგიძლიან, საცა გინდა, იქ წამიყვანო, ჩემს სისხლს შენ შემოგწირავ, სულს

გაეყიდი შენის გულისათვის. აი შემომხედე, ეხლა სულ შლიახტის სისხლითა ვარ შესვრილი, წინად კი მხოლოდ თათრებსა ვჟლეტავდი და შენთვის მომქონდა ნადავლი, დეე სულ ყელამდე ოქროში იჯდეს და თვალ-მარგალიტით იყოს შემკული, როგორც ღვთის ქერუბიმი-მეთქი, რატომ მაშინ მაინც არ გიყვარდი? ოჰ, სული მეხუთება! ვაი მე უბედურს! არც შენთან სიცოცხლე, არც უშენოდ, არც შენგან შორს, არც ახლოს, არც მთაში, არც ბარად, ჩემო მტრედო, ჩემო სულის დგმავ! მაპატივე, რომ რაზლოგში ყაზახივით მოვედი შენთან ცეცხლითა და მახვილითა; მთვრალი ვიყავ მაშინ სასმელითა და თავადებზედ გულ-მოსულობითა... კაცის-მკვლელი ვარ მე უბედური! მერე, როცა შენ გაიქეცი, ისე ვღმუოდი, როგორც მგელი, წყლულნი დამიიარავდა და მტკიოდა. საჭმელს ზედ არ ვეკარებოდი, სიკვდილსა ვნატრობდი.... შენკი თხოულობ, რომ განგიტევო, კვლავ დაგკარგო!

ბოგუნი გაჩუმდა. ძალა აღარა ჰქონდა ლაპარაკისა. ელენეს სახე ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა ატლასივითა. რაც უფრო მეტი სიყვარული სჩანდა ბოგუნის ლაპარაკში, მით უფრო დიდი უფსკრული ჩნდებოდა ყმაწვილის ქალის წინაშე,—უფსკრული უძირო, დახსნისათვის უიმედო.

— მთხოვე, რაც გინდა. აგერ, შეხედე, როგორი მორთულია ეს ოთახი,—ეს სულ ჩემია, სულ ბარში აღებული დავლაა; ექვსმა ცხენმა-კიდებულმა მოიტანა შენთვის ეს ყოველივე აქა. მთხოვე, რაც გინდოდეს: ოქრო, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ფარჩა, ყურ-მოჭრილი ყმანი. მე მდიდარი ვარ, ჩემი საკუთარი დოვლათიც ბევრი მაქვს, ხოლო ხმელნიცკი ჩემთვის არაფერს არ დაიშურებს, არც კრივანოსი დაიშურებს; ისე იცხოვრებ, როგორც კნეინა ვისნეეეკისა; შენთვის ათსა და ოცს ცხე-დარბაზს ვიშოვი, ნახევარ უკრაინას შენ გაჩუქებ... თუმცა ყაზახი ვარ, არა შლიახტიჩი, გარნა სამაგიეროდ ატამანი ვარ; მე გამომყვება ათი-ათასი ყაზახი, უფრო მეტი, ვიდრე თავად ერემიას. მთხოვე, რაც გინდოდეს, ოღონდაკი ნუ ინდომებ ჩემგან წასვლას, ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლევ!

კნიაჟნამ წამოიწია და თავი მაღლა აიღო ბალიშიდან. პირისახეზედ მკვდრის ფერი ედო, ხოლო თვალებში მტკიცე გარდაწყვეტილების ალი ენთებოდა.

— თუ ჩემი პასუხი გინდათ,—სთქვა ქალმა,—იცოდეთ, რომ თუნდა მთელი საუკუნე რომ მეწეროს თქვენს ტყვედ ყოფნა, მაშინაც არ შეგიყვარებთ, არ შეგიყვარებთ, გეფიცებით ღმერთს!

ბოგუნი ერთ წუთს ტოკვასა და ბრძოლაში იყო.

— ნუ მეუბნები მაგისთანა სიტყვებსა,—სთქვა მან ხრინწიანის ხმით.

— თქვენც ნურას ნუ მეუბნევით თქვენის სიყვარულისას, ნუ მაუპატიურებთ მაგნაირის ლაპარაკით. მე თქვენთვის არა ვარ.

ატამანი ზეზედ წამოდგა.

— მაშ, ვისთვისა ხარ, კნიაჟნა კურცევიჩ? ვის ხელთ ჩავარდებოდი ბარში, მე რომ არა ვყოფილიყავი?

— ვინც გადამარჩინა სიკვდილს მხოლოდ იმისათვის, რომ ტყვეობაში მამყოფოს, გამაწბილოს და თავზედ ლაფი დამასხას, ის ჩემი მტერია და არა მოკეთე.

— შენ გგონია, რომ ტეტიები მოგკლავდნენ? არა, ოჰ, არა! გახსენებაც კი საშინელებაა იმისი, რაც დაგემართებოდა.

— მე ხანჯალი მომკლავდა... თქვენკი ხელიდან წამართვით მახვილი.

— და არც ახლა მოგცემ. შენ ჩემი უნდა იყო!

— არას დროს! სიკვდილი მირჩევნია!

— უნდა ჩემი იყო და იქნები კიდეცა!

— არასოდეს!

— ეჰ, დაჭრილი რომ არ იყო, მაგ შენის სიტყვების შემდეგ, დღესვე გავგზავნიდი ყაზახებს რაშკოვსა და ბერს მოვაყვავინებდა, ხოლო ხვალვე შენი ქმარი შევიქნებოდი. დიაღ, დიაღ... ქმარი კი ცოდვაა ქალს არ უყვარდეს და არ ეალერსებოდეს. ეჰ, პანნა დიდებულო, შენ ისა გწყინს, ყაზახს რად უყვარვარო. შენ კი ვიღა ხარ, რომ მე ტეტიადა მსახავ? სად

არის შენი ციხე-დარბაზები, შენი მსახურნი, ჯარები? საიდან გაჩნდა ეგ შენი რისხვა, შენი ბუტიაობა? ომში ჩამივარდი ხელთ, შენ ჩემი ტყვე ხარ. ოჰ, მე რომ ტეტია ვიყო, მათრახით გასწავლიდი ჭკუასა და უმღედლოდაც დავსტკბებოდი შენის შვენიერებით... ტეტია რომ ვიყო და არა რაინდი!

— ანგელზნო ცისანო, თქვენ დამიფარეთ! — წაიჩურჩულა კნიაგინამ.

ყაზახს კი თანდათან უფრო განრისხება ეხატებოდა. სიბრაზემ მთლად შეიპყრა კაცი.

— ვიცი, რისთვისაცა გწყინს ჩემი სიტყვები, ვიცი, რისთვისაც მირიდებ! სხვისთვის ინახავ შენს კდემამოსილებას, მაგრამ ამაოდ, იცოდე არა გამოვა-რა, ვიდრე ცოცხალი ვარ! ვილაც ღატაკი შლიახტიჩი! მაწანწალა! კისერიც მოუტეხია! დაინახა თუ არა, ორჯელ არ გაევლ-გამოევლო ცეკვაში და სულ დაატყვევა, შენკი, ყაზახო, ითმინე, თავი ქვას ახალე! ჰო, დამაცადე, მოეძებნი მე იმას, ტყავს გავაძრობ და ამოვიყრი იმის ჯავრს მაშინ, სიცოცხლე მაქვს! იცოდე, ხმელნიცკი მიდის ლიახების საჟლეტად, მეც იმას გავყვები და ვიპოვი შენს საყვარელს, თუნდ დედა-მიწის ქვეშ დაიმალოს, იქაც ვიპოვი, და როცა დავბრუნდები, საჩუქრის მაგივრად, იმის თავს დაგიგორებ ფეხ-ქვეშა.

ელენეს აღარ გაუგონია უკანასკნელი სიტყვები ატამანისა. გულის-ტკენამ, განრისხებამა, მღელვარებამა, შიშმა დაუკარგა გონება და დაუბნელა ფიქრი და კვლავ გული შეუწუხდა.

ატამანი ერთ ხანს იდგა განრისხებული და საშინლად ალეწილი, მაგრამ მერე, დაინახა რა, რომ ელენეს თავი გადმოუვარდა ბალიშიდან, მის მკერდიდან აღმოხდა ხმა განწირულებისა:

— აქ მო, აქ მო, გორპინა, გორპინა! გორპინა!

და ეს ამოდენა კაცი დაეცა ძირსა.

კუდიანი დედა-კაცი მალე გაჩნდა ბოგუნის ყვირილზედა.

— უშველე, დაიხსენი! — ჰყვიროდა ბოგუნი. — მოვკალი ჩემი სიცოცხლე, ჩემი ნზე და მთვარე!

— ხომ არ გაგიჟდი?

— მოვკალი, მოვკალი! — გმინავდა ატამანი და იმტვრევდა ხელებს.

მაგრამ გორპინა, მიუახლოვდა თუ არა კნიაჟნას, მაშინადვე მიხვდა, რომ აქ სიკვდილი კი არა, ქალს გულს შემოჰყრიაო, გაუძახა ძალის-ძალაზედ ბოგუნს კარში და მიჰყო თავის წამლობას ხელი.

კნიაჟნამ მალე გაახილა თვალები.

— არაფერია, შვილო, ნუ გეშინიან, — ამშვიდებდა გორპინა. — უთუოდ ძლიერ შეშინდი; ფიქრი არ არის, მალე გაგივლის. ჯერ კიდევ დიდ ხანს იცოცხლებ და იქნები ბედნიერი.

— ვინა ხარ? — ჰკითხა კნიაჟნამ მისუსტებულის ხმით.

— მე შენი მოახლე ვარ, იმიტომ რომ იმან ასე მიბძანა.

— სადა ვარ?

— ეშმაკეულს იარში. აქ უდაბური ადგილია, იმის მეტს ვერაფის დაინახავ.

— შენც აქა სცხოვრობ?

— ჩვენი სახლ-კარი აქ არის. მე დონცოვნა ვარ, ჩემი ძმა პოდპოლკოვნიკია და ბოგუნის ხელ-ქვეითია, ყაზახნი დაჰყავს სალაშკროდ, მე კი აქა ვარ და შენ გყარაულობ ამ ოქროს ოთახში. ქოხის მაგიერ მოქსოვილი დარბაზია. ისე ბჭყვრიალებს აქაურობა, რომ კაცს თვალები ეტკინება! სულ შენთვის მოიტანა ეს, ყოველივე.

ელენემ პირდაპირ თვალებში შეჰხედა კუდიან მოსამსახურე დედა-კაცს და ძალიან გულ-კეთილ ადამიანად ეჩვენა.

— ოჰ, კეთილად მომექცევი, განა?

ახალ-გაზდა კუდიანის სახეს სიხარულით ნათელი გადაეფინა.

— კეთილად მოგექცევი, მაშ! რატომაც არა. შენც კეთილად მოექეცი ატამანს. კარგი რამ არის, დახატულია, სახელოვანი მეომარი, სულ ოქროში...

კუდიანმა თავი დაიხარა და რაღაცა უჩურჩულა ყურში.

— გამშორდი! — შეჰყვირა კნიაჟნამ.

XIII

მეორე დღეს, დილით, დონცოვნა და ბოგუნი ისხდნენ ტირიფ ქვეშა, წისქვილის ბორბლის ახლო და უყურებდნენ აქაფებულს წყალს.

— შენ უნდა მოუარო იმ ქალსა. უყარაულო... თვალი არ მოაშორო, რომ არასგზით ამ ხეობიდან არსად არ გავიდეს,—სთქვა ბოგუნმა.

— ხეეიდან წყლისაკენ ვიწრო გასავალია, აქ კი ადგილი ბევრია. უბრძანე ყორეთი ამოავსონ გასავალი და მაშინ აქ ისე ვიქნებით, ვითომც ორმოში ეყოფილვართ. მე კი გზას ვიპოვი.

— რითი სცხოვრობთ მერე აქა?

— ჩერემისი კლდის ძირებში სიმინდსა სთესავს და მახეებით ფრინველს იჭერს. ახლა რაც შენ მოიტანე, ალარა დაგვაკლდება-რა. შენ ფიქრი ნუ გაქვს; ეგ აქედან ვერსად წავა და ვერცარავინ მაგის ამბავს გაიგებს, მხოლოდ შენმა მხლებლებმა არსად არა წამოროშონ-რა.

— იმათ ვუბრძანე, რომ ფიცი მიეღოთ. ერთგული ხალხია, არას იტყვიან, თუნდა ტყავი გააძრო. მაგრამ შენვე სთქვი, რომ ხალხი მოდის ჩემთან სამკითხაოდო.

— ათასში ერთხელ მოდიან რაშკოვიდან, სხვა მხრიდანაც მოდიან, მაგრამ ისენი წყალს არ გამოსცდებიან ხოლმე, ამ ხევში შემოსელისა ეშინიანთ, აი ძვლებს ხომ ჰხედავ, აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომ შემოსვლა მოინდომეს და ეგ იმათი ძვლებია.

— შენ დაჰხოცე ეგენი?

— ვინც დაჰხოცა, დაჰხოცა! ვისაც უნდა ვუკითხო, ხევის პირად იცდის და მე კი ბორბალთან მივდივარ. რასაც დავინახავ წყალში, იმას ვეუბნევი. შენთვისაც დავიწყებ წყალში ყურებას, მხოლოდ არ ვიცი, გამოჩნდება თუ არა... ყოველთვის არა სჩანს ხოლმე.

— ნეტავი ცუდი არა დაინახო-რა და!

— თუ ცუდი დავინახე რამე, ვერ წახვალ, ისედაც რომ არ წახვიდოდე, კარგს იზამდი.

— წასვლა საჭიროა. ხმელნიცკიმ ბარს გამომიგზავნა წიგნი და კრივანოსმაც მიბრძანა. ლიახები დიდის ჯარით აპიროობენ ჩვენთან ომსა, საჭიროა ჩვენც მოვემზადნეთ იმათ დასახვედრად.

— როდის-ღა დაბრუნდები?

— არ ვიცი. დიდი ომი იქნება, ისეთი, რომლისთანაც ჯერ არა ყოფილა. ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ლიახები. თუ ჩვენ დაგვძლიეს, მე იქ დავიმარხები; თუ გავიმარჯვებთ, შემოვიელი აქ ჩემს მტრედთან და კიევში წავალთ ერთადა.

— რომ მოგკლან?

— ერთხელ დავბადებულვარ, ერთხელ უნდა მოვკვდე.

— მაგ ქალს რაღა ვუყო? ყელი გამოვჭრა თუ?

— ხელი გიხლია მაგისთვისა და მაშინვე ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოგაცვან.

ატამანი მოიღრუბლა.

— თუ მოვკვდე, უთხარი, რომ შემინდოს.

— ეჰ, სულელია, რომ არ უყვარხარ მაგნაირის სიყვარულის სამაგიეროდ. მე უნდა ვუყვარდეთ მაგრე, რომ ხმასაც აღარ ამოვიღებ.

გორპინამ მუჯლუგუნი წაჰკრა ორჯელ ბოგუნს გვერდში და უშნოდ გაიღიმა.

— დამეკარგე იქით!—შეჰყვირა ყაზახმა.

— კარგი, კარგი! ვიცი, რომ შენ ჩემთვის არა ხარ გაჩენილი.

ბოგუნმა ცქერა დაუწყო აქაფებულს წყალს, თითქო თითონ უნდა უკითხოს თავის თავსაო.

— გორპინა!

— რა იყო?

— მე რომ წავიდე, დავენანები ნეტაი?

— რახან არ გინდა, ძალათი შეაყვარო თავი, ყაზახურად, იქნება სჯობდეს, რომ წახვიდე.

— ეგრე არ მინდა, არ შემიძლიან, ვერ გავბედავ! ვიცი, რომ მაშინვე მოკვდება.

— მაშ, წადი. ჯერ ზედაც არ უნდა შემოგხედოს და როცა ერთს-ორს თვეს დარჩება ჩვენთან, მე და ჩერემისთან, მერე უფრო სასიამოვნო იქნები მისთვის.

— არ ვიცი, რას არ მოვიქმედებ, ოღონდ კი ეგ კარგად იყოს. მინდოდა მღვდელიც მომეყვანა რაშკოვიდან, ჯვარი გადაეწერა ბარემ, მაგრამ ვშიშობ, ვაი თუ გული გაიხეთქოს და მოკვდეს. შენ თვითონ ჰნახე ხომა?

— დაანებე თავი ჯერ-ჯერობით. ან კი რად გინდა მღვდელი და ქორწინება? ვერა ხარ ნამდვილი ყაზახი, ვერა! მე სრულებითაც არ მეპიტნავება აქ მღვდლისა და ან ქსენძის დანახვა. რაშკოვში დობრუჯის თათრები სდგანან, შენ ახლა იმათ გზასაც აჩვენებდი! ეგ რა ფიქრად მოსასვლელია? წადი შენთვისა და დაბრუნდი მერე ისევა.

— შენ მაშ აი წყალს დაუწყე ყურება და სთქვი, რასაც დაინახავ. მართალი სთქვი, ნუ იტყუებ, თუნდა მკვდარიც დამინახო.

დონცოვნა მოვიდა სათავესთან და აუშვა წყალის მეორე გადასაგდები; წყალი გაექანა საშინელის ძალით, ბორბალმა გაორკეცებულის სისწრაფით დაიწყო ტრიალი და მალე დაიმალა წყალის ქაფსა და წინწკლებში.

კუდიანი ჩააშტერდა თავის შავის თვალებით წყალის ქოჩქოჩანას, იტაცა თმებში ხელი და დაიწყო ყვირილი:

— გუკ! გუკ! გამოჩნდი! მუხის ბორბალში. ქათქათა ქაფში, ნათელ-მოსილ ნისლში გამოჩნდი, კეთილი ხარ თუ ბოროტი!

ბოგუნი მიუახლოვდა და ჩამოჯდა იმის გვერდითა. სახეზედ ეხატებოდა შიში და მოუსვენარი ცნობის-მოყვარეობა.

— ვხედავ!—დაიყვირა ბოლოს გორპინამ.

— რას ჰხედავ?

— ჩემის ძმის სიკვდილსა. დონეცს მარგილზედ აცვამენ.

— ჯანაბას შენი ძმა!

ბოგუნს სხვა რამ უნდოდა, სხვა დარდი ჰქონდა.

ერთს წამს ისმოდა საშინელი შუილი წყალისა.

— გალურჯებული სახე აქვს ჩემს ძმას, გალურჯებული... ყვავ-ყორანი სწიწკნის იმის გულ-მკერდსა!

— რასა ჰხედავ კიდევ?

— არაფერსა. ოჰ, რა გალურჯებულია! გუკ! გუკ! მუხის ბორბალში, ქათქათა ქაფში, ნათელ-მოსილ ნისლში გამოჩნდი!.. ვხედავ.

— რასა?

— ომია! ლიახნი მირბიან და ყაზახნი მისდევენ.

— მე! მე კი არ მივსდევ?

— გხედავ შენცა. შენ ვიღაც ტან-დაბალ რაინდს შეებრძოლე... ოჰ! გაუფრთხილდი ტან-დაბალ რაინდსა.

— კნიაჟნა-ღა?

— ის არა სჩანს. კიდევ შენა გხედავ, შენთან არის ისა, ვინც შენ გაგცემს. შენი მუხანათი ამხანაგი.

— ვინ ამხანაგი?

— ვერა ვხედავ. არ ვიცი, ახალგაზდაა, თუ მოხუცი!

— მოხუცია, უთუოდ მოხუცია!

— იქნება მოხუციც იყოს.

— მაშ, ვიცი ვინც იქნება. ერთხელ კიდეც მიმუხთლა. მოხუცი შლიახტიჩია წვერ-ჭაღარა და თვალ-ბრუდეი. სიკვდილი იმასა! მაგრამ ის ჩემი ამხანაგი არ არის.

— როგორღაც გიახლოვდება. აი კიდევ ვხედავ. დაიცა, გაჩერდი! კნიაჟნაც აქ არის... გვირგვინი ადგია, თეთრი ტანისამოსი აცვია, ზედ ქორი დასტრიალებს.

— ეგ მე ვარ.

— იქნება შენცა ხარ. ქორია... თუ მიმინო? ქორია!

— ეგ მე ვარ.

— დაიცა. აგერ აღარა სჩანს ის ქალი... მუხის ბორბალში, ქათქათა ქაფში... ოჰ, ბევრია ჯარი, ბევრნი არიან ყაზახნი, ოჰ, ძალიან ბევრნი, როგორც ხეები ტყეში, როგორც

მაღალი ბალახი მინდორში, შენ კი ყველაზედ მაღლა დგევ-ხარ, შენ წინ სამი თუღი მიაქვთ.

— კნიაჟნა ჩემთან არის?

— ის არა სჩანს, შენ ურდოში ხარ.

კვლავ დუმილი. ბორბალი ისეთსა პროწიალობს, რომ წი-სქვილს სულ მთლად ზანზარი გააქვს.

— ოჰ, რა აუარებელი სისხლია! რამდენი სისხლია! რა-მოდენა ხროვა მკვდართა! ზედ მგლები ესევიან, ყვავ-ყორანნი დასტრიალებენ! ქორი ტრიალებს მაღლა. მარტო მკვდარნი, მხოლოდ მკვდარნი. შორს კიდევ მკვდარნი, სულ მკვდარნი! აღარა სჩანს-რა სისხლის მეტი!

უცბად ქარი ამოვარდა და გაჰფანტა ნისლი, რომელიც ბორბალს შემოჰხვეოდა; ამ დროსვე წისქვილს ქვეშ გამოჩნდა მახინჯი ჩერემისი, რომელსაც ზურგზედ ერთი იღლია შეშა ჰქონდა წამოკიდებული.

— ჩერემის, გაამაგრე წყალის გადასაგდები!—დაუყვირა კუდიანმა და წავიდა ხელ-პირის დასაბანად.

ბოგუნი იჯდა ფიქრში წასული, დაღონებული. მხოლოდ გორპინას მოსვლამ მოიყვანა გონს.

— მეტი ველარა დაინახე-რა?—ჰკითხა ბოგუნმა.

— რაც გამოჩნდა, გამოჩნდა, მეტს ველარას დავინახავ.

— ხომ არა სტყუი?

— არა, გეფიცები ძმის სიცოცხლესა. მარგილზედ აცვა-მენ, ხარები მოუბეს ფეხებზედ და ისე ეწევიან. მეცოდება სა-წყალი. ეჰ, მარტო იმას არ უწერია სიკვდილი! რამდენი იყო მკვდარი! ჩემს დღეში მაგოდენა ხროვა არ მინახავს დახოცილ-თა; დიდი ომი იქნება!

— ელენე დაინახე, რომ თავზედ ქორი დასტრიალებდა?

— დაეინახე.

— გვირგვინი ედგა თავზედა?

— გვირგვინი ედგა და თეთრი ტანისამოსი ეცვა.

— რა იცი მერე, რომ ეგ ქორი მე ვარ. მე გითხარი ერ-თის ყმაწვილის ლიახისა-შლიახტიჩისა, იქნება ეგ ქორი ის არის?

გორპინამ კოპები შეიკრა და ჩაფიქრდა.

— არა, —სთქვა ქალმა პატარა ხანს შემდეგ და თავი გაიქნია,—ლიახი რომ ყოფილიყო, არწივი იქნებოდა.

— მადლობა ღმერთსა! მადლობა ღმერთსა! მაშ, წავალ მე ჩვენებთან, ვუბრძანებ ცხენები შეჰკმაზონ. ამალამ წავალთ.

— მაშ, უთუოდ გინდა წასვლა?

— ხმელნიცკიმ მიბრძანა, კრივანოსმაც მიბრძანა. შენ სწორედა სთქვი, დიდი ომი იქნებაო. მე თვითონ წავიკითხე ბარში წერილი ხმელისა, ისიც მაგასვე მწერდა.

— მაშ წადი. ბედნიერი ხარ, გეტმანი იქნები. წყალში დავინახე, რომ შენ წინ სამი თუღი მიჰქონდათ.

— გეტმანი ვიქნები და კნიაჟნასაც ცოლად წავიყვან. ტეტიას ქალს ხომ ვერ შევირთავ.

— ტეტიას ქალს სხვანაირად დაუწყებდი ლაპარაკს, ამისთვის კი შენ ტოლი არა ხარ. იმას ლიახი უნდა.

— მეც ლიახზედ უარესი არა ვარ.

ბოგუნი გამოტრიალდა და წავიდა თავლაში, ხოლო გორპინა სადილის მზადებას შეუდგა.

საღამოზედ მზად იყვნენ სამგზავროდ, მაგრამ ატამანს წასვლის დარდი არა ჰქონდა. ბოგუნი იჯდა ხალიჩების ხროვაზედ ფანდურით ხელში და შეჰყურებდა კნიაჟნას. ელენე წამომდგარიყო ლოგინიდან, მაგრამ ერთს კუთხეში მიკუნჭულიყო და კრიალოსანს ათამაშებდა; ბოგუნს სრულიად ყურადღებას არ აქცევდა, თითქო ოთახში არც კია ისაო. ხოლო ბოგუნი სულ იმას შეჰყურებდა, ცდილობდა არც ერთი შისი მოძრაობა არ გამოჰპარებოდა, თვითეულს მის ‘ამოოხერას ყურს უგდებდა და არ იცოდა, რა ექმნა. ყოველს წუთს პირს აღებდა, უნდოდა ლაპარაკი დაეწყო, მაგრამ სიტყვები არ ამოდიოდა ყელიდან. გაფითრებული სახე ელენესი, შეკრული კოპები და მრისხანე შუბლი ართმევდა გამბედაობას ყაზახსა. ასეთი მეტყველება ჯერ არც ერთხელ არ ენახა ბოგუნს ელენეს სახეზე. და აი უნებურად მოაგონდა რაზლოგში გატარებული საღამოები... როგორც ცოცხლები, ისე წარმოუდგა თვალ-წინ,

რომ მუხის სტოლის გარშემო სხედან კურცევიჩები, მოხუცი კნეინა შეექცევა ზევიჭრუტას, თავადნი რიგ-რიგით აგორებენ კამათლებს და თვითონ კი ზის და თვალს არ აშორებს კნიაჟნას, რომელიც მაშინაც ისევე მშვენიერი იყო, როგორც დღეს არის. მაგრამ მაშინ უფრო ბედნიერი იყო, მეტადრე იმ დროს, როცა უამბობდა თავის საშინელის თარეშობის ამბავს თათრების ქვეყანაში და კნიაჟნას შავი თვალები კარგა ხნობით დაიცქერდებოდა ხოლმე მის სახეს, ხოლო ნახევრად გაპობილი ბაგენი ჰმოწმობდა, რომ ქალი ყურადღებით ისმენდა მის ნაამბობს. ახლა? ახლა აღარც შემოხედვა, აღარც ერთი სიტყვა!.. მაშინ ხშირად მოხდებოდა, ავიღებდი ფანდურს, დავუკრავდი და ის ისმენდა კიდეც; მიყურებდა კიდეც და გული ჩემი დნებოდა სიამოვნებით. საოცრება არ არის? ეხლა მისი ბატონი ვარ, ის ჩემი ტყვეა, მხევალია; ნება მაქვს, რაც მინდა, ის ვუბრძანო და მაინც წინად უფრო თითქო ნაკლები იყო ის მანძილი, რომელიც ჩვენს შორის იდო. კურცევიჩები ჩემი ძმები იყვნენ, ეს ქალი, იმათი ბიძაშვილი იყო და, მაშასადამე, ცოტაოდნად მეც ნათესავად მომხვდებოდა. ახლა კი ჩემ-წინ ზის პანნა, ქედ-მაღალი, კუშტი, მდუმარე, უწყალო. ოჰ, რისხვა მიდუღს გულში! მე ვაჩვენებდი, როგორც უნდა ზიზღი ყაზახისა... მაგრამ ვაი და ვაი, რომ მიყვარს მე ეგა, ეგ უწყალო პანნა, წვეთ-წვეთობით დავაქცევ ჩემს სისხლს მაგისათვის. და აი რისხვა მისი ნელდება და რაღაც ხმა ჩასჩურჩულებს ყურში: შეჩერდიო! ჰგრძნობს, რომ მასთან ახლო ყოფნა აწუხებს ქალს, ცუდს გუნებაზედ აყენებს. ნეტავ გაიღიმებდეს მაინცა, ერთი კეთილი სიტყვა მაინც წამოსცდებოდეს და მაშინვე მის ფეხთ-ქვეშ დავემხობი, წავიდოდი თუნდ ეშმაკებთანა და ქაჯებთან, იქ ჩავკლავდი ჩემს დარდს, ჩემს გულის-წყრომას ჩავახრჩობდი ლიახთა სისხლში. ახლა კი, როგორც მონა, ისე ვარ ამ კნიაჟნას წინაშე. წინად რომ ცნობა არა მქონოდა ამისი, ეს პოლონელი ქალი რომ პირველ შლიახტელ სახლიდანა ყოფილიყო, უფრო გაბედვით მოვექცეოდი, მაგრამ რა ვუყო, რომ ეს ქალი კნიაჟნა ელენეა, ის ელენეა, რომლის გულისათვისაც

თაყვანსა ვსცემდი კურცევიჩებს, რომლისათვისაც მზად ვიყავ ყოველივე გამეწირა, რაც რამ მებადა: მით უმეტეს მრცხვენიან მისი, მით უმეტეს ვკრთი მის წინაშე.

დრო გადის, ეზოდან ყაზახთა ხმაურობა მოისმის, ისინი ეხლა უთუოდ უკვე ცხენებზედ სხედან და ელიან თავიანთ ატამანსა, მე კი გული ნაკუწ-ნაკუწ მეგლიჯება ტკივილისაგან. მთვარის სინათლე დასთამაშებს ბოგუნის სახეს, მის მდიდრულს ჯუბას და აბა თუ ერთხელ მაინც შეჰხედოს ზედა! ბოგუნმა აღარ იცის, რა მოიქმედოს. უნდა გამოეთხოვოს, გამოეთხოვოს ტკბილად, გულითა და სულით, მაგრამ ეშინიან, ვაი თუ ისეთი გამოთხოვება არ იყოს, როგორიც ჩემთვის სასურველია, ვაი თუ ისე წავიდე, რომ სიმწარე გამყვეს თან, გულის წყროდამ ამიტანოს და სულის ტკივილმა, ქენჯნამ აღარ მომასვენოსო. ეჰ, ეგ რომ კნიაჟნა ელენე არ იყოს, ის კნიაჟნა, რომელმაც ხანჯლით თავი დაიჭრა, ის, რომელიც იმუქრება თავს მოვიკლავო... ის სასურველი, ძვირფასი და, რაც უფრო ქედმაღალია, გოროზი და უკარებაა, მით უფრო სასურველი, საყვარელი!...

აი რომელმაც-ღა ცხენმა დაიჭიხვინა ეზოში.

ატამანმა იგრძნო, რომ თითქო გამბედაობა მომემატაო.

— კნიაჟნა,—სთქვა ბოგუნმა,—დროა ჩემის წასვლისა.

კნიაჟნა სდუმდა.

— არ მეტყვი, მშვიდობის მგზავრობა მოგცეს ღმერთმაო?

— წადით, ღმერთი იყოს თქვენთანა,—სთქვა გაპტყელებით კნიაჟნამ.

ყაზახს გული შეეკუმშა: ისა სთქვა, რაც მინდოდა, მაგრამ ისე არა სთქვა... გულ-ცივი თქმა იყო, კინაღამ ზიზღით იყო ნათქვამი.

— ვიცი, რომ მიჯავრდები, გძულვარ, მაგრამ ერთს გეტყვი მხოლოდ, რომ ჩემს ალაგას სხვა უფრო ცუდი იქმნებოდა. მე მოგიყვანე აქა, სხვა მეტი გზა არა მქონდა, მაგრამ აბა ავი რა წაგკიდე? განა ისე არ გექცეოდი, როგორც დედოფალს? შენ თითონა სთქვი. ნუ თუ ისეთი ავაზაკი ვარ, რომ

ერთს ტკბილს სიტყვას არ მეტყვი? მერე ისიც მაშინ, როცა ჩემ ხელთა ხარ.

— ღვთის ხელთა ვარ,—ისევ ისე გაჭიანურებითა სთქვა კნიაჟნამ,—ხოლო თუ თავს იკაეებთ ჩემთან ყოფნის დროს, გმადლობთ მაგისთვისაც.

— წავალ, რა ვქნა, ეგეც ნუგეშია, ასე თუ ისე. იქნება შეგეცოდო ცოტად მაინც; ან იქნება გული გეტკინოს ოდესმე ჩემთვის, როცა მე აღარ ვიქნები.

ელენე სდუმდა.

— გული მტკივა, რომ მარტოსა გტოვებ აქა,—განაგრძო ბოგუნმა.—გული მტკივა, რომ მივდივარ, მაგრამ მეტი ღონე არ არის—მოვალეობა მაწვევს. გულს მეფონებოდა, რომ გაგეღიმნა, ჯვარი მოგეცა გულის წმინდით. მითხარ მაინც, რა უნდა მოვიქმედო, რომ შენი თანაგრძნობა დავიმსახურო?

— დამიბრუნეთ თავისუფლება და ღმერთი ყველაფერს გაპატივებს, მეც შეგინდობთ და თქვენის ლოცვის მეტს არას გავაკეთებ.

— იქნება აგრეც მოჰხდეს,—სთქვა ყაზახმა,—იქნება კიდეც დაგნანდეს, რომ აგრე სასტიკად მექცეოდი.

ბოგუნს უნდოდა, რომ სანახევროდ დაპირებულ აღთქმით ეყიდნა ერთი წუთი ტკბილად განშორებისა. გაიტანა კიდეც თავისი. ელენეს თვალებში გაიელვა იმედის სხივმა, ღრუბელი გადიყარა მისმა სახემ. გულ-ხელი დაიკრიფა და ვედრებით მიაპყრო ბოგუნს თავისი თვალები.

— თქვენ რომ...

— რრ...ავიცი,—ნელის ხმით წარმოსთქვა ყაზახმა. სირცხვილმა და სინანულმა წაუჭირა ყელში და აღრჩობდა.—ეხლა არ შემიძლიან, არ შემიძლიან, არ შემიძლიან, ყრუ მინდვრებში თათართა ურდო სდგას, რაშკოვიდანაც თათრები მოდიან, არ შემიძლიან, მეშინიან, მაგრამ, დავბრუნდები თუ არა... მე ხომ ბავშვივითა ვარ შენ წინაშე. რასაც გინდა, იმას მატვირთებინებ... რა ვიცი... არ ვიცი...

— ღმერთიმც დაგლოცავთ, წმინდა ქალწულიმც აღგა-ფრთოვანებთ და შთაგაგონებთ კეთილსა... წადით, ღმერთი იყოს თქვენთანა.

ქალმა გაუწოდა თავისი ხელები. ბოგუნი ერთის კამარის კვრით გაჩნდა მის წინაშე, დააკვდა მის ხელს ტუჩებითა, მაგრამ უცებ აიღო მაღლა თავი, შეჰნიშნა სახეზედ საყვედური და გავარდა გარედ.

ფანჯრების იქით მალე მოისმა ყაზახთა ცხენების თქარა-თქური.

IV

— ჰეშმარიტი სასწაული მოგვივლინა უფალმა ღმერთმა სწორედ,—ეუბნებოდა პან ზაგლობა ვოლოდიევსკისა და პოდ-ბიპენტასა, როცა ყველანი სქშეტუსკის სახლში იყვნენ,—ჰე-შმარიტი სასწაული სწორედ, გეუბნებით, იმიტომ რომ ინება და შემაძლებინა იმ ქოფაკის ხელიდან გამომეტაცნა ის ქალი და შემდეგაც უვნებლად გადაარჩინა იმდენის ხნის მგზავრობა-ში; იმედი გექონდეს, რომ ყოვლის შემძლებელი კვლავ შეგვი-წყალებს. ოღონდ ცოცხალი კი იყოს ის საცოდავი. მერე სულ ის აზრი მაქვს ფიქრად, რომ ხელ-მეორედ გაიტაცა იმ ძაღლის ნაშობმა. ვარაუდი გქონდეთ, რომ პულიანის შემდეგ მისი ადგილი იმან დაიჭირა კრივანოსთან, იმ ცხვირ-მრუდესთანა (ეშ-მაკმა გაამრუდოს იმისი თავი და ტანი) და ბარის აღების დრო-საც იქ იქნებოდა, რასაკვირველია.

— შესაძლოა, რომ ვერ იპოვნა იმოდენა უბედურთა შო-რის; ამბობენ, რომ ბარში ოცი ათასამდე სული იქმნა ამო-წყვეტილიო,—შეჰნიშნა ვოლოდიევსკიმ.

— თქვენ იმას არ იცნობთ, თუნდა დავიფიცავ, რომ ბო-გუნმა იცოდა, ელენე ბარშია დამალულიო. სხვაფრივ არც იქმნებოდა; იმან გადაარჩინა უთუოდ სიკვდილს და წაიყვანა სადმე.

— ვერაფერი ნუგეშია. პან სქშეტუსკის ადგილას რომ ვყოფილიყავ, ჩემთვის უმჯობესი იქმნებოდა მომკვდარიყო ბარშივე, ვიდრე იმის ხელში ჩავარდნილიყო.

— ეგეც ვერაფერი სასიამოვნოა: თუ მოჰკლეს, ალბად მოჰკლეს გაწბილებული და ნამუს-ახდილი...

— სულ ცუდად მიდის საქმე!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ოჰ, ცუდად არის საქმე!—განიმეორა პან პოდბიპენტამ.

ზაგლობამ დაიწყო წიწკნა ულვაშებისა და წვერისა და მერე დაიწყო გრგვინვა:

— ოი, ჭირმა და ჭიჭინამ ამოიჭამოს იმათი თავი, თათრებსაც დაუგრეხიათ იმათი ნაწლევებისაგან მშვილდის ლარი თავიანთ მშვილდისრებისათვის!

— მე არ ვიცნობდი იმ პანნას,—მწუხარებითა სთქვა ვოლოდიევსკიმ,—მაგრამ ისევ რომ მე დამმართნოდა რამ უბედურება, ის მერჩიენა სწორედ.

— ერთხელ ვნახე ჩემს სიცოცხლეში, მაგრამ როცა მომაგონდება, სადაც არის ახლა, სიცოცხლე შემეზარება ხოლმე.—სთქვა პან ლონგინუსმა.

— ეგ თქვენა,—დაიღრიალა ზაგლობამა,—ახლა ის იფიქრეთ, მე რა მემართება, როდესაც ისე შემიყვარდა ის ქალი, როგორც მშობელს მამასა, როდესაც თათართა ტყვეობიდან დავიხსენი! იფიქრეთ, აბა, რა ცეცხლი უნდა ტრიალებდეს ჩემს გულში?

— პან სქშეტუსკის აღარა კითხულობთ, რა ჯოჯოხეთს უნდა ჰგრძნობდეს ახლა ისა?

ყველანი დადუმდნენ. პირველად ისევ ზაგლობამ დაიწყო მოუსვენრობა.

— ნუ თუ ღონის-ძიება არა არის-რა?

— თუ სხვა ღონე არა არის-რა, უნდა შური ვიძიოთ. სამაგიერო გადავუხადოთ,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ოჰ, ღმერთი რომ ინებებდეს და დიდს ომს მოგვივლენდეს!—ამოიოხრა პან ლონგინუსმა.—თათრებისას ამბობენ, რომ წყალში გამოვიდნენ და მინდვრად დაბანაკდნენო.

პან ზაგლობა თან-და-თან ცხარობდა და კრიახობდა:

— ნუ თუ უნდა უპატრონოდ დავსტოვოთ ის საცოდავი და არას ვეცადოთ იმის დასახსნელად! უკვე საკმაოდ ვეთრიე და ვიწანწალე ამ ქვეყნად, მოხუცებული ძვლები მოსვენებას ითხოვს, მაგრამ ჩემის კნიაჟნასთვის მზადა ვარ თუნდა სტამბოლს წავიდე. თუ საჭირო იქნება, ჯანაბას კიდეე გადვიცვამ ტეტიას ტანისამოსს და ავიკიდებ ზურგზედ დიდს ფანდურსა... აი, დასწყევლოს ის ეშმაკმა! ისე არ გამახსენდება, რომ გული არ ამერიოს!

— მოხერხებული კაცი ხარ, გაოსტატებული, მოიფიქრე რამე,—შეაგულიანა პან პოდბიპენტამ.

— ხერხი ბევრი მოვიგონე კიდეცა. თავად დომინიკს რომ იმისი ნახევარი ხერხი მოეგონებინა, ხმელნიცკი აქამდე სახრჩობელაზედ იქმნებოდა ჩამოკონწიალებული. სქშეტუსკისაც კი ველაპარაკე, მაგრამ ახლა ისეთს გუნებაზეა, რომ იმასთან ლაპარაკი აღარც კი შეიძლება. დარდი გულში ჩაუძვრა გველივით და ავადმყოფობაზედ უარესადა სტანჯავს. ყური უგდეთ, ემანდ ჭკუაზედ არ შეიშალოს. ხშირად მოჰხდება ხოლმე, რომ დიდის მწუხარებისაგან mens დაიწყებს დუღილსა, თითქო ღვინოაო და, ბოლოს, დაჭანკდება კიდეცა, დამჟავდება.

— მოჰხდება ხოლმე, მაშა!—და პან ლონგინუსმა დაიწყო თავის გადაგდება აქეთ-იქითა. ვოლოდიევსკი მოუთმენლად მოტრიალდა იმ ალაგას, საცა იჯდა და ჰკითხა:

— რა და რა ხერხი მოიგონე?

— რა ხერხი? პირველ ყოვლისა, უნდა გავიგოთ, ცოცხალია თუ არა ის საცოდავი (წმინდა ანგელოზებმა დაიფარონ ყოველის ბოროტებისაგან!), ხოლო გაგება ორის გზით შეგვიძლიან: ან უნდა ერთგულნი ყაზახნი მოვძებნოთ, რომელნიც თავს ისე მოაჩვენებენ, ვითომ ხმელნიცკის გვინდა შეეუერთდეთო, გაიქცევიან მოგუნთან და იმის მხლებლებისგან გაიგებენ რასმე...

— მაგისთანა მე მყავს, რუსის დრაგუნები!—დაიძახა ვოლოდიევსკიმ.

— მოიცადეთ... ან ჯაშუში უნდა შევიპყრათ, იმისთანა, რომელიც ბარის აღებაში ერია, იქნება იმან იცოდეს რამე. ყველანი ბოგუნსა ლოცულობენ, თითქო ღმერთიაო, ისე მოსწონთ იმ ვირებსა და სულ ქების სიმღერას ამბობენ იმის შესახებ ყველგანა (დაუსკდეთ იმათ ი ყანყრატოები) და უამბობენ ერთმანეთს, აი ბოგუნმა ეს ჰქმნა, ეს მოიქმედაო. თუ იმან მოიტაცა კნიაჟნა, ჯაშუშებს ეგ არ გამოეპარებოდათ.

— შეიძლება ყაზახებიც გაევზავნოთ, მაგ ჯაშუშების შეპყრობისთვისაც ვიზრუნოთ ერთსა და იმავე დროსა,—შეჰნიშნა პან პოდბიპენტამა.

— სწორედ ეგრე უნდა მოვიქცეთ. ძალიან მოსაზრება მოგვივიდა ფიქრად, ჩემო მეგობარო პან ლონგინუს. თუ გავიგეთ, რომ ელენე გატაცებულია, სანახევროდ საქმე გაკეთებულია. თუ გსურთ, (გთხოვთ მხოლოდ გულ-ახდითა სთქვით) მართლა უშველოთ სქშეტუსკის, დაემორჩილეთ ჩემს განკარგულებასა; მე უფრო გამოცდილი კაცი ვარ. გლეხ-კაცურად ჩავიცვათ და ვეცადნეთ გავიგოთ, სად დაჰმალა ბოგუნმა ქალი, ხოლო თუ ამას გავიგებთ, თავს მოვიჭრი, თუ ვერ გავანთავისუფლებთ. დიდი დაბრკოლება მე და სქშეტუსკი ვართ—ბოგუნი გვიცნობს ჩვენა და ერთი თუ გვიცნო, ისე დაგვხდის, რომ ვგონებ მერე მშობელმა დედამაც ველარ გვიცნოს. თქვენ ორნი კი იმას თვალითაც არ დაუნახევხართ.

— მე უნახავარ,—სთქვა პან პოდბიპენტამ.—მაგრამ ეგ არაფერია.

— იქნება, ღმერთმა ბრძანოს და ბედმა ხელში ჩაგვიგდოს ის კაცი!—დაიძახა პან ვოლოდიევსკიმ.

— ეჰ, ეგ საჭირო არ არის,—უარობდა პან ზაგლობა.—დეე ისევ ჯალათს ჩაუგდოს ხელში იმის თავი ბედმა. საქმეს სიფრთხილით უნდა დაწყება, რომ არ გაგვიცუდდეს ბოლოს იმედი. შეუძლებელია, რომ მარტო იმან იცოდეს კნიაჟნას ბინა.

— იქნება ჩვენებმა გაიგონ რამე. თუ მთავარი ნებას მომცემს, გამოვარჩევ, რომელნიც უფრო ერთგულნი არიან, და თუნდა ხვალ დილითვე გავგზავნი.

— მთავარი კი ნებას მოგვცემს, მაგრამ გაიგებენ რასმე თუ არა, მაგისი ეჭვი მაქვს. ერთი მოისმინეთ: მე ერთი აზრი მომდის ფიქრად: იმის მაგივრად, რომ სხვა ვინმე გავგზავნოთ, გადავიცვათ ტეტიურად და გაეუდგეთ ეხლავე გზას, დაუყოვნებლივ.

— ოჰ, ეგ შეუძლებელია!—დაიძახა პან ვოლოდიევსკიმ.

— რადაო?

— მაშ, თქვენ სამხედრო სამსახური არა გცოდნიათ. თუ ჯარი სდგას და დროს უცდის, ეგ წმინდა საქმეა. დედა ან ძმა რომ უკედებოდეს, მაშინაც არ წავა რაინდი და არ დაეთხოვება უფროსს, იმიტომ რომ ეგ დიდი სირცხვილია. დიდის ომის გადახდის შემდეგ, როცა მტერი დაძლეულია, შეიძლება და წინად კი არ შეიძლება. გახსოვთ, სქშეტუსკის რანაირ უნდოდა წასვლა დანიშნულთან, მაგრამ ხმაც არ ამოუღია ამაზედ. სახელი უკვე გათქმული აქვს, თავადს უყვარს, ის კი სულ ჩუმად იყო, იმიტომ რომ იცის თავისი მოვალეობა. სწორედ რომ ვსთქვათ, ეს საზოგადო საქმეა და ის კი კერძო საქმეა. არ ვიცი, სხვა ქვეყნებში როგორ არის, თუმცა მგონია, ყველგან ერთგვარი წესია, ჩვენს თავადს კი აგრე აქვს შემოღებული, რომ ბრძოლის წინად ვერავინ დაეთხოვება, მეტადრე აფიცერი. სქშეტუსკის რომ გული ნაკუწ-ნაკუწ ესერებოდეს, მაინც არ წავა თავადთან და არა სთხოვს, დამითხოვეო.

— დიალაც, რა თქმა უნდა, რომ სქშეტუსკი რომაელია სულითა,—სთქვა პან ზაგლობამ,—მაგრამ ვისმე სხვას რომ ჩაეგონებინა ეგ ამბავი თავადისათვის, შეიძლება, თავისით მოეცანება ჩემთვისაცა და თქვენთვისაც იმ ქალის საძებრად წასვლისა.

— ეგ ფიქრადაც არ მოუვა. მთავარს მთელის რესპუბლიკის ბედი და უბედობა აწევს ტვირთად. როცა ბედი უნდა გადასწყდეს მთელის ქვეყნისა, მთავარს შეუძლიან განა კერძო საქმეებს გამოეკიდოს? ვსთქვათ, თუნდა ჩვენ არა ვსთხოვეთ და თავადმა მაინც ნება მოგვცა, მერე რომელი ჩვენგანი დაანებებს დღეს ბანაკს თაესა? ჩვენს თავს კი არა, საცოდავს სამშობლოს უნდა ვემსახურნეთ ახლა ჩვენა.

— ვიცი მე ეგა, სამხედრო სამსახურის საქმეც ვიცი დიდი ხანია და ამიტომ გითხარით, რომ მაგ აზრმა ოდნავ გამიელვა თავში და არა ფესვი გაიდგა-მეთქი შიგა. ისიც კი საოქმელია, რომ ვიდრე მძარცველთა ბრბონი არ შეგვიმუსრნია, ბევრს ვერას გავხდებით, მაშინ კი, როცა იმათ ცხარე დღე დაადგებათ, როცა დევნას დაუწყებენ და ისინიც იძულებულნი იქმნებიან ივლტოდნენ, ეგებ ცოცხლები გადავრჩეთო, მაშინ ჩვენც შეგვიძლიან თამამად გაეერიოთ იმათში და ადვილად გავიგოთ იმათგან, რაც გვინდა. ეგ არის, რომ ერთი ჩქარა შემოიკრიბოს დანარჩენი ჯარიცა, თორემ, მოწყენილობა დაგვხოცავს სწორედ. თავადი დომინიკი მეტად დიდ ხანს გვალოდინებს.

— სამს დღეს უკან მოელიან.

— ღმერთმა ჰქმნას, რომ მალე გაჩნდეს. პან სახელმწიფო პოდჩაში კი დღეს მოვა?

— დღეს ელიან.

ამ დროს კარები გაიღო და ოთახში სქშეტუსკი შემოვიდა. იმისი სახე, თითქო ქვაარ ისე იყო, უძრავი; რაღაც სამარის სიცივე და დამშვიდება მოჰბერდა იმის გაქვავებულს სახისაგან.

არ შეიძლება ისე შეგეხედნათ ამ ყმაწვილი კაცის სახისათვის, რომ არ შეგცოდებოდათ. გეგონებოდათ, რომ ამ სახეზედ თავის დღეში ღიმილს არ შეუთამაშნიაო. წვერი დაჰგძელებოდა, თითქმის მკერდზედ სცემდა და შიგა და შიგ ვერცხლის ძაფებივით თეთრად ბჭყვრიალებდა ჭაღარა.

არავის არ შესჩიოდა თავის დარდსა და მჭუხარებას, გარეგნობით სრულიად დამშვიდებული იყო და მთელის თვისის არსებით მისცემოდა თავის მოვალეობის აღსრულებას.

— თქვენის უბედურებისას ვლაპარაკობდით აქა; ეგ უბედურება მასთანავე ჩვენი უბედურებაც არის,— უთხრა პან ზაგლობამ,—მაგრამ, ღმერთია მოწამე, არაფრით არ შეგვიძლია ნუგეში გცეთ. ხოლო რადგან ოხვრითა და ცრემლის ღვრით არა საქმეს არა ეშველება-რა, ჩვენ გადავსწყვიტეთ, სიცოცხლე გავსწიროთ, ოღონდ კი კნიაჟნა ტყვეობიდან დავიხსნათ, თუ კი ცოცხალია სადმე ისევა.

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო!

— შენთან ერთად წამოვალთ, თუ გინდ თვით ხმელნიცკის ბანაკში,—დაუმატა ვოლოდიევსკიმ და მოუსვენრობით დაუწყო ცქერა თავისს ამხანაგს.

— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო! —გაიმეორა სქშეტუსკიმ.

— ჩვენ ვიცით,—განაგრძო ზაგლობამ,—რომ დაიფიცე, ან ცოცხალი, ან მკვდარი იპოვო, საცა იქნება. ჩვენც თუნდ ეხლავე მზადა ვართ...

სქშეტუსკი ჩამოჯდა ტახტზედ, დააშტერა თვალები ერთ წერტილს და არაფერს არ ამბობდა პასუხად, ისე რომ პან ზაგლობას გული მოსდიოდა, ასე რას გარინდებულაო. რა ამბავია, თავის განზრახვაზე ხელს იღებს, თუ რა არის? თუ ისეა, ღმერთმა ჰკითხოს მაგის პასუხი! აღარ არის, ალბათ, ქვეყანაზედ აღარც დახსომება რისიმე, აღარც მოვალეობის შეგნება. კარგი, დეე, ეგრე იყოს... იქნება ღმერთმა იპრიანოს და გამოჩნდნენ ისეთებიცა, რომ უმაგისოდაც სცადონ იმ ქალის მოძებნა და დახსნა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ იმის გადასარჩენად.

ოთახში ჩამოვარდა დუმილი, რომელსაც მხოლოდ პან ლონგინუსის ოხვრა არღვევდა. ბოლოს, ვოლოდიევსკის მოეწყინა სიჩუმე, მივიდა სქშეტუსკისთან და დაჰკრა მხარზედ ხელი.

— სად იყავი?

— თავადთან.

— მერე, რა ამბავი გაიგე?

— ამალამ მივდივარ არე-მარეს დასათვალიებრად.

— შორს მიდიხარ?

— იარმოლინცკისაკენ, თუ გზა თავისუფალია.

ვოლოდიევსკიმა და ზაგლობამ ერთმანერთს გადაჰხედეს და მაშინვე მიხვდნენ ყოველსავე.

— ბარისკენა?—წაიბუტბუტა ზაგლობამა.

— ჩვენც შენთან წამოვალთ.

— თავადს უნდა სთხოვო, მაშ, ნება, იქნება სხვა საქმე გაგიჩინოს რამე.

— ერთად წავიდეთ თავადთან. ცოტა რამ მინდა ვკითხო თავადსა.

— ჩვენც თქვენთან წამოვალთ! —სთქვა ზაგლობამ.

თავადის მისაღებ ოთახში მრავლად ირეოდნენ აფიცრები სხვა და-სხვა სადროშოსი; ახლად მოსული ჯარები ცდილობდნენ მალე გამოსცხადებოდნენ თავადსა და მის დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ. პან ვოლოდიევსკისა და პონდიპენტას საკმაოდ კარგა ხანს მოუნდათ ცდა; სამაგიეროდ, თავადმა, ჰნახეს თუ არა, მაშინვე ნება დაჰრთო, თქვენც შეგიძლიანთ წახვიდეთ და რუსის დრაგუნებიც გაჰგზავნოთ ბოგუნის ყაზახთა ბანაკში, იქნება მართლა კნიაჟნას ამბავი რამ შეიტყოთო.

— განგებ ვცდილობ სხვა-და-სხვა საქმე გავუჩინო სქშეტუსკისა,—სთქვა თავადმა,—ვხედავ, რომ დარდი ჩავარდნია გულში და ლამის ზეზეულად დაადნოს. თქვენთვის არა უთქვამს-რა?

— თითქმის არას გვეუბნევა,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ.— პირველად ზეზედ წამოიჭრა და უნდოდა მაშინვე თავს დასხმოდა ყაზახებს, მაგრამ პატარა ხანს უკან გონს მოვიდა, მოაგონდა, რომ ჯარები იკრიბება მტრის დასახვედრად, რომ ჩვენ ყველანი მოვალენა ვართ სამშობლო დავიცვათ და ამიტომ ველარც თქვენთან იტვირთა მოსვლა დასათხოვნად. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, რაც მის თავს ამბავია ეხლა.

— ძალიანა ჰნაღვლობს და იტანჯება. ყური უგდეთ, ვხედავ, რომ ერთგულნი მეგობარნი ხართ იმისი.

ვოლოდიევსკიმ დაბლა დაუკრა თავი და გავიდა ოთახიდან, რადგან სწორედ ამ დროს მოვიდა თავადის სანახავად კიევის მოურავ-ერისთავი, პან დენგოფი, უფროსი სტობნიცკი და სხვანი მალალ-ხარისხოვანნი.

— აბა, რა ამბავი მოგაქვს?—ჰკითხა დანახეის უმალვე სქშეტუსკიმ.

— მეც შენთან მოვდივარ. მხოლოდ ჯერ ჩემის პოლკის კაცები უნდა გავგზავნო სხვა-და-სხვა საქმისათვის აქეთ-იქითა.

ყველანი გაუდგნენ გზას, ესე იგი ქსშეტუსკი, ვოლოდიევსკი, პონბიპენტა, ზაგლობა და ზაცვილიხოვსკი, რომელიც თავის სადროშოსკენ მიდიოდა. დრაგუნების ბინის ახლოს ჩვენს მეგობრებს შემოჰხვდათ პან ლაშჩი თავის ამხანაგებითა, რომელნიც ისევე გადაკრულნი იყვნენ, როგორც ლაშჩი. პან ზაგლობამ ღრმად ამოიოხრა. ზაგლობა ჯერ ისევ კონსტანტინოვს დაუმეგობრდა სახასო დარაჯს და მაშინვე გადასწყვიტა გულში, რომ ლაშჩი კარგის ხასიათის კაციაო. სახასო დარაჯი, ეს რისხვა და ზარი მტრისათვის, როცა თავისუფალი იყო და საქმე არა ჰქონდა-რა, სმასა და ქეიფს ეტანებოდა იმისთანათა შორის, როგორიც იყო პან ზაგლობა. სასაშინელი აბეზარი რამ იყო და იმდენი რამ ხათაბალა გადაჰხდოდა, რომ სხვა ქვეყანაში თხუთმეტჯერ ჩამოახრჩობდნენ. რამდენჯერმე ჰქონდა სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი, მაგრამ ლაშჩი მშვიდობიანობის დროსაც ყურადღებას არ აქცევდა ამ განაჩენებსა და ომიანობის დროს ხომ აინუნშიაც არ მოსდიოდა. თავადს შეუერთდა როსოლოვცასვე და მცირედი სამსახური არ გაუწია კონსტანტინოვში, მაგრამ ზბარაზში კი საქმე გააჭირვა თავის აბეზარობითა. ვინ იანგარიშებს, რამდენი სასმელი დაულია ლაშჩის პან ზაგლობამ, რამდენი სისულელე უამბო, მაგრამ ბარის აღების შემდეგ მოხუცი შლიახტიჩი ცუდს გუნებაზედ დადგა, სმისა და ქეიფის ეშხზედ აღარ იყო და თავი დაანება პან დარაჯთან სიარულსა. პან ლაშჩს ეგონა, უთუოდ ზაგლობა წავიდა სადმე სხვაგანაო და უცებ კი შეეხეჩა ახლა გზაში.

— ოჰ, გამარჯობა შენი! რატომ ერთხელ აღარსად შეგოიარე, რასა იქ, როგორა ხარ.

— აი სულ პან სქშეტუსკისთანა ვარ,—უპასუხა ზაგლობამ.

დარაჯთა უფროსს, ცოტა არ იყოს, არ უყვარდა სქშეტუსკი, პირ-კუშტი და დაღვრემილი კაციაო, ბრძენს ეძახდა დაცინვითა. ლაშჩმა კარგად იცოდა, რა უბედურებაც დაატყდა

თავს სქშეტუსკის, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს იმაგრებდა და ამ საგნის შესახებ ერთხელაც არ გადუკრაეს მისთვის სიტყვა. ახლა კი გადათხლეშილი იყო, წაავლო ხელი ჯუბის ღილზედ პარუჩიკს და ჰკითხა:

— შენ კიდევ მაინც სულ შენს გულის ვარდსა სტირი? ჰა, ძლიერ ლამაზი იყო?

— თავი დამანებეთ!—უთხრა ყრუდ სქშეტუსკიმ.

— დაიცა პატარა ხანსა.

— საქმე მაქვს, მეჩქარება, სამსახურის გამო მივდივარ. გამიშვით!

— დაიცადე-მეთქი,—ახირდა ლაშჩი და დაიწყო ახირება, როგორც მთვრალს კაცსა სჩვევია.—შენ გაქვს საქმე და არა მე. მე აქ ვერავინ გამიბედავს, თავის ნებაზე მატრიალოს.

ლაშჩმა ხმა დაუდაბლა და დაიწყო:

— მითხარი, ერთი, ძალიან ლამაზი იყო?

პარუჩიკმა კოხები შეიკრა და სახე მოეღრუბლა.

— ჩემს წყლულს ნუ აკარებ ხელსა.

— ხელს ნუ ვახლებ? ნუ გეშინიან. თუ ლამაზი იყო, მაშ ცოცხალი იქნება.

სქშეტუსკის მკვდრის ფერი დაედო, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა და უთხრა:

— ბატონო, დარაჯთ-უფროსო, ნუ გავიწყდებათ, ვის ელა-პარაკებით.

ლაშჩი სახტად დარჩა და თვალები დააჭყიტა.

— რაო, რაო? მემუქრებით, მე მემუქრებით?

— თქვენს გზაზედ წადით, ბატონო დარაჯთ-უფროსო!—დაუყვირა სიბრაზით აკანკალებულმა ზაცვილიხოვსკიმ.

— ჰაი, თქვე წუწკებო! —დაიწყო მიქარვა დარაჯთ-უმფ-როსმა.— არიქათ, ყმაწვილებო, ხმალი ამათა!

ლაშჩმა იძრო ხმალი და მიჰვარდა სქშეტუსკის, მაგრამ იმავ წუთს ხმალი ხელიდან გააგდებინეს და თვითონაც ბრა-გვა გასძვრა მიწაზედ.

პან სქშეტუსკიმ ხელი აღარ ახლო. იდგა გაფითრებული და აღელვებული ხალხში, რომელიც უცბად მოგროვდა ამ აურ-ზაურის დროს. ერთის მხრიდან დარაჯთ-უფროსთა ჯარის კაცნი მოცვივდნენ, მეორედან ვოლოდიევსკისა. ასტყდა ყვირილი: „დაჰკა! დაჰკა!“ აი, გაიელვა ამოწვდილმა ხმალმა, შეიქნა მიხლა-მოხლა, რომელიც შესაძლო იყო შემდეგ ბრძოლად გადაქცეულიყო. ბედი კიდევ, რომ ლაშჩის მომხრეებმა დაინახეს, ჩვენ ცოტანი ვართო, დასთმეს გულის წყრომა, წაავლეს ხელი დარაჯთ-უფროსსა და წაიყვანეს ძალ-და-ძალ.

ნაკლებ-გაწერთნილი ჯარის-კაცნი რომ ყოფილიყვნენ, იქვე წიწილასავით გაჰგლეჯდნენ ლა'შჩსა, მაგრამ მოხუცი ზაცვილიხოვსკი მალე მოვიდა გონზედ, დაიძახა „გაჩერდითო!“ და ყველამ ხმალი ქარქაშში ჩააგო.

მაინც ამ დროს პან კუშელმა გაიარა ახლოს, შეჰნიშნა ეს ჩოჩქოლი და თავის მოვალეობად დასახა, ყოველივე თავადისათვის ეუწყებინა. საჩქაროზედ შევიდა თავადთან და მოახსენა აღელვებით:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჯარის-კაცნი ერთმანეთსა სჩეხავენ.

ამ დროს გაიღო კარები და ოთახში შეჰვარდა სიბრაზით გაფითრებული პან დარაჯი.

— თავადო,—ღრიალებდა ლაშჩი,—სამართალს ვითხოვ! თქვენს ბანაკში, დითქო ხმელნიცკის ბანაკიაო, არც დამსახურებას, არც ღირსებას ყურადღებას არ აქცევენ! ხმალს იწვდიან სახელმწიფოს მოხელეთა წინააღმდეგ! თუ სამართალს არ მოგცემთ, სიკვდილით დასჯას არ გადაუწყვეტავთ თავ-გასულს შეურაცხმყოფელს, მე თვითონ ვიპოვი გზას.

თავადი ზეზედ წამოიჭრა.

— რა მოჰხდა? ვინ რა გაწყენინათ?

— თქვენმა აფიცერმა, სქშეტუსკიმ.

თავადი გაჰკვირდა და მეტად ეოცა ეს ამბავი.

— სქშეტუსკიმა?

გაიღო კარები და შემოვიდა ზაცვილიხოვსკი.

— თავადო, მე თვითონ დავესწარი მაგ ამბავს, — სთქვა მოხუცმა.

— მე აქ იმიტომ კი არ მოვსულვარ, რომ პირში წავუდგე ვისმე, მე ვითხოვ სასჯელს, — ჰყვიროდა ლაშჩი.

თავადი მიუბრუნდა ლაშჩსა და თვალი თვალში გაუბნია.

— წყნარად, წყნარად! — დადინჯებითა და ტკეპნით წარმოსთქვა თავადმა.

ალბად ან თავადის სახე ან მისი წყნარი ხმა იყო იმდენად საშიში, რომ თავის ლირფობითა და აბეზარობით განთქმული დარაჯთ-უფროსი მაშინვე გაჩუმდა, თითქო ენა მუცელში ჩაუვარდა, ხოლო სხვა დანარჩენნი უცბად გაფითრდნენ.

— თქვენა სთქვით, რა ამბავი იყო, — უბრძანა თავადმა ზაცვილიხოვსკისა.

— ხომ მიცნობთ, თავადო, იცით, რომ სამოც და ათის წლის კაცი ვარ, და არც ერთხელ პირი არ შემირცხვენია ტყუილის ლაპარაკით. ახლაც, თუნდა დამაფიცოთ, ერთს სიტყვას ვერც მოვუმატებ და ვერც დავუკლებ იმასა, რაც ვნახე და რასაც მოგახსენებთ.

თავადმა იცოდა, რომ ზაცვილიხოვსკი მართალი კაცი იყო, ამას გარდა, ლაშჩსაც კარგად იცნობდა, რა შვილიც იყო. თავადმა მოისმინა ყოველივე, ხმა არ ამოიღე, წაავლო ხელი კალამს და დაიწყო რაღაც ბარათის წერა.

— რასაც ითხოვთ, მიიღებთ, — უთხრა მან დარაჯთ-უფროსს, როცა ბარათის წერა გაათავა.

დარაჯთ-უფროსმა პირი გააღო, რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვები არ ემორჩილებოდა როგორღა ?, ბოლოს დინჯი შემოიყარა, თავი დაუკრა თავადსა და თავ-მომწონედ გავიდა ოთახიდან.

— ჟელენსკი, — ბრძანა თავადმა, — წაუღე ეს ბარათი პან სქშეტუსკისა.

პან ვოლოდიევსკი, რომელიც სქშეტუსკის არა შორდებოდა, ცოტა არ იყოს, შეშინდა, თავადის პაჟი რომ დაინახა.

ჟელენსკიმ ხმა არ ამოიღო, გადასცა პაკეტი და წავიდა. სქშეტუსკიმ წაიკითხა ბარათი ერემიასი და თავის ამხანაგს მისცა.

— წაიკითხე,— უთხრა მეგობარმა.

პან ვოლდიევსკიმ სიხარულით შეჰყვირა:

— პარუჩიკობის ფირმანი!—და გადაეხვია სქშეტუსკის.

პარუჩიკობის წოდება გუსართა სადროშოსი დიდს ადგილს ანიჭებდა კაცს სამხედრო იერარქიაში. იმ პოლკში, საცა სქშეტუსკი მსახურობდა, თვით თავადი იყო როტმისტრი, ხოლო პარუჩიკად ითვლებოდა ჩენჩელი სუფჩინსკი, კაცი მოხუცებული, რომელსაც დიდი ხანი იყო, რაც თავი დაენებებინა სამსახურისათვის. პან სქშეტუსკი ასრულებდა de facto ორსავე თანამდებობას და ეს ამბავი არავის არ ეუცხოვებოდა. ბევრგან პოლკებში ორი პირველი ჩინი მარტო სახელი იყო მის პატრონთათვის. აი, მაგალითად, სამეფო სადროშოში თვით მეფე იყო როტმისტრი, პრიმასის სადროშოში—პრიმასი იყო, პარუჩიკებად კიდევ დიდებულნი კარის-კაცნი, ხოლო მათს თანამდებობას ასრულებდნენ სამაგიერო ჯინიშანები, რომლებსაც ჩვეულების გამო პარუჩიკებსა და როტმისტრებს ეძახდნენ. აი ასეთი პარუჩიკი იყო პან იან სქშეტუსკიცა, გარნა თვით წოდებასა და წოდებასთან დაკავშირებულ თანამდებობის აღსრულებას შორის დიდი მანძილი იყო. ახლა კი ახალის ბრძანების წყალობით პან სქშეტუსკი უცბად შეიქმნა უფროსი აფიცერი რუსეთის მთავარ-მოურავისა.

მეგეობრები დიდის სიხარულით ულოცავდნენ ახალის და მაღალის თანამდებობის მიღებას სქშეტუსკისა, მაგრამ ის მაინც ისევ იმ გუნებაზედ იყო, როგორც წინად: მისი სახე ისევ გაქვავებულივით იყო. ისეთი პატივი და დიდება არა იქნებოდა-რა მთელს ქვეყნიერობაზედ, რომ მისი გული გაემხიარულებინა.

მაინც ადგა და წავიდა, რომ მადლობა გადაეხადნა თავადისათვის. ვოლოდიევსკიმ ოთახში ბოლთისცემა დაიწყო და ხელებს იფშნეტავდა.

— არა, არა!—იმეორებდა ყმაწვილი კაცი,—გუსართა სადროშო პარუჩიკო. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, აგრე ახალგაზდას ეგ წოდება დაემსახურებინა.

— ის-ღა აკლია მხოლოდ, რომ ღმერთმა დაკარგული ბედნიერებაც დაუბრუნოს!—სთქვა ზაგლობამ.

— საქმეც ეგ არის, არა! შეჰნიშნეთ, რომ წარბიც არ შეუხრია, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

— მე მგონია, რომ სიხარულით იტყოდა მაგ წოდებაზედ უარს, რომ მაგისი გული სხვაფრივ გამხიარულებულიყო.

— რა გიკვირთ, ყმაწვილებო?—ამოიოხრა ზაგლობამ.—იმ ქალის გულისათვის მეც კი გავწირავდი ამ ჩემს მარჯვენას, რომლითაც მტერს დროშა გამოვტაცე.

— მაშ, სჩანს, პან სუფჩინსკი მომკვდარა?

— ალბად.

— ჯინიშანი ვიღა უნდა იყოს? მედროშე ჯერ სულ ბავშვია და მხოლოდ კონსტანტინოვის ბრძოლის შემდეგ უჭირავს ეგ ადგილი.

ეს საგანი გადაუწყვეტელი დარჩებოდა, რომ თვით პარუჩიკი სქშეტუსკის არ მოეტანა ახალი ამბავი.

— პან პოდბიპენტა,—სთქვა მან,—თავადმა შენ დაგნიშნა ჯინიშანად.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!—ამოიკვნესა პან ლონგინუსმა და ისე დაიკრიფა ხელები, თითქო ლოცვისათვის ემზადებაო.

— თუნდ ეგ დაუნიშნაეთ, თუნდ ინფლანდიის იაბო,—წაიტუტუნა ზაგლობამ.

— გზად წასვლა-ღა?—ჰკითხა პან ვოლოდიევსკიმ.

— ეხლავ უნდა წავიდეთ, ეხლავა.

— როგორა ბრძანა თავადმა, ხალხი ბევრი წაიყვანეთო?

— ყაზახთა და ვლახელთა სადროშოვო, სულ ხუთასი.

— ეჰე, ეგ კარგი, ეგ ხომ მთელი ლაშქარია. როცა აგრეა, მაშ დროა გავწიოთ.

ორს საათს შემდეგ, მზეც ჩავიდა და ჩვენი ნაცნობი ოთხი მეგობარიც გაუდგა გზას სამხრეთად, ხოლო ამავე დროს გა-

სწია ჩრდილოეთად თავადის ბანაკიდგან დარაჯთ-უფროსმა თვისის კაცებითა. რაინდნი დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ ლაშჩსა და გარშემო ეხვეოდნენ პან კუშელსა, რომელიც უამბობდა, რა მიზეზით იქმნა განდევნილი ბატონი დარაჯთ-უფროსი და როგორ მოჰხდა ყოველივე ეს საქმეო.

— მე წავუღე თავადის ბრძანება, და არ დაიჯერებთ, ვერაფერი სასიამოვნო საქმეც მომანდო ჩვენმა მოურავ-ერისთავმა, მაგრამ მეტი რა ღონე იყო. ბრძანება რომ წაიკითხა, ხარივით დაიღრიალა, თითქო შამფურით დასდაღესო. მომვარდა ხმალამოღებული, მაგრამ მალე დაინახა ნემენცები პან კორიცკისა და ჩემი დრაგუნები. მერე მოჰყვა ყვირილსა: „კარგი, ძალიან კარგი! წავალ! მაგდებენ განა! წავალ თავად დომინიკთან, ის დამაფასებს, ის უკედ მიმიღებს! დიდი ამბავია, თუ ღარიბ-ღატაკებთან ერთად არ ვიმსახურე! იმ სალახანას კი მე ვაჩვენებ თავის სეირს, დავუმტკიცებ, ვინც არის ლაშჩი!“ მე მეგონა სიბრაზე დაახრჩობს-მეთქი; სდგას სტოლთან და აცლის და დაჰკრაეს ზედ ხანჯალსა. უნდა გითხრათ, მეფიქრება კიდეც, რომ პან სქშეტუსკის არა აუტეხოს-რა; იმისთანა კაცთან ხუმრობა არ იქნება. ვოროზი და ამპარტავანი კაცია, თავის დღეში არავისთვის წყენა არ შეურჩენია.

პარუჩიკი ამასობაში უახლოვდებოდა თავის რაზმით ოჟიგოვცას ბარისა და მედვედოვკის გზითა. თუმცა სექტემბრის სიცივეებმა ათასფრად შეჰღეპა ფოთოლი ხეებზედ, მაინც თბილი და წყნარი ღამე იყო, თითქო ივლისიაო. ავდრიან ზაფხულს შემდეგ დადგა მშრალი და ტკბილი შემოდგომა. დღისით ცა მოწმენდილი იყო და ღამეები ნათელი. გზა კარგი იყო და შიში არაფრისა,—თავადის ბანაკს ჯერ არ დაჰშორებოდნენ საიმისოდ და ამიტომ რაზმი სწრაფად მიდიოდა წინ. პარუჩიკი წინ მიდიოდა და თან რამდენიმე ჯარის-კაცი ახლდა, ხოლო მას უკან მისდევდნენ ვოლოდიევსკი, ზაგლობა და პან ლონგინუსი,

— ერთი შეჰხედეთ, რა ნაირი სინათლეა აიმ სერზედა,— ჩურჩულითა სთქვა პან ზაგლობამ,—ასე ჰგონია კაცს, დღეაო.

ამბობენ, რომ ამისთანა ღამეები მხოლოდ ომის დროს იცის ხოლმეო; იმიტომაო, რომ სული, რომელიც ხორცს განშორებია, სიბნელეში ხეებს არ დაეჯახოს, როგორც ჩიტები ჭერს ეხეთქებიან ხის ფარდულში, და ადვილად ჰპოულობდეს თავის გზასაო. დღეს პარასკევია, დღე მაცხოვრისა, დღეს მკვდრები არ ამოდიან თავიანთ საფლავებიდან და მავნე სულები ვერას დააკლებენ ადამიანსა. თითქო ვგრძნობ, რომ არა მამძიმებს-რა, რაღაც იმედი მეღვიძება გულში.

— საქმე დაწყებულია, რაკი წამოვედით, ახლა ფიქრი აღარ არის, —სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— იმაზედ ძნელი აღარა არის-რა, რომ უმოქმედოდ იჯდეს კაცი ერთს ალაგას.—შეჯდები თუ არა ცხენზედ, ჰგრძნობ, რომ თითქო ნელ-ნელა ყოველი დარდი და ნაღველი თავს განებებსო, ბოლოს ხომ სულ გადაგეყრება გულიდან ყოველივე მწუხარება.

— ვეჰვობ, რომ აგრე იყოს,—ღრმად ამოიოხრა პან ლონგინუსმა.—თუ მწუხარება დიდია და ძლიერი, აგრე ადვილად ველარ მოიშორებ თავიდან.

ვოლოდიევსკიმ ჰკრა ქუსლი ცხენსა და სქშეტუსკის დაეწია. დიდ ხანს იარა ასე იმასთან დამხარდამხარებით, დიდ ხანს იყო ჩუმად და ათვალიერებდა იმის უმოძრაო სახეს და ბოლოს კი უზანგო ჰკრა მის უზანგოსა.

— იან,—უთხრა მეგობარმა,—არ არის კარგი, რომ აგრე ეძლევი ფიქრსა და დარდსა.

— მე არა ვდარდობ, ვლოცულობ.

— ეგ კარგი საქმეა, მაგრამ ბერი ხომ არა ხარ, რომ მარტო ლოცვას მისდევდე.

პან სქშეტუსკიმ მოიბრუნა მისკენ თვისი დატანჯული სახე და ჰკითხა ყრუ და საშინელის განწირულებით აღსავსე ხმით:

— ერთი მითხარი, რაღა დამრჩენია განა ბერის სამოსელს გარდა ამ ქვეყნად?

— ის დაგრჩენია, რომ უნდა გადაარჩინო სიკვდილსა და დაიხსნა მტრის ხელიდან ის ქალი,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

— მაგრეც მოვიქცევი, ყველაფერს გავწირავ, უკანასკნელს სისხლის წვეთს არ დავზოგავ. მაგრამ თუნდა რომ ცოცხალიც ვიპოვო, რა ბედენაა ჩემთვის, სულ ერთი არ არის. ოჰ, შემიწყალე, ყოვლის შემძლებელო!... ყველაფრის ფიქრი შემიძლიან და მაგ ფიქრს კი ვერ ავიტან... შემიბრალე, ღმერთო, ლამის გონება დავკარგო. მაგის მეტი აღარა მინდა-რა, ოღონდ კი ის გადავარჩინო და გამოვიტაცო იმ ბოროტის კაცის ხელიდან. მერე აღგეს და ეძებოს თავისთვის სადმე სავანე, მეც ჩემთვის მოვძებნი ჩემს საეანეს. სჩანს ასეთია ნება უფლისა. ნუ დამიშლი, ვილოცო, ნუ ახლებ ხელს ჩემს წყლულს, ჩემს დასისხლიანებულს იარას...

ვოლოდიევსკის გული მოუკვდა; უნდოდა ეთქვა რამე კიდევ, მაგრამ ენის განძრევის ილაჯი აღარა ჰქონდა. ამხანაგები დადუმებულები მოდიოდნენ წინ მუნჯებივითა.

პან სქშეტუსკის თავისი რაზმი მხოლოდ ღამ-ღამე მიჰყავდა წინა, ხოლო დღისით ისვენებდა. მიუახლოვდებოდა თუ არა, ვსთქვათ, რომელსამე სოფელს, მაშინვე ალყას შემოარტყავდა, ნუზლ-სურსათს დაიმზადებდა ჯარის-კაცთათვის, იკითხავდა, იწვრილებდა მტრის ამბავსა და გასწევდა ახლა სხვა სოფლისაკენ. მცხოვრებელთ სრულიად უვნებლად სტოვებდა. პატარას გასცდებოდა თუ არა სოფელს, მაშინვე გზას გადაუხვევდა, რომ მტერს არ გაეგო, საით წავიდაო. სქშეტუსკის ლაშქრობას აზრად ჰქონდა გაეგო, კრივანოსს და იმის ორმოც-ათასს ჯარს ისევ ალყა აქვს შემორტყმული კამენეცის ქალაქის გარშემო, თუ ალყა ახსნა და წავიდა ხმელნიცკის მისაშველებლადაო, რას აკეთებენ დობრუჯელი თათრები, გამოვიდნენ დნესტრში და შეუერთდნენ კრივონოსსა, თუ ჯერ ისევ გალმა-მხარში არიანო. ამის ცოდნა ძალიან საჭირო იყო პოლონელთა მხედრობისათვის, მაგრამ გეტმანებმა ამისათვის დროზედ არ შეიდეს თავი. თუ კრივანოსმა აკკერმანისა და დობრუჯის თათრებით ალყა ახსნა მიუდგომელს კამენეცს და ხმელნიცკისთან შეერთებას ისწრაფოდა, საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე, გაელაშქრა მხედრობას ხმელნიცკის წინააღ-

მდეგ, რათა არ გაძლიერებულიყო, მაგრამ მხედართ-მთავარი, თავადი დომინიკ ზასლავსკი-ასტროვსკი, არა ჩქარობდა. დომინიკს ორის დღის შემდეგ ელოდნენ ერემიას ბანაკში. ალბად, გზა-გზა ნადიმობდა, თავის ჩვეულებისამებრ, დრო კი მიდიოდა, ძვირფასი დრო, და მთავარს ერემიას სასოება ეკვეთებოდა, თუ ასე ვიომეთ ჩვენა, არა თუ კრივანოსი, დნესტრ-გაღმა დაბანაკებული ურდონი მოასწრობენ ხმელნიცკის მიშველებას, არამედ თვით ხანიც კი მოასწრებს მასთან შეერთებას მთელი თვისის პერეკოპისა, ნოღაისა და აზოვის ურდოებითა.

ერემიას ბანაკში უკვე ამბობდნენ კილოკავად, რომ ხანი გამოვიდა კიდეც დნეპრ-გამოღმა და თან მოჰყავს ორასი ათასი კაცი, და მთავარი დომინიკი კი მაინც არსად იყო.

ყოველივე ისე მოეწყო, რომ შესაძლო იყო ერემიას მხედრობას ისეთს მტერთან შეჰმთხვეოდა ბრძოლა, რომელიც ხუთჯერ მაინც მეტი იქნებოდა რიცხვით. და თუ, ვინიცობაა, ამ მხედრობას დასძლევდა მტერი, მაშინ რაღა დაუშლიდა, თვით შიგ შუა-გულ რესპუბლიკას დასხმოდა თავს და კრაკოვსა და ვარშავას ახლო ამოეყო თავი.

კრივანოსი იყო ყველაზედ საშიში. გეტმანები რომ, ვსთქვათ, შუა-გულ უკრაინისაკენ წასულიყვნენ, კრივანოსი, კამენეციდან წამოსული ჩრდილოეთად, გადაუღობავდა გზას და პოლონელთა მხედრობა ორ-წყალ შუა ჩავარდებოდა. სქშეტუსკიმ გადასწყვიტა, არა თუ გავიგებ იმის ამბავსა, არამედ შევაყენებ, დავაბრკოლებ კიდეცაო. პარუჩიკი გაიმსჭვალა ამ საქმის დიდ-მნიშვნელოვანებით და მზად იყო თავი გაეწირა მისთვის თვისის რაზმითურთ. ცხადია, პირდაპირ შებრძოლება კრივანოსის ორმოცი-ათას ჯართან სრული უგუნურება იქნებოდა; პან სქშეტუსკი იმდონად გამოცდილი იყო, რომ ამისთანა საქმეს არ იტვირთებდა. ესეც იცოდა, რომ ყაზახნი ერთს წუთსეე ფეხ-ქვეშ გამთელავენო, და ამიტომ სხვა ღონეს მიჰმართა. პირველ ყოვლისა გაავრცელა ხმა თვისთა ჯარის-კაცთა შორის, რომ ჩვენ წინა რაზმი ვართ საშინელის თავადის ერემიას დივიზიისაო, ჯარის-კაცნიც, რასაკვირველია, ამას

ამბობდნენ ყველგან, საცა კი სოფელსა და დაბაში მივიდოდნენ. და ეს ხმა ელვასავით სწრაფად ვრცელდებოდა ზბრუჩში თვით დნესტრამდე და მიჰქროდა კიდევ უფრო შორს, კამენეციდან ემორლიკამდე. ეს ამბავი ეკერათ ენაზე ოსმალთა ფაშებსაც ხოტინში, იმიერ-ჭორომელთაც იამპოლში და თათრებსაც რაშკოვში. და კვლავ გაისმა ნაცნობი ძახილი: „ერიომა მოდის“!—ის ძახილი, რომლის გამოც შიშითა ძრწოდა გული მეამბოხესი.

ეჭვი არავის არა ჰქონდა, რომ ეს ხმა მართალი არ იყო. რა საკვირველია განა, გეტმანები შეუტევენ ხმელნიცკის, ხოლო ერიომა კრივანოსსაო. ამას რაღა ლარი და ხაზი უნდაო. თვით კრივონოსმა დაიჯერა ეს ხმა და ყურები ჩამოჰყარა. რა ვქნა ახლაო? შევუტიო მთავარსა? კონსტანტინოეთან უფრო მეტი ჯარი მყავდა, მდაბიონიც უფრო გულადად იყვნენ, მაგრამ ვიძლივენით, დავმარცხდით, სულ თავზედ კაკალი გვამტვრიეს. კრივანოსი დარწმუნებული იყო, რომ ჩემი ყაზახნი გამგელებით შეებრძვიან, რა ჯარიც უნდა იყოს რესპუბლიკისაო, ვინც უნდა ჰყავდეს იმ ჯარს მხედართ-მთავრადაო, მაგრამ დაინახავენ თუ არა ერემიას, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებიან, როგორც გედთა გუნდი არწივის დანახვაზედ, როგორც ბუმბულის გინგლი მინდორში ქარის ამოვარდნაზედაო.

მაშ კამენცთან ველოდო? ეგ კიდევ უარესიო. და კრივონოსმა გადასწყვიტა, წავალ აღმოსავლეთად, ბრაცლავისაკენ, მოვარიდებ თავს საშინელს მტერს და შევუერთდები ხმელნიცკისაო.

ამავე დროს გაისმა ახლა სხვა ხმაცა, რომ ეითომ ხმელნიცკი უკვე იძლიაო (ეს ხმა პან სქშეტუსკიმ გაავრცელა). საწყალს კრივანოსს სულ გონება დაებნა. მაგრამ სულ ერთია, სხვა ხსნა არ არის, თუ არ აღმოსავლეთად გაქცევაო. წავალ მინდვრად; იქნება იქ თათრებს შევხვდე და იმათ შევუერთდებიო.

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ნამდვილად გაეიგო საქმის ვითარებაო. კრივანოსმა დაიწყო ფიქრი, არავინ იქნება

ნეტავი ჩემს პოლკოვნიკებში ისეთი ერთგული და გულადი, რომ ის გავგზავნო ახლო მახლო მიდამოთა მოსათვალიერებლადო? ძნელი ამოსარჩევია ასეთი კაცი, მსურველი არავინა სჩანს, საჭირო კია ისეთი კაცი, რომელმაც, თუ ვინიცობაა მტერს ჩაუვარდა ხელში, არას გზით, წამების ქვეშაც კი არ გამცეს და ჩემი განზრახვა ლტოლვისა არ გაამჟღავნოსო.

ბოლოს ასეთი კაციც იპოვა.

ერთს ღამეს კრივანოსმა ბრძანა, დამიძახეთ ბოგუნსაო.

— გამიგონე, ძმაო იურკო,—უთხრა იმან,—ჩვენთან შემოსაბძოლად მოდის ერემია დიდის ლაშქრითა. ჩვენ უბედურნი ყველანი დავიღუპებით!

— მეც გავიგონე, რომ მოდისო. აკი წინადაც მოვილაპარაკეთ, მამავ და ბატონო, მაგ საგნის გამო და რაო, რად დავიღუპებით განა?

— ვერ გავუმაგრდებით. სხვას იქნება გავმკლავებოდით, მაგრამ ერემიას კი ვერა. ყაზახებს ეშინიანთ იმისი.

— მე იმისი არ მეშინიან. გალმა-მხარში, ვასილიევსკის მთელი პოლკი ამოვწყვიტე იმისი.

— ვიცი, რომ შენ არ გეშინიან იმისი. შენი ყაზახური ვაჟკაცობა და სახელი იმის თავადურს დიდებას არ ჩამოუვარდება, მაგრამ მე არ შემიძლიან შევება, და არც ყაზახნი მოინდომებენ... მოიგონე, როგორა ყაყანობდნენ თათბირზედა, რა ნაირ მოიწევდნენ ჩემზედ ხმალ-ამოწვდილი და მიყვიროდნენ, რას გეპირობ, სასიკვდილოდ სად მიგყევართო.

— მაშ წავიდეთ ხმელნიცკისთან; იქ არც სისხლის-ღვრა მოგვაკლდება და არც დავლა-ალაფი.

— ამბობენ, რომ ხმელნიცკი გეტმანებმა სძლიესო.

— მე ეგ არა მჯერა, მამავ და ბატონო; ხმელი კუდიანი მელაა, თუ არ თათრებთან ერთად, ისე არ შეებრძოლება ლიახებს.

— იქნება აგრეც იყოს, მაგრამ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეგ ეგრეა. მაშინ მოვარიდებდით თავს მაგ ტარტაროზ ერემიასა, შეეუერთდებოდით ხმელნიცკის, მაგრამ ჯერ უნდა დავ-

რწმუნდეთ მაინცა! აი, რომ იყოს ვინმე, არ შეუშინდებოდეს ერემიას და წავიდოდეს ახლო-მახლო მიდამოთა მოსათვალიერებლად. იქნება ჯაშუშიც შეიპყრას სადმე. აი ამ ქუდით ერთს სულ ბაჯაღლო ოქროს დავუთვლიდი.

— მე წავალ, ბატონო, არა ბაჯაღლოს გულისათვის, არამედ სახელისა და ვაჟკაცობის მოსაპოვებლად!

— ჩემ შემდეგ მეორე ატამანი შენ ხარ და წასვლა კი გინდა? მალე პირველი ატამანიც იქნები და წინ წაუძღვები ყაზახთა, ამა ვაჟკაცთა რჩეულთა, იმიტომ რომ არ გეშინიან ერემიასი. წადი, გმირო, წადი და მერე მთხოვე, რაც გინდა. ჰო, ახლა აი რას გეტყვი: შენ რომ არ წასულიყავ, მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ ვაი რომ ჩემი წასვლა არ შეიძლება.

— თქვენი წასვლა არ შეიძლება; თქვენ რომ წასულიყავით, ყაზახნი აყაყანდებოდნენ, აიგერა წავიდა და თავს უშველოო, და გაიფანტებოდნენ აქეთ-იქითა. მე რომ წავიდე-კი, გული მოეცემათ.

— ამალა ბევრი გინდა?

— არა, ბევრს არავის წავიყვან; მცირე გუნდით უფრო ადვილია მალვით სიარული. ერთი ხუთასიოდე კაცი მიბოძეთ და თავს მოვიჭრი, თუ ჯაშუში არ მოგგვარეთ.

— მაშ, წადი ეხლავე. კამენცას ზარბაზნებს ისვრიან სიხარულით, ლიახნი გადავრჩით და დეე ყაზახნი ამოსწყდნენო.

ბოგუნი წავიდა და მაშინვე სამგზავროდ დაიწყო მზადება. იმისმა ყაზახებმა, თვისის უცვალებელის ჩვეულებისამებრ, დაიწყეს ჭირვეული სმა და შიგ იხრჩობდნენ თავს არაყში. „ვცეცხლოთ და ვეუფლოთ, სანამ სიკვდილი მოვა და მოუსვენარს სულს ამოგვაძრობსო“; ბოგუნიც სხვასთან ერთად სვამდა; ბოლოს სულ გადირია, ბრძანა, მოაგორეთ კუპრით სავსე ბოჩკაო და, როცა მოაგორეს მართლა, როგორც იყო ხავერდ-ატლასით მოსილი, ისე იმიან-იმიანად შიგ ჩაჰყო თავი, ამოევლო ერთჯელ, ორჯელ, სამჯერ და დაიძახა:

— შაეი ვარ ახლა, როგორც ბნელი ღამე! ვეღარ დამინახავენ ლიახთა დასაბრმავებელი თვალები.

მოახტა ცხენსა და გააქროლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. უკან გაჰყვა მხლებელთა რაზმიცა. ხოლო პან სქშეტუსკი ამასობაში იარმოლინცამდე მოვიდა და, რადგან იქაურებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, უწყალოდ დასაჯა საცოდავნი, დაეშუქრა, ერემია მოვა დაუყოვნებლივაო და იმ-ღამეს იქვე დარჩა.

საღამოზედ უთხრა თავის ამხანაგებს:

— ჯერ-ჯერობით ღმერთი გვშველის. მართლა მოწინავე ჯარი ვგონივართ თავადის მხედრობისა, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ რამე-კი, რომ ჩვენი საიდუმლო არ გამჟღავნდეს.

— დიდ ხანს ვივლით კიდევ ასე?—ჰკითხა ზაგლობამ.

— მანამ, სანამ არ გავიგებთ, რა უდევს გულში კრივანოსსა.

— მაგრე თუ ვიარეთ, იქნება ომიც მოჰხდეს და ჩვენ კი ვერა გავიგოთ-რა, ჩვენებს ველარ შევუერთდეთ.

— ადვილად შეიძლება.

— ეგ ვერაფრად მომწონს. მართალია, კარგად მოჰხვდათ ყაზახებს კონსტანტინოვთან, მაგრამ ის არ ეყოფათ. ისეთი მაქვს ხელები, სულ მექაეება...

— შესაძლოა, აქ უფრო დიდის ომის გადახდა შეგემთხვეს, ვიდრე გგონია.

— ოჰ, საიდანაო?—ჰკითხა პან ზაგლობამ, მოუსვენრობით შეპყრობილმა.

— ყოველ-დღე მოსალოდნელია, რომ მტერს შევეფეთოთ და, თუმცა იმიტომ არ წამოვსულვართ, რომ იარაღით გზა გადვულობოთ, მაინც, თუ თავს დაგვესხმიან, უნდა მოეიგერიოთ. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ საქმეს. საჭიროა ბლომად მოვიაროთ სოფლები, რომ ერთსა და იმავე დროს ბევრგან იყოს ლაპარაკი ჩვენ შესახებ, მეამბოხენი ვსაჯოთ შეუწყალებლად, რაც შეიძლება მეტი შიში და ძრწოლა მიეაყენოთ და ყველგან ვავრცელოთ ჩვენი ამბავი. ამიტომ, ჩემის ფიქრით, დასებად გავიყვნეთ.

— მეც მაგ აზრისა ვარ,—დაეთანხმა ეოლოდიევსკი,—შიშს დიდი თვალები აქვსო, ნათქვამია და ისინი, ვინც კრივანოს-

თან გაიქცევიან, დაიწყებენ ლაპარაკს, რომ ასი-ათასზედ მეტი ჯარი მოდისო.

— თქვენ აქ უფროსი ხართ,—სთქვა პოდბიპენტამ,—განაგეთ საქმე, როგორც გინდათ.

— მე ზანკოვს წავალ, ხალადკოვცისაკენ, და თუ შესაძლო იქნება, კიდევ უფრო შორსაც, თქვენ, პან ჯინაშანო პოდბიპენტა, პირდაპირ სამხრეთად წადით, შენ, ვოლოდიევსკი, კუპინს წახვალ, ხოლო პან ზაგლობა ზბრუჩს, სატანოვისაკენ.

— მე?—ვითომ კარგად ვერ გავიგონე რა სთქვიო და ამიტომ ჰკითხა პან ზაგლობამ.

— შენა. ჭკვიანი და მოხერხებული კაცი ხარ; მე მეგონა, სიამოვნებით იკისრებდი ამ საქმეს; თუ არ გინდა, ვახმისტრ კოსმაჩს მივანდობ.

— ოჰ, არა, არა!—შეჰყვირა ზაგლობამ, რომელსაც უეცრად გაუელვა თავში სასიამოვნო აზრმა, რომ ცალკე რაზმის უფროსი ვიქნებიო.—თუ გკითხე რამე, მხოლოდ იმიტომ რომ თქვენი მოშორება არ მინდოდა.

— კარგად კი იცი ახლა ზნენი სამამაცონია, ესე იგი სამხედრო საქმე?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— კარგად კი ვიცი? შენ ჯერ დაბადებულიც არ იყავ, რომ ამაზედ რიცხვ-მრავალნი რაზმნი მიტარებია სალაშქროდ. მთელი საუკუნე ომში გავატარე და სამხედრო სამსახურში მაქვს ჭიპი მოჭრილი; დღესაც სამსახურში ვიქნებოდი, ის დაწყევლილი დაობებული რომ არა ყოფილიყო: კუჭში ჩამრჩა ერთხელ ის ოხრად დასარჩენი და სამი წელიწადი დაჰყო შიგა. გალატს მომიხდა წასვლა წამლისათვის... მაგრამ ამ მოგზაურობის ამბავს მერე გიამბობთ როდისმე დაწვრილებით, ახლა კი დროა გზას გაეუდგე.

— წადი და ყველგან ავრცელეთ ხმა, რომ ხმელნიცკი დამარცხდა-თქო, რომ თავადი ახლოა-თქო. ჩიხა-მახოებს ტყვედ ნუ შეიპყრობთ, ხოლო თუ კამენცთან ნამყოფი შეგხვდეთ ვინმე, ეცადეთ იმისთანანი შეიპყროთ, რომ კრივანოსის ამბავი რამ შეგვატყობინონ.

— დეე, თუნდ კრივანოსი მობრძანდეს ჩემს საწინააღმდეგოდ, მე ვაჩვენებ იმას სეირს: კაი-კაის ვუთავაზებ! ნუ გეშინიან, პან სქშეტუსკი, როგორც ჩემი ნებაა, ისე ვატლინკებ მეამბოხეთა!

— სამს დღეს უკან, ისევ იარმოლინცს მოვიყაროთ თავი, ახლა კი ყველა თავის გზას გაუდგეს. ხალხს გაუფრხილდით!

— სამს დღეს უკან იარმოლინცს უნდა ვიყვნეთ?—გაიმეორეს ზაგლობამ, ვოლოდიევსკიმ და პოდბიპენტამ.

VI

როცა პან ზაგლობა მარტოდ-მარტო დარჩა თავის რაზმითურთ, როგორღაც უხერხულად იგრძნო თავი. ერთის სიტყვით, ეშინოდა კაცსა. რას არ გაიღებდა, რომ თავის მახლობლად ან სქშეტუსკი დაენახა, ან ვოლოდიევსკი, ან თუნდა პან ლონგინუსი, რომელთა გმირობაც გულში ძალიან უკვირდა და რომელთა მახლობლადაც ისე ეგონა, თითქო ღვთის უბეში ვზივარო.

პატარა ხანს წინ მიდიოდა ჩვენი შლიახტიჩი და სულ თავ-პირი ჩამოსტიროდა, ისე იყო დალვრემილი. თან შეკრთომით იცქირებოდა აქეთ-იქით და ითვალისწინებდა იმ საფრთხეგანსაცდელს, რომელშიაც, შესაძლოა, ჩავვარდეო.

— მაინც სასიამოვნო იქნებოდა, რომ ერთ-ერთი მათ შორის აქა ყოფილიყოვო, — ბურტყუნებდა ზაგლობა,—ყველას ღმერთმა თავისი რამ მისცა და ეგ სამნი კი თითქო წურბელებად გაჩენილან, ისე მუსუსად ედებიან ადამიანის სისხლს. ომში ისე ჰგრძნობენ თავს, თითქო კაი კამპანიაში ვართ და სასმელს შევექცევითო, თითქო თევზნი ვართ და წყალში ჩაგვყარესო. ნურც ასმევ, ნურც აპმევ, ოღონდ კი აომე. მუცელი ქანქლე აქვთ, მკლავი კი მჭედლის ურასავით მძიმე. ჩემის თვალით მინახავს სქშეტუსკი პირ-ოფლიანი ომში... ღმერთო, რა ნაირ იქნევს ხმალსა!... ან კი რა ლაპარაკი უნდა, მაგისი საყვარელი საქმე ეგ არის. ისა, საკუთარი გოგრა რომ არა აქვს

და სამს სხეისას ეძებს ერთადა? იმისთვის ყოველივე სულ ერთია, ერთ მანყულად არა ჰღირს რა. იმ ქონდრის კაცს ვოლოდიევსკის ყველაზედ ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ისიც დიდი კუდიანი უნდა იყოს... აიგერა თუნდა კონსტანტინოვს ახლო რა ქნა, მაგალითად. ჩემი ბედი კიდევ, რომ ის აქ ახლოა თავის რაზმით. მოდი იმას შევუერთდე? თუ ვიცოდე ეხლა, სად მივდივარ, დეე თათარი დამიძახონ.

პან ზაგლობამ ძრიელ ობლად იგრძნო თავი და თვითონვე უკვდებოდა გული ასეთის სიმარტოვის გამო.

— მაშა, მაშა! ყველას ჰყავს ვინმე მახლობელი და მე კი ვინა მყავს? არც მეგობარო, არც მამა და არც დედა ჩემთვის. ობოლი ვარ, მორჩა და გათავდა!

ამ დროს ზაგლობასთან მოეიდა ვახმისტრი კოსმაჩი.

— ბატონო, სად მივდივართ?

— სად მივდივართ—გაიმეორა პან ზაგლობამ,—რაო?

უცბად გასწორდა უნაგირზედ და გადიგრიხა ულვაში.

— კამენცს, თუ ჩემი ნება იქნება! გესმის, ბატონო ვახმისტრო?

ვახმისტრმა თავი დაუკრა და ხმა-ამოუღებლივ გატრიალდა უკან; ვერ მოეფიქრებინა, რაზედ გაწყრა ბატონი უფროსი; ხოლო პან ზაგლობამ აქეთ-იქით გადააბრიალა კიდევ თვალები მრისხანებით, მერე დამშვიდდა და განაგრძო ფიქრი:

— თუ მე კამენეცს წავიდე, ასი ჯოხი დამკრან ზედ ფეხის ქუსლებზედ ოსმალურის წესითა. ფუი, ფუი! ერთ-ერთი მათგანი რომ აქ იყოს, ბევრად უკეთეს გუნებაზედ ვიქნებოდი. რა უნდა მოვუხერხო ამ ჩემს კაცებს? მე და ჩემმა ღმერთმა, სულ რომ მარტო ვიყო, ის მირჩევნია, მაშინ მოხერხების უნარი მაინც ექნებოდა კაცს. ახლა კი ძრიელ ბევრნი ვართ ერთად და რისამე მოხერხება ძალიან ძნელია; თან ისე ცოტანიცა ვართ, რომ მტრის მოგერება შეუძლებელია. ძალიან სულელური აზრი მოუვიდა სქშეტუსკის, რომ რაზმი გუნდებად დაჰყო. აბა, ერთი სად უნდა წავიდე ახლა? რაც აქამდე იყო, ის ვიცი, და, აბა, ვინ გეტყვის წინ რა იქნება, ვინ მითავდებებს, რომ

რომელმამე ტარტაროზმა მახე არ დაგვიგო სადმე? კრივანოსი და ბოგუნი! კაი წყვილი კია, იმათმა აშენებამა! გადაუწყდეთ და გადაჰყვნენ თანა! ღმერთმა დამიფაროს მეტადრე ბოგუნისაგან. აი სქშეტუსკის უნდა, ნეტავი ერთი იმას შემახვედრაო, და, დეე, ღმერთმა ისევ იმისი ლოცვა შეისმინოს. მეც ის მინდა იმისთვის, რაც თავადა სურს: მაშ, რა? ტყუილად ხომ არა ვართ მეგობრები, ამინ! ბივჩანჩალდები როგორმე ზბრუჩამდე და მერე, იალან! გავწეე ისევ იარმოლინცსა; ჯაშუშებს იმდენს მივუყვან, რომ სულ „არ მინდა“ იძახონ.

კოსმაჩი კვლავ მივიდა ზაგლობასთან.

— ბატონო, აიქ გორას იქიდან, ვიღაც ცხენოსანი ხალხი მოსჩანს.

— ჯანდაბას იმათი თავი!... სადა? სადა?

— აიგერა, სერს იქიდანა ნაკვალევი სჩანს იმათი.

— ჯარია?

— მგონია, ჯარია.

— აი მგლებსაც დაუჭამიათ! მერე ბევრნი არიან?

— კარგად არა სჩანს, შორს არიან. აიმ კლდეებს რომ ამოვეფაროთ, უცბად დავესხმით თავსა; სხვა გზა არსაითა აქვთ. თუ ბევრნი არიან, პან ვოლოდიევსკი შორს არ არის აქედან; თოფის ხმას რომ გაიგონებს, მოსაშველებლად გამოეშურება.

პან ზაგლობას ვაჟკაცობის გამოჩენის ჟინი მოუვიდა უცბადა. ეს გარემოება იქნება სასოწარკვეთილების ნიშანიც იყო, ან იქნება ვოლოდიევსკის ახლო ყოფნის იმედმა გამოიწვია. შლიახტიჩმა შემოიქნია ამოწვდილი ხმალი, მრისხანედ მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით და დაიძახა:

— ჩასაფრდით კლდეებში! უცბად დავესხათ თავს. ვაჩვენებთ სეირს მაგ წუწკებსა, მაგათა!...

თავადის გამოცდილნი ჯარის-კაცნი მაშინვე გატრიალდნენ კლდეებისაკენ, ერთის თვალის დახამხამებაში დაეწყვნენ საომრად და მზად იყვნენ თავ-დასხმისათვის.

გაიარა საათმა; ბოლოს მოისმა ხმაურობა მოახლოებულის ხალხისა; გარემო კლდე-ღრემ ბანი მისცა მხიარულს სი-

მღერას, რომელსაც ის ხალხი ამბობდა; ცოტა კიდევ და მოისმა ხმა ჭიანურისა, სტვირ-სალამურისა და დაირისა. ვახმისტრი მივიდა პან ზაგლობასთან.

— ის ჯარი არ არის, ბატონო, ყაზახნი არ არიან. ქორწილია.

— ქორწილია?—ჰკითხა ზაგლობამ.—კარგ ქორწილს მიეცემ მე იმათა.

გუნდის უფროსმა ჰკრა ქუსლი ცხენსა, ჯარის-კაცნი გაჰყვნენ თან და დაეწყვნენ რიგზედ.

— მომყეეით!—შეუძახა ზაგლობამ თავის გუნდს.

ჯარის-კაცნი გაჰყვნენ იერიშით, მერე ჭენებით, შემოერტყნენ კლდეს და გაჩერდნენ მექორწინეთა წინაშე, რომელთაც გული გაჰხეთქოდათ შიშით ამათ დანახვაზედ.

— დიცათ, შესდექით!—მოისმა აქეთ-იქიდან.

მართლა მექორწინენი იყვნენ. წინ მოდიოდნენ ცხენებით მეფანტურე და მეჭიანურე, კარგად შეზარხოშებულები და უკრავდნენ სამხიარულო საცეკვაო ხმებს. იმათ მოსდევდა პატარძალი, ლამაზი ყმაწვილი ქალი, მუქის ფერის ჯუბით მოსილი; ქალს თმა-ჩამოშლილი ჰქონდა და მხრებზედ ეყარა. პატარძალს გარს ეხვივნენ მისი ტოლ-ამხანაგნი, დობილნი, ყველანი ცხენებზედ ისხდნენ და თმები მინდვრის ყვავილებით შეემკოთ. შორიდან წითელ-ყვითლად შემოსილ ყაზახებსა ჰგვანდნენ. მეორე მხარეზედ მოდიოდა ფიცხ ცხენზედ მჯდომი „მეფე“. მეფე-დედოფალს მოსდევდნენ უკან ნათესავნი და სტუმარნი, სულ ცხენებითა, მხოლოდ ბოჩკები, სავსე თაფლითა, არაყითა და ლუდით მოჰქონდათ სუბუქის ოთხ-თვლიანის ურმებითა, რომლებსაც ღადა-ღუდა გზაზედ საშინელი ჯაყჯახი და ხრიგინი გაჰქონდათ.

— შესდექით, შესდექით!

მექორწინენი აირივნენ. გოგოებმა წივილ-კივილი ასტეხეს, ყმაწვილი ბიჭები და ხნიერი სტუმრები წინ გამოვიდნენ, რომ თავიანთი გული მიეშვირათ მოულოდნელის მტრისათვის და ისე დაეფარათ პატარძალი და მისი საკუთარი ამალა.

პან ზაგლობა მიუხტა და იქნევდა ხმალს შეშინებულ ბლეხთა წინაშე.

— ჰაი, თქვე ავაზაკნო, ძაღლისშვილებო, მეამბოხენო! ამბოხი მომინდომეთ?! კრივანოსს მიემხრენით, თქვე უწმინდურნო? საჯაშუშოდ იყავით განა?—ჯარს გზას უკრავთ?—ჰბედავთ და შლიახტას ხელი გინდათ შეუბრუნოთ? მე თქვენ გაყურებინებთ თქვენს სეირს, თქვე არამზადანო, თქვენა! ბოძზედ, მარგილზედ ჩამოგაცვამთ, თქვე რჯულ-დაკარგულებო, თქვენა! რაც ღალატი გაგიწვიათ, სულ ახლა გადაგახდევინებთ!

მოხუცი, თოვლივით გათეთრებული კაცი სასწრაფოდ ჩამოხდა ცხენიდან, მივიდა შლიახტიჩთან და მორჩილებით შემოეხვია მუხლებზედ.

— შეგვიბრალე, დიდებულო რაინდო, ნუ დაჰღუპავ საწყალ ხალხს. ღმერთია მოწამე, უბრალონი ვართ, ამბოხი რა ჩვენი საქმეა, ეკლესიიდან მოვდიეართ; ჩვენს ნათესავს დიმიტრისა და მებიჩკის ქალს ქსენიას ჯვარი დავწერეთ. ქორწინებიდან გიახლებით.

— ეგენი უდანაშაულონი არიან, ბატონო,—წასჩურჩულა ვახმისტრმა.

— გამეცა! არამზადანი არიან! ჯერ კრივანოსთან იყვნენ და მერე იქიდან ქორწილში წავიდნენ!—დაიღრიალა ზაგლობამ.

— კისერიც მოუტეხნია იმასა! თვალითაც არ გვინახავს, ერთი საწყალი ხალხი გახლავართ. შეგვიბრალე, დიდებულო რაინდო, ნება მოგვეც ჩვენს გზაზედ წავიდეთ, არავის ვნებას არ ვაძლევთ, ჩვენთვისა ვყრივართ.

— ყველას იარმოლინცს წაგიყვანთ თოკით დაკოჭილებსა.

— საცა გვიბრძანებ, იქ გიახლებით, ბატონო! თქვენი საქმე ბრძანებაა, ჩვენი—მორჩილება! მხოლოდ შეგვიბრალეთ კი, უბრძანეთ ბატონ ჯარის-კაცებს, ნურას დაგვიშავებენ, ჩვენ კი, თუ უკაცრავად არ ვიქნებით და მოგვიტევებთ კადნიერებას ჩვენისთანა სულელებსა და უგუნურებს, გთხოვთ უმორჩილე-

სად ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო ინებოთ. მიირთეით, ჩვენო მწყალობელო ბატონო, ჩვენი სადღეგრძელო როგორც გვასწავებს ღმერთი და წმინდა სახარება და გაგვახარეთ საწყალი ხალხი.

— ეს კი მაინც არ იფიქროთ, რომ თქვენ მოგთარჯოთ რამე და ლოლაობა დაგიწყოთ,—სთქვა მრისხანედ პან ზაგლობამ.

— ოჰ, ბატონო, არა,—გაიხარა მოხუცმა.—მაგას როგორ ვიფიქრებთ! ეი, მემუსიკენო, დაუკარით დიდებულის რაინდის სასიამოვნოდ, დიდებული რაინდი გულ-კეთილია, ხოლო თქვენ ყოჩაღნო ახალგაზდანო, აბა ჩქარა თაფლის ღვინო, შუშხუნა ღვინო დიდებულის რაინდისათვის; საწყალს ხალხს არ აწყევინებს. მალე, ბიჭებო, მალე! გმადლობთ, პანე!

ახალგაზდა ბიჭები გაექანნენ სასმლის მოსატანად. ამასობაში დაჰკრეს ჟღარუნიან დაირა-ნაღარებს, ჭიანურმა დაიწყო წრიპინი, პოლონელი ჯარის-კაცნი ახლო მიიწევდნენ მექორწინეებისაკენ, იგრეხდნენ ულვაშებს და ეწონებოდნენ გასათხოვარს გოგოებს. შემოსძახეს კვლავ სიმღერები და შიში ისე გაჰქრა, როგორც შარშანდელი თოვლი.

მაგრამ პან ზაგლობა მაინც მალე არ დამშვიდდა. მაშინაც კი, როცა ჩარექიანის პინით თაფლის ღვინო მოართვეს, ის მაინც ბურტყუნებდა ხმა-დაბლა: „ჰმ, აეაზაკნი, ჰმ, არამზადანი!“ მაშინაც კი, როცა დაეწაფა სქელს სასმელს და ჩაასველა შიგ თავისი ულვაშები, კოპები ისევ შეკრული ჰქონდა; აიღო მაღლა თავი და დიდ ხანს აწკლატუნებდა ტუჩებს, ბოლოს გაკვირვება და მასთან გულის-წყრომა გამოიხატა პან ზაგლობას სახეზედ.

— რა დრო დადგა!—წაიბუტბუტა შლიახტიჩმა.—ტეტიები არიან და ამისთანა თაფლს კი სვამენ. ღმერთო, ღმერთო! შენ ჰხედავ ამას და არ გინდა კი დასაჯო!

მოიწაფა მეორედ პინა და უსუნთქებლივ დასცალა.

იმედ-მოცემულნი და გულ-გაკეთებულნი გლეხნი შემოეხვივნენ და დაუწყეს ხვეწნა, ნულარას დაგვიშავებო და მშვიდო-

ბით განგვიტევეთო; იმათთან ერთად მოვიდა პატარძალიცა, მოკრძალებული, ათრთოლებული, თვალ-ცრემლიანი, ატლასი-ვით გაწითლებული და ისეთის შვენებით-მოსილი, თითქო დილის მთიებიაო. დედოფალი მიუახლოვდა გულ-ხელ-დაკრეფილი. „შეგვიწყალეთ, პანე!“ და პან ზაგლობას ყვითელ წაღაზედ აკოცა. ხანში შესულ შლიახტიჩის გული სულ დადნა მაშინვე.

ჩაიყო ხელი ტყავის პრტყელ ქამარში, ამოიღო იქიდან რამდენიმე ოქრო (ეს-ღა დარჩენოდა თავადის ნაჩუქართაგან) და მისცა ქსენიას:

— აჰა!.. ღმერთმა ისე გაკურთხოს შენცა, როგორც სხვა ყოველი უმანკოება.

მღელვარებამ აღარ მისცა ნება მეტის ლაპარაკისა. ტანადმა, შავ-თვალ-წარბა ქსენიამ გაახსენა ზაგლობას კნიაენა, რომელიც ისე უყვარდა თავისებურად. „ვინ იცის, სად არის ეხლა საწყალობელი! იფარავენ თუ არა წმინდა ანგელოზნი?“—გაიფიქრა შლიახტიჩმა და იმდენად აუჩუყდა გული, რომ მზად იყო გადახვეოდა და დაძმობილებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო.

მექორწინენი ამისთანა უხვის საჩუქრის დანახვაზედ კინაღამ ჭკუაზედ არ შეიშალნენ სიხარულითა. „კეთილი ბატონია! სახელოვანი ლიახია! ოქროს არიგებს საჩუქრად!“ მეჭიანურე ისეთი იყო, რომ გაჰქონდა და გამოჰქონდა, მესტვირე ხომ სულ იჭაჭებოდა, ისე ერთგულად უკრავდა სტვირსა. მოხუცი მებოჩკე, კაცი მშიშარა და მხდალი, აქამდე მოშორებით იდგა, ახლა კი ისიც წინ წამოდგა მოხუც მძახალთან, მჭედლის ქვრიეთან ერთად, რომელიც „ნეფის“ დედა იყო და, დაუკრა რა დაბლა თავი, დაუწყო ხვეწნა ძვირფასს სტუმარს, გვეწვიეთ სახლში და გაგვაბედნიერეთო; თუ ჩვენს ხვეწნას არ შეგვისრულებთ, ძალიან გვაწყევინებთო. იმას უკან დაუწყეს ხვეწნა თვით მეფემა და შავ-თვალ-წარბა ქსენიამ, რომელიც უცბად მიჰხვდა, რომ ჩემი თხოვნა უფრო გასჭრისო. მაყრებიც არწმუნებდნენ, ჩვენი სოფელი აქეე ახლოაო, გზა არ გაგიმრუდ-

დებათ, მოხუცი მებოჭკე კაი შეძლებული კაცია და კიდევ უფრო უკეთესს ჭაშნიკს მოგვიხდისო.

პან ზაგლობამ გადაჰხედა თავის ჯარის-კაცთა: ყველანი ისეთი იყვნენ, რომ სულ კატებივით შესცქნავოდნენ უფროსს, თითქო უსიტყვოდ ეხვეწებოდნენ: წაგვიყვანე ერთი, კარგად ჩავიქორწილოთო. პან ზაგლობას შეეცოდა საწყლები და ერთ წუთს შემდეგ თვითონაც, მაყრიონიცა, გოგოებიცა და ჯარის-კაცთა გუნდნი დიდის თანხმობითა და სიამოვნებით გაემართნენ სოფლისაკენ.

სოფელი, მართლა, შორს არ იყო; მოხუცი მებოჭკე კარგა შეძლებული ოჯახიშვილი აღმოჩნდა. ყველამ ძალიან გადაჰკრა, პან ზაგლობა ხომ ისე გამხიარულდა, რომ ყველგან ის იყო პირველი. მეფეს მამა არა ჰყავდა, პან ზაგლობასა სთხოვეს, მამის მაგიერი იყავიო და ხანში შესულმა შლიახტიჩმაც არ იუარა. მებოჭკე სულ ახალ-ახალ ჯაშნიკებსა ჰხდიდა, ბოლოს ჭიაკოკონებიც დაანთეს და შეიქნა დიდი უზომო სმა-ღრეობა.

პან ზაგლობა გაწითლდა ჭარხალივით და ფეხზედ ძლივსღა დგებოდა. სულ გადააივწყდა ყოველივე; თითქო ბურანშიაო, ისე ეჩვენებოდნენ მონადიმენი, მაგრამ, თუნდ მოგეკლათ, ვერ იტყოდა, ვინ იყვნენ მისნი მეინახენი და თანამოქეიფენი. ეს კი ახსოვდა, რომ ქორწილში ვართო, მაგრამ ვისი ქორწილი იყო? ჰოო, უთუოდ სქშეტუსკისა და კნიაჟნას ქორწილიაო. ეს აზრი ისე მოეწონა, რომ სულ გადირია სიხარულით და გიჟივით დაიწყო ღრიალი: „გაუმარჯოს! ჩვენს მეფე-დედოფალს გაუმარჯოს! ბატონებო, ძმებო გადავეხვივნეთ ერთმანეთს!“ სვამდა და სვამდა სულ ახალ-ახალს სადღეგრძელოებს: „ეს ჩვენის მთავარისა და თავადის სადღეგრძელო იყოს! ღმერთმა ბრძანოს, რომ მალე ასკილებოდეს ჩვენს სამშობლოს დღევანდელი გაჭირვება!“ ამ დროს ცრემლები მოერია, სასმელით სავსე ბოჩკისაკენ გაემართა, მაგრამ სიარულში წაბარბაცდა და კინაღამ კისერი არ მოიტეხა. ან რა საკვირველი იყო: ძირს, თითქო ნაომარი ადგილიაო, მრავლად ეყარნენ უგრძნობლად დამთვრალნი.

— ღმერთო!—ღაღად-ჰყო პან ზაგლობამ ხმითა დიდითა.—განჰქრა ქველობა მთელს რესპუბლიკაში. ერთი ლაშჩი სვამს კარგად და მეორე ზაგლობა, ხოლო დანარჩენნი... ღმერთო! ღმერთო!

და შლიახტიჩმა აღმართა მწუხარე თვალნი ცად-მიმართ და მხოლოდ ეხლა შეჰნიშნა, რომ ცის მნათობნი ისე არა ვლენან გზასა თვისსა ზედა, როგორც სათანადო არს მათთვის, გარნა ზოგნი თრთიან და ციმციმებენ, თითქო ჰნებავთ მოიშორონ თვისნი სამკაულნიო, ხოლო ზოგნი უცნაურს წრეს აელებენო. პან ზაგლობა საგონებელში ჩაეარდა და შეეკითხა სულსა თვისსა:

— ნუ თუ მხოლოდ მე არა ვარ მთვრალ in universo?

მაგრამ უცბად დედა-მიწამ, ვარსკვლავების მზგავსად, დაიწყო თრთოლა და ნძრევა, პროწიალი ციბრუტივით და პან ზაგლობა, როგორც მოჭრილი ხე, ისე გაიშხლარტა დედა-მიწაზედ.

საშინელი სიზმრები ჰნახა. ესიზმრა, რომ ვითომ ვილაც ავაზაკნი დასწოლიან გულზედ, ჰბოჭავენ და ხელ-ფეხს უკვრენ. ამავე დროს მის ყურებს ჩაესმოდა რაღაც ხმაურობა, ხმა თოფის-სროლისა, რაღაც სისხლის ფერი ნათელი მისდგომოდა ვითომ ზედ პირი-სახეზედ და სჭრიდა თვალებს აუტანელის სიმწვავითა. უნდოდა გაეღვიძნა, თვალები გაეხილა, მაგრამ არ შეეძლო. ჰგრძნობდა, რომ ჩემს თავს რაღაც ჩვეულებრივი ამბავი არ არისო, რომ თავს ძირსა ჰქინდრავდა, რომ თითქო ფეხებითა და ხელებით მიმათრეენო.. მერე ზაგლობა რაღაც შიშმა შეიპყრო; ძალიან ცუდად იყო, ძალიან ცუდად, დიდს გაჭირვებაში ჰგრძნობდა თავს. ცნობაზედ მოვიდა რამდენჯერმე, მაგრამ ისეთს უღონობასა ჰგრძნობდა, როგორიც თავის დღეში არ გამოეცადნა. სცადა, პატარას მივიშმუშნ-მოვიშმუშნები, შევინძრევიო, მაგრამ ვერ მოახერხა; ახლა კი გამოეღვიძა, სრულიად გამოფხიზლდა და თვალები გააჭყიტა.

პირველ ყოვლისა დაინახა თვალები, რომელიც საშინელის სიხარბით დაშტერებოდა პან ზაგლობას, ხოლო ის თვა-

ლები კუნაპეტივით შავები იყო და ისეთის ბოროტის მეტყველებისა, რომ გამოღვიძებულმა ზაგლობამ პირველში იფიქრა, თვით ჯოჯოხეთიდან მოსული ტარტაროზი დამყურებსო და ამიტომ კვლავ დაჰხუჭა თვალები, მაგრამ კვალადვე სწრაფად გააჭყიტა. გარნა ის წყეული თვალები ისევ დაშინებით ჩაშტერებოდა საცოდავს... სახეც თითქო ნაცნობი სახე იყო... უცბად პან ზაგლობა შეაკრკოლა საშინელის ამაზრზენის შეკრკოლებითა, შუბლზედ ცივმა ოფლმა დაასხა საწყალს, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

ზაგლობას წინ ბოგუნი იყო გამოჭიმული.

VII

ხელ-ფეხ შეკრული ზაგლობა ეგდო სწორედ იმ ოთახში, საცა საქორწილო ლხინი იყო გაჩაღებული, ხოლო საშინელი ატამანი იჯდა სკამზედ ცოტა მოშორებით და სტკბებოდა ტყვედ-შეპყრობილის ტანჯვა მწუხარებით.

— საღამო მშვიდობისა, პან ზაგლობა!—სთქვა ატამანმა.

პან ზაგლობამ პასუხი არ მისცა, მხოლოდ ერთის თვალის დახამხამებაში ისე გამოფხიზლდა, თითქო ზედ არ დაჰკარებია სულ სასმელსაო; ჟრუანტელმა კვლავ დაუარა ტანში ფერხითთხემამდე და ისე გააკრკოლა, თითქო ყინულებშა ჩააწვინესო. ამბობენ, რომ, როცა კაცი წყალში ირჩობა, სულის დალევის წინად ცხადად ჰხედავს მთელს თავის წარსულს, ცხადად ჰგრძნობს რაც ემართებაო. სწორედ ასე მოუვიდა პან ზაგლობასაც. თვალ-წინ წარმოუდგა ყოველივე წარსული თვისი გარემოება და მთელი მისი თავ-გარდასავალი ერთს საგანს ეხვევოდა მუმლივით გარშემო:

— მაყურებინებს ახლა ჩემს სეირს!

ხოლო ატამანმა დამშვიდებით განიმეორა:

— საღამო მშვიდობისა, პან ზაგლობა!

„ბრრ!—იფიქრა პან ზაგლობამ,—ის მერჩივნა, შიგ ჯოჯოხეთში ჩავეგდეთ თავ-დაყირა“!

— ვერა მცნობთ, ბატონო შლიახტიჩო?

— თავს გიკრავთ და სალამს გაძლევთ! ხომ კარგადა ბძანდებით?

— არა მიშავს-რა. ხოლო თქვენს კარგად თუ ავად ყოფნის საქმეს მე თვითონ გავარიგებ.

— ღმერთმა ხომ იცის, არ მითხოვნია მისთვის შენისთანა მკურნალი და ვეჴვობ კიდეცა, რომ შენი წამლები სასარგებლო იყოს ჩემთვის, მაგრამ რა გაეწყობა, დეე აღსრულდეს ნება უფლისა.

— შენ რომ მივლიდი მე, ახლა ჩემი რიგია. ძველი მეგობრები ვართ. გახსოვს, როგორ შემიხვიე თავ-პირი, როგორ შემბორბლევი რაზლოგში?.. ჰა?

ბოგუნის თვალები ისე აენთო, როგორც ნაკვერჩხალი, ხოლო ტუჩებს დაეტყო საშინელი ღიმილი დაცინვისა.

— მახსოვს, რომ შემეძლო ხანჯალი ჩამეცა გულში მაგრამ არ ჩაგეცი კი.

— მე როდის-ღა გიპირობ ხანჯლის ჩაცემას? არა! შენ ჩემი ძვირფასი, სასურველი მეგობარი ხარ; ისე გაგიფრთხილდები, როგორც ჩემის თვალის ჩინსა.

— მე სულ იმას ვამბობდი, რომ შენ ჭეშმარიტი რაინდი ხარ. (ზაგლობა თავს იკატუნებდა და ისე ლაპარაკობდა, ვითომ შენი ლაპარაკი სულ წმინდად მჯერაო, თავში კი სულ ერთი აზრი უტრიალებდა განუშორებლად: „ცხადია განსაკუთრებულის რასმეს მოიგონებს ეგ ჩემთვის, ჩვეულებრიეის სიკვდილით არ მომკლავს“).

— მართალს ამბობ; შენც ჭეშმარიტი რაინდი ხარ. ვეძებდით ერთმანეთსა და აი ვიპოვეთ კიდეცა.

— სწორე გითხრა, მე შენ არ გეძებდი, მაგრამ მაინც გმადლობ ტკბილის სიტყვისათვის.

— მალე უფრო მეტს მადლობას მეტყვი, მე კი გმადლობ იმისათვის, რომ ჩემი საკოლო ქალი გააცილე რაზლოგიდან ბარამდე, მე იქ ვიპოვე ის ქალი და ახლა ქორწილში დაგპატიჟებდი, მაგრამ ეხლა ქორწილის დრო არ არის—ომი

მოგველის, ხოლო შენ მოხუცი ხარ და ვაი თუ მანამდე ეღარც კი იცოცხლო.

ზაგლობამ, თუმცა საშინელს მდგომარეობაში იყო, ყურები სცქვიტა.

— ქორწილში?

— მაშ შენ რა გეგონა? ტეტია ხომ არა ვარ, რომ ძალით გავიტაცო, ან ფული ან სიმდიდრე არა მაქვს თუ, რომ კიევში წავიყვანო და იქ ჯვარი დავიწერო? ტეტიასათვის კი არ მოიყვანე ის ქალი ბარს, არამედ ატამანისა და გეტმანისათვის.

— კარგი და პატიოსანი.—სთქვა გულში ზაგლობამ და მერე ხმა-მაღლა წამოიძახა:—უბრძანე, გეთაყვა, ე ხელ-ფეხი გამიბსნან.

— იწექ, იწექი; შორი გზა გვაქვს გასავლელი, ცოტა მოხუცი ხარ და მოსვენება გეჭირვება.

— სად უნდა წამიყვანო განა?

— ჩემი მეგობარი ხარ, ჰო და მერე ჩემ ძმობილ კაცთან წაგიყვან, კრივანოსთან. იქ მოვიფიქრებთ ორივენი ერთად, როგორ დაგაბინაოთ უფრო საუკეთესოდ.

— კარგია დამცირება, როგორცა ვხედავ!—წაიბუტბუტა შლიახტიჩმა და კვლავ ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

ბოლოს დაიწყო როგორც იყო:

— ვიცი, რომ რაღასაც ჰფიქრობ ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ღმერთია მოწამე, მე დანაშაული არა ვარ შენ წინაშე. ერთადა ვსცხოვრობდით, ჩიგირინში არა ერთი და ორი ბოთლი გამოგვიცლია ერთადა, იმიტომ რომ შვილივით მიყვარდა, რაკი რაინდი-კაცის ხასიათები გქონდა. მერე რა მოჰხდა? რა დაგიშავე ისეთი? რაზლოგს რომ არ წამოგყოლოდი, ეხლაც ისეთივე მეგობარი ვიქნებოდით, როგორც წინად. მერე რისთვის წამოგყე, თუ არ იმიტომ რომ გულ-წრფელად თანაგიგრძნობდი? და შენ რომ იქ ისე არ გადარეულიყავ, არ ამოგეწყვიტნა ის საცოდავნი, გეფიცები წინ არ გადაგეღობებოდი. მე რა დავა მაქვს, რად გავერევი სხვის საქმეში? საკუთრად მე ის

უფრო მსურდა, რომ ქალი შენა გრგებოდა, ვიდრე სხვა ვისმე. მაგრამ იმ შენის უადამიანო მხეცობის შემდეგ, იმ შენის თათრობის გამო სვინიდისმა მამხილა... იფიქრე, ის სახლი ხომ შლიახტიჩის ოჯახი იყო. შენ რომ ჩემს ალაგას ყოფილიყავ, შენც სხვაფრიე არ მოიქცეოდი. განა არ შემეძლო, თუ კი ჩემი უშიშროება მდომებოდა, გამეგზავრებინე მაშინვე საიქიოს, მაგრამ მე ეგ არ მოვიქმედე. რისთვის? იმისთვის, რომ მე შლიახტიჩი ვარ და სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის. გრცხვენოდეს მაშ ეხლა შენცა, იმიტომ რომ ვიცი შენ ჩემი მასხარად აგდება გინდა. კნიაჟნა ხომ შენს ხელშია. მაშ რაღა გინდა ჩემგან? ან იქნება არ გავუფრთხილდი მე იმ ქალს, როგორც ჩემს მარჯვენა თვალს, არ მოვუარე შენს ძვირფას განძს? თუ შენც გაუფრთხილდი და ცოცხალი გადაარჩინე ის ქალი, მაშ სჩანს, შენც რაინდული პატიოსნება და სვინიდისი გქონია... იფიქრე ერთი, როგორ-და გაუწვდი იმას ხელს, თუ-კი ეგ ხელი შესვრილი იქნება ჩემის უბრალო სისხლითა? როგორ-და ან რა აზრით ეტყვით, რომ იმ კაცს, რომელმაც უვნებლად გაგატარა თათრების ურდო და აჯანყებულ გლეხ-კაცობის ბრბოთა შორის, გავუჩინე ტანჯვა და წამებაო? შეირცხვინე მაშ და გამანთავისუფლე ბორკილთაგან და დამიხსენ იმ ტყვეობიდან, რომელშიაც ჩამაგდო შენმა მოღალატობამ. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ და არ იცი, რა შეგემთხვევა, ხოლო ჩემის სიკვდილისათვის ღმერთი დაგსჯის იმ საქმეში, რომელიც ყველაზედ ძვირფასია შენთვის.

ბოგუნი წამოდგა სკამიდან, სიბრაზით გაფითრებული, მიუახლოვდა ზაგლობას და დაუწყო ხმა-დაბლა, შიშინითა:

— გარეულო უწმინდურო ღორო, ვუბრძანებ, რომ ეხლავე ცოცხალს გაგაძრონ ტყავი, ცეცხლზედ დაგწვამ ნელ-ნელა, დაგლურსმავ თავიდან ფეხებამდე, ასო-ასო დაგფლეთავ!

და გაცეცხლების კვეთებით გატაცებულმა იძრო დანა, რომელიც წელზედ ჰქონდა ჩამოკიდული, ამჰართა ათრთოლებული ხელი და რამდენსამე წუთს ისე ეპირა... ერთი წუთიცა და... აგერ პან ზაგლობას თეალ-წინ გაუელვა უკვე აბჟყვრია-

ლებულმა დანამ, მაგრამ ატამანი გონს მოვიდა მალე, ისევ ქარქაშში ჩააგო დანა და დაიძახა:

— თქვენ, ეი!

ექვს-ექვსი იმიერ-ჭორომელნი შემოცვივდნენ ოთახში.

— წაიყვანეთ ეს ძოვრი და ჩააგდეთ კარ-ჩაკეტილ ბოსელში. ყური უგდეთ, თორემ ხომ იცით...

ყაზახებმა წაავლეს ხელი პან ზაგლობას, ორ-ორმა ხელფეხში, ერთმა თავსა და თმაში, გაატარეს ეზო და დააგდეს თივა-ბზეზედ განმარტოებულს ბოსელში. კარი გამოუკეტეს და დატყვევებული უკუმეთს სიბნელეში დარჩა, მხოლოდ აქა-იქ, სახურავის ჭიჭანებიდან მოჩანდა მოშაებედებული ცა ოდნავ მბჟუტავის ვარსკვლავებით. პან ზაგლობამ მალე შეაჩვია კი თვალი სიბნელეს. მიიხედ-მოიხედ ბოსელში და მიხვდა, რომ არც ღორები იყვნენ იქა და არც ყაზახნი. მაინც ყაზახების ხმაურობა ცხადად ისმოდა კედლების იქიდან. ცხადი იყო, რომ ბოსლის გარშემო ყარაულები ეყენა ყველგან, მაგრამ ზაგლობამ მაინც თავისუფლად ამოისუნთქა. პირველი საქმე ის არის, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ვარო. როცა ბოგუნმა აჰმართა დანა, ზაგლობა დარწმუნდა, რომ ეს არის მოვიდა ჩემი აღსასრულის დღეო და ღმერთს ავედრებდა თავის სულს, თუმცა კი ძალიან ეშინოდა. გარნა, სჩანს, რომ ბოგუნი უფრო დიდის სატანჯველით მიმზადებს სიკვდილსაო. ატამანს არამც თუ შურის გადახდა უნდოდა, არამედ უნდა გამაძღარიყო კიდეც ამ შურის-ძიებით და ეწამებინა ის, ვინც გაიტაცა მისის ხელიდან საყვარელი არსება, ვინც საშინლად დასცინა მის გმირობასა და რაინდულს დიდობას. ვერაფერი სანუგეშო მოამავალი ელოდა პან ზაგლობას, მაგრამ მაინც გულს იმითი იკეთებდა, რომ ჯერ ისევ ცოცხალი ვარო, წამიყვანენ ალბად კრივანოსთან, მაშასადამე, რამდენიმე დღე მაქვს ხელთა, ამ საათში ბოსელში ვგდივარ მარტოდ-მარტო და შეიძლება მოვიფიქრო რამე, ხერხი რამ მოვიგონო ამ მარტოკაობაშიო.

ეს ფიქრი იყო მისთვის მცირეოდენი ნუგეში, ხოლო რამდენი რამ იყო მისთვის ამისთანა გარემოებაში სამწუხარო და საეალალო, ვინ იცის!

წადი, აბა, და მოიგონე რამე ამისთანა ვაგლახს ყოფაში!

— თვით სოლომონ ბრძენიც რომ შეებოჭათ ასე, როგორც მე შემბოჭეს, ისიც კი ვერას მოიგონებდა, მგონია,— ბუზღუნებდა პან ზაგლობა.—ოჰ, ღმერთო, რაზედა მტანჯავ ასე მწარედა? ყველაზედ მეტად ამ ავაზაკს ვერიდებოდი და, ლახეთ ჩემს ბედს, სწორედ ამას ვერ ავარიდე თავი! ღვთისწყალობა გაქვთ, კარგად ის მოჰქნის ჩემს საცოდავს ტყავს! სხვას რომ ვისმე შევეპყარი, ვეტყოდი, ამბოხს ვემხრობი-მეთქი და მერე გავექცეოდი როგორმე. მაგრამ ჯერ სხვაც კი არ დაიჯერებდა ჩემს სიტყვას (სულელები ცოტანი-ღა არიან ეხლა), და ეს ღვთის-რისხვა კაცი რაღას დაიჯერებს. ვგრძნობ, რომ გული მიფერდება. ან კი რა ეშმაკმა მომახეტა აქა... ოჰ, ღმერთო, ვერც ხელი და ვერც ფეხი განძრევითაც კი ვერ გამინძრევია.

პან ზაგლობას აზრად მოუვიდა, რომ ეს ხელ-ფეხი მაინც რომ გავინთავისუფლოვო, იქნება მაშინ უფრო ადვილად მივაწყდე რაიმე ფიქრს თავის დახსნისასა და გადარჩენისასაო. მოდი ეცადო? ე ხმალი კი თუ როგორმე ამოვიწვდინე, დანარჩენი ადვილია... მაგრამ წადი და ამოიწვდინე, ეშმაკიც ვერ ამოაძრობს ეხლა იმას ქარქაშიდან! მე-ორე გვერდზედ გადავბრუნდე? ესეც არ შეიძლება. პან ზაგლობა ღრმად ჩაფიქრდა.

ბოლოს, დაიწყო მან ხოხვა ზურგზედ, რაც შეეძლო ჩქარ-ჩქარა და ცოტ-ცოტათი წინ-წინ მიხოხავდა. სულ ხვითქში გაცურდა, ისე მოიღალა და უნებლიედ შეჩერდებოდა ხოლმე შესასვენებლად. მეტადრე მაშინ განაბავდა ხოლმე სულს, როცა მოეჩვენებოდა, რომ ეითომ კარებთან მოვიდა ვინმე და ყურს მიგდებსო. ბოლოს და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით მიხოხდა კედელთან. კარგი, მაგრამ როგორ ამოვიღო ხმალიო? ხმალი ხელსა და ბარძაყ შუაა და ისეა მაგრად დაკოჭილი, რომ თოკი თითქმის შიგ სხეულშია ჩაჭრილიო.

პან ზაგლობამ დაიწყო კვლავ ქანაობა და ხოხვა. თვითეულ გაქნევაზედ, ხმლის ბოლო ხვდებოდა კედელს და მოცურავდა ზემოდ, ვადისაკენ. გულმა ძგერა დაუწყო ზაგლო-

ბას; შენიშნა, რომ ამ სახით შესაძლო იყო ხმლის განთავისუფლება. აგერ ბოლო ხმლისა თიქმის იდაყვთან მოვიდა. კედელს აღარ უნდა მიჯახება, იმიტომ, რომ ხმლის ვადა სიმძიმის გამო სულ წინ წასულიყო.

ვადაზედ ხმალს ჯვარი ჰქონდა; აი ამ ჯვარის იმედი უფრო ძლიერა ჰქონდა პან ზაგლობას. დაიწყო კიდეე ხოხვა კედლის აყოლება. ხმალი ჯერ ისევ ქარქაშში იყო წვერ-მოკიდებული, ხოლო ვადა უფრო ხშირ-ხშირად ედებოდა მიწას, ბოლოს უფრო ძლიერ მოედო, ერთიც კიდევ გაიჭირა საქმე პან ზაგლობამ და ხმალი მიწაზე დავარდა. შლიახტიჩმა გაინთავისუფლა ხელები და, თუმცა თითები ჯერ კიევ შებოჭვილი ჰქონდა, მაინც წაავლო ხელი ხმალს და ამოაძრო ქარქაშიდან.

ერთ წუთს დასჭრა თოკები, რომლითაც ფეხები ჰქონდა შეკრული. ხელების განთავისუფლებისთვის უფრო ბევრ ხანს ეწვალა, მაგრამ მაინც მალე დადგა სასიხარულო წუთი, როდესაც ზაგლობამ დაინახა თავისი თავი არა თუ თავისუფალი, არამედ შეიარაღებულიცა, ღრმად ამოიოხრა და რამდენჯერმე დაიწერა პირჯვარი. მაგრამ ბოგუნის ხელიდან განთავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

„ახლა რაღა ეუყო?—ჰკითხავდა თავის თავს პან ზაგლობა და პასუხი ვერ მოეხერხებინა.—ბოსელს გარშემო ყაზახები არტყიან; სულ ცოტა, ასამდე იქნებიან; თაგვიც ვერსად წაუვათ და აბა მე ამოდენა სიმძიმის კაცს სად შემიძლიან ისე გავუსხლტე ხელიდან, რომ ვერ შემამჩნიონო. მე მგონია კელკემალულასა ვთამაშობო,—სთქვა გულში ზაგლობამ,—და მთელი ჩემი ჭკუა იმისთვის თუ ვარგა, რომ წაღებს წაუსვას კაცმა, თუმცა უკეთესს წასასველს უნგრელთან იყიდის კაცი ბაზრობაში. თუ ღმერთი არას ჩამაგონებს, ყვავ-ყორანის საკორტნელად გავხდები, ხოლო თუ ჩამაგონებს რასმე, აღვთქვამ, რომ ისე დავიცვა უბიწოება, როგორც პან ლონგინუსი იცვავს“.

ყაზახთა ხმა-მაღლა ლაპარაკმა შესწყვიტა პან ზაგლობას ფიქრი. მივარდა კედელს და ყური მიადო ფიცრებ-შუა დარჩენილს ხანს.

— სად წავალთ აქედან?— ჰკითხავდა ერთი მეორესა.

— არ ვიცი, ალბად, კამენეცს თუ წავალთ,—უპასუხა მეორემ.

— ცხენები ფეხებს ძლივს დაათრევენ, იქამდინ ვერ მიალწევენ.

— იმიტომა ვართ აქ გაჩერებულები; დილამდე დაისვენებენ.

ჩამოვარდა სიჩუმე, შემდეგ პირველმა ყაზახმა სთქვა, მხოლოდ ნელის ხმით კი:

— მე კი მგონია, რომ ატამანი კამენეციდან იამპოლისკენ წავა.

ზაგლობამ განაბა სული.

— გაჩუმდი ე მანდა, თუ სიცოცხლე არ მოგძულებია!— მოისმა პასუხად.

კვლავ ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ მეორე მხრიდან მოისმა ჩურჩული.

— ყველგანა სდგანან, ჰყარაულობენ!—წაიბუტბუტა ბუზღუნით ზაგლობამ და მეორე კედლისაკენ გადვიდა.

— ფაცხა-ფუცხით მოვაჭენებდით ცხენებს აქეთკენ,—ამბობდა ერთი,—არა გვძინებია, არა გეიჭამია-რა, ცხენები მშიერები დავხოცეთ კიდევ, ოღონდ კი ერიომას არ ჩავუვარდეთ ხელშიო.

— მაშ, მართალია, აქ არის ერიომა?

— იარმოლინციდან რომ გაიქცნენ, იმათ თურმე ჰნახეს ისე, როგორც ეხლა მე შენა გხედავ. საშინელებას ამბობენ: ისეთი უზარმაზარია თურმე, როგორც ნაძვის ხე, შუბლში ორი ანთებული მუგუზალი თურმე აქვს ჩარჭობილი, იმისი ცხენი ხომ ცხენი კი არ არის თურმე, გველეშაპია.

— ღმერთო, შემიწყალე!

— ჩვენ ეს ლიახი უნდა გავიტაცოთ ჯარის-კაცებითურთ და გავიქცეთ.

— როგორ გაეიქცეთ? ცხენები ფეხზედ ძლივსა სდგებიან.

— ვერაფერი საქმე მოგვდის, ძმებო. მე რომ ატამანი ვიყო, ამ ლიახს თავს მოვსჭრიდი და მერე თუნდ ფეხით დავბრუნდებოდი კამენცსა.

— მაინც კამენცს წაიყვანენ მაგას. იქ ათამაშებენ მა-
გას ჩვენი ატამანები.

— უწინ თქვენ გათამაშებენ ეშმაკი და ქაჯები!—სთქვა
ჩუმად ზაგლობამ.

ბოგუნისაც რომ არა ჰშინებოდა, ან იქნება იმიტომაც,
რომ იმისი ეშინოდა მეტად, პან ზაგლობამ დაიფიცა, ცოცხა-
ლი არ დავნებდებიო. შეკრულ-შებოჭილი აღარა ვარ, ხელში
ხმალი მიჭირავს, შევებრძოლები და არ დავნებდები კი. მომ-
კლამენ და მომკლან, ცოცხალი კი ხელში არ მივეცემი.

ცხენების ფრუტუნმა და ფეხების ბაკა-ბუკმა აღარა გაა-
გონა-რა პან ზაგლობას, მაგრამ თან ერთი აზრიც კი მოუვიდა
ამ დროს ფიქრად.

„ამ კედელს რომ გაუვიდე როგორმე და შეუმჩნევლად
შემეძლოს, მოვახტე ერთ-ერთს ცხენს!—ფიქრობდა გულში.—
ახლა ღამეა; ვიდრე შემამჩნევდენ, უკვე მივეკარებოდი სადმე
იმათ თვალთაგან. აქაურ ხევ-ხუვებში და ღადა-ღუდა გზებზედ
დღისითაც ძნელია კაცი კაცს დაეწიოს, თორემ ღამით ხომ
უფრო ძნელია და ძნელი... ოი, ნეტა კი ღმერთი მიშველი-
დეს როგორმე“!

მაგრამ როგორ უნდა მოვახერხო? ან კედელი უნდა გა-
დავაქციო, მაგრამ სადა მაქვს ძალა ჰოდბიპენტასი, ან უნდა
ქვეშ გამოვუთხარო მიწა. მაგრამ ორსავე შემთხვევაში, ხმაუ-
რობას გაიგონებენ, დამინახავენ და ქეჩოში წამავლებენ ხელს
ისე, რომ იქნება უზანგში ვერც კი შევდგა ფეხიო.

ზაგლობას თავში ათასგვარი აზრი ტრიალობდა, მაგრამ
ყველა ძნელი ასასრულებელი იყო.

„ეჰ, როგორც ვხედავ, მეტი ღონე არ არის, უნდა გა-
დავდო თავი სასიკვდილოდ“,—სთქვა გულში ზაგლობამ და
გასწია მესამე კედლისაკენა.

უცბად თავი დააჯიხა რაღაც მაგარს საგანსა და დაუწყო
ხელით სინჯვა: ეს მაგარი კიბე იყო. ბოსელი ხარების სად-
გომი თურმე იყო. ნახევარი ბოსლისა მაღლა გაკეთებულს
სხვენს ეჭირა და იქ თივა და ბურდო იყო დადგმული. პან

ზაგლობამ აღარც აცივა, აღარც აცხელა და დაუყოვნებლივ ავარდა სხვენზედ.

დაჯდა იქა, შეისვენა და დაუწყო ათრევა კიბესაცა.

„ჰო, ახლა კი ციხეში ვარ! მეორე კიბეც რომ იშოვონ, აქ მალე ველარ ამოვლენ. თუ თავი არ გავუჩენე პირველსავე, ვინც აქ ფეხის ამოდგმას გაჰბედავს, ნებას მივცემ ლორად გამომიყვანონ. მაგრამ, ვაი, რომ არამც თუ ლორად გამომიყვანენ, შეუძლიანთ შემწვან და შემხრაკონ კიდეცა. მაგრამ ჯანაბას იმათი თავი! დასწვენ ბოსელსა და დასწვან; ე ცოცხალი კი არ დავნებდები და ჩემთვის სულ ერთია, უმს გამკორტნიან ყვავები თუ შემწვარსა. ოღონდ კი ავაზაკს გავუსხლტე ხელიდან და სხვისი დარდი არა მაქვს. ვნახოთ ჯერ კიდევ, რა იქნება“.

პან ზაგლობას ხან სრულიად ეკვეთებოდა სასოება, ხან იმედი ეძლეოდა. ეხლაც ისე ეგონა, ვითომ თავად ერემიას ბანაკში ვზივარო, თუმცა მისი მდგომარეობა არაფრით იყო საიმისოდ განკარგებული. სხვენზედ იჯდა და ხელში ხმალი ეჭირა, რომელითაც დიდ ხანს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია, ეს იყო და ეს. გარნა სხვენზედ ჯდომა და თავისუფლად ყოფნა სულ შორი-შორი საქმე იყო, მით უმეტეს, რომ ძირს ასი და ორასი ხმალი და შუბი ელოდა და იმისი მოდარაჯე იყო.

„ვნახოთ, რა იქნება“!—გაიმეორა პან ზაგლობამ და, მივიდა რა საყვაესთან, დაუწყო წალამს გამოღება, სარკმელს გავაკეთებ prospectus-ს, რომ ღვთის ნათელი დავინახოვო.

ჯერ-ჯერობით კარგად მიდიოდა საქმე; ყაზახები ჯერ ისევ ლაყბობდნენ საბძლურად დახურულ ბოსლის კედელს ახლოს; მერე ძლიერი ქარიც ამოვარდა და სულ არა ესმოდათ-რა, როცა ზაგლობა წალამს ჰგლეჯამდა ბოსლის სახურავსა.

მალე სარკმელიც მზად იყო; ცის აღმოსავლეთის კიდურზედ დილის მთიები გამოჩნდა. მტრედის ფრად იყო ნანათლი და პან ზაგლობამ დაინახა, რომ მთლად ეზო სავსე

იყო ცხენებით, სახლს წინ ასობით ყაზახნი წაყრილიყვნენ და ეძინათ, ჭას ახლოც ეყარნენ ბლომად ჯარის-კაცნი, ხოლო ცოტა მოშორებით იდგნენ დარაჯნი, რომელთაც ამოწვდილი ხმლები ეჭირათ ხელში.

— ისინი ჩემი ჯარის-კაცნი არიან... ყველანი დაუკოჭნიათ,—სთქვა პან ზაგლობამ.—ჰმ, ძალიან კარგი, რომ მართლა ჩემები იყვნენ, თორემ თავადისანი არიან. კარგი უფროსი კი გამოვდექი, ერთის სიტყვით, მეტი აღარ შეიძლება! წავიყვანე და შიგ პირში კი ჩავუყარე მხეცს. სირცხვილითაც თავსაც კი ვეღარ გამოვყოფ, თუნდა ღმერთმა თავისუფლება მომანიჭოს. მერე ვისი ბრალია ყოველივე ესა? სულ სიყვარულისა და ლოთობისა. არა, მე რა მსჯოდა მერე, რომ გლეხკაცებს ქორწილი ჰქონდათ. ახლა ის დაწყევლილი თაფლის ღვინოცა, რომელიც ფეხებს უფრო უდუნებს კაცს, ვიდრე თავსა. ყოველივე ბოროტება სიმთვრალისაგან წარმოსდგება, თორემ ეგენი რომ ფხიზლებს დაგვსხმოდნენ თავსა, მალე ვძლევდი და თვითონ მე ჩავაგდებდი ბოგუნს ამ ბოსელში.

ზაგლობას თვალი დააშტერდა ამ დროს სახლს, საცა ეძინა ატამანსა, და იმის დაკეტილს კარებს.

„ჰოი, იძინე, ბოროტო, იძინე! გესიზმროს მაინცა ერთი, რომ ეშმაკები ტყავს გაძრობენ... იქნება ასეც მოჰხდეს როდისმე. შენ გინდოდა, რომ ჩემის ტყავისაგან ჩული გაგეკეთებინა; არა, ერთი სცადე აქ ამოსვლა, ჩემთან, ჰნახავ, დავაცხავებ თუ არა შენსას ისე, რომ ძაღლსაც აღარ გამოადგეს ფეხსაცმელებად? ოჰ, აქედან რომ გავიდოდე როგორმე, აქედანა?! მაგრამ როგორ“?

მართლაცა-და, მეტად ძნელი გამოსაცნობი და გადასაწყვეტი საქმე იყო. მთელი ეზო ისე იყო ავსებული ცხენებითა და ხალხითა, რომ პან ზაგლობა ბოსლიდანაც რომ გამოსულიყო, თუნდ საყვავედანაც პირდაპირ ზედ ცხენზედ ჩამომხტარიყო, მაშინაც-კი ძნელი იქნებოდა ალაყაფის კარებამდე მიღწევა.

მაინც ისე ეგონა, რომ თითქმის სანახევროდ გავიკეთე საქმეო: თავისუფალი ვარ, შეიარაღებული და ვზივარ სახურავ ქვეშ სხვენზედ ისე, როგორც კოშკში იჯდეს კაციო.

„რა ხათაბალაა!—ფიქრობდა ზაგლობა,—განა იმიტომ გავინთავისუფლე თოკებისაგან თავი, რომ ახლა ისევ თოკებითვე ჩამომახრჩონ“?

და აი კვლავ ათასი ფიქრი მოუვიდა აზრად ბოსლიდან გასვლისა.

თან და თან თენდებოდა. სახლის გარემო ყურე-ყუნჭულს შორდებოდა ნელ-ნელა სიბნელე. ახლა პან ზაგლობას თავისუფლად შეეძლო გაერჩია გუნდნი ხალხისა ეზოში: აგერ წითელი ტანისამოსი ჩემის ჯარის-კაცთაო, აიგერა დურა-ტყავები, რომელიც წაუხურავთ ყაზახებს და სძინავთ ისეო.

ვნახოთ, ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და ნელის ნაბიჯით გასწია ბოსლისაკენ. ზაგლობას ეგონა ჯერ, რომ ის უთუოდ ბოგუნიაო, რადგან დარაჯნი დიდის პატივის-ცემით ეკიდებოდნენ.

— ვაიჰ!—სთქვა მან,—ერთი თოფი მქონდეს ეხლა, გაჩვენებდი, როგორ დაიწყებდი ფეხებით ფანთხალს.

ამ დროს მოშავალმა თავი მაღლა აიღო; ის კაცი ბოგუნი კი არ იყო, არამედ ასისთავი გოლოდა, რომელსაც ზაგლობა კარგად იცნობდა ჩიგირინში.

— ვაჟკაცნო,—სთქვა გოლოდამ,—არა გძინავთ?

— არა, მამავ-ბატონო, ძილი კი საშინლად გვინდა. დროა ვგონებთ სხვანი დაგვენაცვლონ.

— ეხლავე მოვლენ სხვანი. ის ძაღლის შვილი ხომ არ გაიქცა?

— სული თუ გაიქცა იმისი, თორემ თითონ არც კი განძრეულა.

— კუდიანი მელაა! ჰნახეთ მაინც, რა ამბავშია, თორემ ისე მოახერხებს, რომ შიგ მიწაში დაიმალება.

— ეხლავე,—და რამდენიმე ყაზახი მიუახლოვდა ბოსლის კარებს.

— მართლა, ბარემ თივაც ჩამოიღეთ სხვენიდან. ამოვა თუ არა მზე, წაეიდეთ.

— კარგი, ბატონო.

პან ზაგლობამ მაშინვე დაანება თავი საზვერავს ადგილს და დადგა სახურავის სარკმელთან. აი გაიჭრიალა ხის ურდულმა, დაიწყო შრიალი თივა-ბუჩომ ყაზახთა ფეხ-ქვეშ. გულმა ძგერა დაუწყო პან ზაგლობას, ხელი მაგრად ჩაჰკიდა ხმალს და გაიმეორა თავისი ფიცი, რომ ის მირჩევნიან აქ ამომწვან ამ ბოსელთან ერთად, ვიდრე ცოცხალი ჩავეგვარდე მაგათ ხელშიო. იფიქრა, აი ეხლავე ფეხზედ დააყენებენ ყაზახნი თავიანთ ხალხსაო, მაგრამ შესცდა. პატარა ხანს ისმოდა იმათი ფეხის-ხმა ბოსელში, ხოლო ბოლოს სთქვა ერთმა:

— სად გადაკარგულა ის წყეული? კი აღარსადა სჩანს და! აგერ ზედ ამაზედ დავაგდეთ.

— კუდიანია თუ რა არის, დასწყევლოს წმინდა გიორგიმა! კვესი გაჰკარი ერთი, ვასილ, თორემ აქ ისე ბნელა, როგორც ტყეში.

ჩამოვარდა მდუმარება; ვასილი, როგორც ეტყობოდა, ტალ-კვესსა და აბედს ეძებდა, ხოლო მეორე ყაზახი ნელის ხმით ეძახდა პან ზაგლობას:

— პან შლიახტიჩ, სადა ბრძანდებით?

— დიაღ, როგორ-არა, რა სულელი მნახეს მეცა!—წაიტუტუნა ზაგლობამ.

ბოლოს, ვასილიმ იპოვა ტალ-კვესი. ბღორჯლ-ბღორჯლმა ნაპერწკლებმა გააშუქა ბნელი ბოსელი და ყაზახური ქუდ-დახურული თავები, ხოლო შემდეგ კვლავ სიბნელემ მოიცვა იქაურობა.

— არა სჩანს, არა!—ამბობდნენ ჩურჩულითა და მოუსვენრობით ყაზახნი.

— ბატონო გოლოდა! ბატონო გოლოდა!

— რა ამბავია?—მისცა ხმა ასის-თავმა.

— ლიახი აქ არ არის!

— როგორ თუ არ არის?

— რა ვიცი. თითქო მიწამ უყო პირიო! არსად არ არის. ოჰ, უფალო, შეგვიწყალე! ცეცხლი დავაკვესეთ და არა სჩანს!

— შეუძლებელია! ოჰ, ხო დაგვხოცა ატამანმა! გაიქცა, თუ რა ამბავია? დაგეძინათ განა?

— არა, ბატონო, არა გვძინებია. ბოსლიდან ვერსაით ვერ გავიდოდა.

— ჩუმად იყავით, ატამანმა არ გაიღვიძოს! თუ ბოსლიდან არ გამოვიდა, ალბად, მანდვე იქნება სადმე. ყველგან კი ჰნახეთ?

— ყველგანა ვნახეთ.

— სხვენზედ?

— იქ როგორ აფოფხდებოდა, როცა შეკრულ-შებოჭილი იყო?

— სულელო! თუ თოკები არ შეეხსნა, ხომ ისევ აქ იქნებოდა. მოსძებნეთ სხვენზედ! აანთეთ სანთელი!

ნაპერწკლებმა კვლავ დაიწყო ცვენა ტალიდან. ბოსელში შეგროვდნენ ყველა დარაჯნი. ასტყდა საშინელი ფაცა-ფუცი. ერთი ერთს ამბობდა, მეორე—მეორეს.

— სხვენზედ ავიდეთ, სხვენზედა!

— გარედან დაათვალიერეთ!

— ატამანი არ გააღვიძოთ, თორემ ვაი თქვენ გინდათ!

— კიბე არსად არის!

— მოიტანეთ სხვა კიბე!

— არსად არ არის.

— გაიქე სახლში, იქნება იქ იყოს.

— ჰაი, შე წყეულო ლიახო, შენა!

— კუთხიდან აფოფხდით სახურავზედ, იქიდან შეიძლება ჩასვლა.

— არ შეიძლება, კუთხეს ფიცრები აქვს აკრული.

— შუბები მოიტანეთ!—დაიგრიალა გოლოდამ.

ზოგნი გაიქცნენ შუბებზედ, ზოგმა აიღო ბაღლა თავი და უყურებდა სხვენსა. ღია კარებიდან შემოიპარა განთიადის სინათლე და გააშუქა პატარა ამოჭრილი კარები, რომლიდინაც

შეიძლებოდა სხვენზედ ასვლა და რომელიც შავადა და მდუმარედ გამოიცქირებოდა.

ყაზახნი იცქირებოდნენ ზემოდ და უქოლიებდნენ პან ზაგლობას:

— პან შლიახტიჩ! ჩამოუშვი კიბე და ჩამოდი. ხომ ეერსად წახვალ და ტყუილად რაზედ გვაწუხებ? ჩამოდი, ჩამოდი!

კვლავ მდუმარეობაა.

— ჭკვიანი კაცი ხარ! ეგ რომ გიშველიდეს, იჯექ რამდენიც გინდა, მაგრამ რაკი ეგ შენ ვერას გიშველის, შენის ნებით ჩამოხვალ; შენ კეთილი კაცი ხარ!

კვლავ მდუმარეობაა.

— ჩამოდი, თორემ თავზედ ტყავს გადაგაძრობთ და მერე თავ-დაყირა ჩაგფლავთ ნეხვში!

პან ზაგლობა მაინც ბაი-ბურში არ იყო და ერთნაირად გულ-გრილად ეკიდებოდა, როგორც ხვეწნა-მუდარას, ისე მუქარას, იჯდა ბნელაში, როგორც მაჩვი ზის თავის სოროში და ემზადებოდა თავ-განწირვით მტერთ მოგერებისათვის. მხოლოდ რალაც ლოცვას ამბობდა ტუჩების ცმაცუნით და ხელს მაგრად უჭერდა ხმალს.

ყაზახნი დაბრუნდნენ, შეჰკრეს ერთად სამ-სამი შუბი და წვერით მაღლა დაამაგრეს სხვენზედ ასასვლელად. ბან ზაგლობას გაუელვა ფიქრად აზრმა, ვტაცებ ხელს ამ შუბებს და აქ ამოვიტანო, მაგრამ თავი დაანება ამ აზრსა: სულ ერთია, მერე სხვებს მოიტანებენო.

ნელ-ნელა მთელი ბოსელი ხალხით გაივსო. ზოგს კვარი ეჭირა და ანათებდა იქაურობას, ზოგმა ლატნები და კიბეები მოათრია. კიბეები ყველა მოკლე აღმოჩნდა. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს, კიბეები ერთმანეთზედ გადავაბათ თოკებითა, რადგან მართლა ძნელია შუბებზედ ასვლა სხვენზედაო. მაინც ზოგი ამობდა, შუბებზედაც ავალთო.

— მე ავალო!—დაიძახა რამდენმამე ერთად.

— კიბეს დაუცადეთ!—ბრძანა გოლოდამ.

— რა უშავს, ბატონო, რომ შუბებზედაცა ვსცადოთ ასვლა?

— ვასილი აკოცდება; კატასავით ავარდება ხოლმე ხეზედა.

— მაშ, აბა, სცადე.

სხვებმა მასხარაობა დაიწყეს.

— შენ ეი! ფრთხილად იყავ! ხმალი აქვს, თავს გაგიხეთქავს, თორემ აი ნახავ.

— მე თვითონ ჩავკიდებ ქოჩორში ხელსა და ძირს ჩამოვათრევ.

ვასილი მაინც არა შიშობდა.

— იმან კარგად იცის, რომ თითი თუ დამაკარა, ატამანი გაუსწორდება... და თქვენც, ძმებო.

ამით გააფრთხილეს პან ზაგლობა, რომელიც სულ-განაბული იჯდა თავის ალაგას.

ყაზახნი თან-და-თან კარგს გუნებაზედ დადგნენ; პან ზაგლობას ამბავმა გაართო და გაახალისა.

— ერთი ტუტუცი მოაკლდება ქვეყანას, დიდი ამბავია!

— იმას როდი იდარდებს, რომ სამაგიეროს გადამიხდიანო. გულადი რაინდია.

— კუდიანი კაცია. ეშმაკმა იცის, იქნება იქ ჭაჯადაც გადაიქცა. იპოვი კი ვისმე იქა?

ვასილი ის იყო ემზადებოდა, უნდა აკოცებულიყო, მაგრამ უცბად შესდგა.

— ლიახს კი შევებრძოლები,—სთქვა შეშინებულმა,—მაგრამ ეშმაკთან ბრძოლა კი არ შემიძლიან.

მაგრამ ამასობაში კიბეც უკვე გადააბეს და მიადგეს სხვენზედ ასასვლელს კარებს. ამაზედ ასვლაც ადვილი არ იყო: წვრილს საფეხურებს სულ ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდა ყაზახთ სიმძიმის გამო. პირველად ასელა თვით გოლოდამ მოინდომა.

— ხომ ჰხედავ, პან შლიახციჩო, რომ აქ ხუმრობა საქმე არ არის,—სთქვა გოლოდამ.—გინდა მანდ ჯდომა—იჯექი, მაგრამ თავის დაცვა კი არ გაჰბედო; მაინც ხელში ჩაგიგდებთ; თუნდ რომ მთლად ბოსლის დანგრევაც მოგვიხდეს. კარგად, კარგად იფიქრე!

აი ავიდა გოლოდა კიბეზედ და მისი თავი გაუსწორდა სხვენის კარებს; ამ დროს მოისმა უცბად ხმლის შუილი, ყაზახმა საშინლად შეჰკივლა, დატორტმანდა და ჩამოიმხვლა ძირს ორად გადაჩეხილის თავითა.

— შუბზედ ააგეთ, შუბზედა!—დაიწყეს ყვირილი ყაზახებმა.

ბოსელში საშინელი ხმაურობა და უწესოება ატყდა, მაგრამ მაინც პან ზაგლობას ხმა გრგვინვასავით გაისმოდა:

— ჰაი თქვე ავაზაკნო, კაცის-მჭამელნო, თქვენა! ჰაი თქვე წუწკებო! ყველას ასო-ასო აგკეპავთ, თქვე ტარტაროზნო! გამოსცდით, რაინდის მაჯის ძალასა, დამაცადეთ! მშვიდობიანს ხალხს თავს ესხმით ღამე, ბოსელში ამწყვდევეთ აზნაურშვილსა... თქვე ძაღლის დაყრილებო. ამოდით, ამოდით, აბა, ამოდით თქვე დათვებო!

— დაჰკათ, დაჰკათ!—ჰყვიროდნენ ყაზახნი.

— ბოსელს გადავწვავთ!

— ბოსელს მე თვითონ გადავწვავ, თქვე ღორის კუდუსუნებო, მაგრამ თქვენც შიგ ამოგხრაკავთ!

— რამდენიმე ერთად ავიდეთ!—დაიძახა ხნიერმა ყაზახმა.—დაიჭით კიბე, შუბები მიეცით ბერკეტებად! თავზედ ძნად შეკრული ბუჩოები დაიწყეთ და გასწით ისე... უნდა შეეიპყრათ უსიკვდილოდ!

სთქვა ესა და დაიწყო აფოფხვა კიბეზედ. იმას ორი სხვა ყაზახი მიჰყვა უკან. კიბის საფეხურებმა დაიწყეს ლაწა-ლუწი, კიბე სულ მოიზნიქა, მაგრამ ოცზედ მეტი მაგარი მკლავი იმაგრებდა და ამიტომ არ იქცეოდა.

რამდენიმე წუთი კიდევ და სამი გვამი კიდევ ჩამოვარდა ძირს უსულოდ.

პან ზაგლობა, გახურებული გამარჯვებით, ისე ყროყინებდა, როგორც კამეჩი და იმისთანა სიტყვა-პასუხს ისეროდა, რომელიც ჯერ ქვეყანას არ მოესმინა; ყაზახებსაც კი გული გაუსკდებოდათ ამ სიტყვა-პასუხის მოსმენითა, მაგრამ ისინიც გაბრაზდნენ და აღარა ესმოდათ-რა. ზოგი მათგანი შუბებს სხვენს

ატაკებდნენ, ზოგნი კიბეს ებღაუჭებოდნენ და მიდიოდნენ ზედა, თუმცა იცოდნენ, რომ სიკვდილს ვერ ავცდებითო. ვნახოთ, ყიჟინი მისწყდა უცბად და ბოსლის კარებში თვით ბოგუნი გამოჩნდა.

ბოგუნი თავ-შიშველი იყო, პერანგისა და შარვლის ამარა. თვალები ცეცხლივით ანთებოდა, ხელთ ეჭირა ელვარე ხმალი.

— ზემოდან მოუარეთ, თქვე ძაღლებო, თქვენა!—დაუღრიალა ატამანმა ყაზახებსა.—აჰყარეთ სახურავი და ცოცხალი შეიპყარით.

პან ზაგლობამაც მოჰკრა თვალი ბოგუნსა.

— აქ მობძანდი ერთი, ვაუბატონო!—დაუძახა შლიახტიჩმა.—ცხვირსა და ყურებს დაგაჭრი... კისერს ხელს არ ვახლებ,—ეგ ჯალათის საკუთრებაა. ჰო, რაო? შეშინდი, განა? საწყალი ბიჭი, აღუ?!! ნეკზედ კი არ მიკბინო! შეჰკარით ეგ უწმინდური, ეგა!... გესმით თუ არა, უტვინოებო?... შეწყალება თუ გინდათ, შეჰბოჭეთ-მეთქი ეგა... რაო, ჩამოსახრჩობო, რაო ურიების ტიკინო? მობძანდი, მობძანდი ერთი და! თავი ამოჰყავი ერთი ამ სხვენზე. რაღას იცდი? გამახარე ერთი! ისე გაგიმასპინძლდები, რომ ტარტაროზი მამაშენი და კუდიანი დედა-შენი სულ ერთად მოგაგონდნენ.

სახურავის ფიცრებმა ლაწა-ლუწი დაიწყო. ცხადი იყო, რომ ყაზახნი მაღლა ასულიყვნენ და სახურავს აგლეჯდნენ ბოსელს.

ზაგლობა მიხვდა ამას, მაგრამ შიშმა მაინც არ წაართვა ძალ-ღონე. სრულიად დაითვრა ომითა და სისხლითა. „მივიკუნჭები კუთხეში და იქვე გათაედება ჩემი სიცოცხლეცა“,—სთქვა გულში. მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა გარედ თოფის სროლა და რამდენიმე ყაზახი ფაცხა-ფუცხით შემოცვივდნენ ბოსელში.

— ბატონო, ბატონო!—განწირულებით ჰყვიროდნენ შემოცვივნულნი,—აქ წამობრძანდით! პან ზაგლობას ჯერ გაუკვირდა, ეს რა ამბავიაო, რადგან ვერაფერს ვერ მიხვდა. მო-

უახლოვდა სხვენიდან ჩამოსასვლელს კარებს, ჩაიხედა ძირს— ბოსელი ცარიელია. ფიცრებსაც ზემოდ ლაწი-ლუწი აღარ გა-ჰქონდა.

— რა ამბავია, რა ამბავია? —ხმა-მაღლა ჰყვიროდა შლიახ-ტიჩი.—ჰო, მესმის. უნდათ ბოსელს ცეცხლი წაუკიდონ და სა-ხურავს დამბაჩებს ესვრიან.

გარედ კი ხმაურობა და ჟიჟინი უფრო ძლიერდებოდა. იდგა გრიალი თოფისა და ყვირილისა, ჩახა-ჩუხის ხმა რკინი-სა... „ღმერთო, ომი ხომ არ არის ესა?“ იფიქრა პან ზაგლო-ბამა და მიჰვარდა სარკმელს, რომელიც თვითონ გააკეთა სა-ხურავში.

ერთი კი გადიხედა და მუხლთ მოეკეცა სიხარულითა. გა-რედ გაცხარებული ომი იყო ატეხილი, ანუ უკეთ ვსთქვათ, პან ზაგლობამ დაინახა, რომ ბოგუნის ყაზახებს სულ ზურგზედ ბოლი ასდიოდათ. მტერი უეცრად თავს-დასხმოდა და დაეწყო საშინელი სროლა თოფ-დამბაჩებისა, გაოგნებულნი და და-მფრთხალნი ყაზახნი გარბოდნენ ლობიდან ლობისკენ, სახლი-დან ამბრებისაკენ და იჟლიტებოდნენ თითქმის ხელ-გამოულებ-ლივ. წითელ-ტალავარიანი ჯარის-კაცნი სდევნიდნენ გონება-დაბნეულ ბრბოს და არც იმის დროს აძლევდნენ, ერთად მო-გროვილიყვნენ, არც ხმლის ამოწვდას აცლიდნენ, არც ასვე-ნებდნენ და ცხენებზედ შესხდომასაც უშლიდნენ. იგერიებდნენ მტერს მხოლოდ ცალკე-ცალკედ თითო-ოროლანი, სხვებს კი დაეყარათ იარაღი და ცდილობდნენ ან ღობეებ ქვეშ გამძვრა-ლიყვნენ, მაგრამ იჭედებოდნენ მარგილებ შუა, ან ღობეზედ მიფოფხავდნენ და ზედ ხტებოდნენ და ჰლმუოდნენ საშინელის დამფთხალ ნადირის ხმითა. საცოდავებს ეგონათ, რომ თვით თავადი ერემია დაგვეცა თავს არწივივით მოულოდნელად მთე-ლის თვისის ძალ-ღონითაო. დრო აღარა ჰქონდათ, რომ გონს მოსულიყვნენ, მიეხედ-მოეხედნათ. ყიჟინი მტრისა, შუილი ხმლე-ბისა, გრიალი თოფებისა ისეთი იყო, რომ დარეტიანებულნი ყაზახნი გარბოდნენ მხოლოდ აქეთ-იქით, იქნებ თავს ვუშვე-ლოთ როგორმეო. „ხალხო, თავს უშველეთ!“ გაისმა ყოველ

მხრიდან. „დაჰკა, გააპე!“—ჰყვიროდა აგრედვე მტერიცა. და დაინახა ბოლოს პან ზაგლობამ პან ვოლოდიევსკი, რომელიც იდგა ალაყაფის კარებთან რამდენისამე ჯარის-კაცითა, განაგებდა იქიდან ყაზახთა ამოწყვეტის საქმეს და მხოლოდ ათასში-ერთხელ გააქანებდა თავის შავს მერანს შენივთებულ ბრძოლისაკენ, ხოლო საცა პან ვალოდიევსკი გაჩნდებოდა, იქ უთუოდ კაცი უნდა დაცემულიყო ძირს, ხან და ხან სულ ხმა-ამოუდებლივ. ჰეეი, პან ვოლოდიევსკი ფეხტ-მეისტერია ფეხტ-მეისტერთა შორის, დიდი მეხლმე მეხლმეთა შორის, ნამდვილი მეომარი ხორცითაცა და სულითაც. ომში იმის თვალს არა გამოეპარება-რა, გაასწორებს საქმეს, საცა საჭიროა და მერე ისევ თავის ალაგას დაუბრუნდება, თითქო გამოცდილი კაპელ-მეისტერიაო, რომელიც მხოლოდ იშვიათად მოჰკიდებს ხელს. სკრიპკას, ხოლო სხვა დროს გამოცდილს თვალს არ აშორებს თავისს ორკესტრსა.

პან ზაგლობამ დაიწყო საშინელი ბრახუნი ფეხებითა ბოსლის სახურავზედ და ცემა ტაშისა:

— დაჰკა მაგათ, დაჰკა, მოჰკალ! კიდევ, კიდევ, სულ ამოსწყვიტეთ, რომ წამლად არავინ გადარჩეს!

ასე ჰყვიროდა პან ზაგლობა, რომელსაც სულ გადაავიწყდა თავისი ყოფა, მაგრამ პატარა ხანს უკან მისმა თვალმა უფრო სასიამოვნო სანახავი იხილა: აგერ რამდენიმე ათითა და ოცის ყაზახით გარშემორტყმული ელვასავით მიჰქრის ბოგუნი, ხოლო უკან მისდევს პან ვოლოდიევსკი თავის ჯარის-კაცებითა.—„დაჰკა!—შეჰყვირა ვითომ ზაგლობამ,—ეგ ბოგუნიაო,“ მაგრამ იმისი ხმა ვიღამ გაიგონა. ამასობაში ბოგუნი გადახტა ღობეზედ და ვოლოდიევსკიც მისდევს კუდით-კუდსა. ზოგი ეზოშივე დარჩა, ზოგის ცხენი ვერ გადახტა ღობეზედ. უყურებს ზაგლობა და ჰხედავს, რომ ბოგუნიც მინდორშია და ვოლოდიევსკიცა. აგერ ბოგუნიც და ვოლოდიევსკიც თავ-თავის კაცებით გაიფანტნენ მინდვრად: თვითეული თვითეულს მისდევს. ზაგლობას სული შეუგუბდა, ცქერად გადიქცა და თვალები კინაღამ წამოუვარდა ქუთუთოებიდან, ისე აჭყეტდა, რაც

ძალი და ღონე ჰქონდა... რასა ჰხედავს? აი ვოლოდიევსკი დაეწია ბოგუნს, როგორც გაგეშილი ძაღლი გარეულს ღორს დაეწიოს, ატამანი მოტრიალდება და იწვდის ხმალს... „იბრძეიან,— ჰყვირის ზაგლობა... ერთი წუთი კიდევ და ბოგუნი დაეცა ძირს ცხენიანად, ხოლო ვოლოდიევსკიმ გადაახტუნა ზედ ცხენი და გამოეკიდა ახლა სხვებს.

გარნა ბოგუნი ისევ ცოცხალია, წამოდგება ზეზედ და მიჰქრის კლდეებისაკენ, რომელიც ბუჩქნარით არის დაფარული.

— დაიჭი, დაიჭი,—გრგვინავს ზაგლობა,—ეგ ბოგუნია!

აგერ მიჰქრის ახალი გუნდი ყაზახთა, რომელიც აქამდე კლდეებს იყო მოფარებული, ახლა კი გამოიმინდვრა და ახალს გზას ეძებს, რომ როგორმე გაქცევა მოასწროს. ცოტა იმათზედ დაშორებით მოსჩანან პოლონეთის ჯარის-კაცნი. გუნდი ყაზახთა დაეწევა ბოგუნს, გაიტაცებს და მიჰყავს თან. ბოლოს ყოველივე ჰქრება, რადგან გზა ღრმა ღელეს ეფარება.

ეზოში სრული მდუმარეაა, რადგან პან ზაგლობას ჯარის-კაცნი, ვოლოდიევსკისაგან განთავისუფლებულნი, ეცნენ ყაზახთა ცხენებს და გამოეკიდნენ თავ-გზა დაბნეულსა და ლტოლვილს მტერს.

პან ზაგლობამ ჩამოუშვა კიბე, გამოვიდა გარედ და მიიხედ-მოიხედა გარშემო.

— თავისუფალი ვარ...

ეზოში მრავლად ეყარა ყაზახთა და პოლონელთა გვამნი. შლიახტიჩმა ფრთხილად გაიარა ამათ შორის, ყურადღებით დაათვალიერა თვითეული და ერთგან დაიხარა, გვამს დაუწყო ჩაცქერება.

ერთს წუთს შემდეგ აიმართა ისევ ხელში თუნუქის პატარა კასრითა.

— სავსეა,—კმაყოფილებითა სთქვა ზაგლობამ.

დაეწაფა სასმელს და დაუწყო ხარბად სმა.

— ურიგო არ არის!

კვლავ მიიხედ-მოიხედა გარშემო და ხელმეორედ გაიმეორა, გარნა ახლა უფრო გულადად:

— თავისუფალი ვარ.

პან ზაგლობა შევიდა სახლში და ზღურბლზედ წააწყდა მოხუცის მებოჭკის გვამს. უკან რომ დაბრუნდა, წელი დამშვენებული ჰქონდა ბოგუნის ქამრით, რომელიც სულ ოქრომკედით იყო მოქარგული, ხოლო შიგ ერჭო დანა და მის ტარში იჯდა დიდი ლალი.

— ღმერთი აჯილდოებს კაცს გულადობისათვის,—სთქვა პან ზაგლობამ,—აი ქამარიცა... მერე თან სავსე ფულითა. ჰაი შე ავაზაკო, ჩამოსახრჩობო! ახლა კი იმედია, რომ ჩვენის ხელიდან ვეღარ წავა. მაგრამ ეს ვოლოდიევსკი, აბა სეირი ის იყო აი; ვიცოდი, რომ ყოჩაღია, მაგრამ თუ ბოგუნსაც შეებრძოლებოდა, მაგას კი სწორედ ვერ მოვიფიქრებდი. ბოგუნს ქამარზედ შეეძლო ჩამოეკიდნა და ისე ეტარებინა იმისთანა კაცი. დასწყევლოს... მაგრამ არა, ღმერთმა მისცეს ყოველივე სიკეთე! ალბად ვერ იცნო ბოგუნი, თორემ იქვე გაათავებდა. უი, რა ნაირი ჰყარს აქა თოფის წამალისაგან, კაცი ვეღარ ამოისუნთქებს! ჰმ, რა ნაირ გადავრჩი განსაცდელსა და! ჩემს გაჩენაში მაგ ნაირი ყოფა არ გამომიცდია, მადლობა უფალსა! ვოლოდიევსკის კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბჭობდა ასე ზაგლობა და მერე ჩამოჯდა ბოსლის კარებზედა და დაიწყო ცდა.

მალე გამოჩდნენ მინდორში ჯარის-კაცნი. რომელნიც უკან დაბრუნებულიყვნე დევნის შემდეგ. მდევართა შორის იყო ვოლოდიევსკიცა. ზაგლობა რომ დაინახა, ცხენი გამოაჩქარა, სასწრაფოდ გადმოიჭრა ცხენიდან და გაეშურა იმისაკენ.

— ვისა ვხედავ, ნუ თუ თქვენა ხართ!—შორიდანვე დაიყვირა ტან-მორჩილმა რაინდმა.

— მე ვარ, მე,—უპასუხა ზაგლობამ. — ღმერთმა მოგცეთ ყოველივე სიკეთე, რომ შემწეობა აღმომიჩინე.

— ღმერთს მადლობა შესწირე, რომ დროზედ გავჩნდი,— უპასუხა ვოლოდიევსკიმ და სიხარულით ჩამოართვა ხელი პან ზაგლობას.

— საიდან შეიტყეთ, რომ ისეთს საფრთხეში ჩავარდი?

— გლეხ-კაცებმა შემატყობინეს, აიმ მეორე სოფლელებმა.

— ოჰ, მე კი მეგონა, რომ სწორედ იმათ გამცეს-მეთქი.

— რა პასუხია! კეთილი ხალხნი არიან ძალიან. თითონაც ძლივს ცოცხლებს გამოუსწერიათ, ესე იგი მეფე დედოფალს, ხოლო სხვებს, მაყარ-სტუმრებს რა დაემართათ, არ ვიცი.

— თუ მოღალატენი არ არიან, უთუოდ ყაზახებმა ამოჰხოცეს. ამ სახლის პატრონი აგერა აქვე ჰგია მკვდარი. მაგრამ, ეჰ, ამას თავი დავანებოთ. ერთი ეს მითხარი, ბოგუნი ცოცხალია? გაიქცა?

— განა ის ბოგუნი იყო?

— მაშა, თავშიშველა, პერანგის ამარა; ცხენიან-კაციანად რომ ძირს დაეცი.

— ხელში დავჭერი. ოჰ, რა მწყინს, რომ ვერ ვიცანი. მაგრამ თქვენა, პან ზაგლობა, კარგი რა მოიქმედეთ?

— რა მოვიქმედე?—გაიმეორა პან ზაგლობამ.—მოდი აქა და ჰნახე!

წაავლო ხელი ვოლოდიევსკის და დაიყვანა ბოსელში.

— დაჰხედე.

პან ვოლოდიევსკიმ ჯერ ვერა დაინახა-რა, რადგან თვალი გაგარეულებული ჰქონდა, ხოლო, როცა თვალი გაუშინაურდა, ბოსლის სიბნელემ აღარ დაუშალა იქაურობის დათვალიერება, დაინახა უძრავად გაშოტილნი გვამნი და გაჰკვირდა.

— ვინ დაჰხოცა ეს ხალხი?

— მე!—სთქვა ზაგლობამ ისე, ვითომც-და აქ არაფერი ამბავიაო.—თქვენა მკითხევით, რა მოვიქმედე და მეც გეუბნევი: აი!

ახალგაზდა აფიცერმა თავი გაიქნ-გამოიქნია.

— როგორ, რა ნაირად?

— მე მაღლა ვიყავ და თავს ვიფარავდი, ხოლო ისინი ქვეიდან მომადგნენ იერიშითა. ზოგმა ზემოდან შემომიტია, სახურავიდან. არ ვიცი, რამდენს ხანს გასტანა ამ ამბავმა; ბრძოლის დროს მეომარს ავიწყდება ჟამთა-სელა. ბოგუნი იყო აქ მთელის თავისის ძალ-ღონითა. ახსოვხარ შენ, ვახსო-

ვვარ მეცl როდისმე მოცლილ დროს გიამბობ, როგორ შემიპყრო ტყვედ, რა ცეცხლი გამოვიარე და როგორ ვუხიფათე მერე, ახლა კი ისე ვარ დაღალული, რომ ფეხზე ძლივს-ღა ვდგები.

— რაღა თქმა უნდა,—დაიწყო ეოლოდიეესკიმ,—რომ ძალიან გულადად მოქცეულხარ; ამას გეტყვი მხოლოდა, რომ კარგი რაინდი ხარ, გარნა ცუდი წინამძღოლი.

— პან მიხალ,—უპასუხა შლიახტიჩმა,—ეგ მერე იყოს, ეხლა დრო არ არის. ისევ არა სჯობს შემოქმედს გადვუხადოთ მადლობა, რომ ჩვენ ორთავეს ისეთი გამარჯვება მოგვანიჭა, რომლის ხსოვნა არ გაჰქრება კაცთა შორის.

პან ეოლოდიეესკიმ გაკვირვებით შეჰხედა ზაგლობას. აქამდე ისე ეგონა, რომ მარტო მე გავიმარჯვეო და ახლა კი ზაგლობაც წილს იდებს ჩემს ძლევა-მოსილებაშიო.

ახალგაზდა აფიცერმა შეჰხედა მხოლოდ შლიახტიჩს, გაქნ-გამოაქნია თავი და სთქვა;

— დეე, თუნდ აგრე იყოს.

ერთს საათს შემდეგ ორნივე მეომარნი მიუძღოდნენ წინ თავ-თავიანთ შეერთებულს რაზმებს და მიდიოდნენ იარმოლინცისაკენ.

ზაგლობას ჯარის-კაცთა შორის თითქმის არც ერთი არ იყო მოკლული. რაკი მოულოდნელად დაესხა მტერი, იმათ წინააღმდეგობა არა გაუწევიათ-რა. ხოლო ბოგუნი, რომელიც გამოგზავნილი იყო, ჯაშუშნი და მტრის ჯარის-კაცნი შეიპყარი, იქნება იმათგან შეეიტყო რამეო, ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ცოცხალი შეიპყარით, ნუ მოჰკლავთ ტყვეებსაო.

VIII

თუმცა დიდი ვაჟკაცობა და გამოცდილება გამოიჩინა ბოგუნმა, მაინც ბედბა უმტყუნა და იძლია თავად ერემიას დივიზიის-მიერ. იმას ეგონა, რომ სწორედ ერემიას დივიზია დამესხა თავსაო. ახლა უფრო დარწმუნდა, რომ სწორედ მთელის თვისის მხედრობით წამოსულა თავადი ერემია კრივონოსის წინააღმდეგაო. ასე ამბობდნენ პან ზაგლობას ჯარის-კაცნი, ბოგუნის მიერ ტყვედ შეპყრობილნი, რადგან იმათაც მტკიცედა სწამდათ, რომ თავადის ჯარიც ჩვენ მოგვდევს უკანაო. საცოდავს ატამანს სხვა გზა აღარა ჰქონდა-რა იმის მეტი, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო საჩქაროდ და კრივანოსისთვის მიეტანებინა. მაგრამ ეს უკან დაბრუნება არც ისე ადვილი საქმე იყო. მხოლოდ მესამე დღეს შემოკრბა მის გარშემო ორასიოდე ყაზახი; დანარჩენი, რიგი ბრძოლაში ამოიხოცა, რიგი მძიმედ დაიჭრა და რიგი ტყესა და ღრეში იმალებოდა. დამალულებმა არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ, საით წასულიყვნენ. შემოკრებილნიც საიმედონი არ იყვნენ: უეცარს თავდასხმას ისე დაებნია მათ ოვის დავთრები, ისე დაეშინებინა, რომ მცირედი მიზეზი საკმაო იყო, რომ აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ. სულ რჩეულნი კი იყვნენ ეს ყაზახნი სეჩის ყაზახთა შორის! ბოგუნიც ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო: ჯერ ერთი ხელში დასჭრეს, მეორე სძლიეს და ზურგზედ ბოლი აადინეს, თან ავადაც იყო ჭრილობის გამო. უფრო ის უკლავდა გულსა, რომ მოსისხლე მტერი ხელიდან წაუვიდა და ყაზახთა წინაშეც, ცოტა არ იყოს, სახელიც გაუტყდა. თუ აქამდინ მისნი ერთ-

გულნი მეომარნი მზად იყვნენ დაუფიქრებლივ გაჰყოლოდნენ ყირიმს, ჩაჰყოლოდნენ თვით ჯოჯოხეთში, დასხმოდნენ თავს თუნდ თავად ერემიას, ახლა მხოლოდ იმის ფიქრში-ღა იყვნენ, ეგებ ცოცხლები გადავრჩეთ როგორმე და თავს ვუშველოთ საიდანმეო. მერე რა დააშავა განა ბოგუნმა? ყოველივე მოიქმედა, რაც შეეძლო, არა გამოჰპარვია-რა, დარაჯნი თავ-თავის ალაგას დააყენა და, თუ ღამის გასათევად დარჩა, დარჩა მხოლოდ იმიტომ რომ დაღალული ცხენები ფეხებს ველარ მიათრევდნენ. მაგრამ პან ვოლოდიევსკი, რომელსაც მთელი თვისი სიცოცხლე ომიანობასა და ბრძოლაში გაეტარებინა, მიწის მგელივით გაჩნდა, მოეპარა დარაჯებს ღამე და ბოგუნმა ძლივს უშველა თავს, ძლივს გაიქცა პერანგის ამარა. ბოგუნს რომ ეს გაახსენდებოდა, თვალთ დაუბნელდებოდა ხოლმე, მის გულსა და გონებაში ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა ხოლმე. მე, რომელიც შავ ზღვაზედ ოსმალთა ნავ-კატარღებს თაეს ვესხმოდი; მე, რომელსაც პერეკოპამდე მივლია; მე, რომელსაც თავადის თვალ-წინ, თვით ლუბნთან ამოვსწყვიტე მთელი მისი რაზმი ვასილევკაში, უნდა ვიელტოდე პერანგის ამარა, უქუდოდ... უხლმოდაც კი. ხანჯალიც კი დავკარგე იმ პატრა რაინდთან შებრძოლების დროს. როცა ღამის გასათევად იყო სადმე და მარტო დარჩებოდა, წაივლებდა ხელებს თავში და ჰყვიროდა: „სადა ხარ, ჩემო სახელო ყოჩაღობისავ, სადა ხარ, ჩემო ძმობილო ხანჯალო?“ საშინელი განწირულება შეიპყრობდა ხოლმე, დაიწყებდა სმას, ატყდებოდა, უნდა თავს დაეესხა თავადს, შეებრძოლო მთელს მის მხედრობას და მოვიკლა თავი, დავიღუპო სამუდამოდაო.

იმას კი უნდოდა, მაგრამ ყაზახებს კი არ უნდოდათ- „თავებს დაეიხოცავთ, მამავ და თვალო და ვერ კი წამო. ვალთ!“—გაჯიუტებით უარობდნენ ისინიც. ბოგუნს სულ ცო-

ფები მოუელიდა ხოლმე, ჰყრიდა ცეცხლს პირიდან, სჩეხდა ხლმით ყაზახებს, უტრუსავდა პირისახეს დამბაჩის ფალიის ცხვირწინ აფეთქებით, მაგრამ ყოველივე ამაო იყო, არ უნდოდათ, არ მისდევდნენ.

ატამანს თითქო დედა-მიწა ეცლებოდა ფეხ-ქვეშა; მაგრამ მისი უბედურება ჯერ კიდეე არ გათავებულიყო აქა. პირდაპირ სამხრეთად წასვლისა ეშინოდა, ამიტომ აღმოსავლეთად გაჰქანდა და პან პოდბრპენტას რაზმს კი წააწყდა. გარნა წეროსავით ფხიზელმა და ფრთხილმა პან ლონგინუსმა შეუტყო, გაპარვას აპირებსო, შეუტია ატამანსა და ადვილად სძლია, რადგან ყაზახებს არ უნდოდათ ებრძოლნათ. შემდეგ საცოდავი ბოგუნი პან სქშეტუსკის შეეხეჩა. იმან კიდეე სულ ბოლო მოუღო. როგორც იყო დააღწია ამასაც თავი და, ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, ტრიალ მინდვრად ხეტიალისა და პროწიალის წემდეგ თვისის ჯარის მცირე ნაშთითურთ სახელგატეხილი, უალაფოდა და ჯაშუშთა შეუპყრობლად ძლივს მიაღწია კრივანოსის ბანაკამდე.

გარნა დამთხვეული კრივანოსი, რომელიც ისე საშიში იყო თავის ხელქვეითებისათვის, ამ ხანად არ გაჯავრდა. საკუთარის გამოცდილებითვე იცოდა, რომ ერემიასთან ძნელად გაჰყიდდა რასმე კაცი და ამიტომ ალერსი დაუწყო ბოგუნს და ცდილობდა ნუგეში ეცა როგორმე, ხოლო როცა ატამანი ცხელებით გახდა ავად, ბრძანა, მოუარეთ და ისე გაუფთხილდით, როგორც თვალის ჩინსაო.

ხოლო თავადის რაინდნი, რაკი შიშის ზარი დასცეს მთელს ქვეყანას, ახლა მშვიდობით დაბრუნდნენ იარმოლინცსა და იქა ჰფიქრობდნენ დასვენებას ორიოდე დღის განმავლობაში. თვითეულმა რიგ-რიგად მისცა ანგარიში პან სქშეტუსკის, შემდეგ ყველანი შეგროვდნენ ერთად, მოუსხდნენ ღვინოს და დაიწყეს მეგობრულად მუსაიფი. მაგრამ პან ზაგლობა ხმის ამოღებას აღარ აცლიდა აღარავისა. არ უნდოდა მოესმინა ვინმე ლაპარაკი, მე მომისმინეთ ყველამაო, ჩემი ამბავი უფრო საინტერესო მოსასმენია, ვიდრე თქვენიო.

— ყმაწვილებო!—მჭევრმეტყველებდა ზაგლობა,—ტყვედ შემიპყრეს, მართალია, მაგრამ ბედის ჩარხი ერთ წამსაც არა ჩერდება და სულ ტრიალებს. ბოგუნი მთელს თავის სიცოცხლეში მძლეობდა, მაგრამ ახლა ჩვენა ვძლიეთ. ომში სულ ასეა! დღეს შენ მოერევი, ხვალ შენ მოგვერევიან. ხოლო ბოგუნი იმიტომ დასაჯა ღმერთმა, რომ დაგვესხა თავსა და ბრიყვულად გაგვაღვიძა მაშინ, როდესაც უმანკოდ გვეძინა. ხა, ხა, ხა! იმას ეგონა შემაშინებდა თავის სულელურის მუქარითა, ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირად წავიდა: ისე მოვუგრიხე კისერი, რომ მაშინვე გონება დაებნა და დაროშა ის, რის თქმაც არ უნდოდა. რა ბევრი უნდა ვილაპარაკო! ტყვედ რომ არ დავრჩენოდი, მე და მიხალი ისე ვერ ავაკრეფინებდით მტერს გუდა-ნაბადსა; მე და მიხალი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ საქმე უჩვენოდ არ გარიგდებოდა; ამას მაინც ვიტყვი, თუნდა სიკვდილი მადგეს თავსა. მოისმინეთ ახლა შემდეგ რა მოხდა: მე და პან მიხალს რომ არ დაგვეწყო საქმე, პან პოდბიპენტა ფეხებს ვერ მიამტვრევდა, ბოლოს პან სქშეტუსკის არ წააწყდებოდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენ რომ ტყავი არ გაგვეძრო, ის გაგვაძრობდა ტყავსა. როგორა გგონიათ ახლა, ვისი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ასე კარგად დატრიალდა საქმე?

— მელიასავითა ხარ სწორედა,—შეჰნიშნა პან ლონგინუსმა,—აქ კუდს მოიქნევ, იქ გზა-კვალს აურევ და ყველგან უვნებლად მორჩები.

— სულელია ის ძაღლი, რომელიც კუდი-კუდს მისდევს ნადირს, ვერც რიგიანად სუნს დაიცემს და ბოლოს გზა-კვალიც სულ აერევა. რამდენი კაცი დაგაკლდა შენა?

— სულ თორმეტი კაცი მომიკლეს და რამდენიმე კაცი დაჭრილია. საიმისოდ ძლიერ არ მოგვრეევიან.

— შენა, პან მიხალ?

— ესე ოც და ათ კაცამდე დავკარგე.

— შენა, პან პარუჩიკო?

— მეც იმდენივე მომიკლეს, რამდენიც პან ლონგინუსსა.

— მე კი სულ ორი კაცი დამაკლდა. თქვენ თვითონა სთქვით ახლა, ვინ უფრო კარგი მხედრთ-მთავარია? ჰო და, ასე

კი გახლდათ! რისთვის წამოვედით აქა? თავადმა მოგვანდო, კრივანოსის ამბავი შეიტყეთო და აი გეუბნევით, რომ პირველად მე გავიგე იმისი ამბავი ნამდვილად თვით ბოგუნისაგან. მე ვიცი, რომ კრივანოსი კამენცის ახლო სდგას, ალყა აქვს შემორტყმული, მაგრამ უნდა აჰყაროს ჯარი, იმიტომ რომ ეშინიან. ეს ხომ ვიცი, მაგრამ სხვაც რამ ვიცი ისეთი, რომ სულ გული ხტომას დაგიწყებთ სიხარულითა. წინად არა გითხარითარა ამისი, იმიტომ რომ ავად ვიყავ და ისე გავიტანჯე, რომ აღარა მეხალისებოდა-რა... ადვილი ხომ არა გვონიათ, იმდენს ხანს კაცი შეკრულ-შებოჭილი იყოს ბარბაროსთა ხელთა? ასე მეგონა, ეს არის ვკვდები-მეთქი.

— ერთი სთქვი, ღვთის გულისათვის!—შეჰყვირა ვოლოდიევსკიმ.—კნიაჟნას ამბავი ხომ არა გაიგონე-რა?

— გავიგონე, მაშ, ღმერთმა დალოცოს და დიდი დღე მისცეს იმასა!—სთქვა პასუხად ზაგლობამ. პან სქშეტუსკი წამოდგა ზეზედ, აიყუდა მთელის თვისის სიმაღლითა და მერე ისევ დაეცა სკამზედა. ოთახში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კაცი გაიგონებდა, როგორა ბზუოდნენ ბუზები ფანჯრის იქითა. პან ზაგლობამ დაიწყო კვლავ:

— კნიაჟნა ცოცხალია, ეს ნამდვილად ვიცი და ახლა ბოგუნის ხელთ არის. ყმაწვილებო, ბოგუნი საშინელი კაცია, მარგამ ღმერთი არ ინებებს, რომ ის ქალი ან გაწბილებული იყოს და ან შეურაცხ-ყოფილი. ყმაწვილებო, თვითონ ბოგუნმა მითხრა ესა, გარნა ის ისეთი კაცია, რომ არ დასთმობდა და მოჰყვებოდა ტრაბახს, თუკი დასატრაბახებელი ექნებოდა რამე.

— ნუ თუ ეგ შესაძლებელია? ნუ თუ ეგ შესაძლებელია?—აჩქარებით ეკითხებოდა პან სქშეტუსკი.

— თუ ვტყუოდე, ტყვია ჩამესხას პირში,—დიდის ამბით წარმოსთქვა ზაგლობამ,—ეს საქმე წმინდა საქმეა. გამიგონეთ: ბოგუნი დამცინოდა და მასხარად მიგდებდა. როცა შებოჭილი ვეგდა იმის ფეხ-ქვეშა და თან მეუბნებოდა: „შენა გგონია, რომ ტეტიასთვის მოვიყვანე ის ქალი ბარიდან? განა ტეტია

ვარ, რომ ძალა მეხმარნა იმაზედა? ეითომ ფული არ მეყოფა თუ, რომ კიევში ჯვარი დაგვწერონ, რომ ეკლესიაში სამასი სანთელი ენთოს ჩემს ჯვარის წერაზედა? ვინა გგონივარ მე, ატამანი, გეტმანი?"—დამიწყო ფეხების ბრაგუნი და ხანჯალს იქნევდა, მემუქრებოდა,—უნდოდა შევეშინებინე, მაგრამ მე ვუთხარი მაგითი ძალლები შეაშინე-მეთქი.

სქშეტუსკი გონს მოვიდა, მისი დალონებული სახე კელავ აენთო ციცინათელასავით, სიხარულმა და იმედმა გაუბრწყვინა თვალები.

— მერე სად არის ეხლა კნიაჟნა, სადა?—ეკითხებოდა სქშეტუსკი.—თუ ესეც გაიგე, არ ეიცი, რითი გადაგიხადო მაშინ მადლობა.

— ეგ არ უთქვამს ჩემთვისა, მაგრამ ჭკვიან კაცს ერთი სიტყვის გადაკვრაც ეყოფა, რომ მიხვდეს ყველაფერსა. ეს დაიხსომეთ, ყმაწვილებო, რომ ამ ლაპარაკის დროს ბოგუნი სულ დამცინოდა. „ჯერ კრივანოსთან წაგიყვან, მერე ქორწილში დაგპატიჟებო; ეგ არის მხოლოდ, რომ ქორწილი მალე არ მექნებაო; ჯერ ეხლა ომიაო." დაიხსომეთ, რომ ჯერ მალე არ იქნება ქორწილიო, მაშასადამე, დრო გვაქვს მოვიფიქროთ რამე. ჰო, ესეც გულში გქონდეთ, რომ ჯერ კრივანოსთან წაგიყვან და მერე ქორწილშიაო: მაშ, ის ქალი კრივანოსთან არ არის. სადმე შორს უნდა იყოს, იქ, საცა ომის სუნი არ მისულა ჯერა.

— სწორედ ოქრო ხარ, ოქრო!—შეჰყვირა ვოლოდიევსკიმ.

— ჯერ მეგონა (პან ზაგლობამ თავ-მოწონებით გაიღიმა), რომ იქნება კიევს გაჰგზავნა-მეთქი, მაგრამ არა; იმანა სთქვა, რომ კიევში წავალ და თან წაგიყვანო; მაშ, ის ქალი არც კიევშია. ან კი განა იმდენად სულელია, რომ ქალი კიევში გაეგზავნა? ხმელნიცკი რომ ჩერვონის რუსეთისაკენ წასულიყო, კიევი ხომ შეიძლებოდა ადვილად დარჩენოდათ ხელში ლიტველთა ჯარებს!

— მართალია, მართალი,—სთქვა აღტაცებით პან ლონგინუსმა.—ღმერთსა ვფიცავ, რომ არა ერთი და ორი გამოგიცვლიდა ჭკუას დიდის სიამოვნებით.

— ახლა მე მკითხოს, მე გამოვუცვლი მერე? ჭკუის მაგივრად, რომ ბოტვინია შემრჩეს ხელში მერე? ლიტველებში ადვილად შერჩება კაცს ხელში ამისთანა ნაცვალი! *)

— შენ კიდევ შენებურად მოჰყევი,—იწყინა ოდნავ პან ლონგინუსმა.

— დამაცადეთ ერთი, გავათავო ჩემი სათქმელი. თუ ის ქალი არც კრივანოსთან არის, არც კიევსა, მაშ სად უნდა იყოს, გეკითხებით მე თქვენ?

— კიდეც ეგ არის საქმე!

— თუ მიხვედრილი ხარ, სთქვი ჩქარა, აღარ შემიძლიან მოთმენა!—შეჰყვირა სქშეტუსკიმ.

— იამპოლს იქით უნდა იყოს!—წარმოსთქვა ზაგლობამ და გადაავლო ყველას თავისი ერთად-ერთი თვალი დიდის ამბითა.

— საიდან იცი?

— საიდან ვიცი? აი საიდან: ვზივარ ბოსელშია და (იმ წუწკმა უბრძანა, რომ ბოსელში დაამწყვდიეთო, ღორებსაც შეუთქვლეფიათ ის ამისათვისა) ჩემს გარშემო ყაზახნი მუსაიფობენ. მივადე ყური კედელსა და ვნახოთ ერთი ამბობს: „ახლა, ატამანი, ალბად, იამპოლს იქით წავა“, მეორე ეუბნევა: „ემანდ გაჩუმდი, სიცოცხლე ხომ არ მოგძულებია, რომ მოჰყოლიხარ და ჭროშავ“. ეს თავი მომჭერით, თუ ის ქალი იამპოლს იქით არ იყოს.

— ეჭვი არ არის, რომ სწორედ აგრე უნდა იყოს!—შეჰყვირა ვოლოდიევსკიმ.

— ყრუ მინდორში არ წაიყვანდა და, ჩემის ფიქრით, უთუოდ იამპოლსა და ეგორლიკს შუა დაჰმალა სადმე. მივლია იქითკენა. იქ, დნესტრის ნაპირად ბევრი ხევ-ხუვებია, სამალავი მღვიმე-მაღარო და ლელიანები; ცალკ-ცალკე კომლობით ისე სცხოვრობენ იქაურები, რომ ერთმანეთს ვერა ჰხედავენ, რაც უნდა ახლო მეზობლები იყვნენ. ალბად ამისთანა მეუდაბნოეთა შორის დაჰმალავდა იმ ქალსაცა. შიშიც უფრო ნაკლებია იქა.

*) ბოტვინია ლიტველების საყვარელი საჭმელია.

— ძალიან კარგი, მაგრა როგორ უნდა მიაღწიოს იქამდე კაცმა, როცა გზაზედ კრიეანოსი სდგას ხარიხასავით?— სთქვა პან ლონგინუსმა.—იანპოლი კი, როგორც გამიგონია, ნამდვილი ბუდეა თურმე ავაზაკებისა.

სქშეტუსკი წამოხტა ფეხზედა.

— ათი სიკვდილი რომ მელოდეს, მაინც ვეცდები იმის დანახვასა. ტანისამოსს გამოვიცვლი, წავალ და ისე დავუწყებ ძებნასა. ღმერთი მიშველის, ვიპოვი სადმე.

— მეც შენთან წამოვალ, იცოდე!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— მეცა; მათხოვრის ტანისამოსს ჩავიცვამ და ფანტურს წამოვიღებ თანა. დამიჯერეთ, მე უფრო გამოცდილი ვარ მაგისთანა საქმეში. ხოლო რაკი ფანტურმა თავი მამაბეზრა, ისევ ქარახსა-სტვირს წამოვიღებ.

— იქნება მეც გამოგადგე რისთვისმე, ძმაო!—სთქვა მწუხარე კილოთი პან ლონგინუსმა.

— ნამდვილად გამოგვადგები,—ჩამოართვა საჩქაროდ სიტყვა ზაგლობამა.—როცა დნესტრში გასვლა დაგვჭირდება, ზურგზედ შეგვისვამ და ისე გაგვიყვან წმინდა ქრისტეფორესავით.

— გულითა და სულით გმადლობთ, და მიმიღია კიდეც თქვენი შემწეობა. ღმერთო დიდებულო, მომეც შეძლება, რომ გარდავუხადო ამ ჩემს მეგობრებს სამაგიერო ყოველ იმისთვის, რაც ამათ ჩემთვის მოიქმედეს.

— ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, ისე ვართ!— შეჰყვირა ზაგლობამ.—ღმერთს ერთი პირი უყვარს, და მალეც ჰნახავთ, რომ მოვიმკით კიდეც ჩვენს ნაჭირნახულევს.

— მე სხვა აღარა დამრჩენია-რა,—სთქვა პატარა სიჩუმის შემდეგ სქშეტუსკიმ,—იმის მეტი, რომ დროშა ჩავაბარო თავადს და დაუყოვნებლივ წავიდე ქალის საძებრად. წავალთ დნესტრის დაყოლება, იამპოლისკენ, თვით ეგორლიკამდე და დავიწყებთ ყველგან ძებნასა. ხოლო თუ როგორც იმედი მაქვს, ხმელნიცკი უკვე ძლეულია, და დაძლეულ იქმნება, ვიდრე ჩვენ თავადის კარამდე მივალთ, მით უკეთესი; მაშინ ხომ

აღარც ის მოვალეობა დაგვიშლის რასმე, რომელიც სამშობ-
ლოს წინაშე გვაქვს ნატვირთი. მხედრობა, უეჭველია, უკრაი-
ნას წავა, რათა ჩააქროს ნაშთი ამბოხების ცეცხლისა, მაგრამ
იქ უჩვენოდაც იოლად წავლენ.

— ხმელნიცკის შემდეგ კი რიგი კრივანოსზედ მიდგება
და მაშინ შეგვიძლიან მხედრობასთან ერთად იამპოლს გავემარ-
თოთ,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— არა, ჩვენ ადრე უნდა ვიყოთ იქა,—იუარა ზაგლობამ,
—მაგრამ უპირველეს ყოვლისა დროშები უნდა ჩაებაროთ თა-
ვადს, რომ ხელ-ფეხი შეკრული აღარა გვქონდეს, მგონია, რომ
თავადი კმაყოფილი დაგვრჩება.

— მეტადრე შენ დაგრჩება კმაყოფილი.

— მეტადრე, მე, იმიტომ რომ კარგს ამბავს მივუტან.
იცით, მე ჯილდოს იმედიცა მაქვს.

— მაშ გავუდგეთ გზასა, ჰა?

— დილამდე უნდა დავისვენოთ.—სთქვა ვოლოდიევსკიმ.
—მაგრამ, დეე, სქშეტუსკიმ იგამრიგეოს, ეგ არის აქ უფრო-
სი, გაფრთხილებთ კი, თუ დღესვე წავალთ, ჩემი ცხენები გზა-
ზედ დაცვივდებიან.

— ვიცი, რომ დღეს არ შეიძლება წასვლა, ხვალისთვის
კი ცხენები დაისვენებენ.

მეორე დღეს ჩვენი მეგობრები გაემართნენ გზად. თავადის
დარიგებისამებრ ზბარაჟს უნდა მისულიყვნენ და იქ ეცადნათ,
რასაც უბძანებდა შემდეგისათვის თავადი. ვოლოჩისკს იყო და-
ნიშნული ბანაკად დგომა.

მაგრამ თვალი მოხუჭეს თუ არა ჩვენმა რაინდებმა, დიდი
მანძილის გავლით დაქანცულებმა, ბანაკში ატყდა ხმაურობა და
დარაჯებმა აცნობეს, რომ ვიღაც ცხენოსანი რაზმი მოდის ჩვენს-
კენაო. ეს რაზმი შინაურ ჯარის-კაცებისა იყო—სახელდობრ
ვერშულის თათრები იყვნენ. ზაგლობა, პან ლონგინუსი და
ვოლოდიევსკი მაშინვე სქშეტუსკის ოთახში შეიკრიბნენ და პა-
ტარა დავაცალოთ შევარდა იმათთან ნიავ-ქარივით ვიღაც
გულ-გახეთქილი კაცი, სულ ტალახში ამოთხვრილი, საშინ-

ლად დაღალულ-დაქანცული. სქშეტუსკიმ დაინახა თუ არა, გაკვირვებით შემოჰკრა ტაში ტაშსა:

— ვერშული!

— დიაღ... მე ვარ!—ძლივს წამოიკნავლა ახლად შემოსულმა.

— თავადის ბანაკიდან მოდიხარ?

— დიაღ!... ლაპარაკის თავი არა მაქვს!

— რა ამბავი იცი, ხმელნიცკი გადაშენდა, აღარ არსებობს?

— აღარ არსებობს... რესპუბლიკა!

— ღვთის გულისათვის, მაგას რას ამბობთ! დავმარცხდით?

— დავმარცხდით, შევრცხვით, თავ-ლაფი დაგვესხა... უბრძოლველად!.. დაიღუპა ყოველივე!.. ოჰ!

— ვერ დაგვიჯერებია. გვიამბეთ, გვიამბეთ, ღვთის გულისათვის!.. გეტმანები?

— გაიქცნენ...

— ჩვენი თავადი სად არის?

—მიდის... უჯაროდ... თავადის კარიდან მოვდივარ... ბრძანებაა... ეხლავე ლვოვს უნდა წახვიდეთ... უკან მოგვდევენ...

— ვინა? ვერშულო! ვერშულო! გონს მოდით, რაინდო! ვინა?

— ხმელნიცკი, თათრები!

— ღმერთო მაღალო!—წარმოსთქვა ღაღადებით ზაგლობამ,—დედა-მიწა სკდება.

სქშეტუსკი მიხვდა, როგორც იყო საქმე.

— დავანებოთ თავი ძიობა-წვლილობასა,—სთქვა პორუჩიკმა,—ეხლავ მოვასხდეთ ცხენებსა!

— მოვასხდეთ, ცხენებსა, ცხენებსა!

ვერშულის თათრები ჯერ ისევ ცხენებზე ისხდნენ; მცხოვრებნი წამოვარდნენ და გამოცვივდენ სახლებიდან ფარნებითა და მაშხალებითა. სამწუხარო ამბავი ელდასავით მოედო მთელს ქალაქსა. ზარებს რეკა დაუწყეს განგაშის ნიშნად. ერთი საათის წინად დამშვიდებული და ძილს მიცემული ქალაქი უეც-

რად ფეხზე დადგა. მკვიდრთ უნდოდათ ჯარს გაჰყოლოდნენ უკან და საჩქაროდ ალაგებდნენ უფრო ძვირფასს ბარგი ბარხანას ურემზედ. მოვიდა დეპუტაცია ბურგომისტრის მეთაურობით და დაუწყო თხოვნა პან სქშეტუსკის, რომ ნუ წახვალ და ტარნოპოლამდე მაინც გააცილე მცხოვრებნიო, გარნა სქშეტუსკიმ ყურიც არ ათხოვა, რადგან გადაწყვეტილი ბძანება მოუვიდა, წადი ლვოეს ეხლავეო.

გზა-გზა ვერშულმა პატარა შეისვენა და მოჰყვა, როგორც იყო საქმე.

— მას აქეთ, რაც რესპუბლიკა არსებობს, ჯერ ისეთი დამარცხება არ გაგონილა. სად მოვა ამისთანა დამარცხებასთან დამარცხება ცეცორისა, ყვითელის წყლებითა, კორსუნისა!

სქშეტუსკიმ განწირულებით დაიწყო მტვრევა ხელებისა.

— დაუჯერებელი ამბავია! — სთქვა პორუჩიკმა. — თავადი საღლა იყო?

— სულ თავი დაანებეს, განგებ ხელი ააღებინეს ყველაფერზედ; საკუთარს დივიზიასაც კი ვერ განაგებდა თავის ნებაზედ.

— მაშ, ვინა მხედართ-მთავრობდა?

— არც არავინ და ყველანიც. დიდი ხანია ემსახურობ, კბილები ომიანობაში დამცვივდა, მაგრამ არც ამისთანა მხედრობა მინახავს და არც ამისთანა მხედართ-მთავრები.

ზაგლობამ, რომელიც ნაკლებად იცნობდა და საზოგადოდ არც უყვარდა ვერშული, საეკვოდ გადააქნ-გადმოაქნია თავი.

— იქნება უეცრად ისე გაჰკვირდით და შეშინდით, რომ მცირედი შებრძოლება დიდ ბრძოლად მოგეჩვენათ, — სთქვა იმანა. — რასაც თქვენ ამბობთ, სწორედ დაუჯერებელი რამ ამბავია.

— გეთანხმებით, რომ დაუჯერებელია და სიამოვნებით გავწირავდი თავს, თუ დამიმტკიცებდა ვინმე, რომ მე ვცდები.

— მაშ როგორ მოჰხდა, რომ თქვენი პირველი გაჩნდით ვოლოჩისკსა? ვერ ვიფიქრებ, რომ თქვენ პირველი ივლტოდით ბრძოლის ველიდან. მაშ სად არის სხვა ჯარი? საით წავიდა? რა დაემართა? რატომ იმ ჯარმა არ გამოგასწროთ? ყოველ ამის პასუხს ამაოდ დავუწყებ ლოდინსა!

ვერშული სხვა დროს არ დასთმობდა ასეთს ლაპარაკს, ახლა კი უპასუხა მხოლოდ:

— მე პირველი გავჩნდი ვოლოჩისკს, მაშინ, როცა სხვები ოჟიგოვეცისკენ მიდიან იმიტომ, რომ თავადმა განგებ გამგზავნა იქით, სადაც თქვენი ნახვა შემძლებოდა, რომ წინდაწინვე შემეტყობინებინა თქვენთვის ყოველივე. სულ არა იყოსრა, თქვენი რაზმი—ხუთასი კაცი,—ეხლა იმისთვის დიდი ამბავია: მისი დივიზიის ერთი ნაწილი ამოწყდა და ერთი ნაწილი აქეთ-იქით დაიქსაქსა.

— უცნაური ამბებია!—წაიბუტბუტა ზაგლობამ.

— საშინელებაა! გული ჰკვნესის, ცრემლები თავის-თავად მოდის თვალთაგან! — დაიკვნესა ვოლოდიევსკიმ.— სამშობლო დაღუპულა, შერცხვენილა! მაგისთანა ჯარი და იძლიოს! განკითხვის დღე დამდგარა სწორედ!

— სიტყვას ნუ აწყვეტინებ,—სთქვა სქშეტუსკიმ.—დააცა, გვიამბოს ყოველივე.

ვერშული გაჩუმდა, თითქო ძალ-ღონეს იკრებსო. სხვილის წვიმის წვეთებს მძიმედ გაჰქონდა ტყაპა-ტყუპი გზის პირის ტბორეებში; ცხენები ძლივს მიათრევდნენ ფეხებს ძალზედ ატალახებულ გზაზედა. შემოდგომის ბნელს ღამეში, ამ თავსხმა წვიმაში როგორღაც გულ-საკლავად ისმოდა სიტყვები ვერშულისა, როცა დაიწყო მან ლაპარაკი.

— იმის იმედი რომ არა მქონოდა, ომში დავდებ-ვეთქი თავსა, უსათუოდ ჭკუაზედ შევიშლებოდი. თქვენ ამბობთ, ქვეყნის დასასრული მოახლოვდაო და მეც ეგრე მგონია, რომ მალე დადგება დღე განკითხვისა, იმიტომ რომ ყოველივე შეირყა, ყოველივე კავშირი გაწყდა, ბოროტება ამარცხებს სათნოებას და ანტიქრისტე უკვე დადის ქვეყნადა. თქვენ არ გინახავთ, რაც მე ვნახე, ხოლო თუ თქვენ არ შეგიძლიანთ გულ-დამშვიდებით მოისმინოთ ჩემი ლაპარაკი, რაღა უნდა მემართებოდეს მე, არ-გაგონილის დამარცხებისა და შერცხვენის მოწამესა?! ომის დაწყებისას ღმერთი გვშველოდა. ჩვენმა თავადმა ძალა დაატანა თავსა და ჯერ ისევ ბანაკად დგომის

დროსვე შეურიგდა თავადს დომინიკს. ყველას გვიხაროდა, რომ ასე თანხმობა ჩამოვარდა და ვმადლობდით ღმერთსა. თავადმა კვლავ გაიმარჯვა კონსტანტინოვთან და კვლავ აიღო თვით ქალაქიცა. წავედით ახლა პილავეცსა, თუმცა თავადი არ გვირჩევდა. აი აქ კი დაუწყეს გზა-გზა შური და მტრობა ფარულად და თხრა ხნარცვისა თავადსა. თათბირის დროს ყურს არ უგდებდნენ, იმის ლაპარაკს შორს იჭერდნენ, ხოლო უპირველეს ყოვლისა ცდილობდნენ გაეცალკეებინათ იმისი დივიზია, რომ თავადს აღარ შესძლებოდა მისი მთლიანად გამოყენება. წინააღმდეგობა რომ დაეწყო, ყოველს უბედურებას იმას დააბრალებდნენ და ამიტომ იყო ჩუმად, იტანჯებოდა და იტანდა ყოველსავე. გენერალ ფელდ-მარშალის ბრძანებით მსუბუქნი რაზმნი დარჩნენ კონსტანტინოვს ვურცელთან ერთად, არტილერიითა და მახნიცკითურთ. საბანაკო პანი ლიტვისა ოსინსკი და კორიცკის პოლკიც მოაშორეს თავადსა, ისე რომ თავადს დარჩა მხოლოდ გუსარები ზაცვილიხოვსკისა, ორი პოლკი დრაგუნთა და ნაწილი ჩემის სადროშო ჯარისა—სულ ორი ათას კაცზედ ნაკლები. ჩვენ ზიზღით გვექცევოდნენ და არც კი ჰფარავდნენ, რომ ვეჯავრებოდით. მე თვითონ გავიგონე, რომ თავად დომინიკის დამქაშები ასე ლაპარაკობდნენ: „ახლაც იტყვიან, როცა გავიმარჯვებთ, რომ ყოველივე მარტო ვისნევეცკის უნარიაო?!“ ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ, თუ თავადმა კიდევ ისახელა თავი, ისე გაძლიერდება, რომ არჩევანებზედ გაიამარჯვებს ბატონიშვილი კარლოსი, ჩვენ კი კაზიმირი გვსურსო. რომ გიამბოთ, რა ნაირ დაირღვა წესი და რიგი, რა უგუნური ნადიმი და ქეიფი იმართებოდა, რა ტრაბახით წარმოსთქვამდნენ სიტყვას სიტყვაზედ ნადიმის დროს, სულ ერჯია, არ დაიჯერებთ. ვის ეკადრება პიროსის ჯარები, როცა ჩვენი მხედრობა ასე ბრწყინავს ოქროთი და თვალ-მარგალიტითაო! ორასი ათასი მსახური, უამრავი ურმები მოგვდევდა უკან; ცხენები ძლივს მიდიოდნენ, ისე იყვნენ დატვირთულნი ფარჩაბრეშუმის ყაჯრებითა; ურმებს სულ ჭრიჭინი გაჰქონდა ვერცხლის ჭურჭლის სიმძიმითა. კაცს ეგონებოდა, რომ ბთელის

ქვეყნის დასაპყრობად ემზადებიანო. საყოველთაოდ ქუდზედ კაც-გამოსული თავად-აზნაურობა დილიდან საღამომდე სულ მათრახებს იქნეედნენ მუქარითა: აი, რით დავამშვიდებთ ტეტიებსაო; ხმალსაც კი არ ამოვიწვდით ქარქაშიდანაო". ჩვენ კი ხნიერი ჯარის-კაცნი, რომელნიც ჩვეულნი ვიყავით მტრის ჟლეტას ხმა-ამოუღებლივ, მარტო ამ კმაყოფილებით აღსავსე ტრაბახისა და ლირფობის დანახვაზედ, წინადვე ვგრძნობდით, რომ კეთილი არა დაგვეყრებოდა-რა. სულ პირველშივე ატყდა ჩხუბი და უსიამოვნება პან კისელის გამო; რიგი ამბობდა, რომ მოღალატეა ისაო, რიგი კიდევ იმის მხარეს იქერდა. გადაკრულებმა ხმლის ტრიალიც ასტეხეს. საბანაკო დარაჯნი არსად იყვნენ. არავინ წესისა და რიგის დაცვას ყურს არ უგდებდა, არავის არა ეყურებოდა-რა და არც არავინ ემორჩილებოდა ვისმე; ყველა აკეთებდა იმას, რაც ჰნებავდა, მიდიოდა იქ, საცა უნდოდა. მსახურ-მხლებელნი ათას ურიგობას კადრულობდნენ... ოჰ, ღმერთო მოწყალეო! ლხინი იყო, ომი კი არა, ისეთი ლხინი, რომელშიაც დიდება რესპუბლიკისა სულ ერთიანად შესჭამეს, შესვეს და შეიკნატუნეს ძვლიან-ფხიანად.

— ჩვენ კი ისევ ცოცხალნი ვართ!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ღმერთი კიდევ ცაშია!—დასძინა სქშეტუსკიმ.

ვერშულმა განაგრძო:

— სულ დავიღუპებით, თუ ღმერთმა არ შეგვიბრალა, თუ დასჯა ჩვენი არ შესწყვიტა და არ მოგვანიჭა ჩვენ მიერ არ დამსახურებული პატივება. ხანდახან ჩემს თვალებსაც არ ვუჯერებ და ასე მგონია მაჯლაჯუნა მაწევს-მეთქი.

— მერე, მერე, გვიამბეთ, რა მოჰხდა,—აგულიანებდა ზაგლობა.—მიხვედით პილავეცსა და მერე...

— და დავდექით იქა. რა ითათბირეს იქ გეტმანებმა, არ ვიცი; ღმერთს გასცემენ იმისთვის პასუხს, რადგან უეცრად რომ შეეტიათ ხმელნიცკისათვის, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა, თუმცა ისე არეულ-დარეული იყო ჩვენი მხედრობა და არც მხედართ-მთავარი გვყავდა. ყაზახთა შორის ჩხუბი და უთანხ-

მოება ატყდა, ბრბოს უნდოდა ხმელნიცკი შეეკრა და მიეცა უფროსთათვის, ხოლო თვითონ გაქცევას აპირობდა. ჩვენი თავადი ხან ერთს კარავთან გაჩნდებოდა, ხან მეორესთან, სთხოვდა, ევედრებოდა, ემუქრებოდა: „შევუტიოთ, ვიდრე ჯერ თათრები არ მოსულან, შევუტიოთო!“ იგლეჯდა თმებს, და ისინი კი ერთმანერთს შესცქეროდნენ, ვითომც აქ არაფერი ამბავიაო! იყო სმა და პურობა, იკრიბებოდა სეიმები... მოვიდა ამბავი, რომ თათრები მოდიანო. ხანს მოჰყავს ორასი ათასი ცხენოსანიო და ისინი კი სულ თათბირობდნენ. თავადმა ჩაიკეტა კარი და იყო თავის კარავში, იმიტომ რომ სრულიად არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ. ჯარში დაიწყეს ლაპარაკი, რომ კანცლერმა უბრძანა თავადს დომინიკს, ნუ შეებრძოლები მტერსაო, მოლაპარაკებაა დაწყებულიო; უწესობა უფრო ძლიერდებოდა. ბოლოს მოვიდნენ თათრებიცა, მაგრამ ღმერთმა გვიშველა: პირველს დღეს თათრები შეეჯახნენ თავადს, პან ოსინსკისა და პან ლაშჩსა და იძლივნენ, ხოლო შემდეგ....

ვერშული აკანკალდა და ხმა ჩაუწყდა.

— შემდეგ-ღა?—ჰკითხა ზაგლობამ.

— საშინელი ღამე დაგვიღამდა. მახსოვს, დარაჯად ვიდექი ჩემის კაცებით მდინარეს ახლოს. უცბად მესმის, რომ ყაზახთა ბანაკში ზარბაზნებს ისვრიან და ერთი ერიამულია, თითქო ეგებებიან ვისმეო. მომაგონდა, რომ ჯერ ყველა თათრები არ მოსულიყვნენ, მარტო ტულაი-ბეი მოვიდა და ვიფიქრე: იქნება ახლა თვით ყეენი მოვიდა და იმას ეგებებიან-მეთქი? ამ დროს ჩვენს ბანაკშიაც ხმაურობა ატყდა. მაშინადვე იქით გავექანე, ვეკითხები, რა ამბავია-მეთქი? მეუბნებიან: „გეტმანები წავიდნენო!“ თავად დომინიკთან გავექანე—არსად არის, მეორე უფროსთან—არც ის არის, სახასო მედროშესთან—ისიც წასულა! იესო ნაზარეველო-მეთქი! ჯარის-კაცნი ფაცი-ფუცობენ მეიდანზედ უთავბოლოდ, არის ერთი ყვირილი, ღრიანცელი, მაშხალების გაქან-გამოქანება აქეთ-იქით. ჰყვირიან: სად არიან გეტმანები, სად არიან გეტმანებიო? ზოგი ღრიალებს: „ღალა-

ტი! ღალატი! თავს უშველეთო!“ ყველას ისეთი შესახედაობა აქვს, თითქო გიჟები არიანო, თვალები აჰრევიათ, ეროს ალაგას პროწიალობენ, ჰკმაზავენ ცხენებს და მიჰქრიან, მიაჭენებენ და თვითონაც კი არ იციან, სად და საით წავიდნენ. ამ დროს მოდის თავადი თავის გუსარებითა; სულ ვერცხლში ზის; ექვსი მაშხალა მოაქვთ მის წინა; უზანგებზედ შემდგარა და ჰყვირის: „ნუ მირბიხართ, მე აქა ვარ, მოდით ჩემთან!“ მაგრამ ვინ უგდებს იმას ყურსა! იმისი ხმა არავის ესმის, იმას ვერავინა ჰხედავს; ლტოლვილნი ეჯახებიან მის გუსარებს, უშლიან მწკრივად სიარულს, ცხენოსანნი ყირამალა ცვივიან ცხენებიდან, თვით ცხენებიც ცვივიან ძირსა; თავადიც ძლივს გადაარჩინეს ამ არეულობაში; მერე აირია ყოველივე, ცეცხლები გაჰქრა. გაიქელა და საშინელს სიბნელეში ეს ოდენი ჯარი, თითქო ნიაღვარიაო, თითქო აღელებული წყალიაო, დაიძრა ბანაკიდან, მოედო სხვადა-სხვა მხარეს, მართალია, იცლტოდა, იღუპებოდა... ახლა აღარც ჯარია, აღარც მხედართ-მთავარნი არიან სადმე, აღარც რესპუბლიკაა, დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი საშინელი შერცხვენა...

აქ ვერშულმა დაიკვნესა. მისი განწირულება სხვებსაც გადაედოთ. დიდ ხანს გასტანა საშინელმა მდუმარებამ. პირველად ზაგლობამ ამოიღო ხმა.

— უბრძოლველად, უომრად, ოჰ, ის წუწკები, ოჰ, ის ძაღლის ნაშობნი! გახსოვთ, რანაირ ტრაბახობდნენ ზბარაჟში, ხმელნიცკი შესაჭმელად არ გვეყოფაო, სულ უმარილოდ, პილპილ მოუყრელად გადავყლაპავთო! ოჰ, ის წუწკები!

— მაშა!— შეჰყვირა ვერშულმა,— გაიქცნენ პირველ გამარჯვების შემდეგვე, როცა ბრბო და თათრები დავამარცხეთ, გაიქცნენ იმ ბრძოლის შემდეგ, როცა ქუდზედ მოსულნიც კი ისე იბრძოდნენ, როგორც ლომები.

— განგების ხელი სჩანს მთლად მაგ ამბავში, —სთქვა სქშეტუსკიმ,— გარნა მაგასთან ერთად სჩანს რაღაც საიდუმლოცა, რომელიც უნდა გამომჟღავნდეს.

— ჯარს რომ უკან დაეწია,— შეჰნიშნა ვოლოდიევსკიმ, —ეგ კიდევ არაფერი, ქვეყანაზედ ყოველივე მოხდება, თორემ

მხედართ-მთავარნი პირველნი ანებებენ თავს ბანაკსა, თითქო განგებ იქცევიან ასე, იმიტომ რომ გაუადვილონ მტერს გამარჯვება და მთლად მხედრობა თვისი გსწყვიტონო.

— მაშა, მაშა!—დაეთანხმა ვერშული.—ამბობენ, რომ განგებ მოიქცნენ აგრეთ.

— განგებაო? გეფიცებით, რომ ეგ შეუძლებელია!

— ამბობენ, რომ განგებაო, ხოლო რისთვის მოიქმედეს ეგა, ვინ იცის, ვინ მიხვდება?

— სამარეშიაც ნუ ჰღირსებიათ მოსვენება, თავს-ლაფი დასხმია მთლად იმათ გვარს ამიერ და უკუნისამდე!—დაიძახა ზაგლობამ.

— ამინ!—დაუკრა კეერი სქშეტუსკიმ.

— ამინ!—გაიმეორა ეოლოდიევსკიმ.

— ამინ!—დაამთავრა წყევლა პან ლონგინუსმა.

— არის ერთი კაცი, რომელსაც შეუძლიან დაიხსნას სამშობლო, თუ იმას მისცემენ კვერთხს და რესპუბლიკის დანარჩენს ჯარს ჩააბარებენ, მხოლოდ ერთი კაცია, იმიტომ რომ სხვა არავინ უნდა არც ჯარსა და არც შლიახტას.

— თავადია!—სთქვა სქშეტუსკიმ.

— სწორედ ის არის.

— იმასთან ვიყვნეთ, იმასთან დავიხოცნეთ. გაუმარჯოს ერემია ვისნეეეკის! —შეჰყვირა აღფრთოვანებით ზაგლობამა.

— გაუმარჯოს! მოისმა პასუხად არა მტკიცედ ხმა რამდენისამე და იგი ხმა ისევ მალე ჩაწდყა, იმიტო რომ, როცა დედამიწა თითქოს აპირობს გასკდეს, ხოლო ცა ჩამოქცევას აპირობს, თავს არ მოდის ყვირილი ღაღადებითა და სიხარულითა.

აღმოსავლეთი შეჰღება წითლად განთიადმა. შორს მკრთალად გამოჩნდა ტარნოპოლის ციხე-სიმაგრე.

IX

პილავციდან ლტოლვილ ჯარის პირველმა ნაწილმა მიაღწია ლვოვს 26 სექტემბერს დილითა. საშინელი ამბავი უც-

ბად მოედო მთელს ქალაქს და ზოგი ფიქრსა და ყოყმანში ჩაგდო, ზოგს თავ-ზარი დასცა შიშითა, ხოლო ზოგი აენთო და განწირულებით წყურვიელობდა შურის-ძიებას. პან სქეტუსკი თავის რაზმით ორის დღის შემდეგ მივიდა, როცა ქალაქი უკვე ავსებულიყო ლტოლვილ ჯარის-კაცებით, თავადაზნაურებითა და შეშურვილ მოქალაქეთა მიერ. ფიქრობდნენ ქალაქის გამაგრებასა და მტრის დახვედრას (თათრებს დღეს არა, ხვალ შეეძლოთ მოსულიყვნენ), მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მოთავე ქალაქის დაცვის საქმეში, როგორ უნდა მოეკიდნათ ხელი ამისთანა მძიმე საქმისათვის? ყველგან უწესოება იყო და შიშის ზარი იდგა. რიგი გარბოდა ქალაქიდან ბარგი-ბარხანითა და ხიზნითა, რიგი, ახლო-მახლო მცხოვრებნი ქალაქში მირბოდნენ და იქ ფიქრობდნენ თავი დაეფარათ; ერთნიცა და მეორენიც ავსებდნენ ქუჩებს, უშლიდნენ ერთმანერთს და კინაღამ თავ-პირს ამტვრევდნენ ერთმანერთს, ოღონდ კი თავისუფლად გაეკვალად გზა; საცა არა მგონია, ურმები იყო აჩხორილი, ტომრები და ბოხჩები იყო დაგროვილ-დახროვებული; ქუჩებში ქვეყნის ცხენები მოეგროვებინათ, სხვადა-სხვა პოლკის ჯარის-კაცთ გაჰქონდათ ფუს-ფუსი; ყველას სახეზედ შიში ემჩნეოდა, მოუსვენარი ლოდინი და განწირულება აღბეჭდოდა. აცლი და ატყდებოდა ტყუილ-უბრალოდ ჟრიამული შიშისა და თავ-ზარ დაცემისა. დაიყვირებდა ვინმე: „მოდიან, მოდიანო!“ და ეს ამოდენა ბრბო დაიწყებდა ღელვას, თითქო ზღვას ქარმა დაჰბერაო, თან შეპყრობილი გაუგებარის მოუსვენრობით გარბოდა, თვითონაც არ იცოდა, სად და რისთვის გარბოდა იმ დრომდე, ვიდრე არ აღმოჩნდებოდა, რომ მოდიოდა არა მტერი, არამედ რომელიმე ახალი რაზმი დამარცხებულ მხედრობისა. თან და თან სულ ბლომადა და ბლომად იყრიდნენ თავს ამისთანა რაზმნი, მაგრამ, ღმერთო! რა საცოდავი სანახავი იყვნენ ეს ჯარის-კაცნი, რომელნიც სულ რამდენიმე დღის წინად ოქრო-ვერცგლში ჩამსხდარნი, სირაქლემას ფრთებით შემკობილნი მიიმღეროდნენ თავ-მომწონედ კისერ-მოღერებულნი ბეამბოხე ტეტიაობის შესამუსრა-

ვად! ახლა აბრანძულ-დაბრანძულნი, მშიერ-მწყურვალნი, დალალულ-დაქანცულნი, მტვრითა და ტალახით სავსენი იყვნენ; ისხდნენ გაძვალ-ტყავებულ ცხენებზედ, შუბლზედ შერცხვენის ბეჭედი ეკრათ და უფრო მთხოვრებსა ჰგვანდნენ, ვიდრე რაინდებს. სიბრალულის ღირსნი იყვნენ, მაგრამ სიბრალულს რა ადგილი ჰქონდა იმ ქალაქში, რომლის გალავანი შესაძლო იყო ყოველ წუთს მტვრად ქცეულიყო ყოვლად-ძლიერის მტრის ერთის შემოტევითა. და აი თვითეული ამ შერცხვენილის რაინდისა იმითი-ღა თუ ინუგეშებდა თავს, რომ ჰნახა თავის გარშემო ანგარიშ-მიუწდომელი, ასი და ათასი ამხანაგი ისიც ისევე შერცხვენილი თავ-ლაფ დასხმული, როგორც თვითონ იყო. პირველში ყველანი თითქო იმალებოდნენ როგორღაც, მაგრამ თითქო იმიტომ რომ შემდეგ, პატარა გონს მოსულნი, მოჰყოლოდნენ წყევლა-კრულვას და მუქარას, დაეწყოთ თრევა ქუჩა-ქუჩა და ლოთობა დუქნებში და მით უფრო გაეძლიერებინათ უწესოება და მოუსვენრობა.

თვითეული ამას გაიძახოდა: „თათრები ახლო არიან! აიგერა მოდიან!“ რიგი გაიძახოდა, ცეცხლი მოუკიდეს სოფლესაო; რიგი ფიცულობდა, ღმერთი, რჯული, იმიერ-ჭორომელნი დაგვესხნენ თავსა და ძლივს გადვურჩითო. ბრბო შემოჰხვეოდა ჯარის-კაცთა და ისმენდა მათს ნაამბობს გულის-ხეთქითა. ბანები ეკლესიებისა და ციხე-კოშკნი ავსებით იყო სავსე ცნობის-მოყვარეთაგან; ჰრეკდნენ ზარებს განგაშის ნიშნად, ხოლო დედა-კაცნი მცირე-წლოვანნი შეკრებილიყვნენ ეკლესიაში, სადაც მრავლად ანთებულს სანთლებს გაჰქონდათ ღადღადი და მათ შორის ბჭყვრიალებდა ოქროს ბარძიმ-ჟეშხუმი წმიდა საიდუმლოთი.

პან სქშეტუსკიმ ძლივს გაიარა თავისი რაზმით გალიციის კარისაკენ მრავლად შეგროვილ ურმებისა, ცხენებისა და ამქრებ შორის, რომლებიც თავთავიანთ ბაირაღებით იდგნენ და გაკვირვებული შესცქეროდნენ რაზმს; მოქალაქეებს უკვირდათ, რომ ეს რაზმი არეულ-დარეული კი არ მოდიოდა, არამედ მწკრივად და მწყობისად, თითქო საომრად არის მომზადებუ-

ლიო. ვილამაც დაიძახა, ჩვენდა შემწედ მოვიდნენო და უეცარმა უსაფუძვლო სიხარულმა მოიცვა ეს ამოდენა ბრბო ხალხისა, რომელიც იწევდა პან სქშეტუსკისკენ და ტბორდებოდა იმის უზანგოებთან. მოცვივდნენ ჯარის კაცნიცა და დაიწყეს ყვირილი: „ეგენი ვისნეველკებისანი არიანო! გაუმარჯოს თავად ერემიასაო!“ ხალხი უფრო-და-უფრო ბევრდებოდა და სქშეტუსკის რაზმი გაჭირვებით მიიწევდა ნელ-ნელა წინა.

ბოლოს სქშეტუსკის პირისპირ გამოჩნდა რაზმი დრაგუნთა, რომელთაც წინ ოფიცერი მოუძღვოდა. ჯარის-კაცნი აქეთ-იქით ჰფანტავდნენ ხალხს, ოფიცერი ჰყვიროდა: „განი, განიო!“ და გაჰქონდა მათრახს ჟაპა-ჟუპი იმათ ზურგზედ, რომელნიც მალე არა სცლიდნენ გზას.

სქშეტუსკიმ იცნო კუშელი.

ახალგაზდა ოფიცერი სულითა და გულით მიეგება ნაცნობებსა.

— ეს რა დროს შევესწარით, რა დროსა!—სთქვა იმანა.

— სად არის თავადი?—ჰკითხა სშეტუსკიმ.

— ჯავრით მოკვდებოდა, რომ რამდენსამე დღეს კიდევ დაგეგვიანებინათ: ისე გაფასებთ თქვენცა და თქვენს ჯარის-კაცებსაცა. ეხლა ბერნარდინებთან არის; გამომგზავნა წესიერება იყოს ქალაქშიო, მაგრამ მე ისევ თქვენთან წამოვალ ეკლესიაში. ეხლა იქ თათბირია.

— ეკლესიაში?

— დიახ. თავადს ჩააბარებენ კეერთხსა; ჯარის-კაცნი ამბობენ, თუ სხვა გვეყოლა უფროსი, ქალაქს არ დავიცავთო.

— წავიდეთ. მეც მინდა ვნახო თავადი.

წავიდნენ. გზა-გზა სქშეტუსკი ძიობდა ყოველსავე, რაც ამბავი იყო ლვოვში, გადწყვეტილია თუ არა, დავიცვათ ქალაქიო.

— ახლა საკუთრად მაგისათვის არის თათბირი,—სთქვა კუშელმა.—მოქალაქენი მოწადინებულნი არიან დაიცვან ქალაქი. რა დროს მოვესწარით! მდაბიო წოდებისანი უფრო მეტს ვაჟკაცობას იჩენენ, ვიდრე შლიახტა და ჯარის-კაცნი.

— მხედართ-მთავარნი? რა დაემართათ? ქალაქში არიან? წინააღმდეგნი იქნებიან თავადის არჩევანისა?

— საქმე ის არის, თვითონ არ იუარეს! უკეთესი დრო ჰქონდათ, რომ იმისთვის ჩაებარებინათ კვერთხი, — ახლა გვიანღაა. მხედართ-მთავარნი გარეულ თავის გამოყოფას ვერა ჰბედავენ. თავადმა დომინიკმა დაისვენა კია მთავარ-ეპისკოპოსის სასახლეში და გასწია მაშინვე, კარგადაც ინება, ამიტომ რომ ვერ დაიჯერებთ, რანაირ ეჯავრება ის კაცი ჯარსა. რაცა ხანია, ის აქ აღარ არის და ჯარის-კაცნი კი ჰყვირიან: „მოგვეცით ერთი, სულ ასო-ასო დავფლითოთო!“ სწორედ ვერც გადარჩებოდა ცოცხალი. პანი სახასო უფროსი პირველი მოვიდა აქა ლტოლვილთა შორის. ეს კიდევ არაფერი. დაუწყო ბრალდება თავადსა, მაგრამ ახლა ხმა-ჩაკმენდილია, რადგან ყველანი იმის წინააღმდეგნიც არიან. აღარავინ ერიდება და პირში აგონებენ, რაც ბრალი და დანაშაული მიუძღვის, ის კი ითმენს და ცრემლით იხრჩობა. საზოგადოდ, საშინელებაა, რომ იცოდეთ, რაც ამბავია!.. ვაი ამ დროს შემსწრეთა! გეუბნებით, ღმერს მადლობა შესწირეთ, რომ თქვენ აქ არ იყავით, პილავცის ბანაკში, იმიტომ რომ, თუ ვინც იქიდან გამოვიქეცით და ჭკუაზედ არ შევიშალეთ მაინც, ეგ მხოლოდ რაღაც სასწაულით მოხდა.

— ჩვენი დივიზია?

— სადღაა, აღარ არის, თითო-ოროლა კაცი-ღა კიეკიეობს. ვურცელი აღარა სჩანს, მახნიცკი არსად არის, ზაცკილიხოვსკი გაჰქრა. პირველი ორი პილავცს არა ყოფილან; იმ ბელზებულმა თავადმა დომინიკმა კონსტანტინოვს დასტოვა ისინი, იქნება ამითი შევასუსტო ძლიერება თავადის ერემიასიო. წავიდნენ სადმე, მტერი შემოერტყათ გარშემო, — არავინ იცის. მოხუცი ზაცვილიხოვსკი კვალ-წმინდად გაჰქრა. ცამ უყო პირი, თუ დედამიწამ, არა ვიცით-რა. ღმერთმა ქმნას, რომ მშვიდობით გადარჩენილიყოს.

— ჯარის-კაცნი ბევრნი არიან აქ შეგროვილნი?

— ბევრნი არიან, მაგრამ რაო? მარტო თავადი თუ მო-

უხერხებს რასმე, თუ კვერთხს მიიღებს; სხვას კი არას გაუგონებენ. თავადი ძალიან სწუხდა თქვენთვის და თქვენის ჯარისკაცებისათვის. ეგ ერთად-ერთი თქვენი სადროშო-ღა გადარჩა მშვიდობითა. ჩვენ ასე გვეგონა დაიღუპნენ ერთიანადაო და გგლოვობდით.

— ეხლა ის არის ბედნიერი, ვისაც ჰგლოვობენ.

— ურდო მალე მოვა აქა?—ჰკითხა ზაგლობამ.

— ვინ იცის? შეიძლება დღეს მოვიდეს. ქალაქს არ შეუძლიან დიდ ხანს დაიცვას თავი, ვერ გამაგრდება. ხმელნიცკის ორასიათასი ჯარი მოჰყავს, თათრე'ი რომ არ ვიანგარიშოთ.

— გათავდა!—სთქვა პასუხად შლიახტიჩმა.—ის გვერჩივნა, რომ პირდაპირ წავსულიყავით და კისერი მოგვენჩხვრია სადმე. რისთვის გავიმარჯვეთ იმდენჯერ? რისთვისა ვძლიეთ?

— ვისა ვძლიეთ?

— კრივანოსსა, ბოგუნსა... ერთმა ტარტაროზმა იცის, ვის არა ვსძლიეთ.

— ძალიან ამბავია!—აქ კუშელმა ხმა დაუდაბლა:—თქვენა პან პორუჩიკო, ვერაფრით განუგეშათ ღმერთმა? ვერ იპოვეთ, რასაც ეძებდით? გაგებით მაინც ვერა გაიგეთ-რა?

— რა დროს მაგის ლაპარაკია?—კინალამ განრისხებით წარმოსთქვა სქშეტუსკიმ.—რა მნიშვნელობა მაქვს ან მე, ან ჩემს გულის-ტკივილს, ჩემს მოუსვენრობას იმასთან შედარებით, რაც მომხდარა! ყოველივე ამაოა და ამაოება, ხოლო ბოლოს სიკვდილი.

— მეც ეგრე ᲑᲒონია, რომ მალე მთელი ქვეყანა დაიქცევა და დაიღუპება.

მოვიდნენ ბერნარდინების ეკლესიაში, რომელიც სანთლებით იყო გაჩაღებული. კარებ წინ უამრავი ხალხი იდგა, მაგრამ კარებს ჰდარაჯობდნენ შუბიანი ჯარის-კაცნი, რომელნიც ეკლესიაში მხოლოდ სახელოვან რაინდებს უშვებდნენ.

სქშეტუსკიმ უბრძანა თავის რაზმს გაშლილიყვნენ და მეორე მწკრივად დამდგარიყვნენ.

— შევიდეთ,—სთქვა კუშელმა.—ამ ეკლესიაში ნახევარი რესპუბლიკაა ახლა თავმოყრილი.

შევიდნენ ყველანი. კუშელი მართალი იყო. ვინც კი შესანიშნავი, დამსახურებული მოიპოვებოდა ქალაქში, ყველანი იქ შეკრეფილიყვნენ სათათბიროდ. აქ იყვნენ მოურავ-ერისთავნიცა, კაშტელიანებიცა, პოლკოვნიკებიცა, როტმისტრებიცა, უცხოეთის ჯართა ოფიცრებიცა, სამღვდელოებაცა, თავად-აზნაურობაცა, ქალაქის მოთათბირე-მოვაზირენიცა თავიანთ მოურავ გროზვაიერითურთ. აქვე იყო თავადიცა, პანი სახასო უფროსიც, ერთ-ერთი მხედართ-მთავარი ძლეულის მხედრობისა, კიევის მოურავ-ერისთავიცა, მეუფროსე სტობანიციკიცა, ვესელიცა, არციშევსკიცა, პან საბანაკო დარაჯი ლიტველი ოსინსკი,— ყველა ესენი დიდ საკურთხეველის წინ ისხდნენ, ისე რომ საზოგადოებას შეეძლო მათი დანახვა. საქმეებს არიგებდნენ საჩქაროდ, მოუსვენრობით, როგორც ყოველთვის არის ხოლმე ამისთანა შემთხვევაში. ორატორები დადგებოდნენ სკამებზედ და აფიცებდნენ დამსწრეთ, ნუ ჩავუგდებთ ქალაქს ხელში მტერს დაუცველადაო. თუნდ რომ დაეიღუპნეთ, ქალაქმა უნდა შეიმაგროს მტერი, ხოლო ამასობაში რესპუბლიკა ძალას მოიკრებს. რა გვაკლია ქალაქის დასაცველად? გარს გალავანი არტყია, ჯარი გვყავს, მხედართ-მთავარი გვინდა მხოლოდაო. ამ სიტყვებზედ დამსწრენი მღელვარებდნენ და იწყებდნენ ყვირილსა. ყველა აღფრთოვანებას ეძლეოდა. „თავს დავსდებთ! თავს დავსდებთ სიხარულითა!“—ისმოდა ყოველ კუთხიდან, მოვირეცხავთ პილავეცის შერცხვენას, გულ-მკერდით დავიფარაეთ სამშობლოს!“ ამოწვდილი ხმლები ელავდა ათას ანთებულ სანთლებს შორის. ზოგნი კი ჰყვიროდნენ: „ჩუმად იყავით, რიგით იყოს!“—„თავი დავიცვათ, თუ არა?“—„დავიცვათ, დავიცვათ,“— იძლეოდა პასუხს უმეტესობა, ისე, რომ ეკლესიის თაღ-კამარანიც ბანს აძლევდა საერთო ხმას და იმეორებდა: — „დავიცვათო!“ — „ვინ იყოს მხედართ-მთავარი?“ —„თავადი ერემია, ის არის მხედართმთავარი! ის არის გმირი! დაე, იმან დაიცვას ქალაქი, რესპუბლიკა, დაე იმას ჩააბარონ კვერთხი! გაუმარჯოს თავადს ერემიას!“

აქ ათასის კაცთა გულ-მკერდიდან აღმოხდა ძახილი, ისეთი ძლიერი და ხმა-მაღალი, რომ კედლებმა ზანზარი დაიწყო და ფანჯრის შუშები წკრიალებდა ჩარჩოებში:

— თავადი ერემია, თავადი ერემია! გაუმარჯოს ღმერთმა, მტერი დაუმარცხოს!

ყველამ თვალი თავადს მიაპყრა, ხოლო თავადი წამოდგა დამშვიდებული, წარბ-შეკრული. კრებამ ხმა გაიკმინდა. ჩამოვარდა დიდი დუმილი.

— ბატონებო! — სთქვა თავადმა რიხიანის, გარკვეულის ხმით.—როცა კიმბერნი და ტევტონნი დაესხნენ თავს რესპუბლიკას, მარის მეტს არავის უნდოდა ეტვირთნა კონსულობა. გარნა მარის ნება ჰქონდა ეტვირთნა ეგ დიდი მოვალეობა, რადგან იმ დროს არ იყვნენ იქ მხედართ-მთავარნი, რომელნიც იყვნენ დანიშნულნი სენატის მიერ... და მეც ამ საშინელს ყოფაში, რომელშიაც ბედმა ჩაგვყარა, არ ვიტყოდი უარს უფლებაზედ, და მწადიან კიდეც სიცოცხლე შევსწირო სამშობლოს, მაგრამ კვერთხის მიღება კი არ შემიძლიან, იმიტომ რომ მაგითი დავარღვევ სენატის უზენაესს ხელმწიფებას, ხოლო თავ-ქვეიფა მხედართ-მთავრად ყოფნა არ მინდა. ჩვენ შორის იმყოფება ის, ვისაც ჩააბარა რესპუბლიკამ კვერთხი, ეგ გახლავთ პან სახალო უფროსი...

ეს იყო... თავადმა ვეღარ განაგრძო ლაპარაკი. პან სახალო უფროსის გახსენებაზედვე ასტყდა საშინელი ხმაურობა და ხმლების ჩხაკი-ჩხუკი; ამოდენა ბრბო შეირყა და აენთო, როგორც თოფის წამალი ნაპერწკლის მიახლოებითა. „დაიკარგოს! დაიღუპოს! pereat!—იგრიალა ათასმა ერთად, — pereat! pereat!“ უფროსი საჩქაროდ წამოდგა; შუბლზედ ცივ-ოფლ-დასხმული: ამასობაში ყვირილი უფრო ძლიერდებოდა, მუქარა ხალხისა უფრო სასტიკად გაისმოდა; უკვე ჰყვიროდნენ: „მოგვეცით ხელშიო!“ და ათიოდე გამძვინვარებულნი გადაერევნენ უმთავრეს საკურთხევლისაკენ. თავადმა დაინახა ესა, წამოდგა და გაიწოდა მარჯვენა ხელი, ხალხს ეგონა, რომ ლაპარაკი უნდაო და უცბად ხმა გაკმინდა.

გარნა თავადს უნდოდა შეეყენებინა აფეთქება ხალხის გრძნობისა, არ მიეცა მისთვის ნება, სისხლი დაექცია ეკლესიაში. რაკი დარწმუნდა, რომ საშიშმა წუთმა გაიარა, კვლავ დაჯდა თავის ადგილზედ.

ორ სავარძელს იქით, კიევის მოურავ-ერისთავის გვერდით იჯდა საცოდავი სახასო უფროსი სარდალი. მთლად გათეთრებულ თმით მოსილი თავი ძირს ჩაეკიდნა, ხელები უმწეოდ ჩამოშვებოდა, ხოლო მკერდიდან წამით-წამად აღმოხდებოდა ყრუ ქვითინი.

— ღმერთო! ცოდვათა ჩემთათვის მოარჩილებით მიტევერთნია ჯვარი ჩემი.

ამ მოხუცის დანახვას ყოველად გაქვავებულს გულშიაც კი უნდა აღეძრა სიბრალული, გარნა ბრბო უამისოდაც მუდამ შეუბრალებელია. მუქარა და ყვირილი კელავ ატყდა, მაგრამ ამ დროს წამოდგა კიევის მოურავ-ერისთავი და ანიშნა ხალხს, რომ მინდა ორიოდე სიტყვა ესთქვაო.

ის იყო ამხანაკი თავადის ერემიასი და ყოველ მის გამარჯვებასა და ძლევა-მოსილებაში წილი ედო, იმის ლაპარაკს ხალხი სიამოვნებით ისმენდა.

მან მიჰმართა თავადს და უთხრა, გაფიცებ ყოველსავე, ნუ იტყვი უარს კვერთხის აღებაზედ და ნულარ ჰყოყმანობო. როცა რესპუბლიკა ილუპება, დაე კანონმა მიიძინოს, დაე საშობლო დაიცვას იმ სარდალმა, რომელიც მთავრობისაგან არ არის დანიშნული, დაიცვას იმან, ვისაც შეუძლიან მისი დახსნა.

— მაშ აიღე კვერთხი შენ, უძლეველო სარდალო! აიღე, დაიხსენ არა ქალაქი, არამედ სრულიად რესპუბლიკა! იმის პირით მე, მოხუცი, გევედრები, ხოლო ჩემთან ერთად მთელი საზოგადოება, ყველა მისი წოდება, ყველა მამაკაცნი, დედაკაცნი და მცირე წლოვანნი... გვიხსენ ჩვენ, გვიხსენ!

ამ დროს მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც გული აუჩუყა ყველას ლმობიერებით: მძიმე ძაძა-ფლასით მოსილი დედაკაცი მიუახლოვდა საკუთრთხეველს, დაჰყარა თავადის ფეხ-ქვეშ ოქროს სამკაულნი და ძვირფასი თვალ-მარგალიტი და ქვითინით დაემხო მუხლ-მოდრეკილი მის წინაშე.

— შენთან მოგვაქვს ჩვენი ქონება, შენთა ხელთა ვაკვედრებთ ჩვენს სიცოცხლეს, გვიხსენ ჩვენ, გვიხსენი! ვილუპებით!

ყველა სენატორებმა, რაინდებმა და მათ შემდეგ მთელმა ხალხმა ქვითინი დაიწყო. ყველა ერთს სიტყვას იმეორებდა:

— გვიხსენ ჩვენ!

თავადმა ხელები მიიფარა თვალებზედ, ხოლო როცა თავი მაღლა აიღო, შეამჩნიეს, რომ ისიცა სტიროდა. მაინც ჯერ ისევ ყოყმობდა. რა მოუვა რესპუბლიკის დიდებას, მე რომ კვერთხი მივიღოვო?

ბოლოს წამოდგა თეით სახასო უფროსი სარდალიცა.

— მოხუცი ვარ, საცოდავი, ბედისაგან წელში გაღუნული,—სთქვა მან.—ნება მაქვს მოვიშორო ტვირთი, რომელიც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება და ვატვირთებინო უფრო ახალგაზდას. ჯვარცმულისა და მთლად ამ რაინდობის წინაშე შენ გაბარებ კვერთხს... აიღე!

მან გაუწოდა კვერთხი ვისნეეეკისა. ჩამოვარდა ისეთი მდუმარება, რომ ბუზის ფრენაც კი ისმოდა. მაგრამ აი გაისმა ღაღადებით ხმა ერემიასი:

— ცოდვათა ჩემთათვის, ვიღებ კვერთხს.

ყველა დამსწრენი თითქო უცბად დაითვრნენო. ბრბომ დაამტვრია ხარიხები, მიაწყდა საკურთხეველს და ტბორდებოდა ვისნეეეკის ფეხთა წინაშე, მიჰქონდა ფული და ოქრო-ვერცხლი. სამჯიარულო ამბავი ელვასავით სწრაფად მოედო მთელს ქალაქს. ჯარის-კაცნი კინაღამ არ გაგიჟდნენ სიხარულით და ჰყვიროდნენ, გვინდა შევუტიოთ ხმელნიცკის, თავს დავესხმით თათრებს, ხონთქარსაო. ქალაქის მკვიდრნი იმას კი აღარა ფიქრობდნენ, მივცეთ ქალაქი მტერსაო, არამედ ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო; სომხებს თავიანთის ნებით მოჰქონდათ ფული ქალაქის გამგეობაში, ებრაელნი სამადლობელს ლოცვებსა კითხულობდნენ სინაგოგებში. გალავნის კედლებიდან ისროდნენ ზარბაზნებს, ქუჩებში გაჰქონდა გრიალი ზარბაზნებსა და ჭახა-ჭუხი დამბაჩებსა. ყვირილი: „გაუმარჯოს!“ მთელს ღამეს არ შეწყვეტილა. ვინც არ იცოდა საქმის ვითარება, ეგონებოდა, რომ ქალაქი გამარჯვებასა დღესასწაულობსო.

ის კი არა თუ, სამასი ათასი მხედრობა,—მხედრობა ისეთი, რომლისთანასაც ვერ გამოიყვანდა ვერც გერმანიის კეისარი, ვერც მეფე საფრანგეთისა,—მხედრობა უფრო მძვინვარე, ვიდრე ურდონი თემურ-ლენგისა, უნდა ალყად შემოერტყმოდა მალე და ძალიან მალე ამ ქალაქის კედლებს.

გავიდა ერთი კვირა და დილით, 6 ოქტომბერს გავარდა ლვოვში ხმა, რამდენადაც მოულოდნელი, იმდენადაც საშინელი, რომ თავადმა ერემიამ წაიყვანა უმეტესი ნაწილი ჯარისა, ღვთის ანაბარად დასტოვა ქალაქი და წავიდა სადღაცაო.

მთავარ-ეპისკოპოსის სასახლის წინ აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. არავის არა სჯეროდა, რომ თავადს თავი დაენებებინა ქალაქისათვის: ეგ შეუძლებელი საქმეაო, ჯარის-კაცნი ამტკიცებდნენ, რომ თავადი წავიდა ქალაქიდან, ალბად იმიტომ წავიდა, რომ დიდის მხედრობის შემწეობით დაჰზვეროს ქალაქის გარემონიო. უთუოდ ეჭვი აიღო, რომ ჯაშუშნი სწორეს არას ამბობენო, რადგან სულ იმას გაიძახოდნენ, ხმელნიცკი და თათრები საცაა მოადგებიან ქალაქსაო და ის კი არა თუ 26 სექტემბრიდან აგერ ათი დღე გავიდა, ხოლო თათრები კი არსადა სჩანდნენ. თავადს თავის თვალით უნდა დარწმუნდეს, მართალია თუა არა ჯაშუშების ნალაპარაკეი და, დარწმუნდება თუ არა, მაშინვე დაბრუნდება უკანვე. ესეც რომ არ იყოს, ქალაქში რამდენიმე პოლკი დაუტოვებია და მის დასაცველად ყოველივე მზად არის.

მართლა ასეც იყო. ბრძანება ყველას მიცემული ჰქონდა, ყველას ჩაჰბარებოდა ადგილი, რომელიც უნდა დაეცვა, ზარბაზნები გამზადებული იყო ციხის კედლებზედ. საღამოზედ მოვიდა როტმისტრი ციხოცსკი ორმოც და ათის დრაგუნითა. მრავალნი ცნობის მოყვარენი შემოეხვივნენ „როტმისტრს ამბების გამოსაკითხველად, მაგრამ ციხოცკი გენერალ არციშევსკისთან გაეშურა; იმათ ორივემ დაიბარეს გროზავაიერი და თათბირის

შემდეგ რატუშაში წავიდნენ. იქ გროზვაიერმა გამოუცხადა გაოცებულ ხმოსნებს, რომ თავადი აღარ დაბრუნდებაო.

პირველ ხანს ყველას წელები დასწყდათ; ვიღაც უგუნურმა წამოიძახა კიდეც: „მოღალატე!“ მაგრამ ამ დროს წამოდგა არტიშევსკი, მოხუცი მხედართ-მთავარი, სახელ-განთქმული ჰოლანდიის სამსახურში ყოფნის დროს, და მიჰმართა რაინდებსა და ხმოსნებს შემდეგის სიტყვითა:

— მე მომესმა თავგასული სიტყვა, სიტყვა მკრეხელობისა და მრცხვენის იმის მაგიერ, ვინც ის სიტყვა წარმოსთქვა. თავადი წავიდა აქედან და აღარც დაბრუნდება,—ეს მართალია. განა გაქვსთ უფლება მოსთხოვოთ სპასალარს, რომელსაც კისრად უდვია დახსნა მთლად სამშობლოსი, მარტო ჩვენი ქალაქი დაიხსენიო? რა მოხდებოდა, რომ მთლად რესპუბლიკის დანაშთენს მხედრობას აქ შემოჰრტყმოდა მტერი? არც სურსათი და არც თოფ-იარაღი, რაიცა საჭირო იყო იმოდენის მხედრობისათვის, აქ არ არის. მე ვამტკიცებ,—ხოლო თქვენ შეგიძლიანთ ენდოთ ჩემს გამოცდილებას, – რომ რაც უფრო მეტი ჯარი იქნებოდა აქ მომწყვდეული, მით უფრო ნაკლებ ხანს გასტანდა დაცვა ქალაქისა; შიმშილი უფრო მალე მოგვესეოდა, ვიდრე მტერი. ხმელნიცკის თავადის დარდი უფრო აქვს, ვიდრე თქვენის ქალაქისა. როცა გაიგებს, რომ თავადი ახალ ჯარებს აგროვებს და შეიძლება მოეშველოს ამ ქალაქსაო, უფრო ადვილად დაგიწყებთ მოლაპარაკებას მშვიდობის ჩამოსაგდებად. თქვენ ახლა დრტვინავთ, ხოლო მე გეუბნევით, რომ თავადი, რომელმაც დასტოვა ქალაქი და რომელიც შორიდან ემუქრება ხმელნიცკის, ამით უფრო ადვილად დაგიხსნით თქვენცა და თქვენს შვილებსაც. გამაგრდით, იბრძოლეთ, შეაოკეთ, შეაფერხეთ მტერი პატარა ხანს მაინც და ქალაქსაც გადაარჩენთ და რესპუბლიკის საუკუნო მადლობასაც დაიმსახურებთ. ამასობაში თავადი ახალ ძალ-ღონეს შემოიკრებს, ჩააყენებს ჯარს ციხეებში, გააღვიძებს მთვლემარე რესპუბლიკას და გამოეშურება თქვენს საშველად. მაშ გასწით და გამაგრდით გალავნის კოშკებში და დაიხსენით თქვენი თავიცა, თქვენი შვილებიცა და მთლად რესპუბლიკაცა.

— კოშკებში წავიდეთ! კოშკებში!—გაიმეორა რამდენ-ჯერ უფრო გაბედულმა კაცმა.

გროზვაიერმა, კაცმა მხნემ და გამბედავმა, სთქვა, რომ ვიბრძოლებ, ვიდრე პირში სული მიდგაო.

იმედმა კვლავ გაამხნევა გული მოქალაქეთა, მით უმეტეს, რომ ციხოცკიმაცა სთქვა:

— თავადს შემოუთვლია თქვენთვის, რომ მტერი ახლოს არისო. პარუჩიკი სქშეტუსკი შეხვედრია სამი-ათასს კაცს თათრებსა და დაუმარცხვია. ტყვენი ამბობენ, რომ ჩვენს უკან დიდი-ძალი ჯარი მოდისო.

— კოშკებში წავიდეთ!—გასცა ბრძანება გროზვაიერმა.

— კოშკებში, კოშკებში!—გაიმეორეს აფიცრებმა და მოქალაქეებმა.

გარედან საშინელი ხმაურობა მოისმა. ათასი კაცის ხმა შეერთდა და იყო ერთი ღრიანცელი და ძახილი; ბოლოს, გაიღო კარები და ქალაქის სახლში შემოცვივდნენ რამდენიმე მოქალაქენი.

— ცა გაწითლებულია ცეცხლისაგან! ცა გაწითლებულია!—დაიძახეს იმათ და აღარ დააცადეს გროზვაიერს, რომ ეკითხნა, რა ამბავია, რა მოხდაო.

— გათავდა!—დაიძახა გროზვაიერმა,—კოშკებში გავმაგრდეთ!!!

დარბაზი დაცარიელდა. მალე ზარბაზნების გრიალმა შეატყობინა ქალაქისა, მის გარე-უბნებისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ, რომ მტერი უახლოვდება ჩვენს არე-მარესაო.

აღმოსავლეთად ცის-კიდური სულ გაწითლებულიყო ცეცხლის ალითა, თითქო ზღვა უახლოვდება საცოდავს ქალაქსაო.

ამ დროს თავადი ეცა ზამოსტიესა, დაამარცხა თათრების ის რაზმი, რომელიც ციხოვცკიმ ახსენა და დაუწყო გამაგრება უიმისოდაც მაგარს ციხეს. სქშეტუსკი პან ლონგინუსითა

და თვისის სადროშოს ჯარის ერთის ნაწილითურთ დარჩა ციხეში პან ვეიგერთან, ხოლო თავადი გაეშურა ვარშავს, სეიმსა ესთხოვ ახალის ჯარის მოსაკრეფად მიიღოს ღონისძიება და მონაწილეობას მივიღებ მეფის არჩევანშიო. ამ არჩევანზედ იყო დამოკიდებული ბედი ვისნევეცკისა და თვით რესპუბლიკისა, იმიტომ რომ, თუ ბატონიშვილს კარლოს აირჩევდნენ, ომის მომხრე დასი გაიმარჯვებდა, თავადს ჩაჰბარდებოდა უფროსობა მთლად რესპუბლიკის მხედრობისა და ატყდებოდა სასტიკი ბრძოლა ხმელნიცკის საწინააღმდეგოდ. ბატონიშვილი კი, თუმცა ისიც განთქმული იყო თვისის ვაჟკაცობით, მომხრე იყო კანცლერის ოსოლინსკისა და იმ აზრს ადგა, რომ ყაზახობასთან უფრო გამოდგება პოლიტიკა დათმობისაო. ორივ ძმანი ბევრ რამესა ჰპირდებოდნენ ქვეყანას და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდნენ ბლომად ჰყოლოდათ მომხრენი. ორივეს დასი სრულიად თანაბარი იყო მომხრეთა რიცხვითა და ძალ-ღონითა. ვინ გაიმარჯვებდა? კანცლერს ეშინოდა, ვაი თუ დღევანდელ გარემოებათა შორის თავადმა ერემიამ თავისკენ გადაჰხაროს სასწორი გამარჯვებისაო; თავადიც თავის მხრით ამგვარისავე მოსაზრებით, ეშურებოდა მხარი მიეცა თავის კანდიდატისათვის. ამიტომ მიისწრაფოდა ასე გაჩქარებით ვარშავას; მით უმეტეს, რომ დარწმუნებული იყო, ზამოსტიე დიდ ხანს შეიმაგრებს მთლად ხმელნიცკისა და თათრების მხედრობასაო. ლვოვი, უნდა ვიფიქროთ, გადარჩენილია ახლაო, რადგან ხმელნიცკი დიდ ხანს ვერ გაჩერდება ამ ციხეს ახლოს, როცა წინ უფრო მაგარი ციხე უდგას ზამოსტიესიო, ისეთი ციხე, რომელიც გზას უკრავს მტერს თვით რესპუბლიკის შუა-გულამდე მისაღწევადაო. ეს მოსაზრებანი ამაგრებდა თავადს და ახალ იმედს აღვიძებდა მის გულში, რომელიც ათასის ტანჯვითა ჰქონდა გაწამებული. დეე აირჩიონ კაზიმირი, მაინც ომი აუცილებელია და ამბოხება უნდა ჩაქრეს ორ-სამ ტოტად დაღვრილის სისხლითაო. ერემიას იმედი ჰქონდა, რომ რესპუბლიკა ერთხელ კიდევ შემოიკრებს დიდ-ძალს ჯარს, იმიტომ რომ მოლაპარაკებაც კი შეუძლებელია მშვიდობიანობის ჩა-

მოსაგდებად, თუ მხედრობა ძლიერი არ შემოიკრიბა რესპუ-
ბლიკამაო.

თავადი მიდიოდა რამდენისამე სადროშოს ჯარითა და
თან ახლდნენ პან ვოლოდიევსკი და ზაგლობა, რომელიც
ჯვარსა და სახარებას ფიცულობდა, რომ ასობით ხმას ვიშოვი
ბატონიშვილის კარლოსისათვისაო, ვიცი როგორ უნდა მოექ-
ცეს კაცი შლიახტას და ისე ვათამაშებ, როგორც ჩემი ნებაოო;
ვოლოდიევსკი წინ მიუძღოდა თავადის ამალას. სენნიცას, მინ-
სკის ახლოს, თავადს ელოდა სასიხარულო, თუმცა მოულოდ-
ნელი შეხვედრა კნეინა გრიზელდასი, რომელიც ბრესტ-ლი-
ტოვსკიდან ვარშავას მიდიოდა, რადგან იქ უფრო უშიშრად იქ-
ნებოდა და ამას გარდა იმედი ჰქონდა, იქნება ჩემი ქმარი იქ
მაინცა ვნახოვო. დიდი ხნის უნახავ ცოლ-ქმრის შეხვედრა
მეტად გულის-მომწყვლელი სანახავი იყო. კნეინა თუმცა გულ-
მაგარი ადამიანი იყო, ქვითინით გადაეხვია ქმარს და ეეღარ
დამშვიდდა კარგა ხანსა. რა ხშირად შიშობდა, არა აუტყდეს-
რა ჩემს ქმარსაო, რა ნაკლებად ჰქონდა იმედი კვლავ მისის
ნახვისა და ის კი არა თუ ღმერთმა შემიბრალა და აგერ ვხე-
დავ ჩემს ქმარს, მეტის დიდებით მორეკმულს, უფრო ძლიერს,
ვიდრე ყოფილა ოდესმე, პირველ სპასპეტსა და სპასალარსა,
ერთად-ერთს იმედს სრულიად რესპუბლიკისასაო. ამასა ჰფიქ-
რობდა კნეინა გულში და თვალ-ცრემლიანი სიყვარულით შეჰ-
ყურებდა მის ძვირფასს, მოქანცულს სახეს, მის მაღალ შუბლს,
ნაოჭად შეკრულს, მის თვალებს, უძილობით დაწითლებულს
ლაშქრობაში და კვლავ წამოუდუღდებოდა გული და ღაპა-
ღუპით სცვიოდა ცრემლები. სეფე-ქალნიც თავს ვერ იკავებ-
დნენ და სტიროდნენ ისინიცა. ბოლოს, კნეინა დამშვიდდა
ნელ-ნელა. ცოლ-ქმარმა დაუწყეს გამოკითხვა ერთმანეთს მე-
გობართა, ნათესავთა და ნაცნობთა ამბავისა. თავადმა უამბო,
რომ სქშეტუსკიმ, დიდის მწუხარებით შეპყრობილმა, არ მოი-
ნდომა სატახტო ქალაქის მხიარულ ცხოვრებაში ჩაბმა და ამ-
ჯობინა ბანაკში დარჩენა თეისის გულის წყლულთა დასაამებ-
ლად. მერე პან ზაგლობა გააცნო ცოლსა: „ეს გახლავთ vir

ncomparabilis,—სთქვა თავადმა,—რომელმაც არა თუ ხელიდან წაართვა ელენე ბოგუნს, არამედ ხმელნიცკის ბანაკშიაც კი მშვიდობით გაატარა, ხოლო შემდეგ ჩვენთან ერთად იბრძოდა ვაქკაცურად კონსტანტინოეს ახლოს.“ „vir incomparabilis“ მძიმედ უკრავდა თავს კნეინას და თვისსა გმირობას უფრო ადიდებდა თვისის სიმშვიდითა. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ცალი თვალი სეფე-ქალისკენ ეჭირა. პან ზაგლობამ თუმცა დაჰკარგა იმედი ქალის გულის მონადირებისა, გარნა მაინც სასიამოვნოდ ჰქონდა, რომ ლამაზი ქალები ისმენენ ჩემის ქველობის ამბავსაო. რასაკვირველია, არც უიმისობა იყო, რომ სიმწარეც არ გამოეცადნათ ქალებსა: ვინ იცის რამდენჯერ გაიგონა კნეინამ, როცა კი იკითხა ამა თუ იმ რაინდის ამბავი, პასუხი თავადისა: „მოჰკლეს, მოჰკლეს, თავი გასწირაო;“ ვინ იცის, რამდენჯერ მოისმა ამისთანა პასუხის შემდეგ ქვითინი სეფე-ქალთაგან!

ასე ერთოდა სიხარულს მწუხარება, ღიმილს ცრემლები. მაგრამ ყველაზე უფრო შეწუხებული იყო ტან-მორჩილი ვოლოდიევსკი. ამაოდ იყურებოდა აქეთ-იქით,—კნიაგინა ბარბარეს ვერსადა ჰხედავდა. მართალია, ლაშკრობაში, გამუდმებულ ბრძოლისა და მტრის ზვერა-დევნაში რაინდს, ცოტა არ იყოს, გულიდან გადაუვარდა კნიაგინა ბარბარე, გარნა ახლა სიყვარული კვლავ გამეფდა მის გულში. საწყალმა ვოლოდიევსკიმ მწუხარედ ჩაჰღუნა თავი; ულვაშები, რომელიც მუდამ გაწკეპილი ჰქონდა, ახლა ძირს დაჰშვებოდა; სახეზედ აღარ ეტყობოდა იერი გულ-დამშვიდებისა, იდგა მდუმარედ და მაშინაც კი არ გაინძრა, როცა თავადმა ახლა იმას დაუწყო ქება თავის მეუღლის წინაშე. ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ყოველ-გვარ ქება-დიდებას, თუ მისი სულის-დგმა არ მოისმენდა?

იმის ბედზედ, ანნა ბოჟობოღატის ქალს შეეცოდა ყმაწვილი კაცი და, თუმცა წინად ბევრჯერ ჩხუბი მოსდიოდათ, გადასწყვიტა, ენუგეშებინა როგორმე. შეუმჩნეველად, ნელ-ნელა იწევდა და ბოლოს სულ მიუახლოვდა კია.

— დილი კარგა ყოფნისი,—მისცა ქალმა სალამი,—რამდენი ხანია ერთმანერთი აღარ გვინახავს.

— ოჰ, ანნა, ანნა,—უპასუხა დაღონებულმა პან მიხალმა,—ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა მასუკან... სამწუხარო დროს მოგვიხდა ერთმანეთის ნახვა... ვინ იცის, რამდენი ნაცნობი და მეგობარი იკითხო და ვეღარ კი ჰნახო!

— ოჰ, ოჰ, რამდენს რაინდს ვაუწირავს თავი!

ანნამ ამოიოხრა და კვლავ განაგრძო:

— ჩვენც შევცოტავდით. პანნა სენიუტის ქალი გათხოვდა, ხოლო კნიაჟნა ბარბარე ვილნოს მოურავის მეუღლესთან დარჩა.

— და ალბად ისიც გათხოვებასა ჰფიქრობს?

— არა, მაგას ნაკლებადა ჰფიქრობს. მაგას რად მეკითხებით?

ანნამ ამოიკიჟა თავისი შავი თვალები და ალმაცერად შეჰხედა რაინდსა.

— ერთგული ვარ ვისნეეეცკების მთელი გვარისა და იმიტომ,—უპასუხა პან მიხალმა.

— ოჰ, ეგ კარგი საქმეა თქვენის მხრით!—ჩამოართვა სიტყვა ანნამ.—კნიაჟნა ბარბარე დიდი მეგობარია თქვენი. არა ერთხელ უთქვამს: სად არის ნეტავი ახლა ჩემი რაინდი, რომელმაც ლუბნის ასპარეზობაზედ ჩემის სახელით ყველაზედ მეტი თავი მოჰკვეთა თათრებსა, რისთვისაც ჯილდოც მიიღო ჩემგან? ნეტავი რას აკეთებს ახლა? ცოცხალია კიდევ თუ არა და ან ვახსოვართ კიდევა?

პან მიხელმა მადლობით შეჰხედა ანნას და პირველად შეჰნიშნა, რომ ძალიან გალამაზებულიყო.

— ნუ თუ კნიაჟნა ბარბარემ მართლა აგრე ილაპარაკა?—ჰკითხა ყაწვილმა კაცმა.

— მერწმუნეთ. მაგას გარდა, ისიც მოიგონა, როგორ გადაახტუნეთ ერთხელ ცხენი იმის სახელობაზედ... გახსოვთ, წყალშიაც რომ ჩავარდით?

— სად არის ახლა ვიდინოს მოურავის მეუღლე?

— ჩვენთან იყო ბრესტში, მაგრამ ამ ერთის კვირის წინად ბელსკს წავიდა და იქიდან ვარშავას მოვა.

პან ვოლოდიევსკიმ მეორედ შეჰხედა ანნას და ახლა კი ველარ მოითმინა.

— თქვენ ისე გალამაზებულხართ, რომ სულ თვალებსა მჭრის თქვენი ეშხი,—სთქვა მიხალმა.

ყმაწვილმა ქალმა გაიღიმა.

— მაგას იმიტომ ამბობთ, რომ თავი მომაწონოთ და ტრფიალების ცეცხლი აღმიგზნოთ.

ვოლოდიევსკიმ მხრები შეიშმუშნა.

— თავის დროზედ ძალიან ვსცდილობდი მაგასა, ღმერთმა ხომ იცის, ვსცდილობდი, მაგრამ არა გამოვიდა-რა, ახლა კი მინდა, რომ პან პოდბიპენტა იყოს ჩემზე ბედნიერი.

— სად არის პან პოდბიპენტა?—ჩუმადა ჰკითხა ანნამა და თვალები დაჰხარა.

— ზამოსტიეშია, სქშეტუსკისთან; იქ დარჩა დროშის უფროსის მოადგილედ, მაგრამ რომ სცოდნოდა, ვისაცა ჰნახავდა აქა, ოჰ, ვფიცავ ღმერთსა, დაეთხოვებოდა და სულ თავ-პირის მტვრევით გამოგვყვებოდა ჩვენა. მამაცი რაინდია და ღირსია ყოვლადის სიყვარულისა და პატივისცემისა..

— ომში?.. ომში როგორ იქცეოდა?

— თქვენ უთუოდ იმ სამის თავის ამბავზე მეკითხებით, რომელიც უნდა მოჰკვეთოს იმანა?

— მე არა მჯერა, რომ მართლა ეგ განზრახვა ჰქონდეს.

— უნდა გჯეროდეთ კი. უმაგისოდ არა იქნება-რა. გულდადებით ცდილობს, რომ მაგისთანა შემთხვევას არ ასცდეს. მახნოეკას ახლო რომ ვიომეთ, წავედით და დავათვალიერეთ ის ადგილი, საცა პან პოდბიპენტა იბრძოდა, თვით თავადიც ჩვენთან ერთად წამოვიდა და აი რა უნდა გითხრათ: ბევრი რამ მინახავს ომში, მაგრამ იმისთანა სანახაობა კი ჯერ ჩემს თვალებს არ უხილნია. ბრძოლის დაწყებამდე თქვენს ოქრომკედის სარტყელს რომ შემოიკრაეს ხოლმე, საშინელებაა. მენ-

დეთ, იპოვის სამს მოსაკვეთს თავსა, იპოვის, თქვენ არხეინად ბძანდებოდეთ.

— ღმერთმა ბძანოს, რომ ყველამ იპოვნოს ის, რასაც ეძებს,—სთქვა ამოოხვრით ანნამ.

ამოიოხრა ვოლოდიევსკიმაც და, თვალები მაღლა უნდა აღემართნა ცად მიმართ, რომ უცბად მისი ყურადღება სხვა მხარეს იქმნა მიქცეული. ოთახის მეორე მხრიდან გაბოროტებითა და განრისხებით უცქეროდა ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც უზარმაზარი ცხვირი ჰქონდა და ასეთივე ულვაშები.

კაცს შეეშინდებოდა იმ ცხვირისაცა, იმ ულვაშებისაცა და დაბრიალებულის თვალებისაცა, მაგრამ ვოლოდიევსკი მშიშარა და მხდალი კაცი არ იყო. ერთ დანახვაზედ გაჰკვირდა მხოლოდ და იკითხა:

— ვინ არის აის კაცი, იქით კუთხეში რომ სდგას? ისე მიბღვერის, თითქო უნდა შემჭამოსო და იმ ულვაშებსაც აქანავებს აქეთ-იქითა.

— აისა?—ჰკითხა ანნამ და გაიცინა. — ეგ პან ხორლამპია.

— ვინ არის ეგ წარმართი?

— სრულიადაც წარმართი არ არის. ვილნოს პან მოურავის დროშის კაცია, როტმისტრი სუბუქის ცხენოსანთა ჯარისა. გვაცილებს ვარშავამდე და იქ დაუცდის თვით მოურავსა. ნუ წაეჩხუბებით, კაცის მჭამელია.

— ვხედავ, ვხედავ. მაგრამ თუ კაცის მჭამელია, რამდენია ჩემზედ სქელი, მე რაღას მიბღვერის?

— იმას გიბღვერის, რომ...—ანნამ კვლავ სიცილი დაიწყო.

— რად მიბღვერის?..

— მე უყვარვარ და იმიტომ; თითონვე მითხრა, რომ ყველას, ვინც შენთან მოვა, სულ ნაჭერ-ნაჭერ ავკუწავო, და ახლა (არ გეხუმრები) მხოლოდ თავადის აქ ყოფნა აკავებს, თორემ წაგეჩხუბებოდა რაზედმე.

— ერიგიდი-ჰა!—სთქვა მხიარულად ვოლოდიევსკიმ.—მაშ, აგრეა პანნა ანნა? მაშ, ტყუილად არა ვმღეროდით ხოლმე: „ვითა ურდო თათართაო, ატყვევებ გულთ ჩვენ ქალთაო.“

გახსოვთ, პანნა? ისე ფეხს არ გადასდგამთ, რომ არავინ არ გადაჭრიოთ!

— რა ვქნა, ეგ არის ჩემი უბედურება!—სთქვა ანნამ და ძირს დაჰხარა თვალები.

— რას იტყვის ახლა პან ლანგინუსი?

— ჩემი რა ბრალია, რომ პან ხარლამპი მოსვენებას აღარ მაძლევს? მე ჭირივით მეჯავრება და ზედაც არ მინდა შეეხედო.

— აბა, აბა, გაფთხილდით, რომ თქვენის გულისათვის სისხლის-ღვრა არ მოჰხდეს. პოდბიპენტა განხორციელებული სიმშვიდეა, მაგრამ სიყვარულის საქმეში კი ძნელია იმასთანა.

— ნეტავ ყურებსაც დააჭრიდეს ამ ხარლამპისა, ძალიან მოხარული ვიქნები.

ანნა მოტრიალდა, გაცქრიალდა მეორე მხარესა, საცა კარბონი იდგა, კნეინას მკურნალი და დაუწყო რაღაც ჩურჩული ყურში.

იმის მაგიერ ვოლოდიევსკისთან მიეიდა ზაგლობა და დიდ მნიშვნელოვანებით თვალი უყო ვოლოდიევსკის.

— პან მიხალ,—ჰკითხა მან,—ვინ არის ეგ ცქრიალა?

— პანნა ანნა ბოჟობოღატის ქალია, კნეინას საყვარელი სეფე-ქალი.

— ძალიან ლამაზია, მე და ჩემმა ღმერთმა! თვალები ციცინათელას მიუგავს, ყელი ხომ....

— მაგ ქალს თავი დაანებეთ. პან პოდბიპენტას დანიშნულია.

— პან პოდბიპენტასი? ღმერთს რაზე სცოდავ? იმას ხომ უბიწოების აღთქმა აქვს დადებული? ამასაც თავი დაანებე, რა ცოლ-ქმარნი უნდა იყვნენ ან კია? ეგ ქალი ერთი ციცქნაა, იმის ცალ ულვაშზედ დაეტევა.

— პაი-პა! აბა, ჰნახავ, თუ ხელშიაც არ დაიჭიროს მაგან თავისი ქმარი. ჰერკულესი უფრო ძლიერი იყო, მაგრამ დედაკაცმა დაიმონავა.

— საქმე ის არის, რომ თვალები არ აუბას ქმარსა. პირველი მე ვეცდები გავაცურო ჩემი მეგობარი.

— მსურველი მაგისი უთქვენოდაც ბევრი იქნება, მაგრამ არა მგონია, რომ ყველამ გაიმარჯვოთ. ანნა კარგი ქალია, ძველებურის ოჯახის ასულია, ხოლო თუ ახლა თამამობს, იმიტომ რომ ყმაწვილია და ლამაზი.

— გულ-კეთილი ხარ და იმიტომ აქებ აგრე; მაგრამ აბა შეჰხედე, რა დუხჭირი რამ არის აისა, რომელსაც ეხლა ელაპარაკება.

— იტალიელი კარბონია, მკურნალი კნეინასი.

— უყურე ერთი, როგორ გაუბრწყინდა თვალები იმ მახინჯსა, თითქო გააცხელაო. ვაიჰ, ცუდი საქმე კი მოუვა სწორედ საწყალ პან ლონგინუსსა! გამოცდილებით ვიცი მე ეგა, ყმაწვილობაშივე მიწვნევია მაგისთანა წვენი. როდისმე დაწვრილებით გიამბობ, ახლა კი დრო არ არის.

მართლაც, დრო მოვიდა წასვლისა. თავადი და კნეინა თავ-გადახურულ ეტლში ჩასხდნენ, რომ ერთად ლაპარაკით გამაძღარიყვნენ ხანგრძლივის განშორების შემდეგ, სეფე-ქალნი თავ-ახდილ ეტლებში მოთავსდნენ, რაინდნი თავ-თავიანთს ცხენებს მოახტნენ,—და ყველანი გაემართნენ გზად. სენნიციდან გზა მინსკზედ მიდიოდა, იქიდან პირდაპირ ვარშავას. რადგან დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი სამგზავროდ, იძულებულნი იყვნენ ნელნელა ეარნათ, ნაბიჯითა. ყველა ეშურებოდა არჩევანებზედ დასასწრებლად და მრაველად მიდიოდა ხალხი ვარშავას, როგორც ახლო-მახლო მიდამოდან, ისე შორეულ ლიტვიდანაც. გზაზედ მრავლად შეჰხვდნენ მოგზაურ პანნებს, რომელნიც მოოქროვილ ეტლებით მოდიოდნენ სატახტო ქალაქს, ხოლო ეტლებს გარს ერტყნენ უზარმაზარნი ჰაიდუკნი, ოსმალურად დართულნი, აგრედვე ჯარის-კაცნი, მდიდრულად ჩაცმულნი. ყოველი მაგნატი იმასა ცდილობდა, რომ შეიძლება დიდებული გამოვჩნდე და დავაბნელო სხვისი სიმდიდრე და დიდებულ დიდ პანებთან ერთად მიდიოდნენ ერობისა და მაზრების წარმომადგენელნიცა, რომელთაც გარს არავინ არ

ეხვიათ და ეტლებიც უფრო სადა ჰქონდათ. მიდიოდნენ ისეთნი აზნაურშვილნიც, რომელთაც თითო ეტლის მეტი არა ჰქონდათ და შიგ ებათ ორი, ან სულ ბევრი ოთხი ცხენი. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ: ერთს მხარზედ ჯაზაირი, მეორეზედ ხმალი, ხოლო თუ სამხედრო სამსახურში ნამყოფი იყო, გრძელი შუბიცა. ეტლებს უკან მორბოდნენ მწევარ-მეძებრები, არა სანადიროდ, არამედ ბატონების გასართობად. შემდეგ მიჰრიალობდნენ ოთხ-თვალიანი ურმები ბარგი-ბარხანითა და ნამცხვარ-ნუზლ-სანოვაგითა. როცა ქარი გადაჰყრიდა გზიდან მტვერს, მთელი გზა ერთს გრძელს ზოლსა ჰგავდა, ოქრომკედითა და აბრეშუმის ძაფით ნაკერსა. ზოგან მუსიკის ხმაც მოისმოდა, იმიტომ რომ ზოგიერთს პანს თან წამოეთრია მთელი ორკესტრი; იყო ერთი ჟრიამული, ყვირილი, ჩხუბი და გინება, როცა ერთნი ნებით არ დაუთმობდნენ ხოლმე გზას მეორეებს.

თავადის ეტლებთანაც არა ერთხელ მოვიდოდნენ ხოლმე ცხენოსანნი ჯარის-კაცნი და სთხოვდნენ გზა მოგვეცით, ამა და ამ დიდებულმა წინ გაიაროსო, მაგრამ გაიგებდნენ თუ არა, ვისთანაც ჰქონდათ საქმე, უკანვე დაბრუნდებოდნენ ხოლმე და დიდებულნი თვითონვე აუქცევდნენ ხოლმე გზასა. საცა ჩამოხდებოდა თავადი, თავად-აზნაურობა და ჯარი ზედ ესეოდა გზას, იქნება თვალი მოეკრათ რესპუბლიკის დიდებულს წინამძღვარსაო. არც უიმისობა იყო, რომ არ აეტეხნათ ხოლმე ნიშნად მისალმებისა ძახილი: „გაუმარჯოს თავადს ერემიასაო!“ თავადი თავაზიანად უკრავდა ხოლმე თავსა და ჰვადლობდა თავის პატივის-მცემელთ, ჯერ იმიტომ რომ თავაზიანი იყო საზოგადოდ და მერე იმიტომაც, რომ მომხრენი მოეპოვებინა ბატონიშვილის კარლოსისათვის.

ბრბო ცნობის-მოყვარეობით სინჯავდა თავადის სადროშოს ჯარებსაცა, ამ „რუსინებსა“, როგორც ხალხი უწოდებდა თავადის ჯარის-კაცთა. ახლა ისინი ისე დაღალულნი და დაბრანძულნი აღარ იყვნენ, როგორც კონსტანტინოვის ბრძოლის შემდეგ,—ზამოსტიეში თავადმა ყველას დაუახლა ტანი-

სამოსი,—მაგრამ მაინც სატახტო ქალაქის მიდამოთა მცხოვრებლები გაკვირვებით ათვალიერებდნენ, სწორედ ქვეყნის კიდურიდან მოსულებსა ჰგვანანო. ვინ იცის, რამდენი ზღაპარი და არაკი იყო შეთხზული იმ უსამზღვრო მინდვრებისა და საიდუმლოებით სავსე ტყეების შესახებ, საცა ამისთანა რაინდობა იბადებოდა, ქედ-მაღალი, განადირებულის სახითა, რომელიც, ალბად, თავიანთ ნადირ-მეზობლებს უგავთო.

ხოლო თავადს შემდეგ უმეტეს ყურადღებას აქცევდნენ პან ზაგლობასა, რომელმაც მალე შეაჩნია ესა და ისეთის გულ-ზვიადობით აბრიალებდა აქეთ-იქით თვალებსა, რომ ხალხი ჩურჩულით ეუბნებოდა ერთმანერთსა: „ალბად ეს უნდა იყოს პირველი რაინდი იმათ შორისაო“!

ხან და ხან ზაგლობა ლაპარაკსაც დაუწყებდა ხოლმე გარეშემო შემოჯარებულთა, უფრო კი დასცინოდა; დასცნოდა მეტადრე ლიტვის სადროშოს ჯარებსა. ზოგიერთს ლიტველს გული მოუვიდოდა ხოლმე, იძრობდა ხმალს, მაგრამ, რაკი მოიფიქრებდა, რომ თავ-გასული ლაპარაკი რუსეთის მოურავის ჯარის-კაცმა დაიწყოვო, გააფურთხებდა და გაშორდებოდა ზაგლობას.

ვარშავას ახლოს ისეთი მჭიდროობა იყო, რომ მხოლოდ ნელის ნაბიჯით შეიძლებოდა წინ სიარული. არჩევნებს, როგორც სჩანდა, დიდ-ძალი ხალხი უნდა დასწრებოდა, ვარშავაში თავს იყრიდნენ თავად-აზნაურნი თვით შორეულ რუსეთისა და ლიტვის პროვინციებიდან, უფრო კი იმიტომ, რომ აქ დახიზნულიყვნენ უშიშრადა. და თუმცა არჩევანები ჯერ შორს იყო, სეიმის კრებანი მხოლოდ ახლად დაწყაბულიყო, შლიახტა მაინც ერთისა და ორის თვის წინად ესწრაფებოდა ვარშავას მისვლასა, რათა წინდაწინვე უკეთესი ბინა ეშოვნა, ძველნი ნაცნობნი ენახა, ექეიფნა პანების სასახლეში და გართობილიყო სოფლის ცხოვრების ერთ-ფერობით გულ-შეწუხებული.

თავადი მწუხარებით უყურებდა სტოლის ფანჯრიდან ამოდენა რაინდობას, ჯარის-კაცთა და შლიახტას და ჰფიქრობდა, რა დიდი ჯარი შესდგება ამათგანაო. მაშ რაღაა მიზეზი, რომ

რესპუბლიკა, ასეთი ძლიერი, ხალხ-მრავალი და მამაცის რაინ-დებით სავსე, იმავე დროს იმდენად სუსტია, რომ ვერ გაუმკ-ლავდება მარტო ერთს ხმელნიცკისა და განადირებულ თათარ-თა ურდოსაო. რა მიზეზია? ხმელნიცკის ასი-ათასობით ჯარი-სათვის შეიძლებოდა წინ დაგვეყენებინა ასი-ათასობითვე ჯარი, ოღონდ კი ამ შლიახტის, ამ ჯარის-კაცთ, ამ სიმდიდრესა და გარდამეტებულს სიუხვეს, ამ პოლკებსა და დროშებს ისევე მოენდომებინათ სამსახური საზოგადო საქმისა, როგორც ეტანე-ბიან კერძო საქმის სამსახურსაო. „ქველობა ჰქრება რესპუბლი-კაშიო, — ჰფიქრობდა თავადი, — და დადებული სხეული იწყებს ხრწნასა; ვაჟკაცობა იღუპება და ქეიფსა და ნადიმს ამჯობი-ნებს თავად-აზნაურობა სამხედრო ღვაწლსა და სამხედრო დი-დებას!“ თავადი რამდენადმე მართალი კაცი იყო, გარნა რეს-პუბლიკის ნაკლებულებისას ისე ჰფიქრობდა როგორც ჯარის-კაცი; იმას უნდოდა, რომ მთლად მკვიდრნი ჯარის-კაცებად გადაექცია და მიეტეევებინა მტრისათვის. ვაჟკაცობა ჯერ არ გამქრალიყო; მან თავი იჩინა კიდეც, როცა რესპუბლიკას ცა მოეღუშა და მრისხანე ღრუბლებმა მუქარა დაუწყო ქვეყანას. რესპუბლიკას სხვა რამ აკლდა... რა? — თავადმა — მეომარმა ეს არ იცოდა, ხოლო ეს იცოდა მისმა მტერმა, უფრო შორს-გა-მჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, სახასო კანცლერმა.

აგერ შორს ბურუსით მოცულ ცის დასავალზედ გამოჩნდა დაკბილული წვერები ვარშავის კოშკებისა და თავადიც იძუ-ლებული იყო თავი დაენებებინა ფიქრებისათვის. მან ბრძანება მისცა ექსკორტის უფროსს; ვოლოდიევსკი მოშორდა იმ ეტლს, რომელშიაც იჯდა პანნა ანნა და გაექანა წესიერების დასამ-ყარებლად ჯარში. მაგრამ ჯერ რამდენიმე ნაბიჯი არ გაეარნა, რომ დაინახა ვილაც მოსდევს უკანა. მოიხედა და პან ხარლამ-პი კი იყო, როტმისტრი ვილნოს პან მოურავის სუბუქის სა-დროშოსი, ანნას მოტრფიალე.

ვოლოდიევსკიმ შეაყენა ცხენი. მაშინვე მიხედა, რომ აქ საქმე უჩხუბრად არ გათავდება, ხოლო პან მიხალს ძალიან უყვარდა ამისთანა ჩხუბისა და დავიდარაბის გადაკიდება. პან

ხარლამპი დაუმხარდამხარდა და ჯერ არას ეუბნეოდა; მხოლოდ ჰქშინავდა, რაც შეეძლო, და მრისხანედ ისევამდა ულვაშებზედ ხელსა. ეტყობოდა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა და ან როგორ დაეწყო ლაპარაკი; მაგრამ ბოლოს კი, როგორც იყო მოახერხა:

— სალამს გაძლევ, პან დრაგუნო!

— ღმერთმა გაგიმარჯოს, პან ამალისაო!

— როგორა ჰბედავთ და ამალის კაცს მეძახით?—გამძვინვარდა პან ხარლამპი,—მე როტმისტრსა?

პან ვოლოდიეესკიმ დაუწყო მაღლა სროლა თავის ნაჯახსა და მთელს თავის ყურადღებას იმას აქცევდა, რომ ყოველ მაღლა შეგდებაზედ ნაჯახი ისევ ტარით დაეჭირა.

— თქვენს ნიშნებზედ ვერ შევამჩნიე, რა წოდებისაცა ბრძანდებით,—დაუდევნელად წარმოსთქვა პან მიხალმა.

პან ხარლამპი უფრო აენთო. ვოლოდიევსკის გულ-დამშვიდება უფრო აბრაზებდა.

— როგორ ჰბედავთ, რომ წინ მეღობებით გზაშია.

— თქვენ, როგორცა ვხედავ, ჩხუბი გინდათ და საბაბს ეძებთ?—ჰკითხა ისევ მშვიდად ვოლოდიევსკიმ.

— იქნება ვეძებ კიდეც და გეტყვი კიდეცა (პან ხარლამპი გადიხარა ვოლოდიეესკისაკენა და ჩურჩულით უთხრა ყურში), რომ ყურებს დაგაჭრი, თუ კიდევ დაგინახე როდისმე პანნა ანნას ახლოს.

პან ეოლოდიეესკიმ კვლავ დაუწყო ცოდვილი თავის ნაჯახს და ისე აცოდვილებდა, თითქო დიდს საქმეს აკეთებს რასმეო.

— ეჰ, პან როტმისტრო, დამაცადე, პატარა კიდევ ვიცოცხლო ამ ქვეყნად, რა ყურადღებას მაქცევ მე, ნეტავი!—უთხრა თითქმის თხოვნით ეოლოდიევსკიმ.

— ოჰ, ვერა! ვერ გამისხლტებით ხელიდან მაგისთანა ლაპარაკით!—შეჰყვირა პან ხარლამპმა და სწვდა სახელოში ტანმოარჩილ რაინდსა.

— მე არც გისხლტები ხელიდან,—წინანდებურისავე კილოთი განაგრძო ვოლოდიევსკიმ,—მაგრამ ეხლა სამსახურს ვა-

სრულებ და თავადის ბრძანებით მიედივარ წესიერების ჩამოსაგდებათ ამოდენა ხალხში. ხელი გაუშვით ჩემს სახელოს, გაუშვით-მეთქი, პან როტმისტრო, თორემ სხვა ღონე აღარა მექნება-რა მე საწყალს იმის მეტი, რომ შიგ შუბლში გთხლიშო ეს ნაჯახი.

ახლა კი ვოლოდიევსკის მორჩილებით სავსე ხმას ისეთი გესლიანი კილო დაეტყო, იმისმა მწარე ხმამ ისეთი სისინი დაიწყო, რომ პან ხარლამპმა უნებურის გაკვირვებით შეჰხედა ამ პატარა რაინდსა და უშვა ხელი მის სახელოს.

— ჰმ, სულ ერთია!—სთქვა მან,—ვარშავაში გამცემთ პასუხს. იქ გიპოვით და გაჩვენებთ სეირს!

— მე არ დაგემალებით, მაგრამ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ვარშავაში? მიყავით სიკეთე და მასწავლეთ მაინცა! ჯერ აქ სულ არა ვყოფილვარ ჩემს სიცოცხლეში, უბრალო ჯარისკაცი ვარ და გამიგონია კი, რომ იქ სამარშლო სამჯავროებია, რომლებიც სიკვდილით თურმე სჯიან, ვინც გაჰბედავს და მეფის სამყოფელს ქალაქში ხმალში ვავა ვისთანმე საბრძოლველად.

— გეტყობათ, რომ ვარშავაში არა ყოფილხართ და რომ მართლა შორს არა სჭრის თქვენი გონება, როცა გეშინიანთ სამარშლო სამჯავროებისა და არ იცით, რომ უმეფობის დროს სხვა სამსჯავრო განაგებს მაგისთანა საქმეს და იმ სამსჯავროში ისე სასტიკად არ ეკიდებიან ხმალში გასულთ. ესეც რომ არ იყოს, თქვენის ყურებისათვის სიკვდილით დასჯას არ გადამიწყვეტენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

— გმადლობთ ჭკუის სწავლებისათვის და შემდეგაც ხშირად მოგმართავთ, რომ რჩევა-დარიგება მომცეთ ხოლმე. გატყობ, გამოცდილი და ჭვიანი კაცი ბძანდები, მე კი პირველი კლასი ძლივს გავათავე სკოლაში და ვაი-ვაგლახით შევათანხმებ ხოლმე adjctivum cum substantivo, თუმცა, ღმერთმა კი დამიფაროს, რომ მინდოდეს სულელი დაგიძახო, ვიტყოდი: stultus, და არა stulta ანუ stultum.

პან ხარლამპი ჯერ სახტად დარჩა, მერე უცბად იძრო ხმალი, მაგრამ ტან მორჩილმა რაინდმაც ესევე მოიქმედა ელ-

ვის სისწრაფითა. ერთის წუთის განმავლობაში ასე უყურებდნენ ერთმანერთს, მაგრამ პან ხარლამპი პირველი მიხვდა, რომ თვით თავადი მომთხოვს პასუხს, თუ თავს დავესხი აფიცრეს, რომელიც მისის ბძანებით მიდის გზადაო და პირველმავე ჩაგო ხმალი ქარქაშში.

— მოიცადე და მე გიპოვნი შენა, შე ძაღლის ნაშობო! — სთქვა მან.

— მიპოვი, მიპოვი, ბოტვინია! — უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

ორიეენი განშორდნენ ერთმანეთს და აქეთ-იქით წავიდნენ. პან მიხალმა სწრაფად დააწყო წესზედ ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და თვითონ წაუძღვა წინა. მალე ზაგლობაც დაეწია.

— რას გელაპარაკებოდა, ან რა უნდოდა შენგან, ის ზღვის ურჩხული? — ჰკითხა ზაგლობამა.

— პან ხარლამპი? არაფერი, ხმალში გამომითხოვა.

— წადი და ელაპარაკე ამასა! კაცო, ის ხომ თავის ცხვირით გაგხვრეტავს შუაზედ? გაფრთხილდი, პან მიხალ, როცა ბრძოლას დაიწყებთ, არ მოაჭრათ კაცს უდიდესი ცხვირი მთელს რესპუბლიკაში. ბედნიერი ვილნოს მოურავი! სხვებმა უნდა საზვერაო რაზმნი გაგზავნოს, მტერი ახლო ხომ არ არისო და იმას კი ისეთი როტმისტრი ჰყავს, რომ შორიდანვე სუნს დაიცემს და ყველაფერს შეიტყობს მტრისასა. რაო, ახლა, რისთვის გამოგიწვია?

— იმისთვის, რომ პანნა ანნა ბოჟობოღატის ქალის ეტლს ახლო რად მიდიოდიო.

— ერიჰა! უნდა გეთქვა, რომ ზამოსტიეში წადი პან ლონგინუსთანა-თქო. ის აჩკენებდა მაგას თავის სეირსა. ეგ ბოტვინია იქ არ მოხვდა ჯამში, საცა უნდა მოხვედროდა. ეტყობა ცხვირზედ უარესი ბედი არა ჰქონია.

— პან პოდბიპენტასი არა მითქვამს-რა იმისთვის, — სთქვა ვოლოდიევსკიმ, — იმიტომა რომ თავი რომ დაენებებინა ჩემთვის? მაგის ჯიბრზედ დავუწყებ ახლა ტრფიალს ანნასა, — კარგია, გავერთობი მაინცა. თორემ რა უნდა გავაკეთო, აბა, ვარშავაში?

— ვიშოვით საქმეს, ვიშოვით, პან მიხალ,—დაამშვიდა თვალის გადაკვრით ზაგლობამ.—როცა ყმაწვილობაში სადროშოს დეპუტატი ვიყავი და აქეთ-იქით დავდიოდი სხვა-და-სხვა საქმეებისათვის, იმისთანა ცხოვრება არსად არ მინახავს, როროგორც ვარშავაში მქონდა ხოლმე.

—რაო? ვითომ იქა სჯობიან, ვიდრე ჩვენსა, გალმა მხარეში?

— დიალაც, მაგას რაღა თქმა უნდა!

—ძალიან სასიამოვნოა, აბა ვნახოთ, მაშა!—სთქვა პან მიხალმა და მერე დაუმატა:—იმ ტუტუცს კი მაინც ულვაშები უნდა შეეკრიჭო, თორემ ძალიან გრძელები აქვს.

XI

გავიდა რამდენიმე კვირა. თავად-აზნაურობა თან-და-თან უფრო მეტი იკრიბებოდა არჩევნებისათვის. ქალაქის მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იმატა. თავად-აზნაურობასთან ერთად მრავლად მოდიოდნენ ვაჭარნიცა ქვეყნის ყოველ კუთხიდან, დაწყებული შორეულ სპარსეთიდან ზღვას იქით მდებარე ინგლისამდე. ერის-ნება მოედანზედ სენატისათვის აგებული იყო ხის შენობა, ხოლო მის გარშემო თეთრად გადაპენტილიყო ათასობით კარეები. არავინ იცოდა, ორს კანდიდატში რომელი იქმნებოდა არჩეული, ბატონიშვილი კაზიმირი, კარდინალი თუ კარლოს ფერდინანდი, ეპისკოპოსი პლოცკისა. გულხელ-დაკრეფილი არც ერთი დასი არ იყო. ათასობით პამფლეტები და დაბეჭდილი ფურცლები აუწყებდა ქვეყანას ორისავე კანდიდატის ღირსება-ნაკლულევანებას. კარლოსის მხარე ეჭირა, როგორც ვიცით, თავადს ერემიას, რომელიც ძლიერი იყო მით, რომ ძლიერ უყვარდა შლიახტას, ხოლო ბოლოსა და ბოლოს შლიახტაზედ იყო დამოკიდებული ყოველივე; მაგრამ კაზიმირსაც ნაკლებად არა ჰყავდა მომხრენი. იმისი მხარე ეჭირათ დიდებულებს, კანცლერსა, პრიმასსა, მაგნატების უმრავ-

ლესობას; მაგნატებშიეე ერია თავადი დომინიკ ზასლავსკი, მოურავი სანდომირისა, ყოველად ძლიერი კაცი არა თუ მთლად რესპუბლიკაში, არამედ ევროპაშიაც, ისეთი კაცი, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო თვისის აღურაცხველის სიმდიდრის წყალობით თავის კანდიდატისაკენ გადაეხარა სასწორი გამარჯვებისა.

მაინც კაზიმირის მომხრენი არა ერთხელ ჩავარდებოდნენ ხოლმე მწარე ეჭვსა და საგონებელში. შლიახტა უფრო-დაუფრო მოდიოდ და მოდიოდა ქალაქში, ხოლო შლიახტა მოხიბლული ვისნევეცკის სახელით, სულ მთლად ბატონიშვილის კარლოსის მხარეზედ იდგა. ბატონიშვილი კარლოსი გულ-უხვი კაცი იყო, მამულის შვილობის გრძნობით გატაცებული, რომელმაც რამდენისამე ხნის წინად ისე შესწირა დიდ-ძალი ფული ახალის ჯარის მოსაგროვებლად, რომ ერთს არ შეეყოყმანებულა. კაზიმირიც დიდის სიამოვნებით მიჰბაძავდა იმის მაგალითს და სიძუნწე კი არ აბრკოლებდა ამ საქმეში, არამედ ნამეტანი გულ-უხეობა, რის გამოც კაზიმირს მუდამ ფული აკლდა ხოლმე. ძმები ერთმანეთს კვალში უდგნენ და აღარა სცხრებოდნენ. შიკრიკნი ყოველ-დღე დაჰფრინავდნენ ნეპორენტსა და იაბლონას შორის. კაზიმირი აფიცებდა კარლოსს, უფროსობის პატივისცემითა და ძმურის სიყვარულის სახელით დამითმე მე ტახტიო; ხოლო ეპისკოპოსი თავისას არ იშლიდა და სწერდა პასუხად, წესი არ არის უარ-ვყოფდე მოსალოდნელ ბედნიერებასაო, ხოლო დრო გადიოდი, თვე-ნახევრის ვადა თავდებოდა და მასთანავე ახლოვდებოდა ყაზახთა გრგვინვა და გრიგალი. მოვიდა ამბავი, რომ ხმელნიცკიმ მიანება თავი ლვოვის გარშემო დგომასა, ზამოსტიეს ახლოს დადგა და დღე და ღამ იერიში მიაქვს და ცდილობს შეჰმუსროს რესპუბლიკის ეს უკანასკნელი საყანეცაო.

ამბობდნენ აგრედვე, რომ იმ დეპუტატებს გარდა, რომელნიც ხმელნიცკიმ გაჰგზავნა ვარშავას და დააბარა, შეატყობინეთ, რომ მე, როგორც პოლონელი შლიახტიჩი, ვაძლევ ჩემს ხმას კაზიმირსაო, ქალაქში ცოტანი არ იყვნენ ყაზახთა უფ-

როსნი, ტანისამოსს გამოცვლილნიო. მოსულან ვითომ და იმი-ტომ რომ ჩვენც შლიახტა ვართო და არაფრით, ლაპარაკი-თაც კი არ განირჩეოდნენ დანარჩენ ამომრჩეველთაგან, რო-მელნიც მოსულიყვნენ სხვა სარუსეთო ქვეყნებიდან. ზოგნი მო-სულიყვნენ ცარიელის ცნობის-მოყვარეობის მიზეზით, ხოლო ზოგნი იმ აზრით, რომ იქნება გავიგოთ, რას აპირობს რესპუ-ბლიკაო. ნამდვილად კი, იმიერ-ჭორომეთის უფროსთა შორის ცოტა არ იყვნენ გაყაზახებულნი შლიახტიჩნი, ცოტაოდნად ლათინურის მცოდნენიც კი, მაშინ როდესაც მეცნიერება სა-ზოგადოდ ნაკლებად ჰყვაოდა შორეულ განაპირა ქვეყნებში და ისეთი თავადებიცა, როგორნიც იყვნენ კურცეეიჩები, ბე-ვრში ჩამორჩებოდნენ უკან ზოგიერთს ატამანსა.

ასეთი მითქმა-მოთქმა და თან ის ხმები, რომ ხმელნიცკი და თათარ-ყაზახთა წინა რაზმნი უკვე ახლოა არიანო და თი-თქმის ვისლასთან მოვიდნენო, ძალიან აშფოთებდა საზოგადოე-ბას და აჩენდა სხვა-და-სხვა გვარს უწესრიგობას. საკმაო იყო ეჭვი აეღოთ ვისზედმე, რომ ყაზახთა მომხრეაო და ასეთს სა-ცოდავს, ვიდრე თავის გამართლებას მოასწრებდა, სულ ერ-თიანად დაჰფლეთდნენ. ამ სახით, შესაძლო იყო სრულიად უბრალონიც დაღუპულიყვნენ; მიუკერძეველობა არჩევანებისა წამ და უწუმ ირღვეოდა, მეტადრე მაშინდელ მოარულივით მოდებულ ლოთობის გამო. და თუ უკეთესნი კაცნი, მამულის-მოყვარეობით გამთბარნი, მის დაცემისათვის შეწუხებულნი, განწირულებას ეძლეოდნენ გარშემო გამეფებულ უწესოებისა და უმზგაესოების გამო, მაშინდელნი მოლხინე-მოქეიფენი და ჩხუბის-გადაკიდების მოყვარულნი ძალიან კარგს გუნებაზედ იყენენ და არაფრისა აღარ ერიდებოდათ.

რაღა თქმა უნდა, რომ ამ უკანასკნელთა დასში დიდი ამ-ბავი ჰქონდა პან ზაგლობას. პან ზაგლობა ძლიერი იყო მათ შორის მით, რომ რაინდული სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, მო-უკვლელი წყურვილი ჰქონდა ქეიფისა და სმისა, შეეძლო მო-ურიდებლივ ეტყუა და ისეთის სიმტკიცით ელაპარაკნა, რო-მელსაც ვერაფერი ვერ შეარყევდა. ათასში ერთხელ იმასაც კი

შემოაწვებოდა ხოლმე დარდები; მაშინ პან ზაგლობა ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში ან კარავში და კარში აღარ გამოდიოდა, ხოლო თუ გამოვიდოდა, ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო: კაცი ღვთის-წყალობას ვეღარ ეტყოდა. ამისთანა ყოფაში მხოლოდ პან მიხალი თუ ესიამოვნებოდა, რადგან შეეძლო იმისთვის გაეზიარებინა თვისი გრძნობა და მწუხარება პან სქშეტუსკისა და იმ „საცოდავის“ ბედის გამო. „მიეატოვეთ ის საცოდავი ქალი,—სწუხდა პან ზაგლობა,—როგორც იუდამ ისე დავტოვეთ ბოროტის ადამიანის ხელში. ტყუილად თავის გამართლებას ნუ დაიწყებთ, ვინ იცის, რა ყოფაშია ახლა ის საცოდავი, ჰა?“

ამაოდ ამტკიცებდა პან მიხალი, პილავეცის ამბავი რომ არ მომხდარიყო, დავუწყებდით ძებნას იმ „საცოდავს“, მაგრამ ახლა შეუძლებელი-ღაა, ახლა ჩვენა და იმას შუა მხედრობაა ხმელნიცკისაო. შლიახტიჩი მაინც თავისას არ იშლიდა და უფრო ცუდს გუნებაზედა დგებოდა.

მაგრამ ასეთი ყოფა პან ზაგლობასი დიდ ხანს არ გასტანდა ხოლმე. ჩვეულებრივ მალე გადიყრიდა ხოლმე დარდს და, მაშინ თითქო სულ ერთად უნდა აინაზღაუროს, რაც დრო დაჰკარგა ტყუილ-უბრალოდაო, ქეიფობდა და სვამდა უფრო მეტს, ვიდრე წინად, დროს ატარებდა მიკიტანხანებში, საშინელს ლოთიბაშებში. პან მიხალსაც გვერდიდან არ იშორებდა და სულ მუდამ თან დაჰყავდა.

პან მიხალი ნამდვილი ჯარის-კაცი და აფიცერი იყო და სრულიად არა ჰქონდა ის ზნეობრივი დიდებულება, რომელიც მიჰფინა სქშეტუსკის მის მიერ გამოვლილმა ტანჯვა-მწუხარებამ. თვისი მოვალეობა რესპუბლიკის მიმართ და მისი შესრულება ძალიან ადვილი საქმე ეგონა. ჰხოცავდა ყველას, ვისაც უბრძანებდნენ და სხვა არაფრის დარდი არა ჰქონდა. საზოგადო საქმეებისა არა ეყურებოდა-რა. მზად იყო ეგლოვნა ყოველი დამარცხება მისიანებისა, ხოლო ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ შფოთვა და მღელვარება შლიახტისა ყოველ დამარცხებაზედ უარესი იყო. ერთის სიტყვით, ვოლოდიევსკი

თავ-ქარიანი ყმაწვილი კაცი იყო და, რაკი ერთხელ მოჰხვია ხელი სატახტო ქალაქის ცხოვრების დუღილმა, სულ შიგ ჩაყურყუმელავდა და აღარა შორდებოდა პან ზაგლობას, რომელიც სწორედ ამისთანა ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი. ვოლოდიევსკი დახეტიალობდა იმასთან ერთად შლიახტიჩებ შორისაც, რომელთაც პან ზაგლობა უამბობდა სმაში ყოვლადუცნაურს ამბებს და ამ სახით შოულობდა მომხრეებს ბატონიშვილ კარლოსისათვის. შლიახტიჩებთან ერთად სვამდა პან ზაგლობა და იმათთანვე ერთად ფხიზლდებოდა და კვლავ თვრებოდა. მთელი ქალაქი ფეხ-ქვეშ ამოიდეს ზაგლობამა და ვოლოდიევსკიმ. ყველგან იყვნენ—საარჩევანო მოედანზედაც, დუქნებშიაც, ქალაქ გარეშე მიკიტან-ხანებშიაც. აღარ დარჩათ ისეთი ყურე-კუნჭული, სადაც იმათ თავი არ შეეყოთ. ნეპორენტსა და იაბლონაშიაც იყვნენ; ესწრებოდნენ ყოველ-გვარ წვეულებასა და სადილებზედ; ყოველგან იყვნენ და ყველაფერში მონაწილეობას იღებდნენ. პან მიხალს სულ ხელები ექავებოდა და უნდოდა თავი გამოეჩინა რითიმე და მასთან ერთად დაემტკიცებინა, რომ უკრაინის შლიახტა ყოველ სხვა შლიახტას სჯობიან, როგორც თავადის ჯარის-კაცნი ყველა ჯარის-კაცებზედ უკეთესნი არიანო.

ასე გავიდა თითქმის ექვსი კვირა და საზოგადო საქმეც საკმაოდ გამოირკვა. ბრძოლამ კანდიდატ ძმათა შორის, მათ მომხრეთა ხრიკებმა, საარჩევანო ციებ-ცხელებამა და გულისთქმათა აღტყინებამ,—ყოველად უნაყოფოდ ჩაიარა. ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ უთუოდ იან კაზიმირი იქმნება ამორჩეულიო, რომ ბატონიშვილმა უარ-ჰყო თვისი კანდიდატურაო. საკვირველება ის იყო, რომ ხმელნიცკის მნიშვნელობამ ახლა უფრო იმატა: იმედოვნებდნენ, რომ ხმელნიცკი მორჩილებას გამოუცხადებს მისის სურვილით არჩეულს მეფესაო. ეს იმედი საკმაოდ გამართლდა კიდეც. სამაგიეროდ ვისნევეცკი, რომელსაც კატონივით სულ ისა ჰქონდა ამოჩემებული, რომ იმიერ-ჭორომეთის კართაგენი უნდა გაცამტვერდესო, ასე საქმის დატრიალებამ ძალიან მეტის-მეტად დააღონა. ახლა გაი-

მარჯვებს სამშვიდობო პოლიტიკა, ახლა დაუწყებენ ხმელნიცკის მოლაპარაკებასაო. თავადმა იცოდა, რომ ეს მოლაპარაკება ამაოდ ჩაივლიდა, ან არა და—მალე თვით გარემოების ძალით ისევ ისე გაბათილდებოდა. ჰხედავდა, რომ მომავალში ისევ ომიანობა ატყდებაო და მოუსვენრობით უცემდა გული, რადგან ძნელი სათქმელი იყო, როგორ და ვის სასარგებლოდ გათავდებოდა ასეთი ომიანობა. ზავის ჩამოგდების შემდეგ ხმელნიცკი უფრო გაძლიერდება, რესპუბლიკა უფრო დასუსტდებაო. და ან ვინ-ღა წაუძღვება წინ რესპუბლიკის მხედრობას ისეთ გაძლიერებულ და განდიდებულ მხედართ-მთავრის წინაალმდეგ, როგორიც არის ხმელნიცკიო? მერე კელავ დამარცხება, კელავ აკლება ჩვენის ჯარებისა და ესე ყოველივე ხომ სულ ნიათს გამოულევს რესპუბლიკასაო. თავადი ამაო იმედით არ ატყუებდა თავს; კარგად იცოდა, რომ, რაკი მხურვალე მომხრე ვარ ბატონიშვილის კარლოსისა, კვერთხს მე არ ჩამაბარებენო. კაზიმირმა, მართალია, აღუთქვა ძმას, წყალობით ავავსებ შენს მომხრეებსაო. კაზიმირი დიდ-სულოვანი კაცი იყო, მაგრამ ისიც კანცლერის პოლიტიკას ადგა. ვინმე სხვა ჩაიბარებს კვერთხს, და არა მეო და ვაი რესპუბლიკას, თუ ის ახალი სარდალი ხმელნიცკიზედ უფრო გამოცდილი არ აღმოჩნდებაო. ეს ფიქრი საშინლად უგმირავდა გულს ერემიას; სამშობლოს მომავალიც მწარედ აფიქრებდა და ის აუტანელი გრძნობაც აწუხებდა, რომელიც გულს უკლავს კაცს მაშინ, როცა ჰხედავს, რომ ჩემი ღვაწლი და დამსახურება არაფრით არ არის დაჯილდოვებული, უმადურობას მიწევენ, უსამართლოდ მეპყრობიან და რომ, ვინც არა მგონია, ცხვირს მაღლა აიწევს ჩემს დანახვაწედ ქედ-მაღლობითაო. თავადი ერემია ვისნეველეცკი არ იქმნებოდა, რომ გულ-ზვიადიც არა ყოფილიყო. ჰგრძნობდა, საკმაო ძალა მაქვს, კვერთხი მე მეპყრას ხელშიო, დავიმსახურე ასეთი ღირსებაო და ამიტომ ერთი-ორად უფრო იტანჯებოდა.

აფიცერთა 'ბორის ხმა იყო გავრცელებული, რომ თავადი არჩევანების გათავებას მოუცდის და მხოლოდ მაშინ წავა

ვარშავიდანაო, მაგრამ ეს მართალი არ იყო. თავადი არამც თუ ვარშავიდან არ წავიდა, არამედ ბატონიშვილი კაზიმირიც კი ინახულა ნეპორენტში, საცა მეფემ დიდის თავაზიანობით მიიღო ერემია და შემდეგ კვლავ ქალაქს დაბრუნდა. საჭირო იყო ფული ეშოვა სადმე ჯარისათვის და თავადიც ამ ზრუნვას შეუდგა. ამასთანავე კარლოსის ხარჯით შესდგა რამდენიმე ახალი პოლკი დრაგუნთა და ქვეითის ჯარისა. ზოგნი უკვე გაემართნენ რუსეთისაკენ, ხოლო დანარჩენნი მალე აპირობდნენ წასვლასა. თავადმა გაჰგზავნა ყველგან სამხედრო საქმეში გამოცდილი თვისი აფიცრები და დაავალა ყოველივე მოამზადეთ და წესსა და რიგში მოიყვანეთო. კუშელი და ვერშული, მაგალითად, უკვე გაჰგზავნა; მოვიდა ახლა რიგი ვოლოდიევსკისაცა. ერთხელ ისიც დაიბარა თავადმა.

— თქვენ ზაბოროვს წახვალთ,—უთხრა ერემიამ.—იქ ცხენებია, ახალ პოლკისათვის არის დანიშნული. გაშინჯეთ, დაარჩიეთ კარგები, მიეცით ფული და გამოჰგზავნეთ.

პან ვოლოდიევსკი მხნედ შეუდგა საქმეს, მიიღო ფული თავადის ბარათით და იმავე დღეს პან ზაგლობასთან ერთად გაუდგა ზაბოროვის გზას. თან ახლდათ ათი ჯარის-კაცი, რომელნიც მისდევდნენ ფულის ყუთით დატვირთულ ურემს. ჩვენი მგზავრები ნელა მიდიოდნენ, რადგან გზაზედ კაცი ვერ აუქცევდა მომავალ შლიახტასა და პოლშელებს, სახლები ახლომახლო სფლებში გაჭედილი იყო ვარშავიდან წამოსულ მგზავრებით. ამისთანა ვიწროობასა და არეულობაში ძნელია კაცი ასცდეს ხათაბალასა და ჩვენი ნაცნობნიც ბოლოს მაინც წააწყდნენ ხიფათსა.

მიუახლოვდნენ ბაბიცას. ვოლოდიევსკიმ დაინახა დუქანთან რამდენიმე შლიახტიჩი, რომელნიც ის იყო წასვლას ეპირებოდნენ. ერთმა მათ შორის ხმა-ამოუღებლივ ჰკრა ქუსლი ცხენსა და იერიშით გაექანა პან მიხალისაკენ.

— ჰო, თქვენა ბრძანდებით!—შესძახა ამ კაცმა.—მემალებოდით, მაგრამ ახლა კი გიპოვნეთ; ახლა ხელიდან ვეღარ წამიხვალთ. ეჰეი, ამხანაგნო, ერთს წუთას მომიცადეთ! ცოტა რამ

მინდა ვუთხრა ამ ჩაგვერა აფიცერს და ჩემი სურვილია მოწმედ დამესწროთ.

პან ვოლოდიევსკიმ კმაყოფილებით გაიღიმა: იცნო, რომ ის ბატონი პან ხარლამპი იყო.

— ღმერთია მოწამე, რომ არ გემალებოდით,—სთქვა მან,— თვითონ მე გეძებდით, რადგან მინდოდა მეკითხნა, კიდევ მიჯავრდებით-მეთქი თუ არა, მაგრამ, საუბედუროდ, ვერსად ვერ შეგხვდით.

— პან მიხალ! სამსახურის გამო ვართ ჩვენ წამოსულნი!— წასჩურჩულა ზაგლობამა.

— ვიცი,—ჩურჩულითვე უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

— მაშ, აბა, მობრძანდით!—ცხარობდა ხარლამპი.—ყმაწვილებო, ამ ყმაწვილს დავპირდი, ყურებს დაგაჭრი-მეთქი და დავაჭრი კიდეც, ვაი არა მაქვს! ორსავე, ვაი არა მაქვს! მოწმენი იყავით, ყმაწვილებო, ხოლო თქვენ... ვილაცა ბრძანდებით, არ ვიცი თქვენი სახელწოდება. აბა, გამოდით!

— ამ საათში არ შემიძლიან,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ,— ორს დღეს მოითმინეთ.

— როგორ თუ არ შეგიძლიან? შე მხდალო შენა! კადნიერი ლაპარაკი კი იცის და ახლა, რაკი ხმალზედ მიდგა საქმე, უკან უკან იწევს.

— ეხლა არ შემიძლიან ხმალში გამოსვლა. მაგრამ გაძლევთ სიტყვას, რომ სამ-ოთხ დღეს შემდეგ, შევასრულებ თუ არა მონდობილებას, საცა დამინიშნავთ, იქ გამოვცხადდები. თუ ეს დაპირება არ გაკმაყოფილებთ, ეუბრძანებ ჩემს ჯარის-კაცებს, რომ ეხლავე თოფები დაგიშინონ. ირჩიეთ, რაც გინდოდეთ, და მომშორდით თავიდან, თქვენთან სალაპარაკოთ არა მცალიან.

პან ხარლამპი დაფიქრდა პატრასა.

— მაშ, კარგი. ოთხ დღეს შემდეგ იყოს. შაბათს, ლიპკოვას დუქანთან ვიქნები და ახლა კი გასწით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ.

ოთხ დღეს შემდეგ ვოლოდიევსკი, ზაგლობა და კუშელი დუქანში ისხდნენ ლიპკოვას.

— რაო, მუშტარი ბევრი გყავს?—ეკითხებოდა მედუქნე ურიას პან ზაგლობა.

— სად არის. მხოლოდ ერთი პანია ეხლა აქა. აიქ ოთახში ზის. მდიდარი პანია, მხლებლები ბევრი ახლავს, ცხენები ბლომადა ჰყავს.

— საიდან მოვიდა, არ იცი?

— რა მოგახსენოთ, მგონია, შორიდან უნდა იყოს მოსული, ვისლას იქითა მხრიდან. ცხენები ძალიან დაჰღალვიათ.

— იქნება ხარლამპია,—სთქვა ზაგლობამ და მივიდა ოთახის ჩაკეტილ კარებთან.

— შეიძლება შემოვიდეთ?—იკითხა პან ზაგლობამა.

— ვინა ხარ მანდა?—მოისმა ხმა ოთახ შიგნიდან.

— თქვენები ვართ, შინაურები.—და პან ზაგლობამ შეაღო ოდნავ კარი.—თქვენის ნება-დართკით... იქნება უდროვოდ გიახელით!—დასძინა მან და მიათვალიერ-მოათვალიერა ოთახი, მაგრამ უცბად უკან დაიწია, თითქო რაღაც საშინელება დაინახაო. სახე შეშინებული ჰქონდა და მთლად განცვიფრებული იყო, პირი ნახევრად ღია დარჩენოდა, ხოლო თვალებს გაოგნებულივით ახამხამებდა და ისე შესცქეროდა კუშელსა და ვოლოდიევსკის.

— რა დაგემართათ?—შეეკითხა ვოლოდიევსკი.

— ღვთის გულისათვის, ჩუმად ილაპარაკეთ! — დაიწყო ზაგლობამა და თან სული ყელში ებჯინებოდა.—იქ ბოგუნია! ორივე აფიცერი უცბად ფეხზედ წამოხტნენ.

— ხომ არ გაგიჟდი, ჭკუაზედ მოდით! ვინ არისო, ვის ამბობთ?

— ბოგუნი! ბოგუნი!

— შეუძლებელია!

— ღმერთს გეფიცებით და ყოვლად წმინდა სახარებასა!

— მერე რაღაზედ შეგშინებიათ აგრე? თუ მართლა ის არის იქა, მაშ ღმერთს მადლობა უნდა შევსწიროთ, რომ ხელში ჩაგივარდათ ის ავაზაკი. მაშ დამშვიდდით. მართლა დარწმუნებული კი ხართ, რომ სწორედ ის არის?

— დარწმუნებული ვარო! დავინახე, რომ ტანისამოსს იცვლიდა.

ვოლოდიევსკის სულ თვალებმა დაუწყო ბჟყერიალი.

— შენ, ეი, ურია!—ჩუმად წარმოსთქვა მან,—იმ ოთახს სხვა კარები ხომ არა აქვს?

— არა, მარტო აქეთა კარები აქვს.

— კუშელ, წადი ფანჯარას უყარაულე!—გასცა ბრძანება მიხალმა.—ახლა კი, ველარ წაგვივა ხელიდან.

კუშელი ხმა ამოუღებლივ გავარდა ოთახიდან.

— რა დაგემართათ, გონს მოდით!—ამშვიდებდა ზაგლობას პატარა რაინდი.—უბედურება იმას დასტრიალებს თავს და არა თქვენ. აბა, თქვენ რას დაგაკლებთ? არაფერს.

— არა, მხოლოდ გაოცებამ შემიგუბა სული,—მოჰყვა თავის გამართლებას პან ზაგლობა. გულში კი იფიქრა; „მართლაცა და მე რისა მეშინიან? პან მიხალ ჩემთან არის, თუ შიშია, ისევ ბოგუნს ეშინოდეს!

და, შეიკრა რა შუბლი, ხელი გაივლო ხმლის ვადასა.

— პან მიხალ, ის აქედან არ უნდა წავიდეს.

— ის კია მერე? არა მჯერა, რომ იყოს. რა საქმე აქვს შაგას აქა?

— ხმელნიცკის გამოუგზავნია ჯაშუშადა. ნამდვილად ასეა. მოითმინეთ, პან მიხალ. შეეიპყრათ და პირობა დავუდოთ: ან კნიაჟნა მოგვეცი, ან არა-და—მართლ-მსაჯულებას მიგცემთ ხელში-თქო.

— ოღონდ კნიაჟნა კი მოგვცეს და ჯანაბას მაგისი თავი.

— ეგ არის, ცოტანი ხომ არა ვართ: ჩვენ ორნი და კუშელი მესამე? როგორც ცოფიანი, ისე გამოიდებს თავს და დაიწყებს ბრძოლას, ამას გარდა კაცებიც ახლავს.

— ხარლამ მოვა ორის ამხანაგითა და მაშინ ექვსნი ვიქნებით! კმარა!.. შშ...

კარი გაიღო და ოთახში ბოგუნი შემოვიდა.

წინად ვერ იცნო, ვერ გაარჩია ზაგლობა, ხოლო ახლა რომ შეხედა, ალმური ავარდა სახეზედ, ხელი ათრთოლებით ხმალს გაიკრა. მაგრამ ბოგუნი ისევ მალე მოვიდა გონსა.

ზაგლობა უყურებდა ბოგუნსა და ხმას არ იღებდა; ატამანიცა მდუმარებდა. ის კაცნი, რომელთაც ბედი ასე ხშირად ამყოფებდა ხოლმე ერთად, ისე იკატუნებდნენ თავს, თითქო ერთმანეთს არ ვიცნობთო.

— ურიავ!—შესძახა ბოლოს ბოგუნმა დახლიდარს,—შორს არის აქედან ზაბოროვო?

— შორს არ არის,—უპასუხა ურიამ.—ახლავე გნებავთ წასვლა?

— ჰო, ახლავე მინდა.

და ბოგუნი გაემართა იმ კარებისაკენ, რომელიც ტალანში გადიოდა.

— მოითმინეთ!—გრგვინვასავით გაისმა ხმა ზაგლობასი.

ატამანი შესდგა უცებ გაშეშებულივით, მობრუნდა და ისე დაუწყო ცქერა ზაგლობასა თვისის ბუღა და საშინელის თვალებითა, თითქო უნდა გააქროს ეხლავეო.

— რა გნებავთ ჩემგან?—მოკლედა ჰკითხა მან.

— მე მგონია, რომ ოდესმე ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით. თქვენ არ იყავით, რომ ქორწილში გნახეთ სოფლადა?

— ჰოო, მახსოვს,—ზიზღით გააპტყელა სიტყვა ყაზახმა და კვლავ დაიდო ხელი ხმლის ვადაზედა.

— სხვა, როგორა ბრძანდებით?—განაგრძო გამოკითხვა ზაგლობამ.—ისე სისწრაფით წახვედით მაშინ იმ სოფლიდან, რომ ვერცკი მოვასწარი გამოგთხოვებოდით.

— ძალიან საწყინოდ დაგრჩათ მერე, რომ არ გამომეთხოვეთ?

— რასაკვირველია. ჩვენი კამპანია გადიდდა. (აქ პან ზალობამ ვოლოდიევსკიზედ მიუთითა). აი ეს რაინდი მოვიდა მაშინ ჩვენთან. ძალიან უნდოდა თქვენი გაცნობა დაახლოვებით.

— კმარა!—შესძახა პან მიხალმა და წამოდგა ზეზედ.—მოღალატევ, შემიპყრიხარ ტყედ!

— რა უფლება გაქვთ?—ჰკითხა ატამანმა და თავმომწონედ მოიღერა კისერი.

— მეამბოხე ბრძანდებით, მტერი რესპუბლიკისა, ჯაშუში და იმ უფლებითა...

— თქვენ ვილა ბრძანდებით?

— საჭირო არ არის მოგახსენოთ, მე ვინცა ვარ, ხოლო ჩემის ხელიდან ვერსად წახვალთ.

— ვნახოთ, აბა,—სთქვა ბოგუნმა,—მეც არ ვიტყოდი, ვინა ვარ, რომ ხმალში გამოგეთხოვეთ, როგორც რაინდს რაინდი, გარნა, რაკი შეპყრობას მექადებით, ვიტყვი ვინცა ვარ: აი წერილი იმიერ ჭორომელის გეტმანისა ბატონიშვილ კაზიმირთან. ახლაც შემიპყრობთ?—ბოგუნმა ბოროტებითა და საშინელის დაცინვით შეჰხედა ვოლოდიევსკის. ის სულ დაიბნა და ზაგლობას უყურებდა, აბა შენ რას იტყვი ამაზედაო. ჩამოვარდა ჟამი სამძიმო მდუმარებისა.

— ჰო,—რახან ეგრეა,—სთქვა ზაგლობამ,—ძნელია თქვენი შეპყრობა. რაკი ელჩი ბრძანებულხართ, შეპყრობა არ შეგვიძლიან, ხოლო ამ რაინდთან ხმალში გასვლას არ გირჩევთ: ერთხელაც გაექეცით და...

სისხლი თავში აუვარდა ბოგუნს და სულ მთლად გაუჭარხლდა სახე; ეს არის ეხლა იცნო ვოლოდიევსკი. სირცხვილმა და შებღალულმა თავმოყვარეობამ დასწვა უშიშარი ატამანი. გაქცვეის მოგონებამ სულ ცეცხლი მოუკიდა, ისე შერცხვა. ერთად-ერთი ლაქა ეს იყო იმის სახელისა და დიდებისათვის, რომელიც ყველაფერზე მეტად უყვარდა, რომელიც თვით სიცოცხლეს ერჩივნა.

ხოლო უწყალო ზაგლობა წინანდელისავე გულ-დამშვიდებით განაგრძობდა.

— ქუდიც კი დაჰკარგეთ გზაში, ისე რომ ამ რაინდმა შეგიწყალათ და სიცოცხლე მოგანიჭათ. ფუჰ! ბატონო ყაზახო, დიაცის სახე გქონიათ და გულიც აგრედვე დედაკაცური. ძალიან გმირობა გამოიჩინეთ მოხუცებულ კნეინასთანა და ბატარა ბავშვებთანა? ხოლო ეხლა, როცა ნამდვილი რაინდი სდგას თქვენს წინაშე, ოთხად იკაკვებით! თქვენი საქმეა წერილები ატაროთ აქეთ-იქით, გასათხოვარი ქალები იტაცოთ და არა ლაშქრად იაროთ. აი ახლაცა, ხმალი ახსენეთ დიდის გაბედულებითა და სულ იმიტომ კი, რომ წერილი თურმე მი-

გაქვთ. როგორღა უნდა გეომოთ, წერილს ამოჰფარებიხართ და მაგითი იფარავთ თავსა, და აბა, ერთი გვიბრძანეთ პასუხი, ბატონო ყაზახო, ჰა? ხმელი ყოჩაღი ყაზახია, კრივანოსიცა, გარნა ყაზახთა შორის ლაჩარნიც ცოტანი არ არიან.

ბოგუნი სწრაფად ეცა პან ზაგლობას, ხოლო პან ზაგლობა სწრაფადვე ამოეფარა ვოლოდიევსკის ზურგთ უკანა, ისე რომ რაინდნი პირის-პირ დაუდგნენ ერთმანერთს.

— იმიტომ კი არ გავიქეცი, რომ შემეშინდა,—სთქვა ბოგუნმა,—არამედ იმიტომ, რომ ჩემი ხალხი გადამერჩინა ამოწყვეტასა.

— არ ვიცი მიზეზი თქვენის ლტოლვისა, ხოლო ვხედავდი კი, რომ იელტოდით.

— ყოველთვის მზადა ვარ თქვენდა სამსახურად.

— ხმალში მითხოვთ? — ჰკითხა ვოლოდიევსკიმ თვალამოკიჟვითა.

— თქვენ მოსცხეთ ჩირქი ჩემს სახელს, თქვენ შემარცხვინეთ და ამიტომ თქვენი სისხლი მწყურიან.

— თანახმა ვარ.

— Volenti non fit injuria, — დასძინა ზაგლობამ.—მაგრამ წერილს ვინ-ღა მიუტანს მეფესა?

— თქვენ მაგას ნუ სწუხართ, ეგ ჩემი საქმეა.

— მაშ, იბრძოლეთ, რა მენაღვლება, რახან სხვაფრივ არ შეიძლება,—სთქვა ზაგლობამ.—თუ ბედმა თქვენ გაგიღიმათ, პან ატამანო, იცოდეთ, რომ ამ რაინდის ალაგს მე დავიჭერ მერე. ახლა კი, პან მიხალ, მოდით აქ ერთს წუთას, მინდა გითხრათ რამე.

მეგობარნი გავიდნენ ოთახიდან და დაუძახეს კუშელსაც, რომელიც ფანჯარასთან დარაჯობდა.

— აი რა უნდა გითხრათ,—დაიწყო ზაგლობამ,—ჩვენი საქმე ცუდად არის. წერილი აქვს მართლა ბატონიშვილთან; რომ მოეკლათ სისხლის სამართალში მიგვცემენ. სამართალი ჩვენ ამას არ შეგვარჩენს. მერე ან უნდა მალვას მოვყვეთ, ან თავადი თუ დაგვიფარავს, თორემ ვერ მოგვივა კარგი საქმე.

მაგის ხელიდან გაშვებაც კი არ არის კარგი. ერთად-ერთი ღონისძიება ეს არის, რომ ის საწყალი ქალი გავანთავისუფლოთ როგორმე. თუ ეგ ცოცხალი აღარ იქნება, იმის მოძებნაც გაადვილდება. ცხადია, თვით ღმერთსა სურს, შეეწიოს სქშეტუსკისა. იფიქრეთ, როგორ მოვიქცეთ.

— თქვენ თვითონ ვერას მოიფიქრებთ?—ჰკითხა კუშელმა.

— მე ეგ მოვიფიქრე, რომ თვითონ იმან გამოგვიწვია ხმალში. ჩემი აზრი ის არის, რომ ხარლამპს მოვუცადოთ. მე ვტვირთულობ ყოველსავე, ის დაგვითმობს თავის პირველობის უფლებას და, თუ საჭირო იქნება, გვიმოწმებს კიდეცა, რომ გამოგვიწვიეს და იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეცვა. ბოგუნისგან კი ისიც კარგად უნდა გავიგოთ, სადა ჰყავს ის ქალი დამალული. თუ მაგან ფეხები გაჭიმა, სულ ერთი იქნება, შესაძლოა სთქვას, სადაცა ჰყავს, ოღონდ კი მოვახერხოთ როგორმე. არ იტყვის კიდევა და ჯანაბას მაგისი თავი. საჭიროა მხოლოდ ყოველიეე გონივრულად გავმართოთ და დრო არ დავკარგოთ. ვოჰიმე, ლამის თავი გამისკდეს!

— ვინ უნდა ებრძოლოს იმას?—ჰკითხი კუშელმა.

— ჯერ პან მიხალი, მერე მე.

— მესამე მე ვიქნები.

— ეგ არ შეიძლება,—სთქვა პან მიხალმა,—მე უნდა ვებრძოლო მარტო და ამით გათავდეს. თუ მომკლავს იმისი ბედი იქნება, ადგეს და წავიდეს თავისთვის.

— ოჰ, მე კიდეც გამოვიწვიე,—წარმოსთქვა პან ზაგლობამ,—მაგრამ თუ თქვენ სხვაფრივ გადასწყვეტავთ, ყმაწვილებო, მეტი ღონე არ არის, უნდა დაგმორჩილდეთ?

ბოგუნი იჯდა დუქანში და სვამდა თაფლს შექცევითა. სრულიად დამშვიდებული იყო.

— მოგვითმინეთ,—მიჰმართა ბოგუნს დუქანში შესულმა ზაგლობამ,—ერთი დიდი საქმე გვაქვს თქვენთან და გვინდა მოგელაპარაკოთ. ეს რაინდი რომ გამოიწვიეთ ხმალში, კარგი და პატიოსანი; გარნა თქვენ უნდა იცოდეთ, რომ რაკი ელჩის მოვალეობითა ხართ მოსილი, მით კანონი მფარველობას გაგი-

წევთ, იმიტომ რომ ნადირებში კი არ მოსულხართ აქა, არა-მედ განათლებულს ქვეყანაში ხართ. ჩვენ ისე ეერ დაგთან-ხმდებით ხმალში გამოსვლას, თუ მოწმეთა წინაშე არ გაიმეო-რებთ, რომ ნება-ყოფლობით გინდათ ჩვენთან ბრძოლა, აქ მოვა რამდენიმე შლიახტიჩი, რომელთანაც გვინდა აგრედვე ვიბრძო-ლოთ ხმალში გასელითა; აი იმათ წინაშე გაიმეორეთ, რასაც გთხოვთ, ხოლო ჩვენ გაძლევთ რაინდულს სიტყვას, რომ თუ ბე-დმა არ გიმტყუნათ და პან ვოლოდიევსკისთან ბრძოლაში გაგე-მარჯვათ, შეგიძლიანთ დაუბრკოლებლივ წახვიდეთ თქვენს გზა-ზედა, თუ ჩემთან ბრძოლაში გამოსვლას აღარ მოინდომებთ.

— თანახმა ვარ,—სთქვა ბოგუნმა.—ვუბრძანებ ჩემს კა-ცებს, რომ წერილი იმათ წაიღონ, თუ მე ამიტყდა რამე და თქვენს მოწმეებთანაც გამოვაცხადებ, მე გამოვიწვიე ეს ხალხი ხმალში-მეთქი, ხოლო თუ გავიმარჯვე მაგ რაინდთან, მაშინ მზადა ვარ თქვენდა სამსახურადაც.

ბოგუნმა პირდაპირ შეხედა ზაგლობას თვალებში, ზაგლო-ბა ცოტა არ იყოს შეკრთა და ჩაახველა.

— მეც თანახმა ვარ. ჯერ ჩემი შეგირდი გაიცანით და მერე მე. მაგრამ, ჰო, ამას თავი დაეანებოთ, სხვა უფრო საყუ-რადღებო საგანს მივაქციოთ ყურადღება. მოვმართავთ თქვენს სვინიდისს, არა როგორც ყაზახისას, არამედ როგორც რაინ-დისას. თქვენ გაიტაცეთ კნიაჟნა ელენე კურცევიჩი, ჩვენის ამ-ხანაგის დანიშნული და სადღაცა გყავთ ტყეეობაში. ახლა თქვენ ხმალში გადიხართ, სახიფათო საქმეში შესდიხართ და შესაძლოა სიკვდილი არ აგცდეთ; ჰკითხეთ თქვენს თავს, რა მოელის ამ შემთხვევაში საცოდავს ყმაწვილს ქალს? დავიჯერო გაიმეტებთ გასაუბედურებლადა და შესარცხვენად? ნუ თუ სიკვდილ შემ-დეგაც არ ჩამოეხსნებით იმ საცოდავს?

პან ზაგლობას სიტყვები ისეთის ღაღადებით იყო წარმო-თქმული, რომელიც .იმას არა სჩვეოდა. ბოგუნი გაფითრდა.

— რა გნებავთ ჩემგან?—იკითხა ყაზახმა.

— გვითხარით, სად არის დატოვებული, რომ ვინიცობაა სიკვდილი გიწერიათ დღეს, შეგვეძლოს ყიპოვოთ ის ქალი და

მივგვაროთ თავის დანიშნულს. ღმერთი შეიწყალებს ამისათვის თქვენს სულს.

ატამანმა თავი თვისი დააპყრო ხელებსა და ღრმად ჩაფიქრდა.

სამივე ამხანაგი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს იმის მოძრაკს სახეს, რომელსაც ისეთი მწვავე მწუხარება დაეტყო უცბად, თითქო ეს სახე თავის დღეში არ დაუპრანჭია და არ დაუსახიჩრებია არც რისხვასა და არც გაბრაზებასაო, თითქო ეს კაცი გაჩენილია მხოლოდ სიყვარულისა და მწუხარებისათვისაო. მდუმარებამ დიდ ხანს გასტანა, ბოლოს ზაგლობამ დაიწყო ათრთოლებულის ხმით:

— თუ შეურაცხჰყეთ, ღმერთმა დაგსაჯოთ, ხოლო ქალს იმის ღონე მაინც მიეცით, რომ მონასტერში შეაფაროს თავი...

ბოგუნმა შეჰხედა თვისის დაწყლიანებულის, მწუხარე თვალებითა.

— თუ შეურაცხვყავ? არ ვიცი, როგორ იცით სიყვარული თქვენ, პანებმა, შლიახტამ და რაინდებმა, ხოლო მე ყაზახი ვარ, მე დავიფარე ის ქალი ბარში სიკვდილისა და შერცხვენისაგან, ხოლო შემდეგ დავმალე უდაბნოში და იქ ისე ეუფრხილდებოდი, როგორც ჩემის თვალის ჩინს, თითიც არ დამიკარებია, დაჩოქილი ვიყავ მის წინაშე და მუხლს ვიყრიდი, როგორც ხატის წინა. მიბრძანა წადიო, მეც წამოვედი და მასუკან აღარ მინახავს.

— ღმერთი მადლად ჩაგითვლით მაგას საშინელსა დღესა განკითხვისასა! — სთქვა ზაგლობამ და ამოისუნთქა თავისუფლად. მაგრამ საცა არის, შიში ხომ არა მოელის-რა? იქ კრიკანოსია, თათრები არიან!

კრიკანოსი კამენცს ახლოს არის და მე გამომგზავნა ხმელნიცკისთან, წავიდე თუ არა კუდაკისკენაო; ახლა, ალბად, წასულიც არის. ხოლო საცა ისა სცხოვრობს, იქ არც ყაზახნი არიან, არც ლიახები და არც თათრები; არავითარი შიში არ მოელის.

— მაშ, სად არის?

— გამიგონეთ, ბატონო შლიახტიჩებო! დეე თქვენს სიტყვაზედ იყოს და გეტყვით, საცა არის ის ქალი; ეუბრძანებ კიდეც, რომ ჩაგაბარონ, მაგრამ სამაგიეროდ, უნდა რაინდული სიტყვა მომცეთ, რომ ვინიცობაა მე გავიმარჯვო, თავს დაანებებთ იმ ქალს და ძებნას აღარ დაუწყებთ. თქვენ სიტყვა მომეცით თქვენ მაგივრადაცა და სქშეტუსკის მაგივრადაცა და მეც გეტყვით, საცა არის.

მეგობრებმა ერთმანერთს შეჰხედეს.

— ჩვენ ეგ არ შეგვიძლიან!—სთქვა პან ზაგლობამ.

— დიაღაც, არ შეგვიძლიან!— წამოიძახეს ერთად კუშელმა და ვოლოდიევსკიმ.

— არა?—ჰკითხა ბოგუნმა და წარბები შეეჭმუხნა, ხოლო თვალებმა ნაპერწკლების სროლა დაუწყეს.—რატომ არ შეგიძლიანთ, პან ლიახნო?

— პან სქშეტუსკი აქ არ არის და ამას გარდა, იცოდეთ, არც ერთი ჩვენგანი ხელს არ აიღებს იმის ძებნაზედ, თუნდა ქვესკნელში დაჰმალოთ.

— მაშ, თქვენც ბარემ ასრე დაგეწყოთ ჩინჩი: შენ, ყაზახო, სული მოგვეცი, ხოლო ჩვენ ხმლით შეგამკობთ, ამისათვისაო! მაგრამ ვერა, მაგას ვერ მოესწრებით! რაო, თქვენ გგონიათ, იქნება, რომ ჩემი ყაზახური ხმალი ფოლადისა არ არის? რაო, მე რა, მძოვრი ვარ და უკვე ყვავ-ყორანი თავს დამტრიალებენ? რად გგონიათ, რომ მე უნდა გავქრე, მოვკვდე და არა თქვენა? თქვენ ჩემი სისხლი გწყურიანთ, მე თქვენი! ვნახოთ ვისი დაინთხევა.

— მაშ არ გვეტყვით?

— როგორ არა, მოგახსენებთ, სიკვდილის ღირსნი ხართ თქვენ ყველანი!

— სიკვდილის ღირსი შენა ხარ! ახია შენზედ, ნაჭერ-ნაჭერ აგკუწოს კაცმა.

— აბა, სცადეთ,—სთქვა ატამანმა და წამოდგა ზეზედ. კუშელი და ვოლოდიევსკიც წამოცვინდნენ. მტრებმა ერთმანერთს თვალები გადუბრიალეს და შეუბრძოლებლივ არ გა-

თავდებოდა საქმე, რომ ზაგლობას ფანჯარაში არ გაეხედნა და არ ეთქვა, ხარლამპი და მისნი მოწმენი მოვიდნენო.

მართლაც, პატარა ხანს უკან ოთახში შემოვიდა როტმისტრი და თან შემოჰყვა ორი ამხანაგი, ბატონი სელიცკები. ჩვეულებრივის სალამ-ქალამის შემდეგ ზაგლობამ გაიხმო ისინი ცალკე და მოუყვა საქმის გარემოებას.

ისეთის მჭერმეტყველობით დაუწყო ლაპარაკი, რომ მალე დააჯერა, განსაკუთრებით უფრო დაიყოლია მით, რომ უთხრა, პან ვოლოდიევსკი მხოლოდ მცირეს ხნითა გთხოვეთ საქმე გადასდოთო და ყაზახთან ბრძოლის შემდეგ მზად არის ებრძოლოს ხარლამპსო. ლიტველმა დასთმო თვისი უფლება პირველობისა.

ამასობაში ბოგუნი თავისიანებთან წავიდა და დაბრუნდა ესაულ იალეშენკოთი, რომელსაც გამოუცხადა, რომ ორი შლიახტიჩი გამოვიწვიე ხმალში და მერე ისევე გაიმეორა ხარლამპისა და სელიცკების თანადასწრებით.

— ჩვენის მხრით გაძლევთ სიტყვას,—სთქვა ვოლოდიევსკიმ,—რომ თქვენ თუ გაიმარჯვეთ ჩემთან ბრძოლაში, მხოლოდ თქვენს ნება-ყოფლობაზედ იქმნება დამოკიდებული, ინდომებთ თუ არა პან ზაგლობასთან ბრძოლასა. ყოველ შემთხვევაში თქვენ აღარავინ გამოგიწვევთ ხმალში, აღარავინ დაგესხმით თავს. ამ სიტყვას გაძლევთ და ვსთხოვ ახლად მოსულებსაც ასევე მოიქცნენ.

— ვფიცავთ და გაძლევთ სიტყვას,—წარმოსთქვა ღაღადებით ხარლამპმა.

ბოგუნმა მისცა ილიაშენკოს წერილი, მეფესთან მოწერილი და უთხრა:

— ამ წერილს მეფეს მიართმევ და, თუ აგიტყდეს რამე, მოახსენებ იმასაცა და ხმელნიცკისაც, რომ ეგ მოხდა ჩემის ნება-ყოფლობით და რომ ამ საქმეში არავითარი ღალატი არა ყოფილა.

ზაგლობამ, რომელსაც არა გამოჰპარვია-რა, შეამჩნია, რომ ილიაშენკოს გაკლდეებულს და მოღრუბლულს სახეს არავი-

თარი მოუსვენრობა არ შეეტყო; მაშასადამე, მტკიცედ ენდობა და იმედი აქვს თვისის ატამანისაო.

ახლა ბოგუნმა ქედ-მაღლობით მიჰმართა შლიახტიჩს:

— აბა, ვნახოთ, ვის უწერია სიკვდილი და ვის სიცოცხლეო. ახლა შეგვიძლიან წავიდეთ.

— დროა, დრო!—დაეთანხმნენ იქ მყოფნი და გაივლეს ხელი ხმლებზედა.

ყველანი გამოვიდნენ დუქნიდან და გაემართნენ პატარა წყალისაკენ, რომელიც მაღალ ლელიანებ-შორის მიმდინარეობდა. გაცრიაგებული შემოდგომის დღე იყო, სავსე სევდანაღველის ამშლელ შვენებითა. მზე მშვიდის, ალერსიანის ნათელით აშუქებდა გაცრცვნილ ხის ტოტებს და მარჯვენა კიდის ყვითელ ქვიშრობს. მოპირისპირენი და მათნი მოწმენი სწორედ ამ ქვიშრობისკენ მიდიოდნენ.

— აიქა,—გაიწოდა თითი ზაგლობამა.

ყველანი დასთანხმდნენ ხმა-ამოუღებლივ.

ზაგლობა თან და თან უფრო მოუსვენრობდა, ბოლოს მიუახლოვდა შეუმჩნევლად ვოლოდიევსკის.

— პან მიხალ,—წასჩურჩულა ზაგლობამ

— რა იყო?

— ღვთის გულისათვის, პან მიხალ, ეცადეთ! ახლა თქვნს ხელშია ბედი სქშეტუსკისა, თავისუფლება კნიაჟნასი, თქვენი საკუთარი სიცოცხლეცა და... ჩემიცა. იმიტომა რომა, ჯვარი კი გწერიათ, თქვენ რომ აგიტყდეთ რამე, მე რაღას გავაწყობ მაგ ავაზაკთან?

— რაღაზედ გამოიწვიეთ მაშა?

— წამომცდა სიტყვა, მე თქვენი იმედი მქონდა, პან მიხალ. მოხუცი კაცი ვარ და, მაგას გარდა, ნაფაზი მაქვს, მალე ვიღლები, ხოლო ეგ მხეცი ისეთია, რომ, რაც უნდა იხტუნოს, მაგისთეის არაფერია. ხუმრობა მაგასთან ძნელია.

— ვეცდები.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, მხოლოდ გულ-დამშვიდებით იყავით.

— კარგი, კარგი.

ამ დროს მათთან მივიდა ერთ-ერთი სელიცკი.

— რა კაკა ბრძანდება ეგ თქვენი ყაზახი?—ჩურჩულითა ჰკითხა,—ისე გვედიდება, თითქო ტოლნიც არ ვიყვნეთ მაგისი, ცხვირი მაღლა მიაქვს. ოჰ, ჩემა მზემა! ალბად, მაგის დედას შლიახტიჩზედ თუ დარჩენია თვალი ოდესმე.

— ეგ კი არა,—სთქვა ზაგლობამა,—უფრო დასაჯერებელია, რომ რომელსამე შლიახტიჩს შევარდნია გული მაგის დედაზედ.

— მეც ეგრე მგონია,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— შესდექით!—დაიღრიალა უცებ ბოგუნმა.

— შესდექით, შესდექით!

ყველანი შესდგნენ, ვოლოდიევსკი და ბოგუნი ერთმანერთის პირის-პირ დადგნენ, შლიახტა ნამგალივით გარს შემოერტყა იმათა.

ვოლოდიევსკი გამოცდილებას არ იყო მოკლებული ამისთანა საქმეში. და უპირველეს ყოვლისა გასინჯა ფეხით ნიადაგი, საკმაოდ მაგარია თუ არა ქვიშრობი ადგილი, მერე მიმოიხედა გარშემო, რა ადგილ-მდებარეობა აქვს აქაურობასაო. ცხადად ეტყობოდა, რომ ვოლოდიევსკი დიდის ყურადღებით ეკიდებოდა წინამდებარე ბრძოლასა. ესეც უნდა ყოფილიყო. უნდა შებრძოლებოდა რაინდს, რომელიც სახელ-განთქმული იყო მთელს უკრაინაში, რომლის საქებრადაც ყველგან ლექსები და შაირები იყო გამოთქმული, ვისი სახელიც ჰქუხდა მთელს რუსეთში თვით ყირიმამდე. პან მიხალმა, ერთმა უბრალო დრაგუნთა პორუჩიკმა, იცოდა, რომ ან სახელოვანი გამარჯვება მომელის, ან არა ნაკლებ სახელოვანი სიკვდილი და ამიტომ ცდილობდა თანასწორი ყოფილიყო თვისის მოპირისპირესი. იქნება ეს იყო მიზეზი, რომ სახე მისი დაფიქრიანდა მეტად, იმდენად დაფიქრიანდა, რომ პან ზაგლობას შეეშინდა და გულში გაივლო: „სულის სიმშვიდესა ჰკარგავს! ჯერ ამას გაუთავებს საქმესა და მერე მე“!

ბოლოს, გასინჯა-რა ყოველის მხრით ნიადაგი და ადგილი, დაიწყო ჯუბის ღილების გახსნა.

— ცივა,—სთქვა მან,—მაგრამ სულერთია, გავთბებით.

ბოგუნმაც იმის მაგალითს მიჰმართა. მოპირისპირეთ გაიხადეს ზედა-ტანის ტანისამოსი და პერანგის ამარანი-ღა დარჩნენ.

ყოვლად ჩაგვერა და თითქმის სულ არაფერი არა სჩანდა-რა პან მიხალი ამოდენა ზორბა და ლონიერ ატამანთანა. მოწმენი მოუსვენრობით შესცქეროდნენ ყაზახის განიერს მკერდს, რკინასავით მაგარს ძარღვებს და სხვილს გამკლავებულს მაჯებს. ასე ეგონათ, რომ წიწილა გამოსულა და უნდა შეებრძოლოს ძლიერს მინდვრის ქორსაო. ნესტოები ფართედ დაჰბეროდა ბოგუნს, თითქო სისხლის სუნი დაიცესო, წარბები შესჭმუხნოდა. დააბლვირა გაბოროტებით სავსე თვალები მოპირის-პირეს და დაუწყო ლოდინი ბრძანებას.

პან ეოლოდიევსკიმ გულ-დადებით გაუსინჯა ფხა თავის ხმალს, გადისვა ხელი ოდნავ თაფლა პატარა ულვაშებზედ და მოიმართა საბრძოლველად.

— კარგა კი მოჰხვდება მაგასა,—წასჩურჩულა ხარლამპმა თავის ამხანაგს.

ბოლოს მოისმა ათრთოლებული ხმა ზაგლობასი:

— ღმერთო და ბედო! დაიწყეთ!

XII

ხმლებმა იელვეს, ფოლადი ფოლადს მოჰხვდა და წკრიალი გაისმა. ადგილი ბრძოლისა უცბად შეიცვალა, რადგან ისეთის გაშმაგებით შეუტია ბოგუნმა ეოლოდიევსკის, რომ პატარა აფიცერმა უკან დაიწია რამდენისამე ნაბიჯით, ხოლო მას მიჰყენენ მოწმენიცა. ისეთის სისწრაფით იქნევდა ბოგუნი ხმალს, რომ მოწმენი თვალს ვერ ასწრობდნენ; პან მიხალს მხოლოდ ღმერთი-ღა თუ დაიხსნიდა აუცილებელის სიკვდილის პრჭყალებისაგან. ერთს შემოქნევას მეორე მოსდევდა,

ფოლადი შუილით აპობდა ჰაერს. ატამანი უფრო და უფრო შმაგობდა, ომის ეშხით ითრობოდა და როგორც გრიგალი, ისე მიაქროლებდა წინ პატარა რაინდსა. ვოლოდიევსკი სულ უკან-უკან იწევდა და მხოლოდ იგერიებდა მოტეეებულს ბოგუნსა: მისი წინ-გაწვდილი მარჯვენა ხელი გაშეშებულივით იყო დარჩენილი და მხოლოდ მაჯა-თითები ტრიალებდა და ეელებოდა რკალივით პატარა წრეს წრეზედა ისეთის სისწრაფით, თითქო ელვაო და მით აბათილებდა ბოგუნის ხმლის ძლიერს შემოქნევა-ცემასა. პან მიხალი თვალს არ აშორებდა ყაზახის სახეს და ამ გაცეცხლებულ ომში სრულიად გულდამშვიდებული იყო; მხოლოდ ლოყები აუწითლდა იდნავ.

პან ზაგლობამ დაჰხუჭა თვალები და ესმოდა მხოლოდ წკრიალი ხმლის ხმალზედ შემოკვრისა.

„ჯერ კიდევ იგერებს!“—გაივლო გულში ზაგლობამ.

— ჯერ კიდევ ახერხებს მოგერებას!—წაიტუტუნა ხარლამპმა.

— ერთი ნაბიჯი კიდევ და ვოლოდიევსკი ქვიშრობში ჩაიფლება,—ნელის ხმითვე დასძინა კუშელმა.

ზაგლობამ კვლავ გაახილა თვალები.

ვოლოდიევსკი, მართლაც, სულ რამდენსამე ნაბიჯზედ-ღა იყო წყლის ნაპირამდე, მაგრამ, ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ იყო დაჭრილი, მხოლოდ სიწითლე ლოყებზედ უფრო მოჰმატებოდა, ხოლო შუბლზედ რამდენიმე წვეთს ოფლს დაესხა.

ზაგლობას გულმა იმედით დაუწყო ცემა.

„პან მიხალმაც იცის ხომ მოხმარება ხმალისა,—იფიქრა მან.—ბოგუნიც, ალბად, დაიღალა“.

ბოგუნი უფრო გაფითრდა, დასველებული შავი თმის კულულები მიჰკროდა გაოფლიანებულს შუბლზედ, მაგრამ ვოლოდიევსკის უნარი მოგერებისა უფრო აძლიერებდა იმის გაშმაგებას. ყაზახის თეთრს კბილებს სულ ელვა გაჰქონდა სიბრაზით, ხოლო გვერდი უღელავდა და ატამანი მძიმედ სუნთქავდა.

ვოლოდიევსკი თვალს არ აშორებდა და იგერიებდა ყაზახს.

უცბად, სწორედ წყლის ნაპირას, მოიკუნტა, თითქო კატა�о (დამსწრეთ ასე ეგონათ, ეს არის წაქცევას აპირობსო), დაიხარა, ჩაქუქდა და თვალის დახამხამებაზე გადახტა წინ კამარა-შეკვრითა, პირდაპირ ბოგუნისაკენ.

— იერიში მიიტანა!—დაიძახა პან ზაგლობამ.

სწორედ ასეც იყო: ახლა ატამანმა დაიწყო უკან-უკან წევა, ხოლო პატარა რაინდმა, რაკი გაიგო რაც ძალ-ღონე ჰქონდა მოპირისპირეს, ისეთის ძლიერებით შეუტია ყაზახსა, რომ მოწმეთ სული გაკმინდეს და თაეიანთ გულის ბაგა-ბუგი თვითვე ესმოდათ. ცხადი იყო, რომ ვოლოდიევსკი გაცხარდა, პატარა მისი თვალები სულ ცეცხლსა ჰყრიდა; ხან ჩაქუქდებოდა, ხან კვლავ წამოხტებოდა, ყოველ წუთს იცვლიდა თავისს მდგომარეობას, წრედ უვლიდა გარშემო ბოგუნს და ძალას ატანდა ეტრიალნა ერთს ალაგას.

— ოჰ, რა ფეხტ-შეისტერია?—იძახოდა ზაგლობა.

— ჩაჰკვდები!—წამოიძახა უცებ ბოგუნმა.

— ჩაჰკვდები!—მისცა ბანი პასუხად ვოლოდიევსკიმ.

აქ ატამანმა ისეთის ხერხით, რომელიც მხოლოდ ხმლის მხმარებელთა ოსტატობის მცოდნეთ იციან, გადიგდო ხმალი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში და ისეთის საშინელებით მოუქნია, რომ პან მიხალი, თითქო მეხი დაეცაო, ისე დაეცა დედა-მიწაზედ.

— იესო, მარიამ!—აღმოხდა გულიდან ზაგლობას.

ხოლო პან მიხალი განგებ დაეცა, რომ ბოგუნის ხმალს მარტო ჰაერი გაერღვია. მაშინ პატარა რაინდმა იხტუნა გარეულ კატასავით და დასცა ხმალი ყაზახს შიგ გულში.

ბოგუნი დატორტმანდა, ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა, შეიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და უკანასკნელად კიდევ შემოუქნია ხმალი. პან ვოლოდიევსკიმ ადვილად აუკრა ხმალი, დასჭრა თავში და ხმალი გაუვარდა ბოგუნს დასუსტებულ ხელიდან. ყაზახი დაეცა პირქვე ქვიშაზედ, რომელიც მაშინვე წითლად შეიღება სისხლითა.

ილიაშენკო ღრიალით მივარდა ატამანის გვამს. მოწმენი ისე გაშრნენ, რომ რამდენსამე წუთს ხმა ვერ ამოიღეს; პან მიხალსაც კრიჭა შეეკრა და მდუმარებდა. ორისავე ხელით დაეყრდნო ხმალს და ძლივს სულს ითქვამდა.

ზაგლობამ პირველმა დაარღვია დუმილი.

— პან მიხალ, მოდი მოგეხვიო,— წარმოსთქვა მან აღელვებულის ხმითა.

მაშინ დაიწყო ყველამ ლაპარაკი, თითქო ანიშნა ვინმემო. მეტადრე ლიდ აღტაცებაში იყო პან ხარლამპი.

— სწორედ არ ველოდი!—დაიძახა იმანა.—ახლა ჩემი რიგია, რომ მხდალობა არავინ მიკიჟინოს. თუმცა ვიცი, რომ თქვენ მეც დამჩეხავთ, მაგრამ მაინც მომილოცნია, მომილოცნია!

— დაანებებდეთ თავსა, ისა სჯობიან,—ჩაერია ზაგლობა,— მით უმეტეს, რომ საიმისო მიზეზი არა გაქვთ-რა ბრძოლისათვის.

— არ იქნება, არა! აქ ჩემ სახელს შეეხება საქმე, ხოლო სახელი ყველაფერზე ძვირფასია ჩემთვის, თვით სიცოცხლეზედაც კი.

— თქვენ სიცოცხლეს არავინ არ ემუქრება,—სთქვა ვოლოდიევსკიმ,—სჯობიან დავანებოთ მაგ ლაპარაკს თავი. მართალი გითხრათ, სიზმარშიც არ მზმანებია თქვენი რაყიფი გავმხდარვიყავ.

— რას ბრძანებთ?

— გაძლევთ სიტყვას.

— თუ აგრეა... და პან ხალამპმა გაშალა მკლავები.

წეღანდელნი მტერნი მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანერთს.

ამასობაში ილიაშენკომ პირაღმა გადააბრუნა გვამი ატამანისა და ქვითინით სინჯავდა, იქნება სიცოხლის ნიშნები რამ კიდევ ვუპოვნოვო. ბოგუნი სულ შედედებულ სისხლით იყო მოსვრილი, მაგრამ მაინც კიდევ სუნთქავდა ოდნავ. ფეხები ოდნავ შეუთრთოლდებოდა ხოლმე სულთ-ბრძოლის გამო, ხო-

ლო დამანჭული თითები ხელისა გამწარებით ფხაჭნიდა ქვიშრობიანს ნიადაგსა. ზაგლობამ შეხედა და ხელი გააქნია.

— გათავდა, — სთქვა შლიახტიჩმა,—ეთხოვება წუთი-სოფელს.

— კარგი რაინდი კი იყო,—წაიტუტუნა ვოლოდიევსკიმ და თავი ბოგუნისაკენ მიიღრიჯა.

— ჰო, მე ცოტა რამ არ ვიცი მაგის ამბავისა,—სთქვა ზაგლობამ.

ილიაშენკოს უნდოდა წაელო საცოდავი ატამანი, მაგრამ იძულებული იყო თავი დაენებებინა ამ განზრახვისათვის. უღონო მოხუცისათვის ძნელი იყო ამოდენა მომზღვლეულ ბუმბერაზის წამოკიდება და წაღება. დუქნამდე კარგა მანძილი იყო, ხოლო ბოგუნს შეიძლებოდა გზაში ამოსვლოდა სული. ესაულს იმის მეტი ღონე არა ჰქონდა, რომ მიემართნა შლიახტისათვის და შემწეობა ეთხოვნა.

— პანებო,—შეევედრა ილიაშენკო აზნაურის-შვილებსა და აღაპყრო მაღლა თვალები,—დაავალეთ თქვენს ღმერთსა და მიშველეთ! ნუ ინებებთ, რომ აქ მოკვდეს ძაღლივითა. მე მოხუცი ვარ, ვერ მოვერევი, ჩვენი კაცებიც კი შორს არიან...

შლიახტიჩებმა ერთმანერთს გადახედეს. აღარავის ახსოვდა ახლა მძულვარება თვისი ბოგუნის მიმართ.

— დიაღაც არ შეიძლება აქ დავსტოვოთ ძაღლივითა, — სთქვა პირველადვე ზაგლობამ.—რაღაი ვებრძოლეთ, სჩანს, მაშ, ტეტია აღარა ყოფილა, არამედ მხედარი და მეომარი, რომელსაც შველა უნდა. ყმაწვილებო, აბა ვინ მიშველის, რომ ერთად წავიღოთ.

— მე,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— აი ამ ჩემს ნაბადზედ დავაწვინოთ და ისე წავიღოთ,— დასძინა ხარლამპმა.

ერთს წუთს შემდეგ ბოგუნი უკვე ნაბადზედ იყო გაშოტილი. ნაბადს დაავლეს ხელი ოთხ-კუთხივ ზაგლობამ, ვოლოდიევსკიმ, კუშელმა და ილიაშენკომ და ამ სახით, ხარლამპისა და სელიცკების თან გაყოლებით, გაემართნენ დუქნისაკენ.

— სიცოცხლის ძალა ჭარბადა ჰქონია,—ბჭობდა და მსჯელობდა გზა-და-გზა ზაგლობა,—ჯერ კიდევ ინძრევა. ღმერთო, შენი ჭირიმე! წინად რომ ეთქვა ვისმე ჩემთვის, იქნება უელიდე კიდეო ბოგუნსაო, საწყენად მიეიღებდი და ვეტყოდი, ეგ სადაური ხუმრობაა-მეთქი. გული ჩვილი მაქვს, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ დაჯერებით მაინც არ დავიჯერებდი ასეთს თქმას, როგორც ვხედავ, წყლულებსაც მე შევუხვევ. იმედია, ამ სოფლად ჩვენ ერთმანერთს აღარ შევხვდებით, მაშ, ესე მაინც იყოს, რომ იმ სოფლად მადლობით მომიგონოს.

— თქვენა გგონიათ, რომ არას გზით აღარ გადარჩება?— ჰკითხა ხარლამპმა.

— ესა? მაგის სიცოცხლეში ერთ ძველ ჩექმასაც აღარ გავიღებ. სჩანს, ამისი ბედის საწერელი ეს იყო; თუნდა რომ გაჰმარჯვებოდა და ეჯობნა ვოლოდიევსკისთვის, სულერთია, მე ველარ გადმირჩებოდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ უჩემოდაც გათავდა საქმე; უამისოდაც თავი მომაბეზრეს საყვედურით, რომ უწყალოდ ხოცავ ყველას, ვინც ხმალში გამოდის შენთანაო. მაშ რა ვუყო, როგორ მოვიქცე, როცა შეურაცხყოფას გამიბედავს ვინმე?.. ერთი შეჰხედეთ... წყეულმა პირი ჰქნა ისევ. გაიქეცით საჩქაროდ დუქანში, პან ხარლამპ და უბრძანეთ ურიას, რომ პური და აბლაბუდა დაამზადოს. ეს არას უშველის ამ საცოდავს, მაგრამ ქრისტეანე მოვალეა შეუხვიოს წყლულნი ქრისტეანეს. აბა, ჩქარა, პან ხარლამპო!

პან ხარლამპი გაიქცა საჩქაროზედა და, როცა ატამანი შეასვენეს დუქნის ოთახში, ზაგლობა მაშინვე შეუდგა თავისს საქმესა. შეაყენა სისხლის დენა, შეუხვია წყლულები დაჭრილსა და მერე მიუბრუნდა ილიაშენკოსა:

— შენ აქ საჭირო არა ხარ, მოხუცო,—უთხრა ზაგლობამ.—გასწი საჩქაროზედ ზაბოროვსა, სთხოვე იქ, რომ წარგადგინონ მეფის წინაშე, მიართვი იმას წერილი და უამბე ყოველივე, როგორც იყო, როგორცა ჰნახე შენის თვალითა. არ კი იტყუო, თორემ მაშინვე გავიგებ, მეფის კარის კაცი ვარ და, ვუბრძანებ, რომ მაშინვე თავი მოგკვეთონ. ხმელნიცკისაც

ჩემ მაგიერ მოკითხვა მოახსენე: ისიც მიცნობს; მე და ის მეგობრები ვართ. შენს ატამანს ჩვენ დავმარხავთ, როგორც ეკადრება, შენ კი შენი საქმე გააკეთე. დუქან-დუქან ნუ დაიწყებ წოწიალსა იმიტომ რომ მოგკლავენ სადმე უმალ, ვიდრე იტყოდე, ვინცა ხარ. აბა, გასწი! ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი!

— ნება მიბოძეთ, ბატონო, დავრჩე, ვიდრე სულს განუტევებდეს.

— გასწი-მეთქი, შენ გეუბნებიან,— შეუტია მრისხანედ ზაგლობამ,—თუ არა და, ცუდად იქნება შენი საქმე! არ კი დაგავიწყდეს ხმელნიცკის ჩემ მაგიერ მოკითხვა მოახსენო.

ილიაშენკომ დაბლა თავი დაუკრა და წავიდა, ხოლო ზაგლობამ მიჰმართა ხარლამპსა და სთქვა:

— განგებ გავგზავნე ეგ ყაზახი ჯერ იმიტომ რომ მაგას აქ საქმე აღარა აქვს-რა და მერე იმიტომ რომ, თუ მართლა ეგ მიაღრჩეს სადმე (რაიცა ადვილად შესაძლებელია), მაშინ ყოველივე ჩვენ დაგვბრალდება. ზასლავსკისა და კანცლერის კუდები და დამქაშები პირველნი ასტეხენ ერთს დადანსა და ვაი-ვაგლახსა, რომ მთავარისა და ერისთავის კაცებმა ულმერთოდ ამოსწყვიტეს მთლად ყაზახთა საელჩოვო. ხოლო თუ კაცი ჭკუით მოიქცევა, ყოველთვის შეიძლება უსიამოვნება თავიდან აიცილოს. ისე ნუ მოვიქცეთ, რომ იმ კალამ-წრიპინაებმა ცოცხლივ გამოგვხრან, ხოლო თქვენ, ყმაწვილებო, გვიმოწმებთ, თქვენის მხრით, რასაკვირველია, როგორც იყო მთლად საქმე და როგორც გამოგვიწვია ამ კაცმა ხმალში. უნდა უბრძანო კიდევ აქაურს მამასახლისს, რომ დაასაფლავოს ეს ყაზახი. აქ არავინ იცის, ვინც არის ესა, ეგონებათ, შლიახტიჩიაო და წესიერად დაჰმარხავენ. ჩვენ კი, პან მიხალ, აბა, დროა, გზას გაეუდგეთ, თავადსაც ანგარიში უნდა მივცეთ ახლა.

ბოგუნის ხრიალმა და ხრიალით სულის მობრუნებამ გააწყვეტინა ლაპარაკი პან ზაგლობას.

— გზას ეძებს ამისი სული ამოსასვლელად,—სთქვა შლიახტიჩმა.—აგერ ახლა თვალთ უბნელდება ამ საცოდავს და მისი სული ფათურით წავა იმ სოფლად. მაგრამ რაღაი ჩვენი სა-

წყალი ქალი არ გაუუბედურებია, ღმერთმა სასუფეველი დაუ-
მკვიდროს, ამინ! წავიდეთ, პან მიხალ, სულითა და გულით შე-
მინდვია ამისათვის ყოველი მისი დანაშაული, თუმცა სულ ქვეშ
რომ ვსთქვა, მე უფრო მეტი უსიამოვნება მივაყენე, ვიდრე
იმან მომაყენა მე. მაგრამ ახლა ყოველივე გათავდა. მშვიდო-
ბით ბრძანდებოდეთ, ყმაწვილებო! ძალიან მესიამოვნა თქვენი-
სთანა სახელოვან რაინდების გაცნობა. ნუ დაივიწყებთ მხო-
ლოდ გვიმოწმოთ, თუ ვინიცობაა საჭირო იყოს.

XIII

თავადმა ერემიამ საკმაოდ გულ-გრილად მიიღო ამბავი
ბოგუნის დამარცხებისა, როცა გაიგო მეტადრე, რომ რაინდნი
არა-ჩემის ჯარისანი მზად არიან უმოწმონ ჩემს რაინდებს, პირ-
ველად ბოგუნმა გამოითხოვა ხმალში ვოლოდიევსკიო. ეს ამ-
ბავი რომ ცოტა წინად მომხდარიყო და არა მაშინ, როცა
უკვე გამოცხადებულ იქმნა იან კაზიმირი მეფედ, ბრძოლა კან-
დიდატებისა რომ გათავებული არა ყოფილიყო, ერემიას მო-
წინააღმდეგენი კანცლერისა და თავად დომინიკის მოთავეო-
ბით, ამ გარემოებას ხელზედ დაიხვევდნენ და აღარავითარი მო-
წმობა აღარ იქმნებოდა შეწყნარებული. მაგრამ, რაკი კარ-
ლოსმა პირველობა კაზიმირს დაუთმო და თავი დაანება ბრძო-
ლას, ყველას სხვა საზრუნავი ჰქონდა ახლა და ბოგუნის ის-
ტორიას სახიფათო შედეგი აღარა მოჰყვა-რა.

მარტო ერთს ხმელნიცკის შეეძლო გაეზვიადებინა ეს სა-
ქმე და ერთი ამბავი დაეწია, აი რაოდენად უსამართლოა შლია-
ხტაო, მაგრამ თავადმა სწორედ ივარაუდა, რომ იმიერ-ჭოროო-
მეთის გეტმანი თვისის ელჩის სიკვდილის ამბავს თვით მეფესა-
გან მიიღებს და ველარ გაუბედავს ეჭვს, მეფემ ტყუილი ამბა-
ვი მაცნობაო.

თავდი უფრო იმასა ჰზრუნავდა, რომ ამ ამბავმა ალიაქო-
თი არა მოახდინოს-რა პოლიტიკაშიო. მეორე მხრით თავადს
გაახსენდა სქშეტუსკი და იმის სიხარულს სამზღვარი აღარა

ჰქონდა: ახლა კნიაჟნა ელენეს პოვნა ბევრად უფრო ადვილი იქნებაო. ახლა შეიძლება ვიპოვოთ, წავართვათ, ვისაცა ჰყავს, გამოვისყიდოთო, ხოლო თავადი არაფერს არ დაჰზოგავდა, ოღონდ კი დაებრუნებინა ბედნიერება თავისს საყვარელ რაინდისათვის.

პან ვოლოდიევსკი შიშითა და კრძალვით სავსე მივიდა თავადთან; მხდალი კაცი არ იყო ვოლოდიევსკი, მაგრამ ძალიან ეშინოდა მთავრის შეკრულ კოპებისა. ხოლო დიდი იყო განცვიფრება და სიხარული მისი, როცა თავადმა მოისმინა იმისი ნაამბობი, დაფიქრდა პატარა ხანს, ბოლოს წაიძრო თითიდან ძვირფასი ბეჭედი და უთხრა:

— თქვენი სიფრთხილე სწორედ ძალიან მომწონს; აგრე რომ არ მოვქცეულიყავით, ვინ იცის, რა ამბავი ატეხილიყო სეიმის კრებაზედ. თუ კნიაჟნა გამოჩნდა და ვიპოვნეთ სადმე, სქშეტუსკი თქვენგან იქნება გადარჩენილი სიკვდილსა. ჭორად მესმოდა, რომ თქვენ, პან ვოლოდიევსკი, იმ ყბედივით, რომელიც ვერ ახერხებს ენა მოიკვნიტოს, როცა საჭიროა, ვერ მოგიხერხებიათ ხმალი ქარქაშში გქონდეთ ჩაგებული დროზედ; ამისათვის, სწორედ გითხრათ, ღირსი ხართ სასჯელისა. ხოლო რადგან ახლა თავი გამოგიდვიათ მეგობრისათვის, ჩვენთა საფრთხეთა სახელისათვის და დაგიძლევიათ ისეთი სახელ-განთქმული რაინდი, სხვა აღარა დამრჩენია-რა იმის მეტი, რომ მოგცეთ ეს ბეჭედი; იქონიეთ სახსოვრად და მაგ დღის მოსაგონებლად. ვიცოდი, რომ ყოჩაღი ჯარის კაცი იყავით და კარგად იცით ხმარება ხმლისა, ხოლო ახლა ვხედავ, რომ ყოველად ჩინებულმა მეხმლემაც თქვენგან უნდა ისწავლოს მისი კარგი ხმარება.

— ესა, ბატონო?—ჩაერია ზაგლობა ლაპარაკში.—ესა, ბატონო, ეშმაკს გააგდებინებს რქებს მესამე შემოქნევაზედ. თუ, თქვენო ბრწყინვალებავ, ბრძანებთ ოდესმე ჩემის თავის მოკვეთას, გთხოვთ ეს დანიშნოთ ჯალათად; ნუგეშად ის მაინც მექნება მაშინ, რომ უცბად წავალ საიქიოს.

თავადმა კმაყოფილებით ვაიღიმა და ჰკითხა:

— შეგხვედრია ვინმე თქვენი ბადალი მეხმლე?

— ერთხელ სქშეტუსკიმ ოდნავ გამკაწრა ხმლითა და მეც აგრედვე ცოტათი გავკენწლე... ეს მაშინ გახლდათ, თქვენო ბრწყინვალებავ, როცა ამისათვის ორივენი დაგვაპატიმრეთ. პან პოდბიპენტასაც დაეძლიე იქნება, რადგან მეტის-მეტი ღონიერია, აგრედვე კუშელსაც, უფრო კარგი მხედველობა რომ ჰქონოდა.

— ნუ დაუჯერებთ, თავადო!—წამოიძახა ზაგლობამ.—მაგას ვერავინ აჯობებს.

— ბოგუნი დიდ ხანს გაუმაგრდა?

— იმასთან საქმის დაჭერა ძნელია. მარცხენა ხელითაც იბრძვის.

— იცი, რა გითხრა, პან ვოლოდიევსკი?—სთქვა ხუმრობით თავადმა.—წადით ერთი ზამოსტიეში, გამოითხოვეთ ხმალში ხმელნიცკი და ერთის შემოკვრით დაიხსენით რესპუბლიკა მოსალოდნელ უბედურებისაგან.

— თუ მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, გიახლებით, ოღონდ გამოვიდეს კი ხმელნიცკი ჩემთან საბრძოლველად.

— ჩვენ ვხუმრობთ,—განაგრძო თავადმა,—ხოლო ქვეყანა იღუპება! მაგრამ ზამოსტიეს კი მაინც უნდა წახვიდეთ მართლა. ამბავი მომივიდა ყაზახთა ბანაკიდან, გამოცხადდება თუ არა არჩევა მეფედ ბატონიშვილის კაზიმირისა, ხმელნიცკი აშლის ალყად შემორტყმულს ჯარებს და რუსეთისაკენ დაიწევსო. ასე მოიქცევა, შესაძლოა, იმიტომ რომ ერთგულება დაუმტკიცოს მეფეს, ან იმიტომ, რომ შიში აქვს, ვაი თუ ზამოსტიეში ჩემი ძლიერება სულ გაცამტვერდესო. მაშ, თქვენ წახვალთ სქშეტუსკისთან და აუწყებთ, რაც მოჰხდა,—ადგეს და დაუწყოს ძებნა კნიაჟნას. უთხარით, რომ აირჩიოს ჩემ სადროშოებში, რამდენი კაციც უნდა მხლებლად და ისე გაუდგეს გზას. მაგას გარდა, წერილსაც მივწერ. საზოგადოდ, დიდს გასაცემს გავცემდი, ოღონდ კი ის სიამოვნება მეგრძნო, რომ იმ კაცმა თავის ბედნიერებას მიაღწია.

— თქვენო ბრწყინვალებავ, მუდამ მამობას გვიწევდით და გვიწევთ დღესაც,—სთქვა ვოლოდიევსკიმ:— და ჩვენც სიკვდილამდე თქვენი ერთგული ყმები ვიქნებით.

— არ ვიცი, იქნება შიმშილიც გეწეროთ ჩემს სამსახურში ყოფნითა,—უპასუხა თავადმა,—უკეთუ ჩემი სამფლობელო დნეპრ გალმა აკლებულ იქმნა, ხოლო ვიდრე მაქვს რამე, ყოველივე ჩემი თქვენია.

— ოჰ, ბატონო!—წამოიძახა პან მიხალმა.—ჩვენი მცირე შეძლება მუდამ თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს.

— ჩემიცა ბატონო!—სთქვა ზაგლობამ.

— არა, ჯერ-ჯერობით საჭირო არ არის,—ალერსიანად სთქვა თავადმა.—მე მაინც იმედი მაქვს, რომ თუ ვინიცობაა სრულიად გავღარიბდი, რესპუბლიკას გაახსენდება ჩემი შვილები.

თავადმა რა იცოდა, რომ ეს სიტყვები მისი წინასწარმეტყველება იყო. რამდენისამე წლის შემდეგ რესპუბლიკამ იმის ერთად-ერთს შვილს ჩააბარა თვისი ძვირფასი განძი—გვირგვინი, ხოლო იმ დროს ერემიას აუარებელი ქონება და შეძლება მართლაც სულ გაცამტვერებული იყო.

— გადავრჩით საფრთხესა და ეს იყო,—სთქვა ზაგლობამ, როცა ისა დე ვოლოდიევსკი გამოვიდნენ თავადის სახლიდან. ახლა უნდა მოგილოცო სწორედ. აბა მაჩვენე ერთი ეგ შენი ბეჭედი. მე და ჩემმა ღმერთმა, სულ ცოტა, ასი ბაჯაღლო მაინცა ჰლირს, ძვირფასი ქვა უზის შიგა. ერთი შეემუშტრე ხვალ ვისმე სომეხსა. მაგის ფულით კარგს ქეიფს გავწევთ. ჰო, ჩემმა მზემ! შენ როგორა ბგონია, პან მიხალ? ხომ იცი, ჯარის კაცის წესი: დღესა ვარ, ხვალ აღარა... ხოლო აქედან ის უნდა დავასკვნათ, რომ ხვალის იმედი ტყუილადა გვაქვს. კაცის სიცოცხლე ხან-მოკლეა, პან მიხალ. ყველაზედ საყურადღებო ის არის, რომ ამიერიდან თავადი აღარ დაგივიწყებს. ერთი ათად მეტს გასცემდა, ოღონდ კი ბოგუნის თავი სქშეტუსკისათვის ჩაეგდო ხალში, თქვენ კი ყოველივე ეს მოახერხეთ. შეგიძლიან დიდის წყალობის იმედი იქონიო, დამიჯერე. ცო-

ტა სოფლები დაურიგებია თავადს თავისს რაინდებისათვის? დაურიგებია კი ირა, უჩუქებია კიდეცა. ბეჭედი! ბეჭედი კიდეე რა არის? შენც დიდი წყალობა მოგელის, ხოლო ბოლოს იქნება აიღოს თავადმა და თავისს ნათესავ ქალზედ ჯვარიც გადაგწეროს.

პან მიხალი შეხტა კიდეცა სიხარულითა.

— საიდან იცი, მერე, რომ...

— რაო?

— მე ის უნდა მეთქვა, ეგ რა უცნაური აზრი მოგივიდა ფიქრადა-მეთქი. შესაძლოა განა მაგისთანა რამ ამბავი მოჰხდეს?

— რატომ, რატომ? შლიახტიჩი არა ხარ განა? განა ერთი შლიახტიჩი ტოლი და სწორი არ არის მეორესი? ცოტანი ჰყავს ყოველს მაგნატს ნათესავი ქალები, რომლებსაც თავის საუკეთესო აზნაურშვილებს ურიგებს ცოლებად? ან ასე შორს რად მივდივართ: სენჩელი სუფჩინსკი ვისნეეეცკების რომელლაც შორეულს ნათესავს ქალზეა ჯვარ-დაწერილი. ყველანი ძმები ვართ, პან მიხალ, ძმები, თუმცა ერთნი მეორეს ვემსახურებით, ყველანი წარმომდგარვართ იაფეტისგან და ერთურთისაგან გავირჩევით მხოლოდ შეძლებითა და ნამსახურობა-სახელით... ხოლო ყოველს ამას შეიძენს კაცი, თუ ჭკუითა და მოხერხებით მოიქცევა. დიაღაც, ზოგიერთ ქვეყნებში თვით აზნაურთა შორისაც არის ხოლმე დიდი გარჩევა... მაგრამ რაო, ის რა აზნაურშვილობაა მერე? ძაღლებს შორის, კიდევ ჰო, ჰო, არის გარჩევა: ძაღლი ზოგი ქოფაკია, ზოგი მეძებარი, მწევარი, გარნა, იცოდეთ, პან მიხალ, რომ აზნაურთა შორის შეუძლებელია ისეთი გარჩევა იყოს; აგრე რომ იყოს, ჩვენ ხომ მაშინ ძაღლის შვილები ვიქნებოდით და არა შლიახტა, ხოლო ღმერთი არ ინებებს, რომ ეგრე დაამციროს ესდენ ღირსეული წოდება!

— მართალს ამბობთ, — დაეთანხმა ვოლოდიევსკი, — მაგრამ ვისნეეეცკები ხომ თითქმის მეფის შთამომავლობაა.

— ახლა, განა ვითომ თქვენ კი, პან მიხალ, არ შეიძლება არჩეულ იქმნათ მეფედ? მე პირველი მოგცემდი თეთრ კენ-

ქსა პან ზიგმუნტ კორშევსკისა არ იყოს, რომელიც ამბობდა, თეთრს კენჭს ჩემს თავსვე მიეცემ, თუ კამათლების მღერაში არ გავეგიო. ჩვენში ხომ, ბადლობა შემოქმედსა, ყოველივე in liberis suffragiis არის და მხოლოდ ჩვენი სიღარიბე გვაბრკოლებს და არა ჩამომავლობა.

პან მიხალმა თანაგრძნობით ამოიოხრა, ნიშნად თანხმობისა.

— რას იზამ? გაგვაღარიბეს და გაგვაღატაკეს სულ ერთიანად და უნდა სულ გადავშენდეთ, თუ რესპუბლიკა არ იზრუნებს ჩვენთვისა. გასაკეირველი-ღაა, განა, თუ კაცი, თვისის ბუნებით, თაკ-დაჭერილი და ფხიზელი მეტს სასმელს დაუწყებს სმას ამისთანა ყოფაში? წავიდეთ, პან მიხალ, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, იქნება, პატარა დარდი გადაგვეყაროს,

მივიდნენ ძველ ადგილამდე *), დასხდნენ ტავერნაში და დაიწყეს სმა. ლაპარაკი ჩამოუვარდათ, რასაკვირველია, იმდღევანდელ ამბების გამო.

— თუ ხმელნიცკი, მართლა, წავა ზამოსტიიდან და ომიანობა გათავდება, კნიაჟნა მაშინ უთუოდ ჩვენია, — სთქვა ზაგლობამ.

— ჩვენ უნდა სქშეტუსკისთან გავეჩქაროთ, ახლა კი თავს ნულარ დავანებებთ, ვიდრე კნიაჟნას არ იპოვის.

— დიაღაც, ეხლავ წავიდეთ. ეს არის მხოლოდ, რომ ამ ჟამად შეუძლებელია ზამოსტიემდე მიაღწიოს კაცმა.

— ერთი-ორი დღე აქეთ იყოს, თუ იქით, არაფერია, ოღონდ ბოლოს გვიშველოს ღმერთმა.

ზაგლობამ უცბად გადაჭკრა თავისი ჭიქა სასმელი.

— გვიშველოს, გვიშველოს... იცი, პან მიხალ, რას გეტყვი?

— რასა?

— ბოგუნი ჩაჰბარდა პატრონს.

ეოლოდიევსკიმ გაკვირვებით შეჰხედა მოსაუბრეს.

— თუ არ მე, სხვამ ვინ უნდა იცოდეს ეგა?

---

*) მოედანია ვარშავაში.

— ღმერთმა გაგაბედნიეროს ამ საქმისათვის! შენც იცი და მეცა; ვნახე, როგორც იბრძოდით, ეხლა რომ გიყურებ, სულ ეს უნდა ვიმეორო, იმიტომ რომ ხან და ხან ასე მგონია, ვითომ ყოვლად სასიხარულო სიზმარი მესიზმრა-მეთქი. რაოდენი მწუხარება დაჰლია, რა ნასკვი გაჰკვეთა შენმა ხმალმა! ოი, შენ და შენს... დაიჯერებ, თუ არა, მინდა ვსთქვა რაღაცა და რა ვსთქვა, მეც არ ვიცი! მოდი ერთი ჩემს ახლოს, ველარ მომითმენია! მოდი, ერთხელ კიდევ გადაგკოცნო! ბოგუნი აღარ არის, წავიდა, გაჰქრა, ვითარცა კვამლი! მოიკლა სიკვდილითა, ამიერ და უკუნისამდე, ამინ!

ზაგლობა გადაეხვია ვოლოდიევსკის.

— ჩვენ არ დავსწრებივართ იმის სიკვდილსა,—სთქვა ვოლოდიევსკიმ და ჩამოჯდა თავის სკამზედა,—რა სეირი იქნება, რომ ისევ გაცოცხლდეს?!

— რას ამბობ, ერთი, თუ ღმერთი გწამს!—შეშფოთდა ზაგლობა.—ხვალ დილით ლიპკოვს მინდოდა წასვლა იმის დასამარხავად. დიდის ამბითაც მივაბარებ მიწას, ოღონდ კი მოკვდეს.

— რაზედ უნდა წახვიდე? თუ დაჭრილია, ხომ ველარ დასჭრი კიდევ სასიკვდილოდ, ხოლო ხმლით დაჭრილს სულ აგრე სჩვევია: ვინც მაშინვე არ განუტევებს სულს, ის მომეტებულ შემთხვევაში რჩება, ხმალი ტყვია არ არის.

— არა, არა, ეგ შეუძლებელია! სულთ მობრძავი იყო, როცა ჩვენ იქიდან წამოვედით. ღმერთმანი, შეუძლებელია. მე თვითონ ვნახე იმისი ჭრილობანი... გულის ფიცარი სულ გაჩეხილი ჰქონდა. დავანებოთ იმას თავი. ჩვენ უნდა სქშეტუსკისთან გავეშუროთ, ეანუგეშოთ, შემწეობა აღმოვუჩინოთ, თორემ ჯავრით მოკვდება.

— ან ბერად შესდგება; თვითონ მითხრა.

— რა გასაკვირველია. მეც რომ იმის ალაგს ვყოფილიყავ, ბერად შევიმოსებოდი. არ შემხვედრია მაგაზედ ღირსეული რაინდი, გარნა არც მინახავს ვინმე ეგრე უბედური. ოჰ, დიდი მწუხარება მიაყენა ღმერთმა, დიდი!

— კარგია ერთი!—დაიწყო, ცოტა არ იყოს, შეზარხოშებულმა ვოლოდიევსკიმ, – ისეც ლამის ტირილი მომივიდეს.

— მე კი არ მომივა ტირილი? ისეთი რაინდი, ისეთი მეომარი... ის ქალი... შენ არ იცნობ... საწყალი ჩემი ქალი!

პან ზაგლობამ ქვითინი დაიწყო, ვოლოდიევსკიმ იმის მაგალითს მიჰბაძა. დიდ ხანს ისხდნენ ასე მეგობრები და ნელ-ნელა წრუპავდნენ სასმელს ჭიქით. ბოლოს ზაგლობამ დაჭერა მუშტი სტოლსა.

— პან მიხალ, რასა ვტირით ნეტავი? ბოგუნი მკვდარია!

— მართალია,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— უნდა ვიმხიარულოთ. სულელები ვიქნებით, რომ ის ქალი ვერ მოვძებნოთ.

— გეწიოთ!

და პან მიხალი წამოდგა ზეზედ.

— დავლიოთ!—გაუსწორა სიტყვა პან ზაგლობამ.—ღმერთი მოწყალეა, იმათ შვილებსაც მოვნათლავთ მალე... სულ კი იმიტომ რომ ბოგუნი მოვკალით.

— კარგ ყოფაში იქნება საიქიოს!—დაათავა ვოლოდიევსკიმ და ის კი ვეღარ შეჰნიშნა, რომ ზაგლობა თვითონაც წილს იდებდა ბოგუნის მოკვლაში და იზიარებდა თავის ამხანაგის სახელს.

XIV

ძლივს ვარშავის საკათედრო ტაძარში გაისმა გრგვინვა: Te Deum laudamus"— „მეფე აღვიდა ტახტზედა," ზარბაზნებმა გრიალი დაიწყო, ატყდა ზარების მხიარული რეკა-წკარუნი და იმედმა ნელ-ნელა დაიპირა ადგილი განწირულებისა. ძლივს, როგორც იყო, წარვიდა დრო უმეფობისა, დრო უთანხმოებისა და მოუსვენრობისა, დრო მით უფრო საშიში რესპუბლიკისათვის, რომ მტერმაც მაშინ გაიმარჯვა ზედიზედა. ვინც აქამდე თრთოდა და კანკალებდა, ვაი თუ რა მოგვეელინოსო, ის ახლა თავისუფლად სუნთქავდა. ბევრს ეგონა, რომ უმაგალითო შინაუ-

რი შფოთი და აღრეულობა სამუდამოდ გათავდა და ახლად ამორჩეულს მეფეს ისღა დარჩენია მხოლოდ, რომ განიკითხოს დამნაშავენიო. ამ იმედს ფრთას ასხავდა ცოტაოდნად ხმელნიცკის ქცევაცა. ის ყაზახნი, რომელნიც ზამოსტიეს იერიშით აღებას ჰფიქრობდნენ, ხმა-მაღლა აცხადებდნენ ახლა, რომ იან კაზიმირის მომხრენი ვართო. ხმელნიცკისაგან წერილი მოვიდა, ყოვლად ერთგული ქვეშევრდომი ვარ მეფისა და გთხოვთ წყალობას ჩემთვისა და იმიერ ჭორომეთის ჯარისათვისაო. ყველამ იცოდა, რომ მეფე თანხმა იყო კანცლერ ოსოლინსკის პოლიტიკისა და სწადდა ბევრი რამ დასათმობი დაეთმო ყაზახთათვის. როგორც პილავეცის ომის წინად ყველა მოელოდა ბრძოლას, ისე ახლა ყველას იმედი ჰქონდა მშვიდობიანობისა. ყველა იმედოვნებდა, რომ ამდენის ვაივაგლახის შემდეგ რესპუბლიკა მოისვენებს და გაიმთელებს თვისთა წყლულთა ამ ახალს მეფობაშიო.

ბოლოს გაემართა ვარშავიდან ხმელნიცკისთან სნიაროვსკი და შემდეგ მალე გავარდა სასიხარულო ხმა, რომ ყაზახნი უკან ბრუნდებიან ზამოსტიედან, უკრაინისაკენ მიდიან და იქ დაუწყებენ ლოდინს მეფის ბრძანებას და კომისიას, რომელიც განიხილავს მათს საჩივარსაო. კაცს ეგონებოდა, რომ ეს არის დაღლილსა და დაქანცულს ქვეყანას საშინელ გრიგალს შემდეგ გაუთენდება დღე მშვიდობისა და სიხარულისაო.

მართალია, შავ-უკულმა ნიშნებიც ცოტა არ იყო, მაგრამ რაკი სამხიარულო გარემოებას ბევრსა ჰხედავდნენ, არავინ ყურადღებას არ აქცევდა იმ მოშავებედებულს ნიშნებსა. მეფე წაბრძანდა ჩენსტოხოვოს და იქ მადლობა შესწირა ყოვლად წმიდა ქალწულსა არჩევისათვის, ხოლო იქიდან გაემართა კრაკოვს გვირგვინის კურთხევისათვის. იმას გაჰყვნენ ყველა დიდებულნი და უმაღლესნი მოხელენი. ვარშავა დაცარიელდა; იქ დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვის მამულებიც აიკლო მტერმა და აგრედვე ისინიცა, რომელთაც არ იცოდნენ სად წასულიყვნენ. თავადი ერემია, როგორც სენატორი რესპუბლიკისა თან უნდა წაჰყოლოდა მეფეს, ხოლო ვოლოდიევსკი და ზაგლობა დრაგუნთა

ერთის სადროშოთი გაეშურნენ ზამოსტიეს, სქშეტუსკი გავახაროთ ბოგუნის ამბითა და მერე ყველამ ერთად დავიწყოთ კნიაჟნას ძებნაო.

პან ზაგლობამ, ცოტა არ იყოს, სინანულით დასტოვა ვარშავა: იქ იმოდენა თავად-აზნაურობა იყო შეკრებილი, ცხოვრება სდუღდა და გადმოდიოდა არჩევანების გამო, გამუდმებული ქეიფი და დროს ტარება იყო და ყოველ ამის გამო ისე სცურავდა სიამოვნებაში, როგორც კამეჩი მორევში. ნუგეშად ისღა ჰქონდა, რომ ახლა ისევ მხნე ცხოვრებას ვუბრუნდები და ამისთანა ცხოვრებაში ჩემი ნიჭი უფრო მეტს შნოს გამოიჩენს და წესიერად გადიშლებაო. ესეც რომ არა ყოფილიყო, პან ზაგლობამ იფიქრა, სატახტო ქალაქში ცხოვრება, ცოტა არ იყოს, საშიშიაო. და აი როგორ გაუზიარა ეს ფიქრი ვოლოდიევსკის:

— მართალია, პან მიხალ, ვარშავაში ბევრი სასახელო საქმე მოვიქმედეთ, მაგრამ, ღმერთმა კი ნუ ჰქმნას, და კიდეე რომ დიდ ხანს დავრჩენილიყავით იქა, სულ გავნებიერდებოდით, როგორც განებიერდა ერთი ვიღაც კართაგინელი კაპუის ლაჟვარდ ცის-ქვეშ ყოფნითა. ახლა ქალები?... ოჰ, ყველაზედ საშიში ეს ქალები იყო. ვის არ მოსტეხენ ისინი კისერსა და, იცი, რა გითხრა, იმათზედ ცვალებადიც აღარა არის-რა. კაცს რომ სიბერისკენა ჰქონდეს ფეხი გაშვერილი, ისინი მაინც თავისკენ ეწევიან...

— ეჰ, ნეტა რა სისულელესა როშავ შენცა! —გააწყვეტინა სიტყვა ვოლოდიევსკიმ.

— მეც სულ მაგასა ვფიქრობ, რომ დროა დავდინჯდეთქი, მაგრამ ვგრძნობ, სისხლი ჯერ კიდევ მიდუღს ძარღვებში. შენ უფრო დამჯდარის ბუნების კაცი ხარ, რა გიშავს! მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ახლა სულ სხვა ცხოვრებას უნდა შევუდგეთ. ცოტა არ იყოს, მომეწყინა ახლა, რაკი ომი და ბრძოლა აღარ არის. ჩვენი პოლკი ჩინებულად არის შეიარაღებული, ხოლო ზამოსტიეს გარშემო ჭინჭველასავით ირევიან სხვა-და-სხვა ბრბონი აეაზაკთა, მაშასადამე, შეიძლება კაცმა

გული გადააყოლოს. ამას გარდა, სქშეტუსკისაცა ვნახავთ, იმ ლიტველ წეროსა, იმ სვიის ასაყვან სარსა, პან ლონგინუსსაცა. რამდენი ხანია ერთმანერთი აღარ გვინახავს!

— ახლა ძალიან გინდა მისი ნახვა და, როცა ჰნახავ კი, მოსვენებას აღარ აძლევ.

— ვისი ბრალია? ისე სიტყვას არ იტყვის, რომ ყურნი არ დავალდეს სმენლისა. გაჭიანურებით ხომ ისე აჭიანურებს, რომ სულს ამოართმევს ადამიანსა! ყოველივე ძალა მკლავებში მოჰგროვებია, თავში კი არაფერი უყრია. თუ ვისმე მკლავები მოჰხვია, წავიდა იმისი საქმე საუკუნოდ და ამასთან მთელს რესპუბლიკაში იმისთანა ბავშვი არ მოიძებნება, რომ იმის გასულელება არ შეიძლოს. გაგონილა, რომ იმისთანა შეძლების კაცი ისეთი ტუტუცი იყოს?!

— განა აგრე შეძლებულია?

— ისა? მე რომ პირველად გავიცანი, სარტყელი სულ ბაჯაღლოთი ჰქონდა სავსე. რამდენი იყო, არ ვიცი, ბევრი კი ჰქონდა ძალიან. მერე მოჰყვა და ჩამოთვალა თავისი სოფლები: თაგვი-წელა, ძაღლი-წელა, ვიღვიზკი, სისუცანი... ვინ დაიხსომებდა ამ წარმართ სახელებსა! ნახევარ-მაზრა სულ იმისი ყოფილა. ბატვინელებში პოდბიპენტას გვარი დიდს პატივ-დებაშია.

— არ აზვიადებ ვითომ იმის მამულების რაოდენობას?

— სრულიადაც არა. მე იმასვე ვიმეორებ, რაც იმისაგან გამიგონია, ხოლო პოდბიპენტას თავის სიცოცხლეში ტყუილი არ უთქვამს, იმიტომ რომ იმდენად ტუტუცია, ტყუილის თქმასაც ვერ მოახერხებს.

— ჰმ, მაშ ანნა დიდი ქალბატონი იქნება. მაგაზედ კი ვერას გზით ვერ დაგეთანხმები, რომ ვითომ ლონგინუსი ტუტუცი იყოს: დამჯდარი კაცია, გულადი, თუ საჭიროა, იმაზედ ჭკეიანურს ვერაფინ რას გირჩევს, ხოლო მჭევრ-მეტყველობის შნო თუ არა აქვს, რა ვუყოთ; ყველას ხომ ღმერთმა ისეთი ენა არ მისცა, როგორც შენ. მეტი ლაპარაკი რა საჭიროა, რაინდია ნამდვილი და შენც, ვიცი, ძალიან გიყვარს.

— ოჰ, ცეცხლია იმასთან ერთად ყოფნა,—წაიტუტუნა ზაგლობამ.—ერთად-ერთი ჩემი ნუგეში ის არის, რომ პანნა ანნას დავუწყებ არშიყობას.

— არ გირჩევ. მშვიდობიანი კაცია, მაგრამ იმის მოთმინებასაც სამზღვარი აქვს.

— აქვს და ჰქონდეს. სულ ყურებს დავაჭრი, აი, როგორც პან დუნჩევსკის დავაჭერი.

— ჩემს მოსისხლე მტერს არ ვურჩევდი, პან ლონგინუსს ჩხუბი აუტეხე-მეთქი.

— კარგი, კარგი, სულ ერთია. ერთი ჩქარა კი ვნახოთ ოლონდა-და!

პან ზაგლობას სურვილი უფრო უმალ ასრულდა, ვიდრე თვითონ მოელოდა. საბურთალოზედ ვოლოდიევსკიმ გადასწყვიტა ჩამომხდარიყო და ცხენები დაესვენებინა. ვინ ასწერს ორივ მეგობრის განცვიფრებას იმ დროს, როცა ესენი შეეიდნენ თუ არა ბაკების ბნელ დერეფანში, თვით პან პოდბიპენტას კი წაეწყდნენ.

— ღმერთო ჩემო!—გაუხარდა ზაგლობას:—რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს: ყაზახებმა არ მოგკლეს ზამოსტიეში?

— სად მიდიხართ?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— ვარშავას, თავადთან.

— თავადი ვარშავაში არ არის; კრაკოვს წავიდა მეფესთან ერთად დაგვირგვინებაზედ.

— მე კი პან ვეიგერმა გამომგზავნა, წადი ვარშავას, წერილი მიართვი თავადს და სთხოვე გვიბრძანოს, საით წავიდეთ თქვენის ჯარითაო. ღვთის მადლით, ეგ ჯარები ზამოსტიეში საჭირო აღარ არის.

— საჭირო აღარ არის თქვენი იქ წასვლა, ჩვენ თვითონ დაგვაბარა, როგორც უნდა მოიქცეთ.

პან ლონგინუსი დაღონდა. ვარაუდობდა, მეფის კარსა ვნახავ და უფრო იმ ერთის სულიერის ყურებით დავსტკბებიო. ზაგლობამ მრავალ-მნიშვნელობით თვალი უყო ვოლოდიევსკის.

— მაშ, კრაკოვს წავალ,—სთქვა ცოტაოდენის დაფიქრების შემდეგ ლიტველმა.—ნაბრძანები მაქვს, წერილი წაიღეთ და მეც წავიღებ... თქვენ საით-ღა აპირობთ?

— ზამოსტიეს მივდივართ, სქშეტუსკისთან.

— პორუჩიკი ზამოსტიეში აღარ არის.

— ერიჰა! მაშ სად არის?

— სადღაც ხოროშჩინს ახლოა, ავაზაკთა ბრბოს ებრძვის. ხმელნიცკი წავიდა, მაგრამ იმისი პოლკოვნიკები მოუსვენრობენ გზაში. ვალეცის უფროსმა გაჰგზავნა მათ წინააღმდეგ პან იაკუბ რეგოვსკი...

— სქშეტუსკიცა?

— ისიცა; მხოლოდ ცალ-ცალკე კი იბრძვიან.

ზაგლობამ მოატაინა ბლომად ლუდი და მოუჯდა სტოლს ვოლოდიევსკისთანა და პან ლონგინუსთან ერთად.

— თქვენ კი, პან პოდბიპენტა, ჯერ არ იცით, ყოვლად საყურადღებო და სასიამოვნო ამბავი,—დაიწყო ზაგლობამ,—მე და პან მიხალმა ბოგუნს ანდერძი ავუგეთ.

ლიტველს ისე გაეხარდა, რომ კინაღამ ერთს არშინზედ შეხტა დაჯდომილა.

— ჩემო ძვირფასნო, ნუ თუ მართალია?

— ისევე მართალია, როგორც ის, რომ ახლა ჩვენა გვხედავ.

— მაშ ორიეემ მოჰკალით, ჰა?

— მაშ.

— ახალი ამბავიც ამასა ჰქვიან! ღმერთო, ღმერთო!—და პან ლონგინუსმა დაიწყო სიხარულით ტაშის კვრა.—თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ორიეემაო. როგორ ორიეემ?

— ჯერ მე შემოვუარე გარშემო ისე, რომ ხმალში გამოგვიწვია, გეყურება? მერე პან მიხალი გავიდა პირველად ხმალში და ისე გაჰხადა, როგორც საღდგომო გოჭი.

— თქვენ კი არ ებრძოლეთ?

— ჰმ, ებრძოლეთ?—იწყინა ზაგლობამ,—მოდი და ახლა ამას ელაპარაკე. მგონია, სისხლი გამოგიშვებინებია ამ ცოტა

ხანში, რომ თქვენი უნარი მოსაზრებისა აგრე უკან-უკან წასულა. როგორ, თქვენ გგონიათ, ვითომ უსულო გვამს დავუწყებდი ბრძოლას, ან უკვე წაქცეულსი და დაცემულს მოვუყვებოდი თოფ-დამბაჩის დახლასა?

— თქვენ არა სთქვით ორივემაო...

პან ზაგლობამ მხრები შეიშმუშნა.

— ამ კაცთან ლაპარაკი წმინდანსაც მოთმინებას დაუკარგავს. პან მიხალ, ბოგუნმა განა ჩვენ ორიენი არ გამოგვიწვია ხმალში?

— ორივენი,—კერი დაუკრა ვოლოდიევსკიმ.

—ახლა ხომ მიხვდით.

— დაე, აგრე იყოს, — დაეთანხმა ლონგინუსიცა. — პან სქშეტუსკიც ეძებდა ბოგუნს ზამოსტიეს, მაგრამ იქ არსად იყო.

— როგორ, სქშეტუსკი ეძებდა?

— როგორც ვხედავ, ყოველივე თავიდან უნდა გიამბოთ, დალაგებით. როგორც იცით, ჩვენ ზამოსტიეში დაერჩით, ხოლო თქვენ ვარშავას წახვედით. ყაზახების ლოდინი დიდ ხანს არ დაგვჭირვებია, მალე კალიასავით შემოესიენენ ზამოსტიეს ლვოვიდან. მაგრამ ჩვენს თავადს ისე ჰქონდა ის მხარე გამაგრებული, რომ ორ წელიწადს მდგარიყვნენ, მაინც ვერას დაეკლებდნენ, ჩვენ გვეგონა, სულ არ მოიტანენ იერიშსაო და ძალიან ეწუხდით, იმიტომ რომ იმედი გვქონდა, დავამარცხებდით. ხოლო რადგან ყაზახებთან ერთად თათრებიც იყვნენ, ამიტომ მეც ძრიელა ვწუხდი. სულ იმის იმედში ვიყავი, რომ მოწყალე ღმერთი მომივლენს საიდანმე იმ სამს თავსა-მეთქი.

— ღმერთს შენ ერთი თავი სთხოვე, ერთი, მხოლოდ ჭკუით კი იყოს სავსე,—გააწყვეტინა სიტყვა ზაგლობამ,

— შენ კიდევ ისეთივე ხარ... შენსას არ იშლი... ყურსაც არ გათხოვებ... გვეგონა, იერიშს არ მოიტანენო, მაგრამ სულ სხვაფრივ კი წავიდა საქმე: სულელმა ყაზახებმა მაშინვე დაიწყეს სიმაგრეთა აგება და მოგვესივნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხმელნიცკის არ უნდოდა ესა, გარნა ჩარნოტამ აღარ მოუსვენა, მხდალი ხარ, მოღალატეო. ხმელნიცკიც დაეთანხმა და პი-

რველადვე ჩარნოტა მოგვაგდო ზედა. რა ამბავი იყო, ჩემო ძვირფასნო, კაცი ვერ იტყვის ენითა. გარშემო აღარა სჩანდა-რა, ისე ჩამობნელდა თოფი-წამლის კვამლისაგან. პირველში გულადად შემოკვიტიეს, ამოაესეს თხრილები და ამოფოფხდნენ კედლებზედ, მაგრამ ისე გავუხადეთ საქმე, რომ კედლებსაც მო-შორდნენ და თავიანთ სიმაგრეებსაც გაექცნენ, მაშინ გავუ-ცვიედით და ისე ამოვჟლიტეთ, როგორც ხბორები.

ვოლოდიევსკიმ ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— უჰ, რა მწყინს, რომ მე ვერ დავესწარი მაგ ბედნიერს დღეს!—აღტაცებითა სთქვა იმანა.

— მეც კი გამოვდგებოდი იქა.—გულ-დამშვიდებულის სი-მტკიცითა სთქვა ზაგლობამ.

— ყველაზედ მეტად თავი ისახელეს პან სქშეტუსკიმა და პან იაკუბ რეგოვსკიმ: ორნივე კარგნი რაინდნი არიან, თუმ-ცა ერთმანეთს კი მტრულად ეკიდებიან. უფრო პან რეგოვსკია წინააღმდეგი სქშეტუსკისა და უსათუოდ ხმალში გამოითხოვ-და, რომ პან ვეიგერს სასტიკად არ აღეკრძალნა დუელი: ვინც ხმალში გავა, სიკვდილით იქმნება დასჯილიო, გასცა ბრძანება. პირველში ვერ მივხვდით, რა მიზეზი იყო მათის უსიამოვნები-სა, რად ჰყავდათ ერთმანეთი ათვალწუნებული და მხოლოდ ბოლოს გავიგეთ, რომ პან რეგოვსკი ნათესავი თურმეა პან ლაშჩისა, რომელიც, ხომ გახსოვთ, თავადმა პოლკიდან დაი-თხოვა, სქშეტუსკის ჩხუბი რად აუტეხეო. ეს არის მიზეზი, რომ რეგოვსკი გაბუტებულია თავადის წინააღმდეგ, ვეჯავრე-ბით ჩვენც და უბღვერის მეტადრე პორუჩიკს სკშეტუსკისა; ესევე იყო მიზეზი, რომ ორნივე თითქო ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდნენ, აბა რომელი უფრო გამარჯვებით იბრძოლებსო და ამ სახით ორივემ დიდი სახელი და დიდება შეიმოსეს. ორნივე პირველობდნენ დამხდურთა შორისაცა და მაშინაც, როცა ცი-ხეს თავს ვანებებდით და თავს ვესხმოდით მტერს. ბოლოს ხმელნიკკის მოსწყინდა წამ და უწუმ იერიშის მოტანა და წესიერად შემოარტყა ალყა ჩვენს სიმაგრეს. თან სხვა-და-სხვა ცბიერობასაც არ ერიდებოდა, რომ როგორმე აეღო ქალაქი.

გადარეული კაცია, მაგრამ თან ისეთიც არის, რომაელები რომ იტყოდნენ obscurus. იმას ეგონა, რომ ვეიგერი ნემენციაო (ეტყობა არც კი გაუგონია, რომ ზღვის პირად არიან ერის-თავ-მოურავნი ამ გვარის კაცთა შორის) და მოსწერა წერილი, უღალატე შენს მთავრობას, რისთვის მაკლავ თავსა, უცხოელი კაცი ხარო. პან ვეიგერმა მისწერა ვინც იყო და რა საქებური გზაც აერჩია ხმელნიცკის მის შესაცდენად. უნდოდა წერილი რომელისამე შესამჩნევის კაცისათვის გაეტანებინა და არა საყვირის-დამკვრელისათვის, მაგრამ არავინ მოინდომა წასვლა იმ ბანაკში, საცა ყოველს გვარს ვიგინდარასა და ავაზაკს მოეყარა თავი. ზოგმა რა მიზეზი მოიდო, ზოგმა რა. და აი აქ იწყება ფრიად საინტერესო ამბავი... ყურს უგდებთ თუ არა ჩემს ლაპარაკსა?

— როგორ არა, როგორ არა.

— წერილის წაღება გეტმანთან მე ვიტვირთე და, როცა მივედი, მთვრალი კი დამხვდა. აეად მიმიღო ძალიან, კვერთხის დარტყმასაც კი მემუქრებოდა, როცა წერილი წაიკითხა, ხოლო მე მორჩილებით შევავედრე სული ჩემი ღმერთსა და ვფიქრობდი გულში: „ერთი ხელი მახელი და მუშტით გაგინაჭყამ მაგ გაბუებულ თავსა-მეთქი“. მაშ, რა მექნა, ჩემნო ძვირფასნო, ჰა?

— მშვენიერი ფიქრი მოგსვლია აზრად!—ცოტა არ იყოს ლმობიერის გრძნობით წარმოსთქვა ზაგლობამ.

— განრისხებული მოიწევდა ჩვმკენა, მაგრამ პოლკოვნიკები ნებას არ აძლევდნენ და წინ ელობებოდნენ,—განაგრძო პან ლონგინუსმა.—მეტადრე ერთი ყმაწვილი კაცი, ისეთი გაბედული, რომ წაავლებდა ხოლმე ხელს გეტმანსა და უკან გადასჩეხავდა ხოლმე. ვუცქერი დი ვამბობ, რა ვქნა, ვინ არის, რომ ასე მესარჩლება-მეთქი და თან მიკვირს იმისი გამბედაობა... აღმოჩნდა, რომ ბოგუნი კია თურმე.

— ბოგუნი?—შესძახეს ერთად ვოლოდიევსკიმა და ზაგლობამ.

— სწორედ ისა. ვიცანი, იმიტომ რომ რაზლოგში ვნახე ერთხელა; იმანაც მიცნო. გავიგონე, როცა ხმელნიცკის უთხრა: „ეგ კაცი ჩემი ნაცნობიაო“. ახლა ხმელნიცკიმ მიახალა სისწრაფით, როგორც ეს სჩვევიათ გადაკრულებს: „რახან შენი ნაცნობია, შვილო, აიღე და ორმოც და ათი ტალერი მიეცი, ხოლო მე პასუხს მივცემ“. მომცა კიდეც პასუხი, ხოლო ფულის შესახებ მე ვუთხარი, ეგ ფული თქვენის გაიდუკებისათვის შეინახე-მეთქი, რადგან თავადის აფიცერს არ ეკადრება და არც არა უჭირს-რა, რომ ფეშქაშები მიიღოს-მეთქი. საკმაოდ თავაზით გამომაცილეს გეტმანის კარავიდან, მაგრამ გამოვედი თუ არა, ბოგუნი დამეწია: „ჩვენ რაზლოგში გავიცანით ერთმანეთი“.—„სწორედ აგრე გახლავთ-მეთქი, მხოლოდ მაშინ არ მეგონა, ჩემო კარგო, რომ ამ ბანაკში გნახავდი-მეთქი“. ახლა იმანა: „ჩემი ნებით არ მოვმივიდა, უბედურებამ ჩამაგდო ამ ყოფაშიო“. ვუთხარი სხვათა შორის, იარმოლინცში რომ კუდით ქვა ვასროლინეთ. „არ ვიცოდი, ვინ იყავითო,—მითხრა,—მერე ხელშიც ვიყავ დაჭრილი, ჩემს კაცებს კი ეგონათ, რომ თვით ერემია დაგვეესხა თავსაო“. ჩვენც არ ვიცოდით (მე ვეუბნევი), თორემ სქშეტუსკის რომ სცოდნოდა, თქვენ იყავით, ერთ-ერთი თქვენგანი დღეს მზე-დაბნელებული იქმნებოდა.

— სწორედ აგრეც იქმნებოდა უსათუოდ. იმან რაღა სთქვა მაგაზედა?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— უცბად გადაასხვაფერა ლაპარაკი. მიამბო, რომ კრივანოსმა წერილები გამატანა ხმელნიცკისთან, რომელიც მაშინ ლვოვს ახლოს იყოვო, ცოტაოდენს დაისვენებო, ხმელნიცკი აღარ მიშვებდა უკანა, უფრო დიდის საქმისათვის გამომადგებიო. ბოლოს მეკითხება: „სად არის პან სქშეტუსკიო?“ ხოლო როცა ვუპასუხე, ზამოსტიეშია-ბეთქი, დაუმატა: „იქნება შევხვდეთ როდისმე ერთმანეთსაო“—და გამომეთხოვა.

— მე მგონია, რომ მაგ ამბავს შემდეგ გაჰგზავნა ხმელნიცკიმ ვარშავას ბოგუნი და წერილები გაატანა,—სთქვა ზაგლობამ.

— სწორედ აგრეა, მაგრამ მოითმინეთ. მე დავბრუნდი უკან და ვუამბე ყოველივე ვეიგერს. შუაღამე მოტანებული იყო თითქმის. მეორე დღეს კვლავ იერიში მოიტანეს, უფრო გამძვინვარებით, ვიდრე პირველად. ველარ მოვიცალე, რომ პან სქშეტუსკი მენახა და მხოლოდ მესამე დღეს ვუამბე, ბოგუნი ვნახე, ველაპარაკე-მეთქი. ამ დროს შეგვესწრო ბევრი სხვა აფიცრები და მათ შორის რეგოვსკიცა. იმან მოჰკრა ყური ჩვენს ლაპარაკს და დაიწყო დაცინვითა: „ეიცი, რომ მაგ საქმეში ქალია გარეული; თუ ისეთი რაინდი ბრძანდებით, როგორც ამბობენ თქვენსას, ბოგუნი თქვენს ხელთ არის: გამოიწვიეთ ხმალში და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის ისეთი თავზედ ხელ-აღებულია, უარს არ იტყვის, ხოლო ჩვენ ციხის კედლებიდან დაესტკბებით საინტერესო სანახაობით. მაგრამ თქვენსას, ეისნეეეკის ჯარის-კაცებისას უფრო ბევრს კარგს ლაპარაკობენ, ვიდრე ნამდვილადა ხართ“. პან სქშეტუსკიმ ისეთ ნაირად შეუბღვირა ამ დროს რეგოვსკის, რომ მაშინვე ხმა ჩაიწყვიტა იმანა. „აგრე გგონიათ? კარგი და პატიოსანი! მხოლოდ არ ვიცი, გაჰბედავთ თუ არა თქვენ, რომელიც აგრე ეჭვობთ ჩვენს გულადობას, რომ წახვიდეთ ყაზახთა ბანაკში და ჩემ მაგიერ გამოითხოვოთ ბოგუნი ხმალში“. რეგოვსკი ეუბნევა; „რატომ არ წავალ, მაგრამ მე თქვენი ძმა არა ვარ და ბიძაშვილი და ამიტომაც არ წავალ“. რეგოვსკი ამაზედ ყველამ მასხარად აიგდო; ეს იმან იწყინა, გულში მოჰხვდა და მეორე დღეს მართლა წავიდა ყაზახთა ბანაკში, მაგრამ ბოგუნი იქ აღარ დახვედროდა. ალბად ხმელნიცკიმ გაჰგზავნა მართლა ბოგუნი და ამ დროს თქვენ შეგხვედრიათ და მოგიკლავთ.

— სწორედ აგრე უნდა ყოფილიყო,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ერთი ეს გვითხარი,—ჰკითხა ზაგლობამ,—სად ვიპოვნით ახლა სქშეტუსკის? უნდა ვიპოვოთ, საცა იქნება, რომ ერთად წავიდეთ კნიაჟნას საძებრადა.

— ზამოსტიეში ადვილად იპოვით; ყველა იცნობს იქა. იმანა და რეგოვსკიმ სულ თავზედ კაკალი ამტვრიეს ყაზახთა

პოლკოვნიკს კალინას. შემდეგ კიდევ მარტო სქშეტუსკიმ ორჯელ ამოსწყვიტა თათართა ბრბონი.

— ხმელნიცკი რაღაიო, ჩუმად არის?

— ხმელნიცკი იმათ არ ესარჩლება; ის ამბობს, რომ თათრები ჩემის ბრძანების წინააღმდეგ იქცევიან და თარეშობას თავს არ ანებებენო. ასე რო არა სთქვას, მაშ ვინ დაუჯერებს, რომ ვითომ მორჩილია მეფისა.

— რა საძაგლობაა ეს ლუდი?—სთქვა ზაგლობამ.

— ლიუბლინს იქით გზად გაივლით ისეთს მხარეში, რომელიც სულ აკლებულია,—განაგრძო ლიტველმა.—ყაზახთა სათარეშო რაზმნი ლიუბლინზედ შორსაც წასულან, თათრები ატყვევებდნენ ხალხს და რამდენი შეიპყრეს ზამოსტიესი და ღრუბეშოვს ახლო, მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის. რამდენიმე ათასი ტყვე წაართვა სქშეტუსკიმ და ქალაქში გაჰგზავნა დასაბინავებლად. ძალიან მხნეობს იქა; თავისი თავი სულ აღარ ახსოვს.

პან ლონგინუსმა ამოიოხრა და თავი ძირს დაჰხარა.

— მე მგონია, რომ ღმერთი უსათუოდ ანუგეშებს სქშეტუსკისა და დაუბრუნებს დაკარგულს ბედნიერებას, იმიტომ რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ რაინდს. ამ ჩვენს დროში, როცა ბიწიერება და თავ-მოყვარეობა გამეფებულა, როცა თითოეული მხოლოდ თავისათვის ჰფიქრობს, ის მზად არის ყოველივე გასწიროს სამშობლოსათვის. ჩემო სასურველნო, განა არ შეეძლო აქამდე თუნდა თხუთმეტჯერ დასთხოვებოდა თავადს, წასულიყო კნიაჟნას საძებრად, მაგრამ იმან კი არც ერთხელ არ დასტოვა სამსახური. გულში ატარებს თავის მწუხარებას და ერთს წუთს არ აძლევს თავის-თავს მოსვენებასა.

— რომაელია სულით, მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!—ამოიოხრა ზაგლობამ.

— იმის მაგალითს უნდა მივბაძოთ ჩვენცა სწორედ.

— მეტადრე თქვენ, პან პოდბიპენტა. ომში თქვენ სამშობლოს დიდებას კი არ ეძებთ, არამედ რაღაც სამ ტუტუც თავსა.

— ღმერთი ჰხედავს ჩემს გულსა!—წარმოსთქვა ღაღადებით პან ლონგინუსმა და აღმართა თვალნი ცად მიმართ.

— სქშეტუსკი ღმერმა დააჯილდოვა მით, რომ სიცოცხლე მოუსწრაფა ბოგუნსა,—სთქვა ზაგლობამ,—და კიდევ მით, რომ მცირეოდენი მშვიდობა მოუვლინა რესპუბლიკას. ეხლა იმისთვისაც დადგა დრო, როცა შეუძლიან ცოტაოდნად თავის საკუთარ საქმისათვისაც იზრუნოს.

— თქვენც წაჰყვებით სქშეტუსკისა?—იკითხა ლიტველმა.

— განა თქვენ კი არა ჰფიქრობთ?

— დიდის სიხარულით წავყვებოდი, მაგრამ ამ წერილებს რაღა ვუყო? ერთი ვალეცკის უფროსისაა მეფესთან მიწერილი, ხოლო მეორე — თავადთან, მესამეც თავადთან არის, სქშეტუსკი სთხოვს, ცოტახანს დამითხოვეო.

— ჩვენ დაგვაბარა, უთხარით, რომ დამითხოვნიაო.

— კარგი, მაგრამ მაინც ამ წერილებს რა მოვუხერხო?

— უნდა წახვიდეთ კრაკოვს, სხვაფრივ შეუძლებელია. მაინც გულ-ახდით უნდა გითხრა, რომ შენი მკლავები ძალიან გამოგვადგებოდა ჩვენს საქმეში, მაგრამ სხვაფრივ კი თქვენ არაფრისთვის არ ვარგიხართ. იქ რომ წავალთ, დიდი ყურ-მახვილობა უნდა გამოვიჩინოთ. უპირველეს ყოვლისა, ყაზახურად უნდა ჩავიცვათ, მოვიტეტიაოთ თავი, თქვენ კი ისე ეჩხირებით კაცს თვალში თქვენის უზარ-მაზარის ტანითა, რომ ყველა იმას იკითხავს, ვინ არის ეს ამოდენა ალაწოდა, სად გაიზარდა მაგოდენა ყაზახიო? არა, არა! თქვენ კრაკოვს წადით და ჩვენ, როგორც იქნება, უთქვენოდაც გავუძღვებით საქმეს.

— მეც ეგრე მგონია,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— მაშ, მე წავალ,—გადასწყვიტა პან პოდბიპენტამ.—ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ და გაგამარჯვებინოთ. იცით კი, სადა ჰყავთ დამალული ის ქალი?

— ბოგუნმა არ გვითხრა. ვიცით მხოლოდ ის, რასაც მოვკარი ყური ჩემს ტყეობაში და ესეც საკმარისია ჩვენთვის.

— მაშ, როგორ იპოვით?

— ჩემი გოგრა რაღას აკეთებს? ამაზედ მეტს გაჭირვებაში ვყოფილვარ. ეხლა ჩვენი საქმე ის არის, რომ ჩქარა ვიპოვოთ სქშეტუსკი.

— ზამოსტიეში იკითხეთ. პან ვეიგერმა უნდა იცოდეს: მიწერ-მოწერაში არიან ერთმანეთთან. მაშ, მშვიდობით, ღმერთსა ვსთხოვ თქვენს გამარჯვებასა!

— ღმერთმა შენც გაგიმარჯვოს,—სთქვა ზაგლობამ.—როცა თავადის სახლში იქნებით, მოიკითხეთ ჩემ მაგიერ პან ხარლამპი.

— ეგ ვილაა?

— ლიტველია; კალმით დახატულის სილამაზის კაცია. კნეინას სეფე-ქალნი სულ გადარეულნი არიან იმისათვის.

პან ლონგინუსი ათრთოლდა.

— აბა, მშვიდობით! რა საძაგელი ლუდი ყოფილა ამ გასავერანებელ საბურთალოზედ,—დააბოლოვა თვისი ლაპარაკი პან ზაგლობამ და თან თვალი გადაუკრა ვოლოდიევსკის პან პოდბიპენტაზედ.

XV

პან ლონგინუსი ღრმად გულ-დაწყლულებული წავიდა კრაკოვს, ხოლო შხამიანმა ზაგლობამა და ვოლოდიევსკიმ გასწიეს ზამოსტიეს, საცა მხოლოდ ერთს დღეს შეემთხვათ დარჩენა. ციხის უფროსმა აუწყა, რომ დიდი ხანია სქშეტუსკის ამბავი აღარა გამიგია-რა და მგონია მისი ჯარი ზბარაჟისაკენ უნდა იყოს წასულიო. ეს მოსაზრება მით უფრო ჭკუას ახლო იყო, რომ, თუ თავ-დასხმა იყო, ზბარაჟს, როგორც ვისნეეეცკების საკუთარს მამულს, უფრო დაესხმოდნენ თავადის მძვინვარე მტერნი. პან ვოლოდიევსკისა და ზაგლობას დიდი და ძნელი გზა გადაეშალათ თვალ-წინ, მაგრამ მეტი ღონე სხვა არა იყო-რა,—სულ ერთია, ადრე იქნება თუ გვიან, ხომ უნდა წავიდეთ კნიაჟნას საძებრადაო, და ჩვენი რაინდნიც გაუდგნენ გზას. ჩამოხდებოდნენ ხოლმე მაშინ, როცა საჭირო იყო და-

სვენება, ან და გაფანტვა ავაზაკთა სხვა-და-სხვა ბრბოსი, რომელნიც ჯერ ისევ მრავლად დაწოწიალობდნენ იმ მხარეში.

იქაურობა სულ გაოხრებული იყო. ხან-და-ხან მთელი დღე ისე გავიდოდა, რომ ერთს ადამიანს ვერ შეჰხვდებოდნენ. ქალაქები მინგრეულ-ჩონგრეული იყო, სოფლები გადამწვარი და იავარ-ქმნილი, ხალხი ამოწყვეტილი და ან ტყვედ-წაყვანილი; გზა-გზა ჰხედავდნენ მხოლოდ დახოცილთა გვამებს, დაქცეულს სახლებს, საყდრებს და ძაღლებს, რომელთაც გაჰქონდათ ყმუილი ნანგრევთა-შორის. ვინც გადარჩენილიყო თათართა შემოსევას, ტყეში გახიზნულიყო და იქ იმალებოდა ხშირ ტევრებში, იყინებოდა სიცივით, კვდებოდა შიმშილით და ვერ ჰბედავდა გარედ თავის გამოყოფას, რადგან არა სჯეროდა, რომ ღვთის-რისხვა გადაივლიდაო. ვოლოდიევსკი იძულებული იყო ხის ქერქი და ან გატრუსული ჩალა ეჭმია ცხენებისათვის. ოქტომბრის მიწურული იყო, ზამთარი ახლოვდებოდა, ზამთარი ცივი და იმდენად უფრო სასტიკი, რამდენადაც შარშანდელი იყო თბილი. დედამიწა უკვე იყინებოდა, თოვლმა გადაათეთრა მინდორ-ველი, ხოლო წყლის ნაპირებს დილ-დილაობით ჰყინავდა. მშრალობა იყო, გაცრიაგებული სხივები მზისა სითბოს ვეღარა ჰფენდნენ დედა-მიწას შუადღისასაც კი, ხოლო დილა-საღამოს ცის კიდურ-დასავალი წითლად იმოსებოდა, რაიცა ჰნიშნავდა, რომ მალე ცივი და სასტიკი ზამთარი გამეფდებაო.

ომიანობისა და შიმშილობის შემდეგ მოსალოდნელი იყო მოვლინება კაცობრიობის მესამე მტერისა, რომელიც არის ყინვა-ტეხვრა, მაგრამ ხალხი ამ მტერს მოუთმენლად ელოდებოდა: ყოველს მოლაპარაკებაზედ ადრე მოუღებს ეგ ბოლოს ომიანობასაო. პან ვოლოდიევსკი დარწმუნებული იყო, რომ მალე შემეძლება წავიდე კნიაჟნას საძებრადაო. უმთავრესი დაბრკოლება, ომი, მოშორებული იყო ახლა.

— არა მწამს ხმელნიცკის გულ-წრფელობა,—იმეორებდა მალ-მალა.—ცბიერი მელაა, იცის, რომ ყაზახნი უძლურნი არიან, თუ საფრები არ გაიკეთეს და მინდვრად ომში ვერ გაუძლებენ ჩვენს პოლკებსა. ახლა ადგებიან და საზამთრო ბი-

ნებზედ წავლენ, ხოლო საქონელს მინდვრად ატარებენ. თა-
თრებისთვისაც საჭიროა ტყვენი თავიანთ ქვეყანაში გაჰგზავ-
ნონ. თუ ზამთარი ცივი დაგვიდგა, გაზაფხულამდე, სანამ ჟი-

არ გაჩნდება, მოსვენებულები ვიქნებით.

— შეიძლება; მაგრამ ჩვენ მაგდენი დრო არც დაგვჭირ-
დება. ღმერთი მოწყალეა, იქნება აღებაშიაც გავაჩაღოთ სქშე-
ტუსკის ქორწილი.

— ნეტავი ეხლა არ აგვცდეს სადმე და!..

— თან სამი სადროშოს ჯარი ჰყავს. ხუმრობა ხომ არ
არის, სად წავა, რომ ვერ ვიპოვოთ. ნევსი ხომ არ არის, რომ
ბულულში ვეღარ ვიპოვოთ. შეიძლება ზბარაჟს ახლო წავა-
წყდეთ სადმე, თუ პატარა შეაგვიანეს იქ ავაზაკებმა.

— წავაწყდებით კი სადმე, მაგრამ ამბავი რომ გაგვეგო
რამე იმისი, კარგი იქნებოდა ძრიელ.

ამბავის გაგება კი აგრე ადვილი არ იყო. სოფლები ჰხე-
დავდნენ, რომ ხან ვისი სადროშო ჯარი გაივლიდა, ხან ვისი;
ხან სადა ჰქონდათ ომი და ბრძოლა ამ დროშებს, ხან სადა,
მაგრამ ვისი ჯარი იყო, რეგოვსკისა თუ სქშეტუსკისა, ამისი
არა იცოდნენ-რა. ამიტომ ჩვენს მეგობრებს სულ თავზედ ბა-
ლანი ჰქონდათ აშლილი და ვერა მოეფიქრებინათ-რა. ახლა
სწორედ ამ დროსვე მოჰკრეს ყური, რომ ყაზახნი რამდენჯერ-
მე დამარცხდნენ ლიტველ ჯარებთან ბრძოლაშიო. იმ გამარ-
ჯვებისათვის, რომელიც ხმელნიცკიმ შეიმოსა სახასო ჯარების
დამარცხებით, ახლა სამაგიეროს უხდიდნენ ლიტველნი. მოი-
კლა პოლუმესიაკი, ხნიერი და გამოცდილი სპასალარი, აგ-
რედვე ნადირი ნებაბა, აგრედვე ქშეჩოვსკი, რომელმაც შეამბო-
ხეთა შორის უფროსობა და დიდება კი არ იშოვა, არამედ მა-
რგილზედ ჩამოცმის ღირსი შეიქმნა. კაცს ეგონებოდა, რომ
შურის ძიების ღმერთი ჩაერია საქმეში და იმან გადუხადა სა-
მაგიერო იმ ნემენცების სისხლისათვის, რომელიც ქშეჩოვსკიმ
დაჰლვარა დნეპრის ნაპირად, ფლიკისა და ვესნერის სისხლისა-
თვის. ქშეჩოვსკი ჩაუვარდა ხელში რაძივილის ნემენცთა რაზმს
და, მძიმედ-დაჭრილი, მარგილზედ იქმნა ჩამოცმული. მთელი

დღე კიდევ იტანჯა ასე საზარლად დასჯილი, ვიდრე განუტე-ვებდა თვისს შავ-ბნელ სულსა. ასეთი აღსასრული ხვდა წი-ლად იმას, ვისაც შეეძლო თვისის გულადობითა და სამამაცო ზნეთა ცოდნით მეორე სტეფანე ხმელეთსკი შექმნილიყო, სი-მდიდრისა და დიდება-პატივის წყურვილს რომ არ დაეყენები-ნა ღალატისა, ფიცის-გატეხისა და კაცის-კვლის გზაზედა.

ქშეჩოვსკისა, პოლუმესიაცსა და ნებაბთან ერთად დასდო თავი ბრძოლის ველზედ ოცი ათასმა ყაზახმა. მათ შორის მრა-ვალი ჩაირჩო პრიპეტის ჭაობებში. შიშის ზარმა გრიგალივით გადურბინა თავზედ ჭირვეულს და თავ-წასულს უკრაინას. ყეე-ლას ეგონა, რომ დიდებულ გამარჯვებასა და ძლევა-მოსილო-ბის შემდეგ, შემდეგ ყვითელ წყლებისა, კორსუნისა, პილავეცი-სა დადგა დრო საშინელ დამარცხებისა, იმგვარ დამარცხები-სა, რომელიც იწვნიეს ყაზახებმა სოლონიცსა და კუბეეკსა. თვით ხმელნიცკი, თუმცა დიდების მწვერვალზედ იდგა, უფრო ძლიერი იყო ამ დროს, ვიდრე ოდესმე სხვა დროს, შეშინდა, როცა გაიგო ამბავი თვისის მეგობრის ქშეჩოვსკის სიკვდილისა და კვლავ მიჰმართა მკითხავებს მომავალის ბედის გასაგებად. მკი-თხავი და კუდიანი დედა-ბერნი სხვა-და-სხვას უწინასწარმეტყვე-ლებდნენ: ზოგი ეუბნეოდა დიდს ომებს გადიხდი, დიდს გამარ-ჯვებას შეეყრებიო, ზოგი—დიდად დამარცხდებიო. იმისას კი ვერას მკითხაობდნენ, თვით შენ რა დაგემართებაო.

ცალკე ზამთარი, ცალკე დამარცხება ქშეჩოვსკისა ხან-გრძლივის მშვიდობიანობის იმედს აძლევდა ყველას. ქვეყანა თითქო მშვიდდებოდა, დაცარიელებული სოფლები ცოტ-ცო-ტაობით ივსებოდა კვლავ ხალხითა, იმედი ეფინებოდა შემკრ-თალთა გულს.

ამავე იმედით მოცულნი ჩვენი მეგობარნი ხანგრძლივისა და ძნელის მგზავრობის შემდეგ მშვიდობით მივიდნენ ზბარაჟს და მაშინვე წავიდნენ ციხის უფროსთან, რომელიც, მათდა სა-სიამოვნოდ, ვერშული კი აღმოჩნდა.

— სქშეტუსკი სადღაა?—ჰკითხა პირველადვე ზაგლობამ.

— ის აქ არ არის.

— თქვენ განაგებთ ამ ციხეს?

— დიახ, პირველად სქშეტუსკი უფროსობდა, ხოლო, როცა წავიდა, მე ჩამაბარა ციხე თავის დაბრუნებამდე.

— მე როდის-ღა დავბრუნდებიო?

— არა უთქვამს-რა, იმიტომ რომ თითონაც არ იცოდა. გამოთხოვებისას ეს მითხრა მხოლოდ: „თუ მოვიდეს ვინმე, უთხარით, რომ მომიცადოსო“.

— დიდი ხანია, რაც აქედან წავიდა?—ჰკითხა პან მიხალმა.

— ათი დღე იქნება.

— პან მიხალ!—სთქვა ზაგლობამ,—პატარა გვაჭამოს-რამე პან ვერშულმა. როცა მუცელი ცარიელია, რა ელაპარაკება კაცსა. ვახშმად დავსხდეთ და მაშინ მოვილაპარაკოთ.

— დიდის სიამოვნებით მოგართმეეთ ყველაფერს, მით უმეტეს, რომ მეც ეს ეს არის ვახშმის ჭამას ეეპირებოდი. ამას გარდა, ეხლა უფროსობა ეკუთვნის პან ვოლოდიეევსკის, როგორც უფროსს აფიცერს. მაშასადამე, პან მიხალს შეუძლიან იბრძანებლოს აქ, როგორც თავისი სურვილია.

— არა, პან კრიშტოფ, უფროსობა ისევ თქვენა გქონდეთ,—სთქვა ვოლოდიეევსკიმ.—თქვენ ჩემზედ უფროსი ხართ ხნით და, ეგეც რომ არ იყოს, მე ჩქარა უნდა წავიდე აქედან.

მალე სუფრაც გაშალეს. პან ზაგლობამ მოიკლა შიმშილი ცოტაოდნად ორის ჯამის გადალაგებით და ჰკითხა ვერშულსა:

— თქვენ როგორა გგონიათ, საით წავიდოდა სქშეტუსკი?

ვერშულმა დაითხოვა მსახურნი, რომელნიც თავს ადგნენ ვახშმად მსხდომთა და დაიწყო, რასაც ჰფიქრობდა და სადაც უნდა წასულიყო სქშეტუსკი იმის აზრით.

— მიხვედრილი კი ვარ, მაგრამ სქშეტუსკი საიდუმლოსავითა ჰმალავდა და ამიტომ დავითხოვე მხლებელ თავ-მდგომნი. რაკი თავისუფალი დრო ჩაიგდო ხელში და ჩვენ აქ გაზაფხულამდე უსაქმოდ ვიქნებოდით, ადგა და წავიდა, ალბად იმიტომ რომ კნიაჟნა გაანთავასუფლოს და ბოგუნს წაართვას როგორმე.

— ბოგუნი ცოცხალი აღარ არის, საიქიოს გიახლათ,— სთქვა ზაგლობამ.

— როგორა მერე?

პან ზაგლობა მოჰყვა და მესამედ თუ მეოთხედ ჩამოარაკრაკა მისთვის სასიამოვნო ამბავი. ვერშულიც პან ლონგინუსისავით სახტად დარჩა და გონს ვერ მოსულიყო გაკვირვებისაგან.

— თუ აგრეა, სქშეტუსკის ძალიან გაუადვილდება საქმე,— სთქვა ვერშულმა.

— საქმე ის არის, იპოვნის თუ არა კნიაჟნას. კაცები ბლომად წაიყვანა თანა?

— ძალიან ჭკვიანურად მოქცეულა, იმიტომ რომ მაგისთანა საქმეში ეშმაკობით თუ გახდება რასმე კაცი. კამენცამდე კი შეიძლებოდა პატარა რაზმი წაეყვანა და ისე წასულიყო, ხოლო უშოცსა და მოგილოვს ალბად ყაზახება დგანან; იქ კაი საზამთრო ბინებია, გარნა იამპოლში თვით ბუნაგია მათი. თუ იქ წასვლა უნდა კაცსა, ან მთელი დივიზია უნდა წაიყვანოს, ან მარტო უნდა წავიდეს კაცი.

— მერე თქვენ საიდან იცით, რომ სქშეტუსკი იქით წავიდოდა?— ჰკითხა ვერშულმა.

— იამპოლს იქით არის დამალული კნიაჟნა, სქშეტუსკიმაც იცის ესა, ხოლო იქით ისეთი ხევ-ხუვია, კლდის ეხში და ნაპრალი, იმდენი ჭაობი და ლელიანები, რომ იქაური ადგილებიც რომ კარგად იცოდე, მაინც ძნელია იქამდე მიხწევა, ხოლო თუ არ იცი, ხომ უფრო ძნელია და ძნელი. ჩვენც რომ იმასთანა ვყოფილიყავით, იქნება საქმე უკედ წასულიყო, გარნა მარტოკა... ვეჭვობ, მოახერხოს რამე... არ ვიცი, შემთხვევა რამ თუ უჩვენებს გზა-კვალსა, იმიტო რომ იქ ისიც ხომ არ შეიძლება რომ იკითხოს და იწვლილოს რამე კაცმა.

— მაშ გინდოდათ, რომ თქვენც წაჰყოლიყავით თანა?

— გვინდოდა მაშა! ახლა რაღა ვქნათ, პან მიხალ? იმის გზას გამოვუდგეთ ჩვენცა, თუ არა?

— რასაც შენ გადასწყეტავ, მეც თანახმა ვიქნები.

— ჰმ... ათი დღეა რაც წავიდა... ვერ მივეწევით... საქმე კიდევ ის არის, ამბავი დაუტოვებია, მომიცადონო, ვინ იცის რომელ გზას დაადგა. შეიძლება პლისკაროვისა და ბარისაკენ წავიდა, საითაც ძველი გზა მიდის, შეიძლება კამენეცპოდოლსკის გზასაც გაუდგა. ძნელი გამოსაცნობია.

— ნურც ეს დაგავიწყდება,—სთქვა ვერშულმა,—რომ მე მგონია, ეგრე არ შემიძლიან დარწმუნებითა ვსთქვა, რომ კნიაჟნას საძებნელად წავიდა-მეთქი.

— კიდეც ეგ არის და! კიდეც ეგ არის! მერე რაღა ვქნათ, რომ, ვსთქვათ, მხოლოდ იმიტომ წავიდა, იქნება ჯაშუში სადმე შევიპყრავო ჯ მერე ისევ დაბრუნდეს ზბარაჟსა? მერე იცოდა ხომ, რომ ერთად უნდა წავსულიყავით და შეიძლება მოლოდინიცა აქვს ჩვენი. წადი და გადაწყვიტე.

— მე გირჩევდით, რომ ათიოდე დღე მოგეცადნათ.

— ეგ არაფერს გვიშველის, ან უნდა მოვიცადოთ, ან სულ ალარ უნდა ვუცადოთ.

— მე კი მგონია, რომ სულ არ უნდა მოვუცადოთ. რას დავკარგავთ, რომ ხვალ დილითვე გავემგზავროთ. პან სქშეტუსკი ვერ იპოვნის კნიაჟნას, იქნება ღმერთმა ჩვენ გვიშველოს,— სთქვა პან ვოლოდიევსკიმ.

— იცი რა გითხრა, პან მიხალ, აქ აგრე დაუფიქრებლად არ შეიძლება მოვიქცეთ,—სთქვა ზაგლობამ,—შენ ყმაწვილი კაცი ხარ, ჩხუბისა და დავიდარაბის ატეხა კიდეც გწყურიან, ჩვენ კი მაგით შეიძლება საშიშ მდგომარეობაში ჩავვინდეთ: თუ ცალკე ჩვენ დავუწყეთ ძებნა, ცალკე იმანა, შეიძლება იქაურებმა ეჭვი აიღონ. ყაზახები ეშმაკები არიან და ეშინიანთ, რომ მათი იდუმალი ფიქრი და ოინი არავინ არ გაიგოს. შეიძლება იმათ ფაშასთანა აქვთ დაჭერილი რამ საქმე, ხოტიმის ახლობელ ფაშასთან, ან დნესტრის გაღმა მხარ თათრებთან. თუ ვინიცობაა ომი ატყდა შემდეგში, ეშმაკმა იცის იმათი თავი! ამ შემთხვევაში უცხო კაცებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ. ძალიან ადვილია კაცმა თავის თავი გასცეს და მერე?

— მით უმეტეს, რომ შესაძლოა სქშეტუსკიც ისეთ ყოფაში ჩავარდეს, რომ, სხვის დაუხმარებლად, საშველი აღარა იყვეს-რა.

— ეგეც მართალია.

ზაგლობა დიდს საგონებელში ჩავარდა. ბოლოს გამოერკვა ფიქრებსა და სთქვა:

— ყოველივე ავწონ-დავწონე და წასელა გადაეწყვიტე.

ვოლოდიევსკიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

— როდის წავიდეთ მერე?

— სამიოდე დღე დავისვენოთ, რომ ძალ-ღონე მოვიკრიბოთ.

მეორე დღესვე ორი ჩვენი მეგობარი შეუდგნენ სამგზავრო მზადებას. ამ დროს უცბად სრულიად მოულოდნელად მოვიდა სქშეტუსკის პაჟი ყმაწვილი ყაზახი, ციგა და მოუტანა ვერშულს წიგნი. ზაგლობამ და ვოლოდიევსკიმ რომ გაიგეს ეს ამბავი, მაშინვე ციხის უფროსთან გაეშურნენ. აი სქშეტუსკი რას იწერებოდა:

„მე ეხლა კამენცში ვარ და ეგორლიკს მივდივარ ვაჭარ სომხებთან ერთად, ეს სომხები პან ბუკოვსკიმ გამაცნო. იმათ ფირმანი აქვთ ყაზახებისა და თათრებისა, შეგიძლიანთ აკკერმანამდე წახვიდეთო. ჩვენ წავალთ უშიცს, მოგილიოვს და იამპოლს, თან სავაჭრო საქონელი გვექნება და ყველგან პატარ-პატარა ხანს დავრჩებით; იქნება ღმერთმა გვიშველოს და ვიპოვნოთ ის, რასაც ვეძებთ. ჩემს მეგობრებს, ვოლოდიევსკის და ზაგლობას უთხარი, რომ ზბარაჟში მომიცადონ, თუ სხვა საქმე არა აქვთ-რა. იმ გზით, რომლითაც მე დავდივარ, ბევრს არ შეუძლიან სიარული, იმიტომ რომ მეტის-მეტი ეჭვიანები არიან ის ყაზახები, რომლებთაც დაუზამთრებიათ ეგორლიკში. რაც მე ერთი გავაკეთებ, ჩვენ სამნი ერთად ვერ მოვახერხებდით, ხოლო მე, თუ საჭირო ი ნება, სომხად მოვაჩვენებ თავსა. მადლობა გადაუხადეთ ჩემდა შველად მზად ყოფისათვის, მაგრამ მე იმათი მოცდა აღარ შემეძლო: თვითეული დღე ლოდინისა უფრო და უფრო მეტად მტანჯავდა. არ ვიცოდი, მო-

ვიდოდენ თუ არა ზბარაჟსა. საუკეთესო დრო კი ხელიდან მეცლებოდა; ეხლა ეაჭარნი დადიან აქეთ-იქით თავიანთ სავაჭრო საქონელითა. პან ბუკოვსკი ამბობს, რომ მე ვიცი და მაგ ვაჭრებმაო. ხოლო მე სხვა იმედი მაქვს ღვთის მოწყალებისა. ამინ!"

პან ზაგლობამ წაიკითხა წიგნი და თავისს ამხანაგებს შეხედა. ისინი მდუმარებდნენ; ბოლოს ვერშულმა სთქვა:

— განა არ ვიცოდი, რომ იქით წავიდოდა.

— ახლა რაღა ვქნათ?—იკითხა ვოლოდიევსკიმ.

— რაღა ვქნათ?—სთქვა ზაგლობამ და მხრები შეიშმუშნა.

— ახლა რაღა საჭიროა წასვლა. ვაჭრებს რომ გაჰყოლია, ეგ კარგია; შეიძლებს ყველგან თვალი მიავლ-მოავლოს და ეჭვი კი არავის ააღებინოს. ეხლა ყოველი ყაზახი მდიდარია, ალა-ალა ხომ არ იყო, ნახევარ რესპუბლიკა გაძარცვეს. ცუდი საქმე კი დაგვემართებოდა, პან მიხალ, იამპოლს იქითა. სქშეტუსკი შაველაა ვლახელივით და ადვილად შეუძლიან მოისომხოს თავი. შენ კი მაშინვე ყველა გიცნობდა მაგ შენ ქერა-ქერეჭა ულვაშებზედა. ტეტიური ტანისამოსიც რომ ჩაგვეცვა, მაინც ხერხად ვერ ვიქნებოდით... ეჰ, ღმერთმა ხელი მოუმართოს! ჩვენ სრულიად საჭირონი არა ვართ იქა, თუმცა ძალიან კი ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან, შევეწიო ჩემს საწყალ კნიაჟნას განთავისუფლებას. მაინც დიდი ამაგი კი დავდეთ სქშეტუსკის, მით რომ ბოგუნი დავჩეხეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ვეჭვობ, რომ სქშეტუსკის არა დამართნოდა-რა.

ვოლოდიევსკი ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა. იმედი ჰქონდა, გზაში იქნება ბევრი რამ სისხლის ასაღლვებელი საქმე გამოვსცადოვო. ახლა კი უნდა მჯდარიყო ზბარაჟში და ვინ იცის, რავდენს ხანს უნდა ყოფილიყო ასე მოწყენილი და დაღონებული.

— მოდი ერთი კამენცამდე მაინც წავიდეთ, გავისეირნოთ,—უთხრა პან ზაგლობას.

— რა უნდა გავაკეთოთ მერე იქა და ან რად უნდა გავწიოთ ხარჯი?—უპასუხა ზაგლობამ.—სულ ერთია, იქაც უნდა ჩაერჩეთ სადმე და დავსოკოიანდეთ; მეტი ღონე არ არის, უნდა ვისხდეთ, ვიცადოთ და ვიცადოთ. სქშეტუსკი ჯერ კიდევ დიდ

ხანს ვერ დაბრუნდება. ხვალ ეკლესიაში წავიდეთ, ღმერთს შევეხვეწოთ მისთვის. ბოგუნი ჩავჩეხეთ—ეს არის პირველი საქმე. უბძანეთ, პან მიხალ, ცხენებს იარაღი მოხადონ; ლოდინის მეტი არა დაგვრჩენია-რა.

მართლაც, მესამე დღიდანვე დადგა ჩვენი მეგობრებისათვის მოსაწყენი დრო ლოდინისა, რომელსაც არც ბოლო უჩნდა და არც დასასრული. ვერც ლოთობითა, ვერც კამათლის მღერითა ვერ გაატარებდნენ მხიარულად დროს. მერე ახლა სასტიკი ზამთარიც დადგა. თოვლი დასდო ზბარაჟის გარშემო, ნადირი და გარეული ფრინველი სოფელს მოეტანა და იქ ეძებდა საზამთრო ბინას. გავიდა დეკემბერი, იანვარი და თებერვალი, ხოლო სქშეტუსკის შესახებ არავითარი ამბავი არა ისმოდა-რა.

პან ვოლოდიევსკი ტარნოპოლს წავიდა, იქნება შევემთხვე საფათერაკო ვაჟკაცობის გამოსაჩენ საქმესაო. ზაგლობამ ჩიჩვირი ჩამოუშვა და იყო დაღვრემილი: ეჰ, დავბერდი ახლა კი, დაეჩაჩანაკდიო!

XVI

რესპუბლიკის მიერ გაგზავნილმა დესპანებმა ხმელნიცკისთან ხელშეკრულობათა დასადებად ბევრის გაჭირების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ნოვოსიოლკამდე, დასდეს იქ ბინა და ელოდნენ პასუხს ძლევა-მოსილის გეტმანისას, რომელიც იმ დროს ჩიგირინში სცხოვრობდა. დესპანები ისხდნენ შეშინებულები და სულ თავპირი ჩამოსტიროდათ; გზაში მრავალს განსაცდელს შეემთხვნენ და სიკვდილს ხშირად პირისპირ შესცქეროდნენ; გაჭირვება და დაბრკოლება კიდევ უფრო ბევრი იყო მოსალოდნელი. დღე და ღამ გარს ეხვეოდნენ ბრბონი მდაბიოთა, განადირებულნი უმწვერვალესად მრავალ-გვარის მძვინვარებისაგან, და თხოულობდნენ ელჩების სიკვდილს. დღე ისე არ გავიდოდა, რომ რომელსამე დამოუკიდებელ გუნდს არ წასწყდომოდნენ ავაზაკებისასა ან ჩოდრებისასა, ისეთს გუნდს, რომელსაც არავითარი ცოდნა არა ჰქონდა უფლება-მართლიერებისა და მხოლოდ სისხლი სწყუროდა და შოვნა და

ალაფისა. მართალია, დესპანებს ასიოდე შეიარაღებული ცხენოსანი ახლდათ თანა; ამას გარდა კიდევ ხმელნიცკიმ მიაშველა ყოველ შემთხვევისათვის პოლკოვნიკი დონეცი ოთხასის ყაზახითა, მაგრამ ეს ჯარი კიდევ საკმაო არ იყო, იმიტომ რომ მდაბიოთა ბრბო თან-და-თან უფრო და უფრო მატულობდა და იმუქრებოდა. ვინც თუნდა ერთის წუთით მოსცილდებოდა ჯარს კვალ-წმინდად იკარგებოდა მაშინვე. ერთის სიტყვით, დესპანები თვისის ამალითა იმ რიცხვ-მცირე მგზავრებსა ჰგვანდნენ, რომელთაც შემოჰხვევია გარშემო მთელი ბრბო მშიერისა და გაონავრებულის მგლებისა. ასე გადიოდა დღე, კვირა, ხოლო ერთ ღამეს ნოვოსიოლკში ჩვენს პატიმრებს ისე ეგონათ, რომ ეს არის მოახლოვდა აღსასრულიო. დრაგუნთა ამალა და დონეცის ყაზახნი საღამოდანვე დაწყებული იბრძოდნენ დესპანების დასაფარავად, რომელთაც გამოიგლოვეს თავიანთი თაეი და ღმერთს ავედრებდნენ თავთავიანთ სულსაცა. კარმელიტელი ლენტოვსკი რიგრიგით ათქმევინებდა აღსარებას თვითელსა, ხოლო ფანჯრებიდან ქარის ზუზუნთან ერთად შემოდიოდა საშინელი ზრიალი, ყიჟინი, ხმა თოფის სროლისა, საზარელი ხარხარი დაცინვისა, ყვირილი: „სიკვდილი მაგათიო!“ თხოულობდნენ უფრო მოურავ-ერისთავის კისელის თავს, რომელიც განსაკუთრებით უფრო ძლიერ ეჯავრებოდათ ყაზახებსა.

საშინელი გულის-გამაწვრილებელი ზამთრის ღამე იყო ის ღამე ელჩებისათვის. კისელმა თავი ხელებზე დააყრდნო და რამდენიმე საათი უმოძრაოდ იჯდა. სიკვდილისა არ ეშინოდა; გუშჩინიდან წამოსვლის აქეთ ისე იყო მოღალული, გაწამებული, რომ სიამოვნებით გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს; იმის სულს აშფოთებდა მხოლოდ დიდი უსამძღვრო სასოწარკვეთილება. რუსინი იყო ჩამომავლობით და პირველმა იტვირთა საქმე მშვიდობის-მყოფელისა. ამ უმაგალითო ომიანობის დროს ყველგან, საცა კი შეიძლებოდა, სენატში, სეიმის კრებაზედ მხურვალედ ჰმომხრეობდა მშვიდობიანობას, პრიმასისა და კანცლერის მხარეზედ იდგა, მუდამ ეწინააღმდეგებოდა ერემიას, ყოველსავე მოქმედებდა რესპუბლიკის სიკეთისა და სარგებლობისათვის და

ღრმად, მხურვალედ სჯეროდა, რომ ხელ-შეკრულობით, მორიგებით, დათმობით ყოველისავე გარიგება შეიძლებოდა, შეიძლებოდა მშვიდობის ჩამოგდება, კვლავ დაახლოვება, სიამ-ტკბილობა, და აი ახლა, იმ წუთს, როცა ხმელნიცკის კვერთხი მოართვა და ყაზახებისათვის დათმობის უსტარი მოიტანა, ცხადად დაინახა ამაოება თვისის მეცადინეობისა, დაინახა უფსკრული, სწორედ მის ფეხ-ქვეშ საშინლად გარღვეული დედა-მიწა. „ნუ უკვე სხვა აღარა სწადიანთ-რა სისხლის-ღვრის მეტი, თუ უკვე ერთად-ერთს თავისუფლებას-ღა ეტანებიან, თავისუფლებას კაცის-კელისა და ცარცვარბევისას?“—განწირულებით ეკითხებოდა თავის-თავს მოურავ-ერისთავი და მისი კეთილ-შობილი გული მზად იყო ღრმად ამოეოხრა.

— კისელის თავი მოგვეცით, კისელისა! სიკვდილი გეინდა მისი!—ისმოდა ღრიალი ბრბოსი.

სიხარულით გასწირავდა მხცოვანი მოურავი თავის თმაგათეთრებულს თავს, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ რესპუბლიკის და თვით ყაზაკთა სასიკეთოდ ეს მსხვერპლი სრულიად საკმაო არ იყო. ისინი უფრო სხვა რაღაც მეტსა თხოულობდნენ.

როცა მოურავ-ერისთავი ამ ფიქრში იყო, მკრთალმა სხივმა იმედისა და სასოებისამ კვლავ ჩააშუქა მის ტანჯულს სულში. საცოდავი მოხუცი ჰფიქრობდა, რომ ეს ბრბო ხომ არ არის მთლად ყაზახობა, რომ აქ არ არის არც ხმელნიცკი და მისი პოლკოვნიკობაო, ხოლო მოლაპარაკება იმათთან უნდა იქმნას დაწყებულიო.

გარნა ექმნება სიმტკიცე ხელ-შეკრულობას, ვიდრე ნახევარ-მილიონამდე მდაბიო ხალხი თოფ-ქვეშა სდგას? ხომ ვერ დადნება ფაზაფხულის დადგომისათანავე იმ თოვლივით, რომელიც მინდვრებს გადაჰფარებია ახლა?

და აი მოურავს კვლავ აგონდებოდა სიტყვები ერემიასი: „უნდა შეიწყალო მხოლოდ დაძლეულნიო“ და კვლავ დედა-მიწა უშველებელ უფსკრულივით ირღვეოდა მის ფეხ-ქვეშა.

გატყდა ღამე და გაიწონა. ხსაურობა და თოფის სროლა შესწყდა, სამაგიეროდ კარში მძვინვარებდა ქარ-ბუქი და კორიანტელი; დაქანცული ბრბო წავიდ-წამოვიდა თავ-თავის ბინაზედ.

ლეოველი მოხელე ვოიცეხ მასკოვსკი წამოდგა და მივიდა თოვლით ამოლესილ ფანჯარასთან.

— ღვთის მადლით, ვგონებ ხვალამდე ცოცხალნი გადავრჩებით,—სთქვა მოხელემ.

— რომელი ჩვენი მნახველი იტყვის, რომ მშვიდობის ყოფად მოსულნი ელჩნი ვართ ვითომ!—სთქვა პან ზელენსკიმ, ბრაცლაველმა მოხელემ და მწარედ გაიღიმა.

— არა ერთხელ ეყოფილვარ ელჩად გაგზავნილი თათრებში,—დასძინა პან მედროშე ნოვოგრუდსკიმ,—ხოლო ასეთს გარემოებაში არც ერთხელ არ მიგრძვნია თავი. ჩვენის შეურაცყოფით ბევრად უფრო მეტი შეურაცყოფა დაადგა რესპუბლიკას, ვიდრე კორსუნთან და პილავეცთან ჩვენის დამარცხებით. განმეორებით მოგახსენებთ, ბატონებო: დავბრუნდეთ უკან; მოლაპარაკების შესახებ ხმის ამოღებაც კი არ შეიძლება.

— დავბრუნდეთ,—თითქო ბანი მისცაო, გაიმეორა პან ბჟოზოვსკიმ, კიევის კაშტელიანმა.—მშვიდობა შეუძლებელია, დეე მაშ ომი იყოს!

კისელმა აიღო თავი მაღლა და დააცქერდა კაშტელიანსა.

— ყვითელი წყლები, კორსუნი, პილავეცი!—სთქვა მან ყრუდ და გაჩუმდა. იმის მაგალითს მიჰბაძა ყველამ და გაჩუმდნენ სხვებიცა, მხოლოდ პან კულჩინსკიმ, კიეველმა მოხელემ დაიწყო ხმა-მაღლა თქმა ლოცვისა; პან ქშეტოესკიმ კი იტაცა ხელები თმაში და იმეორებდა:

— რა დროს შევესწარით, რა დროსა! ღმერთო შეგვიწყალე!

უცბად კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ბრიშოვსკი, დრაგუნთა კაპიტანი პოზნანელის ეპისკოპოსისა, უფროსი საელჩოს ჯარისა.

— ბატონო მოურავ-ერისთავო,—სთქვა მან,—ვიღაც ყაზახია და ნახვა უნდა ბატონ ელჩებისა.

— მობრძანდეს,—უპასუხა კისელმა,—ბრბო წავიდ-წამოვიდა თუ არა?

— ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, სთქვეს, ხვალ ისევ დავბრუნდებითო.

— ძალიან მძვინვარებდნენ?

— მეტის-მეტად, ისე რომ დონეცის ყაზახებმა რამდენიმე კაცი მოჰკლეს. ხვალ გადაგწვავთო, დაგვემუქრნენ.

კარი კვლავ გაიღო და მის ზღურბელზედ გამოჩნდა ეიღაც მაღალ-მაღალი შავ-წვერა კაცი.

— ვინა ხარ? —ჰკითხა კისელმა.

— იან სქშეტუსკი გახლავართ, გუსართა პარუჩიკი რუსეთის მთავარ-მოურავისა.

კაშტელიანი ბჟოზოვსკი, პან კულჩინსკი და მოხელე ქშეტოვსკი ფეხზედ წამოცვინდნენ. ყველანი შარშან მთავარის უფროსობით იბრძოდნენ მახნოვკასა და კონსტანტინოვს და ძალიან კარგად იცნობდნენ პან სქშეტუსკისა. ქშეტოვსკი ამის გარდა კარგი მეგობარიც იყო იმისი. დაინახა თუ არა ამხანაგი, მაშინვე გადაეხვია და აკოცა.

— აქ რას აკეთებ და ან როგორ მოხვედი ჩვენამდე?— უპასუხა მან.

— აი ამ მდაბიოს ტანისამოსით, როგორც ჰხედავ.

— ბატონო მოურავ-ერისთავო!—დაიძახა ბჟოზოვსკიმ,— უწარჩინებულესი რაინდია რუსეთის მოურავ-ერისთაეის სადროშოთა შორის, ქებული მთელს მის ჯარში.

— მოგესალმებით გულითა და სულითა,—სთქვა კისელმა და ვხედავ, რომ მართლა გულადი და გამოცდილი რაინდი უნდა იყოთ, როცა მოახერხეთ და ჩვენამდე მოაღწიეთ. რა გნებავთ და რას დაგვავალებთ?

— გთხოვთ ნება დამრთოთ, რომ მეც თქვენთან მიახლოთ.

— პირში გინდათ ჩაუვარდეთ ლომსა, ხოლო თუ ეგ არის თქვენი განზრახვა, ჩვენ ვერ დაგიშლით.

სქშეტუსკიმ თავი დაუკრა ხმა-ამოუღებლივ.

კისელი გაკვირვებით ათვალიერებდა რაინდს. ახალგაზდა რაინდის კუშტმა სახემ ძალიან გააკვირვა მოურავ-ერისთავი თვისის რაღაც მწუხარე დიდებულებითა.

— მითხარით ერთი,—ჰკითხა მან,—რა გაიძულებთ იმ ჯოჯოხეთს წასვლას, საცა არაეინ არ წავიდოდა ნება-ყოფლობით?

— უბედურება, ბატონო მოურავ-ერისთავო.

— მაგ სიტყვის შემდეგ უზრდელობა იქმნებოდა ჩემის მხრით კვლავ მეკითხა რამე თქვენთვის,—სთქვა კისელმა.— ალბად ვინმე მახლობელი დაჰკარგეთ და ახლა მოდიხართ, რომ ეგება იქ იპოვნოთ?

— დიაღ.

— დიდი ხანია. მას შემდეგ?

— შარშან გაზაფხულს გახლდათ.

— როგორ? და მერე ახლა ეძებთ? აგერ თითქმის წელიწადია მას უკან! აქამდე რას აკეთებდით?

— ვიბრძოდი რუსეთის მოურავის ჯარში.

— ნუ თუ მთავარმა არ ინება დაეთხოვეთ?

— მე თვითონ არ ვინდომე დავთხოვებოდი.

კისელმა კვლავ შეჰხედა ახალგაზდა რაინდსა.

— ყველამ, ვინც კი მთავართან ერთად ვმსახურებდით,— დაიწყო კიდევ კაშტელიანმა,—ეიცით, რაც უბედურება ეწია ამ რაინდს, არა ერთხელ ჩამოგვარდნია ცრემლი მაგ საწყლისათვის, ხოლო ეგ მამულის სამსახურსა რჩებოდა და თავის საკუთარს საქმეს თავს ანებებდა. იშვიათი ამბავია ამ ჩვენს დაწყევლილს დროს.

— თუ ჩემი დახმარება იქნება საჭირო ხმელნიცკის წინაშე, დარწმუნებული იყავით, რომ არას დავზოგავ თქვენთვის,— სთქვა კისელმა.

სქშეტუსკიმ კვლავ თავი დაუკრა.

— წადით ახლა, დაისვენეთ,—უთხრა ალერსით მოურავ-ერისთავმა. ალბად თქვენც ისე დაღალულნი იქნებით, როგორც ჩვენ ყველანი. ჩვენც ერთი წუთი მოსვენება არა გვქონია.

— მე წავიყვან ჩემთანა; ჩემი მეგობარია,—სთქვა ქშეტოვსკიმ.

— წავიდეთ ჩვენკა. ვინ იცის, ვეღირსებით-ღა ხვალ-ღამ დაძინებასა?

— იქნება ვეღირსნეთ და დავიძინოთ საუკუნო ძილითა,— დაასკვნა მოურავ-ერისთავმა.

სთქვა ესა და გავიდა დასაძინებელ ოთახში; სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავისას. ქშეტოვსკიმ წაიყვანა სქშეტუსკი თავის ოთახში, რომელიც თითქმის იქვე გვერდზედ იყო. წინ პაჟი მიუძღოდათ ფანრით ხელში.

— რა სიბნელეა,—სთქვა მოხელემ,—ხოლო ქარ-ბუქი უფრო ძლიერდება. ოჰ, პან იან, რომ იცოდე, რა ჭირი და ვაი-ვაგლახი გამოვიარეთ ჩვენ აქა! ასე მეგონა, რომ განკითხვის დღე მოახლოვდა-მეთქი. მდაბიოთა ბრბომ თითქმის დანა ყელზედ დაგვაბჯინა. ბრიშოვსკის მაჯა მოეღალა. ერთმანერთს ეესალმებოდით საუკუნოდ.

— მე იმ ბრბოში ვერიე,—სთქვა სქშეტუსკიმ.—ხვალ საღამოს ახალ-გუნდს ელიან კაცის მკვლელებისას: თქვენი შეუთვალეს, სამკალია აქაო. ხვალ უთუოდ უნდა წავიდეთ აქედან. კიევს მიდიხართ ხომ?

— ხმელნიცკის პასუხზედ არის დამოკიდებული ყოველივე. ჩეტვერტინსკი წავიდა იმასთან. აი ჩემი ოთახიცა. შემოდი მეგობარო. ნაბრძანები მაქვს, რომ ვახშამი მოგვიტანონ, ერთად ვიმუსაიფოთ.

ოთახში ცეცხლი ენთო და ამხიარულებდა იქაურობას. სტოლზედ ღვინო იდგა. სქშეტუსკიმ ხარბად წააელო ხელი ღვინის ჭურჭელს.

— გუშინდელს აქეთია ნაწილი არ ჩასულა ჩემს პირში,— სთქვა რაინდმა.

— საშინლად გამხდარხარ. მწუხარებასა და ჯაფას სულ გამოუცვლიხარ. აბა, დაიწყე, მიამბე. მაშ, შენ გინდა იქ, იმათ შორის დაუწყო ძებნა კნიაჟნას?

— ან ის უნდა ვიპოვო, ან სიკვდილი.

— უმალ სიკვდილს იპოვი. და ან საიდან იცი, რომ კნიაჟნა იქ არის?

— ყველგანა ვძებნე და არსად არის.

— სადა სძებნე?

— ამ დნეპრის აყოლებაზედ, ეგორლიკამდე. ვაჭარ-სომხებს გავყე, რადგან ამბობდნენ, რომ იქ უნდა იყოს დამა-

ლულიო. ახლა კიევს მივდივარ, რადგან ბოგუნს იქ უნდა წაეყვანა.

პარუჩიკმა ძლივს მოასწრო ბოგუნის სახელის წარმოთქმა, რომ ქშეტუსკიმ თმაში ხელი იტაცა:

— ღმერთო, ეს რა მომივიდა!—წამოიძახა იმანა.—რაც უფრო საჭირო იყო, ის არ გითხარი აქამდე. ყური მოვკარი, რომ ვითომ ბოგუნი მოჰკლესო.

სქშეტუსკი გაფითრდა.

— როგორაო?—ჰკითხა მან.—ვინ გითხრა?

— შლიახტიჩმა მითხრა, რომელმაც ერთხელ კიდეც დაიხსნა კნიაჟნა, აი იმან, დროშა რომ წაართვა მტერს კონსტანტინოვსა. ზამოსტიეს რომ მივდიოდი, იქ შემხვდა გზაში. ვკითხე თუ არა, რა ამბავია, რა ისმის-მეთქი, მაშინვე ეგ მომახალა. ბოგუნი მოკლულიაო. ვკითხე, ვინ მოჰკლა-მეთქი და მეო, მიპასუხა. ეს იყო სულ ჩვენი ლაპარაკი.

სქშეტუსკი კვლავ დაღონდა.

— ეგ შლიახტიჩი ისე სიტყვას არ იტყვის, რომ არ იცრუოს,—სთქვა პარუჩიკმა.—კაცი ვერ ენდობა იმასა. არა! არა! ის ბოგუნს ვერ მოერეოდა.

— შენ კი ვერა ჰნახე? ისე სთქვა, ზამოსტიეს მივდივარ იმასთანაო.

— მე იმისთვის აღარ მომიცდია იქა. ის ეხლა ზბარაჟს უნდა იყოს, ხოლო მე კამენციდან ზბრაჟის გზით არ დავბრუნებულვარ და იმიტომ ვეღარ შეეხვდი. ერთმა ღმერთმა იცის, მართალია ისიცა, რაც ერთხელ მითხრა, ვითომ ბოგუნმა ის ქალი იამპოლს იქით დაჰმალა და მერე უნდა კიევს წაიყვანოს და იქ დაიწეროს ჯვარიო. იქნება არც ეს არის მართალი, როგორც მართალი არ არის ხოლმე ყოველივე, რასაც ზაგლობა ამბობს.

— მაშ, კიევს რიღასთვის მიდიხარ?

სქშეტუსკი სდუმდა. მხოლოდ ნამქრის ზუზუნი არღვევდა სიჩუმეს, რომელიც ოთახში ჩამოვარდა.

— ბოგუნი თუ მოკლული არ არის, ხომ ადვილად შეიძლება, რომ ხელში ჩაუვარდე?

— კიდეც იმიტომ მივდივარ, რომ ის ვიპოვო სადმე,— ყრუდ უპასუხა სქშეტუსკიმ.

— როგორ, რას ამბობ?

— დაე, თვით ღმერთმა გადასწყვიტოს ჩვენი საქმე.

— კარგი, მაგრამ ის შენთან ბრძოლას არ მოინდომებს, აიღებს და შეგიპყრობს, მერე ან მოკკლავს, ან თათრებს მიგყიდის.

— მარტო ხომ არ მივდივარ, ელჩებს მივდევ.

— ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენ თვითონ ცოცხლები გადავრჩეთ, ელჩები რას გვიშველიან.

— ვისაც სიცოცხლე გამწარებული აქვს, იმას სიკვდილისა არ ეშინიან.

— ღვთისა გეშინოდეს, იან! მე სიკვდილს კი არ ვამბობ, იმიტომ რომ სიკვდილი არავის არ ასცდება, მე იმას ვამბობ, რომ ყაზახებს შეუძლიან ტყვედ მიგყიდონ ოსმალებსა და იმათ კატარღებზედ მუშაობით ამოგართვან სული.

— მერე შენ გგონია, რომ უფრო ძნელი ასატანი იქნება ჩემთვის, ვიდრე დღევანდელი ჩემი ყოფა?

— მე ვხედავ, რომ ღვთის მოწყალებაზედ სასოება დაგიკარგავს.

— არა, შენ სცდები. მე ვამბობ, რომ სიცოცხლე, ძნელი ასატანი შეიქმნა ჩემთვის, ხოლო ღვთის ნებას დიდი ხანია შევურიგდი. მე არას ვითხოვ, არა ვსტირი, არ ვიწყევლები, თავს არ ვახლი კედელს, მინდა მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულო, ვიდრე ძალ-ღონე მაქვს კიდევ და სიცოცხლე არ მომსპობია.

— საქმე ის არის, რომ ეგ მწუხარება ისე მკლავს, როგორც შხამი, რომელიც ნელ-ნელა ჰმოქმედობს.

— ღმერთმა იმიტომ მოაელინა მწუხარება, რომ მოიწამლოს ადამიანი, წამალსაც მოუვლენს, როცა მისი ნება იქნება.

— მაგ საბუთის წინააღმდეგ რაღა ითქმის. გარნა ღმერთი ერთად-ერთი იმედია ჩვენთვისაცა და მთლად რესპუბლიკისათვისაც. მეფე ჩენსტოხოვის წაბრძანდა. იქნება მოახერხოს

და მოწყალების თვალით მოახედოს ჩვენზედ წმიდა ქალწული; თუ არა და ყველანი დავიღუპებით.

კვლავ ჩამოვარდა დუმილი, მხოლოდ გარედ დრაგუნთა დარაჯნი ერთმანერთს ეხმაურებოდნენ.

— დიალ, დიალ, —რამდენსამე წამს უკან კვლავ დაიწყო ლაპარაკი მოხელემ.—ჩვენ ყველანი უფრო მკვდრებში ვართ ჩასარიცხნი, ვიდრე ცოცხლებში. მთელს რესპუბლიკაში ხალხი სიცილს გადაეჩვია, ყველას თავ-პირი ჩამოსტირის და ისე ჰგმინავს, როგორც ეს ქარი ამ ბუხარში. მეც მჯეროდა, რომ უკეთესი დრო დადგება-მეთქი, ვიდრე აქ მოვიდოდი სხვებთან ერთად, ხოლო ახლა ვხედავ, რომ ამაო იმედი გვქონდა. ყველგან ნანგრევნი, ომი, შიმშილი, სიკვდილი და მეტი სხვა აღარაფერი, აღარაფერი!

სქშეტუსკი მდუმარებდა; მოწითანო შუქი ცეცხლისა ანათებდა იმის გამხდარს, კუშტს სახეს.

ბოლოს აიღო მაღლა თავი და წარმოსთქვა ლაღადებით:

— ეგ ყოველივე მიწიერია, ხრწნადი, გაიელის და აღარავითარს კვალს აღარ დასტოვებს.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო ბერ-მონაზონი იყო,— სთქვა პან ქშეტოვსკიმ.

სქშეტუსკის ხმა აღარ მოუღია ამის პასუხად.

XVII

მეორე დღეს დილა-ადრიან დაანებეს თავი ელჩებმაცა და პან სქშეტუსკიმაც ნოვოსიოლკის. ვერაფერი სასიამოვნო იყო მათი მგზავრობა. ყველგან, საცა კი ჩამოხდებოდნენ, ყოველ სოფელ-დაბაში სიკვდილი ელოდათ, ან კიდევ შეურაცხყოფა, რომელიც სიკვდილზედ საშიში და უარესი იყო, იმიტომ რომ ელჩების სახით შეურაცხყოფა ადგებოდა რესპუბლიკის სახელსა და დიდებას. პან კისელი სულ მოიშალა და ავად იყო, აგრედვე კაპიტანი ბრიშოვსკი, რადგან ღამე არ იყო მათთვის ძილი და დღე. მოუსვენრობამ და დაღლილობამ

გაჰხადა ორივენი ავადა. პან სქშეტუსკიმ დაიჭირა კაპიტანის ადგილი და მიუძღოდა წინ ელჩთა საცოდავს კრებულს, რომელსაც ბრბო მდაბიოთა ყველგან მუქარით ეგებებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა.

ბელგოროდს კრებულს ეგონა კვლავ, რომ ეს არის, ახლა კი სწორედ აღსასრულის დღე დადგა ჩვენიო. ბრბომ სცემა ავადმყოფს ბრიშოვსკისა, მოჰკლა პან გნიაზდოვსკი და მხოლოდ მიტროპოლიტის მოსვლამ მოურავ-ერისთავის სანახავად შეაყენა უკვე მოფიქრებული და განზრახული საქმე ელჩების ამოწყვეტისა. ხალხს არ უნდოდა, რომ კიევს ახლო მიჰკარებოდნენ ელჩნი. თავადი ჩეტვერტინსკი 11 თებერვალს დაბრუნდა ხმელნიცკისაგან და პასუხი კი არავითარი არ მოიტანა. ელჩებმა აღარ იცოდნენ, რა ექმნათ, საით წასულიყვნენ. უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, რადგან გამოვლილ გზაზედ მრავალი გუნდი იდგა მცარცველთა და კაცის-მკვლელთა. ის გუნდნი მხოლოდ იმას-და უცდიდნენ, რომ ‘ოიისპოს მოლაპარაკება და სულ ამოვსწყვიტოთ ეგ ვილაც დესპანები არიანო. საცა იყვნენ, იქაც კადნიერება მდაბიოთა თან-და-ოან ძლიერდებოდა.

ყაზახნი სწვდებოდნენ დრაგუნთა ცხენების აღვირს, ეღობებოდნენ წინ, ესვრიდნენ ქვებსა და ყინულის ნამტვრევებს-მოურავ-ერისთავის მარხილს. გროზდოეოში სქშეტუსკი და დონეცი იძულებულნი იყვნენ შეჰბმოდნენ ბრბოს და რამდენიმე ასი კაცი აქეთ-იქით გაეფანტათ. მედროშე ნოვოგრუდსკი და სნიაროვსკი კვლავ დაწინაურდნენ და წავიდნენ ხმელნიცკისთან; უნდოდათ ეთხოვათ, რომ კიევს ჩასულიყო და იქ შესდგომოდა დესპანებთან მოლაპარაკებას, მაგრამ მოურავ-ერისთავს ძალიან ნაკლებადა ჰქონდა ამის იმედი: იქნება ცოცხალნი ვერც კი მივიდნენ ხმელნიცკიმდინაო. ამასობაში დესპანები იძულებულნი იყვნენ გულ-ხელი დაეკრიფათ და ეცქირნათ, როგორ ჰხოცავდა ბრბო ტყვედ შეპყრობილებს, რა სქესისა და წლოვანებისაც უნდა ყოფილიყვნენ, როგორ აღრჩობდნენ საცოდავებს წყლებში, საცა კი ყინული იყო ჩამტვრეული, ან

ასხამდნენ წყალს ყინვა-ტეხვრაში, ან და აცვამდნენ მარგილე-ბზედ. ასე განვლო თვრამეტმა დღემ, ვიდრე მოვიდა პასუხი ხმელნიცკისა, რომ კიევს ვერ წავალ, ხოლო მოურავ-ერისთავსა და დესპანებს ველი პერეიასლავლშიო.

საწყალმა დესპანებმა პატარა თავისუფლად ამოისუნთქეს, გავიდნენ დნეპრში და ღამის გასათევად ჩამოხდნენ ეორონკოვს, საიდანაც ექვსი აღაჯი-ღა იქმნებოდა პერეიასლავამდე. ხმელ-ნიცკი წინ მიეგება ნახევარ აღაჯის მანძილზედ, მაგრამ ხმელ-ნიცკი ახლა სულ სხვა კაცი იყო და ოდნავაც აღარა ჰგვანდა წინანდელს ხმელნიცკის, შეურაცხყოფილს, გაბიაბრუებულს, დამცირებულს, როგორც სწერდა იმაზედ მაშინ კისელი.

მოეგება რიცხვ-მრავალის ამალით, პოლკოვნიკებითა, ესა-ულებითა, სამხედრო მუსიკით, გაფრიალებულის წითელის დრო-შითა და თავ-კარავ-ფენილი, თითქო დამოუკიდებელი მთავა-რიაო. დესპანთა კრებული შეჩერდა, ხოლო ხმელნიცკიმ შია-გდო ცხენი წინა მარხილს და დიდ ხანს ჩააშტერდა მოურავ-ერისთავს.

— თავს გიკრავთ, ბატონებო, და თქვენც, ბატონო მო-ურავ-ერისთავო,—სთქვა მან ბოლოს და ოდნავ მოიხადა ქუ-დი.—უკეთესი იქნებოდა თქვენთვის ადრევე დაგეწყოთ მოლა-პარაკება ჩემთან, მაშინ როცა მე ჯერ ისევ მცირე ვიყავ და არ ვიცოდი ჩემი საკუთარი ძალ-ღონე, მაგრამ რაკი მეფემ გა-მოგგზავნათ, სიხარულით მიმიღიხართ ჩემს მიწა-წყალში.

— მოგესალმებით, ბატონო გეტმანო!—მოიკითხა სამაგიე-როდ კისელმა.—მისმა უდიდებულესობამ გამოგვგზავნა, რათა დაგარწმუნოთ, რომ მეფე მწყალობელია თქვენი და აღვადგი-ნოთ სამართლიანობაცა თქვენი.

— მეფის მოწყალებისათვის მადლობელი ვარ, ხოლო სა-მართლიანობა ჩემი მევე აღვადგინე თქვენს ქედზედა აი ამითი (ხმელნიცკიმ ხელი დაიკრა ხმლის ვადაზედა) და კვლავაც ასე მოვი-ქცევი, თუ კმაყოფილებას არ მომცემთ და არ შემიჯერიებთ.

— ვერაფერს სალამს კი გვაძლევ, გეტმანო იმიერ-ეორო-მეთისაო, ჩვენ, მეფის დესპანთა.

— ამ ყინვაში ლაპარაკს არ განეგრძობ თქვენთან,—კადნიერებით უპასუხა ხმელნიცკიმ,—სალაპარაკოთ მერეც მოვიცლით. ახლა თქვენს მარხილში მინდა ჩავჯდე; მინდა პატივი გცეთ და თქვენთან ერთად ვიმგზავრო.

ჩამოხდა ცხენიდან და მიუახლოვდა მარხილს. კისელმა მიიწია მარჯვნივ და ალაგი დაუთმო მარცხნივა.

ხმელნიცკიმ დაინახა ესა, კოპები შეიკრა და შეჰყვირა:

— მარჯვენა მხარე დამითმეთ!

— მე სენატორი ვარ რესპუბლიკისა.

— მე რა მენაღვლება, რომ სენატორი ხარ. პან პოტოცკი პირველი სენატორია და სახასო გეტმანი, მაგრამ შებორკილებული მყავს ხელში სხვებთან ერთად და რომ მინდოდეს, ხვალვე მარგილზედ ჩამოვაგებ.

კისელს გაფითრებული ლოყები დაუკვერდა.

— მე მეფის მაგიერი ვარ აქ ამ ჟამად, მისი მოციქული ვარ!

ხმელნიცკიმ უფრო ძლიერ შეიკრა კოპები, მაგრამ თავი შეიკავა და მარცხნივ დაჯდა ბურტყუნითა:

— მეფე დაე ვარშავას იყოს, ხოლო რუსეთში მე უნდა ვიყო. ეტყობა, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გაწვნეევინეთ წვენი!

კისელმა პასუხად აღარა უთხრა-რა, მხოლოდ თვალნი აღმართა ცად. წინადვე ჰგრძნობდა, რაც მოელოდა შემდეგ.

ჰერეიასლავში გაჰქონდა ამ დროს ქუხილი ოცს ზარბაზანს და იყო ერთი ზარის-რეკა ყველა ეკლესიაში. ხმელნიცკიმ იფიქრა, ამათ არ ეგონოთ, რომ ვითომ ეს ამბავი ამათის განსაკუთრებულის პატივისცემით არის გამოწვეულიო, და ამიტომ უთხრა მოურავ-ერისთავს:

— არა მარტო თქვენ, ყველა სხვა ელჩ-დესპანსაც ასე მივიღებ ხოლმე.

მართალიც იყო: არა ერთი და ორი ელჩი და დესპანი მოდიოდა ხმელნიცკისთან, ვითარცა დამოუკიდებელ მთავართან. როცა ზამოსტიიდან დაბრუნდა და ჯერ ისევ არჩევნებისა და იმ დამარცხების ფიქრებში იყო, რომელიც ლიტველმა

ჯარებმა აწენეინეს, ხმელნიცკის გულში ნახევარიც არა ყოფილა ამ ზვიადობისა, ხოლო როცა მთლად კიევი გამოეგება უკან დაბრუნებულს საეკლესიო დროშებითა და ხატებით, როცა აკადემია მიესალმა, „tamynam Moijesem, servatorem, salvatorem, liberatorem populi de servitute lechica et bone nomine Bobdan—ღვთის-მიერ ბოძებულსა“, როცა ბოლოს, უწოდეს „illustrissime princeps“-იცა, მაშინ კი, იმ დროინდელ კაცთა მოწმობით, „მისმა მხეცურმა ბუნებამ გაიღვიძა“. მაშინ კი მართლა იგრძნო თვისი ძალა, იგრძნო რომ ფეხ-ქვეშ ყამირი ნიადაგი მაქვსო, ის ნიადაგი, რომელიც აქამდე აკლდა.

უცხო ქვეყნებიდან ელჩების ხშირი მისვლა-მოსვლაც ნიშანი იყო იმისი, რომ იწამეს მისი ძლიერებაცა და მისი დამოუკიდებლობაცა; თათრების მტკიცე მეგობრობა, შეძენილი მით რომ ეს საერო წინამძღვარი ერისა ნებას აძლევდა, წაიღეთ ჩვენი ქვეყნიდან დიდი დაელა-ალაფიო, მოსტყვევნეთ ჩვენი ქვეყნის კაცი და ქალიო, ზურგს უმაგრებდა ყაზახობას და ღონეს აძლევდა ებრძოლნა მტრის წინააღმდეგ. და აი ხმელნიცკი, რომელმაც ჯერ ისევ ზამოსტიეში შეიწყნარა მეფე, ხოლო ახლა კი დაბრმავებული გულ-ზვიადობით, დარწმუნებული, რომ მე ძალა მაქვს ხოლო რესპუბლიკა უძლურიაო, მზად იყო შებრძოლებოდა თვით მეფეს. ხმელნიცკი თავის ‘მავნელით მოსილს გულში ოცნებობდა ახლა არა ყაზახთა თავისუფლებისათვის, არა იმისთვის, რომ დავუბრუნო იმიერ-ჭორომეთს თვისი ძველებური უფლება-უპირატესობაო, ოცნებობდა არა სიმართლისათვის, არამედ ცალკე სამეფოს დასამყარებლად, მთავრის გვირგვინისა და სკიპტრასათვის.

ხმელნიცკი ჰგრძნობდა, რომ ბატონი ვარ უკრაინასიო. იმიერ-ჭორომეთი იმისკენ იყო, იმიტომ რომ არავის მფლობელობაში ისე არ ჩაუხრჩვია თავი სისხლის-ღვრაში, იმოდენა დაელა-ალაფი არ უნახავს, როგორც ახლა; ბუნება-განადირებული ხალხი ბუზივით ეტანებოდა ხმელნიცკის, იმიტომ რომ მაშინ, როცა მაზოველი ანუ ველიკოპოლელი ყმა უდრტვინველად ჰხრიდა ქედს თავის მძიმე ტვირთ ქვეშა, რომელიც

მთელს ევროპაში დასდებოდა კისრად ქამის ჩამომავალს, უკრაინელი ამ დროს მინდვრის ჰაერთან ერთად ისუნთქავ-ითვისებდა თავისუფლების სიყვარულს, ისეთისავე გაგარეგანებულისა და შეუზღუდველის თავისუფლებისას, როგორიც თვით მინდორი იყო. სად ჰქონდა გული, რომ ბატონის გუთანს მიჰყოლოდა, როცა იმის თვალს იტაცებდა ღვთისა და არა ბატონის ყრუ-მინდვრები, როცა ჭორომებს იქიდან იწვევდა სეჩი ალერსით: „დაანებე თავი ბატონს და წამოდი, რომ აქ ლაღად იცხოვროვო!“, როცა მძვინვარე თათარი ასწავლიდა სამამაცო ზნეს, აჩვევდა მის თვალს ცეცხლ-წაკიდებულ სოფლებისა და ხალხის ჩეხა-ჟლეტის სურათებს, ხოლო ხელს—თოფ-იარაღის ხმარებას? ის არ ერჩივნა, რომ ხმელთან ყოფილიყო და იქ ემძვინვარნა, „ეჩეხ-ეჟლიტა პანები“, ვიდრე ზვიადი ქედი ეხარნა მოურავის წინაშე?

მეორეს მხრით, ვინც არ მიდიოდა ხმელნიცკისთან, ის ტყვედ მიჰყავდათ. სტამბოლში ათ ისრად ერთს მონას იყიდდა კაცი, ხოლო ერთ შვილდში—სამს მონას იძლეოდნენ: ისე მრავლად ჰყავდათ იქ მონები.

ხალხს უკეთესის გზის არჩევა არ შეეძლო. ეს გარემოება ცხადად გამოიხატა ერთს საერო სიმღერაში; იგი სიმღერა ცოტა არ იყოს საოცარი სიმღერაა მაშინდელ დროსათვის. დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ამ სიმღერას კვლავ ამბობდნენ შემდეგნი თაობანი თავიანთ ქოხებში იმ საერო წინამძღვრის შესახებ, რომელსაც მოსე უწოდეს: „ვაი, ღმერთმა ჰქმნას, რომ იმ სათოკე ხმელს პირველივე ტყვია არ ასცდეს!“

ქალაქნი, დაბანი და სოფელნი ჰქრებოდნენ დედა-მიწის პირიდან, მცხოვრებლებით სავსე ქვეყანა უდაბურდებოდა, ხოლო წინამძღოლი ან გეტმანი არა ჰხედავდა ანუ არ უნდოდა დაენახა ესა და იზრდებოდა, ძღებოდა, სუქდებოდა მრავლად დაღვრილის სისხლითა, სისხლის მორევში ახრჩობდა თავის ერს და აი ახლა მიჰყავდა ელჩი-დესპანნი პერეიასლავლს, საცა მისის ბრძანებით ჰქუხდა ზარბაზნები და იდგა გუგუნი ზარების რეკისა, თითქო ერთი დამოუკიდებელი მთავარია, დიდი ბატონია, მეუფეაო.

ელჩ-დესპანებს ჩაეკიდნათ თავები, შედიოდნენ ამ ლომის ბუნაგში და ჰგრძნობდნენ, რომ უკანასკნელი სხივი იმედისა ჰქრებოდა მათს გულში. სქშეტუსკი გულმოდგინედ ათვალიერებდა ხმელნიცკის პოლკოვნიკებს, იქნება ბოგუნი ვიცნო მათ შორისაო. რაკი ბევრი ეძება და კნიაჟნა ვეღარ იპოვნა, პან სქშეტუსკიმ გადასწყვიტა გულში, ვიპოვი ბოგუნსა და გამოვიწვევ საბრძოლველად, რომ ან მე ვიყო ცოცხალი და ან ისაო. საცოდავმა რაინდმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ასეთს უწესოებაში ბოგუნს უბრძოლველადაც შეეძლო მისი გაქრობა, შეეძლო თათრებისათვის მიეყიდნა ტყვედ, მაგრამ თან ეგონა, რომ ბოგუნი ამას არ იკადრებსო, მამაცი და გულადი ატამანია და თითქმის დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვის და გამომყვება ხმალში საბრძოლველადაო. ისიც კი მოსდიოდა ფიქრად, რომ ფიცს დავადებინებ ბოგუნს, ვინიცობაა ის იყოს სიკვდილის წერა, გაანთავისუფლოს ელენე. საკუთრად თავის თავისათვის სქშეტუსკი ნაკლებად ჰზრუნავდა. თუნდა ბოგუნმა ასე მითხრას, „ვინიცობაა მე მოვკვდე, კნიაჟნა ნურც შენ დაგრჩება, ნურც მეო“, მაინც მზად იყო დასთანხმებოდა და ფიცი მიეცა, თავადაც, აგრე იყოსო, ოღონდ კი მტრის ხელიდან გამოეხსნა ის საცოდავი ქალი. დეე, მშვიდობა მოსძებნოს მან მონასტერში, ხოლო მე მოვძებნი მოსვენებას ჯერ ბრძოლის ველზედ და თუ იქ ვერ ვპოვე და თავი ვერ დავსდე, ჩავიცვამ მეც ბერ-მონაზონის სამოსელსაო, როგორც ჩვეულებად ჰქონდა იმ დროს ყველას, ვისაც კი სული უწუხდა და გულით იტანჯებოდა. სქშეტუსკი ჰგონებდა, რომ ეს გზაა მხოლოდ ნამდვილი და სწორე გზაო, ხოლო როცა ზამოსტიეში მოუვიდა აზრად პირის-პირ შებრძოლებოდა ბოგუნს, როცა დნესტრის სათავის ლელიანებში კნიაჟნას ძებნამ უქმად ჩაუარა, უფრო დარწმუნდა, რომ სხვა გზა არ არისო. და აი დნესტრიდან დაყოლებული, და უსვენებლივ გასწია ელჩ-დესპანებთან და ვარაუდი ჰქონდა, რომ ან ხმელნიცკის ამალაში, ან კიევში ვიპოვი უთუოდ ბოგუნსაო; მით უმეტეს ვარაუდობდა ასე, რომ ზაგლობამაცა სთქვა, ატამანს კიევს უნდა წავიდეს ჯვარის დასაწერადაო.

გარნა სქშეტუსკი ამაოდ ეძებდა ამ ჟამად ბოგუნს ხმელნიცკის პოლკოვნიკებ შორის, იმის მაგიერ მან იპოვა მრავალნი თვისნი ძველნი ნაცნობნი: ძეძიალა, იაშევსკი, იაროში, რომელიც თავადის ასის თავი იყო ოდესმე, და სხვანი. პარუჩიკმა გადასწყვიტა გულში, ამათ გამოვკითხავ ბოგუნის ამბავსაო.

— ჩვენ ძველნი ნაცნობნი ვართ,—მიუახლოვდა სქშეტუსკი და უთხრა იაშევსკისა.

— ლუბნში გაგიცანით; თავად ერიომას რაინდი ბრძანდებით,—სთქვა პასუხად პოლკოვნიკმა.—ლუბნში ერთად გვიქეიფნია. რასა იქს თქვენი მთავარი?

— კარგათ გახლავთ.

— გაზაფხულზედ ველარ იქნება კარგადა. ჯერ ხმელნიცკის არ შებრძოლებია, და უნდა შეებრძოლოს კი, და ერთერთი უნდა დაიღუპოს ამ შებრძოლებაში.

— ვისაც ღმერთი ინებებს, ის დაიღუპება.

— ოჰ, ღმერთს ჩვენი მამა-ბატონი ხმელნიცკი უყვარს. ეგ არის, თავადი დნეპრ-ამიერ მხარეს ველარ გადმოვა, თათრების ნაპირს ველარ დაიპერს. ხმელნიცკის ბევრი ჯარი ჰყავს და თავადს კი სად რა აბადია?... ისევ იმის სადროშოშივე ჰმსახურობთ თქვენა?

— მე ეხლა ელჩ-დესპანებთან ერთადა ვარ.

— ძალიან მესიამოვნა მაინც თქვენი ნახვა.

— თუ გესიამოვნათ, მაშ ერთი სიკეთე გამიწიეთ და სამუდამოდ მადლობელი ვიქნები თქვენი.

— რა სიკეთე?

— ეს მითხარით, სად არის ეხლა ბოგუნი, ის ქებული ატამანი, რომელიც ეხლა ერთი უფროსთაგანია თქვენ შორის?

— გაჩუმდი ე მანდა!—მრისხანედ შესძახა იაშევსკიმ.—ბედი შენი რომ ძველნი ნაცნობნი ვართ, თორემ ამ საათში დაგჩეხავდი.

სქშეტუსკიმ გაკვირვებით შეჰხედა იაშევსკის და ხელი მოუჭირა თავის ხმალს.

— ხომ არ გაგიჟებულხართ?

— არც გავგიჟებულვარ, და არც გემუქრები, მაგრამ ასეთია ბრძანება ხმელნიცკისა, რომ ვინც უნდა თქვენგანმა, თუნდა ელჩიც იყოს და იკითხოს რამე, მაშინადვე უნდა სიცოცხლე მოუსწრაფოთ. მე არ მოვიქმედებ ამას, სხვა მოიქმედებს და იმიტომ გაბრთხილებ, რომ მახსოვს ჩვენი ძველი ნაცნობობა.

— მერე მე ხომ აზრათ არა მაქვს-რა საიმისო, კერძოდ ჩემის საკუთარის შესახებ გეკითხები.

— სულ ერთია. ხმელმა გვითხრა ჩვენ, პოლკოვნიკებს და გვიბრძანა, რომ სხვებსაც ასევე გავუმეოროთ: „თუნდა შეშის ამბავი იკითხოს ვინმემ, მაშინვე მოჰკალითო“. თქვენებსაც ასე უამბეთ.

— გმადლობთ კვთილის რჩევისათვის,—სთქვა სქშეტუსკიმ.

— მარტო თქვენ გაფრთხილებთ ასე, თორემ სხვა ლიახი რომ ყოფილიყო, იქვე სულს გავაფრთხობინებდი.

ორივენი გაჩუმდნენ. ლიტანიით მიმავალნი უახლოვდებოდნენ ქალაქის ზღუდეთა კარს. ქუჩების აქეთ-იქით მრავლად იდგნენ შეიარაღებულნი ყაზახნი და მდაბიონი. ხმელნიცკის იქ ყოფნის გამო ვერ ჰბედავდნენ ელჩ-დესპანთა შეურაცხყოფას, თუმცა გაბოროტებულნი კი შესცქეროდნენ კამისარებს, ჰმუჭავდნენ მუშტებსა და ხმლებზედ ივლებდნენ ხელს.

სქშეტუსკიმ დააწყო რაზმად თავისი დრაგუნები, აიმაღლა თავი თავ-მომწონედ, გულ-ამაყობით და ნელ-ნელა მიდიოდა წინ განიერს ქუჩაზედ; არავითარს ყურადღებას არ აქცევდა, რომ მდაბიონი აქეთ-იქიდან ისეთის გაბოროტებით შესცქეროდნენ იმასაცა და მის ჯარსაც. გულში კი ჰფიქრობდა, რაოდენად გულ-დამშვიდებული, თავ-დაჭერილი და მოთმინებით აღსავსე უნდა იყოს კაცი, რომ შეასრულოს ის, რაც მე განვიზრახე და პირველისავე ნაბიჯის გადადგმაზედ არ დაიხრჩოს ამ მძულვარების ზღვაშიო.

XVIII

მეორე დღეს დესპანები დიდ ხანსა თათბირობდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, ეხლავ ჩავაბაროთ ხმელნიცკის მეფის საჩუქარ-ფეშქაშები, თუ შემდეგ, როცა მცირეოდენი მორჩილება დაეტყობა ან შენანებაო. გადასწყდა, რომ იქნება მაგისი გული მოალბოს მეფის ადამიანობამ და გულ-კეთილობამარ და ამიტომ მეორე დღესვე დიდის ამბით მიუძღვნეს მეფის გამოტანებული საჩუქარი და ფეშქაშები. ხმელნიცკი ელოდა დესპანებს თავის სახლ.ის-წინა, გარემოცული თვისის პოლკოვნიკებითა, ასისთავ-უფროსებითა, ყაზახთა რიცხვ-მრავალის ბრბოთი და მდაბიო ხალხითა; იმისი სურვილი ის იყო, რომ მთელს ხალხს გაეგო, აი რა პატივის ცემით მეპყრობა მეფეო. გეტმანი იჯდა კვარცხლ-ბეკზედ თავზედ კამარა გადაფარებული და გარშემორტყმული სახელმწიფოთა ელჩ-დესპანებითა. შემოკრებილ ხალხში მალ-მალ ისმოდა სიხარულის შეყივილი და ძახილი; ხალხს უხაროდა, რომ უმზერდა წინამძღვარსა თვისსა, რადგან ძალას სცემდა მხოლოდ პატივსა და ძალის განხორციელებაც იგი წინამძღვარი იყო. ერის ფიქრ-ოცნებას ჰგონია, რომ მხოლოდ ასეთი უნდა იყოს ჩვენი წინამძღვარიო, მძლეველი გეტმანთა, შლიახტისა და საზოგადოდ „ლიახებისა“, რომელთაც აქამდე გარს ერტყათ შარავანდედი უძლეველობისა. ამ ერთის წლის განმავლობაში ხმელნიცკი ცოტა არ იყოს დაბერებულიყო, გარნა არ მოხრილიყო კი; ახოვანს მხარ-ბეჭზედ ეტყობოდა კიდევ, რომ დიდი ძალ-ღონე აქვს მის პატრონსაო, რომ ამ კაცს კვლავ შეუძლიან მტვრად აქციოს სახელმწიფონი, ანუ შეჰქმნას და დაამყაროს ახალნიო; მისი ფართო სახე, დაჯიჯოებული უზომო ლოთობით, ამჟღავნებდა მისის პატრონის რკინასაებრ მტკიცე ნდომასა, უსამზღვრო ზვიადობასა და დაიმედებულ თავ-გამოდებასა; ყოველივე ესე დაჰბადა მისმა ძლევა-მოსილებამ. რისხვა და გრგვინვა მიყურსულიყო ამ კაცის პირი-სახის ნაკეცსა და ნაოჭე-

ბში და ადვილად მისახვედრი იყო, რომ თავს იჩენდა თუ არა ეს ძალა მისი, ყოველივე ქედს მოიდრეკდა ამ რკინის კაცის წინაშე სწორედ ისე, როგორც მთელი ტყე მოიხრის ხოლმე თავს, როცა გრიგალი დაუბერავს. მისი თვალები, დაწითლებულ ზოლებით გარშემოვლებულები, უკვე ჰყრიდა ცეცხლს მოუთმენლობისასა, რად იგვიანებენ აქამდე დესპანები და მალე არ მომართმეენ მეფის გამოგზავნილ ხალათსაო; ნესტოებიდან ამ სიცივეში სტვირივით ამოჰქროდა ორთქლი ორ-ტოტადა და აი ამ ნისლ-ბურუსიან დღეში გეტმანი იჯდა მთლად გაჭარხლებული, კოპებ-შეკრული, ზვიადი ელჩთა და პოლკოვნიკებ შორის, გარემოცული ზღვასავით მღელვარე ხალხითა.

ბოლოს გამოჩნდა დესპანთა კრებულიცა. წინ მიდიოდნენ მემუსიკენი ბობლან-წინწილებითა და მებუკენი, რომელთა ბუკნიცა ისეთს ხმას გამოსცემდნენ, გაჭიანურებულსა და გლოვით სავსესა, თითქო დასაფლავებაა რესპუბლიკის ღირსება-დიდებისაო. ორკესტრს უკან მიდიოდა და მიჰქონდა ხავერდის ბალიში, რომელზედაც კვერთხი იდო, კულჩინსკის, კიევის მოლარეს მიჰქონდა წითელი დროშა, რომელზედაც არწივი იყო მოქარგული და ზედ წარწერა ჰქონდა, ხოლო შემდეგ მიდიოდა მარტო კისელი, მაღალ-მაღალი, გამხდარი, თეთრის, გულზედ გადაფენილის წვერითა; მის კეთილშობილს სახეს დარჩენოდა იერი ტანჯვისა, მის გულს ჰხუთავდა უსაზღვრო სევდა-ნაღველი. მოურავ-ერისთავს მისდევდნენ უკან დანარჩენნი ელჩ-დესპანნი, ხოლო დრაგუნები და სქშეტუსკი სულ ბოლოს მისდევდნენ ამ ლიტანიით მიმავალთა.

კისელი მძიმე-მძიმედ მიდიოდა. მხოლოდ ახლა დაინახა ცხადად, რომ სამშვიდობო ხელ-შეკრულობის ნაფლეთებიდან, მეფის წყალობათა და შენდობის ზურგთ უკანიდან იცქირებოდა ნამდვილი, შიშველი, თავ-ზარ-დამცემი ჭეშმარიტება, რომელიც კადნიერად და ლირფობით ჩასცქეროდა მოურავ-ერისთავს თვალებში და ასეთის ყიჟინით აბრუებდა საცოდავს მხცოვანს: „შენდობა კი არ მოგაქვს შენ, ჰოი მოურავ-ერისთავო, არა, მოდიხარ იმიტომ რომ თვით ითხოვო იგი შენდობა, მო-

დიხარ, რომ იყიდო იგი ემაგ კვერთხითა და დროშითა, მოდიხარ ფეხით და უნდა წარსდგე ამ მონათა წინამძღვრის კვარცხლბეკის ქვედა საფეხურის წინაშე, მოდიხარ სრულიად რესპუბლიკის სახელითა, შენ, სენატორი და მოურავ-ერისთავი". სული კისელისა ჰგმინავდა ტკივილითა; ჰგრძნობდა, რა ყოვლადის სიმწარითა და დამცირებით იყო აღსავსე მისი ყოფა, ხოლო მის ყურებში გაჰქონდა ბჟუილი ერემიას სიტყვებს: „ისა სჯობს, ცოცხალნი არ ეიყოთ, ვიდრე ეცოცხლობდეთ მონათა და წარმართთა ტყვეობაში". რაღა ვარ ახლა მე ლუბნის მთავართან შედარებითაო, იმ მთავართან, რომელიც ამბოხებას წარმოდგენილი ჰყავდა არა სხვა გვარ, არამედ ვითარცა ზევესი მრისხანედ შერჰმულის წარბებითა გოგირდით გაჟღენთილ ჰაერში, ომის ცეცხლსა და თოფის წამლის ბოლში გახვეული? რაღა ვარ მეო? ეს აზრი სევდასავით დააწვა მოურავს გულზედა და ღიმილი სამუდამოდ გაჰქრა მის სახეზედ; ჰგრძნობდა, რომ სიკვდილი ერჩივნა, ვიდრე რამდენისამე ნაბიჯის გადადგმა წინ, მაგრამ მაინც მიდიოდა ნება-უნებურად,—მიდიოდა იმიტომ რომ ამას თხოულობდა მთლად მისი წარსული ცხოვრება, მთლად მისი მოღვაწეობა, მისი წინანდელი სურვილი და ლაპარაკი, ულმობელი ლოლიკა მისის მოქმედებისა.

ხმელნიცკი გაბუსხულივით იჯდა და წარბ-შერჰმული ელოდა მოურავს.

ელჩ-დესპანთა კრებული მიუახლოვდა ბოლოს ხმელნიცკის საჯდომსა საყდარსა. კისელი წარსდგა წინ და მივიდა თვით კვარცხლბეკთან. მებუკეთა შეჰწყვიტეს კვრა ბუკებისა, ჩამოვარდა დიდი დუმილი, მხოლოდ ცივი ქარი აფრიალებდა წითელს დროშას, რომელიც პან კულჩინსკის ეჭირა.

უცბად ეს დუმილი დაარღვია ვილაც კაცის ხმამ, რიხიანმა, ომახიანმა, რომელიც ისე გაისმა თითქო ყოვლადის განწირულებით სავსე ბრძანებაო:

— დრაგუნნო, უკან წამოდით! მომყევით მე!

ის ხმა პან სქშეტუსკის ხმა იყო. ყველამ თავი იქითკენ მიიბრუნა. თვით ხმელნიცკიმ ცოტათი წამოიწია, თითქო წამოდგომა უნდაო; დესპანები გაფითრდნენ.

სქშეტუსკი ცხენზედ წამომდგარიყო და უზანგებზედ იდგა; თავი მაღლა აეღო, გაფითრებული იყო; თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა, ხელში ამოწვდილი ხძალი ეჭირა; ნახევრად დრაგუნებისაკენ მიტრიალებულმა მან კვლავ შესძახა ჯარს თვისის ქუხილისა სიტყვებითა:

— მე მომყევით!

მოისმა ცხენების თქარა-თქური ამ გაყინულს დედა-მიწაზედ. კარგად გაწვრთნილმა დრაგუნებმა უცბად მოატრიალეს ცხენები, პარუჩიკი დადგა წინ, ანიშნა ხმლით, ვიაროთო და მთლად ჯარი დაიძრა მძიმედ, გასწია უკან საელჩოს სადგურისაკენ.

გაკვირვებამ და გაოცებამ შეიპყრო ყველანი, ხმელნიცკიც კი; პარუჩიკის ხმასა და მიხერა-მოხვრას რაღაც არა-ჩვეულებრივი იერი დაეტყო. არავინ არ იცოდა რიგიანად, ასე უცბად ჯარის უკან გატრიალება ცერემონიალის წესისამებრ მოჰხდა თუ არა. მხოლოდ ერთი კისელი მიჰხვდა ყოველსავე, მიჰხვდა, რომ ხელ-შეკრულობანიცა და ელჩ-დესპანთა სიცოცხლეც ჯარითურთ ძაფზედ-ღა ეკიდა. მოურავ-ერისთავი აღვიდა კვარცხლბეკზედ და, ვიდრე ხმელნიცკი მოიფიქრებდა რასმე და გაარკვევდა, რაც მოჰხდა, დაიწყო თქმა თვისის სიტყვისა.

კისელმა დაიწყო მით, რომ გამოაცხადა პატივება და წყალობა მეფისა ხმელნიცკისა და მთლად იმიერ-ჭორომეთისათვის, მაგრამ ამ დროს მოჰხდა ერთი გარემოება, რომელმაც მიიქცია საყოველთაო ყურადღება და ყველას გადააავწყა ის, რაც ამაზედ წინად მოჰხდა. ძეძიალამ, მოხუცმა პოლკოვნიკმა, რომელიც ხმელნიცკისთან ახლო იდგა, დაიწყო კვერთხის ქნევა და შეჰყვირა მოურავ-ერისთავს:

— რასა როშავ ე მანდა, კისელო? მეფე კი მეფეა, ხოლო თქვენ, მეფის კარის-კაცთა, თავადთა და მთლად შლიახტამ ბევრი რამ დააშავეთ. თვითონ შენც, კისელო, თუმცა ძვალი ხარ ჩვენთა ძვალთაგან, უარ-ჰყავ ჩვენი თავი და მიემხრე შლიახტას. გვეყოფა ეგ შენი მიდებ-მოდება! ჩვენ ხმლით მოვიპოვებთ იმას, რაც საჭიროა ჩვენთვის.

მოურავ-ერისთავმა წყენითა და მწუხარებით შეჰხედა ხმელნიცკის.

— ასე გაწვრთნილი გყავთ, ბატონო გეტმანო, თქვენი პოლკოვნიკები?!

— ხმა ჩაიწყვიტე, ძეძიალა!—შეუტია გეტმანმა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! დილითვე გამოსკდა და ღრიალებს აქა!—შეუტიეს სხვა პოლკოვნიკებმაცა.—დაიკარგე აქედანა, თორემ კინწიკვრით გაგაგდებთ.

ძეძიალა თავისას არ იშლიდა, მაგრამ სტაცეს საყელოში ხელი და ძალით გააგდეს კრებიდან.

მოუვრავ-ერისთავმა განაგრძო თავისი მჭევრმეტყველური სიტყვა და სთქვა, რომ დიდი წყალობა მიიღო დღეს გეტმანმა მეფისაგანაო; ეგ წყალობაა ეს ნიშნები კანონიერის ხელმწიფებისა, რომელიც აქამდე თვით-ნებობითა ჰქონდა მითვისებული. მეფეს შეეძლო დასჯა მისი, ხოლო ამ წყალობით პატიებასა და შეწყნარებას ანიჭებს იმ მორჩილებისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ზამოსტიეში და კიდევ იმიტომ რომ წინანდელი საქციელი ხმელნიცკისა გეტმანმა მოიქმედა მეფის გამეფებამდე. დარწმუნებული ვარ, რომ ხმელნიცკი, რომელსაც ამდენი დანაშაული მიუძღვის, მადლობელი იქნება მეფისა წყალობისა და პატივებისათვის, შესწყვეტავს სისხლის-ღვრას, დაამშვიდებს მდაბიო ხალხს და შეუდგება მოლაპარაკებას მეფის კომისარებთან მშვიდობის ჩამოსაგდებად.

ხმელნიცკიმ მდუმარებით მიიღო კვერთხი და დროშა, რომელიც მაშინვე გააშლეეინა. მდაბიოთა ბრბომ ამის დანახვაზედ შეჰქმნა სიხარულით ყვირილი და აღარავის აღარა გააგონა-რა იმისი, რაცა სთქვა შემდეგ მოურავ-ერისთავმა. გეტმანს სახეზე სიამოვნება გამოეხატა. პატარა ხანს იყო კიდევ გაჩუმებული და შემდეგ დაიწყო:

— იმ დიდის წყალობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ მეფის სახელით, იმისათვის, რომ მისი უდიდებულესობა მაჯილდოვებს და ჯარის უფროსობასაც მანიჭებს, წინანდელ ჩემს შეცოდებასაც მაპატიებს, უმდაბლესად გმადლობთ. მე სულ

იმას ვამბობდი, რომ მეფე ჩემსკენ არის და თქვენ გეწინააღმ-
დეგებათ-მეთქი, უსამართლო მაგნატებო და დარბაისელნო! ამა-
ზედ უკეთესი დამტკიცება რაღა უნდა, რომ მეფე მაჯილდო-
ვებს მე იმისთვის, რომ ყელებსა გჭრიდით თქვენ. შემდეგაც ასე
მოგექცევით, თუ ვინიცობაა არას გაიგონებთ და არ დამემორ-
ჩილებით მეცა და მეფესაცა.

ეს უკანასკნელი სიტყვები ხმა-ამაღლებით წარმოსთქვა
ხმელნიცკიმ; თან წარბებს იკრავდა და სახე ეღუშებოდა, თი-
თქო მრისხანებამ შეიპყრო სრულიადაო. კომისარები სულ გა-
ქვავდნენ, რაკი ასეთი მოულოდნელი მიმართულება მიიღო
ხმელნიცკის ლაპარაკმა. კისელმა დამშვიდებით უპასუხა:

— მეფე გიბრძანებთ თქვენ, პან გეტმანო, შესწყვიტოთ
სისხლის-ღვრა და შეუდგეთ ჩვენთან მოლაპარაკებას.

— სისხლს მე კი არა ვღვრი, ლიტველი ჯარები ჰღვრი-
დნენ.—კადნიერად გააწყვეტინა სიტყვა გეტმანმა კისელსა.—მე
მაცნობეს, რომ რაძივილმა ამოსწყვიტა ხალხი ჩემს მოზირსა და
ტუროვში და თუ ეს მართალია, თქვენი დატყვევებული დი-
დებულები ცოტა არა მყავს მე,—ვუბრძანებ, რომ ეხლავე ყვე-
ლას თავები მოჰკვეთონ. ხელ-შეკრულობის დადებას მე ეხლავე
არ შეუდგები. ეხლა მე ჯარი არა მყავს, მხოლოდ ერთი მუ-
ჭა პოლკოვნიკები მახლავს აქა, დანარჩენები საზამთრო ბინებ-
ზედ არიან, ხოლო უიმათოთ მე ვერ დავიწყებ მოლაპარაკებას.
ესეც არ იყოს, აქ ამ ყინვაში რა დროს ლაპარაკია! რაც უნდა
მოგეცათ თქვენ ჩემთვის, უკვე მომეცით; ახლა ყველამ იცის,
რომ მე გეტმანი ვარ მეფის ბრძანებით, ხოლო აწ გთხოვთ
ჩემთან მობრძანდეთ სადილად. მე მშიერი ვარ.

ხმელნიცკი თავის სახლში წაიდა, ხოლო იმას გაჰყვნენ
ელჩ-დესპანნი და პოლკოვნიკები. ერთ დიდს შუა ოთახში
სუფრა გაშლილი სტოლი იდგა, რომელიც იზნიქებოდა დავ-
ლით შეძენილ ვერცხლეულობის სიმძიმის გამო; ამ ვერცხლე-
ულში კისელს შეეძლო ეცნო თავისი საკუთარი ჭურჭლეუ-
ლიცა, რომელიც ყაზახებმა წაიღეს შარშან, როცა მისი გუ-
შჩი აიკლეს. სუფრაზედ დახორავებული იყო უხვად ღორის

ხორცი, ძროხის ხორცის ხაშლამა და აქავ იდგა თათრული ფლავი დიდის სინ-ლანგრებითა; მთლად ოთახში იდგა სუნი არაყისა, რომელიც ვერცხლის ბადიებში ჩაესხათ და ისე დაედგათ სტოლზედ. ხმელნიცკიმ კისელი მარჯვნივ მოისვა, ხოლო მარცხნივ დასვა კაშტელიანი ბეოზოვსკი და, ანიშნა რა არაყი, უთხრა:

— ვარშავაში ამბობენ, რომ ვითომ მე ლიახების სისხლსა ესვამდე, მე კი ამ არაყსა ვრჩეობ, ხოლო ლიახების სისხლი ძაღლებისათვის დამითმია.

პოლკოვნიკებმა ისეთი სიცილ-ხარხარი ასტეხეს, რომ დარბაზის კედლებმა სულ ხარხარი დაიწყო.

აი ასეთი საუზმე მოართვა გეტმანმა კომისარებს სადილ წინად, ხოლო კომისარებმა ხმა-ამოუღებლივ გადაჰყლაპეს ასეთის თავაზიანობით მოართმეული საჭმელი, რადგან ეშინოდათ, როგორც ამბობს ლეოველი მემატიანე, ვაი თუ შეკამათებით „უფრო გავამძვინვაროთ ეს მხეცი“.

მხოლოდ ჭირის ოფლმა დაასხა შუბლზედ კისელსა.

დაიწყო სადილი. პოლკოვნიკები ხელით იღებდნენ ლანგრებიდან ხორცის ნაჭრებს. კისელსა და ბეოზოვსკის თვით გეტმანი სთავაზობდა ხორცს და სადილის დაწყებისას ყველანი მდუმარებდნენ, რადგან პურის ჭამას ეშურებოდნენ. ამ დუმილში ისმოდა მხოლოდ მოსადილეთა ჭლიპა-ჭლუპი და მათი ხმამაღლა ბოყინი; ათასში ერთხელ თუ წამოისროლებდა ეინმე თვითეულს სიტყვას, მაგრამ ისიც უპასუხოდ რჩებოდა. ბოლოს, ხმელნიცკიმ დალია რამდენიმე ჯამი ფეტვის არაყისა და უცბად შეეკითხა კისელსა:

— თქვენს სამგზავრო ჯარს ვინა უფროსობდა?

კისელი მეტად შეაწუხა ამ შეკითხებამა.

— სქშეტუსკი, ჩინებული რაინდი,—სთქვა მან.

— ვიცნობ. მერე რატომ არ ინდომა, რომ დასწრებოდა იმ დროს, როცა გადმომეცა წყალობა მეფისა?

— ის ჩვენთან წარმომადგენლად კი არ იყო გამოგზავნილი, არამედ ჯარის უფროსად გზაში და იმიტომ.

— ვინ უბრძანა მერე ეგა?

— მე. მე მეგონა, რომ უხერხული და უთავაზო საქმე იქმნებოდა, დრაგუნები ყოფილიყვნენ ჩვენ თვალ-წინ მაშინ, როდესაც ეს დიდებული საქმე შესრულდა.

— მე სხვაფრივ მეგონა, მაგ ჯარის-კაცს მტკიცე ხასიათი აქვს.

ლაპარაკში ჩაერია ამ დროს იაშვილიცა.

— ჩვენ ეხლა დრაგუნებისა არ გვეშინიან,—სთქვა მან.— ლიახები ოდესმე ძლიერნი იყვნენ დრაგუნების წყალობით, ხოლო ახლა პილაევეცთან დავრწმუნდით, რომ ლიახები ისინი აღარ არიან რომელნიც ოდესმე სძლევდნენ ოსმალთაც, თათართაცა და ნემენცებსაც კი...

— არა ზამოისკები, ულკევსკები, ხოდკევიჩები, ხმელეცკები და კონეცპოლსკები,—გააწყვეტინა სიტყვა ხმელნიცკიმ,— არამედ ტრუსოვსკები, ბალლნი, რკინაში ჩამსხდარნი. შიშით დაიხოცნენ, ჩვენ რომ დაგვინახეს და გაიქცნენ, თუმცა თათრები სამი-ათას კაცზედ მეტნი არა ყოფილან...

ელჩ-დესპანნი ჩუმად იყვნენ. საჭმელ-სასმელიც კი ყელში ეხიდებოდათ.

— უმორჩილესადა გთხოვთ, შეექეცით, — შესთავაზებდა ხმელნიცკი,—თორემ ასე მეგონება, რომ ჩვენს სადა ყაზახურს საჭმელებს იწუნებს თქვენი ბატონური ნებიერობა-მეთქი.

— თუ პატარა ყანყრატონი აქვთ, შეიძლება ცოტათი გადუჭრათ,—დაიღრიალა ძეძიალამ.

საკმაოდ შეზარხოშებულმა პოლკოვნიკებმა ერთი ხარხარი ასტეხეს, მაგრამ ხმელნიცკიმ თვალების ბრიალით გადაჰხედა და დუმილი ჩამოვარდა კვლავ.

კისელი ავად იყო აგერ რამდენიმე ხანი და ფერი აღარ ედო, ისე ჩამომდნარიყო, ხოლო ბეოზოვსკი ჭარხალივით გაწითლებული იჯდა.

ბოლოს ველარ მოითმინა ბეოზოვსკიმ და გაჯაერებით წარმოსთქვა:

— სადილად მოვსულვართ აქა, თუ იმიტომ რომ მასხარად გვიღებდნენ და გვაწბილებდნენ?

— თქვენ მოხვედით, რომ ხელ-შეკრულობა დასდოთ, ხოლო ამ დროს ლიტველი ჯარები სწვავენ სოფლებს და ჰყლეტენ ხალხს,—უპასუხა აჩქარებით ხმელნიცკიმ.—მოზირი და ტუროვი ამოუწყვეტიათ, და თუ ეს მართალია, ვუბრძანებ, რომ თქვენ თვალ-წინვე მოჰკვეთონ თავი თქვენს ორმოცს ტყვეს.

ბჟოზოვსკიმ, თუმცა ძნელი იყო, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა. დიაღ! სიცოცხლე ტყვეთა გეტმანის გუნებაზედ იყო დამოკიდებული, იმის ერთს ხელის გაქნევაზედ; მეტი ღონე არ იყო, უნდა ყოველივე მოეთმინათ და კიდევაც იმას უნდა ცდილიყვნენ, რომ დაემშვიდებინათ ყაზახთა ბატონი, რათა უარესი არა წაჰკიდებოდათ-რა.

ამ აზრით დაიწყო ლაპარაკი ნელის ხმით კარმელიტელმა ლენტოვსკიმ, კაცმა მშვიდობიანმა და მოშიშარმა:

— მოწყალე ღმერთი ინებებს და გვამცნევს, რომ შესაძლოა, მოზირისა და ტუროვის შესახები ამბავი მართალი არ არის.

მაგრამ ძლივს გაათავა მან თავისი სიტყვა, რომ თედორე ვესნიაკმა, ჩერკასელმა პოლკოვნიკმა შემოიქნია კვერთხი და უნდოდა კეფაში დაერტყა კარმელიტელისათვის, მაგრამ მის ბედზედ შორს იჯდა ვესნიაკიდან. მან მხოლოდ ლანძღვა დაიწყო:

— ხმა ჩაიწყვიტე, წვერ-ცამეტავ! რა შენი საქმეა, რომ შენის როშვით გვასულელებ აქა! გავიდეთ კარში და მე გაჩვენებ, როგორ უნდა სცე პატივი იმიერ-ჭორომეთის პოლკოვნიკებს.

ამხანაგებმა დაუწყეს დამშვიდება გამძვინვარებულს პოლკოვნიკს, მაგრამ რაკი ვერ მოახერხეს, კინწის კვრით გააგდეს გარედ.

— როდის გნებავთ, პან გეტმანო, რომ შეკრბეს კომისია?—ჰკითხა კისელმა, რათა სხვა ხასიათი მიეცა ლაპარაკისათვის.

საუბედუროდ, ხმელნიცკიც უკვე კარგა გადაკრული იყო.

— ხვალ საქმეც იქნება და განკითხვაცა; ახლა მე მთვრალი ვარ!—დაიღრიალა გეტმანმა.—რას ჩამცივებიხართ ამ კო-

მისიას, არც ჭამას მაცდით, არც სმასა? მეყო მაგისთანაების მოსმენა! ახლა ომი უნდა იყოს (რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა ხელი ამ სიტყვებზედ სტოლსა). ოთხ კვირაზედ სულ ყირამალა გადავაბრუნებ ყოველსავე და ჩაგახრჩობთ ყველას და მერე მიგყიდით ოსმალეთის მეფეს. მეფე იმის მეფეა, რომ ჰყლიტოს თავად-აზნაური, კარის-კაცნი და თავადნი. დააშავა რამ თავადმა—მოჰკვეთოს თავი, დააშავა ყაზახმა—გაგორდეს იმის თავიცა! შვეტებით მაშინებთ, მაგრამ ვერც თქვენი შვეტები შემაშინებენ. ტულაი-ბეი შორს არ არის აქედან, ჩემი ძმობილი, ჩემი სული, ერთად-ერთი ვაჟკაცი მთელს ქვეყნიერებაზედ; ის მზად არის ყოველივე შეასრულოს, რასაც კი მოვინდომებ.

აქ ხმელნიცკიმ, როგორც შეეფერება მთვრალის კაცის უხასიათო შერყეობას, უცბად შესცვალა კილო მრისხანებისა და ლმობიერებით დაიწყო. ხმაც კი უკანკალებდა ტულაი-ბეის ხსენებაზედ.—თქვენ გინდათ, რომ მახვილითა ჩემითა მივიქცე თათრებისა და ოსმალეთის საჟლეტად, მაგრამ მაგას ვერ მოესწრებით! უმალ თქვენ შემოგიტევთ ჩემის მეგობრებითა. მე ჩემი ჯარები დავითხოვე, რომ ყაზახებმა გამოჰკვებონ თავიანთი ცხენები და მზად იყვნენ გასალაშქრებლად უურმებოდა და უზარბაზნებოდ,—ყველა ამას ლიახებშიაც ვიშოვით. ვინც ყაზახთაგანი ურემს წამოიღებს, ჩამოვახრჩობ, ხოლო მე თვითონ ეტლს არ წამოვიღებ, ჩემი ბარგი იქნება მხოლოდ უნაგირი და ხურჯინი. ასე მოვალ ვისლამდე და დავიძახებ: ეყარენით თქვენთვის და იყავით ჩუმად, ლიახნო! ხოლო თუ ვისლას იქით დაიწყებთ ყვირილს, იქაც მოგაგნებთ. გვეყო თქვენი ბატონობა, ფარფაში თქვენის დრაგუნებისა, თქვე წყეულნო ქვეწარმავალნო, ტყუილის გუდანო.

წამოხტა თავის ადგილიდან, გადააფურთხა შუაგულ ოთახისა, წაივლო ხელი თმაში და ფეხის ბრაგუნით განაგრძო ყვირილი, რომ ომი უნდა იყოსო, რომ ნება-რთვა და ლოცვა-კურთხევა მივიღე ამისათვისაო, რომ მე კომისიასა და კომისა-

რებთან საქმე არა მაქვს-რაო, რომ მე ვარ და დროებით მო-
რიგებასაც არა ვუაბულობო.

ბოლოს ხმელნიცკიმ შენიშნა გაოცება კომისარებისა, მო-
აგონდა, რომ თუ ესენი წავიდნენ ახლა, მაშინვე ომი დაიწყე-
ბა, ამ ზამთარსვე, როცა ყაზახებს არ შეეძლებათ საფრების
გაკეთება; ამიტომ დამშვიდდა ისევ და კვლავ ჩამოჯდა ტახტ-
ზედ. თავი ჩაქინდრა, ხელები ძირს ჩამოეშვა. გეტმანი ისვე-
ნებდა აღელვების შემდეგ. აი წაავლო მან ხელი არაყით სავსე
ჯამს.

— ღმერთმა ადღეგრძელოს მისი უდიდებულესობა მეფე!—
დაიძახა ხმელნიცკიმ.

— ადღეგრძელოს!—გაიმეორეს პოლკოვნიკებმა.

— ოჰ, კისელო, შენ ნუ სწუხარ,—განაგრძო გეტმანმა,—
და გულში ნუ ჩაირჩენ, რასაც ეხლა ვლაპარაკობ. მე ეხლა
მთვრალი ვარ. მე მკითხავმა მითხრა, რომ ომი უნდა იყოსო,
მაგრამ დავიცდი პირველ ჟიჟომდე, და აი დეე მაშინ შეკრბეს
კომისია. მაშინ ტყვეებსაც გავანთავისუფლებ. მე მითხრეს, რომ
თქვენც ავადა ხართ, თქვენ ღმერთმა გადღეგრძელოთ მაშ.

— გმადლობთ, გეტმანო იმიერ-ჭორომეთისავ,—სთქვა კი-
სელმა.

— თქვენ ჩემი სტუმარი ხართ; ეს არ დამვიწყებია.

აქ ხმელნიცკი კვლავ მოლბა და გული აუჩუყდა და მიე-
ტანა მოურავ-ერისთავს საკოცნელად. იმას მიჰბაძეს სხვა პოლ-
კოვნიკებმაც, დაუწყეს მეგობრულად ხელის ჩამორთმევა კო-
მისარებს, სცემდნენ ალერსით ხელს მხრებზედ და გეტმანთან
ერთად იმეორებდნენ: „პირველ ჟიჟომდე!“ კომისარები ისე
ისხდნენ, როგორც ჩიტი ნარის ეკალზედ. ესეც კია, რომ მუ-
ქარასაც ისმენდნენ მაინც ამ ყაზახურ ალერსთა შორის. რიგი
უყვიროდა მოურავ-ერისთავს: „ჩვენ ლიახების ჟლეტა გვინდა,
შენ კი ჩვენი კაცი ხარ!“ რიგი ეუბნეოდა: „როგორა ხართ,
პანებო? წინად თქვენ გვამტვრევდით თავ-პირს და ახლა შენ-
დობასა თხოულობთ! სიკვდილი თქვენ, ნაზის ხელების პატრო-
ნებო!“ ატამანმა ვოლკმა, რომელიც მეწისქვილედ იყო ნა-

შეოფი ნესტერვარში, გამოაცხადა: „მე თავადი ჩეტვერტინსკი, ჩემი ბატონი, მოვკალი!“ — „მოგვეცით ერიომა, — ღრიალებდა და თან ტორტმანებდა იაშვილი, — და ჩვენც გაპატივებთ!“

ისეთი სიცხე იყო ოთახში, რომ სულის მობრუნება სჭირდა; სუფრაზე ეყარა ხორცის მონარჩენი, პურის ნამტვრევები, აქა-იქ დაღვრილი იყო არაყი, ისე რომ კაცს დანახვა შეეზარებოდა, ბოლოს შემოვიდნენ მკითხავებიც, რომელთა მკითხაობასაც დიდ ხანს ისმენდა ჩვეულებრივ გეტმანი. კისელს სულ გული უწუხდებოდა.

— გმადლობთ, გეტმანო, მასპინძლობისათვის, — სთქვა მან მისუსტებულის ხმით.

— მე ხვალ თქვენთან მოვალ სადილად, — უპასუხა გეტმანმა, — ახლა კი წადით თქვენთვისა. დონეცი გაგაცილებთ ყაზახებით სახლამდე, რომ გზაში არავინ ბრბოთაგანმა შეურაცხყოფა არა მოგაყენოთ-რა.

კომისარებმა თავი დაუკრეს და წავიდნენ. დონეცი, მართლაც, სახლ-წინ უცდიდა დესპანებს.

საელჩო მდუმარებით გაემართა ბინისაკენ. აღმოჩნდა, რომ მათთვის ბინა სხვა-და-სხვა უბანში იყო დამზადებული. ხმელნიცკის განგებ მოეხერხებინა ასე, რომ არ შესძლებოდათ დესპანებს მალ-მალ ნახვა ერთმანეთისა და მოლაპარაკება.

გატანჯული, გაწამებული კისელი მაშინვე ჩაწვა ლოგინში და მეორე დღემდე აღარ ამდგარა. მხოლოდ შუადღისას ბრძანა, სქშეტუსკის დამიძახეთო.

— ის რა მოიქმედეთ, ნეტავ, რა? — სთქვა მან. — რა მოიქმედეთ ერთი? თქვენი თავიცა და ჩვენც სასიკვდილოდ გაგვწირეთ.

— ჩემი ბრალია, ბატონო მოურავ-ერისთავო! — უპასუხა რაინდმა. — მეც არ ვიცი, რა მემართებოდა, ხოლო ეს კია, რომ ასჯერ სიკვდილს ვირჩევდი, ვიდრე ყოველ იმის ნახვას, რასაც იქ ვხედავდი.

— ხმელნიცკიმ შეურაცხყოფად მიიღო. ძლივს მოვახერხე და დავამშვიდე ის გამძვინვარებული მხეცი. აეუხსენი, ასე და

ასე იყო-მეთქი საქმე. დღეს ჩემთან უნდა იყოს და ალბად გკითხავს, რა მოიქმედე ისაო. შენ ჩემი უთხარი, რომ ასე მიბრძანა-თქო.

— დღეიდან გთხოვთ ჯარის უფროსობა ბრიშოვსკის გადასცეთ; ის უფრო ზორბაა ჩემზედ.

— ეგ უკეთესი; შენი ხასიათი არ გამოდგება დღევანდელს ჩვენს ყოფაში. ვერას დაგაბრალებთ, მხოლოდ გაუფრთხილებლად მოიქეცი; ახალგაზდა ხარ და არ გეხერხება თავის შეკავება; მწუხარებას ვერ ითმენ.

— მწუხარებას მიჩვეული გახლავარ, ბატონო მოურავ-ერისთავო, მხოლოდ შერცხვენის ატანა არ შემიძლიან.

მოურავ-ერისთავმა ოდნავ ამოიკვნესა, თითქო დაჭრილიაო და თითქო მის დაწყლულებულს იარას ხელი შეახო ვინმეო. ამოიკვნესა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— პირველად არ მეყურება მაგისთანა სიტყვები...—წინად მწარედ ცრემლებსა ვღვრიდი, როცა მაგისთანა სიტყვები მესმოდა, ხოლო ახლა ცრემლებიც შემაშრა.

სქშეტუსკის შეეცოდა ეს მხცოვანი, რომლის სახეც მოწამის სახესა ჰგვანდა და რომელიც თვისსა უკანასკნელს დღეებს ჭლევდა სულიერისა და ხორციელის უძლურების ორ-კეც ტვირთ ქვეშე.

— ბატონო მოურავ-ერისთავო, ღმერთია მოწამე, რომ ჩემი ლაპარაკი შეეხებოდა მხოლოდ იმ საშინელ დრო-ჟამსა, როცა სენატორები და რესპუბლიკის დიდებულ-დარბაისელნი იძულებულნი არიან თავი მოუხარონ მეამბოხეს, რომლის ერთად-ერთი ჯილდო მის ქცევისათვის მხოლოდ სახრჩობელა უნდა იყოს.

— ღმერთმა გაკურთხოს შენის სიტყვებისათვის. ვიცოდი, რომ ბოროტის განზრახვით არა გითქვამს-რა. მაგრამ რასაც შენ ამბობ, მაგასვე ამბობს თქვენი თავადიცა, იმის მიბაძვით ჯარიცა, თავად-აზნაურობა, სეიმები, ნახევარი რესპუბლიკისა და აი მთლად ეს ტვირთი ზიზღისა და მძულვარებისა მე მედება კისრად.

— ყველა ისე ემსახურება სამშობლოს, როგორც იმისი გონება სჯრის; დეე ღმერთმა განსაჯოს ადამიანი მხოლოდ მისთა განზრახვათა მიხედვით, ხოლო რაიცა შეეხება ერემიას, ის ემსახურება სამშობლოს თვისის სიცოცხლითა და მთელის თვისის ქონებითა.

— და დიდებაც აკი იმიტომ შემოჰხვევია გარშემო შარავანდედივით,—უპასუხა მოურავ-ერისთავმა.—ხოლო მე, მე რაღას ვხედავ? ოჰ, კარგად ამბობ: დეე ღმერთმა განსაჯოს ადამიანი მხოლოდ მის განზრახვათა მიხედვით და მოსვენება მაინც აღირსოს საფლავში იმას, ვინც უფრო მეტი მოითმინა, ვიდრე შეეძლო.

სქშეტუსკი მდუმარებდა. კისელმა აღაპყრო მაღლა თვალნი და ისე დაიწყო ლაპარაკი პატარა ხანს უკან.

— მე რუსინი ვარ ხორცითაცა და სულითაცა. იმ ქვეყანაში განისვენებენ ძვალნი თავად სეიატოლდიჩებისა და მე მიყვარდა ის ქვეყანაცა და ის ღვთის ხალხიც, რომელიც იქა სცხოვრობს. ვაკვირდებოდი და ვხედავდი უსამართლობას ჩვენის მხრითაცა და იმათის მხრითაც; ვხედავდი იმიერ-ჰორომეთის თავ-შეუკავებელ თვით-ნებობას, გარნა ამასთანავე ვხედავდი იმათ აუტანელ გულ-ზვიადობასაც, რომელთაც უნდოდათ დამონავება ამ სამამაცო ზნით გამსჭვალულის ხალხისა. როგორ უნდა მოვქცეულიყავ ამ ყოფაში მე, რუსინი და მასთან ერთგული შვილი და სენატორი რესპუბლიკისა? მე მიევმხრე იმათ, რომელნიც ამბობდნენ: pax vobiscum—მშვიდობა თქვენდა!—ამას მიბრძანებდა ჩემი შთამომავლობა, ჩემი გული, იმიტომ რომ მშვიდობის მოსურნეთა შორის იყო განსვენებული მეფეცა და კანცლერიც, პრიმასიცა და ბევრი სხვაცა; მე ვიცოდი, რომ უთანხმოება, არეულობა დაღუპვაა. მინდოდა სიკვდილამდე, სულის ამოსვლამდე მეღვაწნა თანხმობისათვის, და, როცა სისხლის ღვრა უკვე დაიწყო, ასე ვფიქრობდი გულში: მე ვიქნები ანგელოზი შერიგებისა-მეთქი. და მეც მოვკიდე ხელი ამ საქმეს, ვიღვწოდი ცა ეხლაც ვიღვწვი, თუმცა გულს სევდა არა შორდება, ტანჯვა არ მიმცირდება, სირცხვილი თავს

მევლება და, რა უფრო საშინელებაა, ეჭვი არა მშორდება... ვფიცავ ღმერთს! მე ეხლა არ ეიცი, თქვენი თავადი უფრო ადრე გაჩნდა მახვილითა, თუ მე ჩემის ზეთის ხილის შტოთი, გარნი ვხედავ, რომ იღუპება ამაგი და ჭირნახული, რომ ძალ-ღონე მელევა, რომ ამაოდ ვახეთქებ ჩემს ჭაღარა თავს კედელსა და რომ, ცალის ფეხით საფლავში ჩამდგარი, ვხედავ ჩემ წინაშე მხოლოდ ერთ წყვდიადსა და დაღუპვას, ოჰ, ღმერთო დიდებულო!.. საყოველთაო დაღუპვას.

— ღმერთი მოგვივლენს ღონეს ხსნისასა.

— ოჰ, თუ იგი მოგვივლენს ნათელს ჩემ სიკვდილის წინად, მაშინ განწირულებით აღარ მოვკვდები; მაშინ მადლობელი ვიქნები მისი ყოველის ჩემის ტანჯვისათვის, ჩემის მძიმე ჯვარისათვის, იმისათვის, რომ მდაბიოთა ბრბო თხოულობს ჩემის თავის მოკვეთას; ავრედვე იმისათვისაც, რომ სეიმებზედ მოღალატეს მიწოდებენ, იმ სირცხვილისათვის, რომელიც მომცხეს მე, მთლად იმ მწარე ჯილდოსათვის, რომელიც მე მივიღე ორისავე ბანაკის მხრით!

მოურავ-ერისთავმა აღაპყრო თვისნი გამხმარნი ხელნი ცადმიმართ და ორი დიდი ცრემლი, იქნება ორი უკანასკნელი ცრემლი მის სიცოცხლეში, ჩამოგორდა მის ლოყებზედ.

სქშეტუსკიმ ამაზედ მეტი ვეღარ მოითმინა. დაეცა მუხლის თავებზედ მოურავ-ერისთავის წინაშე და წარმოსთქვა მღელვარებისაგან ათრთოლებულის ხმით:

— მე ჯარის-კაცი ვარ და სხვა გზას ვადგივარ, მაგრამ არ შემიძლიან არ შევიწყნარო თქვენი ღვაწლი და ამაგი, თქვენი დამსახურება და მწუხარება!

და ვისნეეეკის სადროშოს რაინდი დაეკონა იმ რუსინის ხელს, რომელსაც რამდენისამე თვის წინად თვითონვე, სხვებთან ერთად, მოღალატეს უწოდებდა.

კისელმა ორივე ხელი თავზედ დაადო.

— შვილო ჩემო,—სთქვა მან ნელის ხმით,—განუგეშოს და გაკურთხოსცა ღმერთმა ისე, როგორც მე შენ გაკურთხებ და გლოცავ.

ხმელნიცკი კარგა გვიან მივიდა სადილად მოურავ-ერისთავთან და თან საშინელ ცუდს გუნებაზედ იყო. მისვლის უმალვე გამოაცხადა, რომ რაც გუშინა ეთქვი მშვიდობიანობას ჩამოვაგდებ-მეთქი, კომისია შეიკრიბოს სულთ-მოფენობასა-მეთქი და ტყვეებს გაეანთავისუფლებ-მეთქი, სიმთვრალეში ვთქვი, ახლა კი ვხედავ, რომ ჩემი მოტყუება გინდათ.—კისელი, რამდენადაც შეეძლო, ამშვილებდა, საბუთებს უშლიდა წინა, მაგრამ ყოველივე ესე ამაო შეიქნა. გეტმანმა ისე დაიწყო ქცევა, რომ კამისარებს ისევ გუშინდელი ხმელნიცკი ენატრებოდათ. პან პოზოვსკის. კვერთხი დაარტყა მხოლოდ იმიტომ, რომ რატომ დროზედ არ მოხვედიო.

ეერაფერმა ღონისძიებამ ვერ გასჭრა და მხოლოდ არაყისა და გუშჩის მშვენიერ თაფლ-ღვინის შემდეგ მოვიდა გეტმანი ქეიფზე, მაგრამ სამაგიეროდ საქმეების შესახებ არავითარის ლაპარაკის მოსმენა არ უნდოდა. „თუ სმაა, ვსვათო,—საქმეები ხვალ იყოსო, არა და ავდგები და წავალ ეხლავეო. ნაშუალამეის მესამე საათი იყო დაწყებული, რომ ხმელნიცკი ახირდა, მოურავ-ერისთავის საძილე ოთახში უნდა შეეიდეო. მოურავი ყოველის ღონის-ძიებით ეწინააღმდეგებოდა გეტმანის ამ უცნაურს სურვილს. სქშეტუსკი ჰყავდა იქ დამალული, რადგან ეშინოდა, უსიამოვნობა არა მოუხდეთ-რა იმასა და გეტმანსაო და იმიტომ. ხმელნიცკი თავისას არ იშლიდა და შეეიდა კისელის ოთახში; იმას თან გაჰყვა კისელიცა. წარმოიდგინეთ გაკვირვება მოურავ-ერისთავისა, როცა გეტმანმა, დაინახა თუ არა რაინდი, თავი დაუკრა და დაიძახა.

— სქშეტუსკი! რატომ შენ კი არა სვამ ჩვენთანა?—გეტმანმა მეგობრულად გაუწოდა პარუჩიკს ხელი.

— ავად გახლავართ,—უპასუხა მან და თავი დაუკრა.

— ჰო, კიდეც იმიტომ წამოხვედით გუშინ ისე საჩქაროდ.

— ბრძანება ჰქონდა და იმიტომ,—ჩაურთო სიტყვა კისელმა.

— ჰო, მე თქვენ ვერ მომატყუილებთ. ვიცი, ვიცი, რომ მაგას არ უნდოდა ენახა, როგორც მეცით მე გუშინ პატივი.

დიდი ეშმაკია ეს ვაჟბატონი! მაგრამ რაც სხვას დაუსჯელად არ ჩაუვლიდა, ამისთვის ჩაივლის. მე ეს კაცი მიყვარს; ჩემი გულითადი მეგობარია.

კისელმა გაოცებით დააშტერა თვალები, ხოლო გეტმანმა მოულოდნელად ჰკითხა სქშეტუსკის:

— თქვენ იცით კი მერე, რისთვისაც მიყვარხართ?

სქშეტუსკიმ თავი გაიქნია იმის ნიშნად, რომ არ ვიცი.

— იქნება გგონიათ, რომ იმისთვის, რაც ომელნიკს მოჰხდა ჩვენ შორის? არა, იმისთვის არა. მე მაშინ მოგეცით ბეჭედი, რომელშიაც იესო ქრისტეს საფლავის მიწა იყო. მაგრამ ის ბეჭედი აღარ მიჩვენეთ, როცა ჩემს ხელში იყავით... ჰო. მაინც გაგანთავისუფლეთ მაშინ. არა, მაგისთვის არა. თქვენ სხვა სამსახური გამიწიეთ და იმ სამსახურისათვის მიმაჩნიხარ ჩემს მეგობრად: იმ სამსახურისათვისა ვარ თქვენი მადლობელი.

სქშეტუსკი გაჰკვირდა ახლა და გაოცებით დაუწყო ცქერა ხმელნიცკის.

— შეჰხედეთ ერთი, რანაირ უკვირს, – სთქვა გეტმანმა,— მაშ, კარგი, მე მოგაგონებთ, რაც მე მიამბეს ჩიგირინში, როცა მივედი იქ, ბაზავლუკიდან ტულაი-ბეისთან ერთად. ყველგანა ვკითხულობდი, სად არის და როგორ არის ჩემი მტერი ჩაპლინსკი-მეთქი და ვერსად ვერ ვიპოვე, იმისი ვერა გავიგერა, მაგრამ მე მიამბეს, როგორც მოჰქცეოდით თქვენ მასუკან, როცა ჩვენ პირველად შეხვდით ერთმანერთს, როგორ ჩაგევლოთ ხელი იმისთვის საყელოსა და შარვალში, გაგესროლათ კარებში და დაგესისხლიანებინათ ძაღლივითა... ხა-ხა-ხა!

— დიაღ ეგ მართალია,—დაეთანხმა სქშეტუსკი.

— ძალიან კარგა მოჰქცევიხართ, შვენიერად მოჰქცევიხართ! მოიცადოს, კიდევ ვიპოვი სადმე მე იმას და ვაჩვენებ თავის სეირს. თუ არა-და ეშმაკმა და ქაჯმა წაიღოს ყველა ხელშეკრულობა და კომისიაცა... არა, ვიპოვი მე იმას, ვათამაშებ კარგად, თუმცა თქვენც კი კარგა მიგიმეავებიათ.

აქ გეტმანი მიუბრუნდა კისელსა და კვლავ უამბო თავიდან ჩაპლინსკის ამბავი:

— წაავლო, გესმის, საყელოსა და შარვალში ხელი, აიტაცა მაღლა ნაფოტივითა, გაამტვრია კარები და ქუჩაში გადისროლა.

ხმელნიცკიმ ასტეხა უშველებელი ხარხარი.

— პან მოურავ-ერისთავო, უბრძანეთ თაფლ-ღვინო მოიტანონ; ამ რაინდის სადღეგრძელო უნდა დავლიო, ჩემის გულითადის მეგობარის სადღეგრძელო.

კისელმა გააღო კარები და უბრძანა მოეტანათ სამი თასი გუშჩის თაფლ-ღვინისა.

ხმელნიცკიმ მიუჯახუნა თასი მოურავ-ერისთავისა და სქშეტუსკის თასს, გადაჰკრა ღვინო და სახეზედ გულ-კეთილობის ღიმილმა დაუწყო თამაში. მიუბრუნდა პარუჩიკს და უთხრა:

— მთხოვეთ, რაც გინდათ!

გაფითრებული სახე ჭარხალივით გაუწითლდა სქშეტუსკის. ჩამოვარდა წუთი მდუმარებისა.

— ნუ გეშინიანთ, — სთქვა ხმელნიცკიმ. — სიტყვა კვამლი არ არის; მთხოვეთ, რაც გინდოდეთ, მხოლოდ ის კი არა მთხოვოთ, რაც ბატონმა მოურავ-ერისთავმა მთხოვა.

ხმელნიცკიმ იცოდა, მართლაც სიტყვის აღსრულება, თუნსიმთვრალეშიაც ჰქონოდა იგი გაცემული.

— თუ შესაძლოა თქვენი ბეგობრობა გამოვიყენო, პან გეტმანო, იმ შემთხვევაში გთხოვთ, სამართლიანობა გამიწიოთ. ერთმა თქვენმა პოლკოვნიკთაგანმა მაწყენინა, შეურაცხყოფა მომაყენა...

— თავს მოვკვეთავ მე იმას! — მრისხანებით შეჰყვირა ხმელნიცკიმ.

— საქმე ეგ არ არის, უბრძანეთ მხოლოდ რომ მებრძოლოს, ხმალში გამოვიდეს.

— თავს მოვკვეთავ-მეთქი! — განიმეორა ხმელნიცკიმ. — ვინ არის ის ბედშავი?

— ბოგუნი გახლავთ.

ხმელნიცკის თვალები აუთამაშდა და მერე შუბლზედ დაიკრა ტაში.

— ბოგუნი? ბოგუნი მოჰკლეს. მეფე მწერდა, რომ ხმალში გასულა ბოგუნი და მოუკლავთ.

სქშეტუსკი გაოცდა. მაშ, ზაგლობას მართალი უთქვამს!

— რა დაგიშავათ მერე ბოგუნმა?—ჰკითხა ხმელნიცკიმ.

პორუჩიკი ახლა უფრო ძლიერ გაწითლდა. ერიდებოდა კნიაჟნას შესახებ დაეწყო ლაპარაკი შეზარხოშებულ გეტმანის თანადასწრებით, ვაი თუ გაუფრთხილებელი რამ სიტყვა წამოსცდესო.

მაგრამ კისელმა უშველა პორუჩიკს.

— დიდი საქმეა,—სთქვა მან,— კაშტელიანმა ბეოზოვსკიმ მიამბო. ბოგუნმა გაიტაცა, პან გეტმანო, ამ რაინდის დანიშნული და სადღაც დაჰმალა, უსიერ ადგილას.

— მაშ მოსძებნეთ ის ქალი.

— ვძებნე დნესტრის მიდამოებში, იმიტომ რომ ბოგუნმა იქ დაჰმალა, მაგრამ ვერ ვიპოვე. ყური მოვკარი, რომ კიევში უნდა მოეყვანა და იქ ჯვარი დაეწერა. მიბოძეთ, პან გეტმანო, ნება წავიდე კიევს და იქ დავუწყო ძებნა იმ ქალსა. სხვას არაფერს არა გთხოვთ მე თქვენა.

— თქვენ ჩემი მეგობარი ხართ, თქვენ მიჰბერტყეთ ჩაპლინსკი. არა თუ ნებას მოგცემთ წახვიდეთ და სძებნოთ ის ქალი ყველგან, არამედ ბრძანებასაც გაგატანთ, რომ ვისაც დამალული ჰყავდეს, მაშინვე ჩაგაბაროთ. პერნაჩსაც მოგცემ, წერილსაც გაგატან მიტროპოლიტთან, რათა შეგეძლოთ მოძებნა მონასტრებშიაც მონაზონ ქალებთანა. ჩემი სიტყვა კვამლი არ არის.

გააღო კარი, დაუძახა ვიხოვსკის და დააწერინა ბრძანებაცა და წერილიც. თუმცა მეოთხე საათი იყო ნაშუალამევისა, ჩარნოტა მაინც იძულებული შეიქნა წასულიყო და ბეჭედი მოეტანა. ძეძიალამ პერნაჩი მოიტანა, ხოლო დონეცს ებრძანა, რომ გაჰყვეს სქშეტუსკის ორასის მხედრითა კიევამდე და კიევს იქითაც, ვიდრე პოლშელი გუშაგნი შეჰხვდებოდათ.

მეორე დღეს სქშეტუსკიმ დასტოვა პერეიასლავლი.

XIX

თუ პან ზაგლობა იყო მოწყენილი ზბარაჟში, იმაზედ ნაკლებ მოწყენილი არ იყო ვოლოდიევსკიცა, რომელიც მუდამ უხერხულადა ჰგრძნობდა თავს, მაშინ, როცა ომიანობისა და შიშიანობის ხმა არ ისმოდა. მართალია, ხან-და-ხან ზბარაჟიდან წავიდოდა ხოლმე მდევარი ავაზაკთა თარეშობის მოსასპობლად, მაგრამ ეს ომი კი არ იყო, არამედ რაღაც წვრილმანი რამ საქმე, რომელიც ბევრს უსიამოვნებას აყენებდა კაცს და იმედი კი არა იყო-რა დიდების მოპოვებისა. ყოველივე ესე აიძულებდა პან მიხალს ასტეხოდა ხოლმე ზაგლობას, წავიდეთ სქშეტუსკის საშველად, აგერ რამდენი ხანია იმისი ამბავი აღარა ვიცით-რაო.

— ალბად, ხათაბალას რასმე გადაეკიდა იქა ის კაცი, ან არა და იქნება მოჰკლეს კიდეცა,—გაიძახოდა ვოლოდიევსკი.— ჩვენ უსათუოდ უნდა წავიდეთ, თუნდ იმიტომ მაინც, რომ იმასთან ერთად დავიხოცნოთ.

პან ზაგლობაც ძალიან აღარ ეწინააღმდეგებოდა, ატყობდა, თაესა, რომ ვბერდებიო და უკვირდა, ან კი რატომ სოკოები არ ამოვიდა ამ ჩემს ჭაღარა და დახავსებულს თავზედაო, მაგრამ მაინც დღეს-ხვალაობაში იყო იმ იმედით, რომ სქშეტუსკის ამბავი შესაძლოა ოგერ-ოგერ ყოველ-წუთს გაჩნდეს საიდანმეო.

— ის კაცი მამაცია და მოხერხებული,—ამბობდა მუდამ ვოლოდიევსკის პასუხად.—დავიცადოთ ორიოდე დღე კიდევ, იქნება მოვიდეს წერილი და აღმოჩნდეს, რომ ჩვენი შველა საჭირო არ არის.

პან ვოლოდიევსკი ველარას ახერხებდა ამისთანა საბუთიანობის წინააღმდეგ და, აღფურვილი მოთმინებით, იცდიდა, რაც შეეძლო, თუმცა დრო ძრიელა ჭიანურდებოდა მისთვის. დეკემბრის გასულს ისეთი ყინვები დაიჭირა, რომ ავაზაკებიც კი ველარასა ჰბედავდნენ. ზბარაჟის გარშემო ჩამოვარდა მშვიდო-

ბიანობა. ერთად-ერთი გართობა ის იყო, რომ ათასში ერთხელ ახალი რამ ამბავი მოვიდოდა ხოლმე ზბარაჟს ვარშავიდან.

იყო ერთი გაუთავებელი ბაასი დაგვირგვინებისა, სეიმის კრებისა და იმის შესახებ, მისცემენ თუ არა მთავარს ვისნეევეცკის კვერთხსაო, რომელიც, საცა სამართალი იყო, მართლა იმას უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე სხვას ვისმე. მუსაიფში ბევრს აგინებდნენ კისელსა და იმის მომხრეებს, ვოლოდიევსკი ამის გულისათვის რამდენჯერმე გავიდა ხმალში, პან ზაგლობა იმდენჯერვე დაითვრა და საშიში იყო კიდეც, რომ სულ არ გალოთებულიყო, რადგან თავად-აზნაურობაში და აფიცრობაში ქეიფს არა სჯერდებოდა, მოქალაქეთა საზოგადოებასაც არ ერიდებოდა, დადიოდა იმათ წვეულებაზედ, ნათლობა-ქორწილებში და აღტაცებით აქებდა სხვა-და-სხვა ღვინის ჭაშნიკებს, ხოლო ზბარაჟი განთქმული იყო თვისის საუკეთესო თაფლის ღვინოებით. ვოლოდიევსკი ყოველის ღონისძიებით არცხვენდა ამისათვის. ეუბნევოდა, რომ აზნაურშვილისათვის საკადრისი არ არის აჰყვეს იმათ, ვინც კეთილშობილობაზედ შორს არიანო, ხოლო ზაგლობა პასუხად იმას ამბობდა, რომ ამ საქმეში კანონებია დამნაშავე, რომელიც ნებას აძლევს მოქალაქეთ გამდიდრებისაო, თან ამტკიცებდა, რომ ეს სიკეთეს არას მოიტანსო, ხოლო თავისას კი მაინც არ იშლიდა. მართლაცა-და, ძნელი იყო გაემტყუნებინა კაცს ზაგლობა: ზამთარში არავითარი სხვა გასართობი არა არის-რა და, აბა, მაშ რა ექნა.

მთავრის სადროშოების ჯარებმა ნელ-ნელა იწყეს თავმოყრა ზბარაჟში, რაიცა ომის მომასწავებელი ნიშანი იყო. ახლა კი, ცოტა არ იყოს, მხიარულებამ იმატა. სხვებთან ერთად მოვიდა პან პოდბიპენტაც. იმან მოიტანა ამბავი, რომ თავადს არა სწყალობენ სამეფო კარის კაცნი, იანუშ ტიშკევიჩი გარდაიცვალაო, კიევის მოურავ-ერისთავი, ხმა ისმის, რომ იმის ადგილზედ დაინიშნება უსათუოდ კისელიო და ბოლოს, პან ლაშჩი მძიმე ავადმყოფიაო. ომის შესახებ თვით თავადისაგან გავიგონე, რომ თუ შეტის-მეტად არ გაჭირდა, ბრძოლა აღარ ატყდებაო, რადგან კომისარები იქმნენ უკვე გაგზავნი-

ლები და იმათ დავალებული აქვთ, რაც კი შეიძლება, ყოველივე დაუთმონ ყაზახთაო. პან პოდბიპენტას ნაამბობმა ვისნევეცკის რაინდები მეტად გააგულისა, ხოლო პან ზაგლობამ ურჩია კიდეც, რომ წინააღმდეგობა გამოეცხადოთ და კონფედერაციას მოვუწოდოთო, იმიტომ რომ (ასე სთქვა თვითონვე), მე არა მსურს, რომ ჩემმა ამაგმა კონსტანტინოვში ფუჭად ჩაიაროსო.

ასე გავიდა თებერვალი და მარტის ნახევარი, ხოლო სქშეტუსკის შესახებ კი არავითარი ამბავი არ ისმოდა.

ვოლოდიევსკიმ ახლა უფრო აიხირა, წავიდეთ და წავიდეთ იმ კაცის საძებრადაო.

— ახლა კნიაჟნას კი არა, სქშეტუსკის უნდა დავუწყოთ ძებნა,—იმეორებდა ისა.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პან ზაგლობა მართალი იყო, როცა ისე ზოზინობდა და დღეს ხვალიაობით აბრკოლებდა წასვლის საქმეს: მარტის გასულს ზბრაჟში მოვიდა ყაზახი ზაქარი და მოუტანა წერილი კიევიდან ვოლოდიევსკის. პან მიხალმა მაშინვე მოუწოდა ზაგლობას, გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა:

„დნესტრის მიდამოთა შორის, თვით ეგორლიკამდე ვერაეითარი კვალი ვერ მივაკვლიე. რაკი ვარაუდი მქონდა, რომ ელენე კიევში იქნება-მეთქი დამალული, პერეიასლავლში კომისარებს მივეკედლე. იქ მოულოდნელად შევხვდი სალაპარაკოდ ხმელნიცკის და იმის წყალობითა და დახმარებით მიველი კიევს. ვეძებ ახლა ყოველგან, რაშიაც თვით მიტროპოლიტიც მშველის. აქ ბევრნი არიან ჩვენები მონასტრებშიაცა და მოქალაქეებთანაც, მაგრამ, რაკი მდაბიო ხალხისა ეშინიანთ, იმალებიან. ძებნა ძნელია. ღმერთმა მიშველა და იმედი მაქვს შემდეგაც არ დამტოვებს. ვსთხოვ ქსენძ მუხოვეცკის ილოცოს ჩემთვის, თქვენც ილოცეთ. სქშეტუსკი“.

— დიდება უზენაესსა!—წარმოსთქვა ვოლოდიევსკიმ.

— მანდ კიდევ რაღაც სწერია წერილს შემდეგ,—სთქვა ზაგლობამ და ჩაჰხედა წერილს.

— მართლა! — სთქვა ჩაგვერა რაინდმა და განაგრძო კითხვა:

„ამ წერილის მომტანი, მირგოროდის სადროშოს ესაულია, ჩემთვისა ჰზრუნავდა, როცა ტყვედ ვიყავ სეჩში და ეხლაც მშველოდა კიევში და ამ წერილის წამოღებაც იკისრა, თუმცა საშიში იყო ასეთი საქმე მაგისათვის. გთხოვ, მიხალ, ყური უგდო და პატივისცემა გაუწიო“.

— აი კარგი ყაზახი, იქნება ერთად-ერთიცა სხვა ყაზახთა შორის! — სთქვა ზაგლობამ და ხელი გაუწოდა ზაქარსა.

მოხუცმა ჩამოართვა ისე, რომ არაეითარი მოწიწება არა შეეტყო-რა.

— იმედი გქონდეს საჩუქრისა, — დასძინა ეოლოდიევსკიმ.

— სქშეტუსკი კარგი რამ არის, — სთქვა ყაზახმა, — ისე მიყვარს, რომ ჩემს თავს მირჩევნიან, მე აქ ფულისათვის არ წამოვსულვარ.

— ფულიც არ გაკლია, როგორც გეტყობა, ისე რომ მაგ მხრივაც არა ერთი შლიახტიჩი შემოგნატრებს, — განაგრძო ზაგლობამ. — მარტო მხეცები არა ყოფილან თქვენ შორის, მარტო მხეცები! მაგრამ ეს მერე იყოს! მაშ, პან სქშეტუსკი კიევშია?

— დიაღ.

— შიში ხომ არა აქვს-რა?... ამბობენ, მდაბიონი ამბოხებას არ იშლიანო.

— სქშეტუსკი დონეცთან არის, პოლკოვნიკთან. იმას ცუდს ვერას დაჰმართებენ. მამა-ბატონმა ხმელნიცკიმ უბრძანა დონეცსა, ისე გაუფრთხილდი, როგორც შენს მარჯვენა თვალსაო.

— საკვირველება თუ გინდათ, სწორედ ეს არის! მერე საიდან მოჰხდა, რომ ხმელნიცკი აგრე ეკიდება სქშეტუსკის.

— ხმელნიცკის დიდი ხანია უყვარს.

— სქშეტუსკიმ გითხრა კია, ვისაც დაეძებს კიევში?

— როგორ არ მეტყოდა, როცა იცის, რომ მე იმისი კეთილის-მყოფელი ვარ; მე იმასთან ერთადაც ვეძებდი და ცალკეცა. უნდა ეთქვა, მაშ, რა მეძებნა.

— მაგრამ მაინც აქამდე ვერ იპოვნეთ?

— ვერ ვიპოვნეთ. ლიახები იქ ცოტანი არ არიან, მაგრამ ყველანი იმალებიან, ერთი-ერთმანეთისა არა იციან-რა, ამიტომ პოვნაც ადვილი არ არის. თქვენ ვგონებთ გაგიგონიათ, რომ იქ მდაბიონი მეამბოხეობენო და მე კი თვალითა ვნახე. ლიახებს კი არა, იმათაც, ვინც თქვენებს ჰმალავს, ბერებსა და მონოზნებსაც კი ჰხოცავენ. ნიკოლა კეთილის მონასტერში მონოზნებს ჰყაედათ თორმეტი თქვენებური ქალი, ყველანი მონოზნებთან ერთად შიგ მონასტერში გამოარჩეს ბოლითა... ახლა ,დნეპრში რამდენი ჩაახრჩეს, ვინ მოსთვლის!

— იქნება, ის ქალიც მოჰკლეს?

— შეიძლება ისიც მოჰკლეს.

— არა! არა!—გააწყვეტინა სიტყვა ვოლოდიევსკიმ.—თუ თვითონ ბოგუნმა მიიყვანა ის იქა, ალბად უშიშარს ადგილას დააბინავა.

— მონასტერში უფრო უშიშარი რაღა იქნება, მაგრამ იქაც კი იპოვიდნენ.

— უჰ, ამოიოხრა ზაგლობამ.—მაშ, თქვენ ისე გგონიათ, ზაქარ, რომ შეიძლება ის ქალიც მოჰკლეს, ჰა?

— რა მოგახსენოთ.

— სჩანს, სქშეტუსკის იმედი აქვს ჯერ კიდევ,—სთქვა ზაგლობამ.—ღმერთი სცდიდა აქამდე, იქნება ახლა შეიწყალოს. თქვენა, ზაქარ, დიდი ხანია, რაც კიევიდან წამოხვედი?

— ოჰ, დიდი ხანია, ბატონო! მე მაში წამოვედი, როცა კომისარები უკან დაბრუნდნენ და კიევზედ გამოიარეს. ბევრს ლიახს უნდოდა გაქცეულიყო მათთან და გაიქცნენ კიდეცა; საცოდავნი, ვის როგორც შეეძლო, ისე გარბოდა, თოვლში, ტყე-ღრეში, მირბოდნენ ბელგოროდს, ხოლო ყაზახნი მისდევდნენ უკან და ჰხოცავდნენ. ბევრნი გაიქცნენ, ბევრნი დაჰხოცეს, ხოლო ზოგნი პან კისელმა გამოისყიდა და, რაც ფული ჰქონდა, სულ იმათში მისცა.

— ოჰ, ის ძაღლის წიწილნი! მაშ, თქვენ კომისარებთან ერთად მოდიოდით?

— ლუშჩამდე სულ კომისარებთან, ხოლო იქიდან ოსტროგამდე. მერე კი მარტო მოვდიოდი.

— პან სქშეტუსკის დიდი ხანია იცნობთ?

— სეჩს გავიცანი, ვუვლიდი, როცა დაჭრილი იყო, ხოლო შემდეგ შვილივითაც შემიყვარდა. მოხუცებული ვარ და არავინა მყავს. ჯიგარი იმაზედ დავყარე.

ზაგლობამ დაუძახა პაჟს, რომ ღვინო და ხორცი მოეტანა. დასხდნენ ყველანი ვახშმად. ზაქარი ისე ეცა საჭმელს, როგორც მგელი. გზაში დაღლილიყო და ძალიან შიოდა. ბოლოს ხარბად დაეწაფა ღვინით სავსე თასს და სულ გამოწრუპა.

— ოჰ, მშვენიერი თაფლ-ღვინოა!

— იმ სისხლსა სჯობიან, რომელსა თქვენა სვამთ,—სთქვა ზაგლობამ,—მაგრამ მე მგონია, რომ თქვენ კაი კაცი ხართ და გიყვართ პან სქშეტუსკი... რიღასთვის უნდა წახვიდეთ ახლა კიდევ მეამბოხეებთან? დარჩით ჩვენთანა; აქ ემჯობინება თქვენთვის.

ზაქარმა მაღლა აიღო თავი.

— მე წერილი მოგეცით და ახლა წავალ უკანვე. ყაზახი ვარ, ყაზახებს უნდა ვუძმობილდებოდე და არა ლიახებს.

— ომითაც გვეომები?

— გეომებით. მე სეჩიდანა ვარ. ჩვენ მამა-ბატინი ხმელნიცკი ამოვირჩიეთ გეტმანად, ხოლო ახლა მეფემ გამოუგზავნა კვერთხი და დროშა.

— ხომ ჰხედავთ, პან მიხალ! — შეჰყვირა ზაგლობამ,—არ გითხარი, რომ წინააღმდეგობა უნდა განვაცხადოთ, პროტესტი-მეთქი?

— თქვენ რომელ სადროშოსი ხართ?

— მირგოროდისა, მაგრამ ეს სადროშო ეხლა აღარ არის.

— მაშ, რა დაემართა?

— ყვითელ წყლებზედ ამოჰხოცეს ამ სადროშოს ჯარები პან ჩარნეცკის გუსარებმა. მე ეხლა დონეცთან ვარ, იმათთან ერთად, ვინც მაშინ ცოცხალი გადარჩა. პან ჩარნეცკი კარგი

ჯარის კაცია, ჩვენსა არის ტყვედ, იმისი პატიეება ითხოვეს კომისარებმა.

— ჩვენცა გვყეანან თქვენი ტყვენი.

— აგრეც უნდა იყოს. კიევში ამბობდნენ, რომ უკეთესი ყაზახი ლიახებსა ჰყავთ ტყეედაო, თუმცა ზოგნი იმასაც ამბობდნენ, რომ მოჰკლესო.

— ეგ ვინაო?

— ოჰ, განთქმული ატამანი ბოგუნი.

— ბოგუნი მოჰკლეს ხმალში გასვლის დროს.

— მერე ვინ მოჰკლა?

— აი ამ რაინდმა,—სთქვა ზაგლობამ და ვოლოდიევსკი ანიშნა.

ზაქარი ამ დროს მეორე თასს დასწაფებოდა ღვინისას და ეს რომ გაიგონა, თვალები სჭყიტა, გაწითლდა სულა, ბოლოს ველარ მოითმინა და გულიანად გადიხარხარა.

— ამ რაინდმა—ბოგუნი მოჰკლა?—ჰკითხა მან და ხითხითებდა, კუჭკუჭებდა.

— ეს რა ღვთის წყრომაა, მართლა!—გაბრაზდა ვოლოდიევსკი და თან წარბები შეიჭმუხნა.—ეს კაცი მართლა მეტისმეტად კადნიერობს.

— ნუ ჯავრობ, პან მიხალ,—დაუწყო დამშვიდება ზაგლობამ.—პატიეცემული კაცია, ხოლო თუ არ იცის, როგორ მოიქცეს, რა ვუყოთ, ყაზახია და იმიტომ. მეორეს მხრით, ეგ უფრო დიდი სახელია შენთვის, რომ შესახედაობა აგრეთი გაქვს და ისეთი გმირობა კი. გამოიჩინე. თვითონ მე თვალი ველარ მოგაშორე იმ ბრძოლის შემდეგ, თუმცა ყოველივე თვალითვე დავინახე. როგორღაც არა მჯეროდა, ამ კურკამ, ამისთანა კნუტმა...

— ეჰ, დამანებეთ, თავი ერთი, თუ ღმერთი გწამთ!—წაიბურტყუნა გაჯავრებულმა ვოლოდიევსკიმ.

— მე ხომ შენი მამა არა ვარ, მე რას მიწყრები, თუმცა გულ-ახდით გეტყვი, ძალიან სასურველია ჩემთვის, რომ შენისთანა შვილი მყავდეს. თუ გინდა, მთელს ჩემს ქონებას შენ

დაგიტოვებ ანდერძათა. თავადიც შენზედ ახოვანი არ არის, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელიც კი არ ეკადრება იმას პაჟად.

— მე თუ მაჯავრებს რამე,—სთქვა ცოტა არ იყოს დამშვიდებით ვოლოდიევსკიმ,—ის მაჯავრებს, რომ სქშეტუსკის წერილიდან საკეთილო არა სჩანს-რა. რომ დნესტრისაკენ მიდამოთა შორის არ დაღუპულა, ამისათვის ღმერთს მადლობა უნდა შევსწიროთ, ხოლო კნიაჟნა ვერ იპოვა აქამდე და ვინ იცის, იპოვის კი როდისმე?

— მართალია, მართალია! მაგრამ თუ ღმერთმა ჩვენის შემწეობით გაანთავისუფლა ის ქალი ბოგუნის ხელიდან და უვნებლად გადაარჩინა იმდენს სხვა-და-სხვა განსაცდელს, თუ მან მოალბო ქვის გული ხმელნიცკისა, იმედია, ყოველივე ესე იმიტომ მოჰხდა, რომ ჩვენი საწყალი მეგობარი კვლავ ეღირსოს სიცოცხლესა და სიხარულს. თუ შენ, პან მიხალ, ყოველსავე ამაში განგების ხელს არა ჰხედავ, უნდა ვიფიქროთ, რომ შენი შორს-გამჭვრეტელობა უფრო ბლაგვი ყოფილა, ვიდრე შენი ხმალი. ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ არა ყველას აქეს მინიჭებული ხელ-აღებით ყოველივე ღირსება.

— მე ერთსა ვხედავ მხოლოდ,—შენიშნა ვოლოდიევსკიმ და თან გრეხა დაუწყო თავის პატარა ულვაშებს,—რომ ჩვენ იქ საქმე არა გვაქეს-რა და აქ უნდა ვისხდეთ, ვიდრე სულ არ დაეობდებით.

— ჯერ მე დავობდები,—მე შენზედ ხნიერი ვარ. სჯობს ისევ ღმერთს დავუმადლოთ, რომ იგი ბედნიერს ბოლოს უქადის ყოველს ჩვენს ტანჯვა-მწუხარებას. ცოტა არ ეიწუხე კნიაჟნასთვის, აგრედვე სქშეტუსკისა და ჩემთვისაც... ის ქალი ხომ ჩემი საყვარელი შვილია... ღვიძლი შვილიც რომ მყოლოდა, ისე არ მეყვარებოდა. იმასაც კი ამბობენ, რომ, ისე მგავს თურმე, როგორც ვაშლის ერთი ნახევარი მეორესა ჰგავდეს, მაგრამ უამისოდაც ძლიერ მიყვარს და ველარა მნახავდით ველარც მხიარულსა, ველარც დამშვიდებულს, იმედი რომ არა მქონდეს კიდევ, რომ ოდესმე ვიხილავ გაბედნიერებულს. ხვალ ხოტბას

დავწერავ (შენ არ იცი, ეგონებ, რომ მე მშვენიერ ლექსებსა ვსწერ და მხოლოდ ამ უკანასკნელს დროს გავცვალე აპოლონი მარსზედა).

— ახლა მომიყევი და მარსის ამბავი დამიწყე!—გაწყრა ვოლოდიევსკი.—ღმერთმა ნუ იცის იმ კისელის თავი, ყველა კომისარისა და მათის ხელ-შეკრულობისა! გაზაფხულზედ უთუოდ დაზავდებიან; ეს ისევე მართალია, როგორც ორჯელ ორი ოთხია. პან პოდბიპენტას უნახავს თავადი და ისიც ამას ამბობს.

— პან პოდბიპენტას იმდენივე ესმის პოლიტიკისა, რამდენიც ღორს მაზა-მაზა საჭმელებისა. რაც იქ ხანი ყოფილა, თავადის კარ-წინა, თავისი თავისუფალი დრო სულ იმ თავ-ქარიანისათვის უძღვნია და იმას თურმე დასდევდა ისე, როგორც მეძებარი ტყის ქათამსა. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ ის ქალი სხვას ვისმე დაეჭრა, მაგრამ ეხლა დრო არ არის მაგაზედ ლაპარაკისა. არ ავხირდები, რომ კისელი მოღალატე არ არის-მეთქი. სრულიად რესპუბლიკამ კარგად იცის ესა, ხოლო რაიცა შეეხება ხელ-შეკრულობათა, მაგისი კი რა მოგახსენო, ეგ ყინულზედ გაწერილი საქმეა.

აქ პან ზაგლობამ კვლავ მიჰმართა ყაზახსა.

— იქ, თქვენში რაღას ამბობენ, ზაქარ? იქნება ომი თუ არაო?

— ვიდრე ჟიჟო გაჩნდებოდეს, ზავი იქნება, ხოლო რაკი გაზაფხულდება, მერე ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ან ლიახნიო.

— ინუგეშეთ, მაშ, პან მიხალ; მე კი გავიგონე, რომ ბრბო ყველგან იარაღს თურმე ისხამს, საომრად ემზადება.

— ისეთი ომი იქნება, რომლისთანაც ჯერ არასოდეს არა ყოფილაო.—ჩვენში ლაპარაკობენ, რომ ოსმალეთის ხონთქარიც მოვა ჩვენთან მთელის თვისის ურდოებით, ხოლო ჩვენი მეგობარი ტუღაი-ბეი სულ ახლოა და სახლში არც კი წასულაო.

— ინუგეშეთ, პან მიხალ,—განიმეორა ზაგლობამ.—ახალ მეფეს უწინასწარმეტყველობენ, რომ მთელს თავის სიცოცხლე-

ში ისე იმეფებს, იარაღი არ დაჰყაროს ხელიდანაო. როცა ომში შეხვიდეთ, პან მიხალ, ძალიან ნუ მომშორდები... ბევრს რასმეს ისწავლი, გაიგებ, როგორც ვიმობდით ჩვენ ოდესმე დალოცვილსა და კურთხეულს ძველს დროსა. ღმერთო ჩემო! რაღანი არიან ახლანდელები? განა წინადაც ამისთანა ხალხი იყო? თუნდ შენა, პან მიხალ, თუმცა ბოგუნი დაჩეხე, შენისთანაები იყვნენ წინადა?

— მართალსა ბრძანებთ, — დაეთანხმა ზაქარი. — ისეთები აღარ არიან ახლა, როგორიც წინად ყოფილან.

ზაქარმა შეხედა ეოლოდიევსკის და გადააქნ-გადმოაქნია თავი.

— ამ რაინდს რომ ბოგუნი მოეკლას... არა, არა! მე მაგას ვერ დავიჯერებ!...

XX

მოხუცმა ზაქარმა დაისვენა და წავიდა ისევ უკან კიევსა, ხოლო ამ დროს მოვიდა ამბავი, რომ კომისარები დაბრუნდნენ და სთქვეს, არა თუ დიდი იმედი რამ გვაქვს, მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, არამედ სრულიად წარგვეკვეთა სასოება და არცა გვგონია სასიკეთოდ დატრიალდეს საქმეო. კომისარებმა ის მოახერხეს მხოლოდ, რომ დროებით ჩამოაგდეს ზავი, სახელდობრ, სულთ-მოფენამდე; მაშინ უნდა შეიკრიბოს კომისია, რომელსაც ექმნება მინიჭებული უფლება სამშვიდობო ხელ-შეკრულებათა დასადებადაო. მაგრამ ხმელნიცკი იმდენსა თხოულობდა, ისეთს მძიმე პირობას სდებდა ზავის შეკვრისასა, რომ არაფისა სჯეროდა, თუ რესპუბლიკა შეიწყნარებდა ამგვარ პირობასა. ხმელნიცკი დესპანს დესპანზედ ჰგზავნიდა ყეენთან, ისწრაფე ჩემდა მოსაშველებლად სრულიად შენის ჯარითაო, ჰგზავნიდა სტამბოლშიაც, საცა უკვე დიდი ხანი იყო, რაც სცხოვრობდა ელჩი მეფისა ბეჩინსკი; რესპუბლიკაში ყოველს წუთს ელოდნენ, რომ აი ან ახლა და ან ახლა მოუწოდებენ ქუდზე კაცს სალაშქროდაო. მოვიდა ის ამბავიცა, რომ ახალნი მხედართ-მთავარნი დაინიშნენო. ოსტროროგი, ლიანცკორინსკი და ფირ-

ლეი; გავრცელდა აგრედვე ის ხმაცა, რომ ერემია ვისნევეცკი სრულიად უარ-ყოფილ იქმნაო, ისე რომ თავისით თუ იტვირთებს მამულის დაცვას იმ ჯარით, რაც საკუთრად თვითონა ჰყავსო. წააგებს ამით რასმე, თვითონ იცის და მოიგებს კიდევ,—ეგ მისი საქმეაო. ეს ამბავი ღრმად აღშფოთებდა არა თუ თავად იერემიას ჯარის-კაცებს, არა თუ რუსეთის შლიახტას, არამედ წინანდელ სარდლებსა და მხედართ-მთავრებსაც. სრულიად სამართლიანად ამტკიცებდნენ ისინი, რომ თუ პირველში კიდევ შესაძლო იყო გაეწირათ ვისნევეცკი მაშინ, როცა ჯერ კიდევ იმედი იყო საქმის მშვიდობიანად გათავებისა, ახლა ამისთანა საქმე სწორედ დიდი და მიუტევებელი შეცდომაა. მხოლოდ იერემია ვისნევეცკის შეეძლო შეჰბმოდა ხმელნიცკის და შეემუსრა ყოვლად-ძლიერი მეთაური ამბოხებისა. ბოლოს ზბარაჟს მოვიდა თვით თავადიცა იმ განზრახვით, რომ შევკრებავ ჯარს, რაც შეიძლება ბლომად, დავდგები სამზღვრად და დავუწყებ ლოდინს ომსაო. ზავი, მართალია, დროებით შეკრული იყო, მაგრამ ამ დაზავებას მნიშვნელობა და ძალა არა ჰქონდა. ისიც მართალია, რომ ხმელნიცკიმ რამდენსამე პოლკოვნიკს თავი გააგდებინა, როგორ გაჰბედეთ, წინააღმდეგ შეკრულის პირობისა, და დაესხით თავს პოლონეთის ციხე-დარბაზებსა და რაზმებსაო, მაგრამ თვითონ ისიც უძლური იყო უამრავ მდაბიოთა და რიცხვ-მრავალ ყაზახთა წინაშე, რომელთაც არც კი ჰქონდათ გაგონილი, რომ ზავია დროებით ჩამოვარდნილიო. არა ჰქონდათ გაგონილი და არც უნდოდათ გაეგონათ. ამიტომ დღე ერთი იყო და ყაზახთაგან პირობის დარღვევა ათასი. ყაზახთა ბრბონი გადადიოდნენ სამზღვრებს და არღვევდნენ ამ სახით ხმელნიცკის დანაპირებსა და აღთქმას. მეორეს მხრით, სახასო და კერძო ჯარები, გატაცებულნი აეაზაკთა დევნით, ხშირად გადასცილდებოდნენ ხოლმე პრიპეტსა და გორინს კიევის სამოურავოში, ბრაცლავამდე მიდიოდნენ და იქ; ყაზახთაგან ოტებულნი, თვითონაც ეოტებოდნენ და ამგვარად იყო ერთი ომი და დიდი სისხლის-ღვრა. ეს იყო მიზეზი, რომ ხშირად ჩიოდნენ, როგორც პოლონელნი, ისე ყა-

ზახნი, პირობა იქმნა დარღვეულიო, გარნა იგი პირობა, თვით საქმეთა ვითარების ძალით, ვერ იქმნებოდა დაცული. დროებით დაზავება ის იყო მხოლოდ, რომ ერთის მხრით ხმელნიკი და მეორეს მხრით მეფე და გეტმანები არ გადიოდნენ საბრძოლველად, ხოლო ომი ნამდვილად ატეხილი იყო და თანდა-თან უფრო ძლიერდებოდა და, ვიდრე უმთავრესნი ლაშქარნი შეებმობდნენ ერთმანეთს, გაზაფხულის პირველმავე თბილმა მზის სხივებმა გააშუქა წინანდელებრ ცეცხლ-წაკიდებულნი სოფელნი, ქალაქნი, დაბანი, ციხე-დარბაზნი, გაანათა სისხლის-ღვრა და ადამიანთა ტანჯვა-მწუხარება.

ზბარაჟამდე მიაღწევდნენ ხოლმე თარეშობით მეომარნი ბრბონი ბარიდან, ხმელნიკიდანა და მახნოვკიდან. თან გზა-და-გზა სცარცვავდნენ და სწვავდნენ სოფლებსა. ერემია ჰგზავნიდა მდევარს-მდევარზედ და სულ ზურგზე ბოლს ადენდა თავისის პოლკოვნიკების შემწეობით, ხოლო თვითონ მონაწილეობას არ იღებდა ამ წვრილმან ომში და ამჯობინებდა გალაშქრებას მთელის თვისის დივიზიით მაშინ, როცა გეტმანები გავიდოდნენ საომრად.

თავადმა გაჰგზავნა რამდენიმე რაზმი აქეთ-იქით და უბრძანა სისხლის-წილ სისხლი ჰლვარეთ, ცარცვისა და კაცთა-კვლის ნაცვლად მარგილებზედ ჩამოაცვით დამნაშავენიო. ერემიამ ერთად გაჰგზავნა სათარეშოდ პან ლონგინუს პოდბიპენტაცა, რომელმაც სძლია ერთს ბრბოს შავ კუნძულს ახლოს. გარნა ბრძოლაში საშიში რაინდი დიდის გულ-ჩვილობით ეპყრობოდა ტყვედ-შეპყრობილებს და ამიტომ ლონგინუსს აღარა ჰგზავნიდნენ ხოლმე სათარეშოდ. ყველაზე მეტად ამისთანა საქმეში თავს იჩენდა პან ვოლოდიევსკი, რომელსაც მხოლოდ ვერშეული თუ დაჰკრავდა ცოტაოდნად და გაუწევდა მოცილეობას. სხვა ვერავინ ვერ მოახერხებდა, რომ ისე ელვასავით სწრაფად გაჩენილიყო შორეულს ადგილას, მოულოდნელად დასხმოდა თავს მტერსა, ეძლია უეცრის და სასტიკის შეტევითა, გაეფანტა აქეთ-იქით მტრის რაზმი, შემოჰრტყომოდა გარშემო, ამოეწყვიტა, თავზედ კაკალი ემტვრევინა. ყაზახებს ისე ეშინოდათ

იმისი, რომ სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდათ. თავადი დიდის მოწყალებით ეკიდებოდა. მარტის გასულიდან აპრილის ნახევრამდე პან ვოლოდიევსკიმ სძლია შვიდს რაზმს, რომელთა შორის თვითეული სამჯერ მეტი იყო იმისაზედ, მაგრამ მაინც დაღალვა არ იცოდა, რა იყო, თითქო ძალ-ღონეს იმ სისხლში იკრებს, რომელსაც ასე უწყალოდა ჰღვრისო.

პატარა რაინდი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პატარა ეშმაკი, ძალიან ცდილობდა, რომ შეეგულიანებინა ხოლმე და წაეცდინა პან ზაგლობაცა, შენც თან წამომყე ხოლმე მდევრადაო; ძალიან უყვარდა ხანში-შესულ შლიახტიჩთან ერთად ყოფნა, მაგრამ ის თავს იკავებდა, ერიდებოდა იმასთან წაყოლას და სულ ერთსა და იმავეს ეუბნებოდა პასუხად.

— მეტად დიდი მუცელი მაქვს, პან მიხალ, და აბა სად შემიძლიან თავ-გადაგლეჯილი დავაჭენებდე შენთან ერთად ცხენსა. მერე საქმე ისიც არის, რომ ყველა მარტო თავის ხელობაშია გამოსადეგი. უნდა დაესხა თავს დღისით გუსარებთან ერთად რიცხვ-მრავალს მტერს, სძლიო მთელს ბანაკს, წაართვა დროშა და გამოსწიო. აი ეს არის ჩემი ხელობა, ამისათვის გამაჩინა მე ღმერთმა, ამ საქმის ნიჭი მომცა; ღამ-ღამე დევნა ავაზაკებისა კი შენთვის მომინდვია, მაგ საქმეში შენ სწორი არა გყავს. მე ძველებურის ყაიდის რაინდი ვარ და ვამჯობინებ პირდაპირ ნადირს დავეცე თავს, ვიდრე სუნ-აღებით ვეძებდე მეძებარი ძაღლივითა. ესეც არ იყოს, ღამ-ღამობით მე ძილი მიყვარს.

პან ვოლოდიევსკი მარტო დაიარებოდა და მარტოვე იმარჯვებდა. ერთხელ, აპრილის გასულს წავიდა მდევრად და მაისის ნახევარში დაბრუნდა ისეთი დაღონებული, დაძმარებული, თითქო დამარცხებულა და დაჭღუპვია სულ ჯარის-კაცნიო. ასე ეგონა ყველას, მაგრამ ეს კი მართალი არ იყო. პან ვოლოდიევსკიმ დიდი და სამძიმო გზა გადიარა, ოსტროვს გასცდა და გოლოვნიას ახლო სძლია არა ბდაბიოთა ბრბოს, არამედ იმიერ-ჭორომელთა მთელს რაზმს; ნახევარი ამ რაზმისა სულ ამოსწყვიტა, ხოლო ნახევარი ტყვედ შეიპყრო. საქმე ასე

იყო და მით უფრო უკვირდათ, მაშ რაღაზედ ჩამოსტირის ამ მუდამ მხიარულს კაცს ასე თავ-პირიო. ყველას უნდოდა გაეგო მიზეზი, მაგრამ პან ვოლოდიევსკიმ კრინტი არ დასძრა არავისთან, ეახლა თავადს ორის სულ უცხო რაინდითა და მას უკან ისევ იმათთან ერთად გასწია პირდაპირ პან ზაგლობასთან.

პან ზაგლობა გაკვირვებით ათვალიერებდა ორს ტან-მაღალს და ზორბა რაინდს, რომელთა ტანისამოსი ამტკიცებდა, რომ ლიტველთა ჯარისანი უნდა ყოფილიყვნენ.

— ჩაჰკეტე კარები და უბრძანე, რომ არავინ არ შემოუშვან. უნდა მოველაპარაკოთ და დიაღ საყურადღებო საქმე გაუწიოთ.

ზაგლობამ გასცა ჯეროვანი განკარგულება და თან თვალს არ აშორებდა იმ ორს უცნობს კაცს, თითქო ალღო აიღო, რომ ესენი მე კარგს არას მეტყვიანო.

— ესენი,—მიუთითა იმაზედ ვოლოდიევსკიმ,—არიან თავადნი ბულიგ-კურცეკიჩები, იური და ანდრია.

— ელენეს ბიძაშვილები?!—შესძახა ზაგლობამ. თავადებმა თავი დაუკრეს და სთქვეს ორივემ ერთად:

— განსვენებულ ელენეს ბიძაშვილები ვართ. ზაგლობას წითური სახე უცებ გალურჯდა; უნებურად ხელები გაიქნია, თითქო გულში დასჭრესო, თვალები დაეცეცა და იკითხა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამოიკვნესა:

— როგორ?

— შეუტყვიათ,—მწუხარებითა სთქვა ვალოდიევსკიმ,—რომ კნიაჟნა ნიკოლოზ კეთილის მონასტერში მოუკლავთ.

— ბრბოს ამოუღრჩვია კომლში თორმეტი ქალიშვილი და რამდენიმე მონოზონი, მათს რიცხვში ჩვენი დაცა,— დასძინა თავადმა იურიმ.

ზაგლობამ პასუხი ვეღარ მოახერხა. ახლა სახე ისე გაუწითლდა, რომ იქ მყოფნი შეფიქრიანდნენ სისხლი არ აუვარდეს თავში და წვეთი არ დაეცესო.

თავადნი და ვალოდიევსკი კვლავ თავისას ჩიოდნენ:

— შეეიკრიბენით ვითომ ჩვენა, ნათესავნი და მეგობარნი შენნი, შვენიერო პანნავ და გვინდოდა დაგვეხსნა შენი თავი

ავაზაკთა ტყვეობიდან,—ამბობდა ამოოხვრით ახალგაზდა რაინდი,—მაგრამ, სჩანს, დავიგვიანეთ და იმიტომ ვეღარა გიშველეთ-რა. ახლა საჭირო აღარ არის ჩვენი გულმოდგინება, საჭირო აღარ არის ჩვენი ხმლები და გულადობა, შენ ეხლა უკეთესს ქვეყანაში ხარ, ყოველად-წმინდა ქალწულთანა.

— დაო!—შეჰყვირა უზარმაზარმა იურიმ განწირულებით,—შეგვინდე ჩვენი დანაშაული, ხოლო შენი სისხლის თვითეულის წვეთისათვის თითო ჩაფს დავანთხევინებთ შენს მტრებს.

— ღმერთო, შენ მოგვიმართე ხელი!—დაუმატა ანდრიამ.

ორივემ ხელნი აღაპყრეს ცად. ზაგლობა წამოდგა ტახტიდან, გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, დატორტმანდა მთვრალივით და, თითქო დაეცაო, ისე დაემხელა მუხლის თავებზედ ხატის წინა.

ციხე-დარბაზში გაისმა ზარის რეკა, რომელმაც აუწყა ხალხს, რომ შუადღეაო. ზარის რეკა ისე მწუხარედ გაისმა, თითქო მიცვალებულია და გლოვისა დაჰრეკესო.

— აღარ არის, ელენე, აღარ არის!—კვლავ დაიწყო ვოლოდიევსკიმ.—ანგელოზებმა წაიყვანეს მაღლა ცაში, ხოლო ჩვენ დაგვიტოვეს ცრემლები და ოხვრა.

მოისმა ქვითინი და ზაგლობას დიდმა ტანძა შეჰქმნა თახთახი, ხოლო მწუხარე რეკა ზარისა კვლავ მოისმოდა.

ბოლოს, ზაგლობა დამშვიდდა (პან მიხალს ეგონა, რომ დაიღალა ცრემლის ღვრითა და ჩეეძინა დაჩოქილსა და დედამიწაზედ შუბლით დაყუდებულსა), მაგრამ გაიარა კიდევ რამდენმამე წუთმა და შლიახტიჩი წამოდგა, პატარა გაიარა და მოიკეცა ქეჩაზედ; გარნა ზაგლობა ახლა სულ სხვა იყო: თვალები დასწითლებოდა, თავი ძირს ჰქონდა დახრილი, თითქო კინწი მოსწყვეტიაო, ქვემო ტუჩი ჩამოშვებოდა, სახეზედ ეტყობოდა სიბერის სრული უძლურება; კაცს ეგონებოდა, წინანდელი პან ზაგლობა, ჭკვიანი, მხიარული, დიდი ოხუნჯი და მოსწრებული სიტყვა-პასუხის კაცი, მოკვდა და მის მაგიერ დარჩა მოხუცი ტანჯვით ძალა-გამოლეული, ოთხად მოხრილი ხანში შესულობითაო.

კარებს უკან ხმაურობა მოისმა და, თუმცა პაჟი ეწინააღმდეგებოდა, ოთახში შემოვიდა პან პოდბიპენტა. ლიტველმა რაინდმა დიდის მწუხარებით გაიხსენა რაზლოგი და პირველი გაცნობა ელენესი, მისი სილამაზე და ყმაწვილ-ქალობა, ბოლოს მოიგონა, რომ არის კიდევ კნიაჟნაზედ უფრო უბედური, მისი საქმრო, პან სქშეტუსკიო და დაუწყო ვოლოდიევსკის იმის ამბავის გამოკითხვა.

— სქშეტუსკი თავად კორეცკისთან დარჩა კორეცსა, საცა მოვიდა კიევიდან და ეხლა იქა წევს ავადმყოფი,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— არ უნდა წავიდეთ განა იმასთანა?—ჰკითხა ლიტველმა.

— რა საჭიროა,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ. თავადის მკურნალი ამბობს, რომ ამის მორჩენა ჩემს კისერზედ იყოსო; იქვეა პან სუხოდოლსკი, სქშეტუსკის მეგობარი, იქვეა ჩვენი მოხუცი ზაცვილიხოვსკი; ორივენი უვლიან ავადმყოფს. არა აკლიარა, ღვთით, ხოლო, თუ ცხელება თავს არ ანებებს, ეგ უკეთესია მისთვის.

— ოჰ, ღმერთო დიდებულო! — სთქვა ღაღადებით ლიტველმა.—თქვენ თვითონა ჰნახეთ სქშეტუსკი?

— ვნახე, მაგრამ რომ არ ეთქვათ, ეს არისო, ვერ ვიცნობდი, ისე გამოუცვლია და გაუქვრია კაცი მწუხარებასა და ავადმყოფობასა.

— იმან კი გიცნო?

— ალბად, მიცნო, თუმცა კი არა უთქვამს-რა, იმიტომ რომ გაიღიმა და თავი დაიქნია, მე კი ისეთმა სიბრალულმა შემიპყრო, რომ მეტს ხანს ვეღარ შევძელ იმისი ყურება. თავად კორეცკის ზბრაჟს უნდა მოსვლა თვისის ჯარითა, ზაცვილიხოვსკიც იმასთან ერთად წამოვა, პან სუხოდოლსკიცა... ჰფიცავს, რომ არაფერს ყურადღებას არ მივაქცევ და მაინც წამოვალ, თუნდა სულ სხვა გვარი ბრძანება მომივიდეს თავად დომინიკისაგანაო. ისინი მოიყვანენ აქ სქშეტუსკის, თუ შეუძლო და გადარჩა ავადმყოფობას.

— კნიაჟნას სიკვდილის ამბავი საიდან-ღა გაიგეთ? ამ რა-ინდებმა ხომ არ გიამბეს?—ჰკითხა პან ლონგინუსმა და მიუ-თითა თავადებზედ.

— არა, მაგათ შემთხვევით გაიგეს კორცსა, სადაც მიეი-დნენ და მაშველი ჯარი მიიყვანეს ვილნოს მოურავ-ერისთა-ვისა. მე მითხრა ეგ ამბავი ზაცვილიხოვსკიმ, ხოლო იმას თვით სქშეტუსკისაგან გაეგონა. სქშეტუსკისთვის ხმელნიცკის მიუ-ცია ნება, ეძებე კიევშიო, ამასთანავე თვით მიტროპოლიტს უნდა ალმოეჩინა შემწეობა ამ საქმეში. სძებნეს თურმე უფრო მონასტრებში, რადგან ჩვენები სულ იქ დამალულიყვნენ და ეგონათ, რომ, ალბად, ბოგუნმა კნიაჟნაც ერთ-ერთს მონას-ტერში დაჰმალაო. ეძებეს, ეძებეს და იმედს არა ჰკარგავდნენ, რომ ვიპოვითო, თუმცა იცოდნენ, რომ ბრბომ ამოალრჩო კვა-მლით ნიკოლოოზ კეთილის მონასტერში თორმეტი პოლონე-ლი ქალიშვილი. თვით მიტროპოლიტი არწმუნებდა თურმე, რომ ბოგუნის დანიშნულს ხელს ვერავინ ახლებდაო; მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა გამოვიდა.

— ის ქალიც იქ იყო მერე!

— იქ იყო. ერთს მონასტერში სქშეტუსკის ენახა იქ და-მალული პან იოხიმ ერლიჩი და რადგან ყველას თურმე ეკი-თხებოდა, კნიაჟნას ამბავი ხომ არა იცით-რაო, იმასაცა ჰკით-ხა და ერლიჩმა უამბო, რომ ნიკოლოოზის მონასტერში ამო-წყვეტილ ქალებ შორის იყო ელენეცაო. სქშეტუსკიმ არ და-უჯერა პირველად ერლიჩსა და გაჰქანდა ხელ-მეორედ მონას-ტერში. მონოზნებმა, საუბედუროდ, არ იცოდნენ სახელები დაღუპულთა, მაგრამ როცა სქშეტუსკიმ აუწერა თურმე იმისი გარეგნობა და უთხრა ნიშნები ჟნიაჟნასი, ბეჯითადა სთქვეს, რომ ერთი იყო სწორედ მაგ ნიშნებისაო. სქშეტუსკი მაშინვე გამოსთხოვებოდა კიევს და ძალიან ავადაც გამხდარიყო.

— საკვირველია, ან კი როგორ გადარჩა ცოცხალი.

— მაინც სიკვდილი არ ასცდებოდა, ის მოხუცებული ყა-ზახი რომ არ შესწრებოდა, რომელიც სეჩში უვლიდა ტყვედ-შეპყრობილ სქშეტუსკის, ხოლო შემდეგ კიევში დაბრუნებუ-

ლა და ჰშველოდა თურმე, როცა სხვა-და-სხვა მონასტერში ეძებდა კნიაჟნას. იმას წაუყვანია სწორედ კორეცს სქშეტუსკი და ჩაუბარებია პან ზაცვილიხოვსკისათვის.

— ღმერთმა მისცეს ნუგეში; მაგრამ მისთვის ეხლა აღარაკითარი ნუგეში აღარ არსებობს,—ამოიოხრა პან ლონგინუსმა.

პან ვოლოდიევსკი გაჩუმდა და ოთახში ჩამოვარდა დიდი დუმილი. თავადნი ისხდნენ და ადგილიდან არ იძვროდნენ, პოდბიპენტა თვალებს მაღლა აპყრობდა ცად მიმართ. ხოლო პან ზაგლობა დაშტერებოდა ერთს წერტილს და ღრმა ფიქრში იყო წასული.

— გაიღვიძე, რა დაგემართა!—უთხრა ბოლოს ვოლოდიევსკიმ და დაუწყო ნჯღრევა,—რას დაფიქრდი მერე? ახლა ეღარაფერს ვერ მოიფიქრებ და მთლად შენი მოხერხება და მოსწრაფებული ჭკუა-გონება ვეღარას გვიშველის.

— მეც ვიცი ეგა.—სთქვა პასუხად ზაგლობამ დიდის მწუხარებით და გულის ტკენით,—იმას-ღა ვფიქრობ ახლა მხოლოდ, რომ დავბერდი და აღარა დამრჩენია-რა ამ ქვეყნად.

XXI

— წარმოიდგინე,—უთხრა რამდენისამე დღის შემდეგ ვოლოდიევსკიმ პან ლონგინუსსა,—ერთს საათში ისე გამოიცვალა, თითქო ოცის წლით მოემატა მოხუცებაო. ისეთი მხიალი, მუსაიფისა და ლაპარაკის მოყვარული, ისეთი მოხერხებული და მოსწრებული, რომ თვით ულისსაც კი ჩვარში გაახვევდა, ზის ახლა ცის ამარა დღეს ერთს ადგილას, სთვლემს და სულ მოხუცებასა სჩივის. ვიცოდი, რომ ის ქალი შვილივით უყვარდა, მაგრამ მაგას კი ვერ მოვიფიქრებდი, რომ აგრე ჰქონდა იმაზედ დაყრილი მთელი თავისი ჯიგარი.

— რა გასაკვირველია?—ამოიოხრა ლიტველმა.—მით უმეტეს შეიყვარა, რომ ბოგუნს წაართვა, გასტაცა და იმის გულისათვის, ვინ იცის, რამდენი განსაცდელი არ აიტანა. ვიდრე იმედი რამ იყო, შახსაც არ იტეხავდა, ხოლო ახლა, მართლა-

ცა და (მეც ვეთანხმები სწორედ), რაღა უნდა ჰქმნას ამ ქვეყნად, მარტოდ-მარტომ, ვის მიელხვეს მისი გული?

— ესაადე, აბა, ერთი სმას მოეუმატებ იმასთან ერთადა-მეთქი, ვითომ იმ იმედით, რომ იქნებ ღვინომ კელავ გაახალი-სოს, წინანდელი ყოჩაღობა დაუბრუნოს-მეთქი,—მაგრამ შენც არ მომიკვდე! სმით კი სვამს, მაგრამ აღარასა ლაპარაკობს თავის ახალგაზდობის თავგადასავალისასა, აღარ ტრაბახობს, დასუსტდება მხოლოდ, მერე ჩაჰქინდრავს თავსა და ჰძინავს. არა მგონია, რომ პან სქშეტუსკი მეტს განწირულებაში ყოფილიყოს.

— სულ გული მიკვდება, ისე მებრალება; რაც უნდა იყოს, მაინც დიდებული რაინდი იყო! წავიდეთ, მოდი, პან მიხალ. წინად ჩემი დაცინვა იცოდა ხოლმე, სიტყვას არ მათქმევინებდა. იქნება ახლაც მოუაროს იმ ძველებურმა ხალისმა. ღმერთო ჩემო, როგორ უნდა გამოიცვალოს ასე ადამიანი! ისეთი მხიარული კაცი იყო, ქილიკი.

— წავიდეთ,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.—გვიან არის, მაგრამ საღამოობით უფრო ცუდს გუნებაზეა ხოლმე. დღისით თვლემით გაბეზრდება ხოლმე და ღამე ძილს ველარ ახერხებს.

ზაგლობას ფანჯარა გაეღო და იჯდა მის ახლო იდაყვებზედ თავ-დაყრდნობილი. ციხე-დარბაზში მოძრაობა უკვე შეწყვეტილიყო, მხოლოდ დარაჯნი აძლევდნენ ერთმანერთს ხმას ხან-დაზმითა და ხშირს ჭალაში კიდევ ბულბულნი სტვენდნენ საამურადა. ღია ფანჯარაში შემოდიოდა თბილი გაზაფხულის ჰაერი და მთვარის მკრთალი ნათელი აშუქებდა პან ზაგლობას მოწმენდილს სახესა და მის მელოტს თავს.

— საღამო კარგად ყოფნისა, პან ზაგლობა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოთ.

— რა ამბავია, ოცნებას რომ აჰყოლიხარ ამ ფანჯარასთან, იმის მაგიერ, რომ ადგე და მოისვენო?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

ზაგლობამ ამოიოხრა.

— ძილისათვის არა მცხელა,—სთქვა მან რაღაცნაირის გაპრტყელებითა და გაჭიანურებულის ხმით.—ამ ერთის წლის

წინად, სწორედ წელიწადი შესრულდა მას აქეთ, მე და ის საწყალი ქალი კაღამლიკს ვიყავით და ფრინველნი სწორედ ისევე გალობდნენ, როგორც ეხლა... ახლა კი სად არის ნეტავი საცოდავი?

— ღმერთმა აგრე ინება,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— მწუხარების ცრემლიც ზედ ერთვის, პან მიხალ! აღარ არის ჩემთვის სიხარული.

ზაგლობა გაჩუმდა და მხოლოდ ფანჯრიდან მოისმოდა უფრო და უფრო გარკვევით სტვენა ბულბულთა.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!—ამოიოხრა ზაგლობამ,—სწორედ ისევე სტვენენ როგორც კაღამლიკსა!

პან ლონგინუსს ცრემლი ჩამოუარდა თვალთაგან და მის გრძელ ულვაშზედ დაეკიდა, ხოლო პატარა რაინდმა სთქვა მცირე ხნის მდუმარების შემდეგ:

— იცი, რას გეტყვი? მწუხარება მწუხარებად იყოს.... და მოდი ისევ გადავკრათ; მწუხარებისათვის უკეთესს წამალს კაცი სხვას ვერ მოიგონებს. მოვყვეთ შექცევას და თან გავიხსენოთ დრონი ნეტარნი.

— რა ურიგოა,—დაეთანხმა უგულოდ ზაგლობაცა.

ვოლოდიევსკიმ უბრძანა მსახურს მოეტანა ღვინო და სანათი და, რაკი შეამჩნია, რომ ძველთა დროთა გახსენება ხალისსა ჰმატებს ზაგლობასაო, დაუწყო გამოკითხვა.

— მაშ, წელიწადია, ჰა, მას აქეთ, რაც შენა და განსვენებული ბოგუნს გაექეცით?

— მაისში იყო, მაისში,—სთქვა პასუხად ზაგლობამ.—კაღამლიკს გავედით და ზალატანოშას ვაპირებდით წასვლას. ვაჰ, რა ძნელი ყოფილა ქვეყნად სიცოცხლე!

— ვაჟური ტანისამოსი ეცვა?

— ყაზახური ეცვა. თმა ხშლით მოვკვეთე, რადგან მეტი ღონე არ იყო. ვიცი ის ადგილიცა, საცა ის თმა და ხმალი დავმალე, ხის ძირში.

— საკვირველი მშვენიერება რამ იყო!—დასძინა ამოოხვრით პან ლონგინუსმა.

— გეუბნეევით, პირველ დღიდანვე ისე შემიყვარდა, თითქო პატარაობიდანვე მე გამეზარდოს. ის კი აიღებდა და თავის პატარა ხელებს მიატყუებდა ერთმანერთზედ და სულ მადლობას მიხდიდა, მადლობას მეუბნებოდა შველისა და ზრუნეისათვის. ის მერჩივნა, რომ მოვეკალით, ვიდრე ამ დღეს მოვსწრებოდი! ბარემ მომკვდარვიყავ და გადავყოლოდი თანა!

კვლავ ჩამოვარდა დუმილი. რაინდნი ჰყლაპავდნენ ღვინოს, რომელსაც ცრემლი ერეოდა. ბოლოს ზაგლობამ დაიწყო ისევა:

— ვამბობდი, იმათთან გავატარებ მოსვენებით, რაღაც ორიოდე დღე სიცოცხლე დამრჩენია მეთქი და დახეთ! ახლა, საიდანღას რაღას...

ხელები გაიქნია და უძლურებით ჩამოჰყარა ძირს, თითქო ოდნავ-ღა აბია მხრებზედაო.

— საიდან-ღა რაღა სიხარულს უნდა ელოდეს კაცი, საიდან-ღა რაღა მოსვენებას იპოვი, საფლავში თუ, თორემ...

არ გაეთავებინა ზაგლობას ეს სიტყვები, რომ კარებს უკან ფეხის-ხმა მოისმა. ხმაურობაზედ ეტყობოდა, რომ ვიღაცაც შემოსვლა უნდოდა ოთახში, ხოლო მსახური ნებას არ აძლევდა. ვოლოდიევსკიმ სთქვა, რომ ვიღაც ნაცნობის ხმასა ჰგავს თითქო ეგ ხმაო. ოთახიდანვე დაუძახა მსახურს, სთხოვე შემოვიდესო.

კარები გაიღო და გამოჩნდა ახალგაზდა, თეთრ-წითური სახე ჟენძიანისა, რომელმაც გადააელო თვალი ყველა იქ მყოფსა და თავი დაუკრა:

— სახელითა მამისათა და ძისათა!

— უკუნითი უკუნისამდე! — სთქვა ვოლოდიევსკიმ:—ეს ჟენძიანია.

— მე გახლავართ, დიაღ,—სთქვა პაუმა,—და გიახელით დაგიმტკიცოთ ჩემი თქვენდა პატივისცემა, ჩემი ბატონი სადლაა?

— შენი ბატონი კორცს არის და უქეიფობს.

— ღმერთო ჩემო, რას ბრძანებთ? ღმერთმა კი ნუ ჰქმნას და მძიმე ავადმყოფი ხომ არ არის?

— მდებარე იყო, ხოლო ახლა უკეთესობაშია. მკურნალი ამბობს, რომ მორჩებაო.

— მე კი მოვედი, რომ პანნას ამბავს მოვუტან-მეთქი.

პატარა რაინდმა მწუხარედ გააქნია თავი.

— რა გესწრაფება? პან სქშეტუსკიმ უკვე იცის იმისი სიკვდილი და ჩვენც იმასა ვგლოვობთ ახლა მწარედ.

ჟენძიანმა ისეთნაირად სჭყიტა თვალები, რომ კინაღამ ბუდიდან გადმოუცვივდა.

— ღმერთო მომკალი! რა მესმის, პანნა მიიცვალა?

— კი არ მიიცვალა, მოკლულ იქმნა კიევში ბოროტთა და გულ-ღვარძლიანთაგან.

— რომელი კიევი, ბატონო, რას გადასცემთ?

— რომელი კიევი, რა პასუხია, თითქო არ იცოდე კიევი რა არის!

— მოითმინეთ, ღვთის გულისათვის! მეხუმრებით, თუ რა ამბავია? კიევს რა უნდოდა, როცა ის ქალი ხეობაშია ეალადინკს ზემოდ, რაშკოვის ახლოსა? იმ კუდიანს დედაკაცს ებრძანა სასტიკად, რომ ფეხი არსად გასდგა ბოგუნის მოსვლამდეო. ღმერთსა ვფიცავ,—გონება მებნევა და ლამის ველარა გავიგო-რა.

— ვინ კუდიანიო? რას მიედ-მოედები?

— აი გორპინა დედა-კაცი, ალაწოდა როა... მე კარგად ვიცნობ იმასა.

პან ზაგლობა უცბად წამოხტა ტახტიდან და დაიწყო ხელების ქნევა, თითქო ჩანჩქერში ჩავარდნილა და ირჩობაო.

— ღვთის-გულისათვის!—ძლივს სულის მოთქმით შეუტია მან ვოლოდიევსკის,—გაჩუმდი, ღვთის გულისათვის, დამაცადე, მე გამოვკითხო.

ვოლოდიევსკი შეერეოლდა: ისე იყო გაფითრებული ზაგლობა, ისეთ კუკურ-კუკურმა ოფლმა დაასხა მელოტ თავზედა.

მოხუცი შლიახტიჩი კი მიჰვარდა ჟენძიანს, სტაცა ხელი მხრებში და ხავილით წარმოსთქვა:

— შენ ვინ გითხრა, რომ ის ქალი... რაშკოვს ახლოა დამალულიო?

— ვის უნდა ეთქვა? ბოგუნმა მითხრა!

— მაწანწალავ, ხომ არ გადირიე?—გაგულისდა ზაგლობა და დაუწყო ჯანჯღარი ჟენძიანს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.—ვინ ბოგუნიო?

— ღმერთო!—შეჰღრიალა ჟენძიანმა.—რას მანჯღრევთ აგრე უღვთოდა? სული მომაბრუნებინეთ, მაცალეთ გონს მოვიდე... სულ დავრეტიანდი. აგრე თუ მანჯღრიეთ, სულ ამოჰქარდება ჩემი გონებიდან ყოველი მოსაზრება. ვინ ბოგუნი უნდა იყოს? არ იცნობთ განა, ვინც ბოგუნია?

— სთქვი, თორემ ეს არის დანას ჩაგცემ გულში! სადა ჰნახე ბოგუნი?

— ვლადავსა? რა გინდათ ჩემგან, რას მამვარდით?—პაჟი შეშინდა და სულ დაიბნა:—რაო, რა დავაშავე, რა ბოროტება მოვიქმედე...

პან ზაგლობა ტახტზედ დაეშვა; ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, რომ ამოესუნთქა, სული უგუბდებოდა. ახლა ვოლოდიევსკი მიჰვარდა, რომ ეშველა რამე საქმისათვის:

— როდისა ჰნახე ბოგუნი?

— სამი კვირა იქნება.

— მაშ ცოცხალია?

— რატომ არ უნდა იყოს ცოცხალი! თვითონ მიამბო, რა მასპინძლობაც გაგეწიათ იმისთვის, მაგრამ მაინც მორჩა, კარგად არის...

— და მერე იმან გითხრა, რომ პანნა რაშკოვს ახლო არისო?

— სხვა ვინ მეტყოდა?

— გამიგონე, ჟენძიან, ხუმრობა კი არ არის, საქმე შენის ბატონისა და კნიაჟნას სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხება... თვი-

თონ ბოგუნმა კი გითხრა, რომ ის ქალი კიევს არა ყოფილაო?

— პან ვოლოდიევსკი, კიევში საიდან იქნებოდა, რომ ბოგუნმა დაჰმალა რაშკოვს ახლოს და უბრძანა გორპინას, თუ სიცოცხლე არ მოგეპარებია, ხელიდან არსად წაგივიდეს ეს ქალიო. ხოლო ახლა პერნაჩი მომცა და თავისი ბეჭედი და დამაყალა, წადი იმ ქალთანაო. ბოგუნის იარამ კვლავ პირი ჰქმნა და არ იცის, რამდენს ხანს მოუხდება კიდევ ლესვა ლოგინისა. პან ზაგლობა კვლავ წამოიჭრა ტახტიდან, წაივლო ხელები თმაში, თუმცა სულ ორიოდე ბეწვი-ღა შერჩენოდა და დაიწყო ღრიალი გიჟივითა:

— ცოცხალია ჩემი ქალი, ცოცხალია! კიევში ის არ მოუკლავთ, სხვა ყოფილა! ცოცხალია ჩემი სიხარული, ჩემი მტრედი!

ჰყვიროდა ასე ეს მოხუცებული კაცი და თან აბრაგუნებდა ფეხებსა, იცინოდა, ხრინწიანივით ხავოდა; ბოლოს წაავლო ხელი ჟენძიანს თავში, ჩაიკრა გულში ბიჭი და ისე დაუწყო კოცნა, რომ ყმაწვილი ძლივს-ღა ჰკნავოდა:

— ოჰ, ნუ ამომართვით სული! ღმერთმანი, ლამის დავიხრჩო... ცოცხალია, ცოცხალია... თუნდა ეხლავე შეიძლება წავიდეთ იმის სანახავად... პან ზაგლობა... კარგია... პან ზაგლობა, გამიშვით!

— გაუშვით, დეე გვიამბოს დალაგებით; ჩვენ ჯერ ვერა გავიგეთ-რა რიგიანად,—ჩაერია ვოლოდიევსკი.

— აბა, მოჰყე, მოჰყე!—ჰყვიროდა ზაგლობა.

— გვიამბე თავიდან, ჩემო,—სთქვა პან ლონგინუსმა, რომელსაც ცრემლები სცვიოდა თვალთაგან.

— ნება მომეცით, პატარა შევისვენო... ეს ფანჯარაც უნდა მივხუროთ, თორემ ბულბულნი ისე სტვენენ აი ჭალაში, რომ კაცს აღარა ეყურება-რა.

— ღვინო!—დაიძახა ვოლოდიევსკიმ.

ჟენძინმა თავისებურის აუჩქარებლობით მიჰხურა ფანჯარა და ითხოვა, ნება მომეცით, რომ ჩამოვჯდეო.

— დაჯექი!—პან ვოლოდიევსკიმ დაუსხა ღვინო.—დაჯექ და დალიე ჩვენთან ერთადა. ღირსი ხარ, რომ ჩვენთან იჯდე, მხოლოდ მალე გვიამბე ყოველივე.

— კარგი ღვინოა!—სთქვა პაჟმა და გაჰხედა ჭიქას სინათლეზედ.

— აი შენ და შენს თავსა? გვიამბობ თუ არა?—აშურებდა ჟენძიანს ზაგლობა.

— ჰმ, თქვენ მაშინვე ჯავრობას მოჰყვებით! რამდენიც გნებავთ, იმდენს გიამბობთ...

— დაიწყე თავიდან!

— რასაკვირველია, გეხსომებათ, ამბავი რომ მოვიდა, ბარი მტერმა აიღოვო და ჩვენ ყველას რომ გვეგონა, ახლა კი დაიღუპა სამუდამოდ კნიაჟნაო? ჰო და მაშინ მე ჟენძიანს დავბრუნდი ჩემს დედ-მამასთანა და პაპა-ჩემთანა. პაპა-ჩემი კი ოთხმოც და ათის წლისაა... ხუმრობაა!... ოთხმოც და ათისაც კი არა ოთხმოც და თერთმეტისა, ერთის წლით კიდევ მეტის ხნისაა...

— დაე, თუნდ ცხრაასის წლისა იყოს!...

— ნეტავი აგრე, რა მენაღვლება! გმადლობთ, რომ კეთილი გინდათ ჩვენთვის. ჰო და აი მაშინ დავბრუნდი სახლში, ჩემი ნაშოვარი წავუღე. გეხსომებათ, რომ შარშან ტყვედ შემიპყრეს ჩიგირინში ყაზახებმა, რომ თავისიანი ვეგონეთ, რომ ავადმყოფს ბოგუნს ვუელიდი და გავუმეგობრდი კიდეცა, ხოლო მერე ოხრად ვყიდულობდი იმ ბოროტებისაგან ცოტ-ცოტა ვერცხლეულსა და ძვირფასეულობას...

— გვახსოვს, გვახსოვს!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— აგერ მოვედი ჩემ დედ-მამასთანა, ხოლო იმათ ისე გაეხარდათ, რომ არა სჯეროდათ მართლა ვხედავთ იმასა, რაც ჩვენმა შვილმა მოგვიტანაო! პაპა-ჩემს დავუფიცე, რომ ყოველივე ეს ქონება პატიოსანის გზით შევიძინე-მეთქი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენებს დავა აქვთ ატეხილი იავორსკებთან მხსლის ხეზედა, რომელიც ზედ სამზღვარზედ სდგას, ნახევრად ჩვენს მიწაში და ნახევრად იმათსაში. როცა იავორსკები არხევენ ხეს, ჩვენი მსხალიც ძირსა სცვივა, ხოლო ზედ სამზღვარ-

ზედაც ბევრი სცვივა. ახლა ისინი ატეხილან, რაც სამზღვარზე სცვივა, ჩვენიაო, ჩვენ კი...

— ბალღო, ნუ მაჯავრებ და ნუ მიმღვრევ სისხლსა,—დაუყვირა ზაგლობამ,—და ნურც ამბობ იმას, რაც საგანს არ შეეხება!

— პირველ ყოვლისა (უკაცრავად!), მე ტეტია არ გახლავარ, არამედ შლიახტიჩი, თუმცა ღარიბი, მაინც ტახტის აზნაურშვილი ვარ, რასაც დაამოწმებენ პან პორუჩიკი ვოლოდიევსკი და პოდბიპენტა, რომელნიც კარგად იცნობენ პან სქშეტუსკისა, ხოლო მეორედ, ის დავა აგერ ორმოც და ათი წელიწადია ატეხილია...

ზაგლობამ გაიკმინდა ხმა და სთქვა გულში, რომ მეორედ აღარას ვეტყვი საწყენსაო.

— კარგია, ჩემო,—ტკბილად უთხრა პან ლონგინუსმა,—შენ ბოგუნისა გვიამბე და არა სხვებისა.

— ბოგუნისა? ძალიან კარგი, ბოგუნისას გიამბობთ. ის ბოგუნი ფიქრობს ახლა, რომ ჩემზედ უკეთესი და ერთგული მეგობარი იმას აღარავინა ჰყავს, თუმცა კინაღამ მომკლა ჩიგირინში. მართალიც კია, მე ვუვლიდი, თვალს არ ეაშორებდი მას უკან, რაც თავადმა კურცევიჩებმა დასჩეხეს. მაშინ ვიტყუე და ვუთხარი, რომ პან სქშეტუსკის სამსახური აღარ მინდამეთქი, ყაზახებში ყოფნა მირჩევნიან, იმიტომ რომ აქ უფრო მეტს სარგებლობასა ვნახავ-მეთქი; იმანაც აიღო და დაიჯერა. და ან კი როგორ არ უნდა დაეჯერებინა, როდესაც სასიცოცხლოდ გამოვაბრუნე? საშინლად შევუყვარდი და, აბა, რაღა თქმა უნდა, უხვად დამაჯილდოვა. იმან რა იცოდა, რომ დაფიცებული ვიყავი, უთუოდ უნდა გადავუხადო იმისათვის, რაც მე იმან ჩიგირინში დამმართა-მეთქი. თუ არ მოვკალ მაშინ, მხოლოდ იმიტომ, რომ შლიახტიჩისათვის სირცხვილია ლოგინად ჩავარდნილის მტრის მოკვლა....

— ჰო, ჰო! — გააწყეეტინა სიტყვა ვოლოდიევსკიმ. — ეგ ყველაფერი ვიცით, შენ ისა სთქვი, ახლა სადღა იპოვნე?

— ეგა, ბატონო, აი როგორ გახლდათ: როცა ჩვენ იაკორსკებს საქმე გავუჭირეთ (დაგლახაკდებიან სულ, სამათხოვროდ გაუხდებათ ახლა კი საქმე, სხვაფრივ არც შეიძლება), ვსთქვი მაშინ ჩემს გულში: ახლა კი დროა მოვნახო ბოგუნი და გადავუხადო სამაგიერო ჩემის შეურაცხყოფისათვისა-მეთქი. ყოველივე ეუამბე საიდუმლოდ ჩემს დედ-მამასა, და პაპა-ჩემსა, ხოლო პაპა-ჩემმა, როგორც ჭეშმარიტმა რაინდმა, ასე მითხრა: „თუ ფიცი დაგიდვია, მაშ წადი, წაუსვლელობა სისულელე იქნება“. მეც ავდექი და წავედი. ამას გარდა იმასაცა ვფიქრობდი, რაკი ბოგუნს მოვნახავ, პანნას ამბავსაც გავიგებ რასმე-მეთქი, ხოლო მერე, როცა ჩავაძაღლებ იმასა და დავბრუნდები ჩემს ბატონთან კარგის ამბითა, უსაჩუქროდ არ დამტოვებს ისიცა-მეთქი.

— დიალაც, არ დაგტოვებს! ჩვენც დაგასაჩუქრებთ, —სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— მე ცხენს გაჩუქებ, ჩემო, შეკმაზულსა,—დასძინა პან ლონგინუსმა.

— დიდად გმადლობთ, უპასუხა გახარებულმა პაჟმა.—სამართლიანობაც ეგ არის, რომ კარგის მახარობლობისათვის კაცი დააჯილდოვონ, ხოლო მე არას გავაბნევ, ოღონდ კი ხელში ჩამივარდეს რამე...

— ვაიჰ, ეშმაკებმა წაგიღონ შენა, კარგი შენ არა ხარ, ჰო და აგრე!—წაიტუტუნა ზაგლობამ.

— მაშ, ადექი და წახვედი შინიდანა, ჰა?.. გაახსენა ვოლოდიევსკიმ, საიდანაც უნდა განეგრძო ლაპარაკი ქენძიანს.

— დიალ, ავდექი და წავედი,—განაგრძო ქენძიანმა:—და ვფიქრობ: სად წავიდე? მოდი ზბარაჟს წავიდე-მეთქი? იმიტომ რომ იქიდან ბოგუნიც შორს არ იქნება და პან სქშეტუსკის ამბავსაც მალე გავიგებ რასმე-მეთქი. მოვდივარ, ჩემო ბატონებო, მოვდივარ ბიალასა და ვლადავისაკენ,—ისეთია ჩემი ცხენი, რომ ფეხებს ძლივს-ღა მიათრევს,—და ერთ ალაგას ჩამოვხდი ღამის გასათევად. იქ კი ბაზრობა იყო, ბაკები სულ გაჭედილია თავად-აზნაურითა, მივმართე მოქალაქეთა,—იქაც თა-

ვად-აზნაურნი არიან! ამ დროს ერთი ურია მეუბნევა, მე მაქვს ოთახი, მაგრამ ერთმა დაჭრილმა შლიახტიჩმა დაიჭირაო.—ძალიან კარგი-მეთქი, მე ავადმყოფის მოვლა კარგად ვიცი, ხოლო თქვენს დალაქს იმდენი საქმე ექმნება, რომ, მგონია, თავის მოსაფხანადაც არა სცალიან-მეთქი. ურიამ მითხრა კიდევ, რომ შლიახტიჩი თვითონ შეიხვევს ხოლმე წყლულსა და არავის ნახვას არა ნდომობსო. და მერე წავიდა, რომ ეკითხნა იმისათვისაც. ალბად, უარესად შეიქნა, რომ უბრძანა თურმე, შეგმოიყვანე ეგ ვილაც არისო. შევდივართ, ვუყურებ, ენახო ერთი, ვინა წევს ამ ურიის ლოგინში-მეთქი და ვხედავ კი რომ ბოგუნი არ არის!

— ერთი უყურეთ და!—შეჰყვირა ზაგლობამ.

— მე პირჯვარი გადავიწერე: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა-მეთქი! შემეშინდა კიდეცა. იმან მაშინვე მიცნო. გაეხარდა ძალიან (იმას ხომ მეგობრად მიეჩნივარ) და მეუბნევა: „სწორედ თვით ღმერთი მიგზავნის შენს თავს! ახლა აღარ მოვკვდები“. მე ვეუბნევი: „აქ რას აკეთებთ“! იმან ტუჩებზედ თითი მიიდო და მხოლოდ შემდეგ მიამბო თავისი თავ-გადასავალი, ხმელნიცკიმ როგორ გამგზავნა ზამოსტიედან მეფესთან და პან პარუჩიკმა ვოლოდიევსკიმ როგორ დანჩეხა ლიპოვკაშიო.

— კეთილის სიტყვით არ მოგიხსენია?—ჰკითხა ჩაგვერა რაინდმა.

— არც თუ ავად მოუხსენებიხართ. „მე ჯერ მეგონაო,— მითხრა—რომ ეს კაცი ბავშვს უფრო ჰგავსო, მეგონა ლეკვია, მაგრამ დიდი გმირი კი აღმოჩნდაო და კინაღამ შუაზედ არ გამწყვიტა ხმლის ერთის შემოკერითაო“. აი მხოლოდ პან ზაგლობას რომ გაიხსენებდა, წინანდელზედ მეტად აკრაჭუნებდა კბილებსა, იმიტომ რომ თქვენ შეგეგულიანებინათ ეს რაინდი ხმალში გასასველელად...

— ჯანდაბას იმისი თავი! მე ახლა იმისი აღარ მეშინიან!— უპასუხა ზაგლობამ.

— დავიწყეთ კვლავ მეგობრულად ცხოვრება,— განაგრძო ჟენძიანმა,— უფრო მეტადაც დავმეგობრდეთ, და მოჰყვა და მიამბო ყოველივე: როგორ ძაფზედ-ღა ეკიდა ჩემი სიცოცხლეო, როგორ წამიყვანეს იამპოლს, რადგან შლიახტიჩი ვეგონეთო, ხოლო მე პან გულევიჩი დავირქვი, პოდოლიიდან მოსულიო, როგორ მომარჩინეს, როგორ მივლიდნენ და რა მადლობელიცა ვარ იმათიო.

— ვლადავში რაღას აკეთებდა?

— ეოლინს უნდოდა გადასულიყო; მაგრამ პარჩევს მისმა წყლულმა პირი თურმე ჰქმნა (ურემი გადაუბრუნდათ და იმიტომ) და იძულებული იყო, იქ გაჩერებულიყო, თუმცა ეშინოდა, აქ არავინ მიცნოსო. თვითონ მიამბო ესე ყოველივე. „მეო, წერილები გამატანეს და ისე გამგზავნეს, ხოლო ახლა თან არავითარი მოწმობა არა მაქვს, მხოლოდ ერთი პერნაჩი მიგდია, და თუ მიცნეს, ვინცა ვარ, არა თუ თავად-აზნაურნი მომკლავენ, პირველივე უფროსი ციხისა ისე ჩამომარჩობს, რომ არავის ნება-რთვას არ მოსთხოვს“. მეც დავეთანხმე და ვიტვირთე მისი მოვლა. მადლობა გადამიხადა და დამპირდა, ჯეროვნად დაგასაჩუქრებო. „ეხლა ფული არა მაქვსო, მაგრამ სამაგიეროდ, რაც ძვირფასეული რამ მაქვს, სულ შენ მოგცემ, ხოლო მერე ოქროთი გაგავსებ, ოღონდ ერთი სამსახური კიდევ გამიწიეო“.

— ოჰო, ახლა კი ვგონებ, კნიაჟნას ამბავი იწყება?— სთქვა ზაგლობამ.

— სწორედ აგრე გახლავთ, ბატონებო; ყოველივე დალაგებითა და რიგით უნდა მოგახსენოთ. იმან რომ სთქვა, ფული არა მაქვსო, მე სულ გავუგულგრილდი და ვამბობ გულში: „მოიცა მაშა და მე შენ გაჩვენებ შენ სეირს! კარგა მოგივლი-მეთქი!“ ის მეუბნევა: „ავადა ვარ, ძალ-ღონე სულ გამომელია, გზა კი გრძელი და საშიში მაქს სავალი, როცა მოვრჩები, თუ ვოლინამდე მოვაღწიე, ეგ აქედან შორს არ არის და მაშინ ჩვენებ შორის ვიქნები, მაგრამ შემდეგ, დნესტრისაკენ, ვერ წავალ, ველარ შევძლებ. იქ სულ მტრის ქვე-

ყანაში უნდა ვიარო, ციხე-დარბაზებსა და ჯარებს ახლოს; შენ წადი ჩემ მაგიერ". მე ვეკითხები: სადა-მეთქი?—„რაშკოვს ახლოსაო; ის ქალი იქა მყავს დამალული, დონეცის დასთან, გორპინასას, აი გრძნეული რომ არისო". ვეკითხები: კნიაჟნა-მეთქი?—„ჰო, კნიაჟნაო,—ისეთს ალაგას დავმალე, საცა ადამიანის თვალი ვერ იხილავს. იქ კარგად არის; როგორც კნეინა ვისნეეეკისა, ისეა ბატონივით და სულ ფარჩა-ატლასის ლოგინი უშლია".

— ერთი ჩქარა სთქვი, მამა გიცხონდება და!—შეჰყვირა ზაგლობამ.

— შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო,—ალუშფოთველად წარმოსთქვა ჟენძიანმა.—ეს რომ გავიგონე, ისე გამეხარდა... მხოლოდ თავი ისე დავიჭირე, ვითომც აქ არაფერია-მეთქი და ვეუბნევი: „ნამდვილად კი იქ არის? მაშ, ალბად, დიდი ხანია, რაც იქ უნდა იყოს, თუ თქვენ თვითონ წაგიყვანიათ-მეთქი?" დაიწყო ფიცი, რომ გორპინა ჩემი ერთგული ძაღლია, თუნდა ათს წელიწადს უყარაულებსო, რომ კნიაჟნა იქ არისო, იმიტომ იქ ვერც ლიახები მივლენ, ვერც თათრები და ვერც ყაზახებიო, ხოლო გორპინა ჩემს ბრძანებას არ გადავიდოდაო.

ჟენძიანის ლაპარაკის დროს ზაგლობა ისე ცახცახებდა, თითქო აციებსო, კურკა რაინდი სიხარულით თავს უქნევდა, ხოლო პან პოდბიპენტა წამ და უწუმ ზე აპყრობდა თვალებსა.

— რომ ის ქალი იქ არის, ეს ნამდვილია,—განაგრძო პაჟმა: —ამისი უკეთესი საბუთია ის, რაც ბოგუნმა მე მომანდო. უცებ მოვედი გონსა და ვეკითხები: „მერე რისთვის უნდა წავიდე იქა-მეთქი?"—„იმიტომ რომ მე არ შემიძლიან წასვლაო. ვალადავიდან თუ ვოლინს ცოცხალი მივედი, იქ ვუბრძანებ, რომ კიევს გადამიყვანონ, იქ უკვე სულ ჩვენები არიან, ყაზახებმა გაიმარჯვეს, ხოლო შენაო, წადი და უბრძანე გორპინას, რომ ის ქალი კიევს წამოიყვანოს, ყოვლად-წმინდა ქალწულის მონასტერშიო".

— ჰნახე! თითქო ნიკოლოოზ კეთილისაშიო!—შეჰყვირა ზაგლობამ.—მე მაშინათვე ვსთქვი, რომ ერლიჩი ან გიჟია, ან იტყუა-მეთქი.

— ყოვლად-წმინდა ქალწულის მონასტერშიო!—განაგრძო ჟენძიანმა.—„მეო მოგცემ ბეჭედსა, პერნაჩსა და დანასაო, ხოლო გორპინამ იცის, ყოველივე ესე რასაც ჰნიშნავსო, ასე გვაქვს პირობა დადებული. მით უფრო მიხარიან შენი იქ წასვლა, რომ გორპინა გიცნობს შენა, იცის, რომ შენა ხარ ჩემი უკეთესი მეგობარი. წადი ეხლავე, ყაზახებისა ნუ გეშინიან, მხოლოდ თათრებს უფრთხილდი, ისინი პერნაჩს ზედაც არ დაჰხედავენ. ფული, ოქრო-ვერცხლი იქ არის ჩაფლული, ხევში; ამოიღე ისიცა. გზა-გზა სულ ამას იტყოდე: ბოგუნის პანნა მოდის-თქო! და იცოდე, არა გაგიჭირდება რა. იმ გრძნეულმა-კუდიანმა დედაკაცმა იცის, როგორ მოიქცეს. მხოლოდ შენ წადი კი, წადი, იმიტომ რომ აბა, მე უბედური ვის გაეგზავნი სხვას, ვის ვენდობი ამ უცხო ქვეყანაში, მტერით გარემოცული?“ ასე მეხვეწებოდა, ასე სტიროდა; ბოლოს, იმ ავაზაკმა იმანა, მიბრძანა, შემომფიცე, რომ წახვალო. მეც შევფიცე, მხოლოდ გულში კი ვსთქვი: წავალ, მაგრამ ჩემ ბატონთან ერთად კი მეთქი! ძალიან გაეხარდა, მაშინვე მომცა პერნაჩი, ბეჭედი და დანა და, რაც ძვირფასი რამ ჰქონდა; მეც ყოველივე გამოვართვი, იმიტომ რომ ვსთქვი: ის არა სჯობიან, რომ მე მქონდეს ესე ყოველივე, ვიდრე ამ ავაზაკსა-მეთქი! გამოთხოვებისას მიამბო, რომელი ხეია ის ხევი ვალანდინკას ზემოდ, როგორ უნდა იაროეო და ისე მიამბო, რომ თვალებახვეული გავიგნებ გზას. თორემ აი თქვენ თეითონა ჰნახავთ, იმიტომ რომ, მგონია, ჩვენ ეხლავე წავალთ, დაუყოვნებლივ.

— ხვალ დილითვე!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— დილამდე რაღას უცადოთ! უთენიავე წავიდეთ. უბრძანეთ, რომ ცხენები შეჰკაზმონ.

სიხარულმა, დიდმა სიხარულმა მოიცვა ყველა იქ მყოფნი.

დაუწყეს კიდევ ჟენძიანს ხან რის კითხვა და ხან რისა და ისიც ჩვეულებრივის ზოზინით აძლევდა ყველას პასუხს სათითაოდა.

— აი, დასწყევლოს ღმერთმა!—შეჰყვირა ზაგლობამ.—ეს რა მსახური ჰყოლია პან სქშეტუსკისა და! ბიჭო და, ხომ სულ ოქროში ჩაგსვამს ის კაცი!

— მეც ეგრე მგონია, რომ დაუჯილდოვებელს არ დამტოვებს, თუმცა გულის-წმინდით ვემსახურები ჩემს ბატონს.

— ბოგუნს რაღა დაჰმართე მერე?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— ოჰ, დიდს ტანჯვაში ვიყავი, მე თქვენ მოგახსენოთ, როცა ავადმყოფი იწვა, ლოგინად ჩავარდნილი და ვერ ვახერხებდი, დანა ჩამეცა იმისათვის მუცელში: იმიტომ რომ პან სქშეტუსკი შემჭამდა ასეთის საქციელისათვის, აღარ მაცოცხლებდა. ასეთის უბედურის ბედისა ვარ! აბა, რაღა უნდა მეწამებინა? აი, როცა მიამბო ყოველივე, რაც შეეძლო ეამბნა, როცა მომცა ყოველივე, რის მოცემაც უნდოდა, მოვყევ და ვსაზრობ, რად უნდა იაროს-მეთქი ამისთანა ბოროტმა ადამიანმა ქვეყნადა? ამას პანნაც ტყვედა ჰყავს და მეც კინაღამ მომკლა ჩიგირინშია-მეთქი. დეე ნულარ იქნება ცოცხალი, დეე ჯალათის კერძი შეიქმნას-მეთქი. აბა, რომ მორჩეს ახლა და დაგვედევნოს უკან ყაზახებითა, რაღა გვეშველება-მეთქი? აღარც ვაციევ, აღარც ვაცხელე, ავდექი და წავედი პან რეგოვკისთან, რომელიც ცხის უფროსად არის და ვოლდავაში სდგას ჯარითა. წავედი და მოვახსენე, აქა და აქ ბოგუნია-მეთქი, ყველაზედ მეტად საშიში კაცი მეამბოხეთა შორისა-მეთქი. აქამდე ალბად კიდეც ჩამოაღრჩობინა რეგოვსკიმ ის ავაზაკი.

ჟენძიანმა კმაყოფილებით გადიხარხარა და შეჰხედა სხვებს, თითქო ელის, რომ ესენიც მე მომბაძავენო, გარნა ძალიან გაუკვირდა, როცა პასუხად ამის ხარხარისა დუმილი იყო მხოლოდ.

მხოლოდ პატარა ხანს უკან ზაგლობამ წაიბუტბუტა პირველმა: „ყოველივე ეგ სისულელეა!“, მაგრამ სამაგიეროდ ვოლოდიევსკი იჯდა ჩუმად, ხოლო პან ლონგინუსი ულეაშს იგრეხდა, ენას აწკლაპუნებდა და ბოლოს მოუბრუნდა ჟენძიანს ამ სიტყვებით:

— შენ, ჩემო კარგო, კარგად არ მოქცეულხარ, ცუდად გინებებია.

— როგორაო?—გაუკვირდა ჟენძიანს.—მაშ, ის უკეთესი იქმნებოდა, რომ დანა ჩამეცა?

— ეგეც ცუდი იქმნებოდა და ისიც ცუდია, თუმცა მე არ ვიცი, რა უკეთესია, კაცის მკვლელობა, თუ იუდა-გამცემლობა.

— რას მიბრძანებთ? განა იუდამ მეამბოხე გასცა ვინმე? ხოლო ის ხომ მტერია მეფისაცა და რესპუბლიკისაცა!

— მართალია, მაგრამ მაინც, ეგ კარგი საქციელი არ მოგიქმედნია. დაიცა, რა სთქვი, ის ციხის უფროსი რა გვარია?

— პან რეგოვსკი. ამბობდნენ, რომ იმისი სახელია იაკუბიო.

— ჰო, ის არის! —სთქვა ჩურჩულით ლიტველმა.—პან ლაშჩის ნათესავი და მტერი პან სქშეტუსკისა.

იმისი ნათქვამი აღარავის გაუგონია, იმიტომ რომ ზაგლობამ დაიწყო ხმა-მაღლა:

— ყმაწვილებო, გვიანობისა აღარ არის! ღმერთმა ისე მოაწყო საქმე ამ ყმაწვილის კაცის წყალობით, რომ შევვიძლიან ყოვლად კარგ გარემოებათა შორის დავუწყოთ ძებნა კნიაჟნას. მადლობა უზენაესსა! ხვალ უნდა წავიდეთ. თავადი წავიდა აქედან, მაგრამ დაუთხოვნელადაც შეგვიძლიან გავუდგეთ გზასა, იმიტომ რომ დრო აღარა გვრჩება! წავიდეთ სამნივე, ვოლოდიევსკი და ჟენძიანი, შენ კი, პან პოდბიპენტა, სჯობიან აქ დარჩე, იმიტომ რომ შენი ტანი და გულ-უბრყვილობა გაგვცემს სადმე.

— არა, ჩემო კარგო, მეც წამოვალ.

— შენ უნდა დარჩე, თუ გინდა, რომ ის ქალი უვნებლად გადავარჩინოთ ხიფათსა. ვისაც ერთხელ უნახეხარ თავის სიცოცხლეში, იმას აღარ დაავიწყდებოდი; მართალია, ფირმანი გვაქვს, მაგრამ შენ ათი ფირმანიც რომ გქონდეს, არას დაგიჯერებენ. შენ არ ახრჩობდი პულინს კრივონოსისას და იმის ბრბოს წინაშე, ხოლო იმისთანა აყლაყუდა რომ იყოს

ვინმე ჩვენში, მაშინვე იცნობდნენ. არა, შენთვის შეუძლებელია ჩვენთან წამოსვლა. იქ შენ სამს თავს ვერ იპოვი, ხოლო შენი ბევრს ვერას გვიშველის. შესაძლოა, სულ ჩაჰფუშო შენა ჩვენი საქმე და ამიტომ ისევ აქ იჯექი.

— ესწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა,—სთქვა ლიტველმა.

— სწუხარ თუ არა, არ ვიცი და უნდა დარჩე კი. მოიცა ბუდეების ჩამოსაშლელად წავალთ მაღალ ხეებიდან და, მაშინ შენც წაგიყვანთ, ეხლა კი არ იქნება.

— შენ ისევ მოჰყე შენებურსა!

— მოდი მოგეხვიო: ისე მაქვს გული საესე სიხარულითა, რომ ასე მგონია ჩიტი ვარ-მეთქი, მაგრამ დარჩენით კი მაინც უნდა დარჩე და აი კიდევ რა გითხრა. ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს: საჭიროა, რომ ჩვენი საიდუმლო ჯარის კაცებმა არ გაიგონ და იმათგან კიდევ ტეტიებმა. სიტყვა, კრინტი არავისთან არ უნდა დასძრათ.

— არც თავადს ეუთხრათ რამე?

— თავადი აქ არ ბრძანდება.

— პან სქშეტუსკის, თუ ვინიცობაა დაბრუნდა?

— იმას უფრო არ უნდა უთხრათ, იმიტომ რომ მაშინვე გამოექანება ჩვენკენ. მოვა დრო, მაშინ გაიხარებს კიდეცა, ხოლო ღმერთმა დაგვიფაროს, და ახალი რამ უბედურება კი რომ მოჰხდეს, შეიძლება ჭკუაზედ შეიშალოს. რაინდული სიტყვა უნდა მოგვცეთ, ყმაწვილებო, რომ ყოველივე საიდუმლოდ დარჩება ჩვენ შორის.

— მომიცია სიტყვა,—სთქვა პოდბიპენტამ.

— მოგვიცია, მოგვიცია!

— ხოლო ახლა მადლობა გადავუხადოთ ღმერთსა.

და ზაგლობამ პირველმა დაიჩოქა ხატ-წინა. სხვებმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს.

XXII

თავადი მართლა ზამოსტიეს წავიდა რამდენისამე დღის წინად სხვა-და-სხვა მოსაზრების მიზეზით და იმედიც არა ჰქონ-

და, რომ ისევ მალე დაბრუნებულიყო უკან. ვოლოდიევსკი, ზაგლობა და ჟენძიანი გზას გაუდგნენ და ერთი სიტყვა არ წამოსცდენიათ არავისთან. დარჩა ერთად-ერთი კაცი, რომელმაც იცოდა ყოველივე გარემოება საქმისა, მაგრამ ისიც ისე იყო პირ-მოკუმული, თითქო შელოცვილიაო.

ვერშული და სხვა აფიცრები, რომელთაც იცოდნენ კნიაჟნას სიკვდილი, რა ფიქრს მოვიდოდნენ, რომ პატარა რაინდისა და ზაგლობას წასვლას რაიმე კავშირი ექმნებოდა საცოდავ სქშეტუსკის დანიშნულის ბედთან და ჰგონებდნენ, რომ მათის წასვლის მიზეზი უფრო თვით სქშეტუსკი უნდა იყოსო, მით უფრო რომ ჟენძიანი, მისი პაჟი, იმ რაინდებს ეახლა თანა. რაინდნი გაემართნენ პირდაპირ ხლებანოვკას და იქ დაიწყეს მზადება შორს გზას სასიარულოდ.

უპირველეს ყოვლისა ზაგლობამ იყიდა იმ ფულით, რომელიც პან ლონგინუსს გამოართეა სესხად, ხუთი ღონიერი პოდოლიური ცხენი, ისეთი მაგარი ცხენები, რომ შესძლებოდათ შორს მანძილზედ სიარულის ატანა. ამ ჯიშის ცხენი შეიძლებოდა მთელს დღეს ეჭენებინა პატრონს და ისე ედევნა თათრებისათვის; სიფიცხით თათრების ცხენს გადააჭარბებდა, ხოლო გაჭირებას ბევრად უფრო მეტს აიტანდა, ვიდრე თათრების ცხენს შეუძლიან აიტანოს; ხუთი ამისთანა მაჭენებელი ცხენი იყიდა ზაგლობამ; ამას გარდა, თავისათვის, თავის ამხანაგებისათვისა და კნიაჟნასათვის იყიდა მშვენიერი ყაზახური ჩასაცმელ-დასახური; ჟენძიანი შეუდგა ცხენების დასაპალნების საქმეს და მათთვის ფალნების მოჰზადებას. როცა ყოველივე მზად იყო, ჩვენი ნაცნობნი მეგობარნი—რაინდნი გაუდგნენ შორს გზას, ხოლო წასვლამდე ახსენეს ღმერთი და თავნი თვისნი შეავედრეს წმ. ნიკოლოზს, გასათხოვარ ქალთა მფარველსა.

ასე ტანისამოს-გამოცვლილთ კაცი ადვილად დასახავდა ყაზახთა ატამანებად და, მართლაც, ხშირად შეაყენებდნენ ხოლმე ჩვენს მგზავრებს პოლონელთა რაზმნი; მაგრამ პან-ზაგლობა მალე დაუბნევდა ხოლმე იმათ გზა-კვალსა. დიდ ხანს

მოუხდათ სიარული ასეთ დამშვიდებულს მხარეში; ყველგან ბანაკად იდგნენ ჯარები მხედართ-მთავრის ლიანკაროონსკისა, რომელიც ნელ-ნელა უახლოედებოდა ბარს, რომ თვალი არ მოეშორებინა იმ ყაზახთა ბრბოსათვის, რომელნიც იმ ადგილებში იკრიბებოდნენ აქა-იქა. ახლა ყველამ იცოდა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებას არაეითარი ნაყოფი არ მოჰყვა, რომ ომი თავს დასტრიალებდა ქვეყანას და მხოლოდ უმთავრესნი ჯარნი ჯერ არ გასულიყვნენ მინდვრად სალაშქროდა. პერეიასლავს დროებით შეკრულს ზავს სულთ-მოფენობას გაუთავდა ვადა; სათარეშო ომი თითქმის არსად არა სცხრებოდა, ხოლო ახლა უფრო გაძლიერდა და მტერნი მხოლოდ ნიშანს-ღა ელოდნენ. ხოლო ამასობაში გაზაფხულმა ააყვავა მინდორ-ველი. ცხენის ნალითა და ჩლიქებით დათხრილი მიწა მოიფინა ყვავილითა და ბალახით, რომელიც ამოსულიყო დახოცილ მეომართა სისხლით გაპოხიერებულ ადგილებში. საცა ომი და ბრძოლა აყო, იქ მხიარულად ჭყროპინებდნენ და ცის ლაჟვარდში დანავარდობდნენ ტოროლანი, ბორცვებზედ იფინებოდნენ გუნდნი ფრინველთა, წყალი ოქროს ფრად ბჭყვრიალებდა მცირედის სიოს მობერვით, ხოლო ღამე ბაყაყნი მხიარულად ეხმაურებოდნენ ერთმანეთს.

კაცს ეგონებოდა, ბუნებას თვითვე უნდა განკურნება წყლულთა, დაამება ტკივილისა, მიფანიერება საფლავთა ყვავილებითაო. კაშკაში გაჰქონდა ცასა და დედა-მიწას, იყო სიგრილე, მხიარულება; მთლად მინდორი ფარჩასავითა ბრწყინავდა, ანუ ისე სჭრიდა კაცს თვალსა, თითქო დიდებულის მთავრის სარტყელიო, ის სარტყელი, რომელზედაც ხელოვანს მარჯვენას მოუქარგავს საოცარი სახეებიო.

მინდორი სავსეა ფრინველებით და დაჰქრის ზედ ლაღი ქარი, რომელიც აშრობს წყლებს და შავგვრემანს ფერსა სდებს ადამიანის სახეს.

მაშინ ჰხარობს ყოველი სულდგმული და გულსა კაცისასა ავსებს იმედი და სასოება უსამზღვრო; ასევე ჰხარობდნენ და იმედოვნებდნენ ჩვენი რაინდებიცა. პან ეოლოდიევსკი და-

უცხრობლად ამბობდა სიმღერას-სიმღერაზედ, პან ზაგლობა იზ-
მორებოდა და მზის თბილ სხივებს უფიცხებდა ზურგს, ხოლო
ერთხელ, როცა კარგად დააცხუნა მზემ, უთხრა პატარა რა-
ინდს:

— რა კარგია... სწორედ გიოხრა, ორ-ნახად თაფლისა
და უნგარულ ღვინის შემდეგ მოხუცის ძვლებისთვის მზეზედ
უკეთესი აღარა იქნება-რა.

— ყველასთვის კარგია. შეჰხედე, აგერა პირუტყვსა, ისიც
კი ჰხარობს.

— ჩვენი ბედი, რომ ასეთს დროს მივდივართ კნიაჟნას
წამოსაყვანად, თორემ ზამთარში, მერე თუ ყინვებიც იქმნე-
ბოდა, გაგვიძნელდებოდა მისი გამოტაცება.

— ერთი გამოვიტაცოთ კი და მერე, ეს ულვაშები აღა-
რა მსხმია, თუ მე ის წამართეას-ღა ვინმე.

— უნდა გითხრა, პან მიხალ, ერთი რამ მაშინებს მე, სა-
ხელდობრ, ისა, რომ თათრები არ დაგვესხან აქ სადმე თავსა,
თორემ ყაზახებს კი პასუხს გაეცემთ, როგორც იქნება. შეჰნი-
შნე, რომ სოფლელნი ისე გვეკიდებიან, როგორც უფროსებსა,
ხოლო იმიერ-ჭორომელნი პატივსა სცემენ ფირმანსა, ამასთან
ბოგუნის სახელიც მცირე მფარველობას არ გაგვიწევს. ბევრს
რასმე მოვახერხებდი, მაგრამ არ მინდა იმათი ქითაბი ვიწამო.
ამიტომ გავანებე თავი ყველაფერსა; მით უმეტეს, რომ კინა-
ღამ მოწამებრივის სიკვდილით არ აღვსრულდი, რადგან იმა-
თის უფროსის მღვდლისათვის ჭეშმარიტი სარწმუნოება მინ-
დოდა ჩამეგონებინა.

— თითქო ოდესმე ამბობდი, რომ ეგ ამბავი გალატში
მოჰხდაო.

— გალატში ერთი საქმე მოჰხდა და ყირიმში მეორე შე-
მემთხვა. თუ გგონია, რომ დედა-მიწა გალატში თავდება, ძა-
ლიანი შემცდარი ხარ. ბელიალის ძენი უფრო ბევრნი არიან
ამ ქვეყნად, ვიდრე ქრისტეანენი.

აქ ჟენძიანი ჩაერია ლაპარაკში.

— თათრები კიდევ არაფერი,—სთქვა მან,—მაგრამ აი ბოგუნმა მითხრა, რომ ამ ხეობას ეშმაკები და ქაჯები ჰდარაჯობენო. თვით ის ბუმბერაზი დედა-კაცი, რომელიც კნიაჟნას უვლის, შესაძლოა ეშმაკებთან არის კუდი-კუდს გადაბმული. ვინ იცის, იქნება იმათ წინდაწინვე შეატყობინეს კიდეც იმ დედა-კაცს ჩვენი განზრახვა. მართალია, მე მაქვს მოჯადოებული ტყვია და თუ არ ამ ტყვით, სხვით ის არ მოიკვლის, მაგრამ იქ დაბუდებულია კიდევ მრავალი მავნე სული და ისინი თურმე ჰყარაულობენ ხეობის კარს. ეს კი თქვენი საქმეა, რომ ავი არა წამეკიდოს-რა, თორემ მშვიდობით მაშინ ჩემო ჯილდოსაჩუქარო.

— ჰაი, შე ნაცარქექია, შენა!—უთხრა პან ზაგლობამ.— ეგ არი, ჩვენ იმის მეტი საქმე აღარა გვაქვს-რა, რომ შენის ჯანმრთელობისათვის ვიზრუნოთ. იქნება, ეშმაკმა კისერი არ მოგიგრიხოს, და თუმცა მოგიგრიხა, დიდი არაფერია; სულ ერთია, მაინც ჯოჯოხეთში შეხვალ, ისეთი ხარბი და ანგარი ხარ. მე კაი მოქლესილი გახლავარ, ადვილად ვერავინ მომატყუებს, ხოლო შენ ეს იცოდე, რომ თუ გორპინა ჯადოქარია, მე უარესი ჯადოქარი და გრძნეული ვარ, იმიტომ რომ სპარსეთში მისწავლია მოგე-მისნობა და ჯადოქართა-მეტყველება. ის დედაკაცი ქაჯებს ემსახურება, ხოლო ქაჯები ჩემი ყმები არიან. რომ მინდოდეს, თუნდა სულ წყალს ვაზიდვინებ ვირებივითა, მაგრამ არ მინდა იმათი გადაკიდება, მე ჩემი სული მირჩევნიან ყველასა.

— სულის ცხონება დიდი საქმეა, გარნა ამ შემთხვევაში, იმედია, გამოიჩენთ, თქვენს ძალ-ღონესა. ყოველთვის ისა სჯობიან, რაც კაცი უფრო უშიშარი და უზრუნველ-ყოფილი იქნება.

— მე კი უფრო ჩვენის საქმის სიმართლე და ღვთის შეწევნა მწამს,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.—დეე გორპინასა და ბოგუნს ეშმაკები სდარაჯობდნენ,—ჩვენთან არიან ანგელოზნი ცისანი, რომელთაც ვერც ერთი რაზმი ჯოჯოხეთისა ვერას დააკლებს. აღმოთქვამს წმინდა მთავარ-ანგელოზის მიქელისათვის შვიდი სანთელი თეთრის კოშტისა.

— ერთს კიდევ მე დავუმატებ,—სთქვა ჟენძიანმა,—რომ პან ზაგლობა ჯოჯოხეთით არ მაშინებდეს.

— მე პირველი გატუცვიებ იქ თავსა,—სთქვა შლიახტიჩმა,—თუ აღმოჩნდება, რომ კარგად არ იცი აქაური ადგილები.

— როგორ თუ არ ვიცი? ვალადინკამდე კი მივიდეთ ერთი და მერე თვალ-ახვეულიც გაგიძღვებით წინა. უნდა ვიაროთ ნაპირ-ნაპირ დნესტრისაკენ, ხოლო იარი მაშინ ხელ-მარჯვნივ იქნება. პირველ შეხედვაზედ ისე მეჩვენება, მითომ იქ შესვლა შეუძლებელიაო, მაგრამ კლდეში არის ნაპრალი და იმ ნაპრალში ორი ცხენი გაივლის თურმე ერთად. შეეალთ თუ არა იქ, იქიდან მერე ველარავინ გამოვა უჩვენოდ: იმიდან ეგ ერთი გამოსავალია და გარშემო კი ისეთი მაღალი კლდეებია, რომ ფრინველის მეტი ვერა გადაფრინდება-რა. ის ჯადოქარი დედაკაცი ჰხოცავს ხალხს, ვინც ნებადაურთველად იქ შევა და ცოტა ხალხიც თურმე არ დაღუპულა. მაგრამ ბოგუნმა მითხრა, რომ ამას ყურადღება არ უნდა მიაქციო, არამედ მიდიოდე წინ და იძახო: ბოგუნ! ბოგუნოვო! მაშინ ალერსიო თურმე მიგვიღებს. გორპინას გარდა იქა სცხოვრობს კიდევ ჩერემისი, კარგი მსროლელი თოფისა. ორივენი უნდა დავხოცოთ.

— ჩერემისი კი, ვსთქვათ, საჭიროა, მოვკლათ, ხოლო დედაკაცი საკმაო შევკრათ.

— ძალიან კი დაგნებდათ, დიალ! ისეთი ლონიერია თურმე, რომ ჯაჭვის პერანგს ისე ჰხევს, თითქო ჩითიაო და ნალებს ამტვრევს. ამას იხოლოდ ერთი პან პოდბიპენტა თუ დასძლევს, თორემ ჩვენ ვერა. მაგრამ ეგ მე მომანდეთ. მე მაქვს ნაკურთხი ტყვია. დეე, იმ ქაჯის აღსასრული დღე დადგეს, თორემ გამოგვეკიდება უკან, ქორივითა და, არა თუ პანნას ვერ მოვიყვანთ მშვიდობით ბინამდე, არამედ ჩვენ თვითონაც დავიღუპებით.

ამისთანა ლაპარაკში მიდიოდა დრო ჩვენის მგზავრებისა, რომელნიც აჩქარებით მიდიოდნენ იარმოლინეცისაკენ, ხოლო იქიდან უნდა შეეხვიათ იამპოლის კერძოდ. ხან და ხან ღამეს

ცის ქვეშ ათევდნენ მინდვრად და, აბა, მაშინ მოჰყვებოდა ხოლმე პან ზაგლობა თავის თავგადასავალს, ისეთს ამბებს, რომელიც მართლა გადაჰხდოდა და ისეთსაც, რომელიც მტკნარი ტყუილი იყო და არასოდეს არ მომხდარიყო. ეს კია, რომ უფრო ბევრსა ლაპარაკობდნენ კნიაენას ამბავსა, იმის განთავისუფლებისასა ტყვეობიდან იმ ჯადოქარ დედა-კაცის სამფლობელო ხეობაში.

აგერ დაიწყო ყაზახთა ქვეყანაც, სადაც ერთი ლიახიც აღარ იყო ჭაჭანებად; ვინც არ გაქცეულიყო და ამ ღონისძიებით არ გადაერჩინა თავი, ყველანი ამოჰყლიტეს. გავიდა მაისი და დაიწყო სიცხე-პაპანაქება ივნისისა; ჩვენს მგზავრებს კი ჯერ მესამედი გზა ძლივსა ჰქონდათ გაელილი. ბედი კიდევ, რომ ყაზახებისა არავითარი შიში არ იყო. გლეხკაცთა ბრბო ხომ სულ ვერას დააკლებდა ჩვენს მგზავრებს, რომელთაც ისე ეგებებოდნენ, როგორც უფროსებსა და ბატონებს. ათასში ერთხელ კი დაუწყებდნენ ხოლმე გამოკითხვას, ვინა ხართო, და მაშინ პან ზაგლობა, თუ გამომკითხველი ქვემოური იყო სეჩიდან, ბოგუნის ფირმანს აჩვენებდა ხოლმე, ხოლო უბრალო ტეტიას ფეხსა ჰკრავდა ხოლმე გულში ხმა-ამოუღებლივ და გაშხლართავდა ძირს. ამის დანახვაზედ სხვები მაშინვე ჩამოეცლებოდნენ გზიდან და ჭგონებდნენ, რომ მგზავრნი არა თუ ჩვენები არიან, არამედ უთუოდ ვინმე დამსახურებულნიც უნდა იყვნენ, თუ ჩვენს გალახვასაც კი ჰბედავენო. „იქნება კრივანოსია, ბურლაი, ან იქნება თვით ბატონიმამა ხმელნიცკიო“.

პან ზაგლობას ძალიან სწყინდა, რომ ბოგუნს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი; ქვემოურებმა თავი მოაწყინეს ატამანის ამბის გამოკითხვითა; მერე ამ გამოკითხვას დასასრული აღარ ეძლეოდა ხოლმე: კარგად არის, ცოცხალიაო, რადგან იმის სიკვდილის ამბავს ეგორლიკამდე და ჭორომებამდე მიეღწია. ხოლო როცა მგზავრნი ეუბნებოდნენ, რომ ბოგუნი კარგად არის, თავისუფლად იმყოფება, ხოლო ჩვენ იმისი გამოგზავნილები ვართო, ყაზახებმა აღარ იცოდნენ, როგორ ესია-

მოვნებინათ მათთვის, უხსნიდნენ არამც თუ თავიანთ გულს, არამედ თავიანთ ქისასაც კი, რაც უყურადღებოდ არ დასტოვა პან სქშეტუსკის პაჟმა და საკმაოდაც გამოიყენა ასეთი გულუხვი მასპინძლობა ყაზახთა.

იამპოლში ჩვენს მგზავრებს დაუხვდა მოხუცებული და ქებული პოლკოვნიკი ბურლაი, რომელიც აქ ელოდა თათრებს იმიერ-ჭორომელებითა და მდაბიო ხალხითურთ. ოდესმე ეს კაცი თურმე ასწავლიდა ბოგუნს „სამამაცო ზნეს", დადიოდა მასთან ერთად შავს ზღვაზედ სალაშქროდ (ერთს ამისთანა ლაშქრობაში გასცარცვეს სინოპი), უყვარდა შვილიეით, და ამიტომ ალერსით მიიღო მისი გამოგზავნილი კაცები, რომელთა ეინაობაზედ ერთი ბეწვი ეჭვიც არ დაჰბადებია, მით უმეტეს, რომ ჯერ ისევ შარშანა ჰყავდა ნახული ჟენძიანი ბოგუნთან. კიდევ უფრო მეტი მოიქმედა: რაკი გაიგო, რომ ბოგუნი ცოცხალია და ვოლინისაკენ აპირობს წამოსვლასაო, დიდი ნადიმი გაუმართა და სიხარულით თვითონაც ძალიან გადაჰკრა თავის სტუმრებთან ერთადა.

პან ზაგლობას ეშინოდა, ამ ჟენძიანმა, რაკი გამოითვრება, არა წამოჰროშოს-რაო, მაგრამ იმისი შიში ტყუილი გამოდგა. მოხერხებული პაჟი სტყუოდა ისე, რომ არა წითლდებოდა და თან ტყუილში ცოტა-ცოტა მართალსაც ურევდა; ამის გამო მთლად იმის ნალაპარაკევსაც სიმართლის ელფერი ედებოდა. ჩვენს რაინდებს მაინც ძალიან ეხამუშემოდათ ისეთი ლაპარაკი, რომელშიაც მათი სახელები იხსენიებოდა წამ და უწუმ.

— გავიგონეთო,—სთქვა ბურლაიმ,—რომ ბოგუნი დაჭრილ იქმნა ხმალში გასვლის დროსაო. თქვენ ხომ არ იცით, ვინ დასჭრაო?

— ვოლოდიევსკიმ, თავად ერემიას აფიცერმა,—გულ-დამშვიდებით უპასუხა ჟენძიანმა.

— ვაიჰ, ჩამივარდებოდა მე ის ხელში, ვაჩვენებდი მე იმას სეირსა! კარგად გადავუხდიდი სამაგიეროს. სულ ცოცხალს გავაძრობდი ტყავსა!

პან ვოლოდიევსკიმ მიიგრიხ-მოიგრიხა თავისი ქერეჭა ულვაშები და ისეთ ნაირად შეჰხედა ბურლაის, როგორც ძაღლმა შეჰხედოს მგელს, როცა არ შეუძლიან სწვდეს ყელში, ხოლო ჟენძიანმა, თითქო უფრო ძლიერ უნდა იმისი გაბოროტებაო, დაუმატა კიდევ:

— მეც მაგიტომ გითხარი, პან პოლკოვნიკო იმისი გვარი, მაშა?

— „ეს ბიჭი ძალიან კაცი დადგება თავის დროზედ“,— სთქვა გულში ზაგლობამ.

— მაგრამ იმდენად ის არ არის დამნაშავე; თვითონ ბოგუნმა გამოიწვია, თუმცა კი არ იცოდა, ვის ვიწვევო. იქვე იყო მეორე შლიახტიჩი, დიდი მტერი ბოგუნისა! იმ შლიახტიჩმა გასტაცა პირველად კნიაჟნა ბოგუნსა.

— ვინა?

— არის ერთი, ბებერი ლოთი, რომელიც მოჯალაბესავითა ჰყავდა ჩვენს ატამანს ჩიგირინში, ელაქუცებოდა, ემელიავებოდა და თავს ისე უჩვენებდა, ვითომ ერთგული მეგობარი იყო იმისი.

— ჰოი, ის ჩამოსალრჩობი! არც ასცდება ჩამოხრჩობა!— შეჰყვირა ბურლაიმ.

— მაშ ეს ულვაშები ნუ მსხმია, თუ მე ყურები არ დავაჭერი ამ გოჭსა, ამას,—წაიტუტუნა ჩუმად ზაგლობამ.

— და ისე დასჩეხა, რომ, იმის ჯლაგას სხეა ყოფილიყო, ყორნების საკორტნი გაჰხდებოდა, მაგრამ ჩვენს ატამანს მტკიცე სული უდგია; მალე მორჩა ისევა, თუმცა ძლივს მოიყვანეს ვლადავამდე! იქაც ცუდს ყოფაში ჩავარდებოდა, ჩვენ თუ არ შევხვედროდით. ჩვენ გავგზავნეთ იქიდან ვოლინს, ხოლო თვითონ ჩვენ აქეთ გამოგვგზავნა იმ ქალისათვის.

— რა საჭიროა, დაჭლუპავენ საწყალს ეგ შავ-თვალ-წარბანი,—დაიწყო ბუზღუნი ბურლაიმ,—წინადვე ვუწინასწარმეტყველე მე ესა. არა სჯობდა ვითომ რომ ყაზახურად წასთამაშებოდა იმ გოგოს, მერე მოება კისერზედ ქვა და გადაეგდო წყალში, როგორც ვიქცეოდით ხოლმე შავს-ზღვაზედა?!

პან ვოლოდიევსკიმ ძლივს-ღა შეიკავა თავი: ისე შეურაცხ-ჰყო ამ სიტყვამ მისი გრძნობა თავაზიანობისა მშვენიერის სქესის მიმართ. ზაგლობამ გადიხარხარა და სთქვა:

— დიალაც, ეგრე ემჯობინებოდა!

— მაგრამ თქვენ კეთილნი კაცნი ხართ,—განაგრძო ბურლაიმ,—გაჭირვებაში როცა გინიხავთ, არ მიგიტოვებიათ, ხოლო შენ, პატარა ბიჭო, (ჟენძიანისკენ გადიქნია მან თავი) შენ ყველაზედ უკეთესი ხარ; ჯერ ისევ ჩიგირინში გნახე და მომეწონა, რომ ისე კარგად უვლიდი ჩვენს მტრედსა. ჰო და, მაშ, მეც თქვენი კეთილის-მყოფელი ვარ... მითხარით, რაც გინდოდეთ, ყაზახები თუ ცხენები? ყველაფერს მოგცემთ, რომ გზაში არა გაგიჭირდეთ-რა.

— ყაზახები არ გვინდა, პან პოლკოვნიკო,—უპასუხა ზაგლობამ,—ჩვენ აქ შინაურები ვართ და საჩვენო მიწა-წყალში მივდივართ, ხოლო თუ ვინიცობაა, ავად მოგვეკიდა ვინმე, ეს სამნი უფრო ადვილად გაეუმკლავდებით, ვიდრე მაშინ, როცა მთელი რაზმი გვეყოლება. აი ცხენები თუ გახლავთ, უკეთესები... ეგ კარგი იქნება.

— ისეთს ცხენებს მოგცემთ, რომ ვერავითარი მდევარი ვერ დაგეწიოთ.

ჟენძიანიც მოჰყვა ახლა, რადგან არ უნდოდა ასეთი მოხერხებული დრო დაეკარგნა:

— ფულიც ცოტა მოგვცა ატამანმა. თითონ იმასაც არა ჰქონდა, ხოლო ბრაცლავს იქით ჩანახი შვრია ტალერად ჰღირს.

— მერე რაღას გაჩუმებულიყავ, ერთი კაცმა გკითხოს? წამომყევ თანა!—უბრძანა ბურლაიმ.

ჟენძიანმა მეორედ აღარ ათქმევინა ეს სიტყვა და მაშინადვე გაჰყვა უკან მოხუცს პოლკოვნიკს ტუსტესითა. როცა ყაზახი უკან დაბრუნდა, ჟენძიანის სახეს ბრწყინვა გაჰქონდა სიხარულით, ხოლო ლურჯის ჯუბის ჯიბე-უბენი ძალზედ გატენილი ჰქონდა რაღათიცა.

— აბა, წადით და ღმერთმა მშვიდობის მგზაერობა მოგცეთ,—სთქვა მოხუცმა ყაზახმა,—ხოლო როცა იმ ქალს წამო-

იყვანთ, ჩემთან შემოიარეთ, მეც მინდა თვალი მოვკრა ბოგუნის დანიშნულს.

— ეგ არ შეიძლება, პან პოლკოვნიკო,—თამამად უპასუხა პაჟმა,—ის პოლონელი ქალი ძალიან მშიშარაა და ერთხელაც დაიჭრა თავი დანითა. გვეშინიან, ავი არა აიტეხოს-რა. ისევ ისა სჯობიან, რომ თვით ატამანი მოურიგდეს იმასა.

— ის კი მოურიგდება, შიში ექმნება იმისი. პოლონელი უკარებია! ვერ უყურებთ, ყაზახი არ მოსწონს! აბა, წადით და მშვიდობით იმგზავრეთ, ახლა შორს აღარა ხართ.

იამპოლიდან ვალადინკამდე მანძილი სულ აღარა იყო-რა, მაგრამ ჩვენს რაინდებს მთელი დღე მოუნდათ სიარული, იმიტომ რომ იმ დროს ეს ქვეყანა სრულიად გაუდაბურებულიყო და მხოლოდ აქა-იქ სჩანდნენ მოსახლენი. ალიონი ამოდიოდა, როცა ნადიმი გათავდა ბურლაისას, ხოლო პან ზაგლობამ ივარაუდა, რომ საღამომდე მაინც ვერ მივალთ იარამდე და ეს ჩვენთვის ძალიან სახეირო იქნებაო. იმას უნდოდა, ელენე სწორედ ღამე გამოეტაცნა. აქამდე ბედი სწყალობდა ჩვენს მგზავრებს და ზაგლობა, გზაში რომ ბურლაისთან ნადიმს იხსენებდა, ასე მსჯელობდა:

— ერთი დააკვირდით, რა მეგობრობითა სცხოვრობენ ყაზახნი, როგორ ეშველებიან ერთმანეთსა. მზად არიან ერთმანეთის გულისათვის, თუნდა ცეცხლში გადავარდნენ, ისე კი არ იქცევიან, როგორც ჩვენი თავად-აზნაურნი.

— დიდ ხანს ვიცხოვრე მაგათში და ვნახე,—სთქვა პასუხად ჟენძიანმა,—რომ ბურლაის დიდი სახელი აქვს მათ შორის მოხვეჭილი, და თვით ხმელნიცკიც პატივსა სცემს მაგასა.

— შენ კი გეტყობა, სრულიად არავითარი პატივისცემა არა გაქვს მაგ კაცისა, იმიტომ რომ გასცარცვე სულა და ეგ იყო. ეჰ, ჟენძიანო, ჟენძიანო! შენა რომ შენის სიკვდილით არ მოკვდები, ეგ ნამდვილია!

— ვისაც შუბლზე რა აწერია, ის იქნება. ხოლო მტრის მოტყუება ცოდო არ არის, არამედ დამსახურებაა ღვთის წინაშე.

— მე მაგისთვის კი არ გკიცხავ,—შენი ხარბობა და ანგარებაა დასაგმობი. საძაგელი გრძნობაა, უღირსი შლიახტიჩისათვის. მაგისათვის შიგ შუა ჯოჯოხეთში გადაგიძახებენ, მენდე.

— წმინდა სანთლისათვის ფულს არ დავზოგავ, თუ კი ვიშოვნი რასმე, რათა ღმერთსაც ცოტა რამ ერგოს. ღმერთი დამლოცავს ამისათვის, ხოლო მშობელნი კეთილად მომიხსენებენ.

— რა ვირი რამ არის, ეს ოჯახ-დასაქცევი! კაცს ეგონება, ოთხსავე ფეხზედ ნალებითაა დაჭედილიო! —შეჰყვირა ზაგლობამ.—მე მეგონა, რომ ჩემთან ერთად ჩავა საფლავში ჩემი ყოვლადი კვდარ-ძაღლობა და მოხერხებულებაცა-მეთქი, მაგრამ ვხედავ, რომ ეს პატარა ქაჯი მეც გადამაჭარბებს ვირ-ეშმაკობაში. მაშ, ასეა, რომ ამ წიწილა-ბიჭის ოინბაზობის წყალობით გავანთავისუფლებთ ჩვენს კნიაჟნას ბოგუნის ტყვეობიდან ბოგუნისავე ბრძანებით და ბურლაის ცხენებით. გაგონილა ამისთანა ამბავი? რომ შეჰხედოს კი ვინმე, გაქუცულს გოჭსა ჰგავს და სამს ფარას არავინ მისცემს, მის გაყიდვაზე თუ მივარდება საქმე.

ჟენძიანმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— მერე ცუდია ეგა, პან ზაგლობა?

— მე ძალიან მომწონს შენი კვდარ-ძაღლობა და ეგ სიხარბე რომ არა გჭირდეს, მე აგიყვანდი ხელზედ მოსამსახურედ... მაგრამ, ეჰ, დარჩი აგრე: იმის გულისთვის, რომ ეგრე გააცურე ყინულზედ ბურლაი, მიპატივებია შენთვის ჩემი გაბიაბრუება და ლოთად ხსენება.

გავიდა ღამე. აგერ მზემაც კარგად ამოიმაღლაურა, ახლა ვალადინკაც ახლოა. რაინდნი სულ ახლო იყვნენ იმ ადგილზედ, საცა უნდა მისულიყვნენ, მაგრამ მოუსვენრობა, ნებაუნებურად, შეეპარათ გულში. ვინ იცის, ცოცხალია ელენეღა თუ არა, და თუ ცოცხალია, ვიპოვით იარში? გორპინას შეეძლო წაეყვანა სადმე, დაემალა მიუვალ კლდე-ნაპრალებში, ან და აეღო და მოეკლა. დაბრკოლება ჯერ გადალახული არ იყო, საშიშროება ყოველ წუთს იყო კიდევ მოსალოდნელი. ყველა ნიშნები კი ჰქონდათ, რომლის ძალითაც გორპინა შეიწყნარებდა იმათ და ბოგუნის გამოგზავნილ კაცებად დასახავ-

და, იმის სურვილის ამასრულებლად, მაგრამ, ვინ იცის, იქნება ეშმაკმა წინდაწინვე ჩააგონოს იმ ჯადოქარს დედა-კაცს, ასე საქმეაო.

ყველაზედ მეტად სწუხდა ჟენძიანა, აგრედვე პან ზაგლობაცა, თუმცა გამოცდილი იყო სპარსულ ჯადოქრობაში, მაგრამ რომ დაჰფიქრდებოდა, მოუსვენრობა ებადებოდა გულში. აგერ ხეობის შესახვევში დაიწყო ბრწყინვა ანკარა წყალმა და თეთრ-წითელი სახე ჟენძიანისა უცბად გაფითრდა.

— ვალადინკა!—წაიჩურჩულა მან.

— მივედით?—ისევე ჩუმადა სთქვა ზაგლობამაც.—რა ახლოა!...

— ღმერთო, შენ დაგვიფარე! პან ზაგლობა, დაგეწყო შენი შელოცვა, თორემ ძალიან მეშინიან.

— ფიქრი არ არის! გადავწეროთ პირ-ჯვარი ამ წყალს და შევიდეთ ხეობაში; ეს უფრო გვიშველის.

პან ვოლოდიევსკი უფრო დამშვიდებული იყო სხვებზედ; მან ყურადღებით დაათვალიერა დამბაჩები, ფალიას თოფის წამალი დააყარა და სცადა, ხმალი ხომ თავისუფლად ამოდის ქარქაშიდანაო.

— აი ამ დამბაჩაში ნაკურთხი ტყვია სძევს,—სთქვა ჟენძიანმა.—სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა! გავწიოთ წინ!

— გავწიოთ, გავწიოთ!

რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს კიდევ და პატარა წყალის ნაპირად კი დაიბადნენ და გასწიეს მის დაყოლებაზედ. პან ვოლოდიევსკიმ ერთის წუთით შეაჩერა თავისი ამხანაგები:

— ჟენძიანმა აიღოს ფირმანი და გაუბას ლაპარაკი ჯადოქარს დედაკაცსა. ის იცნობს მაგასა; ჩვენი კი, იქნება შეეშინდეს და გაიქცეს სადმე კნიაჟნათი.

— მე პირველი არ წავალ, რაც უნდა დამემართოს,—დაიწყო წინააღმდეგობა ჟენძინმა.

— ჰაი, შე მხდალო! არ წახვალ და ჩვენს უკან იარე.

პან ვოლოდიევსკი გაუდგა პირველი გზას, ამას გაჰყვა ზაგლობა, ხოლო ჟენძიანი უკან მოექცა მარქაფა ცხენებითა.

ცხენების ჩლიქებს ბაკა-ბუკი გაჰქონდა ქვის ფილაქანზედა, გარშემო ყრუ მდუმარება იყო ჩამოვარდნილი, მდუმარება უდაბნოსი, მხოლოდ კუტი კალია, დამალული კლდის ნაპრალებში, მზუოდა დაუცხრომლად. ცხენოსანნი უკვე მიუახლოვდნენ ერთს მრგვალს ბორცვს, როცა კლდე და ფილაქანი ქვა, ერთმანერთზე ახორავებული, მოაგონებდა კაცს სახლებისა და საეკკლესიო ციხეების ნანგრევებს: თითქო ვუშინ აქ ქალაქი ყოფილა, დღეს უკვე დანგრეულაო. ჟენძიანმა ხელი წაატანა ზაგლობას და კალთა ჩამოსწია ტანისამოსისა.

— ეს ქაჯა-ეშმაკების სადგურია,—სთქვა მან. როგორც ბოგუნი მეუბნევოდა, სწორედ ეს უნდა იყოს. აქ ღამე არავის არ შეუძლიან გაიაროს.

— თუ ფეხით არა, ცხენით მაინც ძნელი გასავლელია,— უპასუხა ზაგლობამ.—ფუ; რა დაწყეველილი ქვეყანაა! ჯანაბას! სამაგიეროდ, საჭირო გზას ხომ ვადგევართ.

— ახლა კი შორს აღარ არის.

— მადლობა ღმერთსა,—სთქვა პან ზაგლობამ და ფიქრი მისი კნიაჟნასაკენ წავიდა. გული უცნაურად უცემდა, ხოლო, რომ ჰხედავდა ვალადინკის უსიერს კიდეებს, ამ უდაბნოს და ყრუ ადგილს, თითქო არ სჯეროდა, რომ კნიაჟნა ასე ახლო იყოსო, ის კნიაჟნა, რომლისათვისაც არცა თავსა ჰზოგავდა, არც სიცოცხლესა, ის კნიაჟნა, რომელიც შეუყვარდა სულითა და გულით. ხოლო როცა მოვიდა ამბავი იმის სიკვდილისა, პან ზაგლობამ იგრძნო, რომ ეს არის ჩემს სიცოცხლეს ყოველივე ინტერესი დაეკარგაო. მეორეს მხრით, კაცი მალე ეთვისება, ეჩვევა ყოველსავე, ასე გასინჯეთ, თავის უბედურებასაც კი, ხოლო პან ზაგლობა, დიდი ხანია, მიეჩვია იმ აზრს, რომ ელენე მოტაცებულია, შორს არის, ბოგუნის ხელშია და ახლა ვერა ჰბედავდა ეთქვა თავის თავისათვის: მოახლოვდა დასასრული მწუხარებისა, გათავდა ძებნა, დადგა სასურველი დრო მოსვენებისა და სიხარულისაო. ამას გარდა, ბევრი სხვა აზრიც ეჭირებოდა იმის გონებას: რას მეტყვის, როცა დამინახავს, ალბად, სულ მდუღარებას დააბნევს, იმიტომ რომ ხსნა

მოელინება ასე მოულოდნელად, ასე სასწაულებრივ? „გზანი უფლისანი აუარებელ არიან,—ჰფიქრობდა ზაგლობა.—ღმერთი გადააბამს ისე ყველა რგოლს ქმნილისასა, რომ სათნოება გაიმარჯვებს, ხოლო ბიწიერება დაისჯება. თვით ღმერთმა მისცა ხელში ჟენძიანი ბოგუნსა, ხოლო შემდეგ გადააქცია მეგობრებად. ღმერთმა ინება ისე, რომ ომმა გამოიხმო ატამანი უდაბნოდან, საცა მგელივით გააქანა მან თვისი ნადავლი. ღმერთმა მოუვლინა მას ბოლოს ეოლოდიევსკი, ხოლო შემდეგ კვლავ შეახვედრა ჟენძიანს, და ყოველივე მოეწყო ისე, რომ ახლა, როცა ელენემ გადიწყვიტა უკანასკნელი იმედი, არსაიდან აღარ ელის შემწეობასა,—შველა აგერ არის, ახლოს არის! მოეღება ბოლო შენს ცრემლებს, საყვარელო ჩემო შვილო,—განაგრძობდა ფიქრს პან ზაგლობა,—და მალე მოგელის შენ სიხარული უზომო. ოჰ, რა რიგად გადაგვიხდის მადლობას, რა რიგად გადიჭდობს და გადიჯვარედინებს თავის პაწაწა ხელს ხელზედ“!

როგორც ციცხალი ისე წარმოუდგა ელენე თვალ-წინ პან ზაგლობასა; შლიახტიჩს გული მოულბა და სრულიად შთაინთქა ოცნებაში.

ვნახოთ, იგრძნო ულცებ, რომ ჟენძიანსა კალთაში წაავლო ხელი და ეწევა.

— პან ზაგლობა!

— რა დაგემართა? - ჰკითხა შლიახტიჩმა უკმაყოფილოდ.

— დაინახეთ, ეს არის ეხლა მგელმა გადაგვირბინა წინა?

— რაიო მერე?

— მგელი კი იყო, ნამდვილად იცით?

აქ ეოლოდიევსკიმაც შეაყენა თავისი მერანი.

— გზა ხომ არ აგვერია?—იკითხა პატარა რაინდმა.—დიდი ხანია დროა, მივსულიყავით დანიშნულს ადგილას?

— არა,—უპასუხა ჟენძიანმა.—ისე მივდივართ, როგორც ბოგუნმა ილაპარაკა. მე კიდეე აი რა მინდოდა მეთქვა თქვენთვის: განსაკუთრებული ყურადღება ჩერემისისკენა გქონდეთ. ის წყეული ძალიან თურმე მარჯვედ ისვრის თოფს.

რამდენიმე ასი ნაბიჯი ძლივზ გაიარეს ჩვენმა ცხენოსნებმა, რომ ცხენებმა ყურები სცქვიტეს და დაიწყეს ფრუტუნი. ისე

აცემინებდა ჟენძიანს კბილი-კბილსა, თითქო გააცივაო; ასე ეგონა, ეს-ეს არის, კლდის ჩამოწვდილ ცხვირიდან მაენე გამოვარდება და დაიწყებს ყმუილსა, ან ურჩხული რამ გამოჩნდებაო, ხოლო მიზეზი კი სულ უბრალო აღმოჩნდა: ცხენებმა გვერდზე გაუარეს მგლის ბუნაგს და ამან შეაშინა ასე ჟენძიანია. გარშემო დუმილი იყო, მწერი და კალიაც კი აღარ ხმაურობდა; მზემ ძალიან გადიხარა; ჟენძიანმა პირჯვარი გადიწერა და გული დაიმშვიდა.

უცბად ვოლოდიევსკი კვლავ შეჩერდა.

— იარსა ეხედავ,—სთქვა მან,—შესავალსაც, რომელსაც კლდე აქვს მიდგმული და კლდეში გამოქვაბულსაცა.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!—წაიჩურჩულა ჟენძიანმა.—ეს არის!

— მომყევით!—დაიძახა პან მიხალმა და გააბრუნი ცხენი.

რამდენსამე წუთს შემდეგ გაიარეს ბნელი გვირაბი კლდეში და მათ თვალ-წინ გადიშალა იარი, საცა მრავლად ჰქონდა გარშემო ხეები შემორიგებული და დავაკებას ისეთი სახე ედო, თითქო ნალსა ჰგავსო.

ჟენძიანმა შეჰყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— ბო-გუნ! ბო-გუნ! ჰაი, ჯადოქარო, აქეთ! აქეთ! ბოგუნი, ბოგუნი!

მხოლოდ დუმილი იყო მისი პასუხი. პაჟი კვლავ მოჰყვა ყვირილს:

— ბოგუნი! ბოგუნი!

შორიდან მოისმა ძაღლის ყეფა.

— ბოგუნი! ბოგუნი!

იარის მარცხენა მხარეს, რომელიც გახურებული იყო ჩამავალის მზის მოწითანო სხივებით, აშრიალდა ფოთოლი გარეულის ქლიაყებისა და მალე ზედ კლდის წვეროზედ გამოჩნდა ვიღაც ადამიანი, რომელმაც მიიფარა ხელი თვალებზედ და ყურადღებით დაუწყო თვალიერება ახლად მოსულებსა.

— ეგ გორპინაა!—სთქვა ჟენძიანმა და მიიდო ხელი პირზედა და დაიყვირა მესამედ:

— ბოგუნი! ბოგუნი!

გორპინა წამოვიდა ქვემოდ და, რაც შეეძლო, უკან აგდებდა კისერს, რომ თანაბარობა დაეცვა დაღმართზედ ჩამოსვლის დროსა. დედა-კაცი სწრაფად მოდიოდა, ხოლო იმის უკან მოგორავდა ეიღაც ქონდრის კაცი გრძელის ოსმალურის თოფით ხელში.

ჯადოქარ დედაკაცის ტატუ ფეხებ-ქვეშ იმტვრეოდა ყლორტები, იარის ნაპირად სცვიოდა ხრიალით წვრილი ქვა და ღორღი, ხოლო თვითონ ის, გაშუქებული მზის წითურის სინათლით, მართლა რაღაც მუმბერაზის მზგავს საფანტაზიო არსებას ჰგვანდა.

— ვინა ხართ თქვენა? — ჰკითხა მან ომახიანად, როცა ძირს წამოვიდა.

— როგორა ბრძანდები?—ჰკითხა ენენძიანმა, რომელსაც, რაკი ხალხი დაინახა, ისევ დაუბრუნდა თავისებური უსიცოცხლობა და დაუდევრობა.

— შენ ბოგუნის მსახური ხარ? გიცნობ, პატარავ!... აისინი, ვინც შენთან ერთად მოვიდნენ?

— ბოგუნის მეგობრები არიან.

— ლამაზი კუდიანი კი ყოფილა, აი!—ჩუმად სთქვა პან ვოლოდიევსკიმ.

— რისთვის მოხვედით აქა?

— აჰა, აი ფირმანი, დანა და ბეჭედი... იცი, რასაცა ნიშნავს ესეები?

ბუმბერაზმა დედაკაცმა აიღო ხელში ყველა ეს ნივთი და ყურადღებით დაათვალიერა.

— სწორედ ის ნივთებია! მაშ თქვენ კნიაჟნასათვის მოხვედით?

— დიაღ, ხომ კარგად ბრძანდება?

— კარგად. რატომ ბოგუნი არ მოვიდა თვითონ?

— დაჭრილია.

— დაჭრილია? წისქვილის ბორბალზე ემისნობდი და მეც აგრე ვნახე სწორედ.

— თუ ნახე, მაშ, რაღას მეკითხები? სტყუი, ვგონებ.

კუდიანმა გაიცინა და გამოჰყარა თეთრი კბილები, რომელიც მგლის კბილებს უფრო ჰგვანდა. მერე აიღო და ხელი ჰკრა გვერდში ხუმრობით ენენძინსა.

— მერე კნიაჟნას როდის წაიყვანთ?

— ეხლავე, მხოლოდ ცხენებს დავასვენებთ პატარას.

— კარგი, წაიყვანეთ და მეც თქვენთან წამოვალ.

— შენ რაღადაო?

— ჩემს ძმას სიკვდილი უწერია. ლიახები მარგილზედ ჩამოაცმენ, მეც წამოვალ თქვენთან.

ჟენძიანი წაიხარა წინ უნაგირის ტახტისაკენ, თითქო იმიტომ რომ უფრო მოხერხებით ველაპარაკო კუდიანს დედა-კაცსაო და იმისი ხელი შეუმჩნეველათ მოხვდა დამბაჩის ჩახმახსა.

— ჩერემისო! ჩერემისო!—დაიძახა მან, რომ ყურადღება მიექცია ამხანაგებისა იმ ქონდრის კაცზედა.

— რად ეძახი იმასა? იმას ენა აქვს მოჭრილი.

— კი არ ვეძახი, მიკვირს იმისი შნო და სილამაზე. შენ მაგას თავს ვერ დაანებებ, ეგ შენი ქმარია.

— ეგ ჩემი ძაღლია.

— იარში თქვენ ორნი ხართ მარტო?

— ორნი ვართ, კნიაჟნა მესამეა.

— კარგი და მაშ შენ მაგას თავს არ დაანებებ?

— აკი გეუბნევი, თქვენთან წამოვალ-მეთქი.

— მე კი გეუბნევი, რომ აქ დარჩები-მეთქი.

პაჟის ხმას ისეთი რაღაც ნიშანი დაეტყო, რამაც აიძულა კუდიანი დედა-კაცი მოუსვენრობით მიბრუნებულიყო მისკენ. იმის გულში იბადებოდა ეჭვი და შიში, ხომ არას მატყუებს ეს ლაწირაკიო.

— რას გადასცემ?—ჰკითხა მან.

— აი, რას გადავსცემ,—უპასუხა ჟენძიანმა და დაახალა დამბაჩა შიგ გულში.

გორპინამ უკან გადიწია; თვალები დაჭყეტილი დარჩა და საშინელი ხრიალი დაიწყო. დაიწყო ტორტმანი და ბრაგვანი გახვდა ძირსა.

იმავე წუთს პან ზაგლობამ გადაჰკრა ჩერემისს ხმალი თავში ისე ღონივრად, რომ თავის ძვალმა წკრიალი დაიწყო. საზიზღარმა ქონდრის კაცმა ერთხელ არ დაიკვნესა, გორგალივით მოიკუნტა, თითქო ჭიაკო და მტვერში იწკნელებაო. თითები ხელებისა ხან გაეშლებოდა, ხან მოეკუმშებოდა, თითქო ფოცხვერის კლანჭებიაო.

ზაგლობამ გასწმინდა ჯუბის კალთით ორთქლ-ავარდნილი ხმლის პირი, ხოლო ჟენძიანი ჩამოხდა ცხენიდან, დაადო ქვა გორპინას ფართე გულზედ და რაღასაც დაუწყო ძებნა უბეში.

ბურბერაზ დედა-კაცის გვამი ჯერ კიდევ ჰფეთქავდა, სულთ-ბრძოლა საშინლად ჰმანჭავდა მის სახეს. დაკრეჭილს კბილებ-ში ჩარჩენოდა სისხლის ქაფი, ხოლო ყანყრატოდან მოისმოდა ყრუ-ხრიალი.

ჟენძიანმა ამოიღო, ბოლოს, ნაჭერი ნაკურთხის ცარცი-სა, დახაზა ზედ ქვაზედ ჯვარი და სთქვა:

— ახლა აღარ ადგება.

სთქვა და მოახტა ცხენს.

— შესხედით!—დაიძახა პან ეოლოდიევსკიმ. ქარ-ბუქივით გაექანენ მდინარის დაყოლებაზედ. რომელიც შიგ შუა-გულზედ ჩაუდიოდა იარს, გაუარეს გვერდზედ რამდენსამე ჯგუფს ხეე-ბისას და მათს თვალს წარმოუდგა პატარა სახლი. მოშორე-ბით მოჩანდა მაღალი წისქვილი, რომლის სველი ბორბალიც ისე ბჭყერიალებდა მზის შუქზედა, თითქო წითელი ვარსკვლა-ვიაო, სახლთან ება ორი დიდა ქოფაკი, სულ იქაურობას იკ-ლებდნენ, მაგრამ ჯაჭვებით იყვნენ დაბმულები. ეოლოდიევსკი მივიდა პირველი და საჩქაროზედ, ხმლის ჩხარა-ჩხურით, შე-ჰვარდა დერეფანში.

დერეფანში ორი კარი იყო,—ერთი მარჯვნივ, რომელიც იმ ოთახსა ჰქონდა, საცა სხვა-და-სხვა ავეჯი იყო, ხოლო შუა-გულ ენთო ცეცხლი, მარცხენა კარები კი მიხურული დაჰხედა.

„ქალი აქ უნდა იყოსო“,—იფიქრა პან ეოლოდიევსკიმ, ჰკრა ხელი და, თითქო სარი დაარჭესო, ისე გაშეშდა ზღურბლზედა.

ოთახში ერთის ხელით საწოლის ზურგზედ დაყრდნობი-ლი იდგა ელენე კურცევიჩი, გაფითრებული, თმა-გაშლილი, ხოლო მისი შეშინებული თვალები თითქო ამასა ჰკითხავდა პან ეოლოდიევსკის: ვინა ხარ? რა გინდაო? ელენეს წინად არას დროს არ ენახა ეს პატარა ტანის რაინდი; ხოლო პან მიხალიც, თავის მხრით, იდგა გაოცებული ქალის სილამაზითა

და იმის ოთახის მდიდრულის მოწყობილობით თავ-რეტ დასხმული. ბოლოს, მოვიდა გონსა და საჩქაროზედ სთქვა:

— ნუ გეშინიანთ პანნა! ჩვენ სქშეტუსკის მეგობრები ვართ!

კნიაჟნას მუხლთ მოეკვეთა და დაიჩოქა მის წინაშე.

— დამიხსენით! — ეეედრებოდა ქალი და გადაეჭდო ხელი-ხელზედ.

ხოლო სწორედ ამ წუთს შემოვარდა ოთახში ზაგლობაცა, აკანკალებული, გაჭარხლებული და ძლივს სუნთქავდა.

— ჩვენა ვართ! თქვენს საშველად მოსულნი!

კნიაჟნამ იცნო ზაგლობა, გაფითრდა, ხელები ძირს ჩამოუვარდა, თვალებზედ გძელი წამწამები გადაეფარა. ქალს გულს შემოეყარა და გრძნობა დაჰკარგა.

ნაწილი მეოთხე

I

ღამის მნათობმა ის-ის იყო დაიწყო თვისი სრბოლა, ხოლო ჩვენი მეგობარნი უკვე სტუდენკის არე-მარეს მიუახლოვდნენ ვალადინკას აქეთა. წინ მიდიოდა პან ვოლოდიევსკი, რომელიც ყურადღებით იხედებოდა აქეთ-იქით, მერე ზაგლობა და ელენე მიდიოდნენ ერთად. სულ ბოლოს ჟენძიანი იყო. ის მოსდევდა დატვირთულ ფალნიან ცხენებს და ორს საჯდომს ცხენს, რომელიც გორპინას თავლიდამ გამოიყვანა. ზაგლობა სულ ენად გაიკრიფა: განა ცოტა რამ ჰქონდა სათქმელ-საამბობელი კნიაჟნასთვის, რომელიც ტყეეობაში იყო აქამდე და არა იცოდა-რა, რა მოჰხდა ქვეყანაზედ? ზაგლობა უამბობდა ელენეს, როგორ გეძებდითო, როგორ წავიდა სქშეტუსკი პერეიასლავლს, თუმცა არ იცოდა ბოგუნის ავადმყოფობის ამბავიო და ბოლოს, როგორ გამოსტყუა ჟენძიანმა ატამანს საიდუმლო თქვენის ყოფნისა ასეთს მიუვალს ადგილასაო. გაიგო თუ არა ეს ჟენძიანმა, მაშინვე ჩვენ შეგვატყობინა ზბარაჟშიო.

— ღმერთო მოწყალეო,—სთქვა ელენემ და თვისი მშვენიერი, დატეტკილი სახე მიჰმართა მთვარეს,—მაშ პან სქშეტუსკი დნეპრს გაღმა წავიდა ჩემის გულისათვის.

— პერეიასლავლს წავიდა, მაშა! უთუოდ ჩვენთან ერთად წამოვიდოდა აქა, მაგრამ დრო არა გვქონდა, რომ შეგვეტყობინებინა თქვენი ამბავი. იმან ჯერ არ იცის თქვენის გამოხსნის

ამბავი და მუდამ დღე თქვენის სულისათვისა ჭლოცულობს, მაგრამ თქვენ მაინცა და მაინც ნუ გეცოდებათ აგრე. დეე, ცოტაოდენი კიდეე იწუხოს, სამაგიეროდ რა დიდი სიხარული მოელის მერე?!

— მე კი მეგონა, რომ ყველას დავავიწყდი-მეთქი და ღმერთს მხოლოდ სიკვდილსა-ღა შევთხოვდი.

— დაგვავიწყდი? ჩვენ მხოლოდ იმასა ვფიქრობდით, როგორ გავანთავისუფლოთ კნიაჟნაო. საკვირველია! თუ მე და სქშეტუსკი თავს ვიტეხდით ამ საქმისათვის, აქ გასაკვირველიც არა არის-რა, მაგრამ აის რაინდიც, რომელიც ჩვენ წინ მოდის, არაფერს არა ჰზოგავდა და ჩვენთან ერთად მოზადიყო ყოველივე განსაცდელი აეტანა.

— ღმერთმა მისცეს სამაგიერო ჯილდო! ჯერ ისევ რაზლოგში მელაპარაკა ბევრს პან ვოლოდიევსკის ამბავს პან სქშეტუსკი: ჩემი უკეთესი მეგობარიაო.

— მართალი უთქვამს. დიდი სული უდგას პატარა სხეულში. ახლა, თითქო გამორეტიანებულივით არის, ალბად იმიტომ რომ თქვენი მშვენიერება დაინახა, მაგრამ, მოიცადეთ, მალე შეეჩვევა ძაგასაც და გონს მოვა ისევ. ოჰ, რაები არ მოვიქმედეთ მე და მაგან მეფის არჩევანებზედ!

— ახლა ახალი მეფეა?

— ესეც არ გაგიგონიათ იმ წყეულ უდაბნოში? ახალია, მაშა! იან კაზიმირი იქმნა არჩეული შარშან შემოდგომასვე, მერვე თვეა მეფობს. ახლა დიდი ომი მოგველის მეამბოხეთა წინააღმდეგ... ღმერთმა ინებოს, რომ საბედნიეროდ გათავდეს, იმიტომ რომ თავადი ერემია მოიშორეს თავიდან და სხვები დანიშნეს, რომელნიც ისეეე გამოსადეგნი არიან ამ საქმისათვის, როგორც მე ცოლის შერთვისათვის.

— პან სქშეტუსკიც წაეა ომში?

— არა მგონია, რომ თქვენ ის სახლში დააკაეოთ. ამ შემთხვევაში ჩვენ სულ ერთმანეთსა ვგავართ. თოფის წამლის სუნი მოგვედინება თუ არა, ველარავითარი ძალა ველარ დაგვიჭერს. ჰაი, იცოცხლეთ ცუდი დღე დავაყენეთ ჩვენ შარშან

მეამბოხეთა! მთელს ღამეს ვერ გავათავებდი, რომ ყოველივე მეამბნა დაწვრილებით. დიაღაც, რომ წავალთ და წავალთ გულხალვათად, იმიტომ რომ ვპოვეთ ძლიეს ის, ურომლისოდაც ჩვენი სიცოცხლე არ იყო.

კნიაჟნამ თვისი მშვენიერი პირი-სახე ზაგლობასკენ მიიბრუნა.

— არ ვიცი, რისთვის შეგიყვარდით, მაგრამ ვფიქრობ კი, რომ არა მგონია თქვენ უფრო ძრიელ გიყვარდეთ, ვიდრე მე მიყვარხართ.

ზაგლობამ გაიღიმა და სახეზედ კმაყოფილების სხივი მოეფინა.

— მაშ, თქვენც გიყვარვართ.

— გეფიცებით!

— ღმერთი გადაგიხდით მაგისათვის მადლობას. თქვენთან ახლა სიბერეც ადვილი ასატანი იქნება ჩემთვის. დროა დაწყნარდეს დუღილი ჩემის სისხლისა და ვკმაყოფილობდე მამაშვილურის გრძნობითა.

ნათელი, კაშკაში ღამე იყო. მთვარე სულ მაღლა-მაღლა ადიოდა ცაზედ, რომელიც მოჭედილი იყო მოციმციმე ვარსკვლავებითა. დაღლილმა ცხენებმა ნელ-ნელა უკლეს სიარულსა. ვოლოდიევსკიმ პირველმა შეაყენა თავისი ცხენი.

— დროა დავისვენოთ,—სთქვა მან.—გათენებამდე დიდი ხანი აღარა დარჩენილა-რა.

— დროა,—განიმეორა ზაგლობამ,—თორემ ისეთი ვარ, რომ სულ თვალები მებლიტება.

ჟენძიანი მაინც ვახშმის თავდარიგს შეუდგა, გააჩალა ცეცხლი და დაუწყო ამოლაგება ხურჯინებიდან სხვა-და-სხვა საჭოვაგეს, რომელიც იამპოლიდანვე ჰქონდა წამოღებული: მჭადი, ცივად მოხარშული ხორცი, ვლახური ღვინო. ზაგლობამ რომ ორი კარგა მოზრდილი ტიკი დაინახა, სულ გადაავიწყდა ძილი. სხვებიც შემოუსხდნენ გარს სუფრას. ბოლოს, შლიახტიჩმა ფერდი ამოიღო და მოიწმინდა ტუჩები ტანსაცმელის კალთითა.

— სიკვდილამდე არ მოვიშლი ამის თქმასა: საკვირველ არიან, ჰე უფალო, საქმენი შენნი!—წარმოსთქვა მან.—აი ახლა თქვენ, პანნა, თავისუფალნი ბრძანდებით, ჩვენ გვერდს გისხედვართ და შეეექცევით ბურლაის ღვინოს. ვერ ვიტყვი, რომ ვენგრული უარესი იყოს, ამას ცოტა ტიკის გემოც აქვს, მაგრამ გზაში ესეც კარგია.

— მე ერთი ვერ გამიგია,—სთქვა ელენემ,—როგორ მოჰხდა, რომ ისე ადვილად დაგთანხმდათ გორპინა ჩემს განთავისუფლებას.

პან ზაგლობამ დიდ-მნიშვნელოვანებით გადაჰხედა ვოლოდიევსკისა და ჟენძიანს.

— ძალა-უნებურად დაგვთანხმდა. და ან-კი, რაზედ უნდა დაგიმალოთ: ორივენი, ისიცა და ჩერემისიც, საიქიოს გაისტუმრეთ...

— როგორ თუ გაისტუმრეთ?—ჰკითხა შეშინებულმა კნიაჟნამ.

— განა თოფის ხმა ვერ გაიგონეთ?

— გავიგონე, მაგრამ ასე მეგონა, რომ ჩერემისმა გაისროლა-მეთქი თოფი.

— ჩერემისმა კი არა, ჟენძიანმა გაუგმირა გული ტყვიით იმ ჯადოქარს დედაკაცს. არ არის კარგი ასეთი საქმე, თანხმა ვარ, მაგრამ სხვაფრივ მოქცევაც არ შეეძლო: მიჰხვდა რასმე ის კუდიანი, თუ რაღაც სხვა მიზეზი ჰქონდა, აიტეხა თქვენთან უნდა წამოვიდე მეცალ. ძნელი იყო ამაზე დავთანხმებოდით; მაშინადვე მიჰხვდებოდა, რომ კიევს არ მივდივართ. ადგა ჟენძიანი და თავიდან მოიშორა, ვე კი ჩერემისს ავუგე ანდერძი. სწორედ წამოსელის წინად, იმათი გვამნი გზიდან მოშორებით გადავიტანე, რომ არ შეეშინებოდათ და ან ცუდ ნიშნად არ დაგესახათ ეს გარემოება.

კნიაჟნამ მწუხარებით გაიქნ-გამოიქნია თავი.

— ამ ბოლოს დროს იმდენი საშინელება რამ ვიხილე, რომ მოკლულთა ნახვა არ შემაშინებდა, მაგრამ მე მაინც მგო-

ნია, უკეთესი იქნებოდა, სისხლი არ შეგვმთხვევოდა. ვაი თუ ღმერთმა დაგვსაჯოს მაგ ცოდვისათვის.

— ეგ საქმე რაინდული საქმე არ იყო და იმიტომ მე არავითარი მონაწილეობა არ მივიღე.

— დანანება როგორ იქნება,—ჩაერია ლაპარაკში ჟენძიანი, როცა სხვაფრივ არ შეიძლებოდა? კაი კაცი რომ მოგვეკლა, კიდევ ჰო-ჰო და ჩვენ ღვთის მტერი მოვკალით. მე თვითონ ვნახე, ის ჯადოქარი როგორ ელაპარაკებოდა ეშმაკებსა. მე მაგას არა ვნანობ.

— მაშ, რასა ჰნანობ, პან ჟენძიან?—ჰკითხა კნიაჟნამ.

— იქაო, ბოგუნმა სთქვა, ფულია ჩაფლულიო, მაგრამ თქვენ ისე ჩქარობდით, რომ დრო აღარ იყო, მომეძებნა, თუმცა კარგად ვიცოდი, საცა იყო... წისქვილს ახლო. სულ გული მიკვნესოდა, რომ ის იმოდენა ქონება იქვე უნდა დამეტოვებინა, იმ ოთახში, საცა თქვენა სცხოვრობდით.

— ერთი შეჰხედეთ, რა მსახური გეყოლებათ,—მიჰმართა ზაგლობამ კნიაჟნას.—თავის ბატონს გარდა, მზად არის თუნდ ქაჯს ვააძროს ტყავი, რომ იმ ტყავით ტანისამოსი შეიკეროს თავისთვის.

ვოლოდიევსკი სულ ჩუმად იყო და ამ გარემოებას მიაქცია ახლა ზაგლობამ ყურადღება.

— ე პან მიხალი კი ისეთია, რომ სიტყვის წარმოთქმა ეძნელება. აკი მოგახსენეთ, კნიაჟნა, რომ თქვენმა სილამაზემ სულ დაუბნია გონება და დაუდუნა ენა-მეთქი!

მოხუცი შლიახტიჩი მართალი იყო. კნიაჟნამ სულ მოაჯადოვა ვოლოდიევსკი. შეჰყურებდა ამ ქალს, შეჰყურებდა და თავის თავს ეკითხებოდა: თვალები ხომ არ მატყუებსო? ბევრი ლამაზი ქალი ენახა თავის სიცოცხლეში: მშეენიერნი იყვნენი დანი ზბარასკისანი, კალმით დახატული იყო ანნა ბოჟობოღატისა და სკოროპადსკისა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედარებოდა ამ ყვავილს მიდვრებისასა. იმათ წინაშე პან ვოლოდიევსკი ისე ლაპარაკობდა, თითქო წვიმა-წყალი მოდისო, ხოლო ამ ჟამად, როცა შეჰყურებდა კნიაჟნას ხაერ-

დივით რბილსა და ელვარე თვალებს, მის აბრეშუმის მზგავს წამწამებსა, შვენიერს თმას, რომელიც მხრებზედ გადაჰფენოდა, წერწეტს ტანს, მარჯნის ტუჩებს, სიტყვა უწყდებოდა პირში პატარა რაინდს და, რაც უფრო ცუდია, თავისი თავი ერთ უხერხულ არსებად მიაჩნდა, ტუტუცი ეგონა, ქონდრის კაცი, სწორედ ჩაგვერა და ქონდრის კაცი. იმისი სურვილი იყო, რომ ერთი მოჰხდეს რამ არა-ჩვეულებრივი და საიდანმე წყლიდან გაჩნდეს ბუმბერაზი ვინმე... მაშინ ვაჩვენებ მე, საწყალი პან მიხალი, ყველას, რომ არც ისე პატარა ვარ, როგორცა ვჩანვარ თვალადაო. ის კი არა თუ, თითქო განგებ იმის გულ-გასახეთქად, ივლის-ივლის პან ზაგლობა, შეათამაშებს თვალს და მოჰყვება ოხუნჯობას.

— გატყდი, პან მიხალ,—უთხრა ხანში შესულმა შლიახ-ტიჩმა, როცა მეორე დილით გამოიღვიძეს,—რომ ამისთანა მშვენიერებას მთელს რესპუბლიკაში ვერ იპოვნი. თუ შენ მეო-რეს მაჩვენებ ამისთანას, ბებრუხუნა დედა-კაცი დამიძახე, ნებას გაძლევ.

— ვერ აგიხირდები. მართალია, კარგი რამ არის, მეტად კარგია. რა არიან მაგასთან შედარებით მარმარილოს კეკლუცნი ლმერთანი, რომელნიც ჩვენა ვნახეთ კაზანოვსკების სასახლეში! გასაკვირველი არ არის, რომ უკეთესნი კაცნი სასიკვდილოდ იბრძვიან მაგის გულისთვის,—ღირსია კიდეცა.

— ჰო, განა? საქმეც ეგ გახლავს... მეც ოდესმე ლამაზი ვიყავ, მაგრამ უნდა დავთმო ჩემი თავ-მოყვარეობა, თუმცა ბევრნი ამტკიცებენ, რომ ეგ ქალი პირ-აეარდნილი ზაგლობაა, ისე ჰგავსო.

— დაიკარგე ერთი იქითა!—გაწყრა ვოლოდიევსკი.

— ნუ ჯავრობ, პან მიხალ; უიმისოდაც ცოტა არ იყოს გუნებაზე ვერა ხარ ამ ბოლოს დროს. ისე შესციცინებ, თითქო თხა შესცანცარებს თავის წვერით კომბოსტოსაო და თან სულ კოპებს იკრავ! სხვამ რომ დაგინახოს, ეგონება, რომ ავი რამ განზრახვა უტრიალებს გულშიო, მაგრამ ეგ გემრიელი ნაჭე-რი თქვენთვის არ არის გაჩენილი.

— ფუი, შენს ეშმაკს! როგორ არა გრცხვენიან, რომ მოხუცებული კაცი ხარ და მაგისთანა სისულელესა ჰროშავ?

— მაშ, კოპებს რაღას იკრავ?

— შენა გგონია, რომ ყოველი განსაცდელი აცილებული გვაქვს და აღარავის შიში აღარ უნდა გვქონდეს? არა, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამა გვაქვს საზრუნი: ის მოსარიდებელია, ეს თავიდან ასაცილებელი... წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს და, ღმერთმა იცის, რა შეგვემთხვეს კიდევ, იმიტომ რომ ის ქვეყანა, საცა ჩვენ მივდივართ, აჯანყებითაა სულ მოცული.

— როცა ბოგუნს მოვტაცე რაზლოგიდან, მაშინ უარესი იყო: თან მდევარი მოგვდევდა და თან შიგ აჯანყებულ ქვეყანაში ჩვენ შევედით; მაგრამ მაინც მთლად უკრაინა გავატარე და მშვიდობით მოვიყვანე ბარამდე. როგორა მერე? როგორა და ისე, რომ თავი მაბია კისერზე და არა კვახი! თუ გაჭირდა, კამენკამდეც შორს აღარ არის.

— ნეტა რას გადასცემ შენა!

— კი არ გადავსცემ, ნამდვილს ვამბობ და ურიგო არ იქნება, ამ საქმეს დავუფიქრდეთ.

— ისა სჯობიან, რომ კამენეცს გზა ავუქციოთ და პირდაპირ ბარისკენ წავიდეთ, იმიტომ რომ ყაზახნი პატივსა-სცემენ ფირმანსა; მდაბიო ხალხს, როგორც იქნება, თავს გავართმევ, ხოლო თუ ერთმა თათარმა მაინც თვალი მოგვკრა, წავიდა მაშინ ჩვენი საქმე! კარგად ვიცნობ მე იმათა, მოვახერხებ, რომ წინ წავუვიდე მთელს ბრბოსა და რაზმს თათრებისას, ფრინველებთანა და მგლებთან ერთად, ხოლო თუ პირდაპირ ზედ წავაწყდებით იმათს რაზმს, მაშინ მეც ვერარას მოვახერხებ.

— ბარისაკენა სჯობიან და ჩვენც იქით წავიდეთ; ამოსწყდეს და გადაჭყვეს თანა, რაც ქვეყანაზედ თათრობაა. შენ ჯერ არ იცი, მგონია, რომ ჟენძიანმა ფირმანი გამოართვა ბურლაისა, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლიან ყაზახების ქვეყნებისაკენ წავიდეთ. ყოვლად ყრუ უდაბნო უკვე გამოვიარეთ, ახლა ძალზედ დასახლებულ ქვეყანაში უნდა შევიდეთ. ღამ-ღამობით, სოფლებში უნდა ჩამოვხდეთ ხოლმე; კნიაჟნსათვის ეს უფრო

შესაძლებიც იქნება და კარგიცა. მაგრამ მე კი მგონია, პან მიხალ, რომ შენ ძრიელ აზვიადებ მოსალოდნელს გასაჭირს. ვაი დედასა! ჩვენა და მინდორში გონება დავკარგოთ, ვერა მოვისაზაროთ-რა! შევაერთოთ ჩემი მოხერხება და შენი ხმალი—და ჰაიდა! სხვა გზა არა დაგვრჩენია-რა. ჟენძიანს ბურლაის ფირმანი აქვს და ეს დიდი საქმეა, იმიტომ რომ ბურლაი განაგებს მთლადა პოდოლიას, ხოლო ბარს გასცდები თუ არა, მერე იქ ლიანცკარონსკია თვისის სადროშოებით. მაშ, აბა, გავსწიოთ წინ და ნუ დავკარგავთ დროს.

ჩვენი მეგობარნი არცა ჰკარგავდნენ დროს და მიაჭენებდნენ ცხენებს მინდორ-მინდორ დასავლეთისაკენ, რამდენადაც კი შეეძლოთ. აგერ ხშირად დასახელებული ქვეყანა, საცა საღამო ჟამზედ ძნელი არ იყო ღამის გასათევად რომელსამე სოფელში დარჩენა. ბედად, ზაფხული გვალეიანი იყო, დღისით სულ სიცხე იდგა, ღამე ნამს აგდებდა; ქარმა გამოაშრო მინდორი, მდინარენი დაპატარავდნენ, მათში გასვლა საძნელო აღარ იყო.

ამ სახით, პატარა რაზმმა მიაღწია შარორსოდამდე, საცა იდგა ბურლაის ხელ-ქვეითი ჯარი. იქვე იყო ასის-თავი კუნია, რომელიც პან ზაგლობამ იამპოლში ჰნახა ბურლაისთან ლხინის დროსა. ასის-თავს ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რატომ ეს ხალხი კიევს ბრაცლავისა, რაიგოროდისა და სკვირის გზით არ მიდისო, მაგრამ მოხუცებულმა შლიახტიჩმა აუხსნა, რომ იქით თათრების შიშით არ წავედითო; ისინი დნეპრის მხრიდან უნდა მოსულიყვნენ და ვაი თუ გზაში შეგვყროდნენო. კუნიამ უამბო, რომ ბურლაიმ გამომგზავნა ამ ჯართან და მითხრა, უბრძანე ჩემ მაგიერ მოემზადდნენ სალაშქროდაო, ხოლო თვითონ მთლად იამპოლის ჯარებითა და ბუჯაკის თათრებით დღეს არა და ხვალ მოეა შარგოროდს და აქედან გასწევს წინაო.

ბურლაის შიკრიკნი მოუვიდნენ ხმელნიცკისაგან და მოუტანეს ამბავი, რომ ომი უკვე დაიწყოვო; ბრძანებაც მოუვიდა, ჯარი ვოლინისაკენ გაალაშქრეო. ბურლაის თვითონაც დიდი

ხანია უნდოდა ბარისკენ წასულიყო, მაგრამ თათრების ჯარს ელოდა, ისინიც შემომიერთდებიანო, თორემ ბარს ახლოს ბედი როგორღაც ჰღალატობდა ყაზახებს. აი, მაგალითად, პან ლიანცკარონსკიმ დაამარცხა რამდენიმე საკმაოდ დიდი რაზმი იმათი, აიღო ქალაქი და ციხეში ჯარი ჩაიყენა. რამდენიმე ათასი ყაზახი იქმნა მოკლული ამ ბრძოლაში და აი ამათი ჯავრის ამოყრა უნდოდა მოხუცს ბურლაის, ან არა და ციხეს მაინც უკანვე დავიბრუნებო. კუნიამ დასძინა კიდევ, რომ უკანასკნელი ბრძანება ხმელნიცკისა სულ სხვაგვარია და ამიტომ ბარს აღარ შემოვერტყმით გარშემო, თუ თათრებმა არ აიხირეს მეტის-მეტადაო.

— რას იტყვი, პან მიხალ,—უთხრა მეორე დღეს პან ზაგლობამ,—ბარი ჩვენ წინ არის და მე შემეძლო კნიაჟნა ხელმეორედ დამებინავებინა იქ, მაგრამ ახლა აღარც ბარისა მწამს რამე, აღარც სხვა ციხისა, მეტადრე მასუკან, რაც მეამბოხეთ უფრო ბევრი ზარბაზნები გაუჩნდათ, ვიდრე სახასო ჯარებს. რაღაცა მაშფოთებს და მოუსვენრობაში მაგდებს, თითქო რაღაც შავი ღრუბლები იკრიბებაო.

— შავი ღრუბელი კი არა,—უპასუხა რაინდმა—მთელი გრიგალი მოგველის, ესე იგი ბურლაი თათრებითა. ბურლაი ძალიან გაჰკვირდება, როცა დაინახავს, რომ სწორედ იქით მხარეს მივდივართ, რომელიც კიევის პირდაპირ არის.

— გაჰკვირდება და გზას გვასწავლის. მაგრამ, დეე ჯერ ეშმაკმა იმას ასწავლოს, რომელი გზა უფრო მოკლედ მოსჭრის ჯოჯოხეთში მისაღწევად. შევკრათ პირი, პან მიხალ: ყაზახებსა და მდაბიოთ მე მოვურიგდები, ხოლო თათრებს შენ გაუსწორდი.

— შენი საქმე უფრო ადვილი იქნება,—სთქვა ვოლოდიევსკიმ,—ყაზახებს თავისიანები ვგონივართ. რაიცა შეეხება თათრებს, ერთი ის-ღა დაგვრჩენია, რომ გავიქცეთ, რაც შეიძლება ჩქარა და ავიცილოთ თავიდან ის წყეულ-შეჩვენებულები. თუ ეს ცხენები დაგვიცვივდნენ, გზაში სხვები ვიყიდოთ.

— ჰო და აი პან ლონგინუსის ქისაც აქ გამოგვადგება; თუ ის დაგვიცარიელდება კიდევა და ჟენძიანს წავართვათ ბურლაის ფულები. ახლა კი გავწიოთ.

იარეს ჩვენმა მგზავრებმა და გასცდნენ დერლასა და ლადავუსა. ბორკში პან ვოლოდიევსკიმ სხვა ცხენები იყიდა, წინანდელებიც ისევ დაიტოვა; ბურლაის ნაჩუქარს ცხენებს უფრთხილდებოდნენ, როცა ძრიელ გაგვიჭირდება, მაშინ გამოგვადგებაო. ყველანი ჯან-საღად იყვნენ, ელენეც კი, თუმცა გზამ ძალიან შეაწუხა, ჰგრძნობდა, რომ დღითი-დღე ძალღონე ემატებოდა. სიწითლე კვლავ დაუბრუნდა მის ლოყებს, სახეზე მზე მოეკიდა, სამაგიეროდ თვალებმა ისევ წინანდებურად დაუწყო ელვარება, ხოლო როცა ხან-და-ხან ქარი გაუშლიდა ხოლმე თმებს, ასე გეგონებოდათ, ბოშის ბანოვანი მიემგზავრებაო, კუდიანი ჯადოქარი, ბოშის დედოფალი, მიემგზავრება ამ თვალ-გადაუწვდენელ მინდორზედ, წინ ყვავილები ეგებებიან, ხოლო თან რაინდნი ახლავანო.

პან ვოლოდიევსკი ნელ-ნელა მიეჩვია იმის საოცარს შვენებას. კვლავ დადგა მხიარულ გუნებაზედ, ლაპარაკის იშტაც მოუვიდა, და ხშირად დაუმხარდამხარდებოდა კნიაჟნას და უამბობდა ლუბნის ამბებს, უფრო კი იმას, რა მეგობრობაცა გვაქვს მე და სქშეტუსკისაო, რადგან შეამჩნია, რომ კნიაჟნას ესიამოვნება ასეთი ლაპარაკი. ხან-და-ხან აჯავრებდა ხოლმე კიდეცა და ხუმრობით ეუბნებოდა:

— ბოგუნის მეგობარი ვარ და იმასთან მიმყევხარო.

კნიაჟნა ხელი-ხელს გადააჯვარედინებდა ხოლმე და მუდარების ხმით ეტყოდა:

— ოჰ, სასტიკო რაინდო, ბარემ აიღეთ და ეხლავ მომკალით!

— შეუძლებელია, შეუძლებელი! სწორედ ასე უნდა მოვიქცე,—არ იშლიდა თავისას სასტიკი რაინდი.

— მომკალით!—იმეორებდა კნიაჟნა, ჰხუჭავდა თავის საოცარს თვალებს და იდრეკდა ოდნავ პატარა თავს.

მაშინ პატარა რაინდს სულ აეჯინჭრებოდა ტანი და იწვოდა. „ლამის გადამრიოს ამ ქალმა, ისე მათრობს, რო-

გორც თავი ღვინო,—ფიქრობდა გულში,—მაგრამ მე მაინც ხელსაც არ ვახლებ, სხვისი სახელი აქვს დარქმეული,“ და კეთილი პან მიხალი ერთს შეიბერტყებოდა ხოლმე და გააქანებდა წინ ცხენსა. მაშინ კი აჯინჭრული ტანი დაუმშვიდდებოდა ხოლმე და მთლად ყურადღებას რაინდისას გზა შთანთქამდა ხოლმე: ვნახო, შიში ხომ არ არის-რა, სწორედ მივდივართ თუ არა, საფრთხე არა გადაგვეკიდოს-რაო. წამოყელყელავდებოდა უზანგებზედ შემდგარი, წაიწვდენდა წინ კისერს, იცქირებოდა აქეთ-იქით, სუნს იღებდა და ყურს უგდებდა იმ თათარივით, რომელიც დაძრწის ყრუ მინდვრებში ნარ-ეკალათა შორის.

პან ზაგლობაც კარგს გუნებაზედ იყო.

— ახლა უფრო ადვილია ჩვენთვის გაქცევა,—ამტკიცებდა შლიახტიჩი,—ვიდრე მაშინ, როცა იძულებულნი ვიყავით, გამოგვეგდო ძაღლებივით ენა და ისე გვერბინა სიცხე-პაპანაქებაში. ისე გამიშრა ენა, რომ ჩემის ენით თავისუფლად შეიძლებოდა ფიცარი გამერანდნა, ახლა კი, მადლობა ღმერთსა, ღამ-ღამობით დასვენებაც შეიძლება, და ამოხლანძულის ყელის გასველებაც, ხან-და-ხან მაინც.

— აღარ გახსოვთ, რომ ამიკიდეთ და ისე გამიყვანეთ წყალში?—იგონებდა ელენე მაშინდელს თავიანთს თავგადასავალს.

ასეთს ლაპარაკში გადიოდა დღე. ბოლოს, ბორკსაც კარგა გასცდნენ და აქ კი იწყებოდა ის ქვეყანა, რომელსაც მოჰხვედროდა საშინელი ნაწყვეტი ომიანობისა. აქ დღემდე დაჰნავარდობდნენ შეიარაღებულნი ბრბონი, პან ლიანცკარონსკი სწვავდა და ჰყლეტდა გარშემო ყოველსავე და მხოლოდ რამდენისამე დღის წინად წასულიყო უკან, ზმარაჟისაკენ. პან ზაგლობამ შეიტყო აქაურ მკვიდრთაგან, რომ ხმელნიცკი და ყეენი მთელის თვისის ჯარებით ამხედრდნენ ლიახების წინააღმდეგ, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, წინაღმდეგ გეტმანებისა, რომლების ხელშიაც ჯარი მოუსვენრობს, მღელვარებს და ისე არ უნდა სამსახური, თუ არ ვისნეეეცკის ხელ-

ში. საყოველთაო აზრი ის იყო, რომ ახლა უნდა დადგეს აღსასრულის დღე ან ლიახებისა და ან ყაზახებისათვის, რაკი მამა-ბატონი ხმელნიცკი და ერემია შეებმიან ერთმანერთსაო. მთლად ეს ქვეყანა აჯანყების ცეცხლით იყო მოდებული. ყველა იარაღს ავლებდა ხელს და მიილტვოდა ჩრდილოეთად და იქ უნდოდა შეერთებოდა ხმელნიცკისა. სამხრეთიდან, ქვემოურთა ქვეყნებიდან მოდიოდა ბურლაი მთელის თვისის ჯარებითა და გზა-გზა ჰკრებდა კიდევ ყველა ჯარსა და მეცხოვნეთა გუნდს, რომელიც კი აქა-იქ იყო ჩაყენებული. ასობით რაზმნი და სადროშონი მისდევდნენ ბაწარ-აღებით ერთმანერთს, ხოლო მათს სიახლოვეს მიმღელვარებდა კიდეე ზვირთი მდაბიოთა, შეიარაღებული ჯაჭვებითა, ხანჯლებითა, შუბებითა, რკინის ორთითებითა. ჩოდრები ღვთის ანაბარაზედ სტოვებდნენ თავიანთ საქონელს, მეფუტკრენი დიდს საფუტკრეს, განადირებულნი მეთევზენი თავიანთ დანესტრის სათავის ლელიანებს, მონადირენი ტყეებს. სოფლები, დაბანი, ქალაქნი ცარიელდებოდა. სამს სამოურავოში დარჩნენ მხოლოდ თავ-თავიანთ სახლებში დედა-კაცები და ბავშვები; ახალგაზდა ქალებიც კი ყაზახებს გაჰყვნენ უკან ლიახების ამოსაწყვეტად. სწორედ ამავე დროს აღმოსავლეთიდან მოდიოდა თვისის უმთავრესის ჯარებითა თვით ხმელნიცკი, მოდიოდა როგორც ვეშაპი, და გზა-გზა ანადგურებდა ძლიერის მარჯვენით ციხე-დარბაზებს, კოშკებს, ყოველსავე, რაც კი გადარჩენილიყო წინანდელს შიშიანობას და ომიანობას.

ჩვენი მგზავრები გასცდნენ ბარს, რომელმაც ბევრი რამ სამწუხარო ამბავი გაახსენა კნიაჟნას და გავიდნენ ძველს გზაზედ, რომელიც მიდის ლატჩეესა, პლოსკიროვსა ტარნოპოლამდე და იმას იქით კიდევ თვით ლვოვამდე. აქ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ შეეფეთებოდნენ ხოლეე ხან შეიარაღებულნი ლაშქარნი, ხან ყაზახთა ქვეითის ჯარისა და კავალერიის რაზმნი, ხან რიცხე-მრავალნი ბრბონი, ხან უთვალავნი ჯოგნი საქონლისა, რომელსაც მიერეკებოდნენ ყაზახთა და თათართა ჯარისათვის საკლავადა. აქ შიში ძილიან დიდი იყო; საცა არა

მგონია, პასუხი უნდა მიეცათ, როცა ჰკითხავდნენ (ხოლო ჰკითხავდნენ ყველანი): ვინა ხართ, სადაურები ხართ და სად მიდიხართო? ყაზახთა რაზმებს პან ზაგლობა ბურლაის ფირმანს აჩვენებდა ხოლმე და ეუბნებოდა, რომ მოგუნის დანიშნული მიგვყავსო.

მრისხანე პოლკოვნიკის ფირმანის დანახვაზედ ყაზახნი განს დაიძახდნენ ხოლმე და გზას იძლეოდნენ, ხოლო ნახევრად განადირებულ მდაბიოთა და მუდამ მთვრალ ჩოდართა მონადირება ძნელი იყო. ფირმანისა იმათ თითქმის არა გაეგებოდათ-რა. ზაგლობასა, ვოლოდიევსკისა და ჟენძიანს კიდევ თავისიანებად ჩასთვლიდნენ, კნიაჟნა რომ არა ჰყოლოდათ თანა, მაგრამ ელენეს ყველა ყურადღებას აქცევდა, ეგ ქალი და მერე მაგრეთი კალმით ნახატი ვინ უნდა იყოსო. ეს იყო მიზეზი, რომ ბევრგან ჩხუბი მოსდიოდათ და ათასი განსაცდელი ელოდათ.

არა ერთხელ და ორჯელ ამოიღო ზაგლობამ თავისი ფირმანი და გაუშალა ხალხს წინა, ხოლო პან ვოლოდიევსკიმ არა ერთხელა ჰკრიჭა კბილები; არა ერთი და ორი დაეცა ძირს უსულოდ. ვინ იცის რამდენჯერ გადაარჩინა სიკვდილს ჩვენი მგზავრები მხოლოდ ბურლაის ცხენების სიფიცხემა და სისწრაფემ და მგზავრობაც, დაწყებული ასეთს ძნელ გარემობათა შორის, თან და თან უფრო სამძიმო შეიქნა. ელენეს, თუმცა ბუნებით გულადი იყო, მაინც ძალ-ღონე ეკარგებოდა და თან და თან სუსტდებოდა გამუდმებულის მოუსვენრობისა და უძილობისაგან და ბოლოსა და ბოლოს მართლა ტყვესა ჰგვანდა, რომელიც ძალა-უნებურად მიჰყავთ მტერთა ბანაკში. პან ზაგლობა ყოველ წუთს ახალ-ახალ ეშმაკობას იგონებდა, პატარა რაინდი დაუყოვნებლივ ცდილობდა მის განხორციელებასა და ასრულებას და თვითეული მათგანი არასა ჰზოგავდა, რომ, რამდენადაც კი შეეძლოთ, გაემხნევებინათ, გაერთოთ.

— ნეტავ ერთი ამ ჯინჭვლის სოროებს კი გავსცდეთ მშვიდობით და მივაღწიოთ ზბარაჟს, ვიდრე მის არე-მარეს მო-

ედებოდნენ ხმელნიცკის ჯარები და თათრები!—იმეორებდა ვოლოდიევსკი.

გზაში გაიგო, რომ გეტმანებს თავიანთი ჯარები ზბარაჟში შეუგროვებიათ და იქ უნდათ მოიგერონ მტერი. თან იმედიცა აქვთ, რომ თავადი ერემიაც შემოგვიერთდება თვისის დიეზიითაო, მით უმეტეს, რომ მომეტებული ნაწილი მის ჯარისა მაინც ხომ ზბარაჟში სდგასო. გზა-გზა მართლაც ჭიანჭველასავით ირეოდნენ პოლონელთა სამტროდ გამზადებულნი. ათიოდე ალაჯს იქით კი იწყებოდა მხარე, რომელიც ეჭირათ სახასო ჯარებს და ყაზახთა რაზმები ვერა ჰბედავდნენ იქით წასვლას; ისევ იმასა რჩეობდნენ, რომ ცოტა მოშორებით ვიყოთ, ვიდრე მოვა ბურლაი ერთის მხრით და ხმელნიცკი მეორეს მხრითაო.

— მხოლოდ ათი ალაჯი კიდევ, ათი ალაჯი!—წარმოსთქვა პან ზაგლობამ ხელების ფშვნეტით.—ერთს რომელსამე ჩვენებურს სადროშოს კი ვუწიოთ და მერე ფიქრი ალარასია.

პან ვოლოდიევსკიმ მაინც საჭიროდ დაინახა, რომ ცხენები ეყიდნა კიდევ პლოსკიროვსა: ისინი, რომელნიც ბორკში იყიდა, ახლა სულ დაცვინდნენ და ალარ ვარგოდნენ, ხოლო ბურლაის ცხენებს უნდა გავუფრთხილდეთ, როცა უფრო ძრიელ გაგვიჭირდება, მაშინ გამოგვადგებაო. ასეთი სიფრთხილე მით უფრო საჭირო იყო, რომ ხმა ისმოდა, ეითომ ხმელნიცკი უკვე კონსტანტინოვს მოუახლოედა, ხოლო ყეენი პოლოვციდან გამოვიდაო.

— მე და კნიაჟნა აქ დავრჩებით, სჯობიან რომ ჩვენ ბაზარში არც კი გამოვჩნდეთ, ხოლო შენ წადი, გაიგე, ხომ არავისა ჰყავს ცხენები,—უთხრა პან მიხალმა პან ზაგლობას, როცა ჩამოხდნენ ერთს დაცარიელებულს ციხე-დარბაზში სამასიოდე საჟენის მანძილზედ ქალაქიდან.—ახლა აგერ საღამოა, ხოლო ჩვენ ამაღამვე უნდა წავიდეთ.

— ერთს წუთში გავარიგებ ყველაფერსა,—სთქვა ზაგლობამ და წავიდა ქალაქს ცხენითა, ხოლო პან ვოლოდიევსკიმ

უბრძანა ჟენძიანს, ცხენებს მოსართავები მოუშვიო და თვითონ ოთახში შეიყვანა კნიაჟნა.

— მინდა გათენებამდე გავიაროთ ეს ათი აღაჯი,—სთქვა მან,—ძილს მერეც მოვესწრებით.

ის იყო მოიტანა საღვინეთი ღვინო და ფანჯარასთან მოისმა ცხენის თქარა-თქური.

ეოლოდიევსკიმ სარკმლიდან გადიხედა.

— პან ზაგლობა დაბრუნდა კიდეცა,—სთქვა იმანა,—ალბად ვერ იშოვა ცხენები.

იმავ წუთს გაიღო კარები ოთახისა და შემოვიდა ზაგლობა, გაფითრებული, გალურჯებული და ძლივს სულს ითქვამდა.

— შესხედით ცხენებზედ ეხლავე!—დაიყვირა შლიახტიჩმა.

პან მიხალი იმდენად გამოცდილი ჯარის-კაცი იყო, რომ დრო აღარ დაჰკარგა და ამისთანა გარემოებაში აღარაფრის გამოკითხვა აღარ დაუწყო ზაგლობას. ის საღვინეც სულ გადაავიწყდა (მაგრამ პან ზაგლობამ მაინც სტაცა ხელი და თან წამოიღო), საჩქაროდ გამოიყვანა კნიაჟნა ეზოში და შესვა ცხენზედ.

ცხენები თქარა-თქურით გაუდგნენ გზას და მხედრებიანად ისე შთაინთქნენ ღამის წყვდიადში, თითქო მოჩვენებანი იყვნენო.

დიდ ხანს მიაჭენებდნენ ასე ცხენებს და მხოლოდ როცა ერთი აღაჯი მანძილი გაიარეს და უფრო ხშირბინდი დაეცა დედა-მიწას, პან ეოლოდიევსკი მიუახლოვდა ზაგლობას და ჰკითხა:

— რა იყო და რა მოჰხდა?

— მოითმინე... პან მიხალ, მოითმინე! საშინლად დავიღალე, სული ყელში მომებჯინა და ძლივს ფეხზედ-ღა ვიდექი... უჰ!

— რა იყო მერე?

— რა იყო—თვით ეშმაკი და ქაჯი, გეუბნეეი-მეთქი, ქაჯი თუ ის გველი, რომელსაც მეორე თავი ეზრდება, მოჰკვეთავ თუ არა პირველსა.

— გარკვევითა სთქვი, რომ გავიგო რამე.

— ბოგუნი ვნახე ბაზარში.

— რას ამბობ, სიცხე ხომ არა გაქვს?

— ბაზარში ვნახე, აი როგორც შენა გხედავ, იმასთან ხუთი თუ ექვსი კაცი კიდევ სხვა იყო. ვერ გამიგია, რატომ მუხლთ არ მომეკვეთა მაშინვე... მაშხალები მოჰქონდათ, რომ გზა კარგად გაერჩია... მე ასე მგონია, რომ ეშმაკი გადაგვლოგებია გზაში და მოსვენებას არ გვაძლევს; სულ დავკარგე იმედი, რომ ბედნიერად შევასრულოთ ჩვენი საქმე. უკვდავია, თუ რა ჯანაბაა, ეგ წყეულ-შეჩვენებული, ეგ ჩამოსახრჩობი! ელენეს ნურაფერს ვეტყვით... ღმერთმან ხომ იცის, სულ დაჰკემსე შენა, ჟენძიანმა გასცა ღალატით, მაგრამ მაინც სად არის: ის მაინც ცოცხალია, თავისუფალი და კიდევ გზაზედ გვეღობება, უნდა რამ გვიხიმანოს. უჰ! ღმერთო, ღმერთო! გეუბნევი, მკვდარი რომ მენახა სასაფლაოზედ, ის მერჩივნა იმის ნახვას. დასწყევლა, რა უბედური ბედი მაქვს, რომ უთუოდ მე პირველი უნდა შევხვდე იმ სათოკეს! ძაღლის ბედია სწორედა და ის არის! თითქო სხვა აღარაევინ იყოს ჩემს მეტი ქვეყანაზედ! დეე, სხვებმა ჰნახონ, სხვები შეეყარონ მაგისთანა ავაზაკს. მაგრამ არა, შენ არ მომიკვდე, უთუოდ მე და მე!

— იმანაც დაგინახა?

— იმასაც რომ დავენახე, მაშინ შენ, პან მიხალ, ველარ მიხილავდი. ეგ-ღა მაკლდა, რაღა!

— მეტად საჭიროა ვიცოდეთ, ჩვენ მოკვედევს თუ ვოლოდინკისაკენ მიდის, გორპინასთან, იმ ვარაუდით, რომ გზაში შევხდები და გავთოკავ იმათაო.

— მე მგონია, რომ ვოლოდინსკისაკენ უნდა მიდიოდეს.

— სწორედ აგრე უნდა იყოს. ახლა ჩვენ ერთს მხარეს მივდივართ, ის მეორე მხარესა; ახლა ჩვენ შორის ერთი თუ ორი ალაჯი მანძილია, ხოლო ერთს საათს უკან ხუთი ალაჯი იქნება. ვიდრე ის ჩვენსას გაიგებდეს რასმე და გამოგვეკიდებოდეს, ჩვენ უკვე ჟოლკვს ვიქნებით, არამც თუ ზბარაჟსა.

— შენ აგრე გგონია, პან მიხალ? მადლობა ღმერთსა, გულზედ მომეშვა, მესალბუნა, თითქო ნელ-საცხებელი წამცხეს ზედაო. მაგრამ ერთი ეს მითხარი, როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ის ახლა თავისუფლად დასეირნობს, როდესაც ჟენძიანმა გასცა და ვალდავის ციხის უფროსს ჩაუგდო ხელში?

— გაიქცა უთუოდ.

— მაშ, თავი უნდა მოჰკვეთონ მაგისთანა ციხის უფროსს. ჟენძიან, ჰაი, ჟენძიან!

— რას მიბრძანებთ?—ჰკითხა ჟენძიანმა და თავთ-სადავე აუკრიფა ცხენსა.

— ვისთან გასთქვი შენა ბოგუნი?

— პან რეგოესკისთან.

— ვინ არის ეგ პან რეგოვსკი?

— დიდი კაცია, ჯავშანოსანი პარუჩიკია მისის უდიდებულესობის მეფისა.

ვოლოდიევსკიმ თითი თითს შემოჰკრა და ტკაცანი გამოაღებინა.

— გახსოვსთ, რაც პან ლონგინუსმა გვიამბო სქშეტუსკისა და რეგოევსკის მტრობისა? ეგ რეგოევსკი პან ლაშჩის ნათესავია და ამის გამო მტერი სქშეტუსკისა.

— მიეხვდი, მიეხვდი!—შესძახა პან ზაგლობამ.—სჩანს მაშ, განგებ გაუთავისუფლებია ბოგუნი. მერე ამისთანა დანაშაულს ხომ სიკვდილით დასჯა მოსდევს. მე პირველი ვიქნები მოწამე.

— ერთი შემახვედრა იმასთან და სხვა არა მინდა-რა,—წაიჩურჩულა ვოლოდიევსკიმ,—სასამართლომდე აღარ მივიყვან საქმეს.

ჟენძიანს აღარა გაუგონია-რა. რაკი პასუხი მისცა ზაგლობას, წავიდა და კნიაჟნასთან ერთად მიდიოდა.

ახლა ჩვენს მგზავრებს ნაბიჯით-ღა მიჰყავდათ ცხენები, ნებისადა. ამოვიდა მთვარე და გააშუქა მიძინებული დედამიწა. ვოლოდიევსკი ღრმა ფიქრებმა წაიღო, პან ზაგლობა ცდილობდა გონს მოსულიყო, წელანდელი შეშინება გულიდან გადაჰყროდა და ბოლოს სთქვა:

— აჩვენებდა სეირს ჟენძიანსაც ბოგუნი, თუ ხელში ჩაუვარდებოდა.

— უამბეთ იმასაც ეგ ახალი ამბავი, დეე, იმანაც გაიხაროს, ხოლო მე მივალ კნიაჟნასთან და გავართობ,—სთქვა პატარა რაინდმა.

— კარგი. ჰაი, ჟენძიან!

პაჟი ისევ უკან დაბრუნდა.

პან ზაგლობა დაუმხარდამხარდა ჟენძიანს და უცდიდა, ვიდრე ეოლოდიევსკი და კნიაჟნა კარგა დაშორდებოდნენ.

— შენ არაფერი იცი?—ჰკითხა მან პატარა ხანს უკან.

— არაფერი, რა უნდა ვიცოდე?

— პან რეგოვსკიმ გაანთავისუფლა ბოგუნი. მე ვნახე პლოსკიროვში.

— პლოსკიროვში? დღესა?—იკითხა ჟენძიანმა.

— აი ამ საათში! რაო, ცხენიდან ხომ არ აპირობ გადმოვარდნას შიშითა?

მთვარის შუქი ზედ ეცემოდა პაჟის წითურს სახეს და პან ზაგლობამ, თვისდა განსაცვიფრებლად, დაინახა, რომ შიში კი არ გამოეხატა, არამედ საშინელი მხეცური მძვინვარება, სწორედ ისეთი, როგორიც შეეტყო მაშინ, როცა ჟენძიანი ჰკლავდა გორპინას.

— არ გეშინიან განა ბოგუნისა?—ჰკითხა ხნიერმა შლიახტიჩმა.

— თუ პან რეგოევსკიმ გაანთავისუფლა ბოგუნი, მაშ, მე თვითონ უნდა გადავუხადო იმას ჩემის შერცხვენის და გაბიაბრუებისათვის. მე მაგას არ ვაპატიებ, დავიფიცე და ეს პანნა რომ არ იყოს, ეხლავე უკან გამოვედევნებოდი და დავუწყებდი ძებნასა... მე ჩემსას არას არ დავკარგავ.

— შენ და შენს ეშმაკს!—სთქვა გულში ზაგლობამ,— სწორედ ვერ გავბედავდი ამ ერთი ციცქნა ბიჭის შეურაცხყოფას.

ჰკრა ქუსლი ცხენსა და დაუმხარდამხარდა კნიაჟნასა და ეოლოდიევსკის. ერთს საათს უკან გავიდნენ მედვედოვკაში

და შევიდნენ ტყეში, რომელიც შორიდან ისე შავად მოსჩანდა, თითქო კედლებია გზის ორივ მხარესაო.

— ახლა კი კარგად ვიცი ყველა ეს ადგილები,—სთქვა ზაგლობამ.—ტყეები მალე გათავდება, მერე პატარა მეიდანი იქნება, რომელზედაც გადადის გზა შავის კუნძულიდან, შემდეგ ისევ ტყე შეგვხვდება მატჩინამდე. ღმერთია მოწყალე, მატჩინაში პოლონელთა სადროშო ჯარი დაგვხვდება.

— ორმა მგელმა გადირბინა გზაზედა! —წამოიძახა უცებ ელენემ.

— ეხლავ,—სთქვა პან ვოლოდიევსკიმ,—აგერ მესამეცა.

ასიოდე ნაბიჯის მანძილზედ მართლა რაღაცა ნაცრის ფერმა გაიციმციმა.

— მეოთხეც აგერა!

— არა, ეგ ჯეირანი იყო; დაინახეთ, პანნა, ორი, სამი!

— რა ღვთის-რისხვაა!—დაიძახა პან ზაგლობამ.—ჯეირნები უკან მისდევენ მგლებსა! ეგონებ, ქვეყანა ყირამალა აპირობს გადაბრუნებასა.

— ცოტა აჩქარებით წავიდეთ,—სთქვა მოუსვენრობის ხმით პან ვოლოდიევსკიმ.—ენძიან! მოდი აქა! და პანნასთან ერთად გასწი წინ!

— იმათ გააჭენეს ცხენები, ხოლო ზაგლობამ გადიხარ-ხარა და ყურში უთხრა ვოლოდიევსკის:

— პან მიხალ, ეს რას ჰნიშნავს?

— ცუდად არის საქმე! ხომ დაინახე: ნადირი გამოვარ-დნილა ბუნაგიდან, თავი დაუნებებია ძილისათვის და გარბის ღამე?

— მაშა! მერე რას ჰნიშნავს ეგა?

— ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ დაუფრთხიათ.

— ვისა?

— ჯარსა, ყაზახებისა ანუ თათრებისა. ისინი მარჯვენა მხრიდან მოდიან, ეტყობა.

— იქნება ჩვენი ჯარები არიან?

— შეუძლებელია;ნადირი მორბის აღმოსავლეთიდან, პილავეციდან, მაშ სჩანს, თათრები ფართოდ გაშლილან და ისე მოდიან.

— მაშ, გავიქცეთ, პან მიხალ, ღვთის გულისათვის.

— სხვა მეტი რა ღონეა. ვაიჰ, კნიაჟნა არა გვყვანდეს ერთი, მივუახლოვდებოდით თვით რაზმს, ვკრავდით ვისმეს შიგ გულში თოფსა, მაგრამ კნიაჟნასთან...

— რას ამბობ, პან მიხალ! ღვთისა მაინც გეშინოდეს! ტყეში შევუხვიოთ, საითაც ის მგელები წაიდნენ, თუ რა მოვიქმედოთ?

— არა; აგრე რომ მოვიქცეთ, თუ არ დაგვიჭერენ, მთელს ამ ქვეყანას მაინც გაავსებენ. მერე როგორ-ღა გავიკელიოთ გზა?

— ვაი, ამოწყდნენ და ამოიჟლიტნენ ეგენი, ჰო და ასრე! ეგ-ღა გვაკლდა, რაღა?!.. ხომ არა სკდები შენა? მგონი მგლები ჯარს მისდევენ უკან და არა მოურბიან.

— რომლებიც აქეთ-იქით არიან, ისინი ჯარს მოსდევენ, ხოლო ესენი მოწინავენი არიან, დაფრთხობილნი. აიგერა ჰხედავ, მარჯვნივ, ხეებ შუა, ცეცხლის ალს, როგორ გაუშუქებია წითლად იქაურობა?

— იესო ნაზარეველო, მეუფე იუდიანთა!

— ჩუ! კიდევ დიდს მანძილზეა ეს ტყე?

— ეხლავე გათავდება.

— მერე მინდორია?

— მინდორია. ოჰ, ღმერთო!

— ჩუმად იყავ-მეთქი და! მინდორს იქით კიდევ ტყეა?

— თვით მატჩინამდე.

— კარგი! ოღონდ მინდორში კი ნუ მოგვასწრობენ. თუ მეორე ტყემდე მშვიდობით მივაღწიეთ, მერე ფიქრი აღარ არის. ახლა კი ერთად ვიაროთ. ბედი კიდევ რომ კნიაჟნა და ჟენძიანი ბურლაის ცხენებზედა სხედან.

გაჰქუსლეს ცხენები და დაეწივნენ წინ წასულებსა.

— აის რა შუქი სჩანს მარჯვნივა?—იკითხა ელენემ.

— კნიაჟნა!—უპასუხა ვოლოდიევსკიმ,—აქ დასამალი ალარა არის-რა. იქ შეიძლება თათრები იყვნენ.

— იესო, მარიამ!

— ნუ სწუხართ! გაძლევ სიტყვას, რომ გავექცევით, ხოლო მატჩინაში ჩვენი ჯარები სდგანან.

— ღვთის გულისათვის, გავაჭენოთ ცხენები! — სთქვა ჟენძიანმა.

ყველანი გაჩუმდნენ და გააქროლეს ცხენები. ხეები მისუსტდა, ტყე გათავდა, მიილია, მაგრამ მასთანავე შუქი ცეცხლისაც ცოტათი შესუსტდა. უცებ ელენემ მიჰმართა პატარა რაინდს.

— პან ვოლოდიევსკი,—სთქვა მან,—დაიფიცეთ, რომ ცოცხალი არ ჩავუვარდები მე იმათ ხელში!

— გეფიცებით!—უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

გავიდნენ მინდორზედ, ანუ უკედ ვსთქვათ, ტრიალ უდაბნოში, რომელიც მეორე ტყემდე მეოთხედ აღაჯის მანძილზედ იყო გაგძელებული. ყოველ მხრივ დაუფარავი მინდორი ისეთი იყო, რომ სულ კაშკაში გაჰქონდა მთვარის შუქზედა. ისე ნათელოდა იქ, როგორც დღისით.

— ყოვლად საშიში ადგილია,—ჩასჩურჩულა ვოლოდიევსკიმ ზაგლობსა.—თუ ისინი შავს კუნძულზედ არიან, ტყეებ შუა წამოვლენ.

ზაგლობამ ალარა უპასუხა-რა, მხოლოდ ლაჯები მოუჭირა ცხენს მუცელზედ. ტყე თანდათან ახლოვდებოდა, ცხადად მოსჩანდა, რომ უცებ პატარა რაინდმა ხელი გაიწოდა აღმოსავლეთისაკენ.

— აბა, გაიხედე... ჰხედავ?

— როგორც ჯირკები და წკრიმელა, შორს, კარგა მოშორებით.

— ეგ ჯირკვები მოძრაობს! აბა, გავუჩქაროთ; ახლა კი უთუოდ დაგვინახავენ!

ქარმა ზუზუნი დაიწყო ლტოლვილთა ყურის ძირში. სასურველი ტყე უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

უცებ ჩაბნელებულ ბრბოდან, რომელიც მინდვრის მარჯვენა მხრიდან ახლოვდებოდა, ჯერ ხმაურობა მოისმა, ზღვის ღელვის შუილის მზგავსი, ხოლო ერთს წუთს შემდეგ გრიგალივით ხმამ შეარყია ჰაერი.

— გვხედავენ!—დაირუხრუხა ზაგლობამ.—ეგ ძაღლები, ეგ ძაღლის წიწილები, ალქაჯები!

ტყე ისე ახლო იყო, რომ ლტოლვილნი ჰგრძნობდნენ იმის სიგრილეს, ციეს შრიალს.

გარნა, მეორეს მხრით, თათართა გუნდიც სულ ახლოვდებოდა თან და თან; ჩაშავებულ მის სიმრავლეს გამოეცალა ნელ-ნელა გრძელი ზოლები, თითქო ზღვის ურჩხულის ისარსაწერტლებიაო. საშინელის სისწრაფით უახლოვდებოდა მდევარი ლტოლვილთა. ვოლოდიევსკი ჩვეულის ყურით უკვე არჩევდა ცალკ-ცალკე ხმას: „ალლაჰ, ალლაჰ!“

— ჩემმა ცხენმა წაიფორხილა!—დაიძახა ზაგლობამ.

— არა უშავს-რა! —უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

მაგრამ იმის გონებაში ელვის სისწრაფით მიმოიძვროდა სხვა-და-სხვა ფიქრი და აზრი: რა მოგვივა, რომ ცხენები დაგვიცვივდეს? რა მოგვივა, რომ ერთ-ერთი მათგანი წაიქცეს და სული ამოსძვრეს? მართალია, მშვენიერი თათრულის ჯიშის ცხენები იყვნენ, დიდად ამტანი ყოველგვარის გაჭირვებისა, მაგრამ პლოსკიროვიდანვე მოდიოდნენ დაუსვენებლივ, ქალაქიდან დაწყებული პირველ ტყემდე. შეიძლებოდა მარქაფა ცხენებზედ გადამსხდარიყვნენ, მაგრამ ისინიც მოიღალნენ. „რა მოგვივა?“—ფიქრობდა ვოლოდიევსკი და გულმა მისმა პირველად დაიწყო მთელს მის სიცოცხლეში მოუსვენრობით ცემა. გარნა ვოლოდიევსკის თავისი დარდი კი არა ჰქონდა, არამედ სწუხდა ელენესათვის, რომელიც გზაში ისე შეუყვარდა, როგორც ღვიძლი და. მერე კარგად იცოდა ისიცა, რომ თათრები, რაკი ერთხელ დაედევნებოდნენ ვისმე, მალე აღარ შესწყვეტდნენ თავიანთს დევნას.

— დეე გვდიან, იმ ქალს მაინც ვერ დაეწევიან!—სთქვა მან გულში და გააკრაჭუნა კბილები.

— ჩემმა ცხენმა წაიფორხილა!—დაიძახა მეორედ პან ზაგლობამ.

— არა უშავს-რა!—განიმეორა ვოლოდიევსკიმ.

აგერა ტყეცა. ჩვენი ცხენოსნები სიბნელემ დაჰფარა, მაგრამ სამაგიეროდ მოწინავე თათრებიც ახლო იყენენ, სამასიოდე ნაბიჯზედა.

გარნა პატარა რაინდმა უკვე იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

— ჟენძიან!—დაუძახა მან პაჟსა,—გადუხვიე გზიდან პირველსავე ბოლიკზედა.

— კარგი!—უპასუხა პაჟმა.

ვოლოდიევსკიმ მიჰმართა ზაგლობას:

— დამბაჩები დაიმზადე!

სთქვა ესა და ხელი გაავლო იმის ცხენის აღვირს.

— რას აპირობ განა?—შესძახა შლიახტიჩმა.

— არაფერს, შეაჩერე ცხენი.

მანძილი იმათა და ჟენძიანს შორის, რომელიც მიჰქროდა ელენესთან ერთად, უფრო და უფრო დიდდებოდა. ბოლოს წინ წასულნი მივიდნენ იქ, საცა გზა უცბად უხვევდა ზაბარაჟისაკენ, ხოლო შემდეგ მიდიოდა ტყე-ტყე ცალ-ფეხა ბილიკი, ნახევრად ხის ტოტებით გადაჩარდახებული. ჟენძიანი და ელენე პირდაპირ წავიდნენ და მალე სიბნელემ შთანთქა ისინი.

ვოლოდიევსკიმ შეაჩერა თავისი და ზაგლობას ცხენი.

— ღვთის გულისათვის! რას აპირობთ?—რუხრუხებდა შლიახტიჩი.

— უნდა შევაყენოთ მდევარი. კნიაჟნასთვის სხვა გზა არ არის ხსნისა.

— ვილუპებით!

— ვილუპებით და დავილუპნეთ! დადექი აქა, გზის პირას! აგერ აქა!

ორივენი მიიყუჟნენ ხეებ შუა ამ ღამის სიბნელეში და ჩაუსაფრდნენ მტერს; თათართა ცხენების გამალებული თქარათქური უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

— გადაწყდა ჩვენი ბედი!—სთქვა ზაგლობამ და მოიწაფა ღვინით სავსე ჭურჭელი.

დიდ ხანსა სვა და, ბოლოს თითქო გაცოცხლდაო, დაიძახა:

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა! მე მზადა ვარ სასიკვდილოდ თავი გადავდო!

— მზადა ხარ და აი ეხლავე!—სთქვა ეოლოდიევსკიმ.— სამნი მიდიან წინა; მეც ეგ მინდოდა.

მართლაც, მთვარისაგან გაშუქებულს გზაზედ გამოჩნდა სამი ცხენოსანი, რომელნიც ისხდნენ საუკეთესო თათრულ ცხენებზედ. ეს ცხენები ისეთი მარდნი და სწრაფნი იყვნენ, რომ მგლებს დაეწეოდნენ. მათ უკან, ესე ორ-სამ ნაბიჯზედ მოსჩანდნენ სხვანი, შემდეგ ხომ მთლად ბრბო მოჰქროდა ურდოელებისა. დაუმხარდამხარდა თუ რა ის სამი თათარი ჩასაფრებულებს, იგრიალა ორმა დამბაჩამ; ეოლოდიევსკი ფოცხვერივით გადახტა ზედ შუა გზაზედ და ვიდრე პან ზაგლობა მოისაზრებდა რასმე, მესამე თათარი იქვე დაეცა უსულოდ.

— აბა, გავწიოთ! — დაიძახა პატარა რაინდმა.

პან ზაგლობამ აღარ გაამეორებინა ბრძანება და ორივენი გაჰქანდნენ ისეთის სისწრაფით, თითქო მგლები არიან და უკან მონადირენი მისდევენ დაგეშილის ძაღლებითაო. ამ დროს სხვა თათრები მოუახლოვნდნენ თავიანთ დახოცილს ამხანაგებს და დაუწყეს იქ ლოდინი უკან დარჩენილებს. თათრები მიჰხვდნენ, რომ იმ ტყუილმა მგლებმა ძალიან კბენა თურმე იცოდნენ.

— ჰნახე!—სთქვა ეოლოდიევსკიმ,—მაშინვე ვიცოდი, რომ გაჩერდებოდნენ.

მაგრამ ლტოლვილთ მხოლოდ რამდენიმე ასი ნაბიჯი მოიგეს; დევნა დიდ ხანს აღარ შეუჩერებიათ, მხოლოდ თათრები ახლა უფრო დიდ გუნდად შეერთდნენ და ისე გამოეკიდნენ გაქცეულებს. თითო-ოროლობით ველარა ჰბედავდნენ წინ წასვლას.

ეოლოდიევსკისა და ზაგლობას ცხენები ძალიან დაღალულები იყვნენ ხანგრძლივის სიარულით და ამიტომ სწრაფად

ველარ მიდიოდნენ. მეტადრე ხანში შესულის შლიახტიჩის ცხენი: იმოდენა ტვირთის სიმძიმით ერთხელ კიდეე წაიფორხილა, მერე მეორედ და პან ზაგლობას ორიოდე შერჩენილი ბუწუწი თმისა სულ ყალხზედ დაუდგა, რადგან ეგონა, რომ ეს არის გადავვარდი ცხენიდანაო.

— პან მიხალ, ძვირფასო პან მიხალ, ნუ დამტოვებ მარტოს!—ჰყვიროდა განწირულებით ზაგლობა.

— შენ ნუ გეშინიან!—უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

— ოოჰ, მგლებმა კი გამოგხრან, კარგი ცხენი ეს არ.....

ველარ დაათავა სიტყვა; ყურთან გაუზუზუნა პირველმა ისარმა, შემდეგ, როგორც ფუტკრის ზმუილი, ისე ატყდა ზუზუნი ისრებისა. ერთმა ისე ახლო გაურბინა, რომ კინაღამ თან გაიტანა პირი-სახე ზაგლობასი.

ვოლოდიევსკი მობრუნდა და ორჯელ ესროლა ზედიზედ დამბაჩა თათრებსა.

ზაგლობას ცხენმა ერთხელ კიდევ წაიფორხილა და ისე ძრიელ წაიფორხილა, რომ კინაღამ წაიქცა.

— ღვთის გულისათვის! ცხენი ლამის წამექცეს!—გულის გამგმირავის ხმით შეჰღრიალა შლიახტიჩმა.

— გადმოვხტეთ და ვეცეთ ტყეს!—დაიჭექა ვოლოდიევსკიმ.

ცხენი შეაყენა, გადმოხტა და ორივენი ერთად, ისა და ზაგლობა გაჰქანდნენ სიბნელეში.

მაგრამ ეს ორნი არ გამოეპარათ თათრებსა და იმათმა პატარა ირიბმა თეალებმა მალე შეჰნიშნეს, საითაც გაუხვიეს გაქცეულებმა. ოცი, ოც და ათი კაცი ამ უდაბნოს შვილთა შეჯგუფდნენ ერთად და გამოედევნენ უკან ტყეში დამალულებსა.

ხის შტოებმა მოჰხადა ზაგლობას ქუდი, დაუკაწრა პირი სახე, დაფხრიწა მისი ჯუბა, მაგრამ შლიახტიჩი მაინც თავისას არ იშლიდა და ისე მიჰრბოდა, თითქო ოც და ათის წლის ჭაბუკიაო. აცლი და დაეცემოდა, მაგრამ წამოდგებოდა ისევ და მიჰქროდა უფრო სწრაფად და თან ისეცა ჰქშინავდა, თითქო

მჭედლის საბერველიაო; ბოლოს თავ-გზისა ვეღარა გაიგო-რა ამ ქუდ-გადაგლეჯით სირბილში და ჩაიმზღვლა ერთს ღრმა ხრამში. ძალ-ღონე სულ დაჰკარგა. მიჰხვდა, რომ აქედან ვეღარ გავაღწევ თავსაო.

— სადა ხარ?—ჰკითხა ნელის ხმით ეოლოდიევსკიმ.

— აქა ვარ, ძირს,—შემოსძახა კნავილით ქვემოდან.—დავიღუპე, კვალ-წმინდად დავიღუპე, ჩემთვის ნუღარას იზრუნებ! შენს თავს უშველე ისევ!

ხოლო პან მიხალი ყოყმანს არ მოჰყვა და თვითონაც გადაეშვა ორმოში და პირზედ ხელი დააფარა პან ზაგლობას.

— ჩუმად იყავ! იქნება აგვცდნენ და გვერდზედ გაგვიარონ! ეგეც რომ არ იყოს, მაშინვე ხომ არ დავნებდებით უბრძოლველად.

ძლივს მოასწრო ამისი თქმა, რომ თათრებიც მოსცვივდნენ. ზოგმა მართლა აუქცია მხარი ღრანტეს იმ ვარაუდით, რომ გაქცეულნი ალბად უფრო შორს წავიდოდნენო, ზოგნი დიდის ფართი-ფურთით მიდიოდნენ, ეხეტებოდნენ აქეთ-იქით და სინჯავდნენ თვითეულ ხესა და ბუჩქსა.

რაინდებმა სული განაბეს და კრინტს არა სძრავდნენ. „ერთი მობრძანდეს ვინმე აქა,—სთქვა გულში ზაგლობამ განწირულებით,—და კარგა კი გავუმასპინძლდები მე იმასა!“

უცებ ყოველ მხრიდან ფრქვევა დაიწყო ნაპერწკლებმა: თათრებმა ტალ-კვესი გაჰკრეს და კვესება დაიწყეს, ალბად სანათი უნდოდათ აენთოთ.

კვესის ნაპერწკლების სუსტს შუქზედ შეიძლებოდა გაერჩია კაცს იმათი განადირებული პირი-სახე წინ-წამოწვდილ ლოყის ძვლებითა და დიდი ბროშებით, რომლითაც უბერაედნენ ცეცხლ-მოკიდებულს აბედს. რამდენსამე წამს გარს უვლიდნენ იმ ღრანტეს და სულ ტყის ურჩხულებსა ჰგვადნენ; თან ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ კიდეც რაინდების უნებურს საფარს.

ერთი წუთი კიდევ, წუთი გულის ფანცქალისა და მოუსვენრობით სავსე, მძიმე ლოდინისა. უცებ გზიდან მოისმა

რაღაც არეული ხმაურობა და დაარღვია მდუმარება ტყის ტევრისა.

თათრები გაჩერდნენ გაშეშებულებივით; ვოლოდიევსკიმ სტაცა ხელი ზაგლობას და შიგ ბეჭებში ჩასჭიდა თითები.

ხმაურობამ და ღრიანტელმა იმატა, აგერ, გაიელვა წითლად ცეცხლის ალმაც, ხოლო ამას მოჰყვა მაშინვე გრიალი თოფებისა,—ერთხელ, ორჯელ, სამჯერ; ისმოდა ყიჟინი ალლაჰისა, წკრიალი ხმლების ცემისა, ჭიხვინი და თქარა-თქური ცხენებისა... გზაზედ ომი იყო გაჩაღებული.

— ჩვენები! ჩვენები!—დაიყვირა ვოლოდიევსკიმ.

— დაჭკა, დასჩეხე! დაჭკა, გაჭკვეთე, გააპე!—გრგვინავდა პან ზაგლობა.

ორმოს ახლო სწრაფად გაირბინა რამდენმამე თათარმა, რომელნიც მირბოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თავიანთ ხალხისაკენ. ვოლოდიევსკიმ ეელარ მოითმინა, ამოჰხტა ორმოდან და იმ სიბნელეში გამოეკიდა უკან.

ზაგლობა მარტო დარჩა ორმოში.

ერთხანად ისიც ეცადა იქიდან ამოსელას, მაგრამ ვერ მოახერხა. ძვალი და რბილი სულ სტკიოდა და ძლივს იდგა ფეხზედა.

— ჰაი, თქვე წყეულნო!—სთქვა მან და მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით,—გარბიხართ განა? ვაი იმას, ვინც აქ დარჩა. მე იმას ვაჩვენებდი, ამ ორმოს ძირში, რაც არის პოლონეთის რაინდი! ცუდად ამოგჟლეტენ, თქვე წუნკალნო, ემანდა! რა ამბავია? უფრო მოხშირდა თოფის სროლა. უჰ, რა მინდა, რომ ეგ ჩვენი მშველელი თვით თავადი ერემია იყოს... ალლაჰ, ალლაჰ! დაიცადეთ, მალე თვით თქვენს მძოვრზედვე დაიწყებენ მგლები ღმუილსა: ალლაო! მაგრამ, ეს რა ჰქმნა პან მიხალმა?... მარტო როგორ დამტოვა! მაგრამ რა გასაკვირველია? ყმაწვილია, ბრძოლა ენატრება. ი ღვინის ჭურჭელი მაინცა მქონდეს აქა, ვინ იცის, იქნება ისიც ცხენებმა სულ ნაჭუქ-ნაჭუჭად აქციეს. ახლა აქ არამ მიკბინოს, რომელმამე ქვეწარმავალმა-და! ეს რაღააო?

ღრიანცელი და გრიალი თოფის-სროლისა თან-და-თან შორიდან მოისმოდა, მინდვრის მხრიდან.

— ჰე! დაიწყეს დევნა! ვერ გამაგრდით განა, თქვე ძაღლის გავარდნილებო! დიდება ღმერთსა!

ხმაურობა თითქმის მიჩუმდა და მხოლოდ ოდნავ-ღა მოისმოდა შორის მანძილიდან.

— ძალიან მირბიან, ეტყობა!—ბუზღუნებდა ხანში შესრული შლიახტიჩი.—ჰმ, მე კი მგონია, რომ კარგა ხანს მოშიხდება ამ ჯურღმულში ჯდომა. მგლებმა არ შემჭამონ-და! ღმერთო, შენ მოუვლინე ბოგუნს მარგილი, მგლები, ცოფი, ხოლო თათრებს ჩვენებიც კარგად გაურიგდებიან. პან მიხალ! ჰაი, პან მიხალ!

პან ზაგლობას სრულმა დუმილმა მისცა პასუხი, მხოლოდ ტყე შრიალებდა და შორიდან მოისმოდა კიდევ სუსტი ხმაურობა ბრძოლისა.

— დავწვე აქა და დაეიძინო, თუ რა ვქნა? ვაი ეშმაკმა და ქაჯმა დასწყეველოს ესე ყოველივე! ჰაი, პან მიხალ!

დიდ ხანს იყო ზაგლობა ასეთს ყოფაში და ილეოდა ლოდინითა. განთიადი იყო უკვე მოტანებული, როცა გზიდან მოისმა თქარა-თქური და ტყეში გამოჩნდა სინათლე.

— პან მიხალ! მე აქა ვარ!—დაიყვირა შლიახტიჩმა.

— აბა, ამოფოფხდი მაშა.

— არ შემიძლიან.

პან მიხალმა, რომელსაც ერთს ხელში ანთებული შტო ეჭირა ხისა, მეორე გაუწოდა ზაგლობასა.

— ჰმ! ამოდი! თათრები აღარსად არიან! სიცოცხლე გაქვს, ჩვენ იმათ ვამყოფინეთ, სულ აიქითა ტყემდინა ვსდიეთ და ზურგზედ ბოლი ავადინეთ.

— ვინ იყვნენ ჩვენები?

— კუშელი და როზტვოროვსკი ორი ათასის ცხენოსანითა, და ჩემი დრაგუნები.

— ის წარმართნი-ღა ბევრნი იყვნენ?

— არა! სულ ორი ათასამდე იქმნებოდნენ.

— მადლობა უფალს! ერთი მომეცით რამე დავლიო; მოვკვდი, აღარა ვარ კაცი.

ორ საათს შემდეგ პან ზაგლობა წყურეილ-მოკლული და კარგად დანაყრებული იჯდა მოსვენებით ცხენზედ და მიდიოდა ვოლოდიევსკის დრაგუნთა შორის პან მიხალთან ერთადა.

— ნუ იწუხებ,—ამშვიდებდა ზაგლობას პატარა რაინდი,— რომ კნიაჟნასთან ერთად არ მივალთ ზბარაჟს! უფრო ცუდი იქმნებოდა, რომ იმ წარმართთ ჩაჰვარდნოდა ხელში.

— იქნება ჟერძიანმა მოახერხოს და მოვიდეს ზბარაჟს?

— მაგას ვერ მოახერხებს, იმიტომ რომ გზა დაჭერილი იქნება. ჩვენ-მიერ დაძლეული რაზმი მალე კვლავ მოიყრის თავს და გამოსწევს ჩვენსკენ. ეგეც რომ არ იყოს, ბურლაი მივა და დადგება ზბარაჟს ახლო ბანაკად უფრო ადრე, ვიდრე ჟენძიანი მიასწრებს იქ მისვლას. მეორე მხრით, კონსტანტინოვიდან ხმელნიცკი და ყეენი მოდიან.

— ღმერთო დიდებულო, მაშინ ისა და კნიაჟნა ხომ ხაფანგში მომწყვდეულებივით დარჩებიან და ორ წყალ-შუა იქმნებიან?

— ყოველივე დამოკიდებულია ჟენძიანის მოხერხებაზედ. შესაძლებელია, მოასწროს და დროზედ გაიაროს მანძილი ზბარაჟსა და კონსტანტინოვს შორის და აღარ ჩაუვარდეს ხელში ან ხმელნიცკისა და ან თათრებს. იცი, თითქმის დარწმუნებულიცა ვარ, რომ სწორედ ასე მოხდება.

— დიაღ, კარგი იქმნება, თუ აგრე მოჰხდა.

— ჟენძიანი მელაა ნამდვილი. შენ ხომ ძრიელ მოხერხებული ხარ, ის კიდევ შენ გადაგაჭარბებს. ჩვენ რამდენი ვიმტვრიეთ თავი, როგორ დავიხსნათ ელენეო, ბოლოს ჩვენ სულ ველარა მოვახერხეთ-რა და აიგერა იმან კი რა ჰქმნა. ახლა უყურე შენ იმას, ისე დაიწყებს კლაკვნას, როგორც გველი და მოიგონებს კი რასმე, მით უმეტეს, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

ზაგლობა ცოტათი დამშვიდდა.

— პან მიხალ, —ჰკითხა მან პატარა ხანს უაკნ,—კუშელს არა ჰკითხე-რა, სქშეტუსკი როგორ არის?

— ზბარაჟშია თურმე და მადლობა ღმერთს, კარგადაც არისო. თავად კორეცკის გამოსთხოვებია და წამოსულა ზაცხვილიკოვსკისთან ერთად.

— რა პასუხი უნდა გავსცეთ ახლა ჩვენ იმასა?

— საქმეც ეგ არის! რა პასუხი გავსცეთ?

— ის ხომ იმასა ჰფიქრობს, რომ ვითომ კნიაჟნა კიევშია მოკლულიო?

— მაშა.

— შენ არავის უთხარი, საიდან მოვდივართ ჩვენა?

— არა; მე ასე ვიფიქრე, რომ სჯობს მე და პან ზაგლობამ ერთად მოვიფიქროთ-მოთქი ყოველივე ესე.

— გვირჩევნიან, რომ სულ ხმა არ ამოვიღოთ ჩვენის თავგადასავალის გამო. ღმერთმა კი ნუ ჰქნას და თუ ის ქალი კვლავ თათრებისა და ყაზახების ხელში ჩავარდა, სქშეტუსკის კვლავ განუძლიერდება დარდი და მწუხარება.

— თავს დავდებ თუნდა სანაძლეოდ, რომ ჟენძიანი მოახერხებს და დაიხსნის იმ ქალს.

— მეც დიდის სიამოვნებით გავწირავდი თავს, ოღონდ ეგ ეგრე მომხდარიყო, მაგრამ ისეთი დრო არის ახლა, რომ უბედურება, თითქო მოარულიაო, ისე დადის ქვეყნადა. სჯობს გავჩუმდეთ. იმედი ვიქონიოთ ღვთისა.

II

პან ვოლოდიევსკისა დაზაგლობას ზაბარაჟში დაჰხვდნენ ყველა სახასო ჯარები, მზად-მყოფნი მტერთა საოტებლად. იქ იყო სახასო მხედართ-მთავარიც, რომელიც კონსტანტინოვიდან მოსულიყო, ლიანცკარონსკიც, კამენცის კაშტელიანი, მესამე სარდალიც, პან ფირლეი დომბროვიცელი, ბელსკის კაშტელიანი, პან ანდრია სერაკოვსკიცა, სახასო მწერალი, პან კონეცპოლსკიცა, მედროშე-ბაირაღტარი, პან ფშიემსკიცა, თოფჩი-ბაშთა

იარანალი, ხანში შესული, გამოცდილი მეომარი. იმათა ჰყავ-
დათ ათი-ათასი კაცი სახასო ჯარისა, იმათ გარდა, რაც სად-
როშონი იყვნენ წინადვე მოსულნი ზბარაჟს თავად ერემიას
ჯარებისა.

პან ფშიემსკიმ ქალაქის განაპირას, სამხრეთად, გნეზნას
მდინარესა და ორ ტბას შორის ააგო მტკიცე სიმაგრე უცხო-
ელთა წესზედა,—სიმაგრე თითქმის შეუვალი. მისი აღება შეი-
ძლებოდა მხოლოდ წინა მხრიდან, რადგან უკანა კერძონი და-
ცული ჰქონდა ტბებითა, ციხე-დარბაზითა და პატარა მდინა-
რეთი. აი ამ სიმაგრის წყალობით იმედოვნებდნენ სარდალნი
პასუხის გაცემას ხმელნიცკისათვის; აქ უნდოდათ შეეყენებინათ
მტერი იმ დრომდე, ვიდრე მოვიდოდა მეფე დანარჩენის ჯარე-
ბითა და ქუდზედ კაცი გამოწვეულ თავად-აზნაურობითა. გარ-
ნა შესაძლო იყო ესა, თუ მიღებულ იქმნებოდა მხდელობა-
ში ძლიერება ხმელნიცკისა? ბევრი ეეჭვობდნენ და თავიანთ მო-
საზრებას ამტკიცებდნენ საფუძვლიანის საბუთებით, უმთავრე-
სად კი იმას იხვევდნენ ხელზედ, რომ საქმის ვითარება თვით
ბანაკში ვერ გვიწყობს ხელსაო. უპირველეს ყოელისა, სარდა-
ლთა შორის დაფარული იძულება სუფევედა. ყველანი უნე-
ბურად იყვნენ მოსულნი ზბარაჟს, უფრო თავად ერემიას ახი-
რების გამო. პირველში კონსტანტინოვს უნდოდათ გამაგრება,
მაგრამ როცა გავრცელდა ხმა, რომ თვით ერემია საქმეში მხო-
ლოდ მაშინ ჩაერევა, როცა ზბარაჟში შეიკრიბებიან ყველანი
თავის დასაცველადაო, ჯარის-კაცებმა მაშინვე გამოუცხადეს მე-
ფის სარდლებს, ჩვენ ზაბარაჟს გვინდა წასვლა და სხვაგან არ ვიბ-
რძოლებთო. ვერც რჩევა-დარიგებამ, ვერც კვერთხის მნიშვნე-
ლობამ—ვერაფერმა ვეღარ მოატრიალა საქმე და სარდლებიც
მალე მიხვდნენ, რომ თუ არ დავიშალეთ და ასე გავკერპდით,
მთლად ჯარი, უკეთეს გუსართა სადროშოებიდან დაწყებული
უცხოელ რაზმთა უკანასკნელ ჯარის-კაცამდე, თავს დაგვანე-
ბებენ და ვისნეეეკისთან გაიქცევიანო. ეს გარემოება ერთი
მრავალთაგანი შედეგი იყო სამხედრო წეს-რიგის მისუსტებისა,
ისეთი გარემოება, რომელიც დაჰბადა სარდალთა უნიჭობამ,

მათ შორის ატეხილმა უთანხმოებამ, მეტის-მეტმა შიშმა ხმელნიცკის ძლიერების წინაშე და მანამდე არ გაგონილმა არა ერთმა და ორმა ღამარცხებამ, მეტადრე პილავეცისამ.

და სარდალნიც იძულებული იყვნენ წაეყვანათ ჯარი ზბარაჟს, საცა ხელმწიფება, მეფის ბრძანების წინააღმდეგ, იმათ ხელიდან უნდა გადასცემოდა ხელში ვისნევცკის თვით საქმეთა ვითარების ძალითა, იმიტომ რომ ჯარს მხოლოდ იმისი მორჩილება სურდა, მხოლოდ იმის ხელ-ქვეითად უნდოდა ბრძოლაცა და სიკვდილიცა. გარნა ასეთი სასურველი მხედართ-მთავარი ჯერ ზბარაჟში არ იყო და მოუსვენრობა ჯარისა თანდა-თან უფრო მატულობდა და თავს იჩენდა ის ჩქროლა გულისა ჯარში, რომელიც თვითონაც ვერ გაუგია, რისგან არის წარმომდგარი. უკვე ყველამ იცოდა, რომ ხმელნიცკი, და მასთან ერთად ყეენიც, ახლოს არის და ისეთი ლაშქარი მოჰყავთ, რომლის მზგავსი ჯერ არაკის შემოუკრებია თემურ-ლენგის შემდეგაო. ბანაკში მოდიოდა დღე-მუდამ სხვა-და-სხვა ახირებული და საზარელი ხმა და გულს უტეხავდა ჯარის-კაცებს. ბევრს ეშინოდა, ღმერთი არ გაგვიწყრეს და ყველას თავზარი არ დაეცეს შიშითაო, ისე, როგორც პილავეცის ომის დროს მოჰხდა, და ეს ამოდენა ჯარი, რომელიც გზას უღობავდა ხმელნიცკის რესპუბლიკის შიგ შუაგულს მისასვლელად, არ დაგვეფანტოსო. მხედართ-მთავრებსა და სარდლებს თვით ეკარგებოდათ გონება და აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ.

იმათი წინა-უკმო ბრძანებანი ან სულ არა სრულდებოდა, ან სრულდებოდა უგულოდ, უხალისოდ. ულეველი იყო, რომ მხოლოდ ერემიას შეეძლო აეცილებინა თავიდან ის უბედურება, რომელიც თავს დასტრიალებდა ბანაკს, ჯარს და ქვეყანას.

პან ზაგლობა და ვოლოდიევსკი, რომელნიც კუშელის სადროშო ჯართან ერთად მოვიდნენ, უცებ მოჰყვნენ ცხოვრების ჩანჩქარში. გამოვიდნენ თუ არა მეიდანზედ, მაშინვე გარს შემოერტყნენ ცნობის-მოყვარე ამხანაგნი. რაკი ტყვედ-შეპყრობილი თათრები დაინახეს, ყველას თითქო გული მოეცა.

„თათრები დაამარცხეს! თათართა ტყვენი მოიყვანეს! ღმერთმა გამარჯვება მოგვანიჭა!“ გაიძახოდნენ ერთნი.—„თათრები ახლო არიან და ბურლაიც იმათთან არის!“ ჰყვიროდნენ მეორენი.—„ავისხათ თოფ-იარაღი! ავიდეთ გალავნის კედლებზედ!“ ყოველს წუთსა და საათს მატულობდა მნიშვნელობა კუშელის გამარჯვებისა. კუშელი პასუხს არ აძლევდა, თუმცა ასი და ორასი ეკითხებოდა, როგორ იყო, რა ამბავი იყოვო და პირდაპირ ბელზკის კაშტელიანის სახლში წავიდა გარდახდილის ბრძოლის ამბავის მოსახსენებლად; ვოლოდიევსკი და ზაგლობაც ყოველის ღონის-ძიებითა ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ამხანაგებისათვის და წასულიყვნენ სქშეტუსკის მოსაძებნად.

ბოლოს ციხე-დარბაზში იპოვეს. იმასთან იყო მოხუცი ზაცვილიხოვსკი, ორი ქსენქი ბერნარდინელი და პან ლონგინუს პოდბიპენტა. სქშეტუსკი, მეგობრები რომ დაინახა, ოდნავ გაფითრდა და თვალები ძირს დაჰხარა: მათმა დანახვამ ცხოველად გაუთვალისწინა წარსული. მაგრამ მაინც გულ-დამშვიდებითა და, თითქმის სიხარულით, მიესალმა, დაუწყო გამოკითხვა და პირველსავე პასუხს დაჰკმაყოფილდა. კნიაჟნასთან ერთად ყოველი ხალისი გაუქრა, ყოველი სასოება დაჰკარგა. მეგობრებმა, თავიანთის მხრით, ერთი სიტყვა არა სთქვეს იმის შესახებ, თუ სად ვიყავით და რად ვიყავითო, თუმცა პან ლონგინისი ჩაცივებით შეჰყურებდა ხან ერთსა და ხან მეორეს, ოხრავდა, მოუსვენრობდა და უნდოდა იმათს სახეზედ წაეკითხა, იყო რამ იმედი, ანუ აჩრდილი მაინც იმედისა თუ არა. პან მიხალი მოეხვია სქშეტუსკის და თითქმის ხელიდან აღარ უშვებდა. მისი გული მოლბა, როცა დაინახა თავისი ძველი მეგობარი, რომელმაც იმდენი ჭირი და ვარამი გამოსცადა, იმდენი დასაკარგი დაჰკარგა, რომ სიცოცხლეც კი მოჰბეზრდა.

— აგერ ახლა ისევ ერთადა ვართ ყველანი,—სთქვა მან. ჩვენთან ერთად კარგად იქმნები ახლა. ომი, როგორცა სჩანს, ისეთი მოგველის, როგორიც არ გაგონილა ჯერა, ხოლო ომთან ერთად ხალისიც დაიბადება მეომართა გულში. ოღონდ

ღმერთმა ჯანი მოგცეს, თორემ არა ერთხელ წაიყვან კიდევ საომრად გუსარებს.

— ღმერთმა დამიბრუნა ჯანი,—უპასუხა სქშეტუსკიმ,— ხოლო თვითონ მეც იმის მეტი სხვა აღარა მინდა-რა, რომ ვემსახურო სამშობლოს.

მართლაც, სრულიად ჯან-საღად იყო, ახალგაზდობასა და მის ძალ-ღონეს დაეძლია ავადმყოფობა. მწუხარებამ ამოსწვა მისი სული, გარნა ხორცს ვერა დააკლო-რა. მხოლოდ საშინლად იყო გამხდარი და სახეზედ სანთლის ყვითელი ფერი დასდებოდა. ისევ წინანდელი იერი გადაჰფენოდა სიკუშტისა და სამარებრივის დამშვიდებისა, შაეს წვერში უფრო გაჰხშირებოდა ვერცხლებრ თეთრი ჭაღარა, ხოლო ყველაფერში არაფრით არ განირჩეოდა არავისაგან, მარტო იმით თუ, რომ, ჯარის-კაცთა ჩვეულების წინააღმდეგ, ერიდებოდა მუსაიფს, სმა-ქეიფსა და ნადიმსა, რჩებოდა ბერებთან ყოფნასა და ლაპარაკს მონასტრის ცხოვრების შესახებ. ესეც კია, რომ ამისთანა ზნე-ხასიათი სრულიად არ უშლიდა მხნედ ეკეთებინა თავისი საქმე სამსახურში.

მუსაიფი მაშინვე ყოვლად მწვავე საგანს შეეხო, მოსალოდნელს ომს. ზაცვილიხოვსკი დაწვრილებითა ჰკითხავდა და ძიობდა თათრებისა ამბავსა და ბურლაისას, რომელიც მისი ძველი ნაცნობი იყო.

— დიდებული მეომარია ბურლაი,—სთქვა მან,—და სამწუხაროა, რომ სხვებთან ერთად ისიც ამხედრებულა სამშობლო ქვეყნის წინააღმდეგ. მე და ის ერთად ემსახურობდით, როცა ხოტიმზედ იერიში მივიტანეთ; სულ ბავშვი იყო მაშინ, მაგრამ მაინც დიდს იმედს იძლეოდა.

— ის ხომ დნეპრის იმიერ მხრიდან არის და იქაურებსა ჰწინამძღვრობს,—სთქვა სქშეტუსკიმ,—და როგორ-ღა მოჰხდა, რომ ახლა კამენცის მხრიდან მოდის აქეთ?

— ალბად ხმელნიცკიმ განგებ უბრძანა იქ დაედო ბინა ზამთრობითა. ტუღაი-ბეი დნეპრს ახლო დარჩა, ხოლო ტუღაი-ბეის დიდი ხანია სძულს ბურლაი. არავის არ აუდენია ზურგზედ ისეთი ბოლი თათრებისათვის, როგორც ბურლაის.

— ახლა კი იმათი მომხრე და თანაზიარია?

— დიაღ! — ამოიოხრა ზაცვლიხოვსკიმ, — აგრეთი დრო დადგა. ხმელნიცკი თვალს არ მოაშორებს, რომ ერთმანერთი არ დასჭამონ.

— ხმელნიცკის როდის-ღა ელით? — ჰკითხა ეოლოდიევსკიმ.

— დღითი-დღე ველით, მაგრამ, ვინ იცის! გეტმანები ყოველდღე უნდა ჰგზავნიდნენ საზვერავად რაზმებს, მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან. ძლივს დავაჯერე, რომ კუშელი სამხრეთად გაეგზავნათ, ხოლო პან პიგლოვსკები ჩოლგნის ქვისაკენ. თვითონ მეც მინდოდა წავსულიყავი, მაგრამ აქ სულ ბჟობა და თათბირია... ამბობენ, რომ გაჰგზავნიან პან სახასო მწერალსა რამდენიმე სადროშო ჯარითაო. სჯობს აჩქარდნენ, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი თავადი მალე მოვიდეს, თორემ ისეთივე უბედურება დაგვატყდება თავს, როგორც პილავეცთან დაგვატყდა.

— ვნახე მე ის ჯარის-კაცნი, როცა მეიდანზედ გამოვიარეთ, — სთქვა ზაგლობამ, — და ვგონებ, რომ მათ შორის უფრო ბევრია საძაგელი, ვიდრე ყოჩაღი და გულადი მეომარი. ჩერჩეტები არიან და არც ამხანაგებად გამოგვადგებიან ჩვენ, რომელნიც სახელს უფრო ვაფასებდით, ვიდრე სიცოცხლეს.

— რას ამბობ ერთი? — ცოტა არ იყოს, იწყინა ზაცვილიხოვსკიმ. — არ უარ-ვყოფ მე თქვენს ვაჟკაცობას, თუმცა წინად კი სხვა აზრისა ვიყავი, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ აქ შემოკრებული რაინდობაც უკეთესნი მეომარნი არიან, ისეთნი, რომლებისთანაც ჯერ რესპუბლიკას იქნება არც კი უნახავს. მოთავეა მხოლოდ საჭირო, სარდალი? პან ლიანცკარონსკი კარგი მხედარია, ცხენოსანი, გარნა სადაური სარდალია? პან ფირლეი მოხუცია და ხოლო რაიცა შეეხება სახასო მხედართ მთავარსა, იმან თავად დომონიკ ზასლავსკისთან ერთად უკვე მოიხვეჭა სახელი პილავეცთან. რა გასაკვირველია, რომ ჯარს არ უნდა იმათი მორჩილება? ჯარის-კაცი თავისით დაჰლვრის სისხლს, თუ დარწმუნებულია, რომ გაუჭირვებლად არ გამოასალმებენ წუთი-სოფელს. აი ახლაცა: იმის მაგიერ, რომ იფიქრონ, რო-

გორ დავიცვათ თავიო, ისინი ერთმანერთს ეკაპუნებიან იმის შესახებ, მე სად დავდგე და შენ სადაო.

— ნუზლ-სურსათი საკმაოდ კია მომზადებული?—შეწუხებულის კილოთი ჰკითხა ზაგლობამ.

— ცოტაა ეგეც, ხოლო თივა და შვრია ხომ უფრო ნაკლები. თუ გარ-შემოდგომამ თვეზედ მეტი ხანი გასტანა, ცხენებს ქვა და მიწა უნდა ვაჭამოთ.

— ჯერ დრო კიდევ არის,—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— წადი და უთხარი, აბა, იმათა. ვიმეორებ: ერთი ნეტა ღმერთი ინებებდეს და მალე მოგვივლენდეს თავადსა!

— მარტო თქვენ არა ჰნატრობთ იმის მოსვლასა,—გააწყვეტინა სიტყვა პან ლონგინუსმა.

— ვიცი. აბა გაჰხედეთ მოედანს. ყველანი გალავნის კედლებსა და თხრილებზედ სხედან და მწუხარებით გაიცქირებიან ძველის ზბარაჟისაკენ; ზოგი სამრეკლოებზედაც კი აფოფხებოლა, და თუ ვინმე დაიძახა: „მოდისო!“, ყველანი სიხარულითა კინალამ ჭკუაზედ იშლებიან. მწყურვალე ირემს არ მოსწყურდება ისე წყალი, როგორც ჩვენ გვწყურიან იმისი მალე მოსვლა.

სურვილი და ღვთისადმი ვედრება მთლად რაინდობისა მალე უნდა აღსრულებულიყო, თუმცა მეორე დღემ უფრო ახირებული ამბავი მოიტანა. რვა ივლისს, ხუთშაბათს დღეს ქალაქში საშინელი ქარი ასტყდა და ძლიერებით დაუბერა ახლად აგებულ გალავან-თხრილებს ბანაკისასა. წვიმა კოკის-პირულად მოდიოდა და ერთი ნაწილი მიწისაგან გაკეთებული სიმაგრეებისა სულ დააქცია. გნეზნა და ორი ტბა ნაპირებს აქეთ გადმოვიდა. საღამოზედ მეხი დაეცა ფირლეის ქეეითის ჯარის სადროშოს, მოჰკლა რამდენიმე კაცი, ხოლო თვით დროშა სულ დაჰფლითა. ეს გარემოება ავი ნიშანიაო, იფიქრეს, ცხადი რისხვაა ღვთისაო. მით უმეტეს იფიქრეს ასე, რომ პან ფირლეი კალვინის მოძღვრების აღმასრულებელი იყო. ზაგლობამ ურჩია აფიცრობას, დეპუტაცია გავუგზავნოთ და ვსთხოვოთ, კათოლიკეთა ეკკლესიას შემოუერთდესო, „ვინაიდან კურთხევა

ღეთისა ვერ დაადგრება იმ ჯარს, რომლის მხედართ-მავარი სცხოვრებს ზეცისათვის საწყინარ ცოდვათა შინაო.“ ბევრნი თანაუგრძნობდნენ შლიახტიჩის აზრს და მხოლოდ კაშტელიანის პიროვნებისა და კვერთხის პატივისცემამ შეაყენა ეს საქმე დეპუტაციის გაგზავნისა. გარნა ჯარს გული მით უფრო წაუხდა და სული მისი უფრო დაეცა. ქარი განუწყვეტლივ ჰქროდა მძვინვარებით; თხრილის გალავანი, თუმცა ქვით იყო გარშემოვლებული, ისე გაიჟღინთა და დალბა, რომ ზარბაზნები ტალახში იფლობოდნენ. საჭირო შეიქმნა ხეები შეედოთ ქვეშ. საცა თხრილი ღრმად იყო ამოღებული, წყალი კაცის სიმაღლეზედ დაგუბდა შიგ. გრიგალი ქარისა მიაქანებდა აღმოსავლეთისაკენ ახალ-ახალ შავ-ღრუბლებს, რომლებიც ირევოდა, საშინელის გრიალით ეჯახებოდა ერთმანერთს და იყო ერთი თავს-ხმა, გრიალი ქუხილისა და ელვა-ჭექა. ბანაკად მხოლოდ მსახურნი-ღა დარჩნენ; ყველა აფიცრები, უფროსნი, გეტმანები, პან ლიანცკარონსკის გარდა, ქალაქში წავიდნენ და იქ შეაფარეს თავი. ამ გრიგალთან ერთად რომ მოსულიყო ხმელნიცკიცა, ისე აიღებდა ბანაკს, ხმას არავინ გასცემდა.

მეორე დილას კარგი დარი გამოვიდა, თუმცა წვიმა მაინც მოდიოდა ცოტ-ცოტათი. მხოლოდ ნაშუადღევს, ესე საათის ექვსზედ, ქარმა გაჰფანტა ღრუბლები, ცამ მოიწმინდა, ხოლო ძველის ზბარაჟის მხარეს გამოჩნდა ცისარტყელა, ერთის კალთით ძველს ზბარაჟზედ დაყუდებული, ხოლო მეორეთი შავს ტყეზედ; ცისარტყელა ბჭყვრიალებდა და ციმციმებდა სხვა-და და-სხვა ცხოველი ფერადითა, თითქო მიმომსრბოლელ ღრუბლებს შესთამაშებსო.

სხივი იმედისა კელავ ჩაეფინათ გულში უსასოდ-ქმნილთა. რაინდობა დაბრუნდა ბანაკში და ბობღვით ადიოდა სისველით მოლიპულ თხრილებზედ, რათა დამტკბარიყო ცისარტყელას ცქერითა. დაიწყეს მითქმა-მოთქმა და ფიქრი, რას უნდა მოასწავებდეს ეს ცისარტყელაო, და სწორედ ამ დროს კი პან ვოლოდიევსკიმ, რომელიც სხვებთან ერთად იდგა ზედ თხრილის პირზედ, მიიფარა ხელი შუბლზედ, რადგან უნდოდა უკეთ

გაერჩია თვისის ფოცხოვერისებურის თვალებით, რაც მოსჩანდა შორს და დაიძახა:

— ჯარი მოდის ცისარტყელას მხრიდან! ჯარი მოდის!

ყოველივე შეიძრა, შეირყა... სიტყვებმა: „ჯარი მოდისო!“ შურდულის ქვასავით გაიზუზუნა ბანაკის ერთის კიდიდან მეორემდე. ჯარის-კაცნი ერთმანერთს მიეჯარნენ, მიეჯახნენ. ხმაურობა ხან ძლიერდებოდა, ხან მიჩუმდებოდა; ყველამ თვალი მიაპყრო შორის მანძილის სივრცეს, ყველას გულმა დაიწყო ცემა და იგრძნო ჩქროლვა მოუსვენრობისა და იმედისა.

ხოლო იქ, შვიდ-ფეროვან კამარად შეკრულ თაღ-ქვეშა რაღაცა დიდდებოდა, შორეულ ნისლთა შორის ჩნდებოდა, ახლოვდებოდა, ცხადი დასანახი ჰხდებოდა... აგერ გამოჩნდა დროშები, ალამ-ბაირაღები... შეუძლებელი-ღა იყო თქმა, რომ თვალებს ასე ეჩვენებაო: ნამდვილად ჯარი იყო.

უცბად ერთი საერთო ძახილი, გრიგალივით ძლიერი ძახილი აღმოხდა ყველას გულიდან, ძახილი საოცარის და გაუგებარის სიხარულისა:

— ერემია! ერემია! ერემია!

ნამსახურნი ჯარის-კაცნი სულ ცას დაეწივნენ სიხარულით. რიგი გადაცვინდა თხრილებიდან, გადაჰხტა თხრილზედ და მოედო ნიავლვარით წალეკილ მინდვრებს ჯარის მისაგებებლად; რიგი იცინოდა და ხარხარებდა, რიგი ტიროდა და ცად აღეპყრო ხელნი. კაცს ეგონებოდა, ალყა აუხსნიათო და ხმელნიცკი დაუძლეევიათო. თაეადის ჯარი უფრო და უფრო ახლოვდებოდა; ახლა შესაძლო იყო გარჩევა დროშებისა და ალამ-ბაირაღების ფერისა. წინ, როგორც წესად იყო მიღებული, მოდიოდა რამდენიმე სუბუქი რაზმი თათრებისა და ვლახელებისა, მათ შემდეგ უცხოელთა ქვეითი ჯარი მარნიცკის უფროსობით, შემდეგ თოფჩნი, დრაგუნები და გუსარნი. სხივები მზისა ბჭყვრიალებდა და ციმციმებდა იმათ თოფ-იარაღზედ, მაღლა აშვერილ შუბების წვერებზედ. სქშეტუსკიმ, რომელიც თხრილზედ იდგა პან ლონგინუსის გვერდითა, იცნო თავის დროშა და ჩამოყვითლებული ლოყები ოდნავ დაუკვერ-

და სიწითლითა; ღრმად ამოიოხრა, თითქო მძიმე ტვირთი მოიხსნაო; როგორღაც კარგს გუნებაზედ დადგა, გულზედ მოეშვა. ახლოვდებოდა დრო აუტანელის ჯაფისა, დრო ომ-ბრძოლისა, რომელიც ყველაზედ უკეთა ჰკურნავს გულს და დროებით მაინც ავიწყებს ადამიანს სევდა-ნაღველსა. ჯარები უფრო მოახლოვდა. ათას ნაბიჯზედ მეტი მანძილი აღარ იყო დარჩენილი იმათა და ბანაკს შორის. თხრილებზედ ავიდნენ უფროსნიცა, პან ფშიემსკი, პან სახასო მედროშე-ბაირაღტარი, პან უფროსი კრასნოსტავისა, პან კორფი და ბევრნი სხვანიცა. ისინიც საყოველთაო მხიარულებას იზიარებდნენ, მეტადრე პან ლაინცკარონსკი; ლიანცვარონსკი უფრო რაინდი იყო, ვიდრე სარდალი, თუმცა გულითა და სულით უყვარდა ომი და ბრძოლა; ალხა გაეწოდა კვერთხი ერემიასაკენ და ხმა-მაღლა იმეორებდა:

— აი ჩვენი ამირ-სპასალარი და მე პირველი ვუთმობ იმას ჩემს უფლება-ხელმწიფობას.

თავადის ჯარი შემოერია ბანაკში. სულ სამი-ათასი კაცი იყო ამ ჯარში, გარნა სამაგიეროდ ისინი იყვნენ ძლევა-შემოსილნი პოგრებიშჩებთანა, ნემიროვთან, მახნოვსკთან და კონსტანტინოვთან. სუბუქს რაზმებს შემდეგ დიდის ვაი-ვაგლახით შემოვიდა ვურცელის თოფჩთა რაზმიცა თორმეტის ზარბაზნით. თავადი მერე მოვიდა, როცა მზე ჩავიდა. ყოველივე, რაც კი სცოცხლობდა, შემოკრბა იმის მიგებებად. ჯარის-კაცებმა მაშხალები აანთეს და ერთად შეკრულ მკვრის ბლუჯებს მოუკიდეს ცეცხლი; ამ სახით მიეგებნენ თავადს, შემოეხვივნენ მის ცხენს, სწვდებოდნენ აღვირს და აჩერებდნენ, რომ უფრო დიდხანს დავსტკბეთ გმირის ცქერითაო. აღტაცება იქამდე მივიდა, რომ არამც თუ პოლონელმა ჯარის კაცებმა, არამედ უცხოელთაც კი გამოაცხადეს უსასყიდლოდ ვიმსახურებთ მთელს ოთხს თვესა, ჯამაგირი არ გვინდაო. კინაღამ არ გაპყლიტეს თავადი, ისე შემოეჯახნენ, ადგილიდან ვეღარ დასძრა თავისი თეთრი ცხენი, ხოლო გარშემო ისმოდა განუწყეტელი გრიალი „გაუმარჯოსთ.“

სალამო კარგი იყო, მშეიდი. ცაზედ დაიწყეს ციმციმი ათასობით ვარსკვლავებმა. როცა თავადს მიუახლოვდა ლიანცკარონსკი, რომ იმისთვის გარდაეცა კვერთხი, ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ცაზედა, ელვასავით წავიდა და ჩავარდა კონსტანტინოვის მხრისაკენ, საიდანაც უნდა მოსულიყო ხმელნიცკი. „ეგ ხმელნიცკის ვარსკვლავიაო!“—დაიძახეს ჯარის-კაცებმა.—სასწაული! სასწაული! თვალით დასანახავი წინად-მაუწყებელი ნიშანი!“—„გაუმარჯოს ერემია ძლევა-მოსილს!“—იძახდა ხალხი ათასისა და ათი-ათასის პირითა. კამენცის კაშტელიანმა ანიშნა ხალხს, რომ მინდა ვსთქვა რამეო და ყოველივე დადუმდა.

— მეფემ მიბოძა კვერთხი,—სთქვა მან,—გარნა კვერთხი ესე მინდა გადავცე ხელში უფრო ღირსეულს და პირველს; მე მსურს ვემორჩილებოდე თქვენს ბრძანებას.

— ჩვენც ეგრედეე გვსურს!—განიმეორა დანარჩენმა ორმა სარდალმაცა.

სამი კვერთხი ერთად იქმნა გაწვდილი თავადისაკენ, მაგრამ მან ხელი გაიქნია, უარის ნიშნად.

— მე არ ჩამიბარებია თქვენთვის ეჯ კვერთხნი და მევე ვერ გამოგართმევთ უკან.

— იყავით მაშ ჩვენ სამში მეოთხე!—სთქვა ფირლეიმ.

— გაუმარჯოს ვისნეეეცკის! გაუმარჯოს გეტმანებს.—შეჰჰყვირა რაინდობამ!—თავს დავსდებთ მათთვის!

ამ დროს თავადის ცხენმა ამართა თავი, შეიბერტყა ახალფერით შეღებილი ფაფარი და დიდის ხმით დაიწყო ჭიხვინი. მთლად ბანაკის ცხენებმაც მიჰბაძეს მის მაგალითს და მორთეს ჭიხვინი.

ესეც საკეთილო ნიშნად იყო მიჩნეული. თვალები ჯარისკაცებისა ციცინათელასავით ანთებულიყო, გული სცემდა აჩქარებით ომის წყურვილის გამო, უფროსნიც კი გატაცებულნი იყვნენ საყოველთაო აღფრთოვნებით. სახასო უფროსი სტირიოდა და ლოცვას ამბობდა, კაშტელიანი და კრასნოსტაველი გეტმანი მალი-მალ ხმალს აელებდნენ ხელს.

არავის არა სძინებია იმ ღამეს მთელს ბანაკში; მხიარულება და ღრიანცელი გათენებამდე არ შეწყვეტილა.

განთიადისას მოვიდა საზვერაოდ წასული პან სახასო მწერალი სერაკოვსკი და მოიტანა ამბავი, რომ მტერი სულ ხუთს აღაჯზედაა ჩვენის ბანაკიდანაო; მისი რაზმი შეჰფეთებოდა კარგა დიდს გუნდს თათრებისას; ომში რამდენიმე აფიცერი მოეკლათ მისთვის. შეპყრობილნი ჯაშუშები ამტკიცებდნენ, რომ მალე მოვა ხმელნიცკი და ყველნი მთელის თვისის მხედრობითაო. ის დღე სულ მზადებაში გავიდა მტრის დასახვედრადა და მოსაგერებლად. თავადი, რომელმაც ჭოჭმანობას დაანება თავი და იტვირთა მთავარ-სარდლობა ჯარის, უნიშნავდა ყველას, ვინ სად უნდა დამდგარიყო, როგორ უნდა ებრძოლნა მტერთან და რა სახით უნდა მიშველებოდა, ვისაც გაუჭირდებოდა. მთელი ბანაკი საუცხოვო გუნებაზედ დადგა და დიდი წეს-რიგი დამყარდა; უწესოება სულ განქრა. ვიდრე შუადღე მოატანდა, ყველას უკვე თავისი ადგილი ეჭირა. დარაჯნი, განწესებულნი ბანაკის გარშემო, ყოველ წუთს მოდიოდნენ იმის მოსახსენებლად, თუ რა ამბავი იყო გარშემო. ახლო-მახლო სოფლებში გაგზავნილი იყო ხალხი, რომ წამოეღოთ ყოველივე ნუზლ-სურსათი, რაც კი აღმოჩნდებოდა. ჯარის-კაცნი გალავნის თხრილებზედ მხიარულად მუსაიფობდნენ და ამბობდნენ სიმღერას, ხოლო ღამეს ათენდნენ ცეცხლა-პირას ხმლით ხელში, თითქო იერიშზედ მისვლის ბრძანებას ელიანო.

მართლაც, განთიადისას, ვისნეეეცის მხარეს რაღაც გამოჩნდა შავადა. ქალაქში ზარების რეკა ასტყდა განგაშივითა, ხოლო ბანაკში საყვირთა გაჭიანურებულმა ხმამ აუწყა ყველას, რომ მტერი ახლოაო. ქვეითი ჯარები ავიდა თხრილებზედ, ცხენოსანთა ჯარი მზად იდგა და პირველისავე ბრძანებაზედ შეეძლო სცემოდა მტერს, ზარბაზნის პატრუქებს ცეცხლი მოუკიდეს.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა თავადიც, რომელიც თავის თეთრს ცხენზედ იჯდა. ვერცხლით დაბალთულ იარაღში იყო ჩაცჯდარი, ხოლო მუზარადი არ ეხურა. სახეზედ ოდნავაც არ

ეტყობოდა მოუსვენრობა; პირიქით, იმედიანად და მხიარულად იყურებოდა.

— აგერ ჩვენი სტუმარნიცა, ყმაწვილებო! აგერ ჩვენი სტუმარნიცა! — იმეორებდა თავადი და უვლიდა ცხენით შიგნიდან გალავნის გარშემო.

ჩამოვარდა მდუმარება; ისმოდა მხოლოდ ფრიალი დროშებისა, რომელსაც ქარი ხის ტარზედ ახვევდა. მტერი ისე ახლო მოვიდა, რომ ადვილად შეიძლებოდა მისი გარჩევა.

ეს მტერი პირველი ზვირთი იყო მისის მოზღვავებულის ლაშქრისა, და არა თვით ხმელნიცკი და ყეენი. მოწინავე რაზმი იყო ოც და ათი ათასის ურდოელისა, რომელიც შეიარაღებული იყო მშვილდ-ისრებითა, თოფებითა და ხმლებითა. იმათ დაეტოვებინათ ათას-ხუთასი კაცი, რომელნიც გაგზავნილი იყო ნუზლ-სურსათისათვის და მოდიოდნენ ვისნეეციდან ერთ ხშირ და შეჯგუფულ გუნდად, მერე გაიშალნენ ახალ მთვარის სახედ და პირდაპირის მხრიდან მოუარეს ქალაქს, ძველ ზბარაჟის მოსავალზედა.

თავადმა, დარწმუნდა რა, რომ ეს ლაშქარი მოწინავე რაზმია მხოლოდაო, უბრძანა ცხენოსანთა ჯარს, გადით გალავანს გარედაო. გაისმა ხმა ბრძანებისა და ცხენოსანთა ჯარმა დაიწყო სიარული რაზმ-რაზმად. ისე მიდიოდა ბაწარ-აღებით, თითქო ფუტკარია და სკიდან გამოდისო.

მინდორი გაივსო ხალხითა და ცხენებითა. შორიდან შეიძლებოდა გარჩევა როტმისტრებისა, რომელთაც ხმლები ეჭირათ ხელში, ათვალიერებდნენ სადრაშოებს და აწყობდნენ ჯარს საომრად; ცხენები მხიარულად ფრუტუნებდნენ. ბოლოს, დიდს ერთიანს ჯგუფს განშორდა ორი სადროშო თავადის თათართა ჯარისა. და ნელის ნაბიჯით გასწია წინ. პირველი მიდიოდა ქერა ვერშული და ძლივს იმაგრებდა ცხენს, რომელიც გააფთრებული მიიწევდა წინ.

მოწმენდილს ლაჟვარდს ცაზედ ერთი ნაქერი ღრუბელი არსადა სჩანდა. დღე იყო მეტად მზიანი, მხიარული.

ამაეე დროს ძველ ზბარაჟის მხარეზედ გამოჩნდა თავადის ჯარის საბარგო ურმები, რომელიც უკან ჩამოჰრჩენოდა ლაშქარს და ახლა გულში ფახათი ჰქონდა, ურდოელები არ შემოგვერტყნენ უცბად გარშემოეო. ასეც მოჰხდა: ახალ-მთვარის სახედ დაწყობილი მტერი სასწრაფოდ გაემართა იქითკენ. ძახილი: „ალლაჰ!“ ესმოდა ქვეითს ჯარს, რომელიც თხრილებზედ იდგა; ვერშულის სადროშონიც გაექანენ ურმების მისაშველებლად.

მაგრამ ახალმა მთვარემ უფრო მალე მიაღწია ურმებამდე და გარს შემოადგა; თითქო შავი არშიაოო, ისე შემოერტყა გარეშემო; ამასთანავე, რამდენიმე ათასი თათარი ერთის ღრიანცელით გაექანა ვერშულისაკენ, იმასაც შემოვერტყათ ალყასავითაო. აი აქ შეიძლებოდა მხოლოდ ნახვა იმისი, თუ რაოდენად გამოცდილი იყო ვერშული და რა მარჯვენი იყვნენ მისნი მეომარნი. შეჰნიშნა თუ არა უფროსმა, რომ მარჯვნივა და მარცხნივ მტერი უნდა შემომივიდესო, გაჰყო თავისი ჯარი სამს ნაწილად. მტერი იძულებული შეიქნა ეტრიალნა იმის მიხედვით, როგორც ვერშული მოძრაობდა და ველარ ახერხებდა უცბად დასხმოდა მტერს. ბოლოს, მტერნი შეეჯახნენ ერთმანერთს გულ და გულ, გარნა ვერშულმა შეუტია მტრის ჯარს იმ ალაგას, საცა იგი უფრო სუსტი იყო, გაარღვია შუაზედ თათართა წრე და ერთს შემდეგ უკან მოექცა, მაგრამ ამას არ მიჰხედა და გააქროლა ჯარი ურმებისაკენ.

ხნიერნი სტრატეგოსნი უცქეროდნენ ამ ამბავს გალავნის თხრილებიდან და იძახდნენ:

— მხოლოდ თავადის აფიცრებს შეუძლიანთ ასე ომი!

ამასობაში ვერშულმა შეუტია სოლის სახედ დარაზმულის ჯარით თათრებს, რომელნიც ბეჭედივით შემოჰრტყმოდნენ ურმებს, განეწონა შიგ სწორედ ისე, როგორც ისარი განეწონება ხოლმე ჯარის კაცის სხეულს და ერთის თვალის დახამხამებაში შიგ მათ შუაგულს კი გაჩნდა. ახლა კი ატყდა საშინელი ბრძოლა. საოცარი სანახავი იყო! ურმების გროვა, თითქო მოარული ციხეაო, ისროდა გრძლად ხშირ-ხშირ კვამლსა,

აფრქვევდა ცეცხლსა, ხოლო გარშემო ფუსფუსებდა ჯინჭველის გორა, მოსჩანდა ცხენები უპატრონებოდ, ხოლო შუაგულ იდგა ხმა ყიჟინისა, ლაწა-ლუწი, გრიალი თოფებისა. როგორც გარეული ღორი, გარშემოდგომილი, იგერებს თეთრის ეშვებით და არ უვარდება პირში ზედ-მისეულს ძაღლებს, ისე ბარგის ჯარი, ამ თათართა ჯარში შთანქმული, იგერებდა მტერს განწირულებით და მოშველების იმედით; იგერებდა უფრო მეტის ძლიერებით, ვიდრე რაზმი ვერშულისა.

აგერ გამოიფინენ კუშელისა და ეფლოდიეესკის დრაგუნებიცა თავიანთის წითელის ბალთებით და ისე ააჩრელეს იქაურობა, თითქო მინდორი შეიმოსა წითელის ყვავილებით, რომელსაც ქარი მიაქროლებსო. აგერ ისინიც მიუახლოვდნენ თათართა ჯგუფს და შთაინთქნენ სულ შიგა... აგერ აღარა სჩანსრა და მხოლოდ შენივთებული, ხელ-ჩართული ბრძოლა ძლიერდება უფრო და უფრო. ჯარის-კაცნი ჰკვირობდნენ, რატომ არ უნდა თავადს ერთბაშად დიდი ჯარი გაჰგზავნოს მისაშველებლადაო, მაგრამ ერემიას თავისი მოსაზრება ჰქონდა ამის საბუთად. უნდოდა ყველასთვის დაენახვებინა, რა ჯარიცა მყავს, ვის იმედით მოვედი აქაო, უნდოდა იმათის მაგალითით გამოეწვრთო და გაეფოლადებინა გული ჯარის-კაცთა და მით მოემზადებინა უფრო დიდის განსაცდელისათვის.

თათართა მხრით თოფის სროლამ იკლო, მაშ, სჩანს, დრო არა აქვთ, თოფები გასტენონ, ან იქნება თოფის ლულები მეტის-მეტად გაცხელდა, სამაგიეროდ ყიჟინასა და ღრიანცელს მოუმატა მტერმა. თავადმა ანიშნა და საში სადროშო,—ერთი საკუთრად მისი, სქშეტუსკის უფროსობით, მეორე კრასნოსტაველის მოურავის წინამძღოლობით, მესამე—მეფისა,—გაემართა ბარგის ჯარისაკენ. ახალმა ჯარმა შეუტია თათრებს, გაარღვია მათი ალყა, მერე გადარეკა მინდვრად, პირი უყო ტყისაკენ, სძლია ერთხელ კიდევ და ბარგის ჯარი სიხარულითა და ზარბაზნის სროლით ჩაიკეტა თხრილებ-შორის.

თათრები მაინც, რაკი იცოდნენ, რომ ჩვენს უკან ხმელნიცკი და ყეენი მოდისო, არ ჩამოეცალნენ იქაურობას, პირ-იქით,

ისევ მალე გამოჩნდნენ, შემოერტყნენ მთელს ბანაკს, დაიჭირეს გზები და ახლო-მახლო პატარა სოფლები. საცა სოფელში მივიდნენ, ყველგან სულ ხშირი კვამლი და ბოლი ადიოდა ცაში. თათართა მრავალი ცხენოსანი მიუახლოვდა თვით თხრილებს, ხოლო მათ მისაგებებელად ციხიდან მრავლადვე გამოდიოდნენ თავადისა და მეფის ჯარები.

ვერშულს ალარ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ბუმბერაზობაში; თავში დაიჭრა ბარგის ურმების დაცვის დროსა და ახლა თავის კარავში იწვა ავადმყოფი; სამაგიეროდ, პან ვოლოდიევსკი, თუმცა სულ სისხლით იყო მოთხვრილი, ჯერ კიდევ არა სცხრებოდა და პირველი გაეიდა გალავანს გარედა. ბუმბერაზობამ საღამომდე გასტანა. თხრილებიდან ისე უცქეროდნენ ამ ბუმბერაზობას რაინდნი, თითქო სეირიაო. პან ვოლოდიევსკი თავის მუნდირით ხან სად გაჩნდებოდა მინდორში და ხან სადა. სქშეტუსკიმ მიაქცია ყურადღება პან ლიანცკარონსკისა ვოლოდიევსკიზედ, ხოლო ზაგლობა, თუმცა პან მიხალი იმისას ვერას გაიგონებდა, აქეზებდა ყვირილით და მხოლოდ ათასში ერთხელ მიჰმართავდა ხოლმე მის მახლობლად მდგომარე ჯარის-კაცთა:

— ერთი შეჰხედეთ, ყმაწვილებო! ეგ მე გახლავართ, რომ ვასწავლე მაგრე ხმლის ხმარება. იჰ, რა ნაირ მოუქნია! ემაგრე ძალიან კარგად მოგვიდა! ღმერთი, ხატი, მალე მეც დამედარება!

მაგრამ აგერ მზეც ჩავიდა და ბუმბერაზობაც თავდებოდა. მინდვრად დარჩა მხოლოდ კაცთა გვამნი და დახოცილი ცხენები. ქალაქში საღამოს ლოცვის ზარი დაჰრეკეს.

დაღამდა, მაგრამ სიბნელეს ჰფანტავდა გარშემო გაჩენილის ცეცხლის შუქი. იწვოდა ზალოსტიცი, ლუბლიანკი, კრეტოვიცი, ვასილოვკა—სულ მთლად გარემოს ცეცხლი მოსდებოდა. ღამის სიბნელეში კვამლი წითლად მოსჩანდა, ეარსკვლავნი წითლად აშუქებდნენ არე-მარეს. ფრინველთ გუნდი წამოშლილიყვნენ ტყეებში, ღელიანებში და ჟივილ-ხივილით დაფთხრიალებდნენ ჰაერში, ცეცხლის შუქით განათებულნი, ისე დაფთხრიალებ-

დნენ და დაპროწიალობდნენ, თითქო ცეცხლის ნაკეერჩხლები ჰფრინავენო. ბანაკის საქონელი, გაოცებული ამისთანა უცნაურის სანახაობით, საცოდავად ჰბღაოდა.

— შეუძლებელიაო,—ეუბნებოდნენ ერთმანერთს ხნიერნი ჯარის-კაცნი,—რომ მარტო თათრების ჯარს წაეკიდებინოს ცეცხლი ამდენის სოფლებისათვისა; ალბად ხმელნიცკიც ახლოა და აქეთ მოდის თვისის ყაზახებითა და მთლად ურდოელებითა.

გეტმანის მოსვლას იმ ღამეს მოელოდნენ. ჯარის-კაცნი, სულ ყველანი, ცხენებზედ ისხდნენ, ხალხი სახლების ბანებზედა და კოშკებში ასულიყო. ყველას გული მოუსვენრად უცემდა. დედაკაცნი ქვითინებდნენ საყდრებში, ხელებ-გაწვდილნი საკურთხევლისკენ. მოუსვენრობა და ლოდინი თავს დასტრიალებდა მთელს ქალაქს, ციხე-სიმაგრესა და ბანაკს.

გარნა დიდ ხანს აღარ მოუნდათ ლოდინი. ჯერ არ დალამებულიყო, რომ ცის დასაყალზედ გამოჩნდა პირველი რაზმი თათრებისა და ყაზახებისა, იმას მოჰყვა მეორე, მესამე, მეათე, მეასე, მეათასე. კაცს ეგონებოდა, რომ რაც ქვეყანაზედ ტყეა, მოუგლეჯია რასმე და აქეთ გამოუქანებია ამ უამრავის ჯარის სახითაო. ადამიანის თვალი ამაოდ ეცდებოდა ამ უთვალავის ლაშქრის ბოლოს დანახვას. შორს, თვალით გადუწვდენელ მინდვრის ბოლოს შავად ჰღელავდა ზღვა ხალხისა და ცხენებისა, რომელთაც ჰფარაედა კვამლი და შუქი ცეცხლ-წაკიდებულ ტყე-სოფლებისა. ისე მოდიოდა ეს ზღვა, თითქო ღრუბლებია, ანუ კალიაო, რომელიც მოდის და თან არე-მარეს მოაბნელებს. ბოლოს, ესე ციხიდან ორის ვერსის მანძილზედ, ლაშქარი გაჩერდა და დაიწყო ცეცხლების დანთება.

— ჰხედავთ ცეცხლებსა?—ეჩურჩულებოდნენ ერთმანერთს ჯარის-კაცნი.—უფრო მეტს მანძილზედ არიან მოფენილნი, ვიდრე ცხენი გაჭენდება ერთს მუქარაზედ.

— იესო, მარიამ!—უთხრა ზაგლობამ სქშეტუსკის.—ხომ იცი, რომ ლომი ვარ გულში, რომ შიში არ ვიცი, რა არის, მაგრამ მაინც ვიტყვი, ბევრად ემჯობინებოდა, ხვალ დილამდე სულ ჯახრუჯანაბას გადაკარგულიყვნენ ეგ სათოკენი და ჩამო-

სახრჩობნი. მეტად ძაღლთ უმრავლესნი არიან, მე და ჩემმა ღმერთმა. სწორედ გითხრა, იოსაფატის ღელეშიაც არ იქმნება აგრეთი მჭიდროობა. ერთი კაცმა ჰკითხოს, რა უნდათ მაგ ავ კაცებსა? რატომ ყოველი სულელი თავის სახლში არ უნდა იჯდეს და არ ემსახურებოდეს თავის ბატონს გულ-დამშვიდებითა. რა ჩვენი ბრალია, რომ უფალმა ღმერთმა ჩვენ ბატონებად გაგვაჩინა, ისინი კი ტეტიებად და უბრძანა, ჩვენ გვემორჩილებოდნენ? ფუჰ, მათ ეშმაკსა! ისეთი ვარ, რომ სულ ყელში სისხლი მომდის. მშვიდობიანი კაცი ვარ, მზადა ვარ ყოველივე დავთმო ხათრითა, მაგრამ ახლა მოთმინებიდან ნურც მე გამომიყვანენ. მეტის-მეტად დიდი თავისუფლება მისცეს, ბევრი საქმელი დაუთმეს და ისინი გამრავლდნენ, როგორც თაგვნი კალოზედა; ახლა კატებზედაც იწეენ. მოიცადეთ, მოიცადეთ! აქ გახლავთ კატა, რომელსაც თავად ერემიას ეძახიან! მეორეც გახლავთ, რომელსაც ზაგლობა ჰქვიან! შენ როგორა გგონია, განა ეგენი ხელ-შეკრულობას პატივსა-სცემენ? მაგათ რომ მორჩილება გამოეცხადებინათ, ხომ შეიძლებოდა შეგვეწყალებინა და სიცოცხლე გვეჩუქებინა, ჰა? ერთი რამ არ მასვენებს: საკმაოდა გვაქვს თუ არა სურსათი? ერთი უყურე-და! კიდევ ცეცხლი გამოჩნდა, იმის იქით კიდევ ცეცხლი... სულ ცეცხლი! აი, ცეცხლი ჩაუვარდეთ იმათ მუცელში?

— რა დროს ხელ-შეკრულობაზედ ლაპარაკია,—უთხრა სქშეტუსკიმ,—როცა ისინი იმასა ჰფიქრობენ, რომ ხელში გვყანან და ხვალ სულ დავიპყრობთ იმათ ბანაკსაო?

— მერე ხომ ვერ დაგვიპყრობენ? ვერა, განა?

— სულ ღვთის ნებაა. ყოველ შემთხვევაში, რაკი თავადი აქ არის, იაფად არ დაუჯდებათ ჩვენი დაპყრობა.

— უჰ, რა ნაირ მანუგეშეთ. მე ის დარდი კი არა მაქვს, იაფად დაუჯდებათ თუ ძვირად; მე ის მინდა, რომ სულაც არ დაგვიპყრან.

— ჯარის-კაცისათვის დიდი საქმეა, როცა გრძნობს, რომ მუქთად არ გავსწირავ თავსაო.

— მართალია, მართალია... ოი, გასქდეს დედამიწა და თან ჩაიტანოს ისინი და ეგ შენი ნუგეშიცა!

ესენი რომ ასეთს მუსაიფში იყვნენ, მოვიდნენ ამათთან პან პოდბიპენტა და ვოლოდიევსკი.

— ამბობენ, რომ ურდოელები და ყაზახები ნახევარ მილიონამდე იქმნებიანო,—სთქვა ლიტველმა.

— გაგიხმა ენა, ჰო და აგრე!—შეჰყვიოა ზაგლობამ.— კაი ახალი ამბავი კი მოიტანე-და!

— როცა იერიშზედ მიდიან, მაშინ უფრო ადვილი დასაძლევნი არიან, ვიდრე როცა მინდვრად იბრძვიან,—სთქვა წყნარად პან ლონგინუსმა.

— რაღაი ჩვენი თავადი და ხმელნიცკი ერთმანერთს შეეჯახნენ,—სთქვა პან მიხალმა,—მშვიდობიანს ხელ-შეკრულობაზედ სიტყვა აღარ უნდა იქმნას ჩამოვარდნილი. ან ჰო და ან სულ არა! ხვალ გათენდება განკითხვის დღე.

სთქვა ესა და მხიარულად დაიწყო ხელების ფშვნეტა.

პატარა რაინდი მართალს ამბობდა. ამ ხანგრძლივის ომის განმავლობაში ორი ლომი ჯერ ერთმანერთის პირის-პირ არ დამდგარიყო. ერთი ზურგზედ ბოლს ადენდა გეტმანებსა და სარდლებსა, მეორე—ყაზახთა ატამანებსა, ერთსაც და მეორესაც ძლევა-მოსილება სდევდა თანა, ერთიცა და მეორეც რისხვა იყო მტრისათვის, ხოლო ახლა უნდა გადაწყვეტილიყო, პირის-პირ შეყრის დროს, ვისკენ უნდა გადაეძლია სასწორს გამარჯვებისასა. ვისნეეეცკი თხრილებიდან გასცქეროდა თათართა და ყაზახთა სიმრავლეს და ამაოდ ცდილობდა თვალი გადაევლო მათთვის ერთბაშად, ხმელნიცკი შეჰყურებდა ციხე-დარბაზს და ბანაკს და ჰფიქრობდა გულში: „იქ არის საშინელი მტერი ჩემი; თუ იმას მოვუგრიხე კისერი, ვინ-ღა წინააღმიდგება მე?“

ადვილი მისახვედრი იყო, რომ ბრძოლა ამ ორ კაცს შუა ხანგრძლივი და გამძვინვარებული უნდა ყოფილიყო, ხოლო რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ბრძოლას, ეს ეჭვ გარეშე იყო. თავადი ლუბნისა და ვისნეეეცისა ჰწინამძღვრობდა თხუთ-

მეტ-ათას კაცს, რომელთა შორის მსახურნიც იყვნენ, ხოლო საერო წინამძღვარს თან მოჰყვა ხალხი მთლად აზოვის ზღვისა და დონის მინდვრებისა დუნაის შესართავამდე. იმასთან ერთად მოვიდა ყველნი ყირიმისა, ბელგოროდისა, ნოღაისა და დობრუჯის ურდოებითურთ, მოვიდნენ ქვემოურნი და აურიცხველნი ბრბონი მდაბიოთა, მოვიდნენ ქალაქებიდან, დაბა-სოფლებიდან, მოსკდნენ ყველა ისინი, ვისაც ოდესმე ემსახურნა საბატონო და სახასო ჯარებში; მოვიდნენ ჩერკასელები, ვლახელები, სილისტრიელნი და რუმელიელნი ოსმალონი. მოვიდნენ, ასე გასინჯეთ, რაზმნი სერბთა და ბოლგართაც კი. კაცს ეგონებოდა, რომ ახალი გადასახლება დაწყებულა ხალხისა და ერისაო, რომელსაც დაუნებებია თავი მინდვრებისათვის, აყრილა და ბაწარ-ალებით მიისწრაფის დასავლეთად, რათა ახალი ქვეყნები შეიძინოს და იქ დაამკვიდროს ახალი სახელმწიფოვო.

ასეთი იყო ურთიერთობა მებრძოლთა შორის... ერთი მუჭა ათასის წინააღმდეგ, კუნძული ზღვასთან შედარებით! რაღა გასაკვირველია, რომ არა ერთისა და ორის გული სცემდა ამ დროს მოუსვენრად და რომ არა მარტო ეს ქალაქი, არამედ მთლად რესპუბლიკა ისე შესცქეროდა გამარტოებულ ბანაკს, განადირებულ მეომართა გუნდებით გარემოცულს, როგორც სამარეს რაინდებისასა და მათის დიდებულის სარდლისასა.

ასევე ჰგონებდა ხმელნიცკიცა, იმიტომ რომ, გაჩაღდა თუ არა ცეცხლი მის ბანაკში, ციხის წინაშე გამოჩნდა ყაზახი-პარლამენტიორი თეთრის დროშითა.

დარაჯთა გუნდი გამოვიდა ციხიდან და მაშინვე შეიპყრო ახლად-მოსული.

— გეტმანის კაცი ვარ, თავად ერიომასთან მოსული,— სთქვა მან.

თავადი ჯერ კიდევ არ ჩამომხდარიყო ცხენიდან და დამშვიდებულის სახით იდგა მინდვრად. ცეცხლების შუქი გადაჰფენოდა მის თვალებს და ვარდის ფერსა სდებდა მის ჩამომდნარს

ლოყებს. ყაზახი, ცოტა არ იყოს, შეჰკრთა, თუმცა იმისთანა იყო, რომელსაც მინდვრის ბებერს მგელს ეძახიან.

— ვინა ხარ შენა?—ჰკითხა თავადმა-ერისთავმა და დააცქერდა თვისის დამშვიდებულის თვალებითა.

— ასისთავი გახლავარ, სოკოლი... გეტმანისაგან კაცი.

— ამბავი-ხაბარი?

ასისთავი მოჰყვა და დაუწყო თავის დაკვრა.

— შემიწყნარე, ბატონო! რაც მიბრძანეს, ის უნდა მოგახსენოთ; მე ბრალი არა მაქვს!

— სთქვი გაბედვითა.

— გეტმანმა მიბრძანა მოგახსენოთ, რომ სტუმრად გეახელი და ხვალ გეწვევი ციხე-დარბაზშიო.

— ასე მოახსენე, რომ ხვალ კი არა დღესა მაქვს ლხინი ციხე-დარბაზში-თქო!—უპასუხა თავადმა.

ერთს საათს უკან დაუწყეს საშედლუხოდ ცლა ზარბაზნებსა, სიხარულის ჟრიამული გაისმა ციხე-დარბაზში, რომელიც ჩირაღიეით იყო განათებული.

ყეენმა რომ სანადიმო ჟრიამულს მოჰკრა ყური, გამოვიდა კარავიდან გარედა და თან გამოიყოლა ძმა თვისი ნურედინი, სულტანი გალგი, ტუღაიბეი და მრავალი მურზები, ხოლო შემდეგ კაცი გაუგზავნა ხმელნიცკის.

გეტმანი ცოტა გადაკრულში იყო, მაშინვე ეახლა, რამდენჯერმე დაუკრა თავი და მიიდო ხელი შუბლზედ, წვერზე და გულზედ და თან ელოდა, აბა, რას მიბრძანებენო.

ყეენმა დიდ ხანს უყურა ციხე-დარბაზს, რომელიც შორიდან გაჩირაღებულ ფარანსა ჰგავდა, მერე გაისვა თხელს წვერზედ ხელი, ანიშნა გაშუქებულ ფანჯარაზედა და ჰკითხა:

— გეტმანო იმიერ-ჭორომეთისავ, ის რა ამბავია?

— ყოვლად უძლიერესო მეფეო!—უპასუხა ხმელნიცკიმ,— თავადი ერემია ლხინობს იქა.

ყეენი ჩაფიქრდა.

— ლხინობს?

— ეგ ის ამბავი გახლავთ, რომ ხვალ სასიკვდილოდ განწირულნი დღეს ლხინობენ,—უპასუხა ხმელნიცკიმ.

თხრილებიდან მოისმა კვლავ გრიალი თოფ-ზარბაზნებისა, აყვირდნენ საყვირნი და ხმამ განურკეველის ღრიანცელისამ მიაღწია ყეენის კურთხეულ ყურებამდე.

— ერთია ღმერთი,—წაიბუტბუტა მან,—ლომის გული უდევს მკერდში იმ გიაურსა.

და, დადუმდა რა მცირეს ხანსა, დასძინა:

— ჩემთვის სამჯობინარო იქმნებოდა, რომ იმასთან ერთად ვიყო და არა შენთან.

ხმელნიცკი თრთოლამ აიტანა. ძვირად უჯდებოდა მისთვის ასე საჭირო მეგობრობა თათრებისა და მაინც დღემდე ჯერ კიდევ დარწმუნებული არ იყო, რამდენად სანდოა ჩემი მომხრე-მოკავშირეო. ერთი მიმოხვრა ყეენისა—და შესაძლო იყო, რომ მთლად ის ურდონი მისტევებოდნენ ყაზახობას, რომელიც მაშინ კი აუცილებლივ დაიღუპებოდა. ამასთანავე, ხმელნიცკიმ იცოდა ისიცა, რომ ყეენი თუ ჰშველოდა, ჰშველოდა მხოლოდ იმიტომ, რომ დავლას ავიღებ, ალაფსაო, ძვირფასს ჯილდოს მივიღებ, ტყვეებს შევიძენო და, რაკი თავისი თავი ნამდვილ მონარქად ჰყავდა დასახული, გულში კიდეც ჰრცხვენოდა, მეამბოხეთ როგორ ვეხმარები მეფის საწინააღმდეგოდაო, ვიღაც „ხმელის“ მომხრე როგორ უნდა ვიყო ვისნეეეკის სამტრიოდაო.

ყაზახთა გეტმანი ხშირად გამოთვრებოდა ხოლმე, არა მარტო იმიტომ რომ ჩვეული იყო, არამედ სასოწარკვეთილების გამოცა.

— დიდებულო ხელმწიფევ,—სთქვა მან,—ერემია შენი მტერია, ეგ იყო, რომ წაართვა თათრებს იმიერ-სადნეპროი, ეგ იყო, რომ მოკლული მირზები, როგორც მგლები, ისე ჩამოჰკიდა ხეებზედ სხვების შესაშინებლად, ეგ იყო, რომ ყირიმზედ უნდოდა გამოელაშქრნა ცეცხილითა და მახვილითა...

— თქვენ კი ზარალს არას აძლევთ თათრების სოფლებსა?

— მე შენი მონა გახლავარ.

ტულაიბეის სულ კანკალი დაუწყო გალურჯებულმა ტუ-ჩებმა. ყაზახთა შორის იყო ერთი მისი საშინელი მტერი, რომელ-მაც ოდესმე სულ ამოსწყვიტა მთელი მისი რაზმი და თვითონ ისიც კინაღამ შეიპყრო. იმისი სახელი მუდამ ენაზედ ადგა ტუ-ლაიბეის და ულმობელის ძალით აქეზებდა შურის-ძიებად. ბო-ლოს მაინც ეეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— ბურლაი! ბურლაი!

— ტულაიბეი!—სასწრაფოდ ჩამოართეა სიტყვა ხმელნიც-კიმ,—შენა და ბურლაიმ, ყეენის ბრძნულ განკარგულებით ტყვია-ჩაყრილი არაყი დაჭლიეთ.

კვლავ გაისმა გრიალი თოფებისა ზბარაჟში და შესწყვი-ტა ყეენისა და ხმელნიცკის ლაპარაკი.

ყეენმა გაიწოდა წინ ხელები იმ სახით, თითქო უნდა ერთ-ბაშად შემოჰხვიოს ზბარაჟსა, ციხესა და მთლად ბანაკსაო.

— ხვალ ჩემი იქნება?—ჰკითხა ხმელნიცკის.

— ხვალ ისინი ამოიჟლიტებიან.

და ხმელნიცკი კვლავ მოჰყვა და დაუწყო თავის დაკვრა, რაკი იფიქრა, რომ ჩვენი ლაპარაკი აწ გათავდაო. ყეენი შე-ეხვია თავის ქურქში, რადგან საკმაოდ გრილოდა იმ ღამეს და გასწია თავის კარავისაკენ, ხოლო გზა-გზა სულ ამას იმეო-რებდა:

— ერთია ღმერთი!...

ხმელნიცკიც თავისიანებისაკენ წავიდა და თან ბუტბუ-ტებდა:

— შენ მოგცემ ციხე-დარბაზსაც, ქალაქსაცა, დაელა-ალაფ-საც, ტყვეებსაც, მხოლოდ ერიომა ჩემი იქნება და არა შენი, თუნდა სიცოცხლედაც დამიჯდეს მე ამ სურვილის შესრულე-ბაო.

ცეცხლები ნელ-ნელა ჩაქრა, ნელ-ნელა შესწყდა ხმაუ-რობა ათასობითა და ასიათასობით მოგროვილის ხალხისა და მხოლოდ აქა-იქ გავარდებოდა თოფი და გაისმოდა ყვირილი თათრისა, რომელიც მიერეკებოდა ცხენებს ღამე-საძოვრად;

ბოლოს ესეც მისწყდა და ღრმა ძილმა მოიცვა აღურაცხველნი რაზმნი თათრებისა და ყაზახებისა.

მხოლოდ ციხე-დარბაზი ხმაურობდა, გრიალებდა, თითქო ქორწილია იქაო.

პოლონელთა ბანაკში ელოდნენ, რომ იერიშს ხვალ მოიიტანს ჩვენზედ მტერიო. მართლაც, ალიონზედვე, წამოვიდა თხრილებისაკენ ბრბო მდაბიოთა, ყაზახთა და თათართა, წამოვიდა შავი ღრუბელივით, რომელიც სერობაზედ გაეკვრის ხოლმე. პოლონელები, რომელნიც ჯერ გუშინ ცდილობდნენ აენუსხათ, რამდენგანა აქვს მტერს ცეცხლი დანთებულიო, ახლა სულ გაშეშდნენ ეს ზღვა ხალხი რომ დაინახეს. ჯერ ისინი იერიშით არ მოდიოდნენ, ჯერ მხოლოდ ათვალიერებდნენ მინდორს, სიმაგრეებს და მთლად ბანაკს პოლონელებისას. და სწორედ ისე, როგორც აგორებული, ‘თად-გადაქცეული, ზვირთი ზღვისა, ქარისაგან აბობოქრებული მიეტეევება, ეცემა კიდეს შუილითა და მერე ისევ უკან დაიწევს, ყაზახნიც ხან იქ მიუახლოვდებოდნენ ბანაკს, ხან იქა, დაიწევდნენ უკან და მერე კვალად მიეტეევებოდნენ, თითქო სცდიან, აბა, რა ძალით გაგვიმაგრდებიანო, თითქო უნდათ დარწმუნდნენ, შევმუსრავთ თუ არა მარტო ჩვენის ერთის გამოჩენით მტრის ვაჟკაცობასა და გულადობის უნარსა უწინარეს იმისა, ვიდრე თვით კედლებს შევუმტვრევთ და გაცავუმტვერებთო.

ზარბაზნებს ქუხილი გაჰქონდა, ყუმბარანი სეტყვასავით სცვიოდა პოლონელთა ბანაკში, ხოლო იქიდანაც ასეთსავე პასუხს იძლეოდნენ. თხრილებზედ გამოჩნდა ლიტანიით მიმავალი ხალხი წმ. საიდუმლოს წინ-წამძღვარებითა. სამღვდელოებას უნდოდა აღეფრთოვანებინა შემუსვრილი სული ჯარისა. ქსენძ მუხოვეცკის ეჭირა ხელში ოქროს ჭურჭელი, რომელიც ისე მაღლა აეწია, რომ იმის თავის სისწორივ მოდიოდა, ხოლო ხან და ხან კიდევ უფრო მაღლა ასწევდა ხოლმე; მოდიოდა ამფიონ ქვეშ და თვალები დახუჭული ჰქონდა, ხოლო სახე დამშვიდებული, მზგავსი განდეგილისა და ღვაწლ-მოსილის მეუდაბნოესი. მუხოვეცკის მოსდევდა ორი სხვა ქსენძი, ხოლო

•სვეტნი ამფიონისა ეჭირა ოთხს შლიახტიჩს, რომელთა შორის იყო ზაგლობაცა. ამფიონს წინ მშვენიერი პატარა ქალი ჰფენდა გზა-გზა ყვავილებსა. ლიტანია მიიწევდა წინ თხრილების მხარდამხარ, თან მისდევდნენ მხედართ-მთავარნი და მეომართა გულში კვლავ იღვიძებდა სული ვაჟკაცობისა. ქარი ჰფენდა გარშემო საცეცხლურში ცეცხლ-წაკიდებულ სურნელებათა სუნს, ყველანი მოწიწებით იდრეკდნენ თავთა თვისთა.

ბოხი ხმა ზარბაზნებისა ბანს ეუბნებოდა სამღვდელო საგალობლების ჰანგებსა, ხან-დაზმით მტრისგან გამოსროლილი ყუმბარა გრგვინვით გადიქროლებდა ზედ ამფიონსა და ქსენძების თავზედა, ან დაეცემოდა ძირსა, თხრილში და ზედ წაეყრებოდა მიწა, ამ დროს პან ზაგლობა დაიწკნელებოდა და ამფიონის სვეტს მიეკვროდა ხოლმე. მეტადრე მაშინ შეიპყროდა ხოლმე შიში, როცა მოლიტანიენი ერთს ადგილს შეჩერდებოდნენ. მაშინ გარშემო დუმილი ჩამოვარდებოდა და კაცს ცხადად ესმოდა ზუზუნი ყუმბარებისა, რომელიც ისე მოჰქროდა, თითქო უზარმაზარი ფრინველიაო; ზაგლობას სულ თავში უვარდებოდა სისხლი და ჭარხალივით წითლდებოდა, ხოლო ქსენძი ასკულსკი, ოდესმე მეომრად ნამყოფი და ჯარისკაცის გულის პატრონი ველარ ითმენს, იცქირება მინდერისკენ და ბუზღუნებს: „თქვენ უნდა საჩეჩელს უსხდეთ და არა ზარბაზნებს ისროდეთო!“ ყაზახთა მეთოფჩენი მართლა არ ეარგოდნენ და მღვდელი ისკულსკიც იმას ამბობდა, არ შემიძლიან გულ-დამშვიდებით ეუყურო მაგნაირ უხერხულობასა და ტყვია-წამლის ამაო ხარჯვასაო. მოლიტანიეთა მიაღწიეს თხრიების მეორე მხარეს, საცა მტერი ველარ უწევდა ყუმბარებსა. თათრებმა და ყაზახებმა, რაკი სცადეს აქა-იქ, იქნება შიშის ზარი დავსცეთ თავს პოლონელთა ბანაკსაო, მერე დაბრუნდნენ ისევ თავიანთ ბინაზედ და ჩასაფრდნენ იქა; ცხენოსნებსაც კი აღარ ჰგზავნიდნენ მინდვრად საბუმბერაზოდ. ლიტანიამ სრულიად გაამხნევა ალყა-შემორტყმულნი.

ახლა კი ცხადი შეიქმნა, რომ ხმელნიცკი სთვლიდა თავის ბარგის ჯარსა და ბარხანას. იმდენად დარწმუნებული იყო,

ჩემს პირველს იერიშს დიდი ქარი ექმნებაო, რომ თითქმის არაფერს არა ცდილობდა თვისის ბანაკის გასამაგრებლად, ან თხრილების ამოღებითა და ან სხვაგვარის მუშაობითა. ბარგი-ბარხანა მეორე დღეს მოუვიდა და ურმები დაბინავდა ისე, რომ ერთმა მეორეს მიჰყუდა ზურგი და ასე დაეწყო რამდენსამე მწკრივად, თითქმის ერთის აღაჯის მანძილზედ სიგანით, ვერნიაკიდან დაწყებული დემბინამდე; ბარგს მოჰყვა ახალი ლაშქარიცა—მშვენიერი ქვეითი ჯარი იმიერ-ჭორომეთისა, თითქმის ოსმალთა იანიჩარების ტოლი და ბადალი.

ღირს-საბსოვარი დღე, სამშაბათი 13 ივნისისა ისე გაეიდა, რომ დიდი ფაცა-ფუცი და გაცხარებული მზადება იყო ორსავე ბანაკში; ახლა უკვე ეჭვი აღარა იყო, რომ იერიში დაიწყებოდა: საყვირთა, ებანთა და ბობღანთა ხმა დილიდანვე არ შეწყვეტილა ყაზახთა ბინაზედ, ხოლო თათართა შორის გაჰქონდა გუგუნი დიდს სამღვთო დაირას... უკრავდნენ წამ-და უწუმ განგაშსა. დასაღამოჟამდა; საღამო იყო მშვიდობიანი, ტკბილი; მხოლოდ ტბებსა და გნეზნა მდინარეს მხარეს მსუბუქი ნისლი გამოჩნდა. ბოლოს პირველი ვარსკვლავიც გამოჩნდა ცაზედ და დაიწყო ციმციმი.

სწორედ ამ დროს ყაზახთა სამოცმა ზარბაზანმა ერთხმად ასტეხა რუხრუხი, აღურაცხელნი რაზმნი ყიჟინით მიეტევნენ თხრილებს და იერიშიც დაიწყო.

ჯარები თხრილებზედ იდგნენ და ასე ეგონათ, რომ დედა-მიწა დგანდგარებს ჩვენ ფეხ-ქვეშაო. თვით ხნიერნი ჯარისკაცნი ამბობდნენ, რომ ჩვენს სიცოცხლეში ამისთანა არა გვინახავს-რაო.

— იესო, მარიამ-ღვთისმშობელო! ეს რა ამბავია?—ჰკითხა ზაგლობამ სქშეტუსკისა, რომელიც ორ თხრილს შუა იდგა თავისის გუსარებითა.—ეგენი ადამიანი შვილები არ არიან სწორედ!

— თითქო არ იცოდე შენცა: მტერი წინ მოერეკება ხარებსა, რომ იმათზედ მოვაცდინოთ ჩვენი პირველი სროლა და ამაოდ დავხარჯოთ ტყვია-წამალი.

ხანში შესული შლიახტიჩი, ჭარხალივით გაწითლდა, თვალები დააჭყიტა და კინაღამ ბუდიდან გადმოუცვინდა, ხოლო ბაგეთაგან აღმოხდა ერთი სიტყვა, რომელიც განხორციელება იყო გამძვინვარებისაცა, შიშისაცა და ყოველისავე, რაც იმ წუთს აღელვებდა ზაგლობას გულსა:

— საზიზღარნი!

გაცოფებული ხარები, რომელთაც მოერეკებოდნენ განადირებულნი, ნახევრად შიშველ-ტიტველნი ჩოდარნი და თან ანთებულს მაშხალებსა სცემდნენ, შიშით დამფთხალნი, გარბოდნენ წინ საშინელის ბღავილითა და ხან ერთად მოგროვდებდნენ, ხან გაიფანტებოდნენ და ასე უახლოვდებოდნენ თხრილებსა. გარნა ვურცელმა დაუშინა ზარბაზნები, კვამლმა დააბნელა ცა, შეშინებული საქონელი სულ ცალ-ცალკე გაიშალა, თითქოს მეხი დაეცაო. ნახევარი ამოდენა საქონლისა დაიხოცა, მაგრამ მტერმა გადმოიარა მათს მძოვრზედ და წამოვიდა წინა.

წინ მორბოდნენ ტყვენი, რომელთაც ქვიშის ტომრები ეკიდათ და უნდა თხრილი ამოევსოთ, მორბოდნენ გამწარებულნი, რადგან უკან მოსდევდნენ შუბებით ყაზახნი, ჰგვემდნენ და ესროდნენ თოფებს. ის ტყვენი იყვნენ ზბარაჟის ბიდამოთა გლეხ-კაცნი, რომელთაც ციხეში შესვლა ვერ შეესწროთ, ახალგაზდანიკა, მოხუცნიცა, დედაკაცნიცა. ეს ტყვედ-შეპყრობილი ხალხი მორბოდა ყვირილითა, ტირილითა, წიოკობით და ხელებ-აპყრობილი ცად მიმართ, ღმერთს შესთხოვდა შეწყალებასა. ამ ტირილითა და ღრიალით თმები ყალხს დაუდგებოდა ადამიანს, მაგრამ შებრალება გაჰქრა იმ დროს დედამიწის ზურგზედა: ერთის მხრით ყაზახნი ჰგვემდნენ შეუბრალებლადა, მეორეთი — ვურცელის ყუმბარები ჰხოცავდა საცოდავთ, ნამტვრევები ზარბაზნის ტყვიისა ნაჭერ-ნაჭერ ჰფლეთდა იმათს ტანს, მუსრს ავლებდა მათს ბრბოს, მაგრამ ისინი მაინც მორბოდნენ, სისხლში ფეხი უცურდებოდათ, იქცეოდნენ, მერე ისევ დგებოდნენ და კვალად მორბოდნენ, იმიტომ რომ ყაზახთა

ტალღა მოერეკებოდა, ხოლო ყაზახთა ტალღას უკან მოსდევდა ზვირთი ოსმალთა, თათართა.

თხრილი ერთს წუთას გაივსო ადამიანთა გვამებითა, სისხლითა, ქვიშით სავსე ტომრებითა, ბოლოს სულ ამოივსო და ყაზახნი ყიჟინით გაჰქანდნენ გალავნის კედლებისაკენ. რაზმი რაზმს მისდევდა; თოფების ფალიის აწვაზედ გამოჩნდებოდნენ ხოლმე უფროსნი, რომელნიც ხმალ-ამოღებულნი მოერეკებოდნე გალავნისაკენ ახალ-ახალ ჯარს. ყოვლად-რჩეული მხედრობა ეკვეთა ახლა ერემიას ჯარს. სეჩის რაზმებს შემდეგ მოდიოდნენ საშინელი პერეიასლაველები ლობოდას უფროსობით, იმათ მოსდევდა ვორონჩენკო და მოჰყავდა ჩერკასის რაზმი, მერე მოდიოდა კულაკი ნარვოისა, ნეჩაი ბრაცლავისა, სტიოპკა უმანელი, მაროზოვეცკი კორსუნელი, მოდიოდნენ კალნიცკის მხედარნიცა და ძლიერნი რაზმი თეთრ-ეკკლესიელთა, რიცხვით თხუთმეტი ათასი კაცი, რომლის გარშემოც მაშხალები და სანათები იყო ანთებული, მოდიოდა, როგორც ცეცხლ-შერქვეველი ქაჯი და თვისი ფართე გულ-მკერდით წინ უდგა ცხელ ტყვიის სეტყვას; მოდიოდა ლომის პირი-სახითა, არწივის თვალებითა, ამ აღრეულობაში, ამ ბოლსა და კვამლში, ამ ჩეხა-ჟლეტასა და ვაივაგლახ შორის ყოველისფერის მხედველი, ყოველისფრის ხელ-მძღვანელი.

მათ შემდეგ მოდიოდნენ განადირ-კაცებული დონელი ყაზახები; მერე ჩერკასელები თავიანთის ხანჯლებითა; იქვე ტულაი-ბეის მოჰყავდა რჩეულნი მხედარნი ნოღაელთა, ხოლო სულაბაზის—აკკერმანელი თათრები, კურდლუკს—შაველა აშტარხნელნი, შეიარაღებულნი უზარმაზარის მშვილდ-ისრებითა; ისეთის შეჯგუფვითა და შედეგებით მოდიოდნენ, რომ ცხელი სუნთქვა უკან მომავალთა ზურგსა სწვავდა წინ მომავალთა.

ვინ იცის, რამდენი კაცი მოიკლა და გაიჟლიტა, ვიდრე ამ ჯარმა მიაღწია თხრილამდე, რომელიც ტყვეთა გვამებით იქმნა ამოვსებული! ვინ გვიამბობს ამას, ვინ გამოსთქვამს ამას და დაამღერებს ღექსად? გარნა მაინც მიაღწიეს თხრილს, გადაეიდნენ კედლებისაკენ და ჰლამოდნენ ზედ აფოფხებას. კაცს

ეგონებოდა, რომ ეს ღამე მეორედ მოსელის ღამეაო. ზარბაზნები ველარ ჰხოცავდა ახლო მოსულებს და გადულებელ წვიმასავით აფრქვევდა ცეცხლს მოშორებით მომავალ ჯარებს. ყუმბარანი კამარასა ჰკრავდნენ ცაში ცეცხლის რკალივით, მიჰფრინავდნენ ჯოჯოხეთის რუხრუხითა და იმათის წყალობით ღამე დღეს ემზგავსებოდა. ნემეცებისა და პოლონელების ქვეითი ჯარები თავადის დრაგუნებთან ერდად შეტბორებულები ცეცხლსა და ტყვიას აწვიმებდნენ მტრის თავზედა.

ყაზახთა პირველ წყებას უკან დაწევა უნდოდა, მაგრამ ზურგის ჯარმა არ მისცა ამის ნება. ველარ ახერხებდნენ ისინი უკან დაწევას და იქვე იჟლიტებოდნენ. ზედ-ამოსულთ ფეხები სისხლის მორევში ეფლობოდათ. თხრილის ბექობი მოილიპა, ჩამოიფხვრა, მაგრამ ყაზახნი მაინც ცდილობდნენ აფოფხებას, სცვიოდნენ ძირს და კვალად მიფოფხავდნენ, კვამლში გახვეულნი, თოფის წამლისაგან გახუხულნი, განგმირულნი, დაჩეხილნი, თავ-მოწონებულნი თავიანთის წყლულებითა და სიკვდილით. ალაგ-ალაგ საქმე ხმალ-ხანჯალსა და შუბზედ მიდგა. ზოგნი იქვე ერთს ალაგას გაშეშებულიყვნენ გააფთრებულის სახითა, კბილებ-დაღრეჭილები, სისხლ-შესერილის სახითა.... ცოცხალნი იბრძოდნენ მოკლულთა და მომაკვდავთა ალბორგებულ ზვინზედ შემდგარნი. ბრძანება-განკარგულებისა აღარავის აღარა ესმოდა-რა; იდგა მხოლოდ ერთი საერთი ყვირილი და ღრიანცელი და ყურთა-სმენა აღარ იყო; ამის გამო აღარა ისმოდა-რა აღარც თოფის-სროლისა, აღარც დაჭრილთა ხრიალისა და კვნესა-გმინვისა, აღარც ყუმბარათა შიშინისა.

და აი ასეთმა დევ-გმირულმა უწყალო ბრძოლამ გასტანა რამდენიმე საათსა. ერთის თხრილის მაგიერ მეორეც აღიმართა და აბრკოლებდა ზედმოსულთა.

სეჩის ჯარი თითქმით სულ გასწყდა. პერეიასლავის რაზმი ძირს მოიფინა თხრილს ახლოსა; კარილისა, ბრაცლავისა და უმანის ჯარი ძალიან შეთხელდა, გარნა ყაზახნი წინ მოიწევდნენ, რადგან საშველი აღარ მისცა ზურგთ-უკან მყოფმა გეტმანის გვარდიამ, რუმელიის ოსმალთა ჯარმა და ურუმბეის

თათართა რაზმმა. მაინც და მაინცა, იერიშით ზედმოსეულთა შორის არევ-დარევა ატყდა, მაშინ როდესაც პოლონელთა ქვეითს ჯარსა, ნემცებსა და დრაგუნებს აქამდე ოდნავაც არ დაეწიათ უკანა. გაფითრებულნი სისხლით-მოთხვრილნი, ბრძოლის ჟინით შეპყრობილნი და დამთვრალნი მიიწევდნენ მტრის პირის-პირ შესახვედრად ისე, როგორც გახელებულნი მგლები მიიწევენ ცხვრის ფარეხისაკენ. სწორედ ამ დროს ხელ-მეორედ ეკვეთა ხმელნიცკი მტერს იმ ჯარით, რაც გადარჩა ამ საშინელს ბრძოლას და აგრედვე სულ დასვენებულ, ჯერ ხელგამოუღებელ თეთრ-ეკკლესიელებითა, თათრებითა, ოსმალოებითა და ჩერკასელებითა.

ზარბაზნები გაჩუმდნენ, ყუმბარანი აღარ ანათებდნენ სიბნელეს, მხოლოდ ხმალ-ხანჯალი და შუბი-ღა მუშაობდა მთლად კედლებ გარეშემო. ბოლოს თოფის სროლაც შესწყდა. სიბნელემ მოიცვა მებრძოლნი.

ვერავის თვალი ვერა ჰხედავდა, რა ამბავი იყო იქ, მხოლოდ რაღაცა მიმოიძვროდა სიბნელეში ისე, როგორც უზარმაზარი სხეული ურჩხულისა სულთ-ბრძოლის კვანჯა-გრეხაში. ყვირილსა და ღრიანცელშიაც ვერას გაარჩევდა კაცი და ვერ იტყოდა, რა ხმა ისმოდა იმ ვაი-ვაგლახში — ხმა გამარჯვებისა თუ განწირულებისა. ხან და ხან ეს ყვირილი და ღრიანცელიც მიწყდებოდა ხოლმე და მაშინ ისმოდა მხოლოდ რაღაც მდევური კვნესა, ისმოდა ყოველგანა და ყოველ მხრიდან, დედა-მიწიდანაცა და ზეცადანაც, ჰაერშიაცა და უფრო კიდევ მაღლაცა, თითქო სულნიც კი კვნესით მიჰფრინავენ ამ ბრძოლის ველიდანაო.

მაგრამ ასეთი ამბავი მცირე ხანს გასტანდა ხოლმე: შემდეგ ყიჟინი და ღრიანცელი უფრო მეტის ძლიერებით ატყდებოდა ხოლმე, ყიჟინი უფრო მეტად ყელ-ამოხლანძულთა, უფრო მეტად არა-ადამიანური.

უცებ გაისმა თოფის სროლა. მახნიცკი მოდიოდა თავის დანარჩენის ქვეითის ჯარით დაღლილ ჯარების მისაშველებ-

ლად. იმიერ-ჭორომელთა ბოლო წყებათა შორის საყვირთა დაჰკრეს ხმა უკან დაწევისა.

შესდგა ბრძოლა, ყაზახთა რაზმნი მოჰშორდნენ თხრილებსა და გალავნის კედლებს და შესდგნენ თავიანთ საკუთარ ჯარის-კაცთა გვამებით მოსაფრებულნი; მაგრამ აღარ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ხმელნიცკი წამოხტა და კვლავ გაუძღვა ყაზახებს იერიშის მისატანად.

ხოლო ამ დროს თხრილებზედ გამოჩნდა ცხენით თვით თავადი ერემია. მისი ცნობა ადვილი იყო დროშასა და საგეტმანო თუღზედა, რომელიც ფრიალებდა მის გარშემო, ხოლო მის წინაშე ეპირათ რამდენიმე მაშხალა და მათის სისხლისფერის სინათლით ჰფანტავდნენ გარემო წყვდიადს. რამდენჯერმე ესროლეს თავადს ზარბაზანი, მაგრამ გამოუცდელი თოფჩები შორს ისროდნენ ზარბაზნის ტყვიას, ხოლო თავადი იდგა გულ-დამშვიდებული და გასცქეროდა შავის ღრუბლების მოახლოვებას.

ყაზახთ ნაბიჯს უკლეს, თითქო გაბოცებულნი არიან ამ სანახაობითაო.

— ერიომა! ერიომა!—ჩურჩულით გაისმა რაზმ-რაზმად დაწყობილს ჯარში.

თხრილზედ მდგომი, მაშხალების სისხლის-ფერ სინათლით გარემოცული თავადი რაღაც ზღაპრულ დევ-გმირად ეჩვენებოდათ. მოღალულ-მოქანცული ტანი ნება-უნებურად აეჯინჭრათ, ხელი თითქო თაეისით პირ-ჯვრის გამოსახვას ლამობდა ხოლო ის კვლავ იდგა ერთსა და იმავე ადგილას.

აგერ შეიქნა ოქროს კვერთხი, საშინელმა გუნდმა ყუმბარებისამ შიშინი დაიწყო ცაში და ჩაჰქანდა ზედ-მოსულთარაზპ, მში; ჯარი მტრისა შეიკუმშა და დაიხლაკნა, თითქო სასიკვდილოდ დაკოდილი გველიაო; ხმა შეკრთომისა და თავ-ზარდაცემისა განისმა ერთის კიდიდან მეორემდე.

— აბა, ვირბინოთ, ვირბინოთ!—დაიძახეს ყაზახთა პოლკოვნიკებმა

შავ-ბნელი ტალღა აზღვავებით მიაწყდა თხრილებს, საცა თავს დაიფარავდა ზარბაზნის ყუმბარათაგან, მაგრამ ჯერ ნახევარი გზა არ გაევლოთ, რომ თავადი მიბრუნდა დასავლეთისაკენ და კვლავ შეიქნია ოქროს კვერთხი.

კვერთხის შემოქნევაზედ იმ ადგილიდან, საცა ტბა იყო, გამოჩნდა ცხენოსანთა ჯარი და ერთის თვალის დახამხამებაზედ მოეფინა თხრილის ნაპირებს; არამც თუ მარტო ხმელნიცკი, არამედ სულ უკანასკნელი ყაზახიც კი მიჰხვდა მაშინვე, რომ თავადს დიდი იმედი აქვს თავის თავისა ალბად, როცა ასე გაბედვით მოგვისია მთელი თვისი ცხენოსანი ჯარი გვერდის მხრიეაო.

ყაზახთა შორის დაჰკრეს საყვირი ნიშნად უკან დაწევისა. „ცხენოსნებისაკენ პირიო! ცხენოსნებისაკენ პირიო!“—გაისმა შეშფოთებული ხმა ყაზახთა სარდლებისა. ამავე დროს ხმელნიცკი ცდილობდა შეეცვალა შუბლი თვისის ჯარისა და ცხენოსანთა ჯარით დაეცვა თავისიანები ცხენოსანთაგან. მაგრამ გვიან-ღა იყო. ვიდრე ის თავის ჯარის ხელ-ახლად დაწყობას მოასწრობდა, თავადის სადროშონი უკვე მოჰფრინდნენ, თითქოს ფრთები გამოსხმიათო, და თან დასცეს ყიჟინა: „დაჰკათ, გააპეთ!“ მათს დროშებს გაჰქონდა ფრიალი, იარაღი წკრიალებდა ჩახა-ჩუხისაგან. გუსარებმა მიჰმართეს შუბები კედელივით აყუდებულს მტერს და ისეთნაირად ეკვეთნენ, თითქო გრიგალიაო. ყოველივე, რაც კი გზაზედ დაჰხვდათ, დაემხო და დაითრგუნა მათ წინაშე. აღარავითარს ძალას, აღარავითარს განკარგულებას, აღარავითარს სარდალსა და სპასალარს აღარ შეეძლო გაემაგრებინა ქვეითი ჯარები, რომელთაც ასეთის ჭექა-ქუხილით დაესხნენ თავს გუსარნი პირველშივე. საშინელმა შიშის ზარმა აიტანა რჩეული საგეტმანო გვარდია. თეთრ-ეკკლესიილებმა გადაჰყარეს თოფები, ხმლები და შუბები, ცელები და კომბლები, თავს ხელებით იფარავდნენ და გარბოდნენ დამფრთხალნი ნადირთა მზგავსის ღრიალით თათართა რაზმებისაკენ, რომელნიც მათ უკან იდგნენ მოშორებით. ხოლო თათრებმა წვიმა-წყალივით დააყარეს ისრები, ლტოლვილთ მარც-

ხნივ შეუხვიეს და გარბოდნენ ბანაკის გასწვრივ, მაგრამ ამ დროს ციხე-კოშკებიდან დაახალეს თოფები ქვეითმა ჯარებმა, ხოლო ეურცელმა ასტეხა ქუხილი ზარბაზნებისა. გაქცეულთა გვამებით მოიფინა არე-მარე საომარის ადგილისა.

გარნა სწორედ ამ დროს ნადირ-ქმნილი ტულაი-ბეი, რომელსაც მხარს უჭერდა სუბალაზი და ურუმ-ფაშა, ეცა გამძვინვარებით თავადის გუსარებსა. იმის იმედი არა ჰქონდა, რომ ვძლევ ამათაო, მხოლოდ ის უნდოდა, რომ რამდენისამე წუთით შევაყენო ამათი ძლევა-მოსილება და მიეცე დრო სილისტრიელებსა და რუმელიის იანიჩართა დაეწყვნენ რაზმ-რაზმად და შეშინებულს თეთრ-ეკკლესიელებს—გონს მოვიდნენო. ტულაი-ბეი გადავარდა შენივთებულ ბრძოლაში და ისე იბრძოდა, როგორც უბრალო ჯარის-კაცი და არა როგორც სარდალი, იბრძოდა და ჰხოცავდა სხვებთან ერთად მტერს. ნოღაელების კაუჭა ხმლებს გაჰქონდა წკრიალი რაინდთა ჯავშნებზედ, ხოლო ყიჟინი მათი ისეთი იყო, რომ სხვა აღარაფრის ხმა აღარ ისმოდა. მაგრამ იმათაც დიდ ხანს ვერ შესძლეს. რკინა-ჯაჭვში ჩამსხდარმა მხედრებმა ისეთის საშინელის ღონით შეუტიეს, რომ მალე შედრკა მათი რაზმი და დაიწია უკან იანიჩარებისაკენ, თუმცა დიდის გამძვინვარებით კი იბრძოდნენ, ისე რომ გუსართა წინსვლა შეაყენეს კიდეც. ტულაი-ბეი ყველგან ჩნდებოდა საოცარის სისწრაფით, ხოლო ნოღაელნი ისე მისდევდნენ თავიანთ სარდალს უკან, როგორც მგლის ლეკვნი მისდევენ ძუმგელს.

გაისმა ძახილი „ალლაჰ!“ და ეს იმისი ნიშანი იყო, რომ იანიჩარები უკვე მოსულიყვნენ ბრძოლის ველზედა. ამ დროს დაესხა თავს განადირ-კაცებელს ტულაი-ბეის სქშეტუსკი და დაჰკრა მახვილი შიგ შუბლში. ხოლო ალბად რაინდი ჯერ კიდევ სრულს თავის ჯან-ღონეზედ ვერ მოსულიყო მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ან იქნება დამასკის მუზარადმა შეასუსტა ძალა ნაკრავის მახვილისა,—მახვილი ასხლტა მუზარადზედ, დაეცა პტყლად და შუაზედ გადაიჩეხა. თუმცა ეს ასე მოჰხდა, მაინც ტღუაი-ბეის თვალთ დაუბნელდა, შეირყა უნაგირზედ

და ცხენიდან გადმოვარდნილი ნოღაელებმა დაიჭირეს ხელი-თა. აბჯარის კაცებმა გაიტაცეს თავიანთი სარდალი და ისეთის სისწრაფით დაიწიეს უკან, თითქო ღრუბელს შეუტია ქარმა და გადაისროლა ცის კიდისაკენაო. ახლა თავადის ცხენოსანი ჯა-რი იდგა პირის-პირ იანიჩარებისა და გაოსმალებულ სერბიე-ლებისა, რომელნიც იანიჩარებთან ერთად ძლიერ ოთხკუთხე-დად იყვნენ შეკრულნი და ნელ-ნელა იწევდნენ უკან თავიანთ ბანაკისაკენ, მტრისკენ პირი მიქცეულნი და შეიარაღებულნი თოფებით, შუბებითა და თავ-კომბალებითა

იმათ აღსაგველად მიჰქროდნენ ქარისა და ქარაშოტივით ჯავშანოსანი დრაგუნთა სადროშონი, ხოლო წინ მიჰქუხდა, მი-გრიალებდა გუსართა სადროშო სქშეტუსკისა. თვით სქშეტუს-კი პირველ წყებაში იყო და თავ-დავიწყებული მიაჭენებდა ცხენს; ბის გვერდით მიჰფრინავდა თვისის ინფლანდურის მერანით პან ლონგინუსი და ხელში ეჭირა თავისი საშინელი ზერვიკაპტური.

ოთხ-კუთხედის ერთის კიდიდან მეორემდე გაიელვა ცე-ცხლის ზოლმა, ტყვიამ ზუზუნი დაიწყო მხედართა ყურთანა, იქ გაისმა ხმა გმინვისა, იქ ცხენი გაერთხა მიწაზედ, ზოლი მხედართა იკაკვება რკალივით, მაგრამ ისინი მაინც წინ მიის-წრაფიან. აგერ უკვე ახლოს არიან, აგერ იანიჩართ ყურამდე მიაღწია დაღლილ ცხენების მძიმე ფშვინვამ... ოთხ-კუთხედი უფრო მჭიდროდ შეიკრა და დააყარა მტერს ისარი წვიმა-წყა-ლივით. რამდენი ისარიც იქმნება გამოსროლილი იმ ოთხ-კუ-თხედიდან, იმდენს მსხვერპლს წარიტაცებს სიკვდილი რაინდთა შორის!

ამ დროს რომელიღაც დევ-გმირი გუსარი ეცა ოთხ-კუ-თხედის კედელს... ერთს წუთსა სჩანს, როგორ პრიალებს ჰა-ერში ნალები ისეთისაევ მდევის ცხენის მაღლა აწვდილ ტო-ტებისა, მერე რაინდი და ცხენი შეცვინდნენ შიგ შუა გულს და დაიწყო გარშემო სვრემა და ჩეხა-ჟლეტა.

როგორც არწიეი, დაეცემა რა თეთრის გედების გუნდს და შეჰკუმშავს და შეაქუჩებს შეშინებულ ფრინველთ ერთად, რომ უფრო ადვილად დაჰხლიჩოს და დაჰფრიწოს თავისის

კლანჭებითა და ნისკარტით თავისი მსხვერპლნი, ისე პან ლონგინუს პოდბიპენტა, გაჩნდა მტრის შუაგულ და დაუწყო სრვა თვისის ზერვიკაპტურითა. და ვერას დროს გრიგალი ვერ იზამს იმდენს ნავნევს ხშირად აყრილს ნოარჩს წვრიმალა ტყეში, რამდენიც პან ლონგინუსმა მოახდინა იანიჩართა შორის. საშინელება რამ იყო; მისი ახოვანება და ზავთი არა-კაცურის სიდიდისა იყო, ცხენი რაღაც გველ-ვეშაპად გადიქცა და ცეცხლს აფრქვევდა ნესტოებიდან, ხოლო ზერვიკაპტური თითქო სამ ხმლად გადაქცეულიყო რაინდის ხელში. კიზლირ-ბაკი, ზორბა აღა, ეცა რაინდს, მაგრამ შუაზედ იქმნა გაჩეხილი და გადმოვარდა ცხენიდან. ამაოდ ცდილობენ თათართა ბუმბერაზნი გზა გადაუღობონ პან ლონგინუსსა! მდევი რაინდი ჰქელავს გარშემო ყოველსავე, შეიჭრება იქ, საცა უფრო ხშირად არიან შეგროვებულნი მტრის რაზმნი, იქნევს უზარმაზარს ხმალს და წვება ძირს ხალხი, თითქო მცელავმა ცელი მოიქნია და ყანა წააწვინაო, ისმის მხოლოდ კვნესა, ზრიალი ხმლის ცემისა და საშინელი ფრუტუნი ჯოჯოხეთის ცხენისა.

ამ დროს ჯაჭვ-ჯავშნებში ჩამჯდარი მხედრობა ცხენოსანთა, სქშეტუსკის მეთაურობით, ეცა ოთხ-კუთხედის კარს, რომელიც გაარღვია ლიტველმა რაინდმა; ოთხ-კუთხედის კედლებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს, თითქო სახლი ინგრევა და გაირღვა მისი კედელნიო და სიმრავლე იანიჩართა ივლტოდა აქეთ-იქით, სქშეტუსკის ცხენოსანთაგან სასტიკად ოტებული.

მოვიდა დრო, როცა ნოღაელები, როგორც მშიერი მგლები, კვლავ უნდა შესულიყვნენ ომში, ხოლო მეორეს მხრით, ხმელნიცკი, რომელსაც შეეგროვებინა თეთრ-ეკკლესიელთა დანარჩენი ჯარი, ისწრაფოდა იანიჩართა საშველად, მაგრამ ახლა ყოველივე ერთმანეთში აირ-დაირია. ყაზახნი, თათარნი, იანიჩარნი ივლტოდნენ საშინელის უწესოებითა თავიანთ ბანაკისაკენ და ისე იყვნენ შიშითა და ძრწოლით თავ-ზარ-დაცემულნი, რომ აღარავითარს წინაალმდეგობას აღარ უწევდნენ მდევარსა. ცხენოსანთა მდევარი მაინც არ ეხსნებოდა და გამწარებული მისდევდა უკან. ვინც გადარჩა წელან ცოცხალი ომში,

ახლა ველარ ასცდა სიკვდილს. მდევარი წინ მოექცა პირველად ლტოლვილთაც კი. მხედართა მაჯა დნებოდა ხმლის ქნევითა და მტრის ხოცვითა. თათრებმა გადაჰყარეს თოფ-იარაღი, დროშები, ქუდები და ასე გასინჯეთ, რაც მძიმე ტანისამოსი ეცვათ, იმასაც კი იხდიდნენ და ისროდნენ შორს. იანიჩართა თეთრი დოლბანდები, თითქო თოვლის ნაფერთალიაო, ისე მოეფინა ველ-მინდორსა. მთლად მილიცია ხმელნიცკისა, ქვეითი, ცხენოსანი ჯარი, თოფჩები, მაშველნი რაზმნი თათართა და ოსმალთა აირია ერთმანერთში დომხალივით და აღარ ახსოვდა, სად იყო, აღარა ჰგრძნობდა არასა, ისე იყო დაბრმავებული და ატანილი შიშითა და ძრწოლვითა. გუსართა რაზმმა სძლია მტრის ქვეითს ჯარს და თათრებსა და მით შეასრულა თავისი მოვალეობა, ეხლა დრაგუნები და სუბუქი ცხენოსანთა ჯარი ეჯიბრებოდა ერთმანერთს. კუშელი და ვოლოდიევსკი სასწაულთ-ჰმოქმედობდნენ მამაცობითა და ვაჟკაცობითა. სისხლი მორევივით დადგა მინდვრად და ცხენები შიგ სტოპავდნენ.

ლტოლვილთ თავისუფლად ამოისუნთქეს მხოლოდ თავიანთს ბანაკში, როცა საყვირთა ხმამ უკან მიუწოდა თავადის ცხენოსანთა ჯარს.

რაინდნი მოდიოდნენ უკან მხიარულის ყიჟინით, სიმღერის თქმითა; თან გზა-გზა სთვლიდნენ მტრის დახოცილთა გვამებსა. გარნა ვის შეეძლო ერთის თვალის მოვლებით გაერკვია, რაოდენ დიდი იყო დაძლევა მტრისა, ვის შეეძლო აღერიცხნა დახოცილთა რაოდენობა, როდესაც თვით თხრილებს ახლოს გვამების ხორა იდგა კაცის სიმაღლეზედა? ჯარის კაცთ კინაღამ სული უგუბდებოდათ, ისეთი სუნი მოდიოდა საომარ ველიდან. მათ ბედზე ტბიდან დაუბერა ძლიერმა ქარმა და გაასუფთავა ჰაერი.

ასე გათავდა პირველი შეხვედრა საშინელი „ერიომასი“ და ხმელნიცკისა.

ხოლო იერიში ჯერ კიდევ გათავებული არ იყო. იმ დროს, როცა ვისნევეცკი იგერებდა მტერს მარჯვენა მხარეზედ, მარცხნივ ბურლაიმ კინაღამ თხრილები არ აიღო. ბურ-

ლაი გაუძღვა წინ იმიერ-დნეპრის მხრის მხედართა, ჩუმად შემოაურა ქალაქსა და ციხე-კოშკსა, მოვიდა აღმოსავლეთის ტბამდე და შეუტია ფირლეის. უნგართა ქვეითმა ჯარმა ვერ შეუძლო ამ შეტაკებას (ტბასთან თხრილების ამოღება ჯერ გათავებული არ იყო) და მედროშე ბაირაღტარმა პირველმა დაიწია უკან, ხოლო მას მიჰყვა მთლად ჯარიცა. ბურლაი შეჭრა შიგ შუა გულს და იმიერ-დნეპრელებმა მოარიალეს იქაურობა ნიალვარივით. ყიჟინი ძლევა-მოსილებისა ბანაკის მეორე კიდემდე მივიდა. ყაზახებმა დაუწყეს დევნა ლტოლვილ უნგართა, სძლიეს ცხენოსანთა მცირე რაზმს და უკვე მიუახლოვდნენ ბელზსკის კაშტელიანის ჯარს, როცა პან ფშიემსკი ნემენცთა რამდენისამე როტით გაეშურა მის საშველად. წაავლო ხელი დროშას და ეცა მტერს: ნემენცები შეებნენ ყაზახებს. გაცხარდა საშინელი ხელ-ჩართული ომი, რომელშიაც მძვინვარება და დიდი უმრავლესობა ბურლაის ჯარისა შეეჯიბრა ოც და ათის წლის ლომთა გულადობასა. ამაოდ გადავარდებოდა ხოლმე ბურლაი შიგ შეჯგუფებულს მტრის გუნდში, თითქო დაჭრილი გარეული ღორიაო. ვერც სიკვდილის მოურიდებლობამა და ძულებამ ყაზახთა მხრით, ვერც მათმა შეუმდრკალობამ ვერ შეარყიეს ნემენცები, რომელთაც ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი თხრილებს იქით გადაჰყარეს. პან ფშიემსკიმ, სულ სისხლით შესვრილმა, პირველად აღმართა თვისი დროშა ჯერ ისევ სავსებით ამოუღებელს თხრილებზედ.

ბურლაი განწირულებაში ჩავარდა ახლა. იძულებული იყო იმავე გზით დაეწია უკან, რა გზითაც მოვიდა აქ, ხოლო ერემიას, რაკი თავისი გაიტანა მარჯვენა მხარეზე, ადვილად შეეძლო გზა გადაეღობნა მისთვის.

მართალია, ბურლაის მოეშველა მროზოვეცკი კორსოუნელის ცხენოსანის ყაზახებითა, მაგრამ ამავე დროს გამოჩნდნენ გუსარნი პან კონიეპოლსკისა და სქშეტუსკი, რომელიც უკან დაბრუნებულ[illegible] რაკი იანიჩარები გადაერეკა თავიანთ ბანაკისაკენ.

ერთის შეტევით სძლიეს იმათ ბურლაის და ახლა კი დაიწყო საშინელი სრვა და ჩეხა-ჟლეტა. ყაზახებს გზა შეკრული ჰქონდათ თავიანთ ბანაკისაკენ, დარჩენოდათ მხოლოდ ერთი გზა—გზა სიკვდლისა. და აი ზოგნი არ ითხოვდნენ შეწყალებას, შეგროვილიყვნენ ჯგუფ-ჯგუფად და განწირულებით იბრძოდნენ, ხოლო ზოგნი ამაოდ იწვდიდნენ ხელს გუსარების მიმართ და სთხოვდნენ შეწყალებასა.

მოჰფრინდა მათ საშველად სუბალაზი, რომელმაც იმ დღეს დიდი გმირობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, მაგრამ ქებულმა მარკოზ სომესკიმ, კრასნოსტაველმა მოურავ-ერისთავმა შეუტია და ისე გააშეშა ერთს ალაგას, როგორც ლომმა კამეჩი. ბურლაიმ დაინახა, რომ შველის იმედი არსაიდან არ არისო, მაგრამ მოხუცი პოლკოვნიკი თავის სახელს უფრო აფასებდა, ვიდრე სიცოცხლეს და ამიტომ ხსნას არ ეძებდა. სხვები კი იმალებოდნენ სიბნელეში, ძვრებოდნენ ხვრელებსა და მღვიმეებში, ცხენების მუცლებს ეფარებოდნენ ქვეშ, ბურლაი კი თვით ეძებდა მტერს. მან დასჩეხა პან დომბკი, თავი გაუხეთქა პან რუსეცკის, მოჰკლა პატარა ლომი აქსაკი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა კონსტანტინოვის ომში, და პან სავიცკი, შემდეგ კინალამ ერთის დაკვრით დასცა ძირს ორი გუსარი, ბოლოს თვალი მოჰკრა ერთს ზორბა შლიახტიჩს, რომელიც საშინელის გრგვინვითა და ჭექა-ქუხილით მოაჭენებდა ცხენს საომარ ველზედა და ეცა იმას.

პან ზაგლობამ,—ეს შლიახტიჩი ზაგლობა იყო—უარესად დაიჭექა შიშითა და უკან გააბრუნა ცხენი. ორიოდე ბუწი თმისა, რომელიც შერჩენოდა ზაგლობას თავზედ, ყალხს დაუდგა, მაგრამ მაინც გული გაიმაგრა და გონება არ დაჰკარგა. პირიქით, სხვა-და-სხვა ფიქრმა და აზრმა ელვასავით სწრაფად გაურბინა თავში; რაც შეეძლო ღრიალებდა: „ყმაწვილებო, თუ ღმერთი გწამთ!..“ და თავგადაგლეჯილი მიჰქროლავდა იქითკენ, საითაც უფრო დიდი ჯგუფი დაინახა გუსართა. ბურლაი, თავისის მხრით მიაქროლებდა ცხენს და ცდილობდა მის დაწევასა. პან ზაგლობამ დაჰხუჭა თვალები და ღმერთს ავედრებდა

თვის სულსა. ზაგლობას ესმოდა უკვე ფრუტუნი და სუნთქვა მტრის ცხენისა, ჰხედავდა, რომ არავინ არ მოდის მის საშველად და რომ ვერავის მარჯვენა, ჩემის საკუთარის გარდა, ვერ დამიხსნის ბურლაის პრეკალებისაგანაო.

გარნა სულ უკანასკნელს წუთს შიში მისი შესცვალა გაოფებამ; ზაგლობამ ისე საშინლად დაიღრიალა, რომ არც ერთს ჯიხვს არ დაუღრიალნია ჯერ ისე და, მოაბრუნა რამაშინვე ცხენი, შეუტია თავის მოწინააღმდეგეს.

— ზაგლობასთანა გაქვს საქმე!—შესძახა მან და ეცა ხმალამოღებული.

ბურლაიმ შეჰხედა და გაოცდა.

მისმა სახელის გაგონებამ კი არ გააოცა ასე ბურლაი,—თავის სიცოცხლეშიაც არ გაეგონა იმას ეს სახელი,—მან იცნო ეს კაცი, რომელსაც ისეთის ამბით გაუმასპინძლდა ამას წინად იამპოლში, როგორც ბოგუნის მეგობარს.

ამ გაოცების უბედურმა წუთმა კი დაჭლუპა მამაცი წინამძღვარი იმიერ-ჭორომელთა; როგორც კი გონს მოვიდა ბურლაი, ზაგლობამ შემოუქნია ხმალი და ერთის დარტყმით გადმოაგდო ცხენიდან.

ეს ამბავი მოჰხდა მთელის მხედრობის თვალ-წინა. გუსართა სიხარულის ყიჟინას ბანი მისცა იმიერ-ჭორომელთა ძრწოლის ხმამა. საწყლებმა, რაკი დაინახეს, რომ მოკლულ იქმნა მოხუცი შავის-ზღვის პირის ლომი, სულ დაჰკარგეს მხნეობა და ისე იხოცებოდნენ, ისე, რომ ხელს აღარ იქნეედნენ საწინააღმდეგოდ. ვინც ვერ გადაარჩინა სიკვდილს სუბალაზიმ, ისინი სულ ერთიანად გაწყდნენ, იმიტომ რომ იმ სვე-უბედურს ღამეს ტყეედ სულ არავინ არ მიჰყვანდათ.

სუბალაზიმ ბანაკისაკენ დაიწია, მაგრამ კრასნოსტაველი მოურავ-ერისთავი მაინც არ ეხსნებოდა და მისდეედა უკან სუბუქის ცხენოსანთა ჯარითა. იერიშით მომსვლელნი ყველგან უკუ-ქცეულ იქმნენ, ხოლო თვით ყაზახთა ბანაკს ახლოს მძვინვარებდა მდევრად გაგზავნილი ცხენოსანთა რაზმი.

მთლად პოლონელთა ბანაკში სიხარულისა და ძლევა-მოსილების ჟრიამული იდგა. ჯარის-კაცნი, სისხლით დათხვრილნი, გამტვერიანებულნი, გაშავებულნი და გარუჯულნი თოფის წამლითა ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყვნენ, პირი-სახე ალეწილი ჰქონდათ, თვალები ანთებული და ისე იდგნენ თოფებზედ დაყუდებულნი, მზად-მყოფნი კვლავ შესულიყვნენ ომში, თუ კი საჭიროება იქმნებოდა. მაგრამ ცხენოსანი ჯარი უკვე მოდიოდა, უკან დაბრუნებული სისხლის-ღვრის სამკლიდანა; საომარ მინდორზე გავიდა თვით თავადი, ხოლო მასთან ერთად გავიდნენ სარდალნიცა: პან მარკოზ სობესკი, პან ფშიემსკი და სხვ. ერემიამ გულ-დადინჯებით ჩაუარა თხრილებს.

— გაუმარჯოს ერემიას!—ისმოდა ქახილი ჯარისა,—გაუმარჯოს ჩვენს ბატონსა და მამას!

— გმადლობთ! გმადლობთ!—იმეორებდა თავადი რიხიანის, ომახიანის ხმით.

ხოლო თავადის ამალას უკან შეიარაღებულ ჯარის-კაცებს მოჰყავდათ ბანაკში დიდის სიხარულითა და ჟრიამულით ხელში აყვანილი პან ზაგლობა, როგორც დღევანდელის დღის უდიდებულესი ღვაწლ-შემოსილი გმირი. ათს ხელ-ღონიერს კაცს მაგრად ეჭირათ ზორბა გმირი ხელში, ხოლო თვით გმირი გაჭარხლებული, გულ-აჩუყებული და გულ-მოლბობილი, იქნეედა ხელებს, რომ ძირს არ გადავარდეო და ჰყვიროდა, რაც შეეძლო.

— ჰე! ვაჩვენე სეირი!.. ისე ვუჩვენე თავი განგებ, ვითომ მინდა გაგექცე-მეთქი და ახლოს კი მოვიტყუილე. ყმაწვილებო, რას იზამ, მაშ მაგალითი არ უნდა უჩვენო უნცროსებსა და გამოუცდელებსა თუ?!. ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავით, თორემ ბრეგას მომადენთ დედა-მიწაზედ და დამამტვრევთ ამ სისქე კაცსა. მაგრა დამიჭირეთ. ღვთის წყალობა გაქვთ, სიმძიმე კი საკმაო მაქვს! ჰმ, იცოცხლეთ, კაი მძიმე საქმე კი დამატყდა თავს! ჰაი ის წყეულ-შეჩვენებულები! ვინც არა მგონია, ბატონო, სულ უკანასკნელი ტეტიაც კი იმასა ჰფიქრობს, რომ შლიახტიჩს გაუთანაბრდეს! ჰო-და, ვერ მოჰხვდათ! ფრთხი-

ლად იყავით! გამიშვით, ერთი მამა გიცხონდებათ, კისერი არ მომატეხინოთ აქა!

ამავე დროს გეტმანი იმიერ-ჭორომეთისა, უკვე თავის ბანაკში დაბრუნებული, ჰგრგვინავდა და ჰბღუოდა დაჭრილის ნადირივითა, იგლეჯდა ტანისამოსს, იხოკდა და იკაწრავდა პირი-სახეს. გეტმანები და პოლკოვნიკები ვინც კი გადარჩენილიყვნენ ომსა და სვრემას, თავ-ჩაღუნულები შემოჰრტყმოდნენ გარშემო დუმილით და ხმა-კრინტი ვერ ამოეღოთ ნუკეშინისცემად. ხმელნიცკი გაშმაგებული იყო. პირიდან დორბლებსა ჰყრიდა, აბრაგუნებდა ფეხებს და იგლეჯდა თმასა.

— სად არის ჩემი ჯარი? სად არიან ყაზახნი?—იმეორებდა წამ-და-უწუმ ხმა-ჩახლეწილი.—რას იტყვის ყეენი, რას იტყვის ტულაი-ბეი! მიმეცით ერემიას; დეე, მარგილზედ ჩამოაცვას ჩემი თავი!

თავი კაცები მდუმარებდნენ.

— რად მიწინასწარმეტყველებდნენ მკითხავნი და კუდიანი დედა-კაცნი გამარჯვებას, რად?—ჰქუხდა კვლავ გეტმანი,—დასჭერით ყელები ჯადოქრებსა! რად მეუბნეოდნენ, რომ ერიომას ტყვედ შეიპყრობო?

ჩვეულებრივ, როდესაც ქუხილი ლომისა არყევდა ჰაერს, პოლოკოვნიკები სდუმდნენ, ხოლო ახლა ლომი დაძლეული იყო, გასრესილი, ბედს თითქო ემტყუნა მისთვის და დამარცხებას თითქო გული მიეცა თავის კაცებისათვის.

— ერემიას ვერას დააკლებ!—მტკიცედ წარმოსთქვა წარბშეკმუხვნილმა სტიოპკამ.

— შენს თავსაც დაჰღუპავ და ჩვენცა!—დასძინა მროზოვეცკიმ.

გეტმანი ვეფხვივით მიუხტა თავის პოლკოვნიკებს.

— მაშ ყვითელ წყლებთან ვინ იყო, კორსუნთან ვინ იბრძოდა, პილავცთან ვინ იყო?

— შენა!—სთქვა უკმეხად ვორონჩენკომ,—მაგრამ იქ ვისნეოეცკი არა ყოფილა.

ხმელნიცკიმ თმაში იტაცა ხელი.

— მე შევფიცე ყეენს, ამალამ ციხე-დარბაზში გაეათევთ-მეთქი ღამეს!—ჰგმინავდა გამწარებული ხმელნიცკი, მაგრამ კულაკმა სიტყვა გააწყვეტინა:

— რაც ყეენს შეჰფიცე, იმისი პასუხიც შენ გაეცი! შენი კისერი და იმისი ხმალი, მაგრამ გაფრთხილდი, რომ თავი არ მოგაგდებინოს!.. ე ჩვენ კი ჩამოგვეხსენ, იერიშით ნუ მიგ-ყევართ, ნუ გვასალმებ სიცოცხლეს ტყუილა-უბრალოდ! ლია-ხებს შემოარტყი გარს თხრილები, ზარბაზნებს სანგრები შე-მოავლე და ზედ დაამაგრე ისე, თორემ ეაგლახად არის შენი საქმე.

— თორემ ეაგლახად არის შენი საქმე!—გაიმეორა კიდევ რამდენმამე.

— ეაგლახად თქვენი საქმეა!—უპასუხა ხმელნიცკიმ.

ასე ესიტყვაპასუხებოდნენ ისინი ერთმანერთს. ბოლოს ხმელნიცკი შეტორტმანდა და დაეცა ცხენის ტყავების ხრო-ვაზედ, რომელსაც ხალიჩები ჰქონდა გადაფარებული კარავის ერთს კუთხეში. პოლკოვნიკები იდგნენ იმის ახლოს თავ-ჩა-ღუნულნი და დიდ ხანს გასტანა დუმილმა. ბოლოს გეტმანმა წამოიწია და ხრინწიანის ხმით დაიძახა:

— მოიტა არაყი!

— შენ არაყს ვერ დალევ!—შეუტია ვიხოვსკიმ.—საკაა ყეენის კაცი მოგივა.

ყეენი იჯდა თაეისთვის საომარ ველიდან ერთის აღაჯის მანძილზედ და არა იცოდა-რა, რა ამბავი იყო იქა. ის ღამე მშვიდობიანი და თბილი იყო. ყეენი ფარდულ ქვეშ ბრძანდე-ბოდა, მოლლებსა და აღებს შორის, ელოდა ომის ამბაეს და ამ მოლოდინში შესცქეროდა ვარსკელავებით მოჭახჭახე ცას.

უცებ ხვითქში გაცურებულის ცხენით მოიჭრა გულ-ამო-ვარდნილი სისხლით მოთხვრილი სუბალაზი; ჩამოხდა მაშინვე ცხენიდან, მიუახლოვდა ყეენს და დაუწყო მძიმედ დაკვრა თავისა; თან ელოდა, როდის მიბრძანებს, რომ ომის ამბავი მოვახსენოვო.

— მოგვიყე!—სთქვა ყეენმა.

სიტყვები ცეცხლივითა სწვავდა პირს სუბალაზს, მაგრამ მით ვერ ჰბედავდა, რომ არ მოჰყოლოდა ყეენის ღირსებახარისხის ჩამოკენჭვას.

— ყოვლად-ძლიერო ყეენო ყოველთა ურდოთა, ძის-ძევ მაჰმადისა, თვითმპყრობელო მეფეო, ხელმწიფეო ბრძენო, პატრონო ბედნიერო, მეუფეო ხისავ, რომელიც თავ-გადაკარავებულია მზის აღმოსავალით დასავლამდე...

ყეენმა ხელის გაქნევით შეაწყვეტინა ლაპარაკი. სუბალაზს სახეზე ჰხედავდა სისხლს, თვალებზედ ამჩნევდა განწირულებასა და გულის-ტკივილს და ჰბრძანა:

— საჩქაროდა სთქვი, სუბალაზი: აღებულია თუ არა ბანაკი ურწმუნოთა?

— ღმერთმან არ ინება.

— ლიახნი?

— გამარჯვებულნი ირიან.

— ხმელნიცკი?

— ძლეულია.

— ტუღაი-ბეი?

— დაჭრილია.

— ღმერთი ერთია!—ბრძანა ყეენმა.—რამდენი მორწმუნე წავიდა სამოთხეში?

სუბალაზიმ აღაპყრა თვალნი მაღლა და გასისხლიანებულის თვალით ანიშნა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზედა.

— რამდენიც აის მნათობია ალლაჰის ფერხთა ქვეშე,— ღაღადებითა სთქვა მან.

ახლა ყეენს სახე გაულურჯდა: რისხვამ შეიპყრო მისი გული.

— სად არის ის ქიფაკი,—იკითხა ყეენმა,—რომელმაც აღმითქვა იქ ციხე ქალაქში გავათენებთ ღამესაო? სად არის ის შხამიანი გველი, რომელსაც ღმერთი ჩემის ფეხით დასთრგუნაეს? დადგეს აქა და მომცეს ანგარიში თავის ტყუილ დაპირებისათვის.

რამდენიმე მირზა მაშინვე გაექანა ხმელნიცკის მოსაყვანად, ყეენი ცოტა-ცოტათი დამშვიდდა.

— სუბალაზი, შენ სახეზე სისხლი გაცხია!

— ეგ სისხლი ურწმუნოთა სისხლი გახლავს,—უპასუხა მეომარმა.

— სთქვი, როგორ დაიქცა ეგ სისხლი და დაატკბე ყურთა-სმენა ჩემი მორწმუნეთა მამაცობის ამბითა.

სუბალაზიმ დაწვრილებით უამბო ომის ამბავი და ქებით მოიხსენია ვაჟკაცობა ტულაი-ბეისა, გალგისა და ნურედდინისა; არ დაჰმალა მხნეობა ხმელნიცკისაცა და შეაქო ისიც პირველ ვაჟკაცების თანასწორად; ხოლო დამარცხების მიზეზი კი ღვთის ნება იყო და მძვინვარება ურწმუნოთაო.

ერთმა გარემოებამ გააკვირვა ყეენი: იმ გარემოებამ, რომ ომის დაწყებისას თათრებს არ გვესროდნენ თოფსაო და თავადის ცხენოსანმა ჯარმა მხოლოდ მაშინ შემოგვიტია, როცა გზა გადვუღობეთ მტერსაო.

— ალლაჰ! იმათ ჩემთან შებმა არა სდომებიათ,—სთქვა ყეენმა,—მაგრამ ახლა გვიან-ღაა.

ყეენი მართალი იყო. თავადმა ერემიამ ომის დაწყების დროს აღუკრძალა ჯარს, თათრებს თოფს ნუ ესვრითო. თავადს უნდოდა დაეჯერებინა თვისნი ჯარის-კაცნი, რომ მოლაპარაკება მაქვს ყეენთან და მისნი ურდონი მხოლოდ ჩვენდა შესაშინებლად უჭერენ მხარს ყაზახსაო. მერე კი ძალა უნებურად საჭირო შეიქნა თათრების წინააღმდეგაც გამოეღო პოლონელთა ჯარს ხელი.

ყეენი თავს იქნევდა და ვარაუდობდა, უკეთესი არ იქნება ვითომ, რომ იარაღი ჩემი ხმელნიცკის წიინააღმდეგ მივმართოვო. მაგრამ სწორედ ამ დროს თვით გეტმანი წასდგა მის წინაშე. ხმელნიცკი უკვე დამშვიდებული იყო და მოვიდა მასთან სილაღით საესე; თან გაბედვით თვალი თვალში გაუყარა ყეენსა.

— მობრძანდი აქა, მოღალატეე,—უბრძანა ყეენმა.

— გეახლებათ გეტმანი ყაზახთა და არა მოღალატე, არამედ ერთგული მოკავშირე, რომელსაც მაშინ კი არ აღუთქვი შემწეობა, როცა ბედი წყალობით მოექცევა,—უპასუხა ხმელნიცკიმ.

— წადი, ათიე ღამე ციხეში, წადი, წაავლე თმებში ხელი ლიახვებს და ისე გადმოათრიე თხრილებს აქეთ, როგორც აღმითქვი!

— დიდებულო ყეენო ყირიმის ურდოთა! — ძლიერის ხმით დაიწყო ხმელნიცკიმ, — შენა ხარ ყოვლად მძლავრი და ხონთქარის გარდა სხვა არაევინ არის შენზედ უმძლასრესი დედამიწის ზურგზედ; შენა ხარ ბრძენი და ძლიერი, მაგრამ შეგძლიან განა მიუწვდინო ისარი ვარსკვლავებს ან გაზომო სიღრმე ზღვისა?

ყეენმა გაკვირვებით შეჰხედა ხმელნიცკის.

— არ შეგიძლიან, — განაგრძო მან და თან-და-თან უფრო უმატა ხმას. — აგრედვე მეც არ შემიძლიან გავზომო ძალა ერიომას ქედ-მაღლობისა და მედიდურობისა! შემეძლო განა მეფიქრნა, რომ იმას არ შეეშინდებოდა შენი, ყეენო, რომ არ დაგმორჩილდებოდა, არ დაგიკრავდა თავს, გაჰბედავდა და ღვთისმგმობელსა ხელსა თვისსა აღიმაღლებდა თვით შენდა სააწინააღმდეგოდ, დააქცევდა სისხლსა შენთა მხედართა და ისე დაიწყებდა შენს მასხარად აგდებას, ძლიერო მბრძანებელო, თითქო ერთი უკანასკნელი მირზა ყოფილიყო? მე რომ გამებედნა და ეგ მეფიქრა, შეურაცხყოფას მოგაყენებდი ხომ მაგითი შენ, ესე იგი იმას, ვინც ესოდენ მიყვარს და ვისაც ასე დიდად პატივსა-ვსცემ.

— ალლაჰ! — ბრძანა ყეენმა და უფრო-და-უფრო გაჰკვირდა.

— მე მხოლოდ ერთს რასმე მოგახსენებ, — განაგრძო ხმელნიცკიმ უფრო თამამადა და გაბედვით, — შენ დიდებული ხარ და ძლიერი. აღმოსავლით დასავლამდე ყველა ერნი და მეფენი შენ გიკვრენ თავსა, ლომს გიწოდებენ; მხოლოდ ერთი ერიომა არ იდრეკს მუხლს შენს წინაშე; თუ შენ არ აქციე ის მტერად, არ მოუდრიკე ქედი და იმის ზურგზე არ დადგი ხოლმე ფეხი ცხენზედ შეჯდომის დროს, რაღაა მაშინ შენი დიდება, შენი ძლიერება? ყველა ამას იტყვის, ერთმა პოლონელმა თავადმა შეარცხვინა ყირიმის მეფე სამაგიეროს გადუხდელადა, რომ ის უფრო დონიერია, ძლიერი იმაზეო.

ჩამოვარდა ყრუ დუმილი. მირზანი, აღები და მოლლები თვალს არ აშორებდნენ ყეენს, სულ-განაბულნი შესცქეროდნენ პირისახეზედ, ხოლო ყეენმა დახუჭა თვალები და ჰფიქრობდა.

ხმელნიცკი დაეყრნდო კვერთხსა და გათამამებული ელოდა ყეენის პასუხს.

— შენა სთქვი, — წამოილაპარაკა ბოლოს ყეენმა.—მე დავთრგუნავ ერიომას, დავამუხლისთავებ და ისე შევჯდები ხოლმე ცხენზედ! მაშინ აღარ იტყვიან აღმოსავლით დასავლამდე ერთმა ურწმუნო ძაღლმა შეურაცხჰყო ყეენიო.

— ღმერთი დიდია!—ერთხმად დაიძახეს მირზებმა.

ხმელნიცკის თვალები სიხარულითა ბრწყინავდა: ერთის ოინით განსაცდელიც აიშორა თავიდან და საეჭვო მოკავშირე ერთგულ მეგობრად გადაიქცია.

ლომს ეხერხებოდა ყოველს წუთს მელად გადაქცეულიყო.

ორივე ბანაკი ხშირ-ბინდამდე ისე ბზუოდა, როგორც ბზეის ფუტკარი, გაზაფხულის მზით დამთბარი რომ იყრის ხოლმე, ხოლო იქ საცა ომი იყო გადახდილი, ეძინათ განუღვიძებელის ძილით რაინდთა, განგმირულთ ისრითა, განპობილთ შუბითა, დაჩეხილთ მახვილითა. ამოვიდა მთვარე და გააშუქა ეს ველი სიკვდილისა: იქ შედედებულ სისხლის მორევში ჩაანათა და შიგ ამოსურათდა, აქ სიბნელე განჰფანტა და ახალი ხროვა გამოაჩინა დახოცილთა; ახლა იმათ აშორდა წყნარად და შეაშუქა სხვა ხროვას, შეჰხედა მკვდართა გახელილს თვალებში, მოჰფინა იქ ნათელი გალურჯებულ სახეს, თოფიარაღის ნატეხს და სხივი მისი უფრო გაფერმკრთალდა, თითქო შეეშინდა ნახულისაო. საომარ ველზედ დარბიან მარტოდმარტოდაცა და პატარ-პატარა ჯგუფ-ჯგუბფადაც რაღაც შავუკულმა აჩრდილნი: მსახურნი თუ მოსდებიან ამ ველს მკვდართა გასაძარცვავად: ასე გაჩნდებიან ხოლმე ტურებიცა ლომებს შემდეგ, მაგრამ იმათაც კი რაღაც არა-ჩვეულებრივი შიში სცემს თავ-ზარსა და აიძულებს, რომ სწრაფად მოჰშორდნე იქაუ-

რობას. რაღაც საშინელი, რაღაც იდუმალა რამ ძალა სუფევ-
და ამ მკვდრებით მოფენილ ველზედ, ამ წეღან ჯერ ისევ ცო-
ცხალ კაცთა მოსვენებასა და ხელ-გაუნძრეველობას შორის, იმ
წყნარს თანხმობაში, რომლითაც განისვენებდნენ ერთ-ურთის
ახლოს პოლონელნი, ოსმალნი, თათარნი და ყაზახნი. ხან-და-
ზმით ლელიანებში ქარი გაიზუზუნებს, ხოლო დარაჯებსა ჰგო-
ნიათ, რომ ეგ უთუოდ სულნი ადამიანთა დასტრიალებენ თავს
თავიანთ ხორცსაო. ამბობდნენ, რომ ვითომ როცა ღამე გატ-
ყდა და შუაღამე შეიქნა, მთლად მინდვრიდან, თხრილებსა და
ყაზახთა ბანაკს შორის, რაღაც ფრთხიალი ატყდა, თითქო გუნ-
გუნდი ფრინველთა შრიალით წამოფრინდა იქიდანაო. ვითომ გაე-
გონათ კიდეც რაღაც ხმები ჰაერში, რაღაც კვნესა-გმინვა, ისეთი
წუხილი და ვაება, რომ თმა თურმე ყალხზედ დაუდგებოდა ადა-
მიანს. ისინი, ვინც საომარ ველზედ დასდო თავი, ვისნი ყურნიც
დახშული არ იყო არა ამ ქვეყნიურთა ხმათა გაგონებად, ისმენ-
დნენ თურმე, რომ პოლონელთა სულნი ამოჰხდომის დროს
მიჰფრინავდნენ მაღლა და ამას ეევედრებოდნენ ღმერთსა: „შენ
წინაშე, უფალო, აგვიხდია ჩვენი შეცოდებანი“, ხოლო ყაზახ-
თა სულნი ჰგმინავდნენ: „ქრისტე, ქრისტე, შეგვიწყალე!“ რად-
გან ძმათა-ძმის მკვლელ ომში იყვნენ დახიოცილნი და ამიტომ
მათთა სულთა არ შეეძლოთ აღსვლა საუკუნო დიდების ტახ-
ტამდე; იმათ ჰხვდათ წილად ეფრინათ დედა-მიწის სივრცეში,
ქართან ერთად ეპროწიალნათ ღელესა ზედა ცრემლთა დენისასა
და ეტირნათ, ეგმინათ ღამ-ღამე, ვიდრე არ გამოსთხოვდნენ
ქრისტეს ცოდვათა მიტევებასა და შეწყნარებასა...

გარნა გულნი კაცთანი გაქვავდა უფრო უარესად და არც
ერთმა ანგელოზმა შერიგებისამ აღარ გადიფრინა ადგილსა ზე-
და ადამიანთა მუსვრისასა.

XIII

მეორე დილას, ჯერ მზეს წვერი არ ამოეყო, რომ პოლონელთა ბანაკში ერთი ახალი თხრილი კიდევ გაჩნდა. ძველი თხრილები ძრიელ განივრად იყო შემორტყმული და თავადმა პან ფშიემსკითურთ გადასწყვიტა ჯარი უფრო ვიწროდ შემოფარგლულ ადგილზედ მოეთავსებინა. გუსარნი მთელს ღამეს ჩაუფერხებლიე მუშაობდნენ დანარჩენ ჯარის-კაცებთან და მოსამსახურეებთან ერთად. ყველა გულის-ძილს მიეცა, დარაჯთა გარდა; მტერსაც ეძინა და გუშინდელ დამარცხების შემდეგ დასვენება ერჩია, რადგან ისიც მთელს ღამეს მუშაობაში იყო. ვარაუდობდნენ, რომ დღეს იერიშით მისვლა აღარ იქმნებაო.

სქშეტუსკი, პან ლონგინუსი და ზაგლობა ისხდნენ ერთად კარავში და ლუდს შეექცეოდნენ, თან მუსაიფობდნენ წარსულის ღამის ღვაწლზედა იმ თავ-მოწონებითა და კმაყოფილებით, როგორიც სჩვეევიათ მეომართ სულ ახალ გამარჯვების შესახებ.

— ჩემი წესია დავიძინო, როცა ქათმები დაიბუდებენ და ავდგე, როცა მამლები ყივილს დაიწყებენ,—სთქვა პან ზაგლობამ,—მაგრამ ომში ამ წესის ასრულება ძნელია! გძინავს მაშინ, როცა დრო გაქვს და სდგები მაშინ, როცა გაღვიძებენ, მე ის მაბრაზებს მხოლოდ, რომ ამისთანა სულელობისათვის იძულებულია კაცი შესცვალოს თეისი წესი და შეიშალოს ნივრი ცხოვრებისა. მაგრამ რა ვქმნათ, ისეთი დროა ახლა! სამაგიეროდ, მოგეცა ღვთის-წყალობა, ვაყოფინეთ კი ჩვენ იმათ გუშინა! ერთი-ორჯელ კიდევ უნდა გავუმასპინძლდეთ იმათ

ასევე და, იმედია, ველარ გაჰბედავენ ჩვენს უდრო-უდროოდ გაღვიძებასა.

— არ იცი, რამდენმა გასწირა თავი ჩვენის მხრითა?— ჰკითხა პოდბიპენტამ.

— ეჰ, ცოტამ, სულ ასეა: ალყის შემომრტყმელთანნი უფრო ბევრი იხოცება, ვიდრე ალყა-შემორტყმულთაგანი. შენ ეს საქმე კარგად არ გესმის, ხოლო ჩვენ, ბებრები და ომში ბევრ-ნაირად ნაცადნი, არა ვსაჭიროობთ გვამების თვლასა; ჩვენ ისეც კარგადა ვხედავთ, როგორც არის საქმე, თვით ომისა და ბრძოლის მსვლელობის მიხედვითა.

— მეც ვისწავლი საომარ ზნეს თქვენთან ახლოს ყოფნითა,—სთქვა პან ლონგინუსმა მორჩილებითა.

— უეჭველია ისწავლი, თუ კი ნიჭმა არ გიხიმანა; ცოტა არ იყოს, ნაკლებადა მაქვს იმედი შენის გულის-ყურისა.

— დაანებე თავი მაგასა,—სთქვა სქშეტუსკიმ,—ყოველ შემთხვევაში, ეგ ხომ პირველი ნახვა არ არის ომისა პან პოდბიპენტასათვის; ღმერთმა ჰქნას, უკეთესმა რაინდებმა იბრძოლონ ისე, როგორც ეგ იბრძოდა გუშინა.

— ის გავაკეთე, რაც შევიძელ, არა იმდენი კი, რამდენის გაკეთებაც მინდოდა.

— პირიქით, პირიქით! გუშინ ურიგოდ არ გაისარჯე,— შეჰნიშნა ზაგლობამ მაცა-შვილურის კილოთი,—ხოლო თუ სხვებმა გაჯობეს (ამ სიტყვაზედ ზაგლობამ ულვაშები გადიგრიხა თავმომწონედ), ეგ შენი ბრალი არ არის.

ლიტველი ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს თავ-დახრილი და ამოიოხრა, რადგან მოაგონდა თავისი წინაპარი სტოვეიკო და სამი მოკვეთილი თაეი.

კარვის კალთები აჰკეცა ვილამაც და შიგ შემოვიდა პან მიხალი, ისეთი მხიარული, თითქო მოწმენდილი დილაია.

— იჰ, აჰა, აგერ ახლა ყველანი ერთადა ვართ,—დაიძახა პან ზაგლობამ,—აბა, დაუსხით ამასაც ლუდი!

პატარა რაინდმა ხელი ჩამოართვა სამსავე ამხანაგს.

— რომ იცოდეთ, რამდენი ზარბაზნის ტყვია ჰყრია მეიდანზედ!—სთქვა ვოლოდიევსკიმ,—ვერ წარმოიდგენთ სწორედ. კაცი ვერ გაივლის ისე, რომ ფეხი არ წამოჰკრას.

— მეცა ვნახე,—უპასუხა პან ზაგლობამ.—დილას რომ ავდექი, ბანაკში გავიარე. მთლად ლვოვის სამოურავოს ქათმები ორს წელიწადს ვერ დასდებენ იმდენს კვერცხს. ეჰ, მართლა კვერცხები რომ იყოს ის ტყვიები, ისეთს ერბო-კვერცხს მოვწვავდი, რომ თქვენს მოწონებულსა. უნდა კი გითხრათ, რომ ერთ ტაფა-მწვარ ერბო-კვერცში, რა ვიცი, რას არ მივცემდი. მეომარის კაცის ხასიათი მაქვს მეც თქვენსავითა. დიდის სიამოვნებით გიახლებით ყველაფერს, ოღონდ კი უხვად იყოს. ამიტომ ომშიაც ისე არ ვირჯები, როგორც ეხლანდელი ახალგაზდები.

— მართლაცა-და, კარგა კი მოსცხე გუშინ იმ ბურლაისა,—სთქვა პატარა რაინდმა,—სწორედ არ ველოდი შენგან მაგისთანა სიფიცხესა. ბურლაი ისეთი რაინდი იყო, რომ ბადალი არა ჰყავდა მთელს კურაინასა და სათათრეთში.

— მაშ, როგორია?—სთქვა თავმოწონებით ზაგლობამ.—პირველი მაგალითი არ არის ეგა, ჩემო პან მიხალ, არა. დიალ, შეიძლება ვსთქვათ, რომ ასეთი ზორბა ყევარი ჩასპანდის მეგობრებისა, როგორიც ჩვენა ვართ, მთელს რესპუბლიკაში არ მოიძებნება. მე და ჩემმა ღმერთმა, თქვენთან ერთად და ჩვენის თავადის მეთაურობით, მზადა ვარ თუნდა სტამბოლს დავეცე თავსა. ეს გაიხსენეთ მხოლოდ, რომ პან სქშეტუსკიმ მოჰკლა ბარდაბუტი ამას წინად, ხოლო გუშინ—ტულაი-ბეი.

— ტულაი-ბეი არ მომიკლავს,—სთქვა პორუჩიკმა.—მე თვითონ ვიგრძნე, რომ ჩემი ხმალი ასხლეტით მოჰხვდა მხოლოდ, მერე ხომ მოგვაშორეს ერთმანერთს.

— ეგ სულ ერთია, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ, პან იან. პან მიხალმა გაჰგზირა ვარშავაში ბოგუნი, როგორც გიამბეთ...

— ნეტა ეგ არ მოგეგონებინათ!—სთქვა ლიტველმა.

— რაც ითქვა, ველარ გადითქმება,—უპასუხა ზაგლობამ,—განვაგრძოთ შემდგომად: მაშ ასე, პან პოდბიპენტამ თაგვთ-ნაწლეველმა ჩაახრჩო ის პულიანი, ხოლო მე—ბურლაი. ვერ დაგიმალავთ, რომ ერთს ბურლაიში არ გავცვლიდი ყველა იმ ოთხსა; ისე რომ ბოლოს მაინც ყველაზედ სამძიმო საქმე მხვდა წილად. ქაჯი იყო ის კაცი, ყაზახი კი არა, მართალი არ არის? მე რომ კანონიერი შვილები მყოლოდა, კარგს სახელს დავუტოვებდი ჩემს შემდეგ. საინტერესოა ვიცოდეთ, რას იტყვის ამაზედ მეფე, ან სეიმი, როგორ და რით დაგვაჯილდოვებენ ჩვენ,—ჩვენ, რომელნიც გოგირდითა და გვარჯილით უფრო ვიკვებებით, ვიდრე რომელისამე სხვა საქმელითა.

— იყო ერთი რაინდი, უფრო სახელ-განთქმული,—სთქვა პან ლონგინუსმა,—მაგრამ იმის სახელი აღარავინ იცის, აღარავის არ ახსოვს.

— კარგია ვიცოდეთ, ვინ ყოფილა ეგ რაინდი? შეიძლება ძველად ყოფილიყოს?—ჰკითხა წყენით ზაგლობამ.

— არა, ჩემო კარგო, ძველად კი არა-და! ეს ის რაინდი იყო, რომელმაც მეფე გუსტავ-ადოლფი ტშჩიანს ახლო ძირს დასცა ცხენიანად და ტყვედ შეიპყრო,—უპასუხა ლიტველმა.

— მე კი ასე გამიგონია, რომ ეგ ამბავი პუცკს ახლო მოჰხდაო,—ჩაურთო სიტყვა პან მიხალმა.

— მეფე მაინც გასუხლტა ხელიდან იმ რაინდს და გაიქცა,—სთქვა სქშეტუსკიმ.

— ჰო! ვიცი, მეც ცოტა რამ ვიცი მაგ ამბისა,—დაიწყო ზაგლობამ თვალ-ამოკიჟვით.—მე მაშინ პან კონეცპოლსკის რაზმში ვმსახურობდი, ის იყო ჩვენი სარდალი... ვიცი, ვიცი! მორცხვობა ნებას არ აძლევს იმ რაინდს, გამოაცხადოს მისი სახელი და ამიტომ არც არავინ იცის რა ამბავი გადაჰხდა თავს მაშინა. თუმცა, დამიჯერეთ, გუსტავ-ადოლფი დიდი მეომარი იყო, თითქმის პან კონეცპოლსკის ბადალი, მაგრამ ბურლაის-

თან ბუმბერაზობა კიდევ უფრო დიდი და ძნელი საქმე იყო. დამიჯერეთ, გეუბნევით-მეთქი!

— ნუ თუ შენ დაეცი ძირს გუსტავ-ადოლფი?—ჰკითხა ვოლოდიევსკიმ.

— განა მე ვითხარი ეგა, პან მიხალ? დეე, წინანდელს ამბავს ჰფარავდეს წყედიადი უცოდნელობისა, მე ახლაც ცოტა-რამ მიმიძღვის ისეთი, რითაც შემიძლიან თავი მოვიწონო! ყველა კარგი, მაგრამ ეს ლუტი კი ძალიან საძაგელი რამ სასმელია; ისევ არაყი მერჩივნა ამას, თუმცა ეს რომ გვაქვს, ამისთვისაც მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთსა. აიგერა ქსენძი ჟაბკოვსკი ამბობს, რომ სურსათი ცოტა-ღა დაგვრჩაო, ძალიან სწუხს, მუცელი ისეთი აქვს, როგორც კაი დიდი კალო. კარგი ბერია, მე და ჩემმა ღმერთმა, ძალიან შემიყვარდა. ჯარის-კაცობისა უფრო ბევრი სცხია, ვიდრე ბერობისა. ვისაც სცემს მახვილსა, გათავებულია, ანდერძს აღგებს მაშინვე და „განუსვენე“ უნდა სთქვა.

— მართლა, ვერ გიამბეთ, რა ჰქმნა იმ დღეს ქსენძმა იასკოლსკიმ?—დაიძახა პატარა რაინდმა.—აფოფხდა, ბატონო, მაღლა კოშკში და დაუწყო იქიდან ცქერა ომსა (უნდა გითხრათ, ძალიან თოფის მსროლელი კია). მერე ეუბნება თურმე ჟაბკოვსკისა: „ყაზახებს არ ვესვრი თოფსო, რაც უნდა იყოს, ქრისტიანენი არიანო, თუმცა ისეთს საქმესა ტვირთულობენ, რომელიც ღვთის წინააღმდეგია, მაგრამ თათრებს რომ არ ვესროლო, მაგას კი ვერ მოვითმენო. მართლა დაუწყო თურმე იქიდან სროლა თოფისა და რატომ ოცდა ათი კაცი არ გააგორა იმ ღამეს.

— მთლად სამღვდელოება უნდა მაგისთანა იყოს, რომ კარგი მაშინ იქმნებოდა!—ამოიოხრა ზაგლობამ,—ჩვენმა მუხოვეცკიმ მხოლოდ ხელების აპყრობა იცის მაღლა და სულ იმასა სჩივის და წუწუნებს, ამოდენა ქრისტიანეთა სისხლი იღვრებაო.

— იმას თავი დაანებეთ,—მართალის გულითა სთქვა სქშეტუსკიმ.—ქსენძი მუხოვეცკი წმინდა კაცია; უკეთესი დამტ-

კიცება ამისი ის არის, რომ ის ორი ქსენძი მოწიწებით თავს იდრეკენ მის წინაშე, თუმცა მუხოვეცკი იმათზედ მაღლა არა სდგას სამსახურითა.

— სრულიადაც არა მაქვს ეჭვი, რომ ის წმინდა კაცია, —სთქვა ზაგლობამ,—პირიქით, მე მგონია, რომ თვით ყეენსაც მოაქცევდა ქრისტეს სჯულზედა. მაგრამ, არა, ერთი ესა სთქვით, რა ქეიფზედ იქნება ახლა ყეენი! ზის მგონი კარავში და სკდება გულზედ ჯავრითა. თუ მორიგებაზედ დაუწყებენ მოლაპარაკებას, მეც გავყვები კომისარებსა. ძველი ნაცნობნი ვართ და ოდესმე ძალიანაც ვუყვარდი. იქნება, ახლაც გავახსენდე.

— მოლაპარაკებისათვის, ალბად, იანიცკის აირჩევენ,— სთქვა სქშეტუსკიმ,—ისე ლაპარაკობს თათრულსა, როგორც პოლონურს.

— მეც კარგად ვიცი თათრული, მირზანი ხომ სულ ჩვენი მეგობრები მრიან. ასეთები იყვნენ ყირიმში, რომ ადარ იცოდნენ რა ექნათ, სულ ის უნდოდათ, თავიანთი ქალები მოეცათ ჩვენთვის ცოლებად, იქნება კაი ჩამომავლობა ჩამოვიდესო; მე მაშინ ყმაწვილი ვიყავ და, რადგან ჩემს უბიწოებასთან არა მქონდა შეკრული თაგვ-ნაწლეველ პან პოდბიპანტასავით pacta conventa, ამიტომ ბევრი მკვდარ-ძაღლობა ჩავიდინე იქა.

— ყურის-დაგდებაც არ მინდა შენი ლაპარაკისა!—სთქვა პან ლონგინუსმა და თავი ძირს დაჰხარა.

— შენ რა მარტისავით სულ ერთსა და იმავეს გაიძახი? სჩანს, მალე ვერ ასწავლის კაცი თქვენისთან ბოტვინიის მჭამელებს ადამიანურს ლაპარაკს.

კარავ გარედან რაღაც ლაპარაკი მოისმა და რაინდნი გავიდნენ, რომ გაეგოთ, რა ამბავიაო. თხრილებზედ გუნდ-გუნდად იდგნენ მეომარნი და ათვალიერებდნენ ახლო-მახლო არე-მარეს, რომელიც საკმაოდ გამოცვლილიყო გუშინდელ ღამეს აქეთ. ყაზახნიც თურმე უქმად არ მომცდარიყვნენ; სანგრები გაეკეთებინათ, თხრილებზედ ზარბაზნები დაემაგრებინათ, ისეთი გრძლები და შორს მანძილზედ ტყვიის გამტყორ-

ცნელი, რომლებისთანაც პოლონელთ არა ჰქონდათ იმ ჟამად ბანაკში. ახლა კიდევ იღებდნენ თხრილებს მიხვევ-მოხვევით; შორიდან რომ შეეხედნა კაცს ამ თხრილებისთვის, ეგონებოდა თხუნელების სოროებიაო. მთლად ეს ოდნავ დაქანებული მინდორი თხრილებით იყო სავსე, ახლად ნათხარი მიწა შავად მოსჩანდა მწვანედ აბიბინებულ მინდორზედ. ყველგან ხალხს ისე გაჰქონდა ფუსფუსი, თითქო ჯიანქველაია. პირველ თხრილებზედ აქა-იქ მოსჩანდა წითელი ქუდები იმიერ-ჭორომელთა.

თავადი იდგა თხრილზედ კრასნოსტაველ მოურავ-ერისთავთანა და პან ფშიემსკისთან ერთად. ცოტა იმათზედ ქვემოდ იდგა ბელსკის კაშტელიანი და ყურადღებით სინჯაედა ყაზახთა ნამუშავარს და ასე უხსნიდა სახასო სარდალს:

— მტერს, როგორც ეტყობა, უნდა წესიერის ალყის შემორტყმა დაიწყოს. მე ვხედავ, რომ ჩვენთვის საჭირო იქნება ბანაკს თავი დავანებოთ და ციხე-დარბაზში ჩავიკეტნეთ.

თავადმა მოჰკრა ამ სიტყვებს ყური და დაიხარა კაშტელიანისაკენ:

— ღმერთმა ნუ ჰქმნას! ეგ იმას ემგვანება, რომ ძალათი გავაბათ ჩვენი თავი მახეში. აქ უნდა ვიყვნეთ ცოცხალნი თუ მკვდარნი!

— ჩემი აზრიც ეგ გახლავთ,—ჩაურთო სიტყვა ზაგლობამ,—თუნდა ყოველ-დღე თითო ბურლაის მოკვლაც დამჭირდეს. მთლად ჯარისა და მხედრობის სახელით წინააღმდეგობის ვუცხადებ კაშტელიანის წინადადებას.

— ეგ თქვენ არ შეგეხებათ! —სთქვა თავადმა.

— ჩუმად იყავ!—წაუჩურჩულა ვოლოდიევსკიმ და ჩოხის კალთას დასწია შლიახტიჩსა.

— ისე გაეწყვეტავთ, როგორც თხუნელებსა,—განაგრძო ზაგლობამ.—ხოლო საკუთრად მე, თქვენო ბრწყინვალებავ, გთხოვთ ნება-რთვას, პირველივე გამგზავნოთ, როცა ჯარი გავიდეს აქედან მტერთან საბრძოლველად. კარგად მიცნობენ, ვინცა ვარ და ახლა უფრო გამიცნობენ.

— როცა ჯარი გავიდეს... სთქვა წყნარად თავადმა და კოპები შეიკრა.—მოითმინეთ, საღამო ჟამიდანვე ღამე ბნელია ხოლმე ახლა...

თავადი მიუბრუნდა მოურავ-ერისთავს, პან ფშიემსკისა და გეტმანებს და მიიწვია სათათბიროდ.

— ღმერთო ჩემო, რას კადნიერობ აგრე?!—შესძახა ვოლოდიევსკიმ, როცა უფროსნი ძირს ჩავიდნენ თხრილებიდან.— ეგ რასა ჰგავს? არ იცი წესი და რიგი რა არის ომიანობის დროსა? სჩანს, არა გცოდნია, როცა უფროსების ლაპარაკში ერევი. თავადი მომთმინო და თავდაბალი კაცია, გარნა ომიანობის დროს იმასთან ხუმრობა არავის გამოადგება.

— არა უშავს-რა, პან მიხალ! პან კონეცპოლსკი—მამა დიდი კაცი იყო, მაგრამ ისიც კი ჩემს რჩევას დაემყარებოდა ხოლმე; მგლის-კერძი ვიყო, თუ ჩემის რჩევის წყალობით ორჯელ არ დაეძლია გუსტავ-ადოლფისათვის. მე მეხერხება დიდებულებთან ლაპარაკი! აი ახლაც ვერ შეჰნიშნეთ განა, როგორ მოეწონა თავადს ჩემი თათბირი? თუ ღმერთმა ჰქმნა და გავიმარჯვეთ, ვის მიაწერენ მერე იმ გამარჯვებას? ხომ არა გგონიათ, რომ თქვენ მოგაწერონ?

ამ დროს მოლაპარაკე აფიცრებთან მივიდა ზაცვილიხოესკი.

— რაო, თხრილებს იღებენ სულა, ჰა?—სთქვა მან და ხელი გაიშვირა მინდვრისაკენ.

— დიაღ, იღებენ, სთხრიან იქაურობას,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ,—ჩვენს ჯარის-კაცებსაც უნდა ეთხარათ დღესაც ჭები პან ფირლეის ბანაკისაკენ, რადგან აღმოსავლეთის ტბის წყალი აღარ დაილევა. პარასკევი დადგება და თევზის ჭამაზედ ხელი უნდა ავიღოთ—კაცის ხორც-ნაჭრები არიან და იმიტომ.

— მართალია,—დაეთანხმა ზაცვილიხოვსკი,—კარგა ხნის კაცი ვარ, სულ ჯარსა და მხედრობაში გამიტარებია ჩემი სიცოცხლე და ამოდენა დახოცილნი არსად მინახავს, ხოტიმს თუ მარტო, როცა ჩვენს ბანაკზე იანიჩარებმა მოიტანეს იერიში.

— ახლა კიდევ უფრო ბევრსა ჰნახავთ, მენდეთ მაგაზედ.

— მგონია, დღეს საღამოს მოიტანენ კიდევ ისინი იერიშს.

— მე კი ვფიქრობ, რომ დილამდე ხმას არ გაგვცემენ.

ძლივს მოასწრო ზაგლობამ ამ სიტყვების თქმა, რომ მტრის თხრილებზედ გამოჩნდა თეთრი კვამლი და ყუმბარამ ზუზუნით გადაიგრიალა პოლონელთა ბანაკზედ.

აღმოჩნდა, რომ ზაცვილიხოვსკი მართალი იყო. ხმელნიცკიმ დაიწყო გარს-შემოდგომა წესისამებრ, დაიჭირა მთლად გზები და შეჰკრა ცალ-ფეხი ბილიკები, იღებდა თხრილებს, აკეთებდა სანგრებს და ამავე დროს იერიშსაც არ ივიწყებდა. მან გადასწყვიტა, არ მოვასვენებ ალყა-შემორტყმულთაო, მოვღლი, გავამწარებ და არ მოვასვენებ, ვიდრე იარაღი თავისთავად არ გაუვარდებათ გაშეშებულ ხელიდანაო. და აი საღამო ჟამზედ მან კვლავ შეუტია ვოლოდიევსკის რაზმებსა, თუმცა ვერა დააკლო-რა, რადგან ყაზახნი უხალისოდ მოდიოდნენ საბრძოლველად. მეორე დღეს თოფისა და ზარბაზნის სროლა ერთს წუთს არ შეწყვეტილა. ყაზახთა სახელდახელოდ აგებულნი სიმაგრენი უფრო ახლოს გაჩნდა და როგორც წვიმა-წყალი ისე მოდიოდა იქიდან ტყვია-ყუმბარა პოლონელთა ბანაკში. ალყა-შემორტყმულნი ხანდაზმით გამოდიოდნენ საფრებიდან და მაშინ კი საქმე ხმალსა, ჯაჭვებსა და ცელებზედ მიდგებოდა ხოლმე. გარნა პოლონელნი, როგორც კი იფრენდნენ ყაზახთა ერთს რიგობას თხრილებიდან, ამათ მაგიერ მაშინვე სხვები ჩნდებოდნენ. მთელს დღეს მოსვენება არა ჰქონდათ ჯარისკაცებს, ხოლო როცა სასურველი საღამო-ჟამი დადგა, დაიწყო ახალი დიდი იერიში. სანგარ-საფრებიდან გამოსვლა ახლა ფიქრადაც აღარ იყო მოსასვლელი.

16 ივლისის ღამეს ორი მამაცი პოლკოვნიკი, მალასკი და ნებაბა დაესხნენ თავს საკუთრად თავადის ბანაკს და საშინლადაც იძლივნენ. სამი ათასმა რჩეულმა იმიერ ჭორომელმა გასწირა თავი და ყველანი ამოჟლეტილ იქმნენ, ხოლო დანარჩენნი, რომელთაც მიეტია კრასნოსტაველი მოურავ-ერისთავი ივლტოდნენ უწეს-ურიგოდ თავიანთ ბანაკად და გზა-გზა სტო-

ვებდნენ იარაღსა და თოფის-წამალს. ასეთივე დღე დაადგა ფედორენკოსაც, რომელმაც, აქაო და ბურუსიანი ბნელი ღამეაო, შემოუარა მორე მხრიდან ქალაქსა და კინაღამ არ აიღო განთიადისას. პან კორფმა ნემენცებით შეუტყო ფედორენკოს ეშმაკობა და უკუ-აქცია, ხოლო კრასნოსტაველმა მოურავ-ერისთავმა და სახასო სარდალმა კონეცპოლსკიმ თითქმის სულ ამოსწყვიტეს მისნი ყაზახნი.

გარნა ყოველიეე ესე არა-რა იყო იმ საშინელ გრიგალთან შედარებით, რომელიც დაატყდა თავს პოლონელთა ბანაკს 19 ივლისსა. ღამე ყაზახებმა დიდი თხრილი ამართეს ეისნევეცკის პირდაპირ და დაუშინეს დიდი ზარბაზნები თავიანთ მტერს, ხოლო როცა შეღამდა და ვარსკვლავებმა ის იყო დაიწყეს ციმციმი ცაზედა, ათი-ათასობით ხალხმა მიიტანა იერიში. ამასთანავე ერთად ცოტა მოშორებით გამოჩნდა რამდენიმე საშინელი მანქანა, რომელიც კოშკებსა ჰგვანდა და ნელნელა მოგორავდა ამაღლებულ თხრილებიდან. აქეთ-იქით გვერდებზედ ფრთებივითა ჰქონდათ გაკეთებული ხიდები, რომელიც უნდა გადადებულიყო თხრილებზედ, ხოლო მანქანების თაეები ჰბოლავდა და გრგვინავდა, რადგან იქ იყო მომართული სუბუქი ზარბაზნები, თოფები და ჯეზაირები. ეს მანქანები ისე მობობღავდა აღელებულ ზღვა ხალხში, თითქო ბუმბერაზი სარდლებიაო, ხან ისვრიდა, ნაღვერდალსაეით, ცხელ ტყვიას ხან ამ სროლით ავარდნილ ბოლში იმალავდა თავს.

თაეადის თოფჩნი ისვრიდნენ ტყვიას-ტყვიაზედა, ყუმბარას ყუმბარაზედ ამ საშინელის მანქანების შესამუსრავად, მაგრამ მიზანში ვერ ახვედრებდნენ.

ხოლო შედეგებული სიმრავლე ყაზახთა თან-და-თან უფრო და უფრო უახლოვდებოდა პოლონელთა ბანაკს, თითქო შავ-ბნელი ზვირთია და ის მოგორავს ზღვაშიო.

— უჰ!—წამოიძახა ზაგლობამ, რომელიც სქშეტუსკისთან ერთად იდგა ცხენოსანთა ჯარის-წინა,—ძალიან მცხელა. ასე ჩემს ღღეში არ დამცხომია. სულის შემხუთველი ღამეა სწორედ! ახლა ეს რაღაც მანქანებიც გაჩნდა საიდღანც ჯანდაბი-

დანა და დოზანიდანაცა! ნეტავ ერთი ღმერთი ინებებდეს და დედა-მიწა გაუსკდებოდეთ ქვეშა, იმიტომ რომა ეგ საზიზღრები ისედაც თვალში ეკალივითა მყვანან... კისრის ტეხა მაგათი! არც ჭამას აცდიან კაცსა, არც სმასა... ძაღლებსაც კი ჩვენზედ უკეთესი ცხოვრება აქვთ, მე და ჩემმა ღმერთმა! უჰ, დავიღრჩე სიცხითა.

მართლაც, სულის-შემხუთველი ჰაერი გაჟენთილი იყო იმ გვამთა სუნით, რომელიც მრავლად ეყარა მინდორზე და იხრწნებოდა. ცაზედ ჩამოკიდებულიყო ბოლივით ღრუბლები; ზბარაჟის თავს ჭექა-ქუხილი აპირობდა დაგრიალებას. სიბნელეში გაისმა ხმა ნაღარისა.

— ემ საათში თავს დაგვესხმიან!—სთქვა სქშეტუსკიმ.— გაიგონეთ ხმა?

— გავიგონე, ამოწყდნენ ეგენი, ჰო და ასრე! ხათაბალაა ჩვენს თავს და ეგ არის!

— დაჰკა, სჩეხე!—დაიგრიალა ბრბომ და შემოუტია თხრილებსა.

ბრძოლა ასტყდა ყველგან საფრებში. ყაზახნი ერთსა და იმავე დროს დაეცნენ თავს ვისნევიცკის, ლიანცკარონსკის, ფირლეის და ოსტროროგსა, იქნება ერთმანერთს ეელარ მიეშველნენ ხოლმეო; გამომთვრალიყვნენ არაყით და ამიტომ უფრო მეტის მძვინვარებით ეტეოდნენ მტერს, ვიდრე წინანდელ იერიშების დროს, მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტი წინააღმდეგობაცა ჰხვდებოდათ. მედიდური სული წინამძღვარისა აცხოველებდა ჯარის-კაცთა; მრისხანე სახასო ქვეითი ჯარი მაზურებისა ისეთის ძალით ეკვეთა ყაზახებს, რომ უცბად ერთ ჯგუფად მოუყარა მათ თავი. მაზურებმა ამოსწყვიტეს რამდენიმე ასი კაცი ყაზახთა ქვეითი ჯარისა, მაგრამ ბოლოს იმოდენა სიმრავლე მოაწყდათ მტრისა, რომ სულ ერთიანად შიგ შთაინთქნენ. ბრძოლა თან და თან გამძვინვარებული შეიქმნა. თოფის ლულები ისე დაცხელდა, რომ ხელებსა სწვავდა ჯარის-კაცებს, სარდალთ ყელი ამოეხლანძათ ბრძანების გაცემითა და ყვირილით ხმა წაუვიდათ. კრასნოსტაველი მოურავ-

ერისთავი და სქშეტუსკი გავიდნენ მინდვრად ცხენოსანის ჯარითა და შემოურბინეს ცალ მხრივ ყაზახთა, სძლიეს რამდენსამე რაზმს და აუარებელი სისხლიც დაჰლვარეს მტრისა.

საათი საათს მისდევდა, მაგრამ იერიში არა თავდებოდა; საცა დაიცლებოდა ადგილი მტრის ჯარში, ხმელნიცკი მაშინვე შეავსებდა ახალ-ახალი რაზმებითა. თათრები მხნედა შველოდნენ და წვიმასავით აწვიმებდნენ ისრებს პოლონელთა ჯარს. ზოგნი მათგანი ბრბოს უდგნენ უკან და წინ მიერეკებოდნენ შოლტებითა, იბრძოლეთ, უკან არ დაიხიოთო. გამძვინვარება გამძვინვარებას ებრძოდა, მკერდი მკერდს ეხეთქებოდა, კაცი სასიკვდილოდ ჰხვევდა კაცს ხელებსა.

ასევე შემოადგებოდა ხოლმე გარს გამძვინვარებული ტალღა კიდე-კლდოვანს კუნძულსა.

უცბად დედამიწამ დგანდგარი დაიწყო მეომართა ფეხქვეშ და მთლად ცა მოიცვა უცნაურის ფერის ცეცხლმა, თითქო თვით ღმერთს არ შეუძლიან ამაზედ მეტს ხანს ცქერა ადამიანის მძვინვარებისაო. საშინელმა ჟრიამულმა დაჰფარა ხალხის ჟრიამული და ზარბაზნების ქუხილი. ციურმა ზარბაზნებმა დაიწყო თვის ხათქა-ხუთქი. ქუხილი ატყდებოდა აღმოსავლეთად და რუხრუხით გადავიდოდა დასავლეთად; კაცს ეგონებოდა, ცა ღრუბლებითურთ გასკდა, ჩამოინგრა და უნდა ზედ თავზედ დაასკდეს მებრძოლთაო. ხან-და-ხან ისე გაიელვებდა, რომ თვალთ დაუბნელებდა ადამიანს, ხოლო მას შემდეგ ისე ჩამობნელდებოდა, რომ თითს ვეღარ მიიტანდა კაცი თვალთანა. წუთიცა და კვლავ ცა გაიელვებდა და, თითქო სისხლის ზოლი გაავლესო, ისე წითელის გველივით დაიწყებდა ხლაკვნას ელვა მოშავებულს ცაზედა. დაუბერა საშინელმა ქარაშოტმა და ათასსა და ათი-ათასს მოჰგლიჯა თავიდგან ქუდები, დაფხრიწა დროშა-ალმები და ერთის თვალის დახამხამებაში მიმოაბნია მინდვრად. ელვას ბოლო არ ეღებოდა, მერე აირია ერთმანეთში ჭექა-ქუხილი, გრიალი ქარისა, ელვა და წყვდიადი... ცაც ისევე განრისხდა, როგორც ადამიანი.

საშინელმა გრიგალმა ვადუარა თავს ქალაქს, ციხე-დარბაზს, თხრილებსა და ბანაკს. ბრძოლა გათავდა. ბოლოს მოხსნა ცამ პირი და კოკიპირულად კი არა, მდინარესავით დაასხა ზემოდან, წამოვიდა თქეში და ისეთი ღვარნაში, რომ დახოცილთა გვამებმა ცურვა დაიწყო თხრილებში. ყაზახთა რაზმებმა თავი მიანებეს იერიშსა და მოძურწეს თავიანთ ბინისაკენ; მირბოდნენ ალალ-ბედზედ, ეჯახებოდნენ ერთმანერთს და, რაკი ეგონათ, ეს სწორედ მტერს შევეჯახენითო, თვითეული ცალკ-ცალკე გარბოდა, ეგებ თავს ვუშველო როგორმეო; იმათ უკან მისდევდნენ თოფჩნი და წელამდე ტალახში ურევდნენ, ღერძ-კილანი მათნი ხომ მორგვებამდე ჰზელავდნენ ატალახებულ შავს მიწას. წყალმა მიანგრ-მოანგრია ყაზახთა მიწის თხრილ-სიმაგრენი, დაარუა ნათხარი ადგილები და შუილითა და ღრიალით მისცა თავი მინდორს, თითქო ამასაც დევნა სწადიან ლტოლვილთაო.

წვიმამ უფრო და უფრო დაუშვა. პოლონელთა ბანაკში ქვეითა ჯარმა მიატოვა თხრილ-გალავანი და კარვებში შეაფარა თავი, მხოლოდ ცხენოსანს ჯარს კრასნოსტაველ მოურავისასა და სქშეტუსკის არ ებრძანა ბანაკად გამობრუნება. ბოლოს ქარმა მოიტეხინა, შუალამისას წვიმამ სრულიად გადაიღო. ვარსკვლავებმა ციმციმი დაიწყეს ანაჭრებულ ღრუბელთა შორის. გავიდა ერთი საათი კიდევ და ნიალვრის წყალმა ცოტაოდნად იკლო. მაშინ სქშეტუსკის სადროშოს წინ მოულოდნელად გაჩნდა თვით თავადი.

— ყმაწვილებო, — იკითხა თავადმა, — სასწრაფო-საპირისწამლენი ხომ არ დაგისველდათ?

— არა, თქვენო ბრწინვალებავ, მშრალები გვაქეს!—უპასუხა სქშეტუსკიმ.

— ეგ კარგია! ჩამოხდით ცხენებიდან, მიეპარეთ ამ მანქანებს, შეუწყეთ თოფის წამალი და მიეცით ცეცხლი. ჩუმად კი იარეთ. პან მოურავ-ერისთავიც კრასნოსტავისა თან წამოგყვებათ.

— ბატონი ბრძანდებით!—უპასუხა სქშეტუსკიმ.

ამ დროს თავადმა შეასწრო თვალი გალუმპულს ზაგლობას.

— აბა, თქვენ თხოულობდით, ნება მომეცი გავიდე საფარიდან პირველიო, ახლა შეგიძლიანთ წახვიდეთ,—უბრძანა მან.

— „ჭირი და ჭამური თუ გინდა ეს არის!—გაივლო გულში პან ზაგლობამ.—ეს-ღა მაკლდა სწორედ!"

ნახევარ საათის შემდეგ ორი რაზმი რაინდთა ხუთას-ხუთასის კაცითა თითო, წელამდე წყალში იდგა და იდუმალ მიისწრაფოდა ყაზახთა „მოსეირნე ციხე-ქალაქებისაკენ", რომელნიც იქვე თხრილებს ახლოს იდგნენ, ერთს რაზმს მიუძღოდა „ლომი ლომთა შორის", პან მოურავ-ერისთავი კრასნოსტავისა, მარეკ სობესსკი, რომელმაც დასვენება არ იცოდა, რა იყო, ხოლო—მეორეს სქშეტუსკი. მოსამსახურენი მისდევდნენ უკან რაინდებს და მიჰქონდათ თან კუპრით საესე ჭურჭლები, მშრალი პატრუკები და ნაჭრები და თოფის-წამალი; ყველანი მიდიოდნენ ჩუმად, თითქო მგლები არიან და ცხვრის ფარეხებისაკენ მიიპარებიანო.

პატარა რაინდიც თვისის ნება-ყოფლობით გაჰყვა სქშეტუსკის. პან მიხალს ყველაზედ მეტად უყვარდა საშიში და საფათერაკო საქმე და ამიტომ ახლა სიხარულით მიაშლაპუნებდა წელამდე წყალში, გვერდზე პან პოდბიპენტა უდგა ამოწვდილის ზერვიკაპტურით ხელში და უკმაყოფილო, გაჯავრებული პან ზაგლობა.

— აბა, თქვენ თხოულობდით, ნება მომეცი გავიდე საფარიდან პირველიო, ახლა შეგიძლიანთ წახვიდეთ!—აჯავრებდა ზაგლობა თავადსა.—ძალიან კარგია! ძაღლს რომ უთხრა წადი ქორწილშიო, ისიც კი არ წავიდოდა ამისთანა წყალში. თუ მე მერჩიოს, ამისთანა დროს გავიდეთ-მეთქი საფრებიდან, ღმერთმა წყალის მეტი ნუ რა მასვას რა ჩემ სიცოცხლეში. ღმერთმა ხომ იცის, ისეთი არა ვარ და არც ნავია ჩემი მუცელი. ჩემს სიცოცხლეში სულ მეჯავრება წყალი, თუნდა წმინდაც იყოს და არა თუ ისეთი, რომელშიაც ტეტიების გვამნი დაცურაევენ...

— ჩუ!—გააწყვეტინა სიტყვა პან მიხალმა.

— შენ თითონ ჩუ, შენ ჭიჭყინაზე დიდი არა ხარ და ცურაობაც იცი, შენ რა გიშავს. ამასაც კი ვიტყვი, რომ თაეადის მხრით ვერაფერი სულ-გრძელობაა, ბურლაის ვძლიე და მაინც მოსვენებას არ მაძლევს. ზაგლობამ საკმარისი საქმე გააკეთა, ხოლო ზაგლობას მოსვენება უნდა მიეცეს... დაიცადეთ და ნახავთ თქვენ საქმესა, როცა ის არ იქნება ქვეყნად! მართლა, თუ ორმოში ჩავიჩეხო სადმე, ყურებში წამავლეთ ხელი და ისე ამომიტაცეთ, თორემ მაშინადვე წყალს მაყლაპებს და გავიგუდები.

— ჩუმად იყავ, პან ზაგლობა!—უთხრა სქშეტუსკიმ.—ყაზახები აიქა სხედან, გაიგონებენ რასმე.

— სადა? რას ამბობ?

— აიგერ აიქა, აიმ მიწურებში.

— ეგ-ღა გვაკლდა.

— აი ამოწყდნენ ისინი და ამოიგაენონ!

პან მიხალმა ხელი მიაფარა პან ზაგლობას პირზედა. ყაზახთა მიწურები ახლო იყო, სულ ორმოც და ათის ნაბიჯის მანძილზედ. რაინდნი ჩუმად მიიპარებოდნენ, მაგრამ წყალში სიარულისაგან ხმაურობა მაინც იყო; იმათ ბედზედ კვლავ წამოვიდა წვიმა და მათი ფეხის ხმა გააყრუა. მანქანებს ყარაულები არ უდგნენ. ან კი ვინ იფიქრებდა, რომ იერიშისა და ისეთის ქარის შემდეგ საფრებს თავს დაანებებდა ვინმე?

პან მიხალი პან ლონგინუსითურთ გაეშურა წინ და პირველი მიუახლოვდა მიწურს. პატარა რაინდმა მიიდო ხელები ტუჩებზედ და დაიწყო ყვირილი:

— ჰეი, ხალხო!

— რა ამბავია!—მისცა ხმა რამდენმამე ყაზახმა, რომელნიც ცხადია დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენიანი ვინმე გამოგვეხმაურაო.

— დიდება ღმერთსა!—უპასუხა ვოლოდიევსკიმ,—გამიღეთ კარი!

— შენ თითონ ვერ გააღებ კარსა?

— გავაღებ, კარგი,—სთქვა ვოლოდიევსკიმ, მოუცაცუნა ხელი კარსა, შეაღო და შიგ შუა სახლში გადავარდა.

პან ლონგინუსი და რამდენიმე კიდევ სხვა მიჰყვა მას უკანა.

მიწურში გულ-გასაგმირი ღრიალი შეიქმნა, რაინდებმაც დასცეს თვისი ყიჟინა და ეცნენ სხვა მიწურებს. წყვდიადში გაისმა ხმა კვნესისა, წკრიალი რკინისა, აირ-დაირია ხალხი, გავარდა რამდენჯერმე თოფიცა, მაგრამ ყოველმავე ამან ფრიად მცირედს ხანს გასტანა.

მოულოდნელის თავ-დასხმით გაოგნებულნი ყაზახნი თავისს დაცვასაც ვეღარ ახერხებდნენ და ისე იყვნენ ამოწყვეტილნი, რომ იარაღსაც ვერ მოჰკიდეს ხელი.

— „მოსეირნე ციხე-ქალაქებს მიჰმართეთ!“—ბრძანა კრასნოსტაველმა მოურავ-ერისთავმა.

რაინდობა ეცა ციხე-ქალაქებს.

— შუა გულში მიეცით ცეცხლი, ზემოდან სველია!— დაიძახა სქშეტუსკიმ.

ასეთის ბრძანების ასრულება არ იყო ადვილი. ციხე-ქალაქნი აგებულნი იყვნენ ფიქვის ძელებისაგან, არც კარები ჰქონდათ და არც სხვა რამ შესავალი. ყაზახნი კიბეებს მიიდგამდნენ და ისე ავიდოდნენ ხოლმე, ხოლო ზარბაზნები თოკეეით აჰქონდათ.

რაინდნი ამაოდ უვლიდნენ ამ კოშკებს, ციხე-ქალაქებს და გაჯავრებით სცემდნენ ხმალსა.

იმათ ბედზე მოსამსახურეებს ცულები ჰქონდათ; ეს ცულები სწორედ ახლა გამოადგათ.

მოურავ-ერისთავმა უბრძანა, გასტენეთ ზარბაზნებიო, მოუკიდეთ ცეცხლი კუპრით სავსე ჭურჭლებსაო, აანთეთ მაშხალები და მიეცით მაგ ძელებსაო.

ვიდრე ცეცხლი გაძლიერდებოდა, პან ლონგინუსი დაიკუზა და ასწია ერთ უშველებელ ქვას, რომელიც ყაზახებს შიგ მიწიდან ამოეთხარათ.

ოთხი ყოვლად ღონიერი კაცი ვერ დასძრავდა ადგილიდან იმ ქვას, ხოლო ლიტველს ღონივრად ეჭირა თავის ძლიერის

მკლავებითა, მხოლოდ შეეტყო რომ სისხლი მოაწვა პირისახეზედ. რაინდებს ენა ჩაუვარდათ ისე გააოცა ისინი ამ ამბავმა.

აგერ მოუახლოვდა იგა ჯერ ისევ ცეცხლ-მოუკიდებელს ციხე-კოშკს, აიღო მაღლა ქვა, გადიხარა უკან და მიაგდო ზედ შუა ალაგას. ქვამ ზუზუნი დაიწყო, ციხე-კოშკი შეირყა და ბრახუნით დაეცა ძირსა.

ნამტვრევებს მოსამსახურეებმა გადაასხეს ნავთი და მისცეს ცეცხლი.

პატარა ხანს უკან, რამდენსამე ალაგას გაჩნდა უშველებელი ცეცხლი და გაანათა მთლად არე-მარე. წვიმა მაინც მოდიოდა, მაგრამ ცეცხლს ვერა დააკლო-რა.

ყაზახთა ბანაკიდან მოცვინდნენ საშველად სტეპკა, კულაკი და მროზოვეცკი რამდენისამე ათასის კაცითა. სცადეს ვითომ გაექროთ ცეცხლი, მაგრამ ამაოდ. სვეტი ცეცხლისა და სისხლივით წითელი კვამლისა სულ მაღლა-მაღლა მიდიოდა ცაში, ხოლო ძირს წითლად ჰკრთოდა ტბებისა და წვიმის წყალში.

რაინდნი სასტიკის წესის დაცვით მოდიოდნენ უკან ბანაკისაკენ, სადაც ხალხი სიხარულით ელოდა.

უცბად სქშეტუსკიმ შეჰყვირა გრგვინვითა:

— გაჩერდით!

პან ლონგინუსი და პატარა რაინდი არა სჩანდნენ უკან დაბრუნებულთა შორის.

ალბად ეშხში შევიდნენ და შეგვიანდნენ უკანასკნელის ციხე-კოშკის გადასაწვენად, ან იქნება იპოვეს სადმე დამალულნი ყაზახნი და იმიტომ სრულიად ვერ შენიშნეს, როგორ დაბრუნდნენ უკან იმათი ამხანაგები.

— გასწით წინ!—გასცა ბრძანება სქშეტუსკიმ.

კრასნოსტაველი მოურავ-ერისთავი რაზმის მეორე მხარეზედ იდგა. ვერ მიხვედრილიყო რა ამბავიაო და გაიქცა, რომ გამოეკითხნა სქშეტუსკისათვის ყოველივე გარემოება, მაგრამ სწორედ ამ დროს დაკარგულნი რაინდნი, თითქო დედა-მიწიდან ამოძერნენო, გაჩნდნენ შუა მანძილზედ ყაზახთა კოშკებსა და ამხანაგთა შორის.

პან ლონგინუსს ეჭირა ხელში პრიალა ზერვიკაპტური და მოაბიჯებდა მდევიეითა, ხოლო მის გვერდით მგელივით მოძუნძულებდა პან მიხალი. კეფა ორივეს უკანა ჰქონდათ მიქცეული მდევრად გამოკიდებულ ყაზახებისაკენ. მდევარნი ცეცხლის შუქზე ისე მოსჩანდნენ, თითქო დღეაო. კაცს ეგონებოდა უშველებელი ცხენ-ირემი გამოჰქცევია მონადირეებს თავის ნუკრითაო და ყოველ წუთს მზად არის მიბრუნდეს უკან და შეუტიოს ზედ მოსეულთა.

— არიქა დაიღუპებიან! ღვთის გულისათვის მალე!— დაიყვირა გულის გამგმირის ხმით პან ზაგლობამ.—ისარს ესვრიან, ან თოფს მოარტყავენ, ჩქარა ღვთის გულისათვის!

თუმცა განსაცდელი იყო ცხადად მოსალოდნელი, ზაგლობა მაინც მიჰქროდა ამოწვდილის ხმლით ხელში სქშეტუსკის გვერდით. მირბოდა, მაგრამ მალ-მალ ძირს ეცემოდა, კვლავ დგებოდა ფეხზე, ჰყვიროდა და ილევდა უკანასკნელ ძალ-ღონეს.

გარნა ყაზახნი თოფებს არ ისვრიდნენ, ფალიები დასვეელებოდათ, ხოლო მშვილდის ლარნი მოსდუნებოდათ, თუმცა ყოველ წუთს უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ რაინდებს. რამდენიმე კაცი დაწინაურდა, აგერ უნდა ეტაცნათ კიდეც ხელი მათთვის, მაგრამ ამ დროს რაინდნი მიუბრუნდნენ და დიდის ყიჟინით აღმართეს მაღლა ხმლები. ყაზახნი იქვე გაჩერდნენ.

პან ლონგინუსი თვისის უზარ-მაზარის ხმლით რაღაც საშინელი სანახაეი ეგონათ.

და როგორც ორი რუხი მგელი, სანადიროდ ძაღლებით გარ-შემოდგომილი, მოუბრუნდება ხოლმე თავისს მტრებს და კბილების ღრჭენით ემუქრება, ხოლო ქოფაკნი ყმუიან და ვერ კი გაუბედნიათ დაესხნენ თაეს, ისე ეს რაინდნი მიუბრუნდებოდნენ ხოლმე თავიანთ მდევარს და ერთ ადგილს გააშეშებდნენ ხოლმე. მხოლოდ ერთი ყაზახი, სხვაზე უფრო გულადი, გადავარდა წინ ცელით ხელში, მაგრამ პან მიხალი ფოცხვერივით ეცა და იქვე სული გააყრევინა, დანარჩენები

ელოდნენ თავიანთ ამხანაგებს, რომელნიც ერთად შეჯგუ-ფულნი მოსდევდნენ რაინდებს.

გარნა რაინდნიც შორს აღარ იყვნენ, ხოლო პან ზაგ-ლობა მიჰქროდა ყველაზე წინ, იქნევდა ხმალს და ჰყვიროდა საშინელის ხმით:

— დაჰკა! გააპე!

ავერ პოლონელთა თხრილებზე რაღამაც გააშუქა, ყუმ-ბარამ რუხ-რუხით გადახაზა ცეცხლის რკალი ცაზედა და ჩავარ-და ყაზახთა ბრბოს შუა-გულ, მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეა-თე. კაცს ეგონებოდა ხელახლად იწყობა ომიო.

ყაზახებს ზბარაჟის გარ-შემოდგომამდე არ ენახათ სასკდომი ყუმბარები და ამიტომ ძალიან ეშინოდათ მათი, ეგ „ერიომას“ ჯადოქრობა იქნებაო; ბრბო შეჩერდა ერთ წუთს, მერე ორ ნაწილად გაიყო, ხოლო ამასთანავე ერთად დაიწყო სკდომა ყუმბარებმაც და ყველგან გარშემო გაავრცელა შიში და ძრწო-ლა, სიკვდილი და განადგურება.

— თავს უშველეთ! თავს უშველეთ!—გაისმა ხმა შეშინე-ბულებისა.

ყაზახნი გაიფანტნენ, ხოლო პან ლონგინუსი და პატარა რაინდი შეუერთდნენ ამხანაგებს. ზაგლობა ხან ერთს ეხვეოდა კისერზე, ხან მეორეს, ჰკოცნიდა კისერზე, ლოყებზე, სიხარული ახრჩობდა, მაგრამ, რომ არა სთქვან ზაგლობა ჩეილი გულისააო, უწყალოს პირით ილანძღებოდა:

— ჰაი, თქვე ავაზაკნო! თქვენ გგონიათ, რომ მართლა აგრე ძლიერ მიყვარხართ? ან ვშიშობ, რომ ტყავი არ გაეძროთ ყაზახებს თქვენთვის? როგორარა! თუნდა ასო-ასო აეჩეხნეთ ყაზა-ხებს, ჩემთვის სულ ერთია! აგრე იცით სამსახური, რომ უკან რჩე-ბით? ძალიან კარგი! პირველი მე ვეტყვი თავადს, რომ დაგსა-ჯოთ. ახლა კი წავიდეთ და დავიძინოთ. მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა. ბედი ჰქონიათ მაგ ტეტიებს, რომ ყუმბარე-ბისა შეეშინდათ, თორემ სულ ასო-ასო ავკეპავდი. მე იმ-ათი ცემა მირჩევნია, ვიდრე ისა, რომ ჩემის ნაცნობების გა-ჭირვებას ვუცქეროდე. მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა! მე-

გონა ხვალ განუსვენეს თქმა მოგვინდება-შეთქი. ვნანობ, რომ ერთხელ კიდევ ვერ ვასწავლეთ ჩვენ იმათ ჭკუა.

IV

პოლონელებს, მეტი ღონე არ იყო, უფრო ეიწროდ უნდა შემოერტყათ თხრილები და შეემცირებინათ ბანაკი, რათა უფრო ადვილი ყოფილიყო მისი დაცვა შეთხელებულ ჯარისა და მხედრობისათვის. იერიშის შემდეგ მთელი ღამე ჯაფასა და შრომაში გაატარეს. გარნა არც ყაზახნი ისხდნენ გულ-ხელდაკრეფილნი. მიიპარნენ ღამით აბლოს და პოლონელთა ბანაკს უფრო მაღალი თხრილი შემოარტყეს; განთიადისას დაიწყო სროლა და ოთხი დღე და ღამე არ შეწყვეტილა. მოპირდაპირეთ თანაბარი ზარალი მოუვიდათ იმიტომ, რომ სროლაში მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო მეთოფურნი.

ჟამითი-ჟამად სიმრავლე ყაზახთა და ბრბოსი ეცემოდა ხოლმე თხრილებს იერიშით, მაგრამ თხრილებამდე ვერ მიაწევდა ხოლმე, ხოლო სროლა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. გარს შემოდგმულთ დიდი ჯარი ჰყავდათ, სცვლიდნენ რაზმებს, ერთნი რომ ისვენებდნენ, მეორენი მიდიოდნენ საბრძოლველად. პოლონელთა ბანაკში კი არც ცვლა იყო და არც მოსვენება. სროლითაც ერთსა და იმავე ჯარის-კაცებს უნდა ესროლნათ, ზედ მოსულნიც მოეგერებინათ, მოკლულნიც დაესაფლავებინათ, თხრილებიც შეემაღლებინათ. დაქანცულ-დაწყვეტილ ჯარის-კაცებს მუშაობის დროსა სთვლემდათ და ძილი მოსდიოდათ მაშინ, როცა ტყვია. წვიმა-წყალივით მოდიოდა. ოთხის დღის განმავლობაში ტანისამოსი არავის გაუხდია, რომელიც სველდებოდა წვიმაში და შრებოდა მზეზე. ოთხის დღის განმავლობაში არავის უჭამია თბილი საჭმელი. ჯარის-კაცნი სვამდნენ არაყს და რომ უფრო მაგარი ყოფილიყო, შიგ თოფის წამალს ურევდნენ, ლოლნიდნენ გამხმარ პურს, იმტერევდნენ კბილებს მზეზე გამოსულის მაგარის ხორცის გლეჯითა და ყოველივე ესე მაშინ, როცა გარშემო კვამლი იდგა,

თოფი გრიალებდა, ტყვია ზუზუნებდა და ზარბაზნებს გაჰქონდათ რუხრუხი.

წუთიც კი არსად იყო მოსასვენებლად... მეომარი იხვევდა გასისხლიანებულს თაეს ჭუჭყიანის ხელსახოცით და განაგრძობდა ბრძოლას. უცნაური ხალხი იყო სწორედ: დაგლეჯილ-დაფხრეწილი ტანისამოსი ეცვათ, წვრილ-თვალა ჯაჭვის პერანგნი დაჰკანგებოდათ, თვალები დასწითლებოდათ უძილობით, გარნა მაინც მუდამ თვალ-გაფაციცებულნი იყვნენ, მუდამ მხნენი, დღე იყო თუ ღამე, წვიმა მოდიოდა თუ დარი იდგა, მუდამ მზად მყოფნი ბრძოლად.

ჯარის-კაცმა შეიყვარა თავისი მთავარ-სარდალი, განსაცდელი, იერიში, წყლულნი, სიკვდილი. რაღაც ნაირმა დევურმა აღფრთოვანებამ შეიპყრო ყველანი, გაამაგრა გულნი, განამტკიცა გონებანი. შიში და ძრწოლა ნეტარებად გადიქცა. ერთი სადროშო მეორეს ეჯიბრებოდა, აბა ვინ უფრო მეტს აიტანს, ვინ უფრო მეტს მხნეობასა და ვაჟკაცობას გამოიჩენსო. ბოლოსა და ბოლოს გაძნელდა შემაგრება მათი თხრილებზე: ისეთ ნაირად მიიწევდნენ მტერთან შესაბმელად, თითქოს მშიერნი მგელნი ეტანებიან ცხვრის ფარეხსაო. ყველგან რაღაც დანთხვეული მხიარულება სუფევდა. ხმა რომ ამოეღო ვისმე დაენებდეთ მტერსაო, ბრბო ასო-ასო დაჰფლეთდა. ან გამარჯვება, ან სიკვდილიო!

ყოველი ბრძანება მთავარ-სარდლისა ელვის სისწრაფით სრულდებოდა. ერთხელ როცა თავადმა საღამო ჟამზე შემოუარა თხრილებს, ყურადღება მიაქცია, რომ ლეშჩინსკების სადროშო კანტი-კუნტად ისროდა თოფს. მივიდა ახლოს ჯარის-კაცებთან და ჰკითხა:

— რატო თოფს არ ისვრით?

— თოფის წამალი გამოგველია, ციხეში გავგზავნეთ კაცი ტყვია-წამლის მოსატანად.

— აიქ უფრო ახლოა! — უთხრა თავადმა და ანიშნა მტრის სანგრებზედა.

სთქვა თუ არა ესა, მთლად სადროშო გაიქცა სირბილით მტრისაკენ და როგორც გრიგალი, ისე დაეცა სანგრებს. ყაზახნი თოფის კონდახებით ამოხოცეს. ოთხი ზარბაზნის ფალია გადასჭედეს და ნახევარ საათის შემდეგ ძვირფასად ნაყიდის ძლევა-მოსილებით დაბრუნდნენ უკან საკმაოდ ნაშოვნის ტყვიაწამლითა.

დღე მისდევდა დღეს. ყაზახთა სანგრები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ პოლონელთა ბანაკს. ყაზახნი ისე ახლოდან ესროდნენ თოფს, რომ ყოველ დღე თვითეულს პოლკს ათ-ათი კაცი აკლდებოდა, იერიში რომ არ ვიანგარიშოთ; ქსენზნი მომაკვდავებთან ვეღარ მიდიოდნენ წმინდა საიდუმლოთი. გარს შემოდგომილნი თავს იცავდნენ ურმებითა, კარვებითა და ხარის ტყავებით წინ აფარებულნი; მოკლულთ ღამ-ღამობით ასაფლავებდნენ, ვინც სად განუტეევებდა სულს, ხოლო ცოცხალნი მით უფრო მეტის მძვინვარებით იბრძოდნენ თავიანთ ამხანაგების საფლავებზედ. ხმელნიცკი თავისს ხალხის სისხლს არა ჰზოგავდა, მაგრამ მაინც ყოველი ახალი იერიში, ახალს უნუგეშობასა და უიმედობაში აგდებდა. ეს შეუპოვარი წინააღმდეგობა მტრისა მეტის-მეტად აკვირვებდა; იმედი ჰქონდა, რომ დრო შეასუსტებს, დასცემს სულით ალყა-შემორტყმულთაო, ხოლო დრო მიდიოდა და ისინი კი უფრო ნაკლებ ერიდებოდნენ სიკვდილს.

სარდალნი აძლევდნენ მაგალითს თავიანთ ჯარის-კაცებს. თავადი იერემია ცარიელ დედამიწაზე წვებოდა დასაძინებლად. მისი სასმელი იგივე ხრაკიანი არაყი იყო და საჭმელი—მზეში გამოსული ცხენის ხორცი. იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას, ჯაფასა და ჰაერის ცელილებას, თუმცა ბატონ-კაცობას და ნებიერ ცხოვრებას იყო მიჩვეული. სახასო მედროშე სარდალი კონეცპოლსკი და მოურავ-ერისთავი კრასნოსტაველი თვით უძღოდნენ რაზმებსა საფრებიდან გახტომის დროს, ხოლო როცა იერიშით მიდიოდნენ, იბრძოდნენ უჩაჩქნებოდ.

ის სარდალნიც კი, რომელთაც როგორც ასტროლოგს აკლდათ სამხედრო გამოცდილება და რომელთაც ჯარის-კაცნი ნდო-

ბით არ უცქეროდნენ, ისინიც კი ერემიას ხელმძღვანელობის ქვეშე თითქო სულ სხვა კაცებად გადიქცნენ. მოხუცი ფირლეი და აგრედვე ლეანცკარონსკი თხრილებთან იწვნენ და იქ ეძინათ, პან ფშიემსკი დღისით ზარბაზნებს ჰმართავდა, ხოლო ღამ-ღამე სთხრიდა თხუნელასავით მიწას, აკეთებდა მის ქვეშ ნაღ-ბებს, ყაზახთა ნაღბების ასაფეთქებლად და გაჰყავდა გვირაბნი და იდუმალნი გზანი, რომელთა წყალობითაც პოლონელთა ჯარის-კაცნი სიკვდილის ანგელოზებივით გაჩნდებოდნენ ხოლ-მე მიძინებულ ყაზახთა შორის.

ბოლოს ხმელნიცკიმ გადასწყვიტა დავუწყებ მოლაპარა-კებასაო. ოც და ოთხს ივლისს საღამოზე ყაზახთ დაიწყეს ყვი-რილი თხრილებიდან, ნუღარ ისვრით თოფებსაო. წინ გამო-გზავნილმა იმიერ-ჭორომელმა შეატყობინა მტერს, რომ გეტმანს უნდა ინახულოს ზაცვილიხოვსკიო. მცირე ხნის თათბირის შე-მდეგ სარდალნი დასთანხმდნენ მოლაპარაკება დაეწყოთ და მოხუცი კაცი წავიდა ცხენით ხმელნიცკისთან.

რაინდნი ჰხედავდნენ შორიდან, რომ ყაზახნი ზაცვილი-ხოვსკის დანახვაზე მაღლა ისროდნენ ქუდებსა: თვისის მცირე ხნის კომისარობის დროს მან მოახერხა და დაიმსახურა პატი-ვისცემა მთელის განადირებულის იმიერ-ჭორომეთისა; თვით ხმელნიცკიც პატივსა-სცემდა. თოფის სროლაც შესწყდა. ყა-ზახნი მიუახლოვდნენ თხრილებს; რაინდნიც ძირს ჩამოვიდნენ. მოპირდაპირენი გაფრთხილებულნი იყვნენ, მაგრამ ამ ერთმა-ნეთის ნახვას მტრობისა და გადაკიდებისა არა ეტყობოდა-რა. შლიახტა ყოველთვის უპირატესობას აძლევდა ყაზახობას ტე-ტიობის წინაშე, ხოლო ახლა, რაკი იხილეს მათი ვაჟკაცობა და შეუპოვრობა ბრძოლაში, ისე ემუსაიფებოდნენ, როგორც სწორი სწორსა, როგორც რაინდი რაინდსა; ყაზახნი გაკვირ-ვებით უცქეროდნენ ამ ახლოსა, მაგრამ შეუვალს ლომთა ბუ-ნაგს, რომელიც ისე იტანდა იმოდენა ხალხისა და თათართა მხედრობის ტევასა და გარ-შემოდგომასა. უფრო ახლოს მივი-დნენ და დაიწყეს წუხილი, რომ ამდენი სისხლი იღვრება ქრის-

ტიანეთაო. მერე მოჰყვნენ და დაუწყეს ერთმანეთს თავაზი თუ-თუნისა და არაყისა.

— ეჰ, ბატონო რაინდნო!—უთხრა მოხუცმა იმიერ-ჭორომელმა,—ყოველთვის რომ აგრეთები ყოფილიყავით, აღარც ყვითელი წყლების ამბავი იქნებოდა, აღარც კორსუნისა და აღარც პილავცისა. თითქო ტარტაროზები ხართო, ადამიანი-შვილები კი არა. თქვენისთანები ჩვენ თვალითაც არ გვანახავს აქამდისინ.

— მობრძანდით ხვალა და ხვალ-ზეითა და მუდამ მაგისთანები დაგხვდებით.

— ჰო-და მოვალთ, ხოლო ჯერ-ჯერობით მადლობა ღმერთსა ამ შესვენებისათვის. რამდენი ქრისტიანის სისხლი დაიქცა! თქვენ უიმისოდაც შიმშილი დაგძალავთ.

— მეფე უმალ მოვა შიმშილზედ; ჯერ-ჯერობით ჩვენ ყველაფერი საკმაოდა გვაქვს.

— დაგვაკლდება კიდევა და თქვენს ბანაკში მოვძებნით,—სთქვა ზაგლობამ და დოინჯი შემოიყარა.

— ღმერთმა ჰქნას, რომ ბიძია ზაცვილიხოესკიმ კარგად გაათავოს საქმე ჩვენ გეტმანთან; ხოლო თუ ვერ გაათავებს და ვერ მოურიგდება, საღამოზედ ისევ იერიშით მოვალთ.

— ის გერჩივნათ, რომ ჩვენ თავადთან ერთად შეგეტიათ აგარიანთათვის, ვიდრე ამბოხება დაგეწყოთ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

— თქვენს თავადთან...

— ჰმ, კარგი იქნებოდა.

— მერე რადა წინააღმდეგობთ? მეფე მოვა, გეშინოდეთ მეფისა. თავადი ერიომაც მამა იყო თქვენთვისა...

— ისეთივე მამა, როგორც სიკვდილია დედა. ჟამს არ ამოუჟლეტია მაგდენი ვაჟკაცი ხალხი.

— უარესსაც გიზამთ; ჯერ კიდევ არ იცნობთ იმას.

— არც გვინდა იმისი ცნობა. მოხუცებულები ამბობენ ჩვენში: ყაზახმა თუ ის დაინახა, მაშინადვე მოკვდებაო.

— ხმელნიკისაც ისე მოუვა.

— ღმერთმა იცის რა მოუვა. ერთია მართალი მხოლოდ. ვერ იცოცხლებენ ეგენი ამ ქვეყნად ერთადა. ჩვენი მამა-ბატონი კი ამბობს: იმათ რომ ერიომა მამცენ ხელში, სხვას ყველას თავისუფლებას მიეცემდი და მეფესაც მთელის ყაზახობითურთ თავს დავუკრავდიო.

პოლონელთ ჯარის-კაცთ ამაზედ გული მოუვიდათ და ხმალს დაუწყეს გავლება ხელისა.

ასე მუსაიფობდნენ მოპირისპირენი, ხან ამხანაგურად და ხან მტრულადა; მძულვარება ძალა-უნებურად იჩენდა თავსა. შუადღის უკან დაბრუნდა ბანაკში პან ზაცვილიხოვსკი. სამშვიდობო მოლაპარაკება არა ყოფილიყო-რა და ზავიც არ იქმნა ჩამოგდებული. ხმელნიცკი საშინელს პირობასა სდებდა, თავადი და მედროშე კონეცპოლსკი მომეცითო. ბოლოსა და ბოლოს ჩამოსთვალა რა და რა გაჭირვება უნახავს იმიერჭორომეთის მხედრობასაო და დაუწყო თხოვნა პან ზაცვილიხოვსკის ჩემთან დარჩი სამუდამოდაო. მოხუცი რაინდი ცეცხლივით აენთო, წამოიჭრა ზეზე და გამოსწია უკან. საღამოზედ დაიწყო იერიში, მხნედ უკუქცეული. მთელი ბანაკი ცეცხლში იყო მთელს ორს საათს.

ყაზახნი არა თუ უკუ აქციეს, არამედ პოლონელთა ქვეითა ჯარმა აიღო პირველი სანგრები, მიფუტკნ-მოფუტკნა მტრის ნამუშაევარი და კვლავ დასწვა თოთხმეტი „მოსეირნე ციხე-ქალაქი“. ხმელნიცკიმ შეჰფიცა იმ ღამეს ყეენსა, რომ ალყას არ აეხსნი, ვიდრე იმ ციხე-გალავანში თუნდ ერთი კაცი კიდევ იქნება ცოცხალიო.

მეორე დილას კვლავ ახალი სროლა თოფისა, ახალი თავ-დასხმა, ბრძოლა მთელს დღეს, ბრძოლა დაუნდობელი, უწყალო. გუშინდელმა კეთილმა გრძნობმ და წუხილმა ამოტენა ქრისტიანეთა სისხლი იღვრებაო, ადგილი დაუთმო უმეტესს მძვინვარებას. დილიდანვე სცრიდა წვიმას. ამ დღეს ჯარის-კაცებს მხოლოდ ნახევარ ულუფა მისცეს; პან ზაგლობა დიდხანს ბუზღუნებდა ამისგამო, ხოლო ცარიელი მუცელი უფრო აძლიერემდა რაინდთა გულადობას. ყველამ ფიცი დასდო დავი-

ხოცნეთ ომში და მტრის ჯავრს კი ნუ შეეჭამთ. საღამოზე ყაზახებმა კიდევ მიიტანეს რამდენიმე იერიში, ოსმალურად ჩაეცვათ ტანთა და ისრე იბრძოდნენ, მერე დადგა ღამე საშინელებისა, მოუსვენრობისა. თოფის სროლა ერთს წუთს არ შეწყვეტილა. იბრძოდნენ გუნდ-გუნდადაც და თითო-თითოდაც. გამოვიდა საფალავნოდ პან ლონგინუსიც, მაგრამ იმასთან ბრძოლა არავინ მოინდომა, ბხოლოდ შორიდან ესროდნენ თოფსა და ისარს, სამაგიეროდ ვოლოდიევსკიმ ახალი ფოთოლი ჩააწნა თავისს დაფნის გვირგვინს მით, რომ ფალავნობაში მოჰკლა სახელოვანი დუდარი. გამოვიდა ბოლოს თვით პან ზაგლობაცა, გარნა მხოლოდ სიტყვიერის კამათობისათვის. „ბურლაის შემდეგ აღარა ღირს ხელი გავისვარო სხვა-და-სხვა ვიგინდარაზეო,“— ამტკიცებდა შლიახტიჩი, სამაგიეროდ შაირობაშია და სიტყვიერ შეჯავრებაში ვერავინ ჰპოვა ყაზახთა შორის თავის ტოლი და ბადალი, და ისე გაუხადა საქმე, რომ სულ კბილებში ოფლი ადინა. საფარში ჩამჯდარი უყეიროდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— ისხედით აქ, ზბარაჟის გარშემო, ავაზაკნო, და იქ კი ლიტველთა ჯარი მოდის დნეპრზე წყალ-წყალა. მერმის გაზაფხულზე თვითეულ თქვენ სახლში თითო პატარ-პატარა ლიტველი დაგხვდებათ, თუ კი დაუნგრეველი დაგრჩათ თქვენი სახლები!

ლიტველთა ჯარი რაძივილის უმფროსობით მართლაც მოდიოდა დნეპრის ჩამოყოლება და სწვავდა და ინადგურებდა გზა-გზა ყოველსავე, რაც კი შეხვდებოდა. ყაზახებმა კარგად იცოდნენ ესა და ამიტომ სეტყვასავით დაუშინეს პან ზაგლობას ტყვია, მაგრამ ხანში შესული შლიახტიჩი თავსა მალავდა საფარში და განაგრძობდა ყვირილსა:

— ვერ მომარტყით განა, თქვე ძაღლის დაყრილებო? მე კი მოვარტყი ბურლაის. აქ გახლავარ, მე, აქა! გამოდით საფალავნოდ ჩემთან! მიცნობთ, ვინცა ვარ, ჰო მიცნობთ, ვინცა ვარ! მესროლეთ, აბა მესროლეთ, ვიდრე დრო გაქეთ, თორემ ბოლოს ხომ მაინც არ აგცდებათ ყირიმში თათრის შვილების

ლალაობა, ან კიდევ დნეპრის ნაპირების გამაგრება გოდორ-
ყურეებითა. მობრძანდით, მობრძანდით, მომიცია გროში იმის-
თვის, ვინც თქვენის ხმელნიკკის თავს მომიტანს! ჭირი სალამს
გაძლევთ! წადით, წადით, დაუბრუნდით თქვენს გუთნებსა და
ხარებსა, წუწკის შვილებო! თქვენ უნდა ალუბალსა და მარილზე
დადიოდეთ ქირითა, რა თქვენი საქმეა ჩვენთან ბრძოლა!

თავის მხრივ ყაზახნიც დასცინოდნენ და მასხარად იგდებ-
დნენ პანებს: სამ-სამს იძლევიან მაგათ თითო გამხმარ პურშიო;
ეკითხებოდნენ, რატომ მახტასა და ღალასა არა თხოულობთ
თქვენის ყმებისაგანაო. მაგრამ კამათობაში მაინც ზაგლობა
სჯობნიდა. გააბავდნენ ასეთს კამათსა, რომელსაც მოსდევდა
საშინელი ხარხარი და სიცილი, ხან და ხან მთელი ღამე შაი-
რობდნენ და შეესიტყვებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ამავე დროს
თოფის სროლა იყო განუწყვეტელი და ხან ხელ-ჩართული
ბრძოლაცა.

პან იანიკკი წავიდა თათრებთან მოსალაპარაკებლად;
ყეენმა გამოუცხადა, რომ სულ გავჟლეტ პოლონელთაო. მოთ-
მინებიდან გამოსულმა ელჩმა უპასუხა ამაზე: „დიდი ხანია მაგრე
ბეემუქრებიან, მაგრამ სიტყვით არა კეთდება-რა! ვინც მოვა
ჩვენი თავის ხელში ჩასაგდებად, თავისას აქ დასტოვებსო!“
ყეენმა მოსთხოვა თავადი ერემია გამოვიდეს მინდვრად და ჩემ
ვეზირს მოელაპარაკოსო, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ მხო-
ლოდ მახის დაგება ნდომოდა თავადისათვის და ამიტომ მოლა-
პარაკება შეწყვეტილ იქმნა. ხოლო ბრძოლა ერთ წუთს არ
შეწყვეტილა, საღამოობით იერიში, დღისით სროლა ზარბაზ-
ნებისა, გამოხტომა ციხე-გალავნიდან, გამძვინვარებული შეტევა
ცხენოსანის ჯარის მიერ და ყველგან სისხლი...

პოლონელთ ძალას აძლევდა რაღაც უცნაური წყურვი-
ლი ბრძოლისა, სისხლისა და განსაცდელისა. მიდიოდნენ ბრძო-
ლად სიმღერების თქმითა, თითქოს ქორწილში მიუხარიანთო.
ყველანი ისე შეეჩვიენენ თოფის სროლასა და ჟრიამულსა, რომ
დასასვენებლად გაგზავნილი რაზმი გულის ძილში იყენენ იმ
დროს, როცა გარეშემო ტყვია ზუზუნებდა და იქაურობას

თოფის სროლის ცეცხლი აშუქებდა. სურსათი დღითი-დღე ილეოდა, სარდალთ წინადვე არ ეზრუნათ ამისათვის თავადის მოსვლამდე ზბარაჟში. ჩამოვარდა საშინელი სიძვირე, მაგრამ ვისაც შეძლება ჰქონდა, რომ ან პური ეყიდნა, ან არაყი, ის სიამოვნებით უზიარებდა თავის ქონებას უქონელთა. არავინ არა ზრუნავდა ხვალისთვის,—სულ ერთია, რაც მოგვივა, მოგვივაო: ან შემწეობა მოგვესწრება მეფისაგან, ან სიკვდილი და ჩვენი ჯანიო. ჯარის-კაცნი ყველაფრისთვის მზად იყვნენ, უფრო კი ბრძოლისათვის. არ გაგონილა ისტორიაში ასეთი მაგალითი: ათნი და ოცნი ეწინააღმდეგებოდნენ ასსა და ათასსა ისეთის შეუპოვრობით, ისეთის მხნეობით, რომ თვითეულს იერიშს ახალი დამარცხება მოსდევდა ალყის შემომრტყმელთა. ამას გარდა დღე არ გასულა ისე, რომ ალყა შემორტყმულნი არ გახტომოდნენ მტერს და არ დასხმოდნენ თავს იმათ საკუთარ სანგრებში. საღამოობით, როცა ხმელნიცკი იფიქრებდა, რომ დაღლილობა ახლა კი გასტეხდა თვით ძლიერთაცაო და ჩუმად ემზადებოდა თავ-დასასხმელად, უცებ მოესმოდა მხიარული სიმღერის ხმა. მაშინ კი გაოცებული იცემდა ხელებს მუხლებზედ და ამბობდა, ახლა კი მჯერა რომ ერემია ჯადოქარი ყოფილა, უფრო ძლიერი, ვიდრე ჩვენ ყველანიო.

უფრო მეტად გამძვინვარებული ამის გამო კვლავ მიდიოდა საომრად და ღერიდა ზღვას სისხლისას. ახლა თითქო მიხვდა, ჩემი ვარსკვლავი ჰქრება და საშინელის თავადის ვარსკვლავი კი უფრო სხივ-ცისკროვანდებაო.

ყაზახთა ბანაკში ერიომაზე გამოთქმულ სიმღერებს ამბობდნენ, ან ჩურჩულით უამბობდნენ ერთმანეთს ისეთ ამბებს იმის შესახებ, რომ კაცს თმა ყალხზე დაუდგებოდა. ამბობდნენ, რომ ღამ-ღამობით გაჩნდება ხოლმე თხრილებზე და იზრდება ყველას თვალ-წინ, რომ ზბარაჟის ციხე-კოშკზე მაღალი სჩანს, რომ მისი თვალები ამ დროს ისე აშუქებენ, თითქო მთვარეაო, ხოლო მახვილი ისრე უელვარებს ხელში, როგორც შავბედითი ვარსკვლავი, რომელსაც გამოაჩენს ხოლმე ღმერთი ჟამითი-ჟამად ხალხის დასაღუპავადაო. ამბობდნენ აგრედვე, რომ

როცა კი დაიძახებს, რაინდნი, დახოცილნი ომში, კვლავ სდგებიან იარაღის ჟღერითა და თავთავიანთ ადგილს იჭერენ ცოცხლებთან ერთადაო. ერემიას სახელი ყველას პირზე აკერია: იმის საქებარ ლექსებს ამბობდნენ მეფანდურენი, იმის ამბავს ლაპარაკობდნენ მოხუცნი იმიერ ჭოროზელნი, უვიცი და გაუგებარი ბრბო, თათარნი და ოსმალნი. ხოლო ყოველ ამ მითქმა-მოთქმაში, ამ მძულვარებაში, ამ აუხსნელ შიშსა და ძრწოლაში იმალებოდა რაღაც გადარეული სიყვარული, რომლითაც ველურ მინდვრის ხალხს შეეყვარებინა თვისი ულმობელი ამომწყვეტელი. დიაღ, ხმელნიცკის დიდება ჰქრებოდა ერემიას დიდებასთან შედარებით, არამც თუ ყეენისა და თათართა თვალში, არამედ საკუთარ მის ერის თვალშიაცა; ატამანი ჰხედავდა, რომ უნდა აეღო ზბარაჟი, ან არა და იმისი აღმატება და აღფრთოვნება ისე გაჰქრებოდა, როგორც წყვდიადი განთიადის წინადა, უნდა გაექელნა ფეხ ქვეშ ეს ლომი, ან არა და უნდა დაღუპულიყო.

ხოლო ლომი არა თუ თავს იცავდა, არამედ თვით გამოდიოდა თავის ბუნაგიდან უფრო და უფრო საშინელი სახითა. ველარა მიუდგა-რა იმასა, ველარამ გასტეხა: ვერც ცბიერებამ, ვერც მტრის დიდმა სიმრავლემა. ყაზახობამაცა და ბრბომაც დრტვინვა დაიწყო. იმათაც გაუჭირდათ გამუდმებული ყოფნა ბოლსა და ცეცხლში, სეტყვის ქვეშ, წვიმასა და სიცხეში, პირისპირ სიკვდილისა. ჯაფას კი არ უფრთხოდნენ გულადნი ვაჟკაცნი, დაღალვასა, იერიშსა, ცეცხლსა, სისხლსა და სიკვდილსა, არა ისინი უფრთხოდნენ ერიომასა.

მრავალმა რაინდმა შეიმოსა უკვდავი დიდება ღირს-სახსოვარ ზბარაჟის ბანაკში, მაგრამ მგოსანის ჩანგმა უპირველეს ყოვლისა უნდა შეაქოს პან ლონგინუს პოდბიპენტა იმ დიდის ღვაწლ-მოსილებისათვის, რომელსაც მხოლოდ მისი სიწყნარე და გულ-კეთილობა თუ შეედრებოდა. იმ ღამეს საშინელი ცუ-

დი ამინდი იყო, ბნელოდა და ციოდა; ჯარის-კაცნი, დაღლილნი დარაჯობით, სთვლემდნენ ხმლებზედ დაყრდნობილნი. ათის დღის თოფის სროლისა, და იერიშის შენდეკ პირველად ჩამოვარდა დუმილი და მშვიდობა. ყაზახთა ახლო-მახლო საფრებიდან, რომლებიც სულ ოც და ათს ნაბიჯზედ ძლივს იქმნებოდა, არ ისმოდა არც ხმაურობა და არც წყევლა-გინება. კაცს ეგონებოდა, რომ ყაზახნი, რომელთაც უნდოდათ მტერი მოეღალათ, უმალ თვით დაიღალნენო. მხოლოდ აქა-იქ ოდნავ ბჟუტაედა სანათი მიწურებში; საიდანღაც მოისმოდა წყნარი, ტკბილი ხმა ყაზახის ფანტურისა; შორს, შორს, თათართა ბანაკში ცხენები ჭიხვინებდნენ, ხოლო თხრილებიდან ჟამითი-ჟამად მოისმოდა დარაჯთა ერთმანერთის გამოხმაურობა.

თავადის სახასო სადროშონი იმ ღამეს მორიგ სამსახურში იყვნენ და ბანაკს სდარაჯობდნენ. პან სქშეტუსკი, პან პოდბიპენტა, პატარა რაინდი და ზაგლობა დასხდნენ თხრილებზედ, ეჩურჩულებოდნენ ერთმანერთს და თან ყურს უგდებდნენ წვიმის მუილს, ნიაღვრის ხმას.

— მე ეს მყუდროება და დუმილი ძრიელ მაკვირვებს,— სთქვა სქშეტუსკიმ.— ყურთა სმენა ისე მიეჩვია თოფის სროლასა და ჟრიამულს, რომ სიჩუმე მაშიენებს. მოულოდნელი არა იფარებოდეს-რა ამ სიჩუმეში.

— მას აქეთ, რაც ნახევარ-ულუფაზედ ჩამოგვახდინეს, ჩემთვის სულ ერთია! — დაიწყო ბუზღუნით პან ზაგლობამ.— ჩემის გულადობისათვის სამი რამ არის საჭირო: კარგი ჭამა, კარგი სმა და კარგი ძილი. რაც უნდა კარგი თასმა იყოს, თუ ქონი არ წაუსვი, გახმება და დასკდება. აქ კი, თითქო ადამიანი კანაფი იყოს, ზიხარ და სველდები წვიმაში. წვიმა გვასველებს და ყაზახნი ცეცხლს გვიკიდებენ. მიკვირს, რატომ ტყავი არ აგძვრება. კარგს ყოფაში კი ვართ სწორედ: ერთი ბეწვა პური ფლორინი ჭღირს, ხოლო ჩარექა არაყი ხუთი ფლორინიო. ამ მყრალ წყალს ხომ ძაღლიც არ დაჭლევს; ჭის წყალსაც კი მძოვრის სუნი უდის, მე კი ისე მწყურიან, როგორც აი ამ ჩემს ჩექმებს, რომლებსაც თევზიით პირი დაუღია.

— შენი ჩექმები წყალს მაინცა სვამს და არაეის არას უჩივის,—სთქვა პან ვოლოდიევსკიმ.

— შენ რომ გაჩუმდებოდე, ის გირჩევნიან, პან მიხალ! შენა წიწილაზედ მეტი არა ხარ და რა გიშავს, ერთი მარცვალი რომ შეჭამო ფეტვისა და ერთი სათითე წყალი დაჭლიო, გეყოფა. ხოლო მე, მადლობა უფალსა, შენსავით დღე-ნაკლები და დანაკული არა ვარ რძე-ნაწყენივით, არც ნეხვში უპოვნივარ ქექვით ქათამსა, არამედ დედაკაცის ნაშობი ვარ, ამიტომ სმაჭამა მინდა, ხოლო სამხრობიდან ნაწილი არ ჩასულა ჩემს პირში და აბა, რა გასაკვირველია, რომ შენს ხუმრობაში, ვერავითარს გონება-მახვილობას ვერა ვხედავდე.

პან ზაგლობამ გაჯავრებით დაიწყო ქშინვა, ხოლო პან მიხალი ხელებს აფათურებდა და რაღასაც ეძებდა სარტყელში.

— დღეს დილით ერთს ყაზახს არაყით სავსე ბოთლი წავართვი,—სთქვა მან,—ხოლო რაკი მე ქათამს ნეხვიდან ამოუქექივარ, მგონია, რომ არაყი ჩემისთანა უარარაო არსებისა გემრიელი არ გეჩვენება შენა. აჰა, იან, შენ დალიე!—მიაწოდა მან ბოთლი სქშეტუსკის.

— მომეცი მართლა, თორემ ცივა!—სთქვა სქშეტუსკიმ.

— დალიე და პან ლონგინუსს გადაეცი.

— კუჭეჭა ხარ, პან მიხალ,—მოტკბა ზაგლობა,—მაგრამ მაინც კაი კაცი ხარ და ის უეჭველი ღირსებაცა გაქვს, რომ შენ თვითონ იკლებ, თუ რამ გაქვს და სხვას აძლევ. და ან კი რა ქათმები უნდა იყვნენ ის ქათმები, რომ შენისთანა რაინდებს ნეხვში ჰპოულობდნენ? არა, მაგისთანა ქათმები არსად იქნება და არც შენზედ ვამბობდი მე.

— მაშ, ჩამოართვი არაყი პან ლონგინუსსა; არ მინდა გაწყენინო,—უთხრა პან მიხალმა.

— ყელი არ გამომჭრა, კაცო? მეც დამიტოვე პატარა!—შეჰყვირა შეშინებულმა პან ზაგლობამ და მიჰვარდა ლიტველსა, რომელიც არაყსა სვამდა.—აგრე მაღლა რომ არ გადიღო კისერი, არ იქნება? კისერი მოგტყდეს, ანგრე?!. წელები კი გრძე-

ლი გაქვს, ვინ იცის, როდის ამოიცვლებ? ისე ისხავ მაგ მუცელში, თითქო ცარიელი კოლოტიაო!

— ოდნავ მოვსვი, კაცო,—უპასუხა პან ლონგინუსმა და მიაწოდა არაყი.

პან ზაგლობამ მოიწაფა და ძირი დააძახა, გადააფურთხა და დაიწყო:

— ერთად-ერთ ნუგეშად ის-ღა დაგვრჩენია, რომ გათავდება თუ არა ჩვენი ვაი-ვაგლახი და გადავრჩებით, ღვთით, ამ უბედურებას, მაშინ შევივსებთ, რაც ახლა დაგეკარგა. რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ ვერ გაგვაძღონ. აიგერა, მაგალითად, ჟაბკოესკი მღვდელი: კარგი მადიანი პური ჭამა იცის, მაგრამ ისეთია ახლა, რომ მუშტის ტოლა.

— სსუ!—გააწყვეტინა სიტყვა სქშეტუსკიმ,—ვილაც მოდის.

რაინდნი ჩაჩუმდნენ. იმათ ახლო ვილაც კაცი გაჩერდა და შეეკითხა ჩურჩულით:

— არა გძინავთ?

— არა, არა გვძინავს, თავადო,—უპასუხა პან სქშეტუსკიმ და თან წელში გასწორდა.

— ყურ-მახვილად იყავით. ძალიან საეჭვოა ეს მყუდროება და სიჩუმე.

თავადი წავიდა და ათვალიერებდა დარაჯებს, ძილი ხომ არსად მოერიათ დაღლილ-დაქანცულ ჯარის-კაცებსაო. პან ლონგინუსმა გულ-ხელი დაიკრიფა.

— რა მხედართ-მთავარია, ღმერთო! რა უებარი მეომარია!

— ჩვენზედ ნაკლები მოსვენება მაგასა აქვს,—სთქვა სქშეტუსკიმ.—მთლად შემოუვლია თხრილებს ამაღამ, თითქმის მეორე ტბამდე მივა.

— ღმერთმა მეტი დღე მისცეს!

— ამინ!

ჩამოვარდა მდუმარება. ყველანი სიბნელეში იცქირებოდნენ, მაგრამ ყოველივე წყნარად იყო. ოდნავ მბჟუტავი სინათლე ყაზახთა სანგრებში ჩაჰქრა.

— ისე შეიძლება იმათი ამოწყვეტა, როგორც მძინარე ციყვებისა!—სთქვა ვოლოდიევსკიმ.

— ვინ იცის!—უპასუხა სქშეტუსკიმ.

— ისე მერევა ძილი,—წაიბუზღუნა ზაგლობამ,—რომ თვალები თავის-თავად მეხუჭება, დაძინება კი არ შეიძლება. კარგია იცოდეს კაცმა, ნეტავ როდის იქნება შესაძლო, ძილს მისცეს კაცმა თავი? ისვრიან თოფს, თუ არ ისვრიან, შენ მაინც უნდა იდგე თოფ-ქვეშა და აკანტურებდე თავს დაღლილობისაგან. სწორედ ძაღლური სამსახურია! მე თვითონაც არ ვიცი რა მემართება, არაყმა ამიყოლია, თუ იმისაგან მომდის, რომ ისე დაუმსახურებლივ შეგვახურეს დილას მე და ჟამბოვსკი მღვდელი.

— როგორ იყო ეგ ამბავი?—ჰკითხა პან ლონგინუსმა.— დაიწყე კი და არ გაათავე.

— ახლა დავათავებ, იქნება ღმერთმა ჰქმნას და ძილი გავიფრთხო, დილას მე და ჟამბოვსკი მღვდელი დარბაზში წავედით, ვსთქვით, იქნება სასუსნავი რამ ვიპოვოთ იქაო. ვიარეთ, ვიარეთ, სუყველგან შეეიხედეთ, მაგრამ სად რა არის! დავბრუნდით უკან აბრეზილები, ქეჩო-აშვერილები. ეზოში შეგვხვდა კალვინის მოძღვრების მიმდევარი მღვდელი, რომელიც კაპიტანს შემბერგს ადგა თავს სიკვდილის წინად... კაპიტანს-შემბერგს ხომ იცნობთ? გუშინ მოჰკლეს პან ფირლეის სადროშოში. მივუბრუნდი და ვეუბნევი: დიდ ხანს უნდა იწანწალო ახლა, შე ურჯულო, ყველაგან და აჯავრო ღმერთი-მეთქი? ემანდ რისხვა ბრა დაგვატეხო-რა ღვთისა-მეთქი! იმას ალბად ბელსკის მოურავ-ერისთავის იმედი აქვს, და ამიტომ მიპასუხა: „ჩვენი სჯული ისევე კარგია, როგორც თქვენი, იქნება უკეთესიც იყოს.“ ამის თქმა და ჩვენი გაშეშება ერთი იყო, ისე თავზარი დაგვეცა. მე გავჩუმდი. ვფიქრობ ჩემს გუნებაში, აგერ ეს ჟამბოვსკი მღვდელი აქ არის, მოჰყვეს და ეკამათოს-მეთქი. ჩემი ჟამბოვსკი მღვდელი კი სიცილით აღარ არის და ისეთი საბუთი სტკიცა, რომ პასუხი ველარა მოახერხა-რა, რომ აიქ ეცა კედელსა. ამ დროს მოგვისწრო თავადმა მღვდელ მუხოვე-

ცკითურთ და დაგვიწყეს ჯავრობა. რა დროს უწესოებისა და ჩხუბის ატეხაა, განა მაგისთანა კამათი შეიძლება ამისთანა დროსა და ყოფაშიო?!. მოგვყვეს პირი და ისე შეგვამკეს, რომ კარგადა... ერთის სიტყვით, მაგ ფირლეის მღვდლები უარესს საქმეს დაგვმართებენ, რა საჭიროა....

— კაპიტანმა შემბერგმა რაღა ჰქმნა? მოინანია ცოდვები?—ჰკითხა პან მიხალმა.

— ისე დაურჩება იმას თავი! მოკვდა ურჯულოებაში; როგორც სიცოცხლეში იყო წარმართი, ისევე წარმართი წავიდა საიქიოს!

— რა ხალხია! არ უნდათ, რომ სულის ცხონებისათვის დასთმონ თავიანთი ჯიუტობა!—ამოიოხრა პან ლონგინუსმა.

— ღმერთი გვფარავს მტერთაგანა და ყაზახთა ჯადოსაგან,—განაგრძო ზაგლობამ,—ეგენი კი ღმერთს არისხებენ. გაიგეთ, რომ ჯერ ისევ გუშინ ყაზახებმა...

უცბად ვოლოდიევსკიმ მოუჭირა ხელი მაჯაზედ და წაიჩურჩულა:

— ჩუ!

გადახტა გალავნის პირად, თხრილის ნაპირისაკენ და დაიწყო ყურყური.

— არა მესმის-რა!—სთქვა ზაგლობამ.

— ჩუ!... წვიმა შუის და ის გვიშლის!—უპასუხა სქშეტუსკიმ.

პან მიხალი მოჰყვა ხელების ქნევას, ვითომ ნუ მიშლით ყურის გდებასაო, იდგა რამდენსამე წამს მდუმარებითა და ბოლოს მოუახლოვდა ამხანაგებს:

— მოდიან!—წასჩურჩულა მან.

— აცნობე თავადსა! ოსტროროგის ბინისაკენ წავიდა,—ჩურჩულითა სთქვა სქშეტუსკიმ,—ჩვენ კი წავალთ და ეხლავ ჯარის-კაცებს შევატყობინებთ.

გაექანენ აქეთ-იქით და დაბალის ხმით უთხრეს დარაჯად მდგომ ჯარის-კაცებს:

— მოდიან! მოდიანო!

ამ სიტყვებმა ელვის სისწრაფით შემოიარა მთლად ბანაკი: საათის მეოთხედის შემდეგ მოვიდა თავადიც, ახლა უკვე ცხენითა და დაარიგა აფიცრები. რადგან მტერს უნდოდა თავს დასხმოდა პოლონელთ იმ დროს, როცა ბანაკში ყველას ეძინებაო, თავადმა გადასწყვიტა, დეე მოეიდნენ და აგრე ეგონოთ, ეითომ ჩვენ გულის-ძილში ვართო.

ჯარის-კაცნი უნდა ჩუმადა ყოფილიყვნენ, მოეშვათ ალყა-შემორტყმულნი თვით თხრილებამდე და შეეტიათ მათთვის მოულოდნელად მხოლოდ მაშინ, როცა ზარბაზანი გავარდებოდა ამის ნიშნად

ჯარის-კაცნი მზად იყვნენ, მხოლოდ თოფები ძირს დაუშვეს. ყრუ მდუმარება ჩამოვარდა კვალად.

სქშეტუსკი, პან ლონგინუსი და პან ვოლოდიევსკი მწკრივად იდგნენ ერთადა, პან ზაგლობაც იმათთან დარჩა; გამოცდილებით იცოდა, რომ უმეტესი ნაწილი ტყვიისა მეიდნის შუაგულზედ ეცემოდა, ხოლო გალავანზედ, ამ სამის ხმლის პატრონის მფარველობის ქვეშე, უფრო უშიშრად ვიქნებიო.

უკან ამოეფარა მხოლო ამ სამს რაინდს, რადგან ამ გზით მე ამცდება პირველი შემოტეევა მტრისაო. ცოტა გვერდით იდგა პან პოდბიპენტა ზერვიკაპტურით ხელში, ხოლო ვოლოდიევსკი ეჩურჩულებოდა ყურში სქშეტუსკის.

— ნამდვილად მოდიან! ნამდვილად!

— მწყობრად ფეხ-აყოლებით.

— ეგენი არც ტეტიები არიან და არც თათრები.

— იმიერ-ჟორომეთის ქვეითი ჯარია.

— ან იანიჩარები თუ არიან; მშვენივრად იციან წყობისად სიარული. ცხენებზედ რომ ვისხდეთ, უფრო კი ბევრს წავბალთავდით თავსა.

— ძალიან ბნელა და ცხენოსანი ჯარი არ ივარგებდა.

— გესმის ახლა ფეხის-ხმა?

— ჩუ, ჩუ!

კაცს ეგონებოდა, ბანაკი ღრმა ძილშიაო. არსად არავითარი მოძრაობა არ იყო, არც სანათი რამ ენთო, ყველგან

დიდი დუმილი და დაყუდება მეფობდა და ამ დუმილს არღვევდა მხოლოდ წვიმის წვეთების ცვენა. ამ ხმას ნელ-ნელა სხვა ხმაც მიემატა,—უფრო წყობილი, მშვიდი, მაგრამ ყურისთვის უფრო გასაგონი, რომელიც თან-და-თან უფრო ახლოვდებოდა; ბოლოს, თხრილიდან რამდენსამე ნაბიჯზედ გაჩერდა რაღაც შედედებული სიმრავლე ხალხისა, რომელიც იმდენად სჩანდა, რამდენადაც კი თვალს შეეძლო გაერჩია ამ სიბნელეში; გამოჩნდა ეს ბრბო და გაშეშდა ერთს ალაგას.

ჯარის-კაცებმა ხმა გაჰკმინდეს, მხოლოდ პატარა რაინდმა უჩქმიტა სქშეტუსკის, რომ იქნება ამ ღონისძიებით მაინც შევატყობინო, რა სიამოვნებასა ვგრძნობო.

ზედ-მოსულნი მოუახლოვდნენ თხრილს და ჩაუშვეს შიგ კიბეები, ბოლოს ჩავიდნენ თვითონ ძირს და მიაყუდეს გალავნის კედლებს, რომ ზედ ასულიყვნენ.

თუმცა ძალიან ფთხილობდნენ, მაგრამ კიბეებმა აქა-იქ ჭაჭი-ჭუჭი დაიწყო.

„გვაჩვენებენ ჩვენს სეირს!“—ჰფიქრობდა გულში ზაგლობა.

ვოლოდიევსკიმ თავი დაანება სქშეტუსკის ჩქმეტას, ხოლო პან ლონგინუსმა გასთანგა ხელში ზერეიკაპტურის ვადა და დააშტერა თვალები: ყველაზედ ახლო ის იყო გალავანზედა და ვარაუდობდა, რომ პირველმა მე უნდა მივცე პასუხი ზედმოსეულსაო.

ამ დროს კიბის ზემო საფეხურს წაავლო ხელი სამმა ღონიერმა კაცმა და გალავანზედ ნელ-ნელა ამოჰყო თავი სამმა მუზარდმა... თან და თან უფრო და უფრო გამოჩნდა ეს სამი მუზრადი...

„ესენი ოსმალონი თუ არიან!“—იფიქრა პან ლონგინუსმა.

წუთი კიდევა და გაისმა საშინელი გრიალი რამდენისამე ათასის თოფის სროლისა; ისე განათლდა გარშემო, თითქო დღეაო. ვიდრე ეს სინათლე გაჰქრებოდა, პან ლონგინუსმა შემოიქნია თავისი ხმალი და ისეთის ძალითა სცა გალავანზედ ამობობღილებს, რომ ხმალმა წკრიალი დაიწყო.

სამი გვამი ჩავარდა თხრილში, სამი მუზრად-დახურული თავი გაჰგორდა ძირს და ფეხებ-ქვეშ გაუგორდა რაინდსა.

რა დარდი-ღა ჰქონდა პან ლონგინუსს იმის, რომ ქვეყნად ჯოჯოხეთი დატრიალდა, მის თვალ-წინ ახლა ცა გაიხსნა, მხრებზედ ფრთები შეესხა, მის გულში გალობდნენ გუნდნი ანგელოზთანი. ისე იბრძოდა ახლა, თითქო ტკბილს სიზმარშიაო, ცემა მისი ხმლისა სამადლობელი ლოცვა იყო მისთვის.

და აი ყველა, უკვე დიდის ხნის განსვენებულნი პოდბიპენტები, წინაპარის სტოვეიკოდან დაწყებული, იშვებდა და იხარებდა ცაში, რაკი სტკბებოდა ზერვიკაპტურის უკანასკნელის შტოს ხილვითა, სახელდობრ ლონგინუს პოდბიპენტას ცქერითა.

ეს იერიში, რომელ'შიაც საკმაოდ მრავლად იღებდნენ მონაწილეობას ოსმალნი და ყეენის გვარდია, საშინლად იქმნა უკუ-ქცეულ და ცოტა თავში-საცემი არ აუტყდა ხმელნიცკის. მან დაათათბირა ყეენი, რომ პოლონელნი ნაკლების მძვინვარებით დაუწყებენ ბრძოლას ოსმალთაო და თუ შენ ჯარს მომაშველებ, ავიღებ ბანაკსაო. ახლა საჭირო იყო დამშვიდება ყეენისა და გაბრაზებულ მირზებისა, ავსება მათი საჩუქრებითა. ადგა და ყეენს მიართვა ათი-ათასი ტალერი, ტუღაი-ბეის, ყორზ-ალას, სუზალაზის, ნურედინსა და ღალლას — ორ-ორი ათასი. პოლონელთა ბანაკში კი ამ დროს ყველას ეძინა; ცხადი იყო, რომ იერიშს განმეორებით აღარ მოიტანდა მტერი. ყველა გულის-ძილში იყო, იმ სადროშოთა გარდა, რომელნიც დარაჯად იდგნენ და გარდა პან ლონგინუს პოდბიპენტასი, რომელიც მთელს ღამეს ჯვარედინად ხელებ-გაშლილი იწვა და მადლობას სწირავდა ღმერთსა იმიტომ, რომ ინება და აასრულებინა აღთქმა და სახელიცა მისი შეჰმოსა დიდის მორჭმითა. მეორე დილას მთავარ-ერისთავმა მიუწოდა და ქებით შეამკო, ხოლო ჯარის-კაცნი მიდიოდნენ იმასთან მთელის დღის განმავლობაში, ულოცავდნენ გამარჯვებას და ათვალიერებდნენ იმ სამს თავს, რომელიც მის კარავში ეწყო. ბევრს ძრიელ უკვირდა ეს ამბავი და ჰხარობდა, ბევრს კი ჰშურდა.

ყველანი ხელს ართმევდნენ პან ლონგინუსსა, ხოლო იგი იდგა თვალებ-დახრილი, გაწითლებული, დარცხვენილი პატარ-ძალიევითა და ისე ლაპარაკობდა, თითქო დანაშაული რამ მიუძღვის და თავსა მართლულობსო:

— კარგად იდგნენ სამივენი, ისე რომ ერთის შემოკვრით ადვილი იყო სამივეს თავის გაგდება...

ზოგი ხმალსა სინჯავდა, მაგრამ ვერაფინ კი შესძლო მისი თავისუფლად მიქნევ-მოქნევა, თვით ჟაბკოვსკი მღვდელმაც კია, თუმცა ეს მღვდელი ისეთი ხელ-ღონიერი იყო, რომ ადვილად ამტვრევდა ცხენის ნალებსა.

კარავ-წინ თან და თან მრავლად მოგრობდა ხალხი. პან ზაგლობა, სქშეტუსკი და ვოლოდიევსკი ეგებემოდნენ ახლად მოსულებს და უმასპინძლებოდნენ მით, რომ უამბომდნენ, რაც იმ ღამეს მოჰხდა; სხვა ღონე არა იყო-რა და სხვით არაფრით არ შეეძლოთ გამასპინძლება, რადგან გამხმარი პურიც კი აღარ მოიძებნებოდა ბანაკში, ხოლო ხორცის ხსენება ხომ სულ არ იყო, გარდა მზეზედ გამოსულის ცხენის ხორცისა. ბოლოს, როცა ყველამ წასვლა დაიწყეს თავ-თავისას, მოვიდა პან მარეკ სობესკი თვისის პორუჩიკით სტემპოვსკითა. პან ლონგინუსი საჩქაროზედ მოეგება წინა.

— დიდს ამბავში ხართ, ჰა?!—მიესალმა უფროსი,—დღესასწაულობთ?

— ნამდვილი დღესასწაული გახლავთ,—კვერი დაუკრა ზაგლობამ,—ჩვენმა მეგობარმა შეასრულა თავისი აღთქმა.

— მადლობა უფალსა. მაშ, მალე თქვენს ქორწილშიც ვიქეიფებთ. არის კი ვინმე ისეთი, რომელიც უკვე ამორჩეული გყავთ?

პან პოდბიპენტა სულ დაიბნა და გაწითლდა ჭარხალივითა, ხოლო უფროსმა კვლავ განაგრძო:

— შეჰკრთით, აირიეთ, მაშ, სჩანს, გყავთ ვინმე ამორჩეული. წმინდა მოვალეობაა თქვენთვის იზრუნოთ, რომ მაგისთანა თქვენმა გვარმა იმრავლოს. ღმერთმა ბრძანოს, რომ ბევრნი იბადებოდნენ თქვენისთანა რაინდნი, ყმაწვილებო.

პან მარეკ სობესკიმ დიდის თანაგრძნობით დაუწყო ხელის ჩამორთმევა. პან ლონგინუსს, სქშეტუსკის, ზაგლობასა და პატარა რაინდს. ამ გარემოებამ აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. დიალაც პან უფროსი კრასნოსტავისა ნამდვილი და ყოვლად სრული ნიმუში იყო ვაჟკაცობისა, პატიოსნებისა და ყოველგვარის რაინდულის ქველობისა; ნამდვილი განხორციელება იყო მარეხისა, ამ ომიანობის ღმერთისა; უფალსაც უხვად დაეჯილდოვებინა თვისის ნიჭითა და მადლითა, სიძლიერით, გვარიშვილობით, ხოლო მისს სამხედრო ნიჭსა და სამამაცო ზნეს თეით თავადი ერემია დიდად აფასებდა. ვინ იცის, რა სხივ-ცისკროვნებით დაიწყებდა კაშკაშს ეს ვარსკვლავი რესპუბლიკის ცაზედა, რომ, ნებითა ღვთისათა, მთლად ეს შუქი მისი უნცროსს სობესკის, იანს, არ შემოჰხვეოდა შემდეგ გარშემო, ხოლო მარეკი უდროოდ არ დაღუპულიყო დროსა მამულის უბედურებისა და იწროებისასა.

— ბევრი რამ გამიგონია თქვენზედ თვით მოურავ-ერისთავისაგან,—განაგრძო უფროსმა,—ყველაზედ წინ თქვენ გაყენებთ, თქვენ გაძლევთ უპირატესობას. მეც, რასაკვირველია, არ მიკვირს, რომ თქვენ იმისს სამსახურში ხართ, მაშინ როდესაც მეფის სადროშოებში რომ შესულიყავით, უფრო მალე იშოვნიდით სიმდიდრესაცა, სახელსაცა და დიდებასაცა.

— მაინც ჩვენ ყველანი სამეფო გუსართა სადროშოში ვართ ჩაწერილნი,—უპასუხა სქშეტუსკიმ,—პან ზაგლობას გარდა, რომელიც თვისის ნება-ყოფლობით შემოვიდა სამსახურში. ხოლო თუ ჩვენ თავადის უფროსობის ქვეშა ვმსახურობთ, ეგ ჯერ იმიტომ, რომ უსამზღვროდ ერთგულნი ვართ მისი, ხოლო მერე კიდევ იმიტომ, რომ გვინდა, რაც შეიძლება ხშირად ვიყვნეთ ხოლმე ომიანობის ცეცხლში.

— თუ აგრეა, მაშ, თქვენ მართალნი ყოფილხართ. სხვა გარემოებაში კი პან პოდბიპენტა თავისს სამს თავს ვერსად შეჰხვდებოდა,—ბრძანა უფროსმა.—რაიცა შეეხება ომს, მაგ სიკეთით ახლაც ყელამდე საესე ვართ.

— ეგ ბევრად უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე სხვა რამე,— დასძინა ზაგლობამ.— ჩვენთან ბევრნი მოდიოდნენ და გვილოცავდნენ გამარჯვებას, მაგრამ ვისმე რომ საუზმეზედ დავეპატიჟნეთ და თითო ცვარა არაყი დაელევინებინათ, უფრო გვასიამოვნებდნენ და ჩვენს მადლსაც მოისხავდნენ.

პან ზაგლობა ყურ-გამახვებული დააცქერდა უფროსს და პირდაპირ თვალი თვალში გაუბნია. უფროსმა გაიღიმა.

— გუშინდელს აქეთ მეც არა მიჭამია-რა,— სთქვა მან,— მაგრამ ერთი ცვარი არაყი კი მეშოვება, მგონია. მზადა ვარ გიმასპინძლოთ.

ხოლო პან სქშეტუსკიმ, პან ლონგინუსმა და პატარა რაინდმა ცივი უარი უთხრეს და თან ზაგლობაზედ მოსდიოდათ გული; ზაგლობა თავისი მხრით იქნევდა მელიასავით კუდს და თავს მართლულობდა ამხანაგების წინაშე, რამდენადაც შეეძლო.

— მე ხომ ძალათი არ ავკეიატებივარ,— მართლულობდა შლიახტიჩი თავსა.— ჩემი წესია— უფრო ჩემი წავიდეს, ვიდრე მე სხვისას ხელი ვახლო, მაგრამ უარის თქმა მაშინ, როცა გეპატიჟება ასეთი ყოვლად პატივსაცემი კაცი, ჩემის აზრით, სხვა რომ არა იყოს-რა, დიდი უზრდელობაა.

— მაშ, აბა, წავიდეთ,— სთქვა უფროსმა,— ჩემთვისაც საასიამოვნოა, კარგს კამპანიაში დრო გავატარო, მერე ახლა თავისუფალნი ვართ. სადილად არა გთხოვთ, ეხლა ცხენის ხორცსაც ვერ იშოვის კაცი, არაყი კი მაქვს... ორიოდე ბოთლი, ხომ მარტო ჩემთვის ვერ შევინახავ.

კვლავ უარობა და ჯიუტობა უხერხულობა იქმნებოდა. რაინდნი წავიდნენ, ხოლო პან სტემპოვსკი დაწინაურდა და როგორღაც მოახერხა და იშოვა რამდენიმე ნაჭერი გამომხმარი პურისა და პატარა ხორცი ცხენისა საუზმედ. პან ზაგლობა მაშინვე გამხიარულდა.

— თუ ღმერთმა იპრიანა და მეფემ დაგვიხსნა მტერთა გარშემოდგომისაგან,— სთქვა მან,— მალე ვიპოვით ბარგის ჯარის ურმებსა. იმათ მუდამ ბევრი რამ გემრიელი სურსათი დააქვთ

თანა და თვითეული მათ შორის თავისს მუცლისათვის უფრო ჰზრუნავს, ვიდრე რესპუბლიკისათვის. მე იმათთან დროს გატარება და ქეიფი მირჩევნიან, ვიდრე აქ ბრძოლა, თუმცა, შესაძლოა, ისინი მეფის თვალ-წინ უფრო უკეთ მოიქცნენ.

უფროსს უცბად შეეცვალა გუნება და დადინჯებულმა სთქვა:

— ჩვენ ფიცი დავსდეთ, გავწყდეთ ყველანი ერთიანად და ასეც მოვიქცევით. მზად უნდა ვიყვნეთ ყოველისფრისთვის, რაც უნდა მოგველოდეს, რაც უარესია. სურსათი თითქმის სულ აღარ არის, ხოლო ამაზედ ცუდი ისაა, რომ თოფის წამალიც გველევა. სხვას არ ვეტყოდი ამასა, ხოლო თქვენ კი გეტყვით. დიდ ხანს არ შეგვრჩება გულში ვაჟკაცობა და ხელში ხმალი... ის-ღა დაგვრჩენია, რომ სიკვდილისათვის მოვემზადნეთ, სხვა აღარაფერი. ღმერთო, მოგვივლინე მალე მეფე,—ეს არის ერთად-ერთი ჩვენი იმედი. მეფე გულადი ხელმწიფეა! ცხადია, არას არ დაჰზოგავდა, არც შრომის, არც ჯანსა, არც სიცოცხლეს, ოღონდ კი გავენთაისუფლებინეთ, მაგრამ ჯარი მცირე ჰყავს, მეტი ღონე არ არის, უნდა იცადოს, ხოლო მოგეხსენებათ, რა ტაატითა და ზოზინით იკრიბება ქუდზე კაცის ჯარი. ეგეც რომ არ იყოს, საიდან ეცოდინება მეფეს, რა გაჭირვებაშიაცა ვართ?

— ჩვენ უკვე თავი გაწირული გვაქვს,—სთქვა სქშეტუსკიმ.

— რომ შეგვეტყობინებინა როგორმე?—ჰკითხა ზაგლობამ.

— რომ გამოჩენილიყო ვინმე ისეთი, რომელსაც შესძლებოდა იმასთან წასვლა, ის უკვდავს სახელს მოიხვეჭდა, მთელს ჩვენს მხედრობას დაიხსნიდა და სამშობლოსაც განსაცდელს ააცილებდა თავიდან. დეე, თუნდ მთლად მხედრობა მეფისა ნუ მოსულიყო, მარტო სახელს მეფისას შეუძლიან ჩააქროს ცეცხლი ამბოხებისა. მაგრამ ვინ წავა? ვინ წავა, თუ ხმელნიცკიმ ისე დაიჭირა გზები და ბილიკები, რომ თაგვი ვერ გაძვრება ვერსად ბანაკიდან? სიკვდილი არ ასცილდება ამისთანა გაბედულს კაცს!

— მოხერხება მაშ რაღასთვის გვინდა?—სთქვა ზაგლობამ.—მე ერთი აზრი მომდის ფიქრად.

— რა აზრი, რა?—შეეკითხა საჩქაროზედ გახარებული უფროსი.

— ყოველ დღე ტყვეებს ვიჭერთ. არ შეიძლება, ერთ-ერთი მოვისყიდოთ? ისე აჩვენოს თავი, ვითომ გაგვექცა, მერე ადგეს და წავიდეს მეფესთან.

— მე ვეტყვი მაგას თავადსა,—სთქვა უფროსმა.

პან ლონგინუსი დიდად დაფიქრდა, შუბლი ნაოჭებად შეეკრა, ბოლოს, დიდის ხნის დუმილის შემდეგ აიღო მაღლა თავი და გაუბედავად წარმოსთქვა:

— მე მიტვირთნია გავიარო ყაზახთა ბანაკზედა.

რაინდნი გაკვირვებით წამოიჭრნენ ზეზედ, პან ზაგლობამ პირი დააღო, ოლოდიევსკის ულვაშებმა თამაშობა დაიწყეს, სქშეტუსკი დაფიქრდა, ხოლო უფროსმა ხმა-მაღლა დაიძახა:

— შენ გინდა იტვირთო ეგ საქმე?

— კარგად კი მოისაზრე, რასაც ამბობ?—ჰკითხა სქშეტუსკიმ.

— დიდი ხანია, რაც მოვისაზრე კიდეცა და კარგადაც ვივარაუდე,—სთქვა ლიტველმა.—რაინდთა შორის დიდი ხანია ამბობენ, რომ საჭიროა მეფეს შევატყობინოთ ჩვენი ამბავიო. ხოლო მე გულში არას ვამბობდი. თუ ღმერთმა ინება და ჩემი აღთქმა შევასრულე, მე წავალ-მეთქი. მე ერთი პატარა კაცი ვარ, რა მნიშვნელობა აქვს ჩემს სიცოცხლეს? რა დიდი ამბავი იქნება, თუ გზაში მომკლავენ-მეთქი?

— მერე გაიგონე, რაც უფროსმა ბრძანა ეს არის ეხლა?—დაიძახა ზაგლობამ,—ეგ ხომ პირდაპირ თავის გაწირვა იქნებოდა?

— რა არის მერე, ჩემო კარგო? თუ ღმერთს უნდა, უვნებლად გამატარებს მაგ საშიშს გზას, თუ არა და—ცაში დამაჯილდოვებს.

— რას ამბობ, მაშინვე შეგიპყრობენ, საშინელს წამებაში ჩაგაგდებენ და მერე უცნაურის რამ სიკვდილით მოგაკვდი-

ნებენ. კაცო, შენს ჭკუაზედა ხარ?—არ იშლიდა თავისას პან ზაგლობა.

— მე მაინც წავალ, ჩემო კარგო,—გულ-დამშვიდებითა სთქვა კვლავ ლიტველმა.

— ფრინველი ვერ შესძლებს ბანაკს გადასცდეს, იმასაც კი ისარსა სტყორცნიან და ძირს ჩამოაგდებენ. გარშემო სულ თხრილი შემოგვარტყეს, თითქო დათვები არიან და ორმოში უნდათ მოაქციონო.

— მე მაინც წავალ!—გაიმეორა ლიტველმა.—მე მოვალე ვარ ღვთისა წინაშე, რომ შემასრულებინა ჩემი აღთქმა.

— აბა, ერთი უყურეთ ამასა? ერთი შეეხედეთ-და!—განწირულებით იძახოდა ზაგლობა.—ბარემ უბრძანეთ, რომ მოგკვეთონ თავი, ჩასდონ ზარბაზანში და ესროლონ ყაზახებს, მხოლოდ ამ სახით შეიძლებ ყაზახების ბანაკზე გაიარო.

— ეგ მე დამაცადეთ, ჩემო კარგებო! — და ლიტველმა დაიკრიფა გულზედ ხელები.

— ოჰ, არა! შენ მარტო ვერ წახვალ, მეც შენთან წამოვალ,—სთქვა სქშეტუსკიმ.

— მეცა!—დასძინა ვოლოდიევსკიმ და დაიკრა ხელი ხმალზედა.

— აი ეშმაკებმა წაგიღოთ თქვენა!—სთქვა ზაგლობამ და იტაცა ხელი თავში.—ვაი თქვენა და თქვენს „მეცა, მეცა"-სა, თქვენს სისხლის მსმელობას. არ გეყოთ ეს ამოდენა გვამები, ამოდენა სიკვდილი, ტყვია-ყუმბარა? არ გეყოთ, გეტყობათ... კისერი გინდათ მოიჩეხოთ? დაიღუპენით, კარგია, ე მე კი თავი დამანებეთ...

ზაგლობამ გიჟივით დაიწყო წყვეტება აქეთ-იქით ოთახში.

— სწორედ ღმერთი მიხდის სამაგიეროს და საკანონოს მახდევინებს, რომ დინჯი ხალხის მაგიერ ამისთანა ქარაფშუტანი დავიმეგობრე. ახია ჩემზედ!... ან კი რა დაგიშავეთ იმისთანა, რომ აგრე მდევნით?

— ღმერთმა დაგვიფაროს!—უპასუხა სქშეტუსკიმ.—საიდანაო?

— პან პოდბიპენტას თუ მოსდის ფიქრად მაგისთანა აზრები, ეგ საკვირველი არ არის! საზოგადოდ, დიდის ჭკუით არ დაუჯილდოვებია ეგ ბუნებას, ხოლო მას შემდეგ, რაც მაგან სამს სულელს თავი მოჭკვეთა, მეოთხე სულელი ეგ შეიქმნა...

— მოსმენაც არ მინდა შენის ლაპარაკისა!—გააწყვეტინა სიტყვა ლიტველმა.

— არც ამისაგან მიკვირს,—განაგრძობდა ზაგლობა და ეოლოდიევსკისაკენ იშვერდა თითსა.—მაგას შეუძლიან ყაზახის წაღის ყელში დაიმალოს, ბირკასავით აეკრას იმისს მარვალს და ადვილად გადარჩეს განსაცდელს. ეგ ორივენი სულიწმინდას არ გაუნათლებია, ხოლო თუ შენ, იმის მაგიერ, რომ უარი ათქმევინო სისულელეზედ, კიდევაც აქეზებ შენის მაგალითით, მით რომ გინდა შენც წაჰყვე და ოთხივეს აუცილებელს სიკვდილსა და წამებას გვიმზადებ, ეს კი აღარ ვიცი, რა არის! ფუ, ეშმაკსა! არ ველოდი ამას იმ აფიცრისაგან, რომელსაც თვით თავადი დინჯსა და დარბაისელს კაცს ეძახის.

— როგორ ოთხივეს?—გაიკვირვა ეოლოდიევსკიმ.—მაშ შენც მიდიხარ?

— მაშა, მოვდივარ, მაშა!—ჰყვიროდა ზაგლობა და იცემდა გულში ხელსა,—მეცა მაშ! თუ ერთ-ერთი თქვენგანი დაიძვრის, ან ყველანი ერთად წახვალთ, მეც წამოვალ. დეე, სისხლი ჩემი თქვენს თავს იყოს. ჭკუას ვისწავლი შემდეგისათვის: მეცოდინება, ვის ავყვე და ვის არა.

— აიჰ, თქვენ და თქვენს თავსა!—სთქვა სქშეტუსკიმ.

რაინდები გადაეხვივნენ და დაუწყეს კოცნა ზაგლობას, ხოლო ის კი მართლა ჯავრობდა, ჰქშინავდა, რაც შეეძლო და იდაყვებით იგერებდა.

— დამეკარგენით-და! არ მინდა მე ეგ თქვენი იუდასებური ამბორი!

უცბად თოფის სროლა ატყდა თხრილებზედ.

— აჰა, ესეც თქვენ, ესეც თქვენ, წაბრძანდით!—უთხრა ჯიბრით ხანში შესულმა შლიახტიჩმა.

— ეგ ჩვეულებრივი თოფის სროლაა,—შეჰნიშნა სქშეტუსკიმ.

— ჩვეულებრივი თოფის სროლაა!—გააჯავრა რაინდმა.— ძალიანაა! ეგ ცოტაა ამათთვის. ნახევარი ჯარი მაგ ჩველებრივმა სროლამ დაჰლია და ეგენი კი ყურსაც არ აბარტყუნებენ.

— გამხნევდი შენცა, რა დაგემართა,—უთხრა პან პოდბიპენტამ.

— ჩუმად იყო, ის გირჩევნიან შენა... ბოტვინიავ უბიწო!—გააფთრდა ზაგლობა.—სულ შენ მოიგონე ყველაფერი, შენა ხარ ფესვი ბოროტებისა.

— ჰო და მე წავალ მარტო,—უპასუხა პან ლონგინუსმა.

— წავალ, წავალ!—აუხირებია გიჟივითა.—ვიცი, რისთვისაც წახვალ! ტყუილად გმირად ნუ გამოგყავს თავი, ყველანი კარგად გიცნობენ. გინდა გადაასალო შენი უბიწოება და იმიტომ მიგაქვს გალავან გარედა. შენა ბგონია, რომ შენ უკეთესი ხარ რაინდთა შორის? არა, უარესი ხარ; ერთის სიტყვით, შენა როსკიპი დედაკაცი ხარ, რომელიც თავისს პატიოსნებასა ჰყიდის! ფუ, რა სიტუტუცეა, მე და ჩემმა ღმერთმა! მეფესთან კი არ გინდა წასვლა, შენ ის გინდა, რომ აჯილლასაეით მინდორში იჭიხვინო. ესეც თქვენი რაინდი, ერთი დაძიხედეთ, უცოდველობას ჰყიდის! ცეცხლია, რალა, ცეცხლია, ქრისტესა ვფიცავ!

— მოსმენაც კი არ მინდა შენის უშვერის ლაპარაკისა!— შეჰყვირა პან ლონგინუსმა და ყურებში თითები დაიცო.

— დაანებეთ თავი ჩხუბსა!—სთქვა სქშეტუსკიმ წარბ-შერჭმითა.—სჯობს საქმისათვის ვიფიქროთ რამე.

— მოითმინეთ!—დაიწყო კრასნოსნოსტავის უფროსმა, რომელიც აქამდე გაკვირვებული ისმენდა პან ზაგლობას ლაპარაკსა,—ეგ ხომ სახუმარო საქმე არ არის და უთავადოდ ვერცარაფერს ვერ გადავწყვეტავთ აქა. ჯერ-ჯეროობით საკამათო და საჩხუბარიც არა არის-რა. თქვენ სამსახურის ხალხი ხართ და მთავრობას უნდა ემორჩილებოდეთ. თავადი ეხლა თავისს ბინაზედ იქნება. წავიჯეთ, ვნახოთ, ის რას იტყვის?

— იმასვე იტყვის, რასაც მე ვამბობდი! —სთქვა ზაგლობამ და თვალები გაუბრწყინდა სიხარულით, რადგან მცირეოდენი იმედი მიეცა თავადისა. —წავიდეთ ჩქარა!

ისინი გავიდნენ მეიდანზედ, საცა ყაზახთა სანგრებიდან ზუზუნით მოდიოდა ცხელი ტყვია. ჯარები გალავანს ახლოს იდგნენ; იქაურობა ბაზრობის ფარდულებს მოაგონებდა კაცს: სულ ზედ ეფინა ათასნაირი ჭრელ-ჭრელი ძველი ტანისამოსი, ზედი-ზედ ეწყო აყირავებული ურმები, კარვის ნაგლეჯები და ყოველივე, რაც კი საფრობას გაუწევდა ჯარს და დაიცავდა ტყვია-ყუმბარებისაგან, რადგან თოფის სროლა მთელის კვირაობით იყო ხოლმე და არც ღღისითა და არც ღამით არა სწყდებოდა. ეხლაც ამ აფრიალებულ ძველ-ძვულებზედ გაწოლილიყო გრძელი, ცისფერი ზოლი კვამლისა, ხოლო წინ იდგნენ რაზმ-რაზმად ჯარის-კაცნი და პასუხს აძლევდნენ ყაზახებს სამაგიერო თოფის სროლითა. მეიდანი ნამდვილი სურათი იყო აკლებისა და აოხრებისა: ყუმბარებისაგან დათხრილი, ცხენების ნალებით გატკეპნილი, ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა რაიმე მცენარეობისა. აქა-იქ ამაღლებულიყო ახლად ამოთხრილი მიწა ჭებს ახლოს, აქა-იქ ეყარა ურმების ნამტვრევები; ზარბაზნისა და ბოჭკების ნატეხები, ანუ დახრული, მზეზედ გათეთრებული ძვლები. მკვდარი ცხენი არსადა სჩანდა: რამდენიც მოკვდებოდა, მაშინვე გააქანებდნენ ჯარის-კაცთა საჭმლის მოსამზადებლად; სამაგიეროდ, ყველგან ეყარა ყუმბარები, რომელსაც განუწყვეტლივ ისვრიდნენ ყაზახნი. საშინელის ომის ნიშნები და შიმშილის უნარი ყველგან თვალში ეჩხირებოდა ადამიანს. ჩვენი რაინდები, საცა არა მგონია, შეეხეჩებოდნენ ხოლმე ჯარის-კაცთა გუნდებს, რომელთაც ან დაჭრილი და მოკლული მიჰყავდათ, ან ეჩქარებოდათ, რომ მიჰშველებოდნენ გალავანთან თავიანთ დაღლილ ამხანაგებს; სახე გაჰშავებოდა ყველას, ყველანი გამხდარნი იყვნენ, თმა გაზრდოდათ, თვალები დასწითლებოდათ, ტანისამოსი გაჰხუნებოდათ, ქუდებისა და მუზრადების მაგიერ, რაღაც ჭუჭყიანის ფალასებითა ჰქონდათ თავი შეკრული. და, უნებურად, ებადებოდა კაცს ასეთი ფიქრი: რა

მოუვა ამ ერთ მუჭა ძლევა-მოსილს ხალხს ერთი ან ორი კვირა რომ კიდევ გავიდესო?

— აბა, მიიხედ-მოიხედეთ, ყმაწვილებო,—სთქვა უფროსმა,—რა ამბავია გარშემო?! დროა, დრო, რომ შევატყობინოთ როგორმე მეფეს ჩვენი ამბავი.

— შიმშილი, თითქო ძაღლია, კბილების ღრჭენით მოდის,—უპასუხა პატარა რაინდმა.

— რა იქნება მერე, როცა სულ დავჭამთ ცხენებს?—იკითხა სქშეტუსკიმ.

უკვე მიუახლოვდნენ თავადის კარვებსა, რომლების ახლოც იდგა რამდენიმე ცხენოსანი, მზად მყოფი, იმ წამსვე ცხენს მოვლებოდა ზედა და წაელო ყველგან ბრძანება თავადისა. იმათი ცხენები, ცხენისავე ლორით ნაკვებნი, დამფრთხალნი გამუდმებულის თოფის სროლითა, ჰგლეჯდნენ იქაურობას, ჰხრავდნენ ლაგმებსა, სცემდნენ ტოტებსა და ყალხზედ დგებოდნენ. სულ ასე გამგელებულები იყვნენ მთლად ცხენოსანთა ჯარის ცხენები და, როცა ეს ჯარი მტერს გამოეკიდებოდა, კაცს ეგონებოდა, ჯარი კი არ მიდის, გუნდი მიჰქრის განკუნჯთა ან ჯოგი ხარ-ცხენათაო.

— თავადი კარაეშია?—ჰკითხა უფროსმა ერთ-ერთს ცხენოსანს.

— პან ფშიემსკი ბრძანდება იმასთან.

უფროსი პირველი შევიდა, კაც-შეუგზავნელად, რაინდნი კარაე წინ გაჩერდნენ, მაგრამ ტილოს ფარდა მალე აიხადა და პან ფშიემსკიმ გამოჰყო თავი:

— თავადს ეხლავე უნდა თქვენი ნახვა,—უთხრა მან რაინდებსა.

პან ზაგლობა საკმაოდ გულადად და იმედიანად შევიდა კარავში, იმედი ჰქონდა, რომ თავადი არ გასწირავს ოთხს თავისს საუკეთესო რაინდსა, მაგრამ, ვაი, რომ, შევიდნენ თუ არა, სალამის მოხსენება ვერ მოასწრეს, და თავადმა დაიწყო:

— ბატონმა მარეკ სობესკიმ მიამბო, რომ გინდათ გახვიდეთ ციხე-გალავნიდან: სიამოვნებით შემიწყნარებია ეგ თქვენი

განზრახვა. არ არის ქვეყანაზედ ისეთი მსხვერპლი, რომლის შეწირვაც არ შეიძლებოდეს მამულისათვის.

— გიახელით იმიტომ, რომ თქვენი ნებართვა ვითხოვოთ,—მოახსენა სქშეტუსკიმ.

— გინდათ ოთხივენი გახვიდეთ?

— თქვენო ბრწყინვალებავ!—უპასუხა ზაგლობამ,—მაგათ უნდათ, მე არა; ღმერთია მოწამე, იმიტომ არ გიახელით, რომ ჩემი თავი ვაქო, ან ჩემი ღვაწლი და დამსახურება გავიხსენო, გარნა თუ ვიტყვი იმათ შესახებ, მხოლოდ იმიტომ რომ სიმხდალე არავინ დამწამოს. პან სქშეტუსკი, ვოლოდიევსკი და პან პოდბიპენტა სანაქებო რაინდნი არიან, მაგრამ ბურლაიც, ჩემის ხელით მოკვდენილი, (სხვებზედ სიტყვას არ განვაგრძობ) ჰნიშნავდა რასმე, ბურდაბუტსა და ბოგუნს არ დაუვარდებოდა, არც იმ სამის იანიჩარის თავზედ ნაკლები იყო; ამიტომ მგონია, რომ მეც სხვა რაინდებზედ უარესი არა ვარ. ხოლო ვაჟკაცობა სხვაა და უგუნურება კიდევ სხვაა. ფრთები ჩვენ არ გვასხია, რომ გადავფრინდეთ, მიწის ქვეშ სოროს ვერ გავთხრით და ისე ვერ გავძვრებით,—ეს უეჭველია.

— მაშ თქვენ არ მიხვალთ?—ჰკითხა თავადმა.

— მე მოგახსენეთ, რომ არ მინდა წასვლა-მეთქი, ხოლო ის არ მომიხსენებია, რომ არ წავალ-მეთქი. რაღად ღმერთმა ერთხელვე დამსაჯა და მაგათს კამპანიაში გამირია, სიკვდილამდე მაგათ ველარ გავშორდები. თუ გაგვიჭირდა, ზაგლობას ხმალი გამოდგება რისთვისმე კიდევა... ხოლო რისთვის გამოდგება ჩვენი სიკვდილი, ეგ კი აღარ ვიცი და ვგონებ კიდეცა, რომ თქვენ არ მოინდომებთ ამასა, თქვენო ბრწყინვალებავ, და არც ნებართვას გვიბოძებ ასეთის უგუნურის საქმის მოსაქმედად.

— კარგი ამხანაგობა გცოდნიათ,—უპასუხა თავადმა,—და თქვენის მხრით ძალიან კარგია, რომ მეგობრებს არა სტოვებთ, ხოლო ჩემ შესახებ კი შემცდარი ხართ: მე შემიწყნარებია თქვენი მსხვერპლი.

— ჩაძალლდი ჩემო თავო!—წაიბუზღუნა ზაგლობამ და ჩამოჰყარა მკლავები.

ამ დროს კარავში შემოვიდა პან ფირლეი, 'კაშტელიანი ბელზსკისა.

— თავადო,—სთქვა მან,—ჩემმა კაცებმა შეიპყრეს ყაზახი, რომელიც ამბობს, რომ ამალამ იერიშს აპირობენო.

— ვიცი,—უპასუხა თავადმა.—ყოველიეე მზად არის, დაა-ჩქარონ მხოლოდ ახალის თხრილების ამოღება.

— თხრილები თითქმის სულ ამოღებულია.

— ძალიან კარგი,—სთქვა თავადმა და მიჰმართა ოთხს რაინდსა.—იერიშს შემდეგ, თუ ღამე ბნელი იქმნება, სწორედ კარგი დროა გასვლისათვის.

— რაო?—იკითხა კაშტელიანმა.—ვითომ გინდათ გაუხ-ტეთ მტერსა?

— გახტომა თავის რიგად იქმნება, მე თვითონ წავუძღვე-ბი წინ ჯარსა, ხოლო ახლა ჩვენ სხვასა ელაპარაკობთ. აი ამ რაინდებს უნდა გავიდნენ აქედან, გაიარონ ბანაკი მტრისა და შეატყობინონ მეფეს, რა ყოფაშიაცა ვართ.

კაშტელიანი გაოცდა, თვალები ძალზედ გაახილა და დაი-წყო რიგრიგით სინჯვა რაინდებისა.

თავადს პირ-ღიმილი მოუვიდა. უყვარდა ხოლმე, რომ მის-ნი ჯარის-კაცნი მოსწონებოდათ და მათის ცქერით გაძღომა ენატრათ.

— ღმერთო ჩემო!—სთქვა აღტაცებით კაშტელიანმა,—მაგისთანა ადამიანის შვილებიც არიან ქვეყნად! არა, ვერც მე გირჩევთ, ხელი აიღეთ მაგ საფათერაკო, თუმცა კი სახელოვან საქმეზედა-მეთქი.

პან ზაგლობა გაწითლდა ბოღმითა, მაგრამ გაჩუმდა და ქშენას მოუმატა დათვივითა. თავადი პატარა ხანს დაფიქრდა.

— მე მაინც არ მინდა, ამაოდ ჩაგყაროთ განსაცდელში და არ დავთანხმდები, რომ ოთხივენი ერთად გახვიდეთ,—სთქვა მან.—პირველად ერთი წავიდეს; თუ ის მოჰკლეს, გავიგებთ... ოჰ, ისინი მაშინვე თავს მოიწონებენ მაგითი და ტრაბახს დაი-

წყებენ, როგორც ტრაბახობდნენ მით, რომ ერთი ჩემი მსახურთაგანი მოჰკლეს იქვე ლეოვს ახლოსა. თუ პირველი მოჰკლეს, მეორე წავიდეს, მერე, თუ საჭირო იყოს, მესამე და მეოთხე. შესაძლოა, რომ პირველმაც მშვიდობით გაიაროს ეგ ფათერაკიანი გზა, მაშინ დანარჩენების წასვლა საჭირო აღარ იქნება.

— თქვენო ბრწყინვალებავ...—გააწყვეტინა სიტყვა სქშეტუსკიმ.

— ასეთია ჩემი სურვილი და ბრძანება,—სთქვა ერემიამ და განგებ მეტი ყურადღება მიაქცია სწორედ უკანასკნელს სიტყვას.—რომ მოგარიგოთ, გამომიცხადებია თქვენთვის, წაეიდეს ჯერ ის, ვისაც პირველად მოუვიდა ეგ აზრი ფიქრად.

— მაშ, მე უნდა წავიდე პირველად!—შესძახა სიხარულით პან ლონგინუსმა.

— ამაღამ, იერიშს შემდეგ, თუ ღამე საკმაოდ ბნელი იქნება,—დაუმატა თავადმა.—წერილებს არ გავატანთ მეფესთან; რასაცა ჰხედავთ, იმას უამბობთ, მხოლოდ ჩემს ბეჭედს წაიღებთ.

პოდბიპენტამ გამოართვა ბეჭედი და თავი დაუკრა თავადსა; მან გაიწოდა ხელები, მოავლო თაეზედ, შეჰხედა პირდაპირ თვალებში, მერე აკოცა რამდენჯერმე თმაზედ და უთხრა აღელვებულის ხმით:

— ეხლა შენ, როგორც ძმა, ისე ელხობი ჩემს გულსა... ღმერთი და ყოვლად-წმინდა ქალწული იყოს შენი შემწე და მფარველი, მებრძოლო ღვთისა. ამინ!

— ამინ!—გაიმეორა ყველამა.

თავადს თვალები მოუწყლიანდა, ხოლო პან პოდბიპენტა სულ ცახცახებდა აღფრთოვანებისაგან. რაღაც ალის სიმხურვალე უვლიდა ტანში და დიდად ხარობდა ეს წმინდა მორჩილი, მდევური სული, რაკი ახლოვდებოდა ჟამი სიკოცხლის გაწირვისა.

— ისტორია მოიგონებს თქვენს სახელს!—წარმოსთქვა ღალადებით კაშტელიანმა.

რაინდნი გავიდნენ კარავიდან.

— ფუ, რაღაცამ წამიჭირა ყელში და ლამის დამაღრჩოს, ხოლო პირი მწარე მაქვს, თითქო აბზინდა დამელიოს,—სთქვა ზაგლობამ.—ისინი კი სულ თოფს ისვრიან და ისვრიან, გასწყდეს მაგათი სახელი და სახსენებელი! ეჰ, გამწარდა სიცოცხლე წუთი-სოფლისა. პან ლონგინუს... ახლა შენ საქმე აღარა გაქვსრა... წმინდა ანგელოზნი იყვნენ შენი მფარველნი... ჭირი და ჟამი მაინც შესჭამდეს ამ ტეტიობასა.

— უნდა გამოგეთხოვოთ ახლა.

— როგორ? სად მიხვალ მერე?—ჰკითხა ზაგლობამ.

— მღვდელ მუხოვეცკისთანა. უნდა აღსარება ვუთხრა, ჩემო კარგო, ცოდვილი სული განვიწმინდო.

პან ლონგინუსი აჩქარებით გაეშურა ციხე-დარბაზისაკენ, დანარჩენნი რაინდნი თხრილებთან დაბრუნდნენ. სქშეტუსკი და ეოლოდიევსკი მდუმარებდნენ, სამაგიეროდ პან ზაგლობა არ იშლიდა ლაპარაკსა.

— რაღაცამ წამიჭირა ყელში. არ მეგონა, რომ ასე დამნანდებოდა, მაგრამ ძალიან კარგი კაცია, იმაზედ უკეთესი ქვეყანაზედ სხვა არ იქნება; ამაზედ ლანძღვას ნურაფინ დამიწყებს, თორემ ეცემ. ოჰ, ღმერთო! ღმერთო! მეგონა, რომ კაშტელიანი წინააღმდეგი იქმნება-მეთქი და იმან უფრო კვერი დაუკრა. რა ეშმაკმა მოახეტა მერე ის იუდის-კერძი! ისტორია მოგიგონებსო! თვითონ ის მოიგონოს და მისი სახელი ჩაიწეროს, თუ კარგია, მაგრამ არა პან ლონგინუსის ტყავზედა. ვითომ რატომ თვითონ არ მიდის! გეუბნეეით, რომ თან და თან უფრო მწარდება სიცოცხლე ამ წუთი-სოფელში და ჟაბკოვსკი მღვდელი მართალია, როცა ამბობს, მოახლოვდა ჟამი ქვეყნის დასასრულისაო. პატარა ხანს შევისვენოთ თხრილებზედა და მერე წავიდეთ ციხე-დარბაზში,—გამოვეთხოვოთ მეგობრებსა.

ხოლო პან პოდბიპენტამ აღსარებისა და ზიარების შემდეგ დრო სულ ლოცვაში გაატარა და მხოლოდ იერიშის დროს მოვიდა გალავანთან საღამოზედა. ყაზახთა თავ-დასხმა საშინე-

ლება რამ იყო, მით უმეტეს, რომ ამ დროს ალყა-შემორტყმულთ გადაჰქონდათ ზარბაზნები და ურმები ახლად ამოღებულ თხრილებზედ. ერთ ხანად, კაცს ეგონებოდა, რომ პოლონელთა სუსტი ძალ-ღონე შედრკება ორასი ათასის მტრის შემოტევითაო. პოლონელთა სადროშონი ისე აირივნენ მტერში, რომ თავისიანი თავისიანს ველარ არჩევდა. ხმელნიცკიმ ყოველივე ღონე იხმარა: ყეენმაცა და საკუთრად მისმა პოლკოვნიკებმაც გამოუცხადეს, რომ ეს უკანასკნელად მიგვაქეს იერიშიო; ამის შემდეგ ალყა-შემორტყმულთ შიმშილით გავუპირვოთ საქმეო. გარნა იერიში სამის საათის ბრძოლის შემდეგ უკუ-ქცეულ იქმნა და ისეთის ძალით, რომ ყაზახებს მოუკვდათ, როგორც ხმა გამოვიდა, ორმოცი ათასი კაცი. თავადს დაუყარეს ფეხ-წინ მრავალი დროშა-ალამი, ხოლო შემდეგ, იმ უკანასკნელის ბრძოლის უკან დადგა უფრო სამძიმო დრო განუწყვეტელის თოფის-სროლისა, იწროებისა და შიმშილისა.

დაუღალავმა ერემიამ, გათავდა თუ არა იერიში, დაქანცულ-დაწყვეტილი ჯარი მაშინვე გაიყვანა გალავან-გარედ და მიუხტა მტერს, რომელიც ამ ჟამადაც დამარცხებულ იქმნა. ბოლოს, ორივე ბანაკი მიჩუმდა და ღრმა ძილში ჩავარდა.

ღამე თბილი იყო, თუმცა ცა მოღრუბლულიყო. ოთხი კაცი, რომელნიც შავად მოჩანდნენ, ჩუმად და ფრთხილად, მიდიოდნენ თხრილების აღმოსავლეთად. ისინი იყვნენ პან ლონგინუსი, ზაგლობა, სქშეტუსკი და ვოლოდიევსკი.

— დამბაჩები კარგად ჩასვით ჩალთაბუდეში, რომ ფალიის წამალი არ დასველდეს. ორი საროშო ჯარი მთელს ღამეს დარაჯად იდგება. თუ ნიშანს რასმე მოგვცემ, მაშინვე გამოვეშურებით საშველად.

— ბნელა ისე, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი! —წაიჩურჩულა ზაგლობამ.

— ეგ უკეთესი!—უპასუხა პან ლონგინუსმა.

— ჩუ!—გააწყვეტინა სიტყვა ვოლოდიევსკიმ, — რაღაც ხმაურობა მესმის.

— ვიღაც მომაკვდავი ხრიალებს, ეგ არაფერია!..

— ტყემდე თუ მიაღწიე, მერე ფიქრი აღარ არის...

— ოჰ, ღმერთო! ღმერთო!—ამოიოხრა ზაგლობამ და ისე დაიწყო კანკალი, თითქო აცივ-აცხელებსო.

— სამს საათს უკან ინათლებს.

— დროა!— სთქვა პან ლონგინუსმა.

— დროა, დრო!—გაიმეორა სქშეტუსკიმ ყრუდ.—გესწი, ღმერთმა მშვიდობით გატაროს!

— მშვიდობით, მშვიდობით!

— კარგად იყავით, ძმებო და შემინდეთ, თუ რამ დავაშავე თქვენთანაო.

— დააშავე? ოჰ, ღმერთო!—ამოიკვნესა ზაგლობამ და გადაეხვია ლონგინუსსა.

მერე რიგი სქშეტუსკისა და ვოლოდიევსკიზედ მიდგა. თავ-შეკავებული ქვითინი ამღელვარებდა რაინდთა გულს, მხოლოდ ერთი პან ლონგინუსი იყო დამშვიდებული.

— კარგად იყავით!—განიმეორა მან ხელ-ახლად.

და, მიუახლოვდა თხრილის ქედს, ჩაფოფხდა ძირს, მერე გამოჩნდა მეორე მხარეს, ერთხელ კიდევ ანიშნა ხელით, მშვიდობითო და შთაინთქა სიბნელეში.

ორ-გზას შუა ატეხილი იყო მუხნარი, რომელშიაც გადაჯვარედინებით გაშლილიყო საძოვრები. ეს მუხნარი უერთდებოდა ძველს, დაბურულს ტყეს და აი სწორედ ამ ტყეში უნდოდა შეესწრო პან პოდბიპენტას.

მეტის-მეტად საშიში იყო ეს გზა: ვიდრე მუხნარის ჭალაკამდე მივიდოდა კაცი, უნდა გაევლო მთლად ყაზახთა ბანაკი, მაგრამ პან ლონგინუსმა განგებ აირჩია ეს გზა, იმიტომ რომ ბანაკს ახლოს ათასი ეიგინდარა დაძრწოდა და დარაჯნი ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ამ გზით მოსიარულეთა. სხვა გზები, ღელე-ხრამები, ლელიანები და ცალფეხა ბილიკნი სულ დარაჯებით იყო დაჭერილი; დარაჯთა დასათვალიერებლად მუდამ ცხენებით დადიოდნენ ესაულები, ასისთავნი, პოლკოვნიკები და, ასე გასინჯეთ, თვით ხმელნიცკი. მინდვრის გზაზედ, ან გნეზნის დაყოლება ფიქრიც არ შეიძლებოდა, იმიტომ

რომ იქ თათარნი მწყემსნი აძოვებდნენ ცხენებსა და გათენებამდე ფხიზლობდნენ.

ღამე ისეთი ბნელი იყო, რომ ათს ნაბიჯზედ არ შეიძლებოდა გარჩევა არათუ კაცისა, არამედ ხისაც კია. ეს გარემოება ძალიან სასარგებლო იყო პან ლონგინუსისათვის, თუმცა მეორეს მხრით, დიდის სიფრთხილით კი უნდა ეარნა, რომ არსად ჩაჩეხილიყო ან თხრილსა და ან ორმოში, რომელიც ამოთხრილი იყო მთლად საომარ მინდორზე ყაზახთა თუ პოლონელთა მიერ.

აგერ მიაღწია მან პოლონელთა ძველს თხრილებს, გადაეიდა მეორე მხარესა და გასწია პირდაპირ ყაზახთა სანგრებისა და საფრებისაკენ. სანგრები ცარიელი იყო; ერემიას მიხტომას გაერეკნა იქიდან ყაზახნი; ზოგი მათგანი დაეხოცათ, ზოგი გაქცეულიყო და ბანაკში შეეფარებინა თავი. გვამი დახოცილთა მრაელად ეყარა თხრილების აქეთ-იქითა. პან ლონგინუსი წამ და უწუმ წაატყდებოდა ხოლმე მკვდრის გვამსა გადააბიჯებდა ზედა და მიდიოდა წინ. ათასში ერთხელ, სუსტი კვნესა მოესმოდა და ეს იმისი ნიშანი იყო, რომ ჯერ კიდევ სული არ დაელია რომელსამე მომაკვდავს.

თხრილებს იქით დიდი მინდორი იყო მეორე თხრილამდე, რომელიც ჯერ ისევ წინად იყო ამოღებული პოლონელთა სარდლების მიერ. ეს ადგილიც მკვდრებით იყო სავსე. აქ უფრო მითხრილ-მოთხრილი იყო ადგილი, თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ამართული იყო მიწური სახლები, რომელიც ბნელაში თივის ძირებსა ჰგვანდა. მაგრამ ეს მიწურებიც ცარიელები იყო. ყველგან დიდი დუმილი იყო, არსად არც სინათლე სჩანდა არც კაცი, მკვდრებს გარდა სრულიად არაფერი.

პან ლონგინუსმა სთქვა ლოცვა მოკლულთა სულთათვის და გასწია წინ.

პოლონელთა ბინის ხმაურობა მეორე თხრილებამდე კიდევ მოესმოდა, მაგრამ ახლა ნელნელა მისწყდა, შთაინთქა შორს და ბოლოს სრულიად მისწყდა.

პან ლონგინუსი შესდგა და ერთხელ კიდევ მიიხედა უკან.

თითქმის ველარა გაარჩია-რა, ბანაკში სანათი არსად ენთო, მხოლოდ ციხე-დარბაზის ერთი ფანჯარა იყო ოდნავ გაშუქებული და ისიც ისე მოსჩანდა, თითქო ვარსკვლავი ბეუტავსო, ღრუბლებში მიმალულიო, ან ციცინათელა ბალახშიაო.

„ჩემო გულითადნო მეგობარნო, ვინ იცის, განახავთ-და კიდევ ოდესმე?“—იფიქრა გულში პან ლონგინუსმა.

და აი მის გულს დარდი შემოაწვა, თითქო მძიმე ქვაო. იქ, საცა ციმციმებს აის სუსტი სინათლე, იქ ჩვენები არიან, იქ სძგერს გული მეგობართა და ამხანაგთა, იქ არის ერემია, სქშეტუსკი, ვოლოდიევსკი, ზაგლობა, მღვდელი მუხოვეცკი, იქ მე ვუყვარვართ და მზად არიან დამიფარონ; აქ კი ღამეა, ბნელა, მკვდრებს ედება ფეხი, სულნი მიცვალებულთანი გუნდგუნდობით დაჰფრინავენ; შორს კი ბანაკია სისხლის-მსმელ, შეუბრალებელ მტრებისა.

გულს შემოწოლილი ქვა სევდისა თან-და-თან უფრო მძიმდებოდა, ისე რომ მისი ზიდვა გასაჭირი იყო ამ მდევი-კაცის მხარ-ბეჭისათვისაც კი. სული მისი ირყეოდა.

ესტუმრა ახლა გაფითრებული მოუსვენრობაცა და დაუწყო ჩურჩული ყურში: „ვერ გაივლი ამ გზას, ეგ უგუნური ფიქრია! დაბრუნდი, ჯერ კიდევ დროა! დასცალე დამბაჩა და მთელი სადროშო გამოექანება შენდა საშველად. ამ ბანაკზედ ამ ველურთა და ნადირთა ბრბოს ბუნაგზედ ვერავინ ვერ გაივლის.“

და ის ბანაკი, დამშეული, ყოველ დღე ყუმბარებისა და თოფის-ტყვიის წვიმის ქვეშ მყოფი, სავსე სიკვდილითა და გაჟენთილი მკვდართა სუნითა უშიშარი ნავთსაყუდარი ეგონა ახლა პან ლონგინუსსა.

იქ ამხანაგები არ გაამტყუნებდნენ და არ ეტყოდნენ, რად დაბრუნდიო. ვეტყვი, რომ კაცის ძალას აღემატება ეგ საქმეშეთქი და აღარც თვითონ ისინი წავლენ, აღარც სხვას ვისმე გაჰგზავნიან; ადგებიან და დაუწყებენ ცდას ღვთისა და მეფის შველასა.

სქშეტუსკი რომ მაინც წავიდეს და დაიღუპოს?

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა! ეგ სატანას მაცდურებაა,—გაიცლო გულში პან ლონგინუსმა. —სიკვდილისათვის მზადა ვარ, ხოლო იმაზედ უარესი სხვა არა მოჰელის-რა. ეგ სატანა აშინებს სუსტს სულს სიბნელით, მკვდრებითა... იმისთვის ხომ ყოველი ხერხი ხელ-საყრელია.“

ნუ თუ ჩემს სახელს ჩირქი უნდა მოვცხო, დავმარხო ჩემი დიდება? არ გადავარჩინო მხედრობა განსაცდელს, უარ-ვყო გვირგვინი ზეცისა? არასოდეს!

და იმანაც წინ გადასდგა ფეხი და გასწია.

ავერ მოისმა შორიდან ხმაურობა, გარნა არა პოლონელთა ბანაკიდან, არამედ მოწინააღმდეგეთა ბინიდანა,—ხმაურობა განურკვეველი, თუმცა კი რაღაც დაყურსული, მრისხანე, საესე მუქარითა, თითქო დათვის ბურდღუნია ხშირს ტყეშიო. ხოლო მოუსვენრობა გაჰქრა პან ლონგინუსის გულ'ში, თითქო მიანება თავიო და ;ის მაგიერ გულს ჩაეფინა სასიხარულო მოგონება მახლობელთა და ნაცნობთა; ბოლოს, თითქო იმ მუქარის პასუხად, რომელიც მტერთა ბინიდან მოესმა, მან ერთხელ კიდევ განიმეორა:

„მე კი მაინც წავალ“.

აჰა, აგერ ის მინდორიცა, რომელზედაც პირველი იერიში ყაზახთა და იანიჩართა უკუ-აქცია პოლონელთა ცხენოსანმა ჯარმა. აქ კი გზა უფრო სწორეა, აღარ არის ნათხარები, ორმოები და მკვდრებიც სულ აღარა სჩანს, იმიტომ რომ ყაზახებმა დაჰმარხეს წინად დახოცილნი. აქ ცოტა უფრო ადვილი გასარჩევი იყო გარემონი; სხვა-და-სხვა საგნები აღარ ეფარებოდა კაცს თვალ-წინა და არ უშლიდა არე-მარეს დანახვას. ზედა პირი დედა-მიწისა ცოტა დაქანებული იყო სამხრეთად, მაგრამ პან ლონგინუსი პირდაპირ არ წავიდა და ცოტა გვერდზედ შეუქცია, რადგან უნდოდა შეუმჩნეველად გაევლო როგორმე დასავლეთ ტბასა და მტრის ბანაკს შორის. ახლა კი აჩქარებით მიდიოდა, არა ჩერდებოდა მალი-მალ, და ეგონა კიდეც, რომ, აჰა, უკვე მივაღწიე ბანაკსაო, მაგრამ სწორედ ამ დროს მისი ყურადღება ახალმა ხმაურობამ მიიქცია.

ლიტველი შესდგა და კარგა ხნის ლოდინს შემდეგ მოჰკრა ყური ცხენების თქარა-თქურსა და ფრუტუნსა.

„ყაზახთა დარაჯნი არიან“.

მოესმა ლაპარაკიცა. გახტა განზედ, მოსძებნა ხელით პირველივე უსწორ-მასწორო ადგილი, დაეცა ძირს და გაიჭიმა ზედა, თან ერთს ხელში დაშბაჩა ეჭირა, ხოლო მეორეში მახვილი.

— იმათ უჭირთ, მაგრამ არც ჩვენა ვართ ლხინსა და შვებაში, —სთქვა ერთმა ისეთის ხმით, თითქო ნამძინარევია, ან სთვლემსო.—რამდენი ვაჟკაცი დაიღუპა!

— ღმერთო!—უპასუხა მეორემ.—ამბობენ, მეფე ახლოს არისო, ეინ იცის, რა მოგვივა ჩვენ უბედურებს?

— ყველნი გაუწყრა ჩვენს მამა-ბატონსა, ხოლო თათრები იმუქრებიან, თქვენ წაგასხავთ ტყვედ, თუ სხვა ვერავინ ვიშოვეთო.

— საძოვრებზედაც ჩვენებს თურმე ეჩხუბებიან. მამა-ბატონმა გვიბრძანა, იქ ნუ ივლითო; ვინც იქ წავა, გათავდა, დაიღუპება თურმე.

— ამბობენ, ვითომ ვაჭართა შორის ბევრია ტანისამოსგამოცვლილი ლიხიო. ეჰ, სჯობდა, რომ სულ არ ატეხილიყო ეს ომი!

— ახლა უფრო გაჭირვებაში ჩავცვივდით, ვიდრე წინად ვიყავით.

— მეფე ახლოს თურმეა მთლად პოლონეთის მხედრობითა, აი ეს არის სავაგლახო.

— ეჰ, სეჩში ეხლა ჩემთვის მეძინებოდა და აქ უნდა დაძრწოდე ღამ-ღამობითა, თითქო მგელი ხარო.

— აქ მგლებიც უნდა იყოს, მგონია... აგერა ცხენებმა ფრუტუნი დაიწყეს.

დარაჯნი ასცდნენ ლონგინუსს და პატარა ხანს უკან იმათი ხმა სულ მისწყდა. ლიტველი წამოდგა და განაგრძო სიარული.

ცამ ცრა დაიწყო და უფრო ჩამობნელდა.

პან ლონგინუსის მარცხნივ პატარა შუქი გამოჩნდა, ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეათე. ახლა კი დარწმუნდა, რომ სულ ბანაკს ახლო ვარო.

შუქი მცირე იყო, ძლივს ბჟუტავდა. ყაზახებს ალბად ყველას ეძინათ და მხოლოდ შიგა-და-შიგ თუ სვამდნენ თითოოროლანი, ან საჭმელსა ჰხარშავდნენ მეორე დღისათვის. „მადლობა ღმერთსა, რომ იერიშისა და ჩვენის მიხტომის შემდეგ მომიხდა წამოსვლა,—იფიქრა პან ლონგინუსმა.—საშინლად უნდა იყვნენ ახლა ესენი მოქანცულნი“.

ამ უკანასკნელის სიტყვების გავლება იყო გულში და ის იყო მოისმა კიდევ თქარა-თქური. ახლა სხვა დარაჯთა გუნდი მოდიოდა.

გარნა აქ ზედა-პირი დედა-მიწისა უფრო უსწორ-მასწორო იყო, დამალვა უფრო ადვილად შეიძლებოდა. დარაჯებმა ისე ახლოს გაუარეს პან ლონგინუსს, რომ კინაღამ ზედ არ წაეწყდნენ. ბედზედ, ცხენები დაჩეეულები იყვნენ მკვდართა შორის გავლასა და არ დაუფთხნენ. პან ლონგინუსმა განაგრძო კვლავ გზა.

ათასის ნაბიჯის სიშორეზედ კვლავ შეეხეჩა ორს გუნდს დარაჯებისას. ცხადი იყო, რომ მთლად იმ წრეს, რომელიც ყაზახთა ბინას ეჭირა, ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც თვალის ჩინს.

მაგრამ მისი სიხარული ხანგრძლივი არ იყო. გაიარა თუ არა რამდენიმე ასი ნაბიჯი, დაინახა, რომ მისს ახლო, სულ ახლო ვილაც კაცი მოდის შავადა. პან ლონგინუსი, თუმცა გულადი იყო, კანკალმა აიტანა. უკან დახევა გვიან-ღა იყო. ცხადი იყო, რომ შავად მომავალმა შეამჩნია ლონგინუსი და წამოვიდა წინა.

დადგა წუთი მერყეობისა, ხან-მოკლე, ვითა დახამხამება თვალისა. ბოლოს გაისმა ჩუმი გამოხმაურება:

— ვასილ, შენა ხარ?

— მე ვარ,—ჩუმადვე სთქვა პან ლონგინუსმა.

— არაყი იშოვე?

— ვიშოვე.

— მოიტა.

პან ლონგინუსი მიუახლოვდა.

— რამ აგულარწა აგრე, კაცო?—ჰკითხა იმავე შავად მოჩვენებულმა კაცმა შეშინებითა.

რაღამაც გაიპრიალა სიბნელეში. იმავე წუთს გაისმა მოკლე, პირშივე ჩაწყვეტილი ხმა დარაჯისა: „ღმერ...!“ მერე მოისმა ტაცა-ტაცი ძვლების ტეხისა, ნელი კვნესა და შავად მომავალი მოსხეპილივით დაეცა ძირსა.

პან ლონგინუსმა გასწია წინა.

მაგრამ ახლა იმავე გზით აღარ მიდიოდა, რადგან ცხადი იყო, რომ ამ გზაზედ დარაჯნი იდგებოდნენ ყველგანა; გაუხვია ყაზახთა ბინისაკენ, რადგან იმედოვნებდა, რომ იქნება თვით ურმებ შორის უფრო შეუმჩნევლად გავიპაროვო. თუ მეორე რიგი დარაჯთა არ სდგას კიდევა, წინ შემხვდებიან მხოლოდ ისინი, ვინც ბანაკიდან წამოელენ დარაჯთა გამოსაცვლელადაო. ცხენოსანი დარაჯნი აქ ვერ იმოქმედებენო.

ერთს წუთს შემდეგვე აღმოჩნდა, რომ მეორე რიგი დარაჯთა არ იყო დაყენებული. სამაგიეროდ ბანაკი სულ ახლო იყო, მშვილდ-ისრის ორ სროლაზედა და კიდევაც უფრო ახლო სჩანდა, თუმცა პან ლონგინუსი ძრიელ ცდილობდა გაეწონა მანძილი და ბანაკსა და ურმებს შორის ისე ეარნა.

აღმოჩნდა, რომ ბანაკში ჯერ ყველას არ ეძინა. მიმქრალ ცეცხლებს გარს უსხდა რამდენ-რამდენიმე კაცი. ერთგან ცეცხლი ისევ დიდი ენთო, ისეთი დიდი, რომ მისი შუქი პან ლონგინუსსაც ადგებოდა; რაინდი იძულებული იყო ამის გამო ცოტა უკან დაეწია და ამ გაშუქებულს მიდამოს გაჰშორებოდა. შორიდან შეამჩნია დაკლული ხარები, რომელიც ხარიხად გადებულ ხეებზედ ეკიდა. ყაზახნი ატყავებდნენ ამ ხარებს, დანარჩენები ყურადღებით შესცქეროდნენ. ეს ადგილი ყაზახთა ბინის ის ნაწილი იყო, რომელიც ჩოდრებს ეჭირათ. დანარჩენი წყებანი ბარგის ურმებისა სიბნელეში იყო დანთქმული.

გარნა ის მხარი ბანაკისა, რომელიც გაშუქებული იყო აქა-იქ ოდნავ მგზნებარე ცეცხლებით, თითქო კვლავ მოუახლოვდა პან ლონგინუსსა. პირველში კი მარჯვნივ იყო ის მხარი. ახლა უცბად შეჰნიშნა, რომ მის წინაც ბანაკის მხარია.

რაინდი შესდგა და დაიწყო ვარაუდი, ეს რა ამბავია და ან რა ყოფაში ვარო. მიხვდა, რომ შიგ მტრის შუაგულ იყო მომწყვდეული. ბანაკი, თათართა ბარგი-ბარხანა და ურდო ბრბოსი რგოლივით ჰქონდა შემორტყმული მთელს ზბარაჟსა. ამ რგოლის შუაგულს იდგნენ დარაჯნი და დადიოდნენ ცხენებით გუნდნი მზვერავთა, რომ იქიდან ვერავინ ვერ გასულიყო.

პან ლონგინუსის მდგომარეობა საშინელება იყო. ახლა ორში ერთი უნდა აერჩია: ან ურმებ შუა გაპარულიყო, ან სხვა გზას დასდგომოდა და გაევლო ყაზახთა და თათრების ბარგი-ბარხანის შუა. უამისოდ უნდა ეტრიალნა გათენებამდე ამ წრეში, თუ ზბარაჟს არ მოინდომებდა დაბრუნებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შესაძლო იყო დარაჯთ ჩაჰვარდნოდა ხელში. მან მოისაზრა, რომ ნიადაგი აქ უსწორ-მასწოროა და შეუძლებელია ურემი ურემზედ ახლო იყოს მიდგმულიო. უთუოდ მათ შორის ხანი იქნება დატოვებული, ზოგან დიდი გზაცა, რომ ჯარს, ცხენოსნებს გავლა-გამოვლა შეეძლოსო. პან ლონგინუსმა გადასწყვიტა, მოვნახავ ამისთანა გასავალსაო და ამ აზრით უფრო ახლო მივიდა ურმებთანა. ცეცხლის შუქი საშიში იყო მისთვის, შეეძლოთ დაენახათ, მაგრამ მეორეს მხრით მისი მადლობელიც იყო: უიმისოდ ვერც ურმებს გაარჩევდა და ვერც გასავალს გზას დაინახავდა მათ შორის.

პატარა ხანს ათვალიერა იქაურობა და მალე იპოვა გზა, რომელიც შავად მოსჩანდა ურმებ შუა. იქ ცეცხლი არსად ენთო, ყაზახებიც არ უნდა იყვნენო. მაგ გზაზედ მხოლოდ ცხენოსანი ჯარი დადიოდა. პან ლონგინუსი გაწვა დედა-მიწაზედ და დაიწყო ხოხვა. იმდენი იხოხა ასე მუცლითა, რომ იმ ორლობესავით შავად შებურვილს გზაში შეხოხდა, თითქო გველი შეძვრა თავის სორო'შიო.

გაიარა საათის მეოთხედმა, ნახევარ საათმა და მაინც მიხოხავდა სულ ასე და თან თავის ხელსა და ხორცს ავედრებდა ძალთა ციურთა. იქნება მთელის ზბარაჟის ბედი იმაზედ იყო ახლა დამოკიდებული, მშვიდობით გაიელიდა ამ საფათერაკო გზასა თუ არა და პან ლონგინუსი ლოცულობდა არა მარტო თავისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მისთვისა ლოცულობდნენ ახლა.

აქეთ-იქით ყოველივე დამშვიდებული იყო. ერთ კაცს არ გაუპაპანია, ცხენს არ დაუფრუტუნებია, ძაღლს არ დაუყეფნია. და აჰა პან ლონგინუსი გასცილდა ხოხვით საშიშს ადგილსა. მის თვალწინ შავად მოსჩანდა ბუჩქების იქით მუხის ჭალაკი, და მერე ტყე გაბმით ტოპოროვამდე, ტყის იქით მეფე იყო, ზენა და დიდება, ღვაწლი და დამსახურება ღვთისა და ხალხის წინაშე. რა არის სამი თავი თათართა, რომელიც მე მოვკვეთე ერთადაო ამ დიდ ღვაწლთან შედარებით? მის შესასრულებლად სხვა რამ არის საჭირო რკინის მარჯვენის გარდა.

პან ლონგინუსს თითონაც კარგად ესმოდა რა გარჩევა იყო, გარნა მის წმინდა გულს ეუცხოვებოდა ყოველგვარი ზვიადობა.

წამოდგა ზეზე და გასწია წინა, იქით მხარეს დარაჯნი ნაკლებად იყვნენ. ადვილი იყო ასცდენოდა მათ კაცი. წეიმამ უფრო ძლიერ დაუშვა, გაჰქონდა შუილი ხეებ შორის და ამიტომ მის ფეხის ხმა სრულიად არ ისმოდა. პან ლონგინუსმა ფეხი ააჩქარა. ურმები უფრო შორს დარჩა, და მუხის ჭალაკი მასთან ერთად უფრო დაახლოვდა.

აი ჭალაკიც. ისე ბნელოდა იქ, თითქო ქვესკნელიაო, მაგრამ ეს უკეთესი იყო. ამოვარდა ნიავი, მუხის ფოთოლთ შრიალი დაიწყეს, თითქოს ლოცვას ამბობენ ჩურჩულითაო: „ღმერთო დიდებულო, ღმერთო ყოვლად-მოწყალეო, დაიცვი მონა შენი, ერთგული ძე მიწისა, რომელზედაც ჩვენ აღმოვცენდით სადიდებლად შენდა!“

უკვე კარგა დიდს მანძილზე დაშორდა პან ლონგინუსი პოლონელთ თხრილ-გალავნებსა. შუბლზე რაინდს ხვითქი გა-

დასდიოდა, ჰაერი შეგუბდა, თითქო ჭექა-ქუხილს აპირობსო. ის კი სულ მიდის, მიდის წინ და ყურადღებას არ აქცევს ჭექა-ქუხილსა, იმიტომ რომ მისს გულში ანგელოზნი გალობენ. ჭალაკი თხელდება. ალბად ეს პირველი ველიაო. მუხის ფოთოლთ უფრო მეტად გაიშრიალეს, თითქო უნდათ სთქვან: „მოიცადე აქა, ჩვენს ფრთებს ქვეშე უფრო უშიშრად იქნებიო, მაგრამ რაინდს არა სცალიან, აღარ იცლის და გადის ველზედა. მისს შუაგულს სდგას ერთი მუხა, მაგრამ ყველა სხვაზე უფრო მაღალი. პან ლონგინუსი მიდის პირ-და-პირ ამ მუხასთან. უცბად, როცა რამდენიმე ნაბიჯი-ღა აკლდა მუხამდე მისვლასა, მისს კარავივით გაშლილ ტოტებ ქვემოდან შავად გამოჩნდა ათიოდე კაცი, რომელნიც მგლებივით მიუხტნენ რაინდსა.

— ვინა ხარ შენა?—ეკითხებიან ისინი.

იმათი ენა არ ეყურება რაინდს. თავზე რაღაც წოწოლა ქუდები ჰხურავთ,—თათრები თუ არიან, მწყემსნი და აქ შეუფარებიათ თავი წვიმაში. ამ დროს ცეცხლივით წითელმა ელვამ გაანათა ველი, მუხა, განადირებული თათართა სახენი და თვით რაინდი. საშინელმა შელრიალებამ შეარყია ჰაერი, ბრძოლა გაჩაღდა თვალის დახამხამებაშივე.

თათრები ეცნენ პან ლონგინუსს, როგორც მგლები ირემსა, სტაცეს რკინასავით მაგარი ხელები, მაგრამ მან მიიწ-მოიწია და თავს-დამსხმელნი ძირს გაშხლართა. მერე ჰაერში გაისმა ზუზუნი საშინელის ზერვიკაპტურისა, კვნესა, ღრიალი, მოწოდება შეელისა, ჭიხვინი შეშინებულის ცხენებისა. მიჩუმებულმა ველმა დაიწყო გრიალი ყოველ იმ შემაძრწუნებელს ხმაზედა, რომლის გამოცემაც კი შეუძლიან ადამიანის ყანყრატოს.

თათრები რამდენჯერმე მისცვივდნენ რაინდს გუნდ-გუნდად, მაგრამ ის უკვე მიებჯინა ზურგით ხეს და იქნევდა გამალებული უშველებელს მახვილსა. მის ფეხ-ქვეშ დაეცა რამდენიმე შუაზედ გაპობილი კაცი; დანარჩენმა თათრებმა უკან დაიწიეს და შიშითა თრთოდნენ.

— მდევი! მდევი!—გაისმა მათი მქისე ღრიალი.

მაგრამ იმათ ღრიალს ტყემ ბანი მისცა. არ გაეიდა ნახევარ-საათი და მთლად ველი გაივსო ცხენიანისა და ქვეითის ხალხითა. მოცვინდნენ ყაზახნი და თათარნი კეტებითა, ცელებითა, მშვილდებითა, ანთებულის მკერებითა. შედგა ერთი კითხეა-გამოძიება: რა ამბავია, რა მოჰხდა?—მდევია!—ამბობდნენ პასუხად მწყემსნი.—მდევია!—იმეორებდა ბრბო.—ლიახია! მდევია! დაჰკა! ცოცხალი შეიპყარ! ცოცხალი!

პან ლონგინუსმა ორჯელ გაისროლა დამბაჩა, მაგრამ დამბაჩის ხმას ველარ გაიგონებდნენ პოლონელთა ბანაკში.

ბრბო რკალივით შემოერტყა და მოიწევდა მისკენ, ხოლო რაინდი იდგა ისევ მიჩრდილული ჯ ელოდა მათ მახვილით ხელში.

ბრბო სულ მიუახლოვდა. ბოლოს გაისმა ხმა ბრძანებისა:

— სტაცეთ ხელი!

ყველანი, ვინც კი ახლოს იყვნენ, ეცნენ რაინდსა. ყვირილი და ხმაურობა შესწყდა. ისინი, ვინც წინ მისვლას ვერ ახერხებდა, უნათებდნენ მკვარს თავ-დამსხმელთ.

მუხის ქვეშ ერთი ვაი-ვაგლახი იყო და იქიდან მხოლოდ კენესა და გმინვა მოისმოდა. ბოლოს შიშისა და ძრწოლის ხმა ალმოხდათ გულიდან თავ-დამსხმელთა. ბრბო ერთს წუთს გაიფანტა აქეთ-იქითა.

ხის ქვეშ დარჩა პან ლონგინუსი, ხოლო მის ფეხთა წინაშე ეყარა მთელი გროვა ხალხისა, რომელსაც სულთ-ებრძოდა და გაჰქონდა თახთახი და კანკალი სიკვდილის წინადა.

— თოკები! თოკები!—დაიგრიალა ვიღამაცა.

რამდენიმე კაცი გაიქცა თოკებზედა და ერთს წუთს შემდეგ გაჩნდა თოკებიცა. რამდენიმე ზორბა ყაზახი ეცა თოკებს დაითითოეს მისი წვერები და უნდოდათ ხეზედ მიეკრათ პან ლონგინუსი. მაგრამ რაინდმა შემოიქნია მახვილი და ყაზახნი დაეცნენ ძირს აქეთ-იქითა. ასეთივე ბედი ეწიათ შემდეგ თათრებსაცა.

რაკი დაინახეს, რომ ბევრი ხალხი ვერას მოახერხებსო, რამდენიმე ნოღა თათარი წავიდა მისკენ თავ-გამოდებით, უთუოდ ცოცხალი უნდა შეეიპყრათ ეგ ვიღაც ბუმბერაზიო, მაგრამ რაინდმა უკუ-აქცია ისინი. მუხა ორ-ღერიანი იყო და ზურგის

მხრით კარგად იფარავდა რაინდს, ხოლო წინ, ვინც კი იმდენად ახლო მოეიდოდა, რომ ხმალი მისწვდენოდა, იქვე ძირს ეცემოდა თავ-გაჩეხილი, ან შუა გასხეპილი. ძალ-ღონე პან პოდბიპენტასი თითქო უფრო მატულობდა თან-და-თან.

ბრბო გაბრაზდა, მიჰყარ-მოჰყარა აქეთ-იქით ყაზახნი და დაიწყო ძახილი:

— ღუკ! ღუკ!

პან პოდბიპენტამ დაინახა, რომ მიჰმართეს მშეილდები და დაუწყეს ისრებს ამოღება კაპარჭიდან. ახლა კი მიჰხვდა, რომ ჟამი სიკვდილისა მოახლოვდაო და დაიწყო თქმა საანდერძო ლოცვებისა.

ყოველივე მიწყნარდა. ბრბომ სული განაბა, აბა ვნახოთ, რა მოჰხდებაო.

პირველმა ისარმა მაშინ გაიზუზნა, როცა პან ლონგინუსმა წარმოსთქვა: „დედაო მხსნელისა“, და გაჰფხაჭნა საფეთქელი.

მეორე ისარმა გაიზუზუნა, როცა პან ლონგინუსმა სთქვა: „ყოვლად-წმინდაო ქალწულო“, და ჩაერჭო მხარშია.

სიტყვები ლოცვისა შეერია ისართა ზუზუნსა.

და როცა პან ლონგინუსმა სთქვა: „ვარსკვლავო განთიადისაო“, ისრები უკვე ჩარჭობილი ჰქონდა მხრებში, ფერდში, ბარძაყებში... საფეთქლიდან თქრიალით ჩამოსდიოდა სისხლი და უვსებდა თვალებს. თითქო წყედიადი ჩამოეშვაო მისს წინ, ისე ჰხედავდა ახლა ველს, თათრებს, ხოლო ზუზუნი ისრებისა აღარ ეყურებოდა. ჰგრძნობდა, რომ ვსუსტდებიო, მუხლი მეკვეთებაო, თავი დაუმძიმდა და მკერდზედ დაჰხროდა... ბოლოს დაეშვა ძირს და დაიჩოქა.

მერე წყნარის კვნესითა და ჩურჩულითა სთქვა: „დედოფალო ანგელოზთაო!“ და ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამ ქვეყნად.

და ანგელოზთა ცისათა წაიღეს მისი სული და, ვითა მარგალიტი ობოლი, დასდვეს ქვეყნის დედოფლისა, მღვთის მშობლისა ჩვენისა ფერხთა წინაშე.

VI

პან ვოლოდიევსკი და ზაგლობა მეორე დღეს დილით იდგნენ თხრილებზედ და ყურადღებით გაიცქირებოდნენ ყაზახთა

ბანაკისაკენ, საიდანაც ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ მდაბიოთა ბრბონი. სქშეტუსკი თავადთან იყო წასული სათათბიროდ, ხოლო ეს ორნი, რაკი საქმე არა ჰქონდათ-რა, მუსაიფობდნენ გუშინდელ ამბების გამო და თან თვალ-ყურს ადევნებდნენ მტრის ბანაკს.

— სასიკეთოს არას მოასწავებს ეს ჩვენთვისა,—სთქვა ზაგლობამ და ანიშნა ამხანაგს აუარებელი ბრბო, რომელიც ღრუბელივით მოაბნელებდა არე-მარეს. ალბად ისევ იერიშის მოსატანად მოდიან, ჩვენ კი ისე მოვიქანცენით, რომ იარაღის დაჭერის თავი აღარა გვაქვს ხელში.

— რა იერიშის მოტანა შეიძლება ამ შუადღისას?—უპასუხა პატარა რაინდმა.—გუშინდელს ჩვენს თხრილებს თუ დაიჭერენ, მერე ახალს დაუწყებენ მოახლოვებას და ასტეხენ თოფის სროლას.

— ზარბაზნებითაც კი შეიძლებოდა მაგათი დაფთხობა.

ეოლოდიევსკიმ ხმა დაიდაბლა.

— თოფის-წამალი ცოტა გვაქვს. თუ ასე გასტანა, ექვს დღესაც აღარ გვეყოფა. მაგრამ ამ ხანში მეფეც მოგვისწრებს.

— ეჰ, რაც მოგვივა, მოგვივა. ნეტა კი ის ჩვენი საწყალი პან ლონგინუსი გადარჩეს მშვიდობით. წუხელი თვალი არ მომიხუჭნია, სულ ის მაგონდებოდა; წამთვლემავდა თუ არა, მაშინვე იმასა ვნახავდი სიზმარში და ისე მეცოდებოდა, ისე მეცოდებოდა, რომა... ყოვლად კარგი რამ არის, მთელი რესპუბლიკა რომ შემოიარო, იმისთანა კაცს ვერ იპოვი, თუნდა ფარანი დაიჭირო ხელში და ისე ეძებო სამი წელიწადი და ექვსი თვე.

— მაშ რაღაზედ იგდებდი მასხარად დღე-მუდამ?

— იმიტომ, რომ ენა ცუდი მაქვს გულზედა. ეჰ, მაგას ნულარ მისაყვედურებ, გეთაყვა, უიმისოდაც ძრიელ ელანძღავ ჩემს თავსა და, ღმერთმა დაიფაროს, იმას რომ აუტყდეს რამე, სიკვდილამდე ველარ მოვისვენებ.

— ნურც აგრე იწუხებ. არასოდეს შენზედ იმას გული არ მოსვლია. მე თვითონ ხშირად გამიგონია, რომ ასე უთქვამს შენი: „ენა აქვს ცუდი, თორემ ოქროს გულისაა“.

— დმერთმა დიდი ღღე მისცეს ჩემს სულ-გრძელს მეგობარს! მართალია, ადამიანურს ლაპარაკს ვერ ახერხებდა ხოლ-

მე, მაგრამ სამაგიეროდ მრავალი ღირსება ჰქონდა. შენ როგორა გგონია, პან მიხალ, ხომ მშვიდობით გაიელიდა, გადარჩებოდა სიკვდილსა?

— ღამე ბნელი იყო და ყაზახნიც ძალიან იქმნებოდნენ დაღალულნი დამარცხების შემდეგა. ასე გასინჯე, ჩვენც არა გვდგომია წუხელის ყარაულები და, აბა, ისინი უფრო სად შეიძლებდნენ დარაჯების დაყენებასა!

— ღმერთმა ჰქნას, რომ აგრე იყოს! პან ლონგინუსს დავაბარე, კარგად მიიკითხ-მოიკითხე ჩვენის საწყალის კნიაჟნას ამბავი, იქნება გაიგო რამე, ხომ არავის უნახავს-მეთქი. მე მგონია, რომ ჟენძიანი მეფის ჯარებს წააწყდებოდა სადმე. პან ლონგინუსი, ეჭვი არ უნდა, არსად არ დაისვენებს და მეფეს მოიყვანს აქა. თუ მართლა ასე მოხდა, მალე გავიგებთ რასმე კნიაჟნას ამბავისასა.

— მე სწორედ მჯერა იმ ბიჭის მოხერხება და მგონია კიდეცა, რომ გადაარჩენდა როგორმე კნიაჟნას. უნდა მართალი გითხრა, ჩემი და რომ იყოს, იმაზედ მეტად აღარ მეყვარებოდა, როგორც ახლა მიყვარს.

— შენ დათ მიგაჩნია და მე კი ჩემი ღვიძლი შვილი მგონია. ღმერთი-რჯული, ამდენის სევდა-ნაღველით სულ გამითეთრდება წვერი, ხოლო გული გამისკდება იმის დარდითა. ძლიეს შეგიყვარდება ვინმე, მიიხედ-მოიხედავ და აღარსად არის; უნდა დაჯდე და გიკვდებოდეს გული, კანკალებდე, ვაი თუ რა დაემართა და როგორ არის იმისი საქმე; უნდა იჯდე და სწუხდე იმისთვის, მერე ისიც ცარიელის მუცლითა და დაფხრეწილის ჩაჩითა, რომელშიაც, თითქო ჭერი გახვრეტილა სადმეო, უნდა დაგდიოდეს მელოტს თავზედ წვიმა და ავდარი. ძაღლებს უკეთესი ცხოვრება აქვთ ეხლა რესპუბლიკაში, ვიდრე შლიახტას, ხოლო ჩვენ ოთხს ხომ ყველა ზედ მეტი შეწუხება გვადგია. როგორ გგონია, დრო არ არის ვითომ გავემგზავროთ საიქიოსა, ჰა?

— რამდენჯერმე ვსთქვი გულში, მოდი ვუამბოთ სქშეტუსკის ყოველიეე-მეთქი, მაგრამ ერთი რამ შემიშლიდა ხოლმე ხელსა: თვითონ არას ამბობს, ხმას არ იღებს იმ ქალზედა-მეთქი და თუ შემთხვევით გაიგონა რამე, მაშინათვე შეშფოთდება ხოლმე, თითქო შიგ გულში უჩხვლიტეს მახათითაო.

— უამბე, უამბე, გაუხსენი პირი მის გულის იარებსა, რომლებიც მოურჩა ომის ცეცხლშია და ის ქალი კი, ვინ იცის, იქნება ახლა ხელთ უგდია რომელსამე თათარსა, წაუვლია ნაწნავებში ხელი და პერეკოპს იქით მიაპანწიალებს. სულ თვალთ მიბნელდება, როცა ამისთანა სურათს წარმოვიდგენ ხოლმე თვალ-წინა. მედა ჩემმა ღმერთმა, სიკვდილი სჯობიან ამისთანა სიცოცხლესა: მხოლოდ უწესოება სუფევს ქვეყნად და სხვა არაფერი. ნეტავი პან ლონგინუსი მაინც გადარჩებოდეს მშვიდობითა.

— ის უფრო სასიამოვნოა ღვთისათვის, იმიტომ რომ გულკეთილი კაცია. მაგრამ, ერთი შეჰხედე, რას სჩადიან აის ავაზაკნი.

— მზე ისე ბრწყინავს, რომ თვალები მიბჟუვრიალებს და ვერასა ვხედავ.

— გუშინდელს ჩვენს თხრილებს უპირობენ გადასწორებას.

— აკი გითხარი, იერიშს მოიტანენ-მეთქი. აბა, წავიდეთ ახლა კი საკმაო ხანს ვიდექით აქა.

— იერიშისათვის კი არ უნდათ გადათხარონ, უნდათ გზა ჰქონდეთ, რომ თავისუფლად დაიწიონ უკან. ალბად მაგ გზაზედ მოაგორებენ მანქანებსაცა. შეჰხედე, რა ნაირ ლაპლაპებს მზეზე იმათი ნიჩბები! ორმოც ნაბიჯზედ თითქმის სულ გადაასწორეს თხრილები.

— ახლა ვხედავ.

პან ზაგლობამ ხელით დაიჩრდილა შუბლ ქვეშა და დაიწყო ცქერა. სწორედ ამ დროს, გადასწორებულ ადგილზედ გადმოვარდა ადიდებულ მდინარესავით ბრბო და გაავსო სივრცე ორ თხრილშიაც. ზოგმა მაშინვე თოფის სროლა დაიწყო, ხოლო ზოგი შეუდგა სიმაგრეების კეთებასა და მიწის გალავნის აყვანას მთლად პოლონელთა ბანაკის გარშემო.

— ეჰე!—დაიძახა ვოლოდიევსკიმ,—აგერა მანქანებიცა.

— ჰო და, მაშ იერიშსაც მოიტანენ. წავიდეთ აქედანა.

— არა, ეს სხვებია,—სთქვა პატარა რაინდმა.

მართლაც ახალი მანქანები ისე არ იყო აგებული, როგორც ჩვეულებრივი „მოსეირნე ციხე-ქალაქნი“; ოთხივ კუთხივ დაფან-

ჯრული კედლები ჰქონდა და ზედ ტანისამოსი და ტყავები ეფარა; შიგ ისხდნენ მოისრენი და მეთოფურნი, რომელთაც უშიშრად შეეძლოთ სროლა და ზარალი მტრისა.

— წავიდეთ, ცოფიანს ძაღლებსაც დაუჭამიათ ეგენი,—განიმეორა ზაგლობამ.

— მოიცადე,—უპასუხა ვოლოდიევსკიმ.

და დაუწყო თვლა მანქანებს იმის-და მიხედვით, რამდენიც გამოჩნდებოდა.

— ერთი, ორი, სამი... ეტყობა, საკმაოდ ბევრი უნდა ჰქონდეთ... ოთხი, ხუთი, ექვსი.... სულ მაღლა-მაღლა ამოდიან.... შვიდი, რვა... რაც ამ ჩვენს მეიდანზე ძაღლებია, სულ დაჰხოცავენ, ისეთი მსროლელნი იქმნებიან იმ მანქანებზედა... ცხრა, ათი... ისე მოჩანს თითოეული, თითქო ხელის გულზეა გაშლილიო... თერთმეტი...

პან მიხალმა უცებ შესწყვიტა თვლა.

— ეს რა არის?—იკითხა მან უცნაურის ხმით.

— სადა?

— აიქ, სულ მაღალზედა... კაცი ჰკიდია!

— ჰო, მართალია,—სთქვა ზაგლობამ.

უცბად ვოლოდიევსკი გაფითრდა ზარდაშოსავით და შეჰყვირა მწუხარებითა:

— ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, პოდბიპენტა!

თხრილებზედ გაისმა ყრუ ლაპარაკი, თითქო ქარია დაუბერა ხის ფოთლებს და შრიალი დააწყებინაო. ზაგლობამ ჩაჰღუნა თავი, თვალებზედ ხელები მიიფარა და ჩურჩულებდა გაქვავებულის ტუჩებითა:

— იესო, მარიამ! იესო, მარიამ!

ხმაურობა და ლაპარაკი უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა და ბოლოს მრისხანე მუქარად გადაიქცა, თითქო ზღვა აზვირთებულა და ჰბობოქრობსო. მთლად ჯარმა, რომელიც კი თხრილებზედ იდგა, დაინახა, რომ იმ სამარცხვინო თოკზედ ეკიდა ამხანაგი მათი, რაინდი მწიკვლ-მოუცხებელი, გაიგო ყველამ, რომ ის იყო პან ლონგინუს პოდბიპენტა და საშინელმა სიბრაზემ ყალხზედ შეუყენა თმა ჯარის-კაცებს.

ზაგლობამ მოიშორა ბოლოს ხელები თვალთაგან. საშინელი შესახედავი იყო: ტუჩებზე დორბლი ჩამოსდიოდა, პირისახე მთლად გაჰლურჯებოდა, თვალები ისე უბრიალებდა, თითქო ეს-ეს არის ძირს გადმოსცვივაო.

— სისხლი! სისხლი!—დაიღრიალა ისეთის ხმითა, რომ ყველა მის ახლო მყოფნი შეხტნენ შიშითა.

შლიახტიჩი გადახტა ძირს. მას მიჰყვნენ ყველანი, ეინც კი თხრილებზედ იდგნენ. ვერავითარი ძალი, თვით თავადის ბრძანებაც კი, ველარ შეიმაგრებდა ამ გაცოფებას. ძირს, თხრილში, ზოგმა ერთმანეთს უზურგულეს და ისე ავიდნენ მაღლა, ზოგი ხელითა და კბილებით ეჭიდებოდა ჩამოთლილს მიწას და ისე უნდოდა მაღლა ახტომა; ხოლო ვინც ავიდა მაღლა, ის გარბოდა და უკან აღარ იხედებოდა, რომ შეეტყო, მოდიან სხვებიცა თუ არაო. მანქანები კვამლსა და ბოლში გაეხვია, ისეთი სროლა და თოფის გრიალი ასტეხეს იმათზე მსხდომთა, მაგრამ მით ვერავინ შეაშინეს. ზაგლობა პირველი მიჰფრინავდა ხმალ-ამოწვდილი, საშინელი, საზარელი, გაშძვინვარებული, თითქო ხარი დამფრთხალაო. ყაზახნი მაგრად დაჰხვდნენ თავ-დამსხმელთა და შეეხეთქნენ ასე მოპირისპირენი, თითქო ორი ქვის ჯედელი ერთმანეთს დაეტაკაო. გარნა გამომძღარი ძაღლები დიდ ხანს ვერ გაუმაგრდებიან დამშეულ და გაცოფებულ მგლებსა. ყაზახნი შედრკნენ, ხმლის ცემას ველარ შეუძლეს და იბრუნეს ზურგი. პან ზაგლობა ისე მძვინვარებდა, როგორც ძუ-ლომი, რომელსაც ლეკვი მოსტაცეს; გადავარდებოდა შიგ მტრის შუა-გულ, იქნევდა ხმალს და ჰმუსრავდა გარშემო ხალხს გააფთრებული. იქვე მის ახლო ცეცხლივით მოსდებოდა მტერს ვოლოდიევსკი.

მანქანებზედ მყოფნი სულ ამოსწყდნენ, დანარჩენი ყაზახნი გაიქცნენ. ჯარის-კაცებმა ფრთხილად ჩამოხსნეს პან პოდბიპენტმა და ჩამოიტანეს ძირს.

ზაგლობა დაემხო მისს გვამზედა.

ვოლოდიევსკის გული უკვდებოდა, თავისს მკვდარს ამხანაგს რომ ჰხედავდა. ადვილი მისახვედრი იყო, რა სიკვდილიცა ჰრგებოდა ხვედრად პან ლონგინუსსა: ტანი სულ დაწყლულებული ჰქონდა ისრებითა. მხოლოდ პირისახე გადარჩენოდა

ხელ-შეუხებელი და მარტო ერთი წყლული ჰქონდა საფეთქელ-ზედა. რამდენიმე წვეთი სისხლისა შეჰხმობოდა ლოყაზე, თვალები დახუჭული ჰქონდა, გაყვითლებულ სახეზედ ღიმილი გადაჰფენოდა და მოლურჯო სიყვითლე რომ არ დასტყობოდა, სიკვდილს რომ მწარედ არ გაეცივებინა და გაეყინა მისნი ნაკვთნი, კაცს ეგონებოდა, რომ პან ლონგინუსს დამშვიდებითა სძინავსო. ამხანაგებმა აიღეს ფრთხილად მისი გვამი, შეიდეს მხრებზე და წაასვენეს ციხე-დარბაზის საყდარში.

საღამოზედ მოამზადეს კუბო, ხოლო როცა დაღამდა, თვით ანდერძიც აუგეს.

შემოკრბა მთლად სამღვდელოება ბარაკისა, გარდა ქსენდზ ჟაბკოვსკისა, რომელიც სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი უკანასკნელი იერიშის დროს. მობრძანდა მთავარიცა, რომელსაც თავის თანამდებობის ასრულება მიენდო კრასნოსტავის უფროსისათვის, მოვიდნენ სარდალიცა, პან სახასო მედროშეცა, პან ფშიემსკიცა, სქშეტუსკიც, ზაგლობაც და ყველა აფიცერი იმ სადროშოსი, რომელშიაც მსახურებდა განსვენებული. კუბო დაასვენეს ახლად გაჭრილის საფლავის მახლობლად და დაიწყო ცერემონია.

წყნარი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით გადაჭედილიყო. მაშხალები დაუბრკოლებლად ანათებდნენ იქაურობას; სინათლე მათი მიჰფენოდა კუბოს ყვითელ ფიცრებს, მთავარს და რაინდთა დაღვრემილ სახეს.

საცეცხლურების კვამლი თავისუფლად მიდიოდა ცისაკენ და ავრცელებდა გარშემო საკმლის კეთილ-სუნნელებასა; დუმილს არღვევდა მხოლოდ თავ-დაჭერილი ქვითინი პან ზაგლობასი, ღრმა ამოოხვრა რაინდების ზორბა გულთა და შორიდან მომავალი ხმა თოფის სროლის გრიალისა თხრილებზე.

ქსენდზ მუხოვეცკიმ აღაპყრო ხელი, რაინდებმა განაბეს სული, ხოლო მღვდელმა პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ ძიჰმართა თვალნი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და დაიწყო:

„რა კაკუნი ისმის ღამე იქ ზეციურის კარისა?—იკითხა ქრისტეს კანდელაკმა, რომელიც ტკბილ ძილში იყო და ამ კაკუნზე გამოელვიძა.—გააღე, წმინდაო პეტრე, გააღე, მე ვარ პოდბიპენტა“.

„გარნა რა საქმე, რა ღვაწლი გაბედვინებს შენ, პოდბიპენტა, წმინდა მეკარეს შეწუხებასა? რა უფლებით გინდა შეხვიდე იქ, საცა ვერ შევა თავის ნებით, ვერც დიდებული, ვერც სენატორი, ვერც პატრონი დიდ-დიდის სამეფოსი, საცა შედიან არა ფართო და სწორე გატკეპნილი გზით, არამედ ხელობისა და სათნოების, ვიწრო და ეკლიანის ბილიკითა?

„ოჰ, გააღე წმინდაო პეტრე, გააღე ჩქარა! ისეთის ციცაბო და მიხვეულ-მოხვეულის ბილიკით მოდიოდა ჩვენი ძვირფასი მეგობარი და ბოლოს მოვიდა შენთან მოღალული, ვითა მტრედი ხანგრძლივის ფრენის შემდეგ, მოვიდა შიშველი, ვითა ლაზარე, მოვიდა ვით წმინდა სებასტიანე, განგმირული წარმართთა ისრებითა, ღარიბი ვითა იობ, წმინდა ბატკანი, უცოდველი და უმწიკვლო, მსხვერპლითა სისხლისათა, რომელიც სიხარულით იქმნა დანთხეულ სამშობლოსათვის.

„შეუშვი, წმინდაო პეტრე... თუ მაგას არ შეუშვებ, მაშ ვიღას-ღა შეუშვებ ამ დროს ცოდვისა და ბოროტ-მოქმედებისასა?

„შეუშვი, წმინდაო კანდელაკო, შეუშვი ეგ ბატკანი; შეუშვი და სძოვოს ბალახი სამოთხის საბალახოზედა, ვინაიდან მშიერი მოვიდი სბარაჟიდან“.

ასე დაიწყო თავისი სიტყვა ქსენდზმა მუხოვეცკიმ და ისეთის მჭევრ-მეტყველებით დაჰხატა სურათი პან ლონგინუსისა, რომ ყველამ იგრძნო არარაობა თვისი წინაშე იმ საწყლად მორთულის კუბოსი. რაინდებმა თან-და-თან უფრო ცხადად წარმოიდგინეს, რა დიდი დასაკარგი დაჰკარგა სბარაჟმა. ხოლო ქსენდზი თან-და-თან უფრო მეტს აღფრთოვანებას იჩენდა და როცა ამან დაიწყო აღწერა იმისი, თუ როგორ გავიდა ციხიდან პოდბიპენტა და როგორ იმარტვილა მოწამემან ამან, მღვდელს სულ გადაავიწყდა სხვათა ნათქვამი სიტყვების გახსენება და რიტორობა, დაიწყო თითონაც ტირილი ზაგლობასავით და გულამოსკვნილი ტიროდა: „მშვიდობით ძმაო, მშვიდობით მეგობარო! არა მიწიერ მეფესთან, არამედ ზეციერთან მიდიხარ შენ და იქ მისს ტახტის ფერხთა წინაშე მიიტან ამბავს ჩვენის გმინვა-მწუხარებისას, ჩვენის სიმშილისას, ჩვენის სასოწარკვეთილე-

ბისას, იქნება იქ გამოსთხოვო ვედრებით შემწეობა ჩვენდა, გარნა ვაი რომ შენ თითონ ველარ დაგვიბრუნდები... და აჰა ჩვენც ესტირით, ვგლოვობთ ცრემლით შენს კუბოს, იმიტომ რომ გულით გვიყვარდი შენ, ჩვენო საყვარელო ძმაო!"

მღვდელთან ერთად სტიროდნენ ყველანი მთავარიცა, სარდალნიცა, ჯარიცა, ხოლო ყველაზედ უმეტესად სტიროდნენ მეგობარნი განსვენებულისა. ხოლო როცა მღვდელმა პირველად უგალობა „განუსვენე უფალო სულსა მონისა შენისასა", გაისმა საყოველთაო ქვითინი, თუმცა ყველა იქ დამსწრენი ყოველ დღე, ყოველ საათს სიკვდილსა ჰხედავდნენ თვალ-დათვალ, სიკვდილს უდგნენ პირისპირ.

როცა კუბოს, დაუპირეს ჩაშვება საფლავში პან ზაგლობა ისე დაეკრა კუბოს თითქოს მის მამას ან ძმას ასაფლავებენო.

სქშეტუსკიმა და ვოლოდიევსკიმ ძლივს ძლიობით მოაშორეს იგი კუბოს. თავადი მივიდა საფლავთან და აიღო ერთი მუჭა მიწისა; მღვდელმა დაიწყო: „სულსა განსვენებულისა"... კუბო ჩაუშვეს საფლავში და თითო მუჭობით მოყრილმა მიწამ ყრუდ დაიწყო ხმაურობა კუბოს სახურავზე. აყრიდნენ მიწას მუჭითა, მუზარადითა და პან ლონგინუსს პოდბიპენტას საფლავზედ მალე დადგა გორა მიწისა, რომელსაც დაადგა მკრთალი, მწუხარე ნათელი მთვარისა.

—

სამი მეგობარი მოდიოდა უკან ქალაქიდან მეიდნისაკენ, საიდანაც მოისმოდა გრიალი თოფის სროლისა. მოდიოდნენ მდუმარებით, არც ერთს არ უნდოდა დაეწყო ლაპარაკი პირველად, ხოლო სხვა ტაგუფნი რაინდთა მოლაპარაკობდნენ და მიცვალებულის შესახებ ჰქონდათ ბაასი; ყველანი ერთ ხმად აქებდნენ და ადიდებდნენ განსვენებულს.

— ისეთის ამბით დაასაფლავეს,—სთქვა რომელღაც აფიცერმა, როცა სქშეტუსკის გაუარა გვერდზე,—რომ პან სერაკოვსკიც არ დაუსაფლავებიათ ეგრეთის დიდებით.

— ემართლებოდნენ კიდეც,—უპასუხა მეორე აფიცერმა.— სხვა ვინ გაბედავდა მეფესთან წასვლას.

— მე კი გავიგონე,—დასძინა მესამემ,—რომ ვისნეველაკიანთა შორის რამდენიმე სხვაც ყოფილა მსურველი წასვლისა,

მაგრამ ასეთის საშინელის მაგალითის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, ყველას ხალისი დაეკარგება.

— მართალი არის მე და ჩემმა ღმერთმა. გველი რა არ, გველიც კი ვერ გაძვრება იმათ შორის.

აფიცრებმა გაიარეს. კვლავ ჩამოვარდა მდუმარება. უცებ ვოლოდიევსკიმა სთქვა:

— გაიგონე, იან?

— გავიგონე,—უპასუხა სქშეტუსკიმ.—ახლა ჩემი რიგია.

— იან!—უთხრა ვოლოდიევსკიმ დინჯადა, — დიდი ხანია მიცნობ, იცი ისიცა, რომ განსაცდელის წინაშეც არ დავიწევ ხოლმე უკან, ხოლო აქ განსაცდელი კი არა, პირდაპირ თავის მოკვლაა.

— მერე შენ ამბობ მაგას, მიხალ?

— მე ვამბობ, იმიტომ რომ შენი მეგობარი ვარ.

— მეც შენი მეგობარი ვარ. მაშ მომეც რაინდული სიტყვა, რომ შენ აღარ წამოხვალ, თუ მე მოვკვდები.

— ოოჰ, ეგ არ შეიძლება! — სთქვა ღაღადებით ვოლოდიევსკიმ.

— ჰოო ჰხედავ! მაშ რა ნება გაქვს მომთხოვო ის, რასაც შენ არ იტვირთებდი? დეე ასრულდეს ნება ღვთისა!

— მაშ ნება მომეცი შენთან ერთად წამოვიდე.

— თავადი გვიშლის, ხოლო შენ ჯარის-კაცი ხარ და უნდა ემორჩილებოდე უფროსს.

პან მიხალი გაჩუმდა, მხოლოდ ულვაშებს დაუწყო ცმაცუნი, მაინც პირველმა წამოილაპარაკა:

— მეტად ნათელი ღამეა, ამაღამ ნუ წახვალ.

— ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ბნელი ღამე ყოფილიყო, მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლება. ასეთი ამინდი, როგორც ვხედავ ხანგრძლივ გასტანს. თოფის წამალი კი გველევა, აგრედვე სურსათიცა. ჯარის-კაცებმა სულ გადათხარეს მოედანი, ხის ფესვებსა სთხრიან იქ საჭმელად, სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გახშირდა. დღესვე წავალ, ეხლავე, თავადს უკვე გამოვეთხოვე.

— შენ სულ დაგიკარგავს სასოება.

სქშეტუსკიმ მწუხარედ გაიღიმა.

— კარგია ერთი! მართალია ბედნიერებაში არა ვცურავ, მაგრამ ნებაყოფლობით მაინც არ დავუწყებ ძებნას სიკვდილ-

სა; ჯერ ერთი რომ ეგ ცოდვაა, მეორეცა აქ საქმე ის კი არ არის, რომ დავიღუპნეთ, არამედ გადაერჩეთ, მივაღწიოთ მეფემდინ და დავიხსნათ ჯარი.

ვოლოდიევსკიმ საშინელი სურვილი იგრძნო იმისი, რომ ეამბნა სქშეტუსკისათვის ყოველივე ამბავი კნიაჟნასი; ზედ ენის წვერზე ადგა ყოველივე სათქმელი, მაგრამ ერთმა მოსაზრებამ შეუშალა ხელი: „ეს ახალი ამბავი თავბრუს დაახვევს და შესაძლოა ამის გამო უფრო მალე შეიპყრან მტრებმაო და ამის მაგიერ პატარა რაინდმა ჰკითხა:

— რომელს მხარეს აპირობ წასვლას?

— თავადს ვუთხარი, რომ ტბა-ტბა წავალ-მეთქი, მერე წყალ-წყალ, ვიდრე კარგა შორს არ გავცილდები ყაზახთა ბანაკს. თავადმა მითხრა, რომ უკეთესი გზა არ შეიძლებაო.

— ეჰ, რაღა გაეწყობა, რადგან კაცს სიკვდილი უწერია, სჯობს მოჰკვდეს დიდების მოედანზედა, ვიდრე სარეცელზე. ღმერთი იყოს შენი მფარველი, იან! თუ ამ ქვეყნად ეღარ შევხვდებით ერთმანეთს, საიქიოს ხომ შევხვდებით, ხოლო მე არ დაგივიწყებ არასოდეს.

— არც მე დაგივიწყებ. ღმერთმა მოგაგოს სამაგიერო ჯილდო. გამიგონე, მიხალ, თუ მოვკვდე, ზაცვილიხოესკი წავიდეს ხმელნიცკისთან და წამოიღოს ჩემი გვამი; არ მინდა, რომ ჩემს გვამს ძაღლები ათრევდნენ იმათ ბანაკშია.

— დარწმუნებული იყავ.

ერთს საათს შემდეგ სქშეტუსკი შევიდა დასავლეთის ტბაში და ჩაიმალა შიგ. ღამე მეტის-მეტად მოწმენდილი იყო; ტბის შუაგული ისე ბრჭყვიალებდა, თითქოს ვერცხლის ფერიაო, მაგრამ სქშეტუსკი მაშინვე დაიმალა შიგ, იმიტომ რომ ნაპირებზე ხშირად იყო ატეხილი ლელი და სხვა მცენარეობა წყალისა. აუარებელი ვიწრო და ფართო ფოთლები და ლიპი შტოები ედებოდა კაცს ფეხებშია, ექანებოდა ტანზედა და ძლიერ აძნელებდა წინ სიარულსა, მაგრამ სამაგიეროდ ჰმალავდა კიდეც რაინდს დარაჯთაგან. ტბაში გაცურვა შუა-გულ ადგილას შეუძლებელი იყო: ყოველსავე დაჩრდილულს საგანს ადა-

მიანი მაშინათვე შეამჩნევდა. სქშეტუსკიმ გადასწყვიტა უაროს ტბას ნაპირ-ნაპირ იმ ჭაობამდე, რომელიც ტბის მეორე ნაპირას იყო და რომელზედაც მიდიოდა პატარა მდინარე წყალი ტბაში ჩამავალი. ეჭვი არ იყო, რომ იქ იდგებოდა ყაზახთა ანუ თათართა დარაჯი, სამაგიეროდ მთელი ტყე იყო ამოსული ლელიანისა. რაკი კაცი იმ ჭაობამდე მიაღწევდა, მერე სულ ლელებ შორის შეიძლებოდა სიარული, თუნდა დღისითაც. მაგრამ ეს გზა საშინელება რამ იყო. დამდორებულ წყალ ქვეშ იწვა ღრმად ქვიშა და ლამი. რამდენ ნაბიჯსაც გადასდგამდა სქშეტუსკი, წყლის ზედა-პირზე მრავალი ბუშტი ამოდიოდა და მათი ბუყბუყი შორს მიდიოდა ლამის მდუმარებაში. ამის გარდა, თუმცა ძალიან ფრთხილად იყო, წყლის ზედა-პირზე ჩნდებოდა ტალღები, რომელიც ტბის შუა-გულამდე მიდიოდა და ბრჭყვიალებდა მთვარეზედა. წვიმა რომ ყოფილიყო, სქშეტუსკი აიღებდა და გაცურდებოდა ტბაში და იქნება ნახევარ საათს არ გეეელო, რომ მიაღწევდა იმ ჭაობსა, მაგრამ ცაზედ ღრუბლის ნაჭერიც არსადა სჩანდა. ნათელი უხვად ეფინებოდა ტბის სივრცეს და აბრჭყვიალებდა ყოველსავე გარშემო. ქარი ჩავარდა, მაგრამ ბედზედ თოფის სროლის ხმა არ შეწყვეტილა და ამიტომ რაინდის სიარულისაგან წარმომდგარი ფაჩიფუჩი არ ისმოდა. რაკი ეს შენიშნა სქშეტუსკიმ, მაშინ უმატებდა ხოლმე სიარულს, როცა თოფის ხმა ძლიერდებოდა, გარნა ეს მშვიდი ღამე თან-და-თან ნამდვილ ჯოჯოხეთად გადიქცა, ლელიანებიდან ამოვარდნენ გუნდ-გუნდ კოღოები, შეჯგუფდნენ რაინდის თავზედ, ასხდებოდნენ სახეზე, თვალებზე გაჰქონდათ ზუზუნი მისს გარშემო. სქშეტუსკიმ რომ ეს გზა ამოირჩია წინ-და-წინვე იცოდა, რაც მოელოდა, მაგრამ იმედი არა ჰქონდა, რომ ასეთი საშინელი სავალი იქნებოდა. ყოველი სიღრმე წყალისა, თუმცა კარგადაც იცოდა მისი გარემოება, ღამე საშინელ საიდუმლოდ ეჩვენება კაცს და უნებლიედ ჰკითხულობს: ნეტა რა უნდა იმალებოდეს იქ ძირზედა? ხოლო სბარაჟის ტბა მეტის-მეტი საშინელება რამ იყო. იმისი წყალი სქელი სჩანდა ჩვეულებრივზე და გახრწნილის გვამის

სუნი ასდიოდა. შიგ ლპებოდა ასობით ყაზახთა და თათართა გვამი. თუმცა წყალი ცივი იყო, სქშეტუსკის სულ აცხელებდა. რა მომივა რომ საიდანმე ვაჩნდეს სველი, ლიპი ხელები და მწვდეს უცებაო, ან ცხვრის ფერმა თვალებმა გამოანათოს ამ მცენარეობის ფოთლებ შორისაო? გრძელი ღეროები მცენარეთა ედებოდა ფეხებში, იმას კი ეგონა, რომ ეს დამრჩვალის გვამია, მეჭიდება და აღარ მიშვებს წინაო. „იესო, მარიამ! იესო, მარიამ! ხან-და-ხან მაღლა ამართავდა ხოლმე თვალებს ცისაკენ და რა დაინახავდა მთვარეს, ვარსკვლავებსა და დამშვიდებულ ცას, თითონაც მშვიდდებოდა ცოტაოდენს; ხან-და-ხან მისი თვალი ტბის ნაპირს მოევლებოდა ხოლმე... რა კარგია იქ, რა განსხვავებაა იმასა და ამ დამპალ, წყეულ ჭაობს შორისაო! და ამ დროს ისეთი სევდა შეიპყრობდა ხოლმე, რომ საშინელი სურვილი დაებადებოდა, ავდგები და გავალ ეხლავე ნაპირზედაო.

ხოლო ის მაინც მიდიოდა ნაპირნაპირ. პოლონელთა ბანაკი შორს დარჩა უკან. აგერ იქ ნაპირიდან რამდენსამე ნაბიჯის მანძილზედ მოსჩანს ცხენოსანი თათარი, ხოლო სქშეტუსკის შიშის მაგიერ გულს ეფონება; რაკი ცოცხალი და ნამდვილი მტერი დაინახა მის თვალთაგან გაჰქრა უამრავი გუნდი ბევრად უფრო საშინელ მოჩვენებათა. ეგ მოჩვენებანი გაჰქრნენ სადღაც შორს და რაინდს კვლავ დაუბრუნდა მშვიდობა სულისა. ეხლა იმისთვის საინტერესო ის იყო: სძინავს თათარს, თუ არაო? წავიდე წინ, თუ ვიცადო აქაო?

წავიდა წინ და ახლა უფრო დიდის სიფრთხილით წაეიდა. მის ბედზედ დაიძრა სიო და დააწყებინა შრიალი ლელიანებსა. ახლა კი გაბედვით შეეძლო სიარული სქშეტუსკის, ლელ-ლერწამის ხმაურობით გართულსა; ყოველივე ახმაურდა გარშემო, წყალმაც კი ნაპირს დაუწყო ლამუნი და წყვეტება; ახლა კი რაინდის განძრევ-გამონერევა არაეის ყურადღებას არ მიიქცევდა.

გარნა ქარმა გააღვიძა არა მარტო სანაპიროს ლელიანჩალიანები. აგერ სქშეტუსკის პირდაპირ მოსცურავს რაღაც შავადა, რომელიც ოდნავ ირხევა ტალღებზედ და რაინდმა

ძლივს შეიმაგრა თავი: ცოტას გაწყდა ყვირილი არ შეჰქმნა შიშითა. შეშინებამ და შეზიზღებამ თმა ყალხზედ დაუყენა, სულის შემხუთველმა სუნმა კინაღამ დააღრჩო, ისე წაუჭირა ყელში.

ხოლო პირველმა აზრმა, რომ ეს დამრჩვალი კაცი განგებ თუ მეღოპება გზაზედაო, გაიარა, დარჩა მხოლოდ გრძნობა ზიზღისა და რაინდი კვლავ გაუდგა გზას. ხმაურობა ლელიან-ჩალიანისა თან-და-თან ძლიერდებოდა. იმათ მიმომქანავ ღეროთა შორის სქშეტუსკიმ დაინახა მეორე და მესამე გუნდი თათართა დარაჯისა. „ალბად ნახევარ ტბისთვის შემომივლია, უკვე გარშემოვო“—სთქვა მან გულში და წამოიწია, რომ მიეხედ-მოეხედნა და გაეგო, სადა ვარო; ამ დროს კი უცებ რაღაცა მოედო ფეხებში. დაიხედა წინ და ადამიანის პირისახე კი დაინახა.

„ეს უკვე მეორეაო“, — იფიქრა, მაგრამ ახლა აღარ შეშინდა, მხოლოდ სიარულს მოუმატა, თავბრუ არ დამესხასო. ლელიან-ჩალიანი თან-და-თან უფრო ხშირი იყო. გავიდა ნახევარი საათი, საათი და რაინდი კვლავ მიიწევს წინ, ხოლო გრძნობს, რომ ახლა კი ეიღლებიო. ზოგან წყალი მუხლებამდე ძლივსა სწვდებოდა, მაგრამ ზოგან წელამდე იყო. საშინლად უძნელდებოდა ხან ერთის შლამში ჩაფლულის ფეხის ამოძრობა და წინ გადადგმა, ხან მეორესი; შუბლზედ ხვითქი გადასდიოდა, რაღაც უცნაური სიცივე უვლიდა მთლად ტანში.

„ეს რა ამბავია?—ჰფიქრობდა შეშინებული.—ციება კი არ იყოს და ღმერთი არ გამიწყრეს? ეს ჭაობიც აღარსადა სჩანს... ვაი თუ ვეღარც კი ეიპოვო ამ ლელ-ლერწამსა და ჩალებშია?“

საშინელება იქმნებოდა მართლა. შეეძლო მთელს ღამეს ასე ეპროწიალნა ტბის გარშემო და ბოლოს იქვე მისულიყო, საიდანაც წავიდა, ან არა და ყაზახთ ჩავარდნოდა ხელში.

„ცუდი გზა ამოვირჩიე,—გაივლო მან გულში, სასოებაწარკვეთილმა,—ტბაზედ გავლა არ შეიძლება. სჯობს უკან დავბრუნდე, დავისვენო და ხვალ წავიდე პან ლონგინუსისავით თვით მტერთა ბანაკზედ.“

ის მაინც წინ მიდიოდა. რასაკვირველია, რაკი ასე ნელ-ნელა მიდიოდა, ყოველ ნაბიჯზედ ჩერდებოდა, ჭაობამდე მალე ვერ მიაღწევდა. დასვენების ფიქრმა სრულიად შეიპყრო ბოლოსა და ბოლოსა. ნეტავ ერთი დამაწვინა სადმე... თუნდ აქვე, ამ ტალახში, ამ წუმპე-ჭანჭრობში, ოღონდ კი დავისვენებდე პატარასაო! ახლა უფრო მალ-მალ გააძაგძაგებდა ხოლმე, მუხლთ ეკვეთებოდა. თათრების დარაჯთა დანახვა აფხიზლებდა პატარას, მაგრამ მაინც ჰგრძნობდა, რომ თავი უხურდა, რომ ციება ეპარებოდა და ხელში უპირებდა ჩაგდებას.

გავიდა ნახევარ-საათი კიდევა და ჭაობი კი მაინც არსადა ჩანდა.

მის მაგიერ დამრჩვალთა გვამნი უფრო ხშირ-ხშირად ეყრებოდა წინა. ღამემ, შიშმა, დამხრჩვალთა გვამებმა, ლელიანების ხმაურობამ და შრიალმა, დაღლილობამ სულ აურ-დაურია, დაუბნია გონება. ახლა სხვა-და-სხვა ლანდი და მოჩვენება წარმოუდგა თვალ-წინა. აგერ ელენე, კუდაკშია ვითომა, თვითონ კი ჟენძიანთან ერთად მიჰქრის ვითომ დნეპრზე წყალ-წყალა..... ქსენძ მუხოვეცკი..... ხოლო პან გრობიცკი თავის მამის ადგილს დაიჭერსო... მისი დანიშნული მთელს დღეს მდინარეს უცქერის, ვინ იცის, იქნება აგერ ახლავე ტაში-ტაშს შემოჰკრას და დაიძახოს... „მოდის! მოდისო!“

— ბატონო!—ეუბნევა ჟენძიანი და ხელს ახებს მის სახელოს,—პანნა სდგას აიქა.

სქშეტუსკი ფხიზლდება. თურმე ლელები მოედო ფეხებში და გზა გადუღობა. ლანდი და მოჩვენება ჰქრება. ახლა კი აღარა ჰგრძნობს დაღლილობას. ციება ჰმატებს ძალას. ეს რა არის, ჭაობი ხომ არ არის?

მაგრამ გარშემო კვლავ ისევ ჩალიან-ღელიანებია, მდინარის შესართავი თავისუფალი უნდა იყოს, უმცენარეო... არა, ეს ჭაობი არ არის.

რაინდი მიდის კვლავ, ხოლო ფიქრი მისი ულმობლის ჯიუტობით უბრუნდება მისთვის სასურველს ლანდ-მოჩვენებას. ამაოდ სცდილობს სქშეტუსკი ლოცვების კითხვასა, ამაოდ სცდი

ლობს, აზრის სიფხიზლე არ დაჰკარგოს, კვლავ ელანდება დნეპრი, ლიხვიტა ნავები, კუდაკი, იმიერ-ჭორომეთი, მხოლოდ ახლა მოჩვენება ისე აღარა ჰგავს მართალსა, როგორც წინად. ახლა ბევრნი ირევიან მის თვალ-წინ: ელენეს ახლოსა ჰხედავს თავადსაც, ხმელნიცკისაც, ბარგ-სურსათის ატამანსაც, პან ლონგინუსსაც, ზაგლობასაც, ბოგუნსაც, ვოლოდიევსკისაც, — ყველას მშვენიერი ტანისამოსი ჩაუცვაᲡს და მის ქორწილში მოსულან... მაგრამ თვით ქორწილი სადღაა? რომელღაც უცნობს ქალაქში, არც თუ ლუბნია, არც რაზლოგი, არც იმიერ-ჭორომეთი, არც კუდაკი... წყალი რაღაცნაირია, დამრჩვალთა გვამნი დაცურაობენ შიგა....

სქშეტუსკი ფხიზლდება, იღვიძებს აგერ ეს მესამედა, უკედა ვსთქვათ რაღაც შრიალი აღვიძებს; რაინდი შეჩერდება და დაუწყებს ყურის-გდებას. შრიალი ახლოვდება, ისმის ჭრიალი მოსასმელის ნიჩბებისა, შუილი წყლისა,—ნავი თურმე მოდის.

აგერ მოსჩანს კიდეც ნავი ლელიანებში. შიგ ორი ყაზახი ზის, ერთი ნიჩაბს უსვამს, მეორეს გძელი ლატანი უჭირავს ხელში და გზას უკვალავს ნავს ლელ-ჩალის აქეთ-იქით გაწევითა.

სქშეტუსკი წყალში ჩაიმალა ნიკაპამდე. წყალ-ზემოდ მარტო თავი-ღა დარჩა.

„ეს თუ ჩვეულებრივი დარაჯია, იქნება აქ დარჩეს?— იფიქრა რაინდმა.

მაგრამ, არა. მაშინ ნავები უფრო ბევრი იქმნებოდა, ხალხიც მეტი ისხდებოდა ნავებში.

დარაჯთა ნავმა გვერდზედ გაუარა სქშეტუსკის. მათი ლაპარაკი არ ისმოდა, რადგან ჩალიანი შრიალებდა. მხოლოდ ორიოდე სიტყვას მოჰკრა მან ყური.

— ჯანაბას მათი თავი და ტანი, წადი და ახლა აყროლებულს წყალსაც უყარაულე!

და ნავი ამოეფარა ლელიანებსა, მხოლოდ წინ მჯდომი ყაზახი სცემდა ლელიანებში ლატანსა, თითქო თევზის დაფრთხობა უნდაო.

სქშეტუსკიმ განაგრძო თავისი გზა.

აგერ თათართა დარაჯნიც ზედ ნაპირზედა. მთვარის ნათელი ზედ დაჰშუქებოდა ნოღაელის პირი-სახეს, გარნა სქშეტუსკის მტრებისა უფრო ნაკლებ ეშინოდა, ვიდრე ცნობის მიხდისა. ძალა დაატანა თავს, რომ ცხადად სცოდნოდა სადაც იყო და სადაც მიდიოდა. მაგრამ ამ ძალის დატანებამ უფრო და უფრო მეტად მოჰღალა მისი გონება; უცბად იგრძნო, რომ თვალები უპჭყვრიალებს და კარგად ვეღარასა ჰხედავს; ხან-ღა-ხან ასე ჰგონია, რომ ტბა ზბარაჟის მოედანიაო, ხოლო კორომ-კოროომად ამოსული ლელიანები კარავებიაო. მოინდომა დაეძახნა ვოლოდიევსკისათვის, დაეყვირნა, ჩემთან წამოდიო, მაგრამ ისევ გონს მოვიდა. არ დაიყვირო! არ დაიყვირო!—იმეორებდა რაინდი გულში,—ეგ ყვირილი დაგღუპავსო!“

გარნა ასეთი ბრძოლა თან და თან უფრო და უფრო ძნელდებოდა. რაინდი წამოვიდა ზბარაჟიდან მშიერი, საშინლად დაღალული უძილობითა, რომლის მიზეზითაც პოლონეთის ჯარის-კაცნი უკვე იხოცებოდნენ ბანაკში. ღამე მგზავრობამ, ყინულივით ცივმა წყალმა, მისმა აყროლებულმა სუნმა და ლიაჭაობებში მიწყვეტ-მოწყვეტებამ სრულიად დაასუსტა საწყალი კაცი. ამას ზედ დაერთო კიდევ უცნაური შიში და ტკივილი დაკბენისა კოღოებისაგან, რომელთაც სულ დაუსისხლიანეს პირი-სახე. ახლა ჰგრძნობდა, რომ თუ ჩქარა არ მივაღწიე მდინარეს, ან ნაპირას გავალ... სულ ერთია, რაც უნდა მომივიდეს, ოღონდ კი მალე მოვრჩე ამ ტანჯვასაო!.... ან არა და დავეცემი ამ ლელიანებში და დავიღრჩობ თავსაო.

სქშეტუსკის ეგონა, რომ ჭაობი და მდინარის შესართავი მოუღებს ბოლოს ჩემს მწუხარებასო, თუმცა სწორედ რომ სთქვას კაცმა, იქიდან იწყებოდა მისი ტანჯვა და განსაცდელი. ჯერ კიდევ უმაგრდებოდა ციებას და მოდიოდა წინ ისე, რომ ახლა სულ ნაკლებად-ღა ფრთხილობდა. ხშირად მოესმოდა ხმაურობა ხალხისა, ასე ეგონა, რომ მთელი ტბა სულ ჩემს შესახებ ბაასობსო. მივაღწევ ნეტავ ჭაობამდე თუ არაო? კოღოები ახლა უფრო შესაწუხებლადა ბზუოდნენ. წყალი თან-

და-თან ღრმა შეიქნა, წელამდე ამოსწვდა ჯერა და მერე ძუძუ-ებამდეც შემოადგა. თუ ცურვა არ ამცდა, ფეხები ბალახებსა და ხავსში გამებმება და დავიხრჩობიო. და კვლავ საშინელმა უძლეველმა სურვილმა შეიპყრო, დავუძახებ ვოლოდიეესკისაო; ხელები პირთან მიიტანა და დააპირა დაყვირება:

— მიხალ! მიხალ!

მის ბედზედ ეცა ამ დროს რომელიღაც სველი ლელი სახეზედ და რაინდი გონზედ მოიყვანა. მის გარშემო ჩხრიალი გაჰქონდა წმინდა წყალს. ეს კი მდინარე წყალი იყო ხოლო აქეთ-იქით ჭაობი იდგა.

რაინდი მივიდა ახლო ნაპირამდე. მიიხედ-მოიხედა და მიხვდა მალე, რომ სწორედ გზაზედა ვყოფილვარო: ტბა უკან იყო დარჩენილი, ხოლო თვითონ წყალ-წყალ მიდიოდა და ეს წყალი სხვა არა იყო-რა, თუარ მდინარე.

თვით წყალიც აქ უფრო ცივი იყო. მალე სქშეტუსკიმ იგრძნო საშინელი დაღლილობა. ფეხები უკანკალებდა, თვალთ უბნელდებოდა, თითქო რაღაც შავი ღრუბელი ეფარება წინაო. „აღარ შემიძლიან,—გაივლო მან გულში,—აღარ შემიძლიან მეტი სიარული. მივალ ნაპირამდე და დავისვენებ.“

ფეხი წამოჰკრა რაღასაც, ხელი მოუსვა და იგრძნო, რომ მშრალი მიწა იყო მის წინა. ეს იყო პატარა კუნძული ლე-ლიანებ შორის.

სქშეტუსკი დაჯდა და დაიწყო მოწმენდა დასისხლიანე-ბულის სახისა.

აგერ გამოჩნდა რაღაც კვამლი. სქშეტუსკიმ მიიხედა ნაპირისაკენ. ასიოდ ნაბიჯის მანძილზედ ნაპირიდან ცეცხლი ანთია და ამ ცეცხლს გარს უზის რამდენიმე კაცი. რაინდი იჯდა სწორედ იმ ცეცხლის პირდაპირ და, როცა ქარი მისწევ-მოსწევდა ლელებსა, შეეძლო ცხადად გაერჩია ყოველივე. ისინი იყვნენ მწყემსნი—თათარნი; უსხდნენ ცეცხლს, თბებოდნენ და რაღასაც სჭამდნენ.

საშინელმა სიმშილმა არია სქშეტუსკი. გუშინ დილით შესჭამა ერთი ნაჭერი ცხენის ხორცი, ისეთი პატარა, რომ

ორის თვის მგლის ლეკვიც კი ვერ გაძღებოდა იმითი, მას უკან ნაწილი აღარ ჩასულიყო მის პირში...

დაუწყო გლეჯა მცენარის წყლიან ფოთლებს და სწუწნიდა გამგელებული. წყურვილიც ისევე აწუხებდა როგორც შიმშილი.

ცეცხლი თან-და-თან ჩაჰქრა. იმათ შორის, რომელნიც ცეცხლს უსხდნენ და სქშეტუსკის შორის რაღაც ნისლი და ბური ჩნდებოდა, თითქო ის ხალხი სადღაც შორს მიდისო.

„ოხ! თავი მიკვდება ძილისთვის! აქვე დავიძინებ, ამ კუნძულზედა“—იფიქრა რაინდმა.

ვნახოთ იმ ცეცხლთან ერთი ამბავი ასტყდა. მწყემსნი წამოიწალნენ; სქშეტუსკის ყურებამდე მიაღწია ყეირილმა: „ცხენ-ირემი! ცხენ-ირემიო!“ ყველა გაექანა სათითაოდ აქეთ-იქითა. წუთი კიდევა და რაინდს მოესმა სტვენა და ყრუ თქარა-თქური ცხენებისა ნამიან ბალახზედა.

სქშეტუსკი ვერ მიხვდა, რისთვის გაჰქროლეს მწყემსებმა. მხოლოდ ახლა შეჰნიშნა, რომ ლელების ფოთლები გათეთრდა, წყალმაც სხვა ფერი დაიცა, არა ისეთი, როგორიც მთვარის შუქზედა ჰქონდა, ჰაერში ავიდა სუბუქი ნისლი.

მიიხედ-მოიხედა გარშემო,—უკვე განთიადი იყო.

მთელი ღამე მოახმარა იმას, რომ შემოევლო ტბისათვის და მიეღწია მდინარის შესართავსა და ჭაობამდე, მაშასადამე, ჯერ ძალიან მცირე მანძილი ჰქონდა გავლილი. ახლა დღისით უნდა გაევლო ბანაკზედა.

თან და თან უფრო ინათლა. აღმოსავლეთით გამოჩნდა ვარდის ფერი ზოლი.

სქშეტუსკი კვლავ ჩავიდა ჭაობში და, მივიდა თუ არა ნაპირას, ფრთხილად ამოჰყო თავი ლელიანებიდან.

დიდის სიფრთხილით მიხოხდა გამქრალ ცეცხლთან. იქნება დარჩათ რამე იქაო? დარჩენიათ, აგერა გამოხრული ცხვრის ძვალი, ძარღვები და კაკნატოები და რამდენიმე შემწვარი თალგამი, რომელიც ღველფში ჩარჩენოდათ მწყემსებსა. რაინდი ხარბად ეცა საჭმელს, თითქო მშიერი ნადირიაო.

რამდენისამე წუთის შემდეგ სქშეტუსკი უკვე თავი სწინანდელს ბინაზედ იყო და დაწვა იქ დასაძინებლად. თან წამოიღო გამოუხრავი ძვალი და დაუწყო ახლა ხვრა. დადიხანი იყო, რაც ამისთანა გემრიელი საჭმელი აღარ ენახა ზბარაჟში.

ახლა კი უფრო მხნედ იგრძნო თავი, ძალ-ღონე დაუბრუნა ცოტაოდნად საჭმელმაცა და განთიადმაც. თან და თან უფრო განათდა არე-მარე; ღილის ნიავი, მართალია, ცივადა ჰხვდებოდა რაინდის სველს ტანს, მაგრამ ნუგეშად ისა ჰქონდა, რომ მალე მზე ამოვა და გამათბობსო. მიიხედ-მოიხედა და დაინახა რომ მისი კუნძული რგვალი იყო და სრულიად დაფარული გარშემო ატეხილის ლელიან-ჩალიანითა. კაცი იქ თვალს ვერ მოჰკრავდა.

„აქ მე ვერ მიპოვნიან,—სთქვა მან გულში,—თუ თევზს არ დაუწყეს ჭერა ამ ლელიანებში, მაგრამ თევზი სულ გამწყდარიყო სიმყრალისაგან. აქ შეიძლება გამოვიძინო და მოვიფიქრო, როგორ მოეიქცე შემდეგში“. ვითომ ისევ წყალ-წყალ ვიარო, თუ არაო? გადასწყვიტა, წავალ, თუ ქარი იქნება, თუ არა და ჩემის სიარულით ატეხილი შრიალი გამცემს, მით უმეტეს, რომ თვით ბანაკს ახლო მომიხდება გავლაო.

„გმადლობ შენ, ღმერთო, რომ დამიცევ და დამიფარე აქამდე!“ —წაიჩურჩულა მან და აღაპყრო თვალები ცად.

მისი ფიქრი პოლონელთა ბანაკისაკენ წავიდა. ციხე-დარბაზი ისე სჩანდა აქედან, თითქო ხელის-გულზეა გაშლილიო. ვინ იცის, იქნება იქიდან იცქირება ვინმე ამ ტბასა და ლელიანებისაკენ. ხოლო ვოლოდიევსკი და ზაგლობა, ნამდვილად მთელს დღეს ყარაულად იდგებიან თხრილებზედ, ვაი თუ გაგვიწყრეს კიდევ ღმერთი და იმის გვამი დავინახოთ რომელსამე „მოსეირნე ციხე-ქალაქზედაო“.

„ვერა, ვერ დაინახავენ,—გაივლო გულში სქშეტუსკიმ და გვერდი აევსო განსაცდელისაგან გადარჩენის ტკბილის გრძნობითა.—ვერ დამინახავენ, ვერა!—განიმეორა მან რამდენჯერმე.—ცოტა გზა გამოვიარე, მაგრამ ამასაც გამოვლა უნდოდა. ღმერთი შემეწევა შემდეგაც“.

ფიქრ-ოცნებამ შორს, შორს განიტაცა რაინდი... აგერ, უკვე ბანაკს კარგა გამცდარია ვითომ, უკვე ტყეშია, მეფის ჯართა შორის... ქუდზედ კაცია გამოსული საომრად, გუსარნი, ქვეითი ჯარი, უცხოელთა რაზმნი უდგანან თვალ-წინა... დედა-მიწას დგანდგარი გააქვს ხალხისა და ცხენ-ზარბაზანთა სიმძიმის გამო, ხოლო იმათ იქით თვით მეფეა.

შემდეგ ჰხედავს დღემდე უნახავს ბრძოლას, თათართა შემუსერილს ბანაკს, თავადს მთელის თვისის ცხენოსანთა ჯარითა, რომელიც მოჰქრის და ჰქელავს ფეხ-ქვეშ მტრის დაჭრილთა და დახოცილთა გვამებს, ესმის მხიარული ყიჟინი ლაშქარისა.

დაწითლებული, დასივებული თვალები თავის-თავად ეხუჭებოდა მზის აუტანელის ბჟყვრიალის გამო, თავი ექინდრებოდა მრავალგვარ აზრთა მოჯარების მიზეზით. სქშეტუსკი შეიპყრო ტკბილმა მოუძლურებამ; რაინდმა გაჭიმა ფეხები და ძილს მისცა თავი.

ლელიანი მაინც სულ შრიალებდა. მზე მაღლა აეიდა და გაათბო მძინარე რაინდი, გააშრო მისი ტანისამოსი, ხოლო ის ისევ გულის ძილში იყო, არ ინძრეოდა. ვისმე რომ დაენახა ასე პირქვე დამხობილი, თავ-პირ დასისხლიანებული, ეგონებოდა, რომ კაცის გვამია, წყალს გამოუგდია აქაო. გადიოდა დრო ხოლო იმას კი მაინც სულ ეძინა. მზემ გადიხარა და აგერ ჩასვლასაც ეპირებოდა, ხოლო იმას კი მაინც ისევ ეძინა. მხოლოდ ცხენების ჭიხვინმა და მწყემსების ყვირილმა გააღვიძა ჩვენი რაინდი.

სქშეტუსკიმ თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა გარშემო და გაიხსენა, სადაც იყო. ცაზედ, რომელიც წითლად შეფერილიყო მზის ჩასვლის ნათლითა, ვარსკვლავები აპირებდნენ ამოციმციმებას. რაინდმა მთელი დღე ძილში გაატარა.

არავითარს შემსუბუქებას არა ჰგრძნობდა; პირიქით, მთლად ძვლები სტკიოდა ერთიანად, თითოეული საღსარი აუტანელს ტკივილს შეეპყრო. მაგრამ რაინდმა იფიქრა, რომ ხელმეორედ

დაღალვა ძალ-ღონეს დამიბრუნებსო, ჩავიდა წყალში და გასწია კვლავ თავის გზაზედა.

ახლა სულ წმანდა წყალში იდგა და მიდიოდა ამ წყალ-წყალ, ლელიანების მახლობლად, რომ იქნება მწყემსებმა არ დამინახონო. ნათელი გაჰქრა, ბინდმა მოიცვა არე-მარე, მთვარე ჯერ არ ამოსულიყო ტყიდანა. წყალი ისე ღრმა იყო, რომ ადგილ-ადგილას სქშეტუსკი, ფეხს ვერ უწევდა ძირს და მეტი ღონე არ იყო, უნდა ცურვით ეარნა, რაც ადვილი არ იყო, რადგან პირშელმა წყალში ცურვა მეტად ძნელია. მაგრამ სამაგიეროდ, რაც უნდა შორს.მხედველი თვალი თათრისა დაშტერებოდა იმ არე-მარეს, ვერ დაინახავდა რაინდის თავს, რომელიც წინ-წინ მიიწევდა კედელივით აწვდილ ლელიანების ნაპირად. ბოლოს, ხან ცურვით, ხან თავ-თხელში სიარულით მან მიაღწია იმ ადგილამდე, საიდანაც მის თვალს წარმოუდგა ათასგან დანთებული ცეცხლი მდინარის ორთავ ნაპირას.

„ბანაკია!—სთქვა გულში რაინდმა.—ღმერთო, ახლა მომხედე!“

წაიწია წინ კისერი და დაუწყო ყურის-გდება.

მოესმა ხმაურობა სხვა-და-სხვა ლაპარაკისა. დიაღ, სწორედ ბანაკი იყო. ხელ-მარჯვნივ ყაზახთა ურდო იდგა ათასობით დამწკრივებულის ურმებითა და კარვებითა, ხელ-მარცხნივ თათართა ჰქონდათ დაცემული ბინა, ორგანვე დიდი ხმაურობა იყო ატეხილი, ისმოდა ჟრიამული, ზმუილი საქონლისა და აქლემისა. მდინარე შუაზედ ჰყოფდა მათს სამყოფელს და ხელს უშლიდა ჩხუბსა და შებრძოლებას მათ შორის: თათრებს არ შეეძლოთ დამშვიდებით მდგარიყვნენ ყაზახთა მახლობლად. ერთი მხრით ურმები, მეორე მხრით—ჩალიანი ფარდულ-ქოხები გაბმული იყო თვით მდინარის ნაპირამდე, ხოლო თვით წყალთან, ეჭვი არ იყო, იდგებოდა დარაჯთა გუნდი.

ლელიანი თან-და-თან თხლად იყო ამოსული; ცხადია, ბანაკის პირდაპირ ნაპირი ქვიანი უნდა ყოფილიყო. სქშეტუსკიმ წაიწია რამდენისამე ნაბიჯით წინა და შესდგა. რაღაც საშინელი ძალა და მუქარა მოჰქროდა ამ ჭიანჭვლის სოროე-

ბივით ხალხ-მრავალ ბანაკიდან. ისე მოეჩვენა, თითქო ყოვლადი ყურადღება, ყოვლადი მხეცობა ათასობით აქ შეტბორებულ ადამიანთა ჩემდა საწინააღმდეგოდ არის მომართულიო და, რაკი მათ სიახლოვეზე იყო, ჰგრძნობდა თვის ყოველადს უძალობას, ყოვლადს არარაობას. რაინდი მარტოდ-მარტო იყო.

„ვერავინ გაივლის აქ!"—სთქვა მან გულში, მაგრამ მაინც წინ წავიდა, რადგან რაღაც თავდაუჭერელი, უცნაური ცნობის მოყვარეობა ატანდა ძალას. უნდოდა ახლო მისულიყო და კარგად გაესინჯა ის საშინელი ძალა...

უცბად შესდგა. ტყე ლელიან-ჩალიანისა შესწყდა, თითქო განგებ მოუცელიათო; იქით წმინდა წყალი იყო და იმაში წითლად ჰკრთოდა ალი მრავლად დანთებული ცეცხლებისა.

ორი დიდი ცეცხლი ენთო ზედ მდინარის ნაპირად. ერთს ცეცხლთან ცხენით თათარი იდგა, მეორესთან—ყაზახი, რომელსაც გრძელი შუბი ეჭირა ხელში. ორივენი ერთმანერთს უცქეროდნენ და თან თვალი წყლისაკენა ჰქონდათ. შორს მოსჩანდნენ სწორედ ამ გვარიეე დარაჯნი.

ცეცხლების ალი, თითქო წითელი ხიდი გადაუდვიათ მდინარეზედაო, ისე მოსჩანდა. წყლის ნაპირად კაცი შეჰნიშნავდა ნწკრივად ჩარიგებულს ბატარა ნავებს.

„შეუძლებელია!"—წაიჩურჩულა სქშეტუსკიმ...

და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო რაინდი. ვერც წინ წახვალ, ვერც უკანა! აგერ დღე და ღამე გავიდა, რაც ამ ჭაობებსა და ჭანჭრობში დატოპავდა, ისუნთქავდა დამპალს ჰაერს გახრწნილის მძოვრისას, ლბებოდა წყალში და ყოველივე ეს იმიტომ იტვირთა, რომ მისულიყო ურდომდე, რომელზედაც უნდა გაეარნა და მაშინ დაენახა, რომ ეგ შეუძლებელი საქმეაო!

მაგრამ უკან დაბრუნებაც შეუძლებელი იყო; რაინდმა იცოდა, რომ ძალ-ღონეს მოიკრებდა კიდევ წინ წასასვლელად, ხოლო უკან დასაბრუნებლად კი ვერა. მის სასოწარკვეთილებაში დაფარული იყო ყრუ გაშმაგება; პირველში უნდოდა ნაპირას გასულიყო, დაეხრჩო თავის ხელით პირველივე, ვინც შეხვდებოდა, მერე სცემოდა ყველას და თვითონაც თავი დაედო.

ქარმა კვლავ დააწყებინა შრიალი ჩალიანებსა და თან მოჰქონდა სუსტად ხმა ზბარაჟის ზარების რეკისა. სქშეტუსკიმ ლოცვა დაიწყო; იცემდა გულში ხელს და ცას შეევედროდა შველასა ისეთის ძალით და განწირულის რწმენითა, როგორითაც შეუძლიან ვედრება დასაღუპად განმზადებულსა; ისა ლოცულობდა, ხოლო ურდო-ბანაკი შავბედითის ძლიერებით ხმაურობდა და გუგუნებდა, თითქო ეს არის პასუხი მისის ლოცვა-ვედრებისაო. ჩრდილით მოშაეონი და ცეცხლის ალით წითლად გამუქებულნი აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ, თითქო ტარტაროზნი დაფუსფუსებენ ჯოჯოხეთშიო; დარაჯნი ისევ ისე უძრავად იდგნენ, მდინარე წყალი ისევ წითლად გაშუქებული მიიკლაკნებოდა ზოლივით.

„დაღამდება და ცეცხლებს გააქრობენ,“ —სთქვა გულში სქშეტუსკიმ.

გავიდა საათი, მეორე. ხმაურობა მისწყდა, ცეცხლებს მართლა ალი მოაკლდა და ქრობა დაიწყო; მხოლოდ ორგან არა ნელდებოდა სადარაჯოდ დანთებული ცეცხლი. იმათ ისევ ისე ბეჯითად უკეთებდნენ და, ეტყობოდა, არ ანელებდნენ.

დარაჯნი მალ-მალ იცვლებოდნენ, ეტყობოდა, გათენებამდე გასტანდა ასე ცვლა დარაჯთა.

სქშეტუსკიმ იფიქრა, რომ დღისით უფრო ადვილად გაეუსხლტები მაგათ ხელიდანაო, მაგრამ ეს ფიქრი ისევ მსწრაფლად უარჰყო. დღისით წყალს ეზიდებიან მდინარიდან, საქონელს წყალს ასმევენ, სანაპირონი წყალისა ისე არ დარჩება, რომ ერთი და ორი კაცი არ იყოს მის მახლობლადაო.

უცბად მან დააშტერა თვალი ნავებსა. მდინარის ორთავ ნაპირებზედ ნაეები მწკრივად იდგნენ მრავლად, თათართა მხრისკენ ხომ თვით ლელიანებამდე იყო ჩამწკრივებული ნაეები.

სქშეტუსკი ჩავიდა წყალში, ყელამდე ჩაჯდა შივა და ფრთხილად გასწია ნავებისაკენ; თან თვალს არ აშორებდა თათრების დარაჯსა.

ნახევარს საათს უკან უკვე მიუახლოვდა პირველს ნავს. მისი ფიქრი სულ ადვილად მისახვედრი იყო. ნავებს ცხვირები

მაღლა ჰქონდა აშვერილი და კამარასავით იყო ზემოდან შეკრული ზედ წყალზედა, ისე რომ მათ ქვეშ ადვილად გაიცლიდა მალვით თავი კაცისა. თუ ყველა ნავი ახლო-ახლოა ერთმანეთზედა, თათრების დარაჯი ვერაფერს ვერ შეჰნიშნავსო, ყაზახი უფრო საშიშია, მაგრამ ისიც ვერაფერს ვერ დაინახავს, იმიტომ რომ ნავის ქვეშ ძალიან ბნელაო. ასე იყო თუ ისე, მაინც სხვა გზა არსადა სჩანდა.

სქშეტუსკი ყოყმანს აღარ მოჰყვა და მალე გაჩნდა ნავების ცხვირებ ქვეშა.

რაინდი სულ დამუხლისთავებული მიფოფხავდა, იმიტომ რომ იქ წყალი მეტის-მეტად თხელი იყო. თათარი ისე ახლო იყო, რომ სქშეტუსკის ესმოდა ფრუტუნი იმის ცხენისა, რაინდი შეჩერდა ერთს წუთას და ყური დაუგდო. მის ბედზედ ნავები ძალიან ხერხიანად იყო ამწკრივებული. ახლა მთლად ყურადღება თვისი მიაქცია ყაზახს, ხოლო ყაზახი თათარს არ აშორებდა თვალს. პარუჩიკი გასცდა ათიოდე ნავს და ამ დროს უცბად მოესმა ფეხის ხმა და ლაპარაკი ხალხისა. გაჰნაბა სული და დაუწყო ყურისგდება. როცა ყირიმში დადიოდა, ისწავლა თათრული და ახლა სულ ჟრუანტელმა დაუარა ტანში, რაკი გაიგონა ბრძანება:

— ჩასხედით და გასწით!

სულ ცხელება დააწყებინა სქშეტუსკის, თუმცა წყალში იყო ჩამალული. თუ წამსვლელნი იმ ნავში ჩასხდნენ, რომლის ქვეშაცა ვარ დამალული, ეს არის დავიღუპეო; თუ ჩასხდნენ ერთერთს იმ ნავში, რომელიც წინ არის, მაინც დავიღუპები, იმიტომ რომ იქ ცარიელი გაშუქებული ადგილი დარჩება და, როცა იმ ადგილს გავივლი, უეჭველად შემამჩნევენო.

ყოველი წუთი ლოდინისა ცეცხლი იყო ახლა მისთვის. აგერ დაიწყო ჭრაჭუნი ფიცრებმა და თათრები ჩასხდნენ ნავში; მეოთხე თუ მეხუთე იყო ბოლოდან ის ნავი, რომელშიაც ისინი ჩასხდნენ; წასწიეს წინ ნავსა და წავიდნენ ტბისაკენ. ხოლო ამ გარემოებამ მიიქცია ყურაღღება ყაზახთა დარაჯებისა.

სქშეტუსკი უძრავად იჯდა წყალში მთელი ნახევარ საათი. ბოლოს დარაჯნი გამოიცვალნენ და იმანაც გასწია წინა.

ასე იარა იქამდე, ვიდრე ნავების მწკრივი გათავდებოდა. უკანასკნელ ნავს იქით კვლავ ლელიანები იწყებოდა. საშინლად გატანჯულმა, დაღლილმა რაინდმა დაიჩოქა და მხურვალედ ჰმადლობდა ღმერთსა.

შემდეგ უფრო გაბედვით დაიწყო სიარული. რამდენსაც დაჰბერავდა ქარი და ააშრიალებდა ლელიან-ჩალიანებსა, იმდენს ის უფრო უმატებდა სირულს. აქა-იქ სადარაჯოდ დანთებული ცეცხლი შორსა რჩებოდა უკან, ოდნავ-ღა ციმციმებდა, ჰქრებოდა. ლელიანები თან-და-თან უფრო ხშირი იყო, ნიადაგი ჭაობიანი. აქ დარაჯნი ახლო-ახლო აღარ იდგნენ, ხმაურობა და გუგუნი ურდოსი ნაკლებად-ღა ისმოდა თან-და-თან. რაღაც უცნაური ძალა ამაგრებდა რაინდის ხელ-ფეხსა. დიდის ღონით სწევდა აქეთ-იქით ჩალა-ლელსა, იფლობოდა ლია-ჭაობებში, ვარდებოდა ყელამდე ლაფში, იხრჩობოდა მორევებში, აუცურდებოდა და კვლავ ფეხზე დგებოდა თავ-თხელებში. ჯერ კიდევ ვერა ჰბედავდა ნაპირზედ გასვლასა, მაგრამ ჰგრძნობდა კი, განსაცდელი აეცდინე თავიდანაო. მოიხედა უკანა და დაინახა, რომ ურდოს ცეცხლები ძლივს-ღა მოსჩანდა; რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გაიარა და სულ მიეფარა თვალთაგან მათი შუქი. მთვარე ამოვიდა, გარშემო ჩამოვარდა დუმილი. აგერ მოისმა ხმაურობა, უფრო ძლიერი და დიდებული, ვიდრე ხმაურობა და შრიალი ლელიან-ჩალიანისა. სქშეტუსკიმ კინაღამ დაიყვირა სიხარულით: წყალის ორთავე ნაპირებიდან შავად მოსჩანდა ტყე.

გაეშურა ნაპირისაკენ და ამოვიდა ლელიანებიდან. ნაძვის ტყე იქვე ნაპირიდანვე იწყებოდა: სუნი ფისისა ეცა ცხვირში. აქა-იქ შავად დაბურულს ტყეში ბჭყვრიალებდა, თითქო ვერცხლიაო, ფოთლები პუპპუპასი.

რაინდმა ხელ-მეორედ დაიჩოქა და მხურვალედ აკოცა დედა-მიწას.

ახლა კი ნამდვილად გადარჩენილი იყო. შემდეგ შეერია დაბურულს ტევრში და ეკითხებოდა თავისს თავსა: სად წავიდე, საით წამიყვანს ეს ტყე, სად არის მეფე და მისი ჯარიო?

გზა ჯერ არ იყო გავლილი სავსებითა, ჯერ კიდევ ბეერგვარი განსაცდელი იყო მოსალოდნელი და თავიდან ასაცილებელი, მაგრამ როცა გაიხსენა, რომ თავი დაახწია ამოდენა უზარმაზარ მტრის ურდოსა, გადურჩა იმისთანა ჭაობებსა და უბედურებასა, იფიქრა, რომ ყოველივე განსაცდელი ავიცილე, რომ ეს ტყე პირდაპირი გზაა, ეგ მიმიყვანს მეფის ტახტამდეო.

და მიდიოდა ეს კაცი მშიერი, გაყინული, სიცივით აკანკალებული, სველი, საკუთარი სისხლი თავს გადასდიოდა, ტალახი და ხავსით იყო მოთხვრილი და გული კი სიხარულით უცემდა, გული კი იმედითა ჰქონდა სავსე, რომ მალე ისეთი კი აღარა, არამედ ძლიერი, მძლავრი დავბრუნდები კვლავ ზბარაჟშიო.

„ახლა გეღირსებათ შემწეობა, ახლა აღარ დაგხოცავთ სიმშილი,—სთქვა მან გულში თავის ზბარაჟელის მეომრებისა, —მე მოგიყვანთ მეფესა!“

და რაინდულმა გულმა სიხარულით დაიწყო ცემა, რაკი იმ აზრმა გაუელვა ფიქრად, რომ ახლა კი მალე დავიხსნი თავადს, ჯარს, ეოლოდიევსკის, ზაგლობას და ყველა იმ გმირთა, რომელნიც კარ-ჩაკეტილნი და ალყა-შემორტყმულნი არიან ზბარაჟის ციხე-სიმაგრეშიო.

ტეფრი ტყისა ჰშლიდა თავის უზარმაზარ ტოტებსა და ჰფარავდა გმირს თვის ფრთეთა ქვეშე.

VII

ტოპოროვის სასახლის სასტუმრო ოთახში სამი კაცი იჯდა. რამდენიმე წმინდა სანთელი ენთო სტოლზედა და ზედ ეყარა რუკანი; მათ მახლობლად იდო მაღალი შლიაპა შავის ფრთითა, დაშნა სადავის ვადითა, რომელზედაც იდო დაფან-

ჯრული ხელსახოცი და ერთი წყვილი ხარ-ირმის ტყავის ხელთათმანი. სტოლს უჯდა ესე ორმოცის წლის კაცი, ტანდაბალი, გამხდარი, მაგრამ მკვრიევის და მარღვინის აგებულებისა. პირი-სახე გაფითრებული ჰქონდა და მოღალული, თავზედ ედო შავი შვეტური პარიკი გრძელის კულულის დალალებითა, რომელიც მხრებამდე სწვდებოდა მის პატრონს. თხელი შავი ულვაშები, ზემოდ-აგრეხილი, ამკობდა მის ზედა ტუჩს, მაშინ როდესაც ქვემო ტუჩი, წვერთან ერთად, წინ იყო ძრიელ წამოწვდილი და მთელს მის სახეს სდებდა ნიშნობლიევს იერს ლომის გულადობისას, გულ-ზვაობისასა და კერპობისას. ვერ იტყოდით რომ ლამაზი სახისაო, გარნა არც ის ითქმოდა, რომ შეუმჩნეველი, უბრალო სახის კაციაო. დატკბობის სურვილის ნიშანი ედო სახეზედ, გარნა ის ნიშანი უცნაურად შეერთებოდა ამ სახის სასტიკსა და ყინულივით ცივს ჩრდილსა. შავი თვალები დაღლილებივით იხედებოდა, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო, რომ ჟამსა გატაცებისასა ანუ განრისხებისასა, სულ ცეცხლს დააფრქვევდა და ამ ცეცხლს ყველა ვერ გაუშტერებდა თავის თვალებსა. ამასთანავე, ეტყობოდა, რომ მოკლებული არ იყო გულ-კეთილობისა და სიმშვიდის მცირეოდენს იერსაცა. შავი ტანისამოსი, ატლასის განწყობილის ახალუხივით და დაფანჯრული სახელო თეთრის პუჭპუჭალი, შნოსა და ლაზათს ჰმატებდა ამ კაცის წამოსადეგობას. საზოგადოდ, თუმცა მწუხარე მეტყველება ჰქონდა მის სახეს, მაინც რაღაც დიდებულება ეტყობოდა ზედა. მართლაც, იგი იყო თვით მეფე იან კაზიმირ ვაზა, მემკვიდრე ვლადისლავის სამეფო ტახტისა.

ცოტა იმაზედ მოშორებით, მიჩრდილულს ადგილს, იჯდა იერონიმე რამეევსკი, უფროსი კაცი ლომჟინისა, მეტად ტანდაბალი, სქელი, წითური, მოხერხებულის კარის-კაცის სახისა, ხოლო მის პირ-და-პირ, სტოლს ახლო იჯდა მესამე კაცი, იდაყვით სტოლს დაჰბჯენოდა, შინჯავდა რუკას და ჟამითიჟამად მეფეს შეჰხედავდა ხოლმე.

მისი სახე იყო ყინულივით ცივი სახე სახელმწიფო კაცისა, მწუხარებითა და ფიქრით დაღარული-დანაოჭებული. სისასტიკე

და ულმობელობა სახისა არას უშლიდა მის სილამაზეს. ცისფერს მის თვალებს ჯერ არ დაჰკარგოდა კიდევ თვისი ელვარება, მდიდრული პოლონური ტანისამოსი და შვეტურად მოკლედ-მოკრეჭილი წვერი სდებდა მის სახეს, თითქო მარმარილოსაგან მოკვეთილს, უფრო მეტს დიდებულებას. ის იყო იური ოსსოლინსკი, სახასო კანცლერი, საიმპერიო მთავარი, ორატორი და დიპლომატი, რომელი აკვირვებდა ევროპიის არა თუ იმ სამეფო კარს, სახელოვანი მოპირისპირე ერემია ვისნევეცკისა.

არა-ჩვეულებრივმა და შესანიშნავმა მისმა ნიჭმა მიიქცია ყურადღება წინად წინად მყოფთა მეფეთა, ღირსი გაჰხადა უმაღლეს თანამდებობისა სახელმწიფოში, რომელიც ასე მიღწევნილ იყო, აწ დამხობამდე.

ხოლო კანცლერი მართლა თითქო განგებ იყო გაჩენილი სახელმწიფოს განსაგებელად. ამ შრომის-მოყვარესა, გამოცდილს, ჭკვიანს, შორს-გამჭვრეტელს მთავარს შეეძლო ყოველი სახელმწიფო, გარდა რესპუბლიკისა, მიეყვანა მშვიდს ნავთსაყუდელსა, ყოველ სხვა სახელმწიფოსთვის ეზრუნა გარეგანი ძლიერება და ხანგრძლივი ჟამი შინაურის მშვიდობისა, თვით მპყრობელი მინისტრი რომ ყოფილიყო ისეთის მონარქისა, როგორიც იყო, მაგალითად, მეფე ფრანგებისა და ესპანელებისა.

აღზრდილი იყო სამზღვარ-გარედ, ჰხელმძღვანელობდა საზოგადო მოსაზრებითა, მაგრამ, თუმცა დაბადებითვე თანდაყოლილი ჰქონდა დიდი ჭკუა-გონება და წინ-მსვლელობა, თუმცა ხან-გრძლივი გამოცდილება ჰქონდა, მაინც ვერას გზით ვერ შესძლო შესთვისებოდა რესპუბლიკის მთავრობის სისუსტეულონობას, ვერ ისწავლა შეეწონა მისთვის თვისი ხასიათი და ამიტომ ამ კლდეზედ იმსხვრეოდა ყოველი მისი ფიქრი, განზრახვა, და მომავალში სჭვრეტდა მხოლოდ რღვევასა და თავის სამშობლოს სვე-უბედურებას.

იყო გენიოსი თეორეტიკოსი და ვერ მოახერხა გენიოსივე პრაქტიკი ყოფილიყო და ამიტომ ჩავარდა მოჯადოვებულს ყოფაში, საიდანაც მოსავალს კარგს ვერსად ჰხედავდა.

რაკი ერთს აზრს რასმე გამოისახავდა, ისეთს აზრს, რომელსაც შეეძლო სიკეთე მიენიჭებინა ქვეყნისათვის მომავალში, სცდილობდა ყოვლის ღონით მის განხორციელებას ფანატიკოსის ჯიუტობით, ყურადღებას აღარ აქცევდა იმას, რომ მაშინდელ ყოფაში ასეთს მეცადინეობას სრულიად სხვა მწარე ნაყოფი მოჰყვებოდა.

მთავრობისა და სახელმწიფოს გაძლიერება უნდოდა და ამიტომ მან მიუშვა, მოადუნა ის სადავე, რომელითაც ალაგმული იყო ყაზახობა და ის კი ვეღარ განსჭვრიტა, რომ გრიგალი არა მარტო შლიახტას, თავად-აზნაურობას დააფორიაქებდა მისის ძალ-მომრეობითა და თვით-ნებობითა, არამც თუ შეჰმუსრავდა მათს ლატიგუნდიებსა და დიდს მემამულეობას და მიწა-წყალის დასაკუთრებას დიდ სამზღვართა-შორის, არამედ მუქარას დაუწყებდა თვით სახელმწიფოს ინტერესებსაცა.

მინდორ-ველიდან წამოჰყო თავი ხმელნიცკიმ და ბუმბერაზად გადიქცა. რესპუბლიკა საშინლად იქმნა დამარცხებული ყვითელ წყლებთან, კორსუნს, პოლაეცსა. პირველშივე ხმელნიცკი შეუერთდა მტერს, თათრებსა. გრიალი გრგვინვისა ზედიზედ მოჰყვა ერთმანერთსა; შემდეგ კიდევ მოსალოდნელი იყო მხოლოდ ომი და კვალად ომი. ეს გაზრდილი, საშიში ძალა უპირველეს ყოვლისა უნდა დათრგუნვილიყო, რომ შემდეგში მისი სასარგებლოდ გამოყენება შესძლებოდა ქვეყანას, ხოლო კანცლერი შთანთქმული თვისთა მოსაზრებათა სიღრმეში სულ აყოვდებოდა და ერწმუნებოდა ხმელნიცკისაც კი.

საქმეთა მიმდინარეობის აუცილებლობამა და ლოგიკამ დაარღვია მისი თეორიები; დღითი-დღე უფრო და უფრო ცხადად ჩნდებოდა, რომ კანცლერის მეცადინეობას სულ საწინააღმდეგო შედეგი მოსდევდა. ბოლოს, დაჰკრა ჟამმა და ზბარაჟსაც გარს შემოადგა მტერი. ახლა აღარავითარს ეჭვს ადგილი აღარა ჰქონდა მის გულში. კანცლერი წელში იხრებოდა სეინდისის ქენჯნისა, მწუხარებისა და საყოველთაო ზიზღის ტვირთ ქვეშე.

და ისიც იქცეოდა ისე, როგორც იქცევიან ის კაცნი, რომელთაც შეურყეველად სწამთ თვისი ძალა და ჭკუა: ეძებდა დამნაშავეთა.

დამნაშავე იყო მთლად რესპუბლიკა, მისი მთავრობა, წარსული რესპუბლიკისა, მისი სახელმწიფო წეს-წყობილება, გარნა თუ ვინმე იმის შიშითა, რომ კლდე მთის პირად გადმოწვდილი უფსკრულში არ შთაინთქასო, მოინდომებს მისს მაღლა მწვერვალზედ ატანას, ხოლო არ კი შეუწონებს ამ დიდს საქმეს თავისს ძალ-ღონეს, ის მხოლოდ ააჩქარებს იმ კლდის გადმონგრევასა. კანცლერმა უარესი მოიქმედა: მან მოუწოდა საშველად საშინელს ყაზახთა ზვირთს, იმას კი ყურადღება არ მიაქცია, რომ ამ ზვირთს შეეძლო მხოლოდ გამოჭმა საძირკვლისა, რომელზედაც კლდე იყო დამყარებული.

ხოლო როცა ის ბრალეულს ეძებდა, თვით მას მიჰქარეთა ყველამ თვალნი და ის დასახა მიზეზად ომისა, დამარცხებისა, სვე-უბედურებისა.

გარნა მეფე მაინც იმას ერთგულობდა, იმას ერწმუნებოდა და ერწმუნებოდა მით უფრო, რომ საყოველთაო მოთქმა-მოთქმა, თუმცა იგი მეფე იყო, იმასაც ამტყუნებდა კანცლერთან ერთადა.

ახლა ისხდნენ ისინი ტოპოროკში შეწუხებულნი, დაღვრემილნი და არ იცოდნენ რა ექმნათ, რა მოექმედნათ. მეფესა ჰყავდა სულ მხოლოდ ოც და ხუთი ათასი ჯარი. ქუდზე კაცის გამოწვევა დაგვიანდა და იმ ხანად მოგროვდა მხოლოდ ნაწილი ამ გამოწვეულის ლაშქრისა. ვინ იყო მიზეზი ამ დაყოვნებისა, თვით კანცლერის ახირებულმა და ჯიუტმა პოლიტიკამ ხომ არ დაჰბადა იგი, ეს ისეთი საიდუმლოა, რომელიც დღესაც არ არის გამოცნობილი; საკმაოა, ისიც რომ იმ წუთს ისინი ცხადად ჰგრძნობდნენ თავიანთ უძლურებას ხმელნიცკის ძლიერების წინაშე.

ეს კიდევ ცოტაა, ხმელნიცკისა რიგიანად არა იცოდნენ-რა. მეფის ბანაკში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ეშველება თვით ყველნი ხმელნიცკისა, თუ იმასთან მარტო ტუღაი-ბეია რამდენი-

სამე ათასის ურდოელითაო. ამ საგნის ცოდნაზე კი იყო სიკვდილ-სიცოცხლე დამოკიდებული. თვით ხმელნიცკისთან, თუ საჭიროება მოითხოვდა, მეფეს შეეძლო კიდევ ბედი ეცადნა და შეჰბრძოლებოდა გაორგულებულს გეტმანს, თუმცა იგი ათჯერ ძლიერი იყო. სახელი მეფისა ჯერ კიდევ ძლიერი იყო ყაზახთა შორის, იქნება უფრო ძლიერი, ვიდრე ბრბონი საყოველთაოდ ქუდზე გამოწვეულის აბეზარისა და სამხედრო საქმეში გაუწურთვნელის შლიახტისა, ხოლო თუ ხმელნიცკისთან თვით ყეენიც იყო, მაშინ კი გამკლავება მასთან სულ უგუნურება იქნებოდა.

მართალია, ჭორები მოჰქონდათ, მაგრამ ის ჭორები ჭკუას ახლო არ იყო და ვერავინ დაიჯერებდა. ფრთხილი ხმელნიცკი ერთს რაზმს არ უშვებდა თავის ბანაკიდან არც ყაზახებისასა და არც თათრებისას, რომ მეფემ მთხრობელი არ შეიპყრას და ჩემი ამბავი არ გაიგოსო. გეტმანს თავისი ფიქრი ჰქონდა: უნდოდა ჯერ გაენადგურებინა უკვე ძალ-ღონე მილეული ზბარაჟი და მერე მოულოდნელად გამოსცხადებოდა მეფეს, შემორტყმოდა გარშემო თავის ჯარით და შეპყრობილი ხელმწიფე მიეცა ხელში ყეენისათვის.

მაშასადამე, უმიზეზოდ არ გადაჰკროდა ღრუბელი ჭმუნვისა მეფის შუბლს, რადგან პატრონ-მპყრობელისათვის იმაზედ მეტი ჭმუნვა იქნება, რომ ჰგრძნობდეს თავისს უძლურებას. იან კაზიმირი უსასოდ მიეყუდა სავარძლის ზურგს, მკლავი ულოდნოდ დაუშვა სტოლზედა და სთქვა მიუთითა რა რუკებზედა.

— ესენი ყოველივე არაფრისათვის არ არის საჭირო, არაფრისთვის! მთხრობელი მიპოვნეთ სადმე.

— მეც მაგაზე მეტი არა მინდა-რა,—უპასუხა ოსსოლინსკიმ.

— მზვერავნი დაბრუნდნენ?

— დაბრუნდნენ, მაგრამ ვერავინ ვერ მოიყვანეს.

— არც ერთი ტყვე?

— მხოლოდ ახლო-მახლო სოფლების გლეხნი შეეპყროთ, მაგრამ იმათ არაფერი არ იცოდნენ.

— პან პელკა-ღა, დაბრუნდა? სანაქებო მხედარია.

— თქვენო უდიდებულესობავ!—წამოილაპარაკა უფროსმა ლომჟირმა,—პან პელკა არ დაბრუნებულა და არც დაბრუნდება: იგი მოკლული იქმნა.

ჩამოვარდა წუთი მდუმარებისა. მეფემ გაუშტერა მწუხარე თვალნი სანთელის ალს და დაუწყო თითქოს ცემა სტოლს.

— მაშ, რა ვქნათ?—იკითხა მან ბოლოს.

— უნდა ვიცადოთ!—სთქვა კანცლერმა დიდის ამბითა.

იან კაზიმირის შუბლი დანაოჭდა.

— ვიცადოთ?—განიმეორა მეფემ,—იქ კი ვისნეეეცკი და გეტმანები დაიღუპებიან.

— გამაგრდებიან კიდევ პატარა ხანსა,—სთქვა დაუდევრობით რამეევსკიმ.

— გაჩუმებულიყავით, პან მოურავო, სჯობდა, თუ კი მაგაზედ უკეთესს ვერას იტყოდით.

— მე ჩემი ფიქრი მაქვს, თქვენო უდიდებულესობავ.

— რა ფიქრი?

— გავგზავნოთ ვინმე ზბარაჟს, ვითომ იმ აზრით, რომ მოლაპარაკება გვწადიან ხმელნიცკისთან. ელჩი დაინახავს, იქ არის თუ არა ყეენი, დაბრუნდება და ყოველსაეე გეიამბობს.

— ეგ შეუძლებელია,—სთქვა მეფემ უგულოდ.—ახლა, როცა ხმელნიცკი მეამბოხედ გამოვაცხადეთ, ფასი დავნიშნეთ იმისთვის, ვინც მის თავს მოგვართმევს, და კვერთხი იმიერ-ჭორომეთის გამგეობისა ვუბოძეთ ზაბუსკის, ჩვენს დიდებულებას არ შეჰფერის მოლაპარაკება დავუწყოთ ხმელნიცკისა.

— მაშ, ყეენს გავუგზავნოთ კაცი,—უპასუხა მოურავმა.

მეფემ მძლავრად გაუშტერა თვალი კანცლერსა, რომელმაც შეჰხედა თვისის ცის-ფერის თვალებითა და, შემდეგ მცირე ხნის მოფიქრებისა, სთქვა:

— ეგ რჩევა კარგია, მაგრამ ხმელნიცკი, ეჭვი არ არის, შეიპყრობს ელჩს და ჩვენც მაინც, სულ ერთია, ვერას შევიტყობთ.

იან კაზიმირმა ხელი დაიქნია, უიმედობის ნიშნადა.

— როგორცა სჩანს,—სთქვა მან აუჩქარებლივ,—ყოველი თქვენი მოსაზრება აუსრულებელია. ამიტომ მე ჩემს მოსაზრებას წარმოგიდგენთ. ვუბრძანებ დაჰკრან საყვირნი და მთელის ჩემის მხედრობით გავსწევ ზბარაჟს. დეე აღსრულდეს ნება ღვთისა! ჩვენ თვითონ ვნახავთ ყველნი იქ არის, თუ არა.

კანცლერმა იცოდა, მეფის გამბედაობა, იცოდა რომ ველარასფრით ველარ შეიკავებდა მის გულის-თქმასა და არც ეჭვობდა, რომ შეასრულებს კიდეც მეფე თავის განზრახვასაო. მეორეს მხრით, წინადაც ნაცადი ჰქონდა, რომ რაკი მეფე განიძრახავდა რასმე, ველარაფითარი რჩევა ველარ დააყენებდა უკანა. ამიტომ წინააღმდეგობაც აღარ გაუწია, კიდეეაც მოუწონა ფიქრი და მხოლოდ ეს მოახსენა, რა საჭიროა უსათუოდ ამ საათშივე არ გავემართოთო. შეიძლება ხვალ იყოს, ან ზეგაო, ხოლო მანამდე იქნება კარგი რამ ამბავიც გავიგოთო; ამბავი მეფის წასვლისა დღითი-დღე გავრცელცება იმ მდაბიოთა შორის, რომელთაც არ მოსწონთ ზბარაჟის გარშემოდგომა. ამბოხება შესაძლოა განჰქრეს მეფის დიდებულების ბრწყინვალებისაგან ისეეე, როგორც თოვლი ჰქრება მზის სხივებისაგან, გარნა ყოველ ამისთვის დრო არის საჭიროვო.

მეფეეეა ხსნა სრულიად რესპუბლიკისა და იმის შიშით, რომ იგია პასუხის-მგებელი წინაშე ღვთისა და მომავალის შთამომავლობისა, მან არ უნდა გასწიროს ადვილად თავი, მით უმეტეს, რომ, ვინიცობაა, ვერ გავიმარჯვეთ, ზბარაჟის ჯარი აუცილებლად ამოსწყდებაო.

— მოიქეცით, როგორც გინდათ, მხოლოდ მთხრობელი უნდა მიპოვნოთ უსათუოდ ხვალა.

კვლავ ჩამოვარდა წუთი დუმილისა. ფანჯარაში შემოანათა უშველებელმა ოქროს-ფერმა მთვარემ, მაგრამ ოთახში სიბნელემ იმატა, სანთლები ცხვირ-მოსახოცები შეიქნა.

— რამდენი საათია?—იკითხა ,მეფემ.

— შუა-ღამეა მოტანებული,—უპასუხა რამეევსკიმ.

— მე ამაღამ არ დაეიძინებ, შემოვიელი ბანაკს თქვენთან ერთადა. სად არიან უბალდი და არციშევსკი?

— ბანაკში გახლავან. წავალ და ვუბრძანებ, რომ ცხენები მოგართვან,—სთქვა მოურავ-ერისთავმან.

მივიდა კიდეც კარებთან და უცებ ტალანში რაღაც ხმაურობა ატყდა, გაცხარებული ლაპარაკი. ეტყობოდა, ვიღაც მოდიოდა აჩქარებით. ბოლოს კარები გაიღო ყურთამდე და ოთახში შემოვარდა შეშფოთებული ტიზენგაუზენი, აზნაური მეფისა.

— თქვენო უდიდებულესობავ!—წარმოსთქვა მან,—აფიცერი გიახლათ ზბარაჟიდან!

მეფე წამოვარდა ზეზედ, კანცლერიც წამოხტა და ორივემ ერთად დაიძახეს:

— ეგ შეუძლებელია!

— მართალი გახლავთ! ტალანშია.

— შემოიყვანეთ ახლავე!—დაიძახა მეფემ მოუთმენლობით,—შემოიყვანეთ, თუ ღმერთი გწამთ!

ტიზენგაუზენი გაბრუნდა და პატარა ხანს უკან კარებში შემოვიდა ვიღაც უცნობი მაღალ-მაღალი კაცი.

— ახლო მოდი!—უთხრა მეფემ,—ახლო! მოხარულნი ვართ, რომ გხედავთ!

აფიცერი მიუახლოვდა სტოლს და როცა მეფემ, კანცლერმა და ლომჟის მოურავმა კარგა გაარჩიეს, ისე გაოცდნენ, რომ უკან დაიწიეს პატარაზედა. მათ წინაშე იდგა ვიღაც საშინელი კაცი, უფრო ლანდი და მოჩვენება, ვიდრე ადამიანი. რაღაც ბრანძები ძლივს ჰფარავდა მისს გამხდარს ტანს, გალურჯებული პირისახე ტალახითა და სისხლითა ჰქონდა მოთხვრილი, თვალები ცეცხლივით უნათებდა, შავის აწეწილის თმით მოსილი თავი ძირს ჰქონდა ჩამოკიდული, თითქო ველარ იმაგრებსო, ხოლო ფეხები ისე უკანკალებდა, რომ იძულებული იყო სტოლს დაყრდნობოდა.

მეფე და ორი დიდებული კარის-კაცი თვალებ-დაწყვეტილები შესცქეროდნენ. კარები კვლავ გაიღო და შემოეიდნენ: გენერლები უბალდი და არციშევსკი, კანცლერის თანაშემწე ლიტეელი საპეგა, მოურავი რეჩისა და სხვანი. ყველანი მეფეს

უკან გაჩერდნენ და გაკვირვებით ათვალიერებდნენ ახლად მოსულსა.

— ვინა ხარ შენა?—ჰკითხა მეფემ.

საცოდავმა პირი გააღო, უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ ყელი შეეკრა, წვერმა ცმაცუნი დაუწყო და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ნელის ხმით:

— ზბა...რაჟიდან გახლავარ!

— მოუტანეთ ღვინო!—დაიძახა ვილამაცა.

მოუტანეს ღვინით სავსე თასი. ძლივს დალია მოსულმა ეს ღვინო. ამ დროს კანცლერმა მოიხსნა მანტია და მოახურა საცოდავს ბეჭებზედ.

— ახლა შეგიძლიან ლაპარაკი?—ჰკითხა პატარა ხანს უკან მეფემ.

— შემიძლიან,—უფრო მტკიცედ უპასუხა რაინდმა.

— ვინა ხარ?

— იან სქშეტუსკი... პარუჩიკი გუსართა.

— ვის სადროშოსი?

— რუსეთის მოურავ-ერისთაისა.

— რა ამბავია თქვენში? რა ამბავია?—მოუთმენლად ეკითხებოდა მეფე.

— გაჭირვება... სიყმილი... მარტო ოდენ სიკვდილი...

მეფემ თვალებზედ ხელები მიიფარა.

— იესო ნაზარეველო! იესო ნაზარეველო!—ნელის ხმით წარმოსთქვა მან.

— დიდ ხანს გამაგრდებიან კიდევ?

— თოფის წამალი ალარ არის. მტერმა დაიპყრო თხრილები...

— მტერი ბევრია?

— ხმელნიცკია... ყეენი მთლად თავისის ურდოებითა.

— ყეენიცა?

— დიაღ.

ჩამოვარდა დიდი მდუმარება. დიდებულმა კარის-კაცებმა ერთმანეთს გადაჰხედეს გაკვირვებითა.

— როგორ გაუძელით მერე აქამდე?—უბრძანა მეფემ მცირეოდენის ეკვიანობის კილოთი.

ამ სიტყვებზედ სქშეტუსკიმ თავი მაღლა აიღო, თითქო ახალი ძალ-ღონე ჩაუდგა ძარღვებშიო, სახეზედ გულ-ზვაობა დაეტყო, ხმა გაუმაგრდა:

— ოცჯერ უკუ-ქცევა იერიშისა, თექვსმეტჯერ ბრძოლა და გამარჯვება მინდორში, სამოც და თხუთმეტჯერ ციხიდან გავუხტით...

და კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

უცებ მეფე გასწორდა წელში, შეიქნია თავი და შეისწორა დალალნი პარიკისა, თითქო ლომმა ფაფარი შეიბერტყაო და გაფითრებული მისი ლოყები გაწითლდა, ხოლო თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს.

— ღმერთსა ვფიცავ!—შესძახა მან,—კმარა ეგ რჩევა-დარიგებანი, ეგ დათათბირება ჩემი და დაყოვნება საქმისა. სდგას იქ ყველნი თუ არა, შემოკრბა ქუდზე კაცის ჯარი თუ არა, ღმერთსა ვფიცავ, კმარა ეგ ყოველივე ჩემთვისა. დღესვე, დღესვე მივდივართ ყველანი ზბარაჟსა, გათავებული საქმეა!

— ზბარაჟსა! ზბარაჟსა!—განიმეორეს სხვებმაც მეფესთან ერთადა.

სქშეტუსკის სახე გაუბრწყინდა სიხარულითა.

— ოჰ, მოწყალეო მეფეო და ხელმწიფეო!—სთქვა მან,—შენთვის უნდა იცოცხლოს კაცმა და შენთვისვე მოჰკვდეს!..

კეთილი გული მეფისა დამბილდა, როგორც წმინდა სანთელი და, თუმცა ისეთის გარეგნის სანახაობისა იყო რაინდი, გადაეხვია და სთქვა:

— მაგ ბრანძებით უფრო სასურველი ხარ შენ ჩემთვის, ვიდრე ფარჩა-ატლასით მორთული. ვფიცავ ყოვლად-წმიდა ქალწულსა, რომ ბევრად მაგისთანაზედ ნაკლების ღვაწლისათვის აჯილდოვებენ კაცს მოურავ-ერისთავობის თანამდებობითა... არც შენ დარჩები .დაუჯილდოვებელი... ნურას მეწინააღმდეგები! მე მოვალე ვარ შენი!

დიდებულებმა ერთხმად მოუწონეს მეფეს ნაბრძანები.

— მერე როგორ გამოიარე ყაზახთა და თათართა ბანაკზედა?

— ჭაობებში ვიმალებოდი, ლელიან-ჩალიანებში, ტყე-ტყე მოვდიოდი... გზა-დაკარგულივით... უგზო-უკვლოდ... უჭმელ-უსმელი.

— მოუტანეთ საჭმელი! — ბრძანა მეფემ.

— საჭმელი! — განიმეორეს სხვებმაცა.

— ჩააცვით ტანთა!

— ხვალ ცხენი და ტანისამოსი მიართვან, — განაგრძო მეფემ. — არავითარ გაჭირვებას აღარა ჰნახავ ამას იქით.

მეფის მიბაძვით ყველანი ქება-დიდებით ამკობდნენ რაინდსა. ზოგი რასა ჰკითხავდა და ზოგი რასა. რაინდი ძლივ-ძლივობისას, დიდის გაჭირვებით ახერხებდა პასუხის მიცემას, თან და თან უფრო და უფრო ემატებოდა სისუსტე, ცნობა თითქმის მიეხადა. მოიტანეს სასმელ-საჭმელი. შოვიდა მღვდელი ცეციშოვსკიცა, მეფის კარის მქადაგებელი.

დიდებულთ გზა დაუთმეს მაშინვე. იგი მღვდელი იყო კაცი მსწავლული, ფრიად მიღებული; მეფე დიდად აფასებდა იმის რჩევასა, უფრო მეტად, ვიდრე კანცლერისასა, ხოლო ამბიონიდან ქსენძი ცეციშოვსკი ხან და ხან ისეთს საგნებს შეეხებოდა ხოლმე, რომელსაც არავის შეეძლო შეჰხებოდა სეიმზედაც კი. მღვდელს მაშინვე უამბეს, რომ ზბარაჟიდან მოვიდა აფიცერი, რომ იქ მთავარი, თუმცა სიმშილი აწუხებს მის ჯარს და არც საკმაოდა აქვს სამხედრო იარაღი და თოფის-წამალი, ჯერ კიდევ თავ-პირს ამტვრევს ყეენსა და ხმელნიცკის, რომელსაც იმდენი ხალხი არ დაეხოცა მთლად წარსულის ხნის განმავლობაში, რამდენიც ამოუწყდა ზბარაჟის გარ-შემოდგომითაო, რომ, დასასრულ, მეფეს უნდა წავიდეს იმის მისაშველებლად და ასე ბრძანებს, რომ იმას მაინც ვუშველი, თუნდა სულით-ხორცამდე დავიღუპებოდე მთლად ჩემის ჯარითაო.

ქსენძი ისმენდა მდუმარებით და თან თვალს არ აშორებდა რაინდის გამხდარს სახესა. ხოლო გმირი სჭამდა ხარბად საჭმელსა და ყურადღებას არ აქცევდა მეფესა, რომელიც ხან-და-

ზმით მიუჯახუნებდა ხოლმე მის ჭიქას თავის პატარა ვერცხლის სტაქანსა.

— რა გვარის კაცია ეს აფიცერი?—იკითხა მღვდელმა.

— სქშეტუსკი.

— იანი?

— დიაღ,—იანი.

— პარუჩიკი მთავარისა, რუსეთის მოურავ-ერისთავისა?

— დიაღ.

ქსენძმა აიღო მაღლა თავი და დაიწყო ლოცვა.

— ვმადლობდეთ უფალსა! აუარებელნი არიან გზანი, რომლითაც მიჰყავს ღმერთს კაცი ბედნიერებადა და მოსვენებად. მე ვიცნობ მაგ რაინდსა.

სქშეტუსკიმ მოჰკრა ყური ამ სიტყვებსა და უნებურად დააცქერდა მოლაპარაკეთ, მაგრამ ვერც სახე და ვერც ხმა მღვდლისა ვერ იცნო.

— მაშ მთელს ჯარში მარტო თქვენ იკისრეთ მტრის ბანაკზედ მალვით გამოპარვა?—ჰკითხა მღვდელმა.

— ჩემზედ წინად ჩემი ამგანაგი წამოვიდა, მაგრამ ის მოჰკლეს,—უპასუხა სქშეტუსკიმ.

— მით უფრო დიდია თქვენი ღვაწლი, რომ გაჰბედეთ და მის შემდეგ წამოხვედით. თქვენს გარეგნობას რომ ვუყურებ, ვხედავ, რომ თქვენი გზა მეტად ძნელი გამოსავლელი უნდა ყოფილიყო. ღმერთი უყურებდა თქვენს მსხვერპლს, თქვენს ქველობას, თქვენს ახალგაზდობას და მშვიდობით გამოგატარათ თქვენი გზა.

და ქსენძმა მიჰმართა იან კაზიმირს:

— თქვენო უდიდებულესობავ,—მოახსენა მან,—მტკიცედ გადასწყვიტეთ მიეშველოთ რუსეთის მთავარს და მოურავ-ერისთავსა?

— თქვენს ლოცვასა და ვედრებას, მამაო წმიდაო,—უპასუხა მეფემ,—ვაბარებ სამშობლოს, ჯარებსა და თვით თავსა ჩემსა, იმიტომ რომ ვიცი, რამდენად საშიშოა ეს ჩემი განზრახვა, მაგრამ არ შემიძლიან მოვითმინო, რომ მოურავ-ერისთავი და

მთავარი ისეთს განსაცდელში ჩავარდეს ზბარაჟსა და ისეთის რაინდობით ებრძოდეს განსაცდელსა, როგორც აი ეს აფიცერი ებრძოდა.

მღვდელმა აღაპყრა ხელნი. დარბაზში მდუმარება ჩამოვარდა.

— Benedico vos, in momine Patris et Filii et Spiritus sancti (დამილოცნიხართ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა).

— ამინ!—ბრძანა მეფემ.

— ამინ!—განიმეორეს ყველა იქ მყოფთა.

იან კაზიმირს დაღლილ-დაქანცულს სახეზედ დაეტყო დამშვიდება და მხოლოდ მისმა თვალებმა დაიწყო არა-ჩვეულებრივი ბრწყინვა. აიღო სტოლიდან დაშნა და ანიშნა ტიზენგაუზენს, შემომარტყიო.

— როდისა ჰფიქრობთ, თქვენო უდიდებულესობავ, გამგზავრებასა?—ჰკიკხა კანცლერმა.

— ღმერთმა ეს მშვენიერი ღამე დაგვილამა,—ბრძანა მეფემ —პან ბარგის დარაჯო, უბრძანეთ დაჰკრან საყვირნი და შესხდნენ ცხენებზედ მხედარნი.

დარაჯი მაშინვე წავიდა ბრძანების ასასრულებლად. კანცლერმა მოკრძალებით ამცნო მეფეს, რომ ჯერ ყველანი მზად არ არიან და ეტლნი მხოლოდ ხვალ დილით შეიძლება გაუდგნენ გზასაო, ხოლო იან კაზიმირმა მოუთმენლობით გააწყვეტინა სიტყვა:

— ვისთვისაც ეტლნი უფრო ძვირფასია, ვიდრე ხსნა და დიდება სამშობლოსი, იმას შეუძლიან დარჩეს.

დარბაზი ნელ-ნელა დაცარიელდა. თითოეული ეშურებოდა მიეხედნა თავის სადროშოსთვის, რომ საომარ ფეხზედ დაეყენებინა, გასალაშქრებლად მოემზადებინა. ოთახში დარჩნენ მხოლოდ მეფე, კანცლერი, ქსენძი და პან სქშეტუსკი ტიზუნგაუზენითურთ.

— ბატონო,—სთქვა მღვდელმა,—ყოველივე გავიგეთ ამ რაინდისაგან, ყოველივე ის, რაც ჩვენთვის საინტერესო იყო.

ახლა უნდა მოვასვენოთ ეს კაცი, იმიტომ რომ დაღალულია და ფეხზედ ძლივსღა სდგას. ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, მე წავიყვანო ჩემთანა.

— ოჰ, დიალაც! ტიზენგაუზენმა წაიყვანოს და ერთმა კიდევ სხვამ, თორემ მარტო ვერ ივლის. წადი, წადი, ჩემო კარგო მეგობარო, შენზედ მეტად არავის არ დაუმსახურებია დასვენება, გახსოვდეს ისიცა, რომ შენი მოვალე ვარ. უმალ ჩემს თავს დავიეიწყებ და შენ კი არასდროს!

ტიზენგაუზენი ამოუდგა მკერდში სქშეტუსკის და გაიყვანა ოთახიდან. ტალანში შეხვდათ უფროსი რეჩისა და მეორე მხრიდან ის ამოუდგა აფიცერს მხარშია; წინ მიდიოდნენ მღვდელი და პატარა ბიჭი ფარნითა, რომელიც საჭირო კი არ ადმოჩნდა: დიდი ოქროსფერი მთვარე წყნარად მიცურავდა ცაზედა. იქიდან, საცა ბანაკი იყო, მოდიოდა ხმა ხალხისა, ჭრიალი ურმებისა და ცემა ბუკთა და ნაღარათა. შორს, საყდართან, რომელიც მთვარის ნათელით იყო მთლად გაშუქებული, მოსჩანდნენ რაზმ-რაზმად დაწყებულნი ქვეითნი და ცხენოსანნი ჯარის-კაცნი. ურმების ჭრიალს უერთდებოდა ჩხრიალი ჯაჭვებისა და ყრუ ხათქა-ხუთქი ზარბაზნებისა.

— ლაშქარი დაიძრა უკვე!—სთქვა ქსენძმა.

— ზბარაჟს წასასვლელად... მისაშველებლად, — წაიჩურჩულა სქშეტუსკიმ.

და, ვინ იცის, რა მიზეზით, სიხარულითა თუ დაღლილობით, იქნება ერთის მიზეზითაცა და მეორითაცა, ისე დასუსტდა, რომ ტიზენგაუზენი და უფროსი რეჩისა ძლივს იმაგრებდნენ.

საყდართან იდგნენ სადროშონი საპეგასი და ქვეითი ჯარი არტიშევსკისა. ჯარის კაცნი შეჯგუფულიყვნენ აქა-იქა და გადაელობნენ გზაზედ.

— გზა გვიყავით, გზა!—ჰყვიროდა მღვდელი.

— ვინ მოდის?

— აფიცერი ზბარაჟისა!

ჯარის-კაცნი უცლიდნენ მაშინვე გზასა და გაოცებულნი შესცქეროდნენ გმირს.

დიდის გაჭირვებით მიიყვანა მღვდელმა სქშეტუსკი სახლამდე. იქ დააბანინეს ხელ-პირი, გააცალეს ხავსი, შლამი და ტალახი და ქსენძმა დააწვინა აფიცერი ლოგინში, ხოლო თვითონ ჯარებთან წავიდა.

სქშეტუსკის ცნობა ჯერ კიდევ ჰქონდა, ხოლო ციებანებას არ აძლევდა, რომ მალე ჩასძინებოდა. ახლა აღარ ესმოდა სად იყო და ან რა ამბავი იყო მის გარშემო. ეყურებოდა მხოლოდ ლაპარაკი, თქარა-თქური ცხენებისა, ყვირილი ჯარისკაცთა, ხმა საყვირთა და ყოველივე ესე ერთად შეერთდა მისს ყურებში და ერთ განურკვეველ ჟღავი-ჟღუვად გადაიქცა. „ჯარი მოდის“,—იფიქრა მან გულში. ხმაურობა ნელ-ნელა შესუსტდა, მიწყდა; ტოპოროვში დუმილი ჩამოვარდა.

სქშეტუსკის ეგონა, რომ ჩემის ლოგინითურთ სადღაც უფსკრულში მივქრიო.

VIII

სქშეტუსკის რამდენიმე დღე ეძინა, მაგრამ გაღვიძების შემდეგაც დიდ ხანს არ ანებებდა თავს ჩაცივებული ავი ციება. კიდევ დიდ ხანსა ჰბოდავდა, ახსენებდა ზბარაჟსა, მთავარსა, კრასნოსტაველ უფროსსა, ემუსაიფებოდა პან მიხალსა და ზაგლობასა, უყვიროდა პან ლონგინუს პოდბიპენტას: „მანდეთ ნუ მიდიხარო!“ მხოლოდ კნიაჟნა არ გაახსენდა არც ერთხელა. ხან-და-ხან ისე ეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვითომ ჟენძიანს დაუხრია თავი მისს ლოგინზე და ჩასკქერის თვისის თეთრ-წითურის სახითა, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა თავადმა კონსტანტინოვის ბრძოლის შემდეგ გაჰგზავნა ზასლავლსა და დაავალა გაწყვეტა მძარცველების ბრბოთა, ხოლო ჟენძიანი მოულოდნელად გაჩნდა მისს ბინაზედ განთიადისას. და ეს სახე ერთს ალიაქოთს ასტეხდა ხოლმე მისს გულში; ასე ეგონა, რომ სრბოლა ჟამისა შემდგარა და მას უკან დროს აღარა შეუცვლია-რაო. აგერ ვითომ ისევ ხომორშია, ხოლო როცა გაეიღვიძებ, ტარნოპოლს წავალ და სადროშოებს შევკრებავ სა-

ომარ ფეხზე დასაყენებლადაო. ვითომ კრივანოსი, დამარცხებული კონსტანტინოვსა, გაიქცა ხმელნიცკისთან. ჟენძიანი მოვიდა გუშჩიდან და უზის თავითა. სქშეტუსკის უნდა ლაპარაკი დაუწყოს, უნდა უბრძანოს პაჟსა, შეჰკაზმე ცხენებიო, მაგრამ არ შეუძლიან. და ფიქრად მოსდის, რომ ვითომ ხომორში აღარა ვარო, რომ მას უკან დიდი დრო გავიდაო... ბარი აღებულ იქმნაო, და საცოდავი მისი გონება მოიცვა წყვდიადმა. უკვე ველარასა ჰხედავს, აღარაფერი იცის, მაგრამ ნელ-ნელა ამ წყვდიადსა და არეულობაში ცხადად მოსჩანს მისს წინაშე ზბარაჟი, ალყა. მაშ ხომორს აღარა ვარ? მაშ ეს როგორ არის, რომ ჟენძიანი მაინც თავით მიზის სულა, ჩამცქერია ლოგინში თავ-დახრილი? ფანჯრების დარაბათა ხანებიდან შემოდის სხივი ნათლისა და აშუქებს ყმაწვილის პირისახეს, რომელსაც დიდი მზრუნველობა და გულმტკივნეულობა დასჩნეევია.

— ჟენძიანო!—ჰყვირის პან სქშეტუსკი.

— ოჰ, პანე, ძლივს არ მიცანით!—უპასუხა სიხარულით პაჟმა და დაიჩოქა მისს ფერხთა წინაშე.—მე მეგონა, ეს არის, გონს ველარ მოვა-მეთქი.

ყმაწვილი ქვითინებდა და ეხვეოდა ფეხებზე რაინდსა.

— სადა ვარ ნეტავი?—ჰკითხა პან სქშეტუსკიმ.

— ტოპოროვსა... მეფესთან მოხვედით ზბარაჟიდან... მადლობა ღმერთსა, დიდება უფალსა!

— მეფე სადღაა?

— წავიდა ჯარით თავადის მისაშველებლად.

აქ ჟენძიანი ადგა და ფანჯარა გააღო.

ოთახში დილის ნიავი შემოვარდა და მასთან ერთად სქშეტუსკის დაუბრუნდა ცნობა.

ჟენძიანი საწოლის ბოლოზე ჩამოჯდა.

— მაშ მე ზბარაჟიდან წამოვსულვარ?—ჰკითხა რაინდმა.

— დიაღ... არავის არ შეეძლო მოექმედნა ის, რაც თქვენ მოიქმედეთ, და თქვენის წყალობით მოჰხდა, რომ მეფე წავიდა მისაშველებლად.

— პან პოდბიპენტამ სცადა ჩემზე წინად ზბარაჟიდან გამოსვლა, მაგრამ მტერმა მოჰკლა...

— რას ბრძანებთ? პან პოდბიპენტა მოჰკლეს? ისეთი გულუხვი და კარგი პანი?.. უჰ, რა მეწყინა... როგორ მოერივნენ იმისთანა ხელ-ღონიერსა?

— ისრებით დახვრიტეს.

— პან ვოლოდიევსკი და პან ზაგლობა?

— კარგად იყვნენ, როცა მე წამოვედი.

— ოჰ, მადლობა ღმერთსა. ისინი ძალიან მეგობრები არიან თქვენი... ეს არის მხოლოდა, რომ ქსენძმა აღმიკრძალა ლაპარაკი... კარგია ახლა და, პან პოდბიპენტას ქონებას რა მოუვა? მერე ცოტა ხომ არა ჰქონდა შეძლება... ნუ თუ მეგობრებს არა უანდერძა-რა? ნათესავები, ვგონებ, არა ჰყავდა.

სქშეტუსკიმ არა უპასუხა-რა ამაზედა. ჟენძიანი მიხვდა, რომ ეს ლაპარაკი არ ესიამოვნა ჩემს ბატონსაო და სხვა საგანზე დაიწყო მუსაიფი.

— კარგია, რომ პან ზაგლობა და პან ვოლოდიევსკი კარგად არიან, მე კი მეგონა, რომ თათრები მოერივნენ-მეთქი... ოჰ, რამდენი გაჭირვება გამოვსცადეთ ჩვენ ერთადა!.. ის მაწუხებს მხოლოდა, რომ ქსენძმა აღმიკრძალა ლაპარაკი... მე მეგონა, რომ ჩემს დღეში ველარ ვიხილავ იმათა-მეთქი, იმიტომა რომ თათრებმა ისე შეგვიმწყვდიეს, აღარ ვიცოდით, რა გვექნა.

— შენ პან ვოლოდიევსკისთანა და ზაგლობასთან იყავი? იმათ ჩემთვის არა უთქვამთ-რა!

— შეიძლება იმათ ისე ჰგონიათ, რომ მომკლეს კიდეც თათრებმა.

— მერე სად შეგიმწყვდიეს თათრებმა?

— პლოსკაროვს იქითა, ზბარაჟის გზაზედა. ჩვენ ხომ შორს ვიყავით წასულნი, იამპოლს გავცდით... მაგრამ, ეჰ, ქსენძ ცეციშოვსკიმ აღმიკრძალა ლაპარაკი.

— ღმერთსა ვსთხოვ, გადაგიხადოთ სამაგიერო თქვენის გულ-კეთილობისათვის,—სთქვა სქშეტუსკიმ.—მივხვდი, რისთვი-

საც იქნებოდით წასულნი. მეც ვიყავ იქ თქვენზედ წინად... მხოლოდ ამაოდ...

— ეჰ, პანე, ქსენძს რომ არ აეკრძალნა... იმან მითხრა: მე უნდა მეფეს წავყვე ზბარაჟსა და შენ ყური უგდე შენს ბატონს, მოუარე, მაგრამ არაფერი არ უთხრა, თორემ მოკვდებაო.

სქშეტუსკის ისე ჰქონდა დაკარგული ყოველივე იმედი, რომ ჟენძიანის სიტყვებმაც კი არ შეაშფოთა იოტის ოდნავაც.

— შენ საიდან მიეტმასნე ქსენძ ცეციშოვსკისა და ჯარსა? – ჰკითხა პარუჩიკმა.

— მე სანდომირელის კაშტელიანის მეუღლემ, პანი ვიტოვსკისამ გამომგზავნა ზამოსტიიდან, შეატყობინე პან კაშტელიანს, რომ ტოპოროვს მოვალ და იქა ვნახავთ ერთმანერთსაო... გულადი დედაკაცია და უსათუოდ უნდა ქმართან იყოს და პან კაშტელიანს არ მოჰშორდეს. მეც ავდექი და მოვედი ტოპოროვს თქვენზედ ერთის დღის წინათა. პანი ვიტოვსკისა საცაა მოვა კიდეც აქა...

— არ მესმის, ზმოსტიეში როგორ გაჩნდი, როცა პან ვოლოდიევსკისთანა და პან ზაგლობასთან ერთად იყავი იამპოლს იქითა? რატომ ზბარაჟს არ მოხვედი იმათთან ერთადა?

— ახლა როგორ გახლდათ: როცა თათრები დაგვესხნენ თავსა, ალარავითარი ღონისძიება ალარა დაგვრჩა-რა; ისინი ორნი შეებრძოლნენ თათრების მთელს გუნდს, ხოლო მე გაეიქეცი და მხოლოდ ზაბოსტიეში მოვედი გონსა.

— ისინი კარგად გადარჩენილან,—სთქვა სქშეტუსკიმ,— ხოლო მე მეგონა, რომ შენ უფრო რიგიანი ყმაწვილი კაცი იყავი. რა პატიოსნებაა განა, რომ თავი დაგინებებია მაშინ, როცა აგრეთს გაჭირვებაში ჩავარდნილან?

— ეჰ, პანე, ჩვენ რომ მარტონი ვყოფილიყავით, სამნი, რასაკვირველია, თავს არ დავანებებდი... ისეთი ვიყავ, რომ სულ გული მიკვდებოდა... მაგრამ ოთხნი ვიყავით... ისინიც ადგნენ და ეცნენ თათრებს, ხოლო მე თვითონვე მიბრძანეს... დაიხსენიო... დარწმუნებული რომ ვიყო, სიხარული არ მოგკლავდათ...

იამპოლს იქიდან ხომ ჩვენ ვიპოვეთ... ეჰ, ამ ქსენძის აღკრძალვას რა ვუთხრა!

სქშეტუსკიმ ისეთის კაცის თვალით შეჰხედა, რომელიც თითქო ეს არის ახლა იღვიძებს ღრმა ძილში იყო და ახლა ფხიზლდებაო; რაინდი საშინლად გაფითრდა და დაიყვირა მწუხარე ხმითა:

— ვინ იყო შენთანა?

— პანე! ოჰ, პანე!—ვედრებით წარმოსთქვა პაჟმა, რაინდის ცვლილებით გაოცებულმა.

— ვინ იყო შენთანა?—განიმეორა კვლავ სქშეტუსკიმ და, სტაცა რა ხელი ჟენძიანს მხრებში, დაუწყო ნჯღრევა და ფენთხვა თავისის რკინასავით მაგარის მკლავებითა.

— ეჰ, მეტი ღონე აღარ არის, დეე ქსენძმა იწყინოს... პანნა იყო ჩვენთანა, ახლა კი კნიაჟნა პანი ვიტოვსკისთან არის.

სქშეტუსკი გაშრა, გაშეშდა, დახუჭა თვალები და მოსხლეტით დაეცა ბალიშებზედა.

— მიშველეთ!—დაიწყო ყვირილი ჟენძიანმა.—მიშველეთ, ეს რა მოვიქმედე! არ მერჩივნა დავდუმებულიყავ და ხმა არ ამომეღო! ოჰ, ღვთის გულისათვის, ბატონო, ჩემო კარგო ბატონო, ხმა ამოიღე, სთქვი რამე... ღვთის გულისათვის!... ქსენძმა მართალი სთქვა... პანე, პანე, პანე!...

— არა მიშავს-რა!—წამოიღუღლუღა სქშეტუსკიმ.—სად არის ახლა?

— მადლობა ღმერთსა, რომ მობრუნდით!.. სჯობიან არაფერი არა ვსთქვა-რა... ისა სანდომირელ კა'მტელიანის მეუღლესთან არის... აგერ საცაა აქ მოვლენ კიდეცა... მადლობა ღმერთსა! რა არის, ახლა მაინც ნუ მოჰკვდებით... აგერ საცაა მოვლენ... ჩვენ ზამოსტიეს გავიქეცით ერთადა... და იქ ქსენძმა კაშტელიანის მეუღლეს ჩააბარა პანნა... ასე სჯობიანო, თორემ ჯარში, ვინ იცის, რა არ მოჰხდესო. ბოგუნმა თურმე ხელი არ ახლო, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა .. ოჰ, რამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე იმის გულისათვის! მე სულ იმას ვეუბნებოდი ჯარის-კაცებს, რომ თავად ერემიას

ნათესავი ქალია-მეთქი... ჰო და, ისინიც პატივის-ცემით ეაიდებოდნენ. გზაში ცოტა არ დამეხარჯა ამის გამო...

სქშეტუსკი უძრავად იწვა და თვალები ჭერში ჰქონდა გაშტერებული. სახე ისეთი ჰქონდა, თითქო გამწყრალა და გაბუტულიაო. ცხადი იყო, რომ სქშეტუსკი იმ ყამად ლოცულობდა გულში.

ბოლოს გაათავა ლოცვა, ჩამოჯდა საწოლის ნაპირად და სთქვა:

— მომაწოდე ტანისამოსი და უბრძანე, რომ ცხენები შეჰკაზმონ!

— სად გინდა მერე წახვიდეთ?

— მომაწოდე ტანისამოსი-მეთქი, მე შენ გეუბნევი!

— ყოველივე ბევრი გვაქვს ახლა; მეფემ წასვლის წინად ბევრი რამ გვიძღვნა, სხვა-და-სხვა პანებმაც აგრეთვე. სამი კარგი ცხენია ახლა თავლაში... ნეტავ ერთი მომცა საკუთრად მე იმისთანა... მაგრამ თქვენთვის სჯობდა კი, რომ ჯერ ისევ წოლილიყათით და მოგესვენათ, თორემ ღონე სულ არა გაქვთ.

— არა მიშავს-რა. ცხენზედ შეჯდომა შემიძლიან. შენ დააჩქარე ერთი, თუ ღმერთი გწამს!

— თქვენი ნება იყოს, მაგრამ ქსენძ ცეციშოვსკისგან კი თქვენ უნდა დამიხსნათ... აი თქვენი ტანისამოსიცა... ამაზედ უკეთესს ვერ იშოვის კაცი სომხის ვაჭრებში. ჩაიცვით ხოლო მანამ ვუბრძანებ, რომ საუზმე დაგიმზადონ.

სქშეტუსკიმ დაიწყო საჩქაროდ ჩაცმა, ხოლო ყენძიანი მოჰყვა და უამბობდა ყოველსა თავიდან, როგორა ვნახე ბოგუნი კლადავსაო, როგორ გამოვკითხე და შევიტყე, საცა ჰყვანდა კნიაჟნა დამალულიო, როგორ წავედით მერე მე, პან მიხალი და პან ზაგლობა ვალადინკასაო, როგორ მოვკალით ჯადოქარი დედაკაცი და ჩერემისი და წამოვიყვანეთ კნიაჟნაო.

— ესე ვოველივე კიდევ არაფერი, ცუდი ის იყო, როცა თათრების ურდოს წავაწყდით ტყეში პლოსკიხოვს იქითა. პან მიხალი და ზაგლობა გაჩერდნენ, რომ მიექციათ თათრების ყურადღება და შეეყენებინათ მდევარი, ხოლო მე მოვცხრილე

გვერდ-გვერდ, კონსტანტინოვისაკენ, ზბარაჟი მივატოვე და სულ ავუქციე იმას გზა, იმიტომ რომ თათრები, ჩემის ვარაუდით, რაკი პან მიხალსა და პან ზაგლობას მოჰკლავდნენ, ჩვენ დაგვედევნებოდნენ და სწორედ ზბარაჟის გზით გამოგვეკიდებოდნენ. არ ვიცი, როგორ გადაარჩინა ღმერთმა ის ხალხი... მე კი მეგონა, რომ სულ ხმლით ასჩეხავენ-მეთქი. იმ დროს ჩვენ მივაჭენებდით ცხენს და ერთს მხარეზედ ხმელნიცკი იყო, რომელიც კონსტანტინოვიდან მოდიოდა და მეორეზედ—ზბარაჟი, საითაც თათრებმა გაჰქუსლეს.

— თათრები იქით ველარ წავიდნენ; პან კუშელი დახვდა და დაამარცხა. მაგრამ სთქვი მალე ყოველივე.

— ოჰ, ეგრე რომ მცოდნოდა! მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მე ეგ არ ვიცოდი და მიექროლავდით, მე და პანნა თათრებსა და ყაზახებს შორის, თითქო ხევობაში ხარ და აქეთ-იქით მთები გარტყიაო. ჩვენს ბედზედ იქაურობა უდაბნოდ იყო გადაქცეული; ერთი ადამიანი არ შეგვხვედრია არც სოფლებშია და არც დაბა-ქალაქებში: რაკი გაეგოთ თათრების მოახლოვება, ყველანი გაქცეულიყვნენ. შიშით ალარ ვიყავ, არავინ არ შემოგვერტყას გარშემო-მეთქი... მაგრამ მაინც არ აგვცდა.

სქშეტუსკიმ შესწყვიტა ტანისამოსის ჩაცმა და გაჩერდა.

— როგორა?

— აი როგორა. შევეფეთეთ დონეცის-ყაზახთა რაზმს. დონეცი ხომ იმ ჯადოქარის გორპინას და არის. ჩემს ბედზედ, დონეცი კარგად მიცნობდა; ბოგუნთან მინახავს რამდენჯერმე. ვუთხარი, მოკითხვა შემოგითვალა შენმა დამა-მეთქი, ვაჩვენე ბოგუნის ფირმანი და ვუამბე ყოველივე: როგორ გამგზავნა ბოგუნმა პანნას წამოსაყვანად და როგორ მიცდის ახლა კლადავს იქითა-მეთქი. ამან იცოდა, რომ მისი და ჰყარაულობდა კნიაჟნასა და ამიტომ დაიჯერა ყოველივე ჩემი ნათქვამი. მე მეგონა, თავისუფლად გამისტუმრებს-მეთქი და ფულსაც მომცემს საგზაოდა-მეთქი, ის კი არა თუ მეუბნეა: „იქ ქუდზედ კაცს იწვევენ სალაშქროდ, ვინ იცის, იქნება ლიხებსაც ჩაუვარდე ხელშიო; დარჩი ჩემთან და ხმელნიცკისთან წავიდეთო;

ჩვენს ბანაკში ურჩევნიან მაგ ყმაწვილ ქალსაო; თვით ხმელ-ნიცკი გაუფრთხილდება და მოუვლის ბოგუნის ხათრითაო.“ მითხრა ეს თუ არა, ენა მუცელში ჩამივარდა, ისე გავშრი: აბა რალა უნდა მეპასუხნა. მე ვუთხარი, რომ ბოგუნი მელის მეთქი და ჩემი სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული-მეთქი ის კი თავისას გაიძახის: „ბოგუნს ჩვენ შევატყობინებთ ყველაფერსა, შენ კი ნუ წახვალ, იქ ლიხები არიან.“ ჩვენ შევუხირდით და მერე დამიღრიალა: „საკვირველია, შენ ყაზახებთან მგზავრობისა გეშინიან! მოღალატე ხომ არა ხარ?“ ახლა კი მივხვდი, რომ გაქცევის მეტი, სხვა ღონე აღარა დამრჩენოდა-რა. აგერ კიდეც მოვემზადე გასაქცევად და ამ დროს პან პელკა კი მოვიდა.

— პან პელკა?—ჰკითხა სქშეტუსკიმ ძლიერ სულის მოთქმითა.

— დიაღ. შესანიშნავი მეომარი იყო, ეხლახანს მოკლეს... ღმერთმა სასუფეველი დ:უმკვიდროს! არა მგონია, რომ იმაზედ უკეთესად შესძლებოდა ვისმე მიჰპარვოდა მტერს; მხოლოდ პან ვოლოდიევსკი თუ აჯობებდა ამისთანა საქმეში თორემ სხვა არავინა. ჰო და მოვიდა პან პელკა, დაამარცხა რაზმი დონეცისა, ხოლო თვით პოლკოვნიკი ტყვედ შეიპყრო. ორის კვირის წინად ის პოლკოვნიკი მარგილზედ ჩამოაცვეს. ახიც იყო იმაზედა! მაგრამ პან პელკამაც ნაკლებად არ შეგვაწუხა, მეტის-მეტად დედათ-მოყვარული იყო ის დალოცვილი შვილი... ღმერთმა განუსვენოს! მე კიდავაც შემეშინდა და ვამბობ გულში, მტრებს გადურჩა პანნა და ღმერთი არ გაგვიწყრეს, თავისიანებმა არა აგნონ-რა მეთქი... მაშინ მე ვუთხარი, ეს ქალი ჩვენის თავადის ქალია-მეთქი. პან პელკა დიდად პატივსა სცემდა თავადსა და მაშინვე მოიშალა თავისი საქციელი და გაგვისტუმრა მეფესთან ზამოსტიეს. იქ ქსენძმა ცეციშოვსკიმ (კაცმა, წმინდა ცხოვრების მიმდევარმა) მიგვიღო თავისს მფარველობისა ქვეშე და ჩააბარა პანნა კაშტელიანის მეუღლეს პანი ვიტოვსკისას.

სქშეტუსკიმ ღრმად ამოიოხრა და მერე გადაეხვია ჟენძიანს.

— შენ იქნები ამას იქით ჩემი მეგობარი, ჩემი ძმა და არა მსახური,— უთხრა მან,— ხოლო ახლა კი წავიდეთ. როდის უნდა მოსულიყო აქ კაშტელიანის მეუღლე?

— ერთი კვირის უკან ჩემს შემდეგ; ახლა ათი დღე გავიდა, ხოლო თქვენ ცნობა-დაკარგული ლოგინში იწექით მთელი რვა დღე.

— წავიდეთ! წავიდეთ! — განიმეორა სქშეტუსკიმ, — ასე მგონია დამარჩობს-მეთქი სიხარული.

მაგრამ ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, რომ ეზოდან მოისმა თქარა-თქური ცხენოსანთა და ფანჯრიდან გამოჩნდნენ მხედარნი. ყველაზედ წინად სქშეტუსკიმ დაინახა მოხუცი ქსენძი ცეციშოვსკი, ხოლო მის გვერდით საშინლად გამხდარნი ზაგლობა და ვოლოდიევსკი, კუშელი და სხვა ნაცნობები. ერთს წუთს შემდეგ ჯგუფი რაინდთა ქსენძის წინამძღოლობით შემოვიდა ოთახში.

— ზავი ჩამოვარდა, ზბარაჟს ალყა ახსნეს!— გამოაცხადა ქსენძმა.

სქშეტუსკი ხან ერთს მეგობარს ეხვეოდა და ჰკოცნიდა, ხან მეორეს.

— ჩვენ გვითხრეს შენი, რომ ცოცხალიაო,— რუხრუხებდა ზაგლობა,— მაგრამ ჩვენთვის უფრო სასიხარულო ის არის, რომ კარგადაცა ხარ! განგებ წამოვედით აქ შენს სანახავად... იან! შენ არ იცი, რა დიდებით შეიმოსა შენი სახელი, რა ჯილდო გელის შენა!

— მეფემ დააჯილდოვა, გარნა მეფე მეფეთა უფრო მეტად დაასაჩუქრებს,— სთქვა ქსენძმა.

— ვიცი უკვე,— უპასუხა სქშეტუსკიმ.— ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო! ჟენძიანმა მიამბო ყოველივე.

— და მერე სიხარულმა არ გაგათავა? მით უკეთესი! გაუმარჯოს სქშეტუსკის, გაუმარჯოს კნიაჟნას!— დაიღრიალა ზაგლობამ.— ჰო, აბა! ჩვენ ხმა ვერ ამოვიღეთ შენთან კნიაჟნაზედ, იმიტომ რომ არ ვიცოდით, ცოცხალი იყო თუ არა. მაგრამ ამ ბიჭმა კი ძალიან ყოჩაღად გადაარჩინა. ოჰ, ეშმაკის

ფეხის მომჭამია სწორედ, ეს ტარტაროზი! თავადი გელით ორიეს. თვით ეგორლიკს წაეედით მაგ ქალის გულისათვის. მე მოვკალი ის მაიმახი, რომელიც ჰყარაულობდა კნიაჟნას. ახლაკი შვილი-შვილები მეყოლებიან, ყმაწვილებო! მერე ბევრიცა და! ჟენძიან, გვიამბე ერთი, ძალიან გაგიჭირდა? წარმოიდგინე, ჩვენ ორმა, მე და პან მიხალმა მთელი ურდო შევიმაგრეთ და შევაყენეთ. მე პირველი ვეცი ურდოსა! ისინი ხან ასე ეცადნენ ჩვენს დახოცვასა, ხან ისე, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა. პან მიხალიც ძალიან გულადად იბრძოდა... სად არის ჩემი სასურველი ქალი? მომიყვანეთ, ჩემი ასული!

— ოჰ, ღმერთმა გაგაბედნიეროს, ჩემო მეგობარო იან!— იმეორებდა პატარა რაინდი და ხელახლად ეხვეოდა სქშეტუსკის.

— ღმერთმა მოგაგოთ ყოველ იმის სამაგიერო, რაც თქვენ ჩემის გულისთვის მოიქმედეთ. სიტყვები ვერ მიპოვნია, რომ მადლობა მაინც გითხრათ შესაფერი. სიცოცხლეც რომ გავწირო, სისხლიც რომ დავაქციო თქვენთვის, მაინც ვერ გადავიხდი თქვენს ამაგსა!—უპასუხა სქშეტუსკიმ.

— კარგია, კარგია, საქმე ეგ არ არის. ზავი შეკრულია, ვერაფერის პირობით არის შეკრული, მაგრამ იმისთვისაც ღმერთს მადლობას უნდა ვსწირავდეთ, რადგან დაეაღწიეთ თავი იმ მოშხამულს ზბარაჟსა. მაშ, ასე, ახლა ზავია ჩამოვარდნილი. ჩვენი ღვაწლია და ჩემი, იმიტომ რომ ბურლაი რომ ცოცხალი გადარჩენილიყო, ხელ-შეკრულობანი ვერას გვიშველიდა. ახლა ქორწილში წავიდეთ. აბა, იან, ყოჩაღად იყავ ახლა! შენ ფიქრადაც არ მოგივა, რა საქორწინო საჩუქარი მოგიმზადათ თავადმა! მერე გეტყვი როდისმე. ახლა, სად არის ჩემი ქალი, ერთი მითხარით და! მომიყვანეთ-მეთქი, ჩემი ქალი. ახლა კი ბოგუნი ველარ მოგვტაცებს. სად არის ჩემი ქალი-მეთქი?

— აგერ ვემზადებოდი, ცხენზედ უნდა შევმჯდარიყავ და გზაში მიეგებებოდი პან კაშტელიანის მეუღლეს,—სთქვა სქშეტუსკიმ.—წავიდეთ, წავიდეთ მაინცა, თორემ გავგიჟდები.

— წავიდეთ, ყმაწვილებო! ჩვენც ამასთან წავიდეთ, დროს ნულარ დავკარგავთ!

— პან კაშტელიანის მეუღლე შორს აღარ უნდა იყოს აქედან, — სთქვა ქსენძმა.

სქშეტუსკი უკვე კარში იყო და ისე მოახტა ცხენსა, თითქო დიდი ხანია დაუტოვებია ლოგინიო. ჟენძიანი გვერდიდან არ შორდებოდა: ქსენძს ერიდებოდა, ხელში არ ჩამიგდოს და არ შემახუროსო. პან მიხალი და ზაგლობაც იმას მიუახლოედნენ.

— აბა, გავწიოთ ჭენებითა! — ჰყვიროდა ზაგლობა და აფიცხებდა ცხენს.

და ყველანი მიაქროლებდნენ ცხენებს. უცებ, საცა შესახვევი იყო გზისა, გამოჩნდა რამდენიმე ურემი და სტოლი, რომელსაც გარს ჰაიდუკები ერტყნენ; რამდენიმე ცხენოსანი, როცა დაინახეს შეიარაღებული ხალხი, დაწინაურდნენ და შეეკითხნენ, ვინა ხართო.

— თქვენიანები ვართ, მეფის ჯარისანი! — შეჰყირა პან ზაგლობამ. — თქვენ ვიღა ხართ?

— პან სანდომარის კაშტელიანის მეუღლე მოგვყავს და იმას ვახლავართ.

საშინელმა მღელვარებამ შეიპყრო სქშეტუსკი. გონებადაუტანებლივ გადმოხდა ცხენიდან, მივიდა ტორტმანით გზის პირას და გაჩერდა. პან მიხალიც ჩამოხდა და ხელი მიაშველა დასუსტებულს რაინდსა.

ეტლნი დაუმხარდახარდნენ რაინდებსა. პანი ეიტოვსკისთან ერთად მოდიოდნენ სხვა ქალებიცა, რომელნიც გაკვირვებით შესცქეროდნენ რაინდებს, რადგან არ ესმოდათ, ეს რა ამბავიაო.

ბოლოს გამოჩნდა ბევრად უფრო მდიდრული ეტლი, ვიდრე სხვა დანარჩენები. ეტლს ფანჯარა ახდილი ჰქონდა და შიგ გამოჩნდა დინჯი სახე ხანში შესული დედაკაცისა, ხოლო მის გვერდით იჯდა მშვენიერის სახის კნიაჟნა კურცევიჩი.

— ჩემო ქალო! — შეჰყვირა ზაგლობამ და მივარდა ეტლს, — ჩემო შვილო! სქშეტუსკი ჩვენთან ირის! , შვილო!

კუშელმა და ვოლოდიევსკიმ მიიყვანეს ეტლთან სრულიად ლონე-მიხდილი სქშეტუსკი. ძალა რომ აღარა ჰქონდა, დაიჩოქა ეტლის საფეხურზედა, მაგრამ კნიაგინამ ხელი მიაშველა და დაუჭირა მოდუნებული თავი რაინდსა.

ზაგლობამ შეჰნიშნა, რომ კაშტელიანის მეუღლე შეფიქრიანდაო და ამიტომ სასწრაფოდ მოახსენა:

— ეს სქშეტუსკი გახლავო, ზბარაჟის გმირი. ამან გამოიარა შეუმჩნეველად მტრის ბანაკზედა, ამან დაიხსნა ჯარი, თავადი, მთლად რესბუპლიკა! ღმერთმა დალოცოს ესენი და აცოცხლოს მრავალ-ჟამიერ!

— გაუმარჯოთ, გაუმარჯოთ!—დაიგრიალა შლიახტამ.

— გაუმარჯოთ!—განიმეორეს თავადის დრაგუნებმა.

— გაესწიოთ ტარნოპოლს! თავადთან! ქორწილში, ქორწილში!—ჰგრგვინავდა ზაგლობა. აბა, ჩემო შვილო, მოეღო ბოლო ახლა კი ყოველს თქვენს უბედობას... ხოლო ბოგუნს არ ასცდება ჯალათი და ცული ჯალათისა!

სქშეტუსკი ჩასვეს ეტლში, მოუსვეს გვერდით კნიაგინა და ყველამ განაგრძო გზა. დღე იყო მშვენიერი, ჭალაკნი და მინდვრები სულ ბრწყინავდა მზის სხივებ ქვეშა. საცა არა მგონია, ჰაერში ციმციმებდა აბლაბუდას წვნიკი ძაფები და უქადდა ქვეყანას კარგს შემოდგომასა. ყოველივე ხარობდა და დამშვიდებული იყო გარშემო.

— პან მიხალ!—სთქვა ზაგლობამ და უზანგით შეეხო ვოლოდიევსკის უზანგსა,—რაღაცამ წამიჭირა ხელი და თითქო მახრჩობსო, სწორედ ისე, როცა პან პოდბიპენტა,—ღმერთო, განუსვენე იმ სოფელსა!—ზბარაჟიდან გავიდა; ხოლო როცა გამახსენდება, რომ ეს ორნი ბოლოსა და ბოლოს მაინც კვლავ შეეყარნენ ერთმანერთსა-მეთქი, გულს მეფონება და ისე კარგდა ვგრძნობ, თავსა, თითქო ეს-ეს არის ერთი ჩარექა კარგი ძველი თაფლის ღვინო დავლიე-მეთქი. თუ არც შენ გიწერია დაქორწინება და ჯაჭვნი გიმენეისა, სიბერეში ერთად დავუწყოთ ლოლიავება ამათ შვილებსა. ყველას თავისი დანიშნულება აქვს, თავისი გზა, პან მიხალ, ხოლო ჩვენ ორნი, ვეონებ

უფრო ომისათვისა ვართ ვაჩენილნი, ვიდრე საოჯახო ცხოვრებისათვის.

პატარა რაინდმა არა უპასუხა-რა, მხოლოდ პატარა ულვაშები გააცმაცუნ-გამოაცმაცუნა.

გზა ტოპოროვზედ მიდიოდა, მერე იქიდან ტარნოპოლს, საცა ყველანი უნდა შემოკრებილიყვნენ თავადის გარშემო და მერე იქიდან სადროშოს ჯარებთან ერთად ყველანი ლვოვს უნდა წასულიყვნენ ქორწილში. გზაში ზაგლობამ უამბო კაშტელიანის მეუღლეს, რაც მოჰხდა ბოლოს დროს, რა საშინლად შეებრძოლა მეფე ყეენსა და მერე შემდეგ ამ ომისა, როგორ იქმნა შეკრული ზავი, რომელიც ცოტას მაინც უბრუნებს რესპუბლიკას მშვიდობასაო. ზავის პირობით ხმელნიცკი უნდა დარჩენილიყო გეტმანად კვლავაცა და ნება მიეცა მდაბიოთა უამრაჟის რიცხვიდან აერჩია ორმოცი ათასი სიის ყაზახი და ამის სამაგიეროდ ფიცი მიელო მეფისა და მთავროობის ერთგულებაზედა.

— უეჭველია, რომ,—დასძინა ზაგლობამ,—ხმელნიცკისთან კიდევ ომი მოგვიხდება, ხოლო თუ კვერთხი არ ასცდა ჩვენს თავადსა, მაშინ კი ყოველივე სხვაფრივ წავა...

— რატომ იმას არ ეუბნები სქშეტუსკის, რაც ყველაზედ საყურადღებოა,—უთხრა ზაგლობას ვოლოდიევსკიმ, რომელიც მიუახლოვდა ეტლს ცხენითა.

— მართლა, რამდენი ხანია, მაგის თქმა მინდოდა. იცი, სქშეტუსკი, რა მოჰხდა მას შემდეგ, შენ რომ ზბარაჟიდან წამოხვედი? ბოგუნი ტყვედა ჰყავს თავადსა.

სქშეტუსკი და კნიაჟნა ისე გაოცდნენ პირველში, რომ ხმა ვერ ამოიღეს. ბოლოს სქშეტუსკი მოვიდა ისევ გონსა.

— როგორ? რა გზით მოჰხდა ეგა?

— ღვთის განგება იყო, —უპასუხა ზაგლობამ,—ღვთის განგება, სხვაფრივ არ შეიძლება, რომ ეგ საქმე მომხდარიყო! ზავი უკვე ჩამოვარდნილი იყო და ჩვენც უკვე გამოვდიოდით წყეულ ზბარაჟიდან, ხოლო თავადი წავიდა ცხენოსანის ჯარით მარცხენა ფრთეღისაკენ, თვალ-ყური უნდა დაეჭირა, ურდო

თათართა თავს არ დაგვესხასო... ისინი ხომ ხშირად არავითარს ზავს ყურადღებას არ აქცევენ... უცბად მთელი რაზმი, ესე სამასამდე ცხენოსანი დაეცა თავს თავადის ჯარს...

— მხოლოდ ბოგუნს შეეძლო გაებედნა მაგისთანა საქმე,— სთქვა სქშეტუსკიმ.

— სწორედ ის იყო. მაგრამ რა ყაზახთა საქმეა თავს დაესხან ზბარაჟის ჯარის-კაცთა. პან მიხალი უცბად შემოერტყა გარს და სულ ამოსწყვიტა ერთიანად, ხოლო ბოგუნი ორჯელ დასჭრა და ბოლოს ტყვედაც იქმნა შეპყრობილი. ბედი არა აქვს იმ უბედურს პან მიხალთან, თვითონაც დარწმუნდა, რომ ეს ასეა; მაგრამ ის ბედს არ დასდევდა, მხოლოდ სიკვდილი სწყუროდა.

— მე ისე მეჩვენა,—დაუმატა პან ვოლოდიევსიმ,— რომ ბოგუნი ვოლოდინკიდან მოისწრაფოდა ზბარაჟსა, ხოლო რაკი დაუგვიანდა და შეიტყო, რომ უკვე ზავია ჩამოვარდნილიო, სულ დაჰკარგა გონება და ყურადღებას აღარას აქცევდა.

— მებრძოლი მახვილითა მახვილითავე წარწყმდეს, ასეთია ცვალებადობა ბედისა და რას იზამთ. ჯერ ისეც გადარეული ყაზახია და მით უმეტეს მაშინ იქნებოდა გადარეული, როცა განწირულებამ შეიპყრო. იმის წყალობით ასტყდა ასეთი აურ-ზაური ჩვენსა და ბრბოთა შორის. ჩვენ გვეგონა, რომ კვლავ ომი აგვიტყდებაო; თავადმა პირველმა შეჰყვირა, რომ ზავი დარღვეულ იქმნაო. ხმელნიცკის უნდოდა ბოგუნი დაეხსნა, მაგრამ ყეენი პირველი გაურისხდა: „იმან გააწბილა ჩემი ფიცი და ჩემი სიტყვაო“. ყეენი დაემუქრა ხმელნიცკის, თვითონ შენ დაგიწყებ ომსაო, ხოლო თავადს დესპანი გაუგზავნა და შეუთვალა, ბოგუნი ავაზაკია და გთხოვ, მაგ საქმეს თავს ნუ გამოაბამ და ბოგუნს ისე მოექეცი, როგორც ავაზაკსაო. ყეენს უპირველეს ყოვლისა ის უნდოდა, რომ თათრებს გულ-დამშვიდებით წაესხათ თავიანთი ტყვენი, რომელნიც საკმაოდ შეეპყროთ.

— მერე რა უყო თავადმა ბოგუნსა?—გულის ჩქროლვითა ჰკითხა სქშეტუსკიმ.

— ჯერ მარგილი დაამზადებინა მისთვის, მაგრამ მერე ისევ თავი დაანება და სთქვა: „სქშეტუსკის ვაჩუქებ, დეე, როგორც უნდა, ისე დასაჯოსო. ახლა ის ყაზახი სარდაფში ჰგდია ტარნოპოლს; დალაქს აქვს მინდობილი, ჭრილობანი შეუხვიოს ხოლმე. ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია, რაც იმას სული უნდა ამოსვლოდა! მაგრამ რომ არ იქნა. ზოგიერთისთვის ძაღლებს არ გაუძვრიათ ისე ტყავი, როგორც ჩვენ იმას ტყავი დავუცხავეთ. მარტო პან მიხალმა სამჯერ უკბინა. მაგრამ ის კაცი უბრალო კაცი არ ჰრის, თუმცა კი, სწორედ რომ ვსთქვათ, უბედურია. მაგრამ, ეჰ, ჯანდაბამდე გზა ჰქონდეს! მე იმისი ჯავრი არა მჭირს და არც გაბოროტებული ვარ იმაზედა, თუმცა მდევნიდა საშინლად, ამაოდ კი მდევნიდა, იმიტომ რომ მე იმასთან ერთადა ვსვამდი, პურ-მარილსა ვჭამდი და ისე ვექცეოდი, როგორც ტოლსა და სწორსა, ვიდრე თქვენ არ დაგიწყოთ, კნიაჟნა, წინააღმდეგობა. მე შემეძლო იქვე რაზლოვში გამეთავებინა ისა... მაგრამ, სჩანს, ქვეყნად მადლიერობა არა სუფევს და ცოტანი არიან, მგონი, ისეთნი, რომელნიც კეთილისათვის კეთილს მიაგებენ ხოლმე კაცსა... ეჰ, ღმერთმა განიკითხოს ისა!..

პან ზაგლობამ ხელი გაიქნია იმის ნიშნად, რომ მე იმას აღარ დავეძებო.

— შენ რაღას უპირობ, იმასა? ჯარის-კაცნი ამბობენ, რომ ფორეიტორად დაჰნიშნავსო, რადგან წამოსადეგი კაციაო, მაგრამ მე არ მინდა დავიჯერო ეგა.

— დიაღაც, არ უნდა დაიჯერო, — უპასუხა სქშეტუსკიმ. —სანაქებო მეომარია ის კაცი, ხოლო თუ უბედურია, მით უფრო არ გავაწბილებ უმეტესადა და ტეტიურს საქმეს არ მივანდობ.

— ღმერთმა აპატივოს ყოველივე, —სთქვა კნიაჟნამ.

— ამინ! —დაუმატა ზაგლობამ. —ისე სწყურიან სიკვდილი, როგორც ცხონება... და მაინც სიკვდილს იპოვიდა, რომ ზბარაჟს მოსვლა არ დაჰგვიანებოდა.

კარგა შორს გამოჩნდა გრაბოვო, საცა დაეცათ ბინა ღამის გასათევად ჯარებსა. იქაურობა სავსე იყო ზბარაჟიდან მო-

მავალის ჯარებითა. იქვე იყო პან კაშტელიანი სანდომარისა, ვიტოვსკი, რომელიც წამოსულიყო ცოლის დასახვედრად, პან სტაროსტა კრასნოსტაველიცა, პან ფშიემსკიცა და მრავალი თავად-აზნაურობა ქუდზედ კაცის ჯარისა. სასახლე გრაბოვოში გადაეწვათ, აგრეედვე სხვა შენობანიცა, მაგრამ მშვენიერი ამინდი ნებას იძლეოდა ბინა დაეცათ მინდვრად, მუხის ტყეში, ცის ქვეშე. სურსათი და საჭმელ-სასმელი ბევრი იყო და მსახურთ მაშინვე მიჰყვეს ხელი ვახშმის მომზადებას. კაშტელიანმა ბრძანა დაეცათ რამდენიმე კარავი ქალებისა და მოხდულის თავადაზნაურობისათვის. რაინდობა შეჯვუფულიყო კარავებ წინა იმ იმედით, რომ იქნება თვალი მოეკრათ კნიაჟნასა და სქშეტუსკისაო. რიგი მუსაიფობდა წარსულის ომის შესახებ, რიგი, ვინც მხოლოდ ზბოროვსა ყოფილიყო, ჰკითხავდნენ თავადის ჯარისკაცებს, გვიამბეთ დაწერილებით, რა ყოფაში იყავით, როცა მტერი გარს იყო შემოდგომილიო. ყველგან მხიარულება იყო და ერთი ჟივილ-ხივილი, მით უფრო რომ ამინდი იყო მშვენიერი.

თავად-აზნაურობაში ყველაზედ მეტად ორატორობდა პან ზაგლობა და მეათასედ უამბობდა ყველას, როგორ მოვკალი ბურლაიო; ასევე იქცეოდა ჟენძიანი, რომელსაც გარს შემოჰხვეოდნენ გვარიშვილობით უფრო მცირენი და ნაკლებნი. მაგრამ ამან მაინც არ დაუშალა ცბიერს პაეს მოხერხებული დრო ეპოვნა და გაეხმო ცალკე სქშეტუსკი.

— პანე!—უთხრა იმან და დაიჩოქა მის წინაშე,—მინდა გთხოვოთ, რომ ერთი წყალობა მიყოთ.

— ჩემთვის ძალიან საძნელო იქნება, რომ უარი გითხრა, რაც უნდა მთხოეო. შენის მოწყალებით მოხერხდა, რომ ყოველივე ესე ასე კეთილად გათავდა. სთქვი, რა გინდა მთხოვო?

წითური სახე ჟენძიანისა დაიჩრდილა, თვალები აენთო ბოროტებითა და მძულვარებით.

— მხოლოდ ამასა გთხოვ, არა მინდა-რა: მომეცით ბოგუნი.

— ბოგუნი!—გაუკვირდა პან სქშეტუსკის.—მერე რა გინდა აუტეხო?

— ეგ მე ვიცი... რომ მე ჩემი არა დავკარგო-რა და ერთი ორად დავიბრუნო ის, რაც მე იმან ჩიგორინს ტანჯვა მომაყენა. ვიცი, რომ სიკვდილით დასჯი, მაშ, მომეცით მე, რომ ჯერ მე გავუსწორდე და გადავუხადო სამაგიერო.

სქშეტუსკის წარბები შეეკუმუხნა.

— ეგ შეუძლებელია!—გადაწყვეტითა სთქვა სქშეტუსკიმ.

— ღმერთო! სიკვდილი მერჩივნა მაგის გაგონებასა!—მწუხარებით დაიძახა ჟენძიანმა.—თითქო იმიტომ გადავრჩი სივდილსა, რომ ვატარო ტვირთი სირცხვილისა და შეურაცხყოფისა!

— მთხოვე, რაც გინდა, მხოლოდ მაგას კი ნუ მთხოვ. მოიფიქრე კარგად, შეეკითხე რჩევას შენს წინაპრებსა, რა უფრო დიდი ცოდვაა: ასრულება მაგ აღთქმისა, თუ აუსრულებლობა? ნუ მოაწერ შენს ხელს ღვთის მიერ განწესებულსა და დამსჯელს განაჩენს, რათა შენც არ გეწვიოს იგივე სასჯელი. გრცხვენოდეს, ჟენძიან! ის კაცი ისედაც სიკვდილს შესთხოვს ღმერთსა... დაჭრილი, ტყვე-ქმნილი. რაღად გინდა ახლა შენი თავი გადიქცეო? ჯალათად? გინდა შეურაცხ ჰყო ტყვე, მოჰკლა დაჭრილი? თათარი ხარ, თუ რა არის. ვიდრე ცოცხალი ვარ, მაგაზედ ვერ დაგთანხმდები, სჯობს აღარა მითხრა-რა.

პან იანს ხმაზედ ეტყობოდა, რა სიმტკიცითა და გადაწყვეტილებითაც ამბობდა ამ სიტყვებსა. ამიტომ პაჟმა მაშინვე გადიწყვიტა ყოველივე იმედი და მხოლოდ კვლავ განაგრძობდა წუწუნსა.

— როცა კარგად არის, ორი ჩემისთანაც არ ეყოფა იმასა, ხოლო როცა ავად არის, არ ვარგა, რომ შური ვიძიო და სამაგიერო გადვუხადო... როდის-ღა დავუბრუნო ის, რაც მე იმისი მმართებს!

— მიანდე ღმერთს სამაგიეროს გადახდა,—უთხრა სქშეტუსკიმ.

ჟენძიანმა დააღო პირი და რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ პან იანი გაბრუნდა და გასწია კარვებისაკენ, საცა შეგროვილიყო მთლად საზოგადოება. შუაგულ ადგილას იჯდა პანი ვიტოვსკისა, მისს გვერდით კნიაჟნა, რაინდნი გარშემო ჩამომწკრივებულიყვნენ. ცოტა მოშორებით ზაგლობა იდგა და უამბობდა მახლობელთ ზბარაჟის ალყად შემორტყმის ამბავს. მსმენელნი დიდის ხალისით ისმენდნენ შლიახტიჩის ნაამბობს. სქშეტუსკი დაჯდა კნიაჟნას გვერდითა და დაეკონა მას ხელზედა. მზე დასავალს იყო; საღამოჟამდებოდა, პან იანიც სმენად გადაიქცა, თითქო ახალს რასმე მოუთხრობდნენ. პან ზაგლობა წამ-და-უწუმ იწმენდდა ოფლს მელოტს თავზედა და ხმა მისი თან-და-თან უფრო მეტის ძლიერებითა ჰქუხდა. ზოგი არა-დიდის ხნის მოგონებაშა და ზოგი ფიქრ-ოცნებამა აღადგინა რაინდობის თვალთა წინაშე სისხლით მორიალებული სცენები: ჰხედავდნენ თვალ-წინ თხრილებსაც, რომლებსაც გარს შემოჭრტყმოდა ზღვა მტრისა, საშინელ იერიშებსაც, ესროდათ ჩოჩქოლი და ყიჟინიცა, ღრიალიცა, ზარბაზნებისა და თოფების ქახა-ქუხიცა და ხათქა-ხუთქიც, ჰხედავდნენ თავადსაც ვერცხლის ჩაჩქნითა თვით თხრილებზედა, იმ წითლად შეღებილ ღამეებს, როცა სიკვდილი, ვითა წყეული და შავ-უკუღმა ფრთოსანი დასტრიალებდა თავს თხრილებსა... პან პოდბიპენტას გასვლას, მერე სქშეტუსკისას... და ყველანი ისმენდნენ სულ-განაბულნი, ხმა-გაკმენდილნი, ხოლო ჟამითი-ჟამად აღაპყრობდნენ თვალებს ცათა მიმართ, ან არა-და გაიკრავდნენ ხელებს ხმალზედა, ხოლო პან ზაგლობამ ასე გაათავა:

— ახლა იქ ერთი დიდი სამარეა, ერთი დიდი მატურივით ამართული სერია; თუ იმ სერ ქვეშ არა სძევს დიდება რესპუბლიკისა და სიკეთე რაინდობისა, თავადიცა, მეც და ჩვენც ყველანი, რომელთაც თვით ყაზახნი ზბარაჟის ლომებს გვეძახიან, ეგ მხოლოდ მარტოდ-მარტო ამის მოწყალებითა!

და პან ზაგლობამ სქშეტუსკისაკენ გაიწოდა თითი.

— მართალია! — დაიძახეს ერთ-ხმად მარეკ სობესკიმა და პან ფშიემსკიმ.

— დიდება მაგასა! სახელი და ქება!—გაისმა ასობით ძლიერი ხმა რაინდობისა.—გაუმარჯოს სქშეტუსკის! გაუმარჯოს კნიაჟნას! გაუმარჯოს გმირს!

ყველა იქ დამსწრენი შეიპყრო აღფრთოვანებამ. ზოგნი ღვინისათვის გაიქცნენ, ზოგმა ქუდებს დაუწყეს სროლა მაღლა. ჯარის-კაცნი ხმლებზედ იკიდებდნენ ხელს და იდგა ერთი ერიამული.

სქშეტუსკი, ვითა ჭეშმარიტი ქრისტეანე რაინდი, იდგა მორჩილებით თავ-დახრილი, ხოლო კნიაჟნა წამოდგა, გადიყარა უკან თმა და წელში გასწორდა. სახე გაუწითლდა, თვალები ცეცხლივით აენთო... ეს რაინდი ხომ იმისი ქმარი იყო, ხოლო დიდება ქმარისა ეფინებოდა ცოლსა, ვითა სხივი მზისა დედა-მიწას

—

ღამე გატყდა, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ ორის გზითა. პან ვიტოვსკი, პან ფშიემსკი და სტაროსტა კრასნოსტავისა წავიდნენ თავ-თავიანთ რაზმებითა ტოპოროვოსაკენ, ხოლო სქშეტუსკი კნიაჟნითა და ეოლოდიევსკის სადროშოს ჯარითა—ტარნოპოლს. ღამეც ისეთივე კარგი იყო, როგორც დღე. მილიონობით ვარსკვლავთ გადაეჭედათ ცა. ამოვიდა მთვარეცა და გააშუქა მინდორი, მერე გამოჩნდა თეთრი ღრუბლები და მოეფინა ცას. ცა მაშინ ჰგავდა უზარ-მაზარს ტბას, მთვარის ნათელით გაშუქებულსა...

ამისთანავე დამე იყო, როცა სქშეტუსკი გამოდიოდა ოდესმე ზბარაჟიდან.

ეპილოგი

გარნა ისტორიული ტრაგედია არ დამთავრდა არც ზბარაჟსა და არც ზბოროვს. პირველი მოქმედებაც კი არ დამთავრდა იქ. ორის წლის შემდეგ, მთლად ყაზახობა კვლავ შეებრძოლა რესპუბლიკას. წამოვიდა ხმელნიცკი, უფრო ძლიერი, ვიდ-

რე ოდესმე იყო, ხოლო მასთან ერთად მოდიოდა ყველი ყველა ურდოებისა და იგივე სარდალნიც წამოჰყვნენ თანა, ვინც იყვნენ ზბარაჟში: ნადირი ტულაი-ბეიცა, ურუმ-ფაშაცა, არტიმ-გირეიცა, ნურედინიცა, გალგაცა, ამურატიცა, სუბაღაზიცა. წინ მიუძღოდათ წითელი სვეტები ცეცხლ-მოკიდებულ დაბა-სოფლებიდან აეარდნილი და კვნესა ხალხისა; ათასობით მეომარნი მოედვნენ მინდვრებს, გაავსეს ტყე-ღრე, სამხედრო ყიჟინი გაისმოდა ნახევარ-მილიონზედ მეტი ხალხის პირიდანა და ქვეყანას ეგონა, რომ ეს არის დადგა დღე რესპუბლიკის აღსასრულისაო.

გარნა რესპუბლიკაც მოეგო გონსა და მიატოვა თვისი გარინდება, გაშეშება; უარ-ჰყო წინანდელი პოლიტიკა კანცლერისა, სამშვიდობოდ დადებული ხელ-შეკრულობანი, ყოველივე. ცხადი შეიქმნა, რომ მხოლოდ ერთს ხმალს შეეძლო ეზრუნა ქვეყნისათვის მშვიდობა, და როცა მეფე ამხედრდა მტრის წინააღმდეგ, მეფეს წაჰყვა სალაშქროდ ასი ათასი ჯარი და თავადაზნაურობა, მრავალნი მსახურნი და ხელზედ-მოსამსახურე პირის-ფარეშნი რომ არ ვიანგარიშოთ.

არ აკლდნენ ისინიც, რომელნიც ამ მოთხრობაში მონაწილეობდნენ. აქ იყო მთავარი ერემია ვისნეველეკი მთელი თვისის დივიზიით, რომელშიაც წინანდელებრ მსახურებდნენ სქშეტუსკი და ვოლოდიევსკი ნება-ყოფლობით ჯარში ჩაწერილ ზაგლობითურთ; იყვნენ ორივე გეტმანები, პოტოცკი და კალინოვსკი, რომელნიც იმ დროს გამოსყიდულ იქმნენ თათართა ტყვეობიდან. იყო პოლკოვნიკი სტეფანე ჩარნეცკიცა, რომელმაც შემდეგში სძლია შვედების მეფეს კარლოს გუსტავსა, პან ფშიემსკიცა, მთავარი უფროსი თოფჩთა ჯარისა, გენერალი უბალდიცა, პან არციშევსკიცა, პან უფროსი კრასნოსტავისა და ძმა მისი უფროსი იავოროვიც, შემდეგში მეფე იან III, ლიუდვიგ ვეიხერიცა, მოურავი პომორისა, მედროშე კონეცპოლსკიცა, მთავარი დომინიკე ზასლავსკიცა, ეპისკოპებიცა, სახასო დიდებულნიცა, სენატორებიცა,—სრულიად რესპუბლიკა თვისის ბატონ-პატრონით, მეფითა.

ბოლოს ეს რიცხვ-მრავალნი მხედრობანი ეკვეთნენ ერთ-მანეთს ბერესტეჩკის მინდვრებზე და აი სწორედ იქ გაიმარ-თა ერთი უდიდესი ომი მთლად მსოფლიოს ისტორიის ომთა შორის.

გასტანა ამ ომმა სამს დღესა. პირველ ორ დღეს იმარ-ჯვებდა ხან ერთი მოპირის-პირე, ხან მეორე, მესამე დღეს უკა-ნასკნელს ომზე მიდგა საქმე და ამ ომს უნდა გადაეწყვიტნა ბედი მებრძოლთა. ეს ომი დაიწყო თავადმა იერემიამ.

ყველანი ჰხედავდნენ, რომ თავადი ჰმოთავობდა მარცხე-ნა ფრთედსა, იყო უჩაჩქნოდ, თავ-შიშველი და, როგორც გრი-გალი, ისე ეკვეთებოდა ხოლმე აუარებელს ჯარებს, რომელ-შიც ერიკვნენ ყველა სახასო ყაზახნი, ყველა თათარნი ყირიმი-სა, ნოღაისა, პიკერმანისა, ოსმალნი სილისტრიისა და რუმე-ლიისა, იანიჩარნი, სერბნი, ვლახელნი და სხვა განადირებულ-გაველურებულნი მხედარნი, შემოკრებილნი ურალიდან და კას-პიის ზღვიდან დაწყებული დუნაიამდე.

და ვითა ხელი ჰქრება აბობოქრებულ ზღვის ზვირთებში, ისე გაჰქრნენ და ჩაიმალნენ თავადის რაზმნი ამ მტერთა ზღვა-შია. მხოლოდ მტვერი ავარდა მანდორს და გადაეფარა მე-ბრძოლთა.

ამ საშინელს უმაგალითო ომს უმზერდა მთლად ჯარი და მეფე, ხოლო კანცლერის თანაშემწემ ლიეშჩინსკიმ აღმართა ძე-ლი ჭეშმარიტი და ჯვარი გადასწერა სიცოცხლის გამწირ-ველთა.

ხოლო ამ დროს ჯარი მეფისა მეორე მხრიდან უპირებდა შემოვლას მთლად ყაზახთა ბანაკსა, ორასი ათას კაცსა, უშვე-ლებელის თოფჩთა ჯარითა, რომელიც ზღაპრულის გველივით ნელ-ნელა მოფორთხავდა ტყიდანა.

ხოლო ვიდრე ის უზარ-მაზარი ჯარი-ჯარამათი გამოვი-დოდა მტვრის ბურუსიდან, რომელშიაც ჩაიმალნენ რაზმნი ვისნევსკისა, გამოჩნდნენ ჯერ თითო-ოროლა მხედარნი, მერე ათ-ათნი, ას-ასნი, ათას-ათასნი... და ესე ყოველივე მიჰქრო-

და სერისაკენ, საცა იდგა ყეენი, გარშემორტყმული თვისის რჩეულის გვარდიითა.

გაველურებულნი ბრბონი ივლტოდნენ შიშით თავ-ზარდაცემულნი უწეს-ურიგოთა, ხოლო პოლონელთა რაზმნი მისდევდნენ უკან ყიჟინითა და ცემითა.

ათასობით თათარნი და ყაზახნი უსულოდ ეყარნენ ბრძოლის ველზედა, ხოლო მათ შორის ეგდო ორად გაპობილი მახვილითა საშინელი მტერი ლიახებისა, ერთგული მოკავშირე ყაზახთა, გულადი და შეუპოვარი ტულაი-ბეი.

საშინელი თავადი გამარჯვებული იყო.

მეფემ შეჰნიშნა მხედართ-მთავრის თვალითა, რომ თავადი გამარჯვებულიაო და ბრძანა შემუსრეა ურდოსი უწინარეს იმისა, ვიირე ლტოლვილთ ყაზახნი შეუერთდებოდნენ ყეენს.

თათრებს ეკვეთა მთლად ჯარი, ტუჩნი მთლად ზარბაზანთა მიმართულ იქმნა მათკენა და გაავრცელა სიკვდილი, დაჰბადა მათ შორის არეულობა. ძმა ყეენისა, ამურატი, ძირს დაეცა, ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი გულში. ურდოს აღმოხდა გულიდან საშინელი ხმა. თავ-ზარდაცემულმა და ბრძოლის დაწყების უმალვე დაჭრილმა ყეენმა გადაჰხედა ველსა ბრძოლისასა. შორიდან, კვამლსა და ცეცხლ შორის, მოდიოდა პან ფშიემსკი და თვით მეფე რეიტურებითურთ, ხოლო აქეთ-იქით გვერდზედ დედა-მიწა დგანდგარებდა საომრად გამოქანებულის ცხენოსანთა ჯარის სიმძიმითა.

მაშინ შედრკა და აკანკალდა ისლამ-გირეი, ველარ გამავრდა ბრძოლის ველზედა და ივლტოდა, ხოლო მას მიჰყვნენ უწესოდ ყველა ურდონი, ვლახელნიც, ცხენოსანი ჭორომელნიცა, სილიტრიელნი ოსმალნიცა; ივლტოდნენ ყველა ესენიცა ისეთის სისწრაფით, როგორც ღრუბელნი, რომელთაც ქარი მიაქანებს.

ლტოლვილთ დაეწია სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხმელნიცკი, უნდა შეჰხვეწნოდა ყეენს, რომ დაბრუნებულიყო საომრად, მაგრამ ყეენმა დაინახა თუ არა, განრისხდა, დაწყო

ღრიალი და უბრძანა თათრებს შეეპყრათ და მიეკრათ ცხენზედ. ასე შეკრული ხმელნიცკიც თან თან გაიტაცა ყეენმა.

ახლა დარჩა მხოლოდ ერთი ბანაკი ყაზახთა.

ბანაკის უფროსმა, კრაპიეენის პოლკოვნიკმა ძეძალამ, არ იცოდა, რა დაემართა ხმელნიცკის, მაგრამ რაკი დაინახა დამარცხება და უსირცხვილო ლტოლვა ყველა ურდოებისა, დაიწია უკან თვისის ჯარითა და გამაგრდა პლემოეის ჭაობებში.

ცაც განრისხდა და დაიწყო რუხრუხი; წამოვიდა ღვარნაში. „ღმერთმა განბანა დედა-მიწა სამართლიანის ბრძოლის შემდეგ".

რამდენსამე დღეს გადუღებლივ მოდიოდა წვიმა კოკის-პირულად; რამდენსამე დღეს შეისვენეს მეფის ჯარებმაცა, დაღლილ-დაქანცულებმა წინა ომებითა, ხოლო ყაზახთა ჯარები გარშემო თხრილებს იღებდნენ და მაგრდებოდნენ შიგა.

გამოიდარა თუ არა და დადგა კარგი ამინდები, დაიწყო მეფის ჯარმა ალყის შემორტყმა ყაზახთა. ამისთანა ალყის შემორტყმა იშვიათად ახსოვს ისტორიას.

ასი ათასი ჯარი მეფისა გარს შემოერტყა ძეძალას ორასი-ათას მხედრობას.

მეფეს ცოტა ჰქონდა ზარბაზნები, აკლდა სურსათი, იარაღი ხოლო ძეძალას დიდ-ძალი თოფის-წამალი ჰქონდა ნაზრუნი, აგრედეე ნუზლ-სურსათი და ამას გარდა კიდევ სამოცდაათი დიდი და პატარა ზარბაზანი ჰქონდა ხელში. გარნა სამეფო ჯარს წინამძღოლობდა თვით მეფე, ხოლო ყაზახთ იქ არა ჰყავდათ ხმელნიცკი.

მეფის ჯარნი აღფრთოვანებულნი იყვნენ ძლევა-მოსილებით, ყაზახნი კი ეჭვობდნენ და თავიანთ ძალ-ღონისა ეფიქრებოდათ.

გავიდა რამდენიმე დღე; იმედი ხმელნიცკისა და ხანის დაბრუნებისა განჰქრა.

მაშინ დაიწყო მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად.

ძეძალა უფრო მშვიდობის ჩამოგდების მომხრე იყო და უნდოდა მსხვერპლად გაეწირა თავი, ოღონდ კი დაეხსნა ჯარი და ხალხი.

ხოლო ყაზახთა ბანაკში გაჩნდა უთანხმოება. ზოგს უნდოდა, მშვიდობა ჩამოვარდნილიყო, ზოგი რჩეობდა მტრის მოგერებას, თუნდა სულ ამოწყვეტაც გვეწეროსო, ყველანი კი სათითაოდ იმის ფიქრში იყვნენ, რა ღონე ვიღონოთ, რომ აქედან გავიდეთ და საფრხეს გადავრჩეთო. ხოლო თვით გულადს ყაზახს ეს შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა. ბანაკი გარეშემორტყმული იყო მდინარის ტოტებითა და უზარმაზრის ჭაობებითა. მოგერება მტრისა ადვილად შეიძლებოდა ამისთანა ბანაკში, თუნდა მთელის წლობით ყოფილიყო გარ-შემოდგომილი მტერი, ხოლო გასაქცევად ერთად-ერთი გზა იყო—გარღვევა მეფის ჯარებისა.

ამ გზით თავის დაღწევას არავინა ჰფიქრობდა ყაზახთა ბანაკში.

მოლაპარაკება, რომელსაც ომი და ბრძოლა შესწყვეტდა ხოლმე, უგულოდ მიდიოდა წინა; ჩხუბი და უთანხმოება ყაზახთა შორის უფრო გახშირდა. ერთი ამისთანა ჩხუბის შემდეგ ძეძალა უარ-ყოფილ იქმნა და მის მაგიერ ყაზახთ ახალი მხედართ-მთავარი აირჩიეს.

ახალის სარდლის სახელმა ახალი სიმამაცე ჩაჰბერა ყაზახთა, სამეფო ბანაკშიაც ძალუმად გაიხმაურა და რამდენისამე რაინდის ხსოვნაში გააღვიძა წაშლილი და დავიწყებული მოგონებანი უკვე განვლილის მწუხარებისა და უბედურებისა.

ახალს სარდალს ბოგუნი ერქვა.

ბოგუნს ჯერ წინადაც დიდი ადგილი ეჭირა ყაზახთა 'შორის ბრძოლასა და თათბირობის დროს. საყოველთაო აზრი იყო, რომ ამან უნდა დაიჭიროს შემდეგ ადგილი ხმელნიცკისაო.

ბოგუნი პირველი მოვიდა ყაზახთა სხვა პოლკოვნიკებ შორის ბერესტეჩეკს თათრებითურთ ორმოცდა ათი ათასის კაცის მოთავედა. მონაწილეობა მიიღო ცხენოსან ჯართა სამი დღის ომში და, დამარცხებულმა ყეენთან ერთად თავადის ერემიას მიერ, მოახერხა როგორღაც გადაერჩინა უმეტესი ნაწილი თვისის მხედრობისა და თავი ამოჰყო პლეშოვის ბანაკში. ახლა,

ძეძულას შემდეგ, შეურიგებელთა და ომის მოსურნეთა დასმა იმას მიანდო უმთავრესი წინამძღოლობა ჯარისა იმ იმედით, რომ მარტო ეგ შესძლებს მთლად ბანაკის დაცვას და ჯარის გადარჩენასაო.

მართლაც, ახალგაზდა სარდალს გაგონებაც-კი არ უნდოდა იმისი, რომ ზავი ჩამოვარდესო; იმას ბრძოლა და სისხლის-ღვრა სწყუროდა, თუნდა თვითონაც ამ სისხლის მორევში დახრჩობა ჰქონოდა შუბლზე დაწერილი.

მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამ ჩემის ჯარებით ვერ გადავლახავ მეფის ჯარს, ვერ გადავივლი მათს გვამებზედა და სხვა ლონისძიებას მოჰკიდა ხელი.

ისტორიამ დაიცვა ხსოვნა ამ ბუმბერაზის კაცის უმაგალითო მეცადინეობისა ჯარისა და მდაბიო ხალხის გადასარჩენად.

ბოგუნმა გადასწყვიტა გაეარნა პლეშოვის უძირო ჭაობნი, ანუ უკედ ესთქვათ, მოიფიქრა ამ ჭაობებზედ ისეთის ხიდის გადება, რომელზედაც შესძლებოდათ გავლა ყველა ალყა-შემორტყმულთა.

და აი დაუწყეს ჩეხა უზარ-მაზარს ტყეს და ყრა ხეებს ჭაობში, შიგვე ჰყრიდნენ ურმებს, კარვებს, ტყავებს და რაც-კი რამ ხაფანგარა ჰქონდათ და ხიდიც დღითი-დღე მიტულობდა სიგრძესა.

კაცს ეგონებოდა, რომ წინამძღოლისათვის შეუძლებელი ალარა არსებობს-რა დედა-მიწის ზურგზედაო.

მეფე აგვიანებდა იერიშის მიტანას, რადგან არ უნდოდა სისხლის-ღვრა, მაგრამ, რაკი დაინახა ის უზარ-მაზარი ნამუშავარი და დაუცხრომელი მუშაობა ყაზახთა, დარწმუნდა, რომ სხვა გზა ალარ არისო და უბრძანა ჯარს, მოემზადეთ, საქმე უნდა ამა-და-ამ დღეს გათავდესო.

ის დღე იყო ორშაბათი დღე, შვიდი ივნისი 1651 წლისა. დილა იმ დღეს კარგი იყო, გაფითრებული მზე თითქო რალასაც შეუშინებიაო, წითლად ამოვიდა და სისხლის ფერი ნათელი მოჰფინა წყალსა და ტყეებს.

პოლონელთა ბანაკიდან ცხენებს მოერეკებოდნენ საძოვრად. ყაზახთა მანაკში ხმაურობა და ჟრიამული იდგა ხალხისა. ყველგან ცეცხლი ენთო, სადილი მზადდებოდა საუზმედ. ყველანი ჰხედავდნენ, რომ ბოგუნი დადიოდა ცხენით, ათვალიერებდა ბანაკს, ჰხედავდნენ მის ამალას, რომელსაც მისდევდა უკან ცხენოსანი ჯარი; ამ ჯარით უნდოდა ბოგუნს შეემუსრა მოურავი ბრაცლავისა, რომელიც ყაზახთა ბანაკს უკან იდგა და ყუმბარებით აქცევდა და ჰფუტკნიდა ყაზახთა ნამუშავარს.

მდაბიონი გულ-დამშვიდებით შეჰყურებდნენ ამ ბანაკის მოხილვას, გულში კიდევაც იმედი ებადებოდათ. ათასობით თვალნი აცილებდნენ ახალგაზდა მხედარს, ათასობით პირნი მისძახოდნენ უკან:

— დაგლოცოს და გაკურთხოს ღმერთმა, ჩვენო მწყაზარო მიმინო!

მხედართ-მთავარი, ამალა და ცხენოსანი ჯარი თან-და-თან განშორდნენ ბანაკს, მივიდნენ ტყის პირამდე, ერთხელ კიდევ გამოჩნდნენ დილის მზის სხივებ შორის და შესდგნენ ხიდ-ბოგირზედა.

და აი ამ დროს მთლად ბანაკს მოედო რაღაც საშინელი არც თუ ყვირილი და არც ღმუილი:

— ხალხო, თავს უშველეთ!

— უფროსი მორბის!—დაიღრიალა რამდენმამე ხმამ.

— უფროსი მორბის!—განიმეორა ასმა და ათასმა ერთად.

ბრბომ გაიხმაურა ნაძვის ტყის ტევრივითა, როცა ამ ტყეს დაჰბერავს გრიგალი და საშინელი არა-ადამიანური ყვირილი აღმოხდა გულიდან ორასი ათასს კაცს; „თავს უშველეთ! თავს უშველეთ! ლიახნი მოდიან! უფროსი მორბისო!“ ჩამოვარდა საშინელი უწესოება. ერთს წუთში ფეხ-ქვეშ იქმნა გათელილი ცეცხლები, ურმები და კარვები მიმსხვრეული—მოფუტკნული, მერე წაქცეური. საშინელმა შიშის ზარმა მოიცვა ყველანი. მკვდართა გორები დადგა და გზა გადიღობა, ხოლო ბრბო ზედ ამ მკვდართა მობობღაედა და იყო ერთი ყვირილი, კვნესა და გმინვა. ცოცხალნი ხიდი-ბოგირისკენ მიისწრაფო-

ლნენ. ვინც გადაცვივდა ხიდიდან ცივს ჭაობში, რომელიც ხაეს მოკიდებული იყო, იხეეწებოდნენ შეგვიწყალეთო და იხრჩობოდნენ უმწეოდ. ბოგირ-ჯებირზედ გაცხარდა ბრძოლა ადგილებისათვის. პლეშოვის ჭაობნი გაივსო მკვდართა გვამებითა. ისტორიული ნემეზიდა ჯავრსა ჰყრილობდა და შურსა ძიობდა საშინელის ულმობელობით პილავეცისათვის ბერესტეჩკის შემწეობითა.

ყვირილი და ღრიალი თავ-ზარ-დაცემულთა შეესმა ახალგაზდა სარდალსა. მაშინადვე მიხვდა, როგორც იყო საქმე. მაგრამ ამაოდ მოტრიალდა მაშინვე ბანაკად, ამაოდ გამოექანა მოზღვავებულ ბრბოსაკენ მაღლა ხელ-აპყრობილი. მისი ხმა ათას სხვა ხმაში იკარგებოდა, საშინელმა მდინარებამ ლტოლვილთა ისიც გაიტაცა ცხენიანად, ამალიანათა და ცხენოსან ჯარიანად და მიჰყავდა დასაღუპად.

სახასო ჯარნი გაოცებულნი შესცქეროდნენ ამ მოძრაობას და ეაი-ვაგლახსა და არ იცოდნენ, რა ეფიქრათ. მაგრამ იმათი გაოცება მალე განჰქრა და ყველა სადროშოს ჯარნი გაემართნენ მტრის წინააღმდეგ ისე, რომ უფროსთა ბრძანებას აღარც კი დაუწყეს ლოდინი.

და დადგა დღე რისხვისა, სამაგიეროს გადახდისა და განკითხვისა. ვინც ვერ წაახრჩეს, ვინც არ დაიხრჩო, ის მახვილს ქვეშა ჰლევდა სულსა. მდინარენი წითლად შეიღებნენ სისხლითა. უგუნური ბრბო უფრო მეტი განწირულებით ეტანებოდა, სჯგვლემდა ერთმანერთს და სცვიოდა წყალში... სიკვდილმა ბინა დასდო იმ საშინელ ტყეებში და მით უფრო მეტს საშინელებით მეფობდა, რაც უფრო განწირულებით იბრძოდნენ ზოგიერთნი რაზმნი ყაზახთა. ბრაცლაველმა მოურავმა შეჰკრა გზა, საითკენაც შეიძლებოდა კიდევ გაქცევა. ამაოდ იკავებდა მეფე ჯარის-კაცთა. შეწყალება განჰქრა და ჩეხა-ჟლეტა, რომლის საშინელება ისეთი იყო, რომ მოხუც და ომში დაბერებულებსაც კი თმა ყალხზედ დაუდგათ, დიდხანს არ შეწყეეტილა.

ბოლოს, როცა დაღამდა და სიბნელემ მოიცვა არე-მარე, თვით გამარჯვებულნი გაოცდნენ, ეს რა საშინელი საქმე მოგვიქმედნიაო, აღარა ჰგალობდნენ Te Deum-სა და არა ცრემლნი სიხარულისა, არამედ ცრემლნი სიბრალულისა სცვიოდა მეფეს თვალთაგან.

ასე ჩაიარა იმ დრამის პირველმა მოქმედებამ, რომლის ავტორიც იყო ხმელნიცკი.

ხოლო ბოგუნი არ მოკვდა სხვებთან ერთად იმ საშინელს დღეს. ზოგნი ამბობდნენ, რომ, რაკი შეატყო, ეს არის დავმარცხდითო, გაიქცა და თავს უშველაო, ხოლო ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ბოგუნი გადაარჩინა სიკვდილს ერთმა მისმა ნაცნობმა რაინდმაო. მართალი ვერავინ გაიგო მართალია; მხოლოდ ის, რომ მისი სახელი გამოჩნდა კიდევ რამდენჯერმე ყაზახთა შემდეგს ომებში, თავადის ვიშნეველეცკის სიკვდილს შემდეგ, რომელიც გასტეხა და მოჰხედა სამხედრო ჯაფამა და ღვაწლმა და როცა ლუბნის სახელმწიფო ჩამოეცალა რესპუბლიკას, ბოგუნმა დაიპყრო უმეტესი ნაწილი ამ სახელმწიფოსი.

ამბობდნენ, რომ ბოლოს თვით ხმელნიცკისაც აღარ ემორჩილებოდაო. თვით ხმელნიცკი, დამარცხებული, სხვის შემწეობას ეძებდა, ხოლო გულ-ზვავი ბოგუნი უარყოფდა ყოველგვარ მზრუნველობას და სახელით იცავდა თავის ყაზახურს თავისუფლებასაო.

ამბობდნენ აგრეთვე, რომ ლიმილი არასოდეს არ ასთამამაშებია ტუჩებზედ იმ საკვირველს კაცსაო. სცხოვრობდა თურმე ბოგუნი არა ლუბნაში, არამედ ერთს პატარა სოფელში, რომელიც განადგურებულ-გადამწვარი იყო და რომელიც მან აღადგინა ნანგრევთ შორისაო. ამ სოფელს რაზლოგს ეძახდაო და იქვე დაჭლია მან სულიო.

ძმა-ძმის მკვლელობის ომმა და შინაურმა შფოთმა იმაზედ მეტს ხანს გასტანა და ბოგუნს შემდეგაც დიდ ხანს არ შეწყვეტილა. მერე გაჩნდა ჭირი და ქვეყანას შემოესივნენ შვეტები. თათრები ხომ თითქმის ფეხ-მოუცვლელად ისხდნენ უკრაინაში

და აუარებელს ხალხს მიერეკებოდნენ ტყვედ სათათრეთში.— დაცარიელდა რესპუბლიკა, დაცარიელდა უკრაინა. მგლები ღმუ-ოდნენ ქალაქების ნანგრევთა შორის და ოდესმე აღყვავებული ქვეყანა უდაბნოდ გადაიქცა. მძულვარებამ დაისადგურა კაცთა გულში და მოსწამლა ძმათა სისხლი.